იანვარი და თებერვალი, №№ I და II, 1903 წ.

მოგზაური

1903 წელს ჟურნალი

„მოგზაური“

მთავრობის ნება-დართვით

გამოვა ახალის გავრცელებულის პროგრამით, ე. ი. ჟურნალში დაიბეჭდება შედაგოგიური, სამეურნეო, სამკურნალო-სამეცნიერო და ისტორიულ-გეოგრაფიული წერილები. რედაქცია სთხოვს მასწავლებლებს, მეურნეებს, მკურნალებს და სამეცნიერო საგნების მიმდევართ მოაწოდონ მას ყოველგვარი წერილები მოხსენებულ საგნებიდამ. საუკეთესო წერილებს, ხალხისათვის ადვილ-გასაგების ენით დაწერილებს, რედაქცია იმავ დროს იაფ-ფასიან წიგნაკებადაც გამოსცემს.

ფასი ჟურნალისა იგივე 5 მანეთია, ხოლო მასწავლებლებისათვის და ხელ-მოკლე დაწესებულებათათვის — 4 მანეთი.

ადრესი ფოსტათ: *Тифлисъ, Редакціи „МОГЗАУРИ“ (Межевая ул. № 72).*

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

P-13400





Дозволено цензурою. Тифлисъ, 26-го Ноября, 1902 года.

მეურნეოგა და ახალი სკოლა.

საყვარელო მკითხველო!

ბონია მოგბეზრდა კიდეც ამდენი კითხვა გაზეთებში სამეურნეო საჭიროებათა შესახებ და მე კი ამ ახალ-წლის დღესაც ამის შესახებ მინდა გეგბაასო. გთხოვ მოთმინება იქონიო და ეს საწყალი წერილიც ჩაიკითხო ბოლომდის, რომ ჩემი აზრიც გაიგო იმის შესახებ, თუ რა სჭირია ჩვენს ქვეყანას და რა უფრო ნამდვილ წამლად და მალამოდ დაედება მას. ჩვენ აქ სულ სხვა აზრისა ვართ, სულ სხვა გზა და საშუალება მოგვაჩნია ჩვენის ქვეყნის ყოველ საჭიროებათა და ნაკლის შევსება-გასასწორებლად. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ სასარგებლო და ნაყოფიერია მხოლოდ ის შემწეობა, რომელიც თვით ადამიანის საკუთარი ძალიდგან გამომდინარეობს, რომელიც საკუთარის ცდის ნაყოფი და შედეგი-ნარეწავია. ჩვენში დარწმუნებულნი არიან, რომ ჩვენი ყოველი ბედი და უბედობა, ჩვენი ყოველი კმაყოფილება და ნეტარება უფრო მართებლობაზედ არის დამოკიდებული, ვიდრე თვით ჩვენს საკუთარ მოქმედებასა და მეცადინეობაზედ; მაგრამ ვინ არ ვიცით,

რომ ღირსება და წარმატება რომელიმე ერისა უფრო კერძო პირების საკუთარს თვისებებზეა დამოკიდებული, ვიდრე მართებლობის შემწეობასა და საზოგადო ვითარებებზედ, რომლების კეთილ-მდგომარეობა, მართალია ხელს უწყობენ კერძო პირს მის სასარგებლო მოღვაწეობაში, მაგრამ მაინც „კაცი თუ თვითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა“. ყველა ეს, ეჭვი არ არის, კარგად იცის მკითხველმა სმაილსის „თვით-მოქმედებიდან“, მაგრამ აქ ჩვენ მაინც გვწადიან ორიოდე სიტყვა ვსთქვათ თვით ჩვენს მეურნეობასა და საჭიროებებზედ.

ეთელი ათასი წლებია ამ მიწაზედ ვზივართ, ვხნავთ, ვთესავთ, ვმკით, ვრგავთ, ვკრეფთ, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ მიწად-მოქმედი ხალხი ვართ; უფრო მართალი იქნება ვსთქვათ, რომ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მიწის მფლობელნი ვართ. აიხსნება ეს იმით, რომ მიწას ჩვენ მხოლოდ როგორც ჩვენს სამფლობელოს ვუცქერით, მას ჩვენ უფრო როგორც ჩვენს საკუთრებას ვაფასებთ, როგორც ჩვენის თავის შესაფარებელს ბუდეს; მასში მუშაობა-გარჯას ჩვენ ვუყურებთ როგორც სხვათა შორის საქმეს, და არა როგორც ჩვენის ცხოვრების უმთავრეს წყაროს. თუ ეს ასე არ არის, მაშ რით აიხსნება ის სამწუხარო ამბავი, რომ მთელი ჩვენი თავად-აზნაურობა, დიდიდამ პატარამდის, ფრიად მცირე რიცხვის გარდა, სრულიად არ მისდევს სასოფლო მეურნეობას, აქტივურს მონაწილეობას არ იღებს მამულის უკეთ და თანამედროვეულად მოწყობაში, არ მუშაობს, საკუთარს ოფლს არა ღვრის მასში!.. რით აიხსნება ის ამბავი, რომ ჩვენი თავადაზნაურების და სამწუხაროდ მრავალი გლეხის შვილებიც კი თვეში ათს და თხუთხმეტს მანეთს ჯამაგირს რჩეობენ სადმე სახელმწიფო თუ კერძო სამსახურში, ვიდრე ლაღად და თავისუფლად მამულში ყოფნას, მისთვის თავ-დადებას, ოფლის ღვრას?!.

ჩვენ ეჩივით ჩვენის ოჯახის დაცემას, გათახსირებას... ან კი სხვა რას უნდა გამოელოდეს ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ერი, ჩვენის უცხო იდეალების პატრონი!.. ყველაფერს იპოვნით ჩვენში, ყოველს აზრს, ყველაფრისათვის გაცხარებულს ბაასს, ბრძოლას, მეცადინეობას, ვერ იპოვნით მხოლოდ, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, სამეურნეო იდეალს, ვერ იპოვნით მისთვის თავ-გამოდებულს მობაასეთ, მქადაგებელთ, მებრძოლთ, ვერ იპოვნით დიასახლისებს, რომ საკვეხურად მიაჩნდესთ თვისი ოჯახის და მამულის მეურნეობის სამაგალითოდ მოწყობა, ვერ იპოვნით მათში უბრალო მოტრფიალეთაც კი ამ საგნებისადმი... ესენიც, ვითარცა მამაკაცნი, გატაცებულნი არიან სულ სხვა აზრებით, სხვა იდეალებით, სხვა კითხვებით, ბაასებით, თეატრებით, ჩაცმა-დახურვით, ჯამაგირებით, სხვის შემყურობით, მონობით, მოჯამაგიროობით... ხსენება რა არის, ხსენებითაც კი არც ერთი მათგანი არ გაიხსენებს მეურნეობას, ერთს წიგნსაც არ წაიკითხავს, არ იყიდის სამეურნეოს, თუმცა კი უმდიდრესი სამეურნეო ქვეყნის შვილნი ვართ და იმავ დროს კი ხუთს და ათს მანეთსაც არ დაზოგავს რომელიმე საეჭვო ღირსების რომანის სასყიდლათ. ხოლო, რაც მთელი შთამომავლობით, მთელი თაობებით, მამით და შვილით არ შენდება არ კეთდება, რაც მამა-პაპამ მოამტკიცა-მოაგვარა, თუ შვილი არ განაგრძობს, განა შეიძლება იქ ქვეყანა წინ წავიდეს, ქვეყანას გაუადვილდეს ცხოვრება, რომელიც, რაც დრო გადის, შეუყენებლად უფრო რთულდება?!. ჩვენი შვილები ახლა პატარაობიდამვე მოწყვეტილნი არიან სოფელს, მათ თითქმის აღარაფერი აკავშირებს სოფელთან, მათი ინტერესები პატარაობიდამვე სულ ქალაქშია, მთაი ოცნებანი—სამსახური, თბილი ადგილი, არაფრის კეთებაა... სოფელი მათთვის ახლა მხოლოდ აგარაკია, სადაც მათ უნდა მხოლოდ სვან, ჭამონ, უსაქმოდ

ირონ, ილხინონ, იგანცხრომონ და არა მამა-პაპათა მეურნეობას უბეჯითონ, გაიცნონ, თვისი სწავლით და წერა-კითხვის ცოდნით ახალი რამ სხივი შეიტანონ ოჯახისა და მამულის მეურნეობაში... გლეხის შვილები კიდევ როგორც არის სწავლობენ თავიანთი დედ-მამებისაგან მეურნეობას, მაგრამ აქ კიდეც მათი გაუნათლებლობა დიდად ხელს უცარავს მეურნეობის წარმატებას...

ჩვენ სულ სხვა გვარი მემამულე გვინდა, შუშამულე შოშაკლისა, რომლისთვინაც თვითონ მეურნეობა, თვითონ ზოგადი იდეა მეურნეობისა მარად უფრო მაღლა სდგას მის საკუთარს სარგებლობა-გამორჩენაზე ჩვენ გვჭირია მეურნე, რომელიც მხოლოდ სარფობისათვის როდი მეურნეობს... ზოგი ამბობს, ხეირიანს კაცს სოფელში არ ეცხოვრებაო, ყველგან სიბილწე, სიმრუდე, მტაცებლობა, ჭორები, ბეზღებანი სუფევსო და სხვა ამ გვარები.ეს იქნება ასეც იყოს, მაგრამ რა ვუყოთ: მოთმენაა საჭირო, ყურს ნუ ათხოვებთ ამაებს დღეს, ხვალ და რამდენიმე ხანში ყველაფერს ისე მიეჩვევით და თქვენც ისე მოგეჩვევიან მეზობლები და შორეულნი, რომ თითქოს აქ არას დროს ასეთი არაფერი ყოფილაო...

მეურნისთვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა მიჩვევა ყოველ გვარ მუშაობაზე და იმის შეგნება, რომ სამაგალითო შეურნეობა ის არის, რომელიც საკუთარი შეფარდებულია ადგილობრივ გარემოებებთან, რომ სამაგალითო მეურნეობა არ შემოიღებს სალეწველ მანქანას, როცა კევრით ლეწვა უფრო იაფია, არ გააჩენს ალგაუსის საქონელს, როცა ჩვენ მარტო უბრალო თივა გვაქვს და სხვ.

ჩვენის ქვეყნის წარმატებისთვის, აუცილებლად საჭიროა, რომ ყოველი განათლებული კაცი თუ ქალი იმავ დროს გაჩვეული და გავარჯიშებული შუშა იყოს, იცოდეს ჩქარი და მოხერხებული სოფლური ყოველგვარი მუშაობა, შეეძლოს მას თვით ყოველგვარი მძიმე და

დაბალი მუშაობაც. ჩვენ თუ გვაკლია რამე, იწერებოდა ოდესმე ცნობილი მსწავლული და მეურნე ა. ენგელგარდტი, სწორეთ ეს ორი თვისება გვაკლია ერთის ადამიანშიო, ე. ი. სწავლა-განათლება და მუშაობაო. ერთის მხრით გვყავს ნასწავლ-განათლებულნი, მაგრამ მუშაობის არ მცოდნენი და მეორეს მხრით—მუშაობის მცოდნენი, მუშაობაში გაწვრთნილნი, მაგრამ სწავლას მოკლებულნი, გაუნათლებელნიო. დიახ, ჩვენთვის საჭიროა განათლებულნი მიწად-მომქმედნი, მაგრამ არა მხოლოდ, როგორც ხელ-მძღვანელნი, არამედ როგორც ნამდვილნი მუშა-მიწად-მომქმედნი, საჭიროა ამერიკისებური ფერმერი, მიწად-მომქმედი. ვერავითარ სამეურნეო აკადემიებს და სასწავლებლებს, სამეურნეო საზოგადოებებს და აგრონომებს არ შეუძლიანთ ისე დააწინაურონ ჩვენი მეურნეობა, როგორც მუშაობაში გაწვრთნილთ და შეჩვეულთ განათლებულებს შეუძლიანთ ეს. აქ სპეციალური განათლება კი არ არის საჭირო, ყველაფერს ამას ნასწავლი კაცი სულ რამდენსამე თვეში ისწავლის სპეციალურს დაწესებულებაში და სპეციალურ წიგნებიდამ, არა, ჩვენთვის აქ უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ სწავლით და განათლებით აღჭურვილს ადამიანს ყოველგვარი მუშაობა შეეძლოს, როგორც საუკუნოებით ამაში გაწვრთნილს გლეხს შეუძლიან ეს.

დროა შეიგნოთ, რომ ჩვენი ყოველი უბედურება იმიდამ წარმოსდგება, რომ ჩვენი ხალხი ორ დიდ ჯგუფად არის გაყოფილი: ერთის მხრით სდგას მუშაობის მცოდნე, მაგრამ განუვითარებელი, უსწავლელი გლეხი და მეორეს მხრით—მუშაობის არ მცოდნე ნასწავლი, რომელიც სრულიად მოკლებულია დამოუკიდებელ, თვითმომქმედ მოღვაწეობას მიწაზედ (სამწუხაროთ თვით სპეციალისტი აგრონომებიც კი) და ამიტომ გამოსადეგია მხოლოდ მოხელეობაში, სხვის სამსახურში და იქ

ჯამაგირის აღება'ში. ჩვენი გლეხი რომ ისე�განათლებული იყოს, ხოლო განათლებულნი, გაწრეთნილნი მუშაობა'ში, როგორც, მაგ., არიან ამერიკელები, მა'შინ ჩვენს ბუნებითს სიმდიდრესთან ჩვენს ბედს ძალიც ვერ დაჰყოფდა, მაგრამ რა ვუთხრა იმ თვალ-გადუწვდენელს წყვდიადს და ნაბრალს, რომელიც ამ ორს ჯგუფს შორის ძევს!.. ან იქნება ეს მუდამ ასე ყოფილა და ასე უნდა დარჩეს, რომ მიწის მუშაობა მარად შავ, დაბალ მუშაობად დარჩება და ჩვენი სიტყვა ხოლოდ უდაბნოსა შინა მღაღადებლისა ხმად?!.. იქნება ასეც იყოს, მაგრამ შემეცნებას ბევრი რამ შეუძლიან, ბატონებო, მას სულ ძირიან-ფესვიანად შეუძლიან შესცვალოს საზოგადოება, ერი და ამიტომ ნურასოფერს დავზოგავთ და ამ გზით და მიმართულებით ვიმუშაოთ ჩვენის თავის და ჩვენის შვილების ამ გზით და რწმენით აღზრდისათვის...

საზოგადოთ ჩვენთვის ყველასთვის აუცილებლად საჭიროა არა მარტო ცოდნა მუშაობისა, არამედ უფრო ის, რომ ვიცოდეთ ფიზიკური მუშაობის ჯანსა, თორემ გავარჯიშებული მუშაობა თვითონ მოვა ამის შემდეგ.

ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა შევიგნოთ და ძვალსა და რბილ'ში გავიმდინაროთ იგი აზრი, იგი რწმენა, რომ სასოფლო მეურნეობა და მისი მრეწველობა ერთად-ერთი ბუნებითი და ამიტომ უტყუარი ფაქტორია ადამიანურის ცხოვრება-სიმდიდრისა, ძალისა, საჭიროა შევიგნოთ, რომ ნასწავლი და განათლებული მუშა სოფელს უნდა დაუბრუნდეს, სოფელ'ში იმუშაოს, შიგ გაუნათლებელ გლეხთა შორის იწვნიოს სასოფლო-მეურნეობის ყოველი სიძნელე, ავი და კარგი და მით ნათელი და უუკეთესი გარჯა-მუშაობის-ცხოვრების სხივი შეიტანოს მათს ბნელით მოცულს ცხოვრებაში, იქ,სადაც დღეს სიბნელისა, მძლავრობისა და ანგარების მეტი სხვა არაფერია...

ეს კი მაშინ შეიძლება, როცა ჩვენს სამეურნეო საქმეს ჩვენის ბნელით მოცულის გლეხის დახმარებით ვაწარმოებთ, როცა ჩვენ მას ძუძანიურად ხელს ვაკუწვდით და გვერდში ამოვიყენებთ იმ საქმეში, რომელიც მას მთელი ათასი წლებით აქვს შეწვნეული, როცა მას გვერდზე დავისვამთ, ერთად მასთან დავლევთ ჩაის, ერთად შეეჭამთ ლობიოს თუ წვნიანს ხორცს, რომელიც მათ საჭმელთან ერთათ ვეაქვს მოხარშული და სხვ. თორემ ჩვენის დღევანდელის განკერძოებით შორს ვერ წავალთ და ვერც რასმე ჩვენს ქვეყანას, სოფელს, მეურნეობას და ოჯახს ვუშველთ და შევძენთ... ჩვენთვის საჭიროა გლეხთა შორის მუშაობა, რომ ჩვენ გლეხის ამტანობა ვვაკლია, ეს მისთა შევავსოთ, ხოლო ჩვენი მეტი სწავლა იმავ დროს მას განვუზიაროთ... ერთი სიტყვით **გვჭირდა სრული გარდაქმნა დღევანდელის ჩვენის ზნისა და ხასიათისა**... მთლად ჩვენი ქვეყანა, დასახლებული და დაუსახლებელი, შემუშავებული და შეუმუშავებელი, მთა და ბარი, ყველაფერი თხოულობს აურებელს ფიზიკურს შრომას, რომ ბოლოს დაემსგავსოს კულტურულს მხარეს; ეს კი შეუძლიან მხოლოდ განათლებულს და სწავლით აღჭურვილს მუშას, უიმათოთ მათი შემუშავება უბრალო გამოწოვნა, გაუდაბნოვება იქნება ჩვენის მდიდარის ბუნებისა. საქართველოს მიწა მოუთმენლად ელის თვისს გაზრდილს შვილს, მაგრამ ეს კი მხოლოდ მაშინ იქნება, როცა იგი ხელს აიღებს ადვილად ნაშოვნ მუქთ ცხოვრებაზედ, მუქთახორობაზედ!..

მთელი ათი წლები გაიძახის ჩვენი რკინის გზა საქართველოს შუაგულზედ გავლის დროს: სამუშაო ბევრია, სამუშაო ბევრია! მუშა და მუშაობაა ჩვენთვის საჭიროო, მაგრამ ამაოდ: ჩვენი ხალხი ქალაქებში გარბის, რადგანაც ჩვენში მოკამაგირეული ცხოვრება უფრო ფასობა, ვიდრე მიწის მუშაობა. გატიტვლებული, გაჩეხილი მთებიდამ წამო-

სული ნიაღვრებით ჩამორეცხილი გვერდები გმირულს, ბუმბერაზულს მუშაობას ითხოვენ თავისს შესამუშავებლად; ვინ შეამუშავებს მათ? მინდვრები უხნავ-უთესი ყრია, ტყეები იჩეხება, ადგილ-ადგილ ჭაობდება, უდაბნოვდება და არავინ არის, რომ იგინი სამოთხედ აქციოს... ეს სულ ნაყოფია იმ მუქთა-ხორობისა, სუბუქად შოვნისა ცხოვრების საშუალებათა, რომელსაც დიდი ხანია ბიეჩვია ქართველი... მავრამ რაკი გაურბის ქართველი სოფელს და მიეშურება ქალაქს, აქ მაინც ნუ უარს ჰყოფს თვისს მამა-პაპურს ხელობას — მეურნეობას. თვალი გაახილეთ და დარწმუნდით, ქართველებო, რომ ქალაქების მახლობლად მოწყობილი მეურნეობა უდიდეს მომავალს გიქადით და აქ მაინც გაანძრიეთ ხელი, რომ ერთიან ედემის ბაღად და ბოსტნად აქციოთ ქალაქების მთელი არე-მარე, რომელიც დღეს ასე დაღვრემილად გამოიცქირება მოქალაქეთა ბრწყინვალე სახლების გარშემო და ცოტად თუ ბევრად მათაცა სდებს ამ დაღვრემილების ფერსა. ამ გვარად თქვენ ისევე დამოუკიდებელათ დარჩებით, როგორც სოფელში იყავით, როგორც თქვენი მამაპაპა იყო სოფლად, დარჩებით, მუშაკ-გეორგიანებად *). გული მიკვნეს-მიკვდება, როცა ვუყურებ ბრწყინვალე და მდიდარი თბილისის გავერანებულს და გადახრუკულს მიდამოებს!.. ამოდენა ინტელიგენცია, ამოდენა სპეციალურად მომზადებული ბეურნენი და ტეხნიკოსნი ჰყავს, ამოდენა ფული აქვს და ერთი, წამლად რა არის, წამლად და ლიტონ აზრადაც არ მოიპოვება აქ ცდა მის გადახრუკულ მიდამოთა შეუდარებელ ედემ-ბაღებად გადაქცევისთვის. იტყვით, თბილისის არე-მარენი მოკლებულია წყალს და უწყლოდ ვინ რას

*) თქმა არის, რომ ძველი ბერძნები ჩვენ ქართველებს გეორგიანებად გვეძახდნენ, რაიცა ნიშნავს მიწად-მოქმედს.

გაარიგებსო? არა, ბატონებო! ჩვენი ქვეყანა თვით ბუნებით ისე მრავლად და ხელ-შემწყობად არის მთა-ღელეებით დასერილი, რომ ფრიად და ფრიად ადვილია აუარებელის და სრულიად საკმაო წყლის შექმნა, დაბადება. ჩვენ მოგახსენებთ, ეგრედ-წოდებული ხელოვნური ტბების დამართვით, რაიცა სულ უბრალო ხარჯს მოითხოვს თვისს გასაკეთებლად. მაგრამ ვისთვისა ვწერთ, ვის ვუქადაგებთ ამას?!. ჩვენი საზოგადოება, ზემოთაც მოგახსენეთ, გატაცებულია ყველაფრით, ხოლო არა ამ დიდ-მნიშვნელოვანი საქმით. სომეხს და რუსს კიდევ ეპატიება ასეთი გულ-გრილობა თბილისის არე-მარეთა ასეთს სამწუხარო მდგომარეობისადმი, მაგრამ, ჩვენ ქართველებს კი არასოდეს! ნ-ს გიორგობას ყოფილ სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ, პატივცემულმა გ. დ. ჟურულმა წაიკითხა დიდძალი შეკრებილების წინაშე მოხსენება კოოპერატიულ ამხანაგობათა დიად მნიშვნელობაზედ მეურნეობის წარმატებისათვის. ბევრმა ათასნაირი მიზეზები მოიყვანეს, რომ ჩვენში კოოპერატიული ამხანაგობისთვის ჯერ არც დრო არის მოსული და არც ნიადაგია მისთვის მომზადებულიო. იქნება ყოველი ეს მართალიც იყოს, მაგრამ, განა ჩვენი ყოველი ბედი და უბედობა მხოლოდ და მხოლოდ საზოგადო ვითარებათა სრულყოფაზეა დამოკიდებული? ნუ თუ თვით ამ ვითარებათა მოსარეწებლად არავითარი ცდა და შრომა არ არის საჭირო თვით იმათგან, ვის კეთილდღეობისთვისაც ვისაც ყველაზედ მეტად საჭიროა იგი, ე. ი. ადამიანთაგან? არა მჯერა. ვიტყვით მეტს: კოოპერატიული ამხანაგობანი ჯერ თუ კიდევ ვერ იპოვნიან ჩვენში პოხიერს ნიადაგს თვისს აყვავებისათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც სამართლიანად ბრძანა ბ-ნმა ა. ნატროშვილმა, სწორეთ ეს ადამიანი გვაკლია, ანუ უკეთ: ადამიანები ბარემ გვყავს, (და დიდად ნასწავლებიც!), მაგრამ გვაკლია ხასიათით საკვე ადამიანები

ურომლოთაც არც არაფერი გაკეთებულა სადმე და როდისმე და ვერც არაფერი დღეს გაკეთდება, თუნდაც რომ ძალიანაც ხელს უწყობდნენ საზოგადო, საჭიროებანი და ვითარებანი. დიახ, გვაკლია პირადი თვით-მოქმედება, გვაკლია ის პირადი ძალა საკუთარის სულისა და ხორცისა, რომელიც თვით უუსაშინელეს შემთხვევაშიაც მხოლოდ და მხოლოდ თავისს საკუთარს „მე"-ს ენდობა, გვაკლია ის შეუპოვარი დამოუკიდებელი ხასიათი, რომელიც მხოლოდ ამას იმეორებს: «ანუ ვიპოვნი გაკვალულს გზასა და ან მე თითონ გავკვალავ მას»-ო.

ამით, მართალია, დიდი რამ გკვლებია ჩვენ, მაგრამ, ღვთით, ეს ისეთი თვისებაა, რომ ყოველს ადამიანს, თვით მცირედ ნასწავლსაც კი, ადვილად შეუძლიან ერთხელ და სამუდამოთ შეიძინოს იგი, საჭიროა მხოლოდ იმის შეგნება და დანახვა, რომ ჩვენ, ქართველებს, სწორეთ ეს გვაკლია და სხვა ყოველი, კერძო თუ კოოპერატიული მოქმედება-საქმენი, თვით დაგვებადიან... თქვენ კაცი თქვით ამ ხასიათისა და მიმართულებისა, თორემ, განა ცოტა დიდი საქმეები გაკეთებულა უკვე ჩვენში!?. დიახ, ჩვენ სწორეთ მოხსენებული ხასიათის კაცები გვაკლია, თორემ კოოპერატიულ ამხანაგობათა აყვავებისთვის ჩვენშიაც და სხვაგანაც მუდამ იყო კიდევაც და დღესაც არის მზად ნიადაგი!.. თუ არ ეს, მაშ რა გვიშლის ჩვენ, ამოდენა ინტელიგენციას, თვით უმაღლესი სპეციალური სწავლით აღჭურვილებს, დიახ, რა გვიშლის, შევერთდეთ ერთ დიდ კოოპერაციად და ხელი მივყოთ ჩვენი დედა-ქალაქის დაღვრემილი მიდამოების გაედემ-ბაღებას!.. რა გვიშლის? იმ პირადი თვით-მოქმედების არ ქონვა, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ, თუმცა, როგორც ვსთქვით, ჩვენ მრავლათა გვყავს აქ თვით უუმაღლესი სწავლა-განათლების პატრონნი... დროა გამოვფხიზლდეთ, ქართველებო, თავი შევიბღერტოთ მხრებზე და კერძო თუ კოოპე-

რატიულ თვით-მოქმედების გზას დავადგეთ, თორემ ლიტონი ღიადი მთავრობისადმი ჩვენს საჭიროებათა შესახებ ხსნის და შველის გზაზედ ვერ დაგვაყენებს ჩვენ... მაშ, გაუმარჯოს ახალს განკაცებულს ქართველს, ეს არის ჩვენი პირველი საჭიროება, საძირკველი ჩვენს ყოველ საუკეთესო მისწრაფებათა, მის გარეითად ყოველი ჩვენი ცდა ფუჭი და ამაო იქნება!...

ყველა აქ მოხსენებულ ხასიათების და მიმართულების შეძენა მართალია, ჩვენი პირადი, ჩვენი საკუთარი თვით-მოქმედებითაც შეიძლება, მაგრამ მარტოოდენ ეს არა კმარა; აქ საჭიროა ამოძრავება მთელის ერისა, ხალხისა, საჭიროა ძირიან-ფესვიანად გარდაქმნა ჩვენის ერის იმ ნაწილისა, რომელიც მარტოოდენ, ეგრედ წოდებულ, ლიბერალურ ანუ, უკეთ ვსთქვათ, ბურჟუაზულ სწავლა-განათლებას მისდევს და მის გამო სრულიად ორგულ შვილად იზრდება და იწვრთნება მთელის საუკუნოებით მეურნეობას მიჩვეული და მიმდევარი ჩვენი მოძმე!..

ეს კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა თვით სწავლა-აღზრდა ჩვენის მოზარდის თაობისა ძირიან-ფესვიანად შეიცვლება თუნდა, მაგალითად, ისე, როგორც ეს ნაამბობია ამის ქვემოთ აღწერილს ინგლისურს სკოლაში. ჩვენ შემთხვევა გვქონდა დავსწრებოდით ერთ-ერთს კრებას სამეურნეო საზოგადოებისას (1-ს ნოემბერს) და უნდა გამოვტყდეთ, რომ დიდად გაოცებულნი დავრჩით, როცა, აბა თუ მეურნეობის გარეშე მდგომნი (ამათ მიეტევება ეს), არამედ თვით მეურნეობის წარმომადგენელნი, რომელნიც მოწოდებულნი არიან მთავრობისა და ერისაგან სამეურნეო საქმეთა წარსამატებლათ და გასავრცელებლათ, სრულიად უარსა ჰყოფდნენ მის გავრცელებას ხალხში სახალხო სკოლების საშუალებით და მის მაგიერ გვირჩევდნენ რაღაც ორიოდე

სამეურნეო პრაქტიკულ მუშათა სკოლების დაარსებას... ყველა ამათის აზრით, სახალხო სკოლა უნდა დარჩეს ლიტონ წერა-კითხვის სკოლად, ამაშია მისი უმთავრესი დანიშნულებაო, სხვა ყოველი სწავლა ტყუილ-უბრალოდ ხელს შეუშლის სკოლას თვისს ამ დიადს საქმეშიო (ე. ი. წერა-კითხვის გავრცელებაში). ერთმა ორატორმა ისიც კი დაუმატა, რომ მას შემდეგ, რაც სახალხო სკოლებში სამეურნეო-სატეხნიკო სწავლანი შემოიღეს, თვით ეს სკოლები სრულიად დაეცაო და სხვა ამ გვარები... სამწუხაროა, რომ საჯირელიც არ იყოს ასეთი მოძღვრები და მოძღვრებანი ჩვენის ქვეყნისათვის!.. საზოგადოება მოწოდებულია უმაღლეს მთავრობისაგან თვისი აზრი გამოსთქვას მეურნეობის გაუმჯობესობის და გავრცელების შესახებ ჩვენს ქვეყანაში და იგი კი სწორედ იქ უხშობს მას გავრცელების კარს, სადაც ეს ყველაზედ უფრო კარგად შეიძლებოდა მოგვარებულიყო, რათა თვით უუშორეს, მიყრუებულს სოფლებისთვისაც კი ეჩვენებინათ ახალი მეურნეობა და მით გაევრცელებინათ იგი მათში, ე. ი. სახალხო სკოლაში, რომელიც დღეს თუ ხვალ მრავლად უნდა დაარსდეს ჩვენის ქვეყნის ყოველს სოფელში!.. ჩვენ კარგად გვესმის სადაც სცემს ამათი მოძღვრება, სად და რისაკენ მიისწრაფის იგი: მათი აზრია სახალხო სკოლა ლიტონ წერა-კითხვის სკოლად დასტოვონ იმისთვის, რომ მისი ასეთის მდგომარეობით უფრო განამტკიცონ ჩვენი დღევანდელი ბურჟუაზული მიმართულება, გამოულეველად თავზე საყრელი ბატრაკები (მონა მოჯამაგირე-მუშები) გამოუზარდონ ქალაქებს... მეურნეობის გაუმჯობესობა და სოფლის ხსნა-შველა ამ გზით არ შეიძლება, ეს მას, პირიქით, სრულიად გაათახსირებს, დაასუსტებს და ბოლოს სრულიადაც დასცემს, მიწასთან გაასწორებს, ნამდვილ მონად აქცევს სოფელს ქალაქისა და მის ვეშაპ მუცლისა... მაგრამ ტყუილია ასეთი ცდა..

პროვინციას არცა აქვს იმედი, რომ ქალაქის ინტელიგენცია მას სისწორით გაუწვდის ხსნისა და შველის ხელს და ამიტომ არც მოელის ხსნას ქალაქისაგან. იგი თვით უშველის თავის თავს. მუდამ ასე არ იქნება. დღეს თუ ხვალ გარემოებანი შეიცვლება, ჩვენს პროვინციასაც მოენიჭება ერობა და მაშინ უყურეთ, იგიც გამოსდევნის თუ არა სამეურნეო-სატეხნიკო სწავლათ სახალხო და სხვა სკოლებიდამ?!. ამის მაგალითები უკვე ბევრია იმ გუბერნიების ერობებში, სადაც უმრავლესობა ხალხისა გლეხობაა და ისეთს დაწინაურებულს სახელმწიფოებში, როგორიც საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი და ჩრდილო ამერიკის შტატებია. სამეურნეო-სატეხნიკო სწავლამ იქ უკვე მოქალაქობრივი უფლება მოიპოვა, მათი სწავლების მოწყობა იქ უკვე სავალდებულოა ყოველგვარი სკოლებისათვის და ასი ათასს და მილიონ მანეთებსაც არა ზოგავენ მათთვის. ჩვენი მსწავლული მეურნენი კი, წევრნი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, სხვებთან ერთად გამოდიან და გაიძახიან, რომ საჭირო არ არის მეურნეობის გავრცელება ხალხში სასოფლო სკოლითაო, რომ რომელ სკოლასთანაც არსებობენ სამეურნეო განყოფილებანი, ყველგან ცუდათ მიდისო იგი და ფული უნაყოფოდ იხარჯებაო... იმას კი აღარ იძიებენ ეს დალოცვილები, რომ მათს წესიერ მოწყობა-წარმოებაზე ისე მცირედი იხარჯება, რომ სათქმელიც კი არ არის, იგი ნამდვილი გერია დღევანდელის სკოლისა, მის მასწავლებელს და მოსწავლეს არავითარი უფლება არა აქვსთ მინიჭებული, მაშინ როდესაც ლიბერალური სკოლის მასწავლებლებს და მოსწავლეებს მრავალი უპირატესობა აქვთ მინიჭებული (პენსია, ჩინები, და სხვ.).

დროა შევიგნოთ, ბატონებო, რომ მეურნეობისა და მასთან ერთად სატეხნიკო ხელოვნება-ცოდნის გასა-

ვრცელებლად ყოვლად უმნიშვნელოა თითო-ოროლა სპეციალური სასწავლებლის დაარსება... დროა შევიგნოთ, რომ მათში გამოზრდილი ათიოდე და თუნდა ასიოდე სპეციალისტი ვერ ააყვავებენ ჩვენს ქვეყანას მეურნეობით, იოტითაც წინ ვერ წასწევენ მას, თუ იმავ დროს თვით ხალხი და მისი უმთავრესი ძალა, მოზარდი თაობა, აქტივურს მონაწილეობას არ მიიღებენ თვისი ქვეყნის სამეურნეო-სატეხნიკო სწავლა-მოქმედებაში. ეს კი მაშინ შეიძლება, როცა დაწყობილი სახალხო სკოლებიდამ, ვიდრე უნივერსიტეტებამდე სამეურნეო-სატეხნიკო საგნები ისეთსავე საპატიო ადგილს არ დაიჭერენ, როგორიც დღეს წერა-კითხვას, მატემატიკა-გეომეტრიას, ისტორია-გეოგრაფიას და მისთანა ლიბერალურ სასწავლო საგნებს უკავიათ. მარტოოდენ წერა-კითხვის სკოლა ხალხისთვის— უკვე ხან-მოჭმული აზრია და დროა შეიცვალოს ცხოვრების სკოლად, (იხილე ამას ქვემოთ აღწერილი ინგლისური სკოლა) სადაც ორივე სქესის ყმაწვილებს ასწავლიან ყოველს იმას, რაც კი ასე თუ ისე ასწავლის მათ უფრო უკეთესს, უფრო ადვილს ცხოვრებას და მოვალეობის უკეთ შესრულებას ოჯახისა და ხალხის წინაშე. ასეთ სასწავლო საგნებად კი მარტო წერა-კითხვა, მათემატიკა, გეომეტრია და ისტორია-გეოგრაფია როდი ჩაითვლება; მათზე უკეთ თუ არა, ნაკლებ არ ასწავლის უკეთეს კერძო და საზოგადო სამოღვაწეო ცხოვრებას სამეურნეო-სატეხნიკო საგნები. ლიტონი წერა-კითხვის სახალხო სკოლის მოტრფიალენი, ეჭვი არ არის, იმიტომ იცავენ თვისს ასეთს მოძღვრებას, რომ მათის აზრით, წერა-კითხვა, მათემატიკა-გეომეტრია, ისტორია-გეოგრაფია და სხვა მისთანა ლიბერალური სასწავლო საგნები საუკეთესო საშუალებაა მოზარდ თაობის გონებით გახსნა-განვითარებისათვის, მაგრამ ესეც ხომ ხან-მოჭმული აზრია... დღეს უკვე დამტკიცებულია, რომ მოხსენებული საგნები კი არ ხსნიან და ანვითარებენ ადამიანს, არამედ თვით ადამიანი,

თვისი უკვდავი ბუნებითი და გონებითი ნიჭებით ჰქმნის და ანვითარებს ამ საგნებს და მათს ცოდნას... (იხ. ჩვენი წერილი და ცალკე წიგნაკი „რა არის გონებითი გახსნა-განვითარება“). თუ ეს ასეა, მაშ რათ უნდა ხელი შეეუშალოთ მოზარდ თაობას იმ სამეურნეო და სატეხნიკო საგნებშიაც ავარჯიშოს და ამეცადინოს თვისი ნიჭნი, რომლებიც ათას-წილ უფრო ხელ-მისაწდომი და თვალსაჩინოა მისთვის ვიდრე სხვა ყოველი საგანი?!.

ერთი სიტყვით, ბატონებო, ჩვენის მომავლის განსამტკიცებლად აუცილებლად საჭიროა ძირიან-ფესვიანად შეიცვალოს როგორც ჩვენი დღევანდელი პირადობა და ცხოვრება-მოქმედება, ისე ჩვენი მოზარდი თაობის დღევანდელი ბურჟუაზული სწავლა-აღზრდის საქმე, იმ დამატებით, რომ ყოველს სასწავლებელში, დაწყობული სახალხო სკოლიდამ ვიდრე უნივერსიტეტამდე, სამეურნეო-სატეხნიკო საგნები ისეთივე უფლებით და პატივით ისწავლებოდნენ, როგორც სხვა ყოველი საგანი, რათა ამით ყოველი მოსწავლე პატარაობიდამვე იწვრთნებოდეს და განმტკიცდებოდეს სამეურნეო-სატეხნიკო საგნების სიყვარულში, ტრფიალებაში. აბა მაშინ მოიტანენ გაუზომელს სარგებლობას თვით სპეციალური სასწავლებლებიც, რადგანაც იგინი გაივსებიან ნამდვილ ბუნებით ნიჭიერ და მეურნეობის მოტრფიალე, მოწოდებულ ახალგაზდობით...

ახალი სკოლა
ინგლისურს სკოლაში

(ა. ნეიფელდის წერილიდამ).

ოდისმე მიგიციათ თქვენი თავისათვის ასეთი კითხვა: არის თუ არა სადმე ისეთი სკოლა, რო-

მელიც მარტოოდენ ჭკვა-გონების განვითარებით არ კმაყოფილდება, როგორც ამას ზოგიერთნი ჩვენი კეთილის-მყოფლები თხოულობენ, არამედ იმავ დროს და იმდენადვე ზრუნავენ სხეულის, ხელების, ფეხების, თვალების, ყურების, კუნთების და ზნეობრივ და ესტეტიურ (მშვენიერებათა გრძნობის) ნიჭთა გახსნა-განვითარებას? ნუთუ ჰარმონიულად (თანაბრად) გახსნა-განვითარება ადამიანის ყოველ ძალთა მარტოოდენ მშვენიერი, მაგრამ ყოველად მიუწდომელ-განუხორციელებელი ოცნებაა დიდისა პესტალოცისა? ნუთუ არსადაა განხორციელებული ეს ოცნება?

ყველა ამის პასუხს მკითხველი იპოვის ამის ქვემოთ აღწერილს ინგლისურს სკოლაში და ამიტომ ვსთხოვთ მას მოგვყვეს თან.

ჩვენ ვართ აბოტსგოლმში (ინგლისშია), რომაელების დროს აშენებულს პატარა ქალაქის მიდამოში. გიორგობისთვეა. დილაა. აღმოსავლეთი არაჟრაჟდა. ჯერ კიდევ გაშლილია მწვანე კორდებზე მთელი ფარა ცხვრებისა და მშვენიერი ჯიშის ძროხა და ცხენები. საძოვარი შემოფარგლულია კვრინჩხის ღობით და ამიტომ საქონელი უმწყემსოდაა. თუმცა აქ საშხრეთი არ არის, მაგრამ ზამთარი ჯერ კიდევ შორს არის და ამიტომ საქონელს ღამითაც გარეთ სტოვებენ. თუ საქონელს საძოვრის ბალახი არა ჰყოფნის, მას თივას აშველებენ. საძოვრის აღმოსავლეთით ძევს რამოდენიმე მომაღლო სერი, მშვენიერის ტყით შემოსილი. ღობის გარეთ უმშვენებელი ბაღია, ყოველ-გვარის ხით და ხეხილით მორგული. ყოველს მცენარეს პატარა ფირფიტა აკრავს ზედ; ფირფიტაზე სწერია: სახელი მცენარისა, მისი სამშობლო, დრო მისი დარგვისა და სახელ-გვარი დამრგველისა. გეგონებათ, რომ თქვენ რომელიმე შესანიშნავს ბოტანიკურს ბაღში ბრძანდებით. მამულის ზედ შუაზედ მალხაზად მოიკლაკნება

საკმაოდ მოზრდილი წყალი; ნაპირები მისი ტურფა წნორებით და წყლის მოყვარე სხვა მცენარეებით არის ხშირად მორგული.

როგორც თითონაც მიხვდები, მკითხველო, ეს გახლავს სამგლობელო აბოტსგოლმის სკოლისა, რომელიც გვსურს დაწვრილებით გაგაცნოთ დღეს შენ. აქ ყოველი ნაბიჯი, ყოველი სერი, ველი, წყალი, ტყე და მთა წარმოადგენს მარად გადაშლილს, ახდილს წიგნს საკითხავად და სასწავლებლად. პირველსავე შეხედვით დარწმუნდებით, რომ ეს წიგნი დიდს და წარუხოცელს გავლენას იქონიებს მასში გაზრდილს მოწაფეზედ, რომ აღზრდისა და სწავლების ყოველი წამისთვის შეგიძლიანთ მოიხმაროთ რომელიც გნებავთ კაბადონი ამ შეუნაცვლებელის სახელმძღვანელოსი.

შევიდეთ თვით სკოლის შენობაში. იგი მეტად ვრცელია და ისეა აშენებული, რომ გეგონებათ კვლავ გარეთა ვარო, იმდენია მასში ჰაერი და სინთლე. ყოველს ოთახში ერთი ფანჯარაა მაინც უთუოდ ღია მთელი დღისა და ღამის ვანმავალობაში. ფანჯრები ისეა გაკეთებული, რომ გნებავთ ზევით ასწევთ და წმინდა ჰაერი მის ქვემო ნაწილიდამ შემოვა, ვნებავთ ქვემოთ ჩამოსწევთ და ჰაერი ფანჯრის ზემო ნაწილიდამ შემოვა ოთახში. მისაღებ ოთახის ბუხარში ანთია ცეცხლი, რომ ერთსა და იმავე დროს ჰაერიც გაიწმინდოს და ოთახიც ვათბეს. აქ ყველაფერი ისეა მოწყობილი, როგორც ამას ჰიგიენა მოითხოვს.

დილის შვიდი საათია. ჩვენ შეგვიყვანეს მოწაფეთა საძილოში. მეტს ნაწილს მოსწავლეთა ჯერ მაგრათ სძინავს. ჩვენს შესვლაზე ზოგიერთმა ადგომა იწყო და თვალებს იფშვნეტავენ. დარეკეს. ახლა კი ყველამ გაიღვიძა, საჩქაროდ ჩაიცვეს ფლანელის პერანგი, შალის შალვარი მუხლებამდის და შალისავე კურტკა და ამ გვა-

რად სულ რამდენსამე წუთში ადგნენ კიდეც. ზემოთ უკვე ვსთქვით, რომ გიორგობისთვე იყო, დიახ, გიორგობისთვე! ჩვენს შესვლაზედ კი მთელს საძილოში თითქმის ყველა ფანჯრები ღია იყო. ფანჯრები აქ თურმე მთელს ღამესაა ღია. მოსწავლენი გაეშურნენ პირის დასაბანათ, მაგრამ რას ვამბობ, პირის დასაბანად კი არა, მთელის სხეულის და თავ-პირის გასაბანებლად პირდაპირ ცივს წყალში; აქ წყალს არა ზოგავენ; ყველას, დიდსა და პატარას (აქ სწავლობენ 11—18 წლის ყმაწვილები), თავ-თავისი საბანებელი ტაშტი (ვანნა) აქვს მიჩენილი: გაიხდის საჩქაროთ ტანისამოსს, ჩაჯდება ტაშტში, რამდენსამე წამს მიისვამს-მოისვამს ცივს წყალს მთელს ტანზედ, დაიბანს თავ-პირს, ამოვა, საჩქაროთვე მოიმშრალებს ტანს და კვლავ ჩაიცვამს ტანისამოსს. დარეკეს მეორედ. ყველანი შენობის ალაყაფის კარებთან გაეშურნენ და იქ გამწკრივდნენ. მოვიდა მასწავლებელი პრეფექტებით (მოსწავლეთაგან თანაშემწეებით), ერთის თვალის გადავლებით დაჰხედა მთელს რაზმს და რა დაინახა, რომ ყველანი ადგილზედ და წესიერად არიან, მაღალის ხმით უბრძანა აჩქარებულის ნაბიჯით სკოლის სამფლობელოს საზღვრისაკენ წასვლა და იქიდამ ასევე დაბრუნება. მასწავლებელმა პირველმა გადადგა ნაბიჯი და მას მიჰყვა მთელი რაზმიც. ნეტავი გაჩვენა, მკითხველო, რამდენი კმაყოფილება და სიცოცხლე-სასაღე იხატება ამ ჟამად ამათში!.. არ კი გეგონოს, მკითხველო, რომ ასე გაბანება შემთხვევითი ამბავი იყო, არა. თვით სათითაოდ ქონვა საბანებელ ტაშტისა აშკარად მოწმობს, რომ ცივი წყლით ბანაობა აქ ჩვეულებრივ ვალდებულებად არის მიღებული, არა მხოლოდ ზაფხულში, არამედ ზამთარშიაც.

დაბრუნდნენ. მოსწავლეთ მოიყარეს თავი სკოლის სამლოცველოში, სადაც კედლებზედ გამოსახული ანუ გამოქანდაკებულია ყველა შესანიშნავი წმინდანი. ყოვე-

ლი მათგანი ამცნევს მათ ყოველ-გვარ სათნოებას და ვალდებულებას ღვთისა, ქვეყნისა, კაცობრიობისა, საზოგადოებისა და თავის თავისადმი. სახენი მათნი შეუმჩნეველად ხელს უწყობენ ამ ვალდებულებათა შეგნებაგანვითარებას. მოსწავლენი წყნარად და სერიოზულად სხედან თავ-თავის ადგილას, თუმცა მასწავლებლები ჯერ არ შემოსულან. აი ესენიც შემოვიდნენ. მოსწავლენი ადგნენ. მასწავლებლებმა დაიჩოქეს, მათ მიჰბაძეს შეგირდებმაც და დაიწყეს მშვენიერი ინგლისური ჰიმნის მღერა. სიმღერა რომ გაათავეს, მოსწავლენი კვლავ თავ-თავის ადგილას დასხდნენ და ერთმა მასწავლებელთაგანმა წაუკითხა მათ მიკლე ნაწყვეტი სახარებიდამ. სახარებიდამ წაკითხულს ჩვეულებრივ უფარდებენ სამლოცველოში მყოფ სურათებს და ქანდაკებებს. თვითეულს აქ გამოხატულს წმინდანს მიჩენილი აქვს ერთი კვირა წელიწადში, ხოლო ქრისტეს სწავლა კი განაწილებულია მთელ სამოსწავლო წელზედ. გათავდა ლოცვა.

ყმაწვილები საჭმეო ოთახში გაეშურნენ. აქ ყოველი მასწავლებლისა და მოსწავლისათვის უკვე დგას ნოყიერი ცხელ-ცხელი ფაფა შვრიისა შაქრითა და ნაღებით. ჩვენ ვნახეთ რამდენიმე კოვზი ამ საჭმლისა და უნდა გამოვტყდეთ, რომ იგი გაცილებით სჯობია ჩაისა და ყავას. გარდა ამისა მაგიდის შუაზედ თქვენ ხედავთ მთელს გროვებს შავი და თეთრი პურისას, შემწვარ თევზისას, კვერცხისას. ყველა ეს შეუმჩნეველად ილევა. ყველანი სიამოვნებით სმენ თითო ფინჯანს კაკაოს და ახლა ხელი მიჰყვეს მარმელადს და სხვა ყოველ გვარ ხილს. საჭმელთან ერთად ბაიდებზე დგას უმშვენიერესი ყვავილები სასწავლებლის საკუთარ სათბულიდამ (არანჟერეიდამ). ლეონარდო და ვინჩის «საიდუმლო სერობის» მშვენიერი სურათი და სხვა მრავალი მისთანა, რომლებიც საჭმეო ოთახშია მოთავსებული, თვალ-ნათლივ ღაღადებენ ყო-

ველ დღე, რომ ხორციელი სიცოცხლე ზნეობრივ კანონებს უნდა დაუმორჩილო. როგორც სხვა ყოველი, აქ ხელოვნებაც მოწოდებულია ემსახუროს აღზრდას თვისი თვალ-ჩენობით. პურის ჭამა იწყობა და დათვდება მოკლე ლოცვის სიმღერით ფისგარმონიაზე დაკვრასთან ერთად.

რვა საათია. საძილოს დახედვა-ალაგებაა. ფანჯრები ყველა გაღებულია. მოსწავლენი ბღერტენ ნიავზედ ზეწრებს, ბალიშებს, საბნებს და რანდენსამე წამს ყველა მათგანი ალაგებს თავ-თავის ქვეშაგებს და საწოლს. ამის შემდეგ იწყობა გაკვეთილები. პირველი გაკვეთილი მუსიკაა, რომელიც გრძელდება ოცს წამს. ცხრის ნახევარზედ შევედი უმცროს განყოფილებაში „ნემეცურის კლასისას“. მაგრამ სადა ვარ: ინგლისში თუ გერმანიაში? აქ ნემეცურს ისე ასწავლიან, რომ გოგენებათ გერმანიის შუა-გულში ვარო. აი მასწავლებელმა ანიშნა მოსწავლეებს, ესენი გამოვიდნენ და იწყეს ლაპარაკი და აღწერა ვანნასი, საჭმეო ოთახის, საძილოსი, სახელოსნოსი, დუქნისა, სასტუმროსი, ფოსტის კანტორისა და რკინის გზის სადგურის კასსისა სურათების თუ წარმოდგენილობითის ნიჭის საშუალებით. მოსწავლენი უამბობენ მასწავლებელს ნემეცურად ყველაფერს, რაც კი იქ კეთდება. ამითაც არ კმაყოფილდებიან და თითონ საქმესაც ჰკიდებენ ხელს და ამ დროს ლაპარაკობენ იმას, რასაც აკეთებენ. ერთი მაგ., აკეთებს ყუთს იარაღების ჩასაწყობათ და ამბობს: მე ვიღებ ფიცარს, მე მივდივარ ხერხის მოსატანად, მე მოვიტანე საკუთხე და მასშტაბი. აი ჩემს წინ დავიდგი ყალიბი. მე ვზომავ ყუთის სიგრძეს ყალიბზედ, გადამაქვს ეს ზომა ფიცარზედ და სხვ. საზოგადოთ აქ იმ აზრისანი არიან, რომ უცხო ენის შესასწავლად, როგორც დედა ენისა, საჭიროა ბევრი ლაპარაკი. ასევე სწავლობენ ფრანგულს და ლათინურს, რომელთ სწავლება იწყობა შემდეგის კლასიდამ. გრამატიკულის ფორმების გაზეპირება

აქ სრულიად არ არსებობს. უცხო ენის მასწავლებლები ელაპარაკებიან მოსწავლეებს მხოლოდ იმ ენაზედ, რა ენასაც თითონ ასწავლიან. დრო-გამოშვებით მოსწავლეებს წერილებსაც აწერინებენ თავიანთ მშობლებთან უცხო ენაზედ. ზოგჯერ თვით ლოცვაც კი სწარმოებს უცხო ენაზე. არაც ერთი გაკვეთილი არ გრძელდება 45 წამზედ მეტი.

კარგა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ჩვენ შევედით უმცროს განყოფილებაში „ფრანგულის კლასისას" (11—12 წლის ყმაწვილები არიან მასში). საკლასო დაფის გვერდით ჰკიდია სურათი «საფრანგეთის სოფელში ზამთრობით». ყმაწვილები უამბობენ მასწავლებელს, რაც დახატულია სურათზედ; ძნელს სიტყვებს სწერენ დაფაზედ და შემდეგ რვეულებში. შემდეგ, სურათის მაგივრად, ჰკიდებენ საფრანგეთის რუკას, თვით საფრანგეთიდამ გამოწერილს და მისის შემწეობით მოსწავლენი მიემგზავრებიან პარიჟიდამ ტულონში. გზა-გზა სულ ფრანგულად ლაპარაკობენ. ასე და ამ გვარად მოსწავლეებმა ისწავლეს არა მხოლოდ ფრანგული ენა, არამედ გეოგრაფია და ისტორიაც საფრანგეთისა. არ ვნანობდით, რომ აქ ვერ ვნახეთ ჩვენი ძველი ნაცნობი—მარგო. გრამატიკის სწავლებას აქ მარტო მაშინ იწყობენ, როცა რამოდენადმე პრაქტიკულად შეისწავლიან ენას. შესწავლილის მასალიდამ მოსწავლეებს თითონ გამოჰყავთ მოკლე სწავლა უწყებული ფორმის წარმოშობაზედ; სინტაკსიდამ სწავლობენ მარტო იმას, რითაც უცხო ენა განსხვავდება დედა-ენისგან.

დიდი შესვენებაა. მოსწავლენი საუზმობენ. ახლა მათ მისცეს რძე და ბისკვიტები. შესვენების შემდეგ მე დავესწარ ნემეცურის გაკვეთილს 15 წლის მოწაფეების კლასში, რომ დამესკვნა უცხო ენების სწავლების წარმოუდგენელად კარგი შედეგები. კედლებზედ გამოკიდუ-

ლია ისტორიული რუკები ევროპისა. დაფის გვერდით ჰკიდია დიდი სურათი «ბრძოლა გოტებთან ვეზუვიის ახლოს». ნემეცურის ენის მასწავლებელი ინგლისურს სკოლაში აძლევს გაკვეთილს ნემეცურს ენაზედ ნემენცთა ისტორიიდამ. აბისათვის მრავალი თვალ-საჩინო სახელ. ძღვანელოა საჭირო და ამიტომ აქ თქვენ ნახავთ საუკეთესო სურათებს ლემანისას, კნეტელის ატლასებს, ისტორიულ ქრისტომატიებს და სხვ. ინგლისის მოსწავლენი უფრო უკეთ იცნობენ ალარიხს, თეოდორიხს, კარლ მარტელს, კარლ დიდს და სხვათ, ვიდრე ნემეცთა გიმნაზისტები—ინგლისის გმირებს. როცა მოსწავლეებმა გვიამბეს მოხსენებულ გმირებზე ნემეცურად პროზით, მათ ახლა ზეპირად წაიკითხეს დანას, ლინგისა და სხვათა ის ლექსები, რომლებშიაც იდიდებიან ესევე გმირები. აღსანიშნია, რომ აქ სრულიად ხსენებაც არ არის ზეპირგონებისა (უჩებნიკებისა). და, მართლაც, მოხსენებული სურათები, რუკები, ატლასები და ქრისტომატიები გაცილებით უფრო უკეთ და თვალ-საჩინოთ წარმოგვიდგენენ ისტორიულს ყოველს ამბავს, ვიდრე მშრალად შედგენილი ზეპირგონები. რაც შეეხება ისტორიის რიგსა, ამას მოსწავლენი სწერენ თავიანთ რვეულებში სათვალჩინო სქემის სახით. ეტყობა, რომ ისტორია საყვარელ საგნად გამხდარა მოსწავლეებისთვის. სამშობლო ისტორიას აქ ორის წლით ადრე ასწავლიან და შემდეგშიაც სხვა ქვეყნების ყოველ ისტორიულს ფაქტს და ამბავს უთუოდ ამას უფარდებენ, ასე რომ სამშობლო ისტორიის სწავლებას ცენტრალური ადგილი უჭირავს სხვა ქვეყნების ისტორიათა შორის. ამასვე ვხედავთ ენების სწავლებაში: ყველგან და ყოველთვის უჩვენებენ ნათესაობას, მსგავსებას და განსხვავებას სამშობლო და უცხო ენათა შორის. ასევე იქცევიან ზოგჯერ ბუნების-მეტყველების სწავლების დროსაც.

— სამწუხაროთო, —ამბობენ აქ,—ჩვენ არ შეგვიძლიან იმდენივე დრო დავუთმოთ რომაელებს, რამდენსაც ნემცებსა და ფრანცუზებს ვუთმობთო. აქ დარწმუნებულნი არიან, რომ მოსწავლეებმა ჯერ სამშობლო ენა უნდა ისწავლონ კარგათ, შემდეგ ორი უსაჭიროესი უცხო ახალი ენა და ხოლო მას შემდეგ ძველი ენაო. ძველი ენის სწავლებაშიაც დიდს განსხვავებას ვხედავთ ჩვენებურის სწავლების წესთან შედარებით. ზეპირგონები თავისი უკავშირო ფრაზებით სრულიად გამოდევნილია აქ. მათ მაგივრად აქ რჩეობენ გააცნონ ენის ფორმებთან უკვე შესწავლილ მასალის შემწეობით, რისგამოც ძველს ენასაც აქ ისევე ასწავლიან, როგორც ახალს ენებს. უმცროს კლასში, მაგ., როცა ჩვენ იქ ვიყავით, ლათინურს ენაში გასავარჯიშებლად სწავლობდნენ სკოლური ცხოვრების აღწერას. როგორც ფრანგული და ნემეცური ენების სასწავლებლად სხვათა შორის იშველიებდნენ ისტორია-გეოგრაფიას, ასევე ლათინურის ენის შესასწავლად იშველიებენ რომის ისტორიის და გეოგრაფიის შესწავლას, რომლის კულტურასთან აქაური მოსწავლენი ეცნობებიან მხოლოდ იმ მასალიდამ, რომელიც ეკუთვნის რომაელების ნაშთებს ინგლისში.

შესანიშნავია, რომ გეომეტრიის უმთავრეს სახელმძღვანელოდ აქ არავითარი ზეპირგონი არ იხმარება, არამედ სახელოსნო თვისი ფიცრებით, კოჭებით, კარტონებით და სხვა, ყოველ-გვარი ფორმისა და სიდიდისა და აგრეთვე მთელი გარეშემო ;ადგილი—მინდორი, მდინარე, გზა, სერი, ხე და სხვ. აქ სრულიად უარ-ყოფილია გეომეტრია უპრაქტიკოდ, გაუზომლად მანძილთა, ვითარცა უარ-ყოფილია ბოტანიკა—საბოტანიკო უექსკურსიებოთ. მუშაობის დროს სახელოსნოში, მინდორში, ბაღში, მოსწავლენი ყოველთვის სწავლობენ მატემატიკას და ბუნების-მეტყველებას. ასე და ამ გვარად მთელი სწავლა

აქ დაფუძნებულია დაკვირვებასა და გამოცდაზედ. ასეთი შეერთება მუშაობისა და მხატვრობისა მათემატიკასთან და ბუნების-მეტყველებასთან, გვაგონებს ენების სწავლების შეერთებას ისტორია-გეოგრაფიასთან. აქაც როდი კმაყოფილდებიან ლიტონი ბკვდარი, განყენებული თეორიით, აქაც ყველაფერს იწყობენ და დაასკვნიან ნახულიდამ, ნაცადიდამ. ყველაფერს ამის შემდეგ აწყობენ რიგზედ და გამოჰყავთ მარტივათ და მოკლეთ გამოთქმული დასკვნა, კანონი. ზეპირად დასწავლა მკვდარისა და უსარგებლო მათემატიკურ ფორმულათა და თეორიათა, ყოველის უაზრო და მექანიკურისა,—განდევნილია ამ სკოლიდამ. აქ არასფერს არ ასწავლიან ისეთს, რომ გამოსადეგი არ იყოს მათს მომავალს ცხოვრებაში. პირველი გაკვეთილი გეომეტრიისა კლასში კი არ სწარმოებს, არამედ ეზოში, სადაც ჰზომავენ ორს, მოსწავლეთაგანვე მოჭრილს, ხეს. გაზომვის უმალ მოსწავლენი სირბილით ბრუნდებიან კლასში და იქ გამოჰყავთ მათ საკლასო დაფაზედ და ქაღალდებზედ კუბიკური რაოდენობა მოჭრილის ხეებისა.

აქაური სია გაკვეთილებისა კიდევ იმით განსხვავდება ჩვენებური სიებიდამ, რომ გაკვეთილთ შორის აქ ხშირად ასეთს საგნებსაც ამოიკითხავთ: ჰიგიენა, პოლიტიკური ეკონომია, პოლიტიკა, კანონმდებლობა და სხვა. ჩვენ საკუთარის თვალით დავრწმუნდით, რომ ყველა ეს ცარიელი სიტყვები და სახელები როდია. ჰიგიენის გაკვეთილზედ, მაგ., მოსწავლენი ერთად მასწავლებელთან ცდილობდნენ განემარტათ ის მიზეზები, თუ რატომ იმათი ტანსაცმელი ასეა მოწყობილ-შაკერილი და არა სხვანაირად; არჩევდნენ ავათმყოფის ამხანაგის სნეულების მსვლელობას, მიზეზს და სხვ. პოლიტიკური ეკონომიის გაკვეთილზედ მათ ასწავლიან არა მარტო იმას, როგორ იძენენ ადამიანები ფულებს, არამედ უფრო იმას ასწავ-

ლიან, თუ როგორ უკეთ მოიხმარონ ფული. აქაც სახელმძღვანელოები კი არ ეწყოთ მოსწავლეთ მაგიდებზედ, არამედ თავიანთივე ჯიბის ფულები. ლაპარაკობდნენ იმაზედაც, თუ როგორ შეასრულა მათმა ორმა ამხანაგმა საქმე სკოლის მინდობილობით ქალაქის საბანკო კანტორაში. კანონმდებლობის გაკვეთილზედ მოსწავლეთა ყურადღება მიქცეული იყო იმ გზის დავაზედ, რომელიც გადიოდა სკოლის მიწებზედ. კლასში არდგენენ სასამართლოს, რომელიც არჩევს ამ საქმეს ყოველის წვლილით და ყოვლად მიუდგომლად: სწერენ თხოვნებს, არდგენენ ოქმებს და სხვ. შემდეგ სჯიან და არჩევენ იმ კანონებს, რომლებიც წარმოადგინეს პრეფექტებმა (თანაშემწეები მოსწავლეთაგან) თავიანთი მოვალეობის უკეთ შესრულებისათვის. ამ გვარად კანონების სწავლებას იწყობენ სკოლის ცხოვრებიდამ და ნელ-ნელა გადადიან ინგლისის საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებათა გაცნობაზედ. ბუნების-მეტყველება და ისტორია შეადგენენ ორი დიდი წრის ცენტრსა, რომლებიც ჰხვდებიან ერთმანეთს გეოგრაფიის სწავლებაში. ბუნება იხილვება აქ, ვითარცა ერთიანი მთელი. ხშირად ერთსა და იმავე საგანს სწავლობენ უფროსსა და უმცროსს კლასებშიაც ფიზიკურად, ქიმიურად და ფიზიოლოგიურად.

მაგრამ დრო არის გავიხსენოთ კუჭიცა და შემდეგ წავიდეთ ყმაწვილებთან ერთად იქ, სადაც შევიტყობთ. თუ განსაკუთრებით რით არის ძლიერი აქაური აღზრდა. დილა აქ მიჩენილი აქვს სწავლას, სადილს მერე დრო—ფიზიკურს შრომასა და თამაშობას, ხოლო საღამო—ხელოვნებას.

პირველს საათზედ ჩვენ წავედით სადილის საჭმელათ, ყმაწვილები დასხდნენ. ორმა უფროსმა პრეფექტმა, რომლებიც იცვლებიან ყოველს ხუთს წამში, დასჭრეს შემწვარი. ამ საქმესაც ყველას მორიგობით აკეთებინებენ,

რომ ყველამ ისწავლოს ხორცისა და პურის დაჭრა. შემდეგ მიირთვეს პუდინგი. ორშაფათობით მარტო ვეგეტერიანული საჭმელები აქვთ და სხვა დღეებშიაც მოსწავლეთა უმთავრესი საზრდო მცენარეული და თევზეულია. მაგარი სასმელები სრულიად განდევნილია აქედამ როგორც მოსწავლეთათვის, ისე მასწავლებლებისთვის; აქ ყველა დარწმუნებულია, რომ მაგარი სასმელები მავნებელია ნორჩი აგებულებისათვის, რომ ბევრი უბედურება და დანაშაულობა მხოლოდ მათგან არის ქვეყნად; მათ მაგივრად აქ ხმაროობენ ჩაის, რძეს, კაკაოს. მოსწავლეთა გარეგანი გიმოხედულება ცხადათ გიმტკიცებსთ, რომ კვების საქმე აქ კარგათ არას დაყენებული. გაათავეს სადილი თუ არა, მოსწავლენი ადგნენ, ილოცეს და გაემართნენ სამლოცველოში, სადაც მუსიკის მასწავლებელმა და ერთმა მოსწავლეთაგანმა შეასრულეს რამდენიმე, მოსწავლეთათვის სრულიად გასაგები, სახალხო და კლასიკური პიესა. როიალსა და სკრიპკაზე. როცა მოსწავლენი სამლოცველოდამ გამოდიოდნენ, ერთი მოსწავლე მიუბრუნდა მასწავლებელს და უთხრა: «ზაფხულში რომ შინ ვიყავი, დედ-მამა და მე ერთს ოპერაზე დავესწარით; იქაც დაუკრეს „ლოენგრინი“ ვაგნერისა. ძლიერ მესიამოვნა, რომ სხვაგანაც გავიგონე ნაცნობი ხმებიო».

წაგვიყვანეს სატანისამოსო ოთახში. აქ ყველამ ჩავიცვით თეთრი ფლანელის მოკლე შალვრები. თეთრივე ანუ ლურჯი ასეთივე პერანგები და სულ მოკლე ყელებიანი ჩულქები. დაგვარწმუნეს, რომ არ შეგცივათ, რადგანაც ახლა ფიზიკური შრომა იწყობაო.

მოსწავლეებმა ამოთხარეს კარტოფილი ბარით, დაბარეს კვლები, დარგეს ხეები, მოამზადეს ადგილი ყინულზედ საცურავად; ზოგნი ავიდნენ ხეებზედ და აჭრიდნენ ხმელს ტოტებს, წმენდდნენ აუზს და სხვ. საზოგადოთ ასეთი სამეურნეო მუშაობანი ბაღსა და ბოსტანში

ძრიელ უყვართ ყმაწვილებს, ასე რომ თვით ავდრიანს დღეებშიაც კი არ ერიდებიან არავითარს, სულ დაბალს მუშაობასაც კი, თუმცა აქ თითქმის ყველანი სულ მდიდარი მშობლების შვილები არიან. სწორედ რომ საუკეთესო შემაერთებელი ხიდია ასეთი სწავლა-აღზრდა წოდებათა, ვითარცა აქაური წესრიგი ენების სწავლებისა საუკეთესო საშუალებაა ბალხთა დაახლოვებისა!.. განსაკუთრებით უყვართ და მოსწონთ მოსწავლეებს თიბვა. თვით ავათმყოფი მოსწავლენიც კი, რომელთ რიცხვი აქ საზოგადოთ ფრიად მცირე და იშვიათია, აღარ დგებიან საავათმყოფოში და მიისწრაფიან სათიბზე ორთითებით და ფოცხებით ხელში; ხოლო, როცა მოაქვთ უკანასკნელი ურემი თივისა, ამაზედ მეტი დღესასწაული და სიხარული ხომ სხვა ძნელად იქნება ამათთვის!

ყველა მასწავლებლები, მოსწავლენი და მემუსიკეთა მთელი გუნდი მისდევს ურემს უკან და საზოგადოთ ერთი ყოფა და სიხარული აქვთ ამ დღეს მთელს სასწავლებელს! გარწმუნებთ, რომ ეს «უკანასკნელი ურემი თივისა» უფრო მეტ-მნიშვნელოვანია, ვიდრე მთელი წერითი გამოცდები ჩვენის სკოლებისა!.. ერთის საათის მერე მოსწავლენი გაემართნენ სხვა და სხვა სახელოსნოებში, რომლებიც მოთავსებულია ფრიად ვრცელსა და მაღალს შენობებში. ყოველი მოსწავლე იღებს თავისი ყუთიდამ საჭირო იარაღებს, ერთი რიგი მოსწავლეთა შემოჰხვევია სადურგლო დაზგას და აკეთებენ შკაფს სათვალ-ჩინო სახელ-მძღვანელოთათვის; მეორენი აკეთებენ სამეურნეო იარაღებს, ბალკონს, სკებს, კიბეს, საწიგნეს, სკამებს, სტოლს და სხვ. სწორედ რომ სასიამოვნოა ნახვა, თუ როგორ მარჯვეთ ხმარობენ აქაური მოსწავლენი ხერხსა, შალაშინსა, ცულსა, ჩაქუჩსა, ბურღსა და სხვ.

მდინარის პირზედ ერთი ჯგუფი მოსწავლეთა აშენებს დერეფანს სკოლის ნავების შესაფარებლად ზამთა-

რში. მუშაობა, რომ იტყვიან, დუღს და გადმოდის; ზოგიერთი მოსწავლე მუხლამდის წყალშია. ერთის კვირის შემდეგ დანიშნულია კურთხევა ამ დერეფნისა და მოსწავლენი, თითქოს გრძნობენ-რა, თავისს პასუხის-მგებლობას მოწვეულ სტუმრების წინაშე, ამიტომაც ასე გაცხარებით მუშაობენ. დაბრუნებისას ჩვენ გაგვატარეს ახალს ხიდზე, რომელიც აგრეთვე გაკეთებულია თვით შეგირდებისაგან. ამ მუშაობისგან ერთი მოსწავლე ავათ გამხდარიყო და სკოლურს ჟურნალში მის შესახებ ასე სწერდნენ: «იგი წაიღეს ბრძოლის ველიდამ, ვითარცა მხედარი, დაჭრილი თვისს მოვალეობათა შესრულების დროსა»-ო. გზა-გზა ჩვენ შევიარეთ საფუტკრეში, სადაც იდგა 20 სკა, აგრეთვე გაკეთებული თვით შეგირდებისაგან. ოცივე სკა სავსე იყო ფუტკრით, რომელსაც აგრეთვე თვით მოსწავლენი უვლიან. აქედან ჩვენ გავემართენით სათამაშო მეიდანზედ, სადაც ხშირად სწარმოებს ნაირ-ნაირი ბრძოლანი მოსწავლეთა რაზმთა შორის. ჩვენს მისვლაზე ორს ჯგუფს მოსწავლეთა გაცხარებული ბრძოლა ჰქონდათ ერთის ბურთის გამო, რომელიც დანიშნულ ადგილამდის უნდა მიეტანა თვითეულს ჯგუფს. აქვე ასწავლიან ფარიკაობას, რომელიც შესანიშნავად ხსნის მათში გულოვნობას, სიმხნეს, გაბედულობას. ჩხუბი და უსიამოვნება მოსწავლეთა შორის ამ ბრძოლათა დროს არასოდეს არ ხდება. ავდარში თამაშობათა მაგიერ, მოსწავლეთ არბენინებენ მთელს საათს და შემდეგ მიჰყავთ აბანოში, სადაც ყოველი მოსწავლე იღებს თბილს ვანნას, რომელსაც ნელ ნელ- ემატებენ ცივს წყალს და ამის შემდეგ ყველა მშვენივრად გრძნობს თავისს თავს.

საათმა დაჰკრა ოთხი. ვანნის მიღების მერე მოსწავლენი მიდიან სატანსაცმელოში, იცვლიან ტანისამოსს და გროვდებიან გაკვეთილების მოსამზადებელს ოთახებში ექვს საათამდის. ექვს საათზედ აძლევენ ვახშამს: ჩა-

ის რძით, ხილს და პურს კარაქით და თაფლით. ვახშმის შემდეგ ცოტა ხნით თავისუფლად სეირნობის შემდეგ, მოსწავლენი მიდიან სამუსიკოში მუსიკის და გალობა-სიმღერის სასწავლებლად. აქ ამ საგნებსაც ყველანი სწავლობენ. გაკვეთილს გარდა მოსწავლენი ყოველ დღე ემზადებიან კონცერტისათვის, რომელიც იმართება ერთხელ ყოველ სამ თვეში. პროგრამმა კონცერტებისა შესდგება ყოველ ხალხთა და ქვეყნების სახალხო და კლასიკურს პიესებიდამ. ყოველ დღევე მოსწავლეთა სამუსიკო და სასიმღეროო ვარჯიშობათ მოსდევს ასეთივე ვარჯიშობანი მასწავლებელთა და საუკეთესო მოსწავლეთა; ერთხელ კვირაში, ამავე საათს, უკითხავენ ლექციას მუსიკის ისტორიიდამ, ხოლო ყოველ დღე ამავე საათს უკითხავენ მოსწავლეებს რომელიმე კლასიკის ნაწყვეტს და უამბობენ მის ბიოგრაფიას. მხოლოდ ამ გზით და ამ გვარად სწარმოებს აქ ლიტერატურის შესწავლა. დრო 8 საათიდამ 9 საათამდის დანიშნულია გაკვეთილების გასამეორებლად, რომლის დროს უმცროს მოსწავლეთ ყურს უგდებენ პრეფექტები. ასეთი მცირე დრო სრულიად საკმაოა გაკვეთილების განსამეორებლად, რადგანაც აქ გაკვეთილებს საფუძვლიანად უმარტავენ და შეასწავლიან მოსწავლეებს თვით გაკვეთილების დროს.

როცა ჩვენ ერთი კლასიდამ მეორეში გადავდიოდით, შეგვხდა ლოყა-გაწითლებული მოსწავლე აბგით მხარზედ. ვკითხე სად იყო. მან მიპასუხა: „ქალაქში, ფოსტა მოვიტანეო''. მასწავლებელმა ამიხსნა, რომ მოსწავლენი ამ საქმეს ჯერით ასრულებენო, ეს საქმე დიდად ხსნის მათში გრძნობას პასუხის-მგებლობისას, გულოვნობისას, უშიშრობისასო. არც ერთს მოსწავლეს არ ეშინიან წასვლა ქალაქს საღამოთი და იქიდამ დაბრუნებაო, რა დარიც უნდა იყოსო. აქ მასწავლებელმა ერთი ამბავიც მიამბო: ამ რამდენიმე დღის წინათ, საღამო ჟამს, ავად

გაგვიხდა ერთი მოსწავლე. ჩვენმა დირექტორმა, რომელიც იმავ დროს ითვლება უფროს მკურნალად ჩვენის სკოლისა, სულ მცირე ხანში სისწორით აღნიშნა სნეულება; მაგრამ სკოლის აფთიაქში არ აღმოჩნდა ის წამალი, რომელიც საჭირო იყო ამ ავათმყოფისათვის; უნდა ვინმე გაგვეგზავნა ქალაქის აფთიაქში, რომელიც რვა ვერსზე მდებარეობს ჩვენი სკოლიდამ. კარში საშინლათ ბნელოდა, წვიმდა, ჰქროდა. რამდენიმე მოსწავლე თავმობეზრებით თხოულობდა, არა მე გამგზავნეთ, არა მეო წამლის მოსატანად მეჯინიბის მაგივრათ. დირექტორმა ნება დართო ველასიპედზედ საუკეთესოთ მოსიარულე მოსწავლეს წასულიყო აფთიაქში და უნდა გითხრათ, რომ მან გაცილებით უფრო ჩქარა მოიტანა წამალი, ვიდრე ამას მეჯინიბე მოახერხებდა.

ცხრის ნახევარზედ მოსწავლეებს ერთხელ კიდევ აძლევენ კაკაოს და ბისკვიტებს, შემდეგ ლოცულობენ და მიდიან საძილოებში დასაძინებლად.

ლოცვის შემდეგ მე და დირექტორი წავედით მის ოთახში. აქვე მოვიდნენ რამდენიმე მოსწავლე. დირექტორმა ზოგს დარიგება მისცა, ზოგი გააფრთხილა და ისე გაისტუმრა დასაძინებლად. ერთმა მოსწავლემ სხვათა შორის მიმართა დირექტორს რჩევისათვის, თუ რა საქმეს ანუ ხელობას დავადგე სწავლის გათავების შემდეგაო. დირექტორმა ჰკითხა: თვითონ შენ უფრო რას რჩეობ, რომლის საქმეს გინდა მოჰკიდო ხელიო?—მე უფრო მასწავლებლობა მსურსო... საზოგადოთ უნდა ვსთქვა, რომ მასწავლებლობა ამ სკოლის მოსწავლეებს იდეალურ საქმედ თანამდებობად მიაჩნიათ. ასე კია ყველგან?

მოსწავლეთა წასვლის შემდეგ, დირექტორთან თავი მოიყარეს ყველა მასწავლებლებმა და პრეფექტებმა. გამართეს რჩევა იმაზედ, თუ რა მოხდა დღის განმავლობაში. გარდა დღიურ რჩევათა, კვირაში ერთხელ იმარ-

თება „მიტინგი“ (კრება) განსამარტებლად სკოლის საგამგეო კითხვათა და სამოსამართლო საქმეთა გასარჩევად, ხოლო თვეში ერთხელ იმართება ასეთივე მიტინგი საბაასოთ ნაირ ნაირ კითხვებზედ, როგორც, მაგალითად, იმ დღეს, როცა მე დავესწარ ასეთს კრებას, შემდეგს კითხვაზედ იყო ბაასი. შვილმა უნდა აარჩიოს თუ არა მამის ხელობა? თუ რამდენად სასარგებლოა ასეთი საბაასო კრებები, ცხადია ყველასთვის.—ამ კრებების წყალობით მოსწავლეთ ეხსნება არა მარტო ნიჭი თვისი აზრების გამოთქმაში, არამედ ირკვევა ყოველი კითხვაც მათის ახლო მომავალის ცხოვრებისა. თქმა არ უნდა, რომ ასეთის სკოლის მოსწავლენი უფრო ადვილად გაითვალისწინებენ ყოველს სიძნელეს ცხოვრებაში, უფრო ადვილად გაიკვლევენ გზას მის ყოველ-გვარ პირობებში...

დაძინების წინ მოსწავლენი ერთხელ კიდევ ისმენ ტანზედ, განსაკუთრებით ფეხებზედ, ცივს წყალს და ეძლევიან თითქმის შეუსვენებელ შრომისგან გამოწვეულს ღრმა და შეუშფოთველს ძილს. შევედით დარბაზში, სადაც მრავლად ეწყო ციგები. მე ამიხსნეს, რომ ამაებით მოსწავლენი ცურაობენ მთებიდამ. ამ თამაშობაში შეგირდებთან ერთად მონაწილეობას იღებენ თვით დირექტორი და სხვა მასწავლებლებიც. მე მაჩვენეს რამდენიმე ციგა, რომელიც გამოეგზავნა საჩუქრად სკოლისთვის ერთის შვედელის მოსწავლის მამას, სხვანი კანადიდამ. საზოგადოთ ამ სკოლაში მრავლად სწავლობს უცხოელი. რადგანაც მოსწავლეთა შორის სწრაფად მყარდება ძმური კავშირი, მათში ადვილად მტკიცდება ის აზრიც, რომ ყოველი ხალხი მოწოდებულია არა საბრძოლველად მეორე და მესამე ხალხთან, არამედ საერთო სამუშაოდ კულტურისა და კაცთ მოყვარეობის სასარგებლოდ. ამასთან უცხოელნი როდი ჰკარგავენ ანუ ივიწყებენ თვისს ხალხოსნობას. აქ ესენი სწავლობენ ერთმანეთის პატივისცე-

მას და სიყვარულს, სწავლობენ ხალხთა განმასხვავებელ თვისებებს. განსამტკიცებლად ამ კავშირისა სასწავლებელი ყოველ-წლივ ჰმართავს დღესასწაულს, რომელზედაც იწვევენ თავისს ყოფილ მოსწავლეთ ინდოეთიდამ, ამერიკიდამ, აფრიკიდამ და სხვ. ამ კრებით მოსწავლენი აახლებენ თავისს ძველს ნაცნობობას და მეგობრობას, სცემენ ჟურნალს, ჰმართავ,ნ საერთო კონცერტს, ერთი სიტყვით, კვლავ ჭაბუკდებიან.

გარდა ამისა, სკოლას არ აკლია სხვა გვარი სტუმრებიც. აი, მაგ., ჩემს იქ ყოფნაში, ვნახე აქ სამი მოსწავლის დედა, რომელიც ჩამოსულიყო, როგორც თიოთონ ამბობდა, შვილების სანახავად და მათთან ერთად გაკვეთილებზედ დასასწრებლად. ის მარწმუნებდა, რომ მე იმიტომ მივეცი აქ ჩემი შვილები, რომ ამით ამერიდებინა ისინი ქალაქის სკოლების მავნებელ ჰაერსა და გავლენასაო. ჩემს შვილებს ისე უყვართ ეს სკოლა, რომ ზაფხულში, შინ ყოფნის დროს, მარტო ამ სკოლაზედ ლაპარაკობენ, ეს სკოლა უუკეთესია მთელს ქვეყანაზედაო.

წელიწადში ერთხელ იმართება მშობელთ კრებაცა, სახელდობ, სულის მოფენის დღეს. მშობლებმა კარგად იციან ეს თავიანთი შვილების წერილებიდამ და ამიტომ ამ დღეს მშობლები ჩამოდიან სკოლაში ყოველი მხრიდამ. მოსწავლენიც ბეჯითად ემზადებიან მათ დასახვედრად, რათა ყველგან—კლასებში, ბაღში, ბოსტანში, თამაშობათა მეიდანზედ, სახელოსნოებში და სხვაგან ყოველგან სკოლის ცხ-ვრებაში სავსებით და დიდებით ეჩვენონ და თავიანთი სკოლაც აჩვენონ თავ-თავიანთ მშობლებს. დანიშნულს დღეს მოსწავლენი უხვდებიან მშობლებს მუსიკით სკოლის სამფლობელოს საზღვარზედ და აქედამ მათთან ერთად პირდაპირ კლასებში მიდიან. შემდეგ გაკვეთილებისა მშობლები იღებენ მონაწილეობას

მოსწავლეთა თამაშობებში, ცურვაში, ნავების ტარებაში და ხშირად მარცხდებიან კიდეც შვილებისაგან. რა სიხარული, რა ბედნიერებაა! ამ სახით სკოლა და ოჯახი ერთმანეთს სინჯავენ, სცნობენ და ამიტომ როცა შორდებიან, სრულის ნდობით შორდებიან ერთმანეთს.

ამ დღესასწაულის სრული აღწერა თქვენ შეგიძლიანთ წაიკითხოთ სკოლის წლიურს ანგარიშში, რომელშიაც დაწვრილებით არის მოთხრობილი ყოველი ვითარება და ამბავი სკოლისა ხაანგარიშო წლის განმავლობაში. შესანიშნავია, რომ ანგარიში სკოლური ცხოვრების ამბებისა თითქმის სულ თვით მოსწავლეთაგან არის შედგენილი. აგრეთვე მოსწავლეთაგან არის შედგენილი ანგარიში მოსწავლეთა კასისა, რომელსაც ჰქონია 225 მანეთი შემოსავალი. ანგარიშიდამვე ვტყობულობთ, რომ სკოლის მეგობრებმა შემოსწირეს სკოლას 660 მანეთი ხიდის გასაკეთებლად მდინარეზე. ამავე ანგარიშში ვკითხულობთ ნაირ-ნაირ ეკსკურსიებზე სასწავლებლის საფლობელოს შინ და გარეთ. ცნობები ეკსკურსიების შესახებაც მომეტებულად დაწერილა თვით მოსწავლეთაგან.

ჩვენს კითხვაზედ მოსწავლეთა ჯანმრთელობის შესახებ, ჩვენ გადმოგვცეს «სამკურნალო ანგარიში». აქედამ ჩვენ ვრწმუნდებით, რომ აქაურს მშვენივრად მოწყობილს საავათმყოფოს იშვიათათ ჰყავს ავათმყოფნი. წარმოსდგება ეს, რასაკვირველია, იმ წესიერი ცხოვრებისგან, რომელიც ჩვენ ზემოთ ავწერეთ: საზრდოსგან, გონიერად შეფარდებული ცვლისაგან გონებითისა და ფიზიკურის შრომისა, წესიერი ტანისამოსისგან, ბანაობისგან და სხვ. სურდო, ხველა და სხვა ანთებანი აქ სრულიად უცნობი ხილია, თუმცა მოსწავლეთ არ უყვართ პალტოს ტარება. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ აქ ყველაფერში ბუნების მოთხოვნილების-და-კვალად ცხოვრობენ, ყვე-

ლაფერს სინათლის, ჰაერის და წყლის სასწაულებრივ გავლენას უქვემდებარებენ.

აქაურს მოსწავლეთ ჰყავთ თავ-თავიანთი იდეალები: ათინელები მარათონის მინდორზედ; სპარტანელები— ევროტზე; ბეობულფი, ბალტარი, ზიგფრიდი, ალფრედ დიდი, კრომველი, ნელსონი, ველინგტონი, ბლიუხერი, ვაშინგტონი, ლინკოლნი, გარფილდი, ლივინგსტონი, სტენლი, ნანსენი და სხვ. მაგრამ აქ როდი აზეპირებინებენ ამათ ბიოგრაფიებს; არც იმით კმაყოფილდებიან აქ, რომ სურათის თუ სიმღერის შემწეობით წარმოუდგინონ მოსწავლეებს გმირები და გამოჩენილი კაცები, არამედ ცდილობენ თვით მოსწავლენი გახადონ ათინელებად, სპარტანელებად და სხვ., აქ ესენი ისე დარბიან, როგორც ათინელები მარათონის მინდორზედ, ბანაობენ—ვითარცა სპარტანელები ევროტის მდინარეში, იბრძვიან, ჭიდაობენ და თამაშობენ—ვითარცა ბერძნები ოლიმპიაში, მონაწილეობას აღებინებენ საზოგადო და სახელმწიფო საქმეებში—როგორც ეს ათინის მეიდანზედ ხდებოდა ხოლმე, ცდილობენ გახადონ თეატრი ზნეობის აღმზრდელ და ამამაღლებელ სკოლად, ვითარცა იყო ძველების თეატრი, ახილვებენ ხელოვნების ნაყოფს, ვითარცა უკვდავის ფიდიოსის დროს და სხვ. აქ მართალია ნაკლებს დროს ანდომებენ ბერძნულის სწავლებას (წვალებას!), მაგრამ ამის გარეითად, მოსწავლენი მაინც ხდებიან ბერძნებად და სწვნიან ელინთა კულტურის ნაყოფს. მგონია ასეც უნდა იყოს: იმისთვის ხომ არ იცხოვრეს ელინებმა, რომ ჩვენი შვილები მთელი დღე-ღამეები თავს ილრჩობდნენ ათასი პარაგრაფების ზეპირად სწავლებაში და სხვ... არა. ისინი იმიტომ ცხოვრობდნენ, რომ ყოველი ის, რაც მათში უკეთესი და კეთილშობილური იყო, ყველა ამას განეგრძო სიცოცხლე ყოველ ჟამს და ყველა შთამომავლობაში! იმათ იცოდნენ ცხოვრება და

ასწავლეს კიდეც იგი თავისს ახალგაზდობას. მათ დაგვიტოვეს ჩვენ ანდერძად: უწინარეს ყოვლისა ასწავლეთ თქვენს მოზარდ თაობას — როგორ იცხოვრონ, როგორ რა ისურვონ, როგორ იმოქმედონ, იაზრონ, ილაპარაკონ და მხოლოდ ამის მერე ასწავლეთ კითხვა და წერა. როცა თქვენ ავსებთ მოსწავლეთა თავებს წიგნურის სიბრძნით, ნურც იმას ივიწყებთ, რომ აგრეთვე გაუვსოთ მათ თავი და გული ცხოვრების ცოდნით და სიბრძნით".

აქ ჩივიან იმაზედ, რომ თანამედროვე კაცობრიობა გაყოფილია ორად: ერთია — ფიზიკური მუშაობის მონები და მეორე წიგნებსა და ქაღალდებში ჩამხრჩვალი მეცნიერები. აქ დარწმუნებულნი არიან, რომ კაცობრიობის საკეთილდღეოდ საჭიროა მოისპოს ის უფსკრული, რომელიც ძევს წოდებათა და ხალხთ შორის, რომ მეცნიერებმა უნდა ისწავლონ ფიზიკური მუშაობა, ხოლო, უბრალო მუშებმა თავიდამ უნდა აიცილონ სულიერი და ზნეობითი სიდამბლე, რაზედაც განწირულები არიან იგინი თავისი ერთგვარის მუშაობით, რათა მათაც შეეძლოთ სულიერად და ესტეტიკურად დატკბობა, სიამოვნება. უამისოდ ფიზიკური მუშაობის მონა და კაბინეტური მეცნიერი თავის დღეში ვერც გაიგებენ ერთმანეთს და ვერც შეიყვარებენ. იგინი ნელ-ნელა, მაგრამ უეჭველად დაიღუპებიან! დიახ! მხოლოდ მოხსენებულის ინგლისურის სკოლის მაგვარ სკოლას შეუძლიან შეიტანოს ჩვენს გათახსირებულს ცხოვრებაში რამოდენადმე გადამახალისებელი ცვლილება უკეთეს მომავლისაკენ... რას იტყვით ამის შემდეგ მარტოოდენ წერა-კითხვის სკოლის მომხრენო?!.

ივ. როსტომაშვილი.

აღზრდა ადამიანის ხასიათისა

რობერტ ოვენისა.

(ახალი შეხედულება საზოგადოებაზედ).

ბრიტანიის საზოგადოებისადმი.

მეგობარნო და თანამემამულენო!

ვიძღვნით ამ წიგნს თქვენ იმიტომ, რომ აქ მე ვეხები თქვენს ყოველს უმთავრეს საჭიროებას.

აქ თქვენ ჰპოვებთ აღწერას იმ ბოროტებათა, რომელნიც ჩვენში ჰსუფევენ; ჰპოვებთ აგრეთვე იმასაც, თუ როგორ ვიხსნათ თავი ამ ბოროტებათაგან. მიზეზი ამ ბოროტებათა—ჩვენი მამა-პაპის უკულმართობაა და ის, რომ ჩვენ, მათი ჩამომავლობა, რაღაც პატივსა ვსცემთ ამ ბოროტებათ, როგორც ნაანდერძევს წინა-პართა.

კეთილ-მყოფელ ცვლილებათა მოხდენა შეიძლება მხოლოდ კარგად მოფიქრებულ და აწონილ-დაწონილ ზომების მიღებით, რომელნიც თანდათან და შეუფერხებლივ უნდა ვრცელდებოდნენ საზოგადოებაში. გამოცნობა ამ ბოროტებათა მიზეზისა დიდი ნაბიჯია წინსვლაში. შემდეგ ამისა საჭიროება მოითხოვს, რომ ვიშოვნოთ

შესაფერი წამალი ამ ბოროტებებიან საბრძოლველად. აი ამ წამლის შოვნა და მისი გონივრულად მოხმარება შეადგენდა მიზანს მთელის ჩემის სიცოცხლისას. მე ვპოვე იგი და ვეშურები გაგიზიაროთ თქვენ ის ნაყოფი, რომელიც მოჰყვა შედეგად ამ საშუალების გამოცდას. თქვენ დარწმუნდებით, რომ ის საფუძველი, რომელზედაც დამყარებულია **„ახალი შეხედულება საზოგადოებაზედ“**, ჭეშმარიტია და არც რაიმე ბოროტმა განზრახვამ მაიძულა გამომექვეყნებინა იგი. გაარჩიეთ ის საფუძვლიანად; დაწვრილებით გაჩხრიკეთ გონების თვალით; შეადარეთ იმ იმ ფაქტებს, რომლებსაც გვიჩვენებს ისტორია წარსულისა და ან რომელთაც ჩვენ თითონ ვხედავთ ეხლა. ასე უნდა მოიქცეთ აუცილებლივ, თუ გინდათ, რომ ეჭვი არ შეგეპაროთ და მტკიცეთ მიიღოთ ის ზომები, რომლებსაც მე ეხლა, ან შემდეგ გიჩვენებთ. ეს ზომები ყოველივე გამოცდის შემდეგ დარჩებიან შეურყეველნი. გონივრული გამოკვლევა და შედარება ისე მტკიცეთ დანერგავენ მათ თქვენს გულში, რომ მარტო სიცოცხლის დაკარგვასთან ერთად თუ შეიძლება მათი აღმოფხვრა თქვენის და თქვენის შვილების გონებიდამ...

მაშ უშიშრად მიჰყეთ ხელი გამოკვლევას და შედარებას; ნუ შედრკებით ცრუ სიძნელეთა წინაშე; ჩაუკვირდით მხოლოდ ჩემ-მიერ წარმოდგენილ საფუძველის აზრსა და ადვილად დასთრგუნავთ ყველა სიძნელეთ. ნაყოფი თქვენის შრომისა იქნება მკვიდრი და თქვენ უეჭველად გააბედნიერებთ თანამოძმეებს.

ვისურვებ, რომ თქვენმა გულითადმა და შეერთებულმა ცდამ შეჰქმნას ახალი წესი მოქმედებისა და აგვაცილოს ის მეტი ჭირ-ვარამი, რომელიც კისერზედ გვაწევს ახლანდელს თაობას.

აი ერთად-ერთი სურვილი ავტორისა!..

წერილი პირველი *).

უკანასკნელ სტატისტიკურ ანგარიშიდამ ვხედავთ, რომ მუშათა და ღარიბთა კლასის რიცხვი დიდის ბრიტანიისა და ირლანდიისა აღემატება 12 მილიონ კაცს, ე. ი. სამს მეოთხედს მთელის ბრიტანიის კუნძულების ხალხისას.

ხასიათი ამ პირთა ვითარდება უხელმძღვანელოდ და მომეტებულ ნაწილად ისეთ გარემოებათა გავლენის ქვეშ, რომელნიც აუცილებლად საშინელი სიგლახაკის და გარყვნილობის გზაზედ აყენებენ მათ; ხოლო უმეტესობა დანარჩენ სბზოგადოებისა ხელმძღვანელობს ისეთის პრინციპებით, რომელნიც არ ეთანხმებიან ადამიანის ბუნებას და აქეზებენ მას ისეთ საქმეზედ, როგორიც არასოდეს არ შეჰფერის გონიერს არსებას.

ასეთ მდგომარეობაშია დღეს მსოფლიო; მისი უბედურებანი დღითი-დღე იზრდებიან და ხმა-მაღლა ღაღადებენ მივიღოთ ზომები მათ აღმოსაფხვრელად. დახანება ჩვენის მხრივ წარმოშობს საზოგადო ხაოსს.

«მაგრამ»,—ამბობენ ის პირნი, რომელნიც კარგად არ დაჰკვირვებიან საქმესა,—„განა ერთხელ და ორჯელ გვიცდია აგვეშორებინა თავიდან ბოროტება, რომ ყოველივე ჩვენმა ცდამ ამაოდ ჩაიარა? ბოროტებამ მიაღწია იქამდის, რომ მისგან განთავისუფლება შეუძლებელია;

---

*) ეს პირველი და მეორე წერილები რობერტ ოვენმა კამოაქვეყნა 1813 წელს, ხოლო მესამე და მეოთხე 1861 წ. და დიდის სისწრაფით გავრცელდა ინგლისისა და კონტინენტის შესანიშნავ პოლიტიკოსთა, ლიტერატორთა და სასულიერო პირთ და აგრეთვე ევროპის, ამერიკის და ბრიტანიის ინდოეთის მთავრობათ შორის.

ისეთი ძალა აქვს, რომ წინ-აღდგომა მოუხერხებელია; ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ძრწოლით და ქედის მოხრით ვუცადოთ იმ წუთს, როდესაც იგი ძალა დალეწს ყველაფერს და აურევს ჭეშმარიტებას სიცრუეში»-ო.

აი რასა ფიქრობს და რა პასუხს გვაძლევს საზოგადოება ამ საშინელ კითხვაზედ... თუ არ ვეცდებით გავაბათილოთ ეს შეხედულება, უნდა ველოდდეთ საშინელ მომავალს.

და აი მე ვსწერ ამ წერილებს, რომ ვუშველო რამე და გავაადვილო გამოკვლევა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ინგლისისათვის, ისე მთელი კაცობრიობისათვის.

ეს შეხედულება იმ საგანზედ, რომელზედაც ეხლა ლაპარაკი გვაქვს, შესდგა ოცი წლის გამოცდილების განმავალობაში. ამ დიდმა ხანამ და გამოცდილებამ დაგვიმტკიცეს საგნის სინამდვილე და მისი დიადი მნიშვნელობა. რომ არავინ გამამტყუნოს აჩქარებისათვის და ჩემი თავის დიდი იმედისათვის, მოგახსენებთ, რომ ეს დასკვნანი მე ვაჩვენე ზოგიერთ ჩვენი დროის მეცნიერ და განათლებულ პირთ. ამათ გამოიკვლიეს, გასინჯეს და განსაჯეს ისინი. ეს პირნი კი იმდენად მიუდგომელნი არიან, რომ, რაც უნდა შეცდომა აღმოეჩინათ ჩემს შეხედულებებში, მაშინვე პირდაპირ მეტყოდნენ. მაგრამ, პირიქით, ყველანი ამტკიცებდენ მათ სინამდვილეს და პრაკტიკულ მნიშვნელობას.

როდესაც დავრწმუნდი ამაზედ, მე თამამად და სინიდისიერად ვარჩევ დაწვრილებით ამ საგანს; ყველა ამას მე ვკისრულობ კაცობრიობის გულისთვის, ჩემს მაგვარ არსებათათვის, რომელთ მილლიონები უდანაშაულოთ ითმენენ საშინელს სასჯელს; საკმარისია მხოლოდ გამოვააშკარავოთ იგი, რომ იმ პირთ, რომელნიც ქვეყნის მმართველობის სათაურში დგანან, ვათქმევინოთ: „ნუ თუ

შესაძლებელია ასეთი წეს-წყობილება, როგორ აქამდის არ გიცოდით ჩვენ ეს?“.

მაგრამ ეს მართალია და ის სულის აღმაშფოთებელი ფაქტები, რომლებიც გამოაქვეყნეს ზანგების კითხვის კამათის დროს, ამაზედ საშინელნი აღარ არიან. ყველა ეს კი იმიტომ ხდება, რომ საზოგადოება უსამართლოთ ექცევა თავის თავს; კაცობრიობა გულ-ცივად უყურებს იმ პირობებს, რომლებითაც შემოზღუდულია იგი და არც ქვეყნის ბედის მმართველნი იცნობენ ადამიანის ბუნებას.

ჩვენა ბრანცია იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მარად და ყველგან შეგვიძლიან შევასისხლხორცოთ ყოველ საზოგადოებას გინდ ავი და გინდ კარგი, გინდ უვიცთა და გინდ განათლებულ ხალხთა ხასიათი. და ამის შესრულება ცოტათ თუ ბევრათ შეუძლიანთ იმ პირთ, რომელთაც გავლენა აქვთ ხალხის საქმეებზედ.

ამ პრინციპის ჭეშმარიტებას ნათლათ ამტკიცებს გამოცდილება წარსულ საუკუნოებთა და ყოველ დღიური ფაქტები აწმყო დროისა.

სრულიად მეტი იქნება დაწვრილებით დავამტკიცო, რომ **ადზრდას** შეუძლიან შეასწავლოს ბავშვს რომელიმე უცხო ენა, შეათვისოს რაიმე გრძნობა ანუ რწმენა, შეასისხლხორცოს ისეთი ფიზიკური თვისება, რომელიც არ ეწინააღმდეგეწა ადამიანის ბუნებას. ამის სინამდვილეს აჭეშმარიტებს ყოველი ერის ისტორია და ყოველი ქვეყნის ფაქტები.

რომ ვიპოვოთ ისეთი ძალა, რომელსაც უეჭველად შეეძლება ნელ-ნელა აგვაშორის თავიდგან უბედურობანი, ადამიანის ეს დამჩაგვრელნი ბოროტებანი, ნუ თუ ჩვენ მას მიწაში დავმარხავთ, როდესაც ვიცით, რომ უიმისოდ კაცობრიობის ტანჯვა სამუდამოდ გადაიქცევა და უფრო გაიზრდება კიდეც. არა, დაგვიდგა დრო, რომ

ბრიტანიის საზოგადო აზრი და ქვეყნის საზოგადო მდგომარეობა განუწყვეტლი ვჩაგვძახიან—ძალა მივცეთ ამ პრინციპსა არა მარტო სიტყვით, არამედ თვით საქმითაც.

არავითარ ადამიანურ ძალას არ შეუძლიან შეაფერხოს მისი სწრაფი ნაყოფიერი შედეგი: სიჩუმე წინ ვერ გადაეღობება, წინააღმდეგობა კი უფრო გააძლიერებს მის წინსვლასა. თუ დავიწყობთ, უეჭველად კიდეც დავაბოლოვებთ ამ საქმესა. როდესაც გამეფდება ეს პრინციპი, ხალხში მყისვე ჩაქრება ის სიანჩხლე და სულის აღმაშფოთებელი ვნებანი, რომელნიც წარმოშობა ადამიანის ხასიათის აღზრდის ნამდვილი მიზეზების უცოდინრობამ. ეს სულის თვისებანი შეიცვლებიან გულწრფელი კეთილი სურვილებით და სიმპატიით! მაშინ მცირე ნაწილს კაცობრიობისას ჩამოერთმევა უფლება აყენებდეს დანარჩენს ხალხს ისეთს პირობებში, საიდგანაც ამ უკანასკნელს გამოაქვს ისეთი გაფუჭებული ხასიათი, რომ უფლების მქონენი სჯიან მათ სიკვდილითაც კი, თუმცა თვითონვე არიან მიზეზნი, რომ ხალხი ასეთი ხასიათისაა...

ასეთი საქციელი არამც თუ მრავალ ტანჯვას აყენებს მარტო იმ ერთ მუჭა ვაჟ-ბატონებს, არამედ მთელს საზოგადოებას უხშავს გზას ბედნიერებისადმი.

თუ ამ წინადადებულმა პრინციპებმა გაიმარჯვეს, მაშინ, იმის მაგივრად, რომ დასაჯონ დამნაშავე, რომელმაც მათის მიზეზით ჩაიდინა ასეთი თუ ისეთი ცუდი საქმე, ეცდებიან ხელი შეუწყონ, რომ კაცმა დანაშაულობა არ ჩაიდინოს.

პრინციპი, რომელზედაც ჩვენ ამდენს ვლაპარაკობთ, ჩვენდა საბედნიეროდ, მალე იხსნის ღარიბის, დაჩაგრულის და შეგინებულის კაცის ბუნებას იმ სასაცილო და სულელურ საიდუმლო ბურუსიდამ, რომელშიაც ახვევდა მას წარსულ საუკუნეთა უვიცობა. ეს პრინციპი შეჰკ-

რებს კეთილი საქმის ერთი-ერთმანეთის მოწინააღმდეგე ყველა რთულ პრინციპებს და დააფუძნებს ერთს უბრალო პრინციპს, რომელიც თავის უნაკლულობის გამო, გააცრუებს უწინდელ წეს-რიგსა და შესცვლის მას ყველგან, მთელი დედა-მიწის ზურგზედ. ეს ის პრინციპია, რომ **პირადი ბედნიერება** შესაძლოა მხოლოდ მაშინ, **როდესაც ვცდილობთ საზოგადო ბედნიერებისათვის.** ეს ბუნების კანონია, რომ კაცი თან-და-თან გამოდის ველურ მდგომარეობიდამ და მიდის განუსაზღვრელ განათლების გზისაკენ. ამ გზაზედ მდგომი კაცი იგრძნობს, რომ მას ადვილათ შეუძლიან გაბედნიერდეს, თუ იგი იმავ დროს ბეჯითად ეცდება **გაბედნიერდეს თვისი მახლობელნიც.** ამ პრინციპს ვერაფერი დაარღვევს და ვერც შეავიწროვებს. რომ ამას სიყვარულით მიიღებს კაცობრიობა, ამის თავდებია ახლანდელი საზოგადოების გონებრივი მდგომარეობა.

პატივცემულ დოქტორ ბელლის და ჯოზეფ ლანკასტერის ახლანდელმა გამოკვლევამ და ცდამ ნათლად გაკვალეს გზა უწინდელ წესწყობილებათა უვარგისობის დასამტკიცებლად; მათ დაგვანახვეს, რა მოქმედება შეუძლიან იქონიოს ნორჩ და გაურყვნელ ჭკუაზედ თვით ნაკლებსა, მაგრამ გონიერს აღზრდას. იმათ მარჯვედ დაამტკიცეს, რომ ჩვენ ადვილათ შეგვიძლიან ისე აღვზარდოთ ბავშვები, როგორც გვინდა. ამის აღმოჩენა აყენებს ბელლსა და ლანკასტერს კაცობრიობის დიად კეთილმყოფელთა გუნდში, რადგანაც შედეგი მათის ღვაწლისა შემოზღუდული არ არის მარტო ბრიტანიის კუნძულებითა.

ძველი წეს-წყობილება დაბრიყვებულის დამაკნინებელია: დაბრიყვებულნი ხედავენ, რომ მათ არ შეუძლიანთ დასტკბნენ იმით, რითაც სხვები სტკბებიან და აი გამწარებულნი გრძნობანი სამართლიანათ აქეზებენ მათ

წინააღმდეგობაზე, რათა შეუმცირონ უფლებათა მქონე წოდებას ბედნიერება. ერთის სიტყვით, არავითარი საფუძველი არა გვაქს დავიცვათ ძველი წეს-წყობილება.

ჩვენის პრინციპის განსახორციელებლად საჭიროა არ არის არც შინაური განხეთქილება, არც ომი, არც უბრალოდ სისხლის ღვრა და არც აჩქარებული უკუგდება არსებულ წეს-წყობილებათა.

საჭიროა მხოლოდ აღუზარდოთ ხალხს ისეთი ხასიათი, რომლის შემწეობითაც, როგორც კერძო პირნი, ისე მთელი კიცობრიობა, ბედნიერებას მიაღწევს.

ამ ახალ პრინციპებს ისეთი ძალა აქვთ, რომ გავრცელდებიან თუ არა საზოგადოებაში, მალე მტკიცეთაც მოიკიდებენ ფეხს. შემდეგისთვის რაც გასაკეთებელი დარჩება, განსაზღვრული და ადვილი გასაგები იქნება, რის გამოც აღარ მოვედებით ღობე-ყორეს.

ამ პრინციპთა ერთი მოთხოვნილებათაგანი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ქვეყნის მთავრობამ შეადგინოს გონივრული გეგმა თავის ქვეშევრდომების ხასიათის აღზრდისა და განვითარებისა. ამ გეგმას მიზნად უნდა ჰქონდეს ისე აღზარდოს ბავშვები, რომ მათ სიყმაწვილიდამვე შეითვისონ კეთილი მიდრეკილებანი და არ შეეძლოთ შეეჩვევნენ სიყალბესა და სიცრუეს.

შემდეგ ისე გონივრულად უნდა აღვზარდოთ ბავშვები, რომ მათმა შრომამ კეთილი ნაყოფი მოიტანოს. ასეთი აღზრდა ჩააგონებს და დიდ სურვილს აღუძრავს მათ—**ეცადნენ ყოველი კაცის ბედნიერებას**. ეს კანონი უნდა შეეხებოდეს ყოველ დასსა, ქვეყანას და ჰავას.

ასეთი აღზრდის შემდეგ თითქმის ყველა იქნება ჯანმრთელი, რაიცა დიდად საჭიროა კაცისთვის, რადგანაც სრული ბედნიერება მდგომარეობს სხეულის ჯანმრთელობაში და სულის სიმშვიდეში. მხოლოდ იმისათვის კი, რომ კაცი სიყმაწვილიდგან სიბერემდის ჯანმრთელი იყოს

და სულიერი სიმშვიდე ჰქონდეს, საჭიროა იმ დაუძლეველ თვისებათა, რომელთაც ეხლა აუარებელი ტანჯვის მეტი არა მოაქვთრა, ისეთი მიმართულება მივცეთ, რომ გაუბედურების მაგივრად გააბედნიეროს იგი.

საკმაოა გავიგოთ და დავრწმუნდეთ, რომ მომეტებული ნაწილი უბედურებათა, რომლითაც გარემოცულია ხალხი, შეიძლება გაქარწყლდეს: შეგვიძლიან ჩავაყენოთ კაცი სწორედ იმ პირობებში, რომელნიც ბედნიერ ჰყოფენ მას. როდესაც საზოგადოება შეიგნებს, რომ ჩვენს პრინციპებს შეუძლიანთ უვნებლივ გაიარონ გამოცდის ქარცეცხლში და დაარწმუნებენ როგორც განათლებულთ, ისე გაუნათლებლებს თავიანთ სინამდვილეში, როდესაც ამ სინამდვილის წყალობით (სინამდვილისა — რომელიც მტერია ყოველნაირ სიცრუისა!) ეს პრინციპები ისე მტკიცეთ დაინერგებიან კაცის გონებაში, რომ იმათი აღმოფხვრა, თუ კაცს გონება არ წავართვით, შეუძლებელი შეიქმნება, — მაშინ დავინახავთ თვით მათ პრაკტიკულს მნიშვნელობასაც.

ეჭვიც კი ნუ შეგეპარებათ, რომ ამ პრინციპებმა რაიმე ბოროტება დასთესონ ხალხში. არა. ისინი უვნებელნი არიან, და მხოლოდ მათზედაა დამოკიდებული ის კეთილნი შედეგნი, რომელნიც უნდა ვუსურვოთ თვითეულ კერძო პირს საზოგადოებისას.

საზოგადოების სხვა და სხვა წოდების პირთ შეუძლიანთ გვითხრან: „ყველა ეგ მართალია, ყოველი ადამიანის აღმაფრთოვანებელია და ფრიად მშვენიერიც, მაგრამ ეგ ყველა შესაძლებელია მხოლოდ სიტყვით; საქმით განხორციელების იმედი კი მეტის-მეტ ოცნების მოყვარეთ შეუძლიანთო“.

ამ სიტყვებზედ შეგვიძლიან ვუპასუხოთ მხოლოდ შემდეგი: „ეს პრინციპები უკვე საუკეთესოთ განხორცი-

ელდნენ თვით საქმით“ *). წინამდებარე ფურცლებს ვწერ არა რომელიმე განყენებული მიზნით, არც იმისთვის, რომ გავართო ოცნების მოყვარე მკითხველი, რომელიც მხოლოდ თავის კაბინეტში ფიქრობს და ცხოვრებას კი ვერ იცნობს; მათი დანიშნულებაა **დაჭბედას საყოველთაო მოძრაობა, გაძლიერებულ საზოგადოება და შეგნებიანობ, რა უნდა იბრძოლოს მან: ყურადღებას, მოანდომებიანობ საზოგადოებას დაეარსებინ რაიმე დაწესებულება ხალხის ხასიათის აღსაზრდელად, რადგანაც ეიმისად ეხლა ქვეყანა საგან ეა დამნაშავეებითა.**

ნუ თუ კიდევ პოლიტიკოსების და მინისტრების ყურადღება იმ კერძო და ადგილობრივ საქმეებზედ უნდა იყოს მიპყრობილი, რომელთ ძიზანი მხოლოდ ის არის, თუ საზოგადოების ერთმა წოდებამ ფული როგორ მოუგოს მეორეს... ნუ თუ მხოლოდ ამ კითხვისთვის უნდა იშუამდგომლონ მიწად-მომქმედთა და ვაჭრების წარმომადგენლებმა სამეფოს წინაშე? განა კეთილდღეობამ იმ ათას ღარიბების, შიშველ-ტიტვლების, უსწავლელ და გაუნათლებლებისამ, რომლების რიცხვი საშინლად იზრდება, არ უნდა გამოიწვიოს არც ერთი თხოვნა, არც ერთი წარმომადგენელი და არც რაიმე გონიერი ზომა უბედურების შესამცირებლად? ჩვენ ისე ვართ აღზრდილნი, რომ არა ვნანობთ დავკარგოთ მთელი წელიწადი, არა ვზოგავთ დავხარჯოთ მილლიონები, ოღონდ კი ვიპოვოთ და დავსაჯოთ დამნაშავე; ვცდილობთ როგორმე აღსრულებაში მოვიყვანოთ სხვა და სხვა ულირსი მისწრაფებანი, მაგრამ ერთი ნაბიჯიც კი ვერ გადავდგით

---

*) ნათლად დაინახეს ამ პრინციპების კეთილი ნაყოფი, რადესაც სცადეს იგი ორ-სამიათას კაცზედ შოტლანდიის ქალაქ ნიუ-ლენეკში.

წინ: ვერ აღვხოცეთ ბოროტება და ვერ შევამცირეთ იმ ტანჯვა-ვაების რიცხვი, რომელთ გამოც მწარედ ოხრავს კაცობრიობა!.. ნუ თუ იმ ცრუ პრინციპებს, რომელნიც დღემდის ქვეყანას მართავენ, სამუდამოდ შერჩებათ ასეთი გავლენა კაცობრიობაზედ, და თუ არა, მაშ როდის დაიწყება ცვლილება?

აი ამ საყურადღებო კითხვების განმარტება იქნება საგანი შემდეგი წერილისა.

დ. მდ—ძე.

(შემდეგი იქნება)

პურის ბოსტანი.

მოყვანა პურისა ჩინურ-იაპონურის წესით.

თავ-თავი, აყვავება, მემკვიდრეობა *).

როგორც სხვა ყოველს მცენარეს, პურსაც აქვს თავ-თავზე ყვავილის მტვერი და სანაყოფე. აყვავდება თუ არა პური, მტვერი იბნევა ლორწოიან სანაყოფოზე და ამ გვარად ანაყოფიერებს მას, რის შემდეგ მარცვალი სწრაფად იზრდება და მსხვილდება. ამიტომ, თუ ყვავილობის დროს წვიმიანი დარი დგას, რომელიც ჩამორეცხავს ხოლმე მტვერს, მარცვლის განაყოფიერება სისრულით ვერ მოხდება და ამიტომ გამოსავალიც ძლიერ მცირე იქნება ასეთს წელიწადში. შენიშნულია, რომ რა წამსაც შესრულდება მარცვლის განაყოფიერება, მტვერის ძირი და თითონ ყვავილიც ჭკნება. ეს კარგათ იციან ყვავილით მოვაჭრე მებაღეებმა და რომ თითონ ყვავილი მალე არ დაჭკნეს, მაკრატლით ან ფრჩილებით აკვეცენ სამტვეროს.

მოგეხსენებათ, რომ ქერიდგან იზრდება ქერი, პუ-

*) იხ. «მოგზსაური» 1902 წლისა, № 11—12.

რის მარცვლიდგან—პური, სიმინდიდამ—სიმინდი და არა სხვა რომელიმე მცენარე. ამაზეა დაფუძნებული საპურე მცენარეების ჯიშის გაუკეთესება. მაგალითად, 1857 წელს ინგლისის ცნობილმა მეურნემ ;გალლეტმა ამოარჩია თავისი ყანიდამ ერთი უკეთესი თავ-თავი, სიგრძით $2^1/_2$ ვერშოკი, რომელშიაც იყო 47 მარცვალი. უკეთესი მარცვლები ამ თავ-თავისა გალლეტმა დასთესა თითო 4 და $5^1/_2$ ვერშოკზე. მეორე წელს ამ მარცვლებიდამ ამოსულ ძირებში აარჩია ისევ ერთი საუკეთესო თავ-თავი, რომელსაც ჰქონდა $3^1/_2$ ვერშოკი სიგრძე და შეიცავდა 79 მარცვალს. აქედამაც გალლეტმა დასთესა უკეთესი მარცვლები და მიიღო თავ-თავი სიგრძით $4^1/_2$ ვერშოკი და 91 მარცვალი. მეოთხე წელს გალლეტმა მიიღო თავ-თაგი, სიგრძით 5 ვერშოკი და 123 მარცვალი. ამ გვარად ვალლეტმა შექმნა სრულიად ახალი და ფრიად ნაყოფიერი ჯიში პურისა.

სწორედ ამავე წესით და ამავე გალლეტმა შექმნა ლონიერი ბღარტობის პურის მცენარე. ამისათვის ძან 1858 წელს აარჩია თავის მინდორში ერთი ძირი პურისა, რომელსაც ჰქონდა 10 ღერო; აქედამ აარჩია უკეთესი მარცვლები და დასთესა; ამოსულს პურის ძირებში მან აარჩია ის ძირი, რომელსაც გაეკეთებინა ყველაზედ მეტი ღერო, სახელდობრ, 80 ღერო და 800 მარცვალი. უნდა დაიხსომოთ მხოლოდ ერთი: მცენარე მალე ჰკარგავს თავის საუკეთესო თვისებებსაც კი, თუ ცუდი მოვლა აქვს მას; ამიტომ არის საჭირო, რომ პურსაც ისე ბეჯითად უვლიდეთ, როგორც სხვა **საბოსტნე მცენარეებს** და არა ღვთის ანაბარობაზე ვაბნევდეთ მას მინდვრებში, როგორც ეს ჩვენში იციან ყველგან და ყოველთვის.

ნაწილი მეოთხე.

ადგილ-მდებარეობა, სიდიდე და მოწყობა ბურის ბოსტნისა.



უკეთესი ადგილი ბურის ბოსტნისათვის არის ისეთი ადგილი, რომელიც დაცულია მთებით ჩრდილო ცივ ქარებისაგან და ღიაა სამხრეთისაკენ, რადგანაც ასეთს ადგილზედ მუდამ უფრო თბილი და მცენარეც უკეთ იზრდება და მწიფდება. ადგილი, რომელიც უყურებს აღმოსავლეთს მუდამ უფრო სჯობია იმ ადგილს, რომელიც უყურებს დასავლეთს; ეს იმიტომ, რომ დილის მზის სხივები და სითბო გაცილებით უფრო სასარგებლოა მცენარისათვის, ვიდრე საღამოს ჟამისა. ადგილი ბურის ბოსტნისა უკეთესია, რომ სწორი იყოს, როგორც ხელის გული ნიადაგი არ უნდა იყოს ნესტიანი და არც ახლო უნდა ჰქონდეს ნიადაგს ქვეშ წყალი. შედგენილობით კი უკეთესია საშუალო ნიადაგი, ე. ი. თიხა-ნარევი ანუ ქვიშა ნარევი ნიადაგი, და არა ხალასი ქვიშა ანუ თიხა.

რაც შეეხება ბურის ბოსტნის სიდიდეს, რასაკვირველია, ეს დამოკიდებულია მოსავლის რაოდენობაზედ; საზოგადოდ კი სრულიად საკმაოა ოჯახის თვითეულ სულზედ 300 კვადრატული საჟენი ადგილი. ბოსტანი უკეთესია დაყოთ ისეთ კვლებად, რომ თვითეულს კვალს სიგრძე და სიგანე 5 საჟენზე მეტი არ იყოს, ე. ი. შეიცავდეს 25-ს კვადრატულს საჟენს; კვალსა და კვალს შორის უნდა დასტოვოთ ბილიკები, სიგანით $1\frac{1}{2}$ არშინი; ეს საჭირო იქნება შემდეგში ბოსტნის ადვილად

მოვლისათვის და მოსარწყავად. ბოსტნები მაგარის ღობით უნდა შემოღობოთ, რადგანაც ხშირად ერთს პიროუტყვს ადვილად შეუძლიან სულ რამდენსამე საათში გაანადგუროს კაცის მთელი თვეების შრომა. თუ ბოსტანი მოკლებულია მდინარე წყალსა მოსარწყველად, საჭიროა ამოთხაროთ ჭა ბოსტნის შუა-გულ ადგილას, რომ ადვილი იყოს წყლის მიტანა ბოსტნის ყველა ნაწილში. მაგრამ ჩვენი ქვეყანა ისე მრავლად არის დასერილი ხევებით, ღრმა ღელეებით და გორებით, რომ მუდამ შეგვიძლიან ხელოვნურადაც გავაჩინოთ სარწყავი წყალი. აი როგორ უნდა მოახერხოთ ეს: აირჩიეთ თქვენი მამულის თავში, სადმე ღელეში ანუ ხევში, ანუ მთის ძირას მოღრმავებული ადგილი, აარჩიეთ ამათ ბოლოში სულ ვიწრო ადგილი, გათხარეთ ამ სივიწროვეში არხი, ღელის ერთი ნაპირიდამ მეორემდის, სიღრმით ერთი არშინი და სიგანით ორი; ამოღებული მიწა ქვევით გადმოყარეთ, ე. ი. საითკენაც თქვენი მამულია; შემდეგ მიჰყევით ამ არხიდამ ხევს თუ ღელეს და სადაც ბექობი ანუ დაგროვილი მიწა თუ ქვა იყოს, ყველა მოთხარეთ და ამ არხში ჩაყარეთ, ხევის ანუ ღელის ერთი ნაპირიდამ მეორემდის, თან კარგად დატკეპნეთ, რომ ნიადაგი და თქვენგან დაყრილი მიწა სრულიად გაერთდეს; მიჰყევით ასე და ამ სივიწროვეში, იმდენი მიწა დაყარეთ, სანამ ხევს თუ ღელეს სულ ამოავსებდეთ, პირს შეუკრავდეთ; ხოლო ერთს არშინზედ რომ აამაღლოთ ხევის ძირიდამ ეს დაყრილი მიწა, მუხის ჯრძელი და განიერი ღარი ჩაატანევით და ზემოდამ ასეთივე მისი ნახევარი ღარი დახურევით, ღარს წინ ნავი დაუდგით სიგრძეზედ, რომ ღარიდამ გამოდენილი წყალი ჯერ ამ ნავში ჩადიოდეს, თორემ უამისოთ, ღარიდამ გამოდენილი წყალი დაყრილს მიწას ძირს გამოუთხრის და გააფუჭებს. როცა მიწით სულ ამოავსოთ ხევის პირი, ახლა ჩაყარეთ მის

წინ, შიგ ძირში რამდენიმე მუხის ბოძი და მუხისავე სქელი ფიცრებითვე აფიცრეთ. ეს ფიცრის კედელი იმიტომ არის საჭირო, რომ როცა თქვენი ღელე თუ ხევი წვიმისა და თოვლის წყლით გაივსება, ჯერ ამ ფიცრის კედელს მოაწვება, ეს შეიკავებს და მიწის კედელს ვეღარასფერს დააკლებს. ღარი მუდამ დაცობილი უნდა გქონდესთ და მხოლოდ მაშინ უნდა გახსნათ, როცა სარწყავად დაგჭირდეთ, ანუ, როცა დიდი ნიაღვარი იყოს და საშიშია, რომ ორმო გაივსება და წყალი გადმოხეთქავს. საზოგადოთ უნდა ეცადოთ, რომ ყველაფერი, რაც კი საჭიროა ბოსტნის კეთილ-დღეობისათვის, სახელდობრ, წყალი, სასუქი და იარაღები მუდამ იქვე ახლო გქონდესთ და არა სადმე შორს.

ნიადაგის მომზადება.

პირველი სამუშაო ბოსტანში არის მისი დაბარვა, რომ მიწა ფხვიერი იყოს, პირველად არა ნაკლებ 8—10 ვერშოკზე სიღრმით. დაბარვა სჯობია შემოდგომით. ბარვის დროს ადგილი უნდა გაასწოროთ ხოლმე, ე. ი. მოსთხარეთ ბეგობები და მოასწოროთ მიწით ორმოები. უკეთესად მომზადებულს ნიადაგს იმას ეტყვიან, რომელიც სწორია, როგორც ხელის გული, რადგანაც ასეთს ადგილზედ სარწყავს წყალს მთლად მიწა შეიშრობს და არა კვალის ნაპირებზე გადავ-გადმოვა. დაბარვის დროსვე უნდა აარჩიოთ და ცალკე დააგროვოთ ბოსტნიდამ სამუდამოთ გასატანად ქვები, მცენარეთა ძირები და სხვა გარეშე საგნები. რაც შეეხება ბელტებს, იგი შეიძლება ხელ-უხლებლად დასტოვოთ, მხოლოდ წესია, რომ ყოველ ბელტს, დაბარვის დროს, ბარი რამდენჯერმე ჩაჰკრათ, რომ ბელტი ორად თუ მეტ-ნაკლებად გაიპოს. დანარჩენს შეასრულებს ზამთარი, რომლის ყინვა-

სიცივე მთლად დაფქვავს მას და სამუდამოთ დააჭკნობს და დააძრობს მასში მყოფ მცენარეთა ძირებს და თესლებს.

უკეთესი ნიადაგი ყოველ-გვარ მცენარეებისთვის ის არის, რომელიც შესდგება $^1/_3$ თიხიდგან, $^1/_3$ ქვიშიდგან და $^1/_3$ კირიდგან. მაგრამ ბუნებით იშვიათია ასეთი ნიადაგი და ამიტომ პატრონმა თითონ უნდა გააკეთოს ასეთი ნიადაგი იმ ნაწილების მიმატებით, რომელიც ნიადაგს აკლია. **თიხის ნიადაგი** უკეთესდება ქვიშისა და კირის მომატებით. ესენი უნდა მიუმატო ნიადაგს გაზაფხულზედ დაბარვის დროს. ამისათვის ქვიშა და კირი უმჯობესია აურიოთ ერთმანერთში ანუ სასუქში, მოაბნიოთ მიწაზედ და შემდეგ დაბაროთ. კირის მაგიერათ შეიძლება იხმაროთ სახლების კედლების ძველი ბათქაში, რომელიც ჯერ კარგად უნდა ლააწვრილოთ და მერე ისე მოაყაროთ და აურიოთ ბოსტანს. თუ არ გეშოვებათ ქვიშა და კირი, საკმაოა იხმაროთ ნაცარი, რომელიც თანაბრათ უნდა მოაყაროთ ბოსტანს და მერე დაბაროთ.

ქვიშიანი ნიადაგი უკეთესდება თიხის მომატებით. ამისათვის თიხა ჯერ უნდა გააშროთ, შემდეგ დააწვრილოთ, მოაყაროთ ბოსტანს 1 ანუ 2 ვერშო ის სისქოდ და ისე დაბაროთ. თიხის მაგივრად შეიძლება იხმაროთ მდინარეთა ანუ აუზების და ტბების თუ გუბეების ლამი, რომელიც ჯერ უნდა გააშროთ, დააწვრილოთ, შემდეგ თანაბრათ მოაყაროთ ბოსტანს და ისე დაბაროთ. ესევე ლამი შეიძლება იხმაროთ თიხიან ნიადაგების გასაუმჯობესებლად.

საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ ნიადაგის ასე გაუკეთესება ძვირათა ჯდება, ამიტომ უმჯობესია საუკეთესო ადგილი აარჩიოთ ხოლმე ბოსტნისათვის.

სასუქი და გაპატივება ბოსტნისა.

გაპატივებას აქვს მიზნად, შეიტანოს ნიადაგში ის საზრდო, რომელსაც ართმევს მცენარე თავისი ზრდისა-

თვის ნიადაგს და შემდეგ სრულიადაც ვიღებთ იქიდამ მოსავლის გაზიდვით ანუ გამოტანით. თუ კვლავ არ დავუბრუნებთ მცენარეებს ამ მასაზრდოებელს ნივთიერებას, ჩვენი ბოსტნის ნიადაგი წლითი-წლობამდის ისე გამოიფიტება, რომ მცირე მოსავალსაც აღარ მოგვცემს. რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა სავსებით და უხვად დავუბრუნოთ ყველა ის, რასაც ვიღებთ ნიადაგიდამ. ამიტომ ყველა ის, რასაც ვიღებთ ბოსტნიდამ ისე უნდა დავამუშაოთ და მოვიხმაროთ, რომ შემდეგში კვლავ ბოსტანს დავუბრუნოთ, მაგალითად, ადამიანის და საქონლის თუ ფრინველის განავალი და შარდი.

უმთავრესი და უკეთესი მასალა თხელი სასუქის დასამზადებლად არის ადამიანის განავალი და შარდი. ჩინელებმა დიდი ხანია შეიგნეს ადამიანის განავალის დიადი მნიშვნელობა მეურნეობისათვის და ამიტომ მათმა ერთმა ხელმწიფემ, სახელად ჩეუმ, ჯერ კიდევ 1200 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე, გამოსცა შემდეგი ბრძანება:

«ყური უგდეთ, რომ უმიზეზოდ არც ერთი ბეწო ნაწილი აღამიანთა განავალისა ცუდ-უბრალოდ არ იკარგებოდეს, რადგანაც მასშია ძალა და ხსნა ხალხისაო. აგროვეთ იგი ჭურჭელში ექვს დღემდის, რომ დაიდუღოსო, შემდეგ გაურიეთ ათი წილი წყალი და იხმარეთ მცენარეთა შიგ ძირში დასასხმელათაო და არა ძირის გარეთ, რომ სასუქი ტყუილ-უბრალოთ არ იკარგებოდესო».

ამიტომ საჭიროა ისე მოაწყოთ თქვენი ფეხს-ადგილი, რომ ადვილი იყოს იქიდამ განავლის და შარდის გამოტანა-მოხმარება. ამისთვის უკეთესია ფეხს-ადგილის ნახვრეტის ქვეშ დადგათ კარგათ შეკრული და მაგარი მუხის ყუთი, რომელშიაც უნდა გროვდებოდეს განავალი და შარდი. ცუდის სუნის გასაქარვებლად საკმაოა

იქონიოთ ფეხს-ადგილში ცალკე ყუთში ნაცარი ანუ ნახშირის ნარჩომი და გზების მტვერი; აქვე უნდა იყოს ჩამჩა, რომლითაც ყველა შემსვლელი თანაბრად მოაბნევდეს ქვემო ყუთში თითო ჩამჩას ნაცარსა ანუ ნახშირის და გზის მტვერსა. ასეთი ფეხს-ადგილი გამოსადეგია ზაფხულობით. გარდა ამისა სახლის ცოტა მოშორებით, სადმე კუნჭულში, საჭიროა იქონიოთ არა ღრმა, მაგრამ განიერი ორმო, ცემენტით ანუ კირ-ბათქაშით მოლესილი, რომელშიაც უნდა აგროვოთ ყოველი უწმინდურება სახლისა, სახელდობრ, სამზარეულოს ნარჩომი, სარეცხის, იატაკების და პირის ნაბანის საპნიანი წყალი, საქონლის ნეხვი, ფრინველის სკლინტი, სახლების, ეზოების თუ გზების ნაგავი და სხვა. ამაშივე მოაქცევთ მუდამ ფეხს-ადგილს ყუთს, როცა გაივსება იგი და რომ ცუდი სუნი არ ვრცელდებოდეს ეზოში, კარგად აურევთ ნაგავში და ზემოდამაც კვლავ მოაყრით მშრალს ნაცარს, ნეხვს, გზების მტვერს, ნაგავს და სხვ. ასეთივე ორმო უნდა გამართოთ შიგ ბოსტანში, სარწყავ წყალთან ახლო. ასე მომზადებულს სასუქს ეწოდება კამპოსტი. რომ კამპოსტი მალე მომზადდეს სახმარად, ე. ი. მალე დამიწდეს, საჭიროა წელიწადში სამჯერ-ოთხჯელ კარგად აურიოთ ხოლმე. ასეთს სასუქს ხმარობენ სხვა საბოსტნე მცენარეების ნიადაგის გასაპატივებლად, პურისთვის კი მარტო ადამიანის განავალს და შარდს ხმარობენ.

ამისათვის, დადგება დრო თუ არა ადამიანის განავალის და აგრეთვე კამპოსტის მოხმარებისა, გააკეთეთ ბოსტანში, სარწყავ წყალთან ახლო, ცოტათი ღრმა ორმო, მოლესეთ ცემენტით, ან არა და, ამის მაგივრად, ჩადგით მიწაში ნახევრად გადახერხილი ბოჭკის თითო ნახევარი, მოიტანეთ დაგროვილი სასუქი კამპოსტისა და ფეხს-ადგილისა, ჩაყარეთ ერთში კამპოსტით სასუქი ბო-

ჭკის მეათედ ნაწილამდის და მეორეში ასევე ფეხს-ადგილისა, დანარჩენი გაავსეთ წყლით, აურიეთ და დააცალეთ ერთს კვირას. ამ დროს განმავალობაში ამ ბოჭკას აურიეთ ხოლმე ყოველ დღე. ეს თხელი სასუქი კარგად დაიდუღებს, სუნსაც დაჰკარგავს და შემდეგ იხმარეთ მოსარწყავად საბოსტნე მცენარეებისა. პურის მცენარე უმჯობესია მორწყათ ხოლმე მხოლოდ ფეხს-ადგილის ასე მომზადებული თხელი სასუქით, დანარჩენი საბოსტნე მცენარეები კი—კამბოსტის სასუქით. ასე მომზადებული თხელი სასუქი ყოველს მცენარეს შიგ ძირში უნდა დაუსხათ ხოლმე ორმოში.

კამბოსტის სასუქი შეიძლება შშრალიც იხმაროთ საბოსტნე ნიადაგის გასაპატივებლად. ამისთვის იგი ჯერ კარგად უნდა დაამიწოთ, გაახმოთ, მოაყაროთ ნიადაგს და შემდეგ შიგ ჩათოხნოთ ანუ ჩაბაროთ.

ადგილის ცვლა მცენარეთათვის.

ყოველი მცენარე იღებს მიწიდამ იმ ნაწილებს, რომლითაც საზრდოობს იგი, რომელიც უყვარს და კარგადაც ეთვისება მას. მცენარის ამ თვისებაზედ არის დამყარებული ეგრედ-წოდებული **მცენარეთ-ცვლა** ბოსტანში. წელს რომ, მაგალითად, ერთს კვალში გეთესოთ რომელიმე ფოთლიანი მცენარე (კომბოსტო და სხვ.), მეორე ადგილას—რომელიმე ძირ-ნაყოფიანი (სტაფილო და სხვ.) და მესამე ადგილას რომელიმე ლობიო, მეორე წელს იგივე მცენარეები აღარ უნდა დათესოთ იმავე კვლებში, რადგანაც, რაც საჭირო საზრდო იყო იმ კვლებში, მცენარეს უკვე ამოჭმული აქვს და მეორედ რომ დათესოთ, ეს მცენარე იმ კვალში კარგად ვეღარ გაიზრდება, მშიერი მოკვდება. სულ სხვა იქნება, თუ იმ კვალში, სადაც კომბოსტო გედგათ, ახლა სტაფილოს დასთესავთ და სტა-

ფილოს ადგილას კომბოსტოს. ამ კვლებს თუნდაც რომ სასუქი არ დააყაროთ მეორე წელს, იქ ეს მცენარეები მაინც კარგად გაიზრდებიან, რადგანაც ის ნაწილები მიწისა, რომლებიც საჭიროა ამ მცენარეებისთვის, ჯერ ხელ-უხლებელია მათგან. აი ამაზეა დამოკიდებული ადგილის ცვლა მცენარეთათვის. რომ უფრო კარგად გაიგოს კაცმა, რომელი მცენარე სად უნდა დაითესოს, მსწავლულმა მებაღეებმა გამოიკვლიეს და დაჰყვეს ყველა მცენარეები სამ ჯგუფად:

პირველს ჯგუფს, ე. ი. ფოთლიანებს, ეკუთვნის: კომბოსტო, სალათა, ისპანახი, ჭარხალი და თითქმის პურის ყველა მცენარე;

მეორე ჯგუფს, ძირ-ნაყოფიანებს, ეკუთვნის: სტაფილო, თალგამი, ხახვი, სიმინდი და, და-ლასოულ,

მესამე ჯგუფს ეკუთვნის ლობიოს ჯიშის ყველა მცენარე და აგრეთვე კარტოფილი, სელი და კანაფი.

პირველს ჯგუფს მცენარეებისას უხდება ახლად ნეხვ-დაყრილი მიწა; მეორე ჯგუფს—ესევე მიწა მეორე წელიწადს (სასუქის დაყრა საჭირო აღარ არის) და მესამე ჯგუფს—ესევე მიწა (აგრეთვე უსასუქოდ). მესამე წელიწადს ნაცრით მცირედ ხელ-ახლად გაპატივებული. გამოდის, რომ მცენარეთა ცვლით ჩვენ სასუქის გამოზოგვაც შეგვიძლიან. აი თითონ რიგიც მცენარეთა ცვლისა:

1) კომბოსტო;
2) ძირ-ნაყოფიანები და სიმინდი;
3) ლობიოს გვარისანი;
4) საპურე მცენარეები და
5) კართოფილი.

ყოველ წელს ამ მცენარეებს უნდა ადგილი შეუცვალოთ ხოლმე, ე. ი. სადაც გედგათ კომბოსტო, მეორე წელს იქ უნდა ძირ-ნაყოფიანები დასთესოთ; სადაც

ძირ-ნაყოფიანები გედგათ—იქ ლობიოს .გვარისანი; სადაც ლობიოს გვარისანი—იქ პურეული, სადაც—პურეული—იქ კარტოფილი და სადაც კარტოფილი, იქ კვლავ—.კომბოსტო, ხოლო ჯერ ისევ ნეხვით უნდა გააპტიოთ ეს ადგილი.

მიწის მომზადება პურის დასათესად.

პირველი საქმე, რომელსაც იწყობთ პურის ადგილის შემზადებაში, არის მიწის მოხვნა ანუ დაბარვა, აფხვიერება. მოხვნა თუ დაბარვა ისეთ დროს უნდა მოახდინოთ, რომ მიწა იმდენად მშრალი იყოს, რომ სრულიად ბარს არ ეკვრებოდეს; განსაკუთრებით, თიხიანი ნიადაგი რომ მოხნათ ანუ დაბაროთ, როცა მიწა ჯერ არ გამომშრალა ამით შეიძლება ეს მიწა რამდენიმე წლით გააფუჭოთ.

მიწას, როგორც ვიცით, ჰბარავენ ბარით, ხოლო სთოხნიან ოთხით. თუ გინდათ სასუქით (კამპოსტით) გაპტიოთ ადგილი, ჯერ სასუქი უნდა მოაყაროთ მიწას და შემდეგ შეუდგეთ დაბარვას, რომ ბელტის გადაბრუნებაში სასუქი შიგ დაბარულის გულში მოჰყვეს. ხოლო, თუ დასაბარი გაქვთ ძირ-ნაყოფიანებისათვის მიწა, მაშასადამე, უკვე წინა წელს დაბარული და გაპატიებული, მაშინ უმჯობესია დაბაროთ ეგრედ-წოდებული მობრტყო სამ ანუ ოთხ-თითათი. ეს იარაღი იმით არის კარგი, რომ ბარზედ ღრმათა სთხრის მიწას და ბარზედ გაცილებით ადვილი სახმარიც არის. უმჯობესია იყიდოთ ამერიკანული რკინის ოთხ-თითი.

რაც შეეხება პურის დასათესად მიწის მომზადებას, იგი უმჯობესია პირველათ შემოდგომაზედ მოხნათ ანუ დაბაროთ, რომ ზამთრის ყინვამ დაშალოს ბელტები და გაზაფხულზედ კი ოთხით მოამზადოთ, ე. ი. გათოხნოთ,

რადგანაც ის სიღრმე, რომელზედაც თოხი სთხრის მიწასა, სრულიად საკმაოა პურის ყანისათვის. თოხით იმიტომ გირჩევთ მუშაობას, რომ თოხით მიწის შემუშავება ბარზედ და ოთხ-თითზედაც გაცილებით უფრო ჩქარა და ადვილად სწარმოებს და ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს.

დათესვა პურისა.

სათესლედ უნდა აარჩიოთ სრულიად საღი და რჩეული თესლი, რომელშიაც სხვა მცენარის თესლი ერთიც არ უნდა ერიოს. სათესლე უმჯობესია ზამთარშივე დაარჩევინოთ ხელით, როგორც ჩვენში ბრინჯის რჩევა იციან საფლავოდ. დარჩევის წინეთ უნდა აუხსნათ დამრჩევლებს, რომ ყოველი თესლი, რომელიც მცირედაც არის საეჭვოა, სათესლედ არ ვარგა, ე. ი. დამჭკნარი, გახეთქილი, დაობებული, ქერქ-გადამძვრალი, უფერო და აგრეთვე სხვა მცენარეთა თესლები და კენჭები, ყველა უთუოდ ბეჯითად უნდა გამოარჩიოთ ცალკე და შემდეგ ფრინველის საკენკად მოიხმაროთ. ასე იმიტომ უნდა მთიქცეთ, რომ ღვთის ანაბარას ყოველი თესლი დასთესოთ, მათგან ბევრი მოსცდება, არ ამოვა და ტყუილუბრალოდ მოგიცდებათ შრომაც და ხარჯიც. გარდა ამისა, ცუდი თესლი თუმცა ამოვი კიდეც, მაგრამ ცუდს და სუსტს მოსავალსაც მოიცემა და ესეც დიდი დასაკლისი იქნებ-.

თუ ეჭვი გაქვთ, რომ ასე არჩეული ხორბალიც კარგი არ არის სათესლედ, ჯერ, ვიდრე დასთესავდეთ, უთუოდ უნდა გამოსცადოთ იგი ასე: აიღეთ თეფში და დააგეთ ზედ დასველებული შალი (მაუდის ნაჭერი); ახლა აიღეთ 100 მარცვალი იმ დარჩეულ ხორბლიდამ და ამ მაუდზედ მოაბნიეთ თანაბრად და ზემოდამაც ისეთი-

ვე დასველებული შალი დააფარეთ. ასე შემზადებული თეფში დიდგით თბილს ალაგას და დრო-გამოშვებით წყალი მოასხურეთ ხოლმე, რომ ორივე ნაჭერი შალისა მუდამ სველი იყოს. ორიოდე დღის შემდეგ თესლი გაღივდება. დათვალეთ გაღიებული თესლები და თუ აღმოჩნდა, რომ ას მარცვალში 90-ზე მეტი არ გაღიებულა. იცოდეთ, რომ თესლი კარგი არ არის და უნდა სხვა, უფრო უკეთესი თესლი იშოვოთ.

შემდეგში, როცა საკუთარი პურის პოსტანი გექნებათ, საოესლე ხორბალი უთუოდ თქვენივე ყანიდამ უნდა აარჩიოთ უკეთესი თავ-თავებიდამ. ამისათვის, ვიდრე მკას შეუდგებოდეთ, უნდა შემოუაროთ თქვენს ყანას და მაკრატლით დასჭრათ ყველა უკეთესი და ერთ-ფერიანი, ე. ი. კარგად მოწეული თავ-თავი, შეჭკრათ ცალკე ძნებად და შეინახოთ მომაღლო და მშრალ ადგილას, რომ მარცვალი კარგად გამოშრეს და თაგვმა ანუ სხვა ვინმემ არ გააფუჭოს. შემდეგ დამარცვლეთ ხელით ზეწარზედ, დაანიავეთ, ჩაყარეთ ცალკე პარკში, ჩააყოლეთ შიგ ერთი მუჭა აბსინტას ბალახი (**полынь**) და შეინახეთ მშრალ და გრილ ადგილას.

ვიდრე შეუდგებოდეთ თესვას, საჭიროა ასე მოემზადოთ: ჩაასხით კასრში წყალი, ჩაყარეთ შიგ ერთი-ორი მუჭა დაფქვილი მარილი და კარგად აურიეთ. შემდეგ ჩაყარეთ შიგ თხელი ნაკადულით საოესლე ხორბალი და ათვალიეროთ: რომელი თესლიც წყალმა ზედ მოიტივტივოს, იცოდეთ არ ვარგა და ამიტომ ამოიღეთ და გადაყარეთ. დანარჩენს ხორბალს, წყლის გადაწურვის შემდეგ დაასხით იმავე კასრში შემდეგი: აიღეთ ყოველ ერთ ბოთლ წყალზედ, ერთი მისხალი შაბიამანი (სპილენძასა, **мѣдный купоросъ**), დაასხეთ იმ ხორბალს იმდენი, რომ სრულიად დაჰფაროს და დასტოვეთ ასე 12—16 საათი, ე. ი. ერთი დღე-ღამე. ეს წამალი იმისთვის არის საჭი-

რო, რომ იგი სრულიად მოსპობს და მოჰკლავს თუ რამე ჭია ანუ სენია თესლში და მოსავალს ველარაფერს დააკლებს. შემდეგ გადაწურეთ ეს წამალი, ხორბალი გაფინეთ რაზედმე თხლად, რომ იგი რამდენადმე შეშრეს გარედამ; მერე ჩაყარეთ თაბახში ჭურჭლის ნახევრამდის, დააყარეთ ზედ ნაცარი და დაფქვილებული კირი და კარგად აურიეთ. ეს საჭიროა იმისთვის, რომ მიწაში მყოფმა ჭია-მწერებმა არაფერი ავნონ თესლს. ასე მომზადებული და კირ-ნაცარში არეული ხორბალი ახლა კი შეიძლება დასთესოთ. თესვაც სხვა და სხვა გვარად შეიძლება და ჩვენც მოვიყვანთ აქ რამდენიმე გვარს, ვისაც რომელი მოგეწონოთ და ან გემარჯვებოდეთ, ისე დასთესეთ.

1) **ცალ-ცალკე მარცვლის თესვა.** ცალ-ცალკე სთესავენ უფრო დიდრონ მცენარეებს, როგორც, მაგალითად, სიმინდს, კარტოფილს და სხვ. აი როგორი განსხვავება უნდა მისცეთ მცენარეთა მანძილს:

როცა მცენარეთა შორის ეს მანძილია:		მაშინ რიგსა და რიგს შორის	უნდა მისცეთ ეს მანძილი:
16	ვერშოკი		14
14	„		12
12	„		10
10	„		8
8	„		7

თუ სიმინდს სთესავთ, თითით ანუ ჯოხით უნდა მიწაში პატარა ნახვრეტი გააკეთოთ, აჩასხათ შიგ თხელი პატივი, ჩადოთ ორმოში მარცვალი და მიაყაროთ ჩვილი და ფხვიერი მიწა; კარტოფილი კი შეიძლება თოხით დასთესოთ.

ასე დათესვა მცენარეთა უკეთესია სხვა ყველა გვარ თესვაზე, რადგანაც ასეთის თესვით, ყოველი მცენარე

სდგას ცალკე და იმდენი ადგილი აქვს გარშემო, რომ ხალვათად სარგებლობს მზის სხივებით, ჰაერით და მოსავლელათაც ფრიად ადვილია. ცალკედ მოყვანა მცენარეთა კიდევ იმით არის კარგი, რომ შეძლებას გვაძლევს პირდაპირ თესლი კი არა ვთესოთ, არამედ ჯერ სანერგეში მოვიყვანოთ თესლი და შემდეგ იქიდამ გადმოვრგათ ცალკე-ცალკე ნერგები, როგორც, მაგალითად, ჩვენში კომბოსტოს გადმორგვა იციან.

ეს იმით არის სარფა, რომ სანერგეს მუდამ მცირე ადგილი უჭირავს და ამიტომ ადვილია მისი მორწყვა, გაპატივება, გამარგვლა და სანამ სანერგეში ნათესი ამოვიდოდეს და მოიზრდებოდეს გადასარგავად სამუდამო ადგილზედ, უკანასკნელი ჩვენ ნელ-ნელა, აუჩქარებლად და ძალ-დაუტანებლად შეგვიძლიან კარგად გადავბაროთ ანუ გადავთოხნოთ.

სანერგე.

რადგანაც ასეთი სასარგებლო ყოფილა სანერგე, ვსთქვათ მასზედაც რამდენიმე სიტყვა. სანერგე უნდა გამართოთ კარგად შემუშავებულს და გაპოხიერებულს კვლებში, მყუდრო, ქარებისგან მოფარებულ ადგილს და ისე მოწყობილს, რომ ვინიცობაა სიცივე დაიჭიროს, ადვილად შეიძლებოდეს ფიცრებით თუ ჭილობებით დაცვა-დაფარვა მისი. კვლების გარდიგარდმო გააკეთეთ არაღრმა არხები, ერთ ვერშოკზე ერთი-ერთმანერთისგან; მორწყევით ეს არხები თხელი პატივით და დათესეთ შიგ სიმინდი, კომბოსტო და სხვა, რაც გინდათ, წააყარეთ რბილი, ფხვიერი მიწა, ანუ, რაც უფრო უკეთესია, დამიწებულა ნეხვი. როცა ნათესი ამოვიდეს, იგი ბეჯითად გამარგლეთ და მორწყევით წყლით და ახელი პატივით. როცა ნერგი ორ-სამ ფოთოლს გაიკეთებს, მორწყევით

კარგად, ამოიღეთ რამდენ-რამდენიმე ნერგი ერთად, ისე, რომ ზედ ცოტ-ცოტა მიწა შეჰყვეს ყოველს ძირს და გადარგვით დამზადებულს კვლებში. ჩარგვის წინათ ურიგო არ იქნება, რომ ყოველი ძირი ამოავლოთ თხელს პატივში. მიწას რომ მიაყრით ძირს, თითებით გარშემო საკმაოდ უნდა მოუტკიპნოთ მიწა, რომ მიწა კარგად მიეკრას ძირებს. გაათავოთ გადარგვა თუ არა, მორწყევით წყლით, ხოლო, როცა იხარებს, თხელის პატივითაც მორწყევით. სანერგედამ ნერვების გადარგვა მუდამ ღრუბლიან დღეში ანუ საღამოობით უნდა მოახდინოთ ხოლმე.

ასე იქცევიან მსხვილი და დიდრონი ტანის მცენარეების გადარგვის დროს. მაგრამ ასევე შეიძლება გამოზარდოთ სანერგეში და შემდეგ გადარგათ სამუდამო ადგილას, კვლებში, პატარა ტანის მცენარეებიც, ვითარცა: პური, ქერი, შვრია, ფეტვი და სხვანი. ასეთი გადარგვა კიდევ იმით არის კარგი, რომ გადარგული მცენარე უფრო კარგად და ლონივრად ბღარტობს და ადრეც იწევა, ვიდრე გადურგავი. მონგოლიაში, სადაც არა იშვიათია **31-⁰** ყინვა და ენკენისთვეში კარტოფილი ძრება, მცხოვრებთ იმით მოჰყავთ პური, რომ ჯერ სანერგეში ზრდიან ანუ ყიდულობენ სამხრეთ ქვეყნებიდგან მოტანილს ნერგებს და იმას რგავენ საყანეთ მომზადებულს ადგილებში.

თუ რამდენად სასარგებლოა გადარგვა მცენარისთვის და მის დიდ მოსავლისათვის, სჩანს შემდეგი მაგალითიდამ. 1891, 92. 93 და 94 წლებში ერთმა მიურნემ მოახდინა გამოცდა კურსკის გუბერნიაში გადარგვის შესახებ და აი რას იწერება იგი:

«გადარგვა შემდეგში მდგომარეობდაო: მოხნულსა და დაფარცხულს ადრე გაზაფხულზედ მიწაზედ გადმოვრგით შემოდგომის პურის ნათესებიდიმ ის მცენარეები,

რომლებიც მჭიდროდ და ვიწროდ იყო ყანაში, და ამიტომ ცუდად იზრდებოდნენ. მცენარეებს ვგლეჯდით მიწიდამ პირდაპირ ხელით, ანუ, თუ მიწა ხმელი იყო, ჯოხის საშუალებით, ვაწყობდით ჯინებზედ და გადაგვქონდა მომზადებულს ადგილზედ დასარგავად. ასეთს ჯინებზედ შეიძლება დასტიოთ და გადაიტანოთ ერთ ჯერზედ 1000—1500 ძირი ჯეჯილისა. გადარგვა შეიძლება გაგრძელდეს მთელს თვეს. რა წამსაც ჯეჯილის ზრდა დაიძვრის და მიწა ნახევარ არშინზედ მაინც მოდნება, თამამად შეგიძლიანთ შეუდგეთ გადარგვასაც. 1891 წელს პურს ვრგავდით 27 მარტიდამ 20 აპრილამდის; 1892 წელს —22 მარტიდამ 10 აპრილამდის; 1893 წელს—27 აპრილიდამ 10 მაისამდის და 1894 წელს—23 მარტიდამ 24 აპრილამდის. პური უმჯობესია მაშინ გადარგოთ, როცა, ეს არის, დაიწყო წვენის დენამ მცენარეებში, ე. ი. ადრე გაზაფხულზედ. ერთი დესეტინა ითხოვს 110—120 დღიურ მუშას, ე. ი. თითო მუშაზედ მოვა 20 კვ. საჟ. ადგილი. ყოველი მუშა იღებს ჯინიდამ მარჯვენა ხელით მცენარეს ღეროში წავლებით, მარცხენათი აკეთებს ჯოხით ორმოს, სიღრმით $1^1/_2$ ვერშოკს, აყრის მიწას და მცირედ მოსტკეპნის თითებით, ისე, რომ მცენარის გარშემო პატარა ორმო გაკეთდეს, წყლის ანუ თხელის პატივის ჩასასხმელად. თუ დარგვის შემდეგ წვიმა შეესწრო, ნერგები იხარებენ ერთს დღეში, თუ მშრალი დღე დაუდგათ 2—3 დღეში. ერთი დესეტინა დათესილ ჩვეულებრივი ნათესიდამ 1893 წელს გამოვიდა 122 ფუთი, ხოლო გადარგული დესეტინიდამ—256 ფუთი, ე. ი. თითქმის ერთი ორად მეტი. მომცრო ტანის საპურე მცენარეებისთვინაც, სანერგედ უნდა აარჩიოთ ისეთივე ადგილი, როგორც სხვა მცენარეებისათვის ვსთქვით ზემოთა, გააკეთოთ პატარ-პატარა არხები, დასთესოთ შიგ თესლი $^1/_2$ ვერშოკზე თვითეული თესლი და თითო ვერშოკზე

ერთი რიგიდამ მეორემდის. თესლი უნდა დასთესოთ შაბიამანში ნადგამი და შემდეგ უკვე გაღიებული, რისთვისაც თესლი რამდენიმე დღე უნდა დაალბოთ წყალში. დათესვის უმალ სანერგეს უნდა მოაყაროთ ნაცარი ანუ დამიწებული ნეხვი. ამოვა თესლი თუ არა, იგი ბეჯითად უნდა გამარგლოთ ხელით და მორწყოთ ხოლმე ხან წყლით, ხან ახალი პატივით. როცა მცენარე გაიზრდება 3--4 ვერშოკამდის, დაახლოვებით ერთი თვის შემდეგ დათესვის დღიდამ, ნერგს ამოიღებენ და გადარგავენ საშუდამო ადგილას კვლებში, როგორც უკვე ვსთქვით ზევითა. საჭიროა მხოლოდ ხშირი მორწყვა, სანამ არ შეატყოთ, რომ გადარგულმა მცენარემ ყველამ კარგად იხარა. დარგვა ღრმად არ უნდა, რომ ძირებს შეეძლოთ ნიადაგის ზედაპირის ახლო გაშლა და საზრდოს აქვე მოპოვება მორწყვის დროს. ეს მათ დიდს ძალას აძლევს. ღრმად წასული ძირები როდია კარგი: იგი ბევრს ფოთოლს მოიცემა, ღეროებს კი ცოტას. თვითეული მცენარე თითო ვერშოკზე უნდა დარგათ. შეიძლება ჯგუფ-ჯგუფათაც დარგათ; 4—5 მცენარე ერთად, 4 ვერშოკზე თვითეული ჯგუფი, მაგრამ სათითაოდ დარგვა სჯობია, თუმცა უფრო ცოტა ძნელია, მაგრამ უკეთესი კია. როცა ერთს გაყოლებას გადარგავთ, იგი მაშინვე უნდა მორწყათ. გაძლიერებული მორწყვა იმ დროამდეა საჭირო, სანამ ცხადად არ დაინახავთ, რომ გადარგულმა მცენარეებმა იხარეს.

პურის სანერგე კიდევ იმით არის სასარგებლო, რომ რომელი გადარგული მცენარეც არ იხეირებს, მის მაგივრად კვლავ შეიძლება გადარგათ სხვა მის გვარივე ნერგი და ამ გვარად არ მოაცდინოთ ამდენის შრომით მომზადებული მიწა.

როცა თესლი ცოტა გაქვთ და გინდათ საგანგებოდ სათესლედ მოიყვანოთ, მაშინ ყოველი მარცვალი ოთხ-

ოთხ ვერშოკზე უნდა დათესოთ და რიგებაც ამდენსავე მანძილზედ დაიჭიროთ.

2) **სიგრძეზედ რიგ-რიგზედ თესვა.** სიგრძეზედ რიგ-რიგით თესვა გავრცელებულია იაპონიაში და მდგომარეობს შემდეგში. თუ ადგილი სწორეა, გადმოზომეთ ნაპირიდამ 6 ვერშოკი და გათხარეთ ბაწრით პატარა არხი, სიღრმით ერთი ვერშოკი. შემდეგ გადაზომეთ აქედამ 12 ვერშოკი და ისეთივე არხი მოთხარეთ; აქედამ გადაზომეთ ერთი არშინი და კვლავ ისეთივე არხი გაიყვანეთ. ამის მერე სულ ამ გვარად, ერთი რომ 12 ვერშოკი გადაზომოთ, მეორეთ არშინი გადაზომეთ და ასე ბოლომდის. არშინიანი სიგანე საჭიროა თავისუფლად გავლისათვის რიგსა და რიგს შუა. თუ პირდაპირ კვლებში სთესავთ, მაშინ გარდიგარდმო უნდა გააკეთოთ პატარ-პატარა არხები, 10 ვერშოკზე თვითეული არხი, მოარწყათ თხელი სასუქით და მაშინვე შეუდგეთ თესვას შაბიამანში დასველებული და ნაცარში ანუ კირში ამოგანგლული თესლისა. ჭურჭელი, რაშიაც თესლი გიყრიათ, დაიჭირეთ მარცხენა ხელში, ხოლო მარჯვენათი აიღეთ რამდენ-რამდენიმე თესლი და თითო-თითო ჩასდევით არხში, თითო ვერშოკზე ყოველი მარცვალი. თუ თესლი არ ამოგირევიათ ნაცარში ანუ კირში, მაშინ დასთესოთ თუ არა, მოაყარეთ ნაცარი თუ კირი თხლად და ზემოდამაც ფხვიერი მიწა წააყარეთ $^1/_2$ ვერშოკის სისქით. ამაზედ სქლად აღარ უნდა წააყაროთ მიწა, რადგანაც თესლისთვის ძნელი იქნება მიწიდამ ამოსვლა, მაგრამ არც ძალიან თხლად უნდა დააყაროთ, რადგანაც მზე ადვილად ჩაატანს თესლამდის, გაახმობს მას და თესლს რომ სინესტე არ ექნება, კარგად ველარ ამოვა. მიწა რომ მიაყაროთ, ახლა ზემოდამ თხლად კამპოსტის ანუ კარგად დამიწებული და აფხვიერებული ნეხვი უნდა წააყაროთ. ეს იმისთვინ არის საჭირო, რომ მიწა ადვილად არ გაშრეს;

როცა რწყავთ, მიწაში წყალთან ერთად ნელ-ნელა ჩადის სასუქიც; უშლის უბრალო ბალახის ამოსვლას, რისგამოც მარგვლა ხშირად არ დაგვჭირდება და, დასასრულ, მიწა მის ქვეშ მუდამ რბილად რჩება და ქერქს არ იკეთებს წვიმისა თუ მორწყვის შემდეგ. საჭიროა, რომ თესლებზე წაყრილი მიწა ყველგან თანაბრად, ე. ი. ერთნაირ სიღრმეზედ იყოს, რომ თესლიც ერთს დროს ამოვიდეს ყველგან. ასე დათესილი და მოვლილი პური ამოდის მეოთხე-მეექვსე დღეზედ. თუ სადმე თესლი არ ამოვიდა, იქ შეიძლება შეავსოთ სანერგიდამ გადმორგული ჯეჯილით. ერთის დესეტინის მოსათესად საკმაოა ერთ ფუთამდის თესლი.

3) **ჯგუფებად თესვა**. პურის თესვა შეიძლება ჯგუფ-ჯგუფადაც. ასეთი თესვა გავრცელებულია ჩინეთში და მდგომარეობს შემდეგში: სთხრიან პატარა ორმოებს ყოველ $1\frac{1}{2}$ არშინზედ, სიღრმით და სიგანით ნახევარ არშინზედ, ჰყრიან შიგერთს ჩანახს ნეხვსა, ამდენსავე მიწაში არეულსა, ზედ სთესავენ ერთის ხელის თითებით აღებულს ხორბალს და აყრიან მიწას. თუ ამოსული პური ხშირია, ზოგიერთს ამოჰგლეჯენ და ამ გვარად ჯგუფს მოათხელებენ; სიმშრალეში და გვალვაში ყანა უნდა მორწყათ, თავ-თავის კეთებაში მიწა აუჩვილოთ და ძირებზე აუქუჩოთ ე. ი. აუმაღლოთ, მოაყაროთ, რომ ძლიერს ქარს არ შეეძლოს ყანის წაქცევა. ასე დათესილი და მოვლილი ყანა დიდ-ძალს მოსავალს იძლევა, ასე რომ 20 მარცვალს შეუძლიან მოიცეს 10—15 ათასი მარცვალი და როგორც თვითონაც ხედავთ, მოვლა-შემუშავებაც უადვილესია. თვით ქალებს-დედაკაცებს და ბალღებსაც კარგად შეუძლიანთ ამ გვარად პურის მოყვანა და მოვლა. საჭიროა მხოლოდ ერთხელ-ორჯელ ამ წიგნის მიხედვით ასე პურის მოყვანა, თორემ პურის ასე მოყვანა ბოსტანში ისე გაადვილდება და გავრცელდება

ჩვენშიაც, როგორც ახლა კიტრისა და ხახვის თესვაა გავრცელებული, მით უმეტეს, რომ პურის ასე მოყვანისათვის, სრულებით საჭირო არ არის ძვირფასი და მძიმე იარაღები, ბარი და თოხი კი ხომ ყველა ქართველის ოჯახში მოიპოვება!..

მოვლა მცენარეებისა.

მცენარეების მოვლა მდგომარეობს: მორწყვაში, გამარგვლაში და თოხნაში. ვსთქვათ სამივეზე რაც საჭიროა.

მორწყვას დიდი მნიშვნელობა აქვს პურის ბოსტანში. პურის მორწყვა იმით განსხვავდება ჩვეულებრივ საბოსტნე მცენარეების მორწყვისაგან, რომ პური გაცილებით ნაკლებ მორწყვას თხოულობს, მაგრამ ნოყიერს კი, ე. ი. იმისთანა მორწყვას, რომელიც აძლევს ყანას არა მარტო წყალს, არამედ სასუქსაც. ეს იმით აიხსნება, რომ უხვის მორწყვით, საბოსტნე მცენარე იძლევა მეტს ფოთოლს და ძირს, რაც საჭიროა ჩვენთვის, პურისგან კი ჩვენთვის ფოთოლი კი არ არის საჭირო, არამედ თავთავი, მძიმე და სრული ხორბლით; ეს კი მარტო ნოყიერი, სასუქიანი მორწყვით შეიძლება. პურის მორწყვა მარტო იმ დრომდე უნდა, სანამ იგი საკმაოდ იბღარტებს და გაიზრდება; შემდეგ, რა წამსაც იწყობს ყვავილს, მორწყვა უნდა შეამციროთ ანუ სრულებითაც შეაყენოთ, ხოლო, როცა პური სრულიად დაიყვავილებს და მარცვალი გამოისახება, მორწყვა კვლავ შეიძლება განაგრძოთ, რომ მარცვალი სავსებით გაიზარდოს.

საუკეთესო წყალი მცენარეების მოსარწყავად არის წვიმის წყალი, შემდეგ მდინარისა და აუზისა; რაც შეეხება წყაროს და ჭის წყალს, ის მეტად ცივი და უჰაეროა და ამიტომ მარტო წყლის სრულიად უქონლობის

დროს უნდა იხმაროთ, მაგრამ ჯერ აუზში ანუ კოდში უნდა დააგუბოთ ერთი დღე-ღამით მაინცა. საუკეთესო სარწყავი არის ხელის სარწყული, ცხრილით, რომელიც ისე ასხამს წყალს, როგორც წვიმა, მაგრამ ასეთი მორწყვა მარტო სადა წყლით შეიძლება, სასუქიანი წყლის დასასხმელად კი უცხრილო სარწყულია საჭირო და პირდაპირ ძირში უნდა დაუსხათ მცენარეს, და არა თავზედ, როგორც პირველს შემთხვევაში. უკეთესი დრო მოსარწყავად არის საღამო, რადგანაც ამ დროს წყალი ნაკლებ ორთქლდება და ღრმათაც უჯდება მიწას. მცენარეს იმდენი უნდა დაუსხათ წყალი, რომ ყველა ძირებამდის გაუჯდეს მიწას.

როგორც ზემოთაც ვსთქვით, საბოსტნე მცენარეები უნდა ლიტონი წყლით მოირწყას, აგრეთვე კართოფილი და ლობიოს ჯიშის მცენარეები, პურის მოსარწყავად კი უთუოდ სასუქიანი წყალი უნდა იხმაროთ, რომლის მოამზადება ჩვენ უკვე ავწერეთ ზევით. პურის მცენარე არასოდეს არ უნდა მორწყათ თავიდამ ძირამდის, ე. ი. ღეროს და ფოთლებს არ უნდა დაასხათ, თორემ ამით პურს სრულიად დაჭლუპავთ. არც იმაზედ მაგარი სასუქიანი წყლით უნდა მორწყათ, რაც ნაჩვენები გვქონდა ზემოთ (1 ვედრო სასუქი 10 ვედრო წყალზედ), რადგანაც ამაზედ მაგარი წყალი აწყენს მცენარეს. ხოლო თუ წვიმიანი დარია, მოსარწყავი წყალი შეიძლება უფრო სქელი გააკეთოთ. პირველი მორწყვა სასუქიანი წყლით მაშინ უნდა, როცა, ეს არის, თავი ამოჰყო პურმა მიწიკამ და ამის შემდეგ მუდამ უნდა მორწყათ ხოლმე, როცა კი საჭიროთ დაინახოთ პორწყვა, ე. ი. რა წამსაც ატყობთ, რომ ფოთოლი მოეშვა მცენარეს, ასე, ვიდრე მარცვალი დაიწყებდეს დასხვილებას.

ასეთი სასუქიანი წყლით შეიძლება მორწყათ ყველა საპური მცენარეები (პური, ქერი, სიმინდი, ფეტვი და სხვ.),

მაგრამ კარტოფილს და ლობიოს კი აწყენს. აწერილი სასუქიანი წყალი ისეთი ნოყიერია, რომ თუნდა მუდამ ერთ და იმავე ადგილას მოიყვანოთ პური, მაგრამ სასუქიანი წყლით კი მორწყათ წესიერათ, დათესილი პური მაინც სრულს მოსავალს მოგცემსთ. მაგრამ, რა გვარი წყლითაც უნდა რწყავდეთ ბოსტანს, როცა რწყავთ, მცენარის ძირთან მყოფი მიწა, უთუოდ აფხვიერებული უნდა იყოს, ჯოხით, ჩანგლით ანუ თოხით, ქერქ გადაკრული გამაგრებული არ უნდა იყოს, როგორც ეს ემართება მიწას მორწყვის შემდეგ. ეს იმისთვის, რომ წყალი სავსებით ჩავიდეს მიწაში და არა აქეთ-იქით გაიფანტოს მცენარის უსარგებლოდ.

გამარგვლა. გამარგვლის დანიშნულება იმაშია, რომ თქვენ-მიერ დათესილს თუ დარგულს მცენარეს მოაშოროთ სმვა უბრალო ბალახები, რომლებიც ახშობენ მას და ართმევენ წყალს და საზრდოს. პური პირველად მაშინ უნდა გამარგლოთ, როცა ამოვა თესლი; მაშინ, რაც პირველად და კარგათ ამოვიდა, ყველა უნდა შეარჩინოთ, დანარჩენი კი ძირიანად დაგლიჯოთ ხელით სიფრთხილით; თუ ნათესი გაყვითლდა, ეს იმის ნიშანია, რომ თესლი ხშირად არის დათესილი და ამიტომ ასეთი ნათესი უთუოდ უნდა მოათხელოთ. მარგვლის გასაადვილებლად მცენარე ჯერ უნდა მორწყათ კარგათ და ორი საათის შემდეგ კი გამარგლოთ, უმჯობესია ხელით, რადგანაც ხელით უფრო ადვილათ დაჰგლეჯთ მეტს ბალახებს ძირიანად. ხოლო, თუ საბოსტნე მცენარეები თხლად და შორი-შორს გიდგათ, შეგიძლიანთ თოხითაც გათოხნოთ, ხელი კი ასეთს შემთხვევაში მარტო მცენარის ძირში მიაშველოთ. მარგვლა და თოხნა კიდევ იმით არის მცენარისათვის სასარგებლო, რომ ამით ნიადაგი უკეთ ითვისებს წყალს, ჰაერს, ნამს და სხვ. რამდენადაც

ხმელი დარია, იმდენად უფრო ხშირად უნდა გამარგლოთ და გათოხნოთ ხოლმე ბოსტანი.

საპურე მცენარეები უნდა გამარგლოთ და გათოხნოთ ოთხჯერ მაინც; მეოთხეჯერ მაშინ უნდა გათოხნოთ ანუ გამარგლოთ, როცა აყვავების დაიწყობენ; მესამე და მეოთხეთ თოხნის დროს უთუოდ მიწა უნდა აუმაღლოთ ძირებს, ე. ი. გარშემო უნდა მოუთოხნოთ მიწა და ზედ ძირებზედ მიაყაროთ. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ მცენარე უფრო მაგრად იდგება ქარის დროს, ახალს ძირებსაც მეტს გაიკეთებს და მეტს საკვებსაც ამოსწოწნის მიწიდამ. როცა პური აყვავდა და თქვენ უკანასკნელათ გათოხნეთ და მიწა ააყარეთ ძირებზედ, თქვენი მოვალეობა იმაშია მდგომარეობს, რომ მარცვლის გასხვილებისას ერთხელ კიდევ მორწყათ იგი, თორემ თესლი წვრილი და დაუსრულებელი გამოვა. პური ცოტა ადრე უნდა მომკოთ, ვიდრე მარცვალი სრულიად გახმებოდეს თავ-თავში, თორემ მკის დროს მეტი წილი მარცვლისა დასცვივა. როცა პურის თავთავიდამ დაწყობილი ღეროს პირველ მუხლამდის გაყვითლდება პური, იცოდეთ, რომ დროა მკისა. მაშინ ჯერ საუკეთესო თავთავები უნდა ასჭრათ მაკრატლით სათესლედ, დანარჩენი—ნამგლით. ცელით თავის დღეში არ მოთიბოთ, რადგანაც ეს წესი ნამდვილი ბარბაროსული წესია ღვთისაგან ბოძებულის მოსავლის მოკრეფაში; ცელით მოთიბულს პურს დიდძალი მარცვალი ებნევა და ამით არის ის ბარბაროსული. მომკილი ყანა უნდა შეკრათ ძნებათ და დააყენოთ მომაღლო ადგილას გამოსაშრობად, ვიდრე მარცვალი სრულიად გამოშრებოდეს, ხოლო თვით ყანა სრულიად გაყვითლდებოდეს. მაშინ ძნები უნდა შეაფაროთ სადმე ანუ დადგათ ბრჯენებად და შეუდგეთ ლეწვას.

რამდენი მოსავალი შეგვიძლია მივიღოთ ერთი და იმაჟე ადგილიდამ.

ჩინეთში, ერთ და იმავე ადგილიდამ, ერთს წელიწადში, რამდენსამე მოსავალს ღებულობენ. აი როგორ: მაისში რგავენ ბრინჯს; მკათათვის პირველს რიცხვებში მკიან და მაშინვე მეორეთ ისევ ბრინჯსა რგავენ, რომელსაც მკიან ღვინობისთვეში; თვითეულს ჯერზედ ერთი დესეტინიდამ მოსდით საშუალოთ 720 ფუთი ბრინჯი, მაშასადამე 1440 ფუთი; მომკიან თუ არა ბრინჯს მეორეთ, მინდორს მაშინვე ჰყოფენ ოთხათ და სთესენ ერთზე თალგამს, მეორეზედ სოიას, მესამეზედ გადმორგავენ კომბოსტოს და მეოთხეზედ სურეპას. ათი ანუ თორმეტი დღის შემდეგ იმავე მიწაზედ და მოხსენებულს მცენარეთ შორის სთესენ რიგზედ ჩვეულებრივს იონჯას. თალგამი საშუალოთ იძლევა დესეტინიდამ 2430 ფუთს; სოია—112 ფუთს; კომბოსტო—3750 ფუთს; სურეპა—128 ფუთს თესლს, რომლიდამაც ხდიან 30 ფუთს ზეთს და რჩებათ 95 ფუთი ჩენჩო, რომელსაც ხმაროობენ მიწის სასუქად და საქონლის საკვებად. იონჯის მეტს ნაწილს სთიბავენ, ნაკლებს—ჩასთოხნიან მიწაში სასუქად. მოხსენებულს მცენარეებს იქ ერთსა და იმავე დროს არ სთესენ ანუ რგავენ, არამედ სხვა და სხვა დროს; აგრეთვე იღებენ მოსავალს არა ერთ და იმავე დროს, რაც დიდს შეღავათს აძლევს მეურნეს. ამ გვარათ ერთსა და იმავე მიწიდამ ჩინელები ერთს წელიწადში იღებენ ხუთს მოსავალს.

რამდენი ჰური შეიძლება მიიღოთ საპურე ბოსტნიდამ?

მოვიყვანოთ ჯერ მაგალითები, თუ რის მოცემა შეუძლიან ჰურს. ვინმე დ. ჟ. თავისს წერილში «იაპონუ-

რი მიწად-მოქმედება», რომელიც დაბეჭდილი იყო 1893 წლის «გრაჟდანინში», ამბობს, რომ ჩემის მრავალის გამოცდილებით, საპურე მცენარეების ერთს მარცვალს შეუძლიან მოიცეს:

პურს . . . . 700—800 მარცვალი;
ქერს . . . . 500—600 „
ფეტვს . . . 800—1000 „
სიმინდს . . 1810—2200 „

უფრო ბეჯითი გამოცდა მოუხდენია საფრანგეთის ცნობილს მეცნიერს და მეურნეს გრანდოს. 1886 წელს მას დაუთესია კარგად გაპოხიერებულს და შემუშავებულს მიწაზედ ინგლისური საუკეთესო პური, 4 ვერშოკზე თითო მარცვალი. 1887 წელს ამ პურმა მოიცა თვითეულმა 750 მარცვალი და ზოგმა—859 და 924 მარცვალიც კი. შემდეგში, ამავე გრანდომ მოისურვა შეეტყო, რის მოცემა შეუძლიან საუკეთესოდ მოვლილს პურის მარცვალს, რომელიც იმან დასთესა ადრე ძალიან გაპოხიერებულს მიწაში, 10 ვერშოკზე თვითეული მარცვალი. მოვლის დროს ყურადღებას აქცევდა, რომ მცენარის გარშემო სხვა არაფერი ბალახი არ ამოსულიყო. თვითეული მცენარე გაიზარდა 2 არშინამდის, 82 თავ-თავიანი ღეროთი; თვითეულს თავ-თავში იყო სულ უკანასკნელი 40 მარცვალი, ასე რომ ერთი მარცვლიდამ გრანდომ მიიღო 3280 მარცვალი.

უფრო შესანიშნავია გაბერლანდის გამოცდა იმაზედ, თუ როგორი გავლენა აქვს სიმორეს მცენარეთა შორის და ნიადაგის ნოყიერობას პურის მარცვლის ბღარტობაზედ. 1866 წელს, აპრილის თვეში, ამან დასთესა დალმაციაში პური, რომელმაც ისე იბღარტა, რომ თვითეულმა მარცვალმა გაიკეთა 130 თავ-თავიანი ღერო და მოიცა 6855 მარცვალი. ამ მაგალითებიდამ სჩანს, რომ ერთს პურის მარცვალს შეუძლიან მოიცეს 820,924,3280

და 6855 მარცვალი, ე. ი. დესეტინას შეუძლიან მოგვცეს 500 ფუთიდამ 900 ფუთამდის ხორბალი.

ვნახოთ ახლა, რა მოსავალი მოუცია პურს ცნობილს მაშულებში.

1883 წელს პოლტავის გუბერნიაში ერთმა მემამულემ დესეტინიდამ მიიღო 200 ფუთი უბრალო სვილა და ინგლისური კი—300 ფუთი. საზღვარ გარეთ დესეტინა მიწა იძლევა 368 ფუთს ხორბალს, 464 ფუთს შვრიას, 282 ფუთს ქერს, 270 ფუთს ფეტვს და სხვ. ამერიკის კოლარადოს სამეურნეო სკოლაში ერთი დესეტინიდამ მიულიათ 319 ფუთი პური, 401 ფუთი შვრია, 297 ფუთი ქერი და სხვ.

იაპონიაში ერთი დესეტინიდამ მოსდით 450 ფუთი პური. მაგრამ ჩვენ დავკმაყოფილდეთ 300 ფუთით და გავსინჯოთ, რამოდენა ადგილია საჭირო ერთს სულზედ, რომ ყოველმა მეოჯახემ თითონ მოიყვანოს პური. ამისათვის ვიანგარიშოთ რა უნდება ერთს კაცს დღეში და წელიწადში გამოსაკვებად:

	დღეში:		წელიწადში:	
პური .	$1^1/_2$	გირვანქა	10	ფუთი.
მუხუდო .	$^1/_3$	„	3	„
კომბოსტო .	$2^1/_2$	„	18	„
ჭარხალი ანუ თალგამი .	1	„	10	„
კარტოფილი .	2	„	10	„

აქ მოყვანილი რიცხვი პურისა და ბოსტნის სხვა მცენარეებისა სრულიად საკმაოა ერთის კაცის გამოსაკვებად წელიწადში. ამათ მოსაყვანად საჭიროა შემდეგი სივრცის მიწა:

10 ფუთი პურის მოსაყვანად საჭიროა	80	კვ. საჟ.
3 ფ. მუხუდ. ანუ ლობ. მისაღებად .	25	„ „
18 ფ. კომბოსტოს მოსაყვანად . .	18	„ „

20 ფ. კარტოფილის მოსაყვანად . 27 „ „
10 ფ. თალგამის მოსაყვანად . . 20 „ „
ანუ სულ 190 კვ. საჟენი

ადგილი ანუ 200 კვ. საჟენი, ე. ი. ისეთი ადგილი, რომელსაც სიგრძე 20 საჟენი აქვს და სიგანე 10 საჟენი.

მაშ, თუ შენს ოჯახში, ქართველო, ათი სულია შესანახი და გამოსაკვები, შენ უნდა შეამუშაო ათჯერ ორასი კვადრატული საჟენი, რაიცა იზამს 2000 კვ. საჟენს, ე. ი. ერთს დესეტინაზედ გაცილებით ნაკლებს ადგილსა, რომ ამოდენა ოჯახს უკლებლად ჰქონდეს მთელი წლის პური, ლობიო, კომბოსტო, კარტოფილი და სხვ., ხოლო თუ მარტო პური გინდა მოიყვანო, 800 კვ. საჟ. ანუ ერთი დღის მიწაც სრულიად საკმაოა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ერთი ფუთი ბოსტნურის წესით მოყვანილი პური ერთს მანეთზედ გაცილებით მეტი ღირს, გამოდის, რომ პურის მოყვანა ამ წესით თვით ვენახზედაც უფრო შემოსავლიანი საქმეა, რადგანაც პურის თესვა-მოყვანა გაცილებით ნაკლებს შრომას და დროს თხოულობს, ვიდრე ვენახის გაშენება და მისი ყოველ წლიური მოვლა-კეთება.

ივ. როსტომაშვილი.

გონიერი მოვლა-მოშენება

შინაური ფრინველებისა:

ქათმებისა, ინდაურებისა, ბატებისა, ისვებისა, ცესარკებისა და ხოხბებისა.

(ეტტელის, ელაგინის, პოპოვის და სხვათა წიგნებიდამ შედგენილი).

სარგებელ და შემოსავლიანია თუ არა შინაური ფრინველის მოშენება?

I.

ინაური ფრინველის მოშენების მეტ-ნაკლები შემოსავალი დამოკიდებულია არა მარტო იმაზედ, თუ როგორის სიყვარულით და ცოდნით აწარმოვებთ ამ საქმეს, არამედ თვით საქმის მიზანზედაც, სახელდობრ: რომ შემოსავლის გულისათვის აშენებთ მას და არა უბრალო მოყვარეობით ფრინველისა. თუ თქვენ ერთი კიკნა ეზო გაქვთ, ისიც მაღალის კედლით ანუ ღობით შემოზღუდული, სადაც ძნელად ხვდება მზე, დარწმუნებული იყა-

ვით, რომ ასეთს ადგილას შინაური ფრინველის მოშენება უთუოდ ზარალის მეტს არასფერს მოგცემთ, თუმცა ზოგიერთი მწერლები იქამდის კადნიერდებიან, რომ არწმუნებენ მკითხველთ, ვითომც ამა და ამ ხერხით, ამა და ამ კვებით, მაგ., ცხენის ხორცის ჭმევით, შეიძლება ქათამს ათი და მეტი კვერცხი დავადებინოთ დღეში და სხვა. ვურჩევთ ქართველს მკითხველს ფრთხილად იყოს ასეთის ცნობების შესახებ.

დამტკიცებულია, რომ ქათამს შეუძლიან მოიცეს მთელს თავისს სიცოცხლეში 600 კვერცხი. აი როგორ:

პირველს წელიწადს	. 20	კვ.	მეექვსე წელიწადს	.	60
მეორე „	. 120	„	მეშვიდე „		40
მესამე „	. 135	„	მერვე „		20
მეოთხე „	. 115	„	მეცხრე „		10
მეხუთე „	. „	„	მეათე „		80
			სულ 600		

ცხადია, რომ ქათამს ოთხი კვერცხის მოცემაც არ შეუძლიან ყოველ დღე, რაც უნდა კარგათ და უხვად კვებოთ იგი და საშუალოთ კი, რომ 150 კვერცხი მივიღოთ ქათმისგან წელიწადში, ეს სრულიად საკმაოდ უნდა ჩავთვალოთ. როგორც ზემოთ მოყვანილ რიცხვებიდამაც დაინახავთ, ყველაზე მეტს კვერცხს ქათამი მეორე, მესამე და მეოთხე წლებში იძლევა; ცხადია, რომ ქათმის მოშენებელმა ამ წლოვანებას იქით აღარ უნდა შეინახოს ქათმები, თუ სხვა რამე შესანიშნავი თვისება მათი არ აიძულებს მას ორი-სამი წელიწადი სიცოცხლე კიდევ აჩუქოს ასეთს ქათმებს...

უკეთესი ადგილი ფრინველისათვის არის სოფელში, ფართო ეზოში, რომ ფრინველს თავისუფლად შეეძლოს გავლა-გამოვლა და ჭია-ჭუებზე ნადირობა. ამ შემთხვევაში უკეთესი იქნება, რომ ქათმის ერთი რომელიმე კარგის ჯიშის ყიოლით დაკმაყოფილდეთ, რადგანაც, თუ

თქვენ სხვა და სხვა ჯიშებს იყოლიებთ, მაშინ ეზოს დაყოფა-დანაწილება დაგჭირდებათ, რაიცა ცოტა ხარჯს არ ითხოვს და თვით ქათმებისთვინაც მეტად ცუდია, რადგანაც ყველა ამით ძალიან ვავიწროვებთ მათ, თავისუფლებას ვუხშობთ და საჭმლის ძლევაც მეტი გვინდება. თქმა არ უნდა, რომ თუ თქვენ ხელს მიჰყოფთ ქათმის მოშენებას სადმე მიყრუებულს სოფელში, სადაც სრულიად ფასი არა აქვს ქათამსა და კვერცხს, თქვენ ზარალის მეტს ვერასფერს ნახავთ, მაგრამ, თუ თქვენი სოფლიდამ ცოტაოდნათ მაინც ხეირიანი საურმე ანუ საცხენო გზა არის მახლობელს ქალაქამდის (რკინის გზას ალარ ვამბობთ!), მაშინ თამამად შეგიძლიანთ ხელი მოჰკიდოთ შინაური ფრინველის მოშენების საქმეს მრავლად და დარწმუნებულიც იყავით, რომ კარგს ხეირსაც ნახავთ, რადგანაც საქათმოს აშენება სულ უბრალო საქმეა და თვითონ ქათამიც მეტის-მეტათ მცირედის მთხოვნელი ფრინველია და მომეტებულად თითონ შოულობს თავისთვის საჭირო საჭმელს. თქვენის მხრით საჭიროა მხოლოდ, რომ მეტი თავისუფალი, ფართო ადგილი მისცეთ მათ და მცირედი საკვები მიაშველოთ, ვითარცა—მოხარშული ანუ მოუხარშავი ყოველგვარი ბოსტნეული, ხორცი, ქატო, პურის გული და ნამცეცები, ნაკმაზი და სხვ. და სხვა. ან, თუნდა რომ დაგჭირდეთ სყიდვა საკვებისა, ისე ცოტა დაგჭირდებათ, რომ სათქმელადაც არა ღირს...

ასე და ამ გვარად, შინაური ფრინველის ყოლა თითქმის რომ მუქთად დაუჯდება მის პატრონს, ანუ ფრიად იაფად, ფასი კი ქათამს, ინდაურს, ბატს, იხვს და მათს კვერცხს მუდამ კარგი და დიდი აქვს, კანსაკუთრებით ზამთარში. ნურც იმას დაივიწყებთ, რომ დაკლული ქათამი და კვერცხი ადვილად შეგიძლიანთ წაიღოთ „გასაყიდათ რამდენიმე ასი ვერსის მანძილზედ, როგორც ამას შვრებიან ნემცები, რომლებიც მრავლად

აგზავნიან კვერცხს და ფრინველის ხორცს ამერიკაშიაც კი, გერმანიიდამ ამერიკამდის კი 5—6 ათასი ვერსია...

მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა ერთ დროს მიმართა წერილებით ყველას, ვინც კი მექათმობას მისდევდა, ეცნობებინათ, რამდენს იძლევა წმიდა შემოსავალს თვითეული ქათამი? ბევრმა დიდის სიამოვნებით მიაწოდა დეპარტამენტს ცნობა ამის შესახებ; ამ ცნობებიდამ ნათლად სჩანს, რომ ქათმების ყოლა და მოვლა კარგა შემოსავლიანი საქმეა. აი ზოგიერთი ამ ცნობათაგანი:

1) ოლონეცის გუბერნიის ვინმე გლეხი ანდრეი პეტროვი სწერს დეპარტამენტს: ჩემს ქათმებს ზამთარში მე შვრიას ვაჭმევო. საშუალო რიცხვით ყოველი ქათამი მაძლევს წელიწადში 2 მანეთს შემოსავალს, ხოლო ხარჯი თვითეულ ქათამზედ 1 მანეთი მაქვსო. ასე რომ წმინდა შემოსავალი თვითეულ ქათამზედ არის 1 მანეთი წელიწადშიო.

2) პერმის გუბერნიის გლეხი გრიგორ ივანოვი სწერს: ყოველი ქათამი მაძლევს წელიწადში მარტო კვერცხის გაყიდვით 90 კაპ., ხოლო თითონ ქათმის ფასი რომ 30 კაპ. ვიანგარიშოთ, გამოვა შემოსავალი 1 მ. 10 კ. ხარჯი თვითეულ ქათამზე მაქვს 50 კაპ; მაშასადამე, თვითეული ქათამი 60 კ. წმინდა შემოსავალს მაძლევსო და სხვა ამ გვარები.

ეჭვი არ არის, რომ თუ კაცი ცოდნით და სიყვარულით მოეკიდება ამ საქმეს და შეძლებისამებრ გაადიდებს კიდეც, შემოსავალიც მეტი ექნება. მაგ., პოლტავის გუბერნიის ვინმე მემამულე მიხეილ მირონენკო იწერება, რომ მე მყავს 44 ქათამი, 17 ინდაური, 12 ბატი და 60 იხვიო; 12 წელიწადია მივსდევ ამ საქმეს და ყოველ-წლივ სულ უკანასკნელი 100 მან. წმინდა შემოსავალი მაქვს მათგანაო, ე. ი. 75 კაპეიკი თვითეულიდამ.

ხოლო ვინმე კემპე, „მიწად-მოქმედების გაზეთში“

სწერს, რომ მარტო 60 ქათმისგან წმინდა შემოსავალი 112 მ. და 40 კ. მაქვსო, ე. ი. თითქმის ორი მანეთი თვითეულ ქათამზე. თქმა არ უნდა, რომ ქათმის ყოლა ხელ-მოსაცემი საქმეა, განსაკუთრებით დიდ ქალაქებთან და რკინის გზების ახლო მდებარე სოფლელებისთვის. საჭიროა მხოლოდ მუდმივი ცდა დაწვრილებით შეისწავლონ ეს საქმე ჩვენმა სოფლელებმაც. ქათამი გვაძლევს ხორცს, კვერცხს და ბუმბულს. ყველაფერს ამას საკმაოდ დიდი ფასი აქვს ჩვენს ქალაქებში და ამიტომ დრო რის ყურადღება მივაქციოთ ამ საქმეს ჩვენ ქართველებმაც; ჩვენ განგებ ასეთი მცირე ფასი დავაწერეთ ამ წიგნს, რომ სულ უკანასკნელს ღარიბსაც არ გაუძნელდეს მისი სყიდვა და შინაური ფრინველის მეცნიერულად მოშენების შესწავლა. ჩვენი ქათამი საზოგადოთ პატარაა, სულ ორსამ გირვანქას იწონს, ხორცი მაგარი, ხშირად შავი და უგემური აქვს, კვერცხსაც ცოტას და წვრილებს გვაძლევს, მაშინ როდესაც უცხო ქვეყნელებმა იმ ზომამდის გააუმჯობესეს თავიანთი ქათამი, რომ თვითეული დედალი ექვსიდამ რვა-ცხრა გირვანქამდის იწონს! აი ამ ნაკლის შევსებას უნდა დააწვეს ყოველი ქართველი მეოჯახე, რაიცა ძლ-ერ ადვილია, თუ იგი ყურადღებით წაიკითხავს ამ წიგნს და ეცდება ყველაფერი აქ ნათქვამი შეძლებისამებრ შეასრულოს. ჩვენი ქათმის გაუმჯობესობა შეიძლება ორის გზით: ერთი, უკეთესი მოვლით, რადგანაც უკეთესი ჰმევა-მოვლისგან სრულიად უხეირო ქათამიც სულ მოკლე ხანში ძლიერ უკეთესდება და ამ თავის უკეთესობას შთამომავლობასაც გადასცემს; მეორე, უცხო ქვეყნის საუკეთესო ჯიშის მამალ-ქათმების შერევით ჩვენს ქათმებში.

უცხო ქვეყნის ქათმებში საუკეთესოა: სახორცედ — ინგლისური დორკინგი; ფრანგული-კრევკერი; კვერცხის სადებად — ესპანიური, იტალიანური და ამ ორივე ღირ-

სებით, ე. ი. ხორცითაც და კვერცხითაც კარგებია —ფრანგული ქათამი გუდანი, ბრამაპუტრი და სხვა. ამათი სურათები და აღწერა ამ წიგნის ბოლოში იხილე.

ინდაურებში საუკეთესოა: ამერიკული ბრინჯაოს ფერისა და ნორფოლკისა შავი ფერისა; ბატებში ცნობილია: ტულუზისა (ფრანგული) და ემდენისა (ნემეცური); იხვებში—რუანისა და ჩინური.

II.

საქათმოს გაკეთება.

კარგათ აშენებული და წესიერად მოწყობილი საქათმო უპირველესი საჭიროებაა, თუ ვინდათ, რომ შინაური ფრინველები მარად ჯან-საღად გყვანდეთ და კვერცხსაც ბევრს გვაძლევდნენ. საქათმოს გაკეთების დროს უმთავრესად უნდა გახსოვდეთ შემდეგი: ფანჯრები უთუოდ სამხრეთისაკენ დაატანეთ, რომ ფრინველს ზამთარშიაც საკმაოდ ჰქონდეს მზის სინათლე და სხივები. ფანჯრებს შიგნიდამ უთუოდ მართულის ცხრილი უნდა ააკრათ, რომ დაიფაროთ ფანჯრის შუშები დამტვრევისაგან და მეორეც, რომ შეგეძლოთ, როცა გნებავთ, ფანჯრის ღია დანარჩუნება, მაგ., ზაფხულში ღამ-ღამობით და სხვ. გარდა ამისა საჭიროა დასტოვოთ ჭერში რამდენიმე დაჩვრეტილი ხვრელი, ჰაერის გასასუფთავებლად, როცა ფანჯრები და კარები დახშულია ავდრისა თუ სიცივის გამო. უამისოთ, დილით, საქათმოს გაღების დროს, ხშირად რამდენ-რამდენიმე ქათამი უნახავთ იატაკზე მკვდარი. გარეგანი და შინაგანი გამართულობა საქათმოსი თქვენ კარგათ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ ამ სურათებიდამ (1 და 2).



ს. 1. საქათმო.

გარეგანი მორთულობა, რასაკვირველია, ყველასთვის სავალდებულო არ არის; გაქვთ შეძლება — შნოიანათ გააკეთებთ, არა და უბრალოთ გაკეთებული საქათმოც ძალიან კარგი იქნება. ხოლო შიგნიდამ კი ისე უნდა მოაწყოთ, როგორც ნაჩვენებია ამ მეორე სურათზედ.



ს. 2. საქათმოს გეგმა.

მაგ., აუცილებლად საჭიროა, რომ საქათმოს ერთი დიდი კარები ჰქონდეს მომვლელი კაცის შესასვლელად და რამდენიმე - ნახევარ არშინიანი კარე-

ბი შენობის ძირში, ფანჯრებს ქვემოთ, ქათმების შესასვლელ-გამოსასვლელად; ეს კარები უმჯობესია რკინისები გააკეთებინოთ, დღისით მუდამ ღია უნდა იყოს, ხოლო ღამით მაგრათ უნდა იკეტებოდნენ, რომ მელიებს, დედოფლებს და მისთანა დაუპატიჟებელ სტუმრებს, რომლებსაც ხშირად, სულ მცირე ხვრელიც ჰყოფნით საქათმოში შესასვლელად, შიგ შესვლა არ შეეძლოთ.

საბუდრები (d) სკამებზე უნდა იდგეს, ხოლო ასო f აღნიშნავს ქანდარებს. საბუდრებად უმჯობესია ოთხ-კუთხიანი ყუთები, 14 გოჯამდის სიგრძით და 6 გოჯამდის სიმაღლით, რომ დედალი თუ კრუხი თავისუფლად თავსდებოდეს შიგა. რადგანაც ქათამს კვერცხის დადება უფრო მობნელო ადგილას უყვარს, ამიტომ საბუდრად უმჯობესია ისეთი სახურავიანი ყუთები იქონიოთ, როგორიც ამ სურათზეა ნაჩვენები (ს. 3).



ს. 3. საბუდარი.

სკამი, რომელზედაც საბუდარი სდგას, უნდა გაკეთებული იყოს კედლის ძირზე $1^1/_4$ არშინის სიმაღლით და იმდენათ განიერი უნდა იყოს, რომ, როცა საბუდარს დასდგამთ, წინ კიდევ $3^1/_2$ ვერშოკი ადგილი დარჩეს; ეს იმიტომ, რომ ქათამი ჯერ სკამზედ შეფრინდეს და შემდეგ იქიდამ საბუდარზე

აფრინდეს. საბუდარში უნდა ორ-სამ ვერშოკზე სისქით ჯერ მშრალი ქვიშა ჩაყაროთ და მერე ჩააგოთ შიგ თივა ანუ ნამჯა და ჩადოთ ერთი კვერცხი, რომელსაც ნახშირით ან მელნით ნიშანი უნდა დაადოთ, რომ ის საბუდრისაა. ქანდარებისთვის უნდა დაათლევინოთ გრძელი ჯოხები, სისქით $2^1/_2$—3 გოჯი, და ზემოდამ გურგვლათ გააშალაშინოთ; ქანდარები უნდა დააყენოთ მიწიდამ დაახლოვებით ერთი არშინის სიმაღლეზედ ისე, რომ ერთი ქანდარა შორაკდეს მეორეს ნახევარ არშინზედ მაინც, რათა ერთი ქანდარის ქათმები მეორისას არც ეჩხუბებოდნენ და არც ასკლინტებდნენ. იატაკი უმჯობესია თიხისა გააკეთოთ ასე: აზილეთ ერთმანერთში თიხა და ბზე და ამით მოლესეთ სქლათ იატაკი, მერე მოაყარეთ ზედ ჭლორღი ანუ სხვილი ქვიშა და კარგათ მოტკეპნეთ. საქათმოს იატაკი ზაფხულში ქვიშით უნდა მოფინოთ ხოლმე, ხოლო ზამთარში ბზით და რაც შეიძლება ხშირად დაგავოთ და დაასუფთაოთ, როგორც იატაკი, ისე ჭერი, ქანდარები და კედლები საქათმოსი. განსაკუთრებით საჭიროა ასეთი გაწმენდა საქათმოსი ყოველ დღე ზაფხულობით, წინააღმდეგ შემთხვევაში ქათმებს გაუჩნდებათ ტკიპი, ტილი და ეს ძალიან შეაწუხებს ქათმებს. კარგია აგრეთვე, რომ საქათმოს კედლები და ჭერი წელიწადში ერთხელ მაინც თეთრი კირით გაათეთროთ და თვით იატაკზედაც ხშირად დაყაროთ ხოლმე გამომშრალი და ფქვილად ქცეული, ე. ი. წყლით გამქრალი კირი. საჭიროა აგრეთვე ხშირად დაბღერტოთ საბუდრები და შიგ მყოფი თივა თუ ნამჯაც კვირაში ერთხელ მაინც გამოუცვალოთ. საქათმო უმჯობესია ქვიტკირისა იყოს, მაგრამ შეიძლება ფიცრისა და წნულისაც იყოს, კარგად გალესილი, რომ ზამთარში თბილოდეს. ქათმებს, მართალია, დიდი სიცივეების ატანა შეუძლიანთ, მაგრამ დიდს ხმელს ყინვებში და ქარების დროს უმჯობესია სრულიად არ გამოუშვათ

ისინი კარში. ზოგიერთები ათბობენ საქათმოებს ცეცხლის დანთებით, მაგრამ ეს ძლიერ მავნებელია და არც საჭიროა, თუ საქათმო კარგად არის გაკეთებული და კარებიც კარგათ იკეტება. თუ მაინც და მაინც გინდათ წესიერი სითბო შეინახოთ თქვენს საქათმოში, 8 გრადუს სითბოზე მეტი თავის დღეში არ უნდა დააყენოთ. თუ ტერმომეტრი არა გაქვთ, დადგით საქათმოში წყალი კასრით, თუ წყალი გაიყინა, ცოტათი გაახურეთ ბუხარი ან ფეჩი. ეს ჰაერსაც გაასუფთავებს.

თუ ვინიცობაა სხვა და სხვა ჯიშის ფრინველი გყავთ (ქათმები, ინდაურები, ბატები და სხვა), მაშინ უმჯობესია ყველა მათთვის მართულის ცხრილით ცალ-ცალკე კუნჭული გადაღობოთ, რომ ფრინველები ერთმანერთს არ აწუხებდნენ. ასევე ეზოში, რომელიც ხეებით და ბუჩქებით უნდა იყოს მორგული, წელიწადში ერთხელ დაბარული და ბალახით მოთესილი. მართულის ცხრილი, მართალია, ძვირია, მაგრამ იმით არის კარგი, რომ მზის სხივები თავისუფლად გადიან მათ შუა და ეს კი ძლიერ საჭიროა შინაური ფრინველისათვის. დასასრულ, ვიტყვით, რომ საქათმო უმჯობესია გამართოთ გომურების ახლო, რადგანაც ქათმებს ძალიან უყვართ ნეხვში ქექვა და ჭია-ჭუების და მარცვლების ძებნა მასში.

აი, მცირედი ცვლილებით ცნობილი ფრანგის მექათმის ჟაკის სიტყვები, თუ როგორ გავაკეთოთ იაფათ კარგი საქათმო:

გათხარეთ საძირკველი მიწაში 6—10 ვერშოკზე სიღრმით, სიგანით ვსთქვათ ნახევარი არშინი; ჩასვით მაგრათ ამ საძირკველში ოთხ-კუთხიანი ბოძები, იმავე სიგანისა, რაც საძირკველია, ე. ი. ნახევარ არშინიანები და სიმაღლით ოთხ არშინამდის. შემდეგ ჩაყარეთ საძირკველში ქვები, აგურის ნამტვრევები და სიმტკიცისთვის თან წვალში გახსნილი და აზელილი თიხა მოასხით ხოლმე,

საძირკველი რომ აშოავსოთ, ახლა მილურსმეთ ბოძებზედ საქათმოს შიგნიდამ და გარედამ ბაღდადი (ხარიხები) და თან განაგრძეთ ქვა-აგურის ჩაყრა და თიხით მოსხმა. როცა ამ ვვარად ამოიყვანთ ოთხსავე კედელს, დააცალეთ კარგად გამოშრეს, დახურეთ კოჭებით და ზემოდამაც თიხა და ბზე ერთად არეული დააყარეთ საკმაოდ მოსქოლ, რომ წვიმის წყალმა არ ჩაატანოს. ასეთი სახურავი იმით არის კარგი, რომ ზაფხულში გრილია, ხოლო ზამთარში თბილი. შემდეგ გაუკეთეთ იატაკი, გააბათქაშეთ შიგნიდამ და გარედამ, შეაპირ ფანჯრები, კარები, მოაწყეთ ყველაფრით, რაც ზემოთა ვსთქვით, გალესეთ თეთრად და იაფი, მაგრამ კარგი საქათმო მზათ არის. ყოველი ჩუჩუტანა კედლებში, ფანჯრებში, კარებში, ქანდარებში და იატაკში ბეჯითად უნდა იყოს ყველგან ამოლესილი, რომ ვერავითარს მუქთახორა ჭიებს და განსაკუთრებით ტკიპებს და ტილებს არ შეეძლოთ მათში დაბუდება და გამრავლება... ამიტომ, სადაც კი შეამჩნიოთ ასეთი ხვრელი, მაშინვე ხიზი და კირი მზათ უნდა გქონდესთ და დაუყოვნებლივ ამოლესოთ. ერთი სიტყვით, სისუფთავის დაცვა საქათმოში უმთავრესი საქმეა, თუ გინდათ, რომ შინაურმა ფრინველმა თქვენც გასიამოვნოთ და გასარგებლოთ.

იატაკის თვითეულ კვადრატულ საჟენზედ უნდა იანგარიშოთ არა უმეტეს 9 ქათმისა ანუ იხვისა, ხოლო ინდაურებზე და ბატებზე ორჯელ და სამჯერაც ამაზედ მეტი სივრცეა საჭირო.

III. ქათმების კვება, ჭმევა და გასუქება.

ათამი ერთგვარათ კარგათ სჭამს ხორცეულს და მცენარეულს, მაგრამ აუცილებლად საჭიროა, რომ ქათმის საჭმელი ორივე ნაირი იყოს, ე. ი.

რბილიც და მაგარიც. რბილი საჭმელი ეწოდება უმს ანუ მოხარშულს მცენარეულს და ხორცეულს საჭმელს, ხოლო მაგარი—მარცვლეულს. თუ თქვენ მარტო მარცვლეულს აჭმევთ ქათმებს, ამით უეჭველად გამოიწვევთ მათში, არა თუ მარტო ვარიებში, თვით ხნიერს ქათმებშიაც კი, სტომაქის მოშლილობას, ხოლო თუ მარტო ცხენის ანუ სხვა ცხოველების ხორც და ნარჩომებს აჭმევთ, ეს თუმცა სტომაქს არ მოუშლის მათ, მაგიერში იწვევს ქათმებში სიცხეს, გადამდებ სნეულებას, ხდის მათ მეჩხუბრად და თვით კვერცხი და ხორციც საძაგელს გემოს იღებს. ასეთი ცუდი შედეგი უფრო უმ საჭმელს მოსდევს, მოხარშული ნაკლებათ მავნებელია, მაგრამ მაინც სჯობია ჯერ-ჯერით აჭამოთ ორივე გვარი საჭმელი, ე. ი. ერთხელ რომ მოხარშული კარტოფილი აჭამოთ, მეორეთ ქერი აჭამეთ, მესამეთ—სიმინდი და სხვ. მარცვლეული ერთმანეთში არეული არასოდეს არ აჭამოთ ხოლმე, რადგანაც ფრინველი ეჩვევა გარჩევით ჭამას. ქათამი ერთგვარად კარგათ სჭამს ყოველგვარ მარცვლეულს—ქერს, შვრიას, პურის ხორბალს, სიმინდს, ფეტვს, სვილას, უგრეხელს და სხვ. სიმინდი და ფეტვი უმჯობესია ადუღებულს წყალში გამოხარშული აძლიოთ. თუ თქვენ თვალს ადევნებთ ქათმებს, ნახავთ, რომ დილით, გაუღებთ საქათმოს კარს თუ არა, ისინი მაშინვე ყამირიან ანუ კორდიან ადგილისკენ გაეშურებიან და იწყობენ ნორჩი ნამიანი ბალახის ძოვნას და ჭიების ძებნას, რომლებიც, თითქოს განგებ, ბლომათ არიან ხოლმე ამ დროს გამოფენილნი კარში. შემდეგ აქედამ გადადიან ნეხვის გროვებზე და ბეჯითად ჭექენ და ჭკრეფენ იქ ყოველგვარ ბუზებს, კოლოებს, მატლებს, რწყილი ყარიებს, რომლებიც მათ ძლიერ უყვართ, ჭიაყელებს და სხვა მწერებს, მარცვლებს, კირს, კენჭებს, კვერცხების ნაჭუჭს და სხვ. რასაკვირველია, თუ

თქვენ ბევრი ქათმები გყავთ, საჭიროა მეტი ზრუნვაც მათს გამოსაკვებად; ამისთვის კი მარცვლეულთ გარდა გამოსადეგია ბევრი სხვა საკვებიც, მაგალითად: ქატოში ანუ ფქვილში არეულ-აზელილი მოხარშული კარტოფილი, ყოველგვარი მწვანილი, თალგამი, გოგრა, ჭარხალი და სხვ., რომლებსაც ქათმები სიამოვნებით შეექცევიან ხოლმე, თუ ყველაფერს ამას მოხარშულს დაუყრით. მაგრამ, კარგათ უნდა დაიხსომოთ, რომ არც ერთი აქ მოხსენებული საჭმელი ქათმებს თბილი და ცხელი არ უნდა მისცეთ, არამედ გაციებული, რადგანაც ლბილი საჭმელი იწვევს მათში წიწაკს (კორძია ენის წვერზედ). თქმა არ უნდა, რომ ამ საჭმელებში პატრონმა ის უნდა ამჯობინოს, რაც უფრო ბლომად მოიპოვება ადგილობრივ, მაგრამ იმ ჯიშის ქათმებს, რომლებიც ადვილად სუქდებიან მარცვლეული საჭმლით, უმჯობესია უფრო შვრია და ცოტ-ცოტა ქერი აძლიოთ, ვიდრე პურის ხორბალი და სამინდი, რადგანაც ეს უკანასკნელები მეტად ასუქებენ ამათ. მწვანე საკვებიდამ, ადრეგაზაფხულზედ, უმჯობესია აძლიოთ ნორჩი იონჯა, სალათა და ჭარხლისა და აკაციის ფოთოლი, რომელიც ქათმებს ძლიერ უყვართ. აგრეთვე საჭიროა საჭმლის ყოველ მიცემის დროს ან დროგამოშვებით დაუყაროთ ხოლმე ქვიშა და საზოგადოთ წვრილი კენჭები, წვრილათ დამტვრეული კვერცხის ნაჭუჭი და კირის ნაგავი, რადგანაც უამისოთ ქათმები ხშირად უნაჭუჭო კვერცხებსა სდებენ. ნაჭუჭს წვრილათ დამტვრევა იმიტომ უნდა, რომ თუ მთლიან ნაჭუჭებს გადუყრით, ქათმები ადვილათ შეეჩვევიან კვერცხის ჭამასაც. თქმა არ უნდა, რომ ზაფხულობით ნაკლები საჭმელი უნდა აძლიოთ ქათმებს, ვიდრე ზამთრობით, რადგანაც ზაფხულში ქათმები თითონაც საკმაოდ შოულობენ საკვებს. ერთს თავზე საშუალოთ შეიძლება ვიანგარიშოთ 20 მისხალი საკენკი. ზა-

ფხულში 8—10 ქათამს ეყოფა 1—1½ გირ. რომელიმე მარცვლისა და ზამთარში კი ესევე საჭმელი მარტო 5—6 ქათამს ძლივს დააკმაყოფილებს. გარდა ამისა ზაფხულობით, გაზაფხულობით და შემოდგომით დილით ნაკლები საჭმელი უნდა აძლიოთ (რადგანაც დღის განმავლობაში ქათმები თითონაც საკმაოდ შოულობენ საჭმელს) და უფრო მეტი კი საღამოთი, რომ ღამით მშიერები არ ისხდნენ ქათმები. საზოგადოთ კი ზაფხულობით საკმაოა ერთხელ აძლიოთ საჭმელი, ზამთარში კი ორჯელ—დილით და საღამოთი. საჭმეო ჭურჭელი თუ ადგილი უპუოდ სუფთად უნდა იქონიოთ და ყოველ დღე გარეცხოთ-გაასუფთაოთ, თუ გინდათ, რომ ქათმები მუდამ ჯან-საღად გყვანდესთ (იხილე იხვების აღწერა).

რაც შეეხება ქათმების გასუქებას, ამისთვის უმჯობესია ქათმები დამწყვდეული იყოლიოთ სუფთა ადგილას და ბლომათ აძლიოთ ზემოთ მოხსენებული ყოველგვარი საჭმელი, განსაკუთრებით ფქვილეული ქონში და რძეში არეული, რომელიც თხილის ოდენა გუნდებათ ძალათაც უნდა აყლაპოთ ქათმებს. რძე აძლევს ხორცს სითეთრეს და სინაზეს, ხოლო ქონი—სიმსუქნეს. თუ საგანგებო გემოს ხორცი გნებავთ მიიღოთ, კარგია ქათმებს ცოტ-ცოტა შაქარი ანუ თაფლი აჭამოთ, რასაკვირველია, საჭმელში არეული და, პირიქით, აარიდოთ ყოველი მწარე და ცხარე საჭმელი. ქათმების კარკად გამოკვებისთვის საკმაოა ორი კვირიდამ ექვს კვირამდის დრო. ზაფხულში ქათმები ორს კვირაზე სუქდებიან. გასუქებული დედლები იწონენ 6 გირვანქამდის. საშუალოთ ერთი ქათმი წელიწადში იძლევა ხუთმეტამდის ვარიას, 150 კვერცხს, 1 გირ. ბუმბულს და 14 გირ. სკლინტს. იანგარიშეთ რას დაიჭერს ეს და გვითხარით: სარფაა თუ არა ქათმის ყოლა?!..

IV. გამოსაჩეკი კვერცხები.

ოველი სიკარგე წიწილებისა და ქათმებისა დამოკიდებულია იმაზედ, თუ როგორს კვერცხებს დაუდებთ კრუხებს. კვერცხების სიკარგე კი დამოკიდებულია განსაკუთრებით მამლისა და დედლების სიკარგეზე. ამიტომ, თუ გინდათ ადვილათ და ჩქარა მოამრავლოთ კარგი ქათმები, ასე მოიქეცით: აარჩიეთ 4—6 საუკეთესო დედალი, მიუჩინეთ ამათ ასეთივე საუკეთესო ერთი მამალი, იყოლიეთ ესენი ცალკე ეზოში და დარწმუნებული იყავით, რომ ამათგან უთუოთ კარგს კვერცხებს, წიწილებს და ქათმებს მიიღებთ. კვერცხის სიკარგეს იმითი ტყობულობენ, რომ კვერცხს იჭერენ სანთლის წინ და უყურებენ: თუ შინაგანი კვერცხისა ერთგვარათ მჭვირვალეა, ეს ნიშანია, რომ კვერცხი კარგია, თუ კვერცხის შინაგანი მჭვირვალე არ არის—არ ვარგა. განსაკუთრებით საჭიროა დიდი ყურადღება მიაქციოთ მამლის სიკარგეს, რადგანაც თუ მამალი კარგია, თვით უხეირო დედლებიც საკმაოდ კარგი ჯიშის ქათმებს იძლევიან, მაშინ, როდესაც საუკეთესო ქათმებიც კი, ცუდ მამალთან, მუდამ ცუდს ნაყოფს იძლევიან. გამოცდილია, რომ ორი და მეტი წლის ქათმები მუდამ უფრო კარგს, სხვილს კვერცხებს და მეტს დედალ ვარიკებს იძლევიან, ხოლო ერთის წლისანი იძლევიან მეტს წვრილს კვერცხს და უფრო მამლაყინწებს. ცხადია, რომ გამოსაჩეკათ ორი და სამი წლის ქათმების მსხვილი კვერცხი უნდა ამჯობინოთ ერთი წლის ქათმების კვერცხებს.. წიწილების გამოსაჩეკ კვერცხად უმჯობესია აიღოთ არა უმეტეს 1—2 კვირის დადებული.

გამოსაჩეკი კვერცხები უთუოდ სუფთები და მთელები უნდა იყოს და თუ საიდამვე ჭუჭყი მოსცხებია, უნდა მოჰპანოთ მოთბო წყალში დასველებული ჩვრით ანუ ლრუბლით, რადგანაც უამისოთ, უსუფთაო კვერცხი შეიძლება მიეკრას კრუხის ბუმბულს და როცა ეს უკანასკნელი გადმოვა საბუდრიდამ, კვერცხიც თან ამოჰყვება და გატყდება. კვერცხები უნდა ჩაიწყოთ კრუხს საბუდარში გვერდზედ დაწყობილი და არა წვერზე ანუ თავზედ დაყენებული, როგორც ამას ზოგიერთები ურჩევენ. გამოსაჩეკი კვერცხები შეიძლება სხვა ადგილასაც გადაიტანოთ ანუ გაგზავნოთ სადმე შორს, მხოლოდ საჭიროა, რომ კვერცხები მაგარს ყუთებში ჩააწყოთ ქატოთი ანუ წმინდა ხის ნახერხით და არა ბზით, რადგანაც ბზით ჩაწყობილი კვერცხი ბევრი იმტვრევა. დადებული კვერცხების შესანახად უმჯობესია იქონიოთ ისეთი, კამოდის მაგვარი, ყუთი, როგორიც ეს სურათია და ყოველ განყოფილებაში უნდა აღნიშნოთ კვერცხის დადების დრო.



ს. 4. კვერცხების შესანახი კიდობანი.

საჭიროა აგრეთვე ყურადღება მიაქციოთ და ერთი ჯიშის კვერცხები მეორეში არ აურიოთ. გამოსაჩეკი კვე-

რცხების შესანახი კამოდი გრილს (8° რ.), მობნელო ოთახში უნდა გედგესთ.

V. წიწილების გამოჩეკა.

ვერცხების გამოსაჩეკად არსებობს ორ-გვარი ხერხი: ხელოვნური (ე. ი. ფეჩების შემწეობით) და ბუნებითი, ე. ი. კრუხების შემწეობით. ფეჩების შემწეობით წიწილების გამოჩეკა უხსოვარის დროიდან სკოდნიათ ეგვიპტელებს, ჩინელებს და ინდოელებს; ევროპაში კი გავრცელდა მას შემდეგ, როცა რეომიურმა გამოიგონა სითბოს-საზომი (ტერმომეტრი). ჩვენს დროში არსებობს ორ გვარი ფეჩები: ერთს ათბობენ თბილი წყლით, მეორეს -- ანთებულის ლამპით. ხელოვნურათ წიწილების გამოჩეკა, მართალია, სარფა და კარგია, მაგრამ ფეჩები საკმაოდ ძვირია და დიდს ყურადღებასაც ითხოვს პატრონისგან. ამიტომ ამ წიგნში ჩვენ მარტო კრუხების შემწეობით გამოჩეკაზე ვილაპარაკებთ.

საუკეთესო კრუხებად ცნობილია კოხინხინკები და ბრამაპუტრები (ჩინეთისა და ინდოეთის ქათმები); ესენი საუკეთესო მანქანებია წიწილების გამოსაჩეკად. ამიტომ გირჩევთ მუდამ საკმაოდ იყოლიოთ ამ ჯიშის ქათმები. თუ, ვინიცობაა, არა გყავთ კარგი ქათმის კრუხები, შეგიძლიანთ იხმაროთ კრუხებად ინდაურები და ამათ გამოაჩეკინოთ ქათმის, თუ იხვების და ხოხბების კვერცხები, რადგანაც ინდაურები ძალიან ბეჯითად სხედან კვერცხებზედ, გაცილებით მეტი კვერცხი შეგიძლიანთ დაუდოთ ამათ და კარგადაც უვლიან წიწილებს მთელი დღის განმავლობაში. ერთი ამათი ნაკლი ის არის, რომ ღამე დიდი ყურადღება სჭირიათ, რადგანაც თავი-

ანთი სიმძიმით და მოუსვენარი ჯდომით ხშირად სჭყლეტენ ფრთებს ქვეშ შეფარებულს სუსტ წიწილებს; ამიტომ კრუხებად უფრო ახალგაზდა ინდაურები უნდა აარჩიოთ. როცა კრუხები გამოჩეკენ წიწილებს, შეიძლება რამდენიმე კრუხის წიწილა მარტო ერთს, უფრო ხნიერს კრუხს მიუჩინოთ, რადგანაც ახალგაზდა დედლები 3—4 კვირის მეტს არ ატარებენ წიწილებს და მალე სტოვებენ მათ ღვთის ანაბარას. საჭიროა აგრეთვე იყოლიოთ რამდენიმე მოკრუხებული ქათამი მზათ, რომ, ვინიცობაა, რომელიმე კრუხი ავათ გაგიხდეთ, მაშინ სხვა კრუხი დასვათ კვერცხებზედ. დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ გამოსაჩეკ საბუდრებს, რომ ტილები და ტკიპები არ გაჩნდეს მათში; ამისთვის ყოველს ბუდეში უთუოდ კირის ფქვილი უნდა მოაყაროთ ძირში და ახალი რბილი თივა ანუ ნამჯა (უმჯობესია შვრიასი) ჩააგოთ და კვერცხები ისე ჩააწყოთ, რომ კვერცხის მდებელი ქათმები არ აწუხებდნენ კრუხებს და ახალ-ახალ კვერცხებს არ უდებდნენ გამოსაჩეკ საბუდარში. აუცილებლად საჭიროა, რომ კრუხების საბუდრები სრულიად ცალკე განყოფილებაში იყოს მოთავსებული, ამის ქვემოთ აწერილს შუშაბანდში. თქმა არ უნდა, რომ კრუხებს მუდამ საკმაოდ უნდა ჰქონდეთ თავიანთ განყოფილებაში ის საჭმელი, რომელსაც დაჩვეულნი არიან, რომ უწესური კვებით კრუხები უდროოდ ალად არ გახდნენ და არ დასუსტდნენ. ქათმის და იხვის ერთს კრუხს შეიძლება დაუდოთ 13—15 კვერცხი; ინდაურს, თუ თავისი კვერცხებია—15, ხოლო ქათმის—21—23, ბატს—6—7 თავის კვერცხი. ზოგი ერთი კრუხი რამდენიმე დღე მოუშორებლად ზის კვერცხებზედ, რის გამოც ხშირად კვდება კიდეც. ასეთი კრუხები ძალად უნდა გადმოიყვანოთ ხოლმე და აჭამოთ მათ საუკეთესო საჭმელი.

თვითეულს კრუხს უნდა დაუდოთ არა უმეტეა 12—15

კვერცხისა; თავისია ეს კვერცხები თუ სხვა დედლისა, სულ ერთია; მხოლოდ რამდენათაც ადრე და ცივ დროსა სვამთ კრუხსა, იმდენი ნაკლები უნდა დაუდოთ კვერცხი, რომ კრუხს ადვილათ შეეძლოს ყველა კვერცხის დაფარვა და გათბობა. ქათამი ზის კვერცხებზე — 21 დღეს, ინდაური — 28, იხვი და ბატი — 29, — მაგრამ მოხდება ხოლმე, რომ ერთი-ორი დღით ხან ადრე გამოჩეკენ, ხან გვიან. ზოგიერთი კრუხები სკლინტავენ შიგ საბუდარშივე, ამიტომ საჭიროა, ზოგჯერ საბუდრები დაათვალიეროთ ხოლმე (უმჯობესია იშვიათათ) და კარგათ გაასუფთაოთ, რომ ჭიები არ გაჩნდნენ საბუდარში. ერთს კრუხს, რამდენჯერაც უნდა მოკრუხდეს, წელიწადში მარტო ერთხელ უნდა გამოაჩეკინოთ წიწილები, ამაზედ მეტი არ ვარგა, ორჯელ და სამჯერ ზედი-ზედ გამოჩეკა ძალიან ასუსტებს დედლებს. საუკეთესო წიწილებს იძლევიან ის კრუხები, რომლებსაც დასვამთ არა ადრე აპრილისა და მაისისა, როდესაც მზე საკმაოდ ათბობს ქვეყანას; ამაზედ ადრე და გვიან გამოჩეკილი წიწილები სუსტები გამოდიან. ახლად გამოჩეკილი წიწილები, სანამ კრუხი ყველა კვერცხს გამოსჩეკდეს, უნდა ბამბით დაგებულს კალათაში ჩასვათ და თბილათ იყოლიოთ ფეჩთან; მაგრამ გათავდება გამოჩეკა თუ არა, დაუყოვნებლივ საბუდარი უნდა დაუბღერტოთ, თივა თუ ნამჯა ახალი ჩაუგოთ და კრუხი და წიწილები შიგვე ჩასხათ, რადგანაც დედაზე უკეთესად წიწილებს ვერავინ გამოაშრობს და ვერც ვერავინ გაათბობს, მხოლოდ ყური უგდეთ, რომ წიწილა საბუდრიდამ არ გადმოვარდეს, ან კრუხმა არ გაჭყლიტოს. აგრეთვე საჭირო არ არის საჭმლის მიცემა წიწილებისთვის 24 საათზედ ადრე გამოჩეკის დროდამ. უმთავრესი თქვენი საქმე ამ დროს ის არის, რომ ახლად-გამოჩეკილი წიწილები სრულს მოსვენებაში ამყოფოთ და როგორმე საბუდრიდამ არ გადმოცვივდნენ. არც ის არის

კარგი, რომ ძალით გატეხოთ ხოლმე კვერცხი, ვითომ შემწეობის მისაცემად, რომ წიწილა გამოვიდეს კვერცხიდამ; ასეთი წიწილები სულ ერთია დიდს ხანს ვერ იცოცხლებენ და უმჯობესია ისევ ბუნებას დაუთმოთ აქ ზრუნვა.

საზოგადოთ სამამლედ, სადედლედ და კრუხად გამოსადეგნი არიან: მამალი—4 წლამდის, ქათამი—5 წლამდის; მამალი ინდაური—4 წლამდის; დედალი ინდაური—5 წლამდის; მამალი იხვი—4 წ., მამალი ბატი—4 წ. და დედალი ბატი—8 წლამდის. ამის მერე კი აღარა ღირს ამათი შენახვა, რადგანაც კვერცხსაც ნაკლებს იძლევიან და უნაყოფოსაც. რომ დედალი ფრინველი უნაყოფო კვერცხს არა სდებდეს, ერთს მამალს უნდა მიუჩინოთ არა უმეტეს 10 ქათმისა, მამალ ინდაურს—6 დედალი ინდაური, მამალ ბატს—5 დედალი ბატი და ერთს მამალ იხვს—8 დედალი იხვი. გარდა ამისა აუცილებლად საჭიროა ყური უგდოთ და, როგორც ზევით მოვიხსენეთ, სამამლე და სადედლე ფრინველი უფროდ მუდამ საუკეთესო იყოლიოთ, თორემ შინაური ფრინველი ნელ-ნელა დაგიწვრილდებათ და კვერცხს და სხვა შემოსავალსაც ნაკლებს მოგცემსთ.

VI. წიწილების აღზრდა-მოვლა.

ახლად-გამოჩეკილი წიწილების აღსაზრდელად და თვით გამოსაჩეკათაც უმჯობესია გააკეთოთ პატარა შუშაბანდიანი საქათმო, პატარა ხვრელებით ძირში წიწილების შესასვლელ-გამოსასვლელად და ერთი მოზრდილი კარებით, რომ ქათმების მომვლელს შეეძლოს შიგ შესვლა—დასაგველად თუ სხვა საქმისათვის. წიწილების

შესასვლელ-გამოსასვლელ ხვრელებსაც უნდა ჰქონდესთ თავ-თავიანთი კარები, რომ ღამ-ღამობით და ავდარში შუშაბანდი კარგათ იყოს დაკეტილი.

ასეთი შუშაბანდიანი საქათმო იმით არის კარგი, რომ მზე ყოველი მხრიდამ ათბობს-ანათებს მას და ამიტომ წიწილები მეტად კარგად, ჩქარა და ჯან საღად იზრდებიან.

პირველს კვირას წიწილები სრულიადაც არ უნდა გამოუშვათ გარეთ, თუ ძალიან კარგი დღე არ არის, ავდარში კი ხომ თავის დღეში კარში არ უნდა გამოუშვათ. მეორე, მესამე კვირას შეიძლება გამოუშვათ მხოლოდ მზიან დღეში, მაგრამ არა ადრე 8—9 საათისა დილით, როცა ნამი აშრება. ექვს კვირაში წიწილებს ბუმბული საკმაოდ ამოსდით და აღარც ეშინიანთ სინესტისა და სიცივისა და დედასაც ნელ-ნელა შორდებიან.

წყლის სასმელად უმჯობესია გააკეთებინოთ ამ სურათის მაგვარი თუნუქის ჭურჭელი, რომელიც ყოველ მეთუნუქეს შეუძლიან გააკეთოს სულ რამდენიმე შაურათ. შეიძლება თიხისაც გააკეთებინოთ, თუ სოფელში მეჭურჭლე გყავთ. სიმაღლე საკმაოა ჰქონდეს ნახევარი არშინი, ხოლო ძირს, გვერდზე, მოწყობილი ჯამისა— $1^1/_2$ გოჯი.



ს. 5. წყლის ჭურჭელი.

ჭურჭელი ზემოდამ მუდამ დაცობილი უნდა იყოს პრობკით. ჯამში წყალი გამოულეველად იდ-

ვება, ვიდრე ჭურჭელში ჩასხმული წყალი არ გამოილევა. თქმა არ უნდა, რომ წყალი ყოველ ღღე ახალ-ახალი და სრულიად წმინდა უნდა ჩაასხათ და კვლავ პრობკით დაუცობთ. სასმელი წყალი უნდა მისცეთ წიწილებს მხოლოდ მეორე კვირიდამ, სანამ კი უმჯობესია სასმელათ რძე დაუდგათ ხელმე.

რაც შეეხება საჭმელს, ახლად გამოჩეკილს წიწილებს პირველ 5—6 დღის განმავალობაში უმჯობესია აძლიოთ მხოლოდ მაგრად მოხარშული და წვრილათ დაკეპილი კვერცხი, ყოველ სამ საათში ერთხელ. შეიძლება აძლიოთ ესევე, არეული დანაყილ ფეტვთან და დიჭრილ სალათასთან, წიწმატთან, ჭარხლის ფოთლებთან და ცოტაოდენ ხმელ დანაყილ პურთან ყოველ 4 საათში ერთხელ. 10 დღის შემდეგ კვერცხის ჭმევა შეიძლება მოსპოთ და აჭამოთ თვის ბოლომდის ფეტვის ქაში, დაღერღილი ქერი, პურის ნამცეცები; რამდენათაც მოიზრდებიან წიწილები, ფეტვის მაგივრათ შეიძლება აძლიოთ წვრილ მარცვლიანი პურის ხორბალი, ხოლო შემდეგ ქერი, შვრია, სიმინდი, უგრეხელა და სხვა. მხოლოდ უმჯობესია, დილით ქაშისებური საკვები აძლიოთ და საღამოთი—მარცვლეული, რადგანაც ქაშს მალე ინელებენ და ამით ღამე შიმშილს იგრძნობენ. სამი თვის შემდეგ შეიძლება წიწილები ნელ-ნელა შეაჩვიოთ დიდი ქათმების საჭმელს, მაგრამ ეს უნდა მოახდინოთ ნელ-ნელა, თან-და-თან. კარგია აგრეთვე მოხარშული ბრინჯის ჭმევა, რომელიც წიწილებს ძრიელ უყვართ, თუ, რასაკვირველია, ძვირათ არ დაგიჯდებათ ბრინჯის ძლევა. კარგია აგრეთვე ცოტ-ცოტა ხორცეული საჭმლის და ჭიების ძლევა, მაგრამ ფრთხილათ კი უნდა აძლიოთ ასეთი საჭმელი, რადგანაც წიწილებს და ვარიებს ძრიელ ადვილათ ეშლებათ სტომაქი. თუმცა შეიძლება ძვირათ დაგიჯდესთ ასეთი მოვლა წიწილებისა, მაგრამ მაგიერში

თქვენ ახლო მომავალში მალე ამოიღებთ თქვენს ყოველს ხარჯს, რადგანაც ასე მოვლილი წიწილები მეტად ჩქარა და კარგად იზრდებიან, სულ ოთხ თვეში 6 გირვანქას იწონენ. რბილ საჭმელებში წიწილებს განსაკუთრებით უყვართ სქელი მაწონი, რომელშიაც შეიძლება აურიოთ ქატო, პურის გული და სხვ., მაგრამ მაწონი შეიძლება აძლიოთ მხოლოდ ვარიებს, პატარა წიწილებს კი უჩენს წიწაკს (კორძს ენაზედ). რა წამსაც შეატყოთ, რომ წიწილები თხლათ სკლინტავენ, მაშინკე უნდა შეამციროთ მწვანე და ხორცეული საკვების ძლევა და მხოლოდ ხმელი საჭმელი-და აძლიოთ. საჭიროა ყურადღება მიაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ ზოგიერთ წიწილებს და ვარიებს უკანა ტანთან ისე სქლად ამოსდით ბუმბული, რომ სკლინტისგან ბუმბული ერთმანერთს გაეკვრის, ესენი თავისუფლად ვეღარ სკლინტავენ და ხშირად იხოცებიან კიდეც. ასაცილებლად ამ უსიამოვნებისა, აუცილებლად საჭიროა, რომ მომვლელმა ასეთ წიწილ-ვარიებს ბუმბული მოაკრიჭოს უკანა ტანთან ქვემოდამ. ზოგიერთ წიწილებს მეტად ძნელად ამოსდით ბუმბული, რისგამოც ეს საწყლები ძალიან იტანჯებიან ავდარში სიცივისგან. კვერცხის ნაჭუჭის კენკვა თურმე ძალიან შველის ბუმბულის ამოსვლას და ამიტომ ცუდს არ იზამთ, რომ კვერცხის დანაყილი ნაჭუჭი საჭმელთანაც აძლიოთ და ისედაც დაუყაროთ ხოლმე წიწილებს თუ ვარიებს. თუ ვინიცობაა წიწილებს დედა მოუკვდათ, ანუ ადრე დაანება დედამ შვილებს თავი, საჭიროა სხვა დედა უშოვოთ, რადგანაც 3—4 კვირის წიწილებს ჯერ არ შეუძლიანთ თითონ მოუარონ თავიანთ თავს. ამ შემთხვევაში კოხინხინის ქათმები ძლიერ ადვილათ ითვისებენ სხვა ქათმის წიწილებს და ამიტომ ყოველ წესიერს მექათმეს უთუოთ უნდა ჰყვანდეს ამ ჯიშის რამდენიმე დედალი. ვარიებისათვის $^1/_2$ არშინზედ ზევით არ უნდა გააკეთოთ ქანდარები,

რომ მათ ადვილათ შეეძლოთ როგორც აფრენა ქანდარებზედ, ისე იქიდამ ჩამოფრენა. როცა წიწილები იმდენად მოიზრდებიან, რომ მათთვის საჭირო აღარ არის დედის ზრუნვა, თქვენ შეგიძლიანთ ისინი მოაშოროთ დედას, მაგრამ ვარიები სანამ სამი თვისანი გახდებოდნენ ცალკე უნდა იყოლიოთ, რადგანაც კარგათ გაზრდისათვის ესენი ჯერ კიდევ რჩეულს საკვებს საჭიროებენ. დედის მოშორებასთან ერთად, საჭიროა დააშოროთ ერთმანერთს აგრეთვე მამალი ვარიები დედალ ვარიებისგან, რადგანაც ვარიები ძლიერ ადრე იწყობენ ჰეპლვას და ეს კი მათის წესიერის გაზრდისათვის ძლიერ მავნებელია. შემოდგომის დასაწყისს მომავალ დედლებად და კრუხებად უნდა შეინახოთ მარტო მარტისა და აპრილის საუკეთესო ვარიები, რადგანაც ასე ადრე გამოსული წიწილები ზამთრამდის საკმაოდ მოიზრდებიან და სიცივეს და ზამთარს ადვილად გაუძლებენ და დანარჩენები გასაყიდად, დასაკლავად და გასასუქებლად უნდა გაამზადოთ.

ქათმების ჯიშები.

ჩვენში ქათამი იწონს ორ-სამს გირვანქას და ამიტომ, რა თქმა უნდა, ასეთი ჯიშის ქათმის მოშენებას ბევრი ვერაფერი სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს ჩვენს მეოჯახეს. სულ სხვანაირად არის საქმე მოწყობილი განათლებულს ხალხებში.

იქ მექათმეობა დღეს ისეა წარმატებული, რომ იშვიათია ქათამი, რომ 7—10 გირვანქაზე ნაკლებს იწონდეს. რასაკვირველია, შეიძლებოდა ჩვენი საკუთარი საუკეთესო მამალ-დედალი ქათმების შერჩევითაც გავაუმჯობესოთ ჩვენი ქათმები, მაგრამ ეს მეტს დროს, ცოდნას და მოთმინებას ითხოვს და ამიტომ უმჯობესი იქნება, რომ ჩვენმა თანამემამულეებმა უკვე ცნობილი ჯიშების

მამალ-დედლები შეიძინონ და ამ გვარად ერთი ორად და სამად უფრო ჩქარა გააუმჯობესონ თავიანთი ქათმები. მოგვყავს აქ მოკლეთ საუკეთესო ჯიშების აღწერა და მათი სურათები:



ს. 6. კოხინხინის ჯიშის ქათმები.

ამ ქათმების სამშობლო არის ჩინეთი, შანხაის მიდამონი. მოზრდილი მამალი იწონს 8—10 გირვანქას, ხოლო დედალი—7½ გირვანქას. მოყვითალო ფერისაა, თუმცა ახლა სხვა ყოველგვარ ფერისასაც შეხვდებით. კვერცხი მსხვილები არ იცის, მაგრამ მაგიერში, ამ ჯიშის ქათმები კვერცხს ყოველ დღე სდებენ რამდენიმე

კვირის განმავალობაში, იმ დრომდის, სანამ მოკრუხდებიან კიდეც. კოხინხინის ქათმები ძლიერ ბევრს კვერცხს სდებენ და ადვილათაც კრუხდებიან, მაგრამ გადააკრუხებთ თუ არა, რამდენიმე კვირის შემდეგ კვლავ იწყობენ კვერცხის დებას. კოხინხინის ქათმები საზოგადოთ საუკეთესო კრუხები და დედები არიან და ამ მხრით მათ ბადალი არა ჰყავთ, ასე რომ თვით სხვა კრუხის წიწილების მოვლა-პატრონობასაც კი ძლიერ ადვილათ ტვირთულობენ. მასთან მათი წიწილები საკმაოდ დიდს სიცივესაც კარგათ იტანენ და კარგი საჭმლით ძლიერ ადვილათაც სუქდებიან. ამ ჯიშის ფრინველი უმჯობესია პირველი ორი წლის განმავალობაში შეინახოთ კვერცხის სადებად და შემდეგ კრუხებად იხმაროთ, სანამ, დასასრულ, სიმსუქნისგან ის გამოსადეგი არ გახდება დასაკლავად, ხორცი ფრიად გემრიელი აქვს.



ს. 7. ამერიკასული ქათმები ანუ ბლიმუტ-როკი.

წონით კოხინხინებზე ნაკლებია, მაგრამ გამძლე ფრინველია, არ ეშინიან სიცივისა. მამალი იწონს 8—9

გირვანქას, დედალი 6—8 გირვანქას. სდებენ ბევრს კვერცხს, წელიწადში 180-მდის. ხორცი გემრიელი აქვთ და მალეც სუქდებიან. კარგია აგრეთვე განახლება ჩვენი ქათმებისა ამ ჯიშით.



ს. 8. ინგლისური ქათმები დორკინგის ჯიშისა.

ლამაზი და სხვილი ჯიშის ქათამია; მამალი იწონს 10—11 გირვანქას, დედალი სდებს კვერცხს ზომიერად, მაგრამ სხვილს და კრუხადაც კარგია. წიწილები პირველ ხანში სუსტები არიან ხოლმე და ამიტომ დილით არ უნდა გაუშვათ გარეთ. ხორცი თეთრი, ცვრიანი და ძლიერ გემრიელი იცის. კარგად სუქდება.



ს. 9. ესპანური ქათმები.

საუკეთესო ქათმებია. მამალი იწონს $7^1/_2$ გირვანქას, დედალი — 6 გირვანქას. სდებენ ძრიელ სხვილ კვერცხს, მაგრამ თითქმის სრულიად არ კრუხდებიან. დაიწყობენ კვერცხის დებას თუ არა, სამ-ოთხ დღეს დასდებენ, შემდეგ ცოტა ხანს შეისვენებენ და კვლავ იწყობენ კვერცხის დებას, ასე ვიდრე შემოდგომის გასვლამდის. დიდს სიცივეში არ უნდა გამოუშვათ ხოლმე კარში. ხორცი სასიამოვნო გემოსი აქვთ.



ს. 10. ფერხგული ქათმები, ბარიზული.



ს. 11. ფერხგული ქათმები, კრევკერის ჯიშისა.

ფრანგულს ქათმებში აღსანიშნია: 1) **ბარაზული**, მშვენიერი, თეთრი, ლამაზი. სდებენ საკმაოდ ბლომად კვერცხს და კარგათაც სჩეკავენ წიწილებს, და 2) **კრევკული**, ზორბა ტანის ქათმებია (3/4 არშინამდის სიმაღლით), მამალი იწონს 8—10 გირ. დედალი 8—9 გირვანქას. ხორცი ნაზი და გემრიელი აქვთ. კვერცხს უხვად სდებენ, ძნელად კი კრუხდებიან, წიწილები ჩქარა და ადვილათ იზრდებიან.

VIII. დამატებითი ცნობანი.

ქათმის გასასუქებლად ხმაროობენ ფქვილს, ხორცს, ქონს, რძეს, დაღერღილს ქერს, ფეტვს და განსაკუთრებით მოხარშულს სიმინდს. გასუქების ბოლო ხანებში საჭმელი შეიძლება ძალით ჩასჩაროთ ხოლმე პირში, თუნდაც რომ ქათამს არა შიოდეს. გასასუქებლად საკმაოა 2—6 კვირა. მთელი ამ ხნის განმავლობაში გასასუქებელი ქათმები ნახევრად ნათელს და სუფთად შენახულს საქათმოში უნდა იყოლიოთ .დამწყვდეული.

ქათმის დაკვლა ბაზრისთვის.

როგორ ჰკლავენ ქათამს ჩვენში, ყველამ ვიცით. მაგრამ, რადგანაც კისრის გადაჭრა ანუ თავის სრულიად მოჭრა ბევრს სანახავად ეჯავრება, ამიტომ უმჯობესია ისე დავკლათ ხოლმე, როგორც ეს საფრანგეთში იციან, სადაც ყოველ დღე ათი-ათასობით ხოცავენ ქათმებს, რათა გააძლონ პარიჟი. იქ გაუღებენ ხოლმე ქათამს პირს და სასის უკან რომ ორი მფეთქავი ძარღვია, ამას მჭრე მაკრატლით გადაუჭრიან. ან 2) ატაკებენ მჭრე წვეტიანს

დანას პირიდამ ტვინში; როცა სისხლის დენა შესწყდება, პირს და თავს კარგათ გამოჰბანენ ძმრით. ამ გვარათ დაკლული ქათამი უფრო მალეც კვდება, ვიდრე ჩვენებურათ დაკვლით და არც გაჭრილი ადგილი უჩანს ფრინველს. დასაკვლელი ქათმები საზოგადოთ ღამით უნდა დაიჭიროთ და დილით უჭმელნი დახოცოთ და არა ნაჭმევები. დაკლული ქათამი მაშინვე უნდა გამოშიგნოთ უკანა ტანიდამ, მაგრამ ფრთხილათ კი, რომ ტანი არ გაუგანიეროთ. უმთავრესი ნაწლევი ფრთხილათ უნდა გამოსწიოთ, მას მოჰყვება სხვა ნაწლავები და ბოლოს ღვიძლი და კუჭი, რომელიც ქათამს ზედ უნდა შეარჩინოთ. გამოღებული შიგნეულის მაგივრათ, ქათამს მუცელში სუფთა რბილი ქაღალდი უნდა შასცენოთ, რომ ქათამმა თავისი ფორმა არ დაკარგოს. შემდეგ, სანამ ქათამი თბილია, ფრთხილად უნდა გაპტყნათ, რომ კანი არ გაუფუჭოთ. ბაზრისთვის შეგიძლიანთ დასტოვოთ ცოტ-ცოტა ბუმბული თავზე, ფრთების ბოლოებზე და კურტუმთან. ჩვენში გაპტყვნა ცხელს წყალში ჩასვლებით იციან, მაგრამ ეს კარგი არ არის, რადგანაც, ერთი, რომ ასე გაპტყვნილი ქათამი უფრო ადვილათ იხრწნება, და მეორე, —ცოტაოდენ გემოს და სინოყივრესაც ჰკარგავს. გაპტყვნის მერე კარგია მოტუსოთ სპირტის ლამპაზედ, რომელმაც ჭვარტლი არ იცის. ამ აზრით საფრანგეთში თვით ღორებსაც კი არ ახმარებენ ცხელს წყალს და მარტო ცეცხლზედ სტუსავენ.

ფრინველის შემზადება გასაყიდად.

გარდა იმისა, რომ ფრინველის ხორცს ახლად დაკლულს ხმაროობენ, მას შესანახადაც ამზადებენ —მოყინვით, დამარილებით, ბოლში გამოყვანით, წნილად ჩადებით და სხვ.

მოყინვა: გაპტყვენით და გამოშიგნეთ ფრინველი

როგორც ვსთქვით, ამოავლეთ ცივს წყალში და გამოჰკიდეთ სიცივეზე. საყინულეზე ასეთი ფრინველი გაუფუჭებლად გასძლებს რამდენსამე თვეს.

დაძარღვება იხვებისა და ბატებისა. გაპტყვნილი, გამოშიგნული და კარგათ გარეცხილი იხვები და ბატები გასჭერით ოთხათ, მოაყარეთ კასრს ძირზედ მარილი და ჩააწყეთ ერთი რიგი ხორცი; მერე მოაყარეთ კიდევ მარილი და კვლავ ნაჭრები დააწყეთ, ასე სანამ სულ ჩააწყობდეთ. ორი დღე-ღამის შემდეგ ამოიღეთ ნაჭრები და სტოლზედ გაფინეთ, რომ წვენი დაედინოს; შემდეგ გააცხელეთ დაკლულ ფრინველებისაგანვე მიღებული ქონი, ჩააწყეთ შიგ ეს ნაჭრები დი ნელ ცეცხლზედ 'გედგეთ 1—2 საათი, რომ, რაც ხორცში წყალია, სულ აორთქლდეს. მერე ამოიღეთ, გააცივეთ, ჩააწყეთ ქილებში, მოასხით თავზე მოთბო ქონი და მოაკარით პირს ბუშტის ტყავი ანუ სპირტში ამოვლებული ქაღალდი.

ლორის გამოუვანა: ჩადეთ ერთი დღე-ღამით წყალში, შემდეგ ამოიღეთ და წაუსვით მარილი გვარჯილასთან არეული, მოაყარეთ ქატო, შეხვიეთ შესახვევ ქაღალდში და გამოჰკიდეთ ცივს ბოლზედ ორი-სამი კვირით.

წნაღად ჩადება ინდაურისა, ბატებისა და იხვებისა. შეწვით მოხსენებული ფრინველები ჩვეულებრივათ, გააციეთ, დასჭერით ნაჭრებათ, ჩააწყეთ ბანკაში და ზედ დაასხით თავამდის დაფნის ფოთლით, ბაჰარით და პილ-პილ-მარილით აღეულებული არა მაგარი ძმარი, რომელიც ჯერ კარგად უნდა გააციოთ

ბუმბულის შენახვა.

ბუმბული უნდა გააცალოთ ფრინველს დაკვლის უმალ, გააშროთ ფეჩთან და ჩაყაროთ პარკებში შესანა-

ხად, რადგანაც ბუმბულს მუდამ კარგი ფასი აქვს, ასე რომ საზღვარ გარეთაც კი გააქვთ. ასე უნდა მოაგროვოთ და შეინახოთ არა მარტო ყუვსავით წმინდა ბუმბული, თვით სხვილი ბუმბულიც და ცალკე ფრთებიც, რომლებიც სცვივა ფრინველს, რადგანაც ყველაფერს ამას ფასი აქვს და ხმარობენ ქალების შლიაპების მოსართავად.

ფრინველის სკლინტი, როგორც სასუქი.

სკლინტი ძლიერ კარგია ბოსტნებისთვის, ვენახებისთვის, ბალჩებისთვის, სელისთვის, თამბაქოსთვის, ხეხილისთვის (ვაშლის და მსხლისათვის) და ბევრ სხვა მცენარისთვის. სხვა ქვეყნებში ფრინველის სკლინტი ძალიან ძვირათ ღირს; იქ მას ხმარობენ ან ფქვილათ, რომელსაც ურევენ მიწას და ასე აყრიან ნიადაგს, ან ხსნიან 10 ნაწილ წყალზედ ერთს ნაწილს სკლინტს და ამით რწყავენ მცენარეებს. ფრინველის სკლინტი ისეთი ღონიერია, რომ ერთს დესეტინას ეყოფა მარტო 100 ფუთი; ეს რიცხვი მიწას ორ ჯერად უნდა მოაყაროთ: ერთი მოხვნის წინ, რომ ხვნაში მიწაში აირიოს და მეორე დათესვის შემდეგ, როცა ის პირდაპირ უნდა მოაყაროთ ნათესს.

ახლად მოყვანილი ქათმების მიჩვევა.

თუ საიდამვე მოიყვანეთ ახალი ქათამი, მაშინვე ნუ გაუშვებთ სხვა ქათმებში, რადგანაც ჩხუბს აუტეხენ, არამედ დასვით მათთან ერთად ქანდარაზედ ღამით. ასეთს სტუმარს ქათმები დილით უფრო თავაზიანათ ეექცევიან. თუ ზოგიერთი მამლები ძალიან მოუსვენარი და მეჩხუბრები არიან, რამდენიმე ხნით ბნელს ადგილას დაამწყვდიეთ და ჩხუბს გადაეჩვევიან.

კვერცხების დება.

თუ ეზო დიდი გაქვთ, ქათმები ხშირად კვერცხს იქ არა სდებენ, სადაც საბუდარი აქვთ, არამედ სადმე შიმალულ ადგილას. რომ გადააჩვიოთ ქათმები კვერცხების მოპარვას, საჭიროა საეჭვო ქათმები ყოველ დღე ფრთხილათ გასინჯოთ და თუ დრო აქვს კვერცხის დადებისა, დაკეტეთ საბუდარში. ხოლო, რომ დედალმა უფრო ჩქარა დადოს კვერცხი, წაუსვით უკანა ტანზედ მარილი, ქავილი აიძულებს ქათამს მალე დადოს კვერცხი.

სისხლის განახლება.

თუ გინდათ, რომ თქვენი ქათმები მუდამ უკეთესდებოდნენ, ყოველ ორ-სამ წელიწადში ერთხელ, უთუოთ ახალ-ახალი საუკეთესო ჯიშის მამლები მიეცით ხოლმე თქვენს დედლებს, რადგანაც ცნობილია, რომ ცხოველებშიაც და ადამიანებშიაც, თუ ახლო ნათესავები უერთდებიან ერთმანეთს, შთამომავლობა მათი მარად სუსტი, ავათმყოფი და ხშირად მახინჯიც კი გამოდის ხოლმე.

კვერცხების შენახვა.

ზაფხულში კვერცხი ბევრი და იაფია, ზამთარში ცოტა. ამიტომ ურიგო არ იქნება იცოდეთ კვერცხის კარგათ შენახვა. ბევრს სწერენ ათას გვარ საშუალებებზედ კვერცხის დიდს ხანს შენახვისთვის, მაგრამ მომეტებული მათგანი ან სიცრუეა, ან ძნელი ასასრულებელი. საუკეთესო და ადვილი საშუალება ის არის, რომ მშრალ და გრილს ოთახში უნდა გამართოთ საკვერცხე თაროები; თაროებში გაკეთებული უნდა იყოს სწორეთ

იმოდენა ხვრელები, რაც კვერცხი ჩაეტევა; თვითეული ხვრელი იმ სიშორეზე უნდა იყოს ერთმანეთზე, რომ კვერცხი კვერცხს არა ხედებოდეს. კარგია აგრეთვე ზეითუნის ზეთის წასმა კვერცხებზე ფლანელის ნაჭრით. საფრანგეთში 280 კვერცხის წასმა ჯდება 2 კაპეიკამდის; ერთს ქალს ანუ დედაკაცს დღეში შეუძლიან წაუსვას 3000 კვერცხს. რომ კვერცხი ჩამოუვარდეთ და არ გატყდეს, წამსმელის წინ გაშლილი უნდა იყოს მოსქოლ ჩული ანუ ქეჩა. კარგია აგრეთვე გაცრილი ნაცრიდ შენახვა ყუთებში, ისე კი, რომ ყოველი კვერცხი ცალკე იდოს ყუთში.

ქათმების სნეულებანი.

მუდამ უნდა ეცადოთ წინათვე აარიდოთ ქათმებს ავათმყოფობა, რადგანაც ეს უფრო ადვილია, ვიდრე მერე მათი წამლობა. შმორიანი გაფუჭებული საჭმელი, უსუფთაო წყალი, ჭმევა გაუნელებელი მოხარშული მარცვლისა და კარტოფილისა, აი უმთავრესი მიზეზები შინაურ ფრინველების ავათმყოფობისა; შემდეგ მავნებელია აგრეთვე დიდი სიცივე, საქათმოს უსუფთაობა და სინესტე. თუ პატრონი ეცდება ყველა ეს შეძლებისა კვალად ააცილოს თავისს ქათმებს, დარწმუნებული იყოს, რომ ქათმები იშვიათად გაუხდება ავათ. განსაკუთრებით სიფრთხილით უნდა მოექცეთ შორიდამ მოყვანილ ქათმებს და ნელ-ნელა შეაჩვიოთ ისინი ჩვეულებრივს ქათამს, რადგანაც შორი გზის გამო ესენი თითქმის გადაეჩვევიან ხოლმე წესიერს ჭამა-სმას. ამ შემთხვევაში და ისედაც ძლიერ სასარგებლოა ჩაუგდოთ ხოლმე სასმელ წყალში ჟანგ-მოკიდებული ლურსმანი. როდესაც ატყობთ, რომ ქათმები მოწყენილათ და დაქანცულებსავით არიან, კარგია დაუყაროთ წვრილათ დაჭრილი ნიორი ანუ ხახვი ერბოში ამოვლებული და ქათმები მალე სრულიად გამო-

ცოცხლდებიან. თუ ქათამი ხშირად კრუხავს, გაღასაკრუხებლად საუკეთესო საშუალებაა დაამწყვდიოთ ის ახალგაზდა მამალთან ერთად; გამუდმებული ალერსი მამლისა მართლაც მალე გადააკრუხებს ხოლმე დედალს. ამ დროს კარგი საჭმელი და კვერცხის ნაჭუჭი საკმაოდ უნდა აძლიოთ. ჩვენში რომ წყალში ჩაშვება იციან კრუხისა, თუ ციკი დარია, კარგი იმით არ არის, რომ შეიძლება ქათამი გაცივდეს და ქარები და ტეხა შეიძინოს ამით. ქათმების ავათმყოფობათა შორის აღსანიშნია:

1) **წაწკი ანუ ანდღი**, კორძია ენის წვერზე, წარმოსდგება ცხელი კარტოფილის ჭმევისგან ანუ გაციებისგან წარმომდგარ ყელის ტკივილისგან, რის გამოც ქათამი თითქო უსტვენსო. ამ სენით ავათმყოფი ქათამი მოაშორეთ სხვა საღ ქათმებს და აძლიეთ მხოლოდ რბილი საჭმელი.

2) **ქათმის ხოლერა**, როგორც ადამიანის ხოლერა, უეცრად გაჩნდება და სულ მუსრს გაადენს ხოლმე ქათმებს. ამ სენით ავათმყოფი ქათამი მოწყენილია, ფრთა ჩამოშვებული, სწრაფათ ხდება და გრძნობს საშინელს წყურვილს, რისგამოც ჩიჩახვში წყლის მეტს ვერას უნახავთ და თავი რომ დაუხაროთ, პირიდამ მაშინვე მყრალი წყალი წამოუვა. ქათმებს ამ დროს ფალარათობაც ემართებათ. შეამჩნიოთ თუ არა ეს სენი, და საზოგადოთ სხვა ყველა სენით შეპყრობილი ქათამი, მაშინვე მოაშორეთ კარგა მყოფ ქათმებს, რითაც თქვენ სათავეშივე მოსპობთ ყოველგვარ სენს.

თვალების ანთება წარმოსდგება გაციებისგან, რისგამოც ქათამს იმავ დროს სურდოც აჩნდება, წყლის გამოცვლისაგან, შმორიანი, გაფუჭებული საჭმლისგან. ამ სენის დროს ქათამს თვალები უსივდება და ეწირპლება, ეკვრება, რისგამოც ძალიან ხდება და მალეც კვდება, თუ არ უშველით. შეამჩნიოთ თუ არა ქათამს თვალების ტკი-

ვილი, მაშინვე დააშორეთ სხვა ქათმებს და დღეში რამდენჯერმე მოჰბანეთ თვალები ბორნის სიმჟავის წყალით (ერთი ჩაის კოვზი ერთ ჩაის სტაქან ადუღებულ წყალში გახსნილი და გაცივებული) .და რამდენიმე წვეთი შიგ თვალებშიაც ჩაუშვით. კარგია აგრეთვე ტყვიის წყლით თვალების მობანვა.

ფაღარათობა. წარმოსდგება გაციებისგან ანუ მეტი ჭამისგან, მეტადრე ხორცეული საჭმლისა ანუ მატლებისა. (აამწყვდიეთ თბილს ოთახში და შეუცვალეთ საჭმელი.

ჩიჩახვის გამაგრება. წარმოსდგება მარტო ხმელი მარცვლეული საჭმლის ძლევისგან. დაალევინეთ რამდენჯერმე სასაქმებელი ზეთი და თუ ამან არ უშველა, მიეცით ცოტა გოგირდი ერბოში არეული და ამის მერე აძლიეთ ჩვეულებრივი საჭმელი ერთად მწვანე და რბილ საჭმელთან. თუ ქათამმა ჩაყლაპა რაიმე სრულიად მოუნელებელი ნივთი, გაუჭერით ჩიჩახვი, გამოუსუფთავეთ, კვლავ გაუკერეთ აბრეშუმის გასანთლულის ძაფით. 12 დღეზე გაჭრილი ადგილი გაუმთელდება.

მუწუკები ჯიჯილიბოზე ანუ ტანზე, წაუსვით გოგირდის მაზი ანუ რომელიმე ზეთი და მორჩება.

ნეკრესის ქარება, აჩნდება მარტო მამლებს, მეტადრე ესპანიურ ჯიშისას, წარმოსდგება გაციებისა და სინესტისგან, ამის წამალი სითბოში ყოფნაა.

წყალ-მანკა, ემართება უფრო ბებერ, მსუქან ქათმებს, რომლებსაც სიმსუქნე ნელ-ნელა ისე უწყალდებათ, რომ წყალ-მანკად ექცევათ. ამის წამალი ის არის, რომ ქათამი ამ ყოფამდის არ მიიყვანოთ და თავის დროზედ დაკლათ.

მწერები — ტილები, ტკიპები და სხვანი თუ ძალიან გამრავლდნენ, ესენი ისე აწუხებენ ქათმებს, რომ იხოცებიან კიდეც. წაუსვით თავზე და სხვა ადგილას, სადაც

მწერი ახვევიათ, თევზის ქონი, ანუ რწყილის წამალი, რომლის სუნიც ძალიან ეჯავრებათ მწერებს და ქათმები მალე მორჩებიან. მაგრამ, რომ ერთხელ და სამუდამოთ დაიხსნათ ქათმები ამ დაუპატიჟებელ სტუმრებისგან, საჭიროა სამაგალითო სისუფთავე დაიცვათ საქათმოში. ზაფხულში უმჯობესია გაუმართოთ ქანდარები სადმე ღია ჰაერზე, რითიმე წამოფარებულ სახურავის ქვეშ.

უკანა ტანადამ დიდი ნაწლეგის გამოვარდნა, ემართებათ მარტო დედლებს, როდესაც ესენი სდებენ, ანუ უნდა დადონ, დიდი კვერცხი. ნაწლევ გამოგდებული ქათამი უმჯობესია დაკლათ, რადგან მორჩენა ძნელია.

რბილ ნაჭუჭიანი კვერცხის დადება. თუ ქათამა ისეთ ადგილას გყავთ დამწყვდეული, რომ ვერსაიდამ ჰკენკავს კირს, ის უნაჭუჭო კვერცხს დასდებს. ამიტომ ქათმებს დროგამოშვებით უთუოთ უნდა დაუყაროთ ხოლმე ეზოში თუ საქათმოში კირი და ქვიშა, ანუ თითონ კვერცხის დანაყილი ნაჭუჭი. მთელი ნაჭუჭები კი არასოდეს არ უნდა გადაუყაროთ ხოლმე, რადგანაც ამით ესენი დაეჩვევიან მთელი კვერცხის ჭამასაც.

IX. ცესარკა.

ნაცრის ფერი ფრინველია, ფრთხალი, მაღლა და შორს დაფრინავს, ხმა ვერა აქვს სასიამოვნო, მასთან ვერ ურიგდება დანარჩენ ფრინველებს და მუდამ ეჩხუბება მათ, ძნელათ ეჩვევა საბუდარს და ხშირად პირდაპირ მიწაზედ ჰყრის კვერცხებს, მაგრამ, რადგან იგი იმავ დროს ბევრს და ძლიერ გემრიელს კვერცხებს იძლევა, რომელიც ვაცილებით სჯობია სხვა ფრინველების კვერცხს და თან ახალგაზდა ნაჭმევი ცე-

სარკის ხორცი მშვენიერია შემწვრად, ამიტომ მეტი არ იქნება, რომ მისთვის ცალკე განყოფილება იქონიოს კაცმა. რაც შეეხება წიწილების გამოჩეკას, რადგანაც თითონ ცესარკა კარგათ ვერ ჩეკავს, უმჯობესია მისი კვერცხები ქათმებს ანუ ინდაურს გამოაჩეკინოთ. ცესარკის წიწილები კაკბებსა ჰგვანან, ფრიად ნაზნი არიან და ამიტომ პირველს ხანებში ისეთივე სიფრთხილით უნდა მოუაროთ და აჭამოთ მათ, როგორც ზემოთ ქათმების წიწილებზე დავწერეთ.

X. ინდაურები.

ინდაური ამერიკის შვილია და პირველად იქიდამ გივრცელებულა მთელს ქვეყანაზედ. ყოველ-გვარი ფერისაა, მაგრამ შავი ყველას სჯობია, რადგანაც დიდია და ადვილათაც იზრდება. ინგლისელ მექათმეთა აზრით დედალი ინდაური შეიძლება შეინახოთ 4 წლამდის, ხოლო მამალი ორ წელზე ზევით არ ვარგაო. ერთს მამალს უნდა მიუჩინოთ 4—6 დედალი ინდაური. ინდაურები წელიწადში ორჯელ ჩეკენ ჭუკებს, მაგრამ საუკეთესოა პირველად გამოჩეკილები აპრილის გასულს ანუ მაისის დასაწყისს, ამის შამდეგ გამოჩეკილი ჭუკები სუსტი და წვრილია ხოლმე. ინდაური სდებს კვერცხებს დღე გამოშვებით, იშვიათათ ზედიზედ, წელიწადში სდებს სულ 12—24 კვერცხს. ინდაურებს არ უყვართ დანიშნულ საბუდარში კვერცხის დება, ამიტომ ის შუადღემდის უნდა დაამწყვდიოთ ხოლმე, თორემ კვერცხს სადმე ბალახებში ანუ ღობის ძირას დასდებს. ინდაურის კრუხს უნდა დაუდვათ 13—15 კვერცხი. ზის კვერცხებზედ 28 დღეს და, ისე ბეჯითად, რომ თუ საჭმელი ახლო არ დაუდგით, სიმშილით მოკვდება. სადაც კრუხი

ინდაური გიზით, მამალი ინდაურები არ უნდა მიუშვათ ხოლმე.

როდესაც ჭუკები გამოიჩიკებიან, პირველ დღე-ღამეს დედის ქვეშ უნდა დასტოვოთ, რომ კარგათ გათბნენ და გამოშრნენ; საზოგადოთ ინდაური სულელი ფრინველია და ამიტომ დიდი ყურადღება უნდა იქონიოთ მათზე. წვიმა და საზოგადოთ ავდარი სასიკვდილოთ მოქმედებს მათზე და ამიტომ არასოდეს ავდარში ისინი გარეთ არ უნდა გაუშვათ. ასევე მავნებელია მათთვის სიცხე და ამიტომ კარში ისინი უნდა გამოუშვათ ხოლმე ნამის შეშრობის შემდეგ, დილის 10—11 საათამდის და შუადღის მერე 4-დამ 7 საათამდის, გრილს დშეში კი შეიძლება მთელს დღეს იყვნენ კარში. პირველი საჭმელი ჭუკებისთვის არის მაგრად მოხარშული კვერცხი პურის ნაფხვენში ანუ ქაშში და ქერის თუ შვრიის ფქვილში და აგრეთვე დაკეპილ მწვანილში—ჭინჭარში, ხახვში და მისთანებში არეული, ხოლო როცა ჭუკები კორდზე დაგიდისთ, მწვანე საჭმელი საჭირო აღარ არის... მოხსენებულის საჭმლის მაგივრათ, პირველ ორ-სამ კვირაში შეიძლება აძლიოთ ერთი მესამედი—დაკეპილი კვერცხი, ჭინჭარი, აბზინდა და არასა $^2/_3$ მაწონში არეული. პირველს 8 დღეში უმჯობესია სრულიად არ გამოუშვათ ჭუკები კარში, ხოლო სადგომი მათი ხშირათ უნდა გაანიავოთ, დაასუფთაოთ, საჭმელი ყოველ 2 საათში აძლიოთ და შემდეგ ყოველ 3 საათში, მაგრამ უთუოდ ერთ და იმავე საათში. ამბობენ, რომ ინდაურები უფრო ჩქარა იზრდებიან, როცა ორი თვის შემდეგ მათ ქანდარებზედ დასხამთ; ამას თითონაც სიამოვნებით იქმენ, თუ, რასაკვირველია, გაუმართავთ ქანდარებს. საჭიროა მოარიდოთ ყოველი საშუალებით ჭინჭარს, რადგანაც ჭინჭრისგან ჭუკები ისე ისუსხებიან თავში, რომ იხოცებიან. ამიტომ უმჯობესია, სადაც ინდაურები გყავთ, იქ

ჭინჭარი არ გააჭაჭანოთ, გათიბოთ ხოლმე და ცხენებს თუ ფურებს აჭამოთ.

საშიშო ხანა ინდაურების ცხოვრებაში არის წითელი კორძების ამოსვლის დროს, ესე ოთხი თვის დროს; თუ ჭუკებს ამ დროს კარგი თბილი დარები შეხვდათ, ხომ ადვილათ იტანენ ამ ხანას, თუ ცივი, ნესტიანი დარი შეხვდათ, ბევრი იხოცება, თუ, რასაკვირველია პატრონმა არ იცის და თბილს სადგომში არ ამყოფა და კარგი საჭმელი არ აძლია. ამ დროს კარგია მათ საჭმელს მიუმატოთ ხოლმე ხორცი, ქონი და ფქვილი სიმინდისა თუ პურისა ,და სხვ. როდესაც ჭუკები გადასცილდებიან ოთხს თვეს, ისინი ახლა ყველა შიშს გარეშე არიან, აღარ საჭიროებენ ისეთს ბეჯითს მოვლას და შეუძლიანთ მთელს დღეს ოითონვე მოუარონ თავიანთ თავს და საჭმელიც თითონ იშოვონ მინდორში და კორდებზე, სადაც ხარბათ აწყობენ ლოკოკინებს და ყოველგვარ ჭიებს.

ინგლისში დასაკლავ და გასასყიდ ინდაურებს საგანგებოთ არასოდეს არ ასუქებენ, როგორც ეს ქათმებს სჭირიათ; მხოლოდ დაამწყვდევენ არა დიდს შენობაში და გარდა მოხარშულ კარტოფილისა და მწვანილისა, ურომლოთაც მათ გაძლება არ შეუძლიანთ, აძლევენ წყალში, ანუ, რაც უფრო უკეთესია, რძეში აზელილს მაგარს ცომს, სანახევროდ სიმინდის და ქერის ფქვილიდან შემზადებულს და ისე აჭმევენ, რომ ფეხებით და სკლინტით არ მოსვარონ საჭმელი. უნგრეთში ინდაურს ასუქებენ მარტო სიმინდით, რომელიც საზოგადოთ საუკეთესო საკვებია ფრინველების გასასუქებლად. საფრანგეთში, პირიქით, არ კმაყოფილდებიან ასეთი თავისუფალი ჭმევით და ინდაურებს ხელოვნურადაც ასუქებენ; ამისათვის ინდაურებს ამწყვდევენ მშრალს, გრილს, არა ძალიან ნათელს შენობაში, და აძლევენ მათ ბლომათ მოხარშულს კარტოფილს, არეულსა ქერის, უგრეხელის,

სიმინდის ანუ ლობიოს ფქვილში. საღამოზედ დარჩენილს საკვებს მეორე დღეს აღარ აჭმევენ, რადგანაც იგი დამჟავდება და ინდაურები აღარ სჭამენ. ორი-სამი კვირის შემდეგ ასეთის კვებისა, აკეთებენ ქერის ფქვილის მაგარს ცომს ანუ მოხარშული სიმინდის გუნდებს და ძალათ სჩრიან პირში. ჭმევის დროს კარგია აძლიოთ აგრეთვე ქვიშა, რომელიც ჰშველის მონელებას. ორი წლის ინდაური ასე გასუქების მერე იწონს 20—30 გირვანქას.

XI. ხოხობი.

ილეზიასა და ბოჰემიაში ხოხბებს ასე ამრავლებენ: კვერცხებს აჩეკინებენ ინდაურს ისევე, როგორც ქათმის კვერცხებს. ახლად გამოჩეკილი ხოხბები პირველ 8 დღის განმავალობაში დამწყვდეული ჰყავთ საქათმოში და აჭმევენ დაკეპილ კვერცხს პურის ფქვილში არეულს და 8 დღის შემდეგ კი უშვებენ კარში მზიან დღეში. შემდეგ ხოხბებს აძლევენ სხვა საჭმელსაც—ფეტეს, ჭინჭველების კვერცხებს, ცომს, ხოლო როცა იმდენად მოიზრდებიან, რომ ქანდარაზე ჯდომა შეუძლიანთ, დღეში აძლევენ საჭმელს მხოლოდ სამჯერ—პურის ხორბალს და ქერს სანახევროდ ერთმანეთში არეულს. ღვინობისთვემდის ხოხბები იმდენათ მოიზრდებიან, რომ შეიძლება დაჭკლათ კიდეც და იხმაროთ საჭმელათ თუ გასაყიდად, უფრო კი მამლები.

XII. იხვები.

ხვის მოშენება და შენახვა ყველა სხვა ფრინველზე ადვილია, თუ გაქვთ წყალი. თუ მდინარე

წყალი არა გაქვთ, საკმაოა გაუმართოთ აუზი. სადაც პატარა თევზებია წყალში, იქ იხვი არ უნდა გააწაწალოთ, რადგანაც სულ გასწყვეტავს, დიდს თევზებს კი ბევრს ვერაფერს აკლებენ. არ ვარგა მათი გაშვება აგრეთვე ისეთს წყალში, სადაც წურბელებია, რადგანაც ესენი ისე მაგრათ მიეკვრებიან ხოლმე იხვებს ფეხებზედ, რომ იხვები იხოცებიან; წურბელების გასაწყვეტათ აუზებში შეიძლება შეუშოთ სხვილი თევზები და განსაკუთრებით ქარიყლაპია თევზი (შჩუკა). ბაღებისთვის და მინდვრებისთვის, სადაც ბლომათ იცის ლოკოკინა და ჭიები, იხვები ძლიერ სასარგებლოა, რადგანაც ესენი ხარბათ აწყობენ მათ. საიხვო შენობა ისეთივე უნდა, როგორც საქათმო, არ უნდა მარტო ქანდარები, რადგანაც იხვი მუდამ მიწაზე ჯდება. იხვი იწყებს კვერცხის დებას მარტში და ათავებს თიბათვის დასაწყისში, ხოლო ყური უნდა უგდოთ, რომ დანიშნულს ადგილს სდებდეს, რადგანაც იხვს ძალიან უყვარს კვერცხის მოპარვა, მიფარება. იხვი სდებს 60 კვერცხამდის და რადგანაც ყველას გამოჩეკა თითონ არ შეუძლიან, შეიძლება ქათმის კვერცხებს დაუდოთ, 12—13 კვერცხი, და ინდაურებს —15—18, მაგრამ ინდაურები თუმცა კარგი დედები არიან, თავისი სიმძიმით ხშირათ სჭყლეტენ ჭუკებს. ახლად გამოჩეკილი ჭუკები ორ კვირამდის კარში არ უნდა გამოუშვათ და სუფთათ შენახულს შენობაში იყოლიოთ დამწყვდეული, სადაც უნდა იდგეს თხელი ჭურჭელი წყლით და საჭმელი—პირველ დღეს დაკეპილი კვეცხი, მეორე დღეს მიუმატეთ დამდუღრული ჭინჭრის და მისთანების გაწურული და დაკეპილი პურისნამცეცებთან ერთად. შემდეგ აზელილი ქატო, შვრიის ფქვილი მოხარშულ კარტოფილთან ერთად, ანუ მაწონი, რომელშიაც უნდა აზილოთ ფქვილი. საჭმელი უმჯობესია აძლიოთ ამ გვარი ჭურჭლით, რომ ჭუკები სა-

ჭმელს ფეხით არ აფუჭებდნენ (ს. 12.) ცხრილის თვლები ერთ გოჯზე მეტი არ უნდა იყოს.



ს. 12. წიწილების და ჭუკების საჭმელი ჭურჭელი,

იხვებს საკმაოა აჭამოთ მარტო პირველ 5—6 კვირას, მერე თითონ იშოვნიან საჭმელს, მხოლოდ რომ არ გაველურდნენ და სახლს მიეჩვივნენ, საჭიროა საღამოთი მუდამ აძლიოთ საჭმელი, ზამთარში კი უთუოთ ამათაც, როგორც ქათმებს, ორ-ორჯელ უნდა აჭამოთ. ორი-სამი კვირის მერე შეიძლება გამოუშვათ კარში, ამის მერე მათ თითქმის დედა აღარც კი უნდათ, რადგანაც თითონაც კარგათ უვლიან თავიანთ თავს. ერთი სიტყვით, იხვის ჭუკებზე ადვილი გასაზრდელი არაფერია. ერთს მამალ იხვზე საკმაოა 6—8 დედალი იხვი. ბუმბულის ცვივნის დროს, იხვს გაფრთხილება სჭირია, სიცივეში გარეთ არ უნდა გამოუშვათ. კარგს დროში დილით გვიან უნდა გაუშვათ კარში და საღამოთ ადრე შერეკოთ საიხვოში. იხვის ხორცი პირველს წელიწადს ნაზი, ცვრიანი და ძლიერ გემრიელია, ხნიერისა კი მაგარია და აღარც ისეთი გემრიელი. იხვის გასასუქებლად საკმაოა დაამწყვდიოთ ისინი მოფართო შენობაში და აჭამოთ ბლომათ შვრია და ერბო მოხარ-

შულს კარტოფილში არეული. ამით ორს კვირაში იხვი ძალიან სუქდება და ხორცშიაც მატულობს. აჭმევენ აგრეთვე ძალათ სიმინდის ცომის გუნდებს, ანუ მოხარშულს სიმინდს. ბელგიაში იხვს არ ჰკლავენ, არამედ ახრჩობენ, რადგანაც დამხრჩვალის ხორცი უფრო გემრიელიაო, ვიდრე დაკლულისა. იხვს აცლიან ბუმბულს მაისში, თიბათვეში და ენკენისთვეში. იხვების მოშენება მარტო იმითაც არის სასარგებლო, რომ იხვის ჭუკები გაზაფხულზედ ყველაზედ ადრე იწევი-ნ დასაკლავად.

იხვი იშვიათად ხდება ავათ, მაგრამ აი ზოგიერთი მის სნეულებათაგანი: რეტი ანუ თავბრუ, როცა იხვი იმდენს ტრიალებს, სანამ მკვდარი არ დაეცემა, თუ მაშინვე არ უშველეთ. უკეთესი წამალი—სისხლის გამოშვებაა, ფეხის ბანდულის ძარღვიდან. იხვების ჭუკებისთვის ძლიერ მავნებელია ლენცოფა და მათუთა ბალახი, რომელთ ჭამა ძლიერ უყვართ ახალგაზდა იხვებს და შესჭამენ კი თუ არა ცოტაოდენს, მაშინვე კვდებიან. ამის წამალი ის არის, რომ ეს ბალახი ახლო-მახლო ყველგან უნდა გაწყვიტოთ. **ადრა ბოლოზე**, როცა მოიწევა, გაუჭერით, გამორწყევით და კარგათ მოჰბანეთ ძმრით. **მუწუკები** ფრთების ქვეშ და სხვაგან, გადამდებია და ამიტომ შეამჩნიოთ თუ არა რომელიმე იხვზე, მაშინვე უნდა გააცალკევოთ კარგა მყოფებისგან და უსვათ მუწუკებზე ქაფურისა ანუ გოგირდის მაზი.



ს. 13. ტუდუ'ის ბატი.

ბატები.

ბატს შეუძლიან მისცეს პატრონს 75—100% დახარჯულს ფულზედ, ამიტომ მოშენება მისი ძლიერ სასარგებლოა, თუ გაქვთ წყალი, თუნდა მარტო პატარა აუზი, რომელშიაც დგას მოტანილი ანუ ჭიდამ ამოღებული წყალი. ბატს სრულიად არ'ეშინიან სიცივისა და ამიტომ საბატო შეგიძლიანთ გამართოთ სრულიად მოუწყობელს შენობაშიაც. რადგანაც ბატი ძლიერ გამტანი ფრინველია და ჩხუბი და გადაკიდება არ იცის მეზობე-

ლთან, ამიტომ ბატის ყოლა მთელი ნახირით ანუ გუნ-
დად შეიძლება, თუ საპირველოთ საკმაოდ გაქვთ მათ-
თვის საკვები. ბატი ძლიერ ბევრსა სჭამს და ამიტომ მა-
ლეც სუქდება და მალეც ჰკარგავს ნაყოფიერობას. საუ-
კეთესო საჭმელი ბატისთვის არის შვრია, რომელიც ეყო-
ფათ თითო ჩანახი 6 ბატს, დილით და საღამოთი მიცე-
მული. ნაირ-ნაირი საკვები ძლიერ ასუქებს ბატს და უნ-
და ერიდოთ აძლიოთ ასეთი საჭმელი კვერცხის დების
წინა ხანებში, რადგანაც ეს დაუშლის კვერცხის დებას.
ბატების ნახირში თვითეულ მამალ ბატზე შეიძლება იყო-
ლიოთ 5—6 დედალი ბატი; მამალ ბატებად გამოსადეგ-
გია 2—5 წლის ბატები, დედლებად—2—8 წლისანი; გა-
ძლებით კი ბატს შეუძლიან 30 წლამდინაც იცოცხლოს.
ბატი იწყობს კვერცხის დებას თებერვლიდამ ანუ მარ-
ტიდამ და სდებს ერთ თვემდის; მერე შეაყენებს დებას
და კვლავ იწყებს დებას რამდენსამე ხნის შემდეგ, ასე
რომ წელიწადში სდებს ასე დრო-გამოშვებით 3—4-ჯერ.
კვერცხს მომეტებულად სდებენ დღე-გამოშვებით, სულ
წელიწადში დასდებს 15—30 კვერცხს. შემოდგომას და-
დებულ კვერცხიდამ აღარ უნდა გამოაჩეკინოთ ჭუკები,
რადგანაც მოახლოვებულ სიცივის გამო ძნელიღაა მათი
გამოზრდა. მოკრუხებულს ბატს უდებენ საბუდარში 10—12
კვერცხს, იშვიათად 14-ს; დანარჩენ კვერცხებს უდებენ
ქათმებს. ბატს ძლიერ ცხარე სხეული აქვს და ამიტომ,
როცა ბატი კვერცხიდამ გადმოდის, მცირედ თბილი წყა-
ლი უნდა დაასხუროთ კვერცხებს. 28—30 დღის შემდეგ
კვერცხებიდამ გამოდიან ჭუკები. ორ კვირამდის ამათაც
არ უშვებენ კარში და აჭმევენ წყალში დამბალს თეთრ
პურს, წვრილად დაკეპილს მაგრად მოხარშულს კვერცხს,
შვრიის ცომს, დაკეპილ ჭინჭართან არეულს და სხვ. სა-
ბატოში მუდამ უნდა იდგეს სასმელად და საცურავად
სუფთა წყალი. ორი კვირის შემდეგ ჭუკები შეიძლება

კარში გამოუშვათ და აჭამოთ მოხარშული კარტოფილი ქატოთი და მოხარშულ ჭინჭართან არეული, აგრეთვე კომბოსტოს ფოთოლი და სხვა ყოველგვარი წვანილის ნარჩომი. 3—4 კვირაზე ჭუკები შეიძლება მინდორშიაც გაუშოთ, სადაც წყალია; ამის მერე მათ მთელი ზაფხული შეუძლიანთ თითონ გამოიკვებონ საჭმელი, ოღონდ საღამოთ მაინც უნდა აძლიოთ საჭმელი, რომ არ გავეღურდნენ და სახლში თავის დროზედ ბრუნდებოდნენ. არ ვარგა აგრეთვე ისეთ წყალზე გაშვება, სადაც თევზი იცის, რადგანაც თევზისგან ბატის ხორცი ცუდს გემოს ითვისებს. მეოთხე კვირაზე ჭუკებს ზაფხულის ბუმბული ამოსდით, სამ თვეზე ფრთები ეზრდებათ და ექვს თვეზე კი უკვე დიდს ბატს ემსგავსებიან. შემოდგომაზედ უნდა დაათვალიერეთ თქვენი ბატები, საუკეთესო მათგანი მოსაშენებლად შეინახოთ, ხოლო დანარჩენი გამოსაკვებად, დასაკლავად და გასასყიდათ. ბატის გამოსაკვებად საჭიროა დაამწყვდიოთ ის შენობაში და დღეში სამჯერ აძლიოთ მას საჭმელი, ჯერით—მოხარშული ქერი, სიმინდი, შვრია, პური და რძეში განზავებული წყალი. გამოსაკვებად საკმაოა 2—4 კვირა. ბატი პირველად ბევრსა სჭამს, მაგრამ მალე უკლებს და მაშინ ძალათ უნდა აჭამოთ ხოლმე. კარგად გამოკვებილი ბატი იწონს 30 გირვანქას.

ხორცს გარდა ბატი ბუმბულსაც კარგს იძლევა, რომელიც ბუმბულის ცვივნის დროს უნდა დააგლიჯოთ ბატებს გულზედ და ფრთებსა და ყელს ქვეშ. თვითეული ბატი იძლევა წელიწადში საშუალათ 1 გირ. ყუვს და ბუმბულსა. საუკეთესო ჯიშები ბატებისა არის: ჩინური, ემბდენისა ანუ ნემეცური, პომერანიისა და ტულუზისა ანუ პერენეისა. ამ უკანასკნელს სურათი ზევითიხილეთ.

ივ. როსტომაშვილი.

ქვეყნიერების მასალა

ანუ

მატერიის ქიმიური რაოგა.

ვენი პირველი ორი წერილი, გასულ წლის «მოგზაურში» მოთავსებული *), შესაფერ წინასიტყვად გამოადგება იმ სამეცნიერო წერილების რიგს, რომელიც წელს ამ ჟურნალში დაისტამბება. იქ ჩვენ ავხსენით დედა-აზრი აწინდელ ბუნების-მეტყველ მეცნიერებისა—მექანიკური მატერიალიზმი, და გავარკვიეთ ის ძირეული განსხვავება, რომელიც დაეტყო სწავლულთ აზროვნობის ძველსა და ახალ მიმართულებას ბუნებისა და მთელის სამყაროს ახსნა-შეგნებაში. ადვილი არ იყო ჩვენთვის ამისი გარკვევა ორ პატარა წერილში და ამიტომ. ეჭვი არ არის, რომ მკითხველი აქა-იქ ზოგ ადგილს კარგათ ვერ მიუხვდებოდა; ამან მაინც არ უნდა აფიქრებინოს მკითხველს, ვითომც სამეცნიერო სწავლა ძნელი გასაგები იყოს; არ უნდა აფიქრებინოს იმიტომ, რომ იმ წერილებში, სწორედ რომ ვსთქვათ, სამეცნიერო სწავლა კი

*) ცალკეედაც გამოიცა ორ წიგნად: „მეცნიერების დედა-აზრი“ და «ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება».

არაა მოყვანილი, არამედ ახსნაა იმისი, თუ რაა სამეცნიერო სწავლა და სადა სცემს მისი დედა-აზრი; ამისი გარკვევა კი ორს პატარა წერილში, ადვილი წერის შნოც რომ გქონდეს, მეტად ძნელია, მეტადრე მაშინ, როდესაც მკითხველად მარტო ქართული ენის მცოდნე უნდა გეგულებოდეს, თორემ სამეცნიერო სწავლა თავისთავად, როგორც ამ წლის წერილები უჩვენებენ მკითხველს, იმდენად ცხადია, რო მის გასაგებათ საჭიროა მხოლოდ ვულის-ყური და აზროვნობის კვალ-და-კვალ მიყოლა.

ბუნებისა და მთელი საქმეთა რაობა-ვითარების ახსნა-შეგნება მეცნიერების მთავარი სწავლა-თეორიების მიხედვით,--ასეთია ამ წერილების შინაარსი და არა ქიმია, ფიზიკა ანუ ასტრონომიული სწავლა-ცოდნა, როგორც ეს შესაძლებელია ეჩვენოს ზოგს მკითხველს პირველს ხანს. წერილები ერთს სისტემაში არიან მოყვანილები, ერთს დედა-აზრზე ასხმულები—მექანიკურ მატერიალიზმზე. მატერიის ქიმიური რაობის განხილვა, ატომების თეორია და ქიმიური ნათესაობა; გარჩევა მსოფლიო მიმზიდველობის და ქიმიურ ნათესაობას შორის; ამ ძალთა ნამოქმედარის განხილვა: პირველ-ყოფილ მატერიის შეჯგუფვა სისტემებად, მოლეკულებად და საგნებად; დედა-მიწის ქერქის გაჩენა და მისი ქიმიური რაობის განხილვა; მზის ძალის ზედ-მოქმედება დედა-მიწის გარეგან მასალაზე და ახსნა იმის, თუ როგორაა, რო მკვდარი და ცოცხალი ბუნები სათას-გვარი მოვლენა ამ ძალითაა გამოწვეული ჩვენს პლანეტაზედ; ქვეყნების და სისტემების დაშლა. ამის შემდეგ იწყობა საერთო ფიზიკის მთავარი სწავლა-თეორიები: მოძრაობის კანონები და ძალის მეცნიერული შეგნება; კინეტურ-პოტანციალური ენერგია და მისი გაუქრობლობის პრინციპი; სითბო-სიცხოველე და მისი მექანიკური თეორია; სწავლა სინათლეზე;

ეთერის რაობა და ტალღოვანი მოძრაობა; ელექტრონ-მაგნეტიზმის ზოგი-ერთი მთავარი მოვლენა; ძველი ახსნა; აწინდელი სწავლა ამაზე და სინათლის ელექტრონ-მაგნეტიული თეორია; სხვა-და-სხვა ენერგიის ერთმანერთში გარდაქმნა,—ასეთია დაახლოვებით ამ წერილების შინაარსი, რომელიც უფრო მოკლედ ითქმის: **მატერიის და ეთერის მეცნიერული ახსნა-შეგნება, მათი მოძრაობა და მათი ევოლიუცია მსოფლიო სივრცე-მანძილში.**

სამეცნიერო სწავლაზე, რაც შეეხება მის პრაკტიკულ ინტერესს, ჩვენში ბევრს რაღაც გაურკვეველი წარმოდგენა აქვს და ბევრი მათგანი მის თეორიულ მხარეს ისეთ მნიშვნელობას აწერს გონების საზრდოში, როგორც ხმელს ხილს სადილის შემდეგ; ამიტომაცაა, რო ჩვენი სამეცნიერო მწერლობა ამდენად ხელ-მოკლეა,—ღატაკს უფრო წააგავს, ვიდრე ღარიბსა; და თუ ჩვენ სურვილი გავუღვიძეთ ქართველ მკითხველს სამეცნიერო სწავლის შეთვისებაზე ამ სწავლის შინაარსის მოკლე განხილვით და მისი დედა-აზრის გარკვევით, მაშინ ჩვენც მიღწეული ვიქნებით ჩვენს მიზანსა. ჩვენ ამისი იმედი გვაქვს, რადგან ნათლად ვხედავთ, რამდენად მოსწონს ჩვენებურს მკითხველს სამეცნიერო სწავლა: ჩვენი ორი პირველი ნაწერი მოკლე ხანში თითქმის მთლად გაიყიდა. როდესაც მეცნიერებას მსმენელი გაუჩნდება ჩვენში, მაშინ მეცნიერებაც იწყობს ქართულად თქმასა; მაშინ გაიგებს ქართველი სადაა გონების სალესავი ქვა და რაზედაა დამოკიდებული მეურნეობის და მრეწველობის ტეხნიკა.

1. როგორ გაჩნდა სწავლა ქვეყნიერების მასალაზე?

ა გვარია ქვეყნიერების მასალა? ეს კითხვა ძველის ძველათვე გასჩენია ადამიანის გონებას.

ისტორია მოგვითხრობს, რომ ამ 2301 წლის წინ, მაშინდელ ყველაზე განათლებულ ქვეყანას—საბერძნეთს, ერთი და ორი ბრძენი და სწავლული არა ჰყოლია, რომელთაც ქვეყნიერების მასალაზე ბევრი უფიქრიათ და წარმოუთქვამთ სხვა და სხვა აზრი ამის შესახებ. ჩვენ არ გამოვეკიდებით მათ-მიერ წარმოთქმულ აზრების აქ ჩამოთვლას; მოვიხსენიებთ მხოლოდ ერთს მაშინდელ, ყველაზე გათქმულ სწავლას ქვეყნიერების მასალაზე, რომელიც წარმოუთქვამს იმ დროის ყველაზე ღრმათ მოაზრე-სწავლულს—არისტოტელს. მისი აზრით მთელი ქვეყნიერება ერთი რამისაგანაა შემდგარი, ერთი მასალისაა; მხოლოდ ეს მასალა ხან ერთს თვისებას და ფერს იღებს და ხან მეორესა: როდესაც ცივი და მშრალი თვისებისაა, მაშინ მიწაა; თუ ცივიცაა და სველიც—წყალია, თუ გაცხელდა და გაშრა—ცეცხლი ხდება, და როდესაც თბილი და სველია, მაშინ ეს მასალა ჰაერია. ასე და ამ გვარად ერთ-გვარი, საერთო ძირეული მასალისაგან წარმოდგება ოთხი სტიქიონი: ცეცხლი, ჰაერი, წყალი და მიწა. მთელი ქვეყნიერება ამ ოთხ სტიქიონისაგანაა შემდგარი. რაც უფრო ცხელია, მით უფრო მაღლაა: მზე, ვარსკვლავები და მთვარე ცეცხლებია და ამიტომ ყველაზე მაღლა არიან; შემდეგ ჰაერი, რადგან თბილია, მიწაში კი არაა,—მიწის მაღლაა. ჰაერზე ცივი წყალია და მიწაზეა, და ყველაზე ცივი, მიწა, ყველაზე დაბლაა. რადგან ეს ოთხი სტიქიონი ერთი მასალისაა, ამიტომ მათი ერთმან-ერთში გარდაქცევაც შესაძლოა, თუ კი მათ თვისება გამოვუცვალეთ; მაგ., წყალს, ცივს და სველს სტიქიონს, თუ ჰაერის თვისება მივეცით, ე. ი. სითბო,—ორთქლად იქცევა, ესე იგი ჰაერათაო; თუ ჰაეროვან ორთქლს სითბო დააკლდა—წყლად ხდება. გოვირდი, ე. ი. რალაცა მიწალი—იწვის და ცეცხლად ხდება. ზოგს საგანში ეს ოთხი სტიქიონი ერთადაა; მაგ., ხე, რომელსაც დაწვაზე

წყლისაებრ წვენი სდის, ჰაეროვანი ბოლი ასდის, ალს იძლევა და ბოლოს რჩება ნაცარი, მიწა. ერთი სიტყვით, მთელი ქვეყნიერება ოთხი სტიქიონისაგან შესდგება და ეს ოთხი სტიქიონი ერთი მასალისაა.

რაღა თქმა უნდა, რო ეს სწავლა თავიდამ ბოლომდინ შეცდომაა, თუმცა ძველ დროს რამდენიმე ასი წლის განმავლობაში ყველას მართალი ეგონა. ამ შეცდომის მიზეზი ისაა, რომ ეს სწავლა ვარაუდით ნაფიქრი იყო და საფუძვლად ბუნების ნამდვილი შესწავლა არა ჰქონდა. საჭირო იყო გულდადებითი შრომა და კვლევა — რისგან შესდგება მიწა და რაც რამ მასში და მასზე ათას გვარი საგანია,—სხვა და სხვა მიწები, ქვები, წყალი, მადნეულობა, მცენარეები, ცხოველები და სხვა. არისტოტელი, და სხვა სწავლულებიც, ამას თითქმის არ ეკარებოდნენ და ეგონათ, რო ღრმა ფიქრითაც შეიძლება მიხვედრა—რისგან შესდგება ქვეყნიერების მასალა. არისტოტელის ამ სწავლამ მაინც დიდი სარგებლობა მოუტანა შემდეგში გაჩენილ სწორ მეცნიერებას. საქმე იმაშია, რო ბევრი სწავლული არისტოტელის შემდეგ სხვა და სხვა დროში ასე ჰფიქრობდა: რადგან არისტოტელის სიტყვით მთელი ქვეყნიერება ერთ ძირეულ მასალისაგან შესდგება, ამიტომ ოქრო, ვერცხლი, ტყვია და კალაც ერთის მასალის უნდა იყვნენ, და რადგან ერთი სტიქიონი შეიძლება მეორე სტიქიონად გარდავაქციოთ, აგრეთვე შესაძლო უნდა იყოს ვერცხლი, ტყვია და კალა ოქროდ გავხადოთო, საჭიროა მხოლოდ რამე წამლით თვისება შევუცვალოთო მათ, და შეუდგნენ ამ წამლის, სახელად «ფილოსოფიურ ქვის», ძებნასა და გამოგონებას. ამ მიზნით რამდენიმე ასი წლის განმავლობაში ათას გვარ საგნებს იკვლევდნენ და სცდიდნენ მათს თვისებას იმ დროის სწავლული ბერები (მაშინდელი სწავლა ბერებმა იგდეს ხელში). მთელი საშუალო საუკუნოები ამ „ფი-

ლოსოფიური ქვის“ ძებნაში გავიდა და ამ ხანას მეცნიერები **ალქიმიის ხანას** ეძახიან. ამ ქვის ძებნაში გამოიკვლიეს და გაიცნეს ათას გვარი საგნის თვისება: მიწების, მარილების, ქვების, მადნეულობის და სხვ. ამ საგნებს ადნობდნენ, სწვავდნენ, წყალში ხსნიდნენ, ხარშავდნენ, ხდიდნენ და ამ გვარად დიდ-ძალი ცნობა შეგროვდა ათას გვარ საგანთა თვისებაზე, მაგრამ „ფილოსოფიური ქვა“ მაინც ვერავინ ვერ გამოიგონა, რადგან შეუძლებელი რამაა ეს.

როგორც ვხედავთ, იმ დროის სწავლულ ბერებმა მეცნიერების თავი კითხვა,—**რისგან შესდგება ქვეყნიერების მასალა**,—თავიდამ მოიგდეს და სწავლასა და ბუნების კვლევას მიზნად გამდიდრება გაუხადეს, მაგრამ სამაგიეროთ მეცნიერების მასალა, ე. ი. ბუნების ათას-გვარ საგანთა თვისებაზე სწავლა გაამდიდრეს. შემდეგ, რო ნახეს, რო ფილოსოფიურ ქვის ძებნას სასურველი ნაყოფი არ მოაქვს, მიანებეს ამ ქვას თავი და ახლა საქიმო წამლების გამოგონებას შეუდგნენ იმ დროის სწავლულები და უფრო წასწიეს ბუნების საგანთა კვლევა-ძიება. მაგრამ მაინც ამ არეულ-დარეულ სწავლიდამ ვერავის ვერ შეეძლო გამოენახა რაიმე პასუხი ძველის-ძველათვე გაჩენილს კითხვაზე: რისგან შესდგება ქვეყნიერების მასალა? ბოლოს, მეთვრამეტე საუკუნეში ამ გვარი კაციც გაჩნდა, ფრანგი მეცნიერი **ლავუაზიე**. ლავუაზიეს სხვებიც მოჰყვნენ და დიდათ გაითქვეს სახელი ღრმა კვლევა-ძიებით და ამ გვარად შესდგა მთელი მეცნიერება ქვეყნიერების მასალაზე, რომელიც კითხვაზე: რისგან შესდგება ქვეყნიერება? სწორ და ეჭვ-მიუკარებელ პასუხს იძლევა.

წარმოვიდგინოთ, რო რომელიმე უნივერსიტეტის ან მეცნიერის ლაბორატორიაში შევველით, სადაც ამ მეცნიერებას ასწავლიან. იქ ვნახავთ სხვა და სხვა ჯურის

შუშებს, გამოსახდელ ზარფუშიან ქვაბებს, რაღაცა მანქანებს, სასწორებს, პატარა ფეჩებს, ათას გვარ წამლებს, ქვებს, მარილებს, მადნეულობას. მთელი დარბაზი, ლაბორატორია, სავსეა ფეშტამლიან და ხელებ ახვეულ სტუდენტებით, რომლებიც ამ ათას გვარ საგნებს პროფესორის ან მეცნიერის ჩვენებით ხსნიან, შლიან, ადნობენ, სწონავენ, ხარშავენ და სხვა-და-სხვა საშუალებით იკვლევენ ბუნების მასალას და მის თვისებას და ასე ადგენენ მეცნიერის ახსნით საერთო სწავლა-თეორიებს. ზოგი ექიმად ემზადება, ზოგი შემდეგში რამე ქარხანაში შევა და იქ გამოადგება ეს სწავლა, ზოგს დიდი მამული აქვს და ამ სწავლას მიწის შემუშავებაში და მამულის მოვლაში გამოიყენებს და, რასაც ჩვენში რამდენიმე დღიური იძლევა, ის თვისი სწავლით ერთ დღიურს გამოაცემინებს და ზოგიცაა, რო ეს სწავლა რამეში გამოსაყენებლად კი არ უნდა, არამედ სამყაროს რაობა-ვითარების შეგნება უნდა და ამიტომ ქვეყნიერების მასალის რაობასაც იგნებს. ჩვენც ამ წერილში მხოლოდ ეს უკანასკნელი გვაქვს მიზნათ პირველ ხანს და გავიცნობთ ამ მასალის რაობას, აქ კი წინათვე ვიტყვით, რო ეს პასუხი მოკლედ ასე გამოიხატება:

როგორც ეს წიგნი თვისი მრავალი ათასი სიტყვებით ანბანის 33 ასოსაგან შესდგება, აგრეთვე მთელი ქვეყნიერებაც, ე. ი. რაც რამ არსებობს, დაახლოვებით, 80 რამისაგანაა შემდგარი. ამ 80 რამეს მეცნიერებაში **ელემენტები** ჰქვიან. ამ ელემენტებში მკითხველი ზოგს იცნობს და ზოგს არა: რკინა, სპილენძი, კალა, ტყვია, ნიკელი, ნახშირი, ოქრო, ვერცხლი, ალიუმინი, იოდი, დარიშხანა, პლატინა, ფოსფორი, ცინკი და სხვები, რომლებსაც მკითხველი არ იცნობს და შემდეგში მოვაგონებთ. ეს 80 ელემენტი მთელი ქვეყნიერების ანბანია და ამ მასალისაგან შესდგება ყველაფერი, რა გინდ არ ავი-

ლოთ. მხოლოდ ზოგში ერთი წმინდა ელემენტია, მაგ., რკინეულობაში, რომელშიაც მხოლოდ რკინაა, ან სპილენძეულობაში; ზოგში ორია, მაგ., წყალი, ან საჭმლის მარილი, ზოგში 3, 4 და მეტიც. მთელი დედა-მიწის ქერქი, რომლის სისქე მრავალ ვერსტით იზომება, ნახევრად ერთი ელემენტისაგან შესდგება და მეორე ნახევარს სხვა და სხვა ელემენტი შეადგენს, ამ პირველ ელემენტთან შეკავშირებულს. რაც რამ მცენარე და ცხოველი ახვევია დედა-მიწის ზურგს სულ რაღაც 18 ელემენტისაგანაა შემდგარი და ამ თვრამეტში უმეტესობას 4 ელემენტი შეადგენს. ამ 80 ელემენტს და ყველაფერს, რაც მათის ათას-გვარ ყაიდის შეერთებისაგან გაჩენილა და ახლაც ჩნდება, ქვეყნიერების მასალას საეროდ მატერია ჰქვიან.—ახლა, როგორაა, რო ქვეყნიერება ამ 80 ელემენტისაგან შემდგარა და რა ძალაა, რო ამ ელემენტებს აერთებს? ამაზე ჩვენ ამის ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

II. მარტივი და რთული საგნები.

ყველაფერი, რაც კი რამ საგანია ქვეყანაზედ, სამ გვარ ყოფაშია: ზოგი მაგარია (ქვა, რკინა, ხე, ყინული და სხვ.), ზოგი თხელია და დენა შეუძლიან (წყალი, რძე, სპირტი, ღვინო) და ზოგიც ჰაერის მსგავსია. ამ ჰაერის მსგავს საგნებს გაზებს ეძახიან. თუმცა გაზებს ქვეყანაზე კარგა დიდი ალაგი უჭირავთ, ბევრ კაცს მაინც თითქმის არა რა ცნობა არა აქვს ამ გვარ საგნებზე, რადგან უმეტეს ნაწილად გაზები ჰაერსავით უფერული და უჩინარნი არიან. დედა-მიწას გარშემო ხომ ჰაერი არტ-

ყია; მას ვსუნთქავთ ჩვენ და შიგ ვცხოვრობთ ისე, როგორც თევზები წყალში; ჰაერის ნელ დენას ნიავი ჰქვიან და ჩქარს—ქარი. ორთქლიც მანამ ძლიერ ცხელია გაზია; გოგირდის წუმწუმა რო იწვის გაზი ასდის, რომლის ცუდი სუნი ყველას უცდია; ქვევრში ტკბილი რო დუღს გაზი ასდის და ბევრჯერ მომხდარა, რო ქვევრში ჩასულ კაცს გული შეჰღონებია, რადგან შიგ დარჩენილ ჭაჭას უდუღია და სასიკვდინო გაზით აუვსია ქვევრი; ოთახში ნახშირი იწვის, თუ ოთახს ერთ-გვარი გაზით ავსებს, რომელმაც საშინელი თავის ატკივება იცის და ბევრიც მოუკლავს ამ გაზს. სხვა და სხვა გაზია ქვეყანაზე და ყოველს საკუთარი თვისება აქვს. თხელი, წყლის მსგავსი საგნების, მაგ., რძის, სპირტის, ღვინის ან ზეთის თავი თვისება ისაა, რო დენა შეუძლიათ და ამიტომ სიტყვა „მადნარი“ (სითხე) დავარქვათ ამ გვარ საგნებს. ამ სახით შეიძლება ითქვას: ყველაფერი, რაც კი რამ საგანია ქვეყანაზე, სამ გვარ ყოფაშია: ზოგი მაგარია, ზოგი მადნარი და ზოგიც გაზი *). ახლა საქმე იმაშია, რო ბევრი მაგარი საგანი შეიძლება დავადნოთ, ე. ი. მადნარი გავხადოთ, და თუ ეს მადნარი უფრო გაცხელდა—გაზად გარდავაქციოთ; მაკ., მაგარი ყინული სიცხოვლისგან წყლად იქცევა, ე. ი. მდენარად და გაცხელებული წყალი დუღს და ორთქლად გადადის, ე. ი. გაზად ხდება. ამ გვარად მაგარი საგანი შეიძლება დავადნოთ და შემდეგ გაზად გარდავაქციოთ სიცხოვლის მომატებით. შეიძლება აგრეთვე უკუღმა მოვიქცეთ: სიც-

*) ფრანგული სიტყვა liquide ლათინური liquidus-იდამაა წარმოდგარი და ნიშნავს მდენარეს, რომელსაც დენა შეუძლიან. იმასვე ნიშნავს გერმანიული სიტყვა Flüssigkeit (Flüssig fliessen).

ხოვლის დაკლებით, ე. ი. გაცივებით, მადნარი გაზი გავხადოთ და მდენარი გავამაგროთ; მაგ., ორთქლი გაცივებით წყლად იქცევა და წყალი მაგარ ყინულად. მეცნიერის ლაბორატორიაში შეიძლება ახლა გამაგრებულ ჰაერის ნაჭრებად ხილვა. გარჩევა მხოლოდ მასშია, რო სხვა და სხვა საგანს დასადნობად და გაზად გარდასაქცევად მეტი ან ნაკლები სიცხოვლე უნდება, და გასამაგრებლათაც თავის შესაფერი სიცივე სჭირს; მაგ., ყინვის დადნობას ცოტა სითბო უნდება, ტყვიას—დიდი გაცხელება და რკინას უფრო დიდი. მაგრამ რა გინდ საგანიც არ ავიღოთ, რა გინდ ყოფაშიც იყოს იგი, ყველას ერთი მუდმი თვისება სჭირს—წონა არ ეცვლებათ; ერთი გირვანქა რკინა რო დავადნოთ, დამდნარსაც ერთი გირვანქის წონა ექნება; დამდნარი რო გაზად გარდავაქციოთ და რამე ჭურჭელში შევუშვათ, ისევ ერთ გირვანქას აიწონს. ახლა შეიძლება ვსთქვათ: მაგარი, მდენარი და გაზი ნიშნავს საგნების სამ-გვარს ყოფას, მატერიის არსებობის სამ გვარ ყაიდას და ეს სამ გვარი ყოფა მეტი და ნაკლებ სიცხოვლისაგან წარმოდგება.

რადგან სხვა და სხვა საგანს დასადნობად და გაზად გარდასაქცევად ერთი ძალის სიცხოველე არ უნდება, ამიტომ საგნების ამ გვარ თვისებით ჩვენ შეიძლება ვისარგებლოთ და თუ რომელიმე ნივთი ორ, სამ ან მეტ საგნისაგანაა შემდგარი, ეს ნივთი დავშალოთ და გავაცალკევოთ მის მონაწილე საგნებად. ავიღოთ, მაგალითად, არაყი, რომელიც წყალის და სპირტისაგანაა შემდგარი. სპირტს ნაკლები სიცხოვლე უნდება ორთქლად გარდასაქცევად და წყალს მეტი, ამიტომ არაყის დაშლა რო მოვინდომოთ, საჭირო იქნება არაყი იმდენად გავაცხელოთ, რამდენიც სპირტს უნდება გაცხელება ასაორთქლებლათ. მაშინ სპირტი ორთქლად იქცევა, არაყს აედინება და ეს ორთქლი რამე ცივ ჭურჭელში რო შე-

ვუშვათ, გაცივდება და ისევ მდენარად იქცევა—სპირტად. ამ გვარ საქმეს გამოხდა ჰქვიან, და, ვგონებ, ჩვენში ყველამ უნდა იცოდეს ეს.

აქედამ სჩანს, რო არაყი რთული საგანია, რადგან ორ საგნისაგანაა შემდგარი—წყალის და სპირტისაგან. როდესაც საჭიროა გამოძიება—რისგან შესდგება რომელიმე რთული საგანი, მაშინ ამ საგანს შლიან და ამ გვარად იგებენ მის მონაწილე საგნებს. ამ გვარ საქმეს ანალიზი ჰქვიან. არყის ანალიზი გვაჩვენებს, რო არაყი წყალის და სპირტისაგანაა შემდგარი.

ვშიშობ, ახლავე გული არ აიკრუოს ჩვენმა მკითხველმა და არა სთქვას: „ამ წერილებს სათაურად აქვს „რისგან შესდგება ქვეყნიერების მასალა“ და ეს-კი არაყ-სპირტებზე მელაპარაკებაო“. საქმე იმაშია, რო მეცნიერების ძალა და ღონე მის სწავლის სიაშკარავეშია, რადგან ქვეყნიერების რაობა-ვითარებაზე, მის გაჩენასა და ტრიალზე ვარაუდით და ცარიელი ფიქრით კი არა სჯის მეცნიერება, როგორც ძველს დროს იცოდნენ, არამედ თვით ბუნებას იკვლევს და სცდის სხვა და სხვა ხერხით, და რასაც ეს ცდა-კვლევა აჩვენებს, აქედამ საერთო სწავლას ადგენს მთელს ქვეყნიერებაზე. არც ერთი მეცნიერი, რაც გინდ დიდის ჭკვის პატრონი იყოს, თვის გონების ამარა არაა და უთუოდ ბუნების შესწავლაზე ამყარებს თვის სწავლას, რადგან იცის, რო ვერავითარი გონება თავის თავად ქვეყნიერების რაობა-ვითარების ჭეშმარიტ გამოცნობას ვერ შესძლებს და ძლიერ ადვილად შეიძლება შესცდეს, თუ ამ კვლევა-ძიების საშუალებას ასცილდა. არისტოტელიც მძლავრ გონებიანი ფილოსოფოსი იყო, მაგრამ მაინც ვერ შესძლო ჭეშმარიტი სწავლის დადგენა, რადგან ბუნება საკმაოდ გამოკვლეული არა ჰქონდა. ჩვენი დროის მეცნიერებას **კვლევა-ძიებას მეცნიერებას** ეძახიან, რადგან ყოველ თვის სწავლას, ყოველ თეორიას

ბუნების შესწავლაზე, მის კვლევა-ძიებაზე ამყარებს; ყოველთვის თვით ბუნებას ეკითხება მის საიდუმლობაზე და ბუნებაც პასუხს იძლევა. ბუნებასთან გამოლაპარაკება ცდა-კვლევის საშუალებით შეიძლება და თუ ეს ცდა-კვლევა კარგათაა მოგონილი და მოხერხებული, მაშინ ბუნებაც უთუოდ ეჭვ-მიუკარებელ პასუხს იძლევა. ამ გზითაა, რო მეცნიერება თვის სწავლას ადგენს სამყაროს რაობა-ვითარებაზე. მეცნიერების მთავარი სწავლა მისი თეორიებია, რომლებიც ბუნების ცდასა და კვლევაზე არიან აშენებულნი. ჩვენ ამ წერილებში პირდაპირ თეორიების განხილვას რო შევუდგეთ, არა მგონია მკითხველმა ბევრი რამ გაიგოს, და რომ გაიგოს კიდეც, რაღაც ზღაპრულ რამედ ეჩვენება ეს სწავლა, რადგან არ ეცოდინება—რითი მტკიცდება ეს თეორია და რა გვარად შემდგარა ამ გვარი სწავლა ქვეყნიერებაზე. ამიტომ საჭიროა ვუჩვენოთ მკითხველს მეცნიერების ყაიდა სწავლის დადგენაში, ვუჩვენოთ **ბუნების კვლევა-ძიება**.

ჩვენ შევდექით ანალიზის ახსნაზე, რომელიც ნიშნავს რთულ საგნის დაშლას. ავიღოთ ახლა წმინდათ დანაყული გოგირდი და წვრილად დაჭრილი რკინა და ავრიოთ ერთად. ამ შემთხვევაში ეს ორი ერთად არეული საგანი ადვილად შეიძლება ისევ გავანაწილოთ. ავიღოთ ერთი ჭიქა წყალი, ჩავყაროთ შიგ ეს არეული რკინა-გოგირდი და კოვზით მოვურიოთ. რკინა, რომელიც გოგირდზე ბევრად მძიმეა, მორევის შეყენებაზე მაშინვე ძირს დაეშვება, გოგირდი-კი ჯერ ისევ იტრიალებს და ამ დროს წყალი რომ გადმოვასხათ, წყალს თან გადმოჰყვება, ამ გვარად შეიძლება ეს ორი საგანი—რკინა და გოგირდი—განაწილდეს. ავიღოთ ახლა იგივე ორი საგანი, წმინდათ დაფხვნილი და ერთად არეული, და რამე თხელ ქვაზე ავაგროვოთ; წუმწუმის მოკიდებაზე ეს გროვა აინთება და რო გაცივდება, რაღაც ქვასავით იქნება,

არ ეგვანება არც გოგირდს და არც რკინასა. სჩანს, რო არეული რკინა და გოგირდის ნამცეცები სიცხოვლისაგან შეერთებულან და ერთად შეერთებულნი გარდასხვაფერებულან, ბუნება შეუცვლიათ. ეს ახალი საგანი ძლიერ წმინდათაც რო დავნაყოთ, სულ პატარა ნამცეცებშიაც კი ვერ გავარჩევთ ვერც რკინას და ვერც გოგირდსა. პირველ მაგალითში დაფხვნილი და წვრილად დაჭრილი რკინა-გოგირდი მხოლოდ არეული იყო და ამიტომ ამ ორი საგნის განცალკევება ასე ადვილი იყო წყლის საშუალებით; მეორე მაგალითში ეს ორი საგანი ერთად არეული კი არა, ერთად შეერთებულები არიან; ასეთია ეს განსხვავება შერევასა და შეერთებაში. კიდევ ავიღოთ ერთი მაგალითი, რომელიც უფრო ნათლად აგვიხსნის ამ საქმეს. რისგან შესდგება შაქარი? ამის გამოსაცნობათ ჩავყაროთ რამე მაღალ ყელიან შუშაში დაფხვნილი შაქარი და შუშა ცეცხლზედ დავდგათ; გაცხელდება თუ არა შაქარი, მაშინვე ორთქლს გამოსცემს, რომელიც შუშის ზემო პირს მოექცევა და თუ შუშის მაღალი ყელი ცხელი არაა, ეს ორთქლი გაცივდება და მის ზემო პირს წყლის წვეთებად დაჰნამავს. შუშის ძირში კი შაქრის ნაცვლად ნახშირი გაჩნდება. ცხადია, რო შაქარი წყლისა და ნახშირისაგან ყოფილა შემდგარი. წყალი და ნახშირი შეერთებულან და შაქარი გაუჩენიათ; ამ შეერთებით ორივეს შეუცვლიათ თვისება, რადგან შაქარი არც წყალსა ჰგავს და არც ნახშირსა.

ამ სამს მაგალითში—არაყში, რკინა-გოგირდში და შაქარში, მკითხველი ადვილად შენიშნავს დიდს განსხვავებას; არაყი შემდგარა წყალის და სპირტისაგან; თვით არაყი სპირტსაც ჰგავს და წყალსაცა, რადგან სპირტსავით მწვავეცაა ცოტად და მაგარიცა და იმავ დროს ცეცხლიც ადვილათ არ ეკიდება, როგორც წმინდა სპირტს, რადგან არაყში წყალიცაა, ცეცხლის მქრობი. როგორც

ვხედავთ არაყში საშუალო თვისებაა წყლისა და სპირტისა, ე. ი. ამ ორ საგანს ერთად ყოფნის დროს თავთავისი თვისება არ კი ეცვლებათ, არამედ უსუსტდებათ. იგივე ითქმის რკინა-გოგირდზედაც, როდესაც ერთად შერეულები არიან; მაგრამ სულ სხვა რამ მოსდით ცეცხლის მოკიდებაზე; მაშინ რკინა-გოგირდი თვისებას ძირეულად იცვლიან და გაქვავებული შედეგი ამ დაწვისა არც რკინას და არც გოგირდს არაფრით არ ჰგავს. შაქარშიაც იგივე ხდება და მისი დაშლა გვიჩვენებს, რო მასში წყალი და ნახშირი ერთად შერეულნი კი არა, შეერთებულები არიან და ამიტომ თვისებას იცვლიან; შაქარი არც წყალს და არც ნახშირს არაფრით არ წააგავს. ამ მაგალითებიდამ მკითხველი ადვილად შეიგნებს დიდათ საოცდნელ განსხვავებას, რომელიც არსებობს საგანთა ერთად შერევის და შეერთებას შორის. იმ შეერთებას, რომლისაგან მონაწილე საგნებს ბუნება და თვისება ეცვლებათ, **ქიმიურ შეერთებას** ეძახიან და ამ გვარად შეერთებული საგნის დაშლას, რომლის შემდეგ მონაწილე საგნები სულ სხვა თვისების არიან — **ქიმიური ანალიზი** ჰქვიან.

შაქარი ჩვენ დავშალეთ და გავიგეთ, რო მისი მონაწილე საგნები ნახშირი და წყალია. შეიძლები თუ არა ნახშირი და წყალიც დავშალოთ? სხვა და სხვა ხერხით, რომლის ახსნა ჩვენ აქ არ გვეხერხება, წყლის დაშლაც შეიძლება და ამ გვარი ანალიზი გვაჩვენებს, რო წყალი ორი გაზისაგანაა შემდგარი; ეს ორი ჰაერის მსგავსი გაზი ცალ-ცალკეულ ორ შუშაში რო შევუშვათ და შიგ გამქრალი და ჯერ ისევ თბილი წუმწუწა რო ჩავუშვათ, ვნახავთ, რო ერთში ეს წუმწუმა თავის-თავად ფიცხლად აინთება და იწვის, მეორეში-კი არა თუ გამქრალი, არამედ ანთებული წუმწუმაც-კი მაშინვე ქრება; პირველს გაზს **ჟანგბადი** ჰქვიან და მეორეს, ცეცხლის მქრობელს

—წყალდანი. შაქრის მონაწილე წყალიც დავშალეთ; დაგვრჩა მეორე მონაწილე—ნახშირი; შეიძლება თუ არა ამის დაშლაც? მეცნიერებმა სხვა და სხვა ხერხი და საშუალება იციან რთულ საგნის დაშლისა, მაგრამ რა არ უყვეს ნახშირს, ეს კი ვერ დაშალეს; სჩანს, რო ნახშირი რთული საგანი არ ყოფილა და მარტოდ-მარტოა, მარტივია. მჟავდანი და წყალდანიც მარტივი საგნებია; რკინა და გოგირდიც მარტივებია.

მაღაზიებში ზოგან ერთ-გვარი წითელი წამალი ისყიდება, რომლითაც ბალკონ-იატაკებს ღებავენ. ავიღოთ ეს ფქვილის მსგავსი წამალი, ჩავყაროთ რამე შუშაში და ცეცხლზედ დავდგათ; ცოტა ხნის შემდეგ ეს წითელი წამალი სიცხოვლისაგან ვერცხლის წყლად იქცევა და შუშა რალაცა გაზით აივსება. ეს გაზი წუმწუმით რო გამოვცადოთ, ვნახავთ, რო მჟავდანია. სჩანს, რო წითელი წამალი მჟავდანის და ვერცხლის წყლისაგან ყოფილა შემდგარი. რო დესაც მჟავდანი ვერცხლის წყალს უერთდება წითელ წამალს აჩენს და წყალდანთან ერთად-კი წყალს წარმოადგენს. ამ ვვარად სხვა და სხვა ქიმიურ შეერთებისაგან სულ სხვა და სხვა საგანი ჩნდება.

ამ სხვა და სხვა რთული საგნების ანალიზმა გვაჩვენა შემდეგი:

შაქარი შესდგება: მჟავდანის, წყალდანის და ნახშირისაგან;

წითელი წამალი: ვერცხლის წყლის და მჟავდნისაგან.

წყალი: მჟავდანის და წყალდნისაგან.

ამიტომ შაქარი, წითელი წამალი და წყალი რთული საგნებია და მჟავდანი, წყალდანი, ნახშირი და ვერცხლის წყალი კი, რომელთ დაშლა შეუძლებელია, მარტივ საგნებს წარმოადგენენ, რადგან ყოველი მათგანი მარტოდ-მარტოა.

ყველაფერი, რაც კი რამაა ქვეყანაზე, მთელი ქვეყნის საგანთა უთვალავი მრავალ-ფეროობა: მიწები, ქვები, მადნეულობა, წყალი, მცენარეები, ცხოველები, — ყველა ეს მეცნიერებამ გამოიკვლია სხვა და სხვა საშუალებით, მათი ნიმუშები დაშალა ქიმიურად და მიაგნო, რო ყველა ეს ქვეყნის საგნები გაჩენილან 80 მარტივ საგანთა ათას გვარ ქიმიურ შეერთებით, მაგალითად: მცენარეებიც, ცხოველებიც და მათთან ადამიანის სხეულიც შემდგარია დაახლოვებით შვიდ მარტივ საგნისაგან: ნახშირის, მჟავდანის, წყალდანის, აზოტის, ფოსფორის, კალციუმის და რკინისაგან; ქვიშა—მჟავდანის და ტალმანისაგან (кремній); წითელი თიხის მიწა—ალიუმინის, ტალმანის და მჟავდანისაგან.

ეს, დაახლოვებით, 80 მარტივი საგანი, ან როგორც მეცნიერები ამბობენ—**ელემენტები, ქვეყნის მარტივი მასალაა, ანუ ანბანი**; მხოლოდ ეს 80 ელემენტი ერთგვარად არაა გავრცელებული: ზოგი ცოტაა და ზოგიც ბევრი; ყველაზე მეტი კი 14 ელემენტია:

აზოტი	მაგნიუმი
ალიუმინი	მჟავდანი
ბავრუკი (sodium)	ნახშირი ან ნახშირმანი
გოგირდი	ტალმანი (silicium)
კალციუმი	
კალაქვა (potassium)	ხლორი
ფოსფორი	რკინა და
	წყალდანი.

სხვა ელემენტები, მაგ., ვერცხლი, ოქრო, ტყვია, დარიშხანა, იოდი, მარგანეცი, თითბერი, ნიკელი, კალა, პლატინა, ვერცხლის წყალი, ცინკი და სხვ. უფრო ნაკლებათ არიან გავრცელებულები. ვარაუდით გამოანგარიშებულია, რო მთელი დედა-მიწის ქერქი ნახევრად მჟავდანისაგანაა შემდგარი და ნახევრად ტალმანის, ალი-

უმინის, კალციუმის, მაგნიუმის, კალაქვის, რკინის და ნახშირმანისაგან, რომლებიც მჟავდანთან არიან შეერთებულნი.

III. რთულ საგნების ერთგვაროვნება.

ქვეყნიერების მასალა შესდგება მარტივ და რთულ საგნებისაგან, რომლებიც გაჩენილან და ახლაც ჩნდებიან 80 ელემენტის ქიმიურ შეერთებით. ესაა ბუნების პირველი პასუხი მეცნიერების კვლევა-ძიებაზე.

ამ პასუხით არ ჯერდება მეცნიერება და იკვლევს — როგორაა, რო ეს 80 ელემენტი სხვა და სხვა გვარად ერთი მეორეს იკავშირებს? რათაა, რო ეს კავშირი, ეს ქიმიური შეერთება იციან ამ ელემენტებმა და რატომაა, რო ყოველი თავის-თავად ცალკე-ცალკედ არ არსებობს? ვსთქვათ, რომ ამ 80 ელემენტს უთვალავ მრავალ-გვაროობის ქიმიური შეკავშირება შეუძლიათ და ამ ათას გვარ კავშირში არც ერთი კავშირი არ წააგავს ფორმით თუ სხვა რამით სხვა რამ კავშირსა. რომ ეს მართლაც ასე იყოს, მაშინ მეცნიერება ვერა რას ვერ შეიგნობდა ელემენტების ამ გვარ არეულ-დარეულობაში. ეცოდინებოდა მხოლოდ, რო ქვეყნიერების მასალა 80 ელემენტისაგან შესდგება და ამაზე შედგებოდა მისი სწავლა ამ მასალაზე. ნამდვილად-კი საქმე იმაშია, რო ქვეყნიერების საგანთა ათას-გვაროობაში და ელემენტთა ქიმიურ შეკავშირებაში მტკიცე და მუდმივი ერთ-გვაროობაც სჩანს, თუ კარგათ ჩავუკვირდით ბუნებას. თუმცა ქვეყანა მრავალფერია, მაგრამ კვლევა-ძიება გვიჩვენებს, რო ყველაფე-

რი, რაც რამ ხდება ქვეყანაზე, უთუოდ ერთს ყაიდაზე, ერთს წესზე ხდება; ეს ერთ-გვარობა, რომელიც არსებობს ზოგი ერთ მოვლენასა და საგნებში იმისი ნიშანია, რო ამ ერთ-გვარობას ერთი მიზეზიც უნდა ჰქონდეს. რადგან ქვეყნიერება ასეთი თვისების ყოფილა, ამიტომ მეცნიერებასაც შეუძლიან მისი შესწავლა და ერთ-გვარ საგნებს და ერთ წესის მოვლენას გონებაში ერთად აჯგუფებს და ყოველი ჯგუფის საერთო წესს უკვირდება. ამ საერთო წესს კანონი ჰქვიან. შემდეგ ამ კანონებს ერთმანეთს ადარებს და საერთო კვანძს, საერთო დასკვნას უძებნის და ჰპოულობს.

ახლა ვიკითხოთ, რაში იხატება რთულ და მარტივ საგანთა ერთგვარობა? ჯერ მარტივ საგნებს დავაკვირდეთ და შემდეგ რთულ საგნების ერთ-გვარობასაც გამოვიძიებთ. ეს 80 ელემენტი, ან მარტივი საგანი, შეიძლება გონებაში ორ ჯგუფად დავყოთ: მეტალებად (ლითონებად) და მეტალოიდებად. რითი ჰგვანან ერთმანერთს ერთი ჯგუფის საგნები და რითი განსხვავდებიან მეორე ჯგუფისეულებისაგან—ამისი შეგნება ადვილი იქნება თუ კი ამ ორ ჯგუფში ორ ნიმუშს ავიღებთ და ერთს მეორეს შევადარებთ. მეტალების ნიმუშად რკინა ავიღოთ და მეტალოიდების—ნახშირი. ვინ არ იცის, რა განსხვავებაა რკინასა და ნახშირში? რკინამ ელვარება და ბრწყინვა იცის, ნახშირმა-კი არა; მძიმე ჩაქუშის დარტყმით რკინა იჭედება, ნახშირი-კი იფხვნება; გრძელ ნახშირს თუ ერთი წვერი ეწვის, მეორე წვერს შეიძლება ხელი წავავლოთ და სიცხოვლეს არ ვიგრძნობთ; მაგრამ ეს გრძელი ნაჭერი, რომ რკინა იყოს და წითლად რომ გავახუროთ ერთი წვერი, მეორე წვერიც ძლიერ გაცხელდება, ასე რომ ნახშირში სიცხოვლე ერთი წვერიდამ მთელს ნახშირში ადვილად ვერ გადადის, ისე როგორც რკინაში ხდება; სჩანს, რო რკინას სიცხოვლის კადაღება

სკოდნია და ნახშირს არც ეს გადაღება შეუძლია, არც გაჭედვა, ბრწყინვა და ელვარება რკინასავით. რკინის თვისება ყველა მეტალს სჭირს და ნახშირისა მეტალოიდებს. მეტალები არის: რკინა, სპილენძი, ტყვია, კალა, ცინკი, ვერცხლი, ოქრო და სხ., მეტალოიდებს შეადგენენ: ნახშირი, გოგირდი, ფოსფორი, მჟავდანი, იოდი, აზოტი და სხვა. თქმა არ უნდა, რო თვითეულ ჯგუფის საგნებს ამ ზოგი-ერთ საერთო თვისებასთან, ყოველს თავისი საკუთარი თვისებაც აქვს და ამით განირჩევა სხვებისაგან; მაგ., ტყვიაც მეტალია და სპილენძიც, მაგრამ ტყვია თეთრია, სპილენძი კი მოწითალო; სიმძიმითაც ტყვია სპილენძზე მეტს იწონს.

ასეთია მარტივ საგანთა ზოგი-ერთი მსგავსება და ახლა რთულ საგნებსაც გადავავლოთ თვალი და გამოვიძიოთ მათი ერთ-გვაროობა რაღაში გამოიხატება. მაშინ გამოჩნდება, რა წესით ყოფილან შეერთებულნი მარტივი საგნები, ე. ი. კანონის გარკვევა. თავდაპირველად ის უნდა ვსთქვათ, რო ქვეყანაზე ძლიერ იშვიათად იპოვება ისეთი თრული საგანი, რომელიც ორ მეტალისაგან ან ორ მეტალოიდისაგან იყოს შემდგარი; თითქოს წესად აქვთ დადგენილი მეტალებს ერთად და აგრეთვე მეტალოიდებსაც, რო რადგან ერთმანერთს ვემსგავსებით და ერთ-გვარის ვართო, ამიტომ არც ერთმან-ერთს უნდა შევუერთდეთო.

მაგრამ სამაგიეროთ მეტალი და მეტალოიდი ძლიერ მკვიდრათ და ადვილად იკავშირებენ ერთმანერთს. ამიტომაა, რო მთელი დედა-მიწის მასალა უმეტეს ნაწილად ამ გვარ რთულ საგნებისაგან შესდგება, რომლებშიაც მეტალი და მეტალოიდია შეკავშირებული. მაგ., საჭმლის მარილი, რომელიც ზოგან მიწაში უზარ-მაზარ კლდეობას წარმოადგენს, მეტალი სოდიუმი (ბავრუკი) და მეტალოიდი ხლორის შეერთებისაგან გაჩენილა. მაგრამ ქვე-

ყანაზე მარტივ საგანთა შეერთებაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა მჟავდანს აქვს, რომელიც მეტალებსაც ერთვის და, მეტალოიდებსაც. ამ რთულ საგნებს, რომლებშიაც მეტალი ან მეტალოიდია მჟავდანთან შეერთებული, შეიძლება **მჟავდანოსანი** დავარქვათ (oxyde, окись). გარდა ამისა, თუ მჟავდანოსანში მეტალოიდია მჟავდანთან შეერთებული, მაშინ ამ გვარ რთულ საგანს **მჟავა** ერქმევა, რადგან ამ გვარ მჟავდანოსნებს ხშირად მჟაღე გემო აქვთ; და თუ მჟავდანოსანში მეტალოიდის ნაცვლად მეტალია მჟავდანთან შეკავშირებული, მაშინ ამ საგნებს **საფუძვა** ეწოდებათ. ახლა ამ საგნების ორიოდ მაგალითსაც მოვიყვანთ:

წითელი თიხის მიწა მეტალი ალიუმინის *) და მჟავდანისაგან შესდგება; კირში მეტალი კალციუმი და მჟავდანია; წითელი ბალკონების საღებავი წამალი, რომელზედაც ზევით ვილაპარაკეთ, მეტალს ვერცხლის წყალს და მჟავდანს შეიცავს. ამ გვარად საკირე ქვა, თიხის მიწა და წითელი წამალი საფუძვები ყოფილან, რადგან მჟავდანის და რომელიმე მეტალის შეერთებით გაჩენილან.

მჟავის მაგალითად დავასახელოთ: გოგირდის მჟავი, რომელიც წუმწუმის თავშია—მეტალოიდ გოგირდის და მჟავდნისაგან შესდგება; გაზი, რომელიც ლიმონადს ან ზელტერის წყალს ამოსდის, მეტალოიდ ნახშირს და მჟავდანს შეიცავს; ქვიშა და ტალი მეტალოიდ ტალმანის და მჟავდანის შეერთებისაგან გაჩენილან.

აქამდინ ჩვენ ვილაპარაკეთ განსაკუთრებით იმ გვარ საგნების შესახებ, რომლებიც მხოლოდ ორი ელემენტისგან შესდგებიან. საქმე იმაშია, რო ქვეყანაზე რთული

---

*) ალიუმინი ტუვიას ჰგავს, მხოლოდ ძლიერ სუბუქია.

საგნები უფრო ხშირად ორზე მეტ ელემენტს შეიცავენ. რომ გამოვიძიოთ ახლა ამ საგანთა ბუნება, ვნახავთ, რომ ეს საგნები **მჟავის და საფუძვის ერთად შეერთებისაგან** ყოფილან გაჩენილნი. ზოგ ქვეყანაში მთა-კლდეებია ცარცის და მარმარი ქვისა (მარმარილოსი); ეს ორი საგანი — მარმარი და ცარცი, ბუნებით ერთგვარ ქიმიურ საგნებს წარმოადგენენ, ე. ი. ორივეში ერთი და იგივე ელემენტებია, — ცარცი და მარმარი ერთ-გვარი ქიმიური საგნებია. ჩავყაროთ რამე შუშაში დაფხვნილი ცარცი და ძლიერ გავაცხელოთ ცეცხლზე; შუშა გაზით აივსება— ნახშირ მჟავით, როშელიც ლიმონადს ასდის. ეს გაზი ცარცმა გამოსცა სიცხოვლისგან; ამ გაზის დაკარგვით ცარცი კირად გარდაიქცა. ნახშირ მჟავი, რომელშიც მეტალოიდი ნახშირმანია მჟავდანთან შეკავშირებული, მჟავია. კირი, ხომ ნათქვამი გვაქვს, მეტალი კალციუმის და მჟავდნისაგანაა შემდგარი და ამიტომ საფუძვია. ასე რომ ცარცი სიცხოვლისაგან ორ რთულ საგნად დაიშალა და ამიტომ ცარცის ბუნება შეიძლება ასე გამოვსთქვათ ნიშნეულად:

კირი + ნახშირმჟავი = ცარცი.

და რადგან კირის და ნახშირმჟავის ბუნებაც ვიცით, ამიტომ ცარცის ბუნება უფრო ცხადათ შეიძლება გამოიხატოს:

(კალციუმი + მჟავდანი) + (ნახშირმანი + მჟავდანი) = ცარცი
კირი ნახშირმჟავი

კირში მეტალი კალციუმია, ამიტომ კირი საფუძვია; ნახშირმჟავი-კი, რომლის ნახშირი მეტალოიდია — მჟავია; მაშასადამე, ცარცი მჟავის და საფუძვის შეერთებით გაჩენილა. მხოლოდ ამ შეერთების წესი ისაა, რო ჯერ მჟავი და საფუძვი ჩნდება ცალ-ცალკედ და შემდეგ ერთდებიან, ცარცად ხდებიან. რთულ საგნებს, რომლებიც ცარცისებრ მჟავის და საფუძვის შეერთებისაგან არი-

ან წარმომდგარნი, მეცნიერები **მარილებს** უწოდებენ. სხვა და სხვა ჯურის მარილებს ქვეყანაზედ დიდი ალაგი უჭირავთ, როგორც, მაგალითად, ცარცს და მარმარსა, რომლის, როგორც უკვე ვსთქვით, მთა-კლდეებია ზოგ ქვეყანაში. სხვა მარილების ორიოდ მაგალითსაც მოვიყვანთ აქ:

საფუძვები		მჟავები	მარილები:
(სოდიუმი +	მჟავდანი) +	(ნახშირმანი +	მჟავდანი) = სოდა
(სპილენძი +	მჟავდანი) +	(გოგირდი +	მჟავდანი) = შაბი
(კალციუმი +	მჟავდანი) +	(გოგირდი +	მჟავდანი) = გიპსი

ვშიშობ მკითხველს „დავთარი არ აერიოს“ ამ რთულ საგანთა ბუნების ახსნაში, ამიტომ ეს ახსნა ხელ-მეორედ ორი-სამი სიტყვით გავიხსენიოთ, რადგან დიდათ საჭიროა ამ ახსნის შეგნება და დახსომება: მთელი ქვეყნის ძირეული მასალა 80 ელემენტისაგან შესდგება, რომლებშიაც ზოგი მეტალია რკინასავით, და ზოგიც მეტალოიდი ნახშირსავით. რთული საგნები გაჩენილან მეტალის და მეტალოიდების ქიმიურ შეერთებით. სხვა ელემენტებს ყველაზე ადვილად მჟავდანი იკავშირებს და ამიტომაა, რო ქვეყანაზე ყველაზე გავრცელებული ისეთი საგნებია, რომლებშიაც მჟავდანია შეკავშირებული რომელიმე სხვა ელემენტთან. ამ გვარ საგნებს, რომლებშიც მჟავდანი და სხვა რამ ელემენტია, მჟავდანოსანი საგნები ერქმევათ. მჟავდანოსანს, **რომელ**შიც მეტალია მჟავდანთან შეერთებული, საფუძვი ჰქვიან, და თუ, მეტალის ნაცვლად, მეტალოიდია, მაშინ მჟავია, საფუძვს და მჟავსაც შეუძლიათ ერთად ქიმიური შეკავშირება და აქედამ ჩნდება მარილი.

რადგან მჟავდანს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა და სხვა რთულ **საგ**ნის გაჩენაში **და** დედა-**მიწ**ის **ქერქის** უმეტესი ნაწილი, ე. ი. სხვა და სხვა მიწები, ქვა-ქვიშა, მთა-კლდეები **და** წყალიც ამ ელემენტის და რო-

მელიმე სხვასთან შეერთებისაგან წარმოსდგება, ამიტომ მეტი არ იქნება ახლაკე ორიოდე სიტყვა მაინც ვსთქვათ ამის შესახებ. მჟავდანი თავისუფლად მხოლოდ ჰაერშია, ამიტომ ჯერ ჰაერის ბუნება გამოვიძიოთ და გავიგოთ რა მონაწილეობას იღებს ჰაერში ეს ელემენტი. ვინ არ იცის, რო დედა-მიწა ბურთივიო, რგვალი ქვეყანაა და მას გარშემო ყოვლის მხრით ჰაერი არტყია, რაღაც 100 ვერსტის სისქით (სიმაღლით); ჰაერს ჩვენ ვსუნთქავთ და მის წყნარ დენას ნიავს ვეძახით და ჩქარს-ქარი ჰქვიან.

ჰაერი უფერული გაზია.—ამიტომ უჩინარია და თავისი წონაც აქვს. ტიკჭორა გაბერვით ჰაერით ივსება; სწორ სასწორზე ჯერ გაბერილი და მერე დაკეცილი ტიკჭორა რო ავწონოთ, ვნახავთ, რო გაბერილს მეტი წონა აქვს; ცხადია, რო ეს მეტი წონა შიგ ჩაბერილ ჰაერისაა. ძლიერ ცოტაა ეს მეტი წონა, მაგრამ მაინც წონაა და ნიშნავს, რო ჰაერსაც თავისი წონა აქვს. გამოვცადოთ ახლა ჰაერის ბუნება. ავიღოთ თეთრი ბოთლი და როგორმე ძირი მოვაგდებინოთ. ზემო პირს პრობკა დავუცოთ მაგრათ და ასე აყენებული სწორედ ჩავუშვათ ტაშტში, რომელშიაც წყალია ჩასხმული. შუშაში ჰაერი რომ არ იყოს, ნახევრად ჩაშვებულ შუშაში წყალიც ნახევრად აავსებს მას და შიგ სწორეთ იმ სიმაღლის იქნება, რა სიმაღლეც შუშის გარეთ აქვს მას. მაგრამ შუშაში ჰაერია, ამიტომ პრობკით დაცობილი პირამდინაც რო ჩავუშვათ წყალში, წყალი მაინც შიგ თავამდინ ვერ ავა,—ჰაერი არ უშვებს; პრობკა რომ ამოვაძროთ, წყალი მაშინვე ზევით ავა და დადგება გარე წყლის სისწორივ, რადგან ჰაერს, რომელსაც ქვემოდამ წყალი აწვებოდა, გზა გაეხსნა ზემო პირში და გარეთ გამოვიდა. რო მოვინდომოთ ახლა ბოთლის ნახევრად ავსება, მაშინ პრობკა ცოტად უნდა ამოვწიოთ და როდესაც წყალი ნახევრამდინ ავა, პრობკა ისევ მაგრათ დავუცოთ; თუ

ბოთლში ნახევრამდინ ავიდა წყალი—ნახევარი ბოთლი ჰაერი იქნება გამოსული გარეთ; ასე რომ, რამდენათაც ჰაერი კლებულობს, იმდენათვე წყალი მატულობს და მაღლა ადის ბოთლში.

ავიღოთ ახლა პატარა, შაურის ოდენა ნაფოტი და ზედ დავაყენოთ პატარა, წუმწუმის ოდენა წმინდა სანთელი. ტაშტის წყალში ერთი მუჭა კირი ჩავყაროთ და მოვურიოთ; ცოტა ხნის შემდეგ წყალი დაწნდება. დავდგათ წყალზე ნაფოტი და ავანთოთ სანთელი; ავიღოთ ჩვენი ძირ-მოგდებული და პრობკით პირ-დაცობილი ბოთლი და წყნარად ჩავუშვათ წყალში ისე, რომ ნაფოტი ზედ დაკრული სანთლით შიგ მოჰყვეს. რამდენიმე წუთს სანთელი ისევ იწვის და ბოლოს გაქრება ისე, რო ჯერ მთლად არც კი იქნება დამწვარი. ამ დროს წყალიც ცოტად მაღლა აიწევს ბოთლში,—სჩანს რო ჰაერს დაუკლია და სადღაც გამქრალა. გაზომა გვიჩვენებს, რო ჰაერს ხუთ წილში ერთი დაჰკლებია. ბოთლს ქვემოდამ ხელი ან სხვა რამ ნივთი დავუცოთ, ამოვიღოთ წყლიდამ, გადავაპირქვავოთ და ამ ჰაერის ნარჩომში ანთებული სანთელი ან წუმწუმა ჩავუშვათ გამოსაცდელათ;—წუმწუმა და სანთელიც მაშინვე ჰქრებიან. ამ გვარ ჰაერის გამოცდას შეიძლება შემდეგი დასკვნა მივცეთ: ჰაერი ორი გაზისაგანაა შემდგარი; ერთი, რომელიც ცეცხლს აქრობს, ჰაერის 4 ნაწილს შეადგენს და მეორე, რომელიც სადღაც გაჰქრა, ერთს ნაწილს. ეს ერთი ნაწილი ის რაღაცაა ურომლოთაც ჰაერი ჰაერი კი არაა, არამედ რაღაცა ცეცხლის მქრობი გაზია; ამ გაზს მეცნიერებაში აზოტი ეწოდება. ახლა ვიკითხოთ სად გაჰქრა ის მეხუთე ნაწილი? წყალი, რომელშიც კირი იყო გაბსნილი, სანთლის წვიხ დროს თანდათან აიმღვრა. ჩავასხათ ეს წყალი რამე წმინდათ ქსოვილ ტოპრაკაში და გავწუროთ; შიგ დარჩება რაღაცა თეთრი ტალახი; მზეზე რო გავა-

შროთ, ვნახავთ რომ ეს რაღიცა ცარცი ყოფილა. ცარცის ქიმიური ბუნება ხომ ასეთია:

(კალციუმი + მჟავდანი) + (ნახშირმანი + მჟავდანი) = ცარცი

კირი ნახშირმჟავი

წყალში მხოლოდ კირი იყო გახსნილი და სანთლის დაწვაზე ცარცად გარდაქცეულა, მაშასადამე, წყალში გახსნილს კირს ნიხშირმჟავი მიჰმატებია, რომელიც სანთლის დაწვით უნდა იყოს გაჩენილი. გამქრალი ჰაერის წონა რო ვიცოდეთ და ახლად გაჩენილ ნახშირმჟავის მჟავდნის წონაც რომ გამოვიძიოთ, ვნახავთ, რო ეს მჟავდანი სწორეთ იმდენს იწონს, რა წონისაც გამქრალი ჰაერია. მაშასადამე, ეს ჰაერის გამქრალი ნაწილი მჟავდანი ყოფილა, რომელმაც მართლაც და ცეცხლის მოკიდება იცის; ამაზე ხომ ზემოთაცა ვსთქვით.

აქედამ დასკვნა ასეთია: ჰაერი ორ გაზისაგანაა შემდგარი: მჟავდანის და აზოტისაგან; აზოტს უჭირავს 4 წილი და ცეცხლის მქრობია; ერთი წილი კი მჟავდნისაა, რომელიც ცეცხლს აჩენს. ბოთლში სანთელს, დაწვის დროს, ნახშირმანი გამოუცია, რომელიც ბოთლში მომწყვდეულ ჰაერის მონაწილე მჟავდანთან შეერთებულა და ამ გვარად ნახშირმჟავი გაუჩენია. წყალში გავსნილი კირი საფუძვია, რომელმაც მჟავებთან იცის შეერთება, და რადგან იქვე ახლად გაჩენილი ნახშირმჟავი მჟავეა, ამიტომ მასთან შეკავშირებულა და ცარცი გაუჩენია, ე. ი. მარილი. ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რო, როდესაც რამე იწვის, მაშინ ამ რამეს ჰაერის მონაწილე მჟავდანი ერთვის. თუ ეს საგანი მეტალია, მის დაწვის შედეგი მჟავია; და თუ მეტალოიდი იწვის, მაშინ საფუძვია. მჟავდანი და აზოტი ჰაერში ერთად არეულნი არიან (ისე როგორც არაყში სპირტი და წყალი) და არა ქიმიურად შეერთებულნი. 80 ელემენტში მჟავდანს თითქმის ყველასთან შეუძლია. შეერთება. მჟავდა-

ნი უფერული გაზია, ასე რომ სავსე შუშა ცალიერი გვეგონება. შიგ რკინის გაცხელებული მართული რო ჩავუშვათ, ფიცხლად და დიდის ტკაცუ-ტკუცით დაიწვება; ამ დაწვის შედეგი ახალი რთული საგანი იქნება, რომელიც შუშის ძირს დაეყრება და რომელშიც მჟავდანი და რკინაა შეერთებული. რა გინდ მარტივი საგანი არ ავიღოთ, თითქმის ყველა იწვის შიგ, თუ-კი საკმაოდაა გაცხელებული ეს საგანი. დაწვა ნიშნავს რომელიმე საგნის მჟავდანთან შეერთებას.

ასეთია მჟავდანი; აზოტი კი სამაგიეროთ მეტის მეტად ბაიყუში ელემენტია: მხოლოდ ორიოდ ელემენტს ეკარება და ერთვის და ისიც რის ვაი-ვაგლახით! თუმცა ეს ასეა, მაინც აზოტს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დიდი ადგილი უკავია ცოცხალი ბუნების მასალაში, ე. ი. მცენარ-ცხოველებში. ამაზე სხვა დროს გვექნება ლაპარაკი.

IV. რა წესით ერთდებიან მარტივი საგნები?

ველგან, ახსნის დროს, მოყვანილ მაგალითებში ჩვენ ვხმარობდით იმისთანა საგნებს, რომლებიც ყველას უნახავს და ყველა იცნობს. რაღა თქმა უნდა, რო მეცნიერი თავის ლაბორატორიაში, სადაც ქვეყნის მასალის რაობას იკვლევს, რამდენიმე საგნით არა ჯერდება და მთელი ქვეყნის საგნების ნიმუშებს იღებს და მათის დაშლით თუ შეერთებით თვის სწავლას ადგენს მთელ მატერიის ქიმიურ ბუნებაზე. ამ ჯვარ კვლევა-ძიებაში მეცნიერი ბუნებას ორი ყაიდით სცდის: ჯერ სხვა-და სხვა საშუალებით რთულ საგანს შლის და ამ

გვარად იგებს-რა მარტივ საგნებისაგან შესდგება ეს საგანი; მაგ. წყლის გამოსაკვლევად ნიმუშად, ვსთქვათ, ერთ ჭიქა წყალს იღებს და მისი დაშლით იგებს, რო წყალი მჟავდან-წყალდნისაგანაა შემდგარი. ამ ყაიდის ცდას, ე. ი. რთულ საგნების დაშლას, ანალიზი ჰქვიან. ამაზე ხომ ზემოთაც ვილაპარაკეთ. მაგრამ ანალიზსაც არა სჯერდება მეცნიერი და რომ უფრო დარწმუნდეს ანალიზის შეუცდომლობაში, ე. ი. რომ წყალი მართლადაც მჟავდან-წყალდნისაგანაა შემდგარი, ამ ორ მარტივ საგანს ისევ აერთებს და თუ ამ შეერთებით 'წყალი გაჩნდა, მაშინ მეცნიერიც საბოლოოდ რწმუნდება ანალიზის ნაჩვენებში და, მაშ, ცდაც დამთავრდა. ამ მეორე ყაიდის ცდას, როდესაც დაშლილ საგანს განგებ ისევ აერთებენ, სინტეზი ჰქვიან. როგორც ვხედავთ სინტეზი ანალიზის მოწმეა; სინტეზმა ანალიზის ნაჩვენები უნდა დაამტკიცოს და თუ სინტეზმა სხვა საგანი გააჩინა, ეს იმის ნიშანი იქნება, რო მეცნიერს ანალიზი სწორედ ვერ მოუხდენია და ამიტომ საჭიროა ხელ-მეორედ, სხვა გვარად ანალიზის მოხდენა. მანამ სინტეზი ანალიზის ნაჩვენებს არ დაამტკიცებს, მანამ საგნის კვლევა დამთავრებული არაა.

ამ ორი ყაიდის კვლევა-ძიებამ—ანალიზმა და სინტეზმა, მეცნიერებას უჩვენა, რო მარტივ საგნებს ორი წესით სცოდნიათ ერთად შეერთება, ე. ი. ორს კანონს ექვემდებარება რთული საგნების გაჩენა. პირველი წესი ან კანონი ასე გამოითქმის: მარტივი საგნები ყოველთვის თავ-თავისი კერძით ერთვიან ერთმანერთს. ავიღოთ, მაგალითად, 1 გირვანქა წყალი და რამე ჭურჭელში სიცხოვლით ან სხვა რამ ხერხით დავშალოთ; წყალი ორ გაზათ გარდაიქცევა: მჟავდნათ და წყალდნათ. ავწონოთ ახლა ეს ორი გაზი. ვნახავთ, რო წყალდანი გირვანქის ორ ნაწილს იწონს და მჟავდანი—თექვსმეტსა; სჩანს რო

1 გირვანქა წყალში წყალდნის კერძი გირვანქის ორ ნაწილს იწონს და მჟავდნის კერძი—16. ყველგან და ყოველთვის წყალში ეს კერძიანობა სცოდნიათ მჟავდანსა და წყალდანს: წყლის 1 მისხალში, თუ 1 ფუთში ორი წილი წყალდნისაა და 16 მჟავდნისა.

ეს გავიგეთ წყლის დაშლით, ე. ი. ანალიზით, ახლა სინტეზს მივმართოთ და ვნახოთ—მტკიცდება თუ არა ეს ანალიზის ნაჩვენები? ავიღოთ ორი ჭურჭელი: ერთი მჟავდნითაა სავსე და მეორე წყალდნითა. ვსთქვათ, რო მჟავდნის წონა ამ ჭურჭელში 24 მისხალია და წყალდნისა 2. შევუშვათ ეს ორი გაზი რამე ჭურჭელში; შიგ ერთად აირევიან და შემდეგ რომ მოვინდომოთ მათი ქიმიურად შეერთება, საკმარისი იქნება შიგ ცეცხლის ერთი ნაპერწკალი ჩავაგდოთ,—მაშინვე შეერთდება ეს ორი გაზი და გაჩნდება წყალი. რომ ავწონოთ ახლა ეს წყალი ვნახავთ, რომ სულ 18 მისხალს იწონს. წყალდანი მთლად გამქრალა, მჟავდანი კი ისევ იპოვება ჭურჭელში. ავწონოთ ეს დარჩენილი მჟავდანი,—8 მისხალს აიწონს. ვიანგარიშოთ ახლა: ჩვენ ავიღეთ 2 მისხ. წყალდანი და 24 მისხ. მჟავდანი; შეერთებით გაჩნდა 18 მისხ. წყალი და დარჩა 8 მისხ. მჟავდანი. მაშ მჟავდანის 24 მისხლიდამ მხოლოდ 16 მისხ. შეერთებულა 2 მისხალ წყალდანთან. სჩანს რო წყალდნის 2 მისხალს მჟავდნის მხოლოდ 16 მისხლის შეერთება შეუძლიან და მეტი ძალა აღარა აქვს, ამიტომ მჟავდნის 8 მისხალი ცუდათ და თავისუფლად დარჩენილა.

ამ სინტეზმაც გვაჩვენა, რო წყალში წყალდნის კერძს ყოველთვის 2 წილი აქვს; მჟავდნისას კი—16. შერევით რამდენიც გინდა შეიძლება შევრიოთ, შეერთებით-კი უთუოდ ამ წესით ერთდებიან. ეს წესი, ე. ი. მონაწილეთა ერთ-გვარი კერძიანობა ყოველ რთულ საგანსაც სჭირს. რა გინდ რთული საგანი არ ავიღოთ, მა-

გალითად, შაქარი, კირი, ცარცი, სსვა და სხვა მიწები, ქვები და სხვ. ყოველში მონაწილე მარტივ საგნებს თავთავისი გარკვეული, ყოველთვის და ყველგან ერთ-გვარი კერძი აქვთ. ცარცი არი შემდგარი კალციუმის, ნახშირმანის და მჟავდნისაგან; ამ სამ მონაწილე საგანს თავთავისი კერძი აქვთ: კალციუმს 40, ნახშირმანს 12 და მჟავდანს 48. ყოველთვის სადაც-კი არ ავიღოთ ცარცი; მის მონაწილეთ უთუოდ ეს ზომა აქვთ; ეს კერძი მუდმივია და არას დროს არ იცვლება. რადგან ეს კერძიანობა ვიცით, ამიტომ რთულ საგნის გაჩენაც შეგვეძლება; ვსთქვათ, ცარცის გაჩენა მოვინდომეთ; ვიღებთ 40 წილს (გირვანქას, თუ მისხალს) კალციუმს, 12 წილს ნახშირმანს და 48 მჟავდანსა და ქიმიურად ვაერთებთ,— გაჩნდება ცარცი (საგნების ქიმიურ შეერთებისათვის მეცნიერმა სხვა და სხვა ხერხი იცის).

აი რამდენიმე რთული საგანი და მათ მონაწილეთა კერძიანობა:

წყალში:	მჟავდანს 16 წილი უჭირავს, წყალდანს—2	შაბში:	სპილენძს—63 გოგირდს—32 მჟავდანს—64
ნახშირმჟავში:	ნახშირმანს—12 მჟავდანს—32	სპირტში:	ნახშირმანს—24 წყალდანს—6 მჟავდანს—16
ცარცში:	კალციუმს—40 ნახშირმანს—12 მჟავდანს—48	შაქარში:	ნახშირმანს—144 წყალდანს—22 მჟავდანს—176.

ამ წესს შეიძლება **მუდმ-კერძიანობის** კანონი დავარქვათ; რთულ საგნებში მონაწილეთა მუდმი კერძიანობა არსებობს,—ასე გამოითქმის ეს მუდმ-კერძიანობის კანონი.

რომ დავაკვირდეთ ახლა ამ ციფრებს, მეორე სა-

კვირველ წესს აღმოვაჩენთ. წყალში მჟავდნის კერძი 16, სპირტშიც 16, ნახშირმჟავში 32, ცარცში 48, შაბში 64, შაქარში 176. ეს ციფრები ერთი-მეორეს რო შევადაროთ შევნიშნავთ, რო 32, 48, 64 და 176 ისევ ის 16, რომელიც წყალსა და სპირტშია, მხოლოდ განმეორებული,—ნახშირმჟავში ორჯერ თექვსმეტია, ცარცში სამჯერ, შაბში ოთხჯერ და შაქარში თერთმეტჯერ. რომ უკეთ წარმოვიდგინოთ ეს მჟავდნის თვისება მისხლებით ვიანგარიშოთ მისი წილნა:

წყალში—16 მისხ. მჟავდანია
ნახშირმანში—32 (ესე იგი 2×16)
ცარცში—48 (3×16)
შაბში—64 (4×16)
შაქარში—176 (11×16).

სჩანს, რო მჟავდანი ზოგ საგანს ერთი კერძით ეკავშირება, ზოგს 2, 3, 4 და სხვ. არსად არ ხდება ისე, რომ მჟავდანი რომელიმე საგანს ერთ და ნახევარ ან $2^1/_2$ კერძით ეკავშირებოდეს. ყველგან მთელ-მთელ კერძად ერთვის სხვა საგანს,—ერთ ან რამდენიმე კერძად. ახლა ნახშირმანს დავაკვირდეთ:

ცარცში—12 მისხ. ნახშირმანია.
სპირტში—24 (2×14)
შაქარში—144 (12×12)

ასე რომ ნახშირმანსაც ჰქონია ეს თვისება: კერძის (12) მთელ-მთელად განმეორება. ყოველ მარტივ საგანს, ანუ ელემენტს აქვს ეს თვისება. ყოველს თავისი კერძი აქვს და სხვა საგანს ან ერთი კერძით ერთვის, ან კერძ-განმეორებით. არც ერთ საგანს კერძის ნაწილი არ გააჩნია და სხვას უთუოდ მთელი კერძებით ერთვის. ამ წესს **რთულ-კერძიანობის** კანონი დავარქვათ *).

*) ამ წერილების წერაში ჩვენ ხშირად ფრანგულ წიგ-

ასეთია ეს ორი მთავარი კანონი, რომელსაც ექვემდებარება ყოველ მარტივ საგანთა ქიმიური შეერთება:

1. მუდმ-კერძიანობის კანონი,
2. რთულ-კერძიანობის კანონი,

რომლებიც ასე გამოითქმებიან:

მუდმ-კერძიანობის კანონი: ყოველ მარტივ საგანს თავისი კერძი აქვს აჩენილი სხვასთან შესაერთებლათ.

რთულ-კერძიანობის კანონი: ყოველი მარტივი საგანი სხვას კერძით ან კერძ-განმეორებით ერთვის.

V. ატომი და მოლეკულა.

ევაჩეროთ ეს რთულ საგანთა ბუნების კვლევა და ვიკითხოთ რითი აიხსნება ეს ორი კანონი? რათაა, რო ყოველ მარტივ საგანს თავისი კერძი აქვს, რომელიც არა დროს არ ეცვლება და რათაა, რო ეს რთულ-კერძიანობაც სცოდნიათ ამ საგნებს? რათაა, რო როდესაც მარტივი საგანი რთულში კერძზე მეტს იწონს, მაშინ ეს კერძი უთუოდ განმეორებულია, მთელ-მთელად შესული და არა კერძ-დანაწილებული, მაგ., ერთი კერძი და ნახევარი ან $5/^1_0$?

ამის ახსნას შეუდვა სახელ-განთქმული ინგლისელი მეცნიერი დალტონი (გარდაიცვალა 1844 წ.) და კიდეც ახსნა. ზემოთ ჩვენ ნათქვამი გვაქვს, რო ჰაერის $^1/_5$ ნაწილი მჟავდანს უჭირავს და დანარჩენი $^4/_5$ აზოტია. ჰაერში მჟავდანი და აზოტი შერეულნი არიან და არა ქი-

ნებით ვსარგებლობთ; რჩილამ ვთარგმნეთ ამ კანონის განმარტვას—loi des proportions multiples.

მიურად შეერთებულნი. მჟავდანი თითქმის ყველა ელემენტს ერთვის და აზოტი მხოლოდ ორიოდეს. სხვათა შორის მჟავდანთანაც სცოდნია შეერთება ამ აზოტს და ისიც ხუთ გვარად. აი ამ მჟავდანოსან აზოტის გამოძიებას შეუდგა დალტონი და მისი ბუნება გამოიკვლია.

ეს 5 გვარი შეერთება ასე გამოიხატება:

1) აზოტს—28 წილი უჭირავს
   მჟავდანს—16
2) აზოტს—28
   მჟავდანს—32
3) აზოტს—28
   მჟავდანს—48
4) აზოტს—28
   მჟავდანს—64
5) აზოტს—28
   მჟავდანს—80

ამ ციფირების შეტოლებით აღმოჩნდა, რო მაშინ, როდესაც აზოტის კერძი ყველგან 28-აა, მჟავდანის კერძი ყველგან იმეორებს:

პირველში ერთჯერ 16-ა
მეორეში—2×16=32
მესამეში—3×16=48
მეოთხეში—4×16=64
მეხუთეში—5×16=80.

რათაა, რო მჟავდანი ამ 16 ყველგან იმეორებს მთელ-მთელათო, იკითხა დალტონმა და ზოგი-ერთ მოსაზრების შემდეგ ამის პასუხსაც მიაგნო. რომ გავიგოთ, რა გვარი იყო ეს მოსაზრება, ერთ მაგალითს ვიტყვით: როგორც რუსულ ფულში ზოგი შაურია, ზოგი უზალთუნი, აბაზი, მანეთი და სხვ., აგრეთვე საფრანგეთშიაც სხვა და სხვა ფულია: ერთში ხუთი სანტიმია, მეორეში ორჯერ ხუთი სანტიმია, მესამეში სამჯერ ხუთი, მეოთხეში ათჯერ, მეხუთეში ოც-ჯერ ხუთია. რასა ნიშნავს, რო ყოველ ფულში ეს 5 სანტიმი განმეორებულია ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ და სხვ?.. რათაა, რო რომელიმე ფულში 8, 13, 23 ან 51 სანტიმი არაა და ყველაში მთელ-მთელათაა განმეორებული ეს ხუთი? თუ მკითხვე-

ლმა მიხვედრა ადვილად იცის, ბევრი ფიქრი არ დასჭირდება და იტყვის, რო ეს ხუთი იმის ნიშანია, რო ფრანგების სულ პატარა ფული ხუთ სანტიმიანი ფული ყოფილა, ისე, როგორც რუსის ფულში ერთი კაპეიკია, მაშასადამე, ამ 5 სანტიმიან ფულის გაყოფა, ე. ი. დახურდავება, აღარ შეიძლება. დაახლოვებით ამ გვარ მოსაზრებამ აფიქრებინა დალტონს, რო თუ მჟავდანიც 16-ს ყველგან მთელ-მთელად იმეორებს, ეს იმის ნიშანი უნდა იყოს, რო მჟავდანის სულ პატარა ნაწილიც გაუყოფავი უნდა იყოსო და როდესაც ეს პატარა ნაწილი თუ მარცვალი იმეორებს, მაშინ მჟავდნის წონაც იმეორებსო. ავიღოთ, მაგალითად, მჟავდანოსანი აზოტი, რომელშიაც მჟავდნის კერძი სამჯერაა აღებული, ესე იგი:

აზოტი—<8

მჟავდანი—48 (3×16).

ერთს მისხალში აზოტს 28 წილი უჭირავს და მჟავდანს 48. სულ პატარა ნაწილიც რომ ავიღოთ, იქაც აზოტს 28 წილი ექნება და მჟავდანს 48 (3×16). ეს პატარა ნაწილიც გონებაში რო დავანაწილოთ, ბოლოს სულ უკანასკნელი პატარა ნაწილი 4 მარცვლისაგან უნდა იყოს შემდგარი: ერთი აზოტის და სამი მჟავდნისა. ავიღოთ ახლა სხვა რთული საგანი, მაგ., ტალი, რომელშიაც ტალმანის წილი 28-ს იწონს და მჟავდნისა—48-ს (3×16). ვსთქვათ, რომ ეს ტალის ნატეხი 1 მისხალს იწონს. წარმოვიდგინოთ, რო რამე საშუალებით ან ხერხით ეს პატარა ნატეხს 100 ნაწილად გავტეხეთ, ასე რომ თითო ნაწილი მისხლის $^1/_{100}$ იწონს; გავტეხოთ ეს მისხლის $^1/_{100}$ ისევ ას ნაწილად,—მაშინ თითო ნაწილი მისხლის $^1/_{100} \times _{100}$ აიწონს, ე. ი. ერთი მისხალი ათი ათასად დანაწილდება. ამ გვარ დაყოფის დროს ყოველი პატარა ნაწილი მაინც ტალია, რადგან ყოველ ნაწილში ტალმანს 28 წილი აქვს და მჟავდანს 48. ვიკითხოთ ახლა

—სადამდინ შეიძლება ამ გვარი დაყოფა? რაღა თქმა უნდა—იქამდინ, ვიდრე ნაწილი ტალადა რჩება და სხვა რამედ არ იქ'ცევა. სულ უკანასკნელი პატარა ნაწილი 4 მარცვლისაგან შემდგარი რო წარმოვიდგინოთ,—ეს ჭკვასთან ახლოს იქნება, რადგან მჟავდანის კერძის განმეორება მთელ-მთელად (3×16) ამ მარცვლიანობით თუ შეიძლება ახსნა, თორემ სხვა არაფრით. მაშ, სულ უკანასკნელი ტალის ნაწილი ოთხ მარცვლიან ჯგუფს წარმოადგენს: ერთი მარცვალი ტალმანისაა და 3 მჟავდნისა. წონით ტალმანის მარცვალს მთელ ჯგუფში 28 წილი აქვს, მჟავდნისას-კი, თითოს 16, და რადგან მჟავდნის 3 მარცვალია, ამიტომ ეს 16 სამჯერ გამოიხატება მთელ ჯგუფში (3×16=48). წარმოვიდგინოთ ეს ჯგუფი დიდათ და ვსთქვათ, რომ ეს ოთხ-მარცვლიანი ჯგუფი ერთ მისხალს იწონს. რადგან ეს ერთი მისხალი ოთხ მარცვლის წონას ნიშნავს და 4 მარცვლის საერთო წილი 76-ია (ტალმ.—28; მჟავდ.—3×16=48; 28+48=76), ამიტომ მისხლის $^{28}/_{76}$ ნაწილი ტალმანის იქნება და $^{48}/_{76}$—მჟავდნისა; თითო მჟავდნის მარცვალი-კი მისხლის $^{16}/_{76}$ აიწონს.

ს. კვერკველაძე.

(შემდეგი იქნება)

რა არის დოსტაქრობა

ანუ

რიგორ არჩენენ ადამიანებს დანით?

(დ-რის ფიშერის წიგნიდამ).

I.

ამ რამდენიმე დღის წინათ ივანეს ეკალი შაერჭო თითში. ივანემ ამას უურადღება არ მიაქცია, თითქმის დააკიწუდა კიდეც. მაგრამ, აი, გავიდა რამდენიმე დღე და ივანეს მწვავე ტკივილი იგრძნო თითში სწორეთ იმ ადგილას, სადაც ეკალი შაერჭო. ტკივილთან ერთად, თითს სიმსივნეც მოემატა და ივანეს ეს ორი ღამეა, რომ თვალი თვალზედ არ დაუკარებია. საშინელი ტეხისა და ტკივილისაგან ივანეს უძილობა დასჩემდა. დედაკაცებმა მოუტანეს რაღაცა მალამოები და დაადეს დასნეულებულს თითზე, მაგრამ თითი უარესად გაუხდა. ბოლოს გადაწყვიტეს აქიმთან წასვლა

მახლობელს ქალაქში. აქიმმა ივანეს თითი გაუსინჯა და უთხრა, რომ სიმსივნის გაუჯრელად ამის მორჩენა შეუძლებელიაო.

ივანეს და მის დედაკაცს არ ესიამოვნა აქიმის სიტყვა და სთხოვეს, გაუჯრელათ უწამლეო, წამალი მოგვეციო. აქიმმა უთხრა: ტყუილათ უარობთ გაჯრას, გაუჯრელათ თითის მორჩენა შეუძლებელია, ჩირქი მალე ძვლამდის ჩაატანს და მაშინ, იქნება, სამუდამოთ მთელი ხელიც დაკარგოვო, შეიძლება სიკვდილითაც გათავდეს საქმეო, თუ ახლავე არ გამაჯრევინებთ და წამალს ისე არ წამაცხობინებთო. აქიმის სიტყვებმა გასჯრეს, ივანე დასთანხმდა სიმსივნის გაჯრას; ტკივილი თითქმის სულ არ უგრძვნია ივანეს, რადგანაც გაჯრამ ერთი წამიც არ გასტანა. ივანეს ეშველა: რამდენიმე დღეში თითი სრულიად მოურჩა.

რა უნდა ვსთქვათ, სხვა, უფრო რთულ და მძიმე გაჯრაზედ, მაგალითად, მუცლისა, მკერდისა, თავისა, ძვლის გადახერხვაზე და მისთანებზე! სულ ტყუილი და უსაფუძვლო კია ასეთი შიში!.. წარმოსდგება ეს შიში, რასაკვირველია, უცოდინარობისგან და ამიტომ ამ წიგნაკში ჩვენ ვეცდებით მაგალითებით უვუხსნათ ქართველს მკითხველს, როდის და როგორ არჩენენ აქიმები დანით.

II.

ავიწყოთ ასლად-შობილი ბალღიდან. გაოგნილი გექნებათ, ან იქნება გენახოთ კიდეც, რომ ზოგიერთი ბალღი ისე იბადება, რომ უკანა ტანი, ე. ი. უკანასკნელი ნაწლევი, სრულიად შეკრული აქვს, ისე რომ ბალღს, რამდენიც უნდა ჯამოს, ტანში ვერ ასაქმებს და, რა თქმა უნდა, რამდენიმე დღის შემდეგ ცოცხლივ უნდა მოკვდეს. აქიმი კი სულ ადვილად უშველის ასეთს ბალღს: დანის ერთი-ორი მოსმით, სულ რამდენსამე წამში გაუხსნის ბალღს უკანა ტანს, წასცხეებს წამლებს და ბალღი ისევე კარგად გაიზრდება, როგორც სხვა ჯანმრთელი ბალღი. ბოდი და ნუ იტყვი, რომ მართლაც უმეცრებაა კაცს აქიმის დანისა ეშინოდეს!..

აი მეორე მაგალითიც. გენახებათ ან გაგონილი გექნებათ, რომ ზოგიერთი ბალღი ტუჩ გაეოფილი იბადება, ე. ი. ზემო ტუჩი თითქოს განგებ ვილაცას ორად გაუსვევია. ასეთი სიმახინჯე, გარდა იმისა, რომ კაცს აუშნოებს, დიდად მავნებელიც არის ადამიანის ჯან-მრთელობისათვის; ადამიანი ისეა გაჩენილი, რომ მომეტებულათ ცხვირით უნდა სუნთქავდეს და არა პირით; პირი საჭმლის მისაღებად გვაქვს, ცხვირი—ჰაერის სასუნთქველად. გაეოფილი ტუჩი კი ძლიერ უშლის

კაცს ჰირის მოკუმშვას და ცხვირით სუნთქვას: უნდა თუ არ უნდა, ტუჩ-გაუოფილი კაცი ძალა-უნებურად ჰირით სუნთქავს და ეს კი ძლიერ მავნებელია მისთვის. აქიმის დანა კი ხულ ერთს წამში გაუმთელებს ბალღს ორად გაუოფილს ტუჩს: დანის ერთი-ორი გასმით, აქიმი გაუჭრის გაუოფილს ტუჩს ძირში, შემდეგ გაუკერავს, წასცხებს წამლებს და როცა მორჩება, ზემო ტუჩიც ისევე მთელი ექნება, როგორც ქვემო.

აი მესამე მაგალითიც. გეცოდინებათ, რომ ჩვენი ენა შეერთებულია ქვემო ებასთან მოგრძო და მოქნილი კანით, რისგამოც ენას თავისუფლათ შეუძლიან მოძრაობა—წოვნა, ჭამა, ლაპარაკი და სხვ. გაგონილი გექნებათ, რომ ბალღი ზოგჯერ ისე იბადება, რომ ენის ეს შემაერთებელი კანი ისეთი მოკლე აქვს, რომ ენა თითქოს დაკრულიაო ქვემო ებაზედ, ბალღი ენას ვერ ანძრევს და ამიტომ ვერც მუძუ მოუწოვნია და ვერც ხმა ამოუღია... მიჰგვარეთ ასეთი ბალღი აქიმს: დანის ერთის გასმით, აქიმი ერთის წამში განკურნავს თქვენს შვილს და ბალღს ლაპარაკის შნოც მიეცემა და საჭმელსაც კარგად შესჭამს.

III.

ვენახებათ რა არისსიმსივნე. ზოგი სიმსივნე ისე ჩქარა იზრდება, რომ რამდენსამე თვეში

ბალღის თავის ტოლა ხდება, ზოგი—მეტად ნელა იზრდება და რამდენსამე წელიწადში ძლივს მაჟალოს ტოლა გაეზრდება კაცს, ზოგი მაგარია, ზოგი რბილია, ზოგი ძლიერ მტკივანაა, ზოგი უმტკივნო, ზოგი ძვლებიდამ ამოდის, ზოგი კუჭიდამ, ღაძლიდამ, ტუავიდამ, თვალიდამ და სხვ. და სხვ.

სიმსივნე საზოგადოთ შეუმჩნეველად გამოჩნდება ხოლმე. თუ სიმსივნე ტუავზე აუჩნდა ადამიანს, ის მალე შეამჩნევს მას, მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ სიმსივნე ხშირად სადმე ჩვენს სხეულში გაჩნდება ხოლმე, სადაც ვერც თვალით დაინახავ მას და ვერც ხელით ჩასწვდები. იმის არსებობას ასეთს ადგილას მარტოოდენ მაშინ იგრძნობს ადამიანი, როცა ტკივილი ძალაუნებურად ეურადღებას მიაქცევინებს.

ახლა, საიდამ ჩნდება სიმსივნე ადამიანში? რა მიზეზია, რომ სიმსივნე ამ კაცს უჩნდება და არა იმას? რა მიზეზია, რომ ასეთი თუ ისეთი სიმსივნე უჩნდება ადამიანს? ეველა ამაებზე ჯერ კიდევ დანამდვილებით არაფერი იცის მეცნიერებამ, მაგრამ თითონ სიმსივნის გაზრდაზედ და მისგან წარმომდგარ ვნებაზედ კი უკვე ბევრი რამ არის მსწავლულ აქიმებისგან გამოკვლეული სიმსივნე ორ-გვარია: მ ჯ ა მ ე ლ ი და უ ვ ნ ე ბ ე ლ ი. მჯამელი

სიმსივნე ისეთის თვისებისაა, რომ რაც უნდა უბრალო ადგილას ამოუვიდეს კაცს, თუ არ უწამლა, უთუოდ მოჰკლავს მას. ასეთი სიმსივნე ჩვეულებრივ ძლიერ ჩქარა იზრდება, ვრცელდება, იარავდება, ჩირქდება, რომლისგანაც იწამლება სისხლი. ასეთი სიმსივნით ავათმყოფი ძლიერ მალე სდება, ფერი ეკარგება და სულ მცირე ხანში კიდევაც კვდება.

გაგონილი გექნებათ, რა არის კუ. აი ეს კუ, მაგალითად, არის ის მჯამელი სიმსივნე, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ. კუს თუ არ უწამლეთ, ავათმყოფი უთუოდ მოკვდება. მაგრამ კუს გარდა არის სხვა მჯამელი სიმსივნებიც, რომლებიც თითონ კუზედაც უარესი და საშიშოა. რადგანაც კუ მომეტებულს შემთხვევაში ხნიერებს უჩნდებათ და ესენი კი ასალგაზრდებისაც არ ზოგავენ.

აი ასეთი მჯამელი და სასიკვდინო სიმსივნეთა ერთად-ერთი წამალი და დამხსნელი დანაა და მოდი და პატივით ნუ მოიხსენიებ მას! თუ დასაწყისშივე მიასწროთ ასეთს სიმსივნეს და აქიმს აჩვენებთ, რომელიც ძირიანად ამოსჭრის მას, ავადმყოფი უეჭველად გადარჩება სიკვდილს, უიმისოდ კი, უეჭველად სამუდამოდ და უდროოდ უნდა გამოესალმოს ტკბილს სიცოცხლესა. სამწუხაროთ ასეთი ავათმყოფნი დასაწყისშივე იშვიათად ეჩვენე-

ბიან აქიმს და არც მუწუკს აჭრევინებენ, განა ღირს გაჭრადო, რაღაცა მუწუკიაო!.. ხოლო მერე, როცა სიმსივნე დაიარავდება და ძირს გაიდგამს მთელს ტანში, გაწვალებული და გამწარებული ავათმყოფი ბარემ მზათ არის, რომ აქიმმა მუწუკი ამოაჭრას, მაგრამ გვიანღაა, რომელი ერთი უნდა ამოსჭრას აქიმმა, რომ ავათმყოფი სიკვდილს გადაარჩინოს?..

აქ საძწუხარო ის არის, რომ ასეთი ავათმყოფები სრულიად ვერ გრძნობენ თავისს ცუდს მდგომარეობას და დღეს-ხვალიობით აგვიანებენ წამლობას. აი შეამჩნია კაცმა, რომ მხარს ქვემოთ მკლავი ცოტა დაუსივდა. გადიხ კვირა, თვე და ავათმყოფი მაინც არ ფიქრობს აქიმთან წასვლას. ერთსელ მოდის გზაზედ არსეინად და ხედავს წარწერას: „საავათმყოფო“.—„შოდი შევალ,—ფიქრობს—ის და ვუჩვენებ აქიმს, თუ რათ მტკივა მკლავიო“. შედის, იხდის ტანისამოსს და უჩვენებს აქიმს გატიტვლებულს მკლავს. აქიმი ერთის დახედვით ხცნობს, რომ აქ მჭამელი სიმსივნეა. როგორ უთხრას საწყალს ავათმყოფს, რომ საქმე უკვე წაგებულია, რომ მთელი მკლავი ახლავე მოსაჭრელია, თორემ ავათმყოფი სიკვდილს ვერ გადურჩება!?.

დიახ, საჭიროა კარგად დაისსომო, მკითხველო, რომ მჭამელი იარა თუ სიმსივნე დაუყოვნებლად უნდა ამოიჭრას ხოლმე დანით!..

რაც შეეხება უვნებელ სიმსივნეთ, ესენი მარტო მაშინ არიან უვნებელნი, როცა ისეთ ადგილას არიან ამოსულნი, რომ სრულიად არაფერს უშლიან კაცს, თუმცა ხშირად რამდენსამე გირვანქასაც იწონენ ხოლმე. მაგრამ თუ ასეთი სიმსივნე ისეთ ადგილას არის ამოსული, რომ ყანურატოს ანუ სასულეს უჭირებს, მაშასადამე, უქმდის კაცს დახრსობას, ასეთს შემოხვევაში, თქმა არ უნდა, ასეთი უვნებელი სიმსივნეც უნდა ამოიჭრას. განსაკუთრებით საშიშია ასეთი სიმსივნე, როცა ისინი აჭერენ ხერხემლის ანუ თავის ტვინს. როცა ასეთი სიმსივნე ხერსემლის ტვინს აბრკოლებს, კაცს ორი ფეხი ანუ ორივე ფეხი და ხელები ერთმეორეს: ავათმყოფი ხედავს, რომ ფეხებიც და ხელებიც ძველებური აქვს, არც გაძხდარია, არც სტკივა და ვერ კი დაუძრავს ადგილიდამ, ვერ გაუნძრევია. ეს კი სულ იმისგან არის, რომ ჩვენს ეოველს მოძრაობას ტვინი განაგებს და რაკი ტვინი მოშლილია, ტვინს რაღაცა აბრკოლებს, ასეთს ავათმყოფს ხელ-ფეხიც ვერ გაუნძრევია. გარდა ამისა, ვისაც სიმსივნე ტვინს უვიწროებს, ის სრულიად ჰკარგავს გრძნობას ფეხებში, ზურგზე, მუსლზე და ზოგჯერ ხელებშიაც. რამდენიც უნდა ვჩხლიტოთ ასეთ გრძნობა-დაკარგულ ფეხებს, ავათმყოფი ვერაფერსა გრძნობს, თითქო ფეხები მისი არ არისო.

კიდევაც ამიტომ არის, რომ ასეთი ავათმყოფნი მუდამ ჩიყიან, ხელები და ფეხები მკვდარი გვაქვსო. ეს ცოტაა: ასეთი ავათმყოფნი მალე ისე ისვრეიან ლოგინში, როგორც ძუძუ-მწოვარა ბავშვები, რადგანაც სრულიად ვერა გრძნობენ საჭიროო ადგილს გასვლის საჭიროებას.

როცა სიმსივნე ასე დააჭერს და შეავიწროვებს თავის ტვინს, ეს უფრო უარესია. ასეთს ავათმყოფს ემართებათ საშინელი თავის ტკივილი, ჰირ-ღებინება, ჰკარგვენ მხედველობას, მსმენელობას და აგრეთვე ერთმევათ ხელები და ფეხები.

მორჩენა ასეთის ავათმყოფებისა მუდამ არ შეიძლება, რადგანაც სიმსივნე შშირად ისე ღრმა და ძევს ტვინში, რომ დანით მუწუკამდის ვერ მისვალ ტვინის გაუჭრელათ, და ტვინის გაჭრა კი ისეთი ადვილი არ არის, როგორც ტყავისა ანუ ხორცისა. ხოლო, თუ სიმსივნე გარედამ აქვს ტვინს, მაშინ კი ადვილია მისი ამოჭრა და ავათ-ტყოფის მორჩენა...

IV.

ვატარა წიგნში შეუძლებელია მოგითხრობთ ყველა ის შემთხვევა, როცა მკურნალი თავისი დანით გადაარჩენს ხოლმე ავათმყოფებს სიკვდილს და

აუტანელს წვალებას. ვიტყვით მხოლოდ მოკლეთ, რომ მკურნალები თავისი დანის რამდენიმე გასმით ხშირად უბრუნებენ ბრმებს მხედველობას, ყრუებს მსმენელობას, კუზიანებს წერწეტსტანსა, კოჭლებს ფეხის სისწორეს და სხვ. და სხვ.

განსაკუთრებით დიდად დახელოვნდნენ დანის ხმარებაში ეხლანდელი აქიმები: სრულიად ადვილად და უფათერაკოთ, ეხლანდელი აქიმები უჭრიან ავათმყოფებს მუცელს, ფილტვებს, თვალებს, უსერხავენ ძვლებს და მერე ისე ოსტატურათ გაუკერავენ ხოლმე გაჭრილს ადგილებს, რომ გაძროელების შემდეგ. გაჭრილს ადგილს არც კი ეტყობა და არც ასო უუშნოვდება ადამიანს.

მაგრამ შესანიშნავი აქ უფრო ის არის, რომ ეხლანდელი დოსტაქრები ანუ ხირურქები (ასე ეძახიან იმ აქიმებს, რომლებიც დახელოვნებულნი არიან გაჭრით წამლობაში) ისე ხელოვნურად სჭრიან ადამიანის რომელიმე ასოს, რომ ავათმყოფი არაკითარს ტკივილს არა გრძნობს და არც არა მეტს სისხლს ჰკარგავს გაჭრითა. ეს ცოტა არ იყოს საეჭვოთ ეჩვენება ქართველს მკითხველსა, მაგრამ აქ საეჭვო არაფერია, ყველა ეს მართალია.

ავსნათ ჯერ როგორ იცავენ აქიმები გაჭრილს ავათმყოფების მეტის სისხლის დაკარგვი-

საკან. მოგესსენებათ, რომ გაიჭრით თითის ან შინგე სისხლი წამოვა. ეს სისხლი გამოდის მა-სხვა ადგილს თუ არა, გაჭრილი ადგილიდამ მა-რლვებიდამ, რომლებიც გამოდიან გულიდამ. მა-რლვები ზოგი დიდია—მსხვილი, ზოგი ვატარა—წვნიკი. აი, რომ გაჭრის დროს ავათმყოფს ბე-ვრი სისხლი არ დაეკარგოს, მკურნალი ჯერ მო-ხმებნის ამ მსხვილ მარლვებს და შეჰკრავს მათ ისე, რომ იქიდამ სისხლი ველარ გამოვა. მაშინ აიღებს დანას და გაუჭრის ავათმყოფს დანიშნულს ადგილს.

თუ გასაჭრელი ადგილი ხელზე ანუ ფეხზეა, რომ გაჭრის დროს ავათმყოფს სისხლი არ და-ედინოს, აქიმები ასე იქცევიან: დააბვევენ მთელს ფეხზედ ანუ ხელზედ მაგრათ, თავიდამ ბოლომ-დის, რეზინის არტახს; ეს არტახი ისე ძლიერათ გაუჭერს ფეხს, ანუ ხელს, რომ სისხლი სულ ზევით სხეულში გაიკრიფება; მაშინ შეუკრავენ მა-გრადვე ფეხს თუ ხელს თავში, რომ სისხლი ქვემოდ ალარ წამოვიდეს და რეზინის არტახს კი ახსნიან. ამის მერე ფეხი ანუ ხელი მკვდრის ფერისა ხდება და რამდენიც უნდა გასჭრათ, სი-სხლი არ გამოედინება.

ცხადია, რომ ავათმყოფს ახლანდელს დროში სრულიად არ უნდა ეშინოდეს მეტის სისხლის დაკარგვისა...

ავსნათ ისიც, თუ როგორ ასერსებენ აქიმები, რომ კაცს სჭრიან და ავათმყოფი კი ტკივილს არა გრძნობს. აი როგორ ხდება ეს:

მსწავლულები დიდს ხანს ეცადნენ გამოეგონათ ისეთი რამ საშუალება, რომ გაჭრის დროს ადამიანი ტკივილს არა გრძნობდეს. მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ამ 40—50 წლის წინათ ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა აღმოაჩინა ისეთი წამალი, რომ ადამიანი ამ წამლისაგან ისე მაგრად იძინებდა, რომ სადაც უნდა გაეჭრათ ხორცი მისთვის ძილის დროს, ის ვერაფერს გაიგებდა. ეგეოლა ნათლად ხედავდა ასეთი წამლის დიდ სარგებლობას, მაგრამ მაინც ძალე ვერ გავრცელდა მისი საყოველთაოდ ხმარება. გავიდა რამდენიმე წელიწადი, სანამ თვით აქიმებიც კი მიეჩვეოდნენ მის ხმარებას და დარწმუნდებოდნენ მის სარგებლობაში. ძალე ამას მოჰყვა სხვა ამგვარი წამლების აღმოჩენა მსწავლულებისგან, ისე რომ დღეს უკვე რამდენიმე უებარი საშუალება არსებობს, რომ ავათმყოფი სრულიად არა გრძნობდეს გაჭრისგან წარმოშობილ ტკივილსა.

თუ გასაჭრელი ადგილი თვალში, ცხვირში ანუ ჰირშია, მაშინ საკმაოა გასაჭრელ ადგილს წაუსვან ეგრეოდწოდებული კოკაინი, რომ ავათმყოფმა სრულიად არ იგრძნოს ტკივილი, რად-

განაც, თუმცა კოკაინისგან ავათმყოფი არ იძინებს, მაგრამ ის ადგილი, სადაც კოკაინს წაუსვამთ, უგრძნობი ხდება და შეგიძლიანთ უტკივნელათ გასჭრათ. თუ გაჭრა სხეულის რომელიმე სხვა ნაწილისა, ცოტას დროს მოიცხოვს, მაშინ ავათმყოფს ასუნებინებენ ერთნაირს წამალს, რის გამოც იმას მაგრად დაეძინება ცოტას ხნით, სულ რამდენიმე წამით. აქიმი სიჩქაროდ გაუჭრის ავათმყოფს დანიშნულს ადგილს (ამოუღებს კბილს, ამოსჭრის ძუწუკს, გაუკერავს კანს და სხვ.) და დაძინებულს ავათმყოფს ამ დროს არა თუ სრულიად არაფერი ტკივილი არ ესმის, პირიქით, კარგ სახიამოვნო სიესმრებსაც ხედავს; მაგალითად, როცა მას კბილს ჭრლეჯენ, მას ჭგონია, რომ ის მშვენიერს გეძრიელს საჭმლებს გიახლებათ, მეორეს ეჩვენება, რომ ვითომც ის მშვენიერს წალკოტში დასეირნობს, მესამეს, რომელსაც გაჭრილს ადგილს უკერავენ, ჭგონია, რომ ის სადღაც ბანაობს და დიდს სიამოვნებას გრძნობს და სხვ. ასე რომ, როცა აღვიძებენ ასეთს ავათმყოფებს, ესენი უსიამოვნებას აცხადებენ, რათ გაგვაღვიძეთო, სიამოვნება რათ მოგვიშალეთო.

მაგრამ უმეტესი ნაწილი გაჭრით წამლობისა ასე სიჩქაროთ ვერ კეთდება; ბევრი ავათმყოფობა ისეთი ძძიმეა, რომ მისი გაჭრა დიდს დროს

ათსოულობს,—ერთს, ორს და მეტს საათსაც. თქმა არ უნდა, რომ ასეთს შეთხვევაში რამდენიმე წამით დაძინება სრულიად გამოუსადეგარია, აქ საჭიროა სანგრძლივი ძილი. ჩვენდა საბედნიეროთ ესლანდელმა საშვურნალო მეცნიერებამ ასეთი წამალიც აღმოაჩინა. ეს გახლავთ ეგრედ-წოდებული სლოროფორმი ანუ ეთერი. რომელს ავათმყოფსაც კი ასუნებინებენ ამ წამალს, ის დიდს ხნობით იძინებს და ამ დროს, როგორც გინდათ ისე გასჭერით ანუ მოსჭერით ფეხი, ხელი თუ სხვა **ასო**... ავათმყოფი ვერაფერს გაიგებს. ეს კი, სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, ნამდვილი სასწაულია!.

ასე არ იყო უწინ. უწინდელი ექიმები ცოცხლივ სჭრიდნენ ავათმყოფებსა! როგორი ჯოჯოხეთური ტკივილი უნდა აეტანა ავათმყოფს, ამის წარმოდგენა მკითხველისთვის მიგვინდვია. მარტო გაჭრილის გულის გამგმირავი ყვირილი (რომელსაც თვით მაშინდელი გულ-ქვა ექიმებიც ვერ უძლებდნენ) წარმოიდგინე, მკითხველო, და მენ სავსებით დაგესატება მოუკანილის ცხოვრების სიდიადე. ოდი და ბუსლს ნუ მოიდრეკ დღევანდელი მეცნიერების წინაშე!..

V.

ვინია, დარწმუნდი. მკითხველო, რომ რაც უნდა ძნელი გასაჭრელი იყოს რომელიმ ნა-

წილი სხეულისა, დღეს ყველას თამამად შეგვიძლიან მივუსდოთ აქიმებს და ძალის დანებს, ხერხებს და სხვა იარაღებს. მაგრამ დიდი ხანი არ არის ძალ აქეთ, რომ გაგრეთ კი მშვენიერად გასწორდნენ დაავადებულს ადგილს, არც ავათმყოფი იგრძნობდა ხიდვის რამე ტკივილს, არც ხისლის დაჭვა რეავდა მეტსა, მაგრამ გაეიდოდა ცოტა ხანი თუ არა, ისე კარგათ გაწრილი და ძალზეული ადგილი, უეცრად ყველა ისტკივდებოდა ავათმყოფს, იარადამ ხორა დაეწყებდა დენას და გაწრეთ თი თქმის ხოელიად მიარსენილი ავათმყოფი ძალიად ამ უბრალოს ძალზეთ ძალე ეთხოვებოდა სიცოცხლეს—კვდებოდა. ასეთ მდგომარეობაში აქიმებს ისე გაწრის შედეგი არ აწუხებდათ, რაც გარეგ. გაწრილის დაზიანება. მარტოოდენ ეფექრი იმაზედ, რომ ვაი თუ მშვენიერად გაწრილს და შეკერილ-შეხვეულს ადგილს ხორა გაუხდეს ხი, იმას ვალზედ უეცნებდა აქიმებს და არ იცოდნენ რა ექნათ, რით ეშველათ, რიგორ მიეცემოთ ამ ჭირისათვის!.. ტკივილზედ და ხისლის დაკარგვაზედ მეტი ჭირი იყო ეს, რადგანაც იმ ვითომ იყო, რომ ეს გაწრილში ათი ანუ ოცი მიარსენილიყო, დანარჩენები კი სწორედ მაშინ ესალმებოდნენ სიცოცხლეს, როცა დოსტაქრის დანამ ეს იყო სიცოცხლე დაუბრუნა მათ... ბევ-

რი თვალნის აქიმებმა და მეცნიერებმა, ბევრი ამ-
ტკრიეს თავი მიეგნოთ ამ დასნერქების მიზეზთა-
მიზეზისათვის, მაგრამ ამაოდ... ბოლოს ადამიანი-
ნეს, რომ დასნერქების მიზეზი სულ ის წაწყმე-
დილი ბაქტერიები ყოფილა, წვნიანი, თვალ-
უნილავი მცენარეები, რომლებიც ჩვენგან უსილა-
ვად ;ჰაერს დაცურავენ ჰაერში. თუმცა გაჭრის
დროს, ეს ბაქტერიები ცვივდებოდნენ ჭრილობა-
ზედ, აქ ფესვს იდგამდნენ და მშვიდობიანად მო-
რნენილის ასოს კვლავ ავად ხდიდნენ ასოლის უა-
რესის სენით—დასნერქებით. დიდს ხანს ამ-
კურნალი მეცნიერებამ არ იცოდა, რით და რო-
გორ ებრძოლა ამ უცნაური სენის წინააღმდეგ,
მაგრამ ბოლოთ დღეს ამასაც ძალა. მეცნიერებმა
ადამიანმა, რომ ამ ბაქტერიებს კარგათ სწვა-
ტავს და სჭამს დიდი ხიცხე, კარბოლის ნაჭა-
ვი, სულფა, სუბლიმატი და სხვ. ეს არის მიზეზი,
რომ ასლა, სულ უბრალო გაჭრასაც არ მოაკ-
ლენენ ყოფილად, რომ ეს ბაქტერიები ჯერ ორე-
ლოად არ გაწყვეტილან იქ, სადაც ავადმყოფი ეს-
და გასჭრიან. ამისათვის უფრაგლეს ყოველისა ფი-
ლის ბეჯითობით მოჭმანენ ცხელის წყლით, სა-
ფნით და ხიტკით ამ ადგილს, სადაც უნდა გასა-
ჭრელ ადგა, რომ მოაშორონ მთლათ უწმინდურე-
ბა, რომელიც შეიძლება იყოს ბაქტერიები. შე-

ძალა აქვს ადგილის მოქმედების კარგიდან ბოროტამდე, სულიერი, სვინოტეთ ანუ მის გვარი ეაძლებით, რომ სრულიად დასოცდეს ეს ძველი ბაქტერიები. ითოლან ალიმენტა და ამათი თანაშემწენიც ანუ ბეჯითად ებანან სულების დაოცვენ თეთრ, სვეტაკ ხალათების და ფეშტაძალების, ცხელის ოთახში გაძლიანებულების, რომ, თუ ამაში ბაქტერიები იქნებოდნენ, სულ დაიხოცნენ. ასევე ანუ ფთაკვებენ დანების, რომლებსაც ლიდის ხანსრეცხავენ ადულებულის წყალში, რომ ერთი ბაქტერიაც არ შეეღების ამთვან გაჭრილის ადგილში. ერთი სიტყვით, საქმე ისეა მოწყობილი, რომ ვაკსენით გასწავლიან ეს ხორცის ძმიბელი ბაქტერიები და ავი შრომაც ბუქთად არ ხაუკლით ხოლმე: ასი გაჭრილობამ ლეს ადარც ერთი არ კვდება, ეკელა ლეთით ბუკოლიბასად ეკურნება! გაუმარჯოს მეცნიერებას, გაუმარჯოს მეცნიერებს! გაგიმარჯოს შენც ქართველო მკითხველო, რომ მარად ბულის წარმატებით ეწაფებოდე მეცნიერებას და თვით შენც მუშაობდე მის გასამდიდრებლად...

ივ. რ- ლი.

დოქტორის ჰ. ვ. ვიხრევის

დაკვირვებანი მაგარის სასმელების მოქმედება-გავლენის შესახებ ადამიანის ჯანმრთელობაზედ.

არაყი, ღვინო, ლიკორი და სხვა ყოველგვარი მაგარი სასმელი, რომელსაც კი ხმარობს ადამიანი, უუძლიერესი შხამია. არ არის არც ერთი ადგილი ადამიანის სხეულში, რომ თავისი დაღი არ დაასვას ამ შხამმა, თუ ადამიანი უზომოდ ხმარობს მას. ტვინი, ძვალი, კანატელა, კუნთი და სხვა ყოველი, რაც კი მოიპოვება ჩვენს სხეულში, აუცილებლად სნეულდება შიგნით მიღებულ ღვინო-არყისაგან და რამდენადაც უფრო ნაზია სხეულის რომელიმე ნაწილი, იმდენადვე მეტია ამ სასმელების დასაღუპი გავლენა მასზედ, რისგამოც იმდენათვე მეტი დასაღუპი გავლენა აქვს ადამიანის ჯან-მრთელობაზედ, რამდენადაც უფრო ახალგაზდა და ნორჩია თვით ადამიანი. მაგარი სასმელების შხამი საბოლოოდ სპობს სხეულის გასაზრდელ-გასახსნელს ელემენტებს და მით უდროოდ მიჰყავს მისი პატრონი უძლურ სიბერისაკენ. შიგნით მიღებული მაგარი სასმელი, კუჭიდამ პირდაპირ გადადის სისხლში და ამით საშინლად ასნეულებს სისხლის ძარღვების კანს, ე. ი. მის შიგნითა ნაწილებს და სტოვებს მათზედ კირსა. ასევე მოქმედებს ღვინო ტვინზედ, სადაც აგრეთვე მრავლად სტოვებს ამ მიწალსა, რისგამოც ტვინის სისხლის ძარღვები ადვილ გასახეთქები

ხდებიან. აგრეთვე ძალიან ცუდად მოქმედობს მაგარი სასმელის უზომოდ ხმარება თვით კუჭის შიგნითა კანზედ, სადაც ადამიანს ადვილათ უჩნდება კუ, სიმსივნე და სხვა. მაგარი სასმელები მოქმედებენ ცუდად აგრეთვე ღვიძლზედ, რომელიც სრულიად იბრიცება მისგან, რაიცა ძლიერ ბრკოლდება წესიერათ ბრუნვა სისხლისა ჩვენს სხეულში. ღვინისა და სხვა მაგარი სასმელების ასეთი მავნებელი გავლენის შესახებ ადამიანის სხეულის ყოველ ნაწილზედ ბ-ნს ვიხრევს წარმოდგენილი ჰქონდა მთელი კოლლექცია პრეპარატებისა კავკასიის შარშანდელს გამოფენაზედ.

ყავა მკურნალის ვ. ბაჟენოვისა,

როგორც საუკეთესო წამალი ბუასილისა.

ბუასილი არის დასნეულება ანუ დასივება და ანთება უკანა ნაწლევისა და ტანისა. ემართება უფრო მსუქან და სისხლ-ჭარბა ადამიანებს, შუა ხანში, აგრეთვე მუცლის შეკვრისგან, ხშირად ხმარებისგან სასაქმებელ წამლებისა, ლოთობისგან, ცხენზედ ხშირად ჯდომისგან და სხვა. ბუასილი ორ-გვარია: შინაგანი და გარეგანი და იმით იცნობება, რომ ამ სენით ავათმყოფს გამოაყრის მუწუკებს უკანა ტანში, საიდამაც სდის სისხლი. ანთების დროს ეს მუწუკები ისე ძლიერ აწუხებენ, განსაკუთრებით შინაგანი ბუასილის დროს, ავათმყოფს, რომ უშლის მოძრაობას. ავათმყოფს ამ დროს უკანა ტანში აუტყდება ქავილი, ტკივილები, გულის-ფრიალი და სისხლის დენა, რომლისგანაც, თუ ხშირად და მრავლად სდის, ავათმყოფი სისხლ-ნაკლებიანი ხდება და შეიძლება სიცოცხლესაც გამოესალმოს. სისხლის დენა ბუასილიანებს ჩვეულებრივ ემართებათ ერთხელ ორ-სამ-ოთხ-ხუთ თვეში. გამონადენი სისხლი მხიარული წითელი ფერისაა.

აი ამ სენის **წამალი-ყავა** გამოუგონია მკურნალს ბაჟენოვს და როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, დიდათაც რგებს ბუასილით ავათმყოფებს. ეს ყავა ისყიდება ყოველს აფთიაქში, სამ აბაზათ ნახევარ-გირვანქიანი კოლოფი და ისევე იხმარება, როგორც ჩვეულებრივი ყავა ეს ყავა მომზადე-

ბულია ათი სხვა და სხვა საგნიდამ და კიდევ იმით არის კარგი, რომ გარდა ბუასილისა, იგი იმავ დროს მშვენივრად არჩენს კუჭ-ნაწლავებსა და კარგი ყუათინი სასმელ-საჭმელიც არის. ვურჩევთ ბუასილიანებს თვითონ გამოსცადონ აქ ნათქვამი. დარიგება ამ ყავის ხმარებისა თვითონ კოლოფზეა დაბეჭდილი.

არაყი და რძე,

როგორც საუკეთესო საშუალება დამბალი და სხვა-გვარ ციებ-ცხელების დროს.

სულ სხვა-გვარად მოქმედებს იგივე არაყი, ადამიანის ჯან-ბრთელობაზედ, თუ მას ადამიანი წამლად ხმარობს. ჩაასხით პატარა ჭიქაში (რიუმკაში) ნახევრამდის ცივი ადუღებული რძე და დანარჩენი ნახევარი გადაავსეთ ჭაჭის არყით (დ. სარაჯევის ქარხნის ამ არაყს ზედ აწერია: „Кахетинская водка“ და ნახევარი ბოთლი ღირს 42 კაპ.) და მიირთვით ყოველ-დღე დილით უზმოზე. თუ საზოგადოთ დაჩვეული ხართ არყის ხმარებას, შეგიძლიანთ ასევე შემზადებული თითო ჭიქა არაყი სადილის წინათაც იხმაროთ, მეტი კი არ უნდა დალიოთ. დამბალ და ჩვეულებრივ ციებ-ცხელებიანებს სულ მცირე ხანში ისეთს ყუათს აძლევს ასე ხმარებული ჭაჭის არაყი, რომ ავათმყოფი თვით სენისგანაც მალე რჩება. პატარებს ჭიქის მეოთხედი რძე და მეოთხედი არაყი უნდა აურიოთ და ისე დაალევინოთ.

ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა *).

ს. ჭალეთსა და ს. ვართაშენს შორის ორი ვერსია. უკანასკნელი მდებარებს ჭალეთის აღმოსავლეთ მხარეს, ღრმა ხეობაში. გიშელ-ჭურმუხელ მთავარ-ეპისკოპოზი კირილე ამ სოფელს „ვარდთაშენს“ ეძახის; ხოლო ადგილობრივი სომხები და უდები უწოდებენ **ვართაშენს**. სომხები ამტკიცებენ, რომ ის სომეხთ მხედართ-მთავარმა ვარდანმა (ვახტანგ გორგასლანის დროინდელმა) აღაშენაო. მაგრამ ისინი სტყუიან, ეს მხარე ჰერეთია, ხოლო ჰერეთში ქართველები სახლობდნენ. სომეხს ვარდანს რა უფლება ჰქონდა საქართველოს მიწა-წყალზე სომეხთათვის სოფელი აეშენებინა!? როგორც ამტკიცებს ისტორიკოსი სომეხთა, ელიშე, ხალხალამდე მიწა-წყალი ივერიას ეკუთვნოდა. ამას იქით, აღმოსავლეთისაკენ ალბანიას. მეფე ვახტანგ-გორგასლანი, რომლის დროსაც სცხოვრებდა ვარდანი, რად მისცემდა მას ნებას, სომხები დაესახლებინა ვართაშენში. უდების გადმონაცემიც სრულიად არ ეთანხმება სომეხთ თქმულებას. ისინი ამბობენ, რომ სოფელი ვართაშენი უწინ ხევს იქით, სასაფლაოს მხარეს, ყოფილაო და იმას ჰრქმევია „ქალა-ციციკი“-ო. ეს სიტყვა იმათ ენაზე ჰნიშნავს „დიდი-ყვავილი“. ეს

*) იხ. „მოგზაური“ №№ 7 და 8, 1902 წ.

წოდება უდრის ქართულ სიტყვას „ვარდთაშენი“ (ვარდიანი, ვარდის სანერგე, მოსაშენებელი ალაგი).

ძველი სოფ. **ქალა-ციციკი**, ვგონებ, აოხრებულა მონგოლების დროს. ვართაშნელებში დღემდე დარჩენილა თქმულება, რომ **ქალა-ციციკს** როდისღაც უწინ მტერი დასცემია, აუოხრებია და დიდ-ძალი ხალხი გაუწყვეტია. ვინც გადარჩენილან, ისინი შეხიზნულან ვართაშნის კლდე-ღრეებში და იქ უცხოვრიათ დიდ-ხანს; მერე ვიღაცა მეფეს გამოუყვანია ისინი მთებიდგან და დაუსახლებია **ქალა-ციციკის** გვერდზე. ახალ სოფლისათვის უწოდებიათ სახელად „ვარდთაშენი“, რომელიც უდრის კახეთის სოფლის სახელს „ვარდიანი“. იმ ადგილს, საცა ყოფილან უდები გახიზნულნი, უწოდებენ «იურტაგა»-ს. ეს მონგოლური სიტყვაა და ჰნიშნავს ბანაკს (юрта).

ამ გადმონაცემის სიმართლეს ქართველთ მემატიანენიც ამტკიცებენ. მონგოლები ქრისტიანებს დიდს პატივსა სცემდნენ და არც ერჩოდნენ, თუ რომ ბრძოლასა და წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ. ამ შემთხვევაში ისინი მხოლოდ იმორჩილებდნენ ერს, ხარჯს ადებდნენ და მიდიოდნენ. ეტყობა, პირველად, მსგავსად სხვა ჰერეთელებისა, უდები შეჰბმიან მონგოლებს, მაგრამ მერე შეჰრიგებიან მათ, გამოსულან სამალავებიდგან და დაბინავებულან ახალს ალაგას, მაგრამ უდიური წოდება ძველის სოფლისა **ქალა-ციციკი** შეუცვლიათ წოდებით **ვარდთაშენი**. ამ ორივე სახელს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს და ორივე ჰნიშნავს: ყვავილს, ვარდის სანერგეს, ვარდიანს, **ვარდთაშენს**, ხმარებულს მრავლობითს რიცხვზე.

მონგოლთაგან შეშინებულ ვართაშნელ უდების გამოყვანა სამალავებიდგან და ისევე ვაკეზე დასახლება უნდა მომხდარიყოს უწინარეს 1310 წლისა, რადგან ვიცით, რომ 1310 წელს ვარდთაშენი უკვე არსებობდა

და ის ინახულა ეფთვიმე კათალიკოზმა. ამ დროს, 1330 წელს, იქ ვაჭრობა გაჩაღებული ყოფილა. ის უნდა ყოფილიყო დაბა-ქალაქი. 1330 წელს გიორგი ბრწყინვალე რომ ებრძოდა ამ მხარეში მონგოლებს, მაშინ ძლიერ გაიმარჯვეს მტერზე ჰერეთის მცხოვრებლებმა და ამისათვის მეფემ დაუმტკიცა გიშელ-ქურმუხელ მთავარ ეპისკოპოზს „ვარდთაშენს სავაჭრონი და ვაჭარნი შვიდნი“, რადგან ჰერეთელნი მისნი სამწყსონი იყვნენ. ცხადია, რომ მე-XIV საუკუნის დამდეგს ვარდთაშენი უბრალო სოფელი არ ყოფილა.

არც ახლა არის ვართაშენი დავარდნილი სოფელი. დღესაც მასში გაჩაღებულია ვაჭრობა. აქ არის ხუთი აბრეშუმის ამოსახვევი ქარხანა გასომხებული უდებისა: სილიკოვისა, ესებოვისა და სხვათა. იმათ დიდი აღებ-მიცემობა აქვთ აბრეშუმისა. ისინი გამდიდრებულან და აწ გამოსულან გლეხთა მდგომარეობიდამ. ისინი ყიდულობენ და ჰყიდიან აგრეთვე თხილს და წაბლს, რომელნიც ძალიან ბლომათ მოდის აქ. ღვინით არ ვაჭრობენ, ამისათვის რომ ის ჯერ ცოტა მოდის აქ, რადგან ბაღები არ იციან, და რაც მოდის, ისიც მდარე ღვინოებია, რადგან უჭაჭოთ აყენებენ. ყურძენი მაღლარია. ეხლა დაუწყვიათ მართლმადიდებელ უდებს სოფლის ბოლოს მინდვრად ვენახების მოშენებაცა.

გარდა ხსენებულ აბრეშუმის ამოსახვევი ქარხნებისა, ვართაშენში არის კიდევ რამდენიმე ფარჩისა და მეწვრიმალის დუქანიცა. ესენი ყველანი არიან ერთ ალაგას, მახლობლად მართლმადიდებელ ეკლესიისა. აქვე იმართება ყოველ ორშაბათობით ბაზრობა, რომელზედაც თავს იყრიან მეფარჩე ურიები, უდები და თათრები და ჰყიდიან ფარჩეულობას, ხილს, საწვრიმალოს და ხორცს. სხვა დღეებში იშვიათად იშოვით ვართაშენში ხორცს.

ვართაშენი შესანიშნავია თავის გავლენითაც მის

გარშემო მდებიარე სოფლებზე. საბოქაულოში არაფერი გადასწყდება პოლიციის წინადადებით, თუ ვართაშენმა არ მიიღო მონაწილეობა. აქა სცხოვრობს მაალის (ნაწილის) ბოქაულიცა. აქვეა გახსნილი მთელის საბოქაულოსთვის საავადმყოფო. მაგრამ ხალხი მეტის მეტად მეჭორეა და საჩივრების მოყვარე. ბევრს მეცადინეობს ადგილობრივი ადმინისტრაცია მოაშლევინოს მას უსაფუძვლო საჩივრები, მაგრამ არ იქნა, ვერას გზით ვერ მოახერხა. იმედია განათლება და მეცნიერება ხალხს გაუსწორებს მომავალში ცუდს ზნეს და დააყენებს მოქალაქობრივ წყნარს წარმატების გზაზე. აქ უკვე ორი შკოლაა ამ ჟამად: ერთი საეკლესიო, მეორე სამინისტრო, საცა სწავლობენ ვაჟები და ქალები. ამდენხანს სომხებს ცალკე შკოლა ჰქონდათ, ახლა ა'შენებენ ახალს 'მკოლას საერთოდ: უდები, სომხები, თათრები და ურიები. მასა აქვს 15 ოთახი, ბალკონი და მ'შვენიერი ეზო ახალის წყაროთი. ჯერ არ არის დასრულებული, იგი ბედაგოგიურად მოწყობილია და შეადგენს ვართაშნის სიამაყეს. რასაკვირველია, უფრო მ'შვენიერი იქნება, როცა წარმატებით ისწავლიან უდების ყმაწვილები. მაშინ მოისპობა მათ 'შორის მტერობა, 'შური, ბეზღება ერთმანერთისა და უსაფუძვლო საჩივრები. იმედიცა გვაქვს, რომ უდების ახალი თაობა დაადგება ცხოვრების კეთილს გზას და მიიღებს ქვეყნისათვის სასარგებლო მიმართულებას. ეხლა გაძლიერებულია ვართა'შნელით 'შორის მტერობა იმ მიზეზით, რომ ზოგს მათგანს სომხის სარწმუნოება მიუღია, ზოგნი კიდე მართლმადიდებლად არიან დარჩენილნი. სომეხნი 'შეადგენენ 300 კომლს, ქართველნი 160 კომლს, ურიანი 350, ხოლო თათარნი 30 კომლს, სულ ერთიანად 840 კომლი. მოვა დრო, რომ განათლება 'შეავა მათ 'შორისაც და განაქროს სარწმუნოებრივს მტერობას და სიძულვარეს. აწ უკვე სჩანს ამისი ნიშნები:

არიან უკვე რამდენიმე განათლებულნი უდნი, რომელნიც მეცადინეობენ, რომ საზოგადოდ გასომხებულ უდებსა და ქართველ უდთა შორის ერთობა იყოს და იცნონ თავიანთი ვინაობა. ასეთნი არიან ჯეირანაშვილები, რომლებიც აქაურ შკოლებში მასწავლებლად არიან და განათლებულად სცხოვრობენ. ორი ქალი, მათი ძმის-წული და დისწული, აწ ქიზიყში წმ. ნინოს მონასტერში სწავლობენ.

სიძველეთაგან ს. ვართაშენში დარჩენილა მხოლოდ ერთი სასაფლაოს ეკლესია წმ. ილიასი. ის არის აშენებული თლილის ქვით; მაგრამ როდის, არავინ იცის. 1310 წელს იგი უკვე ყოფილა. „ოდეს სანატრელმან პატრიარქმან ჩვენმან ეფთვიმემ მოიხილა კახეთს საყდარნი, მაშინ მან ინახულა აგრეთვე ვარდთაშნის ეკლესია ილიასი“. აწ ეს ეკლესია გაუქმებულია. სიგრძით არის 10 არშინი, ხოლო სიგანით 6. მას სამალავიც ჰქონია ჭერში. ეხლა სახურავი არა აქვს; მაგრამ სამალავში ასაძრომი ხვრელი საკურთხევლიდგან კარგად არის შენახული ჩრდილოეთ კედელში. აქაურებს ბევრს ახსოვთ, რომ 1855 წლამდე ეკლესიას ქართულ-ხუცურად წარწერილი ქვაც ჰქონია კედელში ჩატანებული შესავალი კარების თავზე, მაგრამ ხსენებულ წელს მართლმადიდებელ სარწმუნოებისათვის უღალატნია ალექსანდრე სილიკოვს, გასომხებულა, მიუყვანია მუშები და ამ ეკლესიის ძირამდე დარღვევა და დაშლა სდომებია, და მის ალაგას სომხურს გეგმაზე სხვა ეკლესიის აგება; მაგრამ მართლმადიდებელ უდებს ნება არ მიუციათ. აი მაშინ ჩამოუღიათ სომხებს კედლიდგან ქართულად დაწერილი ქვა და სადღაც მიუმალავთ. ვსთხოვე სილიკოვს ეჩვენებინა, მაგრამ არ ინება. სილიკოვის შემდეგაც სომხებს ბევრჯელ მოუნდომნიათ ამ ეკლესიის დაჩემება, მაგრამ ქართველ უდებს განუდევნიათ აქედგან ისინი. აწ, ენერგიულად და მხნედ მომქმედმა ვართაშნის მღვდელმა, მ.

აპალონ ივანიცკიმ უკვე დაამტკიცებინა მთავრობას ეკლესიაცა და სასაფლაოც ქართველ უდების კუთვნილებად. მანვე შეჰძინა ვართაშნის ეკლესიას უდების სალოცავი „წმერი“ (სიწმინდე). იგი სოფლის თავშია, მთის სერზე. **წმერა** ახლა უბრალო ნიშია, ფიცრით გარშემოვლებული. სომხებს მისი დაჩემებაც ჰსურდათ, მაგრამ მოძღვარმა ნება არ მისცათ მტაცებლებს, და ახლა პატარა ეკლესიის აშენებასაც აპირებენ.

მაგრამ სომხები მაინც არ იშლიან თავისას. წმერზე ხელი რომ დააბანინა ვართაშნის მოძღვარმა, სიხარბე მორეულმა სომხებმა ახლა «ქალა-ციციკის» კვერნაკს წაატანეს ხელი: ნიში დასდგეს და ეკლესიის აშენებას აპირებდენ; მაგრამ სომხებმა აქაც მადა ვერ დაიკმაყოფილეს. მეჟეოე კომისიამ ტყით შემოსილი კვერნაკი სახაზინო მიწად ჩაიცხა.

ვიდრე საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა, ვართაშნის უდები ყველანი მართლმადიდებელ სარწმუნოებას აღიარებდნენ. ამას ამტკიცებს გასომხებულ უდებისა და ქართველ უდების საერთო სასაფლაო, რომელიც ილია წინასწარმეტყველის ეკლესიასთან არის,—ქალაციციკში. აქ მარხავენ დღევანდლამდე ქართველები და სომხები თავიანთ მიცვალებულებს; მაგრამ რადგან ახლა ეკლესიაც და სასაფლაოს მიწაც ქართველ უდების საკუთრებად დამტკიცდა, შესაძლოა საერთო სასაფლაო აღარ იქონიონ. უთუოდ ასეც უნდა მოხდეს, რადგან ყველა დარწმუნებულია, რომ სომხებთან საერთო არა ვარგარა, რადგან სიხარბით და სიშურით სავსე გული სომხისა არასოდეს არ მოინდომებს ქართველთათვის სიკეთესა და ხეირს. ამის დასამტკიცებელი ფაკტი უკვე ხელში გვიჭირავს.

მე-XIX საუკუნის დამდეგს ყარაბაღიდგან გადმოსახლებულა ვართაშენს ვილაცა სომეხი მურადოვი. ამ

დროს წმინდა ელისეს საეკლესიო ნიშები (რამდენიმე ყოფილა) ქართველ უდებს ეკუთვნოდათ და შემოსავლითაც მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობდა. ამ ნიშებს ჰყვანდათ თავისი საკუთარი მნათეც, პეტრე სილიკოვი. ამ კაცს აქვე ჰქონია მამული, სახლი და წისქვილი. ცოლშვილი მისი მამულში სახლებულა, ხოლო თვითონ საეკლესიო მიწაზე ნიშების გვერდზე მდგარა, როგორც მნათე, ერთს უბრალო ქოხში და მლოცავთაგან შემოსავალი უგროვებია: ნახევრით თვითონ უსარგებლნია, ნახევარს ვართაშნის ქართველთ ეკლესიისათვის უძლევია. ასე იყო თურმე საქმე 1821 წლამდე. მაგრამ ყარაბაღელი სომეხი მურადოვი ჩამოჰკიდებია პეტრე სილიკოვს: ნება მომეცი, ნიშების მაგიერად პატარა ეკლესია აღვაშენოო: „უშვილო კაცი ვარ, იქნება ღმერთმა დამიმადლოს და შვილი მომცეს; ჩემთვისაც მადლია: სომხებიც ილოცავენ და ქართველი უდებიც; მაგრამ ეკლესია ისევ ქართველებისა იყოსო“. პეტრე სილიკოვს ჯერ ნება არ უძლევია, მერე, როგორც ყოფილა სომხურის ლიქნით და ლაქუცით, მურადოვს დაუთანხმებია ის, მაგრამ იმ პირობით, რომ მნათედ უწინდებულად იგივე პეტრე უნდა ყოფილიყო. გაიძვერა სომეხი დათანხმებულა. წასულა ნუხში. რუსების ნუხის მაზრაში დამყარების ახალი დრო ყოფილა. უთხოვნია ნუხის დროებითი პროვინციალურ სასამართლოსათვის, ნება მომეცით ძველებური სომხური ეკლესია აღვაშენო მატურების ნაცვლადო. ნება-რთვა მიუღია, მოსულა, აღუშენებია ეკლესია ერთი საჟენიანი სიგრძე-სიგანით. პეტრესაც მაშინვე მის გვერდით, ჩრდილოეთ მხარეს, უმი აგურით სახლი აუგია და შიგ დამდგარა, როგორც მნათე. დიდი ხანი არ გასულა, პეტრე მომკვდარა. ყაჩაღიანობა ყოფილა. მისი ცოლშვილი შიშიანობისა გამო იქ ველარ დამდგარა, აყრილა და შუა ვართაშენში ვადმოსახლებულა. მაშინ სომხებს

პატარა ეკლესიისათვის უწოდებიათ „ელიშე არაქელი“, და სდომებიათ შემოსავალის დაჩემებაც... ეს წყენია ვართაშნის მღვდელს გაბრიელ ქარუმიძეს, რომელიც ჯერ მედავითნეთ ყოფილა ვართაშნის ეკლესიაში, აქვე შეურთავს უდის ქალი და მერე მღვდლად კურთხებულა. მაშინ იმასა და ახალ მნათეს იოსებ ბეჯანოვს უჩივლიათ სინოდალურს კანტორაში. ეგზარხოსად ყოფილა იონა და შემდეგ მოსე. მათი საჩივრები ეგზარხოსს იონას გადაუცია გასარჩევად ნუხის დროებითი პროვინციალურ სასამართლოსათვის. საქმის გარემოების გამოსარკვევად დაუბარებიათ ვართაშნის გასოძხებული უდები და ქართველები; აგრეთვე თათრებიცა. ჯიბე გასქელებულ თათრებს უთქვამთ სასამართლოს წინაშე, რომ ეკლესია «ელიშე არაქელი» სოჭხებს ეკუთვნითო; გასოძხებულ უდებსაც, რასაკვირველია, მათი ნათქვამი დაუმტკიცებიათ. დარჩენილან მარტოდ ქართველი უდები; მაგრამ მნათეს იოსებ ბეჯანოვს ძალიან კარგად ულაპარაკნია. იმას უთქვამს: „უწინ უდები ყველანი მართლმადიდებელ საროწმუნოების აღმსარებელნი ყოფილან. მერე, როცა ამ მხარეს მუსულმანობა გავრცელებულა და სოძხები მუსულმანთა მთავრობის ნება-რთვით ვართაშენშიაც ჩამოსახლებულან, მაშინ ვართაშნელი ქართველები უმოძღვროთ ყოფილან, რადგან მუსულმანთ ისინი (მოძღვარნი) აღარ შემოუშვიათ ნუხის მაზრაში. უმწყემსოდ დარჩენილი მართლმადიდებელი უდები ზოგნი გამუსულმანებულან, ზოგს კი არ უღალატნია თავის მამა-პაპის საროწმუნოებისათვის და არეულად უცხოვრნიათ სომხეთან ერთად. რადგან მათ თავიანთი მოძღვარი არა ჰყოლიათ, და არც გათათრება სდომებიათ, ამისათვის საღმრთო წესების აღსასრულებლად სომეხთ ტერტერები მიუწვევიათ და მათთვის უნათვლინებიათ ყმაწვილები, ავად-მყოფები უზიარებინებიათ და მიცვალებულნი უსაფლავებინებიათ.

როგორც ახლად მოსულებს, სომხებს ეკლესიები არა ჰქონიათ, ნება მიუციათ მართლმადიდებელ უდებს ქართველთა ეკლესიები დაეპყრათ და მათში ჰქონოდათ სომხურად ლოცვა-წირვა. ამ სახით სომხებს ბევრი ქართველთ ეკლესიები დაუჭერიათ ნუხის ამზრაში და დაუჩემებიათ. მაგრამ სომხები ეხლა ამას არა ჰკმაროობენ. ახლა სომეხთ სასულიერო წოდებასა და სომხობას მოუწადინნიათ ჩვენი მამა-პაპის სალოცავი წაგვართვან, რადგან იქიდგან ცოტაოდენი შემოსავალი აქვს მართლ-მადიდებელთ ვართაშნის ეკლესიას. აქ არასოდეს არ ყოფილა სომეხთ ეკლესია. იყო მხოლოდ საეკლესიო ნიში და მატურები მართლმადიდებელთაგან დადგმული; აქ მოდიოდნენ ვართაშნის უდები და ლოცულობდნენ, საღმრთოსა სწირავდნენ, სანთელ-საკმელს სწვავდნენ და შემოსავალს, ფულათა თუ ცხვრის ტყავებით, აძლევდნენ ქართველთ ეკლესიის მნათეს. მაგრამ, როცა რუსეთმა დაიპყრო ნუხის სახანო და (პასკევიჩმა) სომხები გააძლიერა ამ მხარეს, უმწყემსოდ დარჩენილ მართლმადიდებელთ სარწმუნოების უდებმა სომხური სარწმუნოება მიიღეს. ეხლა ესენი გვედავებიან და სწადიანთ ჩვენი მამა-პაპის სალოცავი სომეხთ დაუსაკუთრონ. მაგრამ ვინ არიან ეს მოდავენი? იგივე ჩვენი მოძმე უდები. ხლენებული საეკლესიო ნიში ეკუთვნოდათ როგორც იმათ მართლმადიდებელ მამა-პაპას, აგრეთვე ჩვენსას. დღეს ისინი გასომხებულან, უარი უყვიათ თავიანთი წინაპართა სარწმუნოება და სალოცავიც იმათა სწადიანთ დაისაკუთრონ. უსამართლობა იქნებოდა, რომ მთავრობამ სალოცავი ჩვენ წაგვართვას და გასომხებულს ჩვენს მოძმეთ ჩააბაროს. ისინი გასომხებულან, მაშასადამე, უფლებაც დაუკარგავთ, რადგან უარი უყვიათ მამა-პაპის სარწმუნოება, ამისათვის უეჭველად ქართველ უდებს უნდა დარჩეთ სალოცავი; მაგრამ ჩვენ მაინც არ ვუშლით გასომხებუ-

ლებს ჩვენთან ერთად ილოცონ მამა-პაპათა სალოცავში. მართალია ისინი გასომხებულან, მაგრამ მაინც ჩვენი მოძმენი არიან. და, ისინიც ეეედრნენ ღმერთს წმინდა ადგილას და ჩვენცა, ხოლო უნდა გადასწყდეს ერთხელვე, რომ სალოცავი, სომეხთაგან „ელი'შე არაქელად" წოდებული, ქართველ უდებს ეკუთვნით და არა გასომხებულებსო''.

ეჭვი არ არის, ამბობენ ახლანდელი უდები, რომ საქმეს მართლმადიდებელ სარწმუნოების აღმსარებელნი მოიგებდნენო, თუ რომ ქრთამი არ დატრიალებულ იყოო. ანგარებამ ჯოჯოხეთი გაანათა. მოსამართლენი მიემხრნენ სომხებს და მოედვნენ ლობე-ყორეს. მღვდელს ქარუმიძეს საჩივარში თურმე მოხსენებული ჰქონდა, რომ სადავო სალოცავს შემოსავლიანი წისქვილიცა აქვსო. ის მართლაც ყოფილა, მაგრამ საჩივრების დროს უყურადღებოდ დარჩენილა და სრულიად აოხრებულა, და დანგრეულა. საქმის გარჩევის დროს ის აღარ ყოფილა. ნუხის დროებით პროვინციალურ სამჯავროს მისი აღარ ყოფნა ხელზე დაუხვევია და საჩივარი მღვდლის ქარუმიძისა და იოსებ ბეჯანოვისა უსაფუძვლოთ უცვნია, და სადავო სალოცავი სომეხთათვის მიუსაკუთრებია. ჰხედავთ, წისქვილს რა შესძლებია! ასეა ჟამთა ვითარება?

თუმცა ნუხის დროებითი პროვინციალურმა სასამართლომ ხსენებული სალოცავი გასომხებულ უდებს დაუმტკიცა, მაგრამ მართლმადიდებლებმა და მათმა მღვდლებმა მაინც ხელი არ აიღეს იმაზე. ყოველ წელიწადს, აღდგომის მესამე დღეს იკრიფებოდნენ იქ სალოცავად და შემოსავალს იღებდნენ. სომეხნიც ჯერჯეროობით ხმას არ იღებდნენ. 1884 წელს ჭალეთის მონასტერში დანიშნა სომეხთ სასულიერო მთავრობამ ვილაცა ახალგაზრდა არქიმანდრიტი. ეს კაცი ჩაერია საქმეში. როცა ჩვეულებრივ მივიდნენ მართლმადიდებელნი უდები და გასომხე-

ბული უდები სალოცავად, შფოთის მოყვარე არქიმანდ-
რიტმა წინააღმდეგობა გაუწია მართლმადიდებელთ მოძ-
ღვარს, აღუკრძალა გასომხებულებს—შემოსავალს ქარ-
თველთ მღვდელს ნუ აძლევთო. ამაზე ასტყდა მათ შო-
რის ჩხუბი, კარგათა სცემეს ერთმანეერთს, არქიმანდრი-
ტსაც რამდენიმე მიარტყეს შფოთის ატეხისათვის. ჩაერია
საქმეში პოლიცია, აღშფოთებული ხალხი დაამშვიდეს.
დაიწყო საჩივრები. არქიმანდრიტი დაიოხოვეს. საქმე და-
რჩა ისევ უწინდებულად სადავოდ, მაგრამ მეტი ჩარა პო-
ლიციის ბოქაულმა ი. ქუთათელაძემ უბრძანა ქართველ
უდებს: მოერიდეთ სომხებს, ისინი ჩხუბს აპირებენ, თუ
რომ თქვენი მღვდელი ჩვეულებრივ მივა სალოცავზეო".
ასრე ხელი მოუმართეს მოხელეებმა სომხებს და ძალა-
უნებურად ხელი ააღებინეს ქართველებს სალოცავზე. მა-
გრამ საჩივრები იდევ ასტყდა 1889 წელს. მე მივართვი
მთავარ-მართებელს თ. დონდუკოვ-კორსაკოვს, როცა ნუ-
ხის მღვდლად ვიყავი, და ნაბრძანები მქონდა კერძოდ
მისიონერობა გამეწია ნუხის მაზრაში „докладну за-
писку" და ვსთხოვე გამოეძიებინათ წმ. სალოცავის სა-
ქმე და დაებრუნებინათ მართლმადიდებელ ეკლესიისა-
თვის. დანიშნეს გამომძიებლად ნუხის უფროსის თანაშე-
მწე თ. ანდრონიკაშვილი. სომხებმა დაუწყეს იმას ლა-
ქუცი, გაუმართეს სადილები, მიიმხრეს და იმანაც დას-
ტოვა «ელიშე არაქელი»-ს საქმე და გაბ"ალვიძა დავა ილია
წინასწარმეტყველის ეკლესიის შესახებ, მაგრამ ვართაშ-
ნის ეკლესიის მედავინ ნემ სოლომონ ჩიკვაიძემ მოახსენა
სომეხთ მოსარჩლეს: «კნიაზო! ილია წინასწარმეტყველის
ეკლესიას გარშემო თავისი მოწმები ჰყავს, და ამტკიცე-
ბენ რომ ეს ეკლესია უსაკილოდ ქართველთა ყოფილა.
სომხები ბზას არა ჰხმაროობენ და ეჯავრებათ კიდეც, რა-
დგან ქართველნი ჰხმაროობენ მას ბზობის დღეს. მის ნა-
ცვლად ისინი ჰხმაროობენ ტირიფს. აქედგან ცხადია, რომ

სომეხნი არასოდეს არ დარგავდნენ ეკლესიის გარშემო ბზას, თუ რომ ის მათი ყოფილიყო. იმასა რგავდნენ ქართველები. ვერა ხედავთ, ამ ეკლესიის გარშემო თითქმის მთელი ტყეა ბზისა გაშენებული! ამის შემდეგ განა ეჭვიღაა, რომ ილია წინასწარმეტყველის ეკლესია ქართველებს ეკუთვნით».—«თუ ასეა, მაშ «ედიშე არაქელის მატურა» რომლის გარშემო ბზა არ არის, სომხების კუთვნილება ყოფილაო", დაასკვნა გონიერმა გამომძიებელმა და პირველი ქართველებს დაუნარჩუნა, მეორე სომხებს.

ამის შემდეგ დაწყნარდნენ ქართველი უდები და გასომხებულები. დაიმკვიდრეს სომხებმა „ედიშე არაქელი" და კარგად მოიკეცეს იქ ფეხები. იმათ დააქციეს სრულიად პეტრე სილიკოვისაგან აშენებული სახლიც და მის საძირკველზე ააგეს ახალი სახლი ქვიტკირისა შორეულ მლოცავთათვის. მეცადინეობენ მურადოვისაგან აშენებული პატარა სამლოცველოც მოშალონ და მის ნაცვლად აღაშენონ დიდი ეკლესია. მოახერხებენ კიდეც. ამდენხანს მისი შემოსავალი ვართაშნის ქართველთ ეკლესიას ეკუთვნოდა, ახლა, რადგან იგი მას ჩამოერთო, სომხები აიღებენ და მოახმარებენ ეკლესიის აშენებას. ყოველ წელიწადს 300 მანეთი ფული, რასაკვირველია, ცოტა შემოსავალი არ არის. ეს არის კიდეც საწყენო ქართველ უდებისათვის, რომ მათ საეკლესიო შკოლაზე ხალხი და სასულიერო მთავრობა თავისს ფულს ხარჯავენ, ხოლო სომხები მათ წინაპართა სალოცავის შემოსავლიდგან ეკლესიებს იშენებენ, ძლიერდებიან, იპყრობენ ნუხის მაზრაში ქართველთაგან დაშთენილ ძველებურ ეკლესიებს, სახლდებიან და მრავლდებიან ქართველთ მიწა-წყალზე, ხოლო ქართველთა გლეხობა ქართლ-კახეთში უმიწა-წყლობით ღარიბდება, არ იცის რა ქნას და საით წავი-

დეს. ხალხი მრავლდება, მიწა კი კლებულობს, ცოტავდება და სახნავ-სათესად აღარ ჰყოფნის.

ინგილო ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა სვანეთისა *).

სვანეთს „ასავლეთ-სამხრეთისაკენ აკრავს სამეგრელო-სამურზაყანო, ჩრდილოეთით ყაბარდო (ენგური, ბახსანი) და ქაშაური (ჩრდილოეთ კავკასია), აღმოსავლეთ-სამხრეთით — რაჭა-ლეჩხუმი. ზამთრობით სვანი, როდესაც მის სახლში არავითარი საშუშეფარი არა აქვს-რა, მიდის რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთ-სამეგრელოსაკენ და იქ ლიფარი შუშაობით შოულობს ორიოდე გროშს, რომლითაც ისტუმრებს სახელმწიფო ბეგარას (სვანი აშას „ფოშტის ფულს“ ეძახის) და ოჯახის მოთხოვნილებასაც ოდნავ აკმაყოფილებს. ამ ადგილებში სვანი ეფერა მიწის შუშაობას მისდევს: გაჰყავს ირხები, თხრილები, აშენებს ყორეებს, სჭრის ხეს, სიმინდს და სხვასა. სვანი თითქმის შუადამ ჩიის ხოლმე „ალეგის“ (ასე ეძახიან იმას, ვისთანაც შუშაობს) უსამართლოება-გაძარცვაზედ. ბევრი მათგანი ოფლით ნაშრომს არ აძლევს და უკარგავს. მაგრამ სვანი იმგვარია, რომ შენი არავერი არა ყანდარია და თუ მისას წაართმევ, გაშმაგდება და იცოდე — არ შეგარჩენს. ამიტომ ის არც თავისს უსამართლო „ალის“ შეარჩენს ნაოფლარს; თუ კარგი სიტყვით ვერა გაწყობრია (სარჩევრითა-ვი რა ყანდა მოუხერხებელ), მერე ხუებზედ მის-

*) იხ. „მოგზაური“ № 7 და 8, 1902 წ.

ლგვები: "მეიკრიბებიან ხალმე ერთად და ერთ ალიაქოთს ასტეხავენ. დაშინებული ალი იძულებული ხდება დაბაკმაყოფილოს სვანი. თუ ამითაც ვერაფერი ვერ მოახერხა, მერე ლამით "მეეზარება სახლში, ორ იმალენას გამოიტანს და გაუყენებს "მინისაკენ. თუმცალა ბევრჯელ ამგვარი საქციელი არ "მერჩებოთ სვანებს მართლმსაჯულებისაგან, მაგრამ ის მაინც ამას არ დაეძებს, რადგან დარწმუნებულია თავის სიმართლეში. თან უკვირ', რატომ იგივე მართლმსაჯულება მისთვისაც არა მართლმსაჯულებს!..

იმერელი სვანს საზოგადოთ ცოდის თვალით უყურის და იმავ დროს კიდეც ეშინიან მისი.—«სვანი გეგელა, მუცელ-ბელელია»—ხშირად გაიგონებთ ხალმე ქუთაისის ქუჩებში ძახილს. სვანიც აქა სცდილობს რითიმე გადაუხადოს ამისს "მეგრელ-ხმაყოფილს: არც აკიდებს, არც აცხელებს და ნიჩაფ-ბარებით ზურგზე ზათქა-ზუთქს აუყენებს ხალმე ამის დამცინავს.

სვანეთს ჩრდილოეთით ჰფარავს კავკასიონის უმთავრესი ქედი, რომელიც ამ იდგილას უდიდესს სიმაღლეშდის ალის (აღგილობრივ 4 ვერსტზედ მეტი). ამ ქედს გადაღმა სცხოვრობენ მაჰმადის სარწმუნოების ხალხნი, რომელთა სახელებია: ყაბარდოელები, რომელნიც ალინარე ყუბანის სათავეში არიან დასახლებულნი; უსუსბიები—ბახსანში, ინგუშები—ინგუშეთში, ბიზანგიები და ალიყარები. ყველა ამ საზოგადოებათაგან სვანეთიდგან ალის გზა ოლითი (საყინულია) უმთავრეს ქედზედ. აი, ამ ხალხს ეფერო ეტანება სვანი ზაფხულობით. იქ სვანს აქვს ბსხლის ჩიტი, რომელსაც სვანები „ლუბხველი"-ს, ანუ „ლუბალეს" ეძახიან, ლამაზად დაწნულს ხის კალთებს, რომელიც იმ ქვეყანაში ძვირია, კეი *) და სხვა. ამე-

*) ნაძვს გასაგებს გამოუდის ს

ხე, რომელიც გაგვიგე-

ებს სვანი სცვლის ადგილობრივს ნაწარმოებზედ: მატ-ყლზედ, საფენ და მოსასხამ ნაბდებზედ, რომლებიც აქ ნაქებარია, თხა-ცხვარზედ და სხვაზედ. გარდა ამისა სვანი ურიგდება მაჰმადიანებს დღიურად, ანუ თვიურად და ეხმარება თიბვაში. ქირად ღებულობს საქონელს: ხარსა, ცხენსა და ცხვარსა. ეს არის მიზეზი იმისი, რომ სვანმა თათრული (აქაური ენა განირჩევა ნამდვილ თათრული-საგან) ზედმიწევნით იცის. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ სვანი ორ-სამ წლობით აძლევს მაჰმადიანს თავისს 13—18 წლის ვაჟსა მოჯამაგირედ. ბატარა სვანი ზედ-მიწევნით სწავლობს თათრულსა, ეჩვევა იქაურს ზნე-ჩვეულებასა და სულ იცვლება. როდესაც თავისს სამშობ-ლოში ბრუნდება, ის სულ უცნობი ხდება: ამპარტავ-ნობს თათრული ენის ცოდნით, ყბედობს, აქებს «ნაფ-რაზს» და ეკლესიაზედაც აცრუებული აქვს გული. ის არც ქრისტიანთა რიცხვში ურევია, არც მაჰმადიანებში და ამ-გვარ ადამიანისაგან კი სიკეთე არა გამოვარა—ცუდის მე-ტი. უფრო სამწუხარო ის არის, რომ რამოდენიმე სვან-თაგანი მთლად მოსწყდა მართლმადიდებელს ეკლესიას, მაჰმადიანობა მიიღო და მუდამ იქა სცხოვრობს (16—18 კაცამდე).

წინეთ, როგორც რუსის მთავრობის დამკვიდრება-მდე, ისე შემდეგაც, სვანები და მაჰმადიანები თითქმის მუდამ ომობდნენ ერთმანეთში და მტრულად უცქეროდნენ ერთმანეთს. საქმე იმაშია, რომ ძველი სვანეთის სამეფოს საზღვარი უწევდა ჩრდილოეთისაკენ. კავკასიონის ქედს

ბის შემდეგ საკმევლის მხგავსია და თხილის ოდენად რჩება; მას ტოტა ფისაც ურევია, მაგრამ არჩევენ ფისსა და სხვას კეკვად ხმარობენ. კეკი შეიძლება ბურის მარცვლებიდგანაც გაკეთდეს.

გადაღმა და მდინარე თერგისა და ყუბანის სათავეში მდებარე ადგილებს, რომლებიც ეხლა მთიულ მაჰმადიანებს უჭირავსთ, სვანები თავის საკუთრებადა რაცხავენ. დასამტკიცებლად ამისა მოჰყავთ იმისთანა საბუთები, რომლების სიმართლეში ეჭვი არ არის. ჩრდილოეთს კავკასიაში სვანები უჩვენებენ კოშკებს ერთგვარის აგებულებისა თავიანთს კოშკებთან და ამტკიცებენ, რომ ეს კოშკები აგებულია მათი წინაპრებისაგან, რომელთაც ეკუთნოდათ ეს ადგილები და ქრისტიანული სასაფლაოები მათზედ. უჩვენებენ აგრეთვე ეკლესიების ნანგრევებს. ამ ადგილებსა ჰქვიათ სვანური სახელი, მაგალ. „სგიმარ“, რაიცა ნიშნავს მადნეულს წყლებს (თავის მიდამოებითურთ). მართლაც, ხსენებულს ადგილებში არის მადნეული წყლები. გარდა ამისა, სვანები ამ ადგილების ბაჟს თითქმის ყოველ წლივ იღებდნენ მაჰმადიანებისაგან, მაგრამ რუსის მთავრობის დამყარების შემდეგ ეს, თითქო მოისპოვო, და გიაურები ნებით აღარ იხდიდნენ დადგენილს ბეგარას. მიუხედავათ ამისა, სვანები ძალით იღებდნენ თავისას. მაგალითად, სხვათა შორის 1858 წ. მულახ-მუჟალელებმა ჟეგემიდგან მორეკეს ოთხი ათასი თხა-ცხვარი, ვირები, სამასამდე ცხენი, ხარი და ძროხა და თან რამოდენიმე კაციც გამოიყოლიეს. 1872 წ. კიდევ დაეცნენ და წაართვეს ურიცხვი ჯოგი. ეხლა, მართალია, სვანები ისე აშკარად ველარა ჰბედავენ თავდასხმას, მაგრამ მისს ბეგარას მაინც არ არჩენენ და ყოველ წლივ მოჰყავთ ნაპარავად საქონელი.

მაჰმადიანებმა სამაგიეროდ ეკლესიებს გაუწიეს მტრობა: აუარებელი ეკლესიები დააქციეს, შიგ მდებარე ძვირფასი ხატები და ნივთები წაალაგეს და შეურაცხყვეს... სვანებიც უწევდნენ მაგივრობას, მაგრამ სჯულსა და მათს „მეჯგითებს“ ისინი არ ეხებოდნენ. სვანების პაპების სასიქადულოდ ჩაითვლება ის ამბავი, რომ მაჰმადია-

ნობას არ გაამარჯვებინეს ქრისტიანობაზედ და ხელი შეუშალეს სვანეთში მისს შესვლასა და გამეფებას, რასაც მაჰმადიანები ეგრე გულს მოდგინეთა სცდილობდნენ... აი ზოგიერთი მათგანი:

სვანს თავი უძველესს ქრისტიანად მიაჩნია, თავისი ღმერთი კი უმაღლესს ღმერთად, რადგან მისი ღმერთი, როგორც თითონ, ისე მაღლა სუფევს!.. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რომ იგი სხვა სარწმუნოების კაცს კარგის თვალით არ შეხედავს. სვანი სჯულის მხრით თავის თავს წინ აყენებს იმერელსა და მეგრელზედაც.

სვანურს ენაში (?) თქვენ შეხვდებით ლექსებსა და მოთხრობებს, რომელნიც უფრო ვაჟკაცობას, ნადიროობას, გაჭირვებას და ომიანობას შეეხება. სიყვარულზედ სვანი ძვირათ თუ მღერის... აი ზოგიერთი მათგანი:

1, ყანსავ ყიფიანე! . . . ყანსავ ყიფიანი—
2, უმჩა, უდგარა! . . მოუხუცებელი და უკვდავი!
3, ბოჩა ღვაჟარე, . . . მარჯვე ბიჭები
4, ბახას ხეშიალედ! . . . ნაბიჯზედ ომობდით!
5, ბარჯას ჯარდანდახ . . მხრებზედა გედოთ
6, ნამცა თოფარე, . ,,ნამცა'' თოფები,—
7, დუთხელ პილარე . . თხელ პირიანები.
8, ხოლა ღვაჟარე . . ცუდი ბიჭები
9, ტუბას ზუსდანდად! . . ხრამში ეყარენით!
10, ბალ-ზაგარე . . . ბალ-ზავარლები
11, კულვნარს ხეჩიდდად! . კოლოებში ერიენით!
12, ლატლი-ლენჯარე . ლატლი-ლენჯარლები
13, ქაქას ხიჩოდად, . . ფაფას იკეთებდით,
14, დუტუს ხეჩუდდათ! . ნაცარში ერიენით!
15, სეტი-მესტია . . სეტი-მესტია
16, შუკვამ ლეზიზი . . გზის საგზალი (ხართ)
17, ლუფხვ იზავლადელ! . გაზაფხულსა და ზაფხულში!

18, მულას-მჟჟალე . . მულახ-მჟჟალელნი
19, ჩიგარდ მაბზარე! . ყოველთვის მაძღარნი!
20, წვირმი-იფარე . . წვირმი-იფარელნი
21, ჩიგარდ კვამარე! . ყოველთვის კვამლიანნი!
22, ჩიგარდ მაიდარე! . . ყოველთვის მშიერნი!
23, კალარ-კულარე . კალარ-კულარე (კალელები)
24, ჭუშხარ ჩობითალე, . ფეხებ მოქცეულნი!
25, ჩიგარდ მაიდარე! . . მუდამ მშიერნი!
26, უმგვლარ დავარე! უშგულები (რეგვენნი ფინთები)!
27, უმგვლარ ხეცარე! . უშგულები მხეცები!

ყანსავ ყიფიანი არის ძველი დროის გმირი. მისი გვარი ს. წვირმისში სცხოვრობდა (ეხლაც). ამ სიმღერაში დახასიათებულია ყველა საზოგადოება თავისუფალი სვანეთისა ს. ლატალიდგან დაწყობილი ვიდრე ს. უშგულამდე.

ყ უ რ შ ა.

ოი, ჩემო ყურშა, ყურშაო!
ყურშას ყეფილი. ცისა ქუხილი!
ყურშას ნახტომი—დიდი მინდორი!
ყურშას ტოტები—კალოს ოდენი.
ყურშას საბმელი—ოქროს ეჟვანი.
ყურშას საჭმელი—პური ქაბაბი.
ყურშას სასმელი—ღვინო ბადაგი.
ყურშას ლოგინი—საბან-ბუმბული.
ოი, ჩემო ყურშა, ყურშაო,
ყურშაო, ჩემო ყურშაო!
ეს სიმღერა ფერხულზედ დიადათ უწყობს...

ბ უ ბ ა ქ ა ქ უ ჩ ე ლ ა.

(ეს სიმღერა გადაიდო ნოტებზედ ბ. ბალანჩივაძემ).

ბუბა ქაქუჩელა, არყილ მაკუ- . . ბუბა ქაქუჩელა, არაყი
ჩელა! . . მინდა!

ბუბას არყილ ხაკუჩელა, ბუ-
ბა ქაქუჩელა!
თითონ კათხულდს ჩულალ-
თურედ, ბუბა ქაქუჩელა!
ეჯა გუეი სოჩა გვერა, ბუბა
ქაქუჩელა!
ქრისტეს ზულვად ჩოთმაზუ-
რად, ბუბა ქაქუჩელა!

. . ბუბას არაყი უნდა, ბუ-
. . ბა ქაქუჩელა!
. . თითო კათხას კიდე შე-
. . სვამთ, ბუბა ქაქუჩელა!
. . იგი გულსა მოგვიხდე-
. . ბა, ბუბა ქაქუჩელა!
. . ქრისტემ ზულვად გადა-
. . ლეგრძელოსთ, ბუბა
. . ქაქუჩელა!

ამეჩუნა'მ ვრდე მარე, ბუბა
ქაქუჩელა!

. . აქა მყოფნი ადამიანნი,
. . ბუბა ქაქუჩელა!..

ჰ ა ლ ა შ *).

(ს. ბეჩოში გაგონილი ბრმა სვანისაგან—ბაბდიშ კვიციანისგან).

შენი იყოვი ძალი შენი სანებისა ორქოლი სახელი: ერავაზ ,მარავაზ, ქარავაზ, ვენ-ქარავაზ, ვენ-ჰარავაზ, დავითნი ქარავაზ. ვინადირებსა ელსა, მალსა მასკისაისა; გულსა ნალმართი; დარარაისა შინა უთხარი—შეგაგდებო; ბრალთა კურკუმთა... ცხეკსა შინა, სარცხელსა შინა: მოვალ ჰალი ეშმაკი, მოვალ ზედა კაცთა შობიერი; ზედა მიჩუნურაყ ჩემო ნავანკლავ ქრისტიანი... ორთხვებისა თქვენისა ულოვან, უტოვან, თუ გინ მე შენ გაიქარო. ელოგინი ქრისტე ჯვარი სანებიანი, მიქელ-მთავარ-ანგლეზიანი პირჯვარი მონორამი—ღალდებსა იურსალიმსა; ბილვირი, ფიჩირი, გარამჭაჭია, გარამფსალია, ოთხინ მილოვან, მიტოვან, თუ გინ მე შენ გაიქარო!.. ფუ, ეშმაკ!..

---

*) ჰალ (ალი)—სვანების ფიქრით, მაგნე სულია, რომელსაც შეუძლია კაცი შესცვალოს, უგრძნობელი გახადოს და კიდეც მაჭკლას, მეტადრე მთა'ზედ მაკ'ზაურობის დროს.

ჰ ა ლ ა შ (მეორე გვარი, ბეჩოშიკე გაგონილი)

ერევეზ, კერევეზ, ანგალოზ მინასანადირა, სანახენო ნათარებსა დოუდგურო; დილომისა დაგჭირთა, დაგჭირხავ ამისთანე ბოქმამში; ზურგიელი სახამიჩი, ოსპარჩილო, თუ ასთე ქაქარებულა! ფუ, ეშმაკ!..

ლ უ ქ ვ ი ნ ი შ (დასუნულისა).

წითელი გველი, ყვითელი გველი, ‘მავი გველი; აყაყი, ბაყაყი, წინწილაი წილაკვისა... ეხისა, ფეხისა; ქრისტიანის ფოხი; იშლი, მიშლი, ივერ-მირემ; ირემ-ფირემ ჯოხსა სალსა, წყალსა გამოდი!—

ნ ა დ ი რ ი შ (ნადირის პირის შეკვრა).

ეკენია, ბეკენია; ბეკესხათი სანაფია; მალადლად კარსა ჯიბურკელი კინასა ოქსელადი ბულისა; ქრისტემ ჩაჭკარ, ჩამოჭკარი ნადირისა პირისა, უჰ! .

მეორე გვარი.

ეკენია, ბეკენია; ბეკესხატი ზუსეტია... ერთო ღმერთო! ჩემო ყანი *) ნადირს პირი ეიკვაკული ეილი ოდა ეამს!..

თ ვ ა ლ ც მ ი დ ი ყ ო (თვალცმულისა).

თვალცმიდიყო, ბოგიყო, ზონტიყო, ცანციყო ონსურეთსა, ომფურეთსა სიყრიგა... მემხე ეელარ ჯისულსუნეს **)... ოსაფისა, დედანაწილო, უჯურთელა, ნაწკვეტილა... ფუ, ეშმაკ!..

*) ჩვენ. შეუცვლელად ვწერთ; მართალია ქართული სიტყვები ბევრგან დამახინჯებულია, მაგრამ გამოცნობაც არაა ძნელი...

**) სულხანური სიტყვებია ჩამოტეებული: ,,შაგი ძალები გისისინებენ''.

(თვალ-ნაკრავი ბავშვებისა, ანუ ავადმყოფ საქონლისა).

დედაო ჯარი, მარიამ ქალწული, ქარსაცია! რასოური, რასატირი, რასა ჯღილი?.. გაშდა შავი კლდე, შავი კაცი; ვილმა დეიჭკინე, დალმადეიშხინე; უფლისაღა, მისი საღა, ქათმისაღა... შავი კაცი, შავი ქალი, წითელი კაცი, წითელი ქალი, მახროზელი, შორებელნი, გარეული, ეშმაკური; ფუ, ეშმაკ!..

წელკავიშ (ს. მეულში ჩაწერილი).

ათი ეუთური-ქუთური, ჩანგი სამი სოფელი; განი ერთი ასკილია შვილდისანია, ასიანთსა მევიდეს, ბასიანთსა მეფინეს ქალებთა სიფიცხლითა, ვაჟებითა ციბილითა; მოვიდეს ბოლაბოზალი—მერცხალი, ერთსა მგელსა გვამ ხარსა უჰუ! ჰუ!

მეოთრე გვარი.

არცხალი, მარცხალი, საი სამწვადი; გელი-მოგელი, გელი-ბურზელი! ტუჰ! (ყურში ჩაჰყვირებენ ავადმყოფს საქონელს).

ფელოცვა მუცელ-კეთილისა.

(ს. მუჟალში ჩაწერილი).

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ... ესე საშარნო წიგნი მოგეცით ჩვენ მოიყვარყვალიტ აზრუმელმან მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზის მოწმობითი და თავსდებობითა... არცა შენ ჩვენგან და ჩვენის გვარისაგან არა გეშინოდეს და არცა მოგიახლოთ შენ... ჩვენი სახელები ეს არიან: ათი, ათირმან, შათირმან, მოიყვარყვალიტ აზრუმელისმან, ტყაო-

სანმან, შიოსანმან და წითელოსანმან; წითელო ხატო, უშველე წითლის მუცლის ტკივილისაგან მონასა ამათქვენსა (სახელი და გვარი).

ნიორი, სხმარტლი და რთხმელის კუკური თალათინში, ან წმინდა ჩვარში გამოკერილი უნდა შეიბას იღლიას ქვეშ.

შაკიკის შელოცვა (ხელში რკინეულობა უჭირავსთ და შუბლზედ უსობენ).

შაკიკისა მოჩვევისა სატეფავისა ბოლოსა; ისე სჭამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა... მოვიდა წმინდა გიორგი, იერუსალიმში დანა ვიყიდე.—წითელ-ყვითელ ყვავილებსა, ფუა, განქარდა!.. (გააფურთხებს შემლოცავი).

ღიერის შელოცვა (ს. მუჟალში გაგონილი).

(ღორის ქონსა და გოგირდს ერთად შეურევენ და აადუღებენ; მერმე მტკივანს ალაგას წაუსმენ და ამბობენ).

ოჰო, ღიერო, ღიერო, უსახლკარო და მშიერო!
წამალსა გიზამ, წამალსა, უკუფხოსა და ნაქასა...
დილას ადრე გეიპარე, მე ნუღა მკითხავ წასვლასა.
ხვარამ ხარ და გულთამცა; შუღლი-უღლი კოტიტასა.
ხვარამს ძირი გაუწყდება, ხვარამს სიამი გაუწყდება.

(ს. მუჟალში გაგონილი).

დიდება მამასა, და ძესა, და წმიდასა სულსა, აწ და მარადის დაუკუნითი უკუნისამდე, ამინ... იამანი ხიდ ქვეშა ქვის წყალი ჩამოდიოდა; შვილმა უთხრა დედასა უზმურობა ვქნათა. აჰა, არა შვილო, არა დედა! მე და მამიდა შენმა იდობანი შევაწყვეთო. ანი დადგა, ბანი და-

დგა; გზა ნაგზეური დადგა, ტყე ნატყეური დადგა; რა ქალმაც ეს წამალი შეჭამოს, იმის მუცელში ბოში დროამდი დადგეს.

იავ ქალთი.

1, იავქალთი ბებუცია, სოფელ ქალთი შუმპარია;
2, შუმპარ ჩუბენ კიანია, ძიან ჩვენი მოყვარეო;
3, მოყვრის მოყვარენიაო, მოკლეს ხვარამზენიაო!
4, ელია და მელია, ეხლა რაჭა ჩვენიაო!
5, ვენახისა სთველია, ჩიტიც მოგვინველიაო!
6, კათხაც ჩაგვინკეპნიაო, ქალაქს ჩაგვიგზავნიაო,
7, ქალაქელი დედლებიო ადიან და ჩადიანო;
8, ხუცის ცოლთან ჩადიანო.
9, ხუცის ქალი თავს იბანდა, თანუშია წყალს უსხამდა.
10, ხუცის ცოლმა..... *), ჯამ-ჭურჭელი დაამტვრია!
11, მეფეს ცხვირი მოუქცია, ციხეს თავი გადასტეხა!
12, თათრის ჯარი გააქცია **), გურიელი დააბრუნა!

ბ. მარგიანი.

(შემდეგი იქნება).

*) ეჯერო სიტყვაა ნახმარი.
**) ზოგან — დადიანი კაქცია.

ორი დღე ბაქოში.

გიორგობისთვეა. შემოდგომის სასიამოვნოდ გრილი დღე თავის და-უნებურად იწვევს ადამიანს სამოგზაუროდ. ბაქო ჯერ არ მენახა და მეც ნავთის სამეფოს დედა-ქალაქისკენ ვარჩიე გამგზავრება. არც მოვსტყუვდი. ერთი დღის სავალზე სცხოვრობდე და ბაქო არ გენახოს, სწორედ რომ ცოდოა. თვით ბაქო და მისი მიდამონი, გარეგნობით, მართალია, ბევრს არასფერს მიმზიდველს სურათს წარმოადგენენ; შედარებით თუნდა კახეთთან და თუნდა ქართლთან იგი ნამდვილ უდაბნოდ წარმოუდგება მოგზაურს, მაგრამ ბაქო არც საჭიროებს ამ გარეგანს ლირსებას, სიტურფეს! მისი ლირსება ამ მოხრიაკებული, უდაბნო დედა-მიწის გულშია და მერწმუნე, მკითხველო, რომ ამ მხრით ბაქოს თვით ოქროს ელდორადოც ვერ შეედრება... წიაღსა მისსა იმოდენა ნავთია, რომ ამ ოცს წელიწადში, ვინ იცის, რამდენი ათასი მილიონი მანეთი მიუცია იმათთვის, ვისაც კი გაუბედნია და ამ გარეგნობით უშნო ადგილებისათვის შრომის ხელი გაუწვდია და გულის-ყური დაუდვია... დიახ, ნავთის გულია ბაქოს ფას-დაუდებელი სიტურფე, თუმცა იგი თოვლსავით სპეტაკი თეთრი არ არის და არც ვარდსავით საამოდ სუნნელოვანი!.. შებრძანდებით ბაქოში თუ არა, თქვენ პირველივე შეხედვით გრძნობთ, რომ იგი უფროსი თუ არა, არც უმცროსი ძმაა თბილის დედა-ქალაქისა: თანასწორ უშნო და აზიაურს გემოზედ აგებულს სახლებ-

თან, აქ თქვენ ნახავთ ბევრს ისეთს სრა-ჰალატებსა, რომლებიც არაფრით არ ჩამორჩებიან თბილისის ასეთსავე შენობებს. მაგრამ მე იმდენად თვით ბაქო და იმისი ბუმბერაზი სახლები არ მიზიდავენ. ნავთი და მისი შადრევნები იყო ჩემი ოცნება და ამიტომ მომყევი, მკითხველო, რომ მცირეოდნათაც არის გაგაცნო ჩემი სუსტი კალმითა ბაქოს ეს მხარე.

ბაქო გაშენებულია კასპის ზღვის უუმშვენიერესი ყურის კიდის ირგვლივ, თუ არა ვსტყუვი, 15 — 20 ვერსის მანძილზედ მაინც. თვით ბაქოს უკავია შუა ადგილი ამ რკალში, ხოლო მის მარჯვნივ და მარცხნივ ძევს ის ადგილები, სადაც ხშირის ტყესავით ამართულია ეგრედ წოდებული „ვიშკები“, ხის აკოწიალებული შენობები, რომლის შიგნით სცემს ნავთის შადრევნები, რომ ნავთი აქეთ-იქით არ იღვრებოდეს, და რადგანაც, როგორც თვითაც მოგეხსენებათ, ნავთი შაავის ფერისაა, „ვიშკებიც“, თითქოს განგებ შეეღებნიათო, ძალზედ შავებია. ეს არის მიზეზი, რომ ბაქოს ერთს ნაწილს, სადაც უფრო მრავლად არის ასეთი „შავი ვიშკები“ — „**შავი ქალაქი**“ ჰქვიან.

ბაქოში ბევრს ადგილობრივს მკვიდრს და უცხოელს აქვს ნავთის ადგილები, აქვთ აქ იგი ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეთაც, და სხვათა შორის ცნობილთ ქველ-მომქმედთ ზუბალაშვილებს. უკანასკნელების სანავთე ადგილების ფაქტიური მასულდგმულებელი დღეს სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილია. ზუბალაშვილების დღევანდელი კეთილ-დღეობა კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ სიმდიდრის შესაძენად როდი კმარა მარტოოდენ სიმდიდრის წყაროს ქონვა. ბევრს ჩვენს სხვა თანამემამულეთაც ჰქონდათ და დღესაც აქვთ ბევრი ამისთანა, და იქნება უკეთესიც, სიმდიდრის წყაროები—თვალ-უწვდენელი ტყე-ველები; ვენახები, მადნები

და სხვ., მაგრამ, დიახ, იმას მოგახსენებდით, რომ მარტო ამათი ქონვა არა კმარა-მეთქი. აქ საჭიროა კაცი, აღვსილი ცოდნით, ხასიათით, ენერგიით, შრომის მოყვარეობით, ფრიადის გულის ყურით და სხვა მისთანა სათნოებებით. თუ კაცში არ არის ყოველი ეს, მაშინ თვით გენიოსიც რომ იყო, ყოვლად უნაყოფო და უსარგებლო იქნება თვით ოქროს მადნებიც!.. განსვენებული კონსტანტინე ზუბალაშვილისაგან დაწყობილი სანავთე საქმე, რომელსაც ერთს დროს მან ანაცვალა თვისი საუკეთესო ქონება, უუმშვენიერესი სახლი თბილისის სასახლის ქუჩაზედ, დღეს თუ ძველებურადვე შეურყეველად წინ მიდის და სწარმოებს, სწორედ მისი ღირსეულის შვილის, სტეფანეს, პირადი პატრონობით, მზრუნველობით და სიფრთხილით აიხსნება ეს, თორემ, განა სხვებს კი არა ჰქონდათ ბევრი ამისთანა სიმდიდრის წყაროები, რომ თვისი უმაქნისობით ერთ-ორ წელიწადსაც ვერ შეინახეს მამა-პაპათაგან გადმოცემული სიმდიდრე და, ვინ იცის, ვის არ ჩაუგდეს იგი ხელში!.. ჩვენ თვითონ განგებ დავათვალიერეთ ზუბალაანთ სანავთე ადგილი, ვნახეთ მისი ყოველი წვლილი და უნდა გამოვტყდეთ, რომ ყველაფერი ისე წესიერად, ისე მშვენივრად არის მოწყობილი, რომ მტრის თვალიც კი წუნს ვერ დასდებს მას.

ზუბალაანთ სანავთე სარეწს უკავია ათ დესეტინამდის უუმშვენიერესი მომაღლო ადგილი ზედ კასპის ზღვის პირზედ, ასე რომ სანავთე აუზები ზედ ზღვის მომაღლო კიდითა სდგას და ნავთი აქედამ პირდაპირ გემებში ისხმება. მოხსენებულს სივრცეზედ ამართულია ჯერჯერობით 19 „ვიშკა", ამოთხრილია ორი უშველებელი ტბა, სადაც გროვდება და სუფთავდება დალქვით ჭებიდამ ამოღებული ანუ ამოხეთქილი ნავთი (თითოში ჩავა რამდენიმე მილიონი ფუთი ნავთი), დადგმულია ორი უშველებელი თუჯის ქვაბი, რომელშიაც მეხანიკურის

ძალის შემწეობით გადაჰყავთ ნავთი მოხსენებულ ტბებიდამ, ხოლო აქიდამ მილის შემწეობით პირდაპირ განგებ ამისათვის დანიშნულს გემებში ისხმება, გამართულია რამდენიმე სახელოსნო მანქანების თუ სამუშაო მოწყობილების და იარაღების საკეთებლად და, დასასრულ, აგებულია ორი უშველებელი სახლი ყველაფრით უკლებლად მოწყობილი (აბანოებით, სამზარეულოთი და სხვ.) მუშებისა და საზოგადოთ სარეწში მოსამსახურეთათვის. თუ სადამდის გონიერად არის ყოველი ეს აქ მოწყობილი, სჩანს იქიდამ, რომ ყოფილ ხოლერობის დროს, ზუბალაშვილებს აქ არც ერთი კაცი არ მოჰკდომიათ და არც მათს რომელიმე მუშას ხელი არ აუღია მუშაობაზედ, რადგანაც ეს საშინელი სენი აქ მათ სრულიად არ მიჰკარებიათ...

აღსანიშნია ის გარემოება, რომ ბ-ნი სტეფანე ზუბალაშვილი, თავის მუშებს და საზოგადოთ მოსამსახურეებს, რომელთ რიცხვი აქ ოთხასს კაცზედ მეტია, დიდის თავაზიანობით და კაცთ-მოყვარეობით ექცევა, სასყიდელს ყველას უხვად და ღირსებისამებრ აძლევს, არ სტოვებს არც ერთს კეთილს შემთხვევას, რომ იგინი ზედ-მეტით არ დააჯილდოვოს და სხვ. ერთი სიტყვით, სტეფანე ზუბალაშვილი აქაურებს ისე ჰყავთ დასახული, როგორც ჩვენს უკვდავს შოთას უყვარდა ასეთის გვამების დასურათება:

,,იყო ღვთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი,
მოწყალე, განგებიანი''...

დაღესტნის იმამეაბი
და
შამილი.
I.
მოლა-მაჰმადი.

როდესაც დიდის რიხით შემკული საქართველოს მთავარმართებელი, თავ. ციციანოვი, ჰხმარობდა ყოველს ღონისძიებას და მოხერხებას რუსეთის მფლობელობის დასამყარებლად კავკასიის ორთავ—მხარეს, ამხობდა აქაურ ხალხთა სამეფო გვარებს და რუსეთში ისტუმრებდა ქართველთა ბატონიშვილებს; როდესაც მისი მოადგილე ერმოლოვი, ამავე ღირსებით შემკული და ამავე აზრით გატაცებული, სცდილობდა დაემონავებინა კავკასიის ყოველნი მთიულნი უფრო ბისმარკისებურის პოლიტიკით, ვინემდი სიმართლის ხელმძღვანელობით, —(Кавказскій Сборникъ, 1876 г. т. I. გვ. 204 — 208), იმ დროს შუაგულ დაღისტანში, ერთს პატარა სოფელში, იარაგლში, სცხოვრებდა ერთი განდეგილი მწირი-ბერი **მოლა-მაჰმადი.**

მოლა-მაჰმადი იყო ძლიერ წარმოსადეგი და თვალადი კაცი, თუმც უზომო ჯაფას და ღამით სანთელზედ

ყორანის კითხვას უდროვოდ დაებრმავებინა და ჩამოეცალა მისთვის სხეულის სისრულე. მას ჰქონდა გამომეტყველი პირისახე, ჩაფიქრებული თვალები, კოკობი ულვაშები და პატარა წვერი, რომელიც ძრიელ უხდებოდა მოშაო პირის კანს და სრულიად გათეთრებულს თმას. ამ კაცის სახეს ერთობ რაღაც სიმშვიდისა და გულკეთილობის ჰიერი ჰქონდა. მოხუცებულს ეცვა მწვანე რიდე, მწვანევე ახალუხი და ლურჯი ხალათი.

მოლა-მაჰმადი წარსულ საუკუნის 25 წლამდის სცხოვრებდა მშვიდად თავის სოფელს იარაგლოში და ასრულებდა სოფლის მოხელეობას. მხოლოდ უქმეობით იცოდა მეჩეთში გამოსვლა და ყორანის ახსნა საჯაროდ. იყო მეტად გულ-ლმობიერი და მოწყალების გამცემი. თავის შემოსავლის უმეტეს ნაწილს ურიგებდა ღარიბებს და თვითონ კი ღარიბულად სცხოვრებდა ერთ პატარა ქოხში. ამის ყორანის ახსნასა და ქადაგებას მეჩითში ხალხი დიდს აღტაცებაში მოჰყავდა. ამისთვის ხალხი მოლა-მაჰმადს პირველ მწიგნობრად და სჯულის მცოდნედ სთვლიდა და იმამს ეძახდა *).

მოლა-მაჰმადს იქვე მეჩითთან გამართული ჰქონდა სასწავლებელი. სხვათა შორის ამ სასწავლებელში სწავლობდნენ, როგორც გვიმოწმებენ თანამედროვე მწერალნი, **ყაზა-მოლა, ჭამზათ-ბეგი** და **შამილი**. თავისს მოწაფეებს მოლა-მაჰმადი ასწავლიდა და უხსნიდა ყორანს და აგონებდა მაჰმადის სჯულის შებღალვასა უსჯულოთაგან, სჯულის და მამულის სიყვარულს და მათის აღდგინების საჭიროებას. ბოლოს მოლა-მაჰმადმა ცხადად დაიწყო მთელის დაღესტნის აჯანყების და დაუცხრომე-

---

*) იმამს არაბულად სჯულის მცოდნეს და ხალხის წინამძღოლს ეძახიან.

ლის ბრძოლის საჭიროების ქადაგება. ამნაირად, მშვიდი და ხმა მისუსტებული მოლა-მაჰმადი ულოცავდა დაღესტნელებს საომარ იარაღს ურწმუნოთა სისხლის დასანთხევად და მამულის გამოსახსნელად („Шамиль"-Илинскаго, გვ. 5).

მოლა-მაჰმადმა თავის მოწაფეებით მოუხშირა ხალხის ყრილობებში სიარულს და მჭევრმეტყველურ ქადაგებას. მუდამ ჰკიცხავდა დაღესტნელებს სჯულის გარყვნისათვის; მოლებს აყვედრიდა თავის მოვალეობის აუსრულებლობას და განცხრომით ცხოვრებას. ერთს ამისთანა ყრილობაზედ მოლა-მაჰმადმა, როცა თავისის მჭევრმეტყველებით მსმენელნი აღტაცებაში მოიყვანა, მოულოდნელად წარმოსთქო: ,,მამაშორეთ ყოველი ჩემი ქონება, მომხსენით ეს ტვირთი, თქვენივე მოცემული, მე არც მინდა დ ი არც საჭიროდ მიმაჩნია''. ხალხი ბევრს ეცადა უარი ეთქმევინებინა მოლა-მაჰმადისათვის ამ გარდაწყვეტილებაზედ, მაგრამ ვერას გახდა. მოლა-მაჰმადმა იმავე დღეს გაუყო თავისი მცირე ქონება მთხოვრებს და თვითონაც იმათსავით დაიწყო ცხოვრება. ამის შემდეგ, რასაც კი შოულობდა მოლა-მაჰმადი სულ ღარიბებს ურიგებდა.

რაც ხანი გადიოდა მსმენელთა რიცხვი უფრო ემატებოდა და ბოლოს მოლა-მაჰმადის გავლენა იმდენად გაძლიერდა, რომ ხალხმა იგი წმიდა კაცად მიიჩნია და ყოველს მისს სიტყვას ალლაჰის ბძანებად სთვლიდა. მოლა-მაჰმადიც თანდათან უმატებდა თავის მჭევრმეტყველებას და პირდაპირ აგონებდა თავისს გულის-ნადებს. როდესაც ნახა, რომ ხალხი მომზადებულია, მოურიდებლად გამოაცხადა: ,,ყოველს თქვენგანსა და თქვენს შვილი შვილსა, ყოველს თქვენს შესაწირავსა, თქვენს საქმესა და მოქმედებას სძევს წყევა ღვთისა. ზეცამ დაგსდოთ თქვენ ბეჭედი განყენებისა, რადგანაც შთანთქმულხართ

ბოროტებაში და არ ისმენთ და არ ასრულებთ სიტყვასა წინასწარმეტყველისას. პირველი თქვენი მოვალეობა არის—დაუტევოთ სახლი და მშობელნი თქვენნი და ხმლით დაიცვათ მამული და სჯული თქვენი, როდესაც საჭიროება მოითხოვს ამას. თქვენ კი რა ჰქენით, ან რას აკეთებთ, თქვე საბრალონო, მხდალნო და ურწმუნონო?!—თქვენ დაამხეთ მამული და სჯული თქვენი და მიცემულხართ ქვეყნიურს განცხრომასა და ბოროტებას. ჯამაათო! ტყუილად ასრულებთ ნამაზსა და სალარიკს; ტყუილად დაიარებით მეჩითში, ტყუილად ლოცულობთ და პირქვე ემხვებით იქ! გზა ალლახისადმი შეკრულია და ურწმუნოთ უჭირავთ. ილოცეთ, მოინანიეთ, იმარხულეთ და განემზადენით მამულისა და სჯულის დასაცველად! დადგება ჟამი ომისა და მე მაშინ გაკურთხევთ საბრძოლველად და ალლახისადმი გზის გასახსნელათ". (,,Закавказскій Край" Гакстгаузена. т. II გვ. 194—195).

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მოლა-მაჰმადი რაღაც გულ დამშვიდებით წავიდა თავის ქოხში—თითქოს ჰფიქრობდა, ახლა კი მივახვედრე ხალხი ჩემს გულის წადილსაო. მართლაც ის არ მოტყუებულა ამაში. იმისმა სიტყვებმა ელვასავით მოიარა მთელი დაღისტანი. ყველას აეშალა საომრად საღერღელი. იმისი მოწაფეები, ახლა კი კარგად დახელოვნებულნი, გაიფანტნენ დაღისტნის მთიულებში და დაუწყეს ხალხს ღვიძება. პირველად ისინიც თავის მასწავლებლის მსგავსად ხალხს იწვევდნენ სალოცავად და ცოდვების მოსანანებლად. ხალხში ღელვამ ჩქარა იჩინა თავი და იწყო მატება. მოლა-მაჰმადის მოწაფენიც აღარ აკლებდნენ თავის მხრით ცეცხლის წაკიდებას. რომელ სოფელშიაც მივიდოდნენ, შეჰკრეფდნენ ხალხს, თვითონ შედგებოდნენ ამაღლებულს ადგილზედ, პირს იზამდნენ ჩრდილოეთისკენ, ე. ი. რუსეთისკენ და უძახდნენ: ,,მუსულმანებო! საომრად!" და

ვინც ნებით არ ემორჩილებოდათ, ხლმით იმორჩილებ-
დნენ. ამ დროს განმავლობაში თვითონ ოსტატი და სა-
ძირკვლის ჩამგდები, მოლა-მაჰმადი, მოსვენებით იმყოფე-
ბოდა თავის ქოხში და დროს ართობდა ყორანის კითხვა-
ში, თითქოს რწყილიც არ აეფრინოს; მაგრამ დღე მუ-
დამ ემატებოდა მრევლი. მას ყველა სთვლიდა პირველ მქა-
დაგებლად, **მურშადად**, და მის მოწაფეებს **მურიდებად**,
(მურშიდი ჰნიშნავს ხელმძღვანელს, მასწავლებელს, მუ-
რიდი—მიმყოლს). ამასთანავე თანდათან გავრცელდა მტა-
ცებლობა და ცარცვა რუსებისაგან დაჭერილს ადგილე-
ბში და ალაგ-ალაგ რაღაც აყალ-მაყალი და შფოთებიც
იმართებოდა. მხოლოდ ესენი ჯერ-ჯეროობით არ იყვნენ
ერთმანეთთან შეკავშირებულნი. მარტო ნიშნები იყო რა-
ღაც მოსალოდნელის ქარიშხალისა. ამ ქარიშხალმაც მა-
ლე დაუბერა.

წარსული საუკუნის 30 წელს მახლობლად ჩვენის
მოლა-მაჰმადის სოფელში კიურინგში, იფეთქა ხალხის ღე-
ლვამ, მისრის-მოსრისა ყველაფერი, რაც კი არ შეადგე-
ნდა მისს მამაპაპეულს კუთვნილებას და აღიარა თავისი
თავი დამოუკიდებლად. ამ ამბავმა მალე მიაღწია მთავრო-
ბის ყურამდის. მთავრობამ უბრძანა ყაზი-ყუმუხის მმარ-
თველს ასლან-ხანს გეეფანტნა აჯანყებულები და მოეო-
ხრებინა ის ადგილი, სადაც ეს ამბოხება იყო. ასლან-
ხანმა ამ საქმეზედ პასუხის საგებლად მოუწოდა მოლა-
მაჰმადს თავისის მურიდებით; მაგრამ მათს მოსვლას აღარ
მოუცადა და თვითონ წავიდა იმასთან. ორნივე მგზავ-
რნი ერთმანეთს შეჰხვდნენ გზაზედ. შეხვედრისათანავე
ორთავემ დაუწყეს ერთმანეთს ამაყი ლაპარაკი და ყვე-
დრება. საქმე იქამდის მივიდა, რომ მოლა-მაჰმადმა ურჩია
ასლან-ხანს დაენებებინა თავი რუსის სამსახურისთვის და
ეფიქრა იმაზედ, თუ რა ‘მოელის იმას შემდეგში სჯუ-

ლის ღალატისათვის და ალლახის ნების აუსრულებლობისათვის.

აქ პასუხად ამისა ხანმა ჰკრა ხელი და ჩაჩეხა უსინათლო მოხუცი მურშიდი. ამასთანავე უბძანა თავის მხლებლებს ყველა მურიდებისთვის ეცემათ და ჯარიმა წეერთმიათ. ამის შემდეგ მოლა-მაჰმადი დაბრუნდა შინ. მაგრამ გონს მოსულმა ასლან-ხანმა ჩქარა მოიფიქრა, რომ მოხუცებულის იმამის შეურაცხებას, რომელსაც წმიდანათ სთვლიდნენ, ხალხი იაფად არ დაუსომდა; ამისთვის ხელ-მეორედ მოუწოდა მას და სთხოვა ეპატიებია ეს დანაშაულობა. მოლა-მაჰმადმა აპატია და უთხრა: ალლახმა გაპატიოს ჩემი უპატიოდ გახდომა, მაგრამ არ გირჩევ, ხანო, რუსებთან ახლოს მეგობრობას და დაღისტნის ტანჯვას იმათ გულისთვის. თუ შენ ქვეშევრდომებს ვერ ასრულებინებ ალლახის ნებას, ნუ უშლი სხვებს მაინც. ამნაირი მოქმედება შენთვისაც უსარგებლო არ იქნება. რაც ბევრი მტერი ეყოლება რუსეთს დაღისტანში, იმდენად უფრო პატივს გცემენ და დაგასაჩუქრებენ, მაშინ კი, როცა მთელი დაღისტანი ეყოლება დამონებული, შენ აღარ იქნები მათთვის საჭირო და დაჰკარგავ დიდებასაც, გავლენასაც და, იქნება, ხანობაც დაკარგო''. ეს სიტყვები ასლან-ხანს ჭკვაში დაუჯდა, დააჯილდოკა მოლა-მაჰმადი და მთავრობასაც აცნობა აჯანყება მოვსპეო. (Гакстгаузенъ, გვ. 198).

მოლა-მაჰმადი რომ მოვიდა თავის სოფელში, ხალხი შეშოეხვია და მოუთმენლად ჰკითხავდა თავის თავ-გადასავალს. მოლა აშშვიდებდა ხალხს და ურჩევდა ჯერ არ მოეკიდნათ იარაღისთვის ხელი და არ აჯანყებულიყვნენ, სანამ თითონ არ ეტყოდა. მოლა-მაჰმადმა ცოტა ხნის შემდეგ მოიწვია იარაგლში სხვა და სხვა სოფლებიდგან პირველნი პირნი; ამოირჩია ჯარის წინამძღოლათ ჟაზი-მოლა, თავისი საყვარელი უფროსი მოწაფე; უკუ-

რთხა ხმალი, რომელსაც მოკლე ხანში უნდა დაენთხია მრავალი სისხლი; თავისის მოხუცის ხელით შემოარტყა და უთხრა: ,,წინასწარმეტყველის სახელით გიბძანებ შენ, ყაზი-მოლა, წადი და შეჰკრიბე ხალხი; აასხი მათ იარაღი და დაიწყე ომი. სამოთხე მოელით იმათ, ვინც მოკვდება ომში ან დაჰხოცავს რუსებს და ჯოჯოხეთი იმათ, ვინც ზურგს უბრუნებს გიაურებს''.

ამის შემდეგ მოლა-მაჰმადმა სრულიად დაანება თავი თვის ქადაგებას და მონაწილეობის მიღებას საერო საქმეში და მიეცა ყორანის კითხვას და ლოცვას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამ აჯანყების და ამიერიდამ დაწყებულის ომების მიზეზად უმეტესი ნაწილი რუსების მწერლებისა, როგორც, მაგ., დუბროვინი, ბეროზინი, მაქსიმოვი, ნადეჟდინი, ილინსკი და სხვ. სთვლიან ყორანის სწავლას, დაღისტნელების უსაქმობას და მათს ბუნებითს მიდრეკილებას ყაჩაღობით და ავაზაკობით იცხოვრონ, მიურიდიზმს და კიდევ ბევრს ამისთანებს. ჩვენის აზრით არც ერთი ამ მიზეზთაგანი არ არის პატივსადები. აჯანყებების და ყაზი-მოლასთანა, თუ შამილისთანა გმირების გამოსვლის მიზეზი იფარება მაშინდელს დაღისტნის სამართველოში და მმართველებში. ზემო ნაჩვენი მიზეზნი დროს მიხედვით იყვნენ მხოლოდ საშუალებად ნახმარნი. რომ ჩვენი აზრი თვალ-საჩინოდ ვყოთ, მოვიყვან რამდენსამე ფაქტს. ერმოლოვის მკაცრმა მოქმედებამ იძულებული ჰყო ორმოცი ათასი ყაბარდოელი გადასახლებულიყვნენ ოსმალეთში. აი სიტყვები რომანოვისა: ,,სამხედრო ადგილების მმართველნი, დაიმედებულნი დასჯის შიშით დაემორჩილებინათ მთიელნი, წამ და უწუმ შეესევოდნენ ხოლმე საჩაჩნეს, აუზს და სალატავიას იქამდინ ეცადნენ, რომ ამ ადგილების მშვიდნი და მიწის მომქმედნი მცხოვრებნი მიიყვანეს უკიდურეს წერტილამდის'' (**Кавказъ и Кавказская вой-**

на, Романовскаго, გვ. 225). 1835 წ. ბარონ როზენ-მა გაიარა მთელი საჩაჩნეთი და მთლად მოსწო და გა-ანადგურა. აი კიდენ: ,,კიდეც რომ მთიულებში არ გა-ვრცელებულიყო მიურიდიზმი, მაინც უიმისოთაც გაუწ-ყვეტელის ომების მსვლელობა და უკანასკნელ ხარისხა-მდის მთიელთ ცხოვრების დაქვეითება, რომლისამდი მი-იყვანა ისინი გენერალმა ველიამინოვმა, რასაკვირველია, შეუძლებლად ხდიდა იმათ მხრივ არ გამოეწვია ერთგუ-ლი და ფიცხელი წინააღმდეგობა''. იქვე გვ. 230.

,,სასტიკ მოპყრობას და დანგრევას არ შეიძლებო-და არ გაეცხოველებინა მათი სიძულვილი ჩვენთადმი'', — ამბობს პირველ ხანების აჯანყებაზედ. აი კიდენ: ,,მე-ტად ბევრი მომხრეები ჰყვანდა იმ პროექტებს, რომლე-ბიც მარტოდ-მარტო იარაღის ხმარებით ცდილობდნენ მთიელნი მოეყვანათ უსიტყვო მორჩილებაში; აეხსნათ იარაღი და მიეღწიათ თავის მიზნისთვის'' (იქ. გვ. 365). ამას დაუმატეთ იმისთანა პროექტებიც, რომლებიც თხო-ულობდნენ მთიელთ ცოლები დაეტყვევნათ და თავიანთ მოხელეებისთვის დეერიგებინათ; დაუმატეთ, თუ რანაი-რად იტაცებდნენ და აუნამუსოებდნენ მაშინდელნი მო-ხელენი, სადაც კი ლამაზ მთიელის გოგოს თვალს მოჰ-კრავდნენ. დაუმატეთ კიდევ, ის ფაქტი, რომ თვით ალექსა-ნდრე პირველმა ომების დაწყებამდე გამოუცხადა მკაცრი საყვედური გენერალს რტიშჩევს იმისთვის, რომ იგი თავის მმართველობის დროს ნებას აძლევდა თავის ჯარებს, როცა საჭიროებაც არ მოითხოვდა, თავს დასხმოდნენ წამ და უწუმ მთიულებს და უწყალოდ ეწყვიტნათ და ეტი-ალებინათ. ამავე აზრის არის ვერდერევსკი. აი იმისი სი-ტყვები: ,,ჩვენი ადმინისტრატიული განკარგულებანი ყო-ველთვის არ ეთანხმებოდნენ მთიელთ ჩვეულებათა და ზნეობას; ამასთანავე ადგილობრივნი მოხელენი ხმარობ-დნენ ხშირად მკაცრს საშუალებებს, მაგ., და-

სჯა მთელის სოფლებისა რომელიმე პირის დანაშაულობისათვის, ძრიელ ამარაზებდნენ მთიელთ და უნერგავდნენ ჩვენდამი სიძულვილს. ეს დაუნდობლობა ჩვენზედ ისეთი ძრიელი იყო, რომ შამილის დატყვევების შემდეგაც ხალხი სწუხდა იმდენად არა თავისუფლების დაკარგვაზედ, არამედ მათში ჩვენის ცუდის კანონების შეტანაზედ''. რაც შეეხება იმ აზრს, ვითომც რელიგიური ფანატიზმი ასულდგმულებდა დაღისტნელებს რუსებთან ომში, ეს უფრო საფუძველს მოკლებულად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც თვითონ შამილი, ეს გოლიათი ბრძოლის ველისა, მეტად თვალ-საჩინო ფაქტებით აღლვევს ამ სიცრუეს. (Русскій Вѣстникъ за 1862 г. декабрь: Муридизмъ и гезаватъ въ Дагестанѣ по объясненію Шамиля).

ყაზი-მოლა.

როგორც ვიცით მოლა-მაჰმადმა აჯანყებულთ მოთავედ დანიშნა ყაზი-მოლა და ჩვენც დავანებოთ თავი პირველსა და ვადევნოთ თვალი მეორის მოქმედებას.

ყაზი-მოლა დაიბადა წარსულის საუკუნის დამლევს (1793 წელსა) და შამილზედ მხოლოდ ოთხის წლით იყო დიდი. ჯერ ახალგაზდა იყო ისევ ყაზი-მოლა, რომ თავის სოფელს გვიმრში ხალხს უკითხავდა ყორანს. ამ ახსნის დროს ის თავის ალმზრდელსავით ჰკიცხავდა თავის მემამულეებს მაჰმადის სჯულის დატევებისთვის, სიმთვრალის დაწყებისათვის, თავიანთ მოძმე მაჰმადიანთ სისხლის დათხევისათვის და მტაცებლობით და ავაზაკობით ცხოვრებისთვის. ყაზი-მოლას თავის მასწავლებელსავით არ ჰქონდა დიდი ღვთის-მეტყველის ნიჭი, მაგრამ მისდა სამაგიეროდ მისმა მჭევრმეტყველებამ, ხალხის გატაცებამ და მოხერხებამ საზღვარი არ იცოდა. როცა ყაზი-მოლა ჰქადაგებდა

ხალხში, ყველანი მღელვარებაში მოდიოდნენ, ის ისე იმორჩილებდა მთელს საზოგადოებას და ასრულებინებდა თავის ნებას, როგორც ერთს კაცს. ეხლაც დაღისტნის მთიულნი იტყვიან იმაზედ, რომ ,,ის ერთის ამოსუნთქვით ჰბადავდა კაცში ცეცხლს და ქარიშხალსო''. როდესაც ყაზი-მოლა ჰქადაგებდა, ყველანი უნდა სულ-განაბულნი მდგარიყვნენ და ბოლოს ათრთოლებულიყვნენ და კანკალი დაეწყოთ მისი წყურვილით. ყაზი-მოლა ხლმის კურთხევამდის და მისს წელზედ შემორტყმამდის არას ეუბნებოდა ხალხს ომის შესახებ. დაღისტნის ბეგები, რომელთ ამოწყვეტაც შეტანილი იყო მისს მომავალ სამხედრო გეგმაში, არამც თუ ხელს უშლიდნენ დაწყებულს საქმეში, არამედ თვითონვე იწევდნენ, რომ მისულიყო მათს სამთავროში და ჭეშმარიტი სჯული ესწავლებინა. აი როგორ სწერდა შამხალის მთავარი 1829 წელს: ,,მე გავიგონე, რომ შენ წინასწარმეტყველებ; თუ ასეა, მოდი ჩემი და ჩემის ხალხის სასწავლებლად სჯულისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე ვუჩვენებ იმ სოფელს შენზედ, როგორც ჩემის უკოდინრობის მიზეზზედ''. ყაზი-მოლამ, რასაკვირველია, ისარგებლა ამ მიპატიჟებით, წავიდა შამხალში და კიდეც მიიმხრო უმეტესი ნაწილი მცხოვრებელთა. ამასთანავე, ამავე 1829 წ. მიიმხრო მთელი თავისუფალი ტაბასერანი და თითქმის მთელი ავარია, გარდა ხუნძახისა. ეხლა ყაზი-მოლას ხელთ ჰყვანდა კარგად დაწურთნულნი მოწაფეები და შეეძლო ყოველთვის გამოეყვანა ბრძოლის ველზედ 15 ათასი ისეთი შეიარაღებული და მორჩილი ჯარი, რომელიც ადვილად არ იბრუნებდა პირს ბრძოლის ველზედ.

ეხლა ყაზი-მოლამ პირდაპირ დაიწყო ქადაგება ომის საჭიროებაზედ და მთელი დაღისტანი ფეხზედ დააყენა. მისს საიღბლოდ ამავე ხანებში რუსეთს და სპართეთს შორის ასტყდა ომი. ამ ომმა რუსეთის ყურადღება მო-

არიდა დაღისტანს. ყაზი-მოლამ ისარგებლა ამ გარემოებით და შეუდგა დაღისტნის მთების დაჭერას. სპარსელებიც ჰპირდებოდნენ თავის მხრით შემწეობას და აქეზებდნენ აეჯანყებინა მთელი დაღისტანი. ყაზი-მოლა მაინც ფრთხილად იყო პირდაპირ ომის გამოცხადებაზედ რუსებთან. ის 30 წ. დამლევამდე მოქმედებდა ფარულად. ცდილობდა მოეპოვებინა შინაური განწყობილება და თავისი სამფლობელო დაემყარებინა მაგარს საფუძველზედ. ყაზი-მოლა იჭერდა სოფლებს თითო-თითოდ და ასე იფართოებდა სანავარდო მოედანს. ბოლოს დაიჭირა მთელი სოფლები მდ. ყოისუ-ლანისა და მცხოვრებთ გამოართო მძევლები. მოიმხრო და მიიღებინა მონაწილეობა დაწყებულ საქმეში დიდრონი სოფლების მოხელეებს, ბეგებს და ხანებს. იმას ეწინააღმდეგებოდნენ მხოლოდ ავარიის ხანები და ხელს უცარავდნენ მთიანის დაღისტნის დაჭერაში. ამისათვის ყაზი-მოლამ ჯერ ამ ხანების ამოფხვრა მოინდომა და მკვიდრად ფეხის ჩადგმა ამ სახანოში. ამ მიზნით ის 30 წლის თებერვალში 6,000 კაცით შეესია ავარიას. ავარელები შეშინდნენ და დაიწყეს ყოყმანი, უომრად აპირებდნენ დამორჩილებას, მაგრამ ავარიის ახალგაზდა აბუ-რუმზადის ხანის დედამ ბაკუ-ბიქმა აიღო ხმალი და ამ სიტყვებით მიჰმართა ავარელებს: ,,მე ვხედავ, ხმლის აღება და ხმარება თქვენი საქმე არა ყოფილა! მოგვეცით ჩვენ დედაკაცებს და თქვენ თავი შეიფარეთ ჩვენს ჩადრებში''. ხალხს შეერცხვა ამ სიტყვებისა და თავისის ახალგაზდა ხანის წინამძღოლობით მიეგება მტერს. ყაზი-მოლას ჯარი შეიქმნა დამარცხებული და უკუ იქცა. თვით ყაზი-მოლა დაიჭრა თავში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ავარია დაიჭირეს რუსებმა ციციანოვის დროს 1803 წ. შემდეგ 18—19 წლებში—ხელ-მეორედ. 27 წლებში თითქმის მთელი ვაკე დაღისტანი იყო რუსების ხელში. (Гакстгаузенъ, т. П გვ. 206). ამ ავა-

რიასთან მარცხს მოჰყვა მეორე მარცხიც. რუსის მთავ-
რობამ რო გაიგო ყაზი-მოლლას შესევა ავარიაში, გა-
გზავნა მისს წინააღმდეგ კარგა მოზრდილი ჯარი, ეს ჯა-
რი შეეტაკა ავარიას ახლოს. ყარანაის გადასავალზედ ყა-
ზი-მოლას ურდო და უიმისოდაც შერყეული ჯარი ხელ-
მეორედ დაამარცხა და თითქმის სრულიად განფანტა.
ამავე რუსს ჯარმა გადგომილი ყოისშულელნი მოიყვანა
მორჩილებაში, გამოართო მძევლები ნიშნად ერთგულე-
ბისა და დაბრუნდა თავის ბინაზედ, (Кавказъ и Кавказ.
война, Романовскаго, გვ. 325).

ყაზი-მოლა ამ დამარცხებით არ შეშინდა; იმან ამ
30 წლების გასულს ამოირჩია ჩინგიასთანის მთები ავა-
რიის საზღვარზედ და იქედგან დაუწყო რბევა სხვა და
სხვა მხარეს, ნამეტნავად ვაკე დაღესტანს. ამ ხანებში მას
კარგად მოემატა მხედრობა და სხვათა შორის ჩაჩნებიც მიე-
მხრნენ. 31 წ. მარტში უცბად დაიჭირა ჩემექსენტის ხეობა
და იწყო კიდეც პირდაპირი ომები რუსებთან. ყაზი-მო-
ლამ გააკეთა სიმაგრეები შამხალის სოფლებში: მუსელი-
მში, ყაზაისში, ერაიდში და ყარანასში. მოიძხრო უმეტე-
სი ნაწილი ზღვისპირას მცხოვრები დაღისტნელნი და
მივიდა რუსების ციხეებზედ იერიშით. უმთავრესი მნიშ-
ვნელობა ჰქონდა ბურუზუმის ციხეს ზღვის ნაპირს,
სადაც ასტრახნიდგან მოსული გემები სცლიდნენ საქო-
ნელს და სადაც მოდიოდა ზღვით ჯარის იარაღი და სურ-
სათი და მეორეს — დარუმანდის ციხეს, სადაც იმყოფებოდა
სამმართველო ყაითახისა, სტაბსერანისა და სხვ. სამხრეთ
დაღისტნის თემებისა. ეს ციხე იცავდა დარუბანდის ქა-
ლაქს თავისის მცხოვრებლებით — სომხებით და სპარსე-
ლებით. ყაზი-მოლამაც მთელი თავისი სამხედრო ძალა
მომართა ამ ორის ციხის ასაღებად. იმან იცოდა, რომ
ამ ორის ციხის აღების შემდეგ — დაღისტანი დაკარგული
იყო რუსებისთვის; რუსის ჯარი, რომელიც იდგა შამხა-

ლში უნდა გადასულიყო სულაკს იქით, თუ არ უნდოდა, რომ მთლად ამოჟიეტილიყო.

ყაზი-მოლა იდგა უმთავრესი ურდოთი ატლუ-ბუისში თორმეტის ვერსის სიშორეზედ რუსის ჯარის ბანაკისა და ჯერ-ჯეროობით არსაით არ აპირებდა გაწევას. მაისის ოცში რუსის ჯარის უფროსმა კოსანოვსკიმ სათარეშოდ გამოსწია ამ სოფლისკენ და მოულოდნელად ცარიელი კი დაჰხვდა სოფელი; ჯერეთ გაუნელებელი ცეცხლები აჩვენებდნენ, რომ მტერი ცოტას ხნის წასული იყო: ვიღაც მოხუცმა, რომლისთვისაც დეენებებინათ აქ თავი, უთხრა კოხანოვსკის, რომ ყაზი-მოლა ეს-ეს არის წავიდა ყაზა-ნისში და ხვალ უნდა დაიჭიროს ფარაულიო (დიდ გზაზედ 'შურას და დარუბანდს შუა). კოხანოვსკიმ მაშინვე გაგზავნა იქითკენ მზვერავნი და ამათ მოუტანეს ამბავი, რომ მტერს კიდეც დაუჭერია ეს სოფელიო, მცხოვრებნი დაჰმორჩილებიან და სხვა მოსამზღვრე სოფლებიც აპირებენ დამორჩილებასაო. გენერალმა მოახდინა საჭირო განკარგულება და გასწია იქით. მესამე დღეს, 25 მაისს მოვიდა ფარაულში, მაგრამ ყაზი-მოლა აქ ალარ დაჰხვდა. ყაზი-მოლა სულ სხვასა ჰფიქრობდა და ვახანოვსკის კი ჯერაც ვერა გაეგო-რა. აქ შეიტყო გენერალმა, რომ ყაზი-მოლას თავი დაენებებინა ამ სოფლისთვის, გეეევლო ყაზანიშზედ, დაეჭირა ბუელენი, მუსელი და ირგვლივ მდებარე სოფლები, გაეგზავნა დანარჩენ სოფლებისთვისაც წერილები და სთხოვდა აჯანყებულიყვნენ სუყველანი და საერთო ძალით გაერეკათ რუსები დაღისტნიდგან. კოხანოვსკიმ სამხედრო თათბირი ჰქმნა და დაადგინა: გაჩერებულიყო ფარაულში, დროებით, როგორც შუაგულ ალაგას, აქედგან ედევნებინა თვალი, შეესვენებინა ჯარიც და შემდეგ რასაც ღმერთი აფიქრებინებდა, ისე მოქცეულიყო. მაგრამ ყაზი-მოლამ ეს შესვენების დრო მეტად შეუმცირა. 27 მაისს მოვიდა ამბავი, რომ

ყაზი-მოლამ დიდძალი ჯარით გასწია ტარკისკენაო. კოსანოვსკიმაც იკადრა აქეთკენ დაძვრა. გზაზედ ს. მუსელინის მცხოვრებნი შეეკინკლავენ მისს მოწინავე ჯარს და კარგად შეაფერხეს; ასე რომ, მეორე დღეს, 28-ს, აქვე იყო კოხანოვსკი, რომ მოუვიდა ამბავი—მტერმა იერიშით აიღო ტარკიო, ბურუზუმის ციხესაც შემოერტყაო, წამლის სარდაფი აფეთქებულა და ციხის ჯარს წყალიც მოწყვეტილი აქვსო *).

ყაზი-მოლამ ნიჭიერად მოახერხა ბურუზუმის ციხეზედ რუსის ჯარის დაშორება, განსაცვიფრებელის სისწრაფით გადავიდა ერთის მხრიდგან მეორეს და გენერალი კოხანოვსკი ჩააყენა იმ გაჭირვებულს მდგომარეობაში, რომ არამც თუ არ იცოდა, რა უნდა ემოქმედნა, ისიც აღაც იცოდა სწორედ, სად იყო. ისე მოულოდნელად გამოცხადდა ყაზი-მოლა ბურუზუმის ციხესთან, რომ აქ მდგომი ტარკის მცველს ჯარს ჯერეთ სიზრმათაც არ ენახათ. მაგრამ რა გაეწყობოდა. საქმე ასე იყო და კოხანოვსკიც უნდა მოჰშველებოდა უწყლოდ დატოვებულს ჯარს. უმთავრესი ჯარი გენერალმა ჩააბარა პოლკოვნიკს დიხტერლოს და თვითონ კი დაწინაურდა ცხენოსანის ჯარით, ორი ზარბაზნით და რამდენიმე ქვეითა ჯარის როტით. ქალაქს რომ მოუახლოვდა, მომწყვდეულების გასამხნევებლად დაუწყეს ზარბაზნებს ცლა. ესენი ამ ზარბაზნების ცლაში რომ იყვნენ, უცბად ყაზი-მოლასგან ბაღებში მიმალული ლეკები გამოცვივდნენ და ლია-ილ-ალლას ძახილით მისცვივდნენ ზედ. ზარბაზნებმა მაშინვე ხმა გაკმინდეს და ყველამ უკუ მოკურცხლეს. და ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რომ ღამის სიბნელემ

*) ბურუზუმის ციხე იყო აშენებული მთაზედ და იცავდა ტარკს, რომელიც სატახტო ქალაქი იყო შამხალისა.

ისინი დაიფარა სრულიად ამოწყვეტისაგან. გათენებისას მინდვრად უგზო-უკვლოდ გაფანტულმა ჯარმა ძლივს მოიყარა თავი ერთად. მეორე დღეს კოხანოვი მივიდა იერიშით მტერზედ, მაგრამ ვერა სძლია. როდესაც კოხანოვის ჯარმა დაიძახა «ურაო» და მისცვივდა მტერს, მტერმაც ამნაირადვე შემოსძახა «იალლაო» და მოესია მედგრად. მტერს არა სძინებოდა. მისი თოფის გრიალი ნაკლები არ იყო რუსებისაზედ. უმეტესი ნაწილი იერიშით მისულის ჯარისა ხლმით გაიბალთა. თვითონ ევდოკიმოვს, რომელიც მიუძღვოდა ჯარს, მოჰხვდა მარცხენა ლოყაში ტყვია და მარჯვენაში გამოვარდა. საღდათებმა გამოიტაცეს მომაკვდავი გენერალი და გამოცვივდნენ უკან. იერიში უკუგდებული იყო.

დასაღამოვდა და ორთავე მხარემ შეწყვიტა თოფის სროლა და მიტევება. ეხლა რუსებისაგან წაკიდებული ცეცხლი ქალაქში ამხიარულებდა არე-მარესა. ომი ჯერ არ იყო გათავებული; მტერს კიდენ ეჭირა რამდენიმე ალაგას სიმაგრეები ქალაქში. მაგრამ, თუ რუსების ჯარი სუსტობდა, იმათგან წაკიდებული ცეცხლი ქალაქში თანდათან ძლიერდებოდა და უჩვენებდა, რომ ბოლოს მთლად უნდა დაეჭირა ქალაქი და მტერი იძულებული გაეხადა გასულიყო გარედ. ამავე დროს ციხეში მომწყვდეულს ჯარსაც მიეცა წყალი და მეორე დღეს შეეძლო მონაწილეობა მიეღო ბრძოლაში. ყაზი-მოლამ კი აღარ მოუცადა მათს მეორე დღისათვის მზადებას; ისარგებლა ღამის სიბნელით და გავიდა ჩუმად. მეორე დღეს დიდის ამბით მიიტანა რუსის ჯარმა იერიში ქალაქზედ, მაგრამ რომ ცარიელი და ნახევრად გადამწვარი სახლების მეტი აღარა დაჰხვდა-რა,

თოფები ჩამოუშვეს და ზარბაზნები გააჩუმეს. ყაზი-მოლას სახლების ბანებზედ ალამები ისევ დარჭმულები დაეტოვებინა და ამან მოატყუა რუსები.

ბურუზუმიდგან წამოსული ყაზი-მოლა ჯერეთ მოვიდა ყაზანისში და შემდეგ დაბინავდა ჩემექსენტში, ახლოს ყოისუბულისა. აქედგან დაიწყო ხმის გავრცელება და ყოისუბულოების რწმუნება, რომ მან თუმცა ციხე ვერ აიღო, მაგრამ რუსებს კი მისცა ისეთი ზარალი, რომ აღარ შეუძლიანთ წინ ფეხი წამოდგანო. მართლაც გენ. კოხანოვი სამს თიბათვემდის იდგა ციხის ძირში გაჩერებული და არავითარს ზრუნვაში არ იყო, თუ რად და რისათვის გაჰქრა მისი მეტოქე. ყაზი-მოლა კი ამ ხანად ჩემექსენტიდგან ხალხს აღელვებდა. მრავალი სოფლების მცხოვრებნი დიდს ყოყმანში იყვნენ, ვისი მხარე დაეჭირათ. ბოლოს ისევ ყაზი-მოლამ გაიმარჯვა და მთელმა სოფლებმა ერთხმად შემოუთვალეს: „მზათა ვართ შენთან სისხლი დავსთხიოთო". მღელვარება მოედო მთელს დაღესტანს საჩქაროდ. სადაც ჩვენი იმამი თავის ქადაგებით ვერ ახერხებდა საქმეს, იქ სხვაფრივ იქცეოდა. ზოგს ფაშობას ჰპირდებოდა, ზოგს უფროსობას, ზოგს სარჩოს და ამნაირად იზიდავდა თავისკენ მაღალ-წოდებას, რომელსაც შეეძლო დაბალი ხალხის ოვის იარაღი ეღებინებინა ხელში. ამასთანავე ის ჰგზავნიდა მეკობართ გუნდებს ბურუზუმის და დარუანდის შუა მდებარე სოფლებში და აკლებინებდა მთლად. ბოლოს შეკრიბა ბლომად ჯარი, გადავიდა სულაკს, ააღელვა ფუმეღლები, ჩადგა ს. ენდერში და ალყა შემოარტყა მეორე რუსის ციხეს ვულცინიოს (Внезапную). ამ ციხეს უფრო ცუდი დღე დააყენა, ვინემ ბურუზისას.

ი. ხატიაშვილი.

(შემდეგი იქნება).

ბიბლიოგრაფია.

ყაკვირველს **ვრცრალობას**, უფერობას და უსახობას წარმოადგენს დღეს ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა. დიდი და დიდი მეცადინეობა გვმართებს ქართველებს, დიდი მამულიშვილური გრძნობის გამოჩენა და საზოგადო სიკეთისთვის გულის შემატკივრობა, რომ ასე დაცემული დღევანდელი ჩვენი მწერლობის ორღანოები „ივერია", „ცნობის-ფურცელი-მოამბე" და ‹კვალი› რამოდენადმე მაინც სწორ გზაზედ გამოვიყვანოთ, თორემ დღეს თუ ხვალ, მათთან ერთად თვით ჩვენც **ოგლად-ვრცრალობაზედ** ჩამოვალთ, მიწასთან გავსწორდებით და მის ზურგიდამაც აღვიგვებით. ამ საერთო ცდა-მეცადინეობაში ჩვენც გვინდა შრომა მივიღოთ და ამიტომ ვსთხოვთ „მოგზაურის" რედაქტორს, ვითარცა მიუდგომელს მართლ-მსაჯულს და აქამომდე დიდის მოთმინებით ამოდენა მჯღაბნელთა ცილთა ამტანსა, ადგილი მისცეს ხოლმე თვისს პატივცემულს ჟურნალში ჩვენს ასეთს შრომა-მეცადინეობის ნაკალმევს. იგი ზოგიერთებისათვის, იქნება, საწყენოც გამოდგეს, მაგრამ რა ვუყოთ, ზოგჯერ მსხვერპლადაც უნდა შეევწიროთ საზოგადოებას და საზოგადო საქმეს. დავიწყოთ **„აგერიდან"**.

დღეს 27 იანვარია, მაგრამ ‹ივერია› მხოლოდ ‹21› ნომერია გამოსული. ჰერია! თვეში რომ ექვს-ექვსი და შვიდ-შვიდი ნომერი გვპაროს, სად წავა! ეს წელიწადში ხომ ას ნომრამდის გასჭრის და ნომერი რომ თითო შაუ-

რად ვიანგარიშოთ, წელიწადში ხუთს მანეთს იზამს. გაზეთს კი სხვილის ასოებით აწერია: „ყოველ დღიური გაზეთი“.

ასე იციან ოსტატ ბიჭებმა. — „ჰაი, ჰუი, გვიშველეთ, შეგვეპამეს, გაგვცარცვესო, — გაიძახის ბატონი «ივერია» ყველგან და ყოველთვის და თურმე თითონ კი ყოფილა ჩვენი პირველი მეპამელი. თუმანს ყოველ დღიურს გაზეთში გვახდევინებს და 27 დღეში კი მხოლოდ 21 ნომერს გვაწვდის ხელის-მომწერთ.

მაგრამ რაც არის, არის, ხეირიანს მაგალითს მაინც გვაძლევდეს, ხეირიანს გზას და მიმართულებას მაინც გვიჩვენებდეს! მისთვის არ არსებობს არც ხალხისა თუ ახალთაობის სწავლა-აღზრდა, არც მეურნეობა, არც მკურნალობა, არც სამეცნიერო კითხვები, არც ისტორია და არ სხვა უმთავრესი დარგი ჩვენის ცხოვრებისა, თითქოს ესენი სულაც არ არსებობდნენ ქვეყნად. მთელი თვე ისე გაატარა „ივერიამ“, რომ წამლად რა არის, წამლად, ერთი მცირედაც არის ხეირიანი წერილი ვერ მიაწოდა თავისს ისედაც დამცირებულს მკითხველებს ცხოვრების არც ერთ აქ მოხსენებულ დარგებიდამ. არაობისაგან კი არაფერი ჩნდება ქვეყანაზედ და მაშ არც არა თვით იმ ქართველებისგან უნდა გამოვიდეს რამე, რომლებიც რაიმე „რაობისათვის“ «ივერიას» ამაოდ ეპოტინებიან. მართალია, არის ორიოდე წერილი აღზრდის შესახებ და ორიოდე ფელეტონიც, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, რომ გაზეთს ესენიც სულ არ დაებეჭდა, რადგანაც ყოვლად გაცვეთილი და ათას-ჯერ და ათი-ათასჯერ დაღეჭილ და გადაღეჭილ შინაარსს გარდა, ისინი ახალს და ფარსაღს სხვას არაფერს შეიცავენ. ისტორიული წერილები ხომ ერთიც არ მოიპოვება იანვრის ნომრებში. გაზეთის მეშვიდე ნომერში დაბეჭდილია ბ-ნ ბ. ყუმისთაველის წერილი ქართულის ენის შესახებ. — „მოსწავლენი ახლოც არ უდგებიან სამშობლო ენასო, ქართული

ენა სავალდებულო არ არისო, სწავლება მისი ჩაბარებული აქვთ საკლასო დამრიგებელთა თანაშემწეებს, რომელთაც ხშირათ სრულიად არც კი იციან ქართული და სხვა ამისთანები". მაგრამ განა მარტო ამაში მიზეზი ქართულის ენის დაცემისა სკოლებში? ვამბობთ და კიდევ ვიტყვით არა ერთხელ, რომ მიზეზი ქართველთ მოსწავლეთა ასე გულ-აცრუებისა სამშობლო ენისადმი უფრო ღრმად არის. მარტო ვალდებულობა აქ ვერას უშველის; დრო იყო, რომ ქართული სავალდებულო იყო ზოგიერთ სკოლებში, მაგრამ დღევანდელზედ უკეთ არც მაშინ სწავლობდნენ ჩვენი შვილები სამშობლო ენას და ვერც თვით მასწავლებელნი ასწავლიდნენ უკეთ. ცხადია, რომ მიზეზი სულ სხვაა და ეს მიზეზი კი ის არის, რომ **მარტოოდენ ენას შესწავლით, არც ერთი ენა, სამშობლო ენა იყოს აგი თუ უცხო, არც შეისწავლება და არც შეიყვარება,** როგორც ეს საჯაროდ სა.ქვა ბ-ნმა როსტომაშვილმა 14-ს იანვარს ყოფილს საზოგადო კრებაზედ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში. ეგ ხომ იმასა ჰგავს, რომ კაცმა ქალზედ ჯვარი დაიწეროს ეკლესიაში და ბოლოს აღმოჩნდეს, რომ მან მარტო ქალის ლამაზი ტანისამოსი შეირთო, რომ ქალი იქ სრულად არც კი ყოფილა... გინდათ რომ ყმაწვილებიც და მასწავლებლებიც არა თუ ხალისიანად სწავლობდნენ სამშობლო ენას, არამედ შეიყვარებდნენ კიდეც? მიეცით საზრდო ამ ენაზედ, ასწავლეთ მათ ამ ენაზედ საგნები—სამღთო სჯული, არითმეტიკა, ბუნების-მეტყველება, ისტორია, გეოგრაფია და აბა ვნახოთ მაშინ, ივლიან მოსწავლენი ქართულს გაკვეთილზედ თუ არა!? ამის გარეშე კი ვერც პენსიები, ვერც სავალდებულოდ გახდომა ქართულის ენისა და ვერც თვით მასწავლებლებისგან ამ ენის სავსებით ცოდნა ვერაფერს უშველიან საქმეს...

„ივერიის" მერვე ნომერში მოთავსებულია წერილი

ი. მ.—სა «ნოეს ვენახის» გაშენების ამხანაგობის დაარსების შესახებ კახეთში. ძალიან კარგი საქმე გითავიათ, ბ-ნო მ.—ო, მაგრამ ერთს გირჩევთ: კახეთს თავი დაანებეთ, თავის საქმისა და საჭიროებისა კახეთმა თითონ იცის, თქვენ ეგ საქმე კახეთში კი არა, აქ ცხვირ წინ მოაგვარეთ, ჩვენის დედაქალაქის თბილისის გაუდაბნოვებული მიდამოების გაედემ-ბაღებას მიაქციეთ ყურადღება. პროვინციას რა მოვთხოვოთ (იხ. წერილი ამავე ნომერში მოთავსებული: «მეურნეობა და ახალი სკოლა»), როცა ჩვენ თვითონ, თვით ყოვლად-შემძლებელი მაღალის სწავლა-მეცნიერებით და სიმდიდრით აღჭურვილთ თბილისელებს ვერაფერში საქმე, უნარი და შნო ვერ გამოგვიჩენია. გიმეორებთ, კახეთს თავი დაანებეთ, კახეთს თქვენ აქედამ მალამოს ვერ დასდებთ, კახეთს კახეთმავე უნდა უშველოს და დღეს თუ ხვალ ასეც იქნება, მხოლოდ ჯერ თვით თქვენ უშველეთ თქვენს თბილისს, აქ იყიდეთ ეგ ათი დესეტინა მიწა და აქ გააშენეთ «ნოეს ვენახი», ზედ დამატებით «ადამის ბაღისა» და «ევას წალკოტისა». მერწმუნეთ ასე ემჯობინება და მეტს მონაწილესაც იშოვით. მეორე. არამც და არამც საქმე არ დაიწყოთ, სანამ საჭირო თახას ერთი ორად თავი არ მოუყაროთ, **ამისათვის ეი უთუოთ ჯერ საკმაო რიცხვს ამხ·ნაგებისას მოუყარეთ თავი, ნუ გეშინიანთ, ამოქმედეთ, ამეცადინეთ, კრება კრებაზე მართეთ და ნატვრა შეკასრულდებათ.**

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა“, შუა უძევს დიდი მზღვარი‘‘,—ზედ გამოჭრილად ითქმის «ივერიაზედ». „ბერის“ სახელით იგი მატიანის შემდეგი სიტყვებით ჯვარს აცმევს ჩვენს წინაპრებს: ,,ნათესავი ქართველთა **ორგულ ბუნება არს** პირველიდგანვე თვისთა უფალთა:

,,რამეთუ რა ჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება ჰპოვონ და განსვენება, **იწყებენ** განზრახვად ბო-

როტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი''...

დიახ, ასეთის მარგალიტებით ჰკიცხავს ჩვენს მართლაც და დასაგმობ თუმცა კი ყოვლად უნებლიეთ ასე მომქმედ წინაპრებს, მაგრამ საინტერესოა ვიკითხოთ, თვით ,,ივერია'' რაღას შვრება, თვით მისი დღევანდელი საქმენი საგმირონი რაღას ღაღადებენ!? საინტერესოა ვიცოდეთ, იოტითაც არის მაინც გაირჩევა ივი, მეოცე საუკუნის შვილი, თვისს მეცამეტე საუკუნის ველურ ,,ორგულ ბუნება'' წინაპრებისაგან!? სამწუხაროთ ბევრით არაფრით, მკითხველო, და უფრო უარესებსაც სჩადის, რაკი **განმდა და განსუქდა!**.. ჩვენის აზრით ,,ბერი'' სრულებით ხორც-მეტია <ივერიისათვის>: ორში ერთი უნდა იყოს: მთავარ-გამგებლობა „ივერიის'' რედაქციისა ან სავსებით ,,ბერის'' ხელში უნდა იყოს, რომ გაზეთს სიმართლით სვლა შეეძლოს, ან არა და მან თავი უნდა გაანებოს ამ გაზეთს, რადგანაც მარგალიტს ლაფში დება არ ჰშვენის. თორემ სად ,,ბერი'' და სად ,,ივერია'', რომელიც დაფრთხვალ რაინდსავით ხან მარჯვნივ უქნევს შუბს ქარის წისქვილებს და ხან მარცხნივ, ხან თავში სთხლეშავს კეტსა და ხან ფეხებში მოსდებს ტლანქი მეცხვარის კომბალსა... ვისა?—თითონაც არ იცის.

— ,,ჩვენი სოფელი სულიერ ყოვლად არარაობას წარმოადგენსო''—ბძანებს ,,ივერიის'' თანამშრომელი ვასილ წერეთელი. დღეს ჩვენი სოფელი აზრთა მოძრაობის მხრივ უდაბნოაო. საზოგადო საქმე, საზოგადო აზრი მას სრულიადაც არ აინტერესებს, მაგრამ აბა მოაყოლეთ თუ როგორ მოუხდა ვისმე უკმაყოფილება ვინმესთან, ანუ შეთხზეთ ჭორი, ამბავი და სხვა მისთანა, თუ იგივე სოფლელი სწრაფლ არ გამოცოცხლდესო''.—

მაგრამ რა საჭიროა შორს სოფელში წასვლა, ბ-ნო წერეთელო! დაჰხედეთ თქვენს ,,ივერიას'', ამ ერთად-ერთს

ორლანოს საუკეთესო ქართველთა სულიერის ძალოვნებისას და გვითხარით: რით გაირჩევა ამ საუკეთესო მებაირალტრების სულიერი ჰანგები თქვენ-მიერ ყბად აღებული. სოფლელების სულიერის უმოძრაობისაგან. ამას თუ ეს უკანასკნელი აკლია, მაგიერში იგი მუშა მაინც არის, იგი ფიზიკურად მაინც ირჯება და ხშირად გონივრულადაც... თქვენს პირს შაქარი, ბ-ნო წერეთელო, მაგრამ სად და როდის გაგონილა, რომ ტენდენციების წერით და „ევერიისებურის" ქადილით საქმე გაკეთებულიყოს! საქმე ბრტყელ-ბრტყელი ტენდენციების კითხვაში და ქადილში როდია. მაგით თქვენ მხოლოდ უმეტეს ადიდებთ და ავრცელებთ თქვენ-მიერ ჩვენში აღნიშნულს პესსიმიზს. ჯერკიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში აი რას ამბობდა დიდებული ფრანგი მონტენი...

„საუკეთესო ადმზრდელები სპარტანელები იყვნენ, რომელნიც ყურადღებას არ აქცევდნენ **სიტყვაერებას** და მხოლოდ ახალგაზდობის ხასიათის, სულის სიმტკიცის და ენერგიის განვითარებას აქცევდნენ მთელს თავიანთს ყურადღებას. ათინაში მთელი ყურადღება **სიტყვებზედ** იყო მიქცეული, სპარტაში კი საქმეზედ; ათინაში ყმაწვილებს ლამაზად ლაპარაკს ასწავლიდნენ, სპარტაში კი — კარგათ მოქცევას და მოქმედებას; ათინაში ყმაწვილებს აჩვევდნენ სოფისტური არლუმენტების დარღვევას, სპარტაში კი უბედურებათა და ცხოვრების ჭირ-ვარამთა პირდაპირ შეყრა-ატანას, რომ არაფრისა ჰშინებოდათ მათ — თვით სიკვდილისაც კი".

აი რას ამბობდა მონტენი და თქვენ კი „ევერიასთან" ერთად ცდითაც არ ცდილობთ საქმით გამოადგეთ ქვეყანას, საქმით ასწავლოთ მას მამულის სამსახური, იოტითაც არ ცდილობთ მისცეთ და ასწავლოთ ხალხს ღონის-ძიება საუკეთესო ურთი-ერთობისა, მეურნეობისა,

მრეწველობისა, აღზრდისა, ერთი სიტყვით, უკეთესი ცხოვრებისა... მთელი თქვენი ძალ-ღონე ჭეშმარიტათ რომ ცარიელ, ფუჭ სიტყვებზეა მიმართული და უსაქმო სიტყვებს კი აბა როდის რა შეუქმნია, რომ თქვენმა სიტყვამ შეჰქმნას იგი. დროა, დროა გონს მოხვიდეთ, თორემ მერე გვიანღა იქნება თითზე კბენანი, თუმცა მეძნელება კი რომ ,,ევერია'' გასწორდეს: ,,არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა'',—ამბობს ჩვენი მრავალ ჭირ-ვარამის მნახველი ხალხი. მოვიცადოთ და ვნახავთ...

* * *

,,ცნობის-ფურცელ-მოამბეც'' ჯერ-ჯერობით მართალია ვერ უჩვენებს გადაჭრით და მკაფიოთ ჩვენს ხალხს უკეთეს გზას და კვალს, მაგრამ ერთი ღირსება კი ეჭვს გარეშეა, რომ აქვს მის რედაქციას. იგი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლიან გააკეთოს მჭიდროდ შეკავშირებულს ძალას და არც «ევერიასავით» უკანონოთ ეპოტინება ხელის-მომწერთა ჯიბეს. სწორეთ საარაკოა შეერთებული გაზეთ-ჟურნალის გამოცემათა ასეთი სიუხვე! რედაქციის ასეთი სამაგალითო მხნეობა, რა თქმა უნდა, სულით და გულით უნდა ახარებდეს ყოველს ქართველს, რადგანაც ასეთის მხნეობის წყალობით, დღეს თუ ხვალ, რედაქციას ადვილად შეუძლიან სრულს სისრულემდისაც მიიყვანოს თვისი ყოველი გამოცემა, თუ, რასაკვირველია, ასევე მხნედ ეცდება ჩვენის ყოველის ვითარების და საჭიროების ზედ-მიწევნით შესწავლას და მის-და-მსგავსად საბეჭდავ მასალის შემუშავება–შემზადებას და მეტადრე ფართო ჭკვა-გონების და გულის პატრონების გამრავლებას თვისს რედაქციაში. ასეთს რედაქციას, მაგ., ადვილად შეეძლო **მთელ დაუფასებელ საუნჯედ გაეხადა თვისი სურათებიანი დამატება ჩვენ ქართველთათვის** იმით, რომ მას თავს ედვა

და თავისი სურათებიანი დამატების პირველი სამი გვერდი სისტემატიურად ჩვენის ქვეყნის დიდებულ ნაშთების ხატვა-აღწერისათვის და დღევანდელის სანახების და ყოფა-ცხოვრებისათვის მოეხმარა!.. წარმოდგენილი მაქვს, რა ძვირფასი განძი შეეძინებოდა ამით ჩვენს ბეჩავს საქართველოს.

რაღას ჰყოვნებთ, მიჰყევით უკვდავი მგოსნის სიტყვებს:

ცუდათ ხომ მაინც არა ჩაივლის
ეს განწირულის სულის კვეთება!
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს...

გზა უკვე გაკვალულია, „მოგზაურმა“ გაკვალა იგი. მისდიეთ მას და დაუმტკიცეთ ქვეყანას, რომ ქართველთაც გვაქვს უნარი საკუთარის აზრისა და საჭიროების შესრულებისა!.. მოიწვიეთ საამისოთ საჭირო ხალხი და მიეცით მათ ნიჭს და საქმეს გზა ფართო...

შეერთებული ჟურნალ-გაზეთის ასეთი საარაკო მხნეობა ჩვეულებრივ არ მოსწონს ჩვენში მარტო „ორგულ ბუნება“ „ივერიას“ და ესეც ხტის და ბორგავს რაც ძალი და ღონე აქვს, არ ერიდება არც მართალს და არც ტყუილს, რომ როგორმე ძირი გამოუთხაროს მათ და ისეთს საზიზღარს იარაღსაც კი არ ერიდება, როგორც „**ქვეყნის ორგულად**“ დასახვაა ვისიმე ან რისიმე.—«სომხებს ქართველებზე ააფთრებსო»,—ბძანებს «ივერია» „ცნობის-ფურცელზედ“,—ქართველთ ორგულობაა ეს, მაშ რა ჯანდაბაა,—და იმას კი აღარ დაგიდევს **ეს** ვაჟბატონი, რომ სომხები ქართველებზე ისე არავის გაუაფთრებია, კბილების ღრჭენით ისე არავის აულესია ისინი ჩვენზედ, როგორც თვითონ მას „ივერიას!“... ამისი მარ-

გა ლიტები იმედია ჯერ დავიწყებული არ ექნება ქართველ მკითხველს...

* * *

,,კვალის'' შესახებ რაღა ვთქო! ღეჭა, ღეჭა ი რა-ღაც ,,მეურნე და მეურნეობაა'' და რომ ველარ დაღეჭა და ვერც თავისს საწყალს მკითხველებს დააღეჭინა, უნ-და პირიდამ მოეშორებინა, გადმოეგდო, მაგრამ ვერ მო-გართვით: თურმე ყელში გასჩხეროდა და ველარ მოახერ-ხა... ასეც სჯობია, ყბები მაინც აღარ დაეღლება ბევრის ღეჭვითა და აღარც მკითხველს მოაცდენს უნაყოფო კი-თხვითა... სულ ხუთი ნომერი გამოვიდა ,,კვალისა'' ამ ერთს თვეში და მათშიაც, როგორც სხვა ჩვენს დრო-გა-მოშვებითს გამოცემებში, წამლადაც ვერ ნახავთ ერთს ფარსაღ წერილს ჩვენის ცხოვრების რომელიმე დარგის შესახებ. რატომ, იკითხავს მკითხველი?— და იმიტომა, ჩე-მო ბატონო, რომ ყველა მხოლოდ შენ გატყუებს, თვით შენ მძიმე შრომით ნაშოვნს გროშებს გახდევინებენ და თვითონ კი ფუჭი სიტყვების მეტს არას იმეტებენ შენ-თვის. მაგრამ, განა ამაშია ჭეშმარიტი მწერლობის და მით უმეტეს გაზეთის დანიშნულება? არა და არა, მკით-ხველო!.. დროა შეიგნო და ყველა ასეთებს პირდაპირ და დაუყოვნებლად ზურგი შეაქციო. ხომ ხედამ, რომ მთელი თვეა გაზეთებს კითხულობ, მაგრამ, აბა კარგათ დაფიქრდი, რა შეგძინეს? რა და ყოვლად მო-მაკვდავი პესსიმიზმი, რომელზედაც ზემოთ ,,ივერიის'' თანამშრომელს წერეთელს გავახსენე. არა მარტო შენ, ჩემო მკითხველო, უნდა შეაქციო ასეთი ბეჭდვითი სიტყვის ასეთს მეთაურებს, თვით იგინიც დროზედ უნდა მოვიდ-ნენ გონს და მარტო ის მოგაწოდონ საკითხავად, რაც კი შენ უფრო გაგაადამიანებს, ცხოვრებას და ბუნებას შეგაგნებინებს, ტვირთ-მძიმე ცხოვრებას გაგიადვილებს, გასწავლის შვილების აღზრდას, მეზობლებთან ცხოვრე-

ბა-მოქმედებას, მეურნეობა-მრეწველობას და სხვ. და სხვ. მოგცეს ყველა ეს—მხარი მიეც გაზეთს, არადა ნუ ჰყოვნებ, შორს მისგან, თორემ შენც გაგხრწნის, დაგლრლნის, შეგჭამს. .

ერთად-ერთი ხეირიანი წერილი ,,კვალისა'' ი. გომართელის ,,**შიდლერის პოეზიის ძირითადი თვისებანი**'', მაგრამ გადაჭარბებული არა ვარგარა: მეტის-მეტად ტენდენციოზურია. სიტყვები: ,,ძირს მტრობა და სიძულვილი, ძირს ტრადიციები, ძირს არისტოკრატია, ძირს მეფე! გაუმარჯოს მეგობრობასა და სიყვარულს, გაუმარჯოს თანასწორობას, გაუმარჯოს სიტყვას, აზრისა და სინიდისის თავისუფლებას, გაუმარჯოს ხალხს და მის მეფობას, ვაშა ეროვნულს დამოუკიდებლობას''.—რომლებსაც ქადაგებდა შილლერი, ნემეცებისთვის იქნება მოსახდენიც ყოფილიყოს იმ დროს, მაგრამ ჩვენში კი იგივე დღეს საბრალო ღიმილს თუ გამოიწვევს გონიერი მკითხველის სახეზე, თორემ სხვა კი არაფერს. მე ვარ, მონტენთან: მერე რას აკეთებთ, კვალელებო, მაგრე მაღალს ფარდებში რომ დაფრინავთ, მაგ სანატრელი ძახილის განხორციელებისათვის?! აი ხომ ხუთი ნომერი გამოეცით ამ იანვრის თვის განმავალობაში და აბა თუნდა ერთი წერილი მაინც მიჩვენეთ არსებითად ჩვენის ჭირვარამის შესახებ დაწერილი, ჩვენი უნუგეშო მდგომარეობიდამ გამომყვანი! ან იქნება ფიქრობთ, რომ მაგისთანა სიტყვებიც მალამოა ჩვენის იარების განსაქარვებლად? —სცდებით, ბატონებო, სცდებით! იგი მალამო კი არა და ის ფუჭი სიტყვებია, რომელიც ხალხს და ახალგაზდობას მხოლოდ და მხოლოდ გულსა ფხანს და არსებითს კი არას აძლევს, გარდა იმისას, რომ თქვენსავით იგინიც მარტოოდენ მაღალს ფარდებში პოტინს ეჩვევიან, მაშინ როდესაც მათთვის ასჯერ და ათასჯერ უკეთესი იქნებოდა თვით საკუთარი მდგომარეობა გაეგო და ამ მდგომა-

რეობიდამ გამოსასვლელი უახლოესი საშუალებანი ესწავლა თქვენგან. მაგრამ ვინ «კვალი» და უახლოესი საშუალებანი! თუ არ გჯერათ ჩემი, განმეორებით გადაფურცლეთ ამ წლის ხუთივე ნომრები და კვლავ დარწმუნდებით, რომ «კვალში», მართლაც ერთი წერილიც არ მოიპოვება თქმულთან მიმსგავსებული. აჭია-ბაჭია, ტყეშია ცხრა ჭია, აი საზოგადო სახე ამ გაზეთისა. ოდო კია ღმერთმანი: ამოდენა შრომა და ფული იხარჯება და სულ კი უნაყოფოდ სწორედ იმათივის, ვისაც **ხალხის მეფობას** უქადიან.

რიგოლეტოს შესახებ ხომ ნულარ მკითხავთ: უხამსი, ურცხვი, პირ-მყრალი, — აი მთავარი ხასიათები ამ კაუბატონისა. მცირეოდენი მართებულება, მცირეოდენი პატივის-ცემა ბეჭდურ ხიტყვისა რა არის, ისიც კი ვერ იკავებს მას იმ ურცხვად ყბედობისაგან, რომელიც მას ეტყობა ბუნებითად აქვს დაყოლილი და ჩვენი საზოგადო ავ-კარგის დამფასებლად კი გამოდის საჯაროთ...

წარსულს ნომერში «მოგზაურში» დაბეჭდილი იყო თვალ-მკვირცხლი მესხის გვარამაძის წერილი სათაურით: ,,**სარკე გურულთა ცხოვრებისა**''. იგი მე ძლიერ მომეწონა. როგორც ნაყოფი ბეჯითის დაკვირვებისა და ცნობის-მოყვარეობისა. მის მსგავსად, მკითხველო, მეც მსურს ამას იქით უფრო მეტის ხალისით თვალი ვადევნო ჩვენს მწერლობა-ცხოვრებას და შეძლებისა კვალად შენც გაგიზიარო იგი ,,მოგზაურის'' ფურცლებზედ. ამ სახით, დროს მიმავლობაში, მე იმედი მაქვს, რომ გვარამაძის ,,**გურულთა სარკეზე**'' ნაკლები ,,ქართველთ მწერლობის და ცხოვრების **სარკე**'' არ შემიდგება. მანამდის კი მშვიდობით, საყვარელო მკითხველო!

დიზრაელი.

ჩემი სიტყვა

14-ს იანვარს ეოფილს კრებაზედ თქმული კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში *).

ბაკვირველი დრო დაგვიდგა. ყველგან მიდგომა წვრილმალობა, პირადობა, სიმართლე-ჭეშმარიტების დაურ იდებლათ თელვა. მნიშვნელოვანი საგნის შესახებ იყო კრება 14-ს იანვარს სამეურნეო საზოგადოებაში. გვეგონა, რომ ჩვენი ინტელიგენცია, რომელიც ბლომათ დაესწრო ამ კრებას, სწორეთ იმას იტყოდა, რაც უფრო საჭირო იყო, ისე გადასწყვეტდა დადგენილს საგანს, როგორც ჩვენს დღევანდელს ვითარებას შეჰფეროდა, მაგრამ მოვსტყუვდით. ჩვენმა ინტელიგენციამ ვერ გამოიჩინა ჯეროვანი სიფხიზლე, ვერ შეასწორა მოხსენება ისე, როგორც ამას თხოულობს ჭეშმარიტი პედაგოგია.

მოხსენება უნაკლულო არ იყო, მას ზოგიერთი შესამჩნევი და თვალ-საჩინო ნაკლი ჰქონდა. ჩვენ გავბედეთ ამ ნაკლთა აღნიშვნა და არ გვეგონა, რომ ასე ძვირათ დაგვისომდნენ ჩვენი თანამემამულენი თავისუფალ სიტყვას, ყოვლის დაუფარავად და მიუდგომელად წარმოთქმულს საზოგადო კრების წინაშე. ქართულის გაზეთების რეცენზენტებმა სულ სხვა სახე მისცეს ჩემს ნალაპარაკევს და „ივერიამ“ ხომ **მთელი იერემიადა ააწრელა**

*) ვსთხოვთ „ივერიის“ და „ცნობის-ფურცლის“ რედაქციებს თვისს გაზეთებშიაც გადაბეჭდონ ეს ჩემი სიტყვა.

თვისს მეთაურს წერილში ჩემს წინააღმდეგ. სიმართლის აღსადგენათ მომყავს აქ ის, რაც ვსთქვი მე იმ კრებაზედ, ზრგიერთი გარეშე განმარტებით. მე ვსთქვი:

„როგორც ყველა კერძო კაცი, ასევე ხალხნი და მთავრობანი ეგოისტია. ყოველი მათგანი მარად იმის ცდაშია, რომ ყველგან და მუდამ მარტო თავისი ასწავლოს. საქმე იქამდის მიდის, რომ, მაგ., სასწავლებლებში სამშობლო ენის მეტს არას ასწავლიან და ამით პატარა-ობიდგანვე სიგსებით უხშაგენ მოწაფეებს ეროვნულ-ერთობას და კავშირს დანარჩენ ხალხებთან, კეთობრიობასთან. ამით და სხვა არაფრით აიხსნება ის სამწუხარო ამბავი, რომ რუსებმა თავიანთს ენას ჩვენს სკოლებში სამშობლო ენის ადგილი დააჭერინეს... ამ ნაკლს დღეს წარმოდგენილი მოხსენება ასწორებს, მაგრამ მე მას ზოგიერთ რამეში არ ვეთანხმები-მეთქი *). აი რას ამბობდა მოხსენება:

---

*) აი ესვე ადგილი ჩემგნით რუსულად ნათქვამი: Народы и правительства, какъ и отдѣльный человѣкъ, эгоисты. Потому каждый изъ нихъ заботится о томъ, чтобы всегда и вездѣ проводить только свое, а въ школахъ все преподавать и учить только на родномъ языкѣ, вслѣдствіе чего молодое поколѣніе съ малолѣтства страшно обособляется и уже ничего общаго и никакой солидарности не имѣетъ съ другими народами и вообще съ человѣчествомъ. Этимъ же объясняется, что русскій языкъ въ нашихъ школахъ занялъ мѣсто родного языка дѣтей, Нынѣ недостатокъ этотъ исправляетъ докладъ... და სხვ.

ვინც კი მცირედ არის თავსა და გულში ნაკრავი არ არის და რუსული ლაპარაკიც ესმის, დაგვეთანხმება, რომ სიტყვები: „все

«ოთხ-წლიან სკოლებში სწავლა სამი წლის განმავალობაში სამშობლო ენაზედ უნდა იყოსო, ხოლო მეოთხე წელს კი სწავლა მთლათ რუსულს ენაზედ უნდა სწარმოებდესო, გარდა იმისა, რომ რუსულის ენის შესწავლა პირველსავე წლის მეორე ნახევრიდამ უნდა იწყობოდესო, როგორც ცალკე საგანი; ეს .ოთხ-წლიან სკოლებში. რაც შეეხება ექვს-წლიან სკოლებს, მასში ოთხი წელიწადი მოსწავლეთა სამშობლო ენაზედ უნდა იყოს სწავლაო, ხოლო დანარჩენს ორს წელიწადს კი სულ რუსულ ენაზედაო, გარდა იმისა, რომ რუსულის ენის შესწავლა, როგორც საგნისა, პირველივე წლის მეორე ნახევრიდამ უნდა იწყობოდესო».

აი ამ უჯერო და უსამართლო დადგენაზედ ვსთქვი მე: ვერ დაგეთანხმებით, ეგ ასე უნდა შესწორდეს-მეთქი:

преподавать и учить только на родномъ языкѣ". მიეგუთვნის თავში ნათქვამ სიტყვებს: ,,Народы и правительства"; ხოდა ეს ,,Народы და правительства" კი სრულიარც ჩვენა ვართ და არც სომხები და თათრები, რომ ჩვენ და დაამათ გვეხებოდეს. რაცა მე მოხსენებულს სიტყვებს ვამბობდი, ამით მე ვკიცხავდი იმ ძლიერი სახელმწიფოების და მთავრობათა ეგოისტურ მიდრეკილებათ, რაგორიც, მაგ., არიან საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი და სხვანი, რომელნიც, როგორც ეს ჩვენშია, ფანატიკოსობამდე ეველაფერს მარტო თავიანთ ენაზე ასწავლიან და სხვა ხალხების ენას კი მეათედ ხარისხოვან ადგილსაც კი არ უთმობენ... აი რა ვსთქვით ჩვენ და ჩვენმა მტერ-მოყვარეებმა კი და მათის მეოხებით გაზეთებმაც ნათქვამიდამ ის გამოიყვანეს, რომ ვითომც ჩვენს სამშობლო ენაზედაც ისედაც ბევრს ასწავლიან და მეტი რადა საჭიროაო!? დმერთო, დამიფარენ მე უგუნურთაგან... ი. რ.

„სწავლა სამშობლო ენაზედ უნდა სწარმოებდეს **არა მარტო სამსა და ოთხს წელიწადს,** არამედ მთელი ოთხი და ექვსი წლების განმავალობაში, თუ, მართლა, გვინდა, რომ სახალხო სკოლებმა წმიდათ შეასრულონ თავისი ვალი ხალხის წინაშე“.

მოხსენებას ამ შემთხვევაში ის ნაკლი ჰქონდა, რომ **სამშობლო ენაზედ სწავლას აკი შუა** გზაზედ სწყვეტდა და, აი, არ გამოჩნდა არავინ, რომ კრინტი მაინც დაეძრა ამ შეუსაბამო დადგენილების შესახებ. რაც ზემოთ მოგახსენეთ, ის მარტო მე ვსთქვი.

რაც შეეხება **რუსულს ენას,** ამაზედ მე ვსთქვი: „რუსულის ენის შესწავლა უნდა დავაწყებინოთ სახალხო სკოლებში **არა პირველი წლის ნახევრიდამ,** როგორც მოხსენება ბრძანებს, ეს მეტათ ადრეა, ბავშვებს ჯერ სამშობლო ანბანიც არ ექნებათ გათავებული, არა. რუსულის ენის სწავლება (და არა **რუსულს ენაზედ,**—დიდი გარჩევაა ამ ორს აზრს შუა) უნდა მხოლოდ **მეორე წლიდამ დავაწყებინოთ**-მეთქი. მაგრამ, რადგანაც რუსული ენა ჩვენის ბავშვებისათვის ისეთივე უცხო ენაა, როგორც ფრანგული თუ ნემეცური, ხოლო უცხო ენა მაშინ შეისწავლება სავსებით, როცა მას სხვა ზოგადი განათლების სასწავლო საგნების კონკრეტიული **ლექსიურის** ნაწილების შესწავლითაც ათვისებენ ბავშვებს, რასაკვირველია, მეთოდიურად,—ამიტომ, რუსული ენაც (და არა რუსულს ენაზედ!) მარტო ენის ლექსიურის ნაწილის შესწავლით არ უნდა ვასწავლოთ, არამედ იმავ დროს არითმეტიკის, სამღთო-სჯულის, ბუნების-მეტყველების და ისტორია-გეოგრაფიის **უსაჭიროესი** კონკრეტიული ლექსიურის ნაწილების შესწავლითაც ამ ენაზედ, ისევ, რასაკვირველია, მეთოდიურად და ისეთივე თანდათანობით, როგორც თვით ენის ლექსიურს ნაწილს ასწავლიან დღეს. კარგათ მოგეხსენებათ, ვსთქვი მე, რა უნაყოფო მდგო-

მარეობაშია დღეს ჩვენს საშუალო სასწავლებლებში უცხო ენების სწავლების საქმე! ამისი ერთად-ერთი მიზეზი კი ის არის, რომ ეს უცხო ენები იქ მარტო მათი ლექსიურის ნაწილებით ისწავლებიან!.. დროა, ბატონებო უკუ ვაგდოთ ცრუ-მორწმუნეობა ამ საქმეში და, თუ, მართლა, გვინდა, რომ ჩვენმა ბავშვებმა რუსული ენა კარგად შეისწავლონ, სხვა საგნების უსაჭიროესი, კონკრეტიული ადგილების შესწავლითაც შევათვისოთ იგი ბავშვებსა!..

თანახმანი არა ხართ ჩემის აზრისა?—დამიმტკიცეთ, რომ უცხო ენა ასე არ უნდა ისწავლებოდეს! დამიმტკიცეთ, რომ სახალხო სკოლებში სწავლა სამშობლო ენაზედ შუა გზაზედ უნდა სწყდებოდეს, როგორც ეს მოხსენებას აქვს წარმოდგენილი.

ვერც ბ-ნს გოგებაშვილს დავეთანხმებით. ის ამტკიცებდა, რომ სწავლა რუსულის ენისა მარტო ლექსიურად უნდა სწარმოებდესო, მის გარეშე რუსულს ენას სისწორით ვერ შეისწავლიანო... საინტერესოა ვიცოდეთ, თუ კი ლექსიურად შეიძლება ამ ენის სისწორით შესწავლა, როცა ამას უწყებულის თანდათანობით ვასწავლით, რატომ ასეთივე თანდათანობით არ შეიძლება სრულის სისწორით ვასწავლოთ იგივე ენა არითმეტიკის, სამღთო სჯულის, ბუნების-მეტყველების და სხვა საგნების თვალ-საჩინო ნაწილების სწავლებით? ვუმეორებთ ბ-ნს გოგებაშვილს, რომ მარტოოდენ თვით ენის ლექსიურის ნაწილის სწავლებით არც ერთი ენა არ შეისწავლება სავსებით, იგი შესწავლა კი არა, მარტო ერთმხრივი, ყოვლად მოსაწყენი და უსიცოცხლო, უნაყოფო სწავლება იქნება ენისა და, როგორც ვსთქვით, თუ გვინდა რამოდენათმე მაინც სავსებით შევასწავლოთ ბავშვებს, უცხო ენები,—უთუოთ ყველა საგნების თვალ-საჩინო ნაწილიც უნდა შეათვისოთ ბავშვებს თორემ მარტოოდენ თვით

ენის ლექსიურის ნაწილის შესწავლით ვერას გახდებით. გარ-ჩევა აქ მხოლოდ იმაში იქნება, რომ სამშობლო ენაზედ სწავლა ყოვლად თავისუფალი და ბავშვების ჭკვა-გონების უსაზღვროდ განმავითარებელი იქნება, ხოლო უცხო ენებზედ—უბრალო თვალ-საჩინო და უკვე სამშობლო ენაზედ შესწავლილის დასკვნებითი, განზოგადებული, რომლის უმთავრესი მიზანი ის არის, რომ ბავშვებმა ენა გაიტეხონ უცხო ენაში და რამდენათაც შესაძლებელი იქნება ყოველ-მხრივ და ყოველ საგნიდამ გაიმდიდრონ უცხო ენის ლექსიკონი. მეორე გარჩევა კიდევ ის იქნება, რომ სწავლა სამშობლო ენაზედ მეტს სისწრაფეს და ნაყოფს გამოიჩენს, ვიდრე უცხო ენების შესწავლა, მაგრამ ჰარმონია, ჰარმონიულად განვითარება ადამიანის ყოველ ძალთა და ნიჭთა, რასაც მთელი საუკუნოებია დაჟინებით ღაღადებს პედაგოგია (რაც სამწუხაროთ ჩვენ აქამდეც ვერ შეგვიგნია),—სავსებით იქნება დაცული და ამიტომ ასეთის სწავლა-აღზრდის ნაყოფიც—სრული.

რომ თვალ-საჩინო ვყო ჩემი აზრი და სიტყვა, მაგალითით აგიხსნით. რუსულს ენას დღეს ზოგიერთ ჩვენს სკოლებში გოგებაშვილის „Русское Слово"-თი ასწავლიან. სახელმძღვანელო კარგათ არის შედგენილი, მაგრამ ყოვლად ერთ-მხრივად. შინაარსი მისი მხოლოდ ენის წმინდა ლექსიური ნაწილია. იგი ავარჯიშებს ბავშვებს მარტოოდენ მათ მახლობელ ჩვეულებრივ საგნების აღწერა-შესწავლით რუსულათ; ხოლო, რაც შეეხება ისეთსავე მახლობელ საგნების უუსაჭიროეს ცნებათა, რომლებსაც შეიცავენ არითმეტიკა, სამღთო სჯული, ბუნების-მეტყველება და სხვა, ეს სრულიად გამოტოვებულია სახელმძღვანელოდამ. დღეიდან, ჩემის ამ წინადადების შემდეგ, ბ-ნს გოგებაშვილს ახალი ასპარეზი უჩნდება: უსაზღვროდ განავითაროს და გააუკეთესოს თვისი „Русское Слово" და თვით მოსწავლეთაც უფრო სავსებით

და კარგათ შეასწავლოს ეს ენა, რაც ყველასათვის დიდათ სასიამოვნო იქნება. აი როგორ უნდა იყოს დაყენებული რუსული ენა ჩვენს სკოლებში: ვსთქვათ ექვსი საათია დანიშნული რუსული ენის შესასწავლად; ეს ექვსი გაკვეთილი ჩვენ ასე უნდა გავანაწილოთ: ორი გაკვეთილი კვირაში ხმარდება თვით ენის ლექსიურის ნაწილის შესწავლას; ორი გაკვეთილი არითმეტიკის ლექსიურისავე ნაწილის შესწავლას რუსულად (რასაკვირველია, სამშობლო ენის დახმარებით, სადაც კი საჭირო იქნება ეს) და ორი გაკვეთილიც საღმთო-სჯულის ლექსიურისავე ნაწილის შესწავლას რუსულად. აი ჩვენი გეგმა რუსულის ენის შესწავლისა და არა რუსულს ენაზედ სწავლებისა, რომელიც ჩვენ სიზმარშიაც არასოდეს მოგვზმანებია.—რადგანაც ჩვენ ვითხოვდით რუსულის ენის შესწავლის დაწყებას მეორე წლიდამ, ყველა ეს საგნები ბავშვებს უკვე კარგათ ექნებათ შესწავლილი-შეთვისებული და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ბალღებს აღარ გაუძნელდებათ უცხო ენის ასე ყოველ მხრივ შესწავლა!..

მარტო მოხსენებული ნაკლი არა ჰქონდა წარმოდგენილს მოხსენებას და ჩვენ იმავე კრებაზედვე განვაცხადეთ ჩვენი აზრი ამ სხვა ნაკლთა შესახებაც, თუმცა კრებამ ჩვეულებრივის სიჩუმით ჩაატარა იგიც. მოხსენება ითხოვს, რომ სწავლება სახალხო სკოლებში სამშობლო ენაზედ სწარმოებდეს. ამ საქმის განმახორციელებელი, რასაკვირველია, მასწავლებელი უნდა იყოს. პირდაპირი დასკვნა აქედამ რა არის?—ისა, რომ, მაშასადამე, თვით საოსტატო სემინარიებშიაც ძირიანად უნდა შეიცვალოს სამშობლო ენის მდგომარეობა, რომ იქაც თვით მოსწავლე-მასწავლებლებს სავსებით უნდა შეასწავლონ სამშობლო ენაზედ ყველა ის საგნები და ამ საგნების სწავლება, რომლებიც ამათ შემდეგში ბავშვებს იმათს დედა ენა-

ზედ უნდა ასწავლონ. მაგრამ მოხსენებაში კი ამის შესახებ არაფერი იყო ნათქვამი. ცხადია, რომ საჭირო იყო მოხსენება შევსილიყო იმ შუამდგომლობითაც, რომ მეტი ადგილი დაეთმოს ადგილობრივ ენებზე სწავლას თვით საოსტატო სემინარიებში, მაგრამ...—მოხსენება იდეალურიაო,—გაიძახოდნენ ყველანი.

გარდა თქმულისა მოხსენებას ერთი დიდი ნაკლიც ჰქონდა და დღესაც აქვს: არა კმარა, რომ სწავლება საამშობლო ენაზედ სწარმოებდეს. საქმე აქ იმაშია, რას ასწავლით!? თუ თქვენ მარტო წერა-კითხვას, მცირეოდენს ანგარიშს და სმმღთო სჯულს ასწავლით სამშობლო ენაზედ, ამით თქვენ მაინც შორს ვერ წახვალთ. ამისი ცხადი მაგალითები რუსეთის შიდა გუბერნიების. სახალხო სკოლებია, სადაც ყველა საგნებს მარტო სამშობლო ენაზედ ასწავლიან, მაგრამ მაინც სწავლა-დამთავრებულთა შორის ძლიერ ხშირია რეციდივიზმი, ე. ი. შესწავლილის სრულად დავიწყება. ასეთის სამწუხარო შედეგის ასაცილებლათ ჩვენს ქვეყანაშიაც აუცილებლად საჭირო იყო სახალხო სკოლის სახის შეცვლა, მისი პროგრამის გაფართოვება, საჭირო იყო ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნების-მეტყველების და სხვა საგნების შეტანაც მის პროგრამაში, თორემ, ვიმეორებთ, დღევანდელის პროგრამით, ვერცარას ყოვლად-შემძლებელ სამშობლო ენაზედ სწავლა დასდებს მალამოს ჩვენის ხალხის გახსნა-განვითარებას... ამის შესახებ კი კრინტიც არ იყო მოხსენებაში! ყველა მარტო იმას გაიძახოდა, რომ მოხსენება იდეალურიაო...

აი ჩვენი სიტყვა გულის სიწმიდით უმეტ-ნაკლებოთ გულის-სიღრმიდამ ამოღებული. აქ მე არავითარი დამალული აზრი არც მიმიძღვოდა და არც მიმიძღვის. აქ მე ვსჯი როგორც ჭეშმარიტი მიუდგომელი პედაგოგი, რომლის ერთად-ერთი მიზანი მოსწავლეთა ვრცელი განვი-

თარება-ცოდნაა და სხვა არაფერი. თუ არ მეთანხმებით, ბატონებო, რაშიმე, სამშობლოს მოღალატობით კი ნუ მიხსენიებთ, ამას მარტო მდაბალი სულის პატრონი იკისრებს. არა. დამიმტკიცეთ საბუთებით და სხვა გამოჩენილთა მეცნიერთა და პედაგოგთა სიტყვებით, რომ ჩემი შესწორებანი დაბლა სდგანან მოხსენების წინადადებაზედ და მაშინ გამკიცხეთ... მაგრამ სამშობლოს მოღალატის წოდების უფლება მაინც არ გექნებათ, რადგანაც საზოგადო კრება იმიტომ ჰქვიან, რომ ყველამ სწორეთ ისა სთქვას, რასაც ფიქრობს და ერწმუნება. პირიქით, სამშობლოს და საზოგადოების მოღალატე ის იქნება, ვინც ამ ფიქრს და რწმენას უშიშრად საყოველთაოდ არ იტყვის!..

ივ. როსტომაშვილი.

მარტი და აპრილი, №№ III და IV, 1903 წ.

მოგზაური

1903 წელს ჟურნალი

„მოგზაური“

მთავრობის ნება-დართვით

გამოვა ახალის გავრცელებულის პროგრამით, ე. ი. ჟურნალში დაიბეჭდება პედაგოგიური, სამეურნეო, სამეურნალო-სამეცნიერო და ისტორიულ-გეოგრაფიული წერილები. რედაქცია სთხოვს მასწავლებლებს, მეურნეებს, მკურნალებს და სამეცნიერო საგნების მიმდევართ მოაწოდონ მას ყოველგვარი წერილები მოხსენებულ საგნებიდამ. საუკეთესო წერილებს, ხალხისათვის ადვილ-გასაგების ენით დაწერილებს, რედაქცია იმავ დროს იაფფასიან წიგნაკებადაც გამოსცემს.

ფასი ჟურნალისა იგივე 5 მანეთია, ხოლო მასწავლებლებისათვის და ხელ-მოკლე დაწესებულებათათვის —4 მანეთი.

ადრესი ფოსტით: *Тифлисъ, Редакціи „МОГЗАУРИ“ (Межевая ул. № 72).*

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

თბილისი

სტამბა ექვ. ივ. ხელაძისა. რუსის ბაზრი, საეკკ. სახლი.

1903

Дозволено цензурою. Тифлисъ 31 Января, 1903 г.

სულით ავათმყოფი მოსწავლენი.

(დ-რ ნელლერისა და უფერის წერილებიდამ).

ოგეხსენებათ, რომ ზოგიერთი ბავშვი შინ სრულიად არავითარს ნიშნებს არ იჩენს გონების სისუსტისას, ის არაფრით განსხვავდება სხვა ბავშვებისაგან, თამაშობს, ლაპარაკობს, პასუხს გაძლევს, როგორც სხვა ყოველი ბავშვი, მაგრამ რა წამსაც სკოლაში ცოტაოდნად ძნელს გონებითს სამუშაოს მისცემენ, აღმოჩნდება, რომ ეს ყმაწვილი ჩვეულებრივი გონების ყმაწვილი არ არის, რომ მას რაღაცა აკლია, რომ მრავალ-ფეროვანის ნიჭით შემკულის ბავშვის მაგიერ, თქვენ წინ სდგას ერთფერი, მეტად დაბალი ხარისხის ნიჭის პატრონი. ხასიათი ასეთს ყმაწვილებს მომეტებულს შემთხვევაში უსწორ-მასწორო აქვთ: ხან მეტად გრძნობიერი, ხან სრულიად გულ-გრილი, ფხუკიანი, გულ-მოსული, სასტიკი, შეუბრალებელია, ადვილად იციან ტირილი, გაჯავრება, უყვართ ცხოველთ წვალება და **სხვ. ეი** ასეთს ბავშვებს და მოწაფეებს უწოდებენ **სულით ავათმყოფებს.** ვურჩევთ მშობლებს, მასწავლებლებს და თვით მოსწავლეებსაც ყურადღებით წაიკითხონ ეს წერილი, რათა

უფრო ცნობიერად ვეპყრობოდეთ ასეთს ყმაწვილებს. როგორც გვახსოვს ქართულს ენაზე ეს წერილი პირველია ამ საგნის შესახებ და ამიტომ იმედი გვაქვს, რომ იგი უსარგებლოდ არ ჩაივლის ჩვენის მკითხველისათვის.

ზოგიერთი სულიერი ავათმყოფობანი მშობლებსა და მასწავლებლებს ბავშვთა ჩვეულებრივ ნაკლულევანებად მიაჩნიათ და ამიტომ, როგორც სხვა ყოველი ჩვეულებრივი დანაშაული, ღირსად სასჯელისა. მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. აქამომდე ბავშვთა სულით ყოველ ავათმყოფობას აწერდნენ ორს სენს—კრეტინიზმს და იდიოტიზმს (ჩლუნგ-გონებიანობას, და სუსტ-გონებიანობას), ფიქრობდნენ, რომ ყოვლად შეუძლებელია ამ სენით შეპყრობილების სწავლა-აღზრდაო. მაგრამ კრეტინებისა და იდიოტებისთვის საგანგებოთ დაარსებულმა სკოლებმა ნათლათ დაამტკიცეს, რომ ასეთი შეხედულობა სრულიად უმართლო იყო და კრეტინ-იდიოტებსაც ბევრს შემთხვევაში მშვენივრად შეუძლიანთ სწავლა-განათლების მიღება. სულით ავათმყოფობის დასაბამს ეწოდება **სულით ავათმყოფობის დასაწყისი.** მემკვიდრეობით არის იგი გადმოცემული ბავშვზედ, თუ თავისით შეძენილი. თუ თავის დროზედ **არ** შეამჩნევთ სულით ავათმყოფობის დასაწყისს, იგი ნელ-ნელა შეიძლება ისე გადიდდეს, რომ შემდეგ უკვე გვიანღა იქნება მისი წამლობა-მორჩენა. აი რატომ არის საჭირო, რომ ჩვენ ქართველებმაც ყურადღება ვათხოვოთ ამ საგანს, მით უმეტეს, რომ ბავშვის ასეთი თვისებები ჩვენ ხშირად უბრალო ცელქობად, ჭკუნად და თავის-ნებობად მიგვაჩნია.

სულით ავათმყოფობის ასეთს დასაწყისს, მაგ., ეკუთვნიან ძარღვ (ნერვ) მოშლილი ბავშვები. ესენი ჩვეულებრივ მეტად გრძნობიერნი არიან ხოლმე, სუსტი აგებულებისა, ხან ვარდსავით გაეშლებათ პირისახე და ხან მკვდრის ფერი დაედებათ ხოლმე; თუმცა საშუალო ნი-

ჭიც აქვთ ყველაფერში, მაინც ვერას გზით ვერ ახერხებენ სკოლის მრავალ გვარ მოთხოვნილების შეფერებას, რადგანაც მეტად მალე სუსტდებიან და იღლებიან, რისგამოც ასეთი ბავშვები ხან დიდი ნიჭის პატრონებად გვეჩვენებიან და ხან სრულიად უნიჭო ბავშვებად. უპირველესი წამალი ასეთის მოსწავლეებისთვის არის წესიერი ცვლა ფიზიკურ-გონებითის შრომისა და სოფელში ცხოვრება, განსაკუთრებით მშვენივრად მოქმედებს ასეთებზე სოფლური მუშაობა, ბარვა, თოხნა, შეშის ჭრა, ზიდვა, ხვნა, თესვა და საზოგადოთ მუშაობა. მაგრამ, როგორც ამტკიცებენ უკეთესნი ფსიხიატრები, ასეთი ბავშვებისთვის მაინც საჭირო არ არის სწავლის შემოკლება, საჭიროა ხოლოდ რომ ასეთი ბავშვების გონებითი მუშაობა თავმთავის დროზედ უთუოდ იცვლებოდეს ფიზიკურის შრომით; წინაალმდეგ შემთხვევაში ასეთი ბავშვები ნელ-ნელა ისე მოიშლებიან სულით და გონებით, რომ მერე შეუძლებელიღა ხდება მათი შველა.

შემდეგ საჭიროა მივაქციოთ მშობელთა და მასწავლებელთ ყურადღება ზოგიერთ მოსწავლეთა ჟინიან, თავის-ნება ხასიათზე. მოხდება ხოლმე, რომ ბავშვი, სრულიად მოულოდნელად და უმიზეზოდ, ურჩი და გაუგონარი ხდება, რასაც ბევრი მაშინვე თავის-ნებობას უწოდებს. მაგრამ, ვინც კარგათ დააკვირდება ბავშვის ასეთს მდგომარეობას, მაშინვე შეიშნავს, რომ აქ სხვა რამ არის, რომ ასეთს უეცარსა და მუდმივ თვის-ნებობას შორის დიდი საზღვარი ძევს. პირველ—გვარ თავის-ნებიანებს უეცრად იმდენად მოეშლებათ ხოლმე ჭკვა და გონება, რომ შეუგნებლად მოიმოქმედებენ მთელს რიგს ცუდს საქმეებსა, ასე რომ არც კი ახსოვთ ესენი და შემდეგ რამდენიმე ხნისა ისევე სწრაფათ გაივლის უკვალოდ ბავშვის ასეთი მდგომარეობა, როგორც გამოჩნდა.

ხშირია მოსწავლეებში აგრეთვე ეგრედ-წოდებული

„გადამკიდე იდეები, აზრები“. ეს ის აზრები და იდეებია, რომლებიც, რაკი ერთი ჩაუჯდება მოსწავლეს ჭკვაში, ყმაწვილი ველარას გზით ველარ იშორებს მათ თავიდამ, თუმცა თითონაც ხშირადა გრძნობს გადამკიდე აზრის სულელობას. აი სწორეთ ამ გადამკიდე აზრების წყალობით, სულის ასეთის ავათმყოფობით აიხსნება ხშირად ბევრი სიცელქე და დანაშაულობა ბავშვისა. საჭიროა კარგათ გვახსოვდეს ეს დიდის სასწავლებლების გამგეთ და მასწავლებელ-აღმზრდელებს. დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის აგრეთვე ბავშვურ **საცრუგეს და ტყუილს**, რომელიც წინამორბედია ხოლმე ბევრ-გვარის სულით მოშლილობისა. ასეთს ყმაწვილებს პირველში რომელიმე ცრუ აზრები ებადებათ, რაღაცებს როტვენ და ბოდვენ. წარმოსდგება იქიდამ, რომ გალიუცინაციების წყალობით, რომელიც უთუოდ სჭირს ასეთებს, ესენი ხშირად ხედავენ და ისმენენ ისეთ რამეებს, რაც ნამდვილად არ არსებობს, მოჩვენებასავით წარმოუდგებათ მათ. ამ სენით შეპყრობილნი ხშირად ისეთს რასმეს შეთხუზვენ და მოიგონებენ ხოლმე მასწავლებელზე თუ სხვაზე, ვინც მათ არ უყვართ (ასეთს ავათმყოფებს კი თითქმის არავინ უყვართ, ყველანი სძულთ, რადგანაც წარმოდგენილი აქვთ, რომ ყველანი მათი მტრები არიან, ყველას მათთვის ცუდის მეტი არაფერი ჰსურთ და სხვ.). ხშირია მოსწავლეთა შორის აგრეთვე ეგრეედ-წოდებული **ზნეობითი სულით აგვათმყოფობა**. მდგომარეობს ეს იმაში, რომ ამ სენით შეპყრობილს ყმაწვილებს სრულიად არ შეუძლიანთ ავისა და კარგის გარჩევა, კეთილისა და ბოროტისა; რა არის სიყვარული და პატივის-ცემა მშობლებისადმიც კი ამათ სრულიად არ იციან; გონებისა და ჭკვის განვითარებით ესენი მარად დაბალ საფეხურზე სდგანან, მაშინ როდესაც უზნეო ქცევასა და სისასტიკეში მარად შეუკავებელს სურვილს და დიდს მოხერხებას იჩენენ. ასე-

თებს თვით სხეულის და მისი ნაწილების აგებულებაც მომეტებულს შემთხვევაში უშნო და მახინჯი აქვთ—თავი, ყურები, უსწორ-მასწორო კბილები, პირუტყვული გამომეტყველება სახისა და სხვ. ზნეობით სულით ავათმყოფნი დაუყოვნებლივ უნდა გააყვანინოთ სასწავლებლიდამ და მიაბაროთ სპეციალურს დაწესებულებაში გასასწორებლად და მოსარჩენად, სადაც გამუდმებულის თვალ-ყურის ქვეშ იგი ნელ-ნელა მოიშლის თვისს ცუდს ქცევას და უზნეო აზრებსაც შეიცვლის.

სულით ავათმყოფებსვე შეიძლება ვაკუთნოთ **კრეტინები** და **იდიოტები** (გონებით სუსტნი და ჩლუნგნი). ამათი წარმატებით სწავლა და აღზრდა იმდენად თვით ამათს ნიჭიერებაზედ არ არის დამოკიდებული, რამდენადაც აღმზრდელის საოსტატო ნიჭზეა. კრეტინები და იდიოტები ჩვეულებრივ სამი გვარისანი არიან: 1) რომლებსაც მეტად მცირედ აქვთ გახსნილი ყურადღება, რომელთ შემწეობითაც ადამიანი აერთებს ერთს წარმოდგენას მეორესთან თუ მესამესთან და ამგვარად არდგენს ახალს წარმოდგენას, ცნებას; 2) რომელთაც თითქმის სრულიად არა აქვთ ეს მხარე ნიჭისა, მაგრამ შეუძლიანთ კი ზოგიერთი წარმოდგენების შეერთება და 3) რომელთაც სულ მცირე ნიჭი აქვთ გონების მოქმედებისა და ისიც მხოლოდ ნამდვილ პირუტყვულ მიდრეკილებებსა და ინსტიქტებში გამოიხატება.

პირველ რიგს იდიოტებში ხშირად ურევია ისეთები, რომლებსაც მეტად გახსნილი აქვთ ხოლმე მეხსიერება (მეხანიკური) და არითმეტიკული ნიჭი, ასე რომ ესენი ხშირად ზეპირად აკეთებენ ფრიად რთულ ამიცანებს. სხვა საგნებში კი, ამავ დროს, ესენი სრულიად ჩლუნგ-გონებისანი არიან. შეგხვდებათ ისეთი იდიოტებიც, რომ საკმაოდ კარგათ შეუძლიანთ წარმოდგენათა რიგზედ დაწყობა და მათის ერთ-სახეობით (ანალოგიით)

ხშირად ისეთი სწორი დასკვნები გამოჰყავთ, რომ სრულ გონებიან ბავშვთაც არ შეუძლიანთ ეს, რისგამოც ისეთს სკოლაში, სადაც მეხანიკურად ასწავლიან, სადაც ძალიან საჭირო არ არის გონიერების მოხმარება, გონების 'სისუსტე და სიჩლუნგე ასეთის იდიოტე'ისა დიდს ხანს რჩება შეუმჩნეველად; ესენი ხშირად საშუალო სასწავლებელშიაც მოჰყვებიან ხოლმე და არც ცუდად სწავლობენ მის დაბალს კლასებში, რადგანაც ასეთის სწავლისათვის საკმაოა ხოლმე მხოლოდ მეხსიერება. ასეთს მოსწავლეებს არითმეტიკის შეკრება და გამრავლება კარგათ ეთვისებათ ხოლმე, მხოლოდ გამორიცხვა და გაყოფა კი ვერა, ანუ, ზოგჯერ, მშვენივრად ითვისებენ ყოველ-გვარ მოქმედებას განყენებულ რიცხვებზედ და სახელ-დებულ რიცხვების სულ უბრალო ამიცანას კი ვერ აკეთებენ. ამასვე ნახავთ კითხვის გაკვეთილებზე: იდიოტისთვის ზოგჯერ საკმაოა, რომ რომელიმე სტატია ორჯელ-სამჯერ წაიკითხოს და სიტყვა-სიტყვით თავიდან ბოლომდის გიამბოსთ, რისგამოც ხშირად სტყუვდებიან გამოუცდელი მშობლები თავისი შვილის შესანიშნავის ნიჭიერებით, მაგრამ საკმაოა ცოტაოდენი რამ ცვლილებით მოთხრობა მოსთხოვოთ ასეთს მოსწავლეს, რომ სრულიად დაიბნეს და დაინახოთ, რომ მას არაფერი ესმის წაკითხულისა. ცხადია, რომ დიდი მეხსიერების ქონვა კიდევ არ ნიშნავს დიდს გახსნილობას და ნიჭს, რისგამოც სწავლებაში მუდამ უნდა ეცადოთ, რაც შეიძლება ნაკლები ადგილი დაუთმოთ ისეთს საგნებს, რომელთ შესწავლას სჭირია მეხსიერება (მათ შორის არითმეტიკულ მეხანიკურ ანგარიშებს) და მეტი ადგილი დაუთმოთ ლოგიკურს სწავლებას, მაგრამ ძლიერ ფრთხილად და თან-დათან კი, ჯერ თვალ-საჩინოდ ასწავლოთ და შემდეგ უიმისოდაც.

სუსტ და ჩლუნგ გონებიანებს თანაბრად სუსტად

აქვთ გახსნილი **მეტყველებაც**; მაგრამ ეს უკანასკნელი ხშირად ჩვეულებრივი გონების პატრონებსაც აკლიათ ხოლმე. ამისი მიზეზი ზოგჯერ სულ უბრალოა, მაგ., მეტყველების რომელიმე ორღანოს განუვითარებლობა ანუ **სიმახინჯე**; მოაშორეთ ეს სიმახინჯე (უბრალო ოპერაციით) და ბავშვს მეტყველებაც უკეთესი მიეცემა. რაც შეეხება მეტყველების რთულს მოშლას, რომელსაც ეწოდება **აფაზია**, ეს, როგორც ფიქრობენ, წარმოსდგება იქიდამ, რომ ჭკვა-გონების სწრაფ და წესიერს მოქმედებას რაღაც აბრკოლებს, რომელიც ჯერ კიდევ კარგათ არ არის მეცნიერებისგან გამოკვლეული.

მეტყველების ნაკლულევანებას ეკუთვნის აგრეთვე ეგრედ-წოდებული **სულის-სიმუნჯე**. ასეთებს სმენა სრული აქვთ და ავათ თუ კარგათ ესმით კიდეც, რასაც მათ ელაპარაკებიან, მაგრამ ლაპარაკი კი სრულიად არ შეუძლიანთ. მეცნიერები ამას ხსნიან **არა** თვით მეტყველების ორღანოების ავათმყოფობით, არამედ ტვინის იმ ადგილის, ეგრედ-წოდებულის **მეტყველების მამოძრავებელის ცენტრის** (ტვინის მარცხენა ნაწილშია), რომელიც განაგებს ჩვენს მეტყველებას, მოშლით. თუ რითიმე შეიძლებთ ამ ცენტრის მოქმედების აღძვრას და აღდგენას, მაშინ მეტყველებაც უბრუნდება ხოლმე ასეთს ავათმყოფს. ხოლო, თუ იგი ისეა მოშლილი და გაფუჭებული, რომ მისი აღდგენა ყოვლად შეუძლებელია, მაშინ შეიძლება მის მაგიერ მოვიხმაროთ ასეთივე ცენტრი ტვინის მარჯვენა ნახევრისა, რომელიც ჩვეულებრივ არავითარს მონაწილეობას არ იღებს მეტყველებაში უვარჯიშობის გამო, ხოლო რაკი წესიერათ ავარჯიშებთ ტვინს, იგი იმდენად ცოცხლდება, რომ სულით მუნჯს უბრუნდება მეტყველება.

არსებობს აგრეთვე მეტყველების მეორე გვარი ავათმყოფობა, ეგრედ-წოდებული **სულის სიყრუე**; იგი შე-

დეგია ყურადღების ნაკლებობისა; რადგანაც მეტყველება უპირველეს ყოვლისა თხოულობს ყურადღების განვითარებას, თქმა არ უნდა, რომ ჩლუნგ-გონებიანებში, რომელთაც ჩვეულებრივ მცირედ აქვთ გახსნილი ნიჭის ეს მხარე და ან სულ არა აქვთ გახსნილი, სწორედ რომ უმეტყველობას გამოიწვევს. სულით ყრუენი ხშირად ყრუ-მუნჯნიც არიან ხოლმე და ამიტომ უწინ ასეთს სუსტ-გონებიანებს ჩვეულებრივს ყრუ-მუნჯთა სკოლებში აბარებდნენ. მაგრამ, რადგანაც ყრუ-მუნჯთა სასწავლებლებში სწავლა ისე სწარმოებს, როგორც ნორმალური ჭკვის ყმაწვილების სასწავლებელში, თქმა არ უნდა, რომ **სულით-ყრუენი** აქ ვერასფერს სწავლობდნენ და მალე უკან უბრუნებდნენ პატრონებს, ვითარცა სრულიად უნიჭოებს. მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ უკანასკნელს ხანებში გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ **სულით-ყრუენი** სრულიად შეიძლება მოვარჩინოთ, საჭიროა მხოლოდ წესიერი პედაგოგიური—სამკურნალო ზომები ამისათვის,—სისტემატიურად ყურადღების გახსნა-განვითარებით.

მოგვყავს კიდევ რამდენიმე მაგალითი სულით ავათმყოფ მოსწავლეთა და ბავშვთა.

ვასო 12 წლის ყმაწვილია. ერთი რამ უცნაურობა სჭირს: რასაც ფეხს დაადგამს, უთუოთ თანვე ორჯელ დაარტყამს იმავე ფეხს; როცა ხელს დასდებს მაგიდაზე, თანვე უთუოთ ორჯელ დაარტყამს იდაყვით. როცა ჰკითხავენ—რათ შვრები, ვასო, მაგრეო, ის მარტო ამას გიპასუხებსთ: „ასე უნდაო“.

ივანე 14 წლის ყმაწვილია, პატარაობიდამვე ფრიად სევდიანი, ზაფრიანი, დაღვრემილი ხასიათისა. შემთხვევით რომ ქვას წაჰსწყდომოდა, ის რამდენჯერმე დაუბრუნდებოდა მას და გადააგორებდა; როცა გადააფურთხებდა, უთუოდ გაიმეორებდა ამას სამჯერ; შემთხვევით რომ მელნის წვეთი დასწვეთოდა სადმე,

ის უთუოდ ორს ლაქას კიდევ დააჩნევდა პირველის გვერდით; ასევე, თუ რომელიმე სიტყვას შეცდომით დასწერდა, მის ქვეშ უთუოთ ორჯელ კიდევ დასწერდა იმავე შეცდომით. ის გრძნობდა, რომ მას რაღაცა აიძულებს ასე მოიქცეს და ხშირად გულ-ახდილად გამოტყდებოდა კიდეც ხოლმე ამაში.

პეტრე 10 წლის ყმაწვილია, სუსტი აგებულობისა, სევდა-ქარებიანი ქალის შვილია, ავათ გახდა ჩქარი ზრდისაგან და ბეჯითი სწავლისგან, სისხლ-ნაკლებია, სამი თვეა რაც სულით მოიშალა, დაშინებულია, საშინლად ბინძური სიტყვის და გონების მთქმელია, ასე რომ ვინც კარგად არ იცნობს ამ ყმაწვილს, იტყვის, რა გარყვნილი და ზნე-გაფუჭებულიაო.

ზოგიერთ ბავშვებს სჭირთ ეგრედ წოდებული გალიუცინაცია (მოჩვენება, გრძნობით—მოტყუება). აი ამის მაგალითები.

ნატო 5 წლისაა. ოთახში სამარისებური სიჩუმეა. დედა მეორე ოთახშია. ნატო უეცრად გიჟსავით დაიყვირებს: „დედი! ლიზა (ამისი სამი წლის და იყო) მაგინებს, მოსვენებას არ მაძლევსო!“. დედა გამოვა და ხედავს, რომ ლიზას არხეინად სძინავს, ნატოს კი თურმე მხოლოდ მოეჩვენა, რომ ლიზა მას მოსვენებას არ აძლევდა.

დილაა. მასწავლებელი კლასშია და ასწავლის მოსწავლეებს. უეცრად შემოვარდება ერთი მოსწავლის დედა და საშინელის სიანჩხლით მივარდება მასწავლებელს ამ სიტყვებით: „რისთვის გაარტყით ჩემს ქალს სილაო?“— მასწავლებელი დაარწმუნებს დედას, რომ ტყუილია, მე თქვენის ქალისთვის ხელი არ მიხლიაო, ამასვე დაამოწმებს მთელი კლასი. გამოჩნდა, რომ ქალი ავათ ყოფილიყო გალიუცინაციით და მასწავლებლის ლიტონი ქა-

დილი მას სილად მიელო, ასე რომ დედისთვინაც ასე ეამ-ბნა.

ბავშვებს ხშირად სჭირთ ეგრედ-წოდებული **აზრთა ხლართვა, დახლართვა, არევა.** აი ამის მაგალითი:

ნინო რასაც ისწავლიდა, მხოლოდ მის პირველ სიტყვებს დაიხსომებდა, ასე რომ, როცა მასწავლებელი ჰკითხავდა მას გაკვეთილს, ნინო პირველს სიტყვებს კი ეტყოდა და დანარჩენზედ კი სულ დაიბნეოდა. ერთხელ ნინომ ასეთი სულელობა წამოროშა: „ლეიფციღის უნივერსიტეტში სწავლობენ..... ჯალათნი, რომელნიც.... ჰბეჭდავენ სურათებსაო“. ასეთის მარგალიტებით ერთხელ და ორჯელ კი არ ართობდა ნინო თავისს კლასს!

ზოგიერთ ბავშვებს, როგორც ვსთქვით, სჭირთ ეგრედ-წოდებული ზნეობითი სიგიჟე. აი ამის მაგალითი.

დარო შთამომავლობით გონებით შერყეულს გვარს ეკუთვნის. ბიძა მისი (დედის ძმა) ახლაც საგიჟეთშია. თვითონ დარო პატარაობიდამვე ძალიან მძიმედ იხსნებოდა: პირველ-დაწყებითი სწავლა, ანგარიში და წერა, ძალიან გაუძნელდა; ვერც დაყვავებამ, ვერც ქადილმა უშველეს საქმეს. 9½ წლისა იყო, რომ დარო სკოლაში მიაბარეს, სადაც მან კარგი ნიჭი გამოიჩინა, განსაკუთრებით ზოგიერთ საგნებში. ზნეობით კი ფრიად დაბლა იდგა, ვერაფრით გასწორდა; მაგ., მას თითქოს არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა სიმართლეზე; სრულიად არ სწუხდა, როცა ვისმე ბრიყვულად მოექცევოდა; მისთვის სრულიად არ არსებობდა კეთილი გრძნობა, სიკეთის ქმნა, კეთილ-მოქმედება; პირიქით, მარად ცბიერობდა და ეშმაკობდა, რომ სწორეთ ის აისრულოს, რასაც უშლიან. დრო-გამოშვებით ზოგჯერ თვით თავის თავსაც არ აქცევდა ყურადღებას, უსუფთაოა, ჭუჭყიანი, ცუდად უჭირავს თავი. ვაჟებში ყოველად ზნე-დაცემულია. მოხდება ხოლმე, რომ დარო მივა თავის პატარა ძმასთან ანუ და-

სთან და სრულიად უმიზეზოდ წააქცევს ხოლმე მათ. მეგობრული გრძნობა სრულიად დახშულია მასში და მხოლოდ მის სურვილთა შესრულებით და ქრთამით ანუ ხერხით შეგიძლიანთ მოიპოვოთ მასზედ რამე გავლენა. თუმცა დარო 9 ½ წლისაა, მაინც ხშირად აატირებს ხოლმე თავის 4 წლის ძმას, რომელსაც სათამაშოს, ტანისამოსს ანუ სხვა რამეს გაუფუჭებს ხოლმე. მასწავლებელნი ამბობენ: დაროს არც ჭკვა აკლია, არც სულით ავათმყოფიაო; მასში მხოლოდ სრულიად დახშულია ზნეობითი ვრძნობები.

მოხდება ხოლმე, რომ ბავშვის თუ მოსწავლის სულით ავათმყოფობა წარმოსდგება სხეულის რომელიმე ნაწილის ანუ ორღანოს მოშლისაგან, რისგამოც რაწამსაც მოარჩენთ მოშლილს ასოს, სულით ავათმყოფობაც მაშინვე იკარგება. აი ამისი მაგალითები

სანდრო 15 წლისაა; მას დიდი ხანია სტკივა ცხვირის შიდა კანი, რომელიც ისე აქვს დასიებული, რომ წესიერს სუნთქვას უშლის; ხშირად იცის თავის ტკივილი, არ შეუძლიან გაკვეთილების მომზადება, რადგანაც ჩქარა ავიწყდება დასწავლილი და საზოგადოთ დუნდულა აზრის ყმაწვილია, დაღვრემილი. უბრალო მოწვამ ცხვირის შიდა კანისამ ისე გამოაცოცხლა სანდრო, რომ მას სრულიად დაეკარგა მოხსენებული ნიშნები სულით ავათმყოფისა და ამის მერე კარგათაც სწავლობდა. აი მეორე ასეთივე მაგალითი:

ლიზას დაბადებიდანვე არ შეეძლო ცხვირით სუნთქვა, შვიდი წლისამ დაიწყო სკოლაში სიარული, მაგრამ ცუდათ სწავლობდა, კლასში უყურადღებოთ იყო, სჭირდა გულ-მავიწყობა და გონება დაბნეულობა, ხშირად უჩიოდა თავის და შუბლის ტკივილსა. ლიზას გაუკეთეს ცხვირში აპერაცია და ყოველი ზემოთ-მოხსენებული ნიშნები სულით ავათმყოფობისა იმ წამიდამვე დაე-

კარგა. ქალი სრულიად გამოიცვალა, თითქოს ახლად დაიბადაო. წინად რომ მარად მოწყენილი და მიუკარებელი იყო, ახლა იგი, პირიქით, მუდამ მხიარულია და ყველაფერს, რაც მის გარშემო არსებობს ანუ ხდება, დიდის ხალისით თვალყურს ადევნებს, ყურადღებას აქცევს. აი კიდევ ერთი ასეთი მაგალითი: ერთს ყმაწვილს ცხვირი მუდამ დაცმული ჰქონდა (სურდოსგან); კლასში წერის დროს, როდესაც ჩქარი მოსაზრება იყო საჭირო, იგი ბევრს შეცდომებს აკეთებდა, ხოლო შინ, სადაც მას ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა, თავისი სიბეჯითის გამო, იგივე ყმაწვილი შეცდომებს თითქმის სრულიად არ აკეთებდა. გაასინჯვინეს ყმაწვილი აქიმებს და აღმოჩნდა, რომ მას ცხვირში უშველებელი მუწუკი აქვს. მოჭრა ამ მუწუკისა და ყმაწვილის სრული მორჩენა სულით და გონებით ერთი იყო.

ასეთივე გავლენა აქვს ბავშვებზედ ყურის ანთებას. გახსოვდეთ, მშობლებო და მასწავლებლებო, ეს და ყოველს ასეთს შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაასინჯვინეთ ბავშვი სულით ავათმყოფობის ძოდნე აქიმსა. გაასინჯვინეთ აგრეთვე მაშინ, როდესაც ცოცხალი და მოძრავი ხასიათის მაგიერ ყმაწვილი იჩენს უცნაურს სიდარბაისლეს და დაღვრემილებას, მეტის-მეტს, მაგრამ ერთმხრივ ნიჭიერებას რომელიმე საგანში და ანუ უნიჭობას, თუმცა ყმაწვილი ბევრს სცდილობს, რომ კარგად ისწავლოს და სხვ. ჩვენ ვამბობთ დაუყოვნებლივ აჩვენეთ ასეთი ბავშვი აქიმსაო, ეს იმიტომ, რომ ხშირად, ბავშვი თუმცა აშკარათ ავათ არის, მშობლები და მასწავლებლები მას მაინც ძალას ატანენ სწავლაში და ამისგამო, სწორედ იმ დროს, როცა ბავშვის ტვინი სრულს მოსვენებას ითხოვს, მას მძიმე სამუშაოებით ტვირთავენ, ასუსტებენ და ხშირად სრულიადაც ჰლუპავენ.

სულით მოშლილობას ეკუთვნის აგრეთვე სრული

ყურის-ყოფა საჭმლისა. მოხდება ხოლმე, რომ ბავშვს რც სტომაქი აქვს მოშლილი, არც სხვა რომელიმე ორგანო საჭმლის მონელებისა, მაგრამ საჭმელს კი მაინც ზედ არ იკარებს, იმისთვის თუ, რომ ყურადღება დაიმსახუროს, და ამის გამო, რა თქმა უნდა, ყმაწვილი ჩქარა სრულიად სუსტდება, იქანცება. ამისი უკეთესი წამალი საავათმყოფოში მიცემაა დაუყოვნებლად, შინაურის წამლობით აქ ვერას გახდებით.

მოგეხსენებათ, რომ ყოველს ადამიანს სჭირს სიამპარტავნე, თავმოყვარეობა; ეს უკანასკნელი შეიძლება გავყოთ ორად: ერთია პატივისცემა თავის თავისადმი და მეორე—პატივის შეძენა სხვათაგან. სულით ავათმყოფობაში ეს მეორე მხარე თავ-მოყვარეობისა უმაღლეს ხარისხამდე ადის; ამ სენით შეპყრობილს სწადიან, რომ ყველასი ყურადღება მიიქციოს და აი სტირის, ჯავრობს, დავარდება ძირს, გორავს, ფეხებს, ხელებს, თავს არტყამს და სცემს იატაკზე. ეს ის სენია, რომელსაც რუსები **ისტერიკას** ეძახიან. იგი ერთგვარად ემართება ქალებსაც და ვაჟებსაც, დიდებსაც და პატარებსაც. ზემოთ რომ „გადამკიდე აზრები" მოვიხსენეთ, ხშირად თანა სდევს ასეთს ავათმყოფებს. ჩაუჯდებათ თავში ვისიმე გადაწვა, რისიმე მოპარვა და ზედ რომ შეაკვდეთ, ვერაფრით მოაშლევინებთ. პირველი საშუალება ამ სენის მოსარჩენად ბავშვის უადგილო მოთხოვნილების აუსრულებლობაა და ხასიათის განმტკიცება, რადგანაც ასეთს ავათმყოფებს საზოგადოთ ძლიერ სუსტი ხასიათი აქვთ ხოლმე, თუმცა მშობლებს, პირიქით, ყმაწვილის ასეთი მოუდრეკელობა ხასიათის სიმტკიცედ მიაჩნიათ. ყოველ სხვა გვარ სასჯელს კი ერიდეთ (კარცერში დამწყვდევა, უსაჭმლოდ დატოვება და სხვ.), განსაკუთრებით ცემას. ავათმყოფმა დეე იტიროს, იგოროს, ჟინი მოიკლას, მაგრამ რის შესრულებასაც ითხოვს, ნუ-

რაფერს ნუ შეასრულებთ. ყურადღების არ მიქცევა, არაფრათ ჩაგდება ასეთის ავათმყოფის მოთხოვნილებათა, გულ-გრილობა მისდამი და სხვა ამ გვარები, უკეთესი წამალია ამ სენით შეპყრობილთათვის. როცა ჟინი გაუვლის ავათმყოფს, აღარაფრის გულისთვის აღარ უნდა გაახსენოთ ხოლმე ეს ამბავი და სხვებსაც უნდა დაუშალოთ, რომ აღარ მოაგონონ მისი ეს ამბავი. ერთი სიტყვით, ასეთი ავათმყოფისათვის საჭიროა სრულიხორციელი და სულიერი სიმშვიდე.

თავი მიზეზი ბავშვთა ისტერიისა—მემკვიდრეობით და შთამომავლობით გარდმოცემაა ამ სენისა. შემდეგ—რაიმე მოულოდნელი უბედურებისაგან, დასუსტებისაგან, დაქანცვისაგან, სქესებრივი გრძნობის შეურაცხყოფისაგან და სხვ. მაგრამ ეს სენი უფრო გადაედება ხოლმე ბავშვებს სხვებისგან, მაგ., როცა ჰხედავენ სევდ-ქარებიან დედის კრუნჩხვას. ასეთს ,,ერთი-მეორისაგან გადასადებს ისტერიას ეწოდება **გადასადები ისტერია,** რომელიც ხშირად ძლიერ გავრცელდება ხოლმე სასწავლებლების პანსიონებში, განსაკუთრებით დედათა სქესისაში.

მეორე მიზეზი ისტერიის აღძვრისა ყმაწვილებში, თვით ამათი აღზრდაა, პირველი, **ძმობლებისაგან**, რომლებიც თავისი შორს-გაუქვრეტელობისა გამო, ისტერიას სთელიან საუკეთესო საშუალებად, რომ მათს შვილს ყურადღება მიაქციონ და ამ მიზნით აქეზებენ კიდეც თავისს შვილებს ამ ხერხის მოხმარებაზე და **მეორე, სკოლისაგან,** ძის იმ შიშის და თავ-ზარისაგან, რომელსაც ჩვენდა სამწუხაროდ ასე ხშირად და უხვად ხმარობს სკოლა ბავშვების მონურს მორჩილებაში ყოლისათვის, თუმცა იქ, სადაც მოწაფეებს წესიერად უვლიან, ისტერიანი მოსწავლენი, დანარჩენ ნორმალურად აღზრდილ და ჯანმრთელ ყმაწვილების გავლენით, პირიქით, თვითონაც

მალე რჩებიან. ასე რომ გავრცელებული აზრი, ვითომც, სწავლა ხელს უწყობდეს ისტერიას, შემცდარი აზრია.

მოგვყავს აქვე სისრულისათვის შიშსა და თავზარზედ მოკლეთ, ჩვენივე წერილიდან ამის შესახებ, რომელიც დაბეჭდილი გვქონდა „გამოსადეგ ცნობების“ პირველს წიგნში: განსაკუთრებით შავნებელი და დამღუპველია **შაშას გრძნობა, შაშა ანუ თავ-ზარი**, რადგანაც იგი საშინლად გადამდებია. მოგეხსენებათ, რომ თუ სადმე, რომელიმე წრეში ანუ საზოგადოებაში, ვსთქვათ, ხუთიოდე ანუ ათიოდე კაცს თუ ქალს შიში ანუ თავზარი დაეცა, მათგან ეს შიში ისეთის სისწრაფით გადადის სხვებზე, რომ სულ რამდენსამე წამში მთელი საზოგადოება იმსჭვალება ამ შიშით და გაუგებრად გარბის, საით, თითონაც არ იცის, რისგამოც, ასეთს შემთხვევებში ხშირად ბევრი ხალხი იღუპება ერთმანერთის გათელვისაგან. დიახ, შიში ისეთივე გადამდები სენია, როგორც ჭირი, ხოლერა, ყვავილი და უფრო უარესიც! ამიტომ არის, რომ შიშის წინააღმდეგაც ისეა საჭირო ბრძოლა, როგორც მოხსენებულ სხვა გადამდებ სენებთან.

შიშის გრძნობა წარმოსდგება მაშინ, როცა ჩვენს სიცოცხლეს თუ მდგომარეობას რაიმე დიდი განსაცდელი, უბედურება მოელის. ასეთს შემთხვევაში, ადამიანი, ჩვეულებრივ, აზვიადებს თავის საშიშ მდგომარეობას დაკიდევაც ეს გაზვიადებული წარმოდგენაა სათავე და მიზეზი შიშისა. ამ დროს ადამიანი ჰკარგავს ხასიათის სიმტკიცეს და ენერგიას, იგი მთლათ შეპყრობილია ამოს ლოდნელ უბედურებათა წარმოდგენებით, თირკმელები, გული და სისხლის ბრუნვა ეშლება, თმები ებურძგნება, მოსაზრება სრულიად უჩერდება, დედებს რძე უშრება და ვხვა. თქმა არ უნდა, რომ ასეთს ყოფაში ადამიანი დიდს სნებასა და მწუხარებას გრძნობს და ამ გვარად სულ იშლება, ავად ხდება და ხშირად კვდება კიდეც. ტყუილად

კი არ ამბობს ბესა, რომ ხანგრძლივი შიში უფრთხობს ადამიანს ძილს, უკარგავს მადას, ჭკვას, მოსაზრებას და ხშირად სრულიად ხელსაც აღებინებს თავისს საქმეზედ; სადაც გამეფებულია შიში, იქ ყოვლად შეუძლებელია წესიერად წინ-სვლა და განვითარებაო, ხანგრძლივი შიშინელი გადაგვარება და სიკვდილიაო.

მავნებელია შიში განსაკუთრებით ბავშვებისათვის და ამიტომ ყოველი საშუალება უნდა იღონოთ მშობლებმა, რომ ერთს წუთსაც არ აგრძნობინოთ თქვენს შვილებს შიში, არ დააშინოთ ისინი, როგორც ეს ხშირად იციან ჩვენს მდაბიო ხალხში, რადგანაც, როგორც ზემოთა ვსთქვით, თუ დიდებზე ისე საშინლად მოქმედებს შიში, ბავშვებს ხომ სრულს ცეცხლში აგდებს იგი!.. დღევანდელმა მეცნიერებამ და პედაგოგიამ მხოლოდ ეს ერთი მოხსენებული წამალი იცის შიშის ასაცდენად ადამიანში და მეორე, რომ თვით დიდებმა ყოველ დროს და ყოველი საშუალებით ეცადნენ თავიანთში შიშის გრძნობის ალაგმვას და სრულიადაც მოსპობას, რა განსაცდელშიაც უნდა ჩავარდნენ როდისმე.

სულ სხვა გვარი, თითქმის სრულიად ამისი წინააღმდეგი გავლენა აქვს სიამოვნება-სიხარულსა. სპენსერი ამბობს: „სიამოვნება ნამდვილი და პირველი წამალიაო; იგი აჩქარებს სისხლის მოძრაობას, აღორძინებს ყოველ ორღანოს მოქმედებას ჩვენს სხეულში და ამით საზოგადოთ სწრაფათ უბრუნებს ავათმყოფს დაკარგულს ჯანმრთელობასაო“ და **სულის საშვადეს**.--დავუმატებთ ჩვენ. ამიტომ არის, რომ მშობლები მარად და მარად იმას უნდა სცდილობდნენ, რომ რაც შეიძლება მეტი სიამოვნება-სიხარული აჩვენონ თავიანთ შვილებსა, ერიდნენ ტყუილ-უბრალოდ გამუდმებულს სისინსა და, პირიქით, ხშირად ართობდნენ მათ მოგზაურობით, ეკსურსიებით და სხვა და სხვა გასართობებით ღა შექცევებით წმინდა ჰა-

ერზე. ესევე მიზეზია, რომ მასწავლებელი ყოველი საშუალებით უნდა სცდილობდეს, რათა კლასი მისი მარად სიამოვნება-სიხარულში იყოს და არა შიშსა და მომაკვდინებელ დაღვრემილება-მოწყენილობაში. გვახსოვდეს: **შიშს ტანჯვა და საგვდალი მოსდევს, ხოლო სიამოვნება-სიხარულსა—ნეტარება და სიცოცხლე!..**

ახლა, როგორ უნდა ვასწავლიდეთ სუსტ გონებიანებს?..

ეჭვი არ არის, რომ სუსტ და ჩლუნგ გონებიანი ბავშვებისთვის არ გამოდგება ჩვეულებრივი სკოლა, მათთვის საჭიროა ცალკე სასწავლებელი, მათს ნიჭსა და ხასიათზე მოწყობილი, საჭიროა უფრო რჩეული და დახელოვნებული მასწავლებლები. ხოლო, რაც შეეხება ასეთის ბავშვების მდგომარეობას ჩვეულებრივს სასწავლებლებში, აუცილებლად საჭიროა, რომ მათთვის იქ ცალკე (ჯგუფები) კლასები არსებობდეს, იმ საგნებში მაინც, რომლებშიაც ესენი განსაკუთრებულს უნიჭობას იჩენენ. რაც შეეხება სწავლების მეთოდს, იგი მარად თვალ-საჩინო უნდა იყოს და იმას სცდილობდეს, რომ ნელ-ნელა და თან-და-თანობითი თვალ-საჩინო ვარჯიშობით დაახელოვნონ ასეთი ბავშვები ფიქრსა, მსჯელობასა, მოსაზრებაში. ყოველი საგანი, რომელიც გნებავთ გააცნოთ ყმაწვილებს, საჭიროა ჯერ ყოველი მხრით გაასინჯოთ ასეთს ბავშვებს თვალით, შეხებით და შემდეგ ისე ელაპარაკოთ, მაგრამ, რადგანაც ყველაფერი ნახული და ნალაპარაკევი ასეთს ყმაწვილებს ფრიად ჩქარა ავიწყდებათ, თითქოს მათ ეს საგანი თავის დღეში არ უნახავთო და მათზე მათთვის არავის ერთი სიტყვაც არ უთქვამთო, ამიტომ სწავლა ერთ და იმავე საგანზედ რამდენჯერმე უნდა გაუმეოროთ, ვიდრე ყველაფერს კარგათ არ დაიხსომებენ და არ გაიგებენ.. საჭიროა აგრეთვე ყოველი წინათ შესწავლილის ხშირად გახსენება, განმეორება. რა

თქმა უნდა ასეთის სწავლებით საქმე კუს ნაბიჯით მიდის წინ, მაგრამ მასწავლებელი ამან არ უნდა შეაშინოს, იგი მაინც მარად დიდის მოთმინებით უნდა იყოს შეიარაღებული და იმედს არ ჰკარგავს, რომ ბოლოს ასეთი ყმაწვილებიც ხშირად იმდენს სწავლობენ და, იმდენად ვითარდებიან, რომ სასარგებლო წევრნი გამოდიან საზოგადოებისა, მაშინ როდესაც უსწავლელად ესენი დროს მიმავლობაში უარესად ჩლუნგდებიან გონებით, ბიჭოორად ხმარობენ თავისს ფიზიკურს ღონეს, ადვილად ემორჩილებიან თვისს ხორციელ ვნებებს და სურვილებს. ერთი სიტყვით, სწავლასა და აღზრდას მოკლებული ასეთი ბავშვები ადვილად ხდებიან საპატიმროთა მსხვერპლნი...

მეორე პირობა სუსტ და ჩლუნგ გონებიანების წარმატებით სწავლებისათვის არის თანასწორად აღძვრა მათის ყოველ ნიჭთა. რაც უნდა სუსტნი იყვნენ ესენი, უნდა ყოველის საშუალებით ერიდნეთ ერთ-მხრივობას, ე. ი. მარტო ერთი რომელიმე ნიჭის საგანგებოთ განვითარებას. ეს უმთავრესი ადგილია სუსტ და ჩლუნგ გონებიანების სწავლა-აღზრდაში და თხოულობს მასწავლებლისგან დიდს ნიჭსა და შრომასა.

გარდა მოხსენებულისა საჭიროა მარად და ყოველთვის აღძრავდეთ სუსტ გონებიანებს თვით-მოქმედებით შრომაზედ, სწავლაზედ; ნებას არ უნდა აძლევდეთ, რომ ისინი განცხრომით და წყნარად ისხდნენ კლასში და ისე შესცქეროდნენ და ყურს (ვითომც) უგდებდნენ მასწავლებელს, არამედ საჭიროა, ყოველი ღონე იღონოთ, რომ ასეთი მოსწავლენი უთუოთ მასწავლებელთან ერთად მუშაობდნენ, მოქმედებდნენ, ფიქრობდნენ, ჰკვა-გონებას ამოძრავებდნენ, ამუშავებდნენ, რისთვისაც საჭიროა, რომ მოსწავლენი დაუყოვნებლივ გაიმეორებდნენ მასწავლებლისაგან ნაამბობს, კითხვას, პასუხს, ერთი სი-

ტყვით, ნება არ უნდა მისცეთ, რომ მათი გონება სთვლემდეს იმ დროს, როცა საჭიროა ყურადღება, ფიქრი, დასკვნა, სიფხიზლე, ე. ი. ყოველი ასეთი ყმაწვილი უნდა სწერდეს, სთვლიდეს, ხატავდეს, მღეროდეს, ლაპარაკობდეს, იძლეოდეს კითხვებს, ამოძრავებდეს ხელს, ტანს, სადაც საჭიროა ეს და სხვ.

სუსტ და ჩლუნგ გონებიანებს იგივე საგნები უნდა ვასწავლოთ, რასაც ჩვეულებრივი გონების ბავშვებს ასწავლიან, მაგრამ უფრო ნელი ნაბიჯით და თან-თანობით და პირველად უთუოდ ის ნაწილი საგნისა, რომელიც უფრო თვალ-საჩინო და ადვილ-გასაგებია. ერთი სიტყვით, არსად არ არის ისე საჭირო—დაცულ იქმნას სწავლების კონცეტრაცია, როგორც აქ. უმთავრესად კი საჭიროა ყურადღება მიაქციოთ მეტყველების გახსნას და ფერების, ფორმების და რაოდენობის ცოდნას, რადგანაც ასეთი ბავშვები ჩვეულებრივ ან სულ მუნჯნი არიან, ან თუ ლაპარაკობენ, ძლიერ ცუდათ. განსაკუთრებით კარგათ მოქმედებს ასეთს ბავშვებზედ ეკსურსიები ახლო-მახლო ადგილებში, თამაშობანი მინდორზედ, დაკვირვებით გასინჯვა და თხრობა ყოველის ნახულისა და, თუ წერა იციან, ადგილზედვე ჩაწერა იმისა, ვისაც რის ჩაწერვა ჰსურს. გახსოვდეთ, ათი სტრიქონი თავისით, საკუთარი აზრის და დაკვირვების ჩაწერა უფრო მეტ საუნჯედ უნდა მიიჩნიოდ, ვიდრე ათი თაბახის გადმოწერა ანუ უკვე შესწავლილის და წაკითხულის დაწერვა...

ივანე როსტომაშვილი.

სწავლა-აღზრდის რეფორმატორნი.

მონტენი *)

1533—1592.

ნაბელიემ თუმცა მიიღო აღორძინების ეპოქისმიერ დაბყარებული იდეალი, მაგრამ მაინც ძალიან ბევრში დასტოვა იგი უკანა. მან სთქვა: „უდიდესი მსწავლულნი ჯერ კიდევ უდიდესი ბრძენნი არ არიანო“, და ამით გამოხატა ყოველივე ის, რაც აღორძინების ეპოქის მსწავლულთ-მიერ იყო დაწუნებული და უვარგისად აღიარებული. მონტენში ჩვენ ვხედავთ ახალ აზრების ნაკადულის მიმდინარეობას. ჭეშმარიტება ყველასათვის ხელ-მისაწდომია, მაგრამ ყველასათვის კი ცხადი არაა იგი და არც ყველანი ხელ-მძღვანელობენ მისით ცხოვრებაში; მხოლოდ გენიოსი ჰხედავს ჭეშმარიტებას ცხადათ და თვალ-ნათლივად. ყოველ გენიოსს როდი აქვს მინიჭებული ნიჭი მჭერ-მეტყველურად ლაპარაკისა და წერისა; ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი გზაა დარჩომილი: გააცნოს კაცობრიობა იმ იდეალებს, რომელთაც თაყვანსა სცემს იგი, მთელი თავისი სიცოცხლე შესწიროს და ემ-

*) იხ. „მოგზაური“ № 11 და 12, 1902 წ.

სახეროს მათ და ამ ნაირად გაავრცელოს იგინი. სწავლა-აღზრდის საქმეში ამ ნაირ გენიოსებად ითვლებიან კომენსკი, პესტალოცცი და ფრებელი; დანარჩენი გენიოსები კი დაჯილდოვებულნი იყვნენ მეტევრმეტყველური ნიჭით და პოეტლობდნენ ჭეშმარიტების გამოსათქმელად ისეთ ფორმებს, რომელნიც ხდებიან უკვდავად, როგორც უკვდავია თვით მათში გამოთქმული ჭეშმარიტება. ამ ნაირ პირებს შორის დავასახელებთ მონტენს და რუსსოს. ჩვენ რომ ვიკითხოთ: „რა გააკეთა მონტენმა“? პასუხად მივიღებთ: „არაფერიო“. „რა სთქვა და რა დასწერა ფრებელმა“? მან ბევრი რამა სთქვა, მაგრა არა მგონია წაეკითხოს იგი ვისმეს და ნამეტნავად გაეგოს. მიუხედავათ ამისა, როგორც ერთს, ისე მეორეს სწავლა-აღზრდის ისტორიაში შესამჩნევი ადგილი უჭირავთ. მონტენმა უკვდავ ჰყო თვისი სახელი თავისი «გამოცდებით» (თხზულებაა მისი), ფრებელს კი მთელი განათლებული კაცობრიობა იცნობს მის საბავშვო ბაღებით.

აღორძინების ეპოქის იდეალი ძალიან დიდს მნიშვნელობას აძლევდა **მსწავლულობას** (ученость). აქედგან წარმომდგარ სწავლა-აღზრდას, მონტენის აზრით, სახეში არა ჰქონდა **საქმის გაცის** აღზრდა-**განვითარება**. უკანასკნელი მეცადინეობს, რომ ქველობა, სიბრძნე და ნიჭი გონივრული მოქმედებისადმი უფრო მუყაითად იქმნენ განვითარებულნი, ვინემ მსწავლულობა. სწავლა-აღზრდამ უნდა განავითაროს ნიჭიერებანი. განათლებას არ შეიძლება ისე ვუყუროთ, როგორც წინანდელი პედანტი მასწავლებლები უყურებდნენ მას. ცოდნა არ შეიძლება ტვინს მივაკრათ. იგი უნდა შეიქმნეს მის ნაწილად, უნდა მასთან შესისხლ-ხორცდეს.

აი ორი უმთავრესი აზრი, რომელშიაც მონტენი არ ეთანხმება აღორძინების ეპოქის სწავლა-აღზრდის შეხედულობას:

1) ცოდნა არ არის საფუძველი აღზრდისა და
2) ზეპირად ცოდნა ჯერ კიდევ ცოდნა არაა.

აი ზოგიერთი მისი სხვა აზრებიც: ,,სწავლაში ყოველივე ბოროტება წარმოსდგება უხეირო და უვარგისი სწავლებისაგან; გასაკვირველი ისაა, რომ ეხლანდელი მეთოდით ნასწავლნი, როგორც მოწაფენი, ისე მასწავლებელნი სრულიად მოუმზადებელნი და უვარგისნი გამოდიან ცხოვრებისათვის, თუმცა ბლომა საგნებს კი სწავლობენ. ჩვენი დედმამების ყოველივე მზრუნველობა და ხარჯი მხოლოდ იმისაკენაა მიმართული, რომ რაც შეიძლება მაგრად გამოგვიტენონ თავი სხვა და სხვა საგნების შესწავლით. მაგრამ იმაზე კი არავინა ფიქრობს, რომ ააღორძინონ აგრეთვე ჩვენი გონება და სათნოება. საკმარისია წარმოსთქვათ ერთზე ქუჩაში:—,,აი მსწავლული კაცი''; და მეორეზე—,,აი საქმის კაცი'', და საზოგადოება ერთ წამსაც არ მოაკლებს პირველს თავის ყურადღებას და პატივისცემას. ჩვენი მოუალეობა იყო გვეკითხა: რომელი უფრო კარგათაა ნასწავლი და არა ის, თუ რომელმა უფრო ბევრი სწავლა შეიძინა!?

მონტენის აზრით უკეთესი აღმზრდელები იყვნენ სპარტანელები, რომელნიც ყურადღებას არ აქცევდნენ სიტყვიერებას და მხოლოდ ახალგაზრდობის ხასიათის, სულის სიმტკიცის და ენერგიის განვითარებაზედ მეცადინეობდნენ. ათინაში მთელი ყურადღება **სიტყვებზედ** იყო მიქცეული, სპარტაში კი **საქმეზედ**; ათინაში ყმაწვილებს ასწავლიდნენ ლამაზად ლაპარაკს, სპარტაში—კარგათ მოქცევას და **მოქმედებას**; ათინაში ყმაწვილებს აჩვევდნენ სოფისტური არღუმენტების (საბუთების) დარღვევას, სპარტაში კი უბედურობისა და ცხოვრების ჭირვარმის პირდაპირ შეყრა-ატანას, რომ არაფრისა ჰშინებოდათ მათ, თვით სიკვდილისაც კი. აღზრდის ერთი სისტემით ვითარდებოდა ენა, მეორით კი **გული** და **სული**.

ამიტომ საკვირველი არ არის, რომ, როდესაც ანტიპატრიმ მოინდომა ხუთი სპარტანელი ყმაწვილის მძევლად წაყვანა, სპარტამ უარი შეუთვალა და თანაც დასძინა, რომ იგი უფრო მალე დასთანხმდება მოზრდილების ორჯელ მტის მიცემაზედ.

გასაკვირველია XVI საუკუნეში იმ ნაირი კაცის შეხვედრა, რომელიც გამუდმებით იმოწმებს ძველ კლასსიკურ მწერლებს და ამავე დროს კი ამტკიცებს, რომ „ჩვენ ისე შევეჩვიენით სხვის ფეხებით სიარულსა და სსვის ხელებით ტარებასა, რომ ჩვენი საკუთარი ხელები და ფეხები ჰკარგამენ უკანასკნელ ძალას". ყმაწვილს იმას კი არ უნდა ვასწავლიდეთ, რასაც ამბობდნენ ძველი მწერლები, არამედ იმას, რაც თვითონ დასჭირდება მას შემდეგში; საჭიროა სიბრძნე და არა ცოდნა! „შეიძლება სხვის ჭკუით გაგონივრება და განვითარება, მაგრამ დაბრძენება კი მართლა საკუთარის სიბრძნით შეიძლებაო", —ამბობდა მონტენი.

ამ ნაირად მონტენი ძალიან ნაკლებ თანაუგრძნობს აღორძინების ეპოქის შეხედულობათ; იგი ჰკიცხავს თავის აღზრდას და აღიარებს, რომ ჩვენ მხოლოდ მაშინა ვართ ნამდვილად განვითარებულნი და ნასწავლნი, როცა საფუძვლიანათ ვიცნობთ აწ-მყოსა და არა მარტო წარსულსა და მომავალსა". ჩვენი აღმზრდელები ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევენ მეხსიერების ვარჯიშობას და მის დატვირთვას და ნამდვილად სასარგებლოს კი უყურადღებოთ სტოვებდნენ; როგორც ფრინველი, როცა თავის ბღარტებისთვის ჰკრეფავს საჭმელს, თვითონ არა შინჯავს ხოლმე გემოთ, ისე ჩვენი პედანტი მასწავლებლები იღებენ თავიანთ ცოდნას ძველი მწერლების ნაწერებიდგან მხოლოდ იმიტომ, რომ გადასცენ იგი თავიანთ მოწაფეებს".

აი მონტენის შეხედულობანი. რა უნდა ვსთქვათ

ჩვენ, ახალის დროის მასწავლებლებმა ამის წინააღმდეგ? თუ გულ-ახდილად მოვიქცევით, მის ,,გამოცდების'' წაკითხვა-გაცნობის შემდეგ, უნდა გულწრფელად ვაღიაროთ, რომ ბევრში მართალი იყო იგი, რომ ბევრი მისგან აღიარებული და ნაჩვენები შეცდომილება და შეუსაბამობა დღემდე დარჩენილია ჩვენს სკოლებში.

არ შეგვიძლიან დავეთანხმოთ მხოლოდ მის ერთს შეხედულობას. მონტენი, როგორც შემდეგში მისი მიმდევარნიც ლოკკი და რუსსო, თვითეულს ყმაწვილს უნიშნავს საკუთარს მასწავლებელს, რომელიც მხოლოდ მაზედ ზრუნავს. სასურველია თუ არა ამნაირი აღზრდის მეთოდი? არა ვვგონია შემცდარი ვიყვეთ, თუ გადაწყვეტით ვიტყვით, რომ უმეტეს შემთხვევაში ამ ნაირი მეთოდი უვარგისი და გამოუსადეგარია. ყმაწვილებს შეჰფერის და სასარგებლოცაა თავის ტოლ-ამხანაგებთან ერთად ზრდა.

აღორძინების ეპოქის მსწავლულნი ისე დიდათ აფასებდნენ ლათინურ და ბერძნულ ენებს და აგრეთვე ბერძენთა და ლათინთა მწერლებს, რომ დაჟინებით თხოულობდნენ დიდის ცოდნის (ученость) შეძენას, რადგან მასში ხედავდნენ მთელის აღზრდის მიზანს და დანიშნულებას. როდესაც თვით ცოდნას მოაკლდა წინანდელი პატივისცემა, შემცირდა მის შესაძენი შრომა-მეცადინეობაც. ორმოც და ათი და სამოცი წლების წინედ ჩვენს სკოლებში უყურებდნენ ძველი ენების შესწავლას უფრო როგორც საშეცადინო საქმეს და აი ჩვენ ვხედავთ, რომ უმეტესმა ნაწილმა მაშინდელი ახალგაზდობისამ კლასიკური განათლება ვერ მიიღო. მასწავლებლებმა უკუ-აგდეს აღორძინების იდეალით გატაცება და ბევრში თანხმანი გახდნენ მონტენის შეხედულობისა; მხოლოდ, ვგონებ, არ დაეთანხმნენ მას უმთავრესში: მონტენი თხოულობდა, რომ აღზრდაში პირველი შრომა-მეცადინეობა

გამობატულიყო სათნოების და გონების განვითარებაში. მონტენის სისტემა წინააღმდეგია წიგნებისაც. ,,ჩვენს სიცოცხლეში—ამბობს იგი, შეიძლება ბევრი რამ უწიგნოთაც შევიძინოთო, მხოლოდ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ ყველა იმას, რაც ჩვენს გარშემო ხდებაო''. იგი სკოლის გარეშე სწავლას უფრო მეტს უპირატესობას აძლევდა. ,,ლათინური და ბერძნული ენების ცოდნა კი არაა საჭიროვო,—ამბობდნენ მონტენის გავლენით XIX საუკუნის პირველი ნახევრის მასწავლებლები, საქმე სკოლის მიმართულება და მოწაფეთა დისციპლინაა''. უკანასკნელს დროში ხელ-მეორედ შეიცვალნენ შეხედულობანი. სკოლაში სამუშაოს სავარჯიშო მნიშვნელობა აღარა აქვს, დღეს იგი განსაკუთრებული ძალ-დატანებით სწარმოებს.

რამ გამოიწვია ასეთი ცვლილება?

ახალგაზრდობას მაგდენ ძალას აღარ ატანენ კლასსიკურ განათლების მისაღებად, რადგან დარწმუნდნენ, რომ ძველი ენების უცოდინარათაც კარგათ შეიძლება ცხოვრება.

მაგრამ ეხლანდელ დროში გამოიწვია საერთო თანუგანისცემა და პატივი ახალმა ცოდნამ. მეცნიერება ისე ბევრს დაგვპირდა, რომ ბევრმა, ახალი მოძღვრების მიმდევარმა, გერბერტ-სპენსერთან ერთად, წარმოიდგინა, რომ კაცის ბედნიერება დამოკიდებულია ცოდნათა რიცხვზე, რომელთა შეძენაც მოასწრო მან ყმაწვილობაში. ეს პირველი მიზეზია.

მეორე და უმთავრესი მიზეზი გახლავთ (საკაროდ) ერცელი განვითარება ეგზამენაციური სისტემისა. როდესაც გამოცდისათვის (ეგზამენისათვის) ვემზადებით ხოლმე, ჩვენ მაშინ უმეტესად ვავარჯიშებთ და ვანვითარებთ დანარჩენ ნიჭთა საზარალოთ მარტოოდენ მეხსიერებას.. აქ ცოდნა და მეხსიერების განვითარება შეადგენენ აღზრდის

უმთავრესს მიზანს, ყოველი დანარჩენი კი თითქმის მიტოვებულია. თუმცა აღზრდას სახეში აქვს განვითარება ყმაწვილების სათნოებისა, გონებისა, კარგი ზრდილობისა და ცოდნისა, მაგრამ რადგან ეგზამენებს შეუძლიანთ მხოლოდ ამ **უკანასკნელის** დაფასება, ამიტომ გასაკვირველი ისაა, რომ მასწავლებლის მთელი ყურადღება მხოლოდ ამაზედაა მიქცეული; მათი ბედი ხომ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ დაიჭერენ მათი მოწაფენი ეგზამენს; ჩვენ არც კი გვაქვს უფლება მოვთხოვოთ მათ, რომ უმთავრესი ყურადღება მიაქციონ აღზრდის სხვა უფრო უსაჭიროესს მხარეებსა.

დიდი ცვლილება ჩამოვარდა სკოლებში; ყმაწვილების შრომა-ჯაფა აღემატება მათს ძალ-ღონეს და თვით მასწავლებლებიც ყმაწვილების სწავლა-აღზრდაში წარმატებას სკოლიდგან გამოტანილ ცოდნათა რაოდენობით სჯიან. დროა ბოლო მოეღოს ამ ნაირ შეხედულობას, დროა გამოჩნდეს მეორე მონტენი და წინააღუდგეს ამ ნაირ რეჟიმსა და დაამტკიცოს, რომ კაცის სულიერი ცხოვრება იმ ცოდნის რაოდენობით არ გაიზომება, რომელთაც ის დაინახსოვრებს, რომ ეს ცხოვრება ჭკუა-გონების განვითარების გარდა თხოულობს კიდევ მისგან ძლიერის სულის, ხასიათის და სიყვარულის განვითარებას და ყოველნაირი მშვენიერების, კეთილშობილობის და პატიოსნების შეგნებას. ეკლესიასტეში ნათქვამია: ,,სიბრძნე დედაა ცოდნისა, სიყვარულისა და წმინდა საოსებისა''. ჩვენს ეგზამენთა დროში არ შეიძლება შიში არ გვქონდეს, რომ ცოდნა, მსგავსათ ბიბლიური კაენისა, სასიკვდილოდ აღიღებს ხელს თავის ძმების—სიყვარულის და წმ. სათნოების წინააღმდეგ.

ეს ჩვენი დროის საერთო შიში უფრო თავს ჩენულობს სწავლა-აღზრდის საქმეში. დღეს ახალ-გაზრდაზედ სჯიან იმის მიხედვით, თუ როგორ დაიჭირა ეგზამენები,

ან დაამთავრა თუ არა ოქსფორდის თუ კემბრიჯის უნივერსიტეტში სწავლა. განა თვით ესაა უმთავრესი და არსებითი აღზრდაში? არ დაიღუპება განა აღზრდა, თუ ჩვენი ყოველი ყურადღება იქნება მიქცეული მის უმნიშვნელო მხარეების მიზნისაკენ? *).

ალ. ტატუსაშვილი.

---

*) ლორდ არმსტრონგის თხუზულებაში: ,,the cry jow Useless knowedye''-ში, 1882 წ. ჩვენა გვოულობთ ბევრ იმსაირ ასრეებს, რომელნიც სამასის წლის წინად წარმოსთქვა მონტესმ. განათლების მოტრფიალეთ თავიანთ ასრის დასამტკიცებლად ძალიან ხშირად მოჰყავთ ხოლმე ძველი თქმულება: ,,ცოდნა ძალაა'' და თითქმის ამაზეა აშენებული მათის დასის დეგიზი. მაგრამ ეს შეცდომაა: ცოდნა ძალა კი არაა, არამედ ძალის მოსაპოვებელი საშუალებაა; ექიმის ხელოვნება რომელიმე ნაწილის მოშორებაში დამოკიდებულია იმდენად მის ცოდნაზედ არა, რამდენათაც მისგან დანის ოსტატურად და მარჯვედ ხმარებაზე. ჩვენს სკოლებში ბევრ იმისთანა უმნიშვნელო ცოდნას იძენენ, რომ ძალის მოსაპოვებელ საშუალებათაც არ გარგანან. ძალის ნამდვილი დასაბამი მდგომარეობს ჩვენი გონების თვით არსებით მოქმედებაში, რომელიც ჩენულობს თავს ცხოვრების წვრილმანებში და აღრეთვე მის უმთავრესს შემთხვევებში. ცხოვრებაში კაცის გამარჯვება უმეტესად დამოკიდებულია სასარგებლო და სახეირო მოქმედების ნაჯზე, ვინემ ცოდნაზედ; ამიტომ ახალგაზრდობის აღზრდაში ეურადღება ამ ნიჯის განვითარებაზედ უნდა იყოს მიქცეული. ბუნებისაგან მდიდრად დაჯილდოვებული და თავის ნიჯიერების გონიერულად და სასარგებლოდ მომხმარე კაცი უფრო დიდს პატივისცემაშია ჩვენს დროში, ვინემ მსწავლული და მეცნიერი.

გულის-ყური.

I.

ძალიან რთულია და საოცარი ბუნების მოვლენანი, საკვირველია მათი კანონები და მათ შორის დამოკიდებულობა. ამათზე უმეტესად აკვირვებს მეცნიერის გონებას ბიოლოგიური მოვლენანი, ორგანიზმის საიდუმლოება, თუ რა რიგ გაჩდა პაწაწა უჯრედში სიცოცხლის პირველი ნაპერწკალი, როგორ შეერთდენ ეს უჯრედნი, რაფრად შეიცვალენ ურიცხვ საუკუნეთა განმავალობაში ძვლებად, ხორცად, ძარღვებად, ტვინად, ნერვებად, სხვა და სხვა ორგანოებად, შექმნეს მტკიცე სახელმწიფო (ორგანიზმი) და იქცენ ცხოველის ან კაცის სხეულად. მაგრამ იმაზე უსაკვირველესი, რთული, ბუნდი და საიდუმლოებით მოცული კი არაფერია, როგორც **ადამიანის სული**.

რას არ სჩადის ეს საოცარი ძალა! იგი დამკვიდრებულია და სუფევს თავის ტვინში, განუფანტავს მთელს სხეულში, ვით ტელეფონის სიმები, აურიცხველი ნერვები, რომელთაც დაუქსელავთ ყოველი ორგანო, შედიან უხილავ ბეწვებად ყოველ უჯრედში და ატყობინებენ **მბრძანებელს** მათ საიდუმლოებას, მათ ყოველგვარ მოქმედებას. სული ამოძრავებს მთელს სხეულს და მის ნაწილებს, აძებნინებს საზრდოს, აგნებიებს და აშორებს

მტერს, აცილებს მავნე გარემოვლენებს და სხ. და **სხ.** სელია, რომ **ბრძაგს**, აზრობს, გრძნობს, მგონებლობს, ცნობს, მოქმედობს, სწუხს, ხალისობს... ერთი სიტყვით, სულია, რო ქმნის ისტორიას, ჰბადებს ხელოვნებას, აარსებს პოეზიას, ლიტერატურას და მეცნიერებას, ჰსურს შეიგნოს ყველაფერი, ებრძვის ბუნებას, მეცადინეობს, თუ ვერ შესცვლის მის კანონებს, დაიმონოს მაინც მისი ძალები, ცდილობს გახდეს უკვდავი და დასტკბეს უუზენაესი მარადის ნეტარებით. კიდევ... ეჰ, ვინ ასწერს ნეტა სულის ყოველგვარ მანქანებას, მის საოცარ თვისებებს და მის უუწმინდაეს მოძრაობას!..

მაგრამ სულში იმყოფება ერთი რამ, ურომლისოდ ადამიანი ვერც რამეს იგრძნობს, ვერც რამეს შეიგნებს და ვერც რამეს მოიმოქმედებს... ეს საკვირველი რამ არის **გულის-ყური.**

მაგალითათ, გადიშალა თქვენ წინ დიდებული სურათი: აი, შეეხო სინაზით ჩამავალი მზის ელვარე სხივები ზღვის მცელქარე ზილფებს, ააკრთო, ააჟრჟოლა ისინი და შეამკო ათასი ფერადებით. ატოკდა, აღიძრა მიძინებული სტიქიო, ვით ეშხ-მორეული, ვნება აღსავსე დიაცის გული; ფართქალებს იგი; თითქო ჰსურს დასტკბეს მსოფლიო ნეტარებით. მის ტიტველა მკერდის წყნარ ძგერას ეფინება ნელიად სხივთა უუწმინდაესი აფერადებული თქორი, ეთერის მთრთოლვარე ხიმსალნი, ციალებენ, ჰკოცნიან, ელოლავებიან მას და შორდებიან წყნარწყნარა... თქვენ შესტრფით ამ სანახაობას, თქვენი გულის-ყური მოიცვა ამან მთლად, ამღერდენ ესტეტიური გრძნობანი, დაგიტკბეს სული და მთელი არსება. თქვენ მთლად მზერად გადაიქეცით, არ გესმით არაფერი, მიგინაბავთ სულთქვა, არ იძვრით ოდნავაც... ამგვარსავე შთაბეჭდილებას ახდენს და ამრიგად იბყრობს უნებლიეთ გულის-ყურს მეტად კარგი სიმღერა ან მუსიკა, რომლის

ტკბილი ხმები შედიან სულში, იკავენ ერთიანად მის გულის-ყურს, შედიან თითქო სხეულში და ახალისებენ სისხლის ყოველ სორსალსაც კი.

არამც თუ ესენი, თითქმის ყოველი მოვლენა იზიდავს ადამიანის სულს და იპყრობს ცოტად თუ ბევრად **მის** გულის-ყურს. აი, დარეკეს ზარა, ჩვენს გულის-ყურში გაიელვა მან და აღიბეჭდა სულში. აგერ გაიფართხალა და გაფრინდა ჩიტი,—ამ მოვლენამაც გაანათა გულის-ყურში და დააჩნია სულს მეხსიერების კვალი. ვჭამთ საჭმელს, ვყნოსავთ ყვავილებს, ვეხებით რამეს, გავიჭერით რომელიმე ასო, ყველა ამით აღძრულმა ნერვებმა უნდა მიატანოს გულის-ყურამდე, რომ ვცნოთ და აღიჩნიოს სულში მათი გემო., სუნი, ტკივილი და სხვა რამ თვისებანი. რამდენადაც უფრო საინტერესოა რომელიმე მოვლენა, რამდენადაც უფრო ძლიერად აღძრა მან ნერვები, იმდენად უფრო ხანგრძლივ იპყრობს იგი ჩვენს გულის-ყურს და ამჩნევს სულში წაუშლელ კვალს.

ახლა ვიკითხოთ: ნეტა რა არის ეს სულის საოცარი მანქანა, ეს **გულის-ყური**, ურომლისოდ ვერ ვიგრძნობდით ვერაფერს, ვერ ვცნობდით და ვერ დავიმახსოვრებდით გარე მოვლენებს, ვერ განვვითარდებოდით, ვერ შევიგნებდით ჩვენსავე თავს და არ ვიქნებოდით არამც თუ ადამიანი, თვით პირუტყვიც კი, რადგან ბოჩებიდან, სხვა პაწია მწერებიდან დაწყებული, ყოველ ცხოველის სულში იმყოფება გულის-ყური.

ჩვენდა სამწუხაროდ ფსიხოლოგია, რომლის საგანსაც შეადგენს გულის-ყური, არ არის ჯერ კიდევ იმდენად მტკიცე და უტყუარი, როგორიცაა, მაგ., მათემატიკური, ექსპერიმენტალური და ბიოლოგიური მეცნიერებანი, რომ დაბეჯითებით შეეძლოს თავისი ყოველი წვლილის შინაარსის გამოკვლევა და შეტყობა. ფსიხოლოგიას არ ძალუძს სცნოს ჯერ-ხანად სულის არსება, მისი ში-

ნაგანი თვისება, მისი სუბსტრატი, მისი რთული, მრავალ-გვაროვანი ელემენტების გენეზისი, სისტემატიური განვითარება და ასე ვასინჯეთ ამ ელემენტების ურთიერთობას და ზეგავლენასაც კი არ უწყის სავსებით. ფსიხოლოგია არ გამოსულა ჯერ სრულიად მეტაფიზიკის მეტემპირიულ სფეროდან, იგი არ დამყარებულა სავსებით პოზიტიურ ნიადაგზე და იმყოფება ერთმანეთის მოწინააღმდეგე და უარმყოფელ ჰიპოტეზების ქსელში გახლართული. როგორც საზოგადო კანონია, ყოველ ახალ მეცნიერების განვითარებაში, ისე ფსიხოლოგიაშიაც ქიშპობენ და იბრძვიან დღემდე ორი მოწინააღმდეგე დასი, ორი სხვა და სხვა პოლიუსის წარმომადგენელნი. ერთი მათგანი დამყარებულა **ძველად ზიგურ ნაადგზე**; ამ დასის წარმომადგენლებია **დუალისტები** ანუ სპირიტუალისტები, რომლებიც სრულიად აშორებენ სულს ხორცსა ანუ მატერიასა და სახვენ მასში სული სხვა კანონებს და სრულიად განსაკუთრებულს ცხოვრებას. მეორე დასი კი უფრო ახალია, იგი წარმოიშვა ფიზიოლოგთაგან; ეწოდებათ მატერიალისტები და ცდილობენ ვადმომყნან ფსიხოლოგია ბიოლოგიურ საფუძვლებზე, შეიტანონ მასში მატერიალისტური წესები, დაეკავშირონ სული ხორცს, ჰპოონ მათში ერთობა, საერთო წარმოშობა და მით ახსნან სულისა და მის ელემენტების შინაარსი, ვითარება, სინტეზი და დამოკიდებულება. პირველთ მეთოდია მხოლოდ **თავგათ-დაკვირვება** მეორესი კი საზოგადოთ **დაკვირვება, გამოკვლევა** და **ცდა** (l'experiame).

ორივე დასი უარჰყოფს ერთმანეთის მეთოდს, აზრებს და მიაჩნიათ შეუცვლელ ჭეშმარიტებად მხოლოდ თავიანთი. რამდენად მართალნი არიან ან სტყუიან პირველი და მეორე დასი, რამდენად მისაღებია მათი აზრები, ამის განხილვას და კრიტიკას სამწუხაროდ აქ ვერ შევუდგებით, რადგან არ შედის იგი ჩვენს გეგმაში და

ძლიერ შორსაც წაგვიყვანს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ორივე დასის მოძღვრებაში იმყოფება მრავალ სიმართლესთან მრავალი შეცდომანი და ერთმხრივობა. რამდენად რთულია რომელიმე საგანი ან მოვლენა, რამდენად მას აქვს ბევრი მხარეები, იმდენად მის შესწავლას ეჭივრება სხვა და სხვა მეთოდები, ყოველმხრივი შეტყობა, გამოკვლევა და აწონ-დაწონა. რაც უნდა მტკიცე და ძლიერი იყვეს ერთი რომელიმე მეთოდი, მას შეუძლია რაიმე მარტივ მოვლენის ახსნა, მაგრამ იგი ვერა გზით ვერ შესძლებს ამისთანა მეტად რთულ რამის შეტყობას, როგორიცაა ადამიანის სული და რამდენად მართალია ეს ჩვენი აზრი, ამას ნათლად გვიმტკიცებს თვით ფსიხოლოგია, მის დასთა ქიშპობა, ცალმხროვანი გატაცება, ერთმანეთის მეთოდის უარყოფა და ამიტომ ამ მეცნიერების შედარებით ნელი ზრდა. მანამდე არ აეხდება კაცის სულს საიდუმლოების ფარდა, მანამდე არ შეგვიძლია ვცნოთ მისი შინაარსი, მისი ვითარება, მის ელემენტთა წარმოშობა და სინტეზი, სანამ ეს ორი დასი არ შეთანხმდებინ, სანამ ორისავე მეთოდი არ იქნება მიღებული, სანამ არ განეწყობა მათში ჰარმონია. **დუალისტების სუბიექტიური შეხედულება და დედუქცია უსათუოდ უნდა შეუერთდეს მატერიალისტების ანუ უკეთ ეგოლიუციონისტების ობიექტიურ მხედველობას და ინდუქციას და მხოლოდ მაშინ შეაძლებს ჯეშმარიტი პროგრესსი ფსიხოლოგიაში და შეურყეველ მეცნიერებად შექმნა.** დღეს თუმც ორივე დასი ერთგვარი რიხით აღიარებს თავის დოქტრინებს და თეორიებს, თუმც ორივე დასს ეკუთვნიან მრავალი გამოჩენილი და დიდებული მეცნიერ-ფილოსოფოსნი, მაგრამ ორთავეს მოძღვრებას ეტყობა მკრთალი ელფერი, ცალმხრივი ტენდენციჲ; ყველა ეს კი გვამხელს ჩვენ, რომ ფსიხოლოგია ჯერ დულილშია, რომ იგი არ არის ჯერ გაწყობილი მტკიცე მეცნიერებად და სამწუ-

ხ

ოდ ვერ ხსნის ჯერ იმ ფრიად საგულისხმო, მწვავს, დიდებულს კითხვებს, რომლისათვისაც თავს იმტვრევენ ამდენ საუკუნეთა განმავალობაში მთელი კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელნი...

II.

ვაგრამ რაებს გავყევი? დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს. ყველა ესენი მისთვის მოვიყვანე, ბატონებო, რომ მსურდა გამეხსენებია თქვენთვის, თუ რამდენად ძნელია და შეუძლებელი დღეს სულის ვითარების გაგება, მის ელემენტთა გენეზისის და შინაარსის გამოკვლევა და შესწავლა, და ვინაიდგან გულის-ყური შეადგენს ერთს უუმთავრეს სულის თვისებას ანუ ელემენტს, ამიტომ ნუ გამირისხდებით, თუ გულის-ყურის შინაარსის და დაარსების შესახებ წავიბორძიკებთ და ვერ წარმოვთქვამთ დაჭეშმარიტებულს აზრს; სამაგიეროთ ჩვენ ვიქნებით საკმაოდ მართალი და ფხიზელი იქ, სადაც შევეხებით გულის-ყურის ვითარებას, მნიშვნელობას და სულის ელემენტებზე ზეგავლენას და ურთიერთობას. აქ მოვიყვანთ გულის-ყურის შესახებ მოხსენებულ ფსიხოლოგთა დასის წარმომადგენელთა აზრებს და ეგრეთვე ჩვენს შეხედულებას, რადგან სავსებით ვერ ვეთანხმებით იმათ.

აი რას ამბობს მატერიალისტების წარმომადგენელი პროფესორი რიბო: ,,**გულის-ყური არის ჭკუის მოხილიდეაზმი ანუ ერთაზრეგანება, რომელსაც ახლავს თვით ინდივიდუუმის** (კაცის, ან ცხოველის) **უნებლიეთი ან ხელოგნური შეთვისება**''. ამ ფორმულას ესევე პროფესორი ასხვაფერებს ამ რიგად:—„გულის-ყური არის ჭკუის განყენებული ანუ ალმატებითი მდგომარეობა, რო-

მეულსაც თან ახლავს ინდივიდუუმის უნებლიეთი ანუ ხელოვნური შეთვისება". იმავე თხზულებაში სულ ბოლოს პატივცემული რიბო უფრო გაგებულად და სავსებით საზღვრავს გულის-ყურს; აი მისი სიტყვები:—«ჩვენ ვცდილობდით დაგვემტკიცა, რომ ყოველგვარ ფორმებად გულის-ყურის უუსაჭიროეს და უუახლოეს წარმომშობელ პირობად უნდა ჩაითვალოს ინტერესი, ე. ი. ბუნებრივი ანუ ხელოვნური აფფეკტიური (აღძრული) მდგომარეობა და რომ გულის-ყურის მეხანიზმი არის მოძრავი. გულის-ყური არ არის სულის ნიჭი ანუ რაიმე სპეციალური ძალა, არამედ ჯგუფის მდგომარეობა, არჩეული რთულ მიზეზთა გამო, რომლებიც საზღვრავენ მცირედროვანს ან ხანგრძლივს (ინდივიდუუმის) შეთვისებას». და ბოლოს ამბობს კიდევ:—«გულის-ყური ჰკიდია აფეკტიურ მდგომარეობებზე. აფეკტიური მდგომარეობანი ექვემდებარებიან მისწრაფებათ, ამათი ძირი კი არის შეგნებული თუ შეუგნებელი მოქმედებანი». «სულ ერთიანად კი ვიტყვით რომ გულ ის-ყური არ ჰგავს ნამდვილ სულიერ მოქმედებას, რომ იგი შეკავშირებულია განსაზღვრულ ფიზიკურ პირობებთან, დამოკიდებულია იმათაგან და მოქმედობს მათი საშუალებით» *).

ახლა განვიხილოთ მეორე დასის შეხედულობა ამ საგანზე; ამ დასის აზრს კარგათ ასურათებს პედაგოგი უშინსკი; აი რას ამბობს იგი თავის ანტროპოლოგიაში:—«გულის-ყური არის მარტო ცნობიერების კი არა, მთელი სულის ნიჭი, ანუ თვისება—დაემყაროს ალაგობრივ ერთს ან მეორე სამოქმედო სფერაში, ე. ი. ან ცნობიერების (ჭკუა-გონების) სფერაში, ან ნების სფერაში, ან

*) იხ. „Психологія вниманія". Ш. Рибо, 1892 г. стр. 6, 64, 94—99.

შინაგრძნობათა სფერაში». მეორე ალაგას განაგრძობს: — „გულის-ყური უსათუოდ საჭიროა მისთვის, რომ შთაბეჭდილებანი გარდიქმნენ (სულში) ბრძვად (ощущеніе). გულის-ყური ერთად-ერთი კარია, საიდანაც იწვევენ სულში ბრძვას გარე მოვლენათა შთაბეჭდილებანი, ანუ უკეთ იგია ნერვთა ორგანიზმის განსხვავებული მდგომარეობა“ მესამე ალაგას ეს პედაგოგი აღიარებს: — სულის მოქმედების ერთს ალაგს დამყარებულ-დამწაფებელი მიზეზნი ბევრგვარია; ზოგი მათგანი ეკუთვნიან თვით სულს და წარმოიშობიან მისგანვე, ამგვარია ნებითი გულის-ყურის დამბადე წყარონი; ზოგი მიზეზნი იმალვიან გარემოვლენათა გავლენაებში სულზედ ნერვების შემწეობით: ესენი არიან პასსივურ (ანუ უნებლიეთ) გულის-ყურის მიზეზნი. ეს მიზეზები თავის მხრივ გაიყოფიან შინა და გარე მიზეზებად. გარე მიზეზები, რომლებიც ამყარებენ ერთ ალაგს ჩვენს გულის-ყურს, იმყოფებიან თვით შთაბეჭდილებათა ძალაში; მაგ. ჩვენ ვერ ვამჩნევთ ოდნავ შეხებას, მაგრამ კარგად ვტყობილობთ ლონიერ მუჯლუგუნს. გულის ყურის შინა მიზეზებს კი ეკუთვნის ჩვენს ბრძვათა კვალებსა და მათ ასოციაციებს შორის განწყობილი კავშირი. მაგ. ჩვენდა უნებურად ყურადღებით ვეჭცევით ყველა მას, რაიცა სძრავს ჩვენს გრძნობებს: გულის მოსვლას, შიშს, სიყვარულს, თავმოყვარეობას და სხ.“ *).

რა სჩანს ამ ორთავე დასის აზრებიდან? როგორ ეთანხმებიან ისინი ერთმანეთს? პირველს გულის-ყური მიაჩნია მხოლოდ ჭკუის განსაკუთრებულ მდგომარეობად, მეორეს კი — მთელ სულის ნიჭად ან თვისებად, რომე-

*) ახ. К. Ушинскій. „Человѣкъ, какъ предметъ воспитанія“, т. I, 1885, стр. 204, 210 и 211.

ლიც მოქმედობს სულის ყოველ სფერაში. პირველი ხედავს გულის-ყურში მოძრავ მეხანიზმს და მით ამყარებს მატერიალისტურ ნიადაგზე, მეორე არ იკვლევს ასე ღრმად გულის-ყურის შინაარსს, იგი ჰფლავს მას სულში, უწოდებს კარებს, საიდანაც შედიან სულში გარე შთაბეჭდილებანი, ანუ ნერვის შეცვლილი მდგომარეობა, იქ-ცევიან იქ ბრძვად და აჩნევენ მეხსიერების კვალებსო. ორივე კი თანხმდება იმ აზრზე, რომ გულის-ყურს იწ-ვევს **ინტერესი**, ანუ უკეთ **გრძნობათა აფექტიურა** მდგომარეობა.

მაგრამ ჩვენ ვერ დავჯერდებით ამ ერთფეროვანს და ბუნდოვანს ახსნას; საჭიროა ეს კითხვა განვიხილოთ და გავარკვიოთ უფრო ნათლად; ამ გამოკვლევაში ჩვენ ხელს შეგვიწყობს ბუნება-ისტორიული მეთოდი. რო დავმყარდეთ ევოლიუციონიზმზე, იძულებული ვიქნებით ვცნოთ ადამიანი ზოოლოგიურ იერარხიის უუმაღლეს წარმომადგენლად. მაშ ვინაიდგან კაცი წარმოშობილია ცხოველთაგან ხორცით, როგორც ამტკიცებს დარვინი, უნდა იყვეს სულითაც მათი ნათესავი. და მართლაც ამის სიმართლეში გვარწმუნებენ დიდებულ ნატურალისტთა გამოკვლევანი. რას ვამჩნევთ პირველ საფეხურზე მყოფ ცხოველში, მაგ. მარტივ უჯრედში? მასში არსებობს ელექტროს მსგავსი რაღაც ცხოვრებითი ძალა, რომელიც მართავს იმ უჯრედის ორგანიზმში უბრალო ფუნქციას, აერთებს და ჰშლის ორგანიულ ელემენტებს; თავის რითმულ რეფლექსებით ეს ოდნავ შეგნებული ცხოვრებითი ძალა ცდილობს ი'შოვოს და გარდაქმნას რაიმე საზრდო, რამით შეივსოს ნაკლი წართმეული—სითბოთი, მოძრაობით ან სხვა რითიმე და ამ გვარად ცდილობს არ შეიმუსროს იმ უჯრედის ერთობა; ეგრეთვე ცდილობს გაამრავლოს ამგვარივე უჯრედნი. აქედან სჩანს, რომ ამ ძალას ჰსურს განაგრძოს იმ თავისი უჯრედის სიცოცხლე,

რადგან უიმისოდ ვერ იცოცხლებს თითონაც, ჰსურს მოუტანოს სარგებლობა ანუ სიამოვნება, მაგ., საზრდოს შოვნით და ცდილობს განშორდეს უსიამოვნო და მავნე რამეს, რადგან გრძნობს, ანუ უკეთ, ბრძავს ყველა ამაებს. რა არის ეს ცხოვრებითი ძალა? საიდან წარმოიშვა იგი? როგორ ჩაისახა უჯრედში? რა დამოკიდებულება აქვს ქიმიურსა და ორგანიულ ელემენტებთან? რა მანქანებით აერთებს ან ჰშლის ამათ? ყველა ესენი ფრიად საგულისხმო კითხვებია, მაგრამ ამათი განხილვა აქ ბევრს დროს წაგვართმევს და მეტად შორს წაგვიყვანს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საჭიროა ვიცოდეთ, რომ იმ ცხოვრებით ძალას ჰქონია ნება-სურვილი, ბრძვანი და ინსტინკტიც კი. ამ ცხოვრებითს ძალაზე მისთვის ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, რომ მისგანაა წარმოშობილი სული. დროთა ვითარების გამო, ბრავალ კეთილ პირობათა ზეგავლენით და რთულ ორგანიზმის შექმნის მიზეზით, ეს ძალა თან და თან განვითარდა, გაიყო თითქო ორად, განვითარებული ნაწილი დაბინავდა თავის ტვინში და იქცა სულად, დანარჩენი კი დარჩა ნერვის სისტემაში. ეს სული იწევდა წინისკენ და შეურყეველად შედიოდა განვითარებაში, ამიტომ ასი-ათას და მილიონ წლების განმავალობაში მან შექმნა-შესცვალა ცხოველთა ურიცხვი ჯიშნი, გადადიოდა განსანვითარებლად სხვა და სხვა ცხოველთა სხეულებში; ეს მარტივი სული თან და თან ხდებოდა რთული, ვითარდებოდა ყოველი მისი მხარე, უფართოვდებოდა ცნობიერება, ბრძვა-გრძნობანი, ჭკვა-გონება, მეხსიერება, ინსტინკტები, ნება-სურვილი და სხ. და ამ რიგად შეგნებულმა მოატანა ადამიანამდე, შექმნა ეს ორგანიულად თითქმის დამთავრებული ცხოველი, რათა იწყოს მასში სხვა ახალი ცხოვრება, განსხვავებული მოქმედება და სიამოვნება. ამიტომ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ რაც მთავარი მისწრაფება იყო იმ უჯრე-

დის ცხოვრებითის ძალის, ე. ი. სიცოცხლის გაგრძელება, სიამოვნების მოპოვება და მაკნე მოვლენათაგან განშორება, ეგევე უნდა იყვეს ადამიანის სულის უმთავრესი მიზანი და მართლაც ამასვე ვხედავთ მასში. როგორც იმ ძალის შუაგულს შეადგენდა ნება, ეგრეთვე კაცის სულის ცენტრალურ ელემენტს შეადგენს **ცნობიერი ნება.**

მაგრამ რაღაა ეს გულის-ყური? ვამჩნევთ თუ არა მას იმ ცხოვრებითს ნებაში? თუ კი დარწმუნებით ვიცით, რომ ცხოველისა და ადამიანის სულში არავითარი მოქმედება, არავითარი აზროვნება, ბრძვა და გაგება არ შეიძლება უგულისყუროდ, ამიტომ იძულებული ვართ ვაღვიაროთ გულის-ყური იმ ცხოვრებითის ძალის თვისებად და ელემენტად, ვინაიდგან იმ ძალის და ეგრეთვე სულის შინაარსი არის ოდნავ ცნობიერი და ცნობიერი ნება, უსათუოდ გულის-ყური უნდა იყვეს იმ ნების გულა და ის საოცარი მანქანა, რაშიაც ნება ან სული სცნობს თავისს თავს, ბრძავს და გრძნობს ყველაფერს, იგებს გარე მოვლენებს და ამოქმედებს ყოველ ორგანოს და მთელს სხეულს. უსათუოდ სულში უნდა იყვეს ის **ნასკვი**, სადაც ერთებიან სულის ყოველი ნაწილები, უსათუოდ სულში უნდა იყვეს ის ფოკუსი ანუ გული, რის ირგვლივ შექუჩულა და მოქმედებენ სულის ელემენტები, სადაც ხდება მათი ურთიერთშორის ზედმოქმედება, სინტეზი და კვლავ-მოღება და ეს ნასკვი, გულა თუ ფოკუსი არის **გულის-ყური.** ერთი სიტყვით, გულის-ყურია ცენტრის ის საოცარი ლაბორატორია, სადაც ხდება სულის უუსაკვირველესი და უუსაიდუმლოესი მეშაობა და მოქმედება; სული აქ ღებულობს და არჩევს დეპეშებს გარემოვლენათა და თავის სხეულის კარგად თუ ცუდად ყოფის შესახებ, აქედან ესაუბრება, აძლევს ბრძანებას და ამოქმედებს ყოველს ორგანოს; გულის-ყური არის თვით სულის **ოგანი**, ყური და **გული**, რითაც **სული მჭვრეტს,**

ისმენს, იგნებს და გრძნობს ყველაფერს, მოქმედობს და ყოთარდება...

III.

ახლა ვიკითხოთ: მოქმედობს თუ არა თავის თავად ეს საოცარი მანქანა, ეს გულის-ყური, თუ სხვა ამუშავებს მას? არა, ის თავის თავად არაფერ მასალას არ თხოვილობს და არ მუშაობს, მაგრამ არ დაგზარდებათ, უსათუოდ იმუშავებს და გამოიჩენს თავის საოცარ ხელოვნებას თუ მიუტანეთ საკმაო მასალა და მიეცით შესაფერი ძალა, ანუ ენერგია. ვის მოაქვს მისთვის მასალა? მასალას უზიდავს მას გარე გრძნობანი, ანუ უკეთ ნერვები, როცა აღიძვრიან გარეშოვლენათა გამო; მასალას აძლევენ ეგრეთვე ნება-სურვილი, ცნობიერება და ჭკუა-გონება, მეხსიერება, ემოციები, აფეკტები და სხ. ძალას ანუ ენერგიას კი აძლევს ის ლამაზი ალისფერი სითხე, რომელიც ისე გაძალებით დაცელქობს, დანავარდობს ძარღვებში, დაცქრიალებს დაუწყნარებლივ მთელს სხეულში, ნახულობს ყოველს უჯრედს, რომლებიც მთელ სხეულში რამდენიმე ათასი მილიარდია, ასაზრდოვებს ყოველს მათგანს, აძლევს სიცოცხლის ძალას. სწმენდს, ასუფთავებს, ათბობს, ჭკურნავს, აცილებს სიმყრალეს, რომელიც მიაქვს ჯერ ჭაჭებში, მერე ფილტვებში, სადაც ჰაერის მაცხარის რეაქციით უშვებს მას გარეთ, თითონ კი გაწმენდილ-განსპეტაკებული, ალისფრად შეფერადებული ჩამოირბენს გულში, გადადის დამარში, საიდანაც დაიბნევა წმინდა ბუსუსა ძარღვებში, რათა განაგრძოს კვლავ თავისი შეუსვენარი მოქმედება, სხეულის სასიცოცხლოდ და სულის სანეტაროდ.

მაგრამ სისხლი თან და თან ილევა, სუსტდება, აკ-

ლდება ძალა, დაშრებოდა თითქმის და მოუსპობდა ცხოველს და ადამიანს სიცოცხლეს, რომ მას არ შეელოდეს ის საზრდო, რომელსაც მივირთმევთ ყოველ დღე და რომელიც ჯერკლების მჟავე წვენის გამო ხდება ფაშ'ში რძის გვარ ემულსიოდ, გადადის წელებიდან ძარღვებში, შედის, იცვლება ღვიძლში და სხვა ჯერკლებში, ერთვის, ემატება სისხლს, რომელსაც მიჰყავს ფილტვებში, იქ მაცხარის ზეგავლენით იწმინდება, ხდება სისხლად და ამგვარად აგრძელებს ბის წინამოადგილის მოქმედებას და სიცოცხლეს. ეს სისხლი აძლევს ენერგიას უჯრედებს, კუთებს, ორგანოებს, ნერვებს და თავის ტვინს, სადაც ბრძანდება სული, რომელიც ი ოვისყბს იმ ენერგიას ტვინისაგან. ტვინში კი ის ენერგია გროვდება იმ მილიარდ ნერვის უჯრედებში და იმ მრავალ მილიარდ ნერვის ბეწვებში, რომლებიდანაც შემდგარია ტვინი და რომლებშიაც იმყოფება სული; ტვინის რომელიმე ნაწილში, უჯრედების და ბეწვების რომელიმე ჯგუფში, უსათუოდ სუფევს სულის რომელიმე ნაწილი ან ელემენტი და აქვს მათთან დიდი დამოკიდებულება, მაგრამ რომელი მათგანი რომელში ცხოვრობს, ეს ჯერ არაა მთლად ცნობილი, თუმც ამათების გამოკვლევაში ბევრი იმტვრიეს თავი ფრენოლოგებმა. ამიტომ ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა ალაგას ბრძანდება გულის-ყური.

როგორც ზევით ვსთქვით, გულის-ყური ემორჩილება სულის რამდენსამე ან რომელიმე ელემენტს და ნერვებს. მეტად საგულისხმოა გაგება, თუ რომელ ადამიანში რომელ მათგანს მიუღია გულის-ყურზე მეტი გავლენა, რადგან სულის სხვა ელემენტები მაშინ ემორჩილებიან იმ გაბატონებულ ელემენტს, აზრს, აფეკტს, თუ სხვა რამეს და ხდებიან ამის იარაღნი; ამ გვარად შეიტყობა ადამიანის ხასიათი, მისი ყოველივე მიდრეკილება და მისწრაფებანი. თუ ნებას უკავია პირველი ალაგი და

დაუფლია გულის-ყური, მაშინ კაცი მეტის-მეტი მაგარი ხახიათისაა, მტკიცე, ძლიერი, სიტყვის გაუტეხელი, მშრომელი, პატიოსანი, და მრავალ კეთილ საქმის მიმყოლი და მომქმედი, მაგრამ მშრალი; თუ გულის-ყური ჩაიგდო ხელში ჭკუამ, ანუ აზროვნებამ, მაშინ კაცი ხდება ხშირად სწავლული, მეცნიერი, მოვლენათა კანონების ამ-ხსნელი, მრავალ სასარგებლო მანქანათა გამომგონე და სხ., მაგრამ თითონ იგი ხდება მეტად ცივი და ამაყი. თუ გულის-ყურს დაესაკუთრა ნაზი და კეთილი გრძნობანი (ემოციები), ადამიანი ხდება სათნო, გულკეთილი, ყოველი კაცის მოყვარული და თავ-დადებული ქვეყნის სასარგებლოდ. თუ გაბატონდენ ბოროტი ვნებანი ანუ აფეკტები, ადამიანი ხდება ბოროტი, მავნებელი, ავაზაკი, ამაყი, თავმოყვარე და ყველაფრით საზიზღი, მაგრამ თუ გულის-ყური იხელთეს ნერვებმა, მაშინ ხომ წასულია საქმე! აშლილ, გაშმაგებულ ნერვებს ვერც ერთი სულის ნაწილი ვერ გაუწევს ბრძოლას. არა იშვიათად ეს საქმე ემართებათ მანდილოსნებს, სისუსტისა და ცოტა სისხლის გამო, ხშირად მემკვიდრეობითაც. ამათ ჰქვია **ნერგის ტემპერამენტის**, ანუ **თბის** მქონენი. სწორედ ნამდვილი უბედურობაა და ღვთის რისხვა ნერვებ აშლილი ქალი, იგი წააგავს მარტის თვეს, მისი მოქმედებანი არ ექვემდებარებიან არავითარ კანონებს: ან-ჩხლობს, კაპასობს, ცანცარებს, ცმუკავს, ცუნდრუკობს, წყრება, ყვირის, ჩხავის... აი, დაიწყო კიდეც უმიზეზოთ ტირილი, მაგრამ შესწყვიტა უეცრივ ტირილი და მორთო ცეკვა, შეჩერდა უცებ და იწყო გემრიელი სიცილი და გაუთავებელი კისკისი; მხიარულება ექცა ისევ ცრემლებად, რომლებმაც დაუთმეს ადგილი მშვენიერ სიმღერას, გაწყდა იგიც საზარელ დისონასად და გამეფდა კვლავ ახალი ჩხუბი, კაპასობა, ალიაქოთი და უბედურობა... სწორეთ საბრალოა ნერვებ აშლილი ადამიანი,

იგი მონაა თავის სნეულების, მას არა აქვს დამდგარი ზნე-ხასიათი იგი ხან წყნარია, ცით ზეცის კრავი, გესიყვარულება და გიძვრება სულში, ხან კი სჭექს, გრუხუნებს, ისვრის მეხს, და ემსგავსება ნამდვილ ტარტაროზს. ამ მაგალითებიდან ადვილად შეგვიძლია გამოვიყვანოთ ის აზრი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ ბავშის **სასზრდოს, ჰიგიენას და ჩვეულებას**. სულის რომელს მხარესაც უვარჯიშებ და გაუნვითარებ ბავშვს, იგი მიიღებს გარდამეტებულ გავლენას გულის-ყურზე, დააჩნევს სულს თავის ხასიათს და შეჰქმნის მის კეთილ-დღეობას; —მაგრამ ამაებზე შემდეგ ვისაუბროთ.

ზემო ჩამოთვლილი მაგალითები მოვიყვანეთ უფრო ინტენსიური სახით, რომლებსაც ცხოვრებაში შეხვდებით უფრო იშვიათად. ამით გვსურდა მხოლოდ გაგვეგო, თუ როგორ აღბეჭდავდა ადამიანის ხასიათს სულის ელემენტების ასე თუ ისე გარდამეტებული ყოფა და გულის-ყურზე გავლენა. ცხოვრებაში კი უფრო ხშირად ვხედავთ მას, რომ გულის-ყურზე ცოტად თუ ბევრად სულის ყველი ელემენტებსა აქვს გავლენა, რასაკვირველია, ზოგს უფრო მეტი და ზოგს ნაკლები და ამ გვარად განირჩევიან ადამიანთა ხასიათები. ხშირია იმისთანა მოვლენაც, როცა გულის-ყურს იპყრობს რომელიმე გრძნობა, წადილი, ან აზრი არამც თუ რამდენიმე საათით, დღით ან თვით, მთელი წლობითაც კი; რასაკვირველია. ამ გრძელ ხანებში ვულის-ყური განკერძოვდება და ეთვისება სულის სხვა ელემენტებს, მაგრამ ბრუნდება ისევ მალე და ემორჩილება იმ გაბატონებულ აზრს, წადილს თუ გრძნობას. მაგ. ხშირად აღეძვრის ადამიანს სიყვარულის ემოცია, შური, ეჭვი, დიდების მოყვარება, ან რაიმე საქმის გაკეთების თუ მიზნის მიღწევის წადილი, ან რაიმე აზრი. მომხდარა მისთანა მაგალითებიც, რომ ადამიანი გაუტაცნია სიკვდილამდე მოუშორებელ აზრს, რომელ-

საც დაუმონებია მისი გულის-ყური. მაგრამ ამგვარ პა-ტალოგიურ მოვლენაებს ჩვენ განვიხილავთ შემდეგში.

ახლა კი ავიღოთ კაცი, რომლის სული ნორმალუ-რია, ე. ი. მისი ელემენტები თითქმის ჰარმონიულად არიან ერთმანეთში გაწყობილი ვიკითხოთ, რა უფრო მიიქცევს მის გულის-ყურს? ორს, ერთსა და იმავე, შთა-ბეჭდილებაში ის, რაც უფრო ძლიერია, სხვა და სხვა შთაბეჭდილებაში კი ის, რაც უფრო საინტერესოა. სუ-ლისათვის საინტერესო კი არის ერთი ის, რა შთაბეჭ-დილებაც მეტ სიამოვნებას მისცემს; მეორე ის, რომე-ლიც ჰბადავს სულის ტანჯვას, რაიმე ტკივილს, ან სხვა რამ უსიამოვნებას. ამაებს სული მიტომ აპყრობს გუ-ლის-ყურს, რომ ცდილობს შეიგრძოს მალე ის მავნე მო-ვლენანი და განშორდეს მათ, ტკივილს ან ტანჯვებს კი მოუძებნოს რაიმე წამალი და განკურნოს. ამ შემთხვევა-ში აღიძვრის სიცოცხლის მოყვარობის ინსტინქტი. ანუ ალლო, რომელიც არის სულის ანუ ნების ერთი უფლო-მესი თვისება. ამიტომ მართალია რიბო, როცა ამბობს, რომ გულის-ყური აღიძვრის სულის აფექტიურ მდგომა-რეობითო. გარდა ამ ორ გვარ მოვლენათა ქვეყანაზე არის კიდევ ბევრი ეგრედ-წოდებული **შერეული მოგლე-ნანი**, ისინი მაშინ იპყრობენ გულის-ყურს, როცა არ აღძრულა სულში აფეკტაცია.

გულის-ყურში არასფრით, არ შეიძლება მოთავსდეს ერთსა და იმავე დროს ორი ან რამდენიმე აზრი, გრძნო-ბა, ბრძვა და სხ.; ეს კარგათა აქვს გამოკვლეული ვუნტს, ამიტომ მართალია რიბო, როდესაც ეძახის გულის-ყურს **მონოიდეაზმს**. ამაზე იქნებ ზოგიერთმა შემნიშნოთ:— „მაშ რათაა, რომ ერთსა და იმავე დროს ჩვენ ვიხედე-ბით, ვისმენთ, დავდივართ და ვლაპარაკობთ? საქმეც ესაა, რომ გულის-ყურის სისწრაფე და საოცარი მოქმე-დება ჩვენ გვატყუებს. გულის-ყური საკვირველი სიჩქა-

რით გადადის ერთიდამ მეორეზე, მეორედან მესამეზე და მეოთხეზე, მაგრამ ისევ მალე უბრუნდება პირველებს, ისე რომ არ წყვეტს არც ერთის ძაფს, და ამიტომ შევდივართ შეცდომაში; აბა შინჯეთ და შეაჩერეთ გულის ყური ორს სხვა და სხვა აზრზე ან შთაბეჭდილებაზე, მაშინ სცნობთ, რომ მათი ერთსა და იმავე დროს განხილვა შეუძლებელია; უსათუოდ ერთიდან მეორეზე უნდა გადვიდეს გულის-ყური და ერთ განსაზღვრულ დროს მხოლოდ ერთს უნდა არჩევდეს. რამდენად უფრო საინტერესოა ჩვენთვის რომელიმე მოვლენა ან აზრი, რამდენად უფრო იპყრობენ და აჩერებენ ისინი გულის-ყურს, იმდენად უფრო ღრმა ხაზს ანუ კვალს ავლებენ ისინი ჩვენს სულში და რჩებიან სამუდამოდ მეხსიერებაში, მაგ.: ჩვენ არ გვახსოვს გუშინდელი ან გუშინწინდელი ნახული ან გაგონილი მცირე რამეები, მაგრამ მშვენივრად გვახსოვს შარშანდელი ან რამდენიმე წლის წინეთ მომხდარი საინტერესო ამბები ან ნახული რამ. ვკითხულობთ წიგნს და სწორეთ ის უფრო გვამახსოვრდება, რამაც უფრო აღძრა ჩვენს სულში აფეკტები ან ცნობიერება.

სწორეთ საოცნებო და დაუჯერებელია გულის-ყურის ცოდნა-ხელოვნება, ფიცხელი განკარგულება და მრავალგვარი მოქმედება! საიდან არ მოსდის მას ამბები და დეპეშები! სახედი ნერვი აუწყებს მას დაწვრილებით რაც რამეს ხედავს, სასმენი ნერვიც არა ნაკლებ გულმოდგინებას და ბეჯითობას იჩენს ამ შემთხვევაში; შეხების, გემოსი და საყნოსი ნერვები ეჯიბრებიან ერთმანეთს და ატყობინებენ ყველაფერს გულის-ყურს; ახლა მთელ სხეულში დაბნეულ საგრძნო ანუ რეციპიო-მატორულ ნერვებს მოაქვს ყოველივე საყურადღებო ამბები; ყველა ესენი უნდა მიიღოს გულის-ყურმა, უნდა ბრძვას, უნდა განარჩიოს, უნდა სცნოს, უნდა შეამუშაოს, უნდა დაა-

ბინავოს, უნდა გასცეს სწრაფი ბრძანება დირიგო-მატორულ ანუ მოქმედ ნერვებზე, რომ ამოძრავონ სხვა და სხვა კუთები და ორგანოები, რომ აკეთონ სხვა და სხვა საქმეები; ამით არ თავდება კიდევ გულის-ყურის მოქმედება; ის საგრძნო ნერვებიდან მოსული ამბები ანუ შთაბეჭდილებანი იწვევენ და აღვიძებენ ასოციაციის კანონის ძალით სულში დაბინავებულ მითვლემილ აზრებს, სძრავენ ემოციებს და აფეკტებს, იწვევენ სამოქმედოთ ნებასურვილს. ახლა ესენი თავის რიგად აღვიძებენ და იწვევენ სხვებს, ისინი კიდევ სხვებს და ამგვარად გაიბმის გაუთავებელი ძეწკვები. ამგვარი დაუსვენარი გულის ყურის მოქმედება არსებობს არამც თუ ერთ საათში, არამედ ყოველივე წუთს, ყოველსავე წამს მთელის დღეების განმავალობაში. გულის-ყური სრულებითაც არ უფრთხის ამდენ საქმეს, ის თავ-თავის რიგად აკეთებს ყველაფერს და შეუსვენებლივ აჩნევს სულში სხვა და სხვა უთვალავ ხაზებს და კვალებს, ანუ იეროგლიფებს, რომელთა ამოკითხვა შეუძლია მხოლოდ მას. ყველა ეს საგრძნო ნერვებით მოტანილი შთაბეჭდილებანი და თვით სულშივე აღძრული აზრები, აფეკტები თუ სურვილი შეეჭიდებიან და აკაკუნებენ გულის-ყურის კარებს, ანუ უკეთ აძლევენ ნიშანს. ამ ნიშნით გულის-ყური სცნობს რომელია უფრო მათგანში საინტერესო და პირველად იღებს მას, სხვებს გადაათვალიერებს ოდნავ და ისევ ჩერდება ამაზე, იწყებს მუშაობას და იმდენად უფრო დიდხანს ჩერდება რამდენადაც მეტი საინტერესოა იგი, და რამდენადაც ნაკლები საყურადღებოა სხვები. მაგრამ, თუ ერთ და იგივე დროს მიეჭიდენ ორი ან რამდენიმე თითქმის ერთრიგად საინტერესო შთაბეჭდილებანი, მაშინ გულის-ყური იბნევა, არ იცის რომელ მათგანზე შეჩერდეს, გადადის ერთიდან მეორეზე, ხან ერთი შთაბეჭდილება იპყრობს მას, ხან მეორე, ხან მესამე. მოხდება ხშირად, რომ ეს შთა-

ბეჭდილებანი, ან აღძრული აზრები თუ გრძნობანი და ნება შეებრძვიან ერთმანეთს — არა მე უნდა დავიპყრო გულის-ყური და გავბატონდე დროებით სულში და არა მეო, რომ ჩემს ნებაზე იმოქმედოსო, ყველა მათგანი თხოულობს ერთ ზელ სიცოცხლეს, და ეს ხომ მოქმედებაში გამოიხატება. მაშინ ატყდება სულში სასტიკი ბრძოლა მათ შორის და რამდენად უფრო ძლიერია ისინი ან ძლიერად აღძრულია, იმდენად უფრო ხანგრძლივია ბრძოლა და რომელიც გაიმარჯვებს, იმას დარჩება სულზე და გულის-ყურზე დროებით ბატონობა, რომ იმოქმედოს.

ს. ქვარიანი.

(შემდეგი იქნება).

აღზრდა ადამიანის ხასიათისა.

როგერტ ოვენისა.

წერილი მეორე *).

პირველ წერილში გავარჩიეთ მარტო ზოგადი პრინციპები. ახლა ვეცდებით გამოვააშკარავოთ მთლად მათი სარგებლობა და ავხსნათ, რა გზით უფრო ადვილად შეიძლება მათი პრაკტიკულად მოხმარება. პრაკტიკულად შეთვისება ამ პრინციპებისა, სხვა და სხვა კეთილმყოფელ შედეგთა გარდა, დაედება საფუძვლად მოყვასთა შორის სათნოების აღძვრას. ეს გრძნობა უნდა აღეძრას უსათუოთ თავში ყოველ კაცს, რომელსაც კარგა ესმის, რომ შვილები იღებდენ და ყოველთვისაც გადმოიღებენ ზნეჩვეულებას თავიანთ დედ-მამისა და აღმზრდელთაგან ცოტა რაიმე ცვლილებით, რომელიც (ცვლილება) შედეგია აწმყო ან წარსული პირობებისა და კაცის აგებულობის განსაკუთრებულის თვისებისა.

ხასიათის აღზრდის არც ერთი პირობათაგანი არ არის ბავშვის ხელში; მაშასადამე, ის პასუხის მგებელიც არ არის იმ ჩვეულებებსა და მიდრეკილებში, რომელნიც შეთვისებულნი აქვს გარეშე პირებისაგან. არ ცოდნა ამ

*) იხ. „მოგზაური“ № 1 და 2, 1903 წ.

ჭეშმარიტებისა შეადგენს ძირითად ნაკლს საზოგადოებისას.

ყოველი ბავშვი წარმოადგენს თავის უნებურად საკვირველად შედგენილს ნარევს, რომლისგანაც, თუ ბეჯითად მოვუვლით ბავშვს და კარგადაც გვეცოდინება ამ მოვლის საქმე, ისეთი ადამიანი შეგვიძლიან აღვზარდოთ, როგორის ხასიათისაც ჩვენ გვინდა.

1784 წელს განსვენებულმა დელმა, ქ. გლაზგაუდან, დააარსა ბამბის სართავი ქარხანა ლენერკის საგრაფოში (შოტლანდიაშია) იქ, სადაც ერთვიან კლეიდის წყლები. ამ დროს დელმა იმიტომ ამოარჩია კლეიდის წყლების შესართავი, რომ ესარგებლა წყლის მდინარეების მუქთი ძალით და იმით მოეყვანა მოძრაობაში თავისი ქარხნის მანქანები. სხვაფრივ ეს ადგილი ყოვლად უვარგისი იყო: მიწები გარშემო შეუმუშავებელი იყო, მცხოვრებლები ცოტა და ღარიბები, გზები ისეთი ცუდი ჰქონდა, რომ კლეიდის შესანიშნავი ჩანჩქერებიც კი უცხოელებისათვის სრულიად უცნობები იყო.

ამიტომ დელს უნდა შეეკრიბა ახალი მოსახლეკარენი, რომ მუდამ საკმაოდ ჰყოლოდა მუშები ქარხნისათვის. ეს კი ადვილი საქმე არ იყო, რადგანაც ცოტად მაინც გონებაში ჩავარდნილ შოტლანდიის გლეხებს არ მოსწონდათ დღითი-დღე დილიდგან საღამომდის სართავ მანქანებზედ მუშაობა. დელს დარჩენოდა ორი გზა მუშების საშოვნელად: 1) აეყვანა ბავშვები სხვა და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებიდგან და 2) დაეჯერებინა ცოლშვილიანი ხალხი დასახლებულიყვნენ იმის ქარხნის მახლობლად.

გეგმის პირველი ნაწილის შესასრულებლად დელმა ააშენა სახლი, რომელშიაც ეტეოდა 500-მდე მუშა-კაცი და ბავშვი. ამ ბავშვებს ასმევ-აჭმევდნენ, აცმევდნენ,

ზრდიდნენ და ყოველ ამას დელი დაუღალავის კეთილის გულით თვალს ადევნებდა.

გეგმის მეორე ნაწილის შესასრულებლად, დელმა გააშენა სოფელი, სადაც ძალიან იაფად ეძლეოდათ სახლები იმ ოჯახებს, რომლებიც სთანხმდებოდნენ ემუშავნათ ქარხანაში.

ქარხანაში მუშაობამ მაინც საყოველთაო სიძულვილი აღძრა და მარტო ისინი ბედავდნენ ეცადათ ბედი ახალს ქარხანაში, ვისაც არც მეგობრები ჰყავდათ, არც რაიმე დამდგარი ხელობა იცოდნენ და არც კარგი ხმა ჰქონდათ დავარდნილი, მაგრამ როდესაც ამათ ხელობა შეისწავლეს, ისეთი საჭირონი შეიქმნენ ქარხნისათვის, რომ დიდათ აფასებდნენ მათ.

დელი თავის საქმეების გამო შორსა სცხოვრობდა ქარხნიდან, ასე რომ მხოლოდ სამსა ან ოთხს თვეში ერთხელ, ინახულებდა ხოლმე ქარხანას და ისიც მარტო რამდენიმე საათით. ქარხნის მართვა-გამგეობა დელს ამიტომ ჩაბარებული ჰქონდა სხვისთვის.

ვინც პრაკტიკულად იცნობს ადამიანის ბუნებას, ადვილად შეუძლიან წარმოიდგინოს, თუ როგორები იქნებოდნენ ასე შეკრებილი მუშები. ახალ მოსახლეთა ცხოვრება სულ უკან-უკან მიდიოდა, რადგანაც ყოველი მათგანი იმას ჩადიოდა, რაც სწორე ეგონა. ბიწიერებამ და გარყვნილობამ საზარელ ხარისხამდის მიაღწიეს. ვალი და ავადმყოფობა უორკეცებდა უბედურებას. უბედურებას ამთავრებდა ის გარემოება, რომ დასახლებულთა ჯგუფი იმყოფებოდა ძლიერი მწვალებლობის გავლენის ქვეშ, რაც ერთი რიგის სარწმუნოებრივ აზრებს აშკარად და გადაჭრით უპირატესობას აძლევდა დანარჩენებზედ ამ საზოგადოებაში და მეტი უფლებებიც ჰქონდათ, თუმცა საქმე დაწყობილი იყო გულის საუკეთესო ზრახვის და პრინციპის კეთილ-სინდისიერი ერთგულობით.

ბავშვების სახლი სულ სხვანაირი სანახავი იყო. ქარხნის პატრონი არ ერიდებოდა არავითარ ხარჯს ბავშვების მდგომარეობის მოსაწყობად. ოთახები სუფთა და ხალვათები იყო და ჰაერიც კარგად იწმინდებოდა; ნოყიერი საჭმელი უხვად ჰქონდათ, ტანისამოსი მოხერხებული ეცვათ და სუფთათაც ინახავდნენ. ამის გარდა იმათ ჰყავდათ მკურნალი, ჰყავდათ ძალიან კარგი მასწავლებლები (როგორების შოვნაც კი შეიძლებოდა), რომ ესწავლებინათ მათთვის ყველა ის საგნები, რომლებიც კი ხელ-მისაწდომი იყო მათთვის. ბავშვების მეთვალ-ყურედ მშვიდნი და ნიჭიერნი პირნი იყვნენ დაყენებულნი. ერთის სიტყვით, პირველ შეხედვაზედ გეგონებოდათ, რომ ყოველნაირი ზომები იყო მიღებული საქველმოქმედო საქმის ყოველ-მხრივ საუკეთესოდ წარსამართავად.

შესანახ ხარჯის გასასტუმრებლად ბავშვები ზამთარ-ზაფხულ იძულებულნი იყვნენ ემუშავნათ მანქანებზედ დილის 6 საათიდგან საღამოს 7 საათამდე. ბავშვთა თავშესაფარების დირექტორები, რადგანაც ეკონომია უკულმა ესმოდათ, აღარ აძლევდნენ ბავშვებს ქარხნებში სამუშაოდ, თუ ქარხნების პატრონები 6, 7 ან 8 წლისასვე არ წაიყვანდნენ დელსაც ან უნდა ამ ხნის ბავშვები აეყვანა, ან არა და ქარხანა დაეკეტა. მოსალოდნელიც არ იყო, რომ ეს უსუსური ბავშვები, რომლებიც პურის საჭმელად დანიშნულ დროს გარდა, დილის 6 საათიდგან საღამოს 7 საათამდის მანქანებზედ ზეზელა მუშაობრნენ, რამდენადმე ფეხს წინ წასდგავდნენ სწავლაში. ასეც მოხდა. დღისით მუშაობამ და ღამით სწავლამ ისე მოაბეზრეს ბავშვებს თავი, რომ მალმალე გარბოდნენ ქარხნიდან. ლუკმა პურის საშოვნელად ესენი მიდიოდნენ ქალაქ ედინბურგში და გლაზგაუში, სადაც ისინი ცვივდებოდნენ ათასნაირ განსაცდელში და ხშირად სრულიადაც იღუპებოდნენ.

ამ რიგად დელის-მიერ მიღებულ ზომებს და იმის გულშემატკივარ შრომას ბავშვების ცხოვრების უკეთ მოწყობისა და მათის ბედნიერებისათვის, არ მოჰქონდა სასურველი ნაყოფი.

შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ ეს მუშა-ბავშვები მეტად პატარები იყვნენ; იმათთვის საჭირო იყო ერთი 4 წელიწადი ჯერ კარგად აღეზარდათ. ამ გზით შეიძლებოდა თავიდგან აეცილებინათ ბევრი ბოროტება.

დელი ბერდებოდა. მას შვილი არა ჰყავდა, რომ მის შემდეგ ეს საქმე ვისმე გაეგრძელებინა. ის ნათლათ ხედავდა, რომ მახლობლების სიკეთისთვის და განვითარებისთვის დიდს ცდასაც ნაყოფი არ მოჰქონდა და ამიტომ მოინდომა თავისი ქარხნის გაყიდვა. დელმა მიჰყიდა ის რამდენიმე ინგლისელ ვაჭარს. ერთმა იმათგანმა იკისრა ნაყიდი ქარხნის მართვის ვაი-ვაგლახი და დასახლდა მუშათა შორის, რომლებსაც სრულებით არ იცნობდა.

იმ დროს შოტლანდიაში, როგორც ეს ყველგან ხდება ხოლმე, დაბალი წოდებანი ძალიან მტრულად უყურებდნენ ყოველ უცხოელსა, მეტადრე ინგლისელებსა. ახალი მმართველის მდგომარეობა კიდევ იმიტომ იყო ძნელი, რომ მუშები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ახალი პატრონების ერთად ერთი მიზანი ის არისო, რომ მათის შრომით ქარხნიდამ რაც შეიძლება მეტი მოგება ვნახოთო. ამ რიგათ, მუშებს ბევრი მიზეზები ჰქონდათ შეეძულათ ახალი გამგე: პირველი, რომ ის იყო უცხოელი და მასთან ინგლისელი და მეორე, სხვა სარწმუნოებისა.

ამის გამო ახალი მმართველის ქარხანაში მოსვლის პირველ დღესვე, მუშებმა ყველა გამოგონილი ხერხი იხმარეს, რომ წინ აღსდგომოდენ იმ გეგმას, რომლის შემოტანასაც ისა სცდილობდა. ორი წელიწადი გაგრძელდა იერიში და თავის დაფარვა ამ მმართველსა და ადგილობრივ მცხოვრებთა შუა. მმართველმა თითქმის ვე-

რაფერი ვერ გააკეთა. ვერც კი დაარწმუნა მუშები თავის მისწრაფებათა სიწრფელეში, რომ მისი ერთად-ერთი სურვილი ის არის, რომ ხელი შეუწყოს იმათს კეთილდღეობას. ინგლისელმა მაინც არ დაკარგა მოთმინება და რწმენა იმ პრინციპებისა, რომლებზედაც ამყარებდა ის თავის მოქმედებას.

მართლაც, ბოლოს აკი გაიმარჯვეს ამ პრინციპებმა. დასახლებულნი მოიდრეკნენ მტკიცე, გონიერ და ყველასათვის ერთნაირად სამართლიან გულკეთილობის წინაშე. მუშები თანდათან უფრო და უფრო ერწმუნებოდნენ ახალს მმართველსა და, რავდენადაც იზრდებოდა ეს რწმენა, მმართველს იმდენადვე საშუალებაც ემატებოდა განევითარებინა თავისი გეგმა მუშების ზნეობრივად გაუმჯობესობისა. შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს მუშებს შეთვისებული ჰქონდათ თითქმის ყოველნაირი სიბილწე, კეთილგანწყობილი საზოგადოების სიკეთე კი ძალიან ცოტა. ქურდობა და ნაქურდალი ნივთების დამალვა შეადგენდა იმათს ყოველდღიურ საქმეს; ცუდაობა და ლოთობა— ჩვეულებას; ჰქონდათ სიწრფელე ფარისევლური; სარწმუნოებრივი ან კერძო ჩხუბი შეადგენდა მათს ყოველდღიურს საქმეს. ერთდებოდნენ მხოლოდ თავგამოდებით და სისტემატიურ წინააღმდეგობაში თავიანთ ბატონებისადმი.

ამ ნაირად მმართველს წინ ეშლებოდა სარბელი, სადაც შეეძლო გამოეცადა პრაკტიკული სინამდვილე იმ საფუძვლებისა, რომლების შემწეობითაც შეიძლება გადაკეთდეს ყოველ-ნაირი ხასიათი. მმართველი შეეცადა გაეგო, წინადვე შეეუშავებულ გეგმის თანახმად, რა ზომისა იყო სიბოროტე, რომელთანაც მას უნდა ებრძოლა; რომელმა მიზეზებმა წარმოშობეს და რომლებიც ხელს უწყობდენ მას. აღმოჩნდა, რომ ყოველგან სუფევდა ურწმუნოება, უწესობა და განხეთქილება, ის კი ცდილო-

ბდა დაემყარებინა რწმენა, წესი და თანხმობა. ამ აზრით იმან მიიღო ზომები იმ ხელის-შემშლელ გარემოებათა თავიდგან ასაცილებლად, რომლებიც გარს ეხვევნენ მუშებსა და უნდოდა შეეცვალა ისინი ისეთ გარემოებებზედ, რომლებიც უკეთეს ნაყოფს მოიტანდნენ. შესანიშნავია, რომ მმართველს მუშების გასასწორებლად არც ერთხელ არ შიუმართნია ინგლისის კანონით დადებულ სასჯელებისათვის. ერთი წუთითაც კი არავინ დაუმწყვდევის, მაგრამ დააწესა ჯარიმა და სხვა გამაფრთხილებელი ზომები. ამას გარდა, ამოირჩია მუშებისგან დიდი ნიჭის პატრონი პირნი, რომ იმათ გასაგები და უბრალო ენით დაეჯერებინათ თავიანთი ამხანაგები იმ კეთილ ნაყოფის გამოღებაში, რომელსაც მოეწეოონენ ისინი თავიანთი ცუდი ცხოვრების შეცვლის შემდეგი და თანვე ასწავლიდნენ მათ მოეხმარათ თავიანთი ძალღონე უფრო სასარგებლო საქმეებზედ.

ლოთობის წინააღმდეგაც მიიღო შემდეგი საშუალებანი: ქარხნის მეთვალყურენი ჰკიცხავდნენ ლოთობას ყოველ შემთხვევის დროს, და როდესაც ერთი ამხანაგთაგანი ცუდათა გრძნობდა თავს ქეიფის შემდეგ, სხვები, უფრო გონივრები, სარკებლობდნენ ამ წუთით და უთვალისწინებდნენ ყველა დამღუპველ შედეგებს თავდაუჭერელობისას. სამიკიტნოები და ტრაქტირები დაშორებულ იქმნენ მათ სახლებიდან.

ლოთობა თანდათან გაქრა და შესანიშნავი ლოთები სამაგალითო ფხიზელ ხალხად გარდაიქცენ. ესეთივე ბედი ეწვია სიცრუვესა და ტყუილს. რომლებსაც თავისი დაღი დაესვა მათთვის. მოკლედ აუხსნეს მუშებს იმათი პრაქტიკული ზარალი და იმ დროსვე ეცადნენ ყოველ შემთხვევაში წაექეზებინათ მათში პირდაპირობა და გულახდილობა. სიამოვნებამ და დიდმა სარგებლობამ, რომლებიც ნაყოფნი არიან ამ თვისებებისა, მალე გაიმარჯვეს

წინანდელ ცხოვრების მოუსაზრებლობაზედ და მის უბედურებაზედ.

ჩხუბი და ვაი-ვაგლახიც მოისპო ასეთივე საშუალებების წყალობით. როცა მოჩხუბარნი თითონ ვერ შერიგდებოდნენ, მიდიოდნენ მმართველთან და რადგანაც ასეთს შემთხვევებში ორივე მოჩხუბარი მხარე ცოტად თუ ბევრად სტყუვის ხოლმე, მმართველიც შეძლებისა და გვარად უხსნიდა ამას იმათა, ურჩევდა დაევიწყებინათ ჩხუბი და შერიგებულიყვნენ; ამ დროსვე ურჩევდა ის ეხელმძღვანელათ უბრალო, ადვილად დასახსომებელ და ყოველ საქმეში სასარგებლო კანონით, იმ კანონით, რომ. ლის სარგებლობასაც ცხოვრებაში ხედავდნენ ისინი ყოველ წუთსა: ცდილიყვნენ ამხანაგების ბედნიერებისათვის და კეთილ-განწყობისთვის ისეთივე თავ-გამოდებით, როგორც წინეთ ერთმანეთის გაუბედურებისათვის ცდილობდნენ. თუ განუშორებლივ ექნებათ გონებაში ეს მოკლე კანონი და გაამართლებენ ცხოვრების ყოველ შემთხვევაში, ქარხანა იმათთვის მალე გადაიქცევა სამოთხედ, რომელიც იმათის შემცდარის მოქმედების წყალობით ამ ჟამად უბედურების ბთდეს წარმოადგენს. ჰსინჯეს ასე მოქცევა და ვინც კი ასე მოიქცა, ასეთი ყოფა-ცხოვრების უმჯობესობაც დაინახეს. აღარ მისულან მმართველთან და ეხლა თითქმის აღარც ხდება იმათ შორის ჩხუბი და უსიამოვნებანი.

სარწმუნოებრივი გაბატონება ერთის განცალკევებულის სარწმუნოებრივის დასისა (სექტისა) დანარჩენებზედ იყო ერთი მიზეზთაგანი შურისა. ამ სიბოროტის თავიდგან ასაცილებლად აქეზებდნენ ყველა კარგ ყოფა-ქცევიანებს მუშებს სარწმუნოებრივ შეხედულებათა განურჩევლობაზედ და შეწყნარებაზედ. მუშებს აგონებდნენ, რომ ერთნაირად ეცათ პატივი ყოველი სექტის გულწრფელ აზრებისათვის, იმ საბუთის ძალით, რომ ყველას

უნდა სწამდეს ის კერძო სწავლანი, რომლების გავლენის ქვეშეც აღზრდილნი არიან, და ამიტომ არ შეიძლება იმის გადაწყვეტა, ვინ მართალია, ან ვინა სტყუის.

ასეთმა ზომებმა და საქმის ასეთმა ვითარებამ მოსპეს დასებრივი სიძულვილი და ბრიყვული მოუთმენლობა. თვითეული სრულიად კმაყოფილი იყო თავისი სინდისით და მასთანავე სარგებლობდა რამდენიმე და არა ერთის დასის მეგობრობითა. სარწმუნოებრივ დასებად დაყოფილნი მწყობრივ მუშაობდნენ ერთად ყველანი ერთს საქმეზედ, თითქოს მთელი ამხანაგობა ყოფილიყოს ერთნაირი სარწმუნოებრივი აზრებისა.

ამავე პრინციპებს მიმართეს სქესთა შორის უწესოების თავიდგან ასაცილებლად. გარყვნილება იკიცხებოდა და ეთვლებოდა ყველას ბიწიერებად. ყველა ამეების გამო ახდევინებდნენ ჯარიმას ამხანაგობის საშველ თანხის სასარგეელოდ *).

ერთხელ დადგენილ კანონების და ჩვეულების დამრღვეველებს საზოგადოება არ უყურებდა როგორც წაწყმენდილებს, არ აიუძლებდა მუდმივ გარყვნილებად-დარჩენილიყვნენ და არმით საბოლოოდ დაღუპულიყვნენ. თუ ისინი დაუბრუნდებოდნენ მეგობრებს და პატივცემულ კანონებს, ღია იყო კარი იმათ მისაღებად. ყოველ მოლოდინს გადააჭარბა ბოროტებათა უეცრივმა შემცირებამ.

ალარ იყვანდნენ ბავშვებს თავშესაფარებიდგან, მა-

---

*) ეს თანხა შესდგა ამხანაგობის წევრებისგან შეტანილი ფულით, რომლებსაც შეჭმოდათ იქა $^1/_{10}$ თავიანთ ჯამაგირებისა. თანხას განაგებდნენ თვითონ მუშებივე და დანიშნული იყო ავადმყოფების, მოხუცებულების და უბედურ შემთხვევით დაზარალებულების მისაშველებლად.

ერამ მიიღეს ზომები დაესახლებინათ ოჯახის პატრონი ხალხი ქარხნის გარშემო. ამ აზრით ააშენეს იმათთვის ყველაფრით . მოწყობილი სახლები, აჰკვეთეს 6, 7 და 8 წლის ბავშვების მანქანებზედ სამუშაოდ მიღება და ურჩევდენ იმათს მშობლებს დაერჩინათ სახლში ისინი 12 წლამდე, რომ გამაგრებულიყვნენ ფიზიკურად და მიეღოთ სწავლა.

სოფლის სკოლაში 5 წელიწადს, ე. ი. 5-დგან 10 წლამდის უფასოდ ასწავლიდნენ ბავშვებს წერა-კითხვას და ანგარიშის პირველ 4 მოქმედებას ყოვლად გაუმჯობესებული თანამედროვე მეთოდით.

ამ რიგად ბავშვები ჯერ განათლებას იღებდნენ და იზრდებოდნენ, და მერე შედიოდნენ ქარხანაში. მეორე შესანიშნავი გაუმჯობესობა იმაში მდგომარეობდა, რომ ცდილობდნენ ყველა ნაირ სამუშაოსთვის მიეცათ ბავშვებისთვის მიმზიდველი და საყურადღებო ხასიათი, ასე რომ ბავშვები დიდის მოუთმენლობით მოელოდნენ კლასის დაწყობას და არა გათავებას. შეიძლება დარწმუნებითა ვსთქვათ, რომ თუ ბავშვები არ გამოვლენ ძალიან კარგის ხასიათისანი, დამნაშავეები იქნებიან თვითონ ბავშვები კი არა, არამედ მშობლებისა და აღმზრდელების სრულით არ ცოდნა ადამიანის ბუნებისა. თანვე მიაქციეს ყურადღება ამხანაგობის შინაურ ცხოვრებას. მოწყობილი სახლები გააკეთეს, ქუჩები გაასწორეს, კარგსა და საღ სანოვაგეს ყიდულობდნენ ძალიან იაფად და ჰყიდდნენ მარტო თავნის ფასად; იმ დროსვე ასწავლიდნენ მუშებს ეცხოვრათ შეძლებისა და გვარად. შეშა და ტანისამოსი ეძლეოდათ ისევე, როგორც საჭმელი და თავის დღეში არ გაუფიქრებიათ მოგება აეღოთ იმათგან, ან მოეტყუებინათ ისინი.

მალე მიხვდნენ მუშები, რომ იმათ მეპატრონეს ცუდი არა სწადდა იმათთვის; სიძულვილი და უნდობ-

ლობა უცხოელებისადმი აღმოიფხვრა მათში; დარწმუნდნენ და დაიჯერეს, რომ იმათ მათთვის ბედნიერება სურდათ. ყველა ხელის შემშლელი გარემოებანი მომავალის გაუკეთესობისა განქრნენ. მუშებს ასწავლიდნენ გონივრად მოქცევას და გონივრადაც იქცეოდნენ. ასე ორივე მხარე სარგებლობდა ამ სისტემის აურიცხველი სიკეთითა. მუშები შრომის-მოყვარენი, თავდაჭერილნი და ჯან-მრთელნი შეიქმნენ, იყვნენ ერთგულნი თავიანთ მეპატრონისა და სცხოვრობდნენ ერთმანეთში მეგობრულად. მებატონეებს თითქმის თვალყური აღარც კი ეჭირათ, მაგრამ ამ კავშირის წყალობით უფრო მეტი სარგებლობა ჰქონდათ, ვიდრე შეეძლოთ ჰქონოდათ იმ სხვა ეისტემის დროს, რომელიც დაფუძნებული არ არის ერთმანეთის რწმენასა და სათნოებაზედ. აი როგორი გავლენა იქონიეს მოზრდილებზედ ამ პრინციპებმა იმ ხალხზედ, რომელსაც შესისხლხორცებული ჰქონდა უსაძაგლესი ჩვეულებანი, იქონიეს გავლენა იმ დროს, რომელიც სრულებით არ შეესაბამებოდა იმ საფუძვლების საქმით შეთვისებას *).

აი დაწვრილებითი ანგარიში ნიულენერკში ცდისა, თუმცა საფუძვლების კერძოდ შეთვისებას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც აქვს პრინციპების ნათ-

---

*) შეიძლება იფიქრონ, რომ ამ ქარხნის მუშებს კავშირი არა ჰქონდათ დანარჩენ საზოგადოებასთან, მაგრამ ეს ეშმცდარი აზრია, იმიტომ რომ ყოველ დღე და ყოველ საათს მიმოსვლა ჰქონდათ იმათ რიცხვით თავისზედ მეტს დასახლებულებთან. მეფის დაბა ლენერკი ძვეს ქარხანიდგან ერთი მილის მანძილზედ, ბევრი მცხოვრებთაგანი მოდიოდა აქ სამუშაოთ ყოველდღე. ძველსა და ახალს ქალაქს შორის არ შეწყვეტილა კავშირი.

ლად და სწორეთ გამოხატვას იმ აზრით, რომ აიხსნას, როგორ უნდა ეთვისებოდნენ ისინი ყოველ ამხანაგობას, რა პირობებშიაც უნდა იყოს იგი.

თუ პრინციპებს ასე არ გამოვხატავთ, მაშინ კერძო ფაქტებს შეეძლებათ გაგვართონ ან გაგვაკვირვონ, მაგრამ მოკლებულნი კი იქნებიან იმ ნამდვილს ღირსებას, რომელიც პრინციპებში მდგომარეობს. მაგრამ კერძო ცდის დროზედ მოთხრობილი ფაქტები გვიჩვენებენ, როგორები უნდა იყვნენ ქვეყნის ზნეობრივი და სარწმუნოების მხარეების განმაახლებელი საშუალებანი; ისინი გვიჩვენებენ საიდან მომდინარეობენ კაცობრაობის აზრები, ზნე-ჩვეულება, ავი და კარგი კაცობა, გვიჩვენებენ მათემატიკურის სინამდვილით რა გზით შეიძლება შევათვისოთ მოზარდ თაობას საუკეთესო, ან ძალიან ცუდი ჩვეულება-მიდრეკილებანი, ავი ან კარგი კაცობა.

ნულარ იტყვით, რომ შეუძლებელია თავიდგან აცილება ცუდი ან საზარალო დამნაშავეობისა და არ შეიძლება აღვზარდოთ მოზარდ თაობაში უგონიერესი ჩვეულებანი. ის პირნი, რომლებიც ეხლა დამნაშავეობას ჩადიან, პასუხის-მგებელნი არ არიან ამისა: მთელი დამნაშავეობა აწევს იმათ აღმზრდელს სისტემებს; ჩამოაშორეთ ის გარემოებანი, რომლებიც ხელს უწყობენ დამნაშავეობის ჩადენას და აღარ ჩაიდენენ დამნაშავეობას; შესცვალეთ გარემოებანი ისეთ პირობებზედ, რომლების წყალობითაც იბადებიან მიდრეკილებანი წესისა, სისწორისა, თავდაჭერილობისა და შრომის-მოყვარეობისადმი და ეს თვისებანი უეჭველად აღმოსცენდებიან. მოიქეცით ისე, როგორც მოითხოვს სასტიკი სამართლე, და თქვენ მალე მოიპოვებთ დაბალი წოდების მთელს და სრულს რწმენას. იხელმძღვანელეთ თქვენი მოქმედების დროს შეუდრეკელი და საყოველთაო სიკეთის პრინციპებით, დასაჯეთ ხოლმე რაც შეიძლება ნაკლები სისას-

ტიკითა, მაგრამ შეიმაგრეთ კი რომ დამნაშავეობამ პირდაპირი ზარალი არ მოუტანოს საზოგადოებას და განქრებიან დამნაშავეობანი, ისეთებიც კი, რომლებიც არსებობენ მოზრდილთა შორის, რადგანაც, თუ კაცი არ იტანჯება მოურჩენელი სიგიჟით, არ შეუძლიან წინააღუდგეს მტკიცე გარდაწყვეტილებას და გონივრულად მიმართულ საყოველთაო სიკეთეს.

ამ გვარი სისტემა სხვა სისტემებზედ ნამდვილად და უკეთ ასწორებს დამნაშავეებს და ყველა ცუდ და საზარალო ჩვეულების პატრონებს.

მოთხრობილი ცდა ამტკიცებს, რომ ეს სისტემა არ არის ჰიპოტეზა ან თეორია. შეგვიძლიან დამტკიცებითა ვთქვათ, რომ ჩვენ-მიერ წინადადებული ზოგადი პრინციპები ეთვისებიან ყველა ხალხს და ყოველ დროს. პირველადვე ნათლადა სჩანს, რომ უნდა მივიღოთ გონიერი ზომები იმაზ მიხედვით დამნაშავეობის ჩამდენ ყოველ ცთუნების მოსაშორებლად. შესაფერი მიმართულება უნდა მიეცეს თვითეული პირის მოქმედებას და აგრეთვე დრო—უწყინარ სიამოვნებისა და დასვენებისათვის. უნდა ვეცადნეთ მოვიშოროთ სიმშურნის, ვაი-ვაგლახის და სიბრაზის გამომწვევი მიზეზები და განვავითაროთ ის გრძნობანი, რომლებსაც შეუძლიანთ ჩამოაგდონ ერთგულობა, ერთსულობა და რწმენა საზოგადოების ყველა წევრებს შუა. მასთანვე ხალხს უნდა ვმართავდეთ დაუშრეტელის გულკეთილობით, რომ დაინახოს ჩვენი გულწრფელი სურვილი იმის გაბედნიერებისა და არა გაუბედურებისა.

ნიულენერკის მუშების მეტად ცუდ პირობებში ყოფნის დროს ნაცადმა პრინციპებმა, რომლებსაც 16 წელს მისდევდნენ, მოახდინეს ძირითადი ცვლილება მთელ 2000 მცხოვრებლებისაგან შემდგარ ახალშენის ხასიათზედ, რომელთა რიცხვიც (მცხოვრებლებისა) თანდათან იზრდე-

ბოდა ახლად გადმოსახლებულების მოწყდომის გამო. რადგანაც ჩვენს დროში აღარა სწამთ სასწაულები, არ დავიწყებ იმის დამტკიცებას, რომ ამხანაგობის ყველა წევრები გამოუკლებლივ დაბრძენდნენ, გაგულკეთილდნენ და განთავისუფლდნენ ყველა შეცდომებისაგან, მაგრამ ამას კი გაბედვით ვიტყვი, რომ ახლა ისინი გაცილებით უკეთეს საზოგადოებას შეადგენენ, ვიდრე წინ იყვნენ. ზემოხსენებული დროს განმავლობაში თითქმის სრულებით არ მიუმართავთ კანონით დადებულ სასჯელებისთვის და არც ერთს მუშას შემწეობა არ უთხოვნია საწყლებისათვის დანიშნულ თანხიდგან. არც ერთი არ შეჰხვედრიათ ქუჩებში მთვრალი, არც ერთი ბავშვი არ დაუსჯიათ აღზრდის დროს; ახალშენი წარმოადგენდა მრეწველობის, ზომიერების, კმაყოფილობის, ჯანმრთელობის და ბედნიერების სანახავს. ასეთი შედეგი მოჰყვა და მოჰყვებოდა ყოველთვის ჩვენ-მიერ აღწერილს პრინციპების პრაკტიკულად შეთვისებას. ამ პრინციპებს, თუ კი გონივრულად ვეცდებით მათს შეთვისებას, შეუძლიანთ გადაახალისონ როგორიც უნდა გარყვნილი საზოგადოება იყოს, შეუძლიან შეასისხლხორცოს იმის ნორჩს ნაწილს ყოველნაირი ხასიათი და იმდენად ადვილი იქნება ეს, რამდენადაც მომეტებული ზომით ვეცდებით მათს შეთვისებას. ამ პინციპების უკეთ გაყვანისათვის საჭიროა ჯერ კარგად შესწავლა იმ საზოგადოებისა, რომელსაც გვინდა შევათვისოთ ისინი. ყურადღებით უნდა გამოვიკვლიოთ გამეფებულ ბოროტებათა მიზეზები და ვიხმაროთ ადვილი და უბრალო ზომები ამ მიზეზების მოსაშორებლად.

ამასთანავე უყურადღებოთ არ უნდა დავტოვოთ არც ერთი ის ცვლილება, რომელსაც შეუძლიან სიკეთის მოტანა; თუმცა ეს ცვლილება ნელის ნაბიჯით უნ-

და მიგვყავდეს, მაგრამ ერთ წუთსაც კი არ უნდა გადავუხვიოთ სანატრელ გამაუმჯობესებელ გზას.

ამ რიგად შეგვიძლიან მოველოდეთ ჩქარ წინსვლას, იმიტომ, რომ მოისპობა ყოველივე სურვილი წინააღმდეგობისა და გონებასაც დრო ექნება შეასუსტოს ძალა ღრმად ჩანერგილ მაზარალებელ ჭორებისა. ერთი ბოროტების მოსპობა მოუმზადებს ნიადაგს მეორე ბოროტების მოსპობას და გაადვილდება ეს გეომეტრიულის და არა არითმეტიკულის პროგრესსიით. მარჯვედ წაყვანილი საქმის სიდიადე აღტაცებაში მოიყვანს თითონ ამ ცვლილების მომხდენებსაც.

მანამდის ხალხი იმოქმედებს ამ პრინციპების თანახმათ, ერთი ნაბიჯით უკან დაწევაც კი შეუძლებელია. წინ სვლის სიმტკიცე უდრის მის სივრცეს.

მაშ რაღა უშლის ხელს ამ სისტემის საერთო, საყოველთაო შეთვისებას?—არაფერი, გარდა მისი პრაკტიკული ნაყოფის უცოდინარობისა.

თუ დამნაშავეების გასაფრთხილებლად ნამდვილი საშუალებანი გვექნება, შეიძლებაღა ვიფიქროთ, რომ ბრიტანიის კანონ-მდებელნი უარსა ჰყოფენ ძალაში შეიყვანონ ეს საშუალებანი, რამწამს კი გაიცნობენ ამათ? დარწმუნებული ვარ, რომ არც მეფე, არც მინისტრები, არც პარლამენტი, არც რომელიმე სარწმუნოებრივი, გინდა პოლიტიკური დასი არასოდეს უარს არ იტყვიან ამაზედ. ისინი ყოველთვის წრფელსა და მხურვალე სურვილს აცხადებდნენ ბრიტანიის ქვეშევრდომების მდგომარეობის გაუმჯობესობისას, როცა კი უცხადებდნენ იმათ ისეთ პრაკტიკულ ზომებს, რომლების განხორციელებაც საშიში არ იყო სახელმწიფოსთვის.

ახლო მომავალში შესაძლებელია და არც საშიშია მარტო ერთი პრაკტიკული და, მაშასადამე, გონიერი რეფორმა, რომლის დროსაც შეიძლება შეერთდეს ყვე-

ლა დასის ხალხი: რეფორმა საწყალ, უსწავლელ, აღუ-ზრდელ ან ცუდად აღზრდილ ბრიტანიის მცხოვრებლე-ბის სწავლისა და მართვისა!.. ამ მიზნისთვის, საჭიროა უბრალო პრაკტიკული გეგმის შედგენა, რომელიც სრუ-ლიად საშიში არ იქნება არც ერთი კერძო პირისათვის და არც საზოგადოების რომელიმე ნაწილისთვის.

ეს გეგმა მდგომარეობს დაბალი წოდებების ხასია-თის აღზრდის და ზნეობრივი განვითარების უნაკლულო სისტემის გამოგონებაში. ჩემს, ამ საგნისთვის შეწირულ, მთელ სიცოცხლის გამოცდილებაზედ დავამყარებ ჩემს აზრსა და შეურყეველად ვიტყვი, რომ მეიძლება ყოველი საზოგადოება მივაჩვიოთ ისეთს ცხოვრებას, რომ არც ზარმაცობდეს, არც ღარიბად იყოს, არც დამნაშავეო-ბას სჩადიოდეს და არც დასჯა ეჭივრებოდეს, რადგანაც ერთიც, მეორეც და მესამეც შედეგია ქვეყნად გაბატო-ნებულ სისტემების სიმრუდისა. ყველა ესენი არიან აუ-ცილებელი შედეგი გაუნათლებლობისა...

აღზარდეთ გონიერად, რომელი მცხოვრებლებიც გინდათ, და ისინი იქნებიან გონივრები. მიეცით პატი-ოსანი და სასარგებლო სამუშაო ასე აღზრდილს ხალხს, და ისინი ამჯობინებენ ამ სამუშაოს უპატიოსნო და მა-ზარალებელ სამუშაოს. ძალიან საჭიროა ყოველ მართვე-ლობისთვის ასე აღზრდა და ასეთი სამუშაოს მიცემა, მასთანავე, ერთიც და მეორეც ძალიან ადვილი ასასრუ-ლებელია საქმით.

პირველს (აღზრდას) შეგვიძლიან მივაღწიოთ, რო-გორც უკვე ვსთქვით, ხასიათის აღზრდის ეროვნული სი-სტემით, მეორეს მუშებისთვის სამუშაოს შოვნით.

ადრესი.

ქარხნების დირეკტორების და საზოგადოთ იმ პირე-ბისადმი, ვინც სამუშაოს აძლევს ხალხსა და ადვილად

შეუძლიან განახორციელოს ამ ხალხის გრძნობა-ჩვეულებების აღზრდის გეგმანი.

ჩემი სარგებლობისთვის მეც ასეთივე ქარხნის პატრონი ვარ, როგორებიც თქვენა ხართ, მაგრამ დიდი ხანია, რაც მე ვმოქმედობ ისეთის აზრების მიხედვით, რომლებიც ბევრად ეწინააღმდეგებიან თქვენის აღზრდის აზრებს. და რა ვცანი ამ აზრების სიკეთე, რაც ორც სხვებისათვის, აგრეთვე ჩემთვის, ქონებრივადაც კი,—მე მსურს ყველა ეს გაგიზიაროთ ეხლა, რომ, როგორც თქვენ. აგრეთვე თქვენზედ დამოკიდებულმა ხალხმა, ასევე ისარგებლოს. ორს გამოქვეყნებულ წერილში მე უკვე ავწერე ერთი ნაწილი ამ პრინციპებისა. შემდეგ გვერდებზედ თქვენ ამას უფრო ვრცლათ იპოვით. იპოვით აგრეთვე, ზოგჯერ დაწვრილებით, იმათ შეთვისების მოთხრობას,—რაც დამოკიდებული იყო ადგილობრივ პირობებზედ, რომლებშიაც ჩაყენებული ვიყავი მე იმის შემდეგ, რაც ვიკისრე ქარხნის და ნიუ-ლენერკის ახალშენის გამგეობა.

ამ დაწვრილებით მოთხრობიდგან თქვენ დაინ ხავთ, რომ რა დღიდანაც დავიწყე მე გამგეობა, იმ დღიდგანვე ვუყურებდი მცხოვრებლებს, მანქანებს და დაწესებულების ყველა ნაწილს, როგორც რთულს სისტემას. მე ჩემს პირდაპირ მოვალეობას და ვალდებულობას ვხედავდი ამ ნაწილების ისეთ შეწყობაში, რომ უეჭველად ყოველ ადამიანს, როგორც თითონ უსულო აზარმაცებს, პრუჟინებს და თვლებს, მოეტანა ფულის მეპატრონებისთვის, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა.

ბევრი თქვენგანი უკვე დარწმუნდა იმ ნამდვილ სარგებლობაში, რომელიც მოაქვს ქარხანაში კარგად მოფიქრებულ და გაკეთებულ მანქანას.

გამოცდილებამ გასწავლათ აგრეთვე, თუ როგორი

სხვა და სხვა ნაირი ნაყოფი მოაქვს კარგად დასუფთათ, თუ, ცუდათ და უსუფთაოთ შენახულს მეხანიზმს.

პირველს შემთხვევაში ეკონომიაც დაცულია და საქმის წარმოებაც კარგად მიდის, ყველაფერი ადვილად, სწორედ და ჩქარა კეთდება. უკანასკნელ შემთხვევებში კი ჩვენ სრულიად წინააღმდეგსა ვხედავთ: მუშები ერთმანეთს უშლიან, საქმის საერთო სვლა უვარგისია და ყველა ამას, რასაკვირველია, არ შეუძლიან დიდი ზარალი არ მოიტანოს.

თუ თქვენ შეგიძლიანთ ასეთი კეთილშყოფელი ნაყოფი მიიღოთ, როცა წესზედ მოუვლით თქვენს უსულო მანქანებსა, მაშ როგორღა სარგებლობს შეიძლება მოველოდეთ **სულიერ** და კარგად მოწყობილ მანქანებიდგან, თუ თქვენ იმათაც ასეთს ყურადღებას მიაქცევთ?

შეისწავლეთ კარგად ეს ცოცხალი მანქანები, გაიცანით ეს საყურადღებო მექანიზმი და მისი თვითგანმაახლებელი ძალები. მიეცით იმათ საჭირო და მოძრაობაში მომყვანი უმთავრესი ძალა და თქვენ დასდებთ იმათ ნამდვილს ფასსა. თქვენ დაინახავთ, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ცოცხალს, ვიდრე მკვდარს მანქანებსა. მალე დარწმუნდებით, რომ შეიძლება ისინი გაიწურთნენ და ისეთი მიმართულება მიეცეთ, რომ მოგიტანენ ფულად მეტს სარგებლობას, რომლის რიცხვიც, რაც დრო გავა, უფრო სიჩქარით გაიზრდება და ამასთანავე თქვენი ასეთი მოქმედება გამოიწვევს იმათს გულწრფელს მადლობას.

ნუ თუ კიდევ დახარჯავთ აუარებელს ფულს მარტოოდენ ხის, სპილენძის ან რკინის საუკეთესო ღირსების მექანიზმის მისაღებად, იმათს საუკეთესო შენახვაზე და საუკეთესო მასალის ხმარებაზე, რომ ტყუილად არ ეხახუნოს ერთი ნაწილი მეორეს და მალე არ დაიშალოს!?

ნუ თუ კიდევ მოსცდებით რამდენიმე წელიწადი

იმაზედ, რომ შეიტყოთ ამ უსიცოცხლო მანქანების ნაწილების კავშირი, გაადიდოთ იმათი ძალები და მათემატიკურის სინამდვილით გამოიკვლიოთ იმათი კერძო და შეერთებული მუშაობა, ამაზედ მონდომებული დრო გამოთვლილი გქონდეთ წუთებით, კაპეიკობით ფულის შემოსავალი, რომელსაც დიდის მოგების იმედით ხარჯავდით!?.

ნუთუ თქვენ, გინდა უბრალო პრაკტიკულ სარგებლობის გამო, უყურადღებოდ დასტოვებთ იმ სარგებლობას, რომელიც შეუძლიან მოგცეთ ცოცხალი მანქანების გასაუმჯობესებლად გადადებულმა თქვენის თანხის ერთმა ნაწილმაც კი!?.

გამოცდილების მიხედვით მე შემიძლიან დაგიდგეთ თავმდებად, რომ ნამდვილად საქმის ცოდნით ამაზედ მოხმარებული ფული და დრო მოგცემს თქვენ არა 5, 10 და 15% დახარჯულის თანხისას, როგორც გაძლევსთ ეხლა, არამედ 50% და ზოგჯერ 100%-საც.

მე მოვახმარე ბევრი დრო და ფული ცოცხალის მანქანების გაუმჯობესობას. და ეხლავე, როდესაც ჯერ კიდევ არ გამითავებია ეს გაუმჯობესობა, უკვე მივიღე მხოლოდ ნახევარი იმ ნაყოფისა, რომლისაც მოლოდინი მქონდა და მალე 100% მივიღებ დახარჯულის თანხისას. მივედით იმ დასკვნამდის, რომ უფრო ნაზი და რთული ცოცხალი ორგანიზმიც მოიტანს აგრეთვე მეტს სარგებლობას, თუ მივცემთ ძალას და მოქმედებას. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ უფრო სასარგებლოა შევინახოთ ეს ცოცხალი ორგანიზმი სუფთად, მოვექცეთ მას ისე გულკეთილად, რომ მის გონებრივ მოძრაობას არ შეეძლოს წარმოშობოს ძალიან დიდი მომბეზრებელი ხახუნი. ყოველივე ღონის-ძიება ვიხმაროთ შეიქმნას მისგან სრული ადამიანი, რისგამოც უთუოდ უნდა ვაძლიოთ კარგი საქმელ-სასმელი და ცხოვრებისთვის ყველა საჭირო ნივთები.

ეს მისცემს იმას ძალას კარგად მუშაობისას, ააცილებს შეკეთების საჭიროებას და უდრო-უდროოდ ჩაფუშვას. გამოცდილებამ მშვენივრად დაამტკიცა ყველა აქ თქმულის სიმართლე.

რა დროდგანაც ბრიტანიის ყველა ქარხნებში შემოიღეს მანქანები, მუშებს ისე დაუწყეს ცქერა, როგორც მეორე ხარისხოვან და დაბალ მანქანას. მეტი ყურადღება მიაქციეს ხისა, ლითონისა და დაუმუშავებელის მასალის გაუმჯობესობას, ვიდრე კეტსა, ადამიანსა.

მაგრამ, ჩემო ნეკოობრებო, კიდევ ერთი უფრო მეტი მნიშვნელოვანი და მეტად საყურადღებო მსჯელობა. იმ ზომების საშუალებით, რომლებიც მალე ყველასათვის თვალსაჩინოდ შეიქმნებიან თვითეულისთვის, შეიძლება არამც თუ ცოტად გაუმჯობესობა ცოცხალის ინსტრუმენტებისა, არამედ ისეთს სისრულეში მოყვანაც, რომ აღემატებოდნენ ყველა ამ საუკუნეში, ან წინად ოდესმე არსებულ ინსტრუმენტებს.

ეს საგანი ღირსია მთელის თქვენის ყურადღებისა. მთელი თქვენი ძალ-ღონის გაუმჯობესებულ მანქანის გამოგონების შეწირვის მაგივრად, ცოტაოდნად მიმართეთ ძალ-ღონე სულისა და ხორცის მასალის შეწონვის საშუალების გამოძებნაზედაც, რომ მათაც შეეძლოთ პროგრესიული გაუმჯობესობა.

თუნდა ფულით ცოტათი კიდეც იზარალოთ ჩემმიერ წინადადებულ მოქმედების გამო, თქვენისთანა მდიდრებისთვის ბევრისთვის სრულიად უგრძნობელი იქნება ის ხარჯი, რომელიც საჭირო იქნება თქვენს დაწესებულებებში ცოცხალ მანქანების წინსვლის ხელის შემწყობ სისტემის შეტანისათვის და რიგზედ დაყენებისათვის. თქვენ გექნებათ იმის აშკარა საბუთი, რომ ფულით ზარალის მაგივრად,—გონივრად ხმარებული ღონით თქვენზედ დამოკიდებულ პირების ხასიათის აღზრდის და

ცხოვრების უკეთ მოწყობისთვის, —შემოსავლის გარდა, თქვენ მოგენიჭებათ კეთილდღეობა და ბედნიერება. ასე რომ მარტო საკუთარი სარგებლობის უცოდინარობას შეუძლიან უარი გათქმევინოსთ ცოცხალ მანქანების საჭირო ზრუნვაზედ. ამას გარდა, თუ როგორც გაჩვენეთ, ისე მოიქცევით, თქვენ უკუაგდებთ კაცობრიობის უბედურობის მომატებას, რომლის სიმრავლეზედ ცნების შედგენაც კი ძნელია.

მთლად თქვენი დარწმუნება ამ ძვირფას ჭეშმარიტებაში, დაფუძნებულია უტყუარ ფაქტებზედ და შეადგენს წრფელს სურვილს ავტორისას.

დ. მდ—ძე

(შემდეგი იქნება)

წერილი სოფლის მასწავლებლების მიმართ.

ოგზაურის გზა სულ ნარ-ეკლითა და მახეებით არის დაგებული, მაგრამ მოგზაური იმის მოგზაურია, რომ გზა და გზა ბევრს დაბრკოლებას ნახავს, და ბოლოს კი მაინც მშვიდობით მიაღწევს თავისს მიზანს.

ჟურნალ „მოგზაურის“ მიზანი ხალხში საუკეთესო ცოდნის და განათლების გავრცელებაა. უმთავრესი მიზეზი ჩვენის ხალხის სიბეჩავე-სიღარიბისა და ყოველისფერში დაქვეითებისა უკულმართი აღზრდა და გონების სიბნელეა. მოჰფინეთ ნათელი კუკუმეთ წყვდიადშიმოფარფატეთ და მაშინ ყველა თავისდა-თავად გაიგნებს გზას პატიოსანის შრომისადმი და უზრუნველადაც ჰყოფს თვისს კეთილდღეობას; ამასთანავე ნაკლებად იქნებიან მუქთახორები, რომელნიც ერთობ მძიმე ტვირთად აწვანან საზოგადოებას. ხალხის განათლება მარტო წერა-კითხვის ცოდნით არ განისაზღვრება. წერა-კითხვა მარტო გასაღებია განათლებისა, ცოდნისა, ღონისა, ძალისა. წერა-კითხვის მცოდნესათვის საჭიროა იმისთანა საკითხავი, რომელიც შესძენს მას მისი ყოფა-ცხოვრებისა და ხელობის გასაუმჯობესებელს სასარგებლო ცოდნას, უნარს, ხერხს, წაახალისებს პატიოსანს შრომაზედ და განამტკიცებს მის

სულსა და გულში ქრისტიანობრივ ზნეობას და სიყვარულს მოყვასთადმი. გარდა ამისა სკოლის წარმატებით მოქმედებისათვის საჭიროა, რომ თვით მასწავლებელსაც ჰქონდეს რამე წასაკითხად მის განათლებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში სადმე მიყრუებულს სოფელში მომქმედი მასწავლებელი იძულებული იქნება იკითხოს მხოლოდ იგივე ანბანი და სხვა სახელმძღვანელონი, რომლებითაც ასწავლის შეგირდებს, ხოლო, რაც უნდა რეწიტიანი იყოს კაცი, ერთისა და იგივეს კითხვა კი, სხვა არა იყოსრა, მოსწყინდება ბოლოს. ეკეთუ ვერ ჰპოვებს ვერავითარ საზრდოს თვისი გონებისა ვის, იგი გამოთაყვანდება და უაზრო მანქანად შეიქმნება სწავლების ასპარეზზედ; ცხოველი სული აღარ შერჩება მასწავლებელს და მისი სწავლებაც, მაშასადამე, გამოვა უსულო და უნაყოფო. შეიძლება უარესიც დაემართოს: მოწყენილობისა და უსაქმობისა გამო მასწავლებელმა ადვილად შეიძლება ლოთობას მიჰყოს ხელი და მით სამუდამოთ დაჰკარგოს მან ხალხისა და მოწაფეების პატივისცემა. გარდა ამისა მასწავლებლისათვის საჭიროა ცოდნა-მიმართულების მისაცემად მოწაფეებისათვის სასწავლო მასალის და საკითხავი წიგნების გამორჩევა. უამისოთ წერა-კითხვის შემსწავლელი გამოვა სკოლიდგან გაბუცებული, როგორც უორთაყვირო ნავში ჭდომარე ზღვის გასაცურავად. გამოუყენებელი უგზო-უკვლო სწავლა მხოლოდ გზას დაუბნევს და თავბედს აწყევლინებს კაცს, გამოვა არა განათლება, არამედ ერთი უმსგავსოება. მწიგნობრობის საქმე კი იგივე ველია, სადაც მოდის პურიც და სხვა სანოვაგე მცენარეულობაც, რომელთა შორის, რასაკვირველია, მათრობელა და შხამიანი ბალახ-ბულახიც ურევია. მომკალს უნდა გეეგებოდეს გამორკვევა სასარგებლო მცენარეებისა მავნებელებისაგან.

ახლა საიდამ უნდა ასწავლოს მასწავლებელმა ყო-

ველივე ეს, თუ თვით მას ვერსაიდგან ვერ შეეძლება ამ
გვარი სწავლის მოღება? აი სწორეთ ასეთის ცოდნა-მი-
მართულების კიდობანია ჟურნალი „მოგზაური“, მასწა-
ვლებლებო! იგი მარად იმის მეცადინეობაშია, რომ სავ-
სებით შეეწყოს ხალხის აწინდელ მოთხოვნილებებს და
მით იყოს ნამდვილი სახალხო, სასარგებლო ჟურნალი...
რადგან ხალხში განათლების გავრცელება უფრო სკო-
ლების საშუალებით შეიძლება, ამიტომ „მოგზაურში“
უპირველესი ადგილი დათმობილი აქვს პედაგოგიურს
ნაწილს, რომელიც შეიცავს საკმაო გონებითს საზრდოს,
როგორც მასწავლებლებისათვის, ეგრეთვე თვით მოწაფე-
თათვის. მასწავლებლებისათვის გამოსადეგია მთლად ში-
ნაარსი „მოგზაურისა“; ჟურნალი შეიცავს აუარებელ მა-
სალას ყოველისფრისას, რითაც კი შეუძლიანთ მათ შე-
იქმნენ სასარგებლო მოჭირნახულედ თავიანთ წრესა და
ალაგას. მათთვის, სხვათა შორის, ისტამბება წერილები
ხალხის ჯანმრთელობის მეურნეობის და სხვ. საგნების
შესახებ, რასაკვირველია, მყისვე გარდასაცემად ვისთვი-
საც ჯერ არს. სოფლის მასწავლებლების მოვალეობა
მარტო წერა-კითხვის სწავლებით არ განისაზღვრება. მათ
უნდა დაუდონ საფუძველი ხალხის ჭეშმარიტს განათლე-
ბას მისი ყოფა-ცხოვრების მოთხოვნილებათა შესაბამად.
თქვენ უნდა გამოუზარდოთ ქვეყანას არა იმისთანა თავ-
ფქვილა მწიგნობარნი, რომელნიც ისწავლიან თუ არა ერთი
ბეწვად ანბანს და სიტყვების ჩხლართვით სახვას, მაშინათვე
გაურბიან შორს თვისს მდგომარეობას, რათა შემდეგ უფრო
მეტი სილარიბე გამოასცადონ,—არა. თქვენ ისეთი ცოდნა
და სწავლა უნდა მისცეთ ჩვენის ხალხის ახალთაობას,
რომ შეეძლოთ გააუმჯობესონ თვისი შრომა, თვისი ყო-
ფა-ცხოვრება, გონივრულად მოაწყონ თვისი მეურნეობა
და, ერთი სიტყვით, უფრო ადამიანურად და ქრისტიანუ-
რად იცხოვრონ, ვიდრე მათი მამები და პაპები ცხოვ-

ობდნენ. ყველა ასეთს ცოდნა-მიმართულებას კი, „მოგზაურზედ“ უკეთ, თქვენ სხვა ვერც ერთი გამოცემიდამ ვერ შეიძენთ. იგი ნამდვილი სალაროა თქვენთვის...

ერთი მასწავლებელთაგანი.

მკირე შენიშვნა დიად საქმეზე.

ამას წინად ერთ დიად მნიშვნელოვან კრებაზე დედა ენაზე სწავლების შესახებ ბევრი კაზმული სიტყვა დაიხარჯა და რამდენიმე კარგი დასაბუთებული მოხსენება წაიკითხეს. ყველა, თათარიც, თუ ქრისტიანი, ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებელ საშუალებად დედა-ენაზედ სწავლებას აღიარებდა. მაგრამ, დახეთ მუხთალს ბედს, აქაც, ამ ერთის გრძნობით განმსჭვალულთ შორის, გამოერია ისეთი პირი, რომელიც თხოულობდა, რომ სახალხო სკოლებში მთელი სწავლა უთუოდ სამშობლო ენაზედ უნდა სწარმოებდეს, მაგრამ თუ რუსულს ენასაც ასწავლით, უთუოდ კარგად და ყოველ-მხრივ უნდა ასწავლოთო. დამეთანხმები, მკითხველო, რომ სრული ჭეშმარიტება სთქვა ამ გვამმა, მაგრამ მისს ასეთს სამართლიანს სიტყვას იქ დამსწრენი მწუხარებით მიეგებნენ და ეს ამბავი ზოგიერთმა გაზეთებმა მეორე დღეს თავიანთ მეთაურ წერილებში უმაღლეს უმართებულობამდის აიყვანეს. სწუხდნენ უფრო იმაზე, რომ ეს პირი ადგილობრივი მკვიდრი, ტომით ქართველი ბრძანდებოდა. იმის დაფასებაში კი, თუ ვინ როგორის გულით რა დასწერა, ან რა სთქვა, არ შედიოდნენ. მარ-

თალია, ძნელია ვისიმე გულის სიღრმეში ჩაძვრენა და იქ ზედ ნადების წაკითხვა-გაგება, მაგრამ, თუ კაცი საქმეს გამოეკიდა, ‹ უყოველთვის გაარჩევს ყალბს ნამდვილისაგან, მით უმეტეს, რომ არა არს-რა დაფარული, რომელი არა გამოსცხადდეს. ვსთქვათ, მართლა, ამ ერომა ქართველმა ესეთ მნიშვნელოვან კრებაზე მთელს საქართველოს დაუმსახურებელი შერცხვენა-სირცხვილი მიაყენა თვისი მიუფერებელი ლაპარაკით, ახლა ის ვიკითხოთ, ქართულს ენაზედ სწავლების შემოღების მომხსენებელი, ისიც ტომითვე ქართველი, როგორ ეპყრობათ იმგლეხებს, რომელთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ესოდენ ღვაწლსა და შრომას ეწევა და კრების მთელს დასაბუთებულს მოხსენებას უკითხავს დედა-ენის შესახებ!? ვინ დადგება იმის თავდებად, რომ იგი ტყავს არ აძრობს მათ და თვალის დასანახადაც არ ეჯავრება ისინი!.. საქმე ცარიელი ლიტონი სიტყვები ხომ არ გახლავთ. სათქმელი ის არის, ვის მართლა რა სწადიან ხალხისთვის!? როდესაც ვენახში ერთი ფოჩის მოცოხნის გამო გლეხს მის მკვებელს, ხარს ვართმევთ, ძმას სახლ-კარიდან კინწის კვრით ვაგდებთ და საზოგადო კრებაზედ კი ‹სამშობლო›-„ეროვნება“-ს ძახილით ყველას ყურებს ვუჭედავთ,—აქ რაღაც ჭკუაში არ მოსასვლელი რამ უნდა ხდებოდეს... ვისაც **საფუძვლიანი და ეროვულ-მხრივი კაცური, ცხოვრება-განათლება ხალხისა**, რაც დედა-ენის გარდა სხვა ენების ცოდნითაც არის მოსახერხებელი, არა აქვს სახეში თავისს საზოგადო მოღვაწეობის დროს, ის ასეთი მოკლე, ფანატიკური და დამჟავებული გრძნობებით შორს ვერ წავა და ვერც არას ხალხს შეჰმატებს რასმე, როგორც ვიცით, მას, ვისაც სამშობლოს სირცხვილის მჭმეველი დაუძახეს, გაცილებით მეტი ცდა და შრომა მიუძღვის ამ ხალხის წინაშე, ვიდრე მათ, ვინც ის ასე ულოლიკოდსამშობლოს ჩირქის წამცხებელად აღიარა. ესეც კმარა...

დავით ბავდიაშვილი.

მოვრალობა

და

მის წინააღმდეგ იარაღმოსილი საშუალებანი.

(ა. ბუტკევიჩის წერილებიდან).

მოვრალობის ფსიხოლოგია.

წერილი პირველი.

ერის ძველი, მობერებული ტემები, როგორც კაცობრიობა, მაგრამ რომელთაც ბედი სწვევიათ მუდამ სიახალგაზდეში დარჩნენ. ასეთ ტემებს ეკუთვნის საკითხი **ნარკოტის** *) ბოროტათ ხმარების შესახებ და კერძოთ საკითხი **ალკოგოლიზმზე** **). სწორეთ ერთგვარი გაბე-

*) ნარკოტი—საზოგადოთ კამარტიანებელი, თავბრუ დამსხმელი ნივთიერებათა.

**) ალკოგოლიზმი--ალკოგოლით მოწამვლა. ალკოგოლი სასოგადოთ ჰქვია სპირტს (ჭაჭის, ხილის და სხ. მისთ.). ამასვე ეკუთვნის უველა მაგარი სასმელები, რომლებიც მომეტებულ ადრეულობას ჰგვრიან ადამიანს, ითრობენ მას.

დულობაა საჭირო, რომ ათასჯერ ნათქვამი არ განიმეოროს ადამიანმა ამ თითქოს „მოყირჭებულ“ საკითხზე წერის დროს; მაგრამ ისინი იმდენათ სერიოზულია, იმდენად საჭირბოროტო, იმდენათ დაშორებულნი არიან სრულს განმარტებას და საზოგადოებაც ისე გულცივათ ეპყრობა მათს გადაწყვეტას, რომ შეუძლებელია ჩუმათ ჩავატაროთ იგი. მე არ დავხატავ აქ სურათს იმისას, თუ რიგორი გამხრწნელი ზედმოქმედება აქვს ალკოგოლს კერძო ადამიანის და საზოგადოების ფიზიკურ და ზნეობრივ მხარეებზე. ამაზე ბევრი დაწერილა და იგი არც ეხება ჩემი საუბრის პროგრამას. ამ საკითხის უდიდესი მნიშვნელობა რომ შევიგნოთ, საკმაოა მხოლოდ წარმოვიდგინოთ თუნდაც ღღეგანდელი ბედკრული კაცობრიობა, მშიერი, გაციებული, თავისს არსებით მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ვერ შემძლე და ამავე დროს მხარჯველი აუარებელი საშუალებების, ენერგიის და შრომის, დასამუშავებლად იმ დამლუპველ ნარეწისა (продуктъ), რომელსაც ადამიანი ხმარობს თავისს თავის მოსაწამლავად, რასაც მოჰყვეს როგორც ფიზიკური, ისე ზნეობრივი გადაშენება არა მარტო ერთის მოდგმისა, არამედ, მემკვიდრეობის წყალობით, მთელის რიგის მოდგმებისა. კერძო კაცის თავის მოკვლა აღელვებს, და შიშს ჰგვრის საზოგადოებას, ხოლო ნელის ნაბიჯით ერთიანი (массовое) თავის მოკვლა, ლოთობად წოდებული, არ იპყრობს საზოგადოების შესაფერს ყურადღებას. სტიქიონური უბედურებანი — ომი, ხოლერა, შიმშილობა, მთელს საზოგადოებას ყალყზე შეაყენებს და საბრძოლველად გამოიყვანს ხოლმე. ალკოგოლს კი, რომელსაც გაცილებით მეტი მსხვერპლი მოაქვს, ვინემ ყველა ამ უბედურობებს ერთათ აღებულს, ეძლევა უფართოესი ხელშეუშლელი ასპარეზი საბოქმედოთ. ის კი არა თუ ჩვენ საზოგადო მოღვაწეებს და

ყველა მას, ვისაც კი გული შესტკიცა საზოგადოების კეთილ-�ლეობისათვის, ერთ წუთსაც არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ მათ შრომასთან ერთათ კაცობრიობის კეთილდღეობისთვის, ექიმების, ვექილების, მეცნიერების შრომის გვერდით, გაჩაღებულა ნელი, მაგრამ შეუწყვეტელი შრომა ალკოგოლისა და ეს უკანასკნელი აბათილებს და აქარწყლებს პირველს. აღარ შეეჩერდები დიდხანს იმ მეტევრმეტყველურ სტატისტიკურ ციფრებზე, რომელნიც ცხადს ჰყოფენ ალკოგოლის გავლენას დანაშაულობების, მკვლელობის და თავის მოკვლის რიცხვზე, აგრეთვე მასსურ ამოწყვეტის გაძლიერებას ალკოგოლის გავლენით, რაც იხატება ბნედიან, ნერვებით და სულით ავათმყოფობათა გაძლიერებით. პროფესორს. სიკორსკის გამოჰყავს რუსეთისათვის შემდეგი საშუალო წლიური ციფრები, რომელიც მას მიუღია 17 წლის დაკვირვებიდგან: წყალში დამხრჩვალთა მომეტებულ რიცხვს მოჰყვება რიცხვი ლოთობით დაღუპულთა—4678, მკვლელობისაგან—2810, თავის-მოკვლისაგან—2000, გაყინულობისაგან 1230 და მოწამლვისაგან—1000 კაცი. ამ ციფრების შედარებით პროფ. სიკორსკი ალკოგოლს „ეროვნების მკვლელის“ სახელს უწოდებს. მაგრამ ალკოგოლის როლი, როგორც სიკვდილის ერთი მიზეზთაგანი ნათლათ არ ჩანს ამ პატარა ციფრით—4678 ით. ამას უნდა დავუმატოთ მთვრალობით დამხრჩვალთა და გაყინულთა რიცხვი და აგრეთვე დაორობის დროს ჩადენილ მკვლელობის და თავის მკვლელობის შემთხვევანი. მეორეც აქ მხოლოდ ნაანგარიშებია ალკოგოლისაგან მოწამლვით ერთბაშათ სიკვდილი; ჩვენ რომ შეგვეძლოს სტატისტიკური ცნობების შეკრება სიკვდილის შემთხვევებისა, როცა ორგანიზმი დაასუსტა და ბოლო მოუღო სასმელების წინეთ ბოროტათ ხმარებამ, მაშინ ალკოგოლის მსხვერპლი ათასობით კი

არა ასი-ათასობით იქნებოდა საანგარიშებელი. რაც შეეხება ალკოგოლის გავლენას სულიერ ავათმყოფობის რაოდენობაზე, საკმაოა ვთქვათ, რომ 40% სულით-ავათმყოფობისა ალკოგოლისაგან მომდინარეობს.

უბედურება, უეჭველათ, მეტათ დიდია. რით ავხსნათ საზოგადოების გულგრილობა ალკოგოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში? რას ნიშნავს ეს? ნუ თუ საკმაოთ ცხადი არ არის წარმოდგენა ამ ბოროტების სიდიადის შესახებ? თუ შეეჩვიეთ მას და ან კიდეც არ ძალგვიძს გაჭივრებას დაეხმაროთ? მე მგონია, რომ ერთიც, მეორეც და მესამეც. რუსულ ენაზე ორი ან სამი ღირსეული საშეცნიერო გამოკვლევა თუ არის ალკოგოლიზმზე. ჟურნალებში აქა-იქ თითო-ოროლა წერილი თუ დაისტამბება ამ საკითხის შესახებ, თორემ პოპულიარული, სახალხო ლიტერატურა ამ ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ მეტათ ღარიბია და რაღაც ათიოდე, ისიც უვარგისი, წიგნაკების ამარა არის საზოგადოება. რაც შეეხება ბოროტებისადმი შეჩვევას, აქ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რუსის ხალხის განსხვავებულ ხასიათს **საადასტეს, ადჩრეულ დამორჩილებას**, ყველაფრისადმი შეჩვევის და შეგუების უნარს ცხოვრების თვით აუტანელ პირობებისადმი.

ასე შეეთვითხორცა და შეეზარდა რუსის ხალხი მთვრალობას: თვით უხეში გამოჩინება მთვრალობისა აღარავის ნერვებზე აღარ მოქმედობს, და ბოროტების სურათი თვისი საოცარის შედეგებით თვალწინ აღარ გვიდგას. გრძნობა-დაკარგული სხეული, ღობე-ყორესთან სისხლსა და ტალახში ჩაგდებული, ქრმებისაგან ცოლების წვალება, ლოთი მშობლების-მიერ ლოთობას მიჩვეული და გარყვნილი ბავშები, ყოველივე ეს ჩვეულებრივი, ყოველდღიური სურათია, რომლებმაც თვალში სინათლე გამოგვილია და რომლებსაც ჩვენ გულგრილათ

ვურიგდებით, თითქოს რალაც საბედისწერო მოვლენაა და შეგვიტოვებია ხელში ამ საპატიო სოციალური საკითხის პოლიცია და ციხეების სამართველოებისათვის გადაწყვეტა. მართალია, საზოგადოებრივ ინიციატივის (თაოსნობის) უქონლობაში მთელათ საზოგადოება როდია მტყუანი თუ მართალი, რომ გმირები ჰქმნიან ისტორიასო, მაშ, შეიძლება, კიდე უფრო ხშირათ, ისტორია ჰქმნის გმირებს. მაგ., გაჩენა რუსეთში ასეთის მქადაგებლისა, როგორიკაა მლვდელი მატია, რომელმაც მთვრალობა მიატოვებინა და გამოაფხიზლა მთელ თვისს სიცოცხლეში 5 მილიონი კაცი და რომლის ბიტინგებს (კრებებს) ინგლისსა და ამერიკაში გაშლილ მინდორზე ათი-ათასობით მსმენელები ესწრება,— რუსეთის დღევანდელ ცხოვრებაში ასეთი კაცის მოქმედება შეუფერებელი და წარმოუდგენელია.

ამ სფერაში საზოგადოების გულგრილობა აიხსნება ერთის მხრით იმით, რომ ერთი ნაწილი ინტელიგენციისა გრძნობს საქმის ბინძურულეს და სიძნელეს და სრულიათ უიმედობის თვალით უყურებს ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლას, მეორეს მხრით კი ბრავალნი რყევასა და იქვეში არიან ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებათა ამორჩევაში. აქედან წარმოსდგება ის უსისტემობა და ორგანიზაციის უქონლობა, როგორსაც ჩვენ ვხედავთ ალკოგოლის წინააღმდეგ საზოგადოებრივ ბრძოლაში.

იმ დროს, როცა ერთნი ციურ მანანად აღკრძალვითს, პოლიციურ-ბიუროკრატიული ზომებს აღიარებენ, სხვები, მაგ., ლ. ნ. ტოლსტოი და ექიმი ალექსეევი, რომელმაც რამდენიმე წიგნაკი დასტამბა მთვრალობაზე, მიმართვენ ადამიანის თავისუფალ ნებას და ქადაგობენ სრულს მოთმენას, რასაც ისინი სიტყვით და თავისი პირადული მაგალითით ადასტურებენ. ბოლოს, მესამენი

საქმეს შორიდან უვლიან და ბოროტების მოსპობას ლამობენ საჩაიე, სამკითხველო და სახალხო გასართობების შემწეობით. რომელი გზა უფრო უტყუარი და მიზნის მისაღწევია? ამაზე პასუხის მიგება შეიძლება მხოლოთ მაშინ, როცა მთვრალობის მიზეზების დაწვრილებითს ანალიზს მოვახდენთ და გამოვიკვლევთ მთვრალიკაცის ფსიხოლოგიას. აი ამის გამოკვლევას ვცდით ჩვენ ამ წერილებში; ვგონებთ, რომ ეს ცდა მეტი არ იქნება, რადგან ალკოგოლიზმის საკითხს დაწვრილებით იკვლევენ დღემდე სხვა და სხვა ვიწრო-სპეციალური მხრით, მთვრალობის ფსიხოლოგიას კი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, იმაზე ნაკლებ ყურადღებას აპყრობდენ, რის ღირსიც იგი იყო.

სანამ ჩვენ ტემაზე ლაპარაკს შევუდგებოდეთ, ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ ალკოგოლის ადამიანის ორგანიზმზე ფიზიოლოგიურ გავლენის ‘ძესახებ. ეჭვი არ არის, რომ ალკოგოლი საჭმლის ნივთიერების რიგს არ ეკუთვნის, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ იგი მოკლებულია ყოველნაირ საჭმლისათვის მიუცილებელ თვისებას — **უგნებლობას**. მაგრამ თავი რომ დავანებოთ ალკოგოლის ცუდს გავლენას ორგანიზმზე, ჩვენ ვერ წავართმევთ მას იმ საპატიო როლს, რაც მას უჭირავს ადამიანის საზრდოობის პროცესში. როგორც მხურვალე ნივთიერება, ალკოგოლი წვის დროს სწრაფათ იხარწნება ადამიანის სხეულ'ში და ავრცელებს იქ სითბოს და ძალის ერთნაირ რაოდენობას. ამ რიგათ იგი ჰმატებს სხეულს ცუდი საზრდოობის დროს რაც საჭმელს ცილ-მაგვარი ნივთიერება აკლია; შიმშილობის დროს კი იცავს სხეულის შემადგენელ ქსელებს (ткань) დაფანტვის, დაქსაქსვისაგან. ადამიანის !აზრდოობაში ალკოგოლის ამნაირი როლით აიხსნება ის დაუძლეველი მიდრეკილება სპირტიან სასმელებისადმი, როგორსაც ჩვენ ვამჩნევთ სახელდობ

გაჭივრებულ, საზოგადოების ცუდათ მასაზრდოებელ კლასსებში, **მადრეკალება**, რომელიც, რა თქმა უნდა, ადვილათ გარდაიქცევა დამღუპველ ვნებად—**მოგრადობად**. «ამ კაცებს,—ამბობს ბევკერი, იმის გამო, რომ არ—აქვთ საკმაო ხორცეული საჭმელი და იმათ არაფრის საშუალებით იმის მოპოება არ შეუძლიათ, იძულებულნი არიან არაყი სვან».—„დიდხანს ეძებდენ არაყის სუროგატს (სამაგიეროს),—ამბობს ექიმი პორტუგალოვი,—მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საუკეთესო სუროგატი არაყისა არის—**ხორცი**“.

თუ კი ასეა, თუ კი ალკოგოლს და ხორცს ერთნაირათ ინტენსიური მასაზრდოებელი და აღმძვრელი ძალა აქვთ ადამიანის სხეულისათვის, ისე რომ ერთმანეთის მაგივრობა შეუძლიათ გასწიონ, მაშ რაღა გასაკვირია, რომ მუშა ხალხი, რომელსაც არ შეუძლია მუდამ ხორცით საზრდოობდეს, ყოველთვის დაუდგრომელ მდგომარეობაშია ალკოგოლის შესახებ, მისი მდგომარეობა მას ყოველთვის აიძულებს ალკოგოლის მავნებელ გავლენას დაემორჩილოს. ეს კიდე ცოტაა: დღევანდელ არსებობისათვის გაცხარებულ ბრძოლაში, როცა კონკურენცია (მოქიშპეობა) ქმნის ერთის მხრით საოცრათ გამრავალკეცებულ შრომას, მეორესით შრომის უთანაბროთ განაწილებას დროის მხრით, ალკოგოლს, როგორც უფრო ენერგიულათ აღმძვრელ, ¡ხელწამოსაკრავ ნივთიერებას, უფრო მრავალი უპირატესობა აქვს ხორცზე; რომლის მოქმედება იმდენათ ნელია, რამდენათაც თანაბარი და ხანგრძლივი. მართალია, ალკოგოლის ენერგიით ერთბაშათ აფეთქებას ყოველთვის ისეთივე მკაცრი რეაქცია (დაუძლურება) მოსდევს, რომ ამგვარ აღძრულობას მთელი ორგანიზმის ძალ-ღონის ღრმად დაქსაქსვა და ხანდისხან სიდამბლეც მოჰყვება; ამიტომაც ალკოგოლი ემსგავსება იმ მკაცრს მევახშეს, რომელიც უხვად იძლევა ვალად ფულს,

მაგრამ ისეთი სასტიკი პირობებით კი, რომ მევალეს საუკუნოდ აღატაკებს. ან რა ქმნას საწყალმა, როცა სესხება ხშირათ საჭირო ხდება, როცა იგი ერთ-ათ-ერთი საშუალებაა თავის ხსნისა, და როცა ცხოვრება მრავალზე უმრავლეს ადამიანებისა მუდმივი პრაქტიკაა ამ სამწუხარო ხელობის შემწეობით თავის ხსნისა. პროფ. დრილი, რომელიც ცნობილია თკისი შრომებით გადაშენების (вырожденіе) შესახებ, როცა მონაწილეობას იღებდა ფინანსთა სამინისტროსთან დაარსებულ ალკოგოლიზმის წინააღმდეგ საბრძოლველ კომისიაში, დაგვიხატა ცოცხალი სურათი მოსკოვის ხელოსნებისა, რომლებსაც, ბაზრისაგან დამოკიდებულობის გამო, ხანა უმუშავრობისა ეცვლებოდათ საკატორგო 18 საათის სამუშევარზე. პროფ. დრილის-მიერ შეკრებილ ცნობების დასკვნები სრულს უიმედობას ჰგვრიან ადამიანს: არის ისეთი კლასი საზოგადოებისა, რომლებისათვისაც, მათი ცხოვრების და მუშაობის პირობების გამო, ალკოგოლი საბედისწერო და მიუცილებელი თანამგზავრია არსებობისათვის. მხოლოდ ფართო საზოგადოებრივ რეფორმებს შეუძლია ამ უბედურების აცილება. მანამდე კი ჩვენ, ე. ი. საზოგადოებრივი თაოსნობა, ამ დაღუპვის მოუბრუნებლად გადაშენების და გზაზე შემდგარ კლასს ისევე ვერას უშველის, როგორც ვერას ვუშველით ერთბაშათ მსმელ ლოთებს, რომელთა ადგილი ექიმის მეთვალყურეობით სპეციალურ სამკუფნალოებშია. ფსიხოლოგიას იქ რა ადგილი აქვს, სადაც დაკმაყოფილებული არ არის ელემენტარული (უბრალო) ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი. ამიტომ, შევუდგებით თუ არა მთვრალობის ფსიხოლოგიურ მომენტების გარჩევას, ჩვენ უმთავრესათ სახეში გვეყოლება ის კლასსი საზოგადოებისა, რომელიც ნივთიერათ ასე თუ ისე იკმაყოფილებს თავისს ყოველდღიურ არსებობისათვის, მოთხოვნილებას, ასეთია, მაგ., ფა-

ბრიკა-ქარხნების მუშათა კლასსი, რომელიც როგორც სამუშაო ქირით, ისე სამუშაო დროის თანაბრათ განაწილებით უფრო უკეთეს პირობებშია, ვინემ კლასსი ქალაქის ხელოსნებისა.

თავისებურ ბრძნობასა და წარმოდგენებს რომ თავი გავანებოთ, ჯერ ყური დავუგუოთ იმას, თუ როგორ ხსნის თვით საზოგადოება ღვინისადმი თვისს მიზიდულობას. თუ ვისმე ჰკითხავთ, რატომ სმენო, გიპასუხებენ, სმენ მწუხარების, ანუ სიხარულის გამო, სმენ კამპანიის გულისათვის, სმენ მხნეობის-გაბედულობის მოსაგვრელად, სმენ ქებისათვის, სმენ, ბოლოს, როგორც ხსნის რუსეთის უდიდესი მორალისტი (ზნეობის მქადაგებელი), გონების და სინდისის დასახშობად. ჩავუკვირდეთ ზევით მოყვანილ მოტივებს, განვიხილოთ ისინი და დავრწმუნდებით, რომ ისინი საუცხოოთ დამახასიათებელნი არიან მსმელი ადამიანების ფსიხოლოგიისა და რომ ყველა იმათში არის ერთი ზოგადი საფუძველი, მიუხედავათ მათი მოჩვენებული სხვადასხვაობისა და დაბნეულობისა. დავიწყოთ რიგზე.

სმენ მოწყენილობისა და ბოღმის გამო... რომ გავიგოთ ზოგადი ხასიათი ამ მოწყენილობისა, რომელიც ხალხმა ღვინით, სასმელით უნდა დაახშოს, უნდა გავითვალისწინოთ, რაში მდგომარეობს თანამედროვე ადამიანისათვის ბედნიერება, როგორ ესმის მას იგი, ანუ რა შინაარსის წარმოუდგენია მას ცხოვრების სინამდვილე, იმიტომ რომ, როცა დავადგენთ დებულებითს (положительный) ცნებას, მაშინ უარყოფითი (отрицательный) აზრი თავისთავათ გამოირკვევა. საკითხი, თუ რაში მდგომარეობს ბედნიერება, ერთის შეხედვით, უნდა იწვევდეს თვით მოწინააღმდეგე და შეუთანხმებელ პასუხებს; მაგრამ ცნება **ბედნიერების** ასახსნელათ არის ობიექტიური (ყოველმხრივი, მიუდგომელი) ფორმულა, რომლის

შესახებ უნდა შეთანხმდენ თვით მოწინააღმდეგე შეხედულობების წარმომადგენელნი. ბედნიერებაა, გვეუბნება ეს ფორმულა — **რაც შეაძლება სრულია დაკმაყოფილება, რაგვარც ფიზიკურას, ასე სულიერ მოთხოვნილებათა. ცხოვრების კანონია — ჭარბობნაულია კანგიოარება ეგელა ნაჯიერებათა, ჭარბობნაული მუშაობა ადამიანის სხეულის ეგელა ორგანოებისა.** ამ კანონის განხორციელება ჰქმნის იმ გრძნობას ზოგადკეთილდღეობისა, ცხოვრების იმ სიხარულს, რომელსაც ჩვენ მდაბიურათ **ბედნიერებას** ვუწოდებთ. იგივე აზრი სხვანაირათ ნათქვამი, აი რას გვეუბნება: **ცხოვრების მირაოადი კანონი ამაში მდგომარეობს, რომ არც ერთი ადამიანისთვის მანაჯებული ტალანტი (ნიჭი) დამარხული არ აქმნეს მიწაში; უმაღლესის საკეთაი დაჯილდოვდება ის, ვინც ეგელა მასთვის მანაჯებულ ნიჭს ადმოაცენებს და აძრავლებს.** ასე, **სრულის ცხოვრებით ცხოვრება, ცხოვრება მთელის ოვასის არსებით, აა** ადეალი **ბედნიერებისა.**

ბედნიერებაზე ამგვარი შეხედულობის წერტილით ჩვენ თუ თვალს გადავავლებთ თანამედროვე კაცობრიობის ცხოვრებას, დავრწმუნდებით, თუ როგორ შორს, ძალიან შორს დასცილებია იგი აქ დახატულ იდეალს. ადამიანთა უმრავლესობა მოკლებულია შესაძლისობას დაიკმაყოფილოს თვით არსებითი მოთხოვნილებანი, როგორიცაა მოთხოვნილება სინათლისა, ჰაერის, ტანისამოსის, თავშესაფარის და საჭმლისა. ულმობელმა ბრძოლამ არსებობისათვის მიიყვანა შრომა უკიდურეს დანაწილებამდე. იმ დროს, როცა ერთნი გონებით მომუშავენი, ფიზიკურათ იხრწნებიან, სუსტდებიან, სხვები კი მთელ თვისს ძალ-ღონეს ფიზიკურ მუშაობაში ჰკარგვენ, გონებრივ-ზნეობრივად ჩლუნგდებიან და გადაშენების გზას ადგანან. საზოგადოებრივი ცხოვრება წინააღმდეგობებით (კონტრასტებით) არის სავსე: მშიერი შრომა და მაძღა-

რი უქმობა, მეცნიერების მნათობნი და უმეცრების უფ-
სკრული, სულის სიმაღლე ავათმყოფ სხეულში და ჯან-
მრთელი უსულო სხეული. საზოგადოება დაყოფილა
ჯგუფებად: ერთის მხრით ბოგინობენ მახინჯნი და და-
სახიჩრებულნი, ზოგიერთ ორგანოების ატროფიით (მო-
სპობა) და ზოგის—გიპერტროფიით (ზედმეტი განვითა-
რება); და სულ ამაო იქნებოდა ჩვენს შორის მთელი, ნო-
რმალური ადამიანის ძებნა. საკვირველიც ისაა, რომ ასეთ
პირობებში უმრავლესობისათვის ცხოვრება კატორღად
გადაქცეულა, და მწუხარება,—მუდმივი უკმაყოფილება
იქნება ეს უხერხულად მოწყობილის ცხოვრებისა, თუ
ერთბაში ნაღვლიანობა,—იგი ხდება მიუცილებელი თა-
ნამგზავრი ადამიანის არსებობაში. მაგრამ ტკივილის და
ტანჯვისათვის საჭიროა დამშვიდება, განუხორციელებე-
ლი მისწრაფებანი კი ითხოვენ დაკმაყოფილებას. ნარკო-
ტი, ანუ კერძოთ ალკოგოლი აკმაყოფილებს ერთსაც და
მეორესაც. როგორც უკვე ცნობილია, იმათი მოქმედება
ორგანიზმზე ორნაირია. თვრალობის პირველ ხანაში ადა-
მიანი ამჩნევს საერთო აღძრულობას, ამ დროს მატულობს
როგორც ფიზიკური, ისე სულიერი მოქმედება; მეორე
ხანაში კი—იწყება რეაქცია—საერთო დაუძლურება, ღო-
ნემიხდილობა და ძილი. და თუ ამ უკანასკნელ ხანაში
სასმელები ჰგვრიან ადამიანს ასე სანატრელ სრულ თავის
დავიწყებას თვისი არსებობის დამჩაგვრელ პირობებისას,
პირველ ხანაში ისინი აძლევენ მას რაღაც უფრო მომე-
ტებულ საფასურს და მისატყუებელს; ეგინი აძლევენ მას
შესაძლისობას ყოველდღიურ ცხოვრებაზე ზრუნველობა
თუნდაც ფრთა-შესხმულ ოცნებობის და მთვრალი ბო-
დვის დროს მაინც დაივიწყოს ის, რაზედაც იგი ასე უი-
მედოთ ფიქრობს სიფხიზლეში, და რაზედაც მას უარს
ეუბნება მკაცრი ცხოვრების სინამდვილე. მდაბიო ხალხი
ტყვილა როდი ამბობს, სასმელი ამხნევებს, სცვლის ადა-

მიანსო, და საკმარისია თვალყური ვადევნოთ დამთვრალს, რათა დავრწმუნდეთ, რომ იგი ამ დროს ეძლევა განსაკუთრებულ ნეტარებას, დაქრის შორს, სადღაც მისი ფანტაზიით (ოცნებით) შექმნილ ქვეყანაში. ოჯახი, აღა, ანუ ქარხნის მმართველობა, რომელიც მზათაა იგი ყოველთვის ქუჩაში გამოაგდოს, ლუკმა პურისათვის თავმობეზრებული ზრუნვა,—ყოველივე ეს სადღაც შორს გაიფანტა, ბურუსით მოიცვა... მას თავისს თავი აღარ ახსოვს, და ყოველი თვისს გარშემო უცხო ჰგონია. მოდუმშული და ჩუმადი, ახლა იგი გამხიარულებულია და იწყებს ლაქლაქს. ღარიბი იყო და ახლა ათასობით მფანტველ მდიდარივით ორიოდ გროშითაც თავი მოაქვს. ყველა ძაფები, რომელნიც აკავშირებდენ მას ცხოვრების სასიმწარო სინამდვილესთან და სულს ხდიდენ მას, როგორღაც ერთბაშათ დაწყდენ და განათავისუფლეს იგი. მშიშარა და დაჩაგრული,—იგი ხდება თავხედი და გამბედავი, მას ახლა ზღვაც მუხლამდე არ შამოსწვდება; გუშინდელი ტონა და უნებაყოფლო ბოგანო,—დღეს ხმამაღლა გაიძახის თავიანთ უფლებებზე და სიმართლეზე პირათქმულათ მოუბრობს; მძულვარება, ბრაზი, რომელნიც მის გულში ჩუმათ იყრიდენ თავს, რასაც აჩერებდა ხასიათის სიმაგრე და საზოგადოებრივი დისციპლინა (წესრიგი),—ახლა ნაკადულებათ გადმოხეთქას ღამობენ გარეთ და იჩენენ თავს მხეცურ წინააღმდეგობასა და შფოთიანობაში. რაგინდ მოჩვენებული და გარდამავალი იყოს ეს მთვრალობის ნეტარება, რაგინდ ძვირათ უჯდებოდეს იგი ადამიანს, იგი მაინც კიდევ მრავალთათვის ერთათ-ერთი მანათობელი ვარსკვლავია, და მხოლოდ მარტოდ-მარტო იგი აფერადებს მათის არსებობის გაუნათებელს სიბნელეს. ეს კიდე ცოტაა. იგი მათთვის მხსნელი კლაპანია (დასამცობი, დასაფარებელი) მათ

გრძნობა-გონებაში წამოდუღებულ მტრობა-მძულვარებისათვის.

ასეთია ის ბოლმა, სევდიანობა, რომელსაც ხალხი ღვინოში ახრჩობს. ახლა ვნახოთ, როგორიღაა ის მხიარულება, რომელიც მას ღვინოს აწვაფვებს.

როცა ამბობენ ხოლმე, სიხარულით სმენო, ეს არც მეტი, არც ნაკლები, გამოთქმის უბრალო შეცდომაა. ჭეშმარიტი და მკვიდრი მხიარულება თითონ თავისს თავში პოულობს კმაყოფილებას და არ საჭიროებს ხელოვნურ შეზარხოშებას. და თუ ჩვეულებრივათ სმენ კვირა-უქმე დღეებში, დღესასწაულობის დროს, ანუ ქორწინების, დაბადების და სხ. მისთ. დღეებში,—ამ დროს სიხარულისაგან როდი სმენ, არამედ სიხარულისათვის. ეს ცხადია იქიდანაც, რომ დღესასწაული ღვინის უსმელად დღესასწაულად არ მიაჩნიათ, და სახელდობ ის ქმნის სადღესასწაულო გუნებას. ასეთი სადღესასწაულო გუნების ხელოვნურათ გამოწვევას მოთხოვნილება ებადება ადამიანს იმის გამო, რომ თვისს გარშემო არ ხედავს გრძნობის და გონების გამახალისებელ ცოცხალ და მძლავრ შთაბეჭდილებებს; ყოველდღიური ცხოვრება უფერული და ერთგვარია. თანამედროვე ჰიგიენისტები (ცხოვრების მოვლის მცოდნენი), განმარტავენ თუ არა ადამიანისთვის საჭირო საჭმლის შემადგენელ ნაწილებს, სერიოზულ ყურადღებას აქცევენ იმასაც, თუ როგორ იღებს მას ადამიანი პირსა და სტომაქში. გემოვნების გრძნობელობა, რასაც ნაირნაირი საკმაზების და საჭმლის სხვადასხვანაირათ შემზადებით ვივითარებთ, იმათ მიაჩნიათ სავალდებულო პირობად, რომ საჭმელი კარგათ იქმნეს მონელებული. თუ კი სხეულის საზდოობისათვის ასეთი საპატიო როლი აქვს საჭმლის ნაირნაირობას, მაშ უფრო საჭიროა იგი (სხვადასხვანაირობა) ადამიანის სულიერი საზდოობისათვის. დაავადებული, მიდუნებული ცხოვრე-

ბა იწვევს ადამიანში მოთხოვნილებას შეზარხოშდეს, გამოცოცხლდეს, გამხიარულდეს. და რადგან ნათელი და მძლავრი შთაბეჭდილებებით ღარიბი ცხოვრება ვერ ამხიარულებს და ახალისებს ადამიანს, ამიტომ იგი თითონ იგონებს საბაბს გასამხიარულებლად და ჰქმნის სიმხიარულეს ხელოვნურათ, არაყის ანუ ღვინის შემწეობით. ნამდვილათ რომ ვთქვათ, ეს მთვრალობა სიხარულის როდია, არამედ მხიარულების უქონლობისაა, მწუხარებით გამოწვეული, ე. ი. იგივე მთვრალობა ბოლმისა და ცხოვრების უკმაყოფილებისაგან.

განვიხილოთ ახლა მთვრალობის მესამე მოტივი— **მთვრალობა კამპანიისათვის**—და შევჩერდეთ მაზედ ყურადღებით, იმიტომ რომ ბევრისათვის კამპანია შკოლა არის, სადაც ისინი გადიან ბიწიერების მთელ კურსს პირველი საფეხურიდან დაწყებული ბოლომდე. ეს რა კამპანიაა, და რით აიხსნება ის, რომ ჩვენში, მაგრამ განა მარტო ჩვენში, ყველგან, სადაც კი ორი ან სამი კაცი თავს შეიყრის, იქ საიდანღაც, რაღაც თილისმის ძალით, იმწამსვე გაჩნდება მათ შორის თავისებური სიმბოლო ერთობისა—**ღვინო**. კაცი არის არსება, რომელსაც ძლიერ ცანვითარებული აქვს საზოგადოებრივი ინსტიქტები; მისთვის მარტოხელათ დამწყვდევისთანა სასჯელი არ არის; მისთვის იმაზედ მეტი დანაკლისი არა არის რა, თუ იგი განაშორე თვისს მსგავს საზოგადოებას. სხვისთვის განუზიარებელი მხიარულება ადამიანისათვის სანახევრო მხიარულებაა, განუზიარებელი მწუხარებაც—ორნაირ მწუხარებას ჰგვრის მას. მაგრამ თანამედროვე ადამიანი იკმაყოფილებს კი ანუ რამოდენად თვისს საზოგადოებრივობის ინსტიქტს? თუ ჩვენ დასავლეთ ევროპას მივმართავთ, დავინახავთ, რომ იქ არსებობენ მრავალი სხვადასხვა საზოგადოებანი, კავშირები და კლუბები, რომელნიც აერთებენ მცხოვრებლებს ერთმანეთს შორის და შექმნეს

ის, რომ ინგლისელმა და ნემეცმა არ იცის რა არის მოწყენილობა და მარტოხელობა. იმათ ყოველთვის შეუძლიათ ადამიანის ყოველნაირ, სულიერ მდგომარეობას შესაფერი კამპანია გამოუნახონ; ყოველგვარ გაჭივრებულ მდგომარეობაში და ყოველი საკითხის გადაწყვეტაში მათთვის ყოველთვის მზათ არიან დახმარება აღმოუჩინონ მეგობრებმა და ამანამოაზრეებმა; მოგზაურობასა და გადასვლა-გადმოსვლის დროს იმათ ყოველგან მხიარულათ შეხვდებიან ხოლმე ამა თუ იმ კლუბის ანუ კავშირის წევრები. ამგვარ ცოცხალ საზოგადოებრივ კავშირებს, რომელნიც ასე აადვილებენ და აფერადებენ ადამიანის ცხოვრებას, რუსეთში ვერ შეხვდებით. აქ ყველა კარჩაკეტილი, განცალკევებულად ცხოვრობს. სიღარიბე და ლუკმა პურის შოვნაზე ზრუნვა ქმნის იმას, რომ ერთი და იმავე კლასსის წარმომადგენლებიც, მუშაობაში ამხანაგები, იმის მაგივრათ, რომ შეერთდენ, ერთმანეთს უნდობლათ და ეჭვის თვალით უყურებენ, თითქოს არსებობისათვის ბრძოლაში ერთიმეორის მოქიშპეები იყვნენ. კიდე უფრო მცირეა ერთობა ცალცალკე კლასსებში. ვეებართელა ჯურღმული ქონებრივ და გონებრივ სხვადასხვაობისა დღეს და ისტორიული ტრადიციები ბატონყმობისა წარსულში მათ სრულიათ აცალკევებენ, ამას თუ წოდებრივ ცრუმორწმუნეობას და საზოგადოებრივი ზდილობიანობის მოთხოვნილებებს მიუმატებთ, მაშინ მივიღებთ სრულს ახსნას იმ მძიმე ატმოსფერის, განცალკევების, მატყუვრობის, პირფერობის და ადამიანის მძულვარებისას, რომელშიაც ჩამხჩვალია დღეს რუსის ხალხი. ეროვნული ხასიათით კი ძნელათ თუ შეხვდებით ისეთ ხალხს, რომელსაც საზოგადოებრივობისადმი მიდრეკილება ისე ძლიერი ჰქონდეს, როგორც რუსის ხალხს. სრულიათ გასაგებია, რომ რუსეთის ხალხი იკმაყოფილებს ერთობის წყურვილს მღვრიე წყაროებიდან. რად-

გან იმან არ იცის და უფრო კი არ შეუძლია მონახოს გულითადი მეგობრების კამპანია, რუსი ძალა-უნებურათ უერთდება პირველათ ხელში მოხვედრილ კამპანიას. საზოგადოთ კი ვერსად საზღვარ-გარეთ თქვენ ვერ შეხვდებით ისეთ ჭრელ და აფერადებულ კამპანიას, როგორც რუსეთში.

დადარდიანებულნი და მარტოხელობის გრძნობით შეპყროობილნი ერთათ იკრიბებიან ისეთი კაცები, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ-რა არც განვითარებით, არც მისწრაფებით; ხშირათ თავს იყრიან ისეთი კაცები, რომელთაც ერთს მეორის არავითარი ნდობა და პატივისცემა არ აქვთ. და აი, შინაგან ცემენტის უქონლობის გამო, რაც უნდა აერთებდეს ამ სხვადასხვაგვარ ელემენტებს, ისინი მიმართავენ ხოლმე გარეგან ცემენტს—არაყის და ღვინის გადაკვრას, რომელიც თავისს თავათაც მართლა შემაერთებელ ნიადაგს წარმოადგენს, წარჩინებულათ ასრულებს თვისს შემაერთიანებლობის როლს. განცალკევება დავიწყებას ეძლევა, კონტრასტები იკარგება, უკმეხობა და თავდაჭერილობა ქრება, ენა ფეხს იდგამს —და ყველა იჩქარის ერთიმეორის წინაშე გადმოანთხიოს ყოველივე, რამაც მათ სულსა და გულში თავი მოიყარა. მაგრამ, ვაი, რომ არაყს, ღვინოს და სხ. მისთ. არ შეუძლია შექმნას შინაგანი შეგნება, და გასაკვირიც არა არის რა, თუ მთვრალობის გულახდილობას ჩვეულებრივათ მოჰყვება ხოლმე უგვანო ცემა-ტყეპა და ურთიერთ შორის განხეთქილება. მოიგონეთ პოტაპენკოს ეტიუდი „Крылатое Слово“, სადაც სოფლის მასწავლებელი, ჩავარდნილი სოფლის დიდკაცობის კამპანიაში, გაოცებულის და მომდურავის სახით ისმენს გულახდით ერთი-მეორის შერცხვენის სიტყვებს მთვრალ მეგობრებისას, იმ კაცებისას, რომელნიც მას დღემდე კეთილ და საპატიო პირებად მიაჩნდა. მაშ რა არის მთვრალობა

«კამპანიისათვის?» ჩვენ დავინახეთ, რომ იგი არის ერთი შედეგთაგანი გონიერ ერთობის მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობისა, უვარგისი გრძნობა ინდივიდუალურ განცალკევებისა ძმური ერთობისადმი.

მეოთხე მოტივი ალკოგოლით ბოროტმოქმედებისა — **გადაკვრა თავმოძწონეობისათვის, ენერგიის ადსაძგრელად,** ვრცელ განმარტებას არ მოითხოვს. გარდამეტებული შრომა, ცხოვრების სირთულე და შეუსაბამლობა იმ ამოცანათა შორის, რომელსაც იგი (ცხოვრება) ადამიანს წინ უყენებს, — ყოველივე ესენი ძალზე ჰლიან, აუძლურებენ ადამიანის ნერვების (ძარღვების) სისტემას. იგი მეტათ გრძნობიერი ხდება გარეშე შთაბეჭდილებათა მიმღეობაში, მასში ვითარდება ავათმყოფური მღელვარება, და იმავე დროს ჰკარგავს უნარს ჯეროვანი პასუხი გასცეს მიღებულ შთაბეჭდილებასა და მღელვარებებს, მისი ძარღვების ენერგია ეცემა, ნება სუსტდება. ეს ის ავათმყოფური მდგომარეობაა, რომელსაც მეცნიერებაში **ნევრასტენია**—**ნერვების ავათმყოფობა** ეწოდება. ნევრასტენიით ავათმყოფნი თანამედროვე საზოგადოებაში აუარებელზე აუარებელია, ნევრასტენია კი საუცხოვო ნიადაგია ალკოგოლიზმის განვითარებისათვის. ნევრასტენიკი მიმართავს ხოლმე ალკოგოლს ერთის მხრით ენერგიის მოსაგვრელად, აღსაძვრელად, მეორესით, როგორც ნარკოტს, სასმელს, — მას ხასიათის სისუსტის გამო აღარ შეუძლია თავი შეიკავოს ზომიერების საზღვრებში და აკვილათ ხდება ალკოგოლის მსხვერპლად.

გადვიდეთ ახლა მთვრალობის შეხუთე მოტივზე — **მთვრალობა გონების და სინდისის დასახშობად,** როგორც ეს მოტივი დასურათებულია ლ. ნ. ტოლსტოის წერილში: **«რატომ ირეცხავენ თავს ადამიანი».**

ლოლიკური მსვლელობა ლევ ტოლსტოის აზრებისა ასეთია: ადამიანები იხშავენ გონებასა და სინდისს იმი-

ტომ, რომ ამ უკანასკნელებმა არ გაიცხონ მათი ცუდი საქციელი, და, მოჰკვლენ თუ არა თავისს შინაგან ხელმძღვანელებს, ადამიანები ეძღვევიან ცუდ ცხოვრებას. საჭიროა ეს აუხსნათ კაცებს, და თუ კი ერთხელ ისინი შეიგნებენ, რომ სასმელები უხშავენ გონებასა და სინიდისს ადამიანს, მიატოვებენ სასმელების ხმარებას, და ამნაირათ დაუხშველი გონება და სინიდისი, აიძულებენ მას შესცვალონ თავიანთი ცუდი ცხოვრება. „ცხოვრება ისეთი როდია, როგორიც უნდა იყოს სინიდისის მოთხოვნილებით. სინიდისის მოთხოვნილების თანახმად ცხოვრების დასატრიალებლად ძალა არ შეგვწევს. და აი იმისათვის რომ შევძლოთ ცხოვრების განგრძობა, მიუხედავათ ცხოვრების უსწორმასწოროობის შესახებ სინიდისის მხილებისა, ადამიანები სასმელებით იხშვენ გონებას და სინიდისის ღაღადს. ეს ჭეშმარიტი აზრია; მაგრამ მაშინ ხომ სასმელებით ბოროტმოქმედება მიზეზი როდი იქნება ბოროტებისა, არამედ საბედისწერო შედეგი ადამიანის სისუსტისა... ამ მაცთურობიდან თავის ხსნის საშუალება მხოლოთ ერთია: სასმელების ხმარებას რომ ნიადაგი მოუსპოთ, საჭიროა დავეხმაროთ ადამიანებს დაუახლოვონ თავიანთი ცხოვრება სინიდისის მოთხოვნილებებს.

ამნაირათ, ყოველივე ზემორე ნათქვამიდან ჩვენ შეგვიძლია შემდეგი საკითხი წამოვაყენოთ: ადამიანები იმისათვის სმენ, რომ ცუდათ იცხოვრონ, თუ იმისათვის, რომ ცუდათ ცხოვრობენ? ამ საკითხის გადაწყვეტისაგან დამოკიდებული იქნება პრაქტიკული საკითხიც თუ, „რა უნდა ვაკეთოთ“? ვიქადაგოთ სიტყვით და პირადი მაგალითით მარტო მოთმენა, თუ ვეცადოთ, გარდა ამისა, ვიმოქმედოთ იმ ბნელით მოცულ მხარეებზე, რომელნიც ერეკებიან ხალხს სამიკიტნოებისა და ღვინისაკენ? გულწრფელ და ღრმათ თანამგრძნობელ ადამიანისათვის აქ

არავითარ საკითხს ადგილს არ აქვს, და თუ მეორენაირი გზა უფრო მომეტებული ყურადღების ღირსია, ყოველ შემთხვევაში საქმე სიტყვას როდი უარჰყოფს, თუ თითონ თანამგზავრი და შიუცილებელი შედეგია გულწრფელის სიტყვისა. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს თვით ლ. ტოლსტოი, რომელიც, მართალია, მოთმინებას ქადაგებს, მაგრამ იმავე დროს **აქტიურათ** ებრძვის ბოროტებას და მხურვალე მონაწილეობას იღებს მოსკოვში „სახალხო გასართობების მომწყობ საზოგადოების“ მოქმედებაში. სამწუხაროთ ამასვე ვერ ვამჩნევთ ჩვენ ცხოვრებაში, სადაც გამაცხოველებელი სიტყვა ზნეობისა ადვილათ გადიქცევა ხოლმე ხშირად მორალურ ქადაგებად და გულცივ ჭკუის დარიგებად, და სადაც მღელვარე სიტყვის და გულწრფელის გრძნობის მაგივრათ ჩვენ ხშირად ვხედებით ფრაზიორების პაფოსს (აღელვებას) და ცბიერი კაცების თავის კატუნს. და თუ ერთის მხრით საზოგადოების ყველა ცხოველი ელემენტების ბოროტების წყაროდ ცხოვრების ასრულება მიაჩნია და ეწვევა საზოგადოებრივ შრომას თვისს მოყვასთა სასარგებლოდ, მეორეს მხრით, ხშირათ ვართ მაყურებელნი შემდეგ-ნაირის საამურის სურათისა: თავისის ვითომდა წმინდანობით გამედიდურებული სიფხიზლის მქადაგებელი, თავის იაფ-ფასიან კეთილმოქმედების სიმაღლიდან იწვევს ცოდვილ თანამოძმეს მიჰბაძოს მას და აღმაღლდეს მისს სიმაღლემდე.—„მე სუსტი და უილაჯო ვარ, გზა კი თქვენამდე ძნელი და ეკლით მოსილია, უპასუხებს მას მისი თანამოძმე; ჩამოეშვი ძირს და ხელი გამიწყვე ჩემ სავალ გზაზე“. მაგრამ ამგვარი მისსია (მოვალეობა) მქადაგებლის პროგრამაში როდი შედის, და იგი სრულიად წარბშეკუბრელად, და დაურცხვენლათ განაგრძობს ენატკბილათ მოუბრობას სიფხიზლის უმჯობესობაზე, მთვრალობის მავნებლობასა, ცოდვაზე და სხ. მისთ.

ის კი არა, თუ სიფხიზლის მქადაგებელს ისტორიაში ჩაეხედა, დარწმუნდებოდა, რომ მთვრალობა გაცილებით უფრო რთული და სერიოზული მოვლენაა, ვინემ მას ჰგონია. ისტორია მოწმობს, რომ არ ყოფილა არც ერთი ხანა, როცა შემწყდარი ყოფილიყოს სასმელების ხმარება; არ ყოფილა ერი, რომელსაც თავისებური სასმელი ნარკოტი არ ჰქონებოდეს, მაგ., ევროპიელს არაყი და თამბაქო, ჩინელს ოპიი, ინდოელს გაშიში და კაჰჩადალელს თვისი მახორკა და სხ. ნუ თუ ცხადი არ არის, რომ ნარკოტის საერთო გავრცელება, მისი დიდიხნიდან ხმარება და მუდმივი არსებობა ფუფუნება ანუ კერძო პირის ჟინი არ არის, არა შემთხვევითი მოვლენაა რომელიმე ეპოქისა, არამედ განუყრელი თანამგზავრია კაცობრიობისა? რა ჰქმნის ამ მჭიდრო კავშირს ადამიანსა და ნარკოტს შორის? ჩვენ უკვე განვიხილეთ სხვადასხვა მოტივები მთვრალობისა და ახლა, შეგვიძლია ნათქვამიდან ერთი ძირითადი დასკვნა გამოვიყვანოთ და ვთქვათ, რომ **ფსიხოლოგიური მოტივი ნარკოტის ხმარებისა არის ცხოვრებით უკმაყოფილება.**

ცხოვრება მოძრაობაა; მაგრამ მოძრაობას, ბრძოლის დაღლილობა მოჰყვება და ამას კი მოთხოვნილება დასვენებისა; ენერგიის აფეთქებას მოჰყვება დაღონება და გულგატეხილობა, რაც იწვევს აღძვრის მოთხოვნილებას; ამ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ სასმელები და ყოველნაირი ნარკოტები, და რაც უფრო დიდი ზვარი დევს იდეალსა და სინამდვილეს შორის, რაც უფრო შემაწუხებელია დაუკმაყოფილებლობა სინამდვილით, და რაც უფრო გამწვავებულია ბრძოლა, მით უფრო მკაცრათ თავს იჩენს საჭიროება ნარკოტებისადმი და მით უძლიერესია მათი ხმარებაც.

ამნაირათ აღმძვრელი ნივთიერებანი საჭირონი ყოფილან ადამიანისათვის და კაცობრიობის დასაბამიდანვე

არსებობენ; და თუ ჩვენ გამოვდივართ ზოგი მათგანის წინააღმდეგ საბრძოლველად, **ნარკოტების სრულიად მოსპობა** **მაღნად** კი არ გვაქვს, **არამედ** გვიხდა **შეგცვალოთ** **მავნებელი** **და** **ძალზე** **ადმძვრელი** **სასმელები**, **სასარგებლოებით**. ჩვენ სიტყვა ჩამოვაგდეთ ალკოგოლის სუროგატების შესახებ, მაგრამ სახე'ში როდი გვაქვს ალკოგოლის ანალოგიური ალმძვრელები, ყავა და ჩაი, რომლებშიაც ნარკოტიული მოქმედება თითქმის სულ არ არის; ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ, მისთვის უკვე ნაცნობ დიად ალმძვრელ საშუალებაზე—**ხელოვნებაზე**. დიახ, ხელოვნებას ამ სიტყვის თვით უფართოესის მნიშვნელობით! და თუ პორტუგალოვს ხორცი მიაჩნდა საუკეთესო ფიზიოლოგიურ საშუალებად ალკოგოლის სამაგიეროთ, ამგვარივე უძვირფასეს ფსიხოლოგიურ მისს (ალკოგოლის) სუროგატად მიგვაჩნია ჩვენ **ხელოვნება**. და თუ შევადარებთ ალკოგოლის და ხელოვნურ ნიწარმოებთა ზეგავლენას ადამიანის სხეულზე, დავრწმუნდებით, რომ ხელოვნება, მოკლებული ალკოგოლის ცუდ თვისებებს, აძლევს ადამიანს ყოველივე იმას, რასაც იძლევა ალკოგოლი და კიდევ ბევრ სხვა რამესაც. წიგნს კითხულობს ადამიანი, თეატრში ზის, სურათს ათვალიერებს, თუ მუსიკას ისმენს, იგი შორდება ყოველდღიურ ცხოვრების ზრუნვებსა და დავიდარაბებს, თავს ივიწყებს, ისვენებს დამლალავ და სულის შემხუთავ შთაბეჭდილებისაგან. მაგრამ იმ დროს, როცა ალკოგოლის შემწეობით დასვენებას მოჰყვება სიდამბლე სხეულის ორგანოებისა და შემდეგ ამისა საერთო დაუძლურება და ღონემიხდილობა, დასვენება **ხელოვნებითი** **ნაწარმოებთა** **საშუალებით** არის შედეგი შთაბეჭდილებათა ცვლისა, როცა მომეტებულ შემთხვევებში უბრალო, ცუდი შთაბეჭდილებანი იცვლებიან მაღლებზე, უკეთისებზე; ამნაირი მრთელი **დასვენება** **როდი** **ტოვებს** ადამიანში **დაუძლურების**

და შეწუხების გრძნობას, პირიქით, აცხოველებს მას და ამაღლებს მისი ნერვების ენერგიას. ალკოგოლის მსგავსად ხელოვნებაც სცვლის ადამიანის გუნებას და აძლევს საზრდოს მისს ოცნებას, მაგრამ აქაც ერთისა და მეორის ადამიანზე გავლენებს შორის დიდი განსხვავებაა. ალკოგოლსა და თეატრსაც ერთნაირად გადაჰყავთ ადამიანი სადღაც სულ სხვა, ოცნების ქვეყნიერებაში: ადამიანი გარეშემორტყმულია ნაირნაირ სურათებით, რომელნიც ერთ შემთხვევაში ალკოგოლით არის გამოწვეული, მეორეში კი—მხატვრისაგან. მაგრამ სურათების ცვლას ალკოგოლით გახურებულ ტვინში არა სასიმრთელო, დაფანტული, ბოდვითი ხასიათი აქვს, იგი გალიუცინაციაა, რომლებიც სწრაფად, წუთიერად ჩამოურბენენ ადამიანს; ოცნების ამ ხაირი მოტყუება, მთვრალობაში ამისთანა დაფანტული სიზმრები უხეშ სტიქიონურ გრძნობების და უაზრო საქციელის მეტს არას იწვევენ ადამიანში. ამას როდი ჰგვანან მხატვარის მიერ გამოწვეული სურათები: ეს ცოცხალი ადამიანებია, მახლობლები, მაყურებლის ნათესავები. ისინი გრძნობენ, ფიქრობენ, იტანჯვიან და იწვევენ მაყურებლებშიაც თანაგრძნობას და ტანჯვის გათანაზიარებას. სცენა აძლევს მაყურებელს ცხოვრების სინამდვილის სრულს ილიუზიას (წარმოდგენას) და ამით ასწავლის მას შეიგნოს თვისი გარემო სინამდვილე. მხატვარი გადმოუშლის ბრბოს ადამიანის ყოველგვარ სულის საიდუმლოებას და ასწავლის მას შეიგნოს ტანჯვა და საჭიროება მოყვასისა და თანაუგრძნობს მას. იმ დროს, როცა ალკოგოლით აღძრულ ოცნებას დაჰყავს ადამიანი ერთ და იმავე წინეთ ნაცნობ წარმოდგენებში და სრულიადაც არას ჰმატებს მის გონებასა და ზნეობას, ხელოვნებას გადაჰყავს იგი თვის პირადულ «მე»-ს საზღვრებიდან, აცნობს მას ადამიანის სულის და ბუნების საიდუმლოებას, ავითარებს მის გრძნობებს და აფართოვებს

მის გონებრივ შეხედულებას. რადგან ხელოვნებას გამოჰ-ყავს ადამიანი თვისი „მე“-ს საზღვრებიდან და აღღვევს მის ეგოისტურ კარჩაკეტილობას და განცალკევებას, ამით იგი ხელს უწყობს კაცობრიობის ოჯახის გაერთიანებას. სადაც ხელოვნების სახელით იკრიბებიან ადამიანები, იქ ადგილი არ აქვს მთვრალ კამპანიას. ოჯახიდან დაწყებული, რომელიც წიგნებს შამოხვევია გარშემო ანუ თავს ირთობს მუსიკით და სიმღერებით, თუ გადავალთ ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოებსა და თეატრებზე, სადაც ათასობით ერთდებიან ადამიანები ერთის გრძნობითა და გუნებით და გავათავებთ წიგნებითა და გაზეთებით, რომლებიც ეფინებიან მთელ ქვეყნიერობას და მილიონ მკითხველებში აღვივებენ ერთ და იმავე აზრებსა და გრძნობებს, ყოველგან ხელოვნება ბრწყინვალეთ ასრულებს თავისს გამაერთიანებელ მისსიას; სადაც აყვავებულია ხელოვნება, იქ შესაფერათვე ისპობა მთვრალობა. სრულიათ სცდებიან რუსეთში არსებული «გამოსაფხიზლებელი საზოგადოების» წევრნი, როცა ხალხის გასართობების მოწყობის პროგრამაში ნაკლებ ადგილს უთმობენ ხელოვნებას, როგორც ხალხის მთვრალობისაგან ამაცდენელ საშუალებას. არა, ხელოვნება არა თუ აკილებს ხალხს არაყსა და ღვინოს, იგი პირდაპირ დამოუკიდებლივ, სდევნის, აძევებს მას.

ხელოვნების ძალა, როგორც ნარკოტივისა, დიდი ხანია შეიგნეს კაცობრიობის მოდგმის ყველა მტრებმა და თავისდა სასარგებლოთ იყენებენ ბრბოს ცუდ გემოვნებებს; ისინი იზიდავენ მას (ბრბოს) განსაკუთრებული, დაბალი ხარისხის ხელოვნებით და ქმნიან მრავალგვარ მაცთურ სანახაობას ხელოვნება და არაყისაგან. ჩვენ დროში იშვიათათ თუ შეხვდებით სამიკიტნოებსა და საჩაიებს უგაზეთოთ; ყოფილი მიკიტნები მოგვებით სცემენ ორგანოებს, რომლებიც სპეციალურათ სამიკიტნო-

ებში მოსიარულეთათვისაა დანიშნული; თითქმის ვერ ნახავთ ტრაქტირს უმუსიკოთ და უწიგნებოთ; სოკოსავით მრავლდებიან ყაკახანები და საოპერო თეატრები ძლიერ ბელს უწყობენ სასმელებით მოვაჭრე ბუფეტებისზრდას. — „პური და სანახაობაო!“ — ასე გამოსთქვა ოდესღაც რომაელების ბრბომ თავისი ცხოვრების მოთხოვნილებანი. სანახაობას მიუცილებლათ უდიდესი მომავალი მოელის, და დღეს, როცა არაყს იგი ექიშპება ან მასთან ხელიხელგაყრილი დაბით ხალხში შეეტანა სხვადასხვა სანახაობამაც, შეიძლება არაყზე უფრო გამრყვნელმა სანახაოებმაც, ინტელიგენციამ, რომელსაც არ ძალუძს მოსპოს სათავე'შიეე ამ ტალახიანი და ამღვრეული ნაკადულის ხალხში დენა, — ყოველივე ღონისძიება უნდა მიიღოს, რათა გაამდაბიუროს ხალხისათვის ხელმისაწდომი გახადოს ჭეშმარიტი ხელოვნება“.

რადგან ჩვენ განზრახული გვაქვს მთვრალობასთან საბრძოლველ ზომებს ცალკე წერილი ვუძღვნათ, ამისათვის, დასასრულ, აქ გამოვთქვამთ ერთ ზოგად, ამ საუბრიდან გამომდინარე დასკვნას: **ეოგველიგე, რაც კვაიდგიდლებს და ამრაგალეფერთგანების ცხოგრებას, რაც ანხლოგებს სანამდვილეს ადგილთან და ამსუბუქებს ცხოგრებათ უკმაყოფილების კრძნობას, ე. ი. ეგელა ის ზიამები, რომელნიც მაამრთულნი არიან ხალხის ნიგთიერ კეთილდღეობის გაძლიერებისა, განათლების კეგრცელების და ხელოგნების განვითარებისაგან, ჩაირიცხებიან ამაგე დროს ბთგრალობის წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებებად** *).

*) ჩვენში, სადაც ჯერჯერობით მთვრალობის დაბით ხალხში ისე საერთო ხასიათი არ მიუღია, როგორც ეს რუსეთშია, — საჭირო ხალხის კულტურტეგარმა ინტელიგენციამ ამ თავიდანვე იზრუნოს და შეაჩვიოს ხალხი წარმოდგენები

წერილი მეოთხე.

ინა წერილში ჩვენ განვიხილეთ ძირითადი მოტივები მთვრალობისა და დავადგინეთ ის აზრი, რომ ყოველივე ის, რაც კი აადვილებს და აფერადებს ადამიანის არსებობას, ე. ი. ყველა ზომები, რომელთაც მიზნათ აქვთ გაძლიერება ხალხის ნივთიერ კეთილდღეობისა, განათლების გავრცელება და ხელოვნების განვითარება, იმავე დროს იქნებიან მთვრალობის წინააღმდეგი ზომები. ახლა კი კერძოთ გავარჩიოთ მთვრალობის წინააღმდეგ საბრძოლველად მიმართული ზომები და დავყოთ ისინი ორ ჯგუფად: ზომები საზოგადოებრივი და მთავრობის მხრით.

საფიქრებელი იყო, რომ ხალხის კეთილდღეობის

და ხელოვნების საშუალებით მათ გრძნობა-გონებაზე კეთილ მოქმედებას და მით აცდინონ იგი **დღეგანდელი** სამეკითხოების და ტრაქტირების ცუდ გამრეკელ გაკეთებას. ამისათვის კი საჭიროა განსაკუთრებული **ყურადღება** მიექცეს **სახალხო თეატრს და გასართობებს,** რომლისათვისაც მიუცილებლათ საჭიროა **„სახალხო სახლი“**, ცალკე საამისოთ დანიშნული თავშესაფარი. ამიტომ, **დღეგანდელ** უბრალო **ბრამბით** მოცულ ან კიდე ბრიგრამების **მაძიებელ** ინტელიგენციის საამ**დროვო** **მოგვალეობა** «**სახალხო** სახლების» აგების **საქმისაკენ** მიმართონ თავიანთი და სხვისიც **ხალხის** გულშემატკივრობის ძალ-ონე, თუ კი **სურთ**, **რომ** მათს **მოქმედობას** საამ**დროვო** **სარგებლიანობის** ხასიათი მიეცეს და ნიადაგი **მოუმზადოს** ბრწყინვალე **მომავალს**...

მთარგმნელი.

ასეთი საოცარი სენის წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორიც ალკოგოლიზმია, მთავრობასა და საზოგადოებას ხელიხელ ჩაკიდებული და ერთმანეთთან მჭიდროთ შეკავშირებული უნდა ემუშავნათ. სამწუხაროთ, ამას ყოველთვის ასე ვერ ვამჩნევთ. საქმე ისაა, რომ სასმელების აქციზი არის ერთი უუდიდესი ლუკმა სახელმწიფო შამოსავლისა. ამ შამოსავლის მკაცრი ცვლილება გამოცვლიდა და დროებით დააბრკოლებდა სახელმწიფო ფინანსებს. მართალია, ხალხში ალკოგოლის თავისუფალ გავრცელებას, რასაც მოჰყვება იმათი ეკონომიურათ და სუფიერათ გაღარიბება, ან კიდევ იმის ხმარების წახალისება საქციზო გადასახადების ინტერესების გასაღიდებლად,— სახელმწიფო მეურნეობის, ფინანსიურ ოპერაციების თვალთა ხედვის წერტილით ოქროს კვერცხების მდებელ ქათმის სიკვდილს ემსგავსებოდა, —მაგრამ სახელმწიფო მოღვაწეები ხშირათ გვერდს უვლიან სახელმწიფო ფინანსების და ხალხის სიმდიდრეს შორის არსებულ მჭიდრო კავშირს და ხელმძღვანელობენ უკვდავის ანდაზით: ჩვენს მერე, თუნდაც ქვა ქვაზე არ ყოფილაო და ამრიგათ ახლანდელ და საშომავლო ქვეყნის ინტერესებს მსხვერპლად წირავენ წეთიერ ინტერესებს და თავიანთ მზრუნველობას მხოლოდ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის სიუსწორით გამოყვანაში იჩენენ. დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ სახელდობ ამ ბეცი და ალკოგოლის შესახებ ორსახოვანი პოლიტიკის ბრალია, რომ საფრანგეთში მაგარი სასმელების ხმარება მატულობს იმ დროს, როცა გერმანიაში და ინგლისში იგი კლებულობს. მე აღარ შევჩერდები აქ დაწვრილებით იმ ისტორიაზე, თუ რა დამოკიდებულობა გამოიჩინა რუსეთის მთავრობამ ალკოგოლის წინააღმდეგ საბრძოლველ საკითხის შესახებ; ვიტყვი მხოლოდ, რომ იგი წარმოადგენს ერთ აფერადებულ სურათს ყოველნაირ თვით მოწინააღმდეგე აზრებისა და

მიმართულებისას. რაც შეეხება დღევანდელ დღეს, ჩვენ ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, როცა საკითხი ალკოგოლის წინააღმდეგ საბრძოლველად იპყრობს მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღებას და, შეიძლება, სახელდობ დღეს, ვინემ სხვა დროს, საჭიროა გამოვარკვიოთ, რა საზღვრებსა და ფორმებში უფრო ნაყოფიერი და სასურველი იქნება მთავრობის მონაწილეობის მიღება ალკოგოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. როცა ალკოგოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე ჩამოაგდებენ ხოლმე ლაპარაკს, მკითხველს, რომელსაც გულუბრყვილოთ სწამს ყოვლად შემძლებლობა უქაზების და მიწერილობების და მოყვარულია საკითხების პირდაპირ გადაწყვეტისა, უნებლიეთ დაებადება საკითხი: არ შეეძლო მთავრობას კანონმდებლობით განესაზღვრა მინიმუმი ალკოგოლის წარმოებისა და მოესპო მთვრალობა სამიკიტნოების დაკეტვით? მაგრამ, რომ აღარ გავიმეოროთ უკვე ზევით მოყვანილი მოსაზრებანი ფინანსების შესახებ, რომელნიც ნებას არ აძლევენ ასე ერთბაშათ გადაწყვეტილ საკითხისას, ყოველივე იმისაგან, რაზედაც ჩვენ ვილაპარაკეთ ცხოვრებაში ნარკოტიკ როლის შესახებ, ცხადი და ლოგიკური დასკვნა ისაა, რომ დაძალებული ზომებით ალკოგოლიზმთან ბრძოლაში ვერას გავხდებით. ერთ ამგვარ ინგლისში გამოუდეგარი ცდის მაგალითს გვაცნობს პროფ. იანჟული თავის წერილში „მთვრალობა, როგორც სოციალური მავნებლობა“.

მე-XVIII საუკუნის ნახევარში ინგლისის პარლამენტმა მთვრალობის მოსასპობლად შამოიღო ისეთი უმაღლესი სააქციზო გადასახადი სპირტზე, რომ ბოთლი არაყი ფასობდა სამ მანათად; სპირტეული სასმელები თითქმის ხელ მიუწდომელი გახდა მკვიდრისათვის. იმათი გაძვირების გამო, არაყის გამოხდა და გაყიდვა ისე მომგებიანი შეიქმნა, რომ, მიუხედავათ უზომო ჯარიმების-

და სხეულით დასჯისა, ჩუმათ არაყის გამოხდა და სირაჯა ხანობა მთელ ქვეყანას მოედო. საჭირო შეიქმნა რთული და ძვირი ორგანიზაცია ცხადათ კანტროლისა და იდუმალი დაბეზღებისათვის, რათა დამნაშავენი გაეკიცხათ და დაესაჯათ; მაგრამ ყველა ეს პოლიციური ზომები ულონონი გამოდგენ სიმდიდრის მომხვეჭთა გამოგონებებთან შედარებით. მაგ. აფთიაქის პატრონებს, რომლებისათვის შეუძლებელი იყო ნება არ დაერთოთ სამკურნალო მიზნით სპირტი ჰქონოდათ, როგორც სამკურნალო წამალი არაყის ხდას და გაყიდვას, ყველამ ხელი მიჰყო. უკმაყოფილო ხალხი აღელვდა, აქციზის მოხელეებს თავს ესხმოდენ ქუჩებში, დამბეზღებლებს იჭერდენ და ველური მხეცებივით უზომოთ სცემდენ. მთვრალობა, უწესრიგობა და დანაშაულობანი საოცრათ მატულობდა. მხოლოდ შვიდ წელიწადს იარსება ამ აღკრძალვითი კანონმა, რაც ხალხს დიდ მსხვერპლად ულირდა; მრავალი იმათკანი ციხეებსა და გაგზავნით დაიღუპნენ იმის დარღვევისათვის; ბოლოს, მთავრობა დარწმუნდა, რომ მთვრალობა როდი კლებულობს, პირიქით მატულობდა და მოსპო ეს კანონი საზოგადოებრივი აზრის ზედგავლენით.

ასე სამწუსაროთ დასრულდა ეს ცოტა ნაძალადევი ზომები საზოგიდოებრივი ზნეობის ამაღლებისა, რამაც ხელთ მოგვცა ცხადი მაგალითი იმისა, თუ როგორის სიფთხილით უნდა ვეპყრობოდეთ რთული სოციალური საკითხების გარდაწყვეტას. საზოგადოებრივი ზნეობის განვითარება დამოკიდებულია საზოგადოებრივ თვითშეგნების ზრდაზე და ამიტომ მთავრობა უნდა ცდილობდეს მიაპყროს ყოველნაირი მზრუნველობა ამ ზრდის გაძლიერების, მიანდოს საზოგადოებას ალკოგოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმე, თითონ კი დაიტოვოს კანტროლიორის, მეთვალყურის როლი სასმელების წარმო-

ებისა, გაწმენდის და სისწორით გაყიდვის ორგანიზაციის საქმეში. ამ მხრით მთავრობის მზრუნველობა უნდა გამოიხატოს შემდეგში: ა, იმაში, რომ გასაყიდი არაყი იყოს წმინდა, არ ერიოს შიგ პურის ზეთი, ანუ მაგარი სპირტი, რადგან ვიცით, რომ ეს ნივთიერებანი წამლვენ ადამიანის ორგანიზმს; ბ, რომ სპირტეულ სასმელებს ყიდიდენ არა მაგარს, ასეთი სპირტი სტომაქზე და სხეულის სხვა ორგანოებზე ძლიერ ცუდათ მოქმედობს; ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება, თუ ერთნაირ შეღავათს მიანიჭებენ არა მაგარ სპირტეულ სასმელებს: ლუდს, თაფლს, ხეხილის და ყურძნის ღვინოს და სხ. მისთ. გ, რომ სპირტეული სასმელების ფასებმა არ დაიწიოს, არ გაიაფდეს, რადგან ისტორიულათ დამტკიცებულია, რომ იაფი არაყი მთვრალობის გავრცელებას ძლიერ უწყობს ხელს, და, ბოლოს, დ, რომ სპირტეული სასმელების გაყიდვა სანდო პირების ხელში იყოს, რათა ავიცილოთ მათ შიერ მხმარებლების დათრობა და სხვა ბოროტებანი.

ამ აზრით შემოღება ღვინის სახელმწიფო მონოპოლიისა, რა თქმა უნდა, ერთი ნაბიჯის წინ გადადგმა იქნება, თუმცა ისიც უნდა შეეგნიშნოთ, რომ ეს ფორმა საკითხის გადაწყვეტისა, ჯერ კიდევ შორსაა იდეალზე, და მისი უმთავრესი შეცდომები არა ერთხელ აღუნიშნავთ პრესაში. სპირტეული სასმელების ხმარებას და კერძოთ მთვრალობას აქ ითეულ ადგილში, როგორც რაოდენობის, ისე ფორმის მხრით, თვისი განსაკუთრებული სახე აქვს, და მთავრობის რეგლამენტაციას (კანონმდებლობით განწესრიგებას) სასმელების საქმეში, თუ მხედველობაში არ მიიღებს ცოცხალ საზოგადოებრივ ცვალებადობის ადგილობრივ პირობებს, შეიძლება ხშირათ არა მოსაღოდნელი შედეგები მოჰყვეს. და თუ მთავრობის შიერ სასმელების გაყიდვის ორგანიზაციამ სა-

ერთოთ შეიძლება გავლენა იქონია მთვრალობის დაკლებაზე, ყოველ შემთხვევაში ის კი, უეჭველია, რომ იგი, როგორც ადმინისტრატიული ხერხი ერთგვარათ ხმარებული მთელ ქვეყნიერობაზე, ბრავალ შემთხვევებში შეიქმნება დამაბრკოლებელ მიზეზად სიფხიზლის საქმის განვითარებისათვის. სახაზინო მონოპოლიის შემოღებამდე სოფლის საზოგადოებებს ჰქონდათ უფლება გაეხსნათ და დაეხურათ სამიკიტნოები, და რაწამს საზოგადოება შეიგნებდა მთვრალობის მავნებლობას, სამიკიტნო სოფლებში დაუყონებლივ ისპობოდა სოფლის განჩინებების ძალით. ნუ თუ ასე ადვილად და უბრალოთ მოიშორებს სოფელი ხაზინის სამიკიტნოებს? პრესაში არა ერთხელ შევხვედრიალვართ ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ წინააღმდეგობას აცხადებდენ გლეხების საზოგადოებები იმათ სოფელში სახაზინო სამიკიტნოს გახსნის შესახებ და შუამდგომლობენ უკვე გახსნილის დაკეტვის შესახებ; მაგრამ ეს საკითხი ჯერაც გადაუწყვეტელია კანონმდებლობით. გარდა ამისა, საიჯარო ფული, რომელსაც სოფლის საზოგადოებანი იღებდენ სამიკიტნოდან მონოპოლიის შემოღებამდე, ხშირათ იხარჯებოდა სასწაღლებლების შესანახად, ხალხის განათლებაზე და მაშასადამე მთვრალობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ახლა კი, როცა საზოგადოებას მოაკლდა ეს შამოსავალი წყარო და სამაგიერო არა მიეცათ რა იმათ, სახალხო განათლების და მასთან ერთათ «სიფხიზლის» საქმეებმა ძალიან წაავეს. რასაკვირველია, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მთავრობა ალკოგოლიზმის წინააღმდეგ საბრძოლველ პირველ ნაბიჯზე და პირველ შემოხვევისათანავე შესცვლის სახაზინო მონოპოლიას სასმელების სხვა უმჯობეს ორგანიზაციაზედ. როცა მთავრობის დახმარებით მთელ რუსეთს ბადესაკით მოეფინება ვამაფხიზლებელი საზოგადოებანი, ამგვარი გაუმჯობესებული საშუალება იქნება გადაცემა

სასმელების გაყიდვის საქმისა ამ საზოგადოებათათვის მთავრობის კონტროლის ქვეშ. ესეთი გადაცემით პრაქტიკულად განხორციელდება მთვრალობის წინააღმდეგ შესანიშნავის გოტენბორგსკის სისტემის საქმე, რომელმაც ბრწყინვალე ნაყოფი გამოიღო შვეციასა და ნორვეგიაში. იყო დრო, როცა შვეციელები ნაქებნი იყვნენ მთვრალობაში, და ევროპაში ანდაზაც კი გამოთქვეს იმათ შესახებ: „მთვრალია როგორც შვეციელი“-ო *). ახლა კი შვეციელი და ნორვეგიელი უფხიზლესი ხალხია მთელი დედამიწის ზურგზე; ასეთი ცვლილება მოახდინა მათში მთვრალობის წინააღმდეგ საბრძოლველმა გოტენბორგის მთვრალობის წინააღმდეგ სისტემამ. რაში მდგომარეობს ეს სისტემა? ამ სისტემით, როგორც ჩვენ უკვე ვთქვით, სასმელების გაყიდვა სიფხიზლის საზოგადოების ხელშია, რომელნიც უხდიან მთავრობას დადგენილ სააქციზო გადასახადებს და აწარმოებენ გაყიდვის საქმეს მთავრობის დადგენილებით და იმის მეთვალყურეობით. თვით გაყიდვა ისეა მოწყობილი, რომ რაც შეიძლება შეამციროს ხმარება და ბოროტმოქმედება ალკოგოლით. სამიკიტნოები შემცირებულია, საჭიროზე ნაკლებია; ვალათ ანუ ნიეთის დაწინდებით ღვინო არაფის ეძლევა; არ აძლევენ არაფს აგრეთვე ნამთვრალებს და მოზარდებს 18 წლისაზე ნაკლებს; საქმე ღღეებში სამიკიტნოებს კეტვენ სწორეთ იმ დროს, როცა ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობას ხელს უშვებენ, უქმე ღღეებში კი სრულიათ არაა სასმელებით ვაჭრობა. ყოველ სამიკიტნოსთან ერთათ, იმავე სახლში გამართულია სასაიები ალკოგოლის სამაგიეროდ უვნებელი სასმელი, და იქვე იაფი სასადილო, რათა მშიერ კუჭზე არ იქმნას მიღებული ალკოგოლი, რაც მავნებლად მოქ-

*) ჩვენში კი იტყვიან: მთვრალია, როგორც რუსი.

მედობს მაზედ. ყველა ამ დაწესებულებებს განაგებს ერთი უთუოთ საიმედო კაცი, ისე რომ მთელი შამოსავალი საჩაიესა და სასადილოსი ამ გამგებლის სასარგებლოდ მიდის, სპირტეულ სასმელებისაგან შამოსავალს კი იგი სიფხიზლის საზოგადოების კასას გადასცემს ხოლმე.

ამისთანა პიროობებში გამყიდველი ცდილობს რაც შეიძლება მეტი მუშტარი ჰყავდეს ჩაისა და საჭმელებს, ვინემ მაგარ სასმელებს. სასმელებისაგან მოგება სააქციზო ბაჟის გადასახადის გარდა, საზოგადოება ახმარს მთვრალობასთან ბრძოლას, ე. ი. ბიბლიოთეკების, სამკითხველოების, თეატრებს და სხვა გონიერ გასართობების დაარსებას. ასეთია საერთო სურათი გოტენბორგის სისტემისა, რომელიც წარმოადგენს მწყობრს და ღრმათ მოფიქრებულ ორგანიზაციას, დაფუძნებულს მთვრალობის მიზეზების ღრმათ შესწავლაზე. 40 წელს არ გაუვლია, რაც ეს სისტემა მოქმედობს შვეციასა და ნორვეგიაში და ეს ქვეყნები სულ გამოიცვალა: საზღვარგარეთელი ტურისტები გაოცებულნი არიან, რომ მთვრალებს სრულიათ ვერ ნახულობენ ნორვეგიელთა დღესასწაულებზე, სადაც მკცირცხლ და თავისუფალ სიმხიარულეს შეხვდებით სრულიათ უალკოგოლოთ. გოტენბორგის სისტემაზე ნათქვამიდან ცხადათ ჩანან უპირატესობანი სიფხიზლის საზოგადოებათა მონოპოლიისა სახაზინო მონოპოლიაზე. თუ არას ვიტყვით იმაზე, რომ სპირტეული სასმელების გაყიდვა ადგილობრივ საზოგადოებების მიერ უფრო იაფათ მოწყობა, ვინემ იგი დღეს მთავრობას ულირს, ასეთი ადგილობრივი ორგანიზაციები როდი იქნებიან ბიუროკრატიულნი, ადგილობრივ ინტერესებს მოსმორებული დაწესებულებანი, არამედ იგინი შეიქმნებიან ცოცხალ, პროგრესიულ ძალად, მისახრელ-მოსახრელი და გამგონე იარაღი სიფხიზლის საქმისათვის.

ალ. კვიცარიძე.

(დასასრული იქნება)

ხეხილის გამრავლება

და

მოვლა.

ხეხილს ექვს გვარი ლონის-ძიებით ამრავლებენ: თესლით, ნამყენით, გადაწყვენით, ტოტებით, ბარტყებით (ფესვის ამონახეთქით) და ძირების დაყოფით. ყველა ამ ლონის-ძიებით გამრავლებული ხეხილი რიგიანს ნაყოფს ვერ იძლევა. საუკეთესო, ანუ ასსურველი ნაყოფის მისაღებად **მენობა** არის საჭირო. მსხლისა და ვაშლის სამყნობლად პანტისა და მაჟალოს თესლზედ ამოსული ხეებს რჩეობენ, რადგან პანტაზედ და მაჟალოზედ ნამყენი ხეხილი დიდხანსა სძლებს. ამ გამძლეობის მიზეზი ის არის, რომ პანტა და მაჟალო მიწაში ღრმად იდგმენ ფესვებს და ამიტომ მათზედ ნამყენს არ ეშინიან არც დიდი სიცივისა და არც დიდი სიცხისა. სხვა რიგად გამრავლებულ ხეხილზედ კი ნამყენს სუსტი ზრდა აქვს და სიცივისა და სიცხისაც ძალიან ეშინიან იმიტომ, რომ იმათი ფესვები ღრმად ვერ მიდის მიწაში, მაგრამ ეს კია, რომ ნაყოფი ძალიან ადრე მოაქვთ. ხეხილის თესლს ამზადებენ ამგვარად: ჩენჩოიანი თესლის

ასაღებად კარგა დამწიფებულ ნაყოფს აგროვებენ, კასრებში ან ქილებში ჰყრიან და კარგად ამჟავებენ; რასაკვირველია, ნაყოფი მაშინ მჟავდება, როცა ლპება, და ამიტომ, ისე შექუჩებულს ხილს ორ ან სამ კვირამდის ინახავენ და დრო-გამოშვებით კარგად ურევენ. როცა ნაყოფი კარგად დალპება, მაშინ ამ დამპალს მასალას ორჯელ ან სამჯერ ჰრეცხავენ სუფთა წყალში და გარეცხის შემდეგ საცერში ან ცხრილში სწურავენ; გაწურულს ხელახლად ჰრეცხავენ სუფთა წყალში და იმისთანა ადგილას აშრობენ, საცა ნიავი ორსა მხრივ უბერავს. თესლის გაშრობა ყოველთვის ჩრდილში უნდა, რადგან მზის შუქზედ გაშრალი თესლი თანაბრად ვერ შრება, ზემოთა მხარე (ქერქი) ძალიან უხმება და გული კი ისევ გაუშრობელი რჩება. გაშრობის შემდეგ დათესამდის თესლს მშრალ ადგილას ინახავენ პატარა პარკებში.

კურკიანი თესლის მოსამზადებლად დამწიფებულს ნაყოფს ჰრეცხავენ სუფთა წყალში და ისევე აშრობენ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი. კურკიანი და ჩენჩოიანი თესლი სხვა-და-სხვა დროს ითესება, სახელდობრ: მსხლისა, ვაშლისა და კომშის თესლი ღვინობისთვეში ანუ გიორგობისთვეში ითესება; ხოლო კურკიანი თესლი კი, სახელდობრ, გარგარისა, ჭერმისა, ატმისა, ნუშისა, ბლისა და ქლიავისა დამწიფების შემდეგ ერთი თვის უკან ითესება. ქლიავის კურკა კარგად გვარობს, თუ თესლი დათესამდის ორ ან სამ კვირას სასუქიან წყალში შეინახეს. ყველა თესლეულობისათვის მიწა კარგად უნდა მოიხნას გუთნით, ან ღრმად უნდა დაიბაროს, შემდეგ ქვა და კლერტი ამოირჩეს, კარგათ გაითოხნოს და კვლები მომზადდეს ადვილად მორწყვისა და გამარგვლისათვის; კვლები არშინ ნახევარი სიგანისა უნდა მომზადდეს, ხოლო კვლებს შუა გზები ნახევარ არშინის სიგანისა. როცა კვლები მომზადდება, მაშინ შიგ კვლებში

არ'ბინის მეოთხედ'ზედ მო'მოტრეებით წერილი თხრილები კეთდება, რომელთა სიღრმე დასათეს თესლ'ზედ არის დამოკიდებული. სახელდობრ: ვარგარისა, აჯ'ისა და ხა'ზოგადოდ კულტურული დასათესად თხრილებს ვერ'მოკ სახეკარ ან ორ ვერ'მოკ სიღრმეს აკეთებენ. ხოლო წერილი თესლეულ-ობისათვის, ე. ი. ვა'ზღისა, მსხლისა და კომ'ბისათვის თხრილებს ერთ ვერ'მოკ სიღრმეს აკეთებენ. ამ ვვარად მომ'ზადებული თხრილებ'ში თესლეულს რიგ'ზედ სთესავენ, ისე რომ თვითეული თესლს ვარე'შემო საკმაო ადგილი ქქონდეს თავისუფალი, ე. ი. თესლი არც ხ'შირად უნდა დათესოს და არც თხლად. დათესვის 'შემდეგ თესლს ზემოდგან ფხვიერ მიწას აყრიან, ცოტად სტკეპნიან და მასუკან ხელის სარწყავებით კარგად რწყავენ.

ხეხილის თესლეული 'შემოდგომით და გაზაფხულობით ითესება, მაგრამ 'შემოდგომით დათესვა კი სჯობია, რადგანაც 'შემოდგომით დათესილი—გაზაფხულის დათესილ'ზედ უკეთესად ამოდის. 'შემოდგომაზედ დათესილი თესლი მიწიდგან მარტ'ში ან აპრილ'ში ამოდის და ზაფხულობით ხ'შირად უნდება გამარგვლა, გარ'შემო მიწის აჩვილება და მორწყვა. მეორე 'შემოდგომაზედ პატარა მცენარეებს მიწიდგან იღებენ, კენწერსა და ფესვებს ცოტათი აჭრიან, მერე ფესვებს წყალ'ში გახსნილ სასუქ'ში აცლებენ და სხვა ახლად მომ'ზადებულ ადგილას რიგ'ზედ რგავენ ისე, რომ ერთი მცენარე მეორეს ოთხი ვერ'შოკითა ჰ'შორაცდეს. მცენარეებს პატარა პალოების საშუალებით რგავენ. ამ პალოებით მიწა'ში ხვრელებს აკეთებენ, მცენარეს ურჭმენ 'შიგ და პალოთი ატკეპნიან მიწას, რომ ხვრელებ'ში ცარიელი ადგილი არ დარჩეს და წყლით არ გაიესოს, თორემ მცენარეს მოკლე დრო'ში დაულპება ფესვები. ამ დარგვაზედ ხეხილი მიწა'ში ადრინდელ'ზედ ორი ვერ'მოკით ღრმად უნდა დაირგას, რადგან ახალი ნაბარი მიწა წვიმისა და თოვლის გამო ჯდე-

ბა და მცენარეები კი ძალიან რჩებიან, თუ ღრმად არ არიან დარგული. გადარგვის შემდეგ, ზაფხულობით, ხეხილის შუა ბალახი უნდა გაიმარგლოს, ვარეშემდო მიწა აეჩეხილოს და, როცა მოითხოვს, უნდა მოირწყას კიდეც. მეორე შემოდგომაზედ ხეები ისევ უნდა ამოიღოს მიწიდგან, კენწერები და მსხვილი ფესვები მოეჭრას და ახლად მომზადებულ ადგილას გადაირგას; ამ გადარგვაზედ ერთი შარი მეორეს საძი მეოთხედი ან ერთი არშინით უნდა ჰშორავდეს, ხოლო ერთი მცენარე მეორეზედ ნახევარ არშინზედ უნდა იყოს მოშორებული. ხეხილის ორჯელ გადარგვას იმიტომ რჩეობენ, რომ ორჯელ გადარგვაში მცენარეს მრავალი ჩიხჩლა ფესვები ეძატება, რომლებიც მომეტებულ საზრდოს იღებენ მიწიდგან და არც ღრმად მიდიან მიწაში, და ეს კი ძალიან აადვილებს გადასარგველად მცენარის ამოღებას და არც ფესვი უფუჭდება. რამდენიც მცენარეს წვრილი ძაფის-გვარი ფესვები მრავალი ექნება, იმდენი მომეტებულ საზრდოს სწოვს მიწიდამ და ხეხილი ღონიერად იზრდება; ამასთანავე თუ ხეხილი ნოყიერ და ნამიან მიწაზედ არის დარგული, მაშინ იგი ორჯელ გადარგვას არ საჭიროებს. რადგანაც ხეხილი იმისთანა მიწაში ჩინჩლა-ფესვებს ისეც ბლომად იკეთებს; ხოლო თუ ხეხილი ხმელ ან შშრალ და ან ულონო მიწაშია დარგული, მაშინ იგი უეჭველად ორჯელ უნდა გადაირგას, რომ ჩინჩლა-ფესვები გადარგვით მოემატოს; მაინცა და მაინც ერთხელ გადარგვას ორჯელ გადარგვა სჯობია.

რაიცა შეეხება ხეხილის მორწყვას, უნდა ვსთქვათ, რომ მორწყვა ანგარიშით უნდა ჰქონდეს. არც მომეტებული მორწყვა უნდა და არც ნაკლები; ხშირად მორწყული ხეხილი თუმცა თამამად და ღონიერად იზრდება, მაგიერად მომეტებული მორწყვა ხეხილს აკნებს, რადგან ნორჩი ხეები მორწყვას ეჩვევიან და ნოტიო მიწაზედ-და

გვარობენ, ხოლო ხმელ მიწაზედ თუ გადირგო ამისთანა ხეხილი, მაშინ იგი ძალიან ძნელად იტანს სიმშრალეს და ბევრიცა ხმება. თესლზედ ამოსულ ხეხილს **უჯიშა** ჰქვიან. უჯიში ხეხილი უნდა იმყნოს პირველ ან მეორე წელიწადს გადარგვის შემდეგ; მაგრამ თუ უჯიშს ღერი ულონობის გამო დაჩაგრული აქვს, მაშინ მეორე წელიწადს უნდა იმყნოს, მეორე გადარგვის შემდეგ; და თუ ნოყიერ და. ნოტიო მიწაზედ დგას და ფესვებიც ღრმადა აქვს გაბმული, მაშინ გადარგვის შემდეგ პირველ წელიწადსვე შეიძლება იმყნოს.

ხეხილს გაზაფხულზედ ამყნობენ ხოლმე, როცა სამყოფი წვენი აქვს, რომ ნამყენი ადვილად შეუთვისდეს; აგრეთვე მყნობა შეიძლება ზაფხულშიაც, თიბათვე-მკათათვეში და მარიამობისთვეშიაც, მაგრამ მყნობისთვის ერთი რამ დრო არ შეიძლება დაინიშნოს, რადგან ცხელსა და ხმელ ადგილას ადრე ამყნობენ, იმიტომ რომ ხეხილს წვენი მალე უშრება (ელევა), გრილსა და ნოტიო ადგილას კი გვიან ამყნობენ, რადგანაც ხეხილში წვენი გვიანობამდის მუშაობს.

გაზაფხულის ნამყენისთვის პატარა ტოტები (ყალამი) უნდა, რომელთაც ზედ ორი ან სამი კვირტი აქვთ. საზაფხულო სამყენისთვის კი ერთ თვალიან ყალამს იღებენ და ზედ ცოტა ხის ნაწილს ატანენ, ან მარტო თვალს იღებენ ხის უნაწილოდ. უკანასკნელ რიგს ლიმონებისა და **ფორთოხ**ალის მყნობაში ხმარობენ.

მყნობამდის სამი-ოთხი კვირის წინად ტოტები უნდა დაიჭრას იმ ხეხილიდგან, რომლის მყნობაც გვინდა, და ის ტოტები მიწაში უნდა ჩაიფლას ისე, რომ მიწის ზემოდამ ერთი ვერშოკის ოდენა—ღა მოჩანდეს ტოტის წვერები. ტოტები მიწაში ჩრდილიან ალაგას უნდა დაიმარხოს, რადგან ჩრდილში შენახული ტოტები დიდხანს ინახება და წვენიც არ უშრება. ტოტების ადრე დაჭრა

და მიწაში შენახვა იმიტომ არის საჭირო, რომ ადრე მოჭრილს და მიწაში შენახულს ტოტებს წვენის მოძრაობა უჩერდება და ამის გამო კვირტი აღარ უმსხვილდება. ამისთანა ტოტით ნამყენი უფრო ხარბად იღებს ხიდგან წვენს, რის გამო ადვილად ეთვისება ხეს და მალეც იზრდება. ახლად მოჭრილი ტოტი მყნობისათვის არ ვარგა, რადგან იგი გამაძღარია და დიდხანს აღარ საჭიროებს საზრდოს; ამიტომაც ახალი ტოტით ნამყენი კარგად ვერა გვარობს. კვირტით მყნობისათვის, ზაფხულში თუ ამყნობენ, იმისთანა კვირტი უნდა აიღონ, რომ კარგად იყოს შეკრული და გამაგრებული და ამასთან იმ გვარ ხეზედ უნდა ამყნონ, რომელსაც ტყავი ადვილად ეცლება, რომ თვალს ხესთან შეთვისება და მისგან საზრდოს მიღება ადვილად შეეძლოს.

მყნობის დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სამყნობი და სანამყენო ხეხილი თუ ერთი ჯიშისა არა, ერთი-გვარისა მაინც იყოს. ეს უბრალო და ბუნებითი კანონი სამყნობისა და ნამყენის ახლო ნათესაობაზედ არის დამყარებული.

აქ საზოგადოთ ჩამოვთვლით რომლისა რომელ ჯიშზედ შეიძლება მყნობა.

ვაშლი იმყნობა მაჟალოზედ, ხომანდულზედ და პანტაზედ, მაგრამ მაჟალოზედ ნამყენს არ ეშინიან არც სიცივისა და არც სიცხისა, რადგან მაჟალო ფესვებს ღრმად იდგამს მიწაში, რის გამო თამამად იზრდება და დიდხანსაც სძლებს. ხომანდულზედ ნამყენი ვაშლი კი მალალი არ იზრდება, სიცივისა და სიცხისაც ძალიან ეშინიან, რადგან ფესვებს მიწაში ღრმად ვერ იდგამს; ეს კია, რომ ნაყოფი ძალიან ადრე მოაქვს.

აგრეთვე ცივს, ან ცხელს და ან კიდევ ცუდ მიწაზედ ვაშლი მაჟალოზედ უნდა იმყნოს; ხოლო თუ და-

ბალი და მომცრო ტანის ხე უნდათ, მაშინ კი ვაშლი ხომანდულზედ უნდა ამყონან.

მსხალი იმყნობა პანტაზედ, ვაშლზედ და კომშზედ. ამათზედ ნამყენებს შუა იმისთანავე განსხვავებაა, როგორიც მაჟალოსა და ხომანდულზედ ნამყენებს შუა არის.

კომში თესლით მოყვანილ კომშზედ იმყნობა.

ბალი იმყნობა ბალზედ, ბალამწარაზედ და ალუბალზედ.

ალუბალი იმყნობა ალუბალზედ და ბალზედ.

ქლიავი იმყნობა ქლიავზედ და ტყემალზედ.

ჭერამი იმყნობა ჭერამზედ, ნუშზედ და ქლიავზედ.

ატამი იმყნობა ატამზედ, ქლიავზედ და ნუშზედ; ნოტიო და ცივ ადგილებში ატამს ქლიავზედ ამყნობენ, მშრალ და თბილ ადგილში კი—ნუშზედ.

ხეხილის გასამრავლებლად და ჯიშის გასაუკეთესებლად ბევრ გვარი მყნობა იციან, სახელდობრ: გაპობით მყნობა, ქერქში ჩასმით, მიდებით მოსხეპილზედ, კვირტით და სხვა. თუმცა ხეხილის გამრავლებისათვის ბევრ გვარი წესი არსებობს, მაგრამ ყველაზედ უკეთესი მარტო ქვემოთ მოხსენებული მყნობის წესებია.



(ს. 1).

გაპობით მყნობა. უჯიშს სჭრიან ღეროსა სწორედ მიწიდგან ორ ან სამ ვერშოკ სიმაღლეზედ, მერე ჰხეთ-

ქენ შუაზედ ერთ ან ვერშოკ ნახევარ სიგრძეზედ (ა), შემდეგ იღებენ სამყენ ტოტს (ბ) ორ ან სამ თვალიანს, ქვემო ბოლოზედ ორივე მხარეს უთლიან სოლისებურად და ზემოთ ორივე მხარეზედ ჩაუსმენ. ასე მომზადებული ტოტი გახეთქილში უნდა ჩაისვას, ისე რომ ტოტის ზემოთი მხარე (წვერი) ცოტათი შიგნით იყოს შეწეული და ქვემოთი მხარე (ბოლო) ცოტათი გამოწეული; მერე ნამყენი უნდა შეიკრას ჭილობით და ზემოდგან ხიზით გადაილესოს.



(ს. 2).

მიდებით მყნობა. უჯიშს (ა) ისევ ისე სწორედ სჭრიან და გახეთქის მაგიერად ერთი მხრიდგან ქერქს აცლიან ცილამდე; მერე სამყნობ ტოტს (ბ) ერთ გვერდს სოლისავით ცერად უთლიან და ზემოთა მხარეს ჩაუსმენ; ეს ტოტი გათლილი მხრით უნდა მიედოს ხეს, სადაც ქერქი აქვს აცლილი და შემდეგ ჭილობით მაგრა მიეკრას, ხოლო ზემოდგან ხიზით გაილესოს.



(ს. 3).

ქერქშა ჩასმით მენობა. უჯიშს სწორედ სჭრიან, მიწიდგან ორ ან სამ ვერშოკ სიმაღლეზედ, მერე ერთ გვერდზედ სიგრძეზედ ქერქს უჭრიან ცილამდის (ა), ამ გაჭრილ ქერქს დანით გადასწევენ აქეთ-იქით და შიგ სამყნობ ტოტს (ბ) ჩაუსმენ; ეს ტოტი ერთ მხარეზედ, როგორც ზევით იყო ნათქვამი, სოლისებურად უნდა იყოს გასხეპილი და ზემოდან ჩაჭდეული და ასე მომზადებული ისე, უნდა ჩაისვას რომ მოსხეპილი მხარე ცილას მიეკრას, მერე უნდა ჭილობი შემოეხვიოს მაგრად და შემდეგ ხიზით ვაილესოს.



(ს. 4.)

მოსხეპილზედ ძენობა. უჯიში (ა) უნდა გეზად მო-

იჭრას, მიწიდგან სამ ვერშოკ სიმაღლეზედ, მერე აიღოთ ორ კვირტიანი ტოტი (ბ), ისიც გეზად გასხიპოთ ერთ მხარეზედ; შემდეგ გეზად მოჭრილი ტოტი სამყნე უჯიშს უნდა ისი მიადოთ, რომ ერთმანერთს თანასწორათ მიეკრას; მერე კარგა უნდა შეიკრას ჭილობით და ხიზით გაიგლისოს. ამ გვარი ნამყენისათვის ტოტსა და სამყნობ უჯიშს ერთი სისქე უნდა ჰქონდეს. ვინიცობაა, ტოტი სამყენ უჯიშზედ წვრილი გამოდგა, მაშინ ტოტი უჯიშს ერთ მხარეზედ უნდა დაეთანასწოროს.



(ს. 5).

კვირტით მყნობა. ამ წესით მყნობისათვის უჯიშს (ა) ჭოჭრა არ უნდა, მხოლოდ ერთ მხარეზედ, მიწიდგან ოთხ ან ხუთ ვერშოკ სიმაღლეზედ უჭრიან ქერქს ჯერ გარდიგარდმო და მერე ჩასწვრივ, ისე ჯვარედინად, რომ ჯვარს ზევითი ტოტი არა ჰქონდეს; მერე ჩაჭრილი ქერქი უნდა გადიწიოს აქეთ-იქით და შიგ ერთი კვირტი (ბ) ჩაისვას; ეს კვირტი ისე უნდა იყოს აჭრილი, რომ ზედ თხლად ცოტაოდენი ხის ნაწილი გაჰყვეს. მერე ჭილობით კარგა უნდა შეიკრას. კვირტით ნამყენებს ზემოდგან გაგლესა მაინც და მაინც არ უნდება, რადგან ნამყენ უჯიშს წვიმა და მზე ვერას ავნებს.

ამ ზემომოხსენებულ ნამყენებს, კვირტით ნამყენს გარდა, ჭილობი ოთხი ან ხუთი კვირის შემდეგ უნდა მოეხსნას; ხოლო კვირტით ნამყენიდგან კი ჭილობი უნდა შეიხსნას სამი ან ოთხი კვირის შემდეგ, რადგანაც კვირტით ნამყენი უფრო მალე ხარობს. როცა კვირტით ნამყენი იხარებს, მაშინ უჯიში უნდა მოიჭრას თვალიდგან ერთ ვერშოკზედ აცილებით, რომ ნამყენი კვირტი, როცა გაიზრდება, ამ ნაწილს მიაკრან ზედ; ნამყენი რომ კარგად გათამამდება, მაშინ ის დანარჩენი უჯიში უნდა მოიჭრას ნამყენის ძირში, ხოლო ნამყენ ტოტს სწორე ჭიგოზე უნდა შეედგას და ზედ მიეკრას ნამყენი იმიტომ უნდა მიეკრას ჭიგოზედ, რომ ამით იგი ჯერ ერთი სწორედ იზრდება და მეორეც ველარც ქარი ავნებს. როცა ნამყენები გათამამდებიან და დამსხვილდებიან, მაშინ იგინი დანიშნულ ადგილას უნდა გადარგათ, როგორც ქვემოთ სწერია.

ახლა რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ ტოტებითა და გადაწვენით გამრავლებაზედ.

ტოტებით ყველა მცენარე მრავლდება, გარდა ვაშლისა, მსხლისა, ბლისა, ალუბლისა, ჭერმისა, ატმისა, ქლიავისა და კომშისა. ამ ხეხილის ტოტებით გამრავლება რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ ვერც ერთხელ რიგიანი შედეგი ვერ მივიღე; თუმცა თითო-ოროლა მათგანი კიდეც გვარობს, მაინც მე ჩვენ მეშამულეებს არ ვურჩევ ზემოხსენებული ხეხილი ტოტებით გაამრავლოს, რადგან ბევრი დრო და შრომა უნდება და შრომაც ეკარგება კაცს. ტოტებით კარგად მრავლდება: ყურძენი, ლეღვი, ბროწეული, კინკრუჟა, მოცხარი და ჟოლო (მალინა).

ტოტებით ხეხილის გამრავლება შეიძლება შემოდგომაზედ, გაზაფხულზედ და ზაფხულში. რომელი მცენარეც გვინდა გავამრავლოთ, იმ მცენარიდამ მსხვილ ტოტებს ვჭრით ოთხ ან ხუთ ვერშოკ სიგძეზედ (ს. 6). ტოტი მუ-

დამ კვირტთან ახლო უნდა მოიჭრას, იმიტომ რომ კვირტთან ახლოს მოჭრილი ფესვებს მალე იკეთებს. ტოტს

(ს. 6).

აგრეთვე ისეც სჭრიან, რომ ზედ იმ ღერის ნაწილს აყოლებენ, რომელზედაც ის ტოტია ამოსული: ამისთანა ტოტს მუხლიანი ტოტი ჰქვიან. ამ გვარად მოჭრილი ტოტები კარგად მომზადებულ კვლებში უნდა დაირგას, ისე, რომ ერთი ტოტი მეორეს ოთხი ვერშოკით ჰშორავდეს; სიღრმით რაც შეიძლება ღრმად უნდა დაირგას და მიწის ზევით კი ერთი ვერშოკი ან ვერშოკ ნახევარი უნდა მოჩანდეს. ტოტებს პატარა პალოების შემწეობით რგავენ; ამ პალოებით მიწაში ხვრელებს აკეთებენ, შიგ ტოტს უშვებენ და მიწით ავსებენ ეს ხვრელები კარგად უნდა გაიტენოს მიწით, თორემ უიმისოდ შიგ ცარიელი ადგილი დარჩება, წვიმის წყალს შეიგუბებს და ტოტს დააღპობს. ყველა გვარი დარგული ტოტები ზაფხულობით ვარეშემო უნდა გაიმარგლოს, მიწა ხშირად უნდა აეჩვილოს და როცა საჭირო იყოს, უნდა მოირწყას. დარგული ტოტები წლის განმავლობაში ხარობენ და მაშინ სამუდამო ადგილზედ უნდა გადაირგას.

ხეხილის გასამრავლებლად აგრეთვე ბევრი სხვა და სხვა რიგი გადაწყვენა არსებობს, მაგრამ ჩვენ აქ მარტო ორიოდე გადაწვენაზედ ვიტყვით.

ხეხილის გადაწვენა შეიძლება შემოდგომით, გაზაფხულობით და ზაფხულობით, მაგრამ გაზაფხულობით გადაწვენილი მცენარე უფრო კარგად გვარობს, ვიდრე შემოდგომით და ზაფხულობით გადაწვენილი, იმიტომ, რომ შემოდგომით გადაწვენილ მცენარეებს ზამთრის სიცივე ჰვნებს და ზაფხულობით გადაწვენილი კი ზაფხულის სიცხეების გამო კარგად ვერ გვარობენ.

ბალოსნობაში რამდენიმე გადაწვენას ხმარობენ, სახელდობრ:



(ს. 7).

ტოტის მარცხით გადაწვენა. გადასაწვენად დანიშნულ ხეს შემოდგომაზედ სჭრიან მიწიდგან ათ ვერშოკზედ, ან ნახევარ არშინ სიმაღლეზედ (აა). მოჭრილ ადგილიდგან ზაფხულობით მრავალი ყლორტი ამოდის. მეორე ზაფხულზედ არჩევენ მსხვილსა და ჯან-საღ ტოტებს გადასაწვენად, დანარჩენებს ძირში სჭრიან. გადასაწვენად დანიშნულ ტოტებს მიწაში აწვენენ, პატარა-პატარა გრძლად მოთხრილ ორმოებში (ბბ); ორმოების სიღრმე ოთხი ან ხუთი ვერშოკი უნდა იყოს; შემდეგ გადაწვენილ ტოტებს მიწაში ამაგრებენ პატარა კაკებით (გ გ), ზემოდგან მიწას აყრიან და სტკეპნიან. გადაწვენილი ტოტების წვერები (დ დ) ზევით უნდა ამოიზნიქოს და ჯოხზედ (ე ე) მიეკრას.

ასე გადაწვენილი ტოტები მალე უშვებენ ფესვებს და ძირს იდგმენ მიწაში. ერთი ანუ ორი წლის შემდეგ აჭრიან გადაწვენილ ტოტებს და ცალ-ცალკე რგავენ კარგად მომზადებულ მიწაში. ახლად გადარგულ მცენარეებს გარეშემო ბალახი უნდა გაემარგლოს ხოლმე, მიწა უნდა აეჩვილოს და, როცა საჭირო იყოს, უნდა მოირწყას.



(ს. 8).

ხეზედ გადაწვენა. ამ გადაწვენის რიგს მომეტებულად ლიმონებისა, ფორთოხალისა და ალიანდრის გასამრავლებლად ხმაროობენ. ამისთვის უნდა აიღონ პირველი ერი თიხის ქილა ანუ ხის კათხა, რომელიც ორი ცალკ-ცალკე გამოყვანილი ნახევრისაგან შესდგება. ამ ქილაში ტყისა ან დამპალი ფოთლების მიწა უნდა ჩაიყაროს, ისე რომ იმ მიწაში ერთი წილი ჩვეულებრივი მიწა და ნახევარი წილი წმინდა ქვიშა ერიოს; შემდეგ ეს ქილა ფეხებიან სკამზედ (გ) უნდა დაიდგას; ჯერ ნახევრამდის უნდა ჩაიყაროს მიწა, მერე ტოტი (ბ) გადაწვეს შიგ და ის ტოტის ნაწილი, რომელიც მიწაში მოჰყვება, ნახევრამდის უნდა გადიჭრას, ერთ ვერშოკ სიგრძეზედ აიხეთქოს და გახეთქილში პატარა ჩხირი ან ქვა გაუკეთდეს, რომ ხელახლად არ მიტყუპდეს. გადაწვენის შემდეგ ქილა სრულებით უნდა აივსოს მიწით და ტოტი სწორედ უნდა მიეკრას ქილაში ჩადგმულ ჯოხზეკ (დ). როცა დავრწმუნდებით, რომ გადაწვენილ ტოტს უხეირნია, ე. ი. ფესვები გაუკეთებია, მაშინ ტოტი უნდა ძირში (გ) მოიჭრას ქილის ახლოს და სხვა ქილაში იმისთანავე მიწაში

გადირგას. როგორც გადაწვენილი ტოტი, ისე ახლად გადარგული, ყოველთვის ნოტიოდ უნდა შეინახოთ და გარეშემო ხშირად უნდა მიწა აუჩვილოთ. ამ რიგად გადაწვენა ყოველთვის გაზაფხულობით და ზაფხულობით უნდა მოახდინოთ.

რაიცა შეეხება ხეხილების გარშემო ამოსულ ბღარტებიისა და ფესვების ვაყოფით გამრავლებას, უნდა ვსთქვათ, რომ ამ რიგათ ხეხილის გამრავლება ძალიან ადვილია, რადგან ამ ხეხილს ფესვები მზადა აქვს და ამიტომ ადვილად და ჩქარა ხარობს. ხეხილებში ბღარტობა მარტო ალუბალმა, ბალმა, ქლიავმა, ლეღვმა და კომშმა იცის.

ახლა რამდენიმე სიტყვას ხიზის (საგლესის) მომზადებაზედ ვიტყვით, რომელსაც ნამყენების გასაგლესად ხმაროობენ. ხიზს სხვა-და-სხვა ნაირად ამზადებენ. ერთი რიგისას ამ გვარად ამზადებენ: იღებენ ორ ნაწილს თიხის მიწას, ერთ ნაწილს საქონლის ახალ სასუქს, ზედ წყალს ასხმენ და კარგად ურევენ ერთმანერთში; შემდეგ ამ მომზადებულ მასალაში წვრილად დაჭრილ ბზეს ან თივას ურევენ, ან კიდევ ხავსს, რადგან ბზე ან ხავსი ძარღვს აძლევს საგლესს და არც წვიმისაგან ირეცხება და არც მზისაგან სკდება. ნამყენებისათვის ამ რიგად საგლესის მომზადება სახერხოც არის, იაფათაც ჯდება და მაგრაც ადგება ნამყენს.

არჩ. დარეჯანაშვილი.

ზოგიერთი უმთავრესი პირობები ხეხილის გამრავლებაში.

ხილის ბაღი მაშინ იძლევა კარგს მოსავალს, როცა

ხეხილი კარგათ დაიყვავილებს; ეს კი ხშირათ დამოკიდებულია კარგს ამინდზედ (არა ცივ და წვიმიანზედ), სელ ,ქარზედ და ფუტკრებზედ, რომლებსაც გადაქვთ ყვავილის მტვერი ერთი ყვავილიდამ მეორეზედ და ამ რიგათ ანაყოფიერებენ ხეხილს. აი რატომ არის კარგი, რომ ხილის ბაღში უთუოთ ფუტკრის რამდენიმე სკაც გედგესთ. რაც შეეხება ნიადაგს, ხილის ბაღისთვის გამოსადეგია ყოველი მიწა, რომელიც კი შეიძლება შემუშავდეს სილრმით ერთ არშინამდის, რადგანაც ამაზედ და თავ-თავის დროზედ სასუქის მიცემაზედ არის დამოკიდებული მთელი საიდუმლოება ხილის ბაღის კარგის მოსავლისა. საზოგადოთ ხეხილი უნდა შორავდეს ერთმანეთს 4—5 საჟენზედ. ამ ანგარიშით ერთ დესეტინაზედ დაეტევა 100—150 კარგი. უმჯობესი კია, რომ მომეტებულათ გვიან მოსაწევარი ხეხილი დადგათ, რადგანაც ასეთს ხილს უფრო მეტი გასავალი აქვს, ხოლო თუ მახლობლად დიდი ქალაქია, ზაფხულის ხილის გაშენებაც კარგია. თუ გაქვთ შეძლება, უმჯობესია, რომ მთელი საბაღე ადგილი თავიდამ ბოლომდის 12—16 ვერშოკის სილრმეზედ გადააბრუნოთ, ამას არაფერი ემჯობინება, და შემდეგ ისე დარგათ ხეები, ხოლო თუ ეს არ შეგიძლიანთ, მაშინ ორმოების მოთხრით უნდა დაკმაყოფილდეთ; მხოლოდ საჭიროა, რომ ზემო მიწა ცალკე დაყაროთ ორმოს ერთს ნაპირზე და ქვემო—მეორე ნაპირზე. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ხის დარგვის დროს, ჯერ ზემო მიწას მივაყრით ძირკვებს და მერე ქვემოს, დარგვა ხეებისა უმჯობესია ადრე გაზაფხულზეღ, ხოლო ორმოების მოთხრა ანუ საბაღე ადგილის გადაბრუნება—შემოდგომაზედ სჯობია, რომ ზამთარმა კარგათ გამოაფხვიეროს ორმო. ხეები ორი ვერშოკით უფრო ზევით უნდა დარგათ წინანდელ სილრმესთან, რადგანაც ახლად წაყრილი მიწა დაიწევს, ხესაც დასწევს და ეს კი

კარგი არ იქნება. მიწას რომ აყრიდეთ, თან ცოტ-ცოტა დამიწებული ნეხვიც ჩაატანეთ ხოლმე. დარგვის შემდეგ ხეებს არ უნდა დაუტკეპნოთ მიწა, ამის მაგივრათ უმჯობესია მორწყათ ორჯელ, რომ მიწა სრულიად მიეკრას ძირკვებს. თუ ხმელი მზიანი დღეებია, მორწყვა უნდა განიმეორეთ კვირაში ერთხელ მაინც. მორწყვისათვის ყოველ ხეს გარშემო ნახევარ არშინზედ უნდა ორმო გაუკეთოთ და თითო ან ორ-ორი ვედრო წყალი დაასხათ. მორწყვის შემდეგ ორმო კვლავ უნდა ამოავსოთ მიწით ან ნეხვი მოაყაროთ, რომ მიწა ნოტიოთ შეინახოს. კაკლებს, თუთებს' ვაშლებს, ბალებს და მსხლებს შუა ადგილი, სანამ ესენი გაიზრდებოდნენ, რომ შუა ადგილი უსარგებლოთ არ ეგდოს, უმჯობესია მორგათ ქლიავის, ალუბლის და ატმის ხეებით, რომლებიც ადრე იძლევიან ხილს და სანამ მოხსენებული ხეები თავისს ჰასაკს მიაღწევენ, ესენი მოზერდებიან კიდეც და როცა ტოტები ერთმანეერთს მიეკარებიან, ესენი შეიძლება ან სრულიათ ამოიღოთ და გადარგათ, ან არა და მოსჭრაო. გადასარგავი ნამყენები დიდის სიფრთხილით უნდა ამოიღოთ და თუ ძირკვები მაინც დაუზიანდა ამოღების დროს, ყველა ის გაფუჭებული ძირკვები, დაზიანებულ ადგილთან ახლო, ქვემოდამ ზევით ამოსხეპით, უნდა მჭრე დანით მოაჭრათ; ტოტების გასხვლა კი მეორე წელს სჯობია. ატმებს და საზოგადოთ კურკიან ხეხილებს კი შეიძლება გადარგვის დროსვე შეაჭრათ ტოტების წვერები. ტოტები ისე უნდა შეაჭრათ, რომ ხეს შაქრის თავისთანა სახე მიეცეს. თვითეულს ტოტს 7—8 კვირტი (თვალი) უნდა შეარჩინოთ; საზოგადოთ კი ლონიერს ტოტებს მეტი ნაწილი უნდა შეაჭრათ, სუსტს ტოტებს ნაკლები და სულ ულონოებს კი არ უნდა შეაჭრათ. მეორეთ გასხვლა უნდა მოახდინოთ მარიამობისთვეში; ამ თვე'ში

ხეხილს უნდა შეაჭრათ ყველა მეტი ტოტი, რომელიც კი უშლის მეორე ტოტს, ეხახუნება თუ ხლართავს მას. მესამეთ უნდა შეაჭრათ ადრე გაზაფხულზედ სიგრძის ორ ნასამედზე ყველა განაპირა ტოტები. ტოტ ბი უთუოთ თვალის ქვემოდამ უნდა შეაჭრათ ხოლმე. ძირში ანუ ღეროზე ამოხეთქილი მსუქანი ტოტები და ყლორტები ყველა უნდა ძირამდის მოაშოროთ, ხოლო თუ ტოტებშიაც გამოერია ასეთი ტოტები, ესენი ორ თვალზე უნდა დააყენოთ და გადაიქცევიან ნაყოფიერ ტოტებად. სამი-ოთხი წლის ასე გასხვლის შემდეგ ხეს შეიძლება სრული თავისუფლება მისცეთ, გასხვლა და მოჭრა ტოტებისა მისთვის საჭირო აღარ არის. შეიძლება მხოლოდ გამხმარი და მეტი, სხვის დამშლელი, ტოტები შეაჭრათ ხოლმე. გასხვლა ხეებისა უთუოთ კარგ დარში უნდა მოახდინოთ ხოლმე. თუ დაბალ ხედ გინდათ გაზარდოთ ხეხილი, მაშინ ნამყენი მეორე გაზაფხულის წინ შეაჭერით ისე, რომ ნამყენზედ მარტო სამი კვირტიღა დარჩეს. აქედამ ამოვა სამი ტოტი. მეორე წელს ეს ტოტებიც ისე მოსჭერით, რომ თითოზე ისევ სამი კვირტი დარჩეს, ასე რომ ხეს ახლა ცხრა ტოტი გაეზრდება და თითონ ხეც მაღალი არ გაიზრდება. ასე მოჭრილი ხე უფრო ადრე იძლევა ნაყოფს. გარდა გასხვლისა, საჭიროა ხეს ყოველ წელს შემოდგომაზედ ძირში მოაყაროთ ხოლმე დამიწებული ნეხვი და შიგ ჩაჰბაროთ, ისე კი, რომ ძირკვები არ დაუზიანოთ. ზაფხულში კი, მკათათვესა და მარიამობისთვეში, კარგია მორწყათ გომურების შარდით და სასუქიანი წყლით, ე. ი. გახსნათ ათ ვედრო წყალში ერთი-ორი ვედრო დამიწებული ნეხვი და ამით მორწყათ.

ხილის დაკრეფაზედ ჩვენი რჩევა ეს არის: რაც უნდა დიდი მოსავალი მოიცეს ხემ, თავისს დღეში არ დაბლერტოთ, არ დაარხიოთ იგი, რადგანაც ხე იმისთვის

როდი გავზარდეთ, რომ მოსავალი ორ-სამ კვირაში დაგვილპეს. ხილი კი იმისგან ლპება, რომ დარხევით და დაბღერტით ხილი იტეხება. ხილი უთუოდ თითო-თითო უნდა მოკრიფოთ და წყნარად ჩააწყოთ კალათებში და არა ხურჯინებში ანუ გოდრებში. გასაყიდათაც სუფთა მოფერადებულ კალათებში უნდა გაიტანოთ რჩეული ხილი, რადგანაც მოქალაქეს სისუფთავე უყვარს. უმჯობესი კია, რომ გამძღე ჯიშის ხილი შემოდგომასა და ზამთარში გაიტანოთ გასაყიდათ, რადგანაც ამ დროს ხილი ერთი ორად და სამადაც მეტს ფასშია.

ორიოდე სიტყვა ხეების დაცვაზედ ყინვებისგან და ბებერი ხეების მოლონიერებაზედ. შენიშნულია, რომ ხის გარშემო დაბარული ანუ გათოხნილი მიწა ნაკლებ იყინება, ამიტომ ცუდს არ იზამს ხილნარის პატრონი, რომ გაზაფხულის ყინვების წინ ხეებს გარშემო, სადამდინაც ტოტების წვერები სწვდება, მიწა დაუბაროს ანუ გაუთოხნოს, ესე კი, რომ ძირკვები არ დაუზიანდეს ხეს. ამავე მიზნით ზამთრის წინ ყოველი ხის ღეროს გარშემო კარგია მიაყაროთ სხვა მიწა ანუ ნეხვი, ფოთლები და მისთანა ნახევარ არშინის სიმაღლეზე, რომელიც კვლავ უნდა მოაშოროთ ხეებს გაზაფხულის ყინვების გათავების შემდეგ. ასე დაზამთრებული ხეხილი მშვენივრად უძლებს დიდს ყინვებსაც. რაც შეეხება ბებერი ხეების მოლონიერებას, ეს ყველაზედ უკეთ სასუქის მიცემით შეიძლება და ამიტომ შეატყოთ თუ არა, რო ხეხილი ხილს აღარ ისხამს ძველებურათ, მოაყარეთ მთელი ხის ქვეშ სასუქი ანუ კამპოსტი და ჩაბარეთ. ხე კვლავსაკმაოდ მოგცემსთ ნაყოფს.

თუ გინდათ, რომ თქვენი ხილნარი ანუ ხილის ბაღი სამაგალითო ხეხილებით იყოს სავსე და სამაგალითო ხილსაც იძლეოდეს, თქვენი უმთავრესი ყურადღება იმას მიაქციეთ, რომ **სამუსედ** უკეთესი უჯიშები აარჩიოთ, ე.

ი. ულონიერესი ძირები საუკეთესო ფესვებით; შემდეგ, როცა ამყნობთ, მათგანაც მარტო უკეთესად გაზრდილი ნამყენები უნდა გადარგოთ თქვენს ხილნარში, როგორც საქონლის მოშენებაში—უკეთესი დედალ-მამალი და შთამომავლობა უნდა შეინახოთ ხოლმე.

მეორე პირობა, აგრეთვე არა ნაკლების მნიშვნელობისა ის არის, რომ ხეხილის დასარგავი ორმოები უფრო **განიერად** იყოს მოთხრილი, ვიდრე **ღრმად**. რადგანაც, რამდენადაც ღრმად მოსთხრით ორმოს, იმდენადვე ფესვები ღრმად წავა მიწაში, სადაც ნაკლებათ მოიპოვება მისთვის საზრდო და მზისა და ჰაერის სიცხოველეს ინათლეც ნაკლებ უწევს იმ სიღრმეზდის და ამიტომ ასეთს ორმოებში დარგული ხეხილები კარგად ვერ იზრდებიან, ძალე სუსტდებიან, ბერდებაან და ჭია-ღუაც ადვილად ერევა მათ. რამდენადაც ცუდი და მაგარია ნიადაგი, იმდენად ნაკლებ სიღრმეზე უნდა მოთხაროთ ორმოები, მაგრამ **განიერები** კი. საზოგადოთ მიღებულია, რომ ორმოს სიღრმე არ უნდა აღემატებოდეს 12 ვერშოკიდამ ერთ არშინამდის, სიგანე კი რაც ამაზე მეტი ექნება ორმოს, იმდენად უკეთესია—2—3 არშინი.

ცნობილია, რომ ხის ქერქის გაწმენდა, მოსაშორებლად მისგან ხავსისა და სხვა მუქთახორებისა, ფრიად სასარგებლოა ხეხილის ჯან-საღობისა და ნაყოფიერობისათვის. გაწმენდა ხისა თითქოს ახლად ჰბადავს ხეს, ჰშველის ლონიერის ტოტების, ყვავილების და ფოთლების გამოღებას და ამისგამო მეტი ნაყოფიც ინასკვება თვით ისეთ ხეებზედაც კი, რომლებიც გაწმენდამდე ნაყოფს სრულიად არ იძლეოდნენ. აი როგორ უნდა გაწმინდოთ ხე: 1) ადრე გაზაფხულზედ, სანამ ჯერ კიდევ არ გაშლილა კვირტები, გაწმინდეთ ღერო და მსხვილი ტოტები ჯერ მშრალის ჩოტკით ანუ ტილოთი; 2) შემდეგ გარეცხეთ იგივე ნაწილები ხისა ათ პროცენტიანის შაბი-

ამანის წყლით ჩოტკითვე ანუ ტილოთი; 3) შეასხურეთ ესევე წყალი მთელს ხეს და 4) წაუსვით ხის ღეროს და მსხვილს ტოტებს ტილოთივე ანუ ჩოტკით შემდეგი საცხებელა: აიღეთ ერთ ვედრო წყალზედ (16 ბოთლზედ) 6 გირვანქი ხის ნაცარი, 1 გირ. მარილი, 1 გირ. უბრალო საპონი და ადუღეთ იმ დროამდე, სანამ საპონი სრულიად გაიქნებოდეს წყალში; შემდეგ გააციეთ, მიუმატეთ ღვინის სტაქნის ოდენა სკიპიდარი და აი ეს ნარევი წაუსვით ხის ღეროს და მის მსხვილ ტოტებს. ასე მოვლილი ხე მუდამ საღად იქნება და ნაყოფსაც მეტს მოიცემა.

სასოფლო მეურნეობა და სამეურნეო მრეწველობა.

ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ქართველები, უპირველეს ყოვლისა, **სასოფლო მეურნეობას** და ეგრედ წოდებულს **სამეურნეო მრეწველობას** უნდა დაეწვნენ, ამათ უნდა უერთგულონ, ამათზედ უნდა დაამყარონ თავისი აწმყო და მომავალი ბედი. ჩვენ ქართველთ ამისათვის წინ გვიძევს ათასი წლებით შეძენილი სამეურნეო ხასიათი და გამოცდილება, გვაქვს სიყვარული ამ საქმისა და, რაც თავი და თავია აქ, გვაქვს უხვ-ბუნებიანი მიწა-წყალი.

მაგრამ ერთი რამ უნდა მარად გვახსოვდეს ქართველებს: ეს ისა, რომ მარტოოდენ **სასოფლო მეურნეობა**, გარეშე ჩვენ მიერ ამის ზემოთ წოდებულ **სამეურნეო მრეწველობისა**, ყოვლად უძალო და უსაგნოა ჩვენის

დაბეჩავებულის მდგომარეობის გაუმჯობესობის ცდა-შრომაში. რას ვეძახით ჩვენ **სამეურნეო მრეწველობას** მაგალითით ავუხსნით მკითხველს. ინგლისში ფრიად გავრცელებულია **ბამბეულის წარმოება**, მაგრამ თვით ბამბა კი ერთი გირვანქის ოდენაც არ მოდის ინგლისში. ბამბეულის მრეწველობის საწარმოებლად ინგლისელები ბამბას ყიდულობენ ცხრა-მთას იქითა ქვეყნებში, მოაქვთ ინგლისში და აქ აკეთებენ მას ათას გვარ ძაფებად, ჩითებად, მიტკლებად და სხვ., რომელიც შემდეგში კვლავ გააქვთ ცხრა-მთას იქითავე ქვეყნებში.

დიახ, როცა ვამბობთ, რომ ქართველებმა, **მეურნეობასთან** ერთად, **მრეწველობასაც** უნდა მივსდიოთო, ჩვენ სახეში გვაქვს არა ასეთი მრეწველობა, როგორიც ინგლისის შესახებ მოგახსენეთ, არამედ სულ სხვა გვარი მრეწველობა, რომელსაც ჩვენ **სამეურნეო მრეწველობა** ვუწოდეთ. ეს ისეთი მრეწველობაა, რომ დასამუშავებელს მასალას იგი თვით ადგილობრივ იღებს და არა ცხრა-მთას იქიდამ მოაქვს, როგორც ამას ინგლისელები შვრებიან. ინგლისელების მსგავს მრეწველობისათვის ჩვენ არც ცოდნა, არც უნარი და არც ფული გვაქვს, იგი ჩვენთვის ყოვლად ხელ-მიუწდომელი ხილია, ახლო მომავლისთვის მაინც. სულ სხვაა **სამეურნეო მრეწველობა**, რომლის აყვავებისათვის ჩვენს ქვეყანაში, როგორც ვსთქვით, ყოველი პირობა მზათა გვაქვს, ე. ი. ჩვენ ქართველნი იმას უნდა ვეცადნეთ, რომ ჩვენი ყოველი სამეურნეო ნაწარმოები აქვე ადგილობრივ იქმნას დამუშავებული უკანასკნელ სახმარ ნივთამდის და მხოლოდ ამის შემდეგ იქმნას ბაზარში გატანილ.

ჩვენ, მაგალითად, გვაქვს **ს. ძანდი**. უაზრობაა პირდაპირ **სიმინდად** გავასაღოთ იგი ევროპაში თუ სხვა ქვეყნების ბაზარში. გონიერი მეურნე თავის დღეში არ დაკმაყოფილდება, ამ პირველ დროის საწარმოვო წესით

და ეცდება უთუოდ თვით მოიხმაროს იგი ბოლომდის, ე. ი. სიმინდით იგი გამოჰკვებს, მაგალითად, შინაურს ფრინველთ და ღორს; იგი ამითაც არ დაკმაყოფილდება და წესიერად აგებულ საქათმისა და საღორის გვერდით სავიჩინე ქარხანასაც ააგებს, რომ იმ დროს, როცა, ვსთქვათ, ფრინველს ახლად დაკლულს ასაღებს, ღორს ვიჩინად სდებს და მხოლოდ ამის შემდეგ გააქვს იგი გასასყიდათ იქ, სადაც უფრო კარგი ფასი აქვს, მით უმეტეს, რომ კარგად შემზადებულს ვიჩინას სრულიად არ ეშინიან გზისა და დახანებისაგან გაფუჭებისა...

სიმინდის მოყვანა **სასოფლო მეურნეობის** დარგია, ხოლო მისით ფრინველისა და ღორის გამოკვება კი და უკანასკნელის ხორციდამ ვიჩინის მომზადება—**სამეურნეო მრეწველობაა.**

აი ასეთს **მეურნეობა-მრეწველობას** უნდა დაადგეს; ჩვენის ფიქრით, მთლად ჩვენი ქვეყანა და მთლადვე მასზედ დაამყაროს თავისი ბედი და უბედობა. სარგებლობაც წარმოუდგენელი ექნება ასეთს მეურნეობა-მრეწველობას ჩვენთვის: დრტვინვა და ჩივილი მიწა-წყლის სიცოტავეზედ ნელ-ნელა დავიწყებას მიეცემა და ქართველნი თვით საქმით დარწმუნდებიან, რომ რაც დღეს მიწა-წყალი გვაქვს ქართველებს, ხუთ ამოდენა ხალხსაც ეყოფა და ყველასაც ექნება გზა და საქმე.

მოგეხსენებათ, რომ თითონ ბუნებითი სიმდიდრე ქვეყნისა არ შეადგენს ხალხის სიმდიდრეს, თუ თვით ხალხი ვერ სარგებლობს მისით. უცოდინარობა და სიღარიბე არის უმთავრესი მიზეზი ჩვენის დღევანდელის გაჭირვებულის მდგომარეობისა. ამ ორს მიზეზს დიდი კავშირი აქვთ ერთმანერთში: უცოდინარობა შედეგია სიღარიბისა და სიღარიბე—უცოდინარობისა, რადგანაც ვერ გამოგვიყენებია ბუნებითი სიმდიდრე. ამ მდგომარეობიდამ გამოყვანა მხოლოდ სწავლას და ცდა-შრომას შეუ-

ძლიან და ჩვენც უფრო ისეთი ცოდნა უნდა შევიძინოთ, რომელიც ჩვენს ასეთს მდგომარეობაში უფრო გამოგვადგება. ასეთ საჭირო სწავლად დღეს ჩვენთვის, სხვათა შორის, სასოფლო მეურნეობისა და სამეურნეო მრეწველობის სწავლა მიგვაჩნია და ერთ უკეთეს და ადვილ საშუალებად ასეთის სწავლის გასავრცელებლად ჩვენს საზოგადოებასა და ხალხში, მუდმივ და შეუყენებლად წერა და ქადაგება მიგვაჩნია ამ დარგთა შესახებ. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ყოველი ქართველი, რა ხარისხისაც და წოდებისაც უნდა იყოს იგი, სხვა ყოველ საჭირო ცოდნასთან ერთად, უთუოდ სასოფლო მეურნეობისა და სამეურნეო-მრეწველობის ზედ-მიწევნით მცოდნეც უნდა იყოს. ეს კი მაშინ შეიძლება, როცა იგი ბეჯითად იკითხავს წერილებს ამ დარგთა შესახებ. ამიტომ იმედი გვაქვს, რომ ქართველობა თანაგრძნობით მიეგებება ჩვენს ასეთს დაწყობას და შეძლებისა და კვალად ხელს მოგვიმართავს. მოვიწვევთ ჩვენის ქვეყნის ყველა გამოცდილ და ჩვენის აზრის თანამოზიარე მეურნეთ ცნობები და წერილებით მოგვაწოდონ მოხსენებულ დარგთა შესახებ. ჩვენ დიდის სიამოვნებით მივცემთ იმათს წერილებს ადგილს ჟურნალ „მოგზაურის“ ფურცლებზედ და საუკეთესო მათგანს იაფ-ფასიან წიგნებადაც გამოვცემთ ხალხში გასავრცელებლად.

მებალობის წარმატება ამერიკაში.

ბაგონიერი გექნებათ, როგორი ბეჯითი და გონიერი მოვლა იციან საზოგადოთ ამერიკელებმა თავიანთ ბაღ-ვენახებისა და მინდვრებისა. ეს არის მიზე-

ზი, რომ ამერიკელები პირველი შეძლებული ხალხია მთელს დედა-მიწაზედ. ჩვენ რომ ვწუწუნებთ სოლმე, ქალაქი შორსა, გვაქვსო, როგორ ჩავიტანოთ იქ ალუბალიო, ასე არ იქცევიან ამერიკელები. კალიფორნიაში, მაგალითად, ალუბალს, სრულ მოწევამდის, „ცოტა ადრე ჰკრეფენ, ბეჯითად არჩევენ სხვილს და კარგს ალუბალს წვრილ და ცუდისგან და აწყობენ ყუთებში, რომლებსაც ძირები და გვერდები დაცხრილული აქვთ და რამდენსამე სართულებადაც გაიყოფება თვითეული ყუთი. ასე ჩაწყობილს ალუბალს პატრონები გზავნიან უუშორეს ქალაქებში—ნიუიორკში, ბოსტონში, ჩიკაგოში და სხვაგან (ე. ი. რამდენიმე ათასი ვერსის მანძილზე) და, თუმცა 4—5 დღე რჩება ხილი გზაში, ალუბალი ამ ქალაქებში ისე კარგად მიდის, რომ გეგონებათ—დღეს დაუკრეფიათო. მიზეზი კი სულ უბრალოა—არჩევა და კარგათ ჩაწყობაა ამ მოხსენებულ ყუთებში.

გარდა ამისა, უკანასკნელს ხანებში, მთელს ამერიკაში, სადაც კი გავრცელებულია მებაღობა და მებოსტნობა, მრავლად დამართეს დიდი და პატარა ქარხნები, რომლებშიაც მხოლოდ იმას აკეთებენ, რომ ყოველს გვარს ხილსა და საზოგადოთ მიწის მოსავალს საზამთროდ და სხვაგან გასაგზავნად ამზადებენ და ბოჩკებ-ბანკებ-ქილებ-ყუთებში აწყობენ. ესეც ახალი მაგალითი **სამეურნეო-მრეწველობისა**, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ... მისმა ასეთმა წარმატებამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ მიწები მოხსენებულს ადგილებში მეტისმეტად გაძვირდა და რამდენიმე ასი ათასს სულს ადგილობრივვე აქვს სამუდამოდ უზრუნველი და ფრიად კარგ ფასიანი სამუშაო.

ივ. როსტომაშვილი.

ქვეყნიერების მასალა

ანუ

მატერიის ქიმიური რაობა *).

ამ კითხველისათვის ეს გამოანგარიშება და აზროვნობა ცოტად მოსაწყენი უნდა იყოს, მაგრამ ამის შეგნება მაინც აუცილებლად საჭიროა, რადგან ესაა სამეცნიერო სწავლის დასაწყისი ქვეყნიერების რაობა-ვითარებაზე. ანბანის შესწავლაც ძლიერ მოსაწყენია, მაგრამ უიმისოდ წიგნების კითხვა ჯერ არ გაგონილა. დიდათ საჭიროა ვიცოდეთ, რა განსხვავებაა ჯგუფსა და მის მარცვალთა შორის: ჯგუფი რთული საგანია და რთული საგნის თვისება აქვს; ტალის სულ უმცირესი ნაწილიც ისევ ტალია. ჯგუფის მარცვლები კი თავის-თავად მარტივი საგნებია, მაგ., ამ ჯაუფში ერთი მარცვალი ტალმანია და სამი მჟავდანი. ამ რთულ საგნის სულ პატარა ნაწილ-ჯგუფს **მოლეკულა** ჰქვიან და ჯგუ-

*) იხ. „მოგზაური“ № 1 და 2, 1903 წ.

ფის მარცვლებს—**ატომ**ები; ასე რომ ტალის მოლეკულაში 4 ატომია.

დალტონის ამ გვარ სწავლის თანახმად ჩვენ რთული საგნები მოლეკულებისაგან შემდგარი უნდა წარმოვიდგინოთ და მოლეკულები ატომებისაგან. მარტივი საგნებშიც, რაღა თქმა უნდა, იგივე ატომებია, მხოლოდ ერთ-გვარები, ერთი ელემენტისანი.

ავიღოთ საზამთროს გულის **ხორ**ცი (არა მისი თესლი); კარგათ რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ, რომ ეს გული ბროწეულსავით მარცვლებისაგანაა შემდგარი; განსხვავება ისაა, რო ბროწეულში მარცვლები დიდია და საზამთროში კი ძლიერ **პ**ატარა. გაფცქვნილი ბროწეულის და საზამთროს გული ვინმე მოხუცს **რო** ვუჩვენოთ, რომელსაც თვალი კარგათ არ უჭრის, ბროწეულში მარცვლებს დაინახავს, საზამთროში კი ვერა, რადგან ძლიერ **პ**ატარებია. ყველა მარტივი საგანიც, მაგ., რკინა, თითბერი, მჟავდანი, გოგირდი, ვერცხლი და სხვანიც, ამ გვარათვე მარცვლებისაგან არიან შემდგარნი, ე. ი. ატომებისაგან, მხოლოდ ეს მარცვლები ისეთი **პ**ატარებია, რო ადამიანის თვალს ვერა საშუალებით (თვით გამადიდებელი შუშათაც) ვერ შეუძლიან მათი ხილვა. რთული საგანი კი ერთ-გვარ მოლეკულებისაგანაა შემდგარი, ე. ი. ატომების **ჯ**გუფებისაგან; ყოველ **ჯ**გუფში რამდენიმე მარტივი საგნის ატომია. ერთი ელემენტის ატომები ყველანი ერთი ზომის და ერთი წონის უნდა იყვნენ.

ზემოთ ჩამოთვლილ რთულ საგნების შედარებიდამაც სჩანს, რო ყველაზე სუბუქი კერძი წყალდნისაა, რომელიც წყალში ორს იწონს, და რადგან ზოგიერთ რთულ საგანში წყალდნის კერძი ერთს იწონს, ამიტომ ეს ერთი მისი კერძის წონა უნდა იყოს. მაშასადამე, წყლის მოლეკულა შეიცავს 3 ატომს: 1 მჟავდნის და 2 წყალ-

დნისას. კირის სულ უკანასკნელი პატარა ნაწილიც — მოლეკულა ორი ატომისგან უნდა იყოს შემდგარი: 1 კალციუმის და 2 მჟავდნისაგან. ცარცის მოლეკულაში 1 ატომი კალციუმისაა, 2 ნახშირმანის და 3 მჟავდნისა.

ზემოთ ერთგან ჩვენ ორიოდე სიტყვა ვსთქვით იმის შესახებ, თუ როგორ იქცევა მეცნიერი ბუნების კვლევა-ძიებაში. ქვეყანა მრავალ-ფერია, მაგრამ გამოკვლევა და დაკვირვება გვაჩვენებს, რო ბუნებას სხვა და სხვა გვარობაში ყველგან ერთ-გვარი წესი ჰქონია, ე. ი. ყველაფერში, რაც ხდება და რაც რამ არი ქვეყანაზე, ყოველთვის ერთი წესით ხდება და ერთ-გვარია. ამ წესს **ბუნების კანონი** ჰქვიან. მეცნიერი ამ ბუნების წესს უკვირდება, ბუნების ხასიათს იკვლევს. შემდეგ აღმოჩენილ კანონებს ერთმანერთს ადარებს და საერთო კვანძს უძებნის მათ, საერთო მიზეზს. რამდენიმე კანონის დასკვნის თანახმად საერთო სწავლას ადგენს, ე. ი. თეორიას. ასე მოიქცა დალტონიც და ორ ქიმიურს კანონს (მუდმ-კერძიანობის და რთულ-კერძიანობის) საერთო მიზეზი უპოვა. ეს ორი კანონი საგანთა მარცვლიანობით თუ აიხსნება, თორემ სხვა არაფრითაო, და ამის მიხედვით ატომების თეორია შეადგინა: ქვეყნიერების მასალა გაუყოფარ ატომებისაგანაა შემდგარიო (სიტყვა „ატომი“ გაუყოფარს, დაუნაწილებელს ნიშნავს). ერთ-გვარ ატომების ერთად შეკრული ყოფნა **მარტივ საგანს** წარმოადგენს; რამდენიმე სხვა და სხვა ელემენტის ატომთა შეკრულობა **მოლეკულას** და მოლეკულების ერთად შეკრული ყოფნა **რთულ საგანს**. ასეთია ატომების ეს თეორია, რომლითაც დალტონმა ასე ნათლად ახსნა მუდმ-კერძიანობის და რთულ-კერძიანობის კანონები.

საკვირველი ისაა, რო ამ რაღაც 2400 წლის წინ, იმ დროის სიბრძნის ქვეყანაში — საბერძნეთში, დაახლოვებით ატომების ამ გვარივე სწავლა უქადაგია ერთს იმ

დროის განთქმულს ბრძენს—ლევკიპს. ლევკიპის შემდეგ მისი მოწაფის დემოკრიტის და აგრეთვე ბრძენი ეპიკურის მეოხებით ამ ატომების სწავლამ უფრო გაითქვა სახელი და კარგა დიდი ალაგი დაიჭირა იმ დროის სწავლაში ბუნებაზე. მეტად კარგათ გამოსთქვა ეს სწავლა სხვათა შორის ერთმა რომაელმა მელექსემ ლუკრეცმა თავისს განთქმულ ლექსებში „საგანთა ბუნება“-ში. რაღა თქმა უნდა, რო ლევკიპის და დემოკრიტის ეს სწავლა ვარაუდით იყო ნაფიქრი და არა ბუნების კვლევა-ძიებით აღმოჩენილი, მას ნიადაგი არა ჰქონდა, შეუძლებელი იყო მისი დამტკიცება და ამიტომ რამდენიმე ხნის შემდეგ ყველამ მიივიწყა.

სჩანს, რო ატომების ეს სწავლა ჭკვაზე ძლიერ ახლო უნდა იყოს, რომ ძველ დროის ბრძენთაც კი მოსვლიათ ფიქრად ამ გვარი შეხედულობა ქვეყნიერების მასალაზე, თუმცა ბუნების კვლევა-ძიებას არ მისდევდნენ.

ატომების სწავლა მეცნიერებაში პირველად ქიმიამ შემოიღო, ე. ი. მარტივ და რთულ საგნების კვლევა-ძიებამ; მაგრამ ატომების არსებობას ქიმიაზე უკეთ ფიზიკა ამტკიცებს, როგორც შემდეგში ვნახავთ.

VI. ქიმიური სახელ-წოდება და რეაქციები.

ალა თქმა უნდა, რო მეტისმეტ სიპატარავის გამოთ ატომების არამც თუ აწონა ან გაზომა, არამედ ხილვაც კი შეუძლებელია ადამიანისთვის, ათას-გვარი ხერხიც რომ იხმაროს. რომ აწონოს და გაზომოს კიდეც მეცნიერმა, მაინც ამას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება კაცის გონებიჩათვის. ვსთქვათ, რომ რომელმამე მეცნიერმა სხვა და სხვა ხერ-

ხით მართლადაც შესძლო ატომების აწონვა და ნახა, რო მჟავდანის ან რკინის ატომი იწონს სწორედ მისხლის $^{17}/_{32796\cdot1}$; არ ვიცი, რომელ გონებას შეუძლიან ამ წონის ატომი წარმოიდგინოს! ატომის წონა მისხლის $^{3}/_{11}$ ან $^{2}/_{27}$ რომ იყოს, ამის წარმოდგენაც გაუჭირდებოდა ადამიანის გონებას და მისხლის $^{17}/_{3279601}$ ხომ ცალიერი ციფრებია. შემდეგში ჩვენ განვიხილავთ, რა ხერხით გაზომეს და აწონეს კიდეც ატომები გენიოსურ ინგლისელ მეცნიერებმა—ტომსონ და მაკსველმა, რომელთა ანგარიშით, მაგ., თოფის ერთს ტყვიაში ასი ათას მილიონ მილიონი ატომია. თუმცა, როგორც უკვე ვსთქვით, ამ გვარი რიცხვი ადამიანის გონებისათვის გამოუსადეგარია, მაინც ატომების წონის ამ გვარს გამოანგარიშებას თეორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მეცნიერს შეუძლიან სთქვას, რო არამც თუ მართლადაც ქვეყნიერების მასალა ატომებისაგანაა შემდგარი, არამედ თვით ატომთი წონაც კი ვიცი და ნათლად დავამტკიცებ, რო სწორი ანგარიშით გამოვიკვლიე ეს წონაო. ატომების წონას, კაცის გონებისათვის ფუჭს, მაინც დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს. ამისდა-მიუხედავად, რადგან საგნები მუდმ-კერძიანობის კანონის თანახმად ერთდებიან, ე. ი. ერთ-გვარის წონით, ატომთა წონის ცოდნა მაინც აუცილებელ საჭიროებას წაომოადგენს საგანთა კვლევაძიებაში. ნამდვილი ატომების წონა, რომელიც მრავალ მილიონებად დაყოფილ მისხალსა ნიშნავს, ყოვლად გამოუსადეგარია ამ შემთხვევაში, ამიტომ ატომების ასაწონად მისხლის ნაცვლად ყველაზე სუბუქ ატომს იღებენ ზომად და ამის სხვა ელემენტთა ატომებს ადრიან. ყველაზე სუბუქი ატომი წყალდნისაა, რადგან მისი კერძი ყველა ელემენტის კერძზე სუბუქია შევადაროთ ახლა ამას, მაგალითად, ხლორი; ავიღოთ ერთი მისხალი წყალდანი და ვცადოთ, რამდენ მისხალ ხლორს ერთვის ეს

ერთი მისხალი წყალდასი, ისე რომ არაფერი არ დაჩნეს; ცდა გვაჩვენებს, რომ უნდება არა ნაკლებ 35½ მისხალი, და რადგან წყალდასის ეს ერთი მისხალი ხლორის 35½ მისხლის ნაკლებ კერძით არა ჯერდება, ამიტომ ეს 35½ ხლორის მარტივი კერძი უნდა იყოს, ე. ი. ხლორი წყალდასს თითო ატომით ერთვის და არა ორი ან სამით. რომ 2 ატომით ერთვოდეს, მაშინ 35½ მისხალ ხლორში 2 კერძი უნდა იყოს; მაშასადამე, ერთი კერძითაც უნდა შესძლოს 1 მისხალ წყალდასთან შეერთება, ე. ი. 35½-ის სახეერითაც, და რადგან ეს არა ხდება და უკანასკნელი ხლორის კერძი 35½ მისხალს იწონს, ამიტომ ეს რიცხვი მისი ერთ კერძის ნიშანი უნდა იყოს, ე. ი. ამ წონით ხლორი თითო ატომით ერთვის წყალდნის ატომია. შერთვის შემდეგ არა რჩება არც ხლორი და არც წყალდასი, ამიტომ ერთ მისხალ წყალდასში და 35½ მისხალ ხლორში უთუოდ ერთი რიცხვის ატომებია და, მაშასადამე, ხლორის ერთი ატომიც წყალდნისაზე 35½ ჯერ მეტს იწონს. ასეთია ამ გვარიანგარიშის დასკვნა.

ამ გვარითვე შეიძლება სხვა ელემენტთა ატომების წონის გამოანგარიშება; მხოლოდ არ უნდა დავიიწყოთ, რომ ეს წონა ნამდვილ მისხლით გამოანგარიშებულ წონას კი არა ნიშნავს, არამედ მხოლოდ იმას, რომ ყველაზე სუბუქი წყალდნის ატომია ზომად აღებული და ამ ზომითაა აწონილი სხვა ელემენტთა ატომები, ისე რომ სხვა ელემენტის ატომის წონა ნიშნავს რამდენჯერ მეტს იწონს წყალდნის ატომზე; ამიტომ ამ წონას ჰქვიან წყალდასთან შედარებული წონა, ან მოკლედ-**ნადარი წონა**, რომლის ცოდნას მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ძლიერ უადვილებს საგანთა ბუნების კვლევა-ძიებას.

აი ზოგი-ერთი ელემენტის ატომთა ნადარი წონა:

ელემენტები	ატომის წონა.	ელემენტები	ატომის წონა.
წყალბადი. . . .	1	რკინა.	56
ნახშირბადი. . . .	12	ხაკელი	58½
აზოტი	14	სპილენძი. . . .	63½
მჟავადი	16	ცინკი.	65½
სოდიუმი	23	დარიშხანი . . .	75
ალუმინი	27	ვერცხლი. . . .	108
ტალიუმი	28	კალა.	119
ფოსფორი	31	იოდი.	128
გოგირდი. . . .	32	ოქრო.	197
ხლორი	35½	ვერცხლის წყალი .	200
კალციუმი. . . .	40	ტყვია.	207
მარგანეცი. . . .	55	ურანი (ეგვალაზე მძიმე)	239½

რაკი ეს ნადარი წონა გვეცოდინება, მაშინ ყოველ გვარი რთული საგნის ბუნების გამოანგარიშებაც ადვილი იქნება. ვსთქვათ, რომ წყლის ბუნება არ ვიცით და გვინდა გავიგოთ, რომელი მარტივი საგნებისაგან შესდგება წყალი და ყოველ საკანს რა წილი აქვს მასში.

ვიღებთ ნიმუშად ერთ გირვანქა წყალს და ვშლით; დაშლა გვაჩვენებს, რომ წყალი ორი გაზისაგანაა შემდგარი: წყალბადნის და მჟავადნისაგან. წყალბადნი გირვანქის $^{2}/_{18}$ იწონს, მჟავადნი კი $^{16}/_{18}$, მაშასადამე, 18 გირვანქა წყალში 2 გირვანქა წყალბადნის იქნება და 16 მჟავადნისა, ე. ი. მჟავადნი წყალზე რვაჯერ მეტს იწონს წყალში და რადგან ზემოთ მოყვანილ სიაში სჩანს, რომ ერთი მჟავადნის ატომი წყალბადნისაზე 16-ჯერ მეტს იწონს, ამიტომ წყალში წყალბადნის ატომები რიცხვით ორჯერ მეტი უნდა იყოს მჟავადნის ატომებზე. წყლის მოლეკუ-

ლა წყლის ნიმუშია, მაშასადამე, მოლეკულაშიც ერთი მჟავდნის ატომს 2 წყალდნისა აკვრია.

მეცნიერებაში ყოველ მარტივ საგანს უმეტესად ლათინური სახელები აქვს და წერის დროს მთელი სახელის ნაცვლად მოკლე ნიშანს ხმარობენ. ნიშანი საგნის სახელის ერთი ანუ ორი ასოსგან შესდგება; მაგ., მჟავდანს ლათინურად Oxygenium ჰქვიან და მის ნიშნად ამ სახელის პირველ ასოს ხმარობენ, ე. ი. O-ს; წყალდანს Hydrogenium ჰქვიან და ნიშნად H აქვს; დარიშხანას (Arsenicum) As უზის ბოლმე; რკინას (Ferrum)—Fe; ტალმანს (Silicium)—Si და სხვ. ამ წესის თანახმად მოლეკულებსაც ნიშნეულად სწერავენ, მაგ., წყლის მოლეკულა, რომელშიც 2 წყალდნის და ერთი მჟავდნის ატომია, ასე გამოიხატება H_2+O_1; დავიხსომოთ, რო როდესაც ელემენტის ნიშანს რამე რიცხვი არ უზის გვერდით, მაშინ ეს ნიშანი ერთის ატომის იქნება; ამ გვარად წყლის მოლეკულა უფრო მოკლეთ გამოიხატება: H_2+O ან H_2O. რთული საგნების ამ წესით შემდგარს ნიშანს ფორმულა ჰქვიან. წყლის მოლეკულის, ე. ი. ნიმუშის ფორმულა H_2O გვაჩვენებს, რო წყალი რთული საგანია, რომლის მოლეკულა სამ ატომიან ჯგუფს წარმოადგენს; ორს წყალდნის და ერთს მჟავდნისას, და თუ ატომის წონაც ვიცით (ნადარი წონა), მაშინ მოლეკულის წონასაც ადვილად გამოვიანგარიშებთ, ისე როგორც ზემოთ ვაჩვენეთ მკითხველს.

ძლიერ კარგათაა მოგონილი ასეთი მოკლე ნიშნებით წერა რთულ საგნების ბუნებისა. რომ უკეთ გავიგოთ და დავიხსომოთ ეს მეცნიერული ენა, განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი. ვსთქვათ, საჭიროა ჩვენთვის გავიგოთ, რისგან შესდგება ცარცი; ვიღებთ ერთ გირვანქა ცარცს; სიცხოვლით ჯერ ორ საგნად დაიშლება; ცარცს რაღაცა გაზი აედინება და დარჩება კირი; რომ

შევუშვათ რამე ჭურჭელში ეს გამოცემული გაზი და რომ გამოვიკვლიოთ მისი ბუნება, ვნახავთ, რო ნახშირმანისა და მჟავდნისაგან ყოფილა შემდგარი, ე. ი. ნახშირმჟავია. წონით ნახშირმჟავი გირვანქის $^{44}/_{100}$ წილს შეადგენს; მაშასადამე, კირი დანარჩენ გირვანქის წილს აიწონს, ე. ი. $^{56}/_{100}$; ეს ანგარიში შეიძლება ასე დავწეროთ:

$$^{44}/_{100} + ^{56}/_{100} = ^{100}/_{100}.$$

ნახშირმჟავი კირი ცარცი.

ჩვენ ხომ გვახსოვს, რო მჟავდანის და რომელიმე მეტალის ერთად შეერთებისაგან საფუძვი ჩნდება და მჟავდან-მეტალოიდი კი მჟავს აჩენს. ნახშირმჟავში ნახშირი მეტალოიდია, ამიტომ ნახშირმჟავი მჟავი უნდა იყოს. კირიც შეიძლება დავშალოთ და ვნახავთ, რო მჟავდან-კალციუმისაგან ყოფილა შემდგარი; კალციუმი მეტალია და ამიტომ კირი საფუძვი უნდა იყოს. ჩვენ გვეხსომება აგრეთვე, რო მჟავ-საფუძვის შეერთებით მარილი ჩნდება; მაშასადამე, ცარცი მარილია. ახლა ისევ სასწორს მივმართოთ და გამოვიძიოთ, რა ნაწილები რა წონის არიან კირში და ნახშირმჟავში. კირს ხომ გირვანქის $^{56}/_{100}$ წილი ეჭირა, ახლა სასწორი გვიჩვენებს, რო ამ $^{56}/_{100}$-ში კალციუმს $^{40}/_{100}$ და მჟავდანს $^{16}/_{100}$ წილი უჭირავთ; ნახშირმჟავის გირვანქის $^{44}/_{100}$ წილში ნახშირმანი იწონს $^{12}/_{100}$ და მჟავდანი — $^{32}/_{100}$; ყველა ეს ანგარიში შეიძლება ასე დავწეროთ:

ნახშირმ. მჟავდ. კალც. მჟავდ.

$$(^{12}/_{100} + ^{32}/_{100}) + (^{40}/_{100} + ^{16}/_{100}) = ^{100}/_{100}$$ ან ერთი გირვანქა.

ნახშირმჟავი კირი ცარცი.

(მჟავი) (საფუძვი) (მარილი).

ეს ციფრები სასწორმა გვაჩვენა და ახლა ნადარ წონის სიას მივმართოთ და გამოვიძიოთ ცარცის მოლეკულა რამდენ და რა ატომებისაგანაა შემდგარი ნახშირ-

მანის ატომის ნადარი წონა 12-ია, ამიტომ ნახშირმჟავაში, რომელშიაც ნახშირმანის კერძის წონა 12 ია, ერთი ნახშირმანის ატომი უნდა იყოს. მჟავდნის კერძი 32-ით გამოიხატება, და რადგან სია გვიჩვენებს, რო ამისი ატომის წონა 16-ია, ამიტომ მჟავდანს ორი ატომი ჰქონია მოლეკულაში; ამ გვარად ნახშირმჟავის მოლეკულა ამ ფორმულით უნდა დაიწეროს: CO_2. (C ნახშირმანის ნიშანია). ამ გზითვე გაიგებთ, რო კირის ფორმულა უნდა იყოს CaO (Ca კალციუმია). ამ ორ საგნის, ნახშირმჟავის და კირის შეერთებით ცარცია გაჩენილი. ეს შეერთებაც შეიძლება ფორმულებით გამოიხატოს:

$$CaO + CO_2 + \quad = CaCO_3.$$

კირი ნახშირმჟ. ცარცი.

მაშასადამე, ცარცის მოლეკულაში 1 ატომი კალციუმისაა, 1 ნახშირმანის და 3 მჟავდნისა.

Cu თითბრის ნიშანია, და S—გოგირდისა; ახლა თუ ეს ჩვენი ახსნა მკითხველმა კარგათ შეიგნო, წაიკითხოს და დაუკვირდეს რასა ნიშნავენ შემდეგი ფორმულები, რომელია მათში საფუძვი და მჟავი, ან რა წილი უდევს თითო ელემენტს ამ მოლეკულებისაგან შემდგარ რთულ საგნებში:

$$CuO + SO_3 = CuSO_4$$

ადვილად მოსახვედრია, რო პირველი (CuO) თითბრიანი საფუძვია, და მეორე (SO_3)—გოგირდის მჟავი. მაშ ამ ორი რთული საგნის შეერთებით რაღაცა ძარილი ჩნდება—ლურჯი შაბი. ასე რომ ლურჯი შაბის მოლეკულა 6 ატომისაგანაა შემდგარი: 1 თითბრის, 1 გოგირდის და 4 მჟავდნისაგან.

ჩამოვთვალოთ ახლა რამდენიმე რთული საგნის ფორმულები:

წყალი—H_2O	შაბი—$CuSO_4$
კირი—CaO	ცარცი—$CaCO_3$
ნახშირმჟ.—CO_2	სპირტი C_2H_6O
ტალი—SiO_3	შაქარი—$C_{12}H_{22}O_{11}$

ყველა ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ჩვენ საგნებს ხან ვაერთებდით და ასე ახალ საგნებს ვაჩენდით, ხან კი რომელიმე რთულ საგანს მარტივ საგნებად ვშლიდით. ამ გვარ საქმეს, ე. ი. დაშლას თუ შეერთებას, **რეაქცია** ჰქვიან; ასე რომ რეაქცია ორ გვარია: დაშლისა და შეერთებისა. არის აგრეთვე ერთი მესამე რეაქციაც, რომელსაც შეიძლება აღებ-მიცემის რეაქცია ვუწოდოთ, რადგან ამ შემთხვევაში რომელიმე რთული საგანი თავისს ერთს ნაწილს იშორებს და სამაგიეროთ სხვა მარტივ საგანს იერთებს, ან რომელიმე რთულ საგანს ნაწილს ართმევს და თავისთან იკავშირებს. მოკლეთ რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში გაცვლა ხდება: თავის ნაწილის მოშორება და სხვისის შეკავშირება. ავიღოთ, მაგალითად, ერთი ჭიქა წყალი და გავხსნათ შიგ ლურჯი შაბი ($CuSO_4$); ჩავუშვათ შიგ რაიმე რკინა, თუნდ ერთი ლურსმანი. ლურსმანი თანდათან ილეკა წყალში და სამაგიეროთ ახალი საგანი ჩნდება—თითბერი, რომელიც ჩაშვებულ რკინას არცვლებით ეკიდება ყოველის მხრით. ახლა კარგა ხანს რომ ვადუღოთ წყალი—ორთქლად ავა ჰაერში; დარჩება ჭურჭელში რთული საგანი, რომელიც წყალში იყო გახსნილი, მხოლოდ ლურჯი შაბის ნაცვლად ახლა მწვანე შაბია. ეს რეაქცია შეიძლება ასე დავწეროთ:



$$CuSO_4 + Fe = FeSO_4 + Cu$$

ლურჯი შაბ-თითბერი. რკინა, მწვანე შაბ-რკინა, თითბერი.

ასე რომ შაბ-თითბერის მოლეკულამ თითბრის ატომი მოიშორა და სამაგიეროთ რკინისა დაიკავშირა. ასეთია აღებ-მიცემის რეაქცია.

მთელი ქვეყნის მასალის ათას-გვარი ქიმიური გარდასხვაფერება ამ სამი რეაქციით გამოიხატება: შეერთების, დაშლის და აღებ-მიცემის რეაქციებით მთელი ქვეყნის ათას გვარი რთული საგანი 80 ელემენტის ატომე-

ბისაგან შესდგება და ყველა გაჩენილა და ახლაც ჩნდება ამ სამი გვარი რეაქციით.

ლაბორატორიაში ამ სამი რეაქციით ათას გვარ საგანს შლიან თუ აჩენენ და არა დროს **არ** მომხდარა, რომ ამ რეაქციებში რომელიმე საგნის სულ პატარა ნაწილიც კი გამქრალიყოს. არც ერთ რეაქციაში საგნებს არცა რა ემატებათ და არცა რა აკლდებათ თავისს წონაში. საგნები ზოგან ერთდებიან, ზოგან იშლებიან; მაგრამ წონით არა რა იკარგება და სადმე უთუოდ არსებობს. ასეთია ეს დასკვნა, რომელიც ფრანგ მეცნიერმა — ლავუაიზიემ გამოუნახა ამ სამს რეაქციას. ქვეყნიერების მასალას, მატერიას, ათას-გვარი ქიმიური გარდასხვაფერება სცოდნია, წონით კი არა დროს არც კლებულობს და არც მატულობს; რაც ახლაა მატერია, იმდენივე ყოფილა და იქნება ყოველთვის. მაშასადამე, მატერია არავის არც გაუჩენია და არც არავინ გააქრობს მას. ამას ჰქვიან **მატერიის გაუქრობლობის ბრალებაში**, რომელიც მეცნიერების დედა-ბოძად შეიქმნა.

VII. ქიმიური ნათესაობა და ატომიანობა.

ადგან მთელი ქვეყნის ათას-გვარი რთული საგანი რაღაც 80 ელემენტთა ატომების შეერთებით გაჩენილა და ახლაც ჩნდება, საჭიროა ამიტომ ვიკითხოთ: რათაა, რო ატომები ერთმანერთს უერთდებიან, ე. ი. ერთმანერთს იზიდავენ და იკავშირებენ? მაგალითად, რათაა, რო წყლის გაჩენაში ორი ერთად არეული გაზი — მჟავდანი და წყალდანი, ნაპერწკლის შიგ ჩაგდებით მაშინვე ერთდებიან, ე. ი თითო მჟავდნის ატომი ორს წყალდნისას იზიდავს თავისკენ, თავისთან

იკავშირებს და ასე წყლის მოლეკულას აჩენს? მეავდნის ატომი ხომ ცოცხალი რამ არაა,—არც გონება აქვს, არც ხელები და მკვდარი, ძლიერ ჰატარა ნივთია; როგორაა, რო სხვა ატომს იზიდავს და იკავშირებს? ატომებს მარტო მიზიდვის თვისება რომ ჰქონდეთ, ძნელი არ იქნებოდა მეცნიერებისათვის ამისი გარკვევა, რადგან ეს თვისება მთელი ქვეყნიერების მატერიის თავი თვისებაა, ნიუტონის მიერ აღმოჩენილი; ორიოდე სიტყვით ავხსნათ ეს. შევიდეთ წისქვილში; ავიღოთ, მაგალითად, ერთი ლუკმა პური და დავდოთ წისქვილის დატრიალებულ ქვაზე, სადმე ნაპირთან ახლოს; პურს მაშინვე განზე მოისვრის. რათაა, რო განზე ვარდება, ზედ არა ჩერდება და მასთან ერთად არა ტრიალებს? იგივე ლუკმა ნაფოტზე რო დავდოთ და წისქვილის არხში რომ მივუშვათ, ნაფოტი ლუკმას არ მოიგდებს და თან წაიღებს. სჩანს, რო, როდესაც ლუკმა რგვლად ტრიალებს (როგორც წისქვილის ქვაზე)—განზე ვარდება და თუ სწორეთ მიდის—საგანს ზედა რჩება. იგივე ხდება შურდულს ხელში რო ვატრიალებთ: შურდულის გაშვებაზე ქვა განზე ვარდება. ამ საქმეს რო დავუკვირდეთ, ვნახავთ, რო შურდულში ჩადებულ ქვას არ კი ვისვრით, არამედ მხოლოდ რგვლად ვატრიალებთ შურდულით და ამ შურდულის გაშვებაზე რგვლად დატრიალებული ქვა თავის თავად განზე მიისწრაფის და არა ვარდება ძირს ფეხებთან. აქაც სწორეთ ის ხდება, რაც წისქვილის ქვაზე ლუკმას მოსდის; ორივ შემთხვევაში რგვლად დატრიალებულ საგანს განზე სროლის თვისება უჩნდება; მთვარე მიწას უვლის გარშემო და მიწა მზეს დიდის სისწრაფით. რათაა, რო მიწის გარშემო დატრიალებული მთვარე განზე არა ვარდება, არ შორდება მიწას და ყოველთვის ერთ მანძილზე უვლის? მიწაც მთვარიანად ყოველთვის ერთი ზომის სიშორეზე ტრიალებს მზის გარშემო. სჩანს, რო მთვარე

მიწასთან და მიწა მზესთან რამით არიან მიბმული, რაღაცა ძალით. ამას **მიმზიდველობის ძალა** ჰქვიან. რამდენაათაც მთვარე განზე იწევს რგვლად ტრიალისგან, იმდენათვე მიწა იზიდავს მას თავისკენ და ამიტომაა, რო მთვარე არც შორდება და არც მიწაზე ვარდება. მიწას მიზიდვის თვისება აქვს და ამიტომაა, რო ყოველი საგანი მიწაზე ვარდემა და ჰაერში არა ჩერდება. საგნების სიმძიმე ამ მიმზიდველობის ძალისაგან წარმოდგება. იგივე ითქმის მზეზედაც, რომელიც მიმზიდველობის ძალითვე მიწას ერთ მანძილზე იჭერს და არ უშვებს განზე გავარდეს სივრცე-მანძილში. გარდა მიწისა სხვა შვიდი ქვეყანაც დასტრიალებს მზეს სხვა და სხვა მანძილზე. მზე და მის გარშემო მოტრიალე რვა ქვეყანა (მერვე მიწაა) ერთ მზის ჯგუფს შეადგენენ, ან როგორც მეცნიერები ამბობენ—ერთ სისტემას. მთელი სამყარო (ქვეყნიერება) ამგვარ სისტემებისაგანაა შემდგარი.

ახლა მოლეკულების შენობა რო მოვიგონოთ, ვნახავთ, რო ქვეყნების, მაგ., მზის სისტემა, ან ჯგუფი, ძლიერ წააგავს ატომების ჯგუფს, ე. ი. მოლეკულას. ავიღოთ თუნდ ცარცის მოლეკულა $Ca\ CO_3$, რომელშიაც ერთი ატომი კალციუმისაა, ერთი ნახშირმანისა და 3 მჟავდნისა,—სულ ხუთი ატომი; ხუთი ატომი ერთად შეკრულა და ცარცის მოლეკულა გაჩენილა. მზის სისტემაშიაც მზე და რვა ქვეყანა ერთმანერთს არა შორდებიან, ერთ ჯგუფს წარმოადგენენ; როგორც ვხედავთ მსგავსება დიდია ქვეყნების სისტემაში და ატომთა მოლეკულაში (ჩვენ შემდეგ ვნახავთ, რო ატომებიც მოძრაობენ მოლეკულაში). ამ გვარ მზგავსების მიხედვით თითქოს შეიძლება ითქვას, რო ატომების ერთად შეერთება იმისაგან ხდება, რომ ატომებსაც ერთმანერთის მიმზიდველობა სცოდნიათ ქვეყნებსავით. რამდენიმე ქვეყნის შეჯგუფვა სისტემას აჩენს და რამდენიმე ატომის შე-

ერთება—მოლეკულას; ერთი და მეორეც მატერიის საერთო თვისებისაგან წარმოდგება—მიმზიდველობისაგან; მატერიას დიდ-პატარაობა არ გააჩნია,—ყველგან და ყოველთვის თავისი მთავარი თვისება სჭირს—მიმზიდველობა.

ატომთა მაერთებელი მიზეზის ამ გვარი ახსნა ძლიერ მოხერხებული იქნებოდა, ჭკვასთან ახლოს რომ იყოს. რომ ატომებმაც ერთმანერთის მიზიდვა იციან ქვეყნებსავით, ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ საქმე ისაა, რო ატომებს ორიოდე სხვა თვისებაცა სჭირთ, რომლის ახსნა მიმზიდველობით ყოვლად შეუძლებელია. რამდენი სწავლული გამოჩენილა და დიდი სამსახური გაუწევია მეცნიერებისათვის ჩვენ საუკუნეში და ვერც ერთმა ვერ შესძლო ამ ატომების მაერთებელი მიზეზის გამოცნობა, ისე რომ ეს ორიოდე თვისებაც ამ მიზეზიდამ დაესკვნა, როგორც მისი შედეგი. ქვეყნიერების ტრიალი და მათი სისტემებათ შეჯგუფვა ნიუტონმა ახსნა მიმზიდველობით; ატომთა მაერთებელი თვისება და მათი შეჯგუფვა მოლეკულებში ჯერ აუხსნელია; ჯერ არ გამოსჩენია ამ მოვლენას თავისი ნიუტონი. იმედი, რაღა თქმა უნდა, დიდია, რო ამასაც ადრე თუ გვიან მიუხვდებიან,—ან რა დაუდგება წინ მეცნიერებას?

შევუდგეთ ახლა იმის ახსნას, თუ რაა ის თვისება, რომელიც გზაში ელობება ატომთა მაერთებელ თვისების და ქვეყნების მიმზიდველობის მიმსგავსებას. ამ წერილის თავში ჩვენ ავხსენით, რასა ჰქვიან მაგარი, მადნარი და გაზი. მეტად საინტერესო რამაა ამ სამი ყოფის სწავლა, როგორც შემდეგში ვნახავთ, და მათის ბუნების გამომძიებელ მეცნიერებმაც დიდათ გაითქვეს სახელი. აქ საჭიროა მხოლოდ მოვიგონოთ, რო მარტივი და რთული საგნები ხან მაგრებია, მან მადნარები და ხანაც გაზები, და ეს მატერიის სამ გვარი ყოფა მეტ და ნაკლებ სიცხოველეზეა დამოკიდებული. წარმოვიდგინოთ, რო წინ

გვიდგა ორი მოზდილი შუშა გაზებით ავსილი: ერთში მჟავდანია და მეორეში წყალდანი. გარედამ შეხედვით ეს შუშები ცალიერები გვეგონება, რადგან ეს ორი გაზი ჰაერსავით უფერულია. ვსთქვათ, ბუნებას ჩვენთვის ისეთი კარგი თვალი მოუცია, რო ატომების ხილვაც კი შეგვიძლიან; მაშინ, ვითომც-და ცალიერ შუშებს, მრავალ მილიონ ატომებით სავსეებს ვნახავთ. ეს ატომები უძრავად კი არ არიან შიგ, არამედ გაცხარებულ ფუტკრებსავით დაფრინავენ და ხ'შირად ერთმანერთს და შუშის კედლებს ეხლებიან.

ა. კვერკველაძე.

(შემდეგი იქნება).

ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჭერეთისა *).

(დასასრული).

განცვიფრებაში მოვდივარ, თავბრუ მეხვევა, როცა ერთის მხრით წარმოვიდგენ სომეხთ მხნეობას და მეცადინეობას თავიანთ ეროვნების გაძლიერების საქმეში, მეორეს მხრით ქართველთა დაუდევრობას. ქართველები იშორებენ თავიდგან, ხელს უქნევენ იმათაც, ვინც ქართველნი არიან ჩამამავლობით, ქართველად იცნობენ თავიანთ თავს და მეცადინეობენ შემოერთებას. ინგილოებს—ლეკებს ეძახიან, ვართაშენელ ქართველებს—უცხო ტომის ხალხად რაცხვენ, გამუსულმანებულ მესხებს თათრებად და თითქმის არ იკარებენ ახლოს. ამ გვარის ქცევით ქართველებმა უკვე დაკარგეთ მაზრები: ახალ-ქალაქისა, ახალ-ციხისა, მთლად სამცხე-საათაბაგო, ნუხისა და აღტაშ-არეშის მაზრები. ნუხის მაზრაში ამ ჟამად მხოლოდ ერთად-ერთი სოფელი ვართაშენია, რომელიც აღიარებს თავის თავს ქართველად და მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნის, მაგრამ ჩვენ 'იმი-

*) იხ. «მოგზაური» № 1 და 2, 1903 წ.

სთვისაც ვერ მოგვიყვლია. სომხები მათ სარწმუნოებაზე გადასულ უდების შვილებს აკეთებენ საშშობლო ენას და ასწავლიან სომხურს, ხოლო ქართველები კი სრულიად არ მეცადინეობენ ქართველთ უდების შვილებმა ქართული ენა შეისწავლიან და წირვა-ლოცვა ქართულს ენაზე ჰქონდეთ. აი რასა სწერს ამის თაობაზე პატივცემული უფროსი ნუხის მაზრისა შკოლის ჟურნალში: „1899 года Апрѣля 5 дня. Церковно-приходская школа въ сел. Варташенѣ, основанная просвѣщенной заботливостью священника Аполлона Иваницкаго въ 1894 году,—сегодня, при посѣщеніи мною, произвела на меня самое отрадное впечатлѣніе. Учащихся сегодня было 25; изъ нихъ 15 православные, а 10 армяно-григорянъ. Дѣти прекрасно усвоили русскую разговорную рѣчь и письменность: даютъ толковые отвѣты на предлагаемые имъ вопросы нетолько по предметамъ ими усвоеннымъ, но и на вопросы внѣ сферы учебниковъ.— Такое состояніе юной церковной Варташенской школы нужно всецѣло отнести къ энергической дѣятельности священника Аполлона Иваницкаго, его истинной любви къ святому дѣлу обученія горсти бѣдныхъ дѣтей православныхъ жителей сел. Варташенъ, заброшенныхъ среди иновѣрцевъ и утратившихъ родной грузинскій языкъ (видоизмѣнившійся въ удинскій, состоящій изъ смѣси разныхъ нарѣчій). Съ удовольствіемъ отмѣчая отличные успѣхи дѣтей, не могу также не отмѣтить, что родители учениковъ, православные удины, обратились ко мнѣ съ просьбою о введеніи въ школѣ преподаванія грузинскаго языка и грузинской грамоты, совмѣстно съ русскимъ языкомъ, а также богослу-

женіи на грузинскомъ языкѣ". ამას ჩვენც დაგუმატებთ: უეჭველად საჭიროა შეტანილ იქმნას შკოლის პროგრამმაში სწავლება ქართულის ენისა, რომ გაძლიერდეს ამ მხარეს ქრისტიანობა და აღდგენილ იქმნას გიშელ-ქურმუხელთ საეპისკოპოზო კათედრა.

სოფ. ვართაშნიდგან რომ გახვიდეთ და გაიაროთ აღმოსავლეთისაკენ 15 ვერსი, დაგიხვდებათ სოფლები: ძველი «ხალხალი», ყიშლაგ-ხალხალი, არმენაკი, ხაჩმაზი და მდინარე ტეურიან ჩაი. ხალხალი უწინ ქართველთა ქალაქი ყოფილა, მაგრამ მოხვოლების დროს აოხრებულა. ახლაც ეტყობა ნანგრევები მისი შენობებისა. ის მდებარებს კავკასიის ქედის ძირს—ხეობაში. ახლანდელი მკვიდრებლები არიან თათრები; უწინ ყოფილან ქართველები. ამას იქით ქართველებს მიწა წყალი აღარ ჰქონიათ. აქ თავდებოდა ქართველთ „ჭერეთი" და იწყებოდა «ალბანია»-და არა სომხეთი. ასრე სწერენ სომეხთ ისტორიკოსები ელიშე და კალანკატვაცი, და აგრეთვე ქართლის ცხოვრება (იხ. ელიშე გვ. 124 და კალანკატვაცი და ქართ-ცხოვ. გვ. 86) როგორც სწერენ იგივე მეისტორიე სომეხნი. ამ მიჯნაზე ჰქონიათ ალბანელთ მეფეთ დიდი ციხე კავკასიის მთის სერზე და შიგ საზამთრო სასახლე. იგი ჩვენ ვნახეთ 1894 წელს. მისი მეიდანი შიგნით იქნება ერთი დღიური მიწა. ძალიან მოხერხებულს ალაგას არის აშენებული. სიმაღლე აქვს სამი საჟენი და ძირში პატარ-პატარა ხვრელები. ჰქონია დიდი ალაყაფის კარებიც და შიგ შენობებიც. სასახლე ყოფილა მიდგმული ზედ ციხის კედელზე ჩრდილოეთის მხარეს. როგორც ეტყობა შიგვე ჰქონია წყლის აუზი, გამოყვანილი მილებით სასახლეში ზემოდამ (კავკასიის მთებიდგან) სერზე. მის გვერდზე, სასახლის ქვეშ, როგორც მითხრეს ჩემმა მგზავრმა, თათრებმა, ჰქონია სასახლეს საგანძური და ისეთი, როგორიც მე მინახავს (იმერეთს) გეგუთის ციხეში.

ციხე აღმოსავლეთ-სამხრეთიდამ მიუდგომელია, რადგან ფრიალო კლდეა. გზა ჰქონია ხალხალის მხრიდამ (დასავლეთ-ჩრდილოეთიდამ). თათრები ციხეს ეძახიან «გურქ-ყალა»-ს ანუ „ყიზ-ყალა"-ს, და ამბობენ, რომ ქართველებს აუშენებიათო. აღმოსავლეთ-სამხრეთის კედელში მასა აქვს ფანჯარაც. ისეა კედელში ის გაკეთებული და დამალული, რომ კაცი ჯერ კედელში უნდა შეძვრეს, მერე გაყოს თავი და გადაიხედოს ველ-მინდვრებისაკენ. ვგონებ, ის ყოფილა გაკეთებული მტრის საძვერავად. აქედგან მშვენიერად მოჩანს ყაბალას მაალი (районъ). ხოლო ყაბალა არის მის გასწვრივ ცივ-გომბორის სერის (кряжъ) ძირში, საიდგანაც ტურიან-ჩა გადის არეშ-ალაშის მაზრაში.

ახლა გავყვეთ ჩვენც ტურიან-ჩაის მიმდინარეობას და გავიდეთ არეშ-ალტაშის მაზრაში, ცივ-გომბორის მთის სამხრეთ მხარეს. ალტაშ-არეშის მაზრა მდებარებს მტკვრის მარცხენა კიდეზე. იმას ისეთივე სიგრძე აქვს, როგორც ნუხის მაზრას. აღმოსავლეთის მხარეს იმის მიჯნას შეადგენს შემახიის მიწა-წყალი, დასავლეთ მხარეს ზაქათალის ოლქი და სიღნაღის მაზრა, მახლობლად სალიანისა, საცა ალაზანი და იორი ერთვიან ერთმანერთს და საცა ყოფილა აშენებული ქალაქი ჰერეთი. ეს მხარე მთლად ნაკუწ-ნაკუწად არის ნაქცევი უტყეო და ტიტველა მთებით, რომელნიც მთელს მაზრას ხეობებად ანაწილებენ. მონგოლების მოსვლამდე ის მთლად ქართველი ხალხით იყო დასახლებული. ჩვენ უკვე ვსთქვით ზემოთ, რომ არეში მე-XII საუკუნეში თავადის კოლონკელიძის სამფლობელოს შეადგენდაო. ახლა აქ ქართველობა სრულიად აღარ არის. იქ სახლობენ თათრები, მონგელთ ჯილაგისა, და ნადირ-შაისაგან მე-XVIII საუკ. გადმოსახლებული სომხები, რომელთაგან შომეტებული ნაწილი „ხოიები" არიან. აღარ არის აქ არც ძველებური ნაშთები

ეკლესიებისა. ყოველივე ძირიანად მინგრეულ-მონგრეულია, მაგრამ ხალხი მაინც უჩვენებს, საცა ისინი ყოფილა. კარგად არის მხოლოდ დარჩენილი სასაფლავოები, რომლებზედაც, როგორც მითხეს, დიდ-დიდი ქვები აწყვია რიღაც წარწერით და რომელნიც ელიან არხეოლოგიურს გამოკვლევას.

არეში და ალტაში ორი დიდი ხეობაა. ესენი განიყოფებიან ერთის დიდის მთის სერით.

არეში მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარებს მდინარის გაყოლებით; ხოლო ალტაშის ხეობა მიკრულია ცივ-გომბორის მთის სერზე და ორივენი მიჰყვებიან მთის სიგრძეს შემახიის მაზრამდე. ორივე ხეობები ირწყვიან ორის მდინარით: ტურიან-ჩაით და ელჯიგანჩაით, რომელნიც გამომდინარებენ კავკასიის მთებიდგან: მათ ერთვიან წვრილ-წვრილი მდინარეები, ლიდდებიან, მიმდინარებენ ნუხის მაზრის სიგანეზე, მერე არღვევენ ცივ-გომბორის მთას და გამოდიან არეშ-ალტაშის მაზრაში. გარდა ამ წყლებისა უწინ არეშსა ჰქონია გამოყვანილი ალაზნიდამ კიდევ რუ სარწყავად. არხის კალაპოტი ახლაც თურმე ეტყობა, მაგრამ გაფუჭებულა და წყალი აღარ მომდინარეობს. ამ რამდენიმე წლის წინათ, როგორც მიამბეს, მემამულეს შოლკოვნიკოვს სდომებია თავის მამულებისა და აქაური მინდვრების მოსარწყავად ალაზნის არხის გაწახლება, მაგრამ სიკვდილს უსწრია მისთვის და კეთილი განზრახვა მისი დარჩენილა შეუსრულებელი.

1900 წელს, ივნისის 21, სიგრძე-სიგანეზე გადავლახე ალტაშის მაალი. ვნახე სამაზრო ქალაქი ალტაშიც. იქა სცხოვრებენ თათრები, ამისათვის ჭუჭყიანია და არეულ-დარეული ვიწრო და მრუდე ქუჩები აქვს. მცხოვრებლები ვაჭრობენ აბრეშუმითა და ბამბით. ერთიცა და მეორეც ყველა მცხოვრებლებს მაზრისას მოჰყავთ. ჩემს იქ ყოფნაში მშვენიერი ბამბის ყორულები ჰქონდათ სო-

ფლელებს, და ერთგულად მარგლიდნენ კაცნი და დედაკაცნი. მცხოვრებლები არიან თათრები. აქა-იქ სომეხთ სოფლებიც ურევია, მაგრამ ისინი არ განირჩევიან თათართა სოფლებისაგან, და არც ეკლესიები მოჩანან. ყველანი ღარიბნი არიან. მაგრამ ისინი უფრო მხნეობას იჩენენ, ვიდრე თათრები: ისინი ყიდულობენ თათართა ბეგთაგან მიწებს და მამულებს იკეთებენ. ამ საქმეს ისინი ეხლა შესდგომიან. ზოგიერთს ნასყიდი მიწა-წყალი კიდევაც შემოულობავს და აპირებს სარგებლობას და მუნ დასახლებას.

აღტა'შით ჩვენ გავათავეთ ჰერეთის შესანიშნავი სოფლებისა და ადგილების აღწერა. მაგრამ ჩვენი მიმოხილვა არ არის სრული: რაც ვიცით, ყოველივე ვერ მოვათავსეთ ჩვენს წერილში. ამისათვის, რაც აქამდე გვითქვამს ჰერეთზე, იმას კიდევ წავუმატებთ შემდეგსა: აღმოსავლეთ-სამხრეთის მხარე ჰერეთისა გეოგრაფიულად განიყოფება სამ ნაწილად- **ზემო გელა** შაქისა, **შუა გელი** აღტაშ-არე'შისა და **ქვემო გელი** მტკვრის მარცხენა მხრისა. პირველი არის გაგრძელება ალაზნის ველისა. ის იწყება იქიდგან, საცა აგრი-ჩაი შეერთვის ალაზანს. აქედგან ალაზანი ჩაუბრუნდება სამხრეთისაკენ, გასცდება ხუთ ვერსს და მიადგება ნუხის მაზრას. ამ ზემო ველს ჰერეთისას სიგრძე აქვს 100-დე ვერსი, და მიიწევს აღმოსავლეთისაკენ და მიებჯინება შირვანს. უფრო დიდი სიგანე აქვს იმას ბაშ-გოინუქის გასწვრივ 20 ვერსამდე. ეს ველი ირწყვის პატარ-პატარა მდინარეებით. უეჭველია, რომ უწინდელ დროში ველი მთლად დაფარული ყოფილა ტყით, მეტადრე აღმოსავლეთის მხარეს, იქ, საცა ყოფილა ქალაქი ყაბალა. დასავლეთ და სამხრეთ მხარეს ეს ველი შეკრულია **ბოზ-დაღით**, რომელიც აქეთ წამოზიდულა კახეთიდამ, საცა მას ჰქვიან **ცაგ-გომბორის** მთა. **შუა გელი** აღტაშ-არე'შისა იწყობა ალაზნის პირი-

დგან, საცა მინდორი აჟინაურია და საცა იორი ერთვის ალაზანს. ეს ველი თანაბრად მისდევს პარალელურად პირველს და თითქმის ერთი და იგივე სიგრძე აქვთ. ჩრდილოეთის მხრით ის მიებჯინება ცივ-გომბორის სუკს ანუ ბოზ-დაღს, ხოლო სამხრეთით აყუდებული აქვს მთა, წოდებული **ალდაბ**. ადგილ-ადგილ სიგანე აქვს 15 ვერსი. აქ სრულიად არ მოიპოვება ტყეები. თუმცა მრავლად მოიპოვებიან მდინარენი, მაგრამ ისინი მიმდინარებენ ისეთს ღრმა ხევებში, რომ რამდენიმე ალაგას შეიძლება მხოლოდ მათი ხმარება. ამისათვის ეს ველი ფრიად მცირედ არის დასახლებული. ცხვრისა და ძროხის შესანახად კი ზამთრობით ძლიერ უხვად იძლევა საკვებს. ამ ველზე ინახავენ ზამთრობით ლეკები და ინგილოები ცხვრის ფარებსა, ძროხის ნახირებს და ცხენების ჯოგებს. **ქგემო გელა** მტკვრის მარცხენა მხრივ იწყება კასპიის ზღვიდამ. აქ ის ვიწროა, ხოლო დასავლეთისაკენ განიერია. მისი სიგრძე-სიგანე თავდება მდ. მტკვრით, რომელიც სილნაღის მაზრასა და ამ ველს მიჯნას უდებს. ნუხის მაზრას ამ ველიდგან ეკუთვნის მხოლოდ მარცხენა ნაწილი მდ. მტკვრისა და იწყება ალაზნის მტკვართან შესართავიდგან 100 ვერსის სიგრძეზე აღმოსავლეთისაკენ. იგი შემოზღუდულია სამხრეთ-დასავლეთის მხრიდგან აღდაბ მთების სუკით. აქვეა **მასუაჩეურის** მინდორი, საცა სრულიად არ მოიპოვება დასალევი წყალი, და თუ სადმე მოიპოვება, ისიც მლაშეა. ამბობენ, ვითომც ამ მინგაჩეურის მინდორზე გაევლოს რომაელთ მხედართმთავარს პომპეის, როცა ის ალბანელებთან საომრად მიდიოდა. მაგრამ ეს აზრი არა არს მართალ. პომპეი წამოვიდა ივრის ხეობით და გადმოვიდა მტკვრის მარცხენა მხარეს იქ, საცა ალაზანი ერევა მტკვარს. აქედგან შემობრუნდა ჩრდილოეთისაკენ, მოვიდა იმ ქართველთ ქალაქში, რომელსაც ხირსა ერქვა და მდებარებდა ალა-

ზანისა და აგრი-ჩაის მახლობლად. აქედგან შევიდა შა-კიხის მაზრაში (ნუხის) და წავიდა აღმოსავლეთისაკენ, და ვართაშნისა და ყაბალას მიდამოებში ასტეხა ბრძოლა ალბანელებთან, ესე იგე ჰერეთ-კახელებთან.

ხსენებულ ხირსა ქალაქის დასავლეთ მხარეს, მდ. ალაზნის მარჯვნივ, არის იორის ხეობა. აქ მონგოლების დროს, მე-XIII საუკუნეში, დიდ-ძალი ქართველი ხალხი სცხოვრებდა. მძლავრმა მონგოლთა ნოინებმა ყველა სოფლები ქართველთა გაავერანეს, გაანადგურეს, მოშალეს და ასრე დაფუშეს აქ ქართველთა ცხოვრება. „ესრეთ იწყეს რბევად, ტყვენვად, ხოცად და სვლად კამბეჩოვანისა (ქიზიყისა) და „**იორის ბირთა**"; ბერქამ მოაოხრა ქვეყანა ჰერეთი და ყოველი „**იორის ბირა**" (იხ. ქ-ცხოვ. გვ. 355 და 400). ამ დროიდგან ვიდრე 1729 წლამდე იორის ხეობა უმკვიდრო იყო. ხოლო 1734 წელს დასახლდნენ ეხლანდელი იორის ხეობის თათართა წინაპარნი. „იყო უნდილაძე დავით განჯის ბეგლარ-ბეგი, ესე ერთგულ და ნამსახურევ იყო შაა-ბაზისა, არამედ შაჰ-სეფიმ მიზეზითა ცუდითა შეიპყრა ძმა მისი და მოჰკლა ივი და ძეთა მისთა აღმოჰხადა თვალნი; შეშინდა ესე დავით და მოვიდა თეიმურაზისა-თანა სპითა და დედა-წულითა ყაჯრისათა; ხოლო თეიმურაზ შეიწყნარა და დაასადგურა **იორისა ბირსა** ზედა (იხ. ქ-ცხოვ. გვ. 121. ნაწ. I).

მონგოლებმა, ბერქას დროს ააოხრეს შიგნით კახეთში, ალაზნის მარჯვენა მხარეს, მილლარის მინდორში, შირაქის მთის ძირას დაფენილი სოფლები. ისინი იყვნენ აღყავებულნი თამარ მეფის დროიდგან. თუმცა ეს ადგილი ძალიან გვალვიანია, მაგრამ თამარ მეფეს ჰქონდა აქ გამოყვანილი ალაზნიდგან არხით წყალი, რომლის სათაური იწყებოდა ალვანიდგან, და ამისა გამო აქ ქართველთა ცხოვრება დულდა და გადმოდიოდა. მაგრამ

მონგოლებმა ყოველივე ამოიჟამეს. „მოვიდა არღუნ, რათა აღთვალოს ქვეყანა, აღთვალა და სცნა, რამეთუ უმრავლესი მოოხრებულ იყო, და უმეტეს ჰერეთი და კახეთი: რამეთუ კამბეჩის ვაკენი (მილლარის მინდორი) მოოხრებული იყო გამოსვლასა მას თათართასა, ოდეს გამოვიდა ყაინი დიდი ბერქა“ (იხ. ქ-ცხოვ. ნაწ. I, გვ. 413). ამავე მონგოლებმა იწყეს რბევა, ოხრება საქართველოსი დარუბანდის აღმომართ და აიკლეს ჰერეთის უდიდესი ქალაქი ყაბალა (იხ. ქ-ცხოვ. ნაწ. I, გვ. 359); ხოლო ლენგ-თემურმა სრულიად გაანადგურა და მოსპო იგი (იხ. ქ-ცხოვ. ნაწ. I, გვ. 455 და 457).

აწ ქართველთა ერის ცხოვრება იწყება ზაქათალის ოლქიდგან. უწინ საქართველოს მიწა-წყალი კასპიის ზღვამდე იყო. აქა სცხოვრებდენ ქართველები ზღვის პირას და ეწოდებოდათ ‹კასპი›. აქედგან არიან გადმოსახლებულნი უხსოვარ დროიდგან ქართლში მცხოვრები გლეხები კასპელები. ასრე ამბობენ ისტორიის მკვლევარნი მეცნიერნი. ამას უარს არა ჰყოფენ საქართველოს მატიანების მწერალნიც. იმათ აზრით ივერიელთ ქვეყანა იყო მთლად ის მიწა-წყალი, რომელიც მდებარებს მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს და კავკასიის მთებს შუა. მას ეძახიან ჰერეთ-კახეთს. ასე ყოფილა მე-IV საუკუნის დასასრულამდე. ხოლო სპარსეთის მეფის საპორის დროს დერბენდის კარები დაიპყრეს სპარსელებმა და მათმა მეფეებმა დერბენდში და ბაქოს გუბერნიებში დაასახლეს დიდძალი სპარსელობა. ქართველობა შეთხელდა და უკან დაიწია ხალხალამდე, რომელსაც სომეხი ეღიშე, საქართველოს მიჯნად ჰხადის. ამის მერმე მოსულა ჰერეთ-კახეთში მძლავრი ქასრე მე-II ამბარუეზი, სპარსეთის მეფის შვილი. იმას დაუპყრია ჰერეთ-კახეთი. საქართველოც მაშინ უმეფოდ ყოფილა. უპატრონო ქვეყანას უცხოელი ქასრე დაჰპატრონებია საქართველოს აღმოსავლეთ ქვეყნებს, და

აღარ სდომებია, რომ მეფეღა ჰყოლოდათ აქაურ ქართველებს. მას მოუწვევია ადგილობრივი მებატონეები და უბრძანებია: ნუღარ გინდათ მეფეო, იცხოვრეთ ყველამ თავთავისათვის, იყავით მხოლოდ მორჩილი სპარსეთის მეფისა და ხარკიც იმას მიეცითო. „მეფემან სპარსთამან, სწერს ქ-ცხოვ., მისცა ძესა თვისსა რანი (განჯა-ყარაბაღი) და მოვაკანი (ჰერეთი) და მოვიდა და დაჯდა ბარდამს (განჯის მახლობლად), დაუწყო ზრახვად ქართლისს ერის-თავთა, აღუთქვა კეთილი დიდი, და დაუწერა საერისთოთა მათთა მამულები შვილითი-შვილად, და ესრეთ წარიბირნა ლიქნით. და განდგეს ერის-თავნი თვისთვისად, ხარკსა მისცემდეს ქასრე ამბარვეზს (იხ. გვ. 161). ამ დროს ქასრე მე-II ამბარვეზმა დააარსა საყაენოები: თაბასარანისა, დარუბანდისა და შირვანისა. მაშინ ქართველობა სრულიად მოისპო ხსენებულ სამფლობელოებში. ის შეიკუმშა ნუხისა და აღტაშ-არეშის მაზრებში. მაგრამ მე-XIII და მე-XIV საუკუნოებში ქართველებმა დასტოვეს აღტაშ-არეშის მაზრაც და გადმოსახლდნენ ნუხის მაზრაში. მათ მიწა-წყალზე მონგოლები დასახლდნენ, დამკვიდრდნენ და გაძლიერდნენ. მონგოლების ბატონობა რომ გათავდა, ახლა სპარსელები გაძლიერდნენ. ისინი დაუძინებელ მტრად შეიქმნენ საქრისტიანო საქართველოსი და აღარ მოასვენეს. იქამდე ეომნენ ქართველთ და იმძლავრეს, რომ მე-XVI საუკუნეში დაიპყრეს (1551 წელს) შაჰ-თამაზის წინამძღოლობით და დააარსეს ნუხის სახანო. მაშინ აქ მყოფმა ქართველებმაც უკან დაიწიეს კახეთისაკენ და დასტოვეს აღწერილნი სოფლები და ეკლესიები, რომლებშიაც დასახლდნენ თათრები და ყიზილბაშები. მე-XVIII საუკუნეში აქ გადმოასახლა შაჰ-ნადირმა სომხებიცა, რომელთაც დაიჭირეს ქართველთ ეკლესიები და ეპატრონებიან დანაშთენთაც, და თანაც ამტკიცებენ, რომ ნუხის მაზრა არმენიის შუა-

გულიაო. არ ვედავები მათ, თუ დაუთმობენ. ჩვენ ისიც გვეყოფა, რომ ჰერეთიდგან ორი მაზრა შევირჩინეთ: სიღნაღის მაზრა და ზაქათალის ოლქი.

ჰერეთის ერთი ნაწილი ასრე ამ სახით მტერთ რო-დაიპყრეს სამუდამოდ კახეთის მეფემ გიორგი 1-მა 1471—1492 წლებს შუა მოსპო სახელი ჰერეთისა და საერისთოები მთელს სამეფოში და დასხნა **მოურავნი** დიდთა და მცირეთა ადგილთა: მოურაები ქიზიყისა, ელისენისა, წუქეთისა, დიდოეთისა, თიანეთისა, ჭიაურისა, შიდა-ყვარელისა, მარტყოფისა, გრემისა, პანკისისა და სხვ. და განჰყო სამეფო ოთხ სადარაჯოდ.

ანგიდო ჯანაშვილი.

მრეწველობის წარმომადგენი

იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი.

(ქართული შაქრის ქარხნის დაარსების ამბავი).

ქართველთ წარჩინებულ ლექსიკოგრაფების თქმით, სიტყვა «შაქარი» ქართული არ არის. ამას ასევე ხსნის საბა ორბელიანი. ამის თქმით შაქარი ინდოური სიტვვა არის და იგი ქართულად ნიშნავს „**შეკანებულ თაფლს**". ამას ასე მოიხსენებს: «**შაქარი ინდოურის ენით თაფლი შეკანებული**».

ქართველები შაქარს ძველის დროიდგან მოიხსენებენ; სჩანს, ეს სიტყვა ინდოეთიდგან ძველადგანვე შემოსულა და გავრცელებულა. ცხადია, რომ ასეთის სიტყვების საშუალებით აშკარად გამოსჩნდება ის გარემოებაც, რომ ინდოელებს ქართველებზედ ძველადგანვე ჰქონიათ გავლენა. ეს რომ ასე იქმნებოდა, ამას ეჭვიარ უნდა, რადგანაც ქართველებს მართლაც და დიდი დაახლოვება გვქონდა აღმოსავლეთის მუსულმანის თუ სხვა სარწმუნოების მექონ ერებთან. და ჭეშმარიტებით ვიცით, რომ ქრისტეს სარწმუნოებაზედ ბევრად უწინარეს ქართველებს ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონიათ სპარსელებთან, ინდოე-

ლებთან, ავღანელებთან და აბაშელებთან. ამ გარემოებას უძველეს დროდამ ცხადათ ასაბუთებს ვახტანგ გორგასლანის საქმე, რომელმაც მთელს აზიაში გაილაშქრა, თვით ინდოსტანს და აბაშეთშიაც იყო და იქიდამ მან საქართველოში პირველად შემოიტანა აბრეშუმის თესლი, მკურნალობა და სხვაც მრავალნი ამ გვარნი.

ქართველების ხსენებულ ზაისთან დაახლოვება მეტად ძველია, ქართველთ მათი გეოგრაფიული მდგომარეობა კარგად ჰქონდათ შესწავლილი, ამიტომ ხშირად ომიც კი ჰქონდათ ხოლმე მათთან, ამას ასაბუთებს თვით XVIII საუკუნის ქართველთ მგოსანი დავით გურამიშვილი ასე:

„სამხრეთით ატყდა ოსმალო
ალმოსავლეთით აფლანი“ და სხვანი. ქართველთ ხსენებულ ერთან ბრძოლა ყოველთვის ჰქონიათ, თვით ხიფათშიც კი იყვნენ ძველად მეომარ ქართველნი და თვით ამათგანვეა დაფუძნებული **ახალი თქა**. ამის გარეშე, ინდოეთს, მისირს, არაბეთს, სპარსეთს და ჩინეთს თითქმის ყველა ძველს ქართულს ნათარგმნს, თუ ორსგინალურს ნაწერებშიაც მოიხსენებენ. ისე ძველს რამე ნაწერს ვერ ნახავთ, რომ იქ ხსენებულ ერთა შესახებ რამე ცნობები არ იყოს მოხსენებული. ასევეა მოხსენებული შაქარი რუსთველის, შავთელის და ჩახრუხაძის ნაწერებში, და ვინ იცის რამდენ კიდევ სხვა ძველს წიგნებში. ყველგან შაქარი მოიხსენება ქება-დიდებით. აქედამაც კარგად სჩანს, რომ ქართველებს შაქრის ხმარება და მისი ვითარება ძველადგანვე უნდა სცოდნიყოთ, თითქმის იმ დროდამ, როცა შაქარი იქმნა პირველად შემოღებული. სიტყვა შაქარი გავრცელებული იყო მთელს ქართველობაში განურჩევლად წოდების, წრის და გვარიშვილობის. შაქრის ხმარება იცოდა როგორც მეფემ, თავადმა, აზნა-

ურმა და მათმა ჯალაბობამ, ისევე გლეხმა და მისმა სახლობამაც.

ევროპაში შაქრის ხსენება იქმნება ახალი საქმე იყოს, ვინ იცის, ამაზედ ჩვენ კაბათს არ დავიწყებთ. ჩვენში კი იგი უხსოვარის დროდგან სჩანს და ამ უხსოვრობას ცხადათ ასაბუთებენ თვით ქართველთ ძველი „კარაბადინებიც“. მაგალითებრ, X და XI საუკუნოებში შაქარი მოხსენებულია ჯანაოს ექიმის „კარაბადიმში“, რომელი «კარაბადინიც» ქართულს ენაზედ თარგმნილია IX საუკუნის დასასრულს, ანუ X საუკუნის დამდეგს. მოხსენებულია აგრეთვე შარიე ზადეს „კარაბადინში“, რომელიც სპარსულის ენიდამ არის ნათარგმნი და რომელ წიგნსაც სპარსულს ენაზედ «მუნთა ნაფი შია» ეწოდება. ამ ძველს „კარაბადინებს“ გარდა, ქართულს ენაზედ არის მესამე უძველესი «კარაბადინიც», მაგალითებრ, ვიღაც ხოჯა ყოფილის, რომელსაც ეს «კარაბადინი» სპარსულის ენიდამ ქართულს ენაზედ XII საუკუნეში უთარგმნია, ანუ თამარ მეფის დროს. ამ «კარაბადინის» ისტორია ასეთია: როცა ნუქარდინ სულთანი თამარ მეფის ლაშქარმა გააქცია, მაშინ თათრის ტყვეებთან ეს „კარაბადინიც“ უშოვნიათ. შემდგომ ამისა, თამარ მეფის თხოვნით ვინმე ხოჯა ყოფილს სპარსულის ენიდამ ქართულს ენაზედ უთარგმნია. თვით მთარგმნელის მოხსენებაც მოწმობს ამას ასე, რომ მე ხოჯა ყოფილს მებრძანა ქართულს ენაზედ ამ «კარაბადინის» თარგმნაო.

როგორც ერთს „კარაბადინში“, ისე მეორეში, მესამეში და სხვებშიაც შაქარი იმ სახით არის მოხსენებული, რომ მის ავ-კარგიანობა, მარგებლობა თუ ურგებლობა ქართველებს საკმარისად კარგად უნდა სცოდნოდათ. არის ისეთი ცნობანიც, რაის საშუალებითაც ჩვენ ვტყობულობთ, რომ ქართველებს ძველადგანვე თვით შაქრის შემზადების ოსტატობაც უნდა სცოდნოდათ. ამ გა-

რემოებას ცხადათ აჭეშმარიტებს ისიც, რომ საქართველოში ქართველნი შაქარს არა მარტო წამლებში ხმარობდნენ მკურნალობის მხრით, არამედ შაქარი იხმარებოდა საჭმელებშიაც და თვით ს. ორბელიანის ლექსიკონის სიტყვით, ქართველნი ძველად შაქრის პურებსაც კი აცხობდნენ, ანუ დღეინდელის სიტყვით რომ ვსთქვათ შაქრის პურებს, კრენდილებს, პიროჟნს და სხვანი. ასეთ პურების მცხობლად, ანუ კანდიტრებად, საქართველოში, ქართველ მეფეების დროს, ყოველთვის ყოფილან ამის ხელოსნები და მათ სავაჭრო დუქნები და შაქრის პურების საცხობიც კი ჰქონიათ. ასეთ ოსტატთა რიცხვი ყოველთვის ყოფილა და იგინი თავიანთ ხელობისთვის მუდამ შოულობდნენ შაქარს. არის ცნობები დაშთენილი, რომ ესეთი ოსტატები ხელობას ყოველთვის სპარსეთის ქალაქებში სწავლობდნენ, ანუ ოსმალეთისკენ. ქართველთ გარდა, ტფილისში, შაქრის პურის მკეთებელთ შორის, ქართველთ გარდა სპარსნიც მოიპოვებოდნენ, ასეთი სპარსელთ კანდიტრები, ანუ შაქრის პურის მკეთებელნი სპარსნი დღესაც სცხოვრებენ ტფილისში.

XVIII საუკუნის ნახევარს, რაც საქართველოში, ქართველთ შორის, კათოლიკის სარწმუნოებამ გავრცელება იწყო, მას შემდეგ, უნდა ითქვას, რომ აზიურის ანუ ქართულის შაქრის პურის მცხობთა რიცხვს ევროპის მცხობთა რიცხვიც მიემატა. ამ დამატების გარემოებას დიდათ ხელს უწყობდა კათოლიკეთ მღვდელთა, ანუ პატრების სიმრავლე. უპირველესად თვით პატრები ასწავლიდნენ თავიანთ კათოლიკე მრევლთა შვილებს ევროპიული ბულკების და შაქრის კრენდილების ცხობას. ნელ-ნელა პატრების საშუალებით, ტფილისის ქართველ კათოლიკე შვილებთაგან ბულკის მცხობნიც გაჩნდნენ. ასე რომ ევროპის მებულკეთა მსგავსად ქართველთაგან ტფილისში მეთვრამეტე საუკუნეში უკვე გაჩენილ იყვნენ.

და მათ სიმრავლეს ნელ-ნელა წარმატებაც ეტყობოდა. ქართულ თუ ევროპიულ შაქრის მეპურეთა მეოხებით ტფილისში უფრო გავრცელდა შაქრის ხმარება. ქართულის სამეფოს დავთრებიდგან კარგად სჩანს, რომ XVIII საუკუნის გასვლამდე, ტფილისში რამდენიმე შაქრის პურის მყიდავ მცხობთ დუქნებიც ყოფილა და ზოგი მეპურენი სამეფო სახლისთვისაც კი აცხობდენნ შაქრის ბლითებს, ქადებს, ნაზუქებს და სხვა ამ გვარებს.

ასე თუ ისე, დიდათ თუ მცირეთ, საშუალ საუკუნოების შემდეგ, საქართველოში შაქრის ხმარება საკმარისად გავრცელდა და ტფილისში თითქმის ყოველს მეწვრიმლის დუქანში ნახავდით შაქარს. მეწვრიმლებს იგი შემოჰქონდათ სპარსეთიდგან, ახალციხიდამ და რუსეთიდამაც. სპარსეთიდგან ხშირათ სხვა და სხვა სოვდაგრებსაც მოჰქონდათ და ჰყიდდნენ. შაქრის საჭიროებას ქართველთ შორის ყავის ხმარებაც ამრავლებდა. საქართველოში ქართველებმა ყავის ხმარება ძველადგანვე იცოდნენ; ყავა შემოჰქონდათ სპარსეთიდამ და ოსმალეთიდგან, ყავას ხმაროობდნენ ქართველები განურჩევლად წოდების. ყავის ხარშვა უშაქროთაც იცოდნენ და შაქრითაც. ტფილისში ყავახანებიც იყო. ყავახანებს გირდა სხვა და სხვა დუქნებშიაც ხარშავდნენ, სადაც რასაკვირველია შაქარიც იხმარებოდა. ყავის ხმარება ქართველებში XVII საუკუნიდამ უფრო გავრცელდა და ამის გავრცელებამ შაქარსაც მისცა დიდი საჭიროება და ბაზარი.

ამ გარემოებას კვალად დაეხმარა XVIII საუკუნის ნახევარს, ქართველთ შორის ჩაის ხმარების შემოტანა და გავრცელებამაც. ბევრნი ამბობენ, რომ ვითომც ქართველებმა ჩაის სმა არ იცოდნენო. საქართველოში ჩაის ხმარება რუსეთთან დაკავშირების შესდეგ შემოვიდაო. ეს არ არის მართალი. საქართველოში ჩაის ხმარება მანამდისაც იცოდნენ, ამას ცხადათ ამტკიცებენ სხვა და სხვა

ძველი ცნობები და ქართველთ მეფეთ და თავადთ ქალების მზითვის წერილებიც, სადაც მზითვის სიაში მოხსენებულია ყავადანი, ჩაიდანი და სხვა მისი ჭურჭელი. გარდა ამისა ჩვენ ისიც ვიცით, რომ 1780 წლებში, მეფე ერეკლეს რამდენიმე სამოვარი და მისი ჭურჭელი რუსეთიდამ ეკატირინა იმპერატრიცამ გამოუგზავნა. მეფის სახლში სამოვრის დადგმა გახდა სამაგალითო და მის შემდეგ იგი სხვა დიდებულებშიც მოიფინა. ასე და ამ გვარად, ჩაი და მისი ხმარება ქართველთ ადრიდგანვე იცოდნენ, ხოლო XIX საუკუნის შემდეგიდამ კი, იგი წარმატებით გავრცელებას მიეცა და 1820 წლებში ტფილისში ოთხსავ კუთხივ მოიფინა ჩაის ხმარება და სმა. ტფილისში ამისთვის დაიხსნა საჩაიე დუქნები, სადაც ჩაის ჰილი და მიხაკ-დარიჩინით ამზადებდნენ, მას ყველგან კარგი გასავალიც ჰქონდა.

პირველ ხანებში მეჩაიებად ყაზანის თათრები იყვნენ და რუსები, ამათ გავრცელებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ საქართველოში 1820 წლებში, გაჩნდნენ მეეტლენი, ანუ მედროშკენი, რომელნიც ამ საჩაიებში დაიარებოდნენ და ჩაის სვამდნენ. უნდა ითქვას, რომ მაშინდელ მეეტლეთა ნაწილიც სულ ყაზანის თათრებთაგან შესდგებოდა. მერე, ნელ-ნელა მეჩაიეთ რუსის მალაკნებიც ჩნდებოდნენ, ყველა ამაებმა საქართველოში შაქრის მრავლად შემოტანა დიდ საჭიროდ გახადეს. შაქარი ყველა კუთხეს და ოჯახში იყო საჭირო და ნამეტურ თავადიშვილებსა და მოქალაქეებში. შაქრის შემოტანა კი მაშინ ისე სჭირდა და ისე ძნელი იყო, რომ მაშინ ტფილისში შაქარი გირვანქა 60 კაპ. იყიდებოდა. ამ გარემოებამ მაშინ ბევრი ქართველი ვაჭარი და მრეწველი დააფიქრა, ბევრს მრეწველს აღეძრა შაქრის ქარხნის დაარსების ნატვრა, საქართველოში შაქრის კეთება. ამ ნატვრას ხელს უწყობდა ისიც, რომ ქართველთ მუ-

რაბების კეთება შაქრით იწყეს, ძველად კი ყველა მურაბებს თაფლით აკეთებდნენ და უკანასკნელ კი ეს დასტოვეს და შაქრით დაიწყეს კეთება. დღეს ხომ მთელს საქართველოში შაქრით აკეთებენ ყველა ნაირ მურაბებს.

ერთი ასეთ პირთაგანი არის იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი, პაპა აწინდელის ჩვენის მამულის შვილის და მეცენატის სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილისა. იაკობმა შაქრის ვითარება და ქართველთ შორის საჭიროება ადრიდგანვე იცოდა, ამიტომ იგი ყოველთვის ნატრობდა ტფილისში შაქრის ქარხანა გახსნილიყო და შაქარიც ეკეთებინათ ეს გარემოება და ნატვრა თითქმის მალამოსაებრ მოევლინა იმ გარემოებას, რომ საქართველოში შაქრის ქარხანა გახსნილიყო, შაქარს სწოდებოდა ქართული შაქარი. ამ აზრის განსახორციელებლად იაკობ ივანეს ძემ ტფილისის მოქალაქებში აქა-იქ საუბარი დაიწყო, ბევრს ასმინა შაქრის მნიშვნელობა, მასთან მისი საჭიროებაც, რადგანაც რაც მშვიდობიანი დრო მიდიოდა, მით ქართველთ შორის, ჩაისა, ყავის და შაქრიან პურებს გარდა შაქარი დიდათ საჭირო ხდებოდა თვით ქორწილებშიაც. ძველად, ქართველთ და სომეხთ ჰალავას კურთხევა შაქრით იცოდნენ, ხოლო შაქარი კი მცირე ჰქონდათ, თითო ნაჭერი. ასევე მიცვალებულის წლის წირვაზედაც ჰქონდათ წესად მიღებული შაქრის ხმარება. უკანასკნელ დროს, შაქარი უმეტესად სპარსეთიდგან შემოჰქონდათ, შაქარი ზოგი სპარსული იყო, ზოგი ინდოური და ინგლისური. მაგრამ ქართველთ არა ჰყოფნიდათ. ამ გარემოებამ უფრო წაახალისა როგორც იაკობ ზუბალოვი, ისევე მისი ამხანაგები და თანამგრძნობელნი. მათ მალე დაიწყეს თათბირი შაქრის ქარხნის გაკეთების შესახებ. ნატვრას მალე მიეცა განხორციელება. იაკობ ზობალოვის მეთაურობით მალე მიერთვა თხოვნა იმ დროის საქართველოს მთავარ-მართებელს. მთავარ-მარ-

თებელმა სანაქებოთ მიიღო ეს თხოვნა, ისურვა მეთაურთა გაცნობა, და უკანასკნელ ვინც კი აღმოჩნდა მის მომსაზრებლათ, ანუ დამაარსებლათ, მას ჯეროვანი პატივიც აგო და ხარისხითაც წინ წასწია. იაკობ ივანეს ძე ცნობილ იქმნა როგორც ენერგიით აღვსილი მრეწველი, სხვა და სხვა სამრეწველოთა საქმის საკმარისად მცნობი.

შაქრის ქარხნის გახსნის ამბავი საქართველოშიაც მალე მოიფინა, ერთი თვის განმავლობაში, მთელმა ტფილისის მცხოვრებთ შეიტყეს, რომ ტფილისში შაქრის ქარხანა იხსნებაო. ძლივს გვეღირსება ნატვრის შესრულება, რადგანაც საქართველოში შაქრის ქარხნის გახსნის საჭიროება თითქმის 1770 წლიდამ ისმოდა. როგორც ზემოთაც ვსთქვით, პირველად შაქრის ქარხნის გახსნის ნატვრა ქართველთ შორის მაშინ დაიბადა, როცა მეფე ერეკლემ ინდოეთის ქალაქ მადრასში მდიდარ სომეხს იაკობ შახტიმიანს ტფილისიდამ კაცი გაუგზავნა და ინგლისის მთავრობასთან საქართველოს შველას, ანუ დახმარებას ავალებდა. მეფის თხოვნა ინგლისის მთავრობამ შეიწყნარა და თვით მდიდარი შახრიმიანიც საქართველოში მოდიოდა და თან 10,000 ინდოელებიც მოჰყვანდა, რომელთაც საქართველოში შაქრის ლერწამი უნდა მოეყვანათ მერე შაქრის ქარხანაც გაეხსნათ. ამ ქარხანას გარდა სხვა და სხვა ნივთით ქარხნებიც უნდა დაემართათ. მაგრამ ეს ნატვრა ვერ შესრულდა, თუმცა 28 წლის განმავლობაში ინგლისის მთავრობასთან მეფე ერეკლეს მიწერ-მოწერაც ჰქონდა გამართული. უკანასკნელად დესპანად საქართველოდამ ინდოეთში გაგზავნილ იყო ქართველი კათოლიკე, რაფიელ დაინბეგოვი, რომელიც ინდოეთიდამ საქართველოში 1799 წ. დაბრუნდა, ე. ი. იმ დროს, როცა მეფე ერეკლე მიცვლილ იყო უკვე. ამ გარემოებამ დაუდო საზღვარი განძრახვას

და ყოველივე შრომა დაშთა ამაოდ. აღნიშნულ დროის ნატვრის ერთ მუხლის, ანუ სახელდობრ შაქრის ქარხნის გახსნის საქმეს განხორციელება მიეცა მხოლოდ 1835 წლებში, რომლის მეთაურათაც, როგორც ვსთქვით, იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი ითვლება.

ამბობდნენ ძველად მოხუცებულნი, „რომ ქართველთ მეფეების დრეს, საქართველოში ყინვარ შაქარსაც აკეთებდნენო. ყინვარი შაქარი ქართველთ მოსრის დიდს მოთხოვნილებაში იყოვო, მას წამლათაც ხმარობდენო, ნამეტურ ხველისთვის და ეს გარემოებაც იწვევდა ყინვარი შაქრის მრავლად კეთებასაო.

როგორათაც იაკობ ზუბალოვი უპირველეს მეთაურად სჩანს არყის ქარხნის დაარსების ასპარეზზედ, ესევე სჩანს პურის მალაზიის გახსნის, სხვა და სხვა სანოვაგეთა, ნივთებთა და საქონლის შემოტანის და მათთან კვალად შაქრის ქარხნის გახსნის ასპარეზზედაც, რაც ქართველთ წინაშე საკმარის მნიშვნელოვანათ უნდა ჩაითვალოს. ჩვენს დროში, შეიძლება ქართველის კაცისაგან შაქრის ქარხნის გახსნის საქმე დიდი არაფერი იყოს, მაგრამ 1830 წლების კვალად კი, იგი ჩვენის ქართველის კაცისაგან და ისიც საქართველოში გაკეთებული კი დიდ საქმედ მიგვაჩნია და მას ჩვენის მრეწველობის აღორძინების ისტორიაში საკმარისი ადგილიც დაეთმობა, მას მკვლევარი გამოუჩნდება. მიზეზი ამისი ცხადია, რადგანაც ეს შაქარი საქართველოში, ქართველთაგან „ქართულ შაქრათ“ იქმნა წოდებული.

ქარხული შაქრის ქარხანა გაიხსნა 1835 წ. ვერაზედ, დღეს რომ სამხედრო სამართველოა, სწორეთ იმ ალიგეს; შეიტანა გააკეთეს ფართო და რუსული შაქრის ქარხნების გეგმაზედ. შაქადი კეთდებოდა იმოდენა, რომ იგი მთელს საქართველოს ერს საკმარისად ჰყოფნიდა და და მის გარეშე სხვა ქვეყნებშიაც გაჰქონდათ. წელიწად-

ში გამოდიოდა 55 ათასი ფუთი თავიანი შაქრების, თითო თავი მოდიოდა 5—6—7 გირვანქა. გირვანქა იყიდებოდა 15—ხან 20 კაპ. შაქრის თავები შეხვეული იყო ადგილობრივ გაკეთებულს ლურჯს სქელს ქაღალდში. შაქარს ფერი ჰქონდა მოყვითალო, იყო მეტად ტკბილი და მასთან საკმარისად დუნეც, დღევანდელ ინგლისურს შაქარს ძრიელ წააგავდა, როგორც ფერით, ისევე ზომით და სიტკბო-სიდუნითაც.

ამ შაქარს კაცი ყველა მეწვრილმის დუქანში ნახავდა, ყველა სავაჭროში. არ მოიძებნებოდა ქალაქში ისეთი სავაჭრო, რომ იქ ქართული შაქარი არ ჰქონოდათ გასაყიდათ. მუშტარი საცა კი მივიდოდა და იკითხავდა ამ შაქარს, უსათუოთ უნდა ეთქვა, ,,ქართული შაქარიო''. უამისოდ არ შეიძლებოდა, რადგანაც ეს შაქარი ქართველთ გარდა სხვა ტომის წინაშეც ისევე იყო მიღებული და ყველა „ქართულ შაქარს“ უწოდებდა. ქართულ შაქართან ერთათ რუსეთის და ინგლისის შაქარსაც ჰქონდა გასავალი. ქართული შაქრის სიუხვემ საქართველოში, ქართველთ შორის საერთოდ დაბადა თავი შაქრების ხმარება, ჰალავი მოირთო წყვილის თავის შაქრით და ასევე სხვა ტაბლებიც. ქართულმა შაქარმა ძრიელ გააადვილა ქართველებში ჩაის სმა. მოკლეს დროის განმავლობაში, არ დარჩა სადმე კუთხე, რომ იქ ქართულ შაქარს არ მიეღწია. ქართულ შაქრის სახელწოდების გავრცელებას დიდათ ხელს უწყობდა იაკობ ზუბალაშვილის მოქმედება და ლტოლვა, ამის ამხანაგები კი ისეთი ყალიბის იყვნენ, რომელნიც ქართულ შაქრის სახელ-წოდებას ადვილათ ვერ აიტანდნენ. მაგრამ იგინი ვერას აწყობდნენ და იაკობ ზუბალოვის საამართლიერის განსაჭვრეტათ ყველგან ქართული შაქრის ხსენება ვრცელდებოდა და ფეხს იდგავდა.

შაქრის ქარხნის ოსტატები რუსეთიდგან მოუყვანი-

ათ, ზოგნი მათში უცხონიც ყოფილან, დანარჩენი მუშები კი მთლათ ადგილობრივ, ანუ ტფილისის მცხოვრებთაგანნი ყოფილან. ქარხანაში მუშაობდა 50 კაცზედ მეტი პირველ წელიწადს. შემდეგ შაქრის გამოყვანა ერთი ორათ გამრავლდა, რადგანაც საქართველოში მებულკე და კანდიტრებიც გამრავლდნენ და მათთვის შაქარიც დიდს საჭიროებას შეადგენდა. რაც ხანი გადიოდა მით შაქრის ბაზარიც ჩაღდებოდა და ამ გაჩაღებას ისიც ეხმარებოდა, რომ ხშირად შეეძლოთ მეწვრიმლებს, ანუ ვაჭრებს შაქრის ქარხნიდამ ნისიათაც აძლევდნენ. თუმცა ქართული შაქრის საქმე ასე მიდიოდა, მაგრამ მაინც მასაც აქა-იქიდამ რუსეთის შაქრის გაჯიბრებაც ეევლინებოდა. ამ გარემოებას საკმარისი მნიშვნელობა უნდა მიეცეს, რადგანაც მომავალში მან დიდი ზეგავლენა იქონია და უკანასკნელ თითქმის ქართული შაქრის ქარხანას ბოლოც მოუღო, დაიხურა საყოველთაოდ.

ვერის შენობაში ქართული შაქრის ქარხანა რამდენსამე ხანს დარჩენილა, რამდენ წელს, ამის ცნობა არა სჩანს, ის კი ვიცით, რომ ვერიდამ კუკიაში გადუტანიათ, მტკვრის პირას, ისარლოვის მამულში, სადაც დღეს ტფილისის დოსტაქართა სკოლა არის. ამ ქარხნის შენობა დღევანდლამდისაც არის დაშთენილი. კუკიაში შაქრის ქარხანა რამდენსამე ხანს დაშთენილა და უკანასკნელ რუსეთის შაქრის შემოტანა ისე გამრავლებულა და შაქარი ისე გაიაფებულა, რომ ქართულ შაქარს ვერ შესძლებია დაშთენა და ქარხანა თვისდა უნებურათ დაკეტილა. ამ საამწუხარო მოსავალს ის გარემოებაც უფრო უწყობდა ხელს, რომ რუსული შაქარი ქართულს შაქარზედ უფრო მაკარი იყო, ქართველები ჩაის სმის დროს მაგარ შაქარს საჭიროებდენ, რადგანაც ჩაის დამტვრეულის შაქრით სვამდნენ, წინეთ კი ეს ასე არ იყო და საქართველოში ჩა-

ის ჭიქაში ჩაგდებულის შაქრით სვამდენ, ამისთვის კი ქართული დუნე შაქარი უფრო უხდება ჩაის, ვინემ მაგარი. შემდეგ კი ეს ასე აღარ იქმნა, რადგანაც კულანდებურათ აღარ სმიდენ ქართველნი შაქარ-ჩაგდებულ ჩაის.

შაქრის ქარხნის არსებობის საქმე დღეს ჩვენში მთლათ მიმქრალია, მის მომსწრე კაცთა ნახვა ერთობ იშვიათია. რაც შეეხება ამ ქარხნის მომუშავეთა საქმეებსაც, ესეც საზღაპროა თითქმის, მის არსებობის დროის ხელოსნების და მუშების ფასის და ვითარების ჩვენ არაფერი ვიცით. საკვირველია მეტად, რომ იმ დროის, ხელოსანთა და მუშა ია საქმე ასე მიეფარა, ასე დაიკარგა. რაც შეეხება თვით ქართული შაქრის არსებობას იგი კი თითქმის 1870 წლებამდის იხილვებოდა ტფილისის ვაჭრებში. უკანასკნელ წლებს ანუ დახურვის წინეთ, ქარხანაში თურმე იმდენი შაქარი გამოიყვანეს, ისე ბევრი, რომ შაქარმა გასტანა იმდენი ხანი, რომ თვით ჩვენს დრომდისაც მოაღწია. ქართული შაქარი ბოლოს მაინც სრულიად მოისპო, მაგრამ არ მოისპო თვით მისი სახელწოდება და ქართველნი დღემდეც კი ინგლისურ შაქარს ქართულ შაქარს უწოდებდნენ. პატარაობის დროს, როცა შაქრის საყიდლათ გამგზავნიდნენ, თვით მეც კი ასე მეტყოდნენ ხოლმე სახლში, რომ ქართული შაქარი იყიდეო. ეს ქართული შაქარი იყო ინგლისური შაქარი, რომელიც დღესაც იხმარება საქართველოში.

ჩვენი მრეწველობის ისტორია ამ საქმის მეთაურებს ოდესმე შესაფერ ადგილს დაუთმობს და თუ სადმე ერთი და ორი პირი აიწერება, იქ იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილიც გამოსჩნდება, რომლის მოქმედებასა და შრომასთან მტკიცეთ არის შეკავშირებული ამ ქართული შაქრის ქარხნის დაარსების და არსებობის ისტორია. ამიტომ აქ ჩვენ იაკობ ზუბალაშვილის ცნობებზედ არა ვსთქვით რა, ავნუსხეთ მხოლოდ ქართული შაქრის ქარ-

ხნის ამბავი და ამ ანუსხვიდამ, რაღა ფიქრი უნდა, რომ იაკობ ზუბალაშვილის შრომის ცნობებიც გამოსჩნდება. მეტად საინტერესო კი იქმნება, როჩ ჩვენის ქვეყნის ასეთ თუ ისეთ საქმეთა დაწყების ცნობები შეკრებილ იქმნეს და ბეჭდვით ანუსხულ. მეტად სამწუხაროა, რომ ასეთ საქმეებთა და მთელის ტფილისის ძველ მრეწველთ თუ ვაჭართ მოქალაქეთა ცხოვრების და მოქმედების ცნობები ასე უწყალოთ იკარგება და ისპობა საყოველთაოდ. რიგი კია, რომ ყურადღება მიექცეს. ბევრი ასეთი ძვირფასი საქმენი და ცნობები გამოსჩნდება ჩვენს წარსულს ცხოვრებაში.

ფ. ჭ.

ბიბლიოგრაფია.

კახეთის რკინის გზა

და

ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა.

ამეთანხმები, მკითხველო, რომ მწერლობა იმის მწერლობაა, რომ ყველგან და ყველაფერში მარად წინ უძღოდეს საზოგადოებას, მარად პირველი იტყოდეს თავისს აზრს და შეხედულებას ცხოვრების ამა თუ იმ საკითხის შესახებ, და არა უხეირო ჯაგლაგ ცხენსავით უკან მისდევდეს და მისჩანჩალებდეს ცხოვრებას. ასე არ იქცევა ჩვენი მწერლობა. იგი მხოლოდ მას აღნიშნავს და იმაზედ სწერს, რაც უკვე მოიმოქმედა ცხოვრებამ, რაც უკვე შეასრულა ვინმემ. აი მთელი ავლა-დიდება ჩვენის დღევანდელის ბეჩავის მწერლობისა, აი, ნამდვილი, ზედ-გამოჭრილი სურათი ჩვენის ყოველ-დღიურის ბეჭდვითის სიტყვისა!..

მოსალოდნელი იყო, რომ კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმე მცირედაც არის მაინც

ᲒᲐᲛᲝᲥᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲘᲒᲘᲠᲘᲡ ᲐᲜ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ
ᲛᲝᲛᲐᲚᲘ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲚᲘᲚᲘᲧᲝ ᲛᲔᲠᲩᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ
ᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ
ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲛᲘᲒᲘᲠᲘᲡ ᲐᲜ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲩᲣᲚᲘ
ᲓᲐ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ
ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲩᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜ
ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ
ᲛᲔᲠᲩᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ
ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲩᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜ

[illegible]

[illegible]

[illegible]

მაგრამ, რადგანაც ჩვენ დაპირებული ვართ, «ივერიის» ამ წერილის შესახებ ქვემოთ ვილაპარაკოთ, ამიტომ განვაგრძოთ წერილი. დიახ, იმას მოგახსენებდით, რომ მოწინააღმდეგეებმა მთელი დარაზმული წინააღმდეგობა ამართეს კახეთის რკინის გზის მოხსენებული მიმართულების წინააღმდეგ ინჟინერ ანდრონიკაშვილის სახით. 7-ს თებერვალს უკანასკნელმა წაიკითხა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში მოხსენება, რომელშიაც მრავალის ტყუილი და მართალი საბუთებით უმტკიცებდა მრავლად დამსწრე საზოგადოებას, რომ კახეთის რკინის გზამ თიანეთზე კი არა, უთუოდ სართაჭალა-მაჩხაანზე უნდა გაიაროს, საქობოს ჩავიდეს და მხოლოდ აქედგან (რა ჭკვიანია!) წავიდეს კახეთისკენ და სოფელ ახმეტაში თუშ-ფშავ-ხევსურეთის მთებს მიებჯინოსო!..

ფიცი მრწამს, ბოლო მაკვირებსო, ნათქვამია ძველად. დიახ, ფიცი გვწამს, მაგრამ იმას კი ვერ ვიწამებთ, ბ-ნო ანდრონიკაშვილო, რომ ეგ რკინის გზა თქვენ კახეთისთვის არა გინდოდესთ ივრის ხეობისათვის და მაჩხაანისთვის!.. ხოლო, თუ მაინც და მაინც კახეთს ეპოტინებით, ეს მხოლოდ საბუთისთვის, მიზეზისთვის გინდათ, რადგანაც იცით, რომ მარტოოდენ ივრის ხეობას და მაჩხაანს რკინის გზას არავინ აღირსებს...

ანდრონიკაშვილის მოხსენებას და მის-მიერ კახეთის რკინის გზის მრავლად დასაბუთებულ მიმართულებას მრავალი დამსწრეთაგანი წინ აღუდგა და ბევრი კარგი საბუთიც მოიყვანეს იმის დასამტკიცებლად, რომ თიანეთის მიმართულება სჯობია სართაჭალა-მაჩხაანის მიმართულებას, მაგრამ კამათი კამათადვე დარჩებოდა, რომ ი. როსტომაშვილის ერთს მოსაზრებას სრულიად მიწასთან არ გაესწორებინა ბ-ნი ანდრონიკაშვილის და სხვა მისთანა ინჟინერების ყოველი საბუთები. ჩვენ იმდენად საინტერესოთ მიგვაჩნია როსტომაშვილის ეს მოსაზრება, რომ

საჭიროდ ვრაცხთ სავსებით მოვიყვანოთ იგი აქ, მით უმეტეს, რომ ჩვენმა გაზეთებმა ერთი სიტყვითაც არ გაიხსენეს იგი, თუმცა ცხადი იყო ყველასათვის, რომ ანდრონიკაშვილის და მისი კამპანიისაგან მიტანილს იერიშს მხოლოდ და მხოლოდ ამ მოსაზრებამ მოუღო ბოლო. როსტომაშვილმა სთქვა:

,,კახეთის რკინის გზის სართაჭალაზე და მაჩხაანზედ მიმართულების მომხრენი ჯვარს ეცემიან **ტუ-რფა და მდადარ კახეთისათვის**, სწერენ და ამტკიცებენ, რომ **კახეთს** გზა უნდა, რომ კახეთი იღუპება ; ურკინის-გზოდ და სხვ., მაგრამ, მე როგორც ვხედავ, **კარგი** აქ მათთვის მარტო კარგს და ძლიერს დამამტკიცებელს საბუთს შეადგენს იმისას, რომ რკინის გზამ უეჭველად სართაჭალაზედ და მაჩხაანზედ უნდა გაიაროს. რომ ეს მართალია, ამის დასამტკიცებლად ნება მიბოძეთ დაფასთან გავიდე და იქ დაგიხატოთ ის, რასაც ეგენი აძლევენ იმ **კახეთს**, რომლისთვინაც ასეთის თავგამოდებით იღწვიან აქ. (როსტომაშვილი გავიდა დაფასთან და დახატა ზედ ორივე მიმართულების დაბა-ქალაქები, თბილისიდამ დაწყებული ვიდრე სადგურ ევლახამდის).

ანდრონიკაშვილს და მის მომხრეთ გაჰყავთ კახეთის გზა სართაჭალა-მაჩხაანზედ, ვიდრე საქობომდის, ხოლო აქედამ ბაკურციხე-თელავზედ სოფელ ახმეტამდის. მერე? —მერე არსად, ახმეტასთან, როგორც ვიცით, თავდება კახეთის დიდებული ველი და იწყება მთები. დადექ! ეუბნებიან ეგენი რკინის გზას.—ხოლო რას ნიშნავს, რომ უთხრა რკინის გზას: დადექ?—რასა და სიკვდილსა, ბატონებო! ეს ერთია. მეორე.

კახეთის რკინის გზას სახეში აქვს არა მარტო დღევანდელი კახეთი; მას სახეში აქვს ძველი, ისტორიული კახეთიც (ჰერეთის აღმოსავლეთი ნაწილი)—ზაქათლისა

და ნუხის მაზრები. ამიტომ კახეთის რკინის გზამ საქობოდამ, დღეს თუ ხვალ, უეჭველად უნდა განაგრძოს თვისი მსვლელობა, გაიაროს ზაქათალა-ნუხაზედ და მივიდეს ევლახამდის, ე. ი. შეუერთდეს ბაქოს რკინის გზას. რა სურათს მივიღებთ მაშინ, რომ კახეთის რკინის გზა ისე გავიყვანოთ, როგორც სართიჭალაზე მიმართულების მომხრენი ამბობენ? აი რას მივიღებთ: რკინის გზა წაყა თბილისიდამ სართიჭალა-მაჩხაან-საქობო-ზაქათალა-ნუხზედ და შეუერთდება ევლახთან ბაქოს გზას, მაგრამ, ერთი მიბრძანეთ, თვით კახეთს რაღა ბატონებო, რომ **კახეთის** რკინის გზამ ასე გაიაროს?—რა და აი ეს საწყალი ნაჭერიო—საქობოდამ ახმეტამდის, ე. ი. სიკვდილი!.. არა,—სთქვა როსტომაშვილმა: თუ კახეთისთვის ვიღწვით და მისთვის მართლა გული შეგვტკივა, კახეთს ისეთი რკინის გზა უნდა მივცეთ, რომელიც თბილისიდამ პირდაპირ მასზედ გაივლის და მიებჯინება არა მთებს, არამედ წავა საქვეყნო კარისკენ, ე. ი. საქობო-ზაქათალა-ნუხისკენ ვიდრე ევლახამდის. ასეთი გზა კი კახეთის მარტო თიანეთის მიმართულებას ან ცოტათი მის ქვემოთ გაყვანილს გზას შეუძლიან მისცეს და ამიტომ, ბატონებო, უკუ ვაგდოთ ყოველი ქიშპობა-წინააღმდეგობა, შეეერთდეთ და როგორც ერთი კაცი მხარი მივცეთ იმათ, ვისაც ამდენი ლოდინისა და დავი-დარაბის მერე ძლივს-ძლივობით მოუგვარებია კახეთის რკინის გზის პირდაპირ კახეთზედ და არა მაჩხაანზედ გაყვანა, რადგანაც მხოლოდ გზის ამ მიმართულებას შეუძლიან მიანიჭოს **კახეთს** ერთგვარად კარგი კავშირი თბილისზედ დასავლეთ საქართველოსთან, შავ ზღვასთან, სამხრეთ-დასავლეთ რუსეთთან და ევროპასთან, ხოლო ევლახის საშუალებით ბაქოსთან, კასპის ზღვასთან, აღმოსავლეთ რუსეთთან, ციმბირთან და მთელ აზიასთან. აი ასეთი მიმართულების გზა ეჭირება კახეთს და უთუოდ ასეც უნდა გავატაროთ

იკი, თუნდაც რომ ერთი-ორად ძვირად დაჯდეს მისი გაყვანაო".

მოწინააღმდეგენი დამარცხდნენ, მაგრამ მათ კიდევ სცადეს ბედი. ი. ჯ—მა მოახსენა თავმჯდომარეს, რომ საბოლოოდ გადაწყვეტა კახეთის რკინის გზის მიმართულებისა სპეციალურ ტეხნიკურ საზოგადოებას გადავცეთო და მასთან ანდრონიკაშვილის მოხსენებაცაო. დეე იმათ გასაჯონ, იმათ გადაწყვიტონ ეს სადავო საქმეო. ზოგიერთებს არ ეჭაშნიკათ ეს წინადადება, ხოლო როსტომაშვილმა სთქვა: ,,რად უნდა გადვიტანოთ ტეხნიკურ საზოგადოებაში!? ტეხნიკები და ინჟინერები არ იყვნენ, რომ შეცდომაში შეიყვანეს მთელი თავად-აზნაურობა და კახეთის რკინის გზის გაყვანა სადღაც ჩალაუბანზედ განიძრახეს ახმეტამდის, ე. ი. კვლავ მთებს მიაბჯინეს... ინჟინერი არ იყო ბ-ნი რომანოვი, რომელმაც უარ-ჰყო ჩალაუბნის მიმართულება და თვითონ კი გამოძებნა სადღაც უდაბნოში სადგური სოღუთ-ბულაღი და ურჩევდა მთავრობას კახეთის რკინის გზის გაყვანას აქედამ გარეჯის თვალ-უწვდენ უწყლო უდაბნოებზედ ვიდრე საქობომდის და აქედამ კვლავ ახმეტამდის, ე. ი. მთების ძირამდის!.. არა, მე ინჟინერი არა ვარო, მაგრამ ყველა ასეთ ინჟიერ-ტეხნიკებს პროფანებს ვუწოდებო. მე წინააღმდეგი ვარ ამ საქმისა ტეხნიკურ საზოგადოებაში გადატანისაო, ჩვენც კარგათ შეგვიძლიან საქმეს ვრცლად შევხედოთ და ის მიმართულება ვარჩიოთ, რომელიც უფრო მოუხდება მთელს ქვეყანას და არა მხოლოდ რომელიმე დასს თუ კუთხეს ქვეყნისას''...

ჯ-ის წინადადება უარყოფილ იქმნა და თბილისთიანეთის კახეთის რკინის გზის მომხრეებს და კონცესიონერებს ნება დაერთო სამეურნეო საზოგადოების კრებისაგან დაუბრკოლებლად განაგრძონ თვისი მეცადინეო-

ბა ამ მიმართულებით კახეთის რკინის გზის განხორციელებაზედ.

მოწინააღმდეგენი ამითაც არ დაცხრნენ და ახლა გაზეთებს მიმართეს, რომ ამით მაინც რამოდენადმე შეაფერხონ კახეთის რკინის გზის საქმის განხორციელება. მათ დიდს ხანს არ დასჭირდათ ასეთის გაზეთის ძებნა. „მოწინააღმდეგე“ კამპანიას ზედ-მიწევნით შეეფერებოდა «ივერია» და იმათაც ამ გაზეთში გამოჭიმეს ის მეთაური წერილი, რომელზედაც გაკვრით ზემოთ მოგახსენეთ. წერილი მართალია „მეთაურია“, მაგრამ ისეთივე წყალ-წყალა, როგორც მთელი მოხსენება-შრომა მოწინააღმოეგე დასისა. ეტყობა გაზეთი ღრმად დარწმუნებულია, რომ თავისი უსაბუთო ძახილით—«ჩვენ კვლავაც ვეცდებით ყოველი ღონის-ძიება ვიხმაროთ, რომ როგორმე ავაცდინოთ ჩვენი ქართველობა საშინელს განსაცდელს»,—მთელს ქართველობას მაშინვე თავისკენ გადიბირებს, მაგრამ სცდება. მისმა მეთაურმა სამწუხარო ლიმილის მეტი მკითხველზედ სხვა არავითარი გავლენა არ იქონია და კახეთის რკინის გზის საზოგადოება უკვე აწყობს თვისს საქმეებს. მაგრამ მაინც სჯობია დალაგებით დავარღვიოთ „ივერიის“ მეთაურის ღალადებანი და ამიტომ ცოტაოდენ მოთმინებას კიდევა ვსთხოვთ მკითხველს.

პირველი. „ივერია“ ჰგოდებს, რომ საქმის მოთავენი სთხოვენ კახეთის მემამულეთ $2^1/_2$ მილ. მანეთს სააქციონერო თანხის შესადგენადო.—სცდებით, ბატონებო. $2^1/_2$ მილიონ მანეთს კი არა, მარტო ამისი ნახევარი, ე. ი. 1,200,000 მანეთია საჭირო საქმის დასაწყობად და განსახორციელებლად, ხოლო აქედამაც, ნახევრის, ე. ი. 600,000 მანეთისა, კახელებს დაურიგდებათ საზოგადოების აქციები იმ მამულების დათმობისათვის, რომელიც საჭირო იქნება რკინის გზის ლიანდაგისათვის (ამ მამუ-

ლების დათმობას კახელები მუქთადაც მზათ იყვნენ). ასე რომ კახელებმა მარტო დანარჩენი 600,000 მანეთის აქციები უნდა გაანაღდონ, რაიცა არავითარს სიძნელეს არ წარმოადგენს ამათთვის იმ ღონის-ძიებით, რომელსაც საზოგადოების დაარსების მომხრენი უჩვენებენ, ე. ი. მამულების ბანკში გადაგირავებით, გარდა იმისა, რომ საუფლის-წულო უწყება და ბევრი ჩვენი შეძლებული ქართველობა კარგა დიდძალ აქციებს შეიძენენ. ·ეხადზე ცხადია, რომ მამულის მეპატრონენი მოხსენებული გადაგირავებით სრულიად არასფერს ჰკარგავენ, რადგანაც ამ გადაგირავებით მათს მამულს ყოველ დესეტინაზედ, მართალია, ხუთიოდე მანეთი ვალი წაემატება, მაგრამ ისიც იანგარიშეთ, თქვე დალოცვილებო, ახლა რამდენად ფასში აიწევს ამ რკინის გზის გაყვანით ეს დაგირავებული მამულები!? მერწმუნეთ, რომ ბევრს მამულს ხუთი მანეთი კი არა, რატომ 50 და ასი მანეთიც არ წაემატება ფასში!.. მეტს ვიტყვით: ვინ იქნება ისეთი ჭკვამოკლე, რომ იმის მამულისკენ რკინის გზას აკეთებდნენ და დესეტინა მამულზედ ხუთი მანეთი არ გამოიღოს, რომ თითონაც მონაწილე შეიქმნეს ამ დიადს საქმეში!? ხუთს მანეთს კი არა, ბარემ ხუთს თუმანსაც დიდის სიამოვნებით გავიღებ დესეტინაზედ, ოღონდ ჩემის მამულისკენ გაიყვანონ რკინის გზა,—ასე იტყვის, იმედია, ყველა!.. ახლა იანგარიშეთ მამულების მეპატრონეთაგან რკინის გზით სარგებლობა საქონლის გადაზიდვით თუ წასვლა-მოსვლით და მიბრძანეთ, რას აგებს მეპატრონე იმით, რომ საზოგადოების დაარსების მეთაურებმა მისი მამული ბანკში გადააგირაონ და იქიდამ გამოტანილი ფულით მამულის მეპატრონეთ კახეთის რკინის გზის საზოგადოების აქციები გადასცეს, ე. ი. გახადონ იგიც რკინის გზის პატრონად, მზრუნველად, რადგანაც გზა მართლაც და იმის საკუთრებას უნდა შეა-

დგენდეს, ვის მამულზედაც და ვისი მამულებისთვინაც გაჰყავთ იგი...

მეორე. გაზეთს არ სჯერა, რომ კახეთის რკინის გზის საზოგადოებამ გაანაღდოს თვისს-მიერ გამოცემული 9½ მილიონი მანეთის ობლიგაციები.—აიღეთ, ბატონებო, რომელი გაზეთიც გნებავთ და ამოიკითხავთ, რომ ობლიგაციები ყველა კერძო რკინის გზებისა მარად მეტი ღირს თავისს ნამდვილ ფასზედ. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ კახეთის რკინის გზის ობლიგაციებიც ნამდვილზედ მეტი ეღირებიან და ამიტომ არა თუ 9½ მილიონ მანეთის ობლიგაციებს სულ მცირე ხანში გაანაღდებს ეს საზოგადოება, არამედ ოცი მილიონისაც რომ იყოს, წინ არაფერი დაუდგება, რომ, მაგ., საქობოდამ ამავე გზის გაგრძელებისათვის ზაქათალა-ნუხით ევლახამდე ანუ კურდამირამდე ობლიგაციები გამოსცეს. ერთი სიტყვით, რომელი მხრიდამაც გინდათ მოუარეთ საქმეს და, როგორც ეს ვრცლათ განმარტებულია თვით კახეთის რკინის გზის საზოგადოების განსამარტებელ წერილში, კახეთის რკინის გზის გაყვანა თიანეთზედ თუ მისგან ცოტა ქვემოთ იმდენად სასარგებლო და სარფაა ყოველი მისი წევრისათვის და მთელი ქვეყნისათვის, რომ ჩვენ წინათვე დარწმუნებულნი ვართ, რომ არც ერთი კახელი და მისი კეთილის-მყოფელი უკან არ დადგება და ყოველი საშუალებით ხელს მოუმართავს ამ სასიქადულო საქმის მოხსენებული წეს-რიგით განხორციელებას და არა ,,ივერიასავით'' ხელს შეუშლის მას...

რაც შეეხება ამ საქმის მომწყობის ლამარკის სასაცილოდ აგდებას, ესეც უსამართლობად მიგვაჩნია. როდესაც ვინმე რასმე აღმოაჩენს, რაში გვეკითხება აღმომჩენის პირადობა! ჩვენთვის საჭირო და საინტერესოა თვით აღმოჩენა, როგორი და რამდენად სასარგებლოა იგი ჩვენთვის და ამ შემთხვევაშიაც ვფიქრობთ, რომ ჩვენც

თყით ლამარკის აზრი უნდა გვაინტერესებდეს, რომლითაც ფიქრობს იგი კახეთის რკინის გზის განხორციელებას და არა სასაცილოდ ვიგდებდეთ მას...

„ივერია“ ცდილობს დაამტკიცოს, რომ თბილისსართიჭალის მიმართულება სჯობია თბილის-თიანეთის მიმართულებას, მაგრამ ვისთვის სჯობია ეს მიმართულება, **კახეთისთვის** თუ **აღრის-ხეობისთვის**, ამაზედ კი ბრძნად ხმას იკმენდავს. არა, ბატონებო! ტურფა და დიდებული კახეთისთვის სარფაა მარტო ერთად-ერთი—პირდაპირი მიმართულება, ე. ი. თბილის-თიანეთისა, ანუ თუ არ დაგვიშლია—თბილის-ახალ-სოფლის მიმართულება *), რადგანაც მარტო ასეთი მიმართულების გზა გას-

---

*) ამ უკანასკნელს მიმართულებას რჩეობდა განსვენებული რაფაელ ერისთავი და არც ჩვენა ვართ მისი წინააღმდეგი, რადგანაც იგიც: ა) თბილის-თიანეთის მიმართულების მსგავსად, მთელს სიგრძეზედ სჭრის კახეთს და მიდის საქვეყნო კარისკენ (ევლახისკენ) და არა მთების ძირისკენ (ახმეთისკენ); ბ) გაცილებით მოკლე მანძილით აერთებს თბილისს კახეთთან, სულ უკანასკნელი 20—30 ვერსით მაინც და გ) იგი ერთგვარად კარგად უახლოვდებს თბილისს, როგორც თიანეთს, ისე ივრის ხეობის უდიდეს სოფლებს, რადგანაც ამ ვარიანტით, რკინის გზა თბილისიდამ უნდა წავიდეს პირდაპირ მარტყოფზე და ახალ-სოფელზე, აქედამ მივიდეს უჯარმას, რომელიც ვახტანგ გორგასლანის დროს ქალაქი იყო და ახლა კი უბრალო დარიბი სოფელია, და რომელსაც ზედ აკრავს იყრის ხეობის უდიდესი სოფლები: ხაშმი, პატარძეული, სართიჭალა, საგარეჯო და სხვანი; აქედამ წავა ივრის ხეობით თიანეთის ერწოს ველისკენ (სადაც, რაგორც ვიცით, უნდა გაიაროს თბილის-თიანეთის რკინის გზამაც), და გადავა კახეთს არა ახმეტით, არამედ ხოდა-

ჭრის **კახეთს** მთელს მის სიგრძეზედ და, როგორც უკვე ვსთქვით, მარტო ასეთი მიმართულების გზა ერთგვარად კარგათ შეაერთებს მას დასავლეთ-ან და აღმოსავლეთ-თან. რაც უნდა ბევრი საბუთები მოიყვანოთ, რომ სა-რთიჭალა-მაჩხაანისკენ სჯობია კახეთის რკინის გზის გა-ყვანა, ყოველი ამაო იქნება, რადგანაც ამ მიმართულების გზა **ივრის ხეობისა** იქნება და არა **კახეთისა**... მაინც, თუ არ დაგიშლიათ და თავისი გინდათ გაიყვანოთ, ვინ გი-შლით: ილვაწეთ და იშრომეთ, რომ ივრის ხეობასაც მი-ენიჭოს რკინის გზა, მაგრამ კახეთს კი, **ბატონებო**, თავი დაანებეთ, ნუ უშლით, თავისს რკინის გზისა და ამ გზის მიმართულებისა კახეთმა თვითონ იცის. . ერთი სიტყვაც: ანდროხიკაშვილი თავისს მოხსენებაში ურჩევს კახელებს ვიწრო-ლიანდაგიანი რკინის გზის გაყვანას, **მაგრამ უმჯობესია**, როგორც სამართლიანათ სთქვა ეს თელავის მა-ზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა, ბ. ე. ჩ—მა, ასი წელიწადი კიდევ მოვიცადოთო, **მაგრამ ბირდაბირ** განი-ერ-ლიანდაგიან რკინის გზას კი ველირსნეთო... **კანცე-სიონერებს** კი, როგორც ნამდვილათ ვიცით, განიერ-ლიანდაგიანის რკინის გზის გაყვანა აქვთ დავალებული. ესეც ზედ-მეტი უპირატესობა ამათი.

დიზრაელი.

შნის-ხეგით და **გასწევს** **თელავით** **საქობომდის** **და** **აქედამ** **ზაქათალა-ნუხით** **ბაქოს** **რკინის** **გზის** **სადგურ** **კურდამირამდის**. ეს მიმართულება, თუ მას რაიმე დაუძლეველი **ტეხნიკური** **დაბრ-კოლება** არა აქვს, საუკეთესოა ორივე **კახეთისთვის**, ე. ი. ივრისა და **ალაზნის** **ხეობებისთვის** **და** **არც** **თვით** **თიანეთის** **მაზრისათვის** **არის** **იგი** **უსარგებლო**. ამ ვარიანტის წინაშე, გვგონია, ორივე **მხარემ** **თავი** **უნდა** **მოიხსნაროს** **და** **ძმურად** **მხოლოდ** **ამ** **მიმართულებით** **რკინის** **გზის** **გაყვანას** **ეცადოს** **ყოველი** **შესაძლებელი** **საშუალებით**... **რედ.**

საქართველოს საეკლესიო ისტორია.

გაგრძელება *).

მსხვერპლი. ქართველები ძველ დროიდამვე სწირავდნენ ღმერთებს მსხვერპლსა. ვიცით, რომ დასავლეთის ქართველები ქუთაისის ახლოს, მდინარე რიონის ნაპირს, ჩრდილოვანს ჭალაში არეი-მარსის ტაძრის ეზოში მსხვერპლს სწირავდნენ მიწის ღმერთსა დი აგრეთვე **ადგილობრივს ღმერთებსა** და მოიხსენებდნენ წმინდა ღვინით წინაპართა სულებსა. ბერძენთა ზედ-გავლენით ქართველები თაყვანს სცემდნენ მზესა, მთვარესა და ხუთ ვარსკვლავს; ისინი მეფის აზონის ბრძანებით ღმერთებს მსხვერპლად სწირავდნენ თვით ადამიანებსაც კი. ფარნაოზ მეფემ, რომელმაც აზონის ადგილი დაიჭირა საქართველოში, ხალხის გულის მოსაგებად მოსპო ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა და გონივრული წეს-რიგი დაამყარა ქართულს ღვთის-მსახურებაში. ფარნაოზამდის ქართველები ღმერთებს სწირავდნენ ლომაზ ჭაბუკ ვაჟებს და ქალებს. ხალხის უფროსები არ ზოგავდნენ თავის პირ-

*) იხ. „მოგზაური“ № XI და XII. 1902 წ.

მშო შვილებს ღმერთთა პატივსაცემლად. ჩვეულება ბავშვთა შეწირვისა ღმერთთათვის გავრცელებული იყო ფინიკიასა, ბაბილონსა, სირიასა და აგრეთვე სპარსეთში. მეისტორიე ვებერის სიტყვით, ზოროასტრის სჯულის აღმსარებელნი მსხვერპლად სწირავდნენ ხარებსა, ცხენებსა და **შემდეგში თვით ადამიანებსაც**. ფინიკიაში სწირავდნენ მსხვერპლად ღმერთს ბაალს (მოლოქსა) ბავშვებს და ჭაბუკებსა, და როცა მსხვერპლად გაწირული კვნესა-ტირილს დაიწყებდა, ქურუმები სხვა და სხვა სამუსიკო საკრავებს დაუკრავდნენ და მით აქრობდნენ მისი ტირილის და ვაების ხმას. სიდონელს **ასტარტას** (აშერა) სწირავდნენ მსხვერპლად ქალწულებსა. ქურუმები ამ დროს მოდიოდნენ აღტაცებაში, თავის თავს ისახიჩრებდნენ და შოლტს იცემდნენ. „ქართლის-ცხოვრება“ მოწმობს, რომ ქართველები არმაზს, ზადენს, გაცის და გაიმს მსხვერპლად სწირავდნენ თავის შვილებს. მეფე ფარნაოზმა მოსპო ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა და მით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თავის ქვეშევრდომებზე. ამ საკეთილო განკარგულებამ, რომელმაც დაიფარა სიცოცხლე რამდენიმე ათასი უმანკო ბავშვისა, ბუნებრივად, ძალადაუტანებლად შეაყვარა ერს თავისი ბრძენი მეფე და იძულებული ჰყო იგი—მიეღო მისი სარწმუნოებრივი ცვლილებანი. დადგა ახალი ხანა ქართველთა მსხვერპლის შემწირველობისა; მოსპობილ იქმნა ადამიანის მსხვერპლად შეწირვა, მაგრამ არა საზოგადოდ მსხვერპლი: შეგნება თვისი ულმურობისა და ცოდვისა, რომელიც თან დაყოლილი აქვს ადამიანის ბუნებას, და შორდებოდა ქართველსაც და იძულებულს ჰყოფდა მას კვლავ განეგრძო მსხვერპლის შეწირვა ღმერთებისადმი. ფარნაოზის ბრძანებით, ადამიანთა ნაცვლად, ქართველები სწირავდნენ ღმერთებს მსხვერპლად პირუტყვებს, ფრინველებს, მცენარეულობას, სანათს მასალას და ძვირფას

ნივთებსა. მსხვერპლს სწირავდნენ განსაკუთრებულ სამსხვერპლოზე. სამსხვერპლო წარმოადგენდა ოთხკუთხედს შენობას, ქვებისგან შემდგარს,—რომელსაც თავს ჰქონდა გადავლებული კლდეთა ნამსხვრევები. სამსხვერპლოებს შემოავლებდნენ ბოლო დროს ლობესა და ზემოდამ მათ უკეთებდნენ ფარდულს; გარშემო სამსხვერპლოს ზოგჯერ ავლებდნენ გალავანსაც. მაშინ წარმოსდგა სახელწოდება: «საყდარი»... „საყდარი“ ნიშნავს „საყუდარს“, კერპთა მისაყუდებს, მისაყრდნობს; შემდეგში „საყდარი“ აღნიშნავდა სახლსა, ტახტსა, საცხოვრებელს სადგომსა. სამსხვერპლოს აკეთებდნენ საკურთხევლის წინ. იყო საკუთარი სამსხვერპლო უსისხლო მსხვერპლისთვის (ერბო, ხორბალი და სხვ.) სისხლიან მსხვერპლის სამსხვერპლოს ახლოს იდგა დიდი თასი ხელის დასაბანად და მაყალი გაუქრობელი ცეცხლით. ქართველები სწირავდნენ მსხვერპლად დიდს **ქონს და ცვილის სანთლებსა**, რომელთაც დაანთებდნენ არმაზისა და ზადენის კერპთა წინაშე. ამას გარდა სწირავდნენ თეთრს და გრძელს პურებს, რომელთაც „**შოთა**“ ჰქვია. შოთი წარმოსდგა „**შოთანიდან**“ უკანასკნელი სახელი არმაზის ქართული სახელწოდებაა. შოთთანი ნიშნავს ,,მასაზრდოებელს‘‘, «მკვებავს»—ქართველები სწირავდნენ კიდევ მსხვერპლად: თეთრს სასიამოვნო სუნიანს თაფლსა, ხილსა, ღვინოსა (მაჭარსა და ძველს—ზედაშეს, უკანასკნელს ინახავდნენ საკუთარს საზედაშე ქვევრებში), ყვავილებს, მაწონს, რძეს, ნაღებს, ერბოს, ყველს და სხვა... ქურუმები ლოცვას წარმოთქვამდნენ, როდესაც მლოცველები მსხვერპლს მიიტანდნენ საკურთხეველთან. მსხვერპლს სამს ნაწილად ჰყოფდნენ ქურუმები: ერთს ნაწილს თავისთვის იტოვებდნენ, მეორეს—აძლევდნენ ღარიბს მლოცველებს და მესამეს—სნეულებს და პატიმრებს უგზავნიდნენ. ყველა ძვირფასი ნივთები, ოქროსი და ვერცხლისა, რომელსაც მლოცავნი

სწირავდნენ მსხვერპლად, შეადგენდა ბომონთა ხელუხლებელს საკუთრებას და ხმარდებოდა უკანასკნელთა გამშვენიერებას.

ფარნაოზის შემდეგ იშვიათად ხდებოდა ადამიანის მსხვერპლად შეწირვა საქართველოში... ის აღარ შეადგენდა სარწმუნოების უსათუო მოთხოვნილებას... ხანდახან სარწმუნოებრივის მიბრძნილობის (ფანატისმის) ჩაგონებით ხდებოდა ადამიანის მსხვერპლად შეწირვა... სტრაბონის სიტყვით, ალბანიაში (კახეთში) სწირავდნენ მსხვერპლად «ქადაგებსა», იმ პირთ, რომელნიც ჭკუა-შეშეშლილნი იყვნენ. ადამიანის მსხვერპლად შეწირვა საქართველოში საბოლოოდ მოსპო მეფე რევმა (181—213 ქრისტესით), რისთვისაც ისტორიამ მას უწოდა, „**მარტალია**“... ამ მეფის დროს ქრისტიანობა უკვე მოახლოებული იყო საქართველოსთან (კაპპადუკია, პონტი). რევის შემდეგ მოისპო სამუდამოდ ადამიანის მსხვერპლი და, თუ კიდევ მოიხსენება იგი „**წმ. ნინოს ცხოვრების აღწერაში**“—მოიხსენება ისე, როგორც საძაგელი ძველი ჩვეულება, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარმართ—ქართველთა ცხოვრებაში, მოიხსენება იმ მიზნით, რომ ქართველთ შეეძულებინათ ძველი სჯული და მთელის თვისის არსებით დამორჩილებოდნენ სახარების სწავლასა.

კაცის ძჯაბლობა და ადამიანის მსხვერპლად შეწირვა.

ზოგიერთნი ქართველებს მიაწერენ „**კაცის ძჯაბლობას**“. ამის შესახებ ცნობილი ბროსსე აი რა საფუძვლიანს ჰაზრს წარმოსთქვამს *): „მე **მეძნელება** დავიჯე-

*) „ისტორია საქართველოსი“ დ. ბაქრაძისა გვ. 130.

რო, ვითომც იბერიელთ ოდესმე ჩვეულებად ჰქონიყოთ **კაცის მჭამლობა**. კაცის მჭამლობას, ჩვეულებად შეთვისებულს, ძნელად ჰპოულობენ თვით აზიის ტომებში. ამერიკისა და ოკეანიის მცხოვრებნი, რომელთაც, მართალია, ჰქონიათ და აქვსთ ეს ჩვეულება, არიან ველურნი მეომარნი; იმათ არ იციან ბინადრული ცხოვრება, არც იმის საფუძველი, მიწის შემუშავება. ისინი იკვებებიან წყლის ცხოველით და ტყის ნაყოფითა. ამისათვის შესაძლებელია, რომ იმათი პირუტყვის მსგავსი ბუნება და შიმშილი აღძრვენ იმათს გულისწადილსა, როდესაც ისინი ჰხედავენ მტერსა, მიწაზედ გართხმულსა. მაგრამ ადამიანის ჭამა **ნაყოფიერის მიწის მუშაკთ აბურთაგან**, რომელნიც ბერძნების და რომაელების თქმით, მჭიდროდ დაფუძნებულს ტომს შეადგენდნენ, **შესაწყნარებელი საქმე არ არის** და **მე ურ გჭეოფ მას**. მართლა და ჩვენს დროს ადამიანის მსხვერპლად შეწირვის და კაცის მჭამლობის ჩვეულებას მისდევენ ავსტრალიის კუნძულებზე, ამერიკისა და აფრიკის ველურს მცხოვრებლებში, თუმცა ზოგნი იმათგანნი არიან ადგილობრივ დამყარებულნი და ბინადრობენ უხვად მინიჭებულს მხარეებში. ამ საზიზღარი ჩვეულების მიზეზი არის პირუტყვული ბუნება ავსტრალო-ამერიკის ტომნი ისე დაბლა სდგანან გონებით და ზნეობით, იმათთვის კაცის კვლა, მტრის ყელის გამოჭრა ისეთივე საქმეა, როგორც ნადირის დაკვლა. იგინი არც თავიანთს სიცოცხლეს სდებენ ფასსა, არც სხვისას. ამ მდგომარეობაში იყვნენ ისტორიის წინა-დროებში თვით აზიელნი და ევროპიელნი, რომელნიც ახლა გონებისა და ზნეობის წარმატებაში არიან შესულნი. იმათში მაშინ ისეთს სიმხეცეს ვხედავთ, როგორც ახლა ავსტრალო-ამერიკელებში. ასეც უნდა ყოფილიყო. ამას გვიმტკიცებენ საზოგადოდ ბუნების კანონი, ენები, მითოლოგიური და ისტორიული ცნობა. ჰეროდოტეს

თქმით, სკვითები... მსხვერპლად სწირავდნენ მარსსა იმ უცხო ტომთა, რომელნიც იმათ ხელში ჩაუვარდებოდათ. უცხო ტომთავე მსხვერპლად სწირავდნენ ქალწულ ღმერთსა ტავრო—სკვითნი. ეს ჩვეულება ჰქონდათ აგრეთვე ძველს ჩერქეზებს. სტრაბონის სიტყვით, ალბანელნი (კახ-ჰერეთელნი) მსხვერპლად სწირავდნენ დიანას ადამიანსა. ბერძენნი უკლავდნენ დიანა—ღმერთსა ჩჩვილს ყრმებს ორისავე სქესისას. ალამემნონმა განიზრახა თავისი ქალის იფიგენიის მსხვერპლად შეწირვა დიანასისთვის, ეგებ ამ ღმერთმა ქარი აძრასო. თუმცა ეს ცნობები არ გვიჩვენებენ კაცის მჭამლობას, მაგრამ როდესაც ადამიანი ისეთს მხეცურს მდგომარეობაშია, რომ მსხვერპლად შეწირვას თავისის მოყვსისას არ იზიზღებს, მაშინ ის არც კაცის ხორცის ჭამას უარ-ჰყოფს. ზოგიერთნი მწერალნი კაცის მჭამლობას მიაწერენ სკვითებს, ეთიოპელებს, აზიელებს და თვით ბერძნების წინაპართა. **საქართველოში ეს ჩვეულება იქნებოდა ისტორიის წინა დროებში. ის კი არ არის დასაჯერებელი, რომ ჩვენნი წინაპარნი ამ ჩვეულებაზე მდგარიყვნენ ქრისტეს უახლოეს საუკუნოებში. იმ დროს იმათ ისე ჰქონდათ დამყარებული საძოქალაქო წესი, ისეთს ხარისხზე იდგნენ ასინი გონებითაც და ზნეობითაც, რომ ეოგლად შეუძლებელი საქმეა, რომ ამ მხეცურს თვისებას მაშინ ადგილი ჰქონიოს.** მრავალი **იმ ფაქტებთაგანი, რომელიც ჩვენს მატიანეს ისტორიულს დროებში შემოაქვს, უნდა მიგვთვისოთ ისტორიის წინა დროებას. კაცის მსხვერპლზე და მჭამელობაზედაც ეს უნდა ითქვას.** საქართველოში ხშირად ღმერთებს სწირავდნენ მცირეწლოვანს შვილებს, მაგრამ კი არ დაჰკვლიდნენ, არამედ მისცემდნენ მღვდელთა კერპთასა და იგინი აღზრდიდნენ მათ მღვდლად კერპთა ანუ მსახურად ბომონთა მათთა. თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, კაცის მსხვერპლის და კაცის მჭამლობის შესახებ თქმუ-

ლებანი ქართულს მატიანეში შეტანილია **ქრისტიან ძემატიანეთაგან ჯერიელი მაზნით.** იმათ სურდათ, რათა ქართველს ერს შეეძულებია წარმართობა და მტკიცედ დაეცვა სახარების სწავლა *).

რაიც შეეხება ქართველთა კაცის მჭამლობას, იგი შეთხზულ იქმნა შემდეგის მიზეზის გამო. ქართულს მატიანეებში შეტანილია ხალხური თქმულება; „**კარსნელთა მართებსა კოდმანელთა ხუთი მეომარი**“ **). მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს თქმულება სრულიადაც არ უჩვენებს კაცის მჭამლობას საქართველოში. **ჩვენს ჭვრეტით,** ამ თქმულების განმარტება შეიძლება შემდეგის სახით: ვთქვათ, სოფელმა კოდმანმა გაგზავნა მტრებთან საომრად ოცი მეომარი და სოფელმა კარსანმაც ამდენივე მეომარი. კოდმანელთაგან ომში მოჰკვდა, ვთქვათ, ხუთი მეომარი,—ხოლო **კარ**სნელთაგან არც ერთი არ მომკვდარა. ამის გამო მეორე ომის დროს კარსნელთ უნდა გაეგზავნათ ომში არა ოცი, არამედ ოცდა ხუთი მეომარი, ხოლო კოდმანელთ—15 მეომარი, რადგან **„კარსანელთ მართებთ კოდმანელებისა ხუთი მეომარა“**, რომელნიც ომში დაიხოცნენ.

აი მარტივი და ჭეშმარიტი განმარტება ზემოთ-მოყვანილის ოქმულებისა, რომლის მეოხებით შეთხზულ იქმნა დაუჯერებელი ამბავი ქართველთა კაცის მჭამლობის შესახებ ქრისტეს მოსვლის ახლო საუკუნოებში.

დღესასწაულები. დღესასწაულებში სადიდებლად ღმერთებისა მონაწილეობას იღებდა მთელი ქართველი ერი. როდესაც ხალხი ბომონებისკენ მიდიოდა, სხვა და სხვა საკრავებს უკრავდა და ზედ დამღეროდა. ჩვეულებ-

---

*) იქვე გვ. 131—133;

**) ისტ. ვახუშტისა. გამოც. დ. ბაქრაძისა, გვ. 3.

რივ ხალხის წინ მიდიოდა მეფე, რომელსაც თან ახლდნენ დედოფალი და დიდებულნი. ხალხი მეფეს გზა და გზა ეგებებოდა და პატივის ცემის ნიშნად გზაზე ფიანდაზად უხვად ყვავილებს და ხის ტოტებს უფენდა. უმთავრეს დღესასწაულად ითვლებოდა დღესასწაული არმაზისა (6-ს აგვისტოს). საყვირის ხმები ხმა მაღლად აუწყებდა ხალხს ამ დღესასწაულის მოახლოებას. მთელის საქართველოდამ ხალხი გროვდებოდა არმაზის ტაძრის ეზოში და აქ მართავდა ლხინსა, სჭამდა, სვამდა, ცეკვავდა და ჰგალობდა სასულიერო და საერო სიმღერებსა. დღესასწაული გრძელდებოდა სამს დღესა. ქრისტიანობის მიღების შემდეგაც ქართველს ხალხს შერჩა ჩვეულება ტაძართა ეზოებში დროს გატარებისა. საქართველოს ეკკლესია წინააღმდეგი არ იყო საქრისტიანო ტაძართა ეზოებში ხალხის შეკრებისა, მაგრამ დიდად ჰგმობდა ამ შეკრების ჟამს ლოთობასა და ქეიფში დროს გატარებას. რუის-ურბნისის კრებამ (1103 წ.), სხვათა შორის, შემდეგი დადგენილება გამოსცა ამ ჩვეულების შესახებ: „**ნუმცა მოანასტერთა შინა შეექმნაო სვავჭროთა ერის ერებათა, ნუმცა რა სხვა საძოქალაქო და სასოფლო წესი ქმნილარს მოანასტერთა შინა**“. ამისდა მიუხედავად ეს ჩვეულება აქამომდე დარჩენილია საქართველოს ეკკლესიაში და იწოდება «**ჯვაროობად**» (წმ. ჯვრის სახელის თაყვანისცემა)... ღამის თევა ტაძართა ეზოებში მოგვაგონებს ძველქრისტიანთა ღამის თევას (ვიგილიას), რომელსაც თან ახლდა ლოცვა და საეკკლესიო საგალობლები. ღამის თევის ჩვეულება ხალხს შეაყვარებს თავის მშობლიურ სალოცავებს და წმიდა ადგილებსა. ამის გამო იგი თანაგრძნობის ღირსად მიჩნეულია. ტაძრის ეზოში ხვდებიან დღესასწაულებში ახლო ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები ერთმანერთსა და ურთიერთს უზიარებენ თავის მწუხარებას და სიხარულსა...

ლოცვა. ჩვენამდის არ მოუღწევია წარმართობის დროინდელის ლოცვებსა, თუმცა მათი არსებობა ექვს გარეშეა საქართველოში. „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ დაცულია ნუმიში ძველის ლოცვისა, რომელსაც ქართველები წარმოსთქვამდნენ არმაზის წინაშე: ,,ჰოი! **ჩემდა, უჯეთუ დასაბეგვაგლე დიდებასა დიდებასა აბას ღვთისა არმაზისასა, ანუ შესა მე რაისაბე ვჰსცეთ სიტყვად ებრაელთა თასა, გინა მოგვთათანა სმენასა ოდენ დაბითხვეულ ვიყო მზისა მსახურთასა და მათსა, რომელნი აგი იტყვიან უმეტრებით დიდსა ვისმე ღმერთსა და ძესა ღვთისა ზეცათასა, და აბოვოს რაიმე ჩემ შორეს ესე ვითარი ბიწი, დამცეს მე მახვილი აგი მისი, რომლისაგან ეშინის ყოველსა ქვეყანასა!**“.

ამ ლოცვის წარმოთქმის შემდეგ, ქართველები შიშით და ძრწოლით შესწირვიდნენ მსხვერპლს არმაზსა. ამას გარდა ყოველ დილით მცხეთის ქართველები (კოდმანიდამ) მზის ამოსვლის ჟამს სახლის თავებიდამ ლოცულობდნენ არმაზსა *).

გალობა. გალობა წარმართობის ჟამს ძლიერ იყო განვითარებული საქართველოში. გალობას ორი სახელ-

---

*) იმ ხეობაში, სადაც ძველად არმაზის კერპი იდგა და მისი სახელის ბოძანი იყო, ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართველებმა აღაშენეს ღვთის-მშობლის ტაძარი, რომლის დღეობა მოდიოდა პირველს მაისს **წმ. თაძარ დედოფლის ხსენების დღესა.** დიდად პატივცემულმა ბ-ნმა ესტატე ჩხარტიშვილმა თავის ხარჯით ნანგრევთაგან აღადგინა ეს ტაძარი, გაუკეთა მშვენიერი მისავალი გზა და თვით დანიშნულ იქმნა იმის მნათად. დიდი დგაწლი დასდო ამავე ტაძარსა მდვდელმოძღვარმა მირიანმა. შესანიშნავმა თავის მხნეობით.

წოდება აქვს ქართულს ენაზე: ,,გალობა'' და ,,სიმღერა''. პირველი სახელწოდება ნიშნავს სასულიერო სიმღერას, სარწმუნოებრივის შინაარსისას და აგრეთვე სიმღერას უმაღლესს, ესტეტიურის ხასიათისას, როგორიც არის მაგალითად, ბულბულის გალობა. სანსკრიტულს და ზენდურს ენებში: ,,გ'' ნიშნავს ,,სიმღერას''. აქედგან წარმოდგა ქართული სიტყვა: ,,გა—ლ—ობა''. ამ სიტყვაში უმთავრესი ნაწილია: ,,გ'', დაბოლოვება: ,,ობა''. და მათ შორის ასო: ,,ლ'' კეთილ ხმოვანებისათვის არის ჩამატებული...

საქართველოს მშვენიერი და მდიდარი ბუნება ხელს უწყობდა ქართველის ცხოვრებაში მხიარულის უდარდელის და უზრუნველის მიმართულების დამყარებას, და ეს მიმართულება, მის სულის მდგომარეობასთან შეკავშირებული, გამოიხატებოდა ქართულს სიმღერებში. ქართველებს უყვარდათ თვისი მშობლიური გალობა და იმას არ ივიწყებდნენ. თითოეულს დღესასწაულს ქართველი ერი გალობით ხვდებოდა და მასში ამა თუ იმ ღმერთს ქებას უძღვნიდა. ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართველებმა შეითვისეს ბერძენთა საეკლესიო გალობა, თუმცა თავისის ეროვნულის ძველი კილოებისთვისაც არ უღალატნიათ. თვით ბერძენთა გალობა დამყარებულია ძველს კილოებზე, რომელთ რიცხვი ოთხია: იონიური, დორიული, ფრიგიული და ლიდიური. ქართველთა გალობაზე ძველად, ქრისტიანობამდის, დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოში გადმოსახლებულ ებრაელების გალობასაც, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ბერძნულს გალობაზედაც იოანნე დამასკოელამდის. ანტიფონური (ორი გუნდის გალობა ერთი მეორის შემდეგ) გალობა ებრაელებმა ფრიად შეამუშავეს და ეს გალობა კი ზემოთ-ხსენებულს დორიულს კილოს წააგავს. საუკეთესო ჰანგები ძველის ქრისტიანობის წინადროის გალობისა

საქრისტიანო გალობამ თვის მფარველობის ქვეშ მიიღო და შეითვისა და მისცა შენათვისს შინაარსი, ქრისტიანობის შესაფერი. საქართველოშიაც ისე იყო. ერთბაშად უარყოფა ძველისა აქაც შეუძლებელი იყო, როგორც სხვაგან.

განვიხილოთ საკრავი (სამუსიკო) იარაღები საქართველოში. ა) **ზურნა**—ნაშთია სპარსეთის ბატონობისა საქართველოში კვიროსის და ქსერქსის დროისა; ბ) **დაფა**—ძველად სპარსეთში ხმაროობდნენ; გ) **დაირა**—ეგვიპტის და ფინიკიის მისანწალთა დასაკრავი შემოღებულ იქმნა საქართველოში სპარსეთიდამ; დ) **ჩანგი—ჭიანური** და **თარი** (ჩონგური)—დასაკრავი ქურუმებისა პალესტინაში და სივილლებისა (სივილლა—ზეშთაგონებული წინასწარმეტყველი ბერძენთა და რომაელთა); ე) **ჭიანური**—ქნარი ბრამისა ჰანგესის ნაპირებიდამ (ინდოეთში); ვ) **დაბლაბიტო**—ფრიგიის დასაკრავი; ზ) **სალამური**—მემკვიდრეობა ბედნიერის არკადიისა (პელოპონესის აღმოსავლეთის ნაწილი, პოეტთაგან შენამკობი, როგორც ბედნიერი ქვეყანა) და ᲗᲘ) **წინწილა**—ებრაელთა საკრავი, ტკბილ ხმოვანი.

სამუსიკო იარაღების მოკლე განხილვა გვაჩვენებს უცხო ქვეყნელთა დიდს გავლენას ქართველებზე.

III.

სასანიანთა სამეფო გვარი საქართველოში და რომაელ-სპარს-სომეს-ქართველთა საქმეები მესამე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ *).

მეორე საუკუნის დამლევს სპარსეთში სცხოვრობდა

*) იხ. ვრცლად ამის შესახებ: „საქართველოს ისტო-

აქემენიანთა ერთი შთამომავალი, რომელსაც ჰყავდა შვილი არდაშირი. ვარსკვლავთ-მრიცხველის ბაბეკის წინასწარმეტყველურის სიზმრის შემდეგ სასანმა შეირთო ცოლად ამავე ბაბეკის ასული და გაუჩნდა შვილი არდაშირი. სიზმრის უმთავრესი საგანი იყო შემდეგი: სასანი ზენაარსის მიერ მოწოდებულ იქმნა სპარსეთში ახალ სამეფო გვარის დასაარსებლად. არდაშირი გაიმსჭვალა ამ ჰაზრით და შეუდგა ბრძოლას სპარსეთში მბრძანებელ სამეფო გვართან. **არდაშირმა** 226 წელს ქრისტეს შემდეგ მოჰკლა მეფე **არტაბანი** (პართელთა სამეფო გვარის შთამომავალი) და თვით გამეფდა. არდაშირმა დააარსა სპარსეთში ახალი სასანიანთა დინასტია, რომელსაც თავის მამის საანის სახელი უწოდა. ამ გვარათ სპარსეთში დაარსდა სასანიანთა სამეფო დინასტია. სომხეთში ამ დროს მეფობდა სპარსეთის მიოკლული მეფის არტაბანის ნათესავი **ხოსრო**, რომელმაც რომაელებს თხოვა არდაშირის წინააღმდეგ შემწეობა. რომის იმპერატორი ალექსანდრე სეველი შეუერთდა ხოსროს და გაემგზავრა სპარსთა წინააღმდეგ საომრად, მაგრამ ის უკან დაბრუნდა დამარცხებული. ამის შემდეგ მარტო დარჩენილი ხოსრო თავ-გამეტებით და მხნედ იცავდა თავის დამოუკიდებლობას. მას თანაუგრძნობდა ქართველთა მეფე და მასთან ერთად კავკასიის ერები... მაგრამ ხოსროს სახლშივე გამოუჩნდა მოღალატე. არშაკიანმა ანაგმა სომხეთის განმანათლებელის წმ. გრიგოლის მამამ, მიიღო დიდძალი სასყიდელი არდაშირისგან და მოწამლა ხოსრო 232 წელსა. ხოსროს დარჩა მცირე-წლოვანი შვილი ტირიდატი, რომელიც 233 წელს, როცა სპარსები შემოესი-

---

რია'' ს. ბარათაშვილისა. ნათარგმნი ს. ხუნდაძის მიერ. რვეული პირველი. ქუთაისი, 1895 წ. გვ. 142—161.

ვნენ სომხეთს, ერთგულმა მსახურმა სიკვდილს გადაარჩინა და გააპარა რომში.

არდაშირის შვილმა **საფორმ** დაიჭირა სომხეთი და შიშის ზარი დასცა რომაელებსა, რომელნიც იძულებულნი შეიქმნენ ცოტახნობით სპარსეთთან ომი შეეწყვიტათ. 260 წელს რომის მოხუცებულმა იმპერატორმა **ვალერიანემ** გაილაშქრა სპარსთა წინააღმდეგ და ეფრატზეც გადავიდა. მას გარს შემოერტყა სპარსთა დიდძალი ჯარი და იძულებული შეიქმნა უანგარიშო ფული მიერთმია საფორისთვის და სასირცხვო უკუქცევის ნება გამოეთხოვა. მაგრამ საფორმა ფული არ მიიღო, იმპერატორი შეიპყრო და რომაელთა ჯარებმა იარაღი აიყარეს... შემდეგში ბორკილებით დატვირთულს ვალერიანეს იმპერატორის სამოსელში აჩვენებდნენ ყოველგან დაბალ ხალხს, და როცა კი საფორი ცხენზე შეჯდომას მოისურვებდა, ფეხს დაადგამდა რომაელთა იმპერატორს კისერზე და ისე შეჯდებოდა. ამბობენ, რომ, როცა იმპერატორი ვალერიანე ტყვეობაში მოკვდა, მისი ტყავი თვით გატენეს და გამარჯვების ნიშანთა შორის დაკიდესო.

როდესაც აღმოსავლეთში საქმეები ამ გვარს მდგომარეობაში იყო, საქართველოს მეფე ასფაგური გარდაიცვალა 265 წელსა, და ამ მეფის სიკვდილით მოისპო საქართველოში მბრძანებელი სამეფო გვარის არშაკუნიანთა მამრობითი სქესის ჩამომავლობა. ასფაგურს დარჩა ერთი მცირეწლოვანი ასული **აბეშურა**. ქართველთა წარჩინებულებმა სპარსეთის მეფეს საფორს თხოვეს, რომ მას ერთ-ერთი თავის შვილთაგანი დაენიშნა საქართველოს მეფედ, ისე კი, რომ მომავალს მეფეს შეერთო ასფაგურის ასული აბეშურა... საფორი თვით მოვიდა საქართველოში. ის კმაყოფილი დარჩა მით, რომ ყოველგან დიდის ამბით მიიღეს და დიდი პატივი სცეს მას; ის ყველა თხო-

ვნაზე დათანხმდა და საქართველოს მეფედ დანიშნა თავის შვილი, შვიდის-წლის მირიანი (მხევლისაგან ნაშობი) და უბოძა მას უფლება სომხეთის და კავკასიის პყრობისა. მირიანი იზრდებოდა ქართველთა სჯულზე; მან შეისწავლა მშვენივრად ქართული ენა, ადგილობრივნი ჩვეულებანი და დიდად შეიყვარა ქართველი ერი, და საქართველო, ეს მეორე თვისი სამშობლო. მან ამით მოიგო ხალხის გული და მისი სიყვარული დაიმსახურა. 287 წელს რომის იმპერატორმა დიოკლეტიანემ სომხეთის სამეფო ხოსროს შვილს ტირიდატს უბოძა. ტირიდატი ხალხმა დიდის აღტაცებით მიიღო. პირველ ხანად მას ბედი სწყალობდა. არა თუ განდევნა სპარსელნი სომხეთიდამ, არამედ სომხეთის წინანდელს მტერს ასურეთსაც კი შეესია. მაგრამ სპარსეთის მეფემ ბარამმა (276—293 წწ.) შეუსია სომხეთს თავისი ჯარი და ტირიდატი იძულებული შეიქმნა რომში წასულიყო. რომის იმპერატორი დიოკლიტიანე მხნედ შეება სპარსეთს სომხეთის და საქართველოს გამო. 296 წელს ის დროებით ანტიოქიაში გადასახლდა და იქიდამ ჯარები გაგზავნა თავის ამხანაგის კეისარ გალერის წინამძღოლობით ბარამის მემკვიდრის ნარცეზის წინააღმდეგ (294—302 წწ.). ამ გალაშქრებამ ნაყოფი ვერა მოიტანარა: ჯარი მესოპატიამიაშივე დამარცხდა. დიოკლეტიანე ამ გარემოებამ ვერ შეაშინა. მან შეჰკრიბა საუკეთესო ჯარის კაცები (ვეტერანები), ჩააბარა გალერის და უბრძანა წასულიყო სპარსთა წინააღმდეგ საომრად. რომაელებს სომხები მიემხრენ. გალერი თავს დაესხა სპარსელთა ბანაკს, სადაც თვით ნარცეზი იყო და მოაოხრა იგი. თვით ნარცეზი დაჭრილ იქმნა ომში და ბრძოლის ველზე დასტოვა მთელი თავის ოჯახი და აურაცხელი განძი. ამ გამარჯვების შემდეგ შეკრულ იქმნა ქაღიაქ «ნაზიბისის ზავი» სპარსელთა და რომაელთა შორის. ამ ზავის უმთავრესნი პი-

რობანი იყვნენ შემდეგნი: ა) აღდგენა სომხეთის სამეფოს დამოუკიდებლობისა ტირიდატის და მის შთამომავლობის ხელთქვეშ; და ბ) საქართველოს ციხეების დანიშვნის უფლება გადაეცათ რომის იმპერატორებს, რადგან ამ მეფეების დანიშვნაზე აზიაში რომაელთ ბატონობის ძლიერება და სიმტკიცე ბევრნაირად იყო დამოკიდებული''. ამ ზავის შემდეგ სპარსეთის მძვინვარება დასცხრა; რომაელთა, ქართველთა და სომეხთ შორის დამყარდა მშვიდობა, ერთობა, მეგობრობა, კავშირი. რომის განათლებას, კულტურას გზა გაეხსნა საქართველო-სომხეთისკენ; რაც ხდებოდა რომში, საქართველო-სომხეთშიც იცოდნენ ამის შესახებ. ქრისტიანობის ქადაგება ამის გამო შემდეგში ადვილი შეიქმნა საქართველოში, სადაც რომის იმპერატორის სახელი გაისმოდა, რომის ძლიერების რიდი ჰქონდათ. საქართველოს მეფის მირიანის შვილი ბაქარი დიოკლეტიანემ მძევლად წაიყვანა რომში, მირიანის მეორე შვილს რევს სომეხთა მეფის ტირიდატის ასული სალომე შერთო ცოლად და ამით სომხეთის სამეფო ტახტი საქართველოს სამეფო ტახტს დაუნათესავა. საქართველოს მეფეს უბოძა ყველა ადგილები, რომელსაც მტკვარში ჩამავალი მდინარეები რწყავს. საქართველოს მეფესვე უბოძა დასავლეთის საქართველო ინგურის მდინარემდის. არეზის აუზის მიწები სომეხთა სამეფოს გადაეცა. მირიანის შვილი რევი კახეთში გამეფდა და რანის მიდამოები (აწინდელი განჯის გუბერნია) კი მირიანის სიძეს, სპარსეთის მეფის ნათესავს ფეროზს უბოძა. ამის შემდეგ ტირიდატი და მირიანი შეკავშირდნენ და ერთად მოქმედებდნენ მტრების წინააღმდეგ. ისინი ერთად ეომებოდნენ ჩრდილოეთის ხალხებს და სპარსეთსა. ამას მოწმობენ სომეხთა და ქართველთა მემატიანეები. ესრედ ჩვენ ვხედავთ, რომ სასანიანთა სამეფო გვარის წარმომადგენელი გაქართველებული მეფემი-

რიანი წმ. ნინოს მოსვლის წინა წლებში, 302 წლის შემდეგ, ერთგული მოკავშირე იყო რომისა და სომხეთისა, რომელთანაც, როგორც მეგობარს, ჰქონდა ინტერესთა ერთობა,—ეს საუკეთესო სახსარი ყოველივე კავშირისა და მეგობრობისა... ამის გამო ის მოვლენა, რომელსაც მოიწონებდა რომის იმპერატორი, მოწონებული და მიღებული იქნებოდა სომხეთის მეფის ტირიდატის მიერ, მიღებული იქნებოდა აგრეთვე საქართველოს მეფის მირიანისგან და მისი ქვეშევრდომის ერის მიერ. როდესაც 313 წელს რომის დიდებულ იმპერატორის კონსტანტინეს მიერ მილანში გამოცემულის ბრძანების (ედიქტის) თანახმად, ქრისტიანობრივი სარწმუნოება აღიარებულ იქნა სახელმწიფო სარწმუნოებად,—ამავე სარწმუნოებას თავისუფალი გზა გაეხსნა სომხეთში და საქართველოში, როგორც ისეთს ქვეყნებში, რომელნიც რომის მოკავშირე ქვეყნებად ითვლებოდნენ ნიზიბისის ზავის ძალით (302 წ.) რომის სახელმწიფოში 313 წლის შემდეგ იესოს ჯვარმა თვისი ცხოველმყოფელი სხივი მოჰფინა წარმართობაში შთაფლულს ხალხს; იესოს სწავლისთვის რომში წამებულთა სისხლზე და ძვლებზე დაფუძნებულ იქმნა წმ. ეკკლესია ქრისტესი, რომელმაც თვისი მაცხოვნებელის სწავლით ძირითადი ცვლილება მოახდინა მაშინდელის კაცობრიობის ცხოვრებაში. შორს არ იყო ის დრო, ოდეს სახარების სწავლის შუქი გააბრწყინვებდა სომხეთის და საქართველოს არე-მარეს და ამ ორი მეზობელ ქვეყნის ნიჭიერ სწავლა-განათლების და წინ-სრბოლის მოტრფიალე ერთა, ახალ ცხოვრების სიოს მოჰბერდა. არმაზი და წარმართობა, ქურუმნი და ბომონნი შეკრთნენ, გრძნობდნენ რი თვისის აღსასრულის მოახლოებას... ერმა შეიგნო თვისი ძველი სარწმუნოების საგრძნობელი უვარგისობა, თვისთა უსულო კერპთა არა რაობა, თვისთა ქურუმთა მუქთა-მჭამლობა და

გულის კანკალით მოელოდა ახალ მოძღვრების მოსმენას, ახალი სწავლის შეთვისებას, ახალ სჯულის მიღებას, რომ დამშვიდებულიყო იმის წიაღში და შეეტკბო გემო განახლებულის ცხოვრებისა.

IV.

კაბადოკია, სამშობლო ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოსი.

ბერძნები კაბადოკიას საზოგადოდ ,,ასურეთს'' ეძახდნენ. კაბადოკიაში ესახლნენ სხვათა შორის, **მეგრელები და ჭანები**, ეს ორი ერი, ძლიერ ახლო მონათესავე ქართველის ერისა, რომელნიც ,, ,, ,,

გრიგოლ ნოსელი, იოანნე ოქროპირი—ამ ქვეყნის მკვიდრნი იყვნენ. სტრაბონის სიტყვით, ორსავე კაპადოკიაში ერთის ნათესავის ხალხნი იყვნენ და ლაპარაკობდნენ ერთსა და იმავე ენაზე. სტრაბონი თვით იყო კაპადოკიაში დაბადებული, სახელდობრ ქალაქს ამასიას, რომელიც მდებარეობს ირისეს მდინარის ნაპირს პონტოში (შავი ზღვის მხარე), დედა მისი იყო ჭანის ქალი. კაპადოკია იყო, პლინის სიტყვით, ერთი და განუყოფელი ქვეყანა.

მრავალი სახელი ადგილთა, მთათა, ქალაქთა, მდინარეთა, რომელნიც მდებარეობენ კაპადოკიაში, ქართულის ფესვისაა, მაგალითად: **თიანა** (ქართული თიანეთი), **თაგია, თამარმე, ურგუბა** (ორგუბე), **სარმურ-სახლი, ზიზაკის-მთა, ბოტოს-მთა, ზილობას-მთა, ორთაუგის-მთა, ფარხალი, დედა-მთა, ქუთაია, გომაში** (სამეგრელოში კამეჩს უწოდებენ), **ზალა, ტაზის კარი** (ტაშის კარი—ბორჯომის ხეობა), **თაგ-შანა, ძესდერი, ბანა, ენგური, კარიბაზარი, ქიზიკი** (ქიზიყი). ეს სახელწოდებანი მოყვანილია **კაბერტის** ჩცირე ატლასის ქარტაში. ზოგიეროს მათგანს მოიხსენიებს **ხაჯი ხალფა**, მაჰმადიანთა მწერალი. ზნე-ხასიათით, ყოფაქცევით, შინაური ცხოვრებით და თვით-მმართველობით კაპადოკიის მკვიდრნი სრულიად ემსგავსებოდნენ ქართველებსა.

კაპადოკიის ხალხს ჰქონდა მონათესაობა საქართველოს ხალხთან. იქაური მკვიდრნი თანაუგრძნობდნენ შორეულს ქართველებს ქართლ-კახეთში მცხოვრებთა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ ქვეყნის შვილი წმ. გიორგი კაპადოკიელი ტომით ქართველი (ჭან-მეგრული მოდგმისა) დიდად-პატივცემული წმიდანია საქართველოში. იმის სახელის პატივსაცემლად აღშენებული იყო საქართველოში ძველი დროიდამვე სამას სამოცდა სამი საყდარი. ამ წმ. გიორგის მონათესავე იყო წმ. ნინოც,

საქართველოს განმანათლებელი, მცოდნე ქართულის ენისა; უამისოდ მას არ შეეძლო მოქცევა ქართველებისა. კაპადოკიაში ძალიან გავრცელებული იყო უდაბნოებში ცხოვრება სულიერ მამებისა, რომელნიც ქვაბებში მოღვაწეობდნენ. ამ მეუდაბნოეთაგან შესანიშნავი იყვნენ სვიმონ დიდი მესვეტე (390—460 წწ.) და **სვიმონ მცირე**—მესვეტე (521—592). უკანასკნელმა გამოგზავნა საქართველოში კაპადოკიიდგან ცამეტი მამა წმ. **იოანე ზედაზნელის** წინამძღოლობით მეექვსე საუკუნეში.

უნდა ისიც აღვნიშნოთ, **რომ** კაპადოკიაში წმ. ნინოს ჟამს (III—IV საუკ.) სცხოვრობდნენ ქართველთა გარდა, ბერძნები, ასურელნი, სომეხნი და ებრაელნი. ამის გამო იქაურმა ქართველებმა, რომელნიც კი სასწავლებლებში ნამყოფნი იყვნენ, იცოდნენ კარგად ბერძნული, ასურული და ებრაული ენები. რომ კაპადოკიაში ქართველები სცხოვრობდნენ, ამას ამტკიცებენ მრავალნი სწავლულნი (ლენორმანი, ჰაიდ-კლარკი, სეისი და სხვანი). ამ საბუთების ძალით დიდი შეცდომა არ იქნება, უკეთუ ვიფიქრებთ, რომ წმიდა გიორგი, წმიდა ნინო, წმიდა ათცამეტი კაპადოკიელი მამა—ჭან-მეგრელული მოდგმისა იყვნენ, მცოდნენი ქართულის სალიტერატურო ენის სამშობლოშივე... წმ. ნინოს და ცამეტ კაპადოკიელ მამას, რომელნიც თავის კილოკავზედაც ლაპარაკობდნენ, შეეძლოთ აღმოსავლეთის ქართველთა შორის ექადაგნათ **ნამდვილ ქართულ ენაზე.** მართლაც, წმ. ნინო და ცამეტი კაპადოკიელი მამა აღმოსავლეთის საქართველოში მოსვლის შემდეგ ჰქადაგებენ ქართულს ენაზე და, მათს ქადაგებას ისმენს ამ ენაზე მოაზრე ხალხი. ამის გამო მათს მოძღვრებას ჰქონდა გავლენა ხალხზე, მათმა ქადაგებამ ერის გული მოინადირა. ბევრი უტყუარი საბუთი გვაქვს იმი-

ი, რომ ვიფიქროთ წმ. ნინოს და ცამეტ კაპადოკიელს მამის ქართველტომობა *).

V.

ქრისტიანობა ქართველთა მოსახლეობაში ერთა შორის წმ. ნინოს დროს.

სომხეთი. სომხეთში ქრისტიანობა წმ. მოციქულების დროსვე გავრცელდა. მოციქულებმა **ბართოლომემ** და **თადეოზმა** იქადაგეს ამ ქვეყანაში სახარება. მაგრამ მეოთხე საუკუნემდის სრულიად აღმოიფხვრა აქ ქრისტიანობა. სომხეთში სამუდამოდ ქრისტიანობა დაამყარეს წმ. **გრიგოლმა** და მეფემ **ტირიდატ მესამემ** (302—344). წმ. გრიგოლის მამამ **ანაგმა**, როგორც ვიცით, სპარსთა მოსყიდვით მოჰკლა მამა ტირიდატისა ხოსრო მეფე, რომელმაც დიდის პატივით მიიღო იგი, მოსული თავის სახლობით სპარსეთიდამ, როგორც ახლო ნათესავი თვისი. ანაკმა და მისმა ძმამ „შეიყვანეს მეფე ხოსრო მარტოებით და მოჰკლეს იგი მახვილითა და ვიდრემდის განითქმოდა ერსა შორის სიკვდილი მეფისა, ივლტოდეს იგი აღმხეცრებულნი ცხენთა დაუყოვნებლად“. მაგრამ მათ მეყვსეულად ეწივნენ მდევარნი, და მოაშთვეს იგინი სიღრმესა მას შინა მდინარისასა. შემდეგ მოსრნეს ყოველნი სახლეულნი მათნი. ანაკს შემთხვევით გადარჩა ორი

*) იხ. სხვათა შორის, შშვენიერი შრომა ბრეფ. ალ. ხახანაშვილისა: „Предѣлы разселенія грузинъ въ Малой Азіи“ და წერილი ბრეფ. დ. ჩუბინაშვილისა: „ქართველთა, მოსახლეობის კვალი კაბადოკიაში“. ისტ. ნარკვევი ალ. ჭეფინია. გვერდი 49.

ძუძუ-მწოვარი ბავშვი, რომელთაგან ერთი წარიყვანეს მხედართა სპარსეთს და მეორე კი—საბერძნეთს. უკანასკნელი არს **გრიგოლი ეოვლად საგალობელი**. სპარსეთის მეფემ არდაშირმა ამის შემდეგ დაიპყრა სომხეთი. ხოსროს შვილი ჩჩვილი ტირიდატი (თრდატი) სიკვდილს გადარჩა. ის აღიზარდა რომში. ანაკის შვილები იზრდებოდნენ კესარიაში (კაპადოკია). გრიგოლიმ იცოდა, რაი იგი ექმნა ანაკსა მამასა მისსა და ამისათვის აქვნდა შიში და მწუხარება გულში. მაგრამ გრიგოლმა გაბედა მისვლა ტირიდატთან, როდესაც ის მეფედ გახდა სომხეთში, და ერთგულად მსახურებდა მას. ტირიდატიც თავის მხრით ერწმუნებოდა მას ყოველს საქმეში. მაგრამ ტირიდატს ძლიერ სწყინდა, რომ გრიგოლი ქრისტიანობას აღიარებდა, რადგან ამ სჯულზე ის აღზარდა თვისმა ქრისტიანმა გადიამ კესარიაში. მას სურდა, რომ გრიგოლს დაეტოვებინა ქრისტიანობა და თაყვანი ეცა კერპებისთვის. ტირიდატს დიდი შიში და ხათრი ჰქონდა რომის იმპერატორის დიოკლიტიანესი, რომელმაც ის „დააწესა მეფედ მამულსა მას მისსა“ სომხეთში და ამის გამო ამ იმპერატორის მიბაძვით ქრისტიანობის მტერი იყო. წმ. გრიგოლიმ უარჰყო მეფის წინადადება. ამის გამო ის მეფემ შთააგდებინა ჯურღმულში და გადაწყვიტა მისი სიკვდილი, როდესაც გაიგო ის გარემოებაც, რომ იგი მისი მამის მკვლელის ძე იყო. ამას გარდა ტირიდატმა თვისი მტრობა ქრისტიანობის მიმართ დაამტკიცა ქალწულის რიფსიმეს, მისი აღმზრდელი გაიანეს და მისი 33 მეგობარ ქალების მოწამებრივის სიკვდილითა. მან არ დაინდო ეს ქალწულები, რომელთაც ოავი შეაფარეს სომხეთის მთებს რომში ქრისტიანობის დევნის ჟამსა... მალე სვინიდისმა ა'ხილა მტარვალი მეფე. ის ჭკუიდან შესცდა და ეშვის მსგავსად ღრუტუნებდა და პალახს წიწკნიდა... მეფის მახლობელთ მოიწვიეს ჯურღმულში

შთაგდებული გრიგოლი, რომლის ლოცვით ტირიდატ მეფეს კვლავ დაუბრუნდა დაკარგული გონება... გრიგოლიმ უქადაგა ამ სასწაულით განცვიფრებულს ხალხს სახარების სწავლა. ამის შემდეგ წმ. გრიგოლი განუწყვეტლად ჰქადაგებდა იესოს სწავლას. იმის ზედ-გავლენით მრავალი სომეხი ინათლებოდა. მან დიდი ყურადღება მიაქცია იმ ადგილს, სადაც წამებულ იქმნენ რიფსიმე და გაიანე და მათთან ერთად ოცდაცამეტი ქალწული. ამ ადგილს მან იხილა ღამით ჩვენება, რომლის დროს მხოლოდ შობილი ძე ღვთისა, როგორც ამბობს გადმოცემა, გამოეცხადა მას. აქ აღშენებულ იქმნა სამი ნიში, რომლებშიც წმ. გრიგოლიმ დაკრძალა წმ. ქალწულთა გვამნი. იმ ადგილს, სადაც მან ჩვენება იხილა, დაერქვა **შოხაკატი**, ანუ ეჩმიაძინი. (უკანასკნელი ნიშნავს მხოლოდ შობილის გარდამოსვლას). ამ ადგილს აღშენებულ იქმნა შემდეგში ეჩმიაძინის დიდებული ტაძარიეს დედა, სომეხთა ეკკლესიისა. მეფე ტირიდატი ყველგან ანგრევრდა ბომონებს, ამსხვრევდა კერპებს და წმ. გრიგოლის რჩევით აღმართავდა ჯვრებსა. ტირიდატ მეფემ გადაწყვიტა მთელი სომხეთის ერი ქრისტიანობაზე მოექცია და ამისთვის გაგზავნა ელჩები კაპადოკიის კესარიის მთავარ-ეპისკოპოზს ლეონტისთან და სთხოვა მას ხელდასხმა გრიგოლისა სომხეთის მღვდელ-მთავრად. ლეონტიმ ტირიდატის თხოვნა აღასრულა და ხელდასხმული მღვდელ მთავრად გრიგოლი სომხეთში გამოისტუმრა. სომხები წმ. გრიგოლიმ ეფრატის მდინარეში მონათლა. მან გაუმწესა სომხებს მღვდელმთავრები და მღვდლები, გახსნა სკოლები, რომლებშიც სომხურის ენის გარდა ასწავლიდნენ ბერძნულს და ასურულს ენებს. მანვე დააარსა სომხეთში რამდენიმე მონასტერი. 326 წლის ახლოს ტირიდატმა და წმ. გრიგოლიმ ინახულეს რომის იმპერატორი კონსტანტინე დიდი, მფარველი ქრისტიანობისა. ამ გარემო-

ებასაც დიდი გავლენა ჰქონდა სომხეთში ქრისტიანობის განმტკიცების საქმეზე: ხალხი დარწმუნდა, რომ წარმართობის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. წმ. გრიგოლი 333 წელს გარდაიცვალა ერთს მიუდგომელს გამოქვაბულში. (მანე), სიცოცხლეშივე სომხეთის ეკკლესიის მთავარ-გამგეობა თავის შვილს მღვდელ-მთავარს არისტაკეს ჩააბარა. მან დააარსა ეკკლესია სომხეთისა და ის ამის გამო სამართლიანად იწოდება სომეხთა განმანათლებლად. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკკლესია სომეხებთან ერთად პატივს სცემს წმ. გრიგოლის ხსენებას 30 ენკენისთვესა *).

ყირიმი. (ხერსონესი და გუთების ქვეყანა). წმ. ერმინმა, იერუსალიმის მღვდელთ-მთავარმა, 301 წელს გაგზავნა სხვა და სხვა მხარეს ქრისტიანობის მქადაგებლები. მათ შორის წმ. ვასილი მოვიდა გუთების ქვეყანას, აწინდელს ყირიმში... მან ბევრი მოაქრისტიანა, მაგრამ გამძვინვარებულ წარმართთა მიერ იგი მოკლულ იქმნა. იქადაგეს აქვე ქრისტიანობა წმიდა მამათა ევგენიმ, აგაფოდორმა და ელპიდიმ, მაგრამ ესენიც წარმართთა მიერ წამებულ იქმნენ. კონსტანტინე დიდის დროს გუთები სრულიად გაქრისტიანდნენ კაპიტონის მოღვაწეობით, თუმცა შემდეგშიც აქ ზოგიერთნი წარმომადგენელნი წარმართობისა კვლავ სდევნიდნენ ქრისტიანობას და ქრისტიანებს.

სპარსეთი. 270 ახლო დროებში ქრისტიანობა გაიცნეს სპარსელებმა. კონსტანტინე დიდმა საკუთარის ხელით დაწერილი ბარათი მისწერა სპარსეთის მეფეს (**საფორ მეორეს** (309—381) ქრისტიანობის სასარგებლოდ.

---

*) Аннинскій. Исторія Армянской церкви. стр. 7—11. თ. ჟორდანია. ქრონიკები. ნაწ. I. გვ. 19—27.

მაგრამ ცეცხლის თაყვანის-მცემელ მოგვების ჩავონებით საფორმა დევნა დაუწყო ქრისტიანებს და მრავალი აწამა სახარების სწავლისათვის.

კაპადოკია. ამ მხარეში დამკვიდრებული იყო ქრისტიანობა, როგორც ზემოთ ვთქვით. აქ მოღვაწეობდა მეორე საუკუნეს დასაწყისში წმ. **კლიმენტოსი**, რომის მღვდელ-მთავარი იმპერატორის ტრაიანეს მიერ ყირიმში გაგზავნილი დასასჯელად. აქ მოღვაწეობდნენ წმ. **ორენტი**, კვირიაკე და ივლტა («კვირიკობის თვე»), წმ. გიორგი ძლევამოსილი (23 აპრ. 302 წელსა), კაპადოკიელი (ჭან-მეგრულის ტომისა). ამის პატივსაცემლად საქართველოს ეკლესიამ დააწესა 23 აპრილის გარდა დღესასწაული 10 ნოემბერს და უკანასკნელს თვეს უწოდა მისი სახელი („გიორგობისთვე") *).

ილ. ფერაძე.

(შემდეგი იქნება).

*) М. Г. Джанашвили. Исторія Грузинской церкви. Книга I, Тифлисъ 1898 г. გვ. 12—22.

მაისი და ივნისი, №№ V და VI, 1903 წ.

მოგზაური

1903 წელს ჟურნალი

„მოგზაური“

მთავრობის ნება-დართვით

გამოვა ახალის გავრცელებულის პროგრამით, ე. ი. ჟურნალში დაიბეჭდება პედაგოგიური, სამეურნეო, სამკურნალო-სამეცნიერო და ისტორიულ-გეოგრაფიული წერილები. რედაქცია სთხოვს მასწავლებლებს, მეურნეებს, მკურნალებს და სამეცნიერო საგნების მიმდევართ მოაწოდონ მას ყოველგვარი წერილები მოხსენებულ საგნებიდამ. საუკეთესო წერილებს, ხალხისათვის ადვილ-გასაგების ენით დაწერილებს, რედაქცია იმავ დროს იაფფასიან წიგნაკებადაც გამოსცემს.

ფასი ჟურნალისა იგივე **5 მანეთია**, ხოლო მასწავლებლებისათვის და ხელ-მოკლე დაწესებულებათათვის — 4 **მანეთი**.

ადრესი ფოსტით: *Тифлисъ, Редакціи „МОГЗАУРИ“ (Межевая ул. № 72).*

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

თბილისი

სტამბა ექვ. ივ. ხელაძისა. რუსის ბაზრი, საეკკ. სახლი.

1903

Дозволено цензурою. Тифлисъ 18 Марта, 1903 г.

სწავლა-აღზრდის რეფორტორნი *).

ᲐᲨᲐᲛᲘ

1513—1568.

ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲐᲡᲔ ᲡᲬᲣᲮᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲠᲐᲛᲛᲐᲢᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲔᲕ-ᲓᲐᲠᲔᲕᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲠᲝᲑᲐᲖᲔ, ᲓᲐᲔ ᲪᲝᲢᲐᲗᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲜᲣᲒᲔᲨᲝᲜ, ᲔᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚ-ᲒᲐᲖᲓᲝᲑᲘᲡ ᲑᲔᲓ-ᲘᲚᲑᲚᲘᲡ ᲘᲛ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲓ-ᲘᲚᲑᲐᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲝᲗᲮᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲗ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲚᲐᲗᲘᲜᲣᲠᲡ ᲔᲜᲐᲡ, ᲗᲣ ᲠᲝᲓᲘᲡᲛᲔ ᲒᲘᲜᲐᲮᲐᲛᲗ ᲒᲠᲐᲛᲛᲐᲢᲘᲙᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲔ-XIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲓᲒᲐᲜ ᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔ-XV ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲔ ᲘᲧᲝ ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲬᲝᲓᲔᲑᲝᲓᲐ „Loctrinale“-Ს ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲗ ᲛᲘᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲒᲐᲐᲓᲕᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲒᲠᲐᲛᲛᲐᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ—ᲚᲘᲚᲔᲘᲡ, ᲙᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲐᲖᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲘᲛᲐᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲑᲝᲭᲕᲔᲚᲔᲑᲐᲓ ᲕᲗᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲦᲐᲦᲐᲓᲔᲑᲚᲔᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲔᲑᲐᲓ ᲡᲗᲕᲚᲘᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲗᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲜᲘ.

---

*) ᲘᲮ. „ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘ“ № 3 ᲓᲐ 4, 1902 Წ.

თუმცა XVI საუკუნეში დიდი ყურადღება იყო მიქცეული სწავლა-აღზრდის საქმეზე და მრავალი წიგნებიც იყო ამ საგნის შესახებ ინგლისურს ენაზედ დაბეჭდილი, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ აშამის შრომამ, რომელიც 1570 წ. გამოსცა მისმა ქვრივმა და რომელიც შემდეგ 1571 და 1589 წლებში მეორედ და მესამედ დაიბეჭდა კიდევ. აშამის თხუზულება, **„სკოლის მასწავლებელი“**, უყურადღებოთ იყო შემდეგ მიტოვებული და მხოლოდ 1711 წ. ჯემს-იუპტონმა ხელ-ახლად გამოსცა იგი და მას აქეთ აღარც დაბეჭდილა. დღეს იგი შეადგენს კლასსიკურს შრომას სწავლა-აღზრდის საქმეში. დოქტორ ჯონსონი ასახელებს ამ წიგნს, როგორც ერთ უკეთეს სახელ-მძღვანელოს უცხო ენების შესწავლაში, ხოლო პროფესორი მაიერი, რომელიც ამ კითხვის გადაწყვეტაში უფრო ავტორიტეტულ პირად უნდა ჩავთვალოთ, ამბობს, რომ აშამის შრომა შეიცავს ერთად-ერთ გონივრულს მეთოდს მკვდარი ენების შესწავლისასო.

ინგლისელ პედაგოგებს თუმცა სძულთ თეორია, მაგრამ მაინც მეტი არ იქნებოდა დაახლოვებით გაეცნოთ აღზრდის ისტორიის ერთი მხარე, სახელდობრ, სხვა და სხვა მეთოდების ისტორია. სწავლა-ღზრდის ისტორია გვიჩვენებს, რომ თვითეული სამოსწავლებლო საგანი სხვა და სხვა გზით ისწავლებოდა და მეთოდთა ბრძოლიდგან გამარჯვებული ყოველთვინ უკეთესი მეთოდი არ გამოდიოდა. მეთოდებს ხშირად შეეძლოთ დახმარება გაეწიათ მასწავლებლებისათვის მათ მძიმე მოვალეობის აღსრულებაში, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ ვხედავთ, რომ იგინი ძალიან ნაკლებ მეცადინეობენ თავიანთ თავის გაუმჯობესობასა და განვითარებაზედ; ამ უკანასკნელ ორმოცდა ათის წლის განმავალობაში იგინი სრული კმაყოფილები იყვნენ ტრადიციონული რუტინით.

ჩვენს სკოლებში, რასაკვირველია, მას აქეთ, რაც

ჩვენი მამები სწავლობდნენ იქ, შემოვიდა რამდენიმე ცვლილება; იმ დროს ყოველივე ყურადღება მიპყრობილი იყო ლათინური ენის შესწავლაზედ და მის შესწავლაში უკეთეს მეთოდად აღიარებდნენ Lily-ს გრამმატიკის ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, ითონიის ლათინური გრამმატიკის ზეპირად დასწავლას.

რომ ჩვენს სკოლებში სწავლა გონივრულ ნიადაგზედ ყოფილიყო დაფუძნებული და რიგიანად მიმდინარებულიყო, ამ წიგნის ხმარება ძალიან ადრე მოისპობოდა. რიჩარდ ჯონსონი, თავის ძეტად საფუძვლიან თხუზულებაში, „გრამმატიკულ კომმენტარიეს“-ში, რომელიც 1706 წ. დაიბეჭდა, დაწვრილებით არჩევს ამ წიგნს და ამტკიცებს მის სრულს უვარგისობას და გამოუსადეგრობას. მიუხედავათ ამისა, ჩვენი პედაგოგები 150 წლის განმამავლობაში მაინც კიდევ სთვლიდნენ Lily-ს გრამმატიკას ერთ უკეთეს სახელმძღვანელოდ ლათინური ენის შესწავლაში. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს დაიბეჭდა თხუზულებანი, რომლებშიაც ცხადათ არის გამოთქმული სურვილი იმ მეთოდების გაახლების და მათკენ დაბრუნებისა, რომელნიც გამოთქმულნი იყვნენ აშამის-მიერ მის «cholomasler»-ში და კომნონის-მიერ მის «ყმაწვილების აღზრდაში» (1588 წ.).

აშამის მეთოდით ლათინურ ენას ამ ნაირად უნდა ასწავლიდნენ: ყმაწვილებმა ჯერ უნდა შეისწავლონ სიტყვის რვა ნაწილი და მართლივი შეუღლება არსებითის და ზედ-შესრულის სახელებისა და ზმნებისა. როდესაც ყმაწვილები შეისწავლიან გრამმატიკის უპირველეს მოთხოვნილებათ, მასწავლებელი იღებს ციცერონის წერილების კრებულს და კითხულობს მათ ამ გვარად: პირველად ვრცლად და საფუძვლიანად უხსნის წერილის შინაარსს, შემდეგ ათარგმნინებს მოწაფეებს ლათინურიდგან ინგლისურად იმ დრომდე, ვიდრე სრულიად არ შეისწა-

ვლიან მას მოწაფენი; შემდეგ მასწავლებელი გრამმატიკულად არჩევს წერილებს და ბოლოს თვით მოწაფენი რამდენჯერმე თარგმნიან მას და გრამმატიკულად არჩევენ; შემდეგ მოწაფენი იღებენ რვეულებს და სწერავენ შიგ ინგლისურად ამ საათში გარჩეულს და შესწავლილს წერილს და აძლევენ გასასინჯავად მასწავლებელს, რომელიც ართმევს მოწაფეებს წიგნებს და ერთ საათს ასვენებს, რომლის შემდეგ მოწაფეებმა სხვა რვეულებში უნდა გადასთარგმნონ ლათინურად ის, რაც ლათინურიდგან ინგლისურად თარგმნეს; როდესაც მოწაფენი ახალ თარგმანს უბრუნდებიან, მასწავლებელი ადარებს მას დედანთან, აქებს ყმაწვილებს თუ ამის ღირსნი არიან, და უთითებს იმ ადგილებზე, რომელნიც დედანში უფრო კარგათ და გარკვევით არიან გამოთქმულნი.

ამ სახით მოწაფენი ძალიან ადვილად სწავლობენ გრამმატიკის ფორმებს, რომლის შესწავლაც ასე ეძნელებათ საზოგადო სკოლებში. კარგი მწერლების ნაწერების მაგალითებით უფრო ადვილათ შეისწავლება გრამმატიკა, ვიდრე თვით მის კანონთა შესწავლითაო.

სხვა ადგილას აშამი ამბობს: ,,ყველა ენები, მათ შორის სამშობლო ენაც, ისწავლება მიბაძვით; ჩვენ იმ ენას ვსწავლობთ, რომელზედაც ჩვენს გარშემო ლაპარაკობენ; ჩვენ რომ ადამიანის ლაპარაკი არა დროს არ გაგვეგონა, ლაპარაკსაც ვერა დროს ვერ ვისწავლიდითო''. დიდ მნიშვნელობას აძლევს აშამი აგრეთვე თარგმნას. „თარგმნა, ამბობს იგი, ყველაზედ უფრო მიღებული და სასარგებლო სავარჯიშოა ახალგაზდობისათვის; წერაში ვარჯიშობა ყმაწვილებისა შეადგენს ნამდვილ უტყუარ საშუალებას ახალგაზრდათა სწავლა-ცოდნის შეძენაში. თარგმნის სარგებლობა და სიკეთე აღზრდაში ყველა მწერლებისაგანაა აღიარებული. პლინი ამტკიცებს, რომ „ორნაირი თარგმნით უფრო მალე და ადვილად შეიძლებ

გრამმატიკის ძნელი ფორმების შესწავლა, უფრო მალე შეიძლება შეჩვევა საჭირო სიტყვების და გამოთქმის პოვნისა, აგრეთვე სისწორით სიტყვების გამოთქმა და თანახმად ენის მოთხოვნილებისა უკეთესი კილოთი ლაპარაკი". ამას გარდა მივდევთ-რა ბეჯითად ყოველ დღე ფეხდაფეხ უკეთესს მწერლებს, და აღვნიშნავთ-რა მათ განსაკუთრებულ თვისებეებს და მოხერხებას აზრთა გამოთქმაში და საბუთებით დამტკიცებაში, ჩვენ უფრო ადვილად ვკითხულობთ მათს ნაწერებს, ვიძენთ მჭერ-მეტყველობას და ვსწაკლობთ წაკითხულის სისწორით გაგებას და ამასთანავე ვეჩვევით მართლ-წერას და მართლ-ლაპარაკს.—

როგორც უახლოვესს და გამოჩენილს მაგალითს,—განაგრძობს აშამი,—დავასახელებ ჩვენს კორნელევას ელისაბედს, რომელსაც, როგორც ლათინური, ისე ბერძნული გრამმატიკა თავის დღეში ხელში არ აუღია, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მან ეს ენები უფრო სავსებით იცოდა, ვინემ ჩვენი ორივე უნივერსიტეტების სტუდენტთა უმეტესობამ; ამ ნაირ ცოდნას კოროლევამ მხოლოდ იმით მიაღწია, რომ ყოველ დღე დილით ჯერ ლათინურიდგან სთარგმნიდა ინგლისურად და შემდეგ ინგლისურიდგან ლათინურად დემოსთენსა და იზოკრატსა; საღამოობით კი სთარგმნიდა ტულიოს წიგნიდგან ზოგიერთ წერილებს.

სანამ თავს დავანებებდე აშამს, მოვიყვან კიდევ მის ნაწერებიდგან ერთს ადგილს, რომელსაც შემთხვევა მექნება კიდევ დავუბრუნდე. მოჰყავს რა ორნაირი თარგმანის გეგმა, აშამი ბრძანებს: ,,იმის შემდეგ, როდესაც მოწაფე გრამმატიკულად გაარჩევს და ორჯერ გადასთარგმნის გაკვეთილს, თორმეტჯერ მაინც კიდევ უნდა წაკითხოთ იგი თავიდგან ბოლომდე. მოწაფე რაკი ერთხელ მიეჩვევა მის სისწორით შესრულებას, იგი შემდეგშიაც სიამოვნებით გააკეთებს მას. სასიამოვნო მეცადი-

ნეობა შეაყვარებს მას შრომას და შრომით კი ყოველთვინ მიაღწევს დანიშნულს მიზანს".

მას აქეთ ბევრი თქმულა ლათინური ენის სწავლებაზე; რამდენადაც ვიცი, ის მეთოდი, რომელსაც ჰკიცხავდა აშამი და რომელიც ორასის წლის განმავლობაში კიდევ ბატონობდა საერო სკოლებში, ეხლა სრულიად მიტოვებული და მივიწყებულია; ახლა აღარავინ აწყებინებს ლათინური გრამმატიკის ზეპირად შესწავლას, ვინემ მოსწავლენი ცოტაოდნად მაინც არ შეეჩვევიან ლათინურს ენას; გრამმატიკის ფორმების შესწავლა და სავარჯიშო საწერები ხელჩაკიდულები უნდა მისდევდნენ ერთი-ერთმანეთს, ამასთანავე მოწაფემ უეჭველად თავისთავად და სხვის დაუხმარებლად უნდა იშრომოს და ყოველ შესასწავლელ ფორმას თვითონვე უნდა მოუძებნოს საჭირო მაგალითები. ჩვენს დროში მასწავლებლები ჰბაძავენ ამა თუ იმ პედაგოგებს, რომელთაც დიდი შრომა და ღვაწლი გაუწევიათ ძველი ენების შესასწავლ მეთოდის შემუშავებაში და გაუმჯობესობაში. იმის მიხედვით, თუ რომლის სისტემას ემხრობოდნენ და რომელს ხმაროობდნენ სწავლებაში — აშამისას, რათიხისას, კომენსკისას, გამილტონისას, რობერტსონისას, თუ პრედერგასისას,— შეგვიძლიან ორ დასად გავყოთ იგინი: პირველს ვუწოდებთ „**იმპრესსიონისტებს**" მეორეებს „**კონსერვატორებს**". პირველნი პირდაპირ აწყებინებდნენ ენების შესწავლას და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ყმაწვილები მალე დასძლევდნენ ყოველსავე სიძნელეს; მეორენი კი ამტკიცებდნენ, რომ ყმაწვილმა პირველად უნდა შეისწაულოს ენის მხოლოდ მცირე რამ ნაწილი და კარგათ გავარჯიშდეს მასში. აშამი ეკუთენის უკანასკნელ გუნდს; იგიც თორმეტჯერ აკითხებს მოწაფეებს ერთსა და იმავე გაკვეთილს თავიდგან ბოლომდე და მხოლოდ ამის შემდეგ აძლევს მეორე გაკვეთილს; მის ორნაირად თარგმნის

მეთოდის შესახებ შეიძლება ის ითქვას, რომ იგი მხოლოდ გავარჯიშებული და დახელოვნებული მოწაფისათვის არის კარგი, და ახალ მოსწავლესათვის კი იგი გამოუსადეგარი და უვარგისია, რადგან ხელს უწყობს მხოლოდ მეხსიერების განვითარებას; ქვემოთ ჩვენ კიდევ გვექნება ლაპარაკი დანარჩენ მეთოდების შემომღებლებზე, ავტორებზედ, რომელთაც მათს გაუმჯობესობაში გაესწრეს აშამს.

მიულქასტერი.

(1531—1611).

სწავლა-აღზრდის ისტორია, სიმართლით რომ ვსთქვათ, დღემდე არ არსებობს ინგლისში. ლიტერატურაში აღზრდის შესახებ ნემენცები პირველი პიონერები იყვნენ, მათ გაუკვალეს გზა ამ საქმეში კაცობრიობას და იგიც რამდენსამე საუკუნეს დადიოდა ამ გზით. მთელი ევროპა დიდის გულსმოდგინებით მეცადინეობდა ნემენცთა პედაგოგების სწავლა-მოძღვრების შესწავლას; მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში საფრანგეთში დაიწყეს მეცადინეობა სწავლა-აღზრდის სამშობლო ნიადაგზე დამყარებისა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მოკლე ხანში ჩვენშიაც დაიბადება სურვილი იმის გაგება-შესწავლისა, თუ რას ფიქრობდნენ და ან რას აკეთებდნენ სწავლა-აღზრდის საქმეში ჩვენი თანამემამულე წინაპრები.

ვინ არ იცის, რომ ყოველი გამოკვლევა უდიდესი მდინარის ტოტებისა ძალიან ძნელი საქმეა და თხოულობს დიდს გამოცდილებას და თავის დადებას, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც დარწმუნებული ვართ, რომ აღმოჩნდებიან იმისთანა გამბედავნი და უშიშარნი მუშაკნი, რომელნიც თავს იდებენ ყოველ ნაირ გაჭირვების და

სიძნელის მოთმენა-ატანას და შესწირავენ თავიანთ დროს და შრომას მეორე ამნაირსავე გამოკვლევას, იმნაირსავე დიდ მნიშვნელობიანს და სასარგებლოს,—სახელდობრ, იმის გამოკვლევას, თუ საიდგან მომდინარეობს სწავლის ის მეთოდი, რომელიც გაბატონებულია დღეს ჩვენს ინგლისურს სკოლებში.

XVI საუკუნეში სწავლა-აღზრდის კითხვათა შესახებ ბევრი წიგნები დაიბეჭდა; მათ შორის სამი „Governour" ელიოთისა, «Cholemaster» აშამისა და „Positions" მიულქასტერისა ახლახან ხელ-მეორედ დაიბეჭდნენ. ჩვენა გვგონია, რომ ინგლისელი გამომცემლები არ იზარალებდნენ, რომ მიულქასტერის მეორე შრომაც «Elementaries» და ედუარდ კოოტის „Englis Cholomaster"-იც გამოეცათ, თუმცა ეჭვ გარეშეა, რომ ვერც კოოტი და ვერც მიულქასტერი ვერ მოიხვეჭენ ისეთს პოპულიარულს სახელს და დიდებას, როგორც როჯერ აშამი.

ჰენრი ბარმარი, რომელიც კარგი მცოდნეა ჩვენის პედაგოგიურის ლიტერატურისა და რომელსაც ამ საქმეში მიუძღვის დიდი ღვაწლი, რაიცა ხდის მას ჩვენი დროის ერთ უდიდეს ავტორიტეტად, ამბობს, რომ მიულქასტერის დებულებანი (положенія) ერთ უკეთეს უპირველეს ტრაქტათაგანია ინგლისურ ენაზედაო. მართლაც მიულქასტერი გამოჩენილი პედაგოგი იყო და მისი შრომანი ცხადათ მოწმობენ, თუ რამდენად უკან დასტოვა მან თავისი თანამედროვენი. მას მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა: იგი ძალიან ბევრს ფიქრობდა თავის თავზედ და ამიტომ მის სტილს აზის თავ-მოწონებისა და გაზვიადებულობას ბეჭედი. თავისს საყურადღებო და საინტერესო თხუზულებაში „ელემენტარიებში" მიულქასტერი ამბობს: „ხელოვნება თავის წყობილების შესაქმნელად და განსავითარებლად ირჩევს ენის ერთს უკეთეს განვითარე-

ბის ხანას; ამ ნაირ ხანად ითვლება საბერძნეთში დემოსთენის და რომში ციცერონის საუკუნე. ინგლისურ ენისათვის ამ ნაირ ხანად ვაღვიარებ ჩვენს დროსა"; — შემდეგ იგი განაგრძობს: «ინგლისურის ენის დასაფასებლად, რომელმაც განვითარების უმაღლეს წერტილამდე მიაღწია, შექსპირის და სიმერსის თხუზულებათ კი არ უნდა მივმართოთ, არამედ მიულქასტერისას». ენის ღირსებათა ჩამოთვლის შემდეგ იგი უმატებს: „მაგალითები მე არ მომყავს, რადგან ჩემი ენა უკეთესი მაგალითიაო".

მეორე ალაგას თავის „ელემენტარიაში" იგი, თუმცა მართლად, შენიშნავს: „ბევრს ჩემს მკითხველთაგანებს, ძალიან განვითარებულებსაც, ვერ შეუგნიათ ჩემი სიტყვების სრული მნიშვნელობა და ვერ წარმოუდგენიათ ჩემ შეხედულობათა სრული სიღრმე". ასეთმა თავის-თავის გაზვიადებამ ძალიან ბევრი ავნო მის ლიტერატურულ სახელს (რენომეს).

მიულქასტერმა ძალიან დიდი სამსახური გაუწია სწავლა-აღზრდის საქმესა; მისი თხუზულებანი ცხადათ მოწმობენ, რომ გონივრული აღზრდა, რომელსაც ჩვენ მე-XIX საუკუნეს ვაწერთ, ჯერ კიდევ მე-XVI საუკუნეში აღიარებული იყო ინგლისელი პედაგოგისაგან.

ეხლანდელს დროში პედაგოგიკამ გადასწყვიტა: 1) აღზრდას მიზნად უნდა ჰქონდეს განვითარება ხხეულისა და სულისა; 2) სწავლების წესი (способъ) შეთანხმებული უნდა იყოს მოსწავლეთა გონების განვითარებასთან; 3) დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლის საქმეში პირველ ნაბიჯსა; მასწავლებლის ყურადღება და გამოცდილება ულმეტესად ამაზედ უნდა იყოს მიქცეული; 4) თავიდგან უნდა ავიცილოთ მოსწავლის გონების დაღალვა და მოქანცვა, ნამეტურ ნიჭიერისა; 5) ყმაწვილობა უცხო ენათა შესწავლაში არ უნდა იკარგებოდეს და ყმაწვილებმა პირველად კარგათ და საფუძვლიანათ უნდა შეისწავლონ.

სამშობლო ენა; 6) უნდა ასწავლიდნენ ხატვას და აჩვევდნენ ხელთ-საქმეს; 7) ქალების აღზრდა ისეთივე საჭიროა, როგორც ყმაწვილებისა; 8) ერთათ-ერთი საშუალება ჩვენი სკოლების გაუმჯობესობისა და განვითარებისა, გახლავთ თვით მასწავლებელთა ჯეროვანად აღზრდა და განვითარება. ყველა ეს ახალი პედაგოგიკის საფუძვლიანი მოთხოვნილებანი და მოსაზრებანი პირველად მიულქასტერისაგან იყვნენ წარმოთქმულნი და აღიარებულნი.

ვინემ შევუდგებოდეთ ზემოთ-მოყვანილ მიულქასტერის მუხლების დაწვრილებით გარჩევას, შევნიშნავთ, თუ რა ცუდი გავლენა ჰქონდა აღზრდაზედ სწავლა-განათლების და აღზრდის მოთხოვნილებათა ერთმანეთში არევ-დარევას. აშამის და მიულქასტერის ნაწერებში ჩვენა ვპოულობთ საგულისხმო ადგილებს, რომელნიც გვიმტკიცებენ, რომ იდეალი ნასწავლ და კარგათ აღზრდილ ადამიანთა მარტო უკანასკნელი დროის ნაშობი არ არის; მე-XVI საუკუნეში განათლება მარტო მდიდართა და წარჩინებულთ საკუთრებათ არ ითვლებოდა; იგი უმეტესად გონიერ და ნიჭიერ პირთ ეძლეოდა; მიუხედავათ ამისა განათლებულთა რიცხვი და, მაშასადამე, კარგათ აღზრდილთა რიცხვიც, იმ დროს ძალიან მცირე იყო; მიულქასტერი თავის «დებულებაში» ეძიებდა იმას, რომ განათლებულთა რიცხვი შემცირებულ იქმნას და იმავ დროს კი თხოულობს, რომ ყველამ, განურჩევლად წოდებისა და ხარისხისა, იცოდეს წერა-კითხვა; ნამდვილი დანიშნულება და მიზანი აღზრდისა კომენსკის-მიერ იქმნა გარკვეულ-გადაწყვეტილი, რომელიც თხოულობდა, რომ სწავლა-აღზრდა მთელი კაცობრიობის საკუთრებათ უნდა გახდესო.

მე-XIX საუკუნეში ჩვენ შორს არ წავსულვართ რიჩარდ მიულქასტერის შეხედულობიდგან — «ყოველი ნაწი-

ლი ჩვენი სხეულისა, ყოველი ნიჭი ჩვენი სულიერი თვისებისა,—ამბობს იგი,—თავის განვითარების უმაღლეს წერტილამდე უნდა იქმნას მიყვანილი»-ო. მეორე ადგილას იგი ამბობს: «აღზრდის დანიშნულებაა დაეხმაროს ბუნებას მის გაუმჯობესობაში; ყველა სულიერი თვისებანი საფუძვლიანად უნდა იყვნენ განვითარებულნი, გონივრულად დაწყებული და დაყენებული აღზრდა ჩვენ, თავის დროზედ, დიდს შემწეობას გაგვიწევს; ჩვენ გულმოდგინეთ უნდა აღვნიშნოთ ჩვენ მოსწავლეთა სულიერი თვისებანი და ვზარდოთ იგინი თანხმად ჩვენის დაკვირვებისა».

თავისი დიდებული ფანამედროვის მონტენის მსგავსად, მიულქასტერმაც მთელი თავისი ყურადღება სამოსწავლო საგნიდგან მოწაფეებზედ გადიტანა და ამით ჩაჰყარა საძირკველი აღზრდის მეცნიერებისა; არჩევს რა ჩვენი ბუნების სულიერ თვისებათ, იგი ამბობს: „ყოველ ჩაბეჭდილებას (ощущение) ჩვენ ხუთ გარეგან გრძნობათა შემწეობით ვღებულობთ: ყნოსვით, შეხებით, მხედველობით, გემოვნებით და სმენით; ეს გარეგანი ჩაბეჭდილებანი ვარდაეცემიან ჩვენს გონებას და ეხებიან რა გამოხატულებას ეძლევიან ჩვენს მეხსიერებას და შეადგენენ საფუძველს ჩვენის შემდეგის ცოდნისას.

ამნაირად მიულქასტერი ცდილობს დაამყაროს ჩვენი აღზრდის საფუძველი ბუნებისაგან მიმდინარე სულიერ თვისებებზედ. „თვითეული მოწაფისაგან, ამბობს იგი, ჩვენა ვთხოულობთ ნიჭს შესათვისებლად, მეხსიერებას დასამახსოვრებლად და გონებას გამოსაცნობლად“.

წიხნეთ უკვე აღვნიშნეთ, რომ აღორძინების იდეალმა დაბადა მოწაფეებისადმი მასწავლებელთა დაუდევნელობა და უყურადღებობა; მიულქასტერი შენიშნავს, რომ ძველს დროში ყმაწვილების აღზრდას დაბადების დღიდგანვე იწყობდნენო; თვითონ კი მათ აღზრდას იწ-

ყობს სკოლაში მიღებიდგან; იგი ურჩევს მასწავლებლებს, რაც შეიძლება ცოტა მოწაფეებით სწავლების დაწყებას; აქვე იმტკიცებს, რომ საჭიროა რიგიანად იყოს დაფასებული მასწავლებელთა შრომა, რომელნიც შესდგომიან პირველ-დაწყებითი სწავლების ძძიმე მოვალეობის შესრულებას; სწავლის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს დასაწყისს, და ამიტომ იგი რაც შეიძლება უკეთეს მასწავლებელთა ხელში უნდა იყოს"; მან აღიარა ჭეშმარიტება, რომელსაც, როგორც სხვა ამისთანა ჭეშმარიტებათ, ეარს ვერავინა ჰყოფს, მაგრამ სამაგიეროდ სისტემატიურადაა იგი ყველასაგან უყურადღებოთ მიტოვებული.

Nineteenth Century Magoune 1888 წ. ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა პროტესტი, რომელზედაც 400 კაცს უწერიათ ხელი ეხლანდელი სწავლის სისტემის წინააღმდეგ, რომელიც ნამდვილს აღზრდას სწირავს გამოცდას (ეკზამენს). ეხლანდელი ჩვენი სისტემა დაიბადა შემდეგი გარემოების წყალობით; ვინჩესტერის და იტონის საუფლებლებს დიდი უფლება და შეძლება ჰქონდათ მოპოვებული; ესენი სტოვებდნენ სკოლაში მხოლოდ უკეთეს და უნიჭიერეს მოწაფეებს, უფლების მოსაპოვებლად და ჩვენც ვხედავთ, რომ ბევრი მოსამზადებელი სკოლები, ახლად მოპოვებულ უფლებათა წყალობით გარდაიქცნენ რაღაც სადოღედ, სადაც 12 თუ 14 წლის ყმაწვილები ეჯიბრებიან ერთმანეთს სტიპენდიის აღებაში. ფულების და უფლების ძებნაში სკოლებმა დაივიწყეს თავისი უმთავრესი დანიშნულება—აღზრდა.

ეს არ მოხდებოდა, მიულქასტერის რჩევა-დარიგებისათვის რომ დაეჯერებინათ.—„უგუნურობაა,—ამბობს იგი; მცირე სარგებლობისათვის კაცმა დაჰკარგოს დიდი უპირატესობანი. ნუ თუ იმ კაცს არ დავემსგავსებით, რომელიც თავის დაჩვეულ დროზე ადრე დგება, რომ დილის ერთი საათი მოიგოს და ამის გულისათვის კი

მთელ დღესა ჰკარვავს". ევროპა ძალიან დიდს მოგებაში იქნებოდა, რომ სწავლა-აღზრდის საქმეში შტურმი მიეტოვებინა და მიულქასტერს მიჰყოლოდა; მიულქასტერმა პირველმა აღამაღლა ხმა სამშობლო ენის საფუძვლიანად შესწავლასა და სარგებლობაზედ. იგი თხოულობდა, რომ ყმაწვილებს პირველად კარგათ ესწავლათ წერა-კითხვა ინგლისურ ენაზედ და შემდეგ ეწყოთ ლათინური ენის შესწავლა; მისი ელემენტარული კურსი შეიცავს შემდეგ საგნებს: კითხვას, წერას, ხატვას, გალობას და ერთ რომელსამე მუსიკალურ იარაღზე დაკვრას. ეს საგნები უნდა ესწავლათ ყმაწვილებს 12 წლამდე. მიულქასტერი ამტკიცებს, რომ ოთხ წელს 12—16 წლამდე, უფრო ბევრის გაკეთება შეიძლება, ვინემ ჩვეულებრივ ათ წლიურ ვადის დროს 7—17 წლამდე საზოგადო სკოლებშიო. სკოლა ყმაწვილებისათვის სატანჯველ ადგილად ხდება, თუ ძალიან დიდხანს რჩებიან იქ, ხოლო როცა სწავლა ნაკლებ დროს სწარმოებს, მაშინ იგი ბავშვების ნამდვილი გასართობი ადგილიაო.

მე-XIX საუკუნემ სწავლა-აღზრდის საქმეში დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ. მიქცეულ იქმნა ჯერ-ერთი ყურადღება ქალების აღზრდაზედ. წარსულ საუკუნეში დედათა მდგომარეობა უფრო ცუდ გარემოებაში იყო, ვინემ მაზე წინანდელ საუკუნეში; თუ სურდა მიეღო რაიმე საზრდო თავის გონების განსავითარებლად, მას ეს ჩუმად უნდა ჩაედინა, თორემ იგი საზოგადოებაში დაჰკარგავდა თავის ღირსებას. მე ვიცი, ზოგიერთნი მეცნიერნი არ დამეთანხმებიან ამაში, მაგრამ სრულიად სარწმუნოთ მიმაჩნია მოწმობა იმასთანა ცნობილ და კეთილ-სინიდისიერ მკვლევველისა, როგორიც იყო აღზრდის კითხვებში განსვენებული ჟოზეფ პენანი, რომელიც ამტკიცებს, რომ კოროლევა ელისაბედის დროის ქალები უფრო განვითარებულნი და განათლებულნი იყვნენ, ვინემ XVIII სა-

უკუნის ქალებიო. ამ კითხვის შესახებ მიულქასტერის მოწმობა რამდენადაც ძვირფასია, იმდენადვე დასაჯერებელი და საბუთიანი; იგი არამც თუ ესარჩლება ქალების განათლების, არამედ თვითონვე ამტკიცებს, რომ თვით ჩვეულება მისი სამშობლოსი ანიჭებს დედაკაცს თავის-თავის განვითარების უფლებას.

დანარჩენმა სასწავლებლებმა მათის მიბაძვით დააწყეს მეცადინეობა ამავე ახალ რეფორმათა შორის, ეჭვ გარეშეა, ყველაზე უკეთესი და სასარგებლო მასწავლებელთა საოსტატოდ მომზადებაა. ამ კითხვაშიაც, როგორც დანარჩენ აღზრდის შესახებ სხვა კითხვებშიაც ჩვენ ინგლისელები ძალიან უკან ჩამოვრჩით; ამ საქმეში უფრო ბევრი გააკეთეს შეერთებულმა შტატებმა და დანარჩენმა ევროპამ. ამავე დროს კი ჩვენმა მწერლებმა დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება იმ უდიდეს გავლენას, რომელიც აქვს მასწავლებელს ახალგაზდობის განათლებაზე და გამოსთქვეს, რომ ეს გავლენა მაშინ უფრო ნაყოფიერი და სასარგებლო იქნება, როდესაც მასწავლებელი საფუძვლიანად შეისწავლის თავის ხელობას და გაიცნობს ყოველ იმას, რაც თქმულა, და გაკეთებულა ამ კითხვის შესახებ. ყოველ ხელობას აქვს თავისი საკუთარი სალარო ცოდნისა და გამოცდილებისა და ვისაც სურს ნაყოფიერად იმოღვაწეოს ამ ხელობაში (პროფესიაში), უპირველეს ყოვლისა, საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს მის ცოდნათა სალარო და საუნჯე *). რამდენადაც ვიცით, მიულქას-

*) ჯონ ბრინსლეი, აღზრდის საქმეში ერთი უკეთესი მწერალთაგანი, თავის თხუზულებაში: „Consolation for our zrammar Schooles“, რომელიც დაიბეჭდა XVI საუკუნის დასწყისში, ამბობს: „როგორც სხვები, ისე მეც ხანგრძლივი შრომით და კამოცდილებით შეკიგენ ის მრავალ-მსრიანი ბორტება, რომელიც მოაქვს ჩვენს სკოლას სწორი და კადა-

ტერს პირველს მოუვიდა აზრათ საოსტატო სასწავლებლის დაარსებისა. მან შეადგინა გეგმა უნივერსიტეტში რამდენიმე სპეციალური ფაკულტეტებისა, მათ შორის ერთი მასწავლებელთათვისაც. მისი პროექტი უნივერსიტეტის ლექტორთა შესახებ დღეს მიღებულია; 1879 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტში დამტკიცებულ იქმნა მასწავლებელთა მოსამზადებელი სინდიკატი; იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთივე ფაკულტეტები მალე დაარსებულნი იქმნებიან ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში. თხოულობს რა მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესობას, მიულქასტერი ამბობს: „რატომ წესიერად არ უნდა მოვამზადოთ ჩვენი მანწავლებლები და არ ვიზრუნოთ სკოლებზედ? ნუ თუ გონებითი განვითარება და ფიზიკური ჯანმრთელობა ჩვენი შვილებისა არ უნდა იპყრობდნენ ჩვენს ყურადღებას? თუ საკურთხეველს ჰყავს თავისი მსახური, სამრეკლოს ზარს მრეკავი, მით უფრო უნდა ვიზრუნოთ და ვიფიქროთ ჩვენს სკოლებზედ და ჩავაბაროთ იგინი კარგათ მომზადებულ და განათლებულ აღმზრდელებს. ისინი, ვინც არა გრძნობენ საოსტატო სემინარიის საჭიროებას, ღირსნი არ არიან ჰყავდეთ თავიანთ შვილების აღმზრდელებად კარგად მომზადებული მასწავლებლები. უეჭველად უნდა მივცეთ საჭირო განათლება იმ ახალგაზრდებს, რომელნიც მთელ თავის სიცოცხლეს შესწირავენ სკოლას. ხომ ეძლევათ საჭირო განათლება მღვდლებს, ექიმებს და კანონმდებლებს; ეხ-

---

წუმეტოლი სწავლების სისტემის უქონლობით; ვცადე რა საქმის წაუვანა სხვა ნაირად, კარგათ შემუშავებულის და გარკვეულის მეთოდით სარგებლობა, მე დავრწმუნდი ამ ნაირი სისტემის პრაკტიკულ სარგებლობაში და ღვთის მადლით შევუდექი ჩემს მრავალწლიან შრომას.

თუ ოდესმე ადწევენ ხეირიან და სასურველ შედეგს, ამბობს იგი სხვა ადგილას, ადწევენ საწყალი მასწავლებლის ურიცხვი ტანჯვა-ვაებით და მოწაფის უსაზღვრო შრომით და შიშით. ეს კი იქიდგან წარმოსდგება, რომ ძნელად თუ ვისმეს, რომელნიც კისრულობენ მძიმე მოვალეობას უმაწვილების სწავლებისას, აქვს რაიმე წარმოდგენა სწავლების სწორ მეთოდზედ.

ლანდელ მასწავლებელთა უნუგეშო გარემოებაში დიდ-ხანს არ რჩებიან სამასწავლებლო ასპარეზზე ნიჭიერნი მასწავლებ ლნი და ცდილობენ სხვა ადგილების შოვნას. ამ გარემოებათა წყალობით დღეს ჩვენი სკოლა არა სა-ნატრელ მდგომარეობაში იმყოფება. უეჭველად საჭიროა დაარსდეს მასწავლებელთათვის საგანგებო სპეციალური სასწავლებლები, სადაც შეეძლოთ მათ მიიღონ მათი მო-მავალი მოქმედებისათვის საჭირო განათლება. აქ მათ უნ-და გააფართოვონ თავიანთი ცოდნანი ენებში, შეისწა-ვლონ, თუ როგორ უნდა ასწავლიდენ ყმაწვილებს, და შეითვისონ ყველა ის ცოდნანი, რომელნიც საჭირონი იქმნებიან მათ მომავალ სამასწავლებლო მოქმედებაში".

მიულქასტერი დიდხანს იყო დავიწყებული, მაგრამ ვინც ინგლისის სწავლა-აღზრდის ისტორიის წერას შე-უდგება, არ შეიძლება არ მოიხსენიოს იგი, როგორც ერ-თი გამოჩენილი პედაგოგთაგანი *).

ალ. ტატუნაშვილი.

---

*) აი ის მცირე ცნობანი, რომელნიც მოგვეძებნება მი-ულქასტერის ცხოვრების შესახებ: იგი დაიბადა კუმბერლიან-დში 1530 ან 1531 წელში; ჩამოშვლობით ეგუთვნოდა კარგ შეძლებულ აზნაურის ოჯახსა; 1555 წ. იგი შევიდა ქრისტეს სკოლაში, სამის წლის შემდეგ მას გზავნიან ლონდონში მა-სწავლებლად, და რამდენიმე ხნის შემდეგ ტაილორის სკოლის გამგედ, რომელიც 1561 წ. დაარსდა; ამ ადგილზედ მან და-ჰყო 25 წელიწადი, 1586 წლამდე; ძნელია გადაწყვეტით იმის თქმა, თუ როდის გადავიდა წმ. პაგლეს სკოლაში, მხოლოდ ვიცით, რომ 1596 წ. იგი ამ სკოლის უფროსად ითვლება და 12 წელს რჩება ამ თანამდებობაზედ. თუმც კორნელიუს ელისაბედმა დანიშნა იგი Standfard Reuer-ის რექტორად, მაგრამ იგი მაინც წინანდელ თავის ადგილზედ რჩება 1608 წლამდე; 1581 და 1582 წლებში მან გამოსცა ორი წიგნი, რომელთა მეოხებით დაიჭირა სათვალსაჩინო ადგილი ინგლი-სის სწავლა-აღზრდის ისტორიაში; პირველი იყო მისი Positions და მეორე „Elementaries". მისმა, ვგონებ უფრო შე-სანიშნავმა შრომამ: «Coto christianus» ჩვენამდე არ მოაღწია.

ჰენრიხ პესტალოცცი,

როგორც კაცი და პედაგოგი.

(დ. 1746 წ. გ. 1828 წ.).

ამ ასი წლის წინათ, შვეიცარიაში სცხოვრობდა პატარა სახლობა ექიმის პესტალოც-

ჰენრიხ პესტალოცცი.

ცისა. ექიმს ბევრი შვილები ჰყვანდა, მაგრამ მათში განსაკუთრებით შესანიშნავი იყო სულ პატარა, რომელსაც ერქვა ჰენრიხი. მისი გამზრდელი იყო ერთი უბრალო გლეხის დედაკაცი, ოჯახისთვის ფრიად თავდადებული, რისგამოც მთელს ოჯახს ისე უყვარდა ის, როგორც ღვიძლი ნათესავი. თავის სიკვდილის შემდეგ, ოჯახის მამამ დასტოვა შვილები ყოვლად უმოწყალოდ დედისა და ამ გამზრდელის ხელში. მუდმივს კაჭირვებაში ყოფნის გამო დედას მალე დაეხოცა ყველა შვილები, გარდა ჰენრიხისა. ყველა, ვინც კი გაიცნობდა ჰენრიხს, უმალვე ამჩნევდა, რომ ის მეტად კეთილი და მოსიყვარულე გულის ბალღი იყო. და არც გასაკვირველი იყო ეს, რადგანაც, მიუხედავად სილატაკისა, რომელსაც ითმენდნენ მისი დედა და გამზრდელი, ჰენრიხი შინ მხოლოდ კარგს მაგალითს ხედავდა და ყოველს წუთს განიცდიდა მხურვალე სიყვარულს დედისა და გამზრდლისას. დილიდგან, ვიდრე გვიან საღამომდე, შრომობდნენ ორთავე დედანი, მუდამ სრულის ურთიერთშორის თანხმობით და ყოველისფერში ურთიერთის დახმარებით და შეშველებით. ორთავენი ერთთავად მუდამ მზად იყვნენ ყოველისფერი მოეკლოთ თავის თავისათვის, ოღონდ მათს დიდად საყვარელს ჰენრიხს კი არა მოჰკლებოდარა. ამიტომ, თვით ჰენრიხიც ადრე შეიქმნა ყველას მოსიყვარულე და შემბრალებელი, მით უმეტეს, რომ თავის გარშემო, მახლობლად მდებარე სოფლებსა და დაბებში, იგი სილატაკეს ხედავდა იმისთანას, რანაირიც თვითონაც არასოდეს არ გამოეცადნა. ხშირად, როცა ის ხელში პურის ნატეხით ქუჩაში გამოდიოდა და დაინახავდა შიმშილისაგან მოტირალ ბავშვს, იგი მაშინვე გაუყოფდა მთელს თავის საუზმეს და იწყებდა მასთან თამაშობას.

როდესაც ჰენრიხი სკოლაში მისცეს, იქაური ცხოვრება ვერაფრად მოეწონა. უნდა გამოვტყდეთ, რომ ჰე-

ნრიხმა, ყოველ თავის კარგ თვისებებთან, ადრე იწყო ჩენა ერთის ნაკლულევანებისა. იგი მარად გულ-ძავიწყი და აბრანძულ-დაბრანძული იყო. რანაირად არა სტუქ-საოდნენ მას ამისათვის შინაურები, რანაირად არა ცდილობდნენ ესწავლებინათ მისთვის წესი და სისუფთავე, იგი მაინც მუდამ მთელს დღეს დაუვარცხნელი და ურიგ-მარიგოდ ჩაცმული დადიოდა.

რასაკვირველია, რომ შესძლებოდათ მუდამ თვალი სჭეროდათ მის ჩაცმა-დახურვაზედ და სისუფთავეზედ, და გაუჭუჭყიანდებოდა თუ არა, მაშინათვე გამოეცვალნათ მისთვის ჭუჭყიანი ტანსაცმელი, ყმაწვილიც, ეჭვი არ არის, მიეჩვეოდა სიფაქიზეს და შეიქმნებოდა შემდეგში წესიერ კაცად,—მაგრამ დედა და გამზრდელი მისი სი-ღარიბის გამო უფრო ლუკმა პურის მოპოვებაზედ ზრუ-ნავდნენ და შვილის წესიერ აღზრდას იმდენად ყურადღე-ბას ვერ აქცევდნენ.

მოხსენებულ გულ-ძავიწყობის გამო ჰენრიხის სწა-ვლა სკოლის პირველ წლებში ძალიან ცუდათ მიმდინა-რეობდა და იგი სულის სიმწარით გარბოდა სკოლიდგან თავის პაპისაკენ, სოფლის მღვდლისაკენ. რა იზიდავდა მას პაპისკენ? ჰენრიხი ხედავდა პაპას, გარეშემოხვეულს სო-ფლებითა და მათი ბავშვებითა. მან სწრაფად შენიშნა, რა მხურვალედ აძლევს პაპა რჩევა-დარიგებებს, ასწავლის და ჰშველის ყველას, ვინც კი მას მიმართავდა, როგორ დაწვრილებით იკვლევს თვითეულის შინაურ ცხოვრებას, —მაშინ როდესაც სხვანი, რომელთანაც მას დამოკიდე-ბულება ჰქონდა, ფიქრობდნენ მხოლოდ თავის თავზედ და თავიანთ სახლშიაც იშვიათად სცხოვრობდნენ გან-წყობით და მშვიდობიანად. ჰენრიხმა ძრიელ კარგად შე-იგნო, რომ პატივის ცემა და სიყვარული, რომელსაც ყოველი მხრიდგან უძღვნიდნენ მის პაპას, სრულიად მი-სგან იყო დამსახურებული. იგი სულით და გულით ეკ-

ვეთებოდა მოხუცს, დაწვრილებით ეცნობოდა საწყალი სოფლელების ბავშვებს, უმეგობრდებოდა მათ. ხშირად მაშინვე ხედავდნენ ჰენრიხს დაღონებულს და მოწყენილს, მოთამაშე ტოლებში მდგომარეს. აზრი, თუ როგორ და რით უშველოს საწყლებს, რომელთ უბედურება და გაჭირვება ისე ხშირად ჰქეჯნიდნენ მის სულსა და გულსა, ჯერ მაშინვე დაებადა გულ-ჩვილს ჰენრიხს. ჰენრიხი ხშირად ისე მიეცემოდა ამ აზრებს, რომ მთელი საათობით არ ესმოდა, რაც მის გარშემო ხდებოდა და მხოლოდ კივილს რომელიმე შეურაცხყოფილის ყმაწვილისას შეეძლო დროებით მისი განრინება მათგან და გაგულისიანება შეურაცხების მყოფელისათვის მისავარდნათ.

როდესაც პესტალოცცს დაებადა სურვილი ხალხის სწავლებისა, იგი თვითონაც ბეჯითად შეუდგა სწავლას გიმნაზიაში, სადაც გადაიყვანეს ის სოფლის სკოლაში სწავლის შემდეგ. რომ ხალხისათვის სარგებლობა მოეტანა, მან პირველად პასტორად (მღვდლად) გახდომა განიზრახა. მაგრამ პირველმავე უხეიროდ ნათქვამმა ქადაგებამ შეაცვლევინა მას თვისი გარდაწყვეტილება. ამასთანავე მას საკმაოდ არ მიაჩნდა მცირე მრევლის სწავლება, და მან იწყო ფიქრი იმაზედ, რა კაცი უნდა გამოსულიყო, რომ არამც თუ მარტო ესწავლებინა საწყლებისათვის არამედ უფლებაც ჰქონოდა გაეუმჯობესებინა მათი უბედური მდგომარეობა. მას უნდოდა გამხდარიყო სახელმწიფო კაცად, რომ თვით ეწერნა კანონები და განედევნა თვისი სამშობლოდგან ხალხის შემავიწროებელნი. მაგრამ საბაგიეროდ იგი თვით იქმნა გაძევებული იმ არემარიდგან, რადგანაც მმართველნი მოუსვენარ კაცად სთვლიდნენ მას. ხალხში ტრიალის დროს, იგი ცდილობდა ჩაეგონებინა, რომ ყველა მაშინ იქნება ბედნიერი, როდესაც ერთ სულ და ერთ ხორც იქნებიან,

როდესაც ყველანი ძმურად უშველიან ერთმანერთს, როდესაც სოფლის ძლიერნი აღარ გაჰყიდიან საქონელს ერთი სამად, არ გაასესხებენ ფულს დიდის სარგებლით და სხვა. იგი ჰკიცხავდა ასეთებს და სხვებსაც აქეზებდა ყოველი ბოროტების წინააღმდეგ, მკაფიოდ უხსნიდა, როგორ ატყუილებდნენ ისინი საწყლებს, როგორა სარგებლობდნენ მათის სიღარიბით და უცოდინარობით, რათა თავათ უფრო მომეტებულად გამდიდრებულიყვნენ. ამის გამო მას ჰყავდა მრავალი მტერი, თითონ იმათგანაც, ვისთვისაც ის ასე თავდავიწყებით ზრუნავდა და ცდილობდა, რადგანაც სოფლის თავი კაცნი, რომელთ ხელშიაც იგინი იყვნენ, ცდილობდნენ პესტალოცის საქციელნი ხალხისთვინაც ცუდის მხრით აეხსნათ. უკანასკნელმა შემთხვევამ იგი ძლიერ შეაფიქრიანა. — «რატომ», — იმეორებდა იგი ათასჯერ, — „არ უნდა ამ ხალხს მერწმუნოს, როდესაც მე მზათა ვარ შევსწირო მთელი თვისი სიცოცხლე მათს ბედნიერებას? — იმიტომ, — სასწრაფოდ გარდასწყვიტა მან, — რომ მათ არ ძალუძთ არაფრის კანსჯა და მოსაზრება. მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მათთვის **მოსაზრებისა და მსჯელობის სწავლება**, და მაშინ იგინი თვით შეიძლებენ გარჩევას პატიოსანის კაცისას, მისგან, ვინც მათ ავიწროვებს, სწოვს ტვინსა, და მასთან მადლობასაც ახდევინებს». მან თავი ანება ყველაფერს, რითაც მანამდე მორბედობდა და გადასწყვიტა შესდგომოდა **ბავშვების სწავლა-აღზრდას**. ამისათვის მან გახსნა თავშესაფარი საწყალ ბავშვებისათვის. იგი სცხოვრობდა მათთან ერთის ცხოვრებით, ასწავლიდა წერაკითხვას და მოღვაწეობდა მათთან ერთად. მაგრამ, რაწამსაც ცუდად წაუვიდა თავშესაფარის საქმეები, რადგან პესტალოციმ, თვითონაც სრულიად გამოუცდელმა ცხოვრებაში, არაფერი იცოდა სახლის პატრონობისა, ყველა მხრიდგან

მიაყარეს მას კიცხვა, ქოქოლა, ცილისწამება და ყველ-
რება. მაგრამ იგი მაინც განაგრძობდა დაუღალავად მო-
ღვაწეობას ყმაწვილებთან, სცხოვრობდა სავსებით გლა-
ხურად, ხშირად მარტო ერთის დამპალის კარტოფილით
იკვებებოდა, მთელს სასარგებლო საზრდოს კი უზოგავდა
სადილად თვის მოწაფეებს. თუმცა ასე თავ-დავიწყებით
ღვწოდა იგი, თავშესაფარი ბოლოს მაინც დაეკეტა,
რადგან აღარავითარი საშუალება აღარ გააჩნდა. ძნელად
გამოითქმის ენით, რა სამძიმო და საწყენი იყო პესტალო-
ცცისთვის ამოდენა წვალებით დაწყებული საქმის ჩაფუ-
შვა და მრავალთაგან ბოროტი დაცინვა.

რამდენიმე წლის შემდეგ, რომელნიც მან, თუმცა
ბავშვებს აღარ ასწავლიდა და სხვა დიდს მოღვაწეობაში,
ატარებდა დროს—სახელდობრ, მრავალ სასარგებლო
წიგნებსა სწერდა ხალხის საკითხავად,—მან კვალად მოა-
ხერხა გახსნა საყვარელ სკოლისა.

იმ დროს, იმ არემარეზედ, სადაც ცხოვრობდა პე-
სტალოცცი, ომიანობა იყო და მრავალი ყმაწვილები
დარჩნენ სრულიად უპატრონოდ. აი ეს ბავშვები და ყვე-
ლა სხვა უბინაოები, მატანტალანი და გლახაკნი მიიღო
მან თავის სასწავლებელში. ყველა ეს ბავშვები ფრიად
სამწუხარო მდგომარეობაში იყვნენ: ჭუჭყიანე-
ბი, მუნიანები, მუწუკიანები და გამხდარნი სიცივისა,
შიმშილისა და ყოველნაირ სნეულებათაგან, იგინი უფრო
ადამიანის ჩონჩხებს ჰგვანდნენ, ვიდრე სულდგმულ ადა-
მიანებს. გარდა ამისა, რომელნიც უფრო უკეთესად ჩა-
ცმულები იყვნენ, იმათ შორს ეჭირათ თავი და არავითა-
რი კავშირი არ უნდოდათ ჰქონოდათ იმისთანა აბრან-
ძულებთან, როგორებიც იყვნენ პესტალოცცისგან თავ-
შესაფარში მიღებულნი, და ფრიად უზნეო და გარყვნი-
ლი ბავშვებიც იყვნენ. გლახაკობას და მატანტალობას
მიეჩვია ისინი მათხოვრობისა, სიბრიყვისა და მცენარეო-

ბისათვის. ბევრი მათგანი მხოლოდ იმიტომ შემოდიოდა სკოლაში, რომ იმედიანობდნენ ყოვლად უშრომლად მიეღოთ საზრდო. აი ამისთანა ბავშვების ბრბოთი გაივსო სკოლა პესტალოცისა, და იგი მარტოდ-მარტო და ყოვლად უშემწეოდ და უმოსამსახურეოდ შეიქმნა მათ მასწავლებლად, სახლის მცველად, მოსამსახურედ, გამზრდელად, ლალად, ავადმყოფთა მომვლელად, მოსიყვარულე მამად, უფროსად. ყოველი შემწეობა, რომელშიაც კი ვინმე მათგანი საჭიროებდა, ყოველ ნაირი დარიგება—ყველაფერი მარტო მისგან იყო, მარტო მის გულიდგან გამომდინარეობდა. თუ ვინმე ყმაწვილებთაგანი მოიწყენდა, იგინი მასთან მირბოდნენ თვისი დარდის შესაჩივლელად, ინაღველებდნენ ერთად და უკეთ შეიქმნებოდნენ. ხოლო, როდესაც იგინი მხიარულად იყვნენ, რა ბედნიერება იყო ეს პესტალოცისთვის! იგი ივიწყებდა თვის ხნოვანებას, ხტოდა, დარბოდა, მხიარულობდა მათთან;—ავად თუ გახდებოდა ვინმე, იგი მთელი ღამე თავიდგან აღარა შორდებოდა ავადმყოფს. მიუხედავად ღამის ტეხისა, იგი დილაადრიან იწყებდა თვისი სკოლის დალაგებას, შველოდა ჩაცმაში უმცროსებს და უსუსურებს. ბავშვებსაც, როცა ხედავდნენ ისინი თუ როგორ შრომობდა მათი მამა-მასწავლებელი, სცხვენოდათ უხელგამომაყალად ჯდომა, უჩუმრად ამოუდგებოდნენ მას მხარში და შველიდნენ მუშაობაში. მაგრამ შრომას მიუჩვევარნი ბავშვები კიდევ დიდხანს უბედავდნენ მას ყოველნაირ მკვახე სიტყვებს და ახდენდნენ ათასგვარ უსიამოვნებას. მაინც ცოცოტად ყველა ძლიერ ეკვეთებოდა მას. ყოველმა მათგანმა თითქმის ხომ პირველად მისგან იხილეს სიყვარული და ალერსი!.. ხშირად, როდესაც იგინი ეკონებოდნენ მის გულს, პესტალოცი ჰკითხავდა მათ: «ისურვებთ თუ არა თქვენ, როცა გაიზრდებით, ჩემებურად ცხოვრებას, საწყალთა და უბედურთა ბრბოში, მათ საწვრთნელად

და სხვათა კაცთა გასაკეთილშობილებლად?» ჩვეულებრივ ყველანი თვალ-ცრემლიანები უპასუხებდნენ: „ღმერთმა ქმნას, რომ ჩვენც მანამდინ მივაღწიოთო!“.

და, მართლაც, მოწაფეებმა პესტალოცცისამ მალე დაამტკიცეს საქმით, რომ იგინი გამოიცვალნენ და სურდათ მიებაძნათ თვისი მამისა და მასწავლებელისათვის.

ერთხელ, მიდამო არემარეზედ, ცეცხლმა გადასწვა მთელი სოფელი. როდესაც ბავშვებს ემასლაათებოდა ამ შემთხვევაზედ, პესტალოცციმ წარმოსთქვა: „იქნება, ბავშვებო, ამ წუთს იქ უსაქმოდ დატანტალობდეს ასამდე ყმაწვილი უბინაოდ, უსაზრდოოდ და უტანისამოსოდ; გსურთ თუ არა თქვენ იმათგან ოცამდე კაცს მაინც მივცეთ თავშესაფარი ჩვენს სახლში?“—„დიახ, დიახ, გვსურს!“—შესწიწინებდნენ მას პასუხად.

—„კარგათ იცით თქვენ, რომ ჩვენი საშუალებანი უიმისოთაც ნაკლებია; ჩვენც თვით ძალიან ხშირად ვსაჭიროებთ, და ამიტომ ბევრი ვიშრომოთ, ხოლო ამ საწყალთათვის თქვენ იძულებული იქნებით უფრო ბევრი იშრომოთ, ნაკლებათ სჭამოთ, თითქმის უნდა გაუყოთ მათ თქვენი ტანისამოსიც...

— დეე, ყველანი აქ მოვიდნენ! ჩვენ ყველაფერს მოვითმენთ!..—უპასუხეს ბავშვებმა,—ჩვენ ყველანი თანახმანი ვართ მეტი ვიშრომოთ და ნაკლებ ვსჭამოთ!“.. ეს იყო უუბედნიერესი, უუკეთესი წუთნი პესტალოცცის ცხოვრებაში, რადგანაც იგი ხედავდა, რომ მისმა ღვაწლმა უბრალოდ არ ჩაიარა და ბრიყვი მოტანტალენი ასეთი კეთილი და გულშემატკივარი ადამიანები შექმნენ.

ასე ილვწოდა ეს კაცი მთელს თავის სიცოცხლეში, თვით სიკვდილამდე.

და თუ ეხლა ალარ სცემენ მოსწავლეთ სკოლებში თავსა და ხელებში, არ აკბილვინებენ ყველაფერს თუთიყუშურად, ფიქრობენ, როგორ გაუადვილონ მათ ძნელი გაკვეთილი,

ზრუნავენ, რომ მათ კარგათესმოდეთ, რასაც სწავლობენ, და უყვარდეთ სწავლა და შრომა, — ყველა ამით მოსწავლენი ყველაზე მეტათ მადრიელნი უნდა იყვნენ ჰეინრიხ პესტალოცისა, რომელმაც დაუმტკიცა საქმით მთელს ქვეყანას, რომ ყმაწვილების კეთილად და გონივრულად აღზრდა უცემატყეპოთაც შესაძლებელია...



გ. ელგანდაშვილი.

გულის-ყური *).

(დასასრული).

V.

ეუმც გულის-ყური ერთია, მაგრამ წარმოადგენს ორს სახეობებას ანუ ტიპს: **უნებლიეთი ანუ პასიგური გულის-ყური**, **რომელიც** ბუნებითი ნიჭია **და** ნებითი **ანუ აქტიგური გულის-ყური, რომელიც ხელოვნურია**. პირველ შემთხვევაში გულის-ყურს იწვევს და იპყრობს ცოტად თუ ბევრად რაიმე მოვლენა, შთაბეჭდილება, ჩვეულება, აზრი, **აღძრული** გრძნობა, წადილი, აფეკტი თუ ვნება და სხ., მეორე შემთხვევაში კი გულის-ყურს იწვევს და აჩერებს რაიმე გრძნობაზე, აზრზე ან სურვილზე, ამ-უშავებს ცოტა თუ დიდხნობით მხოლოდ **ნებ**ა. განვიხილოთ ჯერ **პირველი** ტიპი.

უნებლიეთი ანუ პასიგური გულის-ყური იმყოფება ყოველი ცხოველის და ადამიანის სულში, იმისგანვეა შემდეგ კულტურითა და განვითარებით წარმოშობილი ნე-

---

*) იხ. «**მოგზაური**» № 3 **და** 4, 1903 **წ**.

ბითი გულის-ყური. სული ცდილობს, რომ გულის-ყური არ იყოს ერთ რომელიმე შთაბეჭდილებაზე ან აზრზე დამყარებული, მას სურს, რომ იგი გადადიოდეს სხვა და სხვა აზრებზე და გრძნობებზე, ერთი სიტყვით, იყვეს დაფანტული; სულის ამ გვარ მდგომარეობას ეწოდება **პოლიიდეიზმი** ანუ **მრავალ-აზროვანება** და **დიფუზია**. ამ რიგად სულს უნდა, რომ ყოველი მისი ნაწილი თუ ელემენტი იყვეს მოძრაობაში, მოქმედებაში და სიცოცხლეში, ყოველი გარე შთაბეჭდილება მიიღოს და შეითვისოს შესაფერად. როდესაც გულის-ყური შეპყრობილია გვარიან ხანს რაიმე აზრით თუ აფეკტით, მაშინ სულის სხვა მხარეები რჩებიან უმოქმედოთ, თითქმის მიძინებულია და უძრავი, **ამიტომ** სულის ამგვარი მდგომარეობა ნორმალურია; ამგვარ ყოფას ჰქვიან, როგორც ვიცით, **მონოიდეიზმი**; სული ცდილობს მალე გამოვიდეს ამ გვარ მდგომარეობიდან და იყვეს **პოლიიდეიზმში**.

როგორც წინეთ ვთქვით, გულის-ყურს უნებლიეთ უფრო ხშირად იპყრობს რაიმე აფეკტი, სიყვარული, შური, შიში და სხვა. ადამიანს შეუყვარდება მეტად რაიმე საქმე ან ხელობა; მათ დაამყარებს თავის გულის-ყურს და გააკეთებს ბევრს საკეთილო და სასახელო საქმეებს. მაგ., თუ ჩვენ მართლაც გვიყვარს პედაგოგიკა, მეურნეობა, ექიმობა და სხ. არ ვეტანებით მათ ძალდატანებით, შეგვიძლია უნებლიეთ დავამყაროთ ამ საქმეებს ჩვენი გულის-ყური, მთელი სულიერი ძალა, ვპოვოთ ამათში უუდიდესი სიამოვნება და მით მოვუტანოთ საზოგადოებას და ჩვენს თავს დიადი სარგებლობა. თუ რამე კარგი გაკეთებულა ქვეყანაზე, თუ რაიმე სასარგებლო მოუგონია, თუ ბუნების საიდუმლოებანი გაუგიათ, თუ რამე ცოდნა-მეცნიერება დაუარსებიათ, განუვითარებიათ და გაუბედნიერებიათ კაცობრიობის სული, ეს დიადი საგმირო საქმეები ჩაუდენია უმეტეს წილად იმ კაცებს,

რომლებიც ყოფილან გამსჭვალულნი თავის საქმისადმი ძლიერი სიყვარულით და ცოდნის მოყვარეობით. აგრეთვე ხშირად აქვთ ამისთანა კაცებს თავიანთი ძალ-ღონის და კეთილ შრომა-მოქმედების ღრმა შეგნებული რწმენა, რომელიც ეგრეთვე ერთი უუდიდესი ფაქტორია. ამიტომ ამ გარემოებას დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. დიდათ სამნიშვნელოა ყმაწვილს თავიდანვე შეაყვარო შრომა, სწავლა, კეთილი მოქმედებანი, რომ მან ერთის მხრით შეაჩვიოს ამ საქმეებს ნერვები, სხეული და გაუხდეს ჩვეულებად, მეორე მხრით იშოვოს მომხრედ სულის ერთი ურმთავრესნი ბურჯნი: სიყვარული და სიამოვნება, რომ შემდეგ ამათ მიემხრონ ნება-სურვილი, მისწრაფებანი, წადილი, ცნობიერება და ამ გვარად სულმა ამ საქმეებს მოანდომოს მთლათ თავისი ძალა და არ დახარჯოს იგი ტყუილ-უბრალოდ შინაგან ამბოხებაში და ბრძოლაში აფეკტებთან და წადილთან. როდესაც ადამიანი დიდობისას სცნობს მხოლოდ სწავლის ან შრომის მნიშვნელობას, მაშინ მას დასჭირდება დიდი სულიერი ბრძოლა, უნდა ჰქონდეს დიდი ცნობიერება, დიდი ნების ძალა, რომ გაიმარჯვოს მავნე ჩვეულებებზე, მიდრეკილებაზე, აფეკტებზე და შეიყვაროს სწავლა ან შრომა; ხშირად ამას ვერც ახერხებს იგი და მისი ნაყოფიც მეტად მცირეა და დაკვიჟული.

ახლა ვიკითხოთ: რა რიგად ხდება გულის-ყურის მუშაობა? ჩვენ ვიცით, რომ სული ბრძანდება თავის ტვინში და შეერთებულია მასთან, რომ ყოველივე მის ელემენტს და ნაწილებს დაკავებული აქვსთ ამ ტვინში ცალკე სადგომი, რომელიმე უჯრედში და ბეწვში, ან მათს ჯგუფში; ჩვენ ვიცით, რომ ტვინში შემდგარია მთელ მილიარდ ნახევრის უჯრედებიდან და რამდენიმე მილიარდ ნერვის ბეწვებიდან, მთლად ესენი დაკავებული და შეთვისებული აქვს სულს და მის ნაწილებს, აქედან სჩანს, თუ

რა რთული ყოფილა სული. რამდენადაც ვითარდება სული, რამდენად ემატება მას ახალი ნიწილები, ე. ი. აზრები, გრძნობანი და სხ., იმდენადვე უნდა გაადიდოს ტვინი, რომ დააბინავოს ისინი. მართლაც, გამოჩენილ ფიზიოლოგთა გამოკვლევით უკვე ვიცით, რომ ნასწავლი კაცების და მეცნიერების თავის ტვინი საზოგადოთ უფრო დიდია და ბევრს იწონს, ვინემ უსწავლელის და უვიცის, რადგან პირველთ უფრო განვითარებული სული აქვთ, ვინემ მეორეებს; ამითვე უნდა აიხსნას ის, რომ მამაკაცის ტვინი საზოგადოდ უფრო დიდია, ვინემ ქალის, რადგან პირველს უფრო განვითარებული სული აქვს, ვინემ მეორეს. იდიოტების ტვინი სულ პატარაა, ამიტომ სულიც ცოტა უდგიათ. მაგრამ მარტო თავის და ტვინის სიდიდით არ გაიზომება ჭკვა-გონება და სულის ვითარება. არის კიდევ ბევრი სხვა რთული მიზეზები (მაგ. ტვინის შინაგანი ღირსება და სხ.), რომელთა განხილვა მეტად შორს წაგვიყვანს. პოლბერის აზრით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში ეგრეთვე თავის სიმეტრიულ მოყვანილობას *). რომ სული მტკიცედ დაკავშირებულია ტვინთან, ამაში გვარწმუნებს ის ფაქტები, რომ ტვინის რაიმე ზიანი ან დაშავება იწვევს სულშიაც დიდს ზიანს, ერთის პატალოგიური მდგომარეობა იწვევს მეორეშიაც იმგვარსავე ყოფას. ახლა ვიკითხოთ, რაფრად აკავშირებს გულის-ყური განცალკევებულ აზრებს, მათ კვალებს ანუ ხაზებს და სხვა? რარიგ აწყობს, რარიგ აერთებს მათ და ჰქმნის ახალ აზრებს? მაგ., აღძრა რომელიმე აზრმა გულის-ყური, ის აზრი იმყოფება ან ერთში, ან რამდენიმე ტვინის უჯრედში. ეს აზრი აქედან არ გა-

*) იხ. Поль Беръ. „Анотомія и физіологія". 1882 г.

დადის გულის-ყურში და არ ამუშავებს მას იქ; ამ აზრს არ შეუძლია თავის ადგილს მოსცილდეს. იგი მხოლოდ აღძრავს მის უჯრედთან მყოფ ნერვის ბეწვს, რომელიც გაბმულია გულის-ყურის სადგომთან, ახედებს გულის-ყურს იმ აზრისკენ და აბამს მათ შორის ცხოვრებითი ძალის ნაკადს მათ სამოქმედოთ; ასოციაციის კანონის ძალით იმ ერთი აღძრული ბეწვის გამო იღვიძებენ ანუ აღიძვრიან სხვა ბეწვებიც, რომლებიც თავის რიგ აღვიძებენ იმ პირველი აზრის მსგავს, ან წინააღმდეგს აზრებს, შთაბეჭდილებებს, მის გასაფხიზლებელ გრძნობებს და სხ. ყველა ამაებს აქვს თავ-თავის სიმი ანუ ნერვის ბეწვები, რომლების საშუალებითაც ტელეფონივით უკავშირდებიან გულის-ყურსა და იმ აღძრულ აზრს, და აჰა გაიმართა გულის-ყურის საოცარი მუშაობა! რაში მდგომარეობს იგი? იმ პირველ აზრის უჯრედებში ბეწვის ნაკადის შემწეობით იწყება გულის-ყურის მუშაობა; სხვა აღძრული აზრები, შთაბეჭდილებანი თუ გრძნობანი, ეხმარებიან გულის-ყურს ამ მუშაობაში და აძლევენ მასალას, მხნეობას და ხალისს, უფრო დიდხანს შეჩერდეს იმ აზრზე და დაამთავროს მუშაობა. ამისათვისაა, რომ ჩვენ უფრო ხალისიანად შევჩერდებით იმ კითხვებზე ანუ აზრებზე, რომლისათვისაც მასალა ბევრი გვიძევს და მასთან კარგი ასოციაციის ნიჭიც გვაქვს. იმ კითხვების ახსნა კი, რომლებისათვისაც მასალა ცოტა გვეშოვება, ან ასოციაციის ნიჭი ძაბუნი გვაქვს, არ მიგვაჩნია ისე სასიამოვნოდ და ხშირად გავურბით; ამათ გარდა კიდევ სხვა მიზეზებიც არის აქ. დიახ, რომელიმე აზრის ან კითხვის შესამუშავებლად, ჩვენ გვჭირდება ერთი მხრით ბევრი მასალა, მეორე მხრით კი კარგი ასოციაციური ნიჭი. თუ კაცს პირველი აქვს და მეორე არა, ანუ სუსტი, მას ვეძახით მცოდნეს, მაგრამ უნიჭოს, თუ კი მეორე აქვს და პირველი არა, მას უწოდებენ ნიჭიერს, მა-

გრამ არ მცოდნეს. ყოველს საზოგადო მოღვაწეს, მეცნიერს, პოეტს თუ ლიტერატორს, სჭირდებათ პირველიცა და მეორეც, აბა, მაშინ იქნება მათი მოქმედება ნამდვილი ნაყოფიერი და სასარგებლო. მაგრამ ნიჭი ბუნებითი ძალაა, ანუ თვისებაა სულის; მას ჩვენ ვერ შევქნით, მაგრამ გავფერავთ, გავაუმჯობესებთ კი, და ვარჯიშობით კიდეც განვავითარებთ რამოდენობით. მასალის შეკრება კი ჩვენს ხელთაა; საჭიროა მხოლოდ მეტი შრომა, მეტი სწავლა, მეტი დაკვირვება. ნიჭიერი კაცი ცოტა მასალასაც კი ისე სწრაფად შეჰკრებს, ისე შეაწყობს, ისე განასკი-გამონასკვავს, რომ ხშირად კიდეც გაიმარჯვებს დიდს მცოდნეზე, მაგრამ ნაკლებ ნიჭიერ კაცზე. ნიჭიერი კაცის გონება უფრო ფხიზელია, ბასრი და ბრწყინვალე. მაგრამ ასოციაციური ნიჭი თავის რიგად ბევრგვარია და მეტად რთული; სამწუხაროდ აქ არ შეიძლება ამ ფრიად საგულისხმო საგნის განხილვა, რადგან ბეკრს დროს წაგვართმევს, ისედაც ხშირად გადავდივართ ჩვენი გეგმიდან.

მასალისა და ასოციაციის გარდა, იმ აზრის თუ კითხვის განსახილავად, შესამუშავებლად და ასახსნელად გულის-ყურს სჭირდება კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო რამ, ურომლისოდ არ შეიძლება არაფერი,—ესაა **ცხოვრებითი ძალა, ანუ ენერგია.** ჩვენ უკვე ვიცით, რომ მთელს სხეულს და სხეულის ყოველ ორგანოს ასულდგმულებს და აცოცხლებს ეს ცხოვრებითი ძალა, რომელიც ჩნდება სისხლში; ყოველგვარ მოქმედებას სჭირდება ძალა; ისე ხელს ან ფეხს ვერ გავანძრევთ, რომ ძალა არ იკარგებოდეს. ამ ძალას იძლევა **სისხლი;** მოქმედებისგან სისხლი კლებულობს და რომ არ ვსაზრდოობდეთ და რომ ის საზრდო არ იქცეოდეს სისხლად, უსაფუძოდ მოვკვდებოდით. ჩვენ ვმუშაობთ ხელით რამეს, დაგვეღალა ხელები, რისთვის? ის ძალა, რაც მასში იყო,

დაიხარჯა მუშაობაში, სისხლმა კი, რომელიც ყველგან დადის და მიაქვს ძალა, ვერ მოიცალა მთლად ხელებისათვის და ვერ მოუტანა საკმაო ძალა, თუმც ვერ დავუმდურებით, რაც შეუძლიან მოაქვს ბევრი, და ეს იმითა სჩანს, რომ ხელები გაგვიხურდება, დაგვიწითლდება, დაგვიმსხვილდება; ეს იმის ნიშანია, რომ მოსწოლია მათ სისხლი, მოაქვს ბევრი ძალა, ანუ ენერგია, რომ მეტი ვიმოქმედოთ. ესევე მოვლენაა ყოველ ორგანოს მოქმედებაში; მაგრამ ხელები მაინც გვეღალება; რათაგ? აქ იმის მიზეზი კი არაა მარტო, რომ მეტი ძალა გვეხარჯება, მინამ მოგვდის, აქ ჩვენს ხელის კუთებში და მათ უჯრედებში ხდება მეტად ინტენსიური, რთული მუშაობა, ნივთიერებათა გარდაცვლა, მათ ქსოვილთა დაფუშვა-აწყობა და სხ.; ყველა ეს მეტად რთული მოქმედებანია, ყველას ერთად ვერ ასწრებენ და ამიტომ ვგრძნობთ დაღალვას და მასსიეურ (საერთო) ტკივილსაც. მაგრამ აი, დავისვენეთ კიდეც, სისხლმა მოზიდა ისევ ბევრი ძალა, კუთებმა და უჯრედებმა გაათავეს თავის შინაგანი მუშაობა, ჩვენ კვლავ ვიწყებთ შრომას. ასე ამ რიგად, ცოტად თუ ბევრად მოქმედობს და მოძრაობს ყოველი ადამიანის სხეული და ორგანონი მთელ დღეს, იღლებიან ისინი, მათში დაფუშული მეტია, ვინემ გაკეთებული, ვერ მოა[illegible]ოთ სისხლმა შინაგანი საქმეების გაკეთება, ამიტომ სჭირია [illegible] [illegible]ი მდგომარეობა, რომ უმოძრაოდ იყვეს ადამიანის სხეული, თითქმის ყველა ორგანონი, თავის ტვინი და სული,—[illegible] ბევრი ძალა იხარჯება, რომ ამ გვარ მდგომარეობაში სისხლსა აშენოს დაფუშული უჯრედები და მათი ქსოვილები, შთანერგოს მათში ძალა, გასწმინდოს ყოველ გვარი სიმყრალე, გასუფთავდეს თითონ, რომ შემდეგ კვლავ მხნედ დაიწყოს ადამიანის სხეულმა და სულმა მოქმედება; ეს უძრაოი მდგომარეობა არის ძილი, როდესაც თითქოს ახ-

ლდება ყოველი ორგანო და უჯრედი. რამდენად მეტი დაღალულია და დასუსტებული ადამიანი სულიერად თუ ფიზიკურად, იმდენად უფრო ხანგრძლივად და ღრმად სძინავს. ბავშვს, რომელიც ბევრს მოქმედობს და მოძრაობს, ბევრიც სძინავს. მოხუცს კი, რომელიც ნაკლებ მოძრაობს და მოქმედობს, ნაკლებიც სძინავს და ძალიც ფხიზელი აქვს.

აი, ეს ცხოვრებითი ძალა, რომ მიაქვს სისხლს ბუსუსა ძარღვებით სულში ანუ უკეთ თავის ტვინში, მას ყოველს უჯრედებში და ბეწვებში, ასაზრდოვებს, აცხოვლებს და ამოქმედებს მათ. და როგორც წელან ხელების მუშაობაზე ვთქვით, ისე აქაც ყოველი აზრის, გრძნობის, აფეკტის თუ ნების მუშაობაში უნდა მოგროვდეს ბევრი სისხლი მათ უჯრედებთან, რომ შეითვისონ ბევრი ენერგია და იმოქმედონ უფრო მძლაურად და ნაყოფიერად. როდესაც გულის-ყურს იპყრობს რომელიმე აზრი ან გრძნობა, და როდესაც იგი დაიწყებს ამათ უჯრედებში მუშაობას, აღიძვრიან ასოციაციით სხვა შთაბეჭდილებანი, აზრები თუ სხვა რამ, მოიწევება ყველა ამათ უჯრედებში სისხლი და მეტადრე იმ პირველი აზრის უჯრედებში, რომ კარგად იმოქმედონ, ნაყოფიერად იმუშავონ და გადასწყვიტონ ასე თუ ისე კითხვა, დაბადონ ახალი აზრი, ან გამოიგონონ ახალი რამ. და რამდენადაც ძნელია რომელიმე აზრი, ან კითხვა, რამდენადაც მეტს ვფიქრობთ მათზე, ე. ი. მეტს ვამყარებთ, ვამუშავებთ გულის-ყურს და ღრმად ვიკვლევთ, რამდენადაც მეტს შთაბეჭდილებებს და გრძნობებს ვიწვევთ იმათთვის, იმდენადვე იმათ განხილვა-გამოკვლევას, გამოწყობას, შეთანხმებას, დაფუშვას, ახსნას, ახლების წარმოშობას სჭირდება მეტი ენერგია, მეტი ცხოვრებითი ძალა, რომელიც ძლიერ იხარჯება ამ რთულ მუშაობაში, ამიტომ სჭირდება მეტი სისხლის წარმოდენა და შეგროვება იმ ადგა-

გებში, სადაც ხდება ამგვარი მუშაობა. და მართლაც ასე ხდება ყველაფერი; ეს დაგვიმტკიცა ჩვენ ფიზიოლოგების საყურადღებო გამოკვლევამ და ექსპერიმენტებმა. რაღა ფიზიოლოგები გვჭირდება, როდესაც ყველა ჩვენგანს გამოუცდია ამგვარი მოვლენა; როცა ვფიქრობთ ან ვამყარებთ რამე აზრზე თუ მოვლენაზე გულის-ყურს, ვგრძნობთ, რომ სისხლი მოგვაწვა თავში. სახე გაგვიწითლდება და თუ დიდხანს გასტანა, თავბრუც გვეხვევა; ეს იმას ნიშნავს, რომ ტვინი დაიღალა და სჭირია დასვენება. ამგვარმა მდგომარეობამ თუ ხშირ-ხშირად გასტანა, მაშინ ტვინი მეტად გველლება და ცუდი შედეგი მოჰყვება ხოლმე. ამგვარად იღლება კაცის სული ანუ ტვინი, როცა აღიძვრიან აფეკტები, როცა მოხდება სულში შინაგანი ბრძოლა და სხ. აქედან სჩანს, რომ რამდენადაც ჯანმრთელი ვართ, რამდენად მეტი გვაქვს სისხლი და ჩქარა სდუღს იგი სხეულში, იმდენად მეტად შეუძლია სულს მოძრაობა, იმდენადვე მეტად შეიძლება დავამყაროთ რამეზე გულის-ყური, იმდენადვე ნაყოფიერია მისი მუშაობა და მოქმედება. და აქედან კიდევ სჩანს ჰიგიენის მნიშვნელობა. დაღალულსა და სნეულობით დასუსტებულს უფრო ბევრად ნაკლებ ხანს შეუძლია გულის-ყურის დამყარება და სულიერი მუშაობა, ვინემ დასვენებულს და ჯანმრთელს. ახალგაზრდა უფრო სწრაფად და ნაყოფიერად მუშაობს სულით ანუ ტვინით, ვინემ მოხუცი; კაცი ვინემ ქალი; როდესაც გულის-ყთრი ერთ რასმეზეა დამყარებული და მუშაობს, მაშინ არამც თუ მარტო სისხლი მოაწვება იმ ალაგს, არამედ ბეწვების საშუალებით მოჯგუფდება იქ, ხან და ხან მთელი სულის პოტენციალური ენერგია, დაფარული ძალა, ანუ ძალებადი და შეიცვლება მოქმედებად, სულის დანარჩენი ელემენტები კი უმოძრაოდ რჩებიან; ამგვარი მდგომარეობა საძნელო და უსიამოვნო ხდება თვით სულისათვის, იგი მეტად იღ-

ლება და ცდილობს გამოვიდეს მისგან და იყვეს ნორმალურ ყოფაშიო. ამიტომ მართალია რიბო ამ სიტყვებში: „გულის-ყური არის ნორმალიური და არა ხანგრძლივი მდგომარეობა, რომლითაც მეტად იღალება მთელი ორგანიზმი, მისი ძალდატანებული მდგომარეობა იწვევს დაღლილობას, დაღლილობა კი ჰბადებს ფუნქციონალურ უმოქმედებასო“ *).

როდესაც დავამყარებთ მთლად რომელიმე საგანს გულის-ყურს ისე, რომ არაფერი არ შეგვეცილება, მაშინ სულში ყველაფერი ემონება იმ გაბატონებულ აზრს, აფეკტს თუ სურვილს; სულის ყოველივე ძალა გროვდება იმ ერთ წერტილში, ადამიანი იჩენს საოცარ ძალას და გმირობას და თითქმის რომ სასწაულებსაც, მაგრამ ამგვარი მოვლენა ნორმალურ ადამიანში ძლიერ იშვიათია, ეს მოვლენა, ეს აბსოლიუტური მდგომარეობა, ხდება უფრო იდიოტებში და სომნამბულურ და ჰიპნოტიურ მდგომარეობაში, სპირიტიულ ტრანსში და ექსტაზში. როდესაც გულის-ყური მყარდება აბსოლიუტურად ერთ რამეზე, მაშინ შესაძლოა სულმა დაიმახსოვროს შეუკვლელად იგი, საოცარი სინამდვილით და დაწვრილებით; ამისთანა აბსოლიუტური გულის-ყური შესაძლოა იქონიონ იდიოტებმა. დროებიშს მოჰყავს საოცარ მაგალითად ერთი იდიოტი, რომელსაც წაეკითხა სამკურნალო ვრცელი დისერტაცია ლათინურ ენაზე და ამბობდა მას ზეპირად სიტყვა სიტყვით, თავიდან ბოლომდე, თუმცა მან არ იცოდა არც მედიცინა და არც ლათინური ენა, კითხვის გარდა.

ნორმალური ადამიანის გულის-ყური შესაძლოა მეტად დაიპყროს ან რაიმე აზრმა, ან აფეკტმა, ან სურ-

*) Психологія Вниманія, Рибо. 1892 г.

ვილმა. რაიმე აზრით გამსჭვალული კაცი არ ხედავს და არ ესმის სხვა არაფერი, იგი სხვა საქმეებში აზრ გაფანტულია, მაგრამ იმ ერთში კი დამყარებული; ვნება-აღძრული კაცი ხომ ნამდვილ ამზვინებულ მხეცსა ჰგავს; იგი მთვრალია; მას უბნელდება აზრები, ცნობიერება და გონება. მთელი სული ემორჩილება მის ვნებას და მოქმედობს მისი ბრძანებით; იგი ვერ გრძნობს ვერც ტკივილს, ვერც მძიმე ჭრილობას, ამ გვარ ტიპებს წარმოგვიდგენენ ჩვენ ხშირად მებრძოლნი, როდესაც გახურებული ომია და სისხლის ღვრა. ამ საზიზღ დროს ისე იტაცებთ ბევრს აღძრული ვნება, რომ სრულებით ვერ გრძნობენ ვერც ძმიმე ჭრილობას, ვერც ტკივილს; ისინი ცდილობენ მხოლოდ დაჩეხონ, დახოცონ მტრები. როდესაც თავდება ომი, ამჩნევენ და გრძნობენ მაშინ თავიანთ ჭრილობას, ტკივილს და სისხლ დაცლილნი, მისუსტებულნი დაეცემიან ბრძოლის ველზე და ხდებიან სიკვდილის მსხვერპლად. რაც შეეხება ნება-სურვილით დაპყრობილ გულის-ყურს, ამის მშვენიერი მაგალითი მოჰყავს უშინსკის და ჩვენც ვისარგებლოთ. აი, წაეკიდა სახლს ცეცხლი, მოედვა ყოველ მხრივ და ბრიალებს წითლად გამზვინვებული სტიქიონ. პაწაწა ბავშვი მოჰყვა ცეცხლში და ვერავინ ჰშველის... ისმის მისი გამგმირავი ტირილი... ამ დროს გაჩნდა საიდლამაც დედა, მან სცნო ყველაფერი. იგი იქცა ერთ წამს მხოლოდ ნების, სურვილის აქტად, ქარის უმალესად შევარდა ცეცხლმოდებულ ოთახში, დაეწვა ხელ-ფეხი, დაეწვა სახე, მოედო თმებზედაც ცეცხლი, მაგრამ იგი ვერ გრძნობს ვერაფერს, მან დაავლო ხელი თავის შვილს და გმირულად გადაარჩინა დაწვას... მოვიდა ცოტა გონზე, იგრძნო თუ რა საშიშ მდგომარეობაში იყო მისი შვილი, იგრძნო ზნეობრივი ტანჯვები და იწყო ტირილი. მოსულიერდა

ზნეობრივ ტანჯვიდან და მხოლოდ ახლა იგრძნო, დამწვარი ხელ-ფეხის და სახის მწვავე ტკივილი.

მთელი სულის და გულის-ყურის ძლიერი დამყარება რომელიმე ემოციაზე არა იშვიათად ახდენს სამწუხარო მოვლენას; მეტად მწვავე გაურთობელი ჯავრი, ან ძლიერი სიხარული ხან და ხან ჰკლავს კიდეც ადამიანს ან, რადგან სულს დიდი გავლენა აქვს ხორცზე, იმისთანა ღრმა ცვლილებას ახდენს მთელს ნერვის სისტემაზე, რომ იგი თავის რიგად ჭკუაზედ ჰშლის ადამიანს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ სულის ამა თუ იმ მდგომარეობას ემორჩილება ხშირად ნერვები, მასთან კუთვნი, სისხლი და მთელი სხეული. ვიცით, რომ ადამიანის სულის მდგომარეობა იხატება ნათლათ სახეზე, მთელს მოქმედებაზე, ეგრეთვე თვალებში და მით ვტყობილობთ ყველაფერს, მაგ., ჯავრს, სიხარულს, შიშს, ტანჯვას, სიყვარულს, სიამოვნებას და სხ. როდესაც გულის-ყური დაპყრობილია რაიმე აზრით ან წარმოდგენით, მაშინ სხეულიც გაჩერებულია, ან მის და გვარად შეწყობილია მისი მოქმედებანი, ე. ი. დამყარებულია ისინი იმ საგანზე; როდესაც გულის-ყური და სული დაბნეულია, მაშინ სხეულის მოქმედებანიც დაფანტულია. როდესაც გარე მოვლენა იპყრობს ჩვენს ყურადღებას, მაშინ თავი მაღლა იწევა, თვალები უფრო იღება, წარბები იჭიმება, შუბლის კანი იწევა და ნაოჭდება სიგრძით, ხან პირიც იღება ან იბერება ტუჩები, სუნთქვა სუსტდება და მძიმდება; როდესაც კი შინაგანი აზრი იპყრობს გულის-ყურს და ვფიქრობთ, მაშინ ტუჩი იმუწნება, თვალები ინაბება, ან კიდეც იხუჭება, წარბები ძირს იწევა, შუბლი სიგრძით ნაოჭდება, თავი ძირს იხრება, სულთქვა მძიმდება. დიახ, თუმცა კი სულს და გულის-ყურს ამგვარი მოქმედება აქვს ხორცზე, მაგრამ სამაგიეროთ თვით სხეულის მუსკულების სხვა და სხვა რიგად მოკუმვაც იწ-

ვევს გულის-ყურში ამა თუ იმ სულის მდგომარეობას. ამის შესახებ დიუშენმა მოახდინა საგულისხმო ექსპერიმენტები, მან მოახდინა ელექტრონის საშუალებით ერთის პაციენტის პირის სახეზე კუთების განსაკუთრებული შეკუმვა და გადმოიღო ისინი ფოტოგრაფიით; თავის თხუზულებაში „Mêchanisme de la ghusionomie humaine“ (1862); დიუშენმა წარმოთქვა ის აზრი, რომ ხშირად საკმარისია შეიკუმშოს სახის ერთი რომელიმე კუნთი რომ სულში ესა თუ ის მდგომარეობა აღიძრესო. ამ რიგად მისის აზრით შუბლის კუთი არის გულის-ყურის მუსკული, წარბების რგვალი კუნთი—ფიქრის მუსკული, ცხვირის ნესტოების ამწევი კუნთი—დამუქრების მუსკული, წარბების დამკუჭნელი კუნთი—ტანჯვის მუსკული და სხ.

VI.

ნებითი ანუ აქტიური გულის-ყური. აქამდე ჩვენ განვიხილეთ უნებლიეთი გულის-ყური, რომელსაც იპყრობს ჩვენდა უნებურად ხან რაიმე შთაბეჭდილება, ხან მოვლენა, ხან აზრი, ხან სურვილი, აფეკტი, ჩვეულებანი და სხ. იგი ხან ერთის ხდება, ხან მეორესი, ხან მეათესი, სულიც და ნებაც ემორჩილებიან იმ ამღძრელ საგნებს და ხდებიან მათი სათამაშო იარაღი. ამ გვარ მდგომარეობაში ადამიანი უმეტეს წილად ვერაფერს ნაყოფიერს ვერ ჰქმნის და ვერ აკეთებს, იგი მონაა ყოველი შთაბეჭდილების, ყოველი წარმოდგენის და გრძნობის; ამიტომ არ იქნებოდა ქვეყანაზე არა რაიმე ხანგრძლივი შრომის და მეცადინეობის ნაყოფი, არც კულტურა, არც დიდი ხელოვნება, არც მეცნიერება და საერთოდ არავითარი ნივთიერი და სულიერი სამჩნევი ზრდა და კაცობრიობის პროგრესი, რომ არ ყოფილიყო

უნებლიეთ გულის-ყურის გარდა კიდევ სხვა რამ, რომელიც არის **ნებითი ანუ ხელოვნური გულის-ყური**, და რომელიც წარმოიშვა პირველიდან. საბუთიანადაც გაიძახის რიბო: «ნებითი გულის-ყური განვითარებული აპარატია, ეგ არის მიზეზი და შედეგი ცივილიზაციისო".

ადამიანის შეგნებული ანუ ცნობიერ ნებას სურდა, რომ დაემორჩილა, ხელში ჩაეგდო და გაეხადა თავის იარაღად ის ძვირფასი, საოცარი მანქანა, რომელიც არის თვით სულის გულა და ურომლისოდ არაფერი ხდება სულში, ცნობიერ ნებას ეწადა დაეპყრო გულის-ყური და აჰა-შეასრულა კიდეც ეს გმირობა. რას არ აკეთებინებს ნება ამ დამორჩილებულ იარაღს, ამ გულის-ყურს! სადაც უნდა იქით ატრიალებს, რაც საქმე უნდა იმას აკეთებინებს. მაგ., მოიწადინა რომელიმე ძნელი კითხვა გადაწყვიტოს, გააჩერა გულის-ყური მასზე და დააწყებინა ფიცხელი მუშაობა რამდენიც უნდა იმდენ ხანს. შემდეგ მოიწადინა რომელიმე წიგნის კითხვა და ახლა ამაზე აამუშავა გულის-ყური; მერე მოინება მუშაობა და რამის გაკეთება და ახლა ამაებზე დაამყარა გულის-ყური; ერთი სიტყვით, გულის-ყური შეიქნა ნების ხელში ნამდვილი თილისმა და მისი მეოხებით სჩადის თვით სასწაულებს, იმის ნამოქმედარს დაეტყო დიდი ნაყოფიერება.

მაგრამ იკითხავთ გაკვირვებით: როდის და საიდან იშოვა ცნობიერმა ნებამ ამგვარი გავლენა და ბრძანებლობა გულის-ყურზე, როდესაც წინეთ დრო გამოშვებით და მოკლე ხნობით თუ დაიმკვიდრებდა მას? როგორ დაუთმეს მას გულის-ყური შთაბეჭდილებამ, აფეკტებმა, ემოციებმა, აზრებმა, ნერვებმა, ჩვეულებებმა, რომელთაც წინეთ ისეთი ძლიერი გავლენა ჰქონდათ გულის-ყურზე? ამ საბუთიან კითხვაზე იმას გიპასუხებთ, რომ, ისე ტყვილა, სასიყვარულოდ არც ერთ მათგანს არ დაუთმია გულის-ყური ნებისათვის, ამათ შორის ატყდა ხანგრძლი-

ვი სტიქიური ბრძოლა, რომელიც გადადიოდა შთამომავლობიდან შთამომავლობაში, საუკუნიდან საუკუნეში და მოატანა აქნობამდე, ასე რომ ეს ბრძოლა დღემდე არ გათავებულა, და ვგონებ გასტანს კიდევ ბევრს საუკუნეს; იმათ დღესაც დიდი გავლენა აქვთ გულის-ყურზე, დღესაც ხშირად გაინავარდებენ ისინი გულის-ყურზე, სძრავენ ჩვენდა უნებურად სულს, ახდენენ მასში და სხეულში ბევრს ცვლილებებს, გვამოქმედებენ და სხვა. დღესაც ბევრი შთაბეჭდილება ბინავდება ჩვენს სულში ჩვენის ნების წინააღმდეგ, ბევრჯერ გაგვიტაცებს და გვაღელვებს რომელიმე ვნება ან გრძნობა, ბევრჯერ გვიმორჩილებს ჩვეულებანი და აცმევენ ჩვენს ნამოქმედარს თავისებურ ხასიათის სამოსელს; ჩვენის ნებით გამოწვეულ აზრის გარჩევის დროს, ბევრჯერ გაიტაცებს გულის-ყურს, ხან შეუმჩნევლად, ხან ჩვენის სურვილის წინააღმდეგ ასოციაციით გამოწვეული რომელიმე აზრი, ან წარმოდგენა გადიყვანს თავისკენ სამოქმედოთ და ამით თითქო დასცინის ჩვენს ნებას. ამ რიგად არა იშვიათად ერთ რამეზე ვიწყებთ ფიქრს და სულ სხვა რამით კი ვათავებთ! მაგრამ მაინც მიუხედავად ამისა დიდი უფლება აქვს ნებას გულის-ყურზე და ეს გავლენა მოიხვეჭა, როგორც ვთქვით, დიდი ბრძოლის შემდეგ. რამდენიც დრო და ჟამი გადიოდა, იმდენი უფრო იცდებოდა ადამიანი, იმდენი უფრო ემატებოდა მის სულს შთაბეჭდილებანი, რომლებიც ავარჯიშებდნენ და ანვითარებდნენ მის ცნებას, ჭკუა-გონებას და გრძნობებს. ამასთანავე ვითარდებოდა და ძლიერდებოდა ნება-სურვილიც. მაგრამ ვიცით, რომ ინტელლექტი, ანუ ცნობიერება და აზროვნება, მასთან გრძნობანი ნების სურვილის ნაყოფია. პირველი მისთვის დაარსა, რომ ყველაფერი სცნოს ქვეყანაზე და მით მისცეს თავის თავს მეტი სიცოცხლე და მეტი სიამოვნება, მეორენი კი მისთვის, რომ იგრძნოს და დას-

ტკბეს ამ სიამოვნებით. ნებამ შეითვისა ცნობიერება, მი-
იმხრო ჭკუა; გონება გაძლიერდა და ამ გვარად დაიწყო
მეტი გავლენა გულის-ყურზე. ეს, რასაკვირველია, არ მო-
ეწონა სხვებს და გაუმართეს ომი, მაგრამ ამ ომში თან
და თან იმარჯვებდა ცნობიერი ვნება, ასუსტებდა მო-
პირდაპირეთ და ითვისებდა გულის-ყურს. რადგან ჩვეუ-
ლებანი და გრძნობები ბუნებით კონსერვატორებია, —
მაშინ როდესაც ცნობიერება, აზროვნება და თვით ნე-
ბა პროგრესისტებია, ამიტომ ნება ცდილობდა გადაენ-
სხვრია ზოგ-ზოგი ჩვეულებანი, ამით გამოეცვალა ერთი-
ანად მათი ხასიათი და გაეხადა თვისი მორჩილი, მომხრე,
მშველელი და მართლაც მოიღვაწა მან ეს დიადი საქმენი.
დიდიხნის მეცადინეობის შემდეგ ნებამ გადაანსხვრია მე-
მკვიდრეობით შთანერგილი სიზარმაცის ჩვეულება, გარ-
დაქმნა შრომის მოყვარეობის ჩვეულებად და გაიხადა თა-
ვის უუმძლავრეს იარაღად. ეს არის ნების პირველი უუ-
დიდესი გამარჯვება, რომლისგანაც იწყება კაცობრიობის
ნამდვილი კულტურა. სულ პირველად, რასაკვირველია,
ნება ებრძოდა თავის მოპირდაპირეთ შეუგნებლად, ანუ
სტიქიურად. მას ძალას ატანდა გაჭივრება და შიმშილი,
რომ მეტი გავლენა ექონია გულის-ყურზე და შეეცვალა
სიზარმაცე შრომის მოყვარეობად. წინააღმდეგ შემთხვე-
ვაში მას მოელოდა სიცოცხლის შემუსვრა და სულ-ხო-
რცის სიკვდილი. სიცოცხლის სიყვარული ხომ უუდიდე-
სი ბლოა ნების და მთელი სულის და სხეულისა. ვე-
ლური ხალხები მიტომ არიან ლატაკნი და უგნურნი,
რომ მათ ნებას ვერ გაუმარჯვია სიზარმაცის ჩვეულებაზე.
ისინი გატაცებით ელტვიან იმ გვარ ხელობას, რომელიც
სიამით სძრავს მათ აფეკტებს, მაგ., ნადირობა და თევ-
ზაობა; მაგრამ არას დროს არ დაიწყებენ მიწის მუშაო-
ბას ან სხვა რამ მძიმე საქმეს, თუმც სასარგებლო იყოს,
რადგან ესენი არამც თუ არ აღვიძებენ მათს აფეკტებს,

კიდეც ღალვენ მათ და აძლევენ დროებით უსიამოვნებას. დარვინმა ჰკითხა ველურ გაუჩებს: «რატომ არ მუშაობთო?--დღეები მეტად გრძელიაო»,---უპასუხა ერთმა მათგანმა. ამგვარი ხარმაცები დღესაც იპოვებიან ყოველ განათლებულ ხალხში, ვერ ეჩვევიან ვერავითარ მუშაობას, ზოგი დალაწლაწებენ, ან ქურდობენ, ზოგიც როსკიპტებიან. ამგვარ მოვლენას ეძახიან კრიმინალისტები **ატავიზმს**. გარდა ამისა ცნობიერმა ნებამ გადაანსხვრია, მიიმხრო და შესცვალა სხვა ბევრი ჩვეულებანი, გრძნობანი და დღესაც ცდილობს სულ ერთიან დაიმორჩილოს ჩვეულებანი, აფეკტები, ემოციები, ნერვები და სრულიად გაბატონდეს. ამგვარად ეს შეგვიძლია მივიღოთ მაშტაბად, გავზომოთ მით სხვა და სხვა ერთა კულტურა და დავაყენოთ უფრო მაღლა ის ერი, რომლის ცნობიერ ნებასაც მიეღია მეტი გავლენა გულის-ყურზე და დაუთრგუნავს ბარბაროსული ცუდი ჩვეულებანი და ვნებანი. ამ გვარად ნებითი გულის-ყური არის შედეგი **მკაცადისუფლების, განაფგის, აღზრდის** და **ხელოვნების**; ერთი მხრით იგი დაბადა **საჭიროებამ** და **გაჭირვებამ**, მეორე მხრით კი აღზრდამ **გონების განვითარებამ**; ამ რიგად იგი შეიქმნა უმთავრესი ფაქტორი კაცობრიობის ნივთიერ კეთილ დღეობის, სოციალურ განვითარების და ცივილიზაციისა. რასაკვირველია, ნებითი გულის-ყურის გენეზისი ჩვენ უნდა ვეძებოთ უხსოვარ დროში ანტროპოლოგიურ პერიოდში. წინაპირველად იგი უნდა დაებადა გაჭირვებას და ძალდატანებულ შრომას, ამიტომ სულ პირველ მონებში და ყმებში უნდა ვეძებოთ მისი თავი; სპენსერის და, თუ არ ვცდები, ანტროპოლოგ ტეილორის და ლებოკის აზრით, ქალებიდან უნდა იყვეს წარმოშობილი ნებითი გულის-ყურიო, რადგან ქალებს ველურ ხალხებში აწევთ მთელი ოჯახის ტვირთიო, სწევენ დაუწყნარე-

ბელ შრომასო და ნამდვილი მონანი არიან თავიანთ მამების, ქმრების, ძმების და შვილებისაო.

რომ ნებითი გულის-ყური მეტად დიდი სამნიშვნელოა, ამას მოწმობენ გამოჩენილი ფილოსოფოსები და ფსიხოლოგები.—„ჩვენის სიბრძნის და სათნოების მეტი ნაწილი,—ამბობს ფილოსოფოსი რიდი,—არის იმის შედეგი, თუ რა მიმართულებას ვაძლევთ ჩვენს გულის-ყურს“. —„ნებითი გულის-ყური არის სულის თვითმფლობელობა“,—გაიძახის ჰერბარტი. არისტოტელი, სპინოზა, ლოკკი, რუსსო და ბენი ღაღადებენ ერთხმად, რომ „ნებითი გულის-ყური არის საუკეთესო საშუალება მართოს ადამიანმა თავისი ვნებანი და მიუხედავად მათის გავლენისა იაროს ფხიზელ გონების და სათნოების გზაზედო“.

მაშინ, როდესაც უნებლიეთ გულის-ყურს მეტად სძრავს უფრო საინტერესო მოვლენანი, შთაბეჭდილებანი ან აფეკტი, ჩვენის ნებით გულის-ყურს კი ვაჩერებთ თავის თავად არა საინტერესო საგნებზე, მაგრამ სასარგებლოზე კი; მაგ., გვინდა ვისწავლოთ კითხვა და წერა; თავისთავად ესენი სრულიად არ არიან საინტერესონი, არამედ საკმაო სამძიმოც კი, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ესენი არიან სასარგებლო და ერთი უუმთავრესი საშუალება შევქნათ და მივიღოთ ბევრი სასარგებლო და საინტერესო რამეები. ამგვარ საქმეებში და მუშაობაში ნებას მეტად შველიან ნერვები და ჩვეულებანი, თორემ თავის თავად ძლიერ ცოტას გააკეთებდა იგი რამეს. რა კი მიეჩვევა სხეულის ორგანონი სხვა და სხვა საქმის კეთებას და ხელობას, შემდეგ ჩვენს უნებურად აკეთებენ ყველაფერს და იწვევენ გულის-ყურს. მიჩვევამდე კი ნებას სჭირდება დიდი ჯაფა, რომ გააჩეროს გულის-ყური მისთვის უინტერესო საგანზე ან მოქმედებაზე. ამ ხანებში ნებას დიდათ ამხნევებენ იმ ვანსაკუთრებულ საქმის სარგებლობის და სიამოვნების მოტანის წარმოდგენა, გა-

ჭივრება, სიცოცხლის სიყვარული, შიში, სირცხვილი, თავმოყვარეობა, ქება-დიდების მოყვარეობა, მეტადრე კი სიყვარული და სათნო გრძნობანი, ჭეშმარიტებისკენ მიდრეკილება, ზნეობითი მოვალეობა და სხვა. ყმაწვილის ან მოწაფის ნებას კი ამხნევებენ: ხათრი, პატივისცემა, სიმპატია, სიყვარული, საჩუქრები, სირცხვილი, ჯიბრი, თავმოყვარეობა და სხ. თანვე უნდა შევნიშნოთ, რომ სანამ შევეჩვეოდეთ, ან შევიყვარებდეთ რომელიმე საქმეს, საგანს, აზრს თუ სხვა რამეს, მანამ მათზე გულისყურის მიქცევა, ნაყოფიერი ფიქრი და მუშაობა წაგვართმევს მეტად ბევრს ენერგიას, და იმდენად მეტს, რამდენადაც ძნელია რომელიმე აზრი, საქმე, თუ საგანი. ამიტომ არის დიდი განსხვავება ნებითსა და უნებლიეთს გულის-ყურს შორის. ერთგვარ საგნისათვის (მუშაობის მხრივ) თუ უინტერესოა, პირველი თხოულობს ორჯელ და სამჯერ მეტს ენერგიას, ვინემ მეორე. ამიტომ ფრიად საგულისხმოა მასწავლებელმა, ცოცხლად და დასურათებით ჰკითხოს და აუხსნას ყმაწვილთ გაკვეთილები, რომ აღძრას მათში ინტერესი, მიიზიდოს მათი: უნებლიეთი გულის-ყური, შეაყვაროს თან და თან სწავლა, შეაჩვიოს ამით შრომის მოყვარეობა და მეცადინეობა, რომ ამრიგად გაუადვილოს ყმაწვილთ შრომა, დააკარგვინოს მათ ნაკლები სულის და გონების ენერგია, მით გაიადვილოს თითონაც ჯაფა და მოიტანოს ხვავიერი ნაყოფი.

ახლა კი დროა განვიხილოთ ოდნავ მაინც გულის-ყურის სნეულება ანუ პატოლოგიური მდგომარეობა.

VII.

ესათუოდ არა იშვიათად შეხვედრიხართ იმისთანა პირთ, უფრო ხშირად ბავშვებს და ქალებს, რომელთაც არ შეუძლიათ დაამყარონ

�otaxnobit maincc gulis-vuri raimeq kitxvazze, azrze, saganze tu movlenaze, ar gigdebenq yurs, avicwydebat natqvami; isini swrafad gadadian ertidan meorezze, meorridan mesamezze, meotxezze da sx., sul ertiicaxe mizezis gamo; urevevenq azrebs da warmodgenat ertmanertsi da am rigad arian maradis moqmedebaši da dafantvaši; amisthanaa adamianat veqdaxit «azr-dafantulebs» an „tvin dasitxevebs“. es imis mizezia xširat, rom mat sulši ar aris asociaciuri nicqi da dzlieri šegnebuli neba. magram titqos amisthanaa azr-dafantul mdgomareobaši iyvnenq da arian bevri mecnierni da swavlulni. rogorc pirveli šemtxvevaši, esenic ar gigdebenq yurs, avicwydebat rac saganze daicwyes laparaki, an rasac akeetebenq, an sad arian, urevevenq azrebs ertmanetši da sx. nutu es movlenac pirveli mizezis, an asociaciis da šegnebulnebis uqonlobis bralia?! srulebitac ara, radganac maši saidan miidzes amat amdeni swavla-codna! es movlena imis mizezia, rom isini titqos mixaqulni arian ertsi rma samecnierro azrze, fiqrobenq mastze da ezarebat iqidan gamosvla; am gvari movlena aris is gulis-yuris sucuqi patologiuri mdgomareoba, rasac eqdaxian idée tixe s (e. i. xangrdzlivad gabatonebuli azri).

gulis-yurisi snevulebani gaiyofian sam xgufad: 1, absoluturi gabatonebaa romelimeq azris an ertis an radenimeq mdgomareobis, afekti, an survilis, romlebic samudamod myardebian sulši da cnobierebaši iqcrobenq gulis-yurs, da dzlat ver gamosdevnian iqidan. amgvari mdgomareobaa abstrakdzia, idée tixe, da eqstazia. es gabatonebiuli azri tu mdgomareoba xdeba ulmobeli, yvelafris mspobi da

მპყრობელი სულში. ამ ჯგუფს ეწოდება **გულის-ყურის ჭიშკრტროფია**, მეორე (ე. ი. გაძლიერება) ჯგუფს ეკუთვნის იმგვარი მდგომარეობა, როცა ვერაფერს ვერ სძრავს, ვერ აჩერებს და ვერ იპყრობს გულის-ყურს, ისეა იგი მისუსტებული; ხან იმდენი აზრები მოასკდება გულის-ყურს, ისე გაირბენენ ფიცხლავ და გათელვენ მას, რომ ვერც ერთს ვერ შეაჩერებს და დაამყარებს იგი. ამგვარია მაგ. **ბურანი**, უმეტესად **მწვავე მანია, ნერგების აშლა და ისტერიული მდგომარეობა.** ამ გვარ გულის-ყურის სისუსტეს ვამჩნევთ აპატიურსა და უგრძნო ადამიანებში, მთვრალებში, სხეულითა და გონებით დაქანცულ ადამიანებში და სხ. ამგვარ ჯგუფს ეწოდება **გულის-ყურის ატროფია** (ე. ი. დაძაბუნება). არის კიდევ მესამე ჯგუფი, როდესაც უნებლიეთი ან ნებითი გულის-ყური არ აღიძვრის ყოველ დროსა და თან და თან, არამედ დროგამოშვებით, ვითარცა ტატანი; ამგვარი მოვლენა ხდება იდიოტებში, სულელებში და შეშლილებში. განვიხილოთ სათითაოდ ყველა ეს ჯგუფები.

— სიმართლე რომ ვთქვათ თითქმის ყოველს საღს ადამიანს აქვს რომელიმე გაბატონებული აზრი, რომელიც მართავს მის ყოფა-ქცევას, მაგ., პატივმოყვარეობა, ფულები, სიამოვნება, გარე მოვლენათა ახსნა და დაკანონება და სხვა. ყოველი დიდებული კაცის ცხოვრება წარმოგვიდგენს თითქმის იმავე გაბატონებულ აზრს ან idée tixe-ს.—„რა არის დიდებული ცხოვრება,—ამბობს ალფრედ დე-ვინი,—თუ არა ვაჟკაცობაში განხორციელებული ჭაბუკობის აზრია“. ჩვენ ვიცით, რომ დიდი კოლუმბი თოთხმეტი წელიწადი იყო გამსჭვალული იმ აზრით, რომ აღმოეჩინა ახალი ქვეყანა ანუ ამერიკა. ისაკ ნიუტონი მთელი 17 წელიწადი იკვლევდა და ამტკიცებდა თავის უუდიდეს კანონს მსოფლიო დამწოლელობაზე, დარვინმა ხომ თავის ხანგრძლივი სიცოცხლე შე-

სწირა თავის თეორიების დადგენას და ხუთჯერ მოვლო მთელი ქვეყანა მათ დამტკიცებისათვის და სხ. და სხ. გაბატონებულ აზრის ძლიერი დამყარება სხეულის რომელიმე ორგანოზე, გულზე, თუ სხვა რამეზე იწვევს მათში სხვა და სხვა ცვლილებას და ჰბადებს ტკივილს ან სხვა რაიმე ბრძვას. ჯონ ბრედი გვარწმუნებს, რომ «ჩემის ნებით შემეძლო სხეულის რომელიმე ნაწილზე ძლიერად დაგემყარებია გულის-ყური და გამომეწვია ტკივილიო». ყველას გეცოდინებათ ის კლასიკური მაგალითი, რომ ცნობილი ლუიზა ლატო ყოველ ოთხშაბათ-პარასკევს წარმოიდგენდა ხოლმე ქრისტეს ჯვარცმას, მის დალურსმნულ-დასისხლიანებულ ხელ-ფეხს, ამყარებდა გულის-ყურს თავის ხელებზე და იწვევდა ხელის გულთაგან სისხლს. წმინდა ფრანცისკი ხომ ისე ნათლად წარმოიდგენდა ქრისტეს ტანჯვებს ყოველ წითელ პარასკევს, რომ შუბლის კანიდან ჰსწვეთდა სისხლი, თითქო ეკლის გვირგვინით დაჩხვლეტილაო. ყველა ეს სუბუქი idée tixe-ები უმეტეს ნაწილად ჩვენის ნებითაა მოწვეული.

მაგრამ არიან idée tixe-ები უფრო ძლიერი და ხანგრძლივი, ჩნდებიან ჩვენდა უნებურად, წარმოიშობიან ერთი წყაროდან, მაგრამ ისაზღვრებიან სამ რიგად. პირველ რიგს ეკუთვნის ცნობიერებიდან და აზროვნებიდან წარმომდგარი idée tixe. ამის ხასიათია ჭკუა-გონების დანთხევა და დაბნელება. მეორე რიგს ibèe tixe-ს ახლავს ემოციები, სვვდა, შიში და სხ., ეს ეკუთვნის აფეკტების წყებას, მესამე რიგი idée tixe კი იმპულსიური ფორმისაა, იხასიათება რაიმე წადილით, რაიმე მოქმედების სურვილით, ანუ რაიმე ბოროტების ჩადენით: ქურდობით, კაცის კვლით, თავის მოკვლით.—ესაა ნების დაკარგვის შედეგი. ზოგს იპყრობს ანგარიშის idée tixe, მაგ., ერთ ისტერიულ ქალს არ შეეძლო გამოეხე-

და ქუჩაშივე, რო მაშინვე თავის ნების წინააღმდეგ არ დაეწყო ქვების თვლა და ანგარიში, თუ რამდენია იმ ქუჩაზე ისინი; შემდეგ იანგარიშებდა მთელ ქალაქის ქუჩებზე რამდენია, შემდეგ თუ რამდენი ქვებია ყველა სახელმწიფოების ქალაქების ქუჩებზე, ყოველ მდინარეებში და სხ. დაინახავდა ტომრით პურის კაკალს და ახლა ამაზე მოყვებოდა გაუთავებელ თვლას და ანგარიშს, თუ რამდენი პურის მარცვალია მთელს ქვეყანაზე. ის საცოდავი ქალი ფიცულობდა, რომ ვერა გზით ვერ შეუძლია მოიშალოს და გადიგდოს ის თვლის აზრი. მეორე განათლებული კაცი ამბობს თავის აღსარებაში: „მე ვახშობ ჩემს სიცოცხლეს იმგვარ ამიცანების გამოგონებაში, რომლებსაც ვერას გზით ვერ ახსნის ადამიანის გონება და მიუხედავად ჩემის ნება-სურვილის წინააღმდეგობისა, ის ამიცანები იცავენ ერთიანად ჩემს გულის-ყურს და არ მაძლევენ მოსვენებასა». მეცნიერებმა გამოიკვლიეს ვრცლად idée tixe-ს ყოველგვარი მოვლენა და დაადგენ იმ საერთო აზრს, რომ ეს არის **გადაშენების საშუალება** ანუ **ნიშანი**. Idée tixe-ს დაარსების ძირითადი პირობაა სუბიექტის ნევრო-პატიური ორგანიზაცია, ეს კი არის ან მემკვიდრეობით გადმოცემული, ან ისე ცხოვრებაში შეძენილი. ზოგი წარმოსდგებიან დედ-მამიდან და იმკვიდრებენ მათ გასაშენებლად მიწურულს ორგანიზაციას, — ესაა უმრავლესობა. ზოგი დაქანცულები არიან სულით და ხორცით თავიანთ წარსულის სხვა და სხვა პირობათა გამო, ფიზიკურის თუ გონებითი დაქანცვით, ძლიერი აფეკტებით და ემოციებით, გარყვნილობით და სხ. ყოველ idée tixe-ს თან ახლავს სხეულის ესა თუ ის მდგომარეობა: ნევრალგია, თავის ტკივილი, უძილობა, სხვა და სხვა ალაგას ნერვების აშლა და სხ.

ბუკოლლას აზრით „idée tixe არის უუმაღლეს წერტილამდე ასული გულის-ყური, მისი შემჩერებელი ნი-

ჭის უკანასკნელი მომენტია". ამას ეთანხმება რიბოც; ჩვენ კი ვიტყვით, რომ თუმც Idóe tixe მეტად უახლოვდება და ესაზღვრება აბსოლიუტურ მონოიდეიზმს, მაგრამ არის კიდევ ერთი რამ idée tixe-ზედ უფრო ძლიერი, მაგრამ გაცილებით უფრო ხანმოკლე, რომელიც შეიცავს ნამდვილ აბსოლიუტურ მონოიდეიზმს, და ეს არის ექსტაზი. მაშინ, როდესაც Idée tixe არის გულის-ყურის ჰიპერტროფიის ხრონიკული ფორმა, ექსტაზი არის მხოლოდ მწვავე ფორმა. სამწუხაროდ ჩვენ არ შეგვიძლია ვრცლად განვიხილოთ ექსტაზი, ეს მეტად საოცარი მოვლენა, რადგან ვშიშობთ ძლიერ სპეციალური არ გამოვიდეს და შორს არ გაგვიტაცოს, ამიტომ ჩვენ აქ არას ვიტყვით მის ნების მსპობელ უკუთქმით მხარეზე; განვიხილოთ იგი მოკლედ მხოლოდ წაღმამხრით, როგორც ჭკუა-გონების ეკზალტაცია ანუ აღფრთოვანება

აი, რაოიგად სცნობენ და ხსნიან ექსტაზს მეცნიერნი, რომელთაც ახლა შეისწავლეს ეს მოვლენა.—«ექსტაზი,—ამბობს ბერარი,—არის ძლიერი აღფრთოვანება ზოგიერთთა აზრების, რომლებიც ისე მტკიცედ იცავენ გულის-ყურს, რომ შესწყდება ხოლმე ყოველგვარი გრძნობა და ბრძვანი, ჩერდებიან ნებითი მოქმედებანი, და თითქმის კიდეც ნელავდება ცხოვრებითი მოქმედებაო». მიკეას სიტყვით: «ექსტაზი არის სულის ღრმა ტრფიალება, გრძნობიერების მსპობელი, მოძრაობის შემჩერებელიო». მორის აზრით კი: «ექსტაზი არის უუმაღლეს წერტილზე ასული სულის ტრფიალება, ნებას შეუძლია იშვიათად გამოიწვიოს ექსტაზი, მაგრამ ვერა გზით კი ვერ შეაჩერებს მასო». ზოგიერთ სულით ძლიერს, აფეკტიურს და გურის-ყურის დიდი ნიჭის მქონე ადამიანს შეუძლია განშორდეს აზრით ქვეყნიერებას და გარე მოვლენას, არ იგრძნოს არავითარი ბრძვა და ტკივილი, აღფრთოვანდეს

რაიმე აზრით ან წარმოდგენით და შესტრფოდეს მას. ამგვარ სანეტარო მდგომარეობაში რაჴდენჯერმე ყოფილან აღმოსავლეთის დიდებული ფილოსოფოსნი, საკიამუნი, კონფუცი და ლაოდბი, საბერძნეთის ფილოსოფოსნი პითაგორი, სოკრატი და მათემატიკოსი არხიმედი; ბოლო დროის მეცნიერთა შორის პასკალი, ნიუტონი, გაუსი და სხ. ესაა შედარებით უფრო სუბუქი ექსტაზი ამგვარ მდგომარეობაში ყოფილან დროებით მოწამენი და ფანატიკები, რომლებიც საზიზღრად აწამეს სჯულის და პოლიტიკურ შეხედულობის გამო. თვით ეს გადარჩენილი მოწამენი არწმუნებენ, რომ წამების დროს ისე დაიპყრობდა მათს სულს და ააფრთოვანებდა რაიმე აზრი ქრისტესი, ღვთის, სამშობლოს ან სხვა რამესი წარმოდგენა, რომ სრულიად ვერ გრძნობდნენ ტანჯვებს და ტკივილს, ზოგი კიდეც გალობდნენ ლოცვებს, მაგ., ივანე გუსსი; როცა სწვავდნენ, იგი გალობდა ფსალმუნს. მაგრამ არის ექსტაზის მეორე ფორმა უფრო ძლიერი და უფრო იშვიათი; ამგვარ მდგომარეობაში სხეული ცივდება, ხდება უძრავი, სიტყვა და სუნთქვა ჩერდება, თვალები იხუჭება, ყოველი გრძნობანი, აზრები და ნიჭნი შორდებიან ცნობიერებას, თვით ცნობიერება კი ფხიზლობს. ის მთავარი აზრია თუ წარმოდგენა, ერთიანად იპყრობს გულისყურს, უერთდება სულს, სულის ყოველ ვორს, ყოველ ატომ, ატრფიალებს, აფრთოვანებს, აჰყავს თითქო მაღლა, მაღლა თვით ზეცას და ათქორებს ნელად უუტკბეს ნეტარებას, ზენაარ ფუფუნებას... ამგვარი მდგომარეობა ფრიად იშვიათია და მოკლე ხნოვანი. სულს და ცნობიერებას არ შეუძლია ხორცის მოშორება, არ შეუძლია განშორდეს მატერიალურ პირობათ; იგი თითქოს ჩამოდის ზეციდან, ფხიზლდება და უბრუნდება ისევ ქვეყანას და ხდება ისევ, საღვთო წერილის სიტყვით, მინდორში მძოველ პაწაწა ჩოჩრად, ე. ი. უბრალო მომა-

კვდავად. ამ გვარ უზენაეს ექსტაზში, რამდენათაც ვიცით, ყოფილა საკია-მუნი; ორჯერ ყოფილა ნეოპლატონელი ფილოსოფოსი და მისტიკი პლოტინი და ერთჯენაც პორფიროზი.

გულის-ყურის მონოდეიზმური მდგომარეობა, შესაძლოა არამც თუ მარტო ფხიზლობის დროს, არამედ ძილშიაც. ჩვენ ვიცით ბევრი მაგალითები, როცა სწავლულთ აეხსნათ სიზმარში ანუ ძილში ბევრი სამეცნიერო კითხვები, მოეგონათ რაიმე მანქანა, პოეტთ დაეწეროთ პოემები, კომპოზიტორთ მოეგონოთ სონეტები და სხ.—

—„ყოველი ამგვარი მოვლენა არის ტვინის ავტომატიზმის შედეგიო“, —ამბობს რიბო. როგორც ძილში, ისე სიფხიზლეშიაც ხდება ხოლმე ამ გვარი ტვინის ავტომატიზმი; ხშირად ხდება, რომ რომელიმე სიტყვას და აზრს, რაც უნდა ეცადო, ვერ მოიგონებ, მერე კი თავის თავად მოგაგონდებათ, როცა სრულიად არ ფიქრობთ მათზე. ეგრეთვე მოხდება, რომ გსურთ რამე ძნელი კითხვის ახსნა, ბევრს ცდილობთ, მაგრამ ვერაფერი გამოგდით, რამდენიმე ხნის შემდეგ კი ეს კითხვა თავის თავად ახსნილი დაგეხატებათ თქვენს გულის-ყურში. რა ძალა იყო, რომ ახსნა თქვენდა უცნობლად ეს კითხვა ან ამიცანა? ამას დასაბუთებით ჯერ ვერავინ ვერ ხსნის; მატერიალისტები კი გაიძახიან, რომ ამას ჩადის ტვინის ავტომატიზმიო, მაგრამ რა არის ეს ტვინის ავტომატიზმი, რა ფრად სჩადის იგი ამგვარ საკვირველ საქმეებს, დღეს ეს ჩვენთვის ამოცანაა.

ძილში ტვინის ავტომატიზმის მოქმედებიდამ ვიდრე სომნამბულიზმამდე და ჰიპნოტიზმამდე ერთი ნაბიჯია. ჩვენ არას ვიტყვით აქ სპირიტუალიზმზე, რომელიც მიგვაჩნია ჯერ კიდევ საეჭვოთ; ეჩ ხუთმეტი-ოცი წელიწადია, რაც მეცნიერთა ყურადღება მეტად მიიზიდა სომნამბულიზმმა და მეტადრე ჰიპნოტიზმმა, შეუდგნენ გულ-

მოდგინეთ მათ კვლევას, წარმოთქვეს მათ საკვირველ მოვლენებზე სულ სხვა და სხვა ჰიპოტეზები, ასტეხეს ხმაურობა და მიიზიდეს საზოგადოების გულის-ყურიც. მართლაც, ვის არ მოჰხიბლავდა და ვის ყურადღებას არ მიიქცევდა ის საკვირველი ფაქტები და მოვლენანი, რომლებიც თითქო გამოდიან ფიზიკურ კანონებიდან და ესაზღვრებიან თვით სასწაულებს. ფრიად სამწუხაროდ, შეუძლებელად ვხდი აქ შევჩერდეთ ამ მეტად საგულისხმო საგნებზე, რადგან მოკლედ მათზე არაფერი ითქმება და გრძელი საუბარი კი შორს წაგვიყვანს; ჩვენ მიტომ ვახსენეთ სომნამბულიზმი და ჰიპნოტიზმი, რომ დაგვეკავშირებია ისინი სიზმრებთან, გვეღვიარებია ტვინის ავტომატიზმის მოქმედებად, და მოგვეხსენებია, თუ როგორ ხსნიან და რა აზრის არიან მათზე მეცნიერნი. რიბო უახლოვებს მათ idée tixe-ს და მონოიდეიზმს. ბრაიდი, კარპენტერი, ჰეიდენჰეინი ხსნიან მათ გულის-ყურის დამყარებით; ამერიკელი მეცნიერი ბირდი კი გაიძახას:— «სომნამბულური და ჰიპნოტიური მოვლენანი ნერვის სისტემის ფუნქციონალური აშლაა, რის გამო ყოველივე მოქმედება დამყარებულია მხოლოდ ტვინის პატარა ნაწილზე, სხვა ნაწილები კი უმოქმედოდ რჩებიან, რის მიზეზითაც იკარგება ნება-სურვილის ნიჭიო. ტვინის უჯრედები ჰგვანან გაზის ურიცხვ ჩაღებიან ხომლს, ანუ კანდილს, როცა ყველა ჩაღები ანთებულია,—ესაა ღვიძარობა და სიფხიზლე, როცა ჩაღები მეტად დაწეულია, ოდნავ ბჟუტვენ, მაგრამ დაუმქრალია კი,—ესაა ძილი, როცა კი ყველა დამქრალია ერთის გარდა, რომელიც ბრიალებს და ინდომებს მთელს გაზს,—ესაა ნამდვილი ჰიპნოზიო».

ბირდის ახსნამ და შედარებამ გამახსენა ერთი რამ. როდესაც რაიმე აზრი, მოვლენა, idée tixe თუ ექსტაზი იპყრობს ერთიანად გულის-ყურს და ამგვარად ამყა-

რებს მუშაობას ტვინის რომელიმე ნაწილზე, ხან და ხან მთელი სულის და ნერვების პოტენციალური ენერგია შეჯგუფდება ხოლმე უეცრივ იმ ალაგას, ეხმარება გულის-ყურს და ჩაადენინებს თითქმის რამ სასწაულიან მოქმედებას. მაგრამ რამდენად ძლიერად იყო აღძრული და ხანგრძლივი გულის-ყური, იმდენად მეტი დაიხარჯა ეს ენერგია, ეს სულ-ხორცის კაპიტალი, ამიტომ გამოკვევის დროს ადამიანი გრძნობს მეტის-მეტ დაქანცულებას და სჭირდება ბევრი დრო და უმოძრაოდ ყოფნა, რომ კვლავ შეივსოს მის ნერვებში და ტვინში ის დახარჯული ცხოვრებითი ძალა. გულის-ყურის ამგვარ თვისებას, ამგვარ ენერგიის გამოწვევას ფიზიოლოგნი უხმობენ **დინამოგენიას**. არ შემიძლია არ მოვიყვანო აქ ბროუნ სეკარის საგულისხმო მაგალითი. ეს მეცნიერი რამდენჯერმე დარკვირვებია ერთს ახალგაზდა მშვენიერ ქალწულს, რომელიც ყოველ კვირა დილას ზარების რეკვის დროს ვარდებოდა ექსტაზში და 12 საათის განმავლობაში იდგა ხოლმე თავის ტახტის განაპირზე, მაგრდებოდა მხოლოდ პაწაწა ფეხის ცერებით და სულ ერთ-ცალ ფეხის გულის ნაწილით, ასე რომ გეგონებოდათ ან აგერ წაიქცევა და ან აგერო, მაგრამ ისე მაგრად ეკავა ტანი, რომ სამს ძლიერს ელექტრო-მაგნიტს ვერ გამოჰყავდა ამ მდგომარეობიდან. შემდეგ კი, როცა გამოფხიზლდებოდა, საბრალო ქალი გრძნობდა მისთანა დაქანცვას, რომ მთელი კვირაობით ლოგინიდან ვერ იძრიოდა. მართლაც მთელი დღის განმავლობაში იმ გვარ გაჩერებისათვის საჭიროა შეჯგუფულიყო მის დირიგო მატორულ ანუ სამოქმედო აპარატში მეტად ბევრი ენერგია.

VIII.

ქამდე ჩვენ განვიხილეთ, თუ რა ყოფილა გულის-ყური, რა დიდებული მნიშვნელობა ჰქონებია მას ჩვენს ცხოვრებაში, რაში მდგომარეობს

მისი მეხანიზმი, რაც ცვლილებაებს ახდენს ჩვენს სულში და ჩვენს მოქმედებაში ამა თუ იმ ელემენტის: აზრების, ჩვეულების, აფეკტების თუ ნების მიერ მისი დაპყრობა. ვცანით აგრეთვე, რომ გულის-ყური ყოფილა ორნაირი სახიერების: უნებლიეთი, როცა თავის თავად სძრავს მას რაიმე საინტერესო მოვლენა, ვნება თუ აზრი და ნებითი, როცა ისაკუთრებს მას ნება, რა საგანზედაც სურს, იმაზე დაამყარებს და ამუშავებს, საინტერესო იყოს იგი თუ არა-საინტერესო, ადვილი სამუშავო თუ ძნელი. ვცანით, თუ რა დიდი შედეგი ჰქონებია ნების გავლენას გულის-ყურზე, როგორ დაარსებულა მისი მეოხებით ისტორია, კულტურა, ცივილიზაცია, ხელოვნება, მეცნიერება და, ერთი სიტყვით, მთელი კაცობრიობის ნივთიერი და სულიერი პროგრესი. ჩვენ შევეხეთ ეგრეთვე გულის-ყურის პატალოგიასაც, განვიხილეთ ოდნავ idée fixe-ს და ექსტაზის სხვა და სხვა ფორმები; ახლა კი დროა შევხედოთ გულის-ყურს სულ სხვა მხრივ და გავარჩიოთ ცოტათი მაინც მისი **აღმზრდელი, პედაგოგიური მნიშვნელობა.** თუ კი გულის-ყურს ჰქონებია უპირველესი მნიშვნელობა ჩვენს სულსა და ხორცზე, მთელს კაცობრიობაზე, ეჭვი არაა მასავე ეკავება ერთი უუმთავრესი ადგილი პედაგოგიკაში.

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ აღმზრდელნი და მასწავლებელნი შედარებით ცოტა ყურადღებას აძლევენ გულის-ყურს, არ აფასებენ ღირსერლად ამ საუნჯეს, არ ცდილობენ განუკითარონ ყმაწვილს ნებითი გულის-ყური, რო მისცენ მით უუძლიერესი ცხოვრების იარაღი. არამც თუ პრაქტიკულად, თვით თეორეტიულადაც სუსტად და ბუნდათ არის გარჩეული ეს საგანი. საგანგებოთ გულდასმით განვიხილეთ ცნობილი პედაგოგიური თხუზულებანი და ვპოვეთ, რომ იქ ძლიერ ცოტა ადგილი უკავია გულის-ყურს; თუმც ყვე-

ლა ავტორი ერთხმად სცნობენ გულის-ყურის დიდ მნიშვნელობას, მაგრამ არც ერთი ღრმად არ უკვირდება ამ საგანს და არ იკვლევს ღირსეულად მის მნიშვნელობას და მის თვისებებს; ერთი სიტყვით, არ უშვრებიან მას ანალიზს, არ ეხებიან მის შინაგან ბუნებას, მის დამოკიდებულებას და კვლავ მოღებას სულის სხვა ელემენტებთან და სხ. და სხ. ისინი ერთნაირად კმაყოფილდებიან საზოგადო ფრაზებით, აღიარებენ მის დიდს მნიშვნელობას, მოიყვანებენ რამდენიმე მეცნიერის სიტყვას და ცდილობენ გადვიდენ სხვა საგნებზე. ეს პატივცემული პედაგოგები თავის წიგნებში ძლიერ ჩერდებიან ასოციაციებზე, საკმაოდ იკვლევენ ჭკუა-გონების და აზროვნობის პროცესს და მეხსიერებას, მაგრამ ძლიერ სუსტად არჩევენ ნებას, რომელიც არის თვით სულის შინაარსი და მეტადრე გულის-ყურს. რომ დავუკვირდეთ, ამ მოვლენასაც ვუპოვით მიზეზს. ჩვენ ვიცით, რომ პედაგოგიკის ფუძეთ ითვლება უმეტესად **ფსიხოლოგია**, ესაა, რომ ასულდგმულებს და ანვითარებს მას. ამიტომ რაც არაა შემუშავებული ფსიხოლოგიაში, იმას ვერ გაარჩევს და ძალაუნებურად გვერდს გაუარს პედაგოგიკაც; და სწორეთ აქაც ასე მოხდა. სამწუხაროდ უკანასკნელ დრომდე ფსიხოლოგია მეტად მკრთალად ეხებოდა გულის-ყურს, ზოგი მეცნიერი თითქმის ორს სიტყვასაც არ ამბობდა მასზედ, მაგრამ ამ ბოლო დროს ძლიერ მიიქცია ფიზიოლოგთა და ფსიხოლოგთა ყურადღება ამ უმთავრესთაგანმა სულის ელემენტმა და იმედია აწინდელი პედაგოგებიც მიჰყვებიან იმათს კვალს: შეისწავლიან მტკიცედ ამ ფრიად საგულისხმო საგანს, მისცემენ მას შესაფერ ადგილს და მით მოიტანენ თავიანთ ნაყოფიერ სფერაში დიდს სარგებლობას კაცობრიობის საკეთილდღეოთ.

არამც თუ გულის-ყურს, საუბედუროდ სულის სხვა მხარეებსაც კი მეტად სუსტად აქცევენ ყურადღებას ჩვე-

ნი პედაგოგების უმთავრესი ნაწილი. არამც თუ გიმნაზიები და სემინარიები, სადაც დღემდე ტრიალებს სხოლასტიკის სუნი, არამც თუ სხვა სახელმწიფო სასწავლებელნი, და სოფლის სკოლები, სადაც სუფევს რუტინა, ჩინოვნიკური აპატია და სალდათური დისციპლინა, არამედ კერძო მოსამზადებელი სასწავლებელნიც კი, ცოტა-ოდენის გარდა, არ უკვირდებიან ყმაწვილის სულს და არ ცდილობენ მის ჰარმონიულ განვითარებას. სამწუხაროდ სკოლის მასწავლებელნი არ არიან გამსჭვალულნი კეთილშობილურ აზრებით და თავის საქმისადმი სიყვარულით. მათ ამოქმედებთ მხოლოდ მატერიალური, კომერციული აზრი.

მაგრამ რა გვეთქმის მასწავლებელზე, როდესაც თვით მშობლებიც არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას თავიანთ შვილებს. ჩვენ არ ვეხებით აქ უვიცს და ღარიბს ოჯახებს. ერთი შევიხედოთ, თუ რა ხდება, მდიდარს, „განათლებულის“ სახლში. აი, ზის ეგერ მშვენივრად ჩაცმული ბავშვი, მის ანგელოზის სახეზე კრთის ნორჩი სიცოცხლე და ნაზი ღიმილი, მის ცრიალა თვალებში ჭვირს ქორფა, უშანკო სული; ამ სულს სწყურია ალერსი, დედის ტკბილი ალერსი და სიყვარული, რადგან ესაა მისი ნოყიერი საზრდო, მისი სანეტარო სტიქიონი. მაგრამ ხშირად დედას არ სცალია მისთვის, მას არ სცალია ქმარშვილისათვის და ოჯახისათვის, გუშინ იგი იყო თეატრში, ახლა კი მორთულია მდიდრულად, იხედება გულმოდგინეთ სარკეში, ილესავს პირისახეს სხვა და სხვა ბალზამებით, კოსმეტიური საშუალებებით და ემზადება წვეულებაში ან მასკარადში. ყმაწვილს კი მიუგდებს ძიძას, შიმენორს ან მსახურთ. რას გრძნობს და რას სწავლობს ბავშვი ამათ სფერაში? დედის სიყვარულის მაგიერ მას ესმის გაწყრომა და ლანძღვა-გინება; იგი მზერს მათ არა-მშობლურ, მწყრალ სახეს, დედის ალერსის ნაც-

ვლად მას ურტყავენ კიდეც; ამ ყმაწვილს ჰსურს ეზოში თამაში, ხტუნვა, — არ უშვებენ, დაშლილი აქვთ — გაცივდებაო; რჩება უნებურად ოთახში ეს პაწაწა ტყვე და ძრება მისი ნორჩი სხეული. ყმაწვილს უნდა ცელქობა, თამაში, სადაც მოძრაობს მისი ყოველი ორგანო, სადაც ვითარდება მისი სხეული, მეტადრე სადაც ვარჯიშობს სული, სულის ყოველი მხარე, ვითარდება ჭკუა-გონება, ვითარდება ცნება, მეხსიერება, ძლიერება, ნება და ეძლევა მეტი გავლენა გულის-ყურზე, უმახვილდება შემქნელი მგონებლობა, მაგრამ დახე მტარვალობას! ბავშვს არ აძლევენ თამაშის ნებას, მას აკლიან მისი სულ-ხორცის მაცოცხლებელ სტიქიონს, რამეებს გასტეხ და მიფუშ-ბოფუშავ ოთახშიო, ან „პაპაშას“ და „მამაშას“ სძინავს და გააღვიძებო. ბავშვი ხედავს ბუნების მოვლენათ, აოცებენ ისინი მას, უკვირდება, იკვლევს, სწავლობს, ვითარდება მისი ბუნებითი ცოდნის მოყვარეობა, აი, თხოულობს იგი ზოვიერთ მისთვის ძნელი კითხვების ახსნას, მაგრამ ვისთან! დედ-მამას არ სცალიათ მისთვინ, უვიცნი მსახურნი კიდეც დასცინიან მას ამგვარ კითხვებზე, რჩება უკმაყოფილოდ ბავშვის სული და წმინდა ნაპერწკლის გაღუების მაგიერ კიდეც ცდილობენ მის ჩაქრობას; ამ რიგად ტლანქდება და კვიჟრდება ეს ნორჩი სული, იხუთება მისი ნაზი, სიმპატიური, სათნო ემოციები, ეს სულის დიდება; გაწყრომით, დაშინებით, დასჯით, გალახვის და ატირების გამო სუსტდება და ინთხევა მისი აზროვნება, ცნობიერება, ჭკუა-გონება, ასოციაციები და მეხსიერება, უჟანგდება შემქმნელი მგონებლობა, უძლურდება და უმონავდება ნება-სურვილი; ეთვისება ცუდი ჩვეულებანი, უნვითარდება ბოროტი ვნებანი და მეტადრე აგრესსიული ინსტინკტი — ეს სულის შხამი; გულის-ყური ხომ ნების მაგიერ ხდება აფეკტების, ქვენა გრძნობების და ცუდ ჩვეულებათა ყურმოჭრილი მონა. ამ რი-

გად აღმაშფოთებელად და საზიზღრად' მახინჯდება ეს ძვირფასი საუნჯე, ადამიანის სულ 7—8 წლამდე, ე. ი. მთელს იმ დროს განმავალობაში, როდესაც დგება მის ცხოვრებაში უუდიდესი ეპოქა, სულის უუდიდესი ზრდა, როგორც ამტკიცებენ ფსიხოლოგნი; ამ ხანებში ბუნების მოვლენათა გაცნობით და დაკვირვებით ყმაწვილი სწავლობს მეტს, ვინემ მთელს მის დანარჩენ ცხოვრებაში. ამ აზრზე გვამყარებს ფიზიოლოგიური გამოკვლევანი; მერკელის აზრით ყმაწვილის თავის ზრდა იყოფა ორ პერიოდათ. პირველი პერიოდი დაბადებიდან შვიდ წლამდე, მეორე პერიოდი კი იწყება 14 წლიდანო, მანამდე კი თავი ნაკლებად იზრდებაო. დიაღ, გადის ამ გვარ უნაყოფობაში და მავნებლობაში ეს დიადი ხანა და „განათლებული" დედ-მამა, თითქმის სრულიად ვერ ამჩნევენ, თუ როგორ ფუჭდება მათი საყვარელი შვილი, რა რიგ სახიჩრდება მისი ხასიათი; და თუნდაც შეამჩნიონ მაინც ბევრს არ იწუხებენ ეიავს, რა ვქნათ, ბავშვიაო, აი, სკოლაში შევიყვანთ და იქ გაკეთდებაო. აი, მოამზადეს კიდეც და შეიყვანეს სკოლაში; მივადევნოთ თვალი, აქ რაღა ემართება ყმაწვილს.

ყმაწვილის წინაშე იღება „მინერვას ტაძრის" კარები; ვნახოთ, როგორ შეამუშავებს და გარდაქმნის ამ პაწია სულს ეს „ჰუმანიზმის სახელოსნო", რომლის მოვალეობაა შექმნას ადამიანი „სულით ძლიერი, გონებით ბრძენი და გულით სათნო". აქ ტკბილი სიტყვისა. და თავდაბლობის ნაცვლად, ყმაწვილი მზერს მასწავლებლის სასტიკს პედანტურ სახეს, რომლისაგან სიყვარულის სითბოს მაგიერ მოჟვენავს ცივი ჩინოვნიკური სინესტე; საბრალო ბავშვი გრძნობს, რომ იგი ჩავარდა საშიშს დარიჯაგში, მაგრამ როგორც არის ეჩვევა ამ მდგომარეობას; ის ხედავს სხვა თავისავით პაწია ყმაწვილებს ამ მდგომარეობაში და ეძლევა ზნეობრივი სიმტკიცე ამ გაჭივრე-

ბის დროს, ანუ ვიტყვით აქ, რომ სრულიად არ აქცევენ ყურადღებას სკოლებში ყმაწვილის სულს, არ უნვითარებენ მას არც ნებას, არც გულის-ყურს, არც ზნეობას, არც მგონებლობას; ნუ ვიტყვით ამაზე მეთქი, რადგან ეს ძლიერ შორს წაგვიყვანს; ვიკითხოთ ანვითარებს მაინც შკოლა ყმაწვილის ინტელეკს, ე. ი. ჭკუაგონებას, ცნობიერებას, აზროვნებას და მეხსიერებას? აძლევს მას ჭეშმარიტ განათლებას? თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არა; არამც თუ არ ანვითარებს ამათ და არ აძლევს მათ ნამდვილ ცოდნას, საუბედუროდ, პირიქით, უმახინჯებს ამ სულის ძვირფას განძს, უნთხევს და უბნელებს ყმაწვილს ნორჩ ტვინს. ჩვენ არ გვყავს აქ მჯედველობაში მეტად ნიჭიერ ყმაწვილთა მცირე რიცხვი, რომელთა ძლიერს სულს, ნათელ გონებას და სწავლისადმი სურვილს ვერ ახშობს სკოლის რუტინა; ისინი ვითარდებიან უფრო შკოლის გარეთ წიგნების კითხვით და ხდებიან ნამდვილი განვითარებული და სასარგებლო კაცნი. არა, ჩვენ გვყავს სახეში უმრავლესობა; რა ემართებათ მათ? ასწავლიან მათ იმ პროგრამით, რომელიც შემოიღეს 1000 წლის წინეთ სხულასტიკობის ბნელს დროს, და რომელიც ეწინააღმდეგება ცნობიერ პედაგოგიკის ყოველივე მოთხოვნილებას. ბავშვს უნდა კონკრეტული, ეპიზოდიური რამ, ‘ასწავლებელნი კი აჩრიან ხმელს აბსტრატულ გრამმატიკას; ყმაწვილის სული თხოულობს ინსტინქტურად ბუნების გაცნობას, მის მოვლენათა შეტყობას, ბუნებასთან კავშირს, ეს ბნელი პედანტები კი ასაზრდოვებენ მას რვა წლის განმავალობაში მკვდარი ენებით, ლათინურისა და ბერძნულის ტექსტებით, ვოკაბულებით და მათ ბუნდოვან გრამმატიკით,— რომელთაც უკავიათ სწავლაში უუპირველესი ადგილი და რომელთაც ანდომებენ უმრავლეს დროს; უნთხევენ ტვინს მათი უაზრო ზეპირობით იმისათვის, რომ ატეს-

ტატის შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში დაავიწყდეს ის, რასაც შესწირა ყმაწვილმა უკეთესი დრო, და რაზედაც ტყუილ-უბრალოდ დაანთხია ჭკუა-გონების ძალ-ღონე. ყმაწვილი თხოულობს თამაშს, მოძრაობას, თავისუფლებას, მაგრამ ამ დროს მას სდევნის არგუსის თვალი, მას ესმის სკოლის ყოველი კუთხიდან და კედლიდან: **დისცაპლინა, დისციპლინა, დისციპლინა...** აქედან ადვილი მისახვედრია, თუ რა სამწუხარო შედეგი ჰყვება ამგვარ ყოფას. ყმაწვილთ ეკარგებათ ცოდნის ხალისი, იხუთება მათ სულში სწავლის მოყვარეობის გრძნობა, უტყდებათ გული ყველაფერზე, მჩვარდებიან, ესუსტდებათ ენერგია, ეხრწნებათ ხასიათი, მათ სულში შრება ის წვენი, ის ძვირფასი სითხე, რომელიც ღებავს მას სასიცოცხლო ელფერით, რომელიცაა სულის პროგრესსიული მეხანიზმი და რომელსაც ჰქვია სულის **ინდივიდუალური მხარე.** ჩვენ არას ვიტყვით აქ ბალებზე და ეგზამენებზე, რომლებიც არიან ბრიყვული პალიატივა და თავის მოტყუება; ეს მაგონებს უვიცს, უხეირო ექიმს, რომელიც ვერ იგნებს სნეულის შინაგან ტკივილს, ადებს იარებს გარეგან პლასტირს და სურს ამ რიგად განკურნოს იგი.

ასე სასტიკად დამახინჯებული ყმაწვილი ცდილობს მოტყუებით და ოსტატობით როგორმე კაათავოს გემნაზია, იშოვოს ატესტატი და გაემგზავროს უნივერსიტეტში, რომელშიაც თუმც მრავალი ნაკლულევანებაა, მაგრამ გაცილებით ბევრად უკეთესობაა, ვინემ გემნაზიაში. აქ ყმაწვილი ან უკეთ ჭაბუკი პირის-პირ შეხვდება მეცნიერებას და ჭეშმარიტს სწავლას, მაგრამ საუბედუროთ გონების თვალი დახშული აქვს მას გემნაზიაში ლათინურ-ბერძნულის «ზუბრობით», ხშირად ველარ ეხსნება ეს ბრმა თვალი, ვერ ეთვისება მეცნიერებას, ნთქავს დროსა და ლოგიას ქეიფში, არშიყობაში, გარყვნილე-

ბაში, ბანქოში და ცდილობს კი ამავე დროს როგორმე დაეჭყანოს პროფესორს, ან რაიმე ოსტატობით იგდოს ხელში დიპლომი, და თუ შეასრულა რითიმე ეს უგულითადესი წადილი, თუ იგდო ხელში პატენტი, მას მეტი არა უნდარა. ის კმაყოფილია; იგი ჩამოდის ამაყად თავის სამშობლოში, მის წინ იღება კანცელარიების და დაწესებულებათა კარები, თუ კი ინება მასში შესვლა; მის წინ იღება მდიდართა დარბაზები, მას შესტირიან, შესცქრიალობენ ლამაზთა დასნი და უგებენ ხაფანგებს. მას ეძახიან **ინტელიგენტს**, იგი იწყებს კიდეც ვითომდა საზოგადო მოღვაწეობას, მაგრამ რა ნაყოფს მოიტანს მისი მოღვაწეობა!? ამის მაგალითებს საუბედუროდ ბევრს ვხედავთ, — არ გვინდა დასახელება... მაგრამ ხალხი იგნებს ზოგი მათგანის ცბიერობას, ვერაგობას, პირადობას და ანგარეთ მოყვარეობას; ხალხი იზიზღებს მათ და აბრალებს მათ ზნეობით გაფუჭებას, მხოლოდ სწავლას; ის კი არ იციან უბედურებმა, რომ „ნასწავლებს“ სრულებითაც არ უგემიათ ნამდვილი **სწავლა**, სრულიად არ უნახავთ მეცნიერება!..

IX.

ს გონებითი სეირნობა მოვახდინეთ იმ აზრით, რომ ერთი მხრით გამოგვეწვია მეხსიერებაში ჩვენი სკოლების ცუდი მდგომარეობა, ჩვენ ყმაწვილთა ნორმალური აღზრდა-განათლება და მისი სამწუხარო შედეგი, მეორე მხრით კი ამ კონტრასტით უფრო ნათლად წარმოგვედგინა, თუ რა ეპივრება ყმაწვილს, რა უნდა მის ნორჩს სულს, როგორ უნდა აღიზარდოს და გაიწურთნოს იგი, რომ შერჩეს მას ინდივიდუალური თვი-

სებანი, რომ არ დაემსგავსოს მონეკენს, რომ განუვითარდეს მას ჰარმონიულად ყოველი მხარეები და ნაწილები, რომ დაითურგნოს მასში ცუდი აფექტები და ჩვეულებანი. ერთი სიტყვით **უმაწვილი უნდა აღაზარდოს ისე, რომ მას ერქმოდეს ზეშმარიტი სახოგადოებრივი ელემენტი, ნაძღვალი პროგრესსიულია მიგრაციასში.** რასაკვირველია, ეს ფრიად საგულისხმო და რთული კითხვებია. ამაების ახსნას და განხილვას ვერ იკისრებს ეს ჩემი სუსტი და მოკლე შრომა, მათ დასჭირდება მთელი ტომები; აქ კი განვიხილოთ რამდენადაც შესაძლოა სულის ერთი მხარე, ე. ი. გულის-ყური, შევეხოთ პედაგოგიურის მხრით ამ ცივილიზაციის უუდიდეს ფაქტორს ნებითი გულის-ყურს.

ჩვენ ისე ბევრი ვილაპარაკეთ წინეთ გულის-ყურის მნიშვნელობაზე და ხასიათზე, რომ ამ საგანზე ამგვარ რაიმესი თქმა იქნებოდა მხოლოდ იმ სიტყვების გამეორება. თუ კი საზოგადოდ გულის-ყურს და მეტადრე ნებითი გულის-ყურს ჰქონებია ცხოვრებაში ამისთანა მთავარი მნიშვნელობა, მაშ ბავშვობიდანვე მისი განვითარება დიდი სასარგებლო და სასურველი უნდა იყვეს. მართლაც აი რას ამბობს ცნობილი პედაგოგი ბენეკე: „თავიდანვე კარგად აღზრდილი და კარგ მხარეზე მიმართული გულის-ყური არის პირველი სათნოება სიყმაწვილეშიო“. დუგალდ სტიუარტი გვამხელს: «რამდენადაც ძლიერია და განვითარებული გულის-ყური, იმდენადვე ყოველი შთაბეჭდილებანი და ბრძვანი ნათლოვანი და ბრწყინვალეა, ამიტომ მათი კვალები ღრმად და სამუდამოდ რჩება ჩვენს მეხსიერებაშიო». ახლა მოვისმინოთ ფილოსოფოს გიუიოს შშვენიერი სიტყვები, თუმცა მარტო ცალ მხრივ ეხება იგი ამ საგანს: «გულის-ყურის კულტურაში, ანუ აღზრდაში, ამბობს იგი თავის «Education et Hépédité» არის მთელი სეკრეტი ჭკუა-გონების გაწვრთნისა და გა-

ნვითარებისა. გულის-ყური აჯგუფებს აზრებს და წარმოდგენებს იმ რიგად, რომ ყველა ისინი კავშირდებიან ერთმანერთში ლოლიკურსა და ესტეტიურს მსგავსების გამო; გულის-ყურის უქონლობის ან განუვითარებლობის გამო კი აზრები და წარმოდგენანი წარმოიშობიან ხოლმე განკერძოებულნი, ცალ-ცალკე, ვერ კავშირდებიან მტკიცედ ერთმანერთში და იღუპვიან უნაყოფოდ. მაშ გულის-ყური ეკუთვნის, როგორც თვით ბუნებას, ეგრეთვე პედაგოგიის მეთოდს. გულის-ყურის ვარჯიშით, ნებითი გულის-ყურის აღზრდით ადამიანი ეჩვევა აზრების შეკავშირებას და სისტემატიურად განწყობას. გულის-ყური არის აზრის წყობივრობა და პატიოსნება. გულის-ყური არის ინტელექტის ელემენტალური ზნეობა და სათნოება, იგია ხელოვნება პატიოსნად იმოქმედოს კაცმა ჭკუაგონების საქმეებში. გულის-ყურის დიდი მნიშვნელობა სცნო დიდი ხნიდან ხალხმაც და როცა ყმაწვილი კარგად სწავლობს, ამას ასოციაციის ნიჭს სრულიად არ აწერს ხალხი. თუმც მასაც დიდი ალაგი უკავია ამ შემთხვევაში და იძახის მხოლოდ „იმ ყმაწვილს კაი გულის-ყური აქვსო“.

სულის ყოველი ნაწილის აღზრდა და განვითარება შესაძლოა, ერთი მხრით პირდაპირი ვარჯიშით, მეორე ხრით სულის სხვა მხარეების მასზე ზედგავლენით და ამ რიგად მისი გამხნევებით და გაცხოველებით. გულის-ყურიც რასაკვირველია, ამ კანონს ექვემდებარება. გულის-ყურის ვარჯიში ბავშვში უნდა დაიწყონ ადრე, ამას მოწმობს ყმაწვილის სულის მშვენიერი მცოდნე პრეიერი და მასვე ემოწმება სიკორსკი. საუკეთესო აღმზრდელი ბავშვის სულის და ხორცის არის თვით ბავშვი, თავისივე თავი, მისი ინსტინქტი, მისი სტიქიური წადილი; იგი ცდილობს და ელტვის ავარჯიშოს და ანვითაროს სულის და ხორცის ყოველი მხარე, ყოველი ორგანო, ის-

წრაფის ჭეშმარიტებისაკენ, მაგრამ ამ საოცარი საქმეების ჩადენა ბავშვს შეუძლია მეტ წილად ერთს სფერაში, და ეს სფერაა **თამაშობა**. ოჰ, ბუნებავ! ამ პაწაწა პედაგოგმა შეჰქმნა თავის აღსაზრდელად მისთანა რამ, რომლის მსგავსი ვერ მოუგონიათ მთელი ქვეყნის პედაგოგთა შეერთებულ ძალას. მან შექმნა **თამაშობა, ცელქობა**, ეს სულიერი პროგრესის სათაური და წყარო. სამწუხაროდ ბევრს არ ესმის ბავშვის თამაშობის მნიშვნელობა; ერთი შეხედვით გვგონია ბავშვი ტყუილ-უბრალოდ ცუღლუტობს, ეშმაკობს და დროს ჰკარგავს; მაგრამ რო დავუკვირდეთ ღრმად, ვნახავთ, რომ თამაშობა არის ბავშვის სულის ლაბორატორია, და თვით ბავშვი ასრულებს ფილოსოფოს-მეცნიერის როლს; ის უკვირდება ყოველგვარ საგნებს და ბუნების მოვლენათ, იკვლევს, სცდის, ირდგენს, აზრობს, იგონებს, ავარჯიშებს და ანვითარებს ამგვარად ცნობიერებას, ჭკუა-გონებას, მოციებს, მეხსიერებას, მგონებლობას, შემქნელ ნიჭს, ინდივიდუალურ მხარეს, ნება-სურვილს, გულის-ყურს, ითვისებს კარგ ჩვეულებებს, იმაგრებს ხასიათს და ამ სასწაულებს სჩადის **სულ ცოტა სულის ენერგიის დაკარგვით**, რადგან ეს არაა რაიმე ძალდატანება, ესაა მისი **თავისუფალი მოქმედებანი**; თავისუფლება ხომ მოცოცხლებული მზეა ყველაფრის!.. ამ დროს ყველაფერი ჰბადებს ყმაწვილში ინტერესს, ყველაფერი სძრავს მის გულის-ყურს და ამუშავებს. ერთი სიტყვით, თამაშობაში იშლება ბავშვის სული, ვით დილის ნამზე მაისის ვარდი. თამაშობაში კიდევ ბავშვი დარბის, დახტის, ამოქმედებს ყოველს ორგანოს, სხეულის ყოველ უჯრედს და ეს ხომ უმთავრესი მოვლენაა მისი ფიზიკური აგებულობისა. თამაშის დიდი მნიშვნელობა მტკიცეთ შეიგნო დიდმა პედაგოგმა ფრებელმა და შექმნა ბავშვთა ბაღები. თამაშში არამც თუ ვარჯიშობს და ვითარდება ბავშვის სულ-ხორცი, თამაშობა არამც თუ არის

ყმაწვილის გიმნასტიკა, არამედ თამაშობაში ხალისობს ბავშვი, მასში ცოცხლობს, სიამოვნებს მისი სული და ხორცი, ამიტომ თამაშობა ხდება ყმაწვილისათვის იგივე, რაც ცხოველთათვის ჰაერი და თევზისათვის წყალი. თამაშობა, ამბობს სიკორსკი, არის აზროვნობის სკოლა ბავშვისათვის; აქ ანვითარებს იგი სულის ყოველ მხარეებს, აქ ავარჯიშებს ნებას და გულის-ყურს *). ამიტომ თუ კი აღმზრდელი არ ვარგიხარ, უმჯობესია მისცე ბავშვს თავისუფლება, მიანებო თავი; დეე, მან თავის თავად მაინც ივარჯიშოს და განვითარდეს თამაშობით. მიტომაა, რომ რამდენადაც ყმაწვილი ნაკლებად ყოფილა ცუდი აღმზრდელის გავლენის ქვეშ, რამდენად ის ყოფილა თავისუფალი, იმდენადვე მეტად განვითარებულია მისი სულიერი და ფიზიკური მხარეები, იმდენადვე მეტი სიფხიზლე და შემქნელობა გამოუჩენია ყოველ საქმეში. მაშ კიდევ გავიხსენოთ დიდი პედაგოგის კომენსკის სიტყვები ყმაწვილთა შესახებ: „omnia sponte fluant, absit violentra rebus“, ე. ი. ყველაფერი თავისუფლება და არაფერში ძალადობაო.

მეორე მხრით ბავშვის აღზრდაზე ერთი უუმთავრესი მნიშვნელობა აქვს **მაგალითს**. ყმაწვილის სულია უმანკო სარფა, მსახრე, ვით მცენარის ნორჩი ყლორტი, რომელსაც როგორც გსურთ ისე მოგრეხთ და გაზრდით; ბავშვის სულია სარკე, ანუ უკეთ ფონოგრაფი, რომელშიაც თინათინებს და იბეჭდება დედ-მამის, აღმზრდელის თუ სხვა მის ახლო მყოფ ადამიანის კარგი თუ ცუდი მხარეები, კეთილი თუ ბოროტი მოქმედებანი, და იმდენად ძლიერია ეს გავლენა ყმაწვილზე, რამდენადაც იგი

*) Сикорскій: „Воспитаніе въ возрастѣ перваго дѣтства. 1889 г. стр. 120—137.

ხშირადაა ცუდს ან კარგ ადამიანთან და რამდენადაც იგი მეტ პატივს სცემს მას; აქ ავტორიტეტობას აქვს დიდი მნიშვნელობა; პატივს სცემს კი მას, ვინც უყვარს, და რომელშიაც მეტს სულიერ ძალას ჰპოებს ბავშვი, ამ შემთხვევაში იგი იშვიათად სტყუვდება, ამგვარად ყმაწვილი ჰბაძავს დიდებს, ამიტომ მშობელია თუ აღმზრდელი უნდა შეიყვაროს ყმაწვილები, უნდა აფასებდეს მათ ადამიანურ ღირსებებს, უნდა მოიხვეჭოს მათი პატივისცემა და შემდეგ უნდა ცდილობდეს აჩვენოს მათ თავისი კარგი მაგალითი: დიდსულოვნება, ხასიათის სიმტკიცე, ნება-სურვილის ძლიერება, სათნო გრძნობანი, კეთილი და ესტეტიური მისწრაფებანი, სწავლა-განათლების დიდი სურვილი და ხალისი, შრომის-მოყვარეობა და კარკი ჩვეულებანი. მაშინ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამგვარი აღმზრდელი თუ მასწავლებელი, კიდეც რომ არ იყვეს პედაგოგიკის მცოდნე და ფსიხოლოგი, იგი მაინც აღზრდის სასარგებლო მამულიშვილს და შეჰქმნის ნამდვილ ადამიანს. **თუ კსურს იმოქმედო ყმაწვილზე, უნდა კუხსნა მას წრფელი კეთილი გული, უნდა იქცე შენც მასთან ბავშვად, მაგრამ ნუ დაიწყებ ამაგე დროს, რომ შენ დადი ხარ.** სწორედ ამგვარივე მაგალითებით მოქმედებდა ყმაწვილებზე დიდებული პედაგოგი ჰენრიხ პესტალოცი თავის Kinder Class-ში. მაგალითების გარდა ბავშვზე მოქმედობს სიტყვაც და, რასაკვირველია, ის სიტყვა, რომელიც წარმოიშვა იმ ადამიანიდან, რომელსაც პატივს სცემს იგი. ამიტომ მართალია ცნობილი პედაგოგი სლომშეკი როცა ამბობს: „ერთი სიტყვა გულკეთილი მასწავლებლის უფრო ძვირფასია და გასაგონი ყმაწვილისათვის, ვინემ უგულო მასწავლებლის მთელი ქადაგება“.

მაგრამ მაგალითების და დარიგების გარდა რა რიგ უნდა იმოქმედოს აღმზრდელმა ყმაწვილზე? მან უნდა

ეცადოს აანთოს ყმაწვილში უკვე ბუნებით ჩაკვესილი ცოდნის მოვალეობა, უნდა შეაყვაროს თან და თან შრომა, უნდა უვარჯიშოს ნება, მეტადრე კი ისე დასურათებით, ნათლად და ცხოველად უნდა აუხსნას ყველაფერი, რომ აღძრას მათი ინტერესი და მით დაამყარებიოს და გაუძლიერეს გულის-ყური. თვით ნების გაძლიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს გულის-ყურის დაპყრობაზე. მეტადრე ნებითი ძალით აფეკტების დათურგნას.

— „ჩვენი გავლენა გულის-ყურზე, ამბობს უშინსკი, მჭიდროთ შეკავშირებულია ნების ძლიერებასთან და ნერვის ორგანიზმის ჯანმრთელობასთან; აშლილი ნერვები მისთანა მტერია ნებითი გულის-ყურის, რომ ხშირად ვერ დასთურგნის მას თვით ძლიერი ნება. საზოგადოდ კი კაცები, ცნობილნი თავიანთი ძლიერი ნებით, ცნობილნი არიან ეგრეთვე განვითარებული გულის-ყურით *). ამ გვარადვე უნდა მოიქცეს მასწავლებელი სკოლაში. მან უნდა აღუძრას ყმაწვილს სწავლისადმი ძლიერი სურვილი, აუხსნას ისე გასაგებად და ცხოვლად სასწავლო საგნები, რომ დაუბადოს მათი ინტერესი, შეაყვაროს კიდეც ისინი, ამით არამც თუ ყმაწვილთ მოუტანს დიდ სარგებლობას და შესძენს მეტს ცოდნას,—რადგან რამდენად საინტერესოა საგანი, იმდენად მეტად იპყრობს გულის-ყურს, რის გამო უფრო ღრმად იბეჭდება იგი მეხსიერებაში და ეთვისება სულს, დიახ, ამით მასწავლებელი არამც თუ არ ასრულებს თავის დიდს მოვალეობას, არამედ იადვილებს თავის შრომასაც, რადგან ერთხელვე სწავლა შეყვარებული და გაგებული ყმაწვილი, მალე ხვდება მასწავლებლის ყველაფერ ახსნას, მალე ითვისებს,

*) Ушинскій. „Человѣкъ, какъ предметъ воспитанія“, стр. 207.

მალე უგებს ყველაფერზე პასუხს და მით მასწავლებელს სჭირდება ნაკლები ჩიჩინი, ნაკლები მოთმინება, აღარ სჭირდება გულის მოსვლა და გაცხარება და მით კმაყოფილია, რომ პირნათლად ასრულებს თავის დიდსა და მძიმე მოვალეობას. მოწაფეებიც, რასაკვირველია, ამისთანა მასწავლებელს მეტს პატივს სცემენ და მით კიდევ კმაყოფილდება მისი ზნეობრივი მხარე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი პედაგოგიური შეცდომაა და უგნურება, როცა ზოგიერთი აღმზრდელი ან მასწავლებელი შიშით, გაწყრომით, გალახვით, ან რაიმე დასჯით ცდილობს გაუსწოროს ყმაწვილს ხასიათი, და მეტადრე დაამყარებიოს გულის-ყური რომელიმე უინტერესო საგანზე და შესძინოს მით ვითომ სწავლა-განათლება. ერთი, რომ ამ გვარ მდგომარეობაში ყმაწვილი ხშირად სრულებით არ უგდებს იმ საგანს ყურს, არამედ იგონებს, ანუ ცბიერობს. გარდა ამისა ეჩვევა ტყუილს და სხვა ცუდ თვისებებს, უძლიერდება აგრესიული ინსტინქტი, უჩლუნგდება ემოციები, უფუჭდება გულის-ყური, უსუსტდება ნება და შემქნელი ძალა, მაგრამ ყველაზე უფრო ცუდად მოქმედობს შიში და დასჯა-გალახვა აზროვნებაზე, ჭკუა-გონებაზე და საერთოთ ასოციაციურ ნიჭზე; ამ მდგომარეობაში ყმაწვილს ეშლება სისხლის ფუნქცია და ახდენს ცუდ შედეგს ტვინზე და ნერვებზე. ამიტომ დიდათ მართალია ბ. სიკორსკი, როცა ამბობს: „ვგონებ არც ერთი აფეკტი და არავითარი ვნება არ მოქმედობს ნერვებზე და საერთოდ სულზე ისე ცუდათ, როგორც შიში და დასჯაო“.

— ნებითი გულის-ყურის განვითარება შეიძლება კიდევ წიგნების კითხვის სურვილის აღძვრით; რასაკვირველია, ამ მხრით ყმაწვილთ უნდა მიეცეს პირველად ის პაწაწა სურათებიანი წიგნაკები, რომელთ შინაარსი აკმაყოფილებდეს მათ სულიერ მოთხოვნილებას, და მას-

თანვე ანვითარებდეს მათ; ამგვარია ზღაპრები, სახუმარო გასართობი ლექსები, გამოცანები, რებუსები, ყმაწვილთა ცხოვრების ეპიზოდები, მოგზაურობანი, ისტორიული ეპიზოდები, და მეტადრე ბუნების მეტყველობიდან: ბოტანიკა, ზოოლოგია, ფიზიკა, მინერალოგია, ქიმია, ფიზიოლოგია და სხ. ყველა ესენი ელემენტარულ ფორმით, და რაც შეიძლება ეპიზოდიურად და სურათებით. ეილერი იმ აზრისაა, რომ კითხვის სწავლა და საზოგადოთ კითხვა არის საუკეთესო ვარჯიში ბავშვის გულის-ყურისა; ამას ეთანხმება უშინსკიც. ყმაწვილის ნებითი გულის-ყურის განვითარების უუმთავრესი ფაქტორია **შრომის-მოყვარეობა**. და რა აყვარებს უფრო ყმაწვილს შრომას თუ არ **მებადეობა** და **მებოსტნეობა**! რა სძრავს მასში უფრო ინტერესს და რა ამყარებს მის გულის-ყურს უფრო თუ არა **ყვავილების** და **სხვა მცენარეების** **დაკვირვება**, **მცენარეების** **მოვლა**! იგი უმზერს და უკვირდება დღე-დღეზე თუ **პაწია** თესლიდან რა რიგ აღმოცენდა ყლორტი, რარიგ გამოესხა მას ფოთლები და ტოტები, როგორ იზრდება იგი თანდათან, რა ფრად გამოება კუკურები, როგორ გაიშალენ ყვავილებათ და ვარდებათ, ყვავილების შემდეგ როგორ აღმოჩნდა ზოგ მცენარეზე ნაყოფი და რაფრად დამწიფდა იგი; ერთი სიტყვით, აქ ყმაწვილს ეძლევა ულეველი წყარო ცნობის მოყვარეობის აღსაძვრელად და ჯაფის შესაყვარებლად. ოჰ, რა სიხარულით, რა აღტაცებით დაეწაფება ბავშვი და მოუვლის თავის **პაწია** ბაღჩას, თავის ბოსტნის კვალს! როგორ დაუწყებს ტრფობას და ლოლაობას თავის ხელით დათესილ ყვავილებს და სხვა მცენარეს! როგორ მოუვლის ძათ, როგორ შეიყვარებს, გასწმენდს და გაალამაზებს! ოჰ, რა სიხარულს გრძნობს ყმაწვილი ამ შრომაში! აქ უკავშირდება ბავშვი **ძიწას**, აქ იყვარებს იგი **შრომას** და **ბუნებას**, აქ ეფურჩქნება და უნვითარდება

მას გულის-ყური და ცნობიერება, აქ დაეღერენ მის ქორფა გულში უფრო მკაფიოდ ნაზი და ესტეტიური გრძნობანი... ამიტომ მცენარეთა შეყვარება, ბოსტანში და ბაღში მაღალუტანებელი შრომა არის ერთი უმთავრესი ბურჯი ყმაწვილთა საზრიანად აღსაზრდელათ.

შევნიშნავთ აქვე, რომ რამდენადაც საინტერესოა ბავშვისთვის სასწავლო საგანი, იმდენადვე მის შესათვისებლად შედარებით ნაკლები ენერგია სჭირდება, მაგრამ დიდი სამნიშვნელოა, რომ მასწავლებელმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს გაკვეთილებს და იმდენად შეამციროს მათი დრო, რამდენადაც ძნელია ისინი, და რამდენადაც ნორჩია მოწაფენი, რომ ბავშვს არ დაექანცოს ტვინი და ცუდი შედეგი არ მოჰყვეს. გულის-ყურზე აქვს დიდი მნიშვნელობა მას, თუ რამდენად ძლიერია ბავშვში ასოციაციური ძალა. ჩვენ ვიცით, რომ გვეინტერესება ის, რაც ერთი მხრით ახალია და მეორე, რაც მეტი მისი მსგავსი კვალები გვაქვს მეხსიერებაში, მაგრამ ამათ აგროვებს ამ დროს ასოციაცია, და თუ ეს ძაბუნია, მაშინ ის წინანდელი აზრები, შთაბეჭდილობანი თუ კვალები ვერ გროვდებიან ჯეროვანად, მით ეს ახალი საგანი ვერ ახდენს აფეკტს და ამგვარად ვერ იპყრობს გულის-ყურს.

ნებითი გულის-ყურის განვითარებაზე მშვენივრად მოქმედობს აგრეთვე სიმპატიურისა და ნაზი ემოციების აღძვრა ყმაწვილში. „ნებითი ვულის-ყურის განსავითარებლად, ამბობს რიბო, უნდა იმოქმედოთ ნაზსა და სიმპატიურ ემოციებზე და შთანერგილ ცოდნის მოყვარეობაზე, რომელიცაა გონებიხ მადა და იმყოფება ცოტად თუ ბევრად ყველაში *). აი რა კარგი მაგალითი მოჰყავს ჰერეცს: „ერთხელ 6 წლის, მეტად გონება დაბნე-

*) Рибо „Психологія вниманія“, стр. 32.

ული ბავშვი, მიუჯდა თავის ნებით რომ ესწავლა და დაეკრა ის მატივი, რაც მოსწონდა დედა მისს, რათა მით ესიამოვნა მისათვის; იგივე ყმაწვილი, როცა 17 წლის იყო, შევიდა მამის ოთახში და იწყო ნემეცურ ენაზე წერა;—რას აკეთებს აქ ჰკითხა გაკვირვებით შიმუნარმა?—მე ვწერ ნემეცურათო,—უპასუხა ყმაწვილმა; მართალია ეს მეტად საჯაფოა და არა სამხიარულო, მაგრამ მსურს ამით გავუკეთო დედას სასიამოვნო სიურპრიზიო". არის ერთგვარი სნეულება, როცა ყმაწვილს ეკარგება თითქო გულის-ყური და ვერაფერზე აჩერებს მას; ამ სენს ჰქვია **აპრესეკია**, რომელიც წარმოსდგემა მით, რომ ცხვირში და ან თავში გასივდებიან ჯირკვლები, რომლებიც შლიან იმ რიგად ზოგ ნერვებს, რომ არ აძლევენ ესენი გულის-ყურს დამყარდეს ერთ რამეზე. ერთხელ ერთმა 7 წლის ბავშვმა ვერ ისწავლა მთელი წლის განმავალობაში ანბანი. იმ ჯირკვლების ოპერაციის შემდეგ კი ერთ კვირაში ისწავლა მთელი ანბანი. ამიტომ ფრიად საგულისხმოა მასწავლებელმა და აღმზრდელებმა მიაქციონ ამ მოვლენას ყურადღება. ამ მოკლე განხილვამაც გვაჩვენა, თუ როგორ უნდა ვექცეოდეთ ყმაწვილს, როგორ უნდა ვანვითარებდეთ მის სულს. თუმც ეს მეტად ძნელი საქმეა, რადგან უნდა იცოდე ყოველი ყმაწვილის ზნე-ხასიათი, თვისება, მეტადრე ტემპერამენტი, და მოქმედობდე ისე, მაგრამ გავიმხნეოთ გული მით, რომ აღზრდა უუდიდესი და უუპატიოსნესი ხელობაა.—**„რომელ ერსაც კარგი სკოლები აქვს, ის ერი დიდებულია, თუ დღეს არა, ხვალ იქნება მაინც»**, ქადაგებს ჟიულ სიმონი; ამას ჩვენ შევცვლით ამ გვარად: **ის ერაა ბედნიერი და დიდებული, რომელსაც ჰყავს ჭეშმარიტი აღმზრდელნი და მასწავლებელნი!..** მაგრამ ვინაა უკეთესი მასწავლებელი ქვეყანაზე, თუ არა ქალი, რომლის სულში და გულში ბუნებითად სცემს **პედაგოგიური მარდვი!** ვინაა უკეთესი

ალმზრდელი, თუ არა **დედა**, რომლის თითქმის პროვიდენციალურ დაწესებას შეადგენს ეს დიადი მოვალეობა. «ეცადეთ თავიდგანვე ჩაუნთოთ ბავშვის არსებაში იმდენი სიხარული, რომ შემდეგ არავითარ ცრემლის ზღვას არ შეეძლოს მისი დანელება და ჩაქრობა», —სამართლიანად გაიძახის ჟან-პოლ-რიხტერი, და ვის შეუძლია ამის ჩადენა თუ არა დედას. დედაა, რომ ჩასწვეთ-ჩააგუბებს ყმაწვილის ჩვილს სულში და გულში სიხარულს, სინაზეს, ძლიერებას, სათნოებას და ყოველ კეთილ ჩვეულებას. «ს. **უკეთესო მასწავლებელი, ამბობს რაანი, არის დედა; დედის ადგილია პირველი სკოლა, სადაც ბავშვი იეკვარებს კეთილს, იეკვარებს შრომას, მისთვის, რომ დედის წმინდა სახე სრულს მის სულში მას მეორე გაუწყენარებელ შრომასთან**». „**დედის ადგილი, სიყვარული, ნაზი ტრფობა და ტიტინი**,—ამბობს მორელი, **გვცვლის და გვბადებს ჩვენ სულიერად და მათ გხდებ. თ ორ გვარად მასი შვილები**“. როცა ურწევს ბავშვის აკვანს, როცა უგონებს მას სათამაშოს, როცა ასწავლის ენას, ქალი ხდება საზოგადოების უმთავრესი ხუროთ-მოძღვარი, პირველი ქვა-კუთხედი იდება მისი ხელებით“,—ამბობს პიროგოვი. და რომ ქალებია ერთი უმთავრესი საზოგადოების ძალა, ამის დამტკიცება არაა საჭირო; მეტადრე საშნიშვველოა მათი მოქმედება ჩვენსავით დაცემულ ერში. ქალს შეუძლია ადადგინოს დამშრალი, დაცემული ენა, ქალს შეუძლია შთაუნერგოს შთამომავლობას მადალი გრძნობანი, ქალს შეუძლია მსარი მისცეს, გაამხნევოს და შთაბეროს ძლიერების სული მამაკაცს გაჭირვების დროს; ქალით ადმდგარა მრავალი დაცემული ერი, მაშ ქალით უნდა განიკურნოს ესრედ ტანჯული ბაწარწა გმირი—საქართველოც!.. დროა გამოიფხიზლონ ჩვენმა ქალებმა, დროა სცნონ თავიანთი ჯეშმარიტი მოვალეობა და სამშობლოს ეგრეთი ეოფა!.. დროა მიაქციონ ამით მეტი ყურადღება, ვიხემ ტანსაცმელს და კოპწიაობას,

დროა იქცენ ისინი ნამდვილ ცოდვებად და დედებად, დროა იმოქმედონ, იშრომონ, შეიძინონ სწავლა-განათლება, გაგვამხნეონ მამაკაცნი, გადასჩხრიკონ ჩვენს გულში აწ მიფერფლილი ნაკვერჩხალი, გაადუონ იგი, აქციონ დიდ ალად, რომ ამ ალმა შეგვაერთოს ყველა, რათა გცნოთ ერთობა და სიყვარული.

ს. ქვარიანი.

დედები შესანიშნავ ადამიანთა

ჟორის ბლოკისა.

წინასიტყვაობა.

I.

შესანიშნავი ადამიანები და მათი დედები.

„როგორიც მამა, ისეთი შვილიო“,—ამბობს ძველებური ანდაზა. მაგრამ უფრო მართალი იქნებოდა, ეთქვათ: „როგორიც დედა, ისეთი შვილიო“. ამ ანდაზის სიმართლეს ყველაზე უფრო არა ჩვეულებრივ ადამიანებზე ვხედავთ. ხშირათ ამბობენ, რომ „შესანიშნავი ადამიანები კარგი დედების შვილებიაო“ და კიდევაც მართალია ეს. ამას ჩვენ ქვევით დავამტკიცებთ ბევრი მაგალითებით, თუმც ჩვენს გარდა სხვასაც დაუმტკიცებია ეს. ჩვენ ამ შრომაში განვიხილავთ ძველსა და უახლესს ისტორიას და მოვიყვანთ ბევრ შესანიშნავ ადამიანების ბიოგრაფიებს, მაგ., პოეტების, ორატორების, სარდლების, მეცნიერების, მწერლების და სამხედრო პირებისას.

ჩვენს შრომაში იქნება მოთავსებული შესანიშნავ გვამების მოკლე ბიოგრაფიები, რომელნიც კიდევ დაამტკიცებენ, თუ რა კარგი და სასურველი შედეგი აქვს

დედის აღზრდას. აქედამვე დავინახავთ ჩვენ, რომ ის დედები, რომლებმაც აღზარდეს შესანიშნავი შვილები, იყვნენ—ზოგნი შესანიშნავათ განვითარებულის ჭკუის პატრონნი, ნიჭიერნი და მიმხვდარნი; ზოგს ჰქონდათ შესანიშნავი ნების ღონე, სამაგალითო ხასიათი და მაღალი სული. ჩვენ თავისუფლათ, აუარებელის ფაქტებით შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ იმ დედებს, რომლებმაც შესანიშნავი შვილები აღზარდეს, ჰქონდათ არაჩვეულებრივი თვისებანი ხასიათისა და ჭკუა-გონებისა.

აქვე ჩვენ უნდა გავიხსენოთ ერთი ფრიად საჭირო შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე შესანიშნავ კაცს ბავშვობის დროს დედა არ ჰყავდა და ის მაინც შესანიშნავი კაცი შეიქმნა, მაინც მასზე დიდი გავლენა ჰქონდა ქალს, რომელიც დედის მოვალეობას ასრულებდა. ასეთ შემთხვევებში დედის მოვალეობას ასრულებდა ან ძიძა, ან ბიცოლა, ან ნათლია და ან კიდევ ვინმე სხვა. ამას ჩვენ დაგვიმტკიცებენ როსინის, ბერნარდენის, დესენ-პიერის, ბერანჟესი და ინგლისის ისტორიკოსის გიბბონის ბიოგრაფიები.

II.

როგორ იხსენიებდნენ თავიანთ დედებს შესანიშნავი ადამიანები.

ამბობენ, რომ შესანიშნავ ადამიანებს შესანიშნავი შვილები ეყოლებათო. შეიძლებოდა გვეთქვა, მარა დიდის საფუძვლით კი ვერა, რომ ყველა დროის შესანიშნავ და ფრიად მრავალ ფეროვან ჭკუა და ხასი-

ათის პატრონ ადამიანებს აქვსთ ერთმანერთის მსგავსება: პატივის ცემა დედისადმი, რომელიც ეკუთვნის შვილს, ისინი განგებ ცდილობდნენ თავიანთ სახელისა და დიდების მონაწილეთ გაეხადათ ის ადამიანები, რომლებმაც მათ ძუძუ აწოვა, თან უმღერა და აღზარდა. ამითვე ისინი ამტკიცებდნენ, თუ რამდენად პატივსა სცემდნენ და მნიშვნელობას აძლევდნენ ისინი პირველ დაწყებითს აღზრდას. ამის ლაპარაკის დროს ჩვენ არა თუ მგრძნობიარე გულის პატრონ პოეტებს ვგულისხმობთ, არამედ შხამიან ენის მქონე პამფლეტისტებს, სატირიკოსებს, ფილოსოფებს, მეცნიერებს და სამხედრო პირებსაც. ყველანი ესენი თავიანთ დედებს აღმერთებდნენ.

ამნაირათ, დედის აღზრდა არა თუ ამაღლებს ადამიანებს, არამედ ნერგავს მათში ბევრს კარგს თვისებებს, მაგალითად: დანაშაულის შეგნებას, დედის პატივის-ცემას და განუსაზღვრელ მისადმი სიყვარულს.

დიდის შთაბეჭდილების მქონეა საბერძნეთის რაინდის ეპამინონდის სიტყვები, რომელმაც ლეკტერთან მტრის ძლევის შემდეგ სთქვა, რომ ჩემთვის აუწერელი სასიხარულო ის არის, რომ ჩემის მშობლების სიცოცხლეში მტერს ვძლიეთ. ასეთივე კარგი იყო ალექსანდრე დიდის პასუხი, როცა დედა მისი, ოლიმპია, გამტყუნდა გუბერნატორის წინაშე, რომელიც ალექსანდრემ თვის აზიაში ყოფნის დროს, მაკედონიაში თავის ალაგზედ დასტოვა; მან სთქვა: «ათი-ათასს ამისთანა წერილს გააქრობს დედიჩემის ერთი ცრემლიო». მარკ-ავრელიო, რომელიც შესანიშნავი ხელმწიფე იყო, მადლობას სწირავდა ღმერთს, რომ სიბერე დედაჩემს კარგათ გავატარებინეთ. ისტორიკოსი ეჟინარი გადმოგვცემს, რომ შარლემანი და დედა მისი ერთ სახურავ ქვეშ ცხოვრობდნენ და შვილი დედას დიდს პატივსა სცემდაო. „არასოდეს, ნაგრძობს ბიოგრაფი, ერთი ცუდი რამ მათ შორის არ

ყოფილაო". სენ-სიმონი და ბიუფფონი ყოველთვის დიდის პატივის ცემით იხსენიებდნენ თავიანთ დედებს. კორნელიას მუდამ დიდს პატივს ხცემდნენ შვილები და მუდამ მასთან ცხოვრობდნენ. მაგრამ ყველაზედ უფრო დიდი სიყვარული გამოიჩინა პოეტმა მილგუამ. ერთხელ ის მიიწვია სადილათ კანცლერმა კამბასერესმა, მარა მილვუა არ ეწვია ამ დიდებულ და წარჩინებულ გვამს და მოახსენა, რომ უკვე დაპატიჟებული ვარო. — „ხელმწიფემ მიგიწვიაო?" — ჰკითხა ძლიერმა კანცლერმა. — «არა, დედაჩემმა»-ო, — უპასუხა მილვუამ. პოეტი ბერანჟე, რომელიც აღზარდა დედის მაგივრათ პროვინციელმა დეიდამ, ყოველთვის პატივის ცემით იხსენიებდა მას. გრაფი ჟ. დემესტრი სწერდა პეტერბურგიდან: «მე დედაჩემზედ ვფიქრობ და სულ ბავშვივით ვსტირიო».

შესანიშნავი კომპოზიტორის მენდელსონის საქციელი საკვირველი მაგალითია შვილურის სიყვარულისა და პატივისცემისა. როდესაც ის, დედის სიკვდილის შემდეგ პირველათ დირიჟორობდა, გულ თამაშში თავისი დედა გაიხსენა, უცებ მიატოვა ადგილი, გამოვარდა დარბაზიდან და მოართო ბავშვივით ტირილი. პოეტი შილლერიც დედის დიდი პატივის-მცემელი იყო. დედა ძალიან უმადლოდა მას მაზედ ზრუნვისათვის და სიკვდილის წინ დალოცა. ისტორიკოსს მიშლეს, დედის მოგონების დროს, არ შეეძლო ცრემლები შეეკავებია. წაიკითხეთ მისი ახალგაზრდობის მოგონებანი და დაინახავთ, თუ რას ლაპარაკობს ის თავის „საწყალ დედაზედ".

ნუ თუ, ამის შემდეგ არ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დედების პატივის-ცემა არის შესანიშნავ ადამიანთა ძირითადი თვისება, რაც ცხადათ მოწმობს, თუ როგორ როლს ასრულებდნენ მათს აღზრდაში ქალები, რომლებმაც მათ სიცოცხლე მიანიჭეს. იმათ უსათუოდ შეუძლიათ ზევით ხსენებულ ისტორიკოსთან ერთად გაიმეო-

რონ შემდეგი სიტყვები: „მე დავკარგე არა თუ დედა, არამედ სამაგალითო მეგობარიც, რომელიც იყო ჩემი გამამხნევებელი და შემწე საქმის შესრულების დროს“.

III.

შესანიშნავი ადამიანები, რომლებსაც მამები უშლიდნენ თავიანთი მოწოდების განხორციელებას, მარა დედები კი ეხმარებოდნენ მათ.

ძალიან საყურადღებოა კიდევ შემდეგი ფაქტი: მამამ ყოველთვის არ იცის თავისი შვილის მისწრაფებანი და სურვილები და ხშირათ წინ უდგება მისს მოწოდებას. ზოგს უნდა შვილს ვაჭრობა შეასწავლოს, როცა უკანასკნელს ლიტერატურა უყვარს; ზოგი ძალათ ასწავლის შვილს ღვთის-მეტყველებას, როცა მის (შვილს) ბუნების-მეტყველება უყვარს და სხვა. ასეთს შემთხვევებში ბავშვი ხელს იღებს იმ საგანზე, რომელსაც მას აძალებენ. აი, ამ დროს შვილს ხელს უწყობს, ხანდიხან ჩუმათაც კი, დედა. ის მიხვდება შვილის მიმართულებას, დაუმტკიცებს ქმარს, თუ რა ბრწყინვალე მომავალი ექნება მისს შვილს და თავმოყვარეობა ნებას არ აძლევს მას არ დაეხმაროს შვილს და არ შეუწყოს ხელი მისს მისწრაფებაში. რამდენი შესანიშნავი ადამიანი დარჩებოდა უსახელოთ, თავიანთ ჯიუტი, თუმცა კი მოსიყვარულე, მამებთან ბრძოლაში, რომ დედები არ დაჰხმარებოდნენ მათ თავიანთ მოწოდების განხორციელებაში! ერთი, თავის

დროის ძალიან ნასწავლი ადამიანი, პიკ დე-ლა მირანდოლი, საშინლათ სძულდათ მამას და ეძმებს, რომელთაც აერჩიათ სამხედრო კარიერა; მირან დოლს ბავშვობიდან წიგნის კითხვა უყვარდა და მხოლოთ დედასთან შეეძლო დამშვიდებულიყო და თავისუფლათ ამოესუნთქა. ჟაკ ამიო, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნის საუკეთესო მსწავლულიაგანია და რომლითაც მთელი საფრანგეთი თავს იწონებს, პარიზში წავიდა სასწავლებლათ მამის წინააღმდეგ; რა გაიგო ეს მამამ, აღუკრძალა მას სახლში დაბრუნება. მარა ამ დროს მას დაეხმარა დედა, რომელმაც ქმრის ჩუმათ შვილს საზრდო უგზავნა და სწავლა არ მიატოვებია. შესანიშნავ ნატურალისტს, ლინნეის, საშინლათ უკრძალავდა მამა მცენარეების კრეფას და ერთ მშვენიერ დღეს აღუთქვა შვილს დაეწვა მისთვის ბუნების-მეტყველების შინაარსიანი წიგნები, თუ ის თავს არ დაანებებდა ამ საქმეს. ერთხელ კიდეც მიაბარა ლინნეი მამამ მოხელეს. მარა ყველაზე საგულისხმო ისაა, რომ პატარა ლინნეის დედა დილის ორ საათზედ დგებოდა შვილისათვის საუზმის მოსამზადებლათ და მით აძლევდა შვილს საშუალებას დილით, მამის ადგომამდე, მინდვრები ჩამოერბინა. ჩააცმევდა ხოლმე თბილათ დედა მას, უქებდა სურვილს და აგზავნიდა მინდვრებში მცენარეების საგროვებლათ; ამასთანავე აბარებდა უსათუოთ ექვს საათზე მოსულიყო, რადგან ამ დროს მამა ღვთისმეტყველების სწავლებას დაუწყებდა. კრიტიკოსი მარმონტელი თავის წერილებში (მემუარებში) მოგვითხრობს, რომ მისს მამას ნდომებია მისი ვაჭრათ აღზრდა და მხოლოთ დედის დაჟინებით შესულა სკოლაში.

ბერნადენ დე სენ პიერი საშინლათ სძულდა მამას და უნდოდა სკოლიდან გამოყვანა, მარა ამას წინააღუდგა ბავშვის ნათლია და სენ პიერს სწავლა არ მიატოვებინეს. შესანიშნავ პოეტს გიოტეს გაგიჟებით უყვარდა

თეატრი. როცა ფრანკფურტში საფრანგეთის ჯარები იდგა, მას არც ერთხელ არ გამოუშვია თეატრში წარმოდგენა, სადაც იმ დროს კლასიკურ პიესებს თამაშობდნენ. მამა ამისათვის შვილს უწყრებოდა და ეუბნებოდა, რომ ის უსარგებლოთ ხარჯავს ფულებს. მარა დედა ყოველთვის შვილს ემხრობოდა და ესვეწებოდა ქმარს ეპატიებია პატარა გიოტესათვის, როცა ის სადილზედ დაიგვიანებდა, რაც ხშირათ ხდებოდა. მატობრიანმა დედის წყალობით შეისწავლა ბერძნული და ლათინური ენები; პოეტს დიუსს დედა მუდამ აქეზებდა ლექსების წერისათვის, როცა მამა ამისათვის შვილს სასტიკათ ეპყრობოდა. დიდეროტს დედა ჩუმათ უგზავნიდა ფულებს პარიზში, როცა ის მამას წაეჩხუბა იმისათვის, რომ იგი კანონმდებლობის შესწავლას არ დაადგა. შესანიშნავ კომპოზიტორს ბეტხოვენს მუზიკას მამა ასწავლიდა, მარა ისე უგულოთ, რომ ყოველ წამს ცდილობდა შვილისათვის შეეძულებია ეს საგანი, მარა აქაც, დედის დაჟინებით, ბეტხოვენმა მუზიკას თავი არ დაანება. რომანისტი ბალზაკი თავისს მამას უყურებდა ისე, როგორც «ცენზურას, რომელსაც მისი მიმართულება არ სწამდა».

პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდი, სულ წაჩხუბებული იყო მამასთან, რომელიც მუდამ მისი გემოვნების და მიმართულების წინააღმდეგი იყო. ახალგაზრდა პრინცი მხოლოთ დედისაგან ღებულობდა დახმარებას და თავისს აზრებში წაქეზებას. ფრიდრიხის დედას ერქვა დაროტეა, ის იყო ძალიან ჭკვიანი და ლამაზი ქალი. ეჭვი არაა, რომ დედისაგან შეითვისა თავისი თვისებები ფრიდრიხმა, რომელმაც ვოლტერი დაიახლოვა, რისთვის მამამ მას დაცინვით «საფრანგეთის მშვენიერი ჭკვა უწოდა».

კიდევ შეიძლებოდა მოგვეყვანა ბევრი მაგალითი, მარა ესეც კმარა, მხოლოთ ორს კიდევ მოვიხსენიებთ, რომელნიც ცოცხლათ ამტკიცებენ ჩვენს აზრს: შესანი-

შნავ წინასწარმეტყველთ წმ. ავგუსტინეს და წმ. იოანე ხრიზოსტომს, რომელნიც ეკკლესიის მამებათ არიან ჩათვლილნი, მამები კერპთ-თაყვანის მცემელნი ჰყავდათ, დედები კი ქრისტიანები...

ვ. მალაქიაშვილი.

(შემდეგი იქნება).

წერილი სოფლელ მუშას

(მეორე *).

ჩემო ერთგულო მუზობელო ბიჭან!

ენგან გამოგზავნილი მეორე ბარათი მე გასულ წელსვე მივიღე ზაფხულში და მასში მოთავსებული კითხვების ერთ ნაწილზედ პასუხიც უკვე მოგწერე. მაგრამ ეხლა ამ შენი უკანასკნელი წერილიდგან ვტყობილობ, რომ იმ წერილს შენამდის არ მოუწევია!!. სრულებით დაიკარგა ის, თუ კიდევ შესაძლებელია იმის მიღება, ამას, რასაკვირველია, მომავალი გვიჩვენებს.

განვაგრძობ დანარჩენ კითხვებზედაც პასუხის მოცემას.

ჩემს პირველს წერილში უკვე საკმაოდ დაგიმტკიცე, რომ ერთად-ერთი მიზეზი ჩვენის დღევანდელის სიღარიბისა, ისევ ჩვენივე სიზარმაცე, მიუხვდენლობა-დაუდევრობა და უთავბოლო მოქმედებაა და ერთათ-ერთი გზა

*) „პირველი წერილი სოფლელ მუშას“, იხ. «ძოგზაური» № 9 და 10, 1902 წ.

ჩვენის ასეთის მდგომარეობის გაუმჯობესობისა, ისევ იმავე **მიხვდენილ შრომა-გამრჯელობაში და კეთილ-შობილურ მოქმედებაშია.** ამასთანავე ისიც საკმაოთ დავინახეთ, რომ ლუკმა პურისათვის ბრძოლა ერთმანერთის თავ-პირის მტვრევაში და სხვისი კუთვნილების ძალით მითვისებაში კი არ გამოიხატება, არამედ მიხვდენილ გამკვლევაში და გონივრულ შრომა-მეცადინეობაში. საკმაოთ დავამტკიცეთ ისიც, რომ ერთი ქცევა ადგილის პატრონს სულ ადვილათ შეუძლიან ოთხი-ხუთი ზარმაცის ქონება-ცხოვრება (თუ გინდ მამული) ხელში ჩაიგდოს, რასაკვირველია, მუყაითი და მიხვდენილი შრომა-მეცადინეობის წყალობით. ყველა ზემოხსენებულს ეხლა კიდევ შემდეგი შეგვიძლია დავსძინოთ: ფული და საზოგადოთ სიმდიდრე (ქონება), ჩემო ბეჟან, ხელიდგან-ხელში გადამავალია. ის მარად **იქითკენ მაისწრაფის, სადაც მეტი ცოდნა და შრომის მოყვარეობაა...** მართალია, ფულების შეძენა ხანდისხან უპატიოსნო მოქმედებითაც შეიძლება და ამნაირად ის დროთი-დრო უპატიოსნოს ხელშიაც ბანაკდება (ბინავდება), მაგრამ ეს მხოლოდ დროებით.—რატომ?—იმიტომ, რომ ასეთი უპატიოსნო მოქმედებით შეძენილი ქონება ადრე თუ გვიან ისევ მეორე უპატიოსნოსი შეიქმნება. სიმდიდრე, ვიმეორებ, ყოველ შემთხვევაში ხანგრძლივ ბინასაც იქ ირჩევს, სადაც მეტი ცოდნაა და კეთილ-შობილური შრომა-გამრჯელობა, ე. ი. იქ, სადაც სიმდიდრეთა შეძენის სურვილი და მეცადინეობაა, მაგრამ მხოლოდ კეთილ-შობილური მოქმედებით კი. აი, ასეთს ადგილას მიაქვს მასაც ბედნიერება *). ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ის უბრალო ღამის გა-

*) რასაკვირველია, რამდენათაც ეს შესაძლებელია. სიმდიდრისაგან.

მთელი მგზავრია და ამიტომაც მას არც რაიმე ხანგრძლივი ბედნიერების დატევება შეუძლია შენთვინ.—„ფულები მომცა, თვარა შემდეგ ვიღა წამართმევს .იმასო!?“ —იქნება სთქვა შენ. მაგრამ საქმეც იმაშია, ჩემო ბეჟან, რომ ფული ზარმაცი და უვიცი მუშის ხელში აჭივრებს მისვლას, თორემ, რაც შეეხება წასვლას, ამაზედ ის არც ქვე ეკითხება იმას!!.... ასეა თუ ისე, დღეს, გარდა **მუყაითი მუშაობისა** *), აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ცოდნა-განვითარებაც და აი, რატომ: ვთქვათ დღეს შენის მუყაითი შრომა-მოქმედებით (რომელიც ჩვენ პირველს წერილში განვმარტეთ), **ათი-ათას** მანეთამდის შემოსავალი გაქვს წლიურად. მაგრამ, თუ შენ აქ მეტი ნიჭი, მეტი ცოდნა და გამოცდილება არ გამოიჩინე და მის შემწეობით შენი მუშაობის საქმე კიდევ უფრო არ გააუმჯობესე, იმ შემთხვევაში, გარწმუნებ, რომ შენი ქონებრივი შეძლებაც დიდს ხანს ვერ გასტანს. და ვერ გასტანს იმიტომ, რომ როცა შენს ასეთს შრომა-მუშაობას სხვებიც შეხედავენ და მისგან საგრძნობელ ნაყოფსაც დაინახავენ, მაშინ, უეჭველია, (რამდენიმე ხნის შემდეგ) ისინიც ამგვარ შრომა-მოქმედებას მოჰკიდებენ ხელს და ამ ნაირად, რამდენიმე წლის განმავლობაში, რამოდენიმე მოცილე (კონკურენტი) გაგიჩნდება შენ. იმათი მოცილეობა მე რას მაწყენსო, იქნება სთქვა შენ! მოცილეობა ან, როგორც ამას ეძახიან «კონკურენცია», იმას გაწყენს შენ, რომ—რაშიდაც ამდენხანს ორი ათას მანეთამდის ღებულობდი, იმდენ დანამუშავებ საქონელში, ეხლა (კონკურენციის დროს) იქნება ათას მანეთამდინაც ველარ აიღო!.... რატომ?—იმიტომ, რომ ამ მოცილეთა შორის, უეჭველია, ისეთებიც გამოერევიან, რომლებიც შენზედ

*) თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

უფრო ჭკვიანათ, ადვილათ და გაცილებით ნაკლები შრომით (ნაკლები ხარჯით) მოიმოქმედებს იმას, რა აც შენ დღეს ასე გაჭივრებით ეწევი. და, მიშასადამე, იმათ ნაკლებ ფასშიდაც *) შეუძლიანთ გაჰყიდონ თავიანთი ნაწარმოები, ვინემ შენ; ეს უკანასკნელი გარემოება, თქმა არ უნდა, რომ შენს დღევანდელს მუშტრებს **) იმათკენ გააქანებს და ამას ხომ, უსაოუოთ, შენი დამარცხებაც მოჰყვება ქონებრივის მხრით. ამ ნაირად, ჩემო ბეჟან, ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ორ ერთნაირ მუყაით მშრომელთა შორის, რომელსაც მეტი ცოდნა და გამოცდილება აქვს, იმას ერთი და იმავე მოქმედებისგან ყოველთვინ მეტი ხეირიც ,ექნება. მეტი ცოდნა-გამოცდილების უპირატესობა არც მარტო საქმის უფრო ადვილათ მოქმედებაში გამოიხატვის; იმას (მეტს ცოდნას) კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების უფრო სარგებლიანად გაყიდვა-გასაღებაში... და, აი, ამის საბუთიც: ვსთქვათ, შენ ემზადები დღეს ადრეულა ბალის გაყიდვას და ამასთანავე იცი, რომ ქალაქში ასეთი ბალის ფუთის გაყიდვა ოთხ-ოთხ მანეთად შეიძლება, ხოლო, თავის ეზოში კი სამ-სამ მანეთად. შენ, რასაკვირველია, როგორც უცოდინარმა და თან გამოუცდელმა, დაუფიქრებლივ და საქმის აუწონ-დაუწონველად გადასწყვიტე ბალის გატანა და გაყიდვა ქალაქში, რომელიც ასი ვერსით დაშორებულია შენზედ! ხოლო, შენმა მეზობელმა, პარმენმა, (რომელიც უფრო მცოდნეა) ასეთივე ბალის გაყიდვა თავის ეზოშივე ირჩია—სამ-სამ მანეთად. შენ პარმენის ასეთი საქციელი ჯერ-ჯეროობით გაკვირვებს და

*) თავისი თავის დაუზარავებლად.

**) ე. ი. იმ პირებს, რომლებიც აქნობამდის შენგან ეიდულობდნენ საქონელს უფრო ძვირად.

ამის მიზეზი კი ვერ გამოგირკვევია! თუმცაღა უნდა გამოვტყდე და გითხრა, რომ აქ გაუგებარი და გასაკვირი არაფერია, და თვათ მიზეზიც ერთობ ჩვეულებრივია! მაინც, მიზეზი?—მიზეზი ის არის, რომ პარმენმა, როგორც მეტი ცოდნა-გამოცდილების მექონემ, წინდაწინვე გაითვალისწინა თავისი მოქმედების შედეგი. უკეთ რომ ვსთქვათ, იმან გამოიანგარიშა, თუ რა დაუჯდებოდა მას ფუთი ბალის ჩატანა ქალაქში, ამ საქმეზედ მისვლა-მოსვლას რა ხარჯი დასჭირდებოდა, აგრეთვე დაახლოვებით შეზომა, თუ რამოდენა ფუთი ბალის წახდენა შეიძლებოდა გადატანის დროს. ამ ნაირად, იმან წინდაწინვე შეიტყო, რომ ფუთი ბალის ქალაქში ჩატანა და იქ ოთხ მანეთად გაყიდვა ‘ას ხელს არ მის‘ცემდა. რატომ?—იმიტომ, რომ ფუთი ბალის იქ ჩატანას და გაყიდვას მანეთ ნახევრის ხარჯი სჭირდებოდა. ეს ხარჯი პარმენმა გამოაკლო ქალაქში ფუთი ბალის ღირებულობას (4 მ.—1 მ. 50 კ.=2 მ. 50 კ.) და მიიღო ორ მანეთ ნახევარი, რომელიც, ფუთი ბალის ნამდვილს ღირებულობას შეადგენდა. მაშასადამე, თვითეული ფუთი ბალის ქალაქში გაყიდვა მას ათ-ათ შაურის ზარალს აძლევდა! (რადგანაც ფუთში იმას ეზოშივე აძლევდნენ სამ-სამ მანეთს). შენ კი, ჩემო ბეჟან, შვიდასი ფუთი ბალი სიხარულით გადაგაქვს ქალაქში გასაყიდათ, რასაკვირველია, იმ იმედით, რომ შენ ფუთში თითო მანეთით მეტს აიღებ ქალაქში, ვინემ პარმენი თავის ეზოში. მაგრამ, სამწუხაროთ, ბოლოს ტყობილობ, რომ ფუთს ბალში თითო მანეთის მოგების მაგივრად, ათ-ათი შაური წაგიგია, ე. ი. შვიდას ფუთში სულ—სამას ორმოცდაათ მანეთამდის! თქმა არ უნდა, ქალაქში, რომ ფუთი ბალის გაყიდვა ოთხ მანეთად და ხუთმეტ შაურად შესაძლო ყოფილიყო (სოფელთან შედარებით, ქალაქში ერთი შაურით მეტის აღება. რომ შესაძლო ყოფილიყო ფუთს ბალში), მაშინ პა-

რმენს შენ ვერც ქე მოასწრებდი იქ ბალის ჩატანას და გაყიდვას. რატომ? იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში პარმენი (ქალაქში გაყიდვით) შვიდასი ფუთი ბალისგან, შვიდასჯერ მეტს თითო შაურს ჩაიდებდა ჯიბეში, ვინემ ამავე ბალის ეზოში გაყიდვით. პარმენს, როგორც შენზედ მეტს მცოდნეს, თავისი მუშაობის დროს შესაფერად მოწყობაც ადვილად შეუძლია და შემდეგ იმისი სულ უფრო და უფრო გაუმჯობესებაც, გაუმჯობესებული, დასამუშავებელი იარაღის გამოწერ-შეძენით და ამნაირად, ხსენებული შრომა-მოქმედების გაადვილება და თანაც ერთი და იმავე ადგილიდგან მეტის შემოსავლის (ნაყოფის) მიღება. და ყველა ეს რის შემწეობით?—რასაკვირველია, შენზედ მეტის ცოდნის და განვითარების წყალობით. და, აი, სწორეთ ამიტომ გინდა აქ შენც დიდი მეცადინეობა, დაფაცურება და ჭკუა-გამჭრიახობა. უკეთ რომ ვსთქვათ, შენ გინდა დღეს ბრძოლა; ბრძოლა, პირველად, არა შენს მეზობლებთან, არამედ თვით შენი საკუთარი თავის შეუგნებლობა-უცოდინარობასთან! ბრძოლა შენს მეზობლებთან არა მუშტით და ძალ-მომრეობით, არამედ მეტის ცოდნა-მიხვდენით და მეტის განვითარებით! აი, სწორეთ ასეთი ბრძოლაა დღეს ჩვენთვის საჭირო. მაგრამ რა ვქნათ, რომ ასეთი ბრძოლაც იმავე ცოდნას თხოულობს!? ამნაირად, ჩემო ბეჟან, საითაც კი გადადგამ დღეს ფეხს, ყველგან დაგჭირდება **ცოდნა, ცოდნა და ცოდნა.** ხოლო, ამ უკანასკნელთა მოსაპოვებლად კი საჭიროა მცოდნე პირთა გაპირების დაჯერება და თანაც წიგნაკების და ჟურნალ-გაზეთების კითხვა. რომელი თქვენგანიც მუყაით შრომასთან ერთად ჟურნალ-გაზეთებსაც დიდის ყურადღებით მოეპყრობა და იმათ კითხვას არ დაიზარებს, მერწმუნე, ის ზემოხსენებულ ბრძოლაშიაც გაიმარჯვებს. რატომ?—იმიტომ, რომ წიგნაკების და ჟურნალ გაზეთების კითხვა იმას, ყოველ

შემთხვევაში, მეტს ხერხს, მეტს საშუალებას და მეტს ცოდნა-განვითარებას მისცემს და ამიტომაც ასეთს გონიერს სოფლელს მუშას აქედგანვე შეეძლება მოიფიქროს, გააკეთოს და ისარგებლოს იმით, რის მოფიქრებას და გაკეთება-სარგებლობას შენ შესძლებ ოცი თუ ოცდა ათი წლის შემდეგ! (რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ შენ ჟურნალ-გაზეთების კითხვას არ ეტანები) ამნაირად, სანამ შენ რომელიმე მოქმედების შეცვლა, შენდა სასარგებლოდ, აზრში მოგივიდოდეს, ის მანამდის უკვე ხელ მომთბარი იქმნება ასეთი მოქმედებით და თან, ამ შენთვინ ახალს საქმეში, გამოცდილი და უფრო დახელოვნებულიც. ამიტომ, ასეთ საქმეში, დახელოვნებულ კაცთან ყაირათის გაწევა უცოდინარისგან ყოვლად შეუძლებელი იქნება.

სხვა რომ არ იყოს რა, ასეთ შენზედ მეტ მცოდნე და დახელოვნებულ ადამიანს შეუძლია კიდევ მეორე, სულ სხვა ნაირ საქმეს მოჰკიდოს ხელი, რომელიც შენთვინ უცნობი იქნება, მაგრამ მისთვინ კი ცნობილი და თან ფრიად სასარგებლოკ. ამიტომაც შენ, ჩემო მეზობელო, ამისთანა კაცთან ბრძოლაში (ბაზარზედ მოცილეობაში) მარად დამარცხება მოგელის. ვისაც კი უნდა ასეთ ბრძოლაში გაიმარჯვოს, იმან უსათუოდ წიგნაკების და ჟურნალ-გაზეთების წყალობით—თავისი თავის განვითარებას უნდა მიჰყოს ხელი. და, აი, სწორეთ ამიტომ გირჩევ შენც, ჩემო ბეჟან, ამ უკანასკნელზედ ყურადღების მიპყრობას და იმათ კითხვას. წიგნაკების და ჟურნალ-გაზეთების შემწეობით შენ (როგორც ეს ზემოთ უკვე აღვნიშნე) სხვებზედ უწინ აინკვლევ და შეიძენ გაუმჯობესებულს და საუკეთესო სამუშევარ იარაღებს; შესძლებ (მისივე შემწეობით) უფრო ნაყოფიერი შრომა-მოქმედების შერჩევას და ამ უკანასკნელის რიგიანად მოვლას და ხელის შეწყობას; აგრეთვე ყველა თავის ნა-

მოქმედარ-ნაშრომის შერჩეულ დროზედ (სხვებზედ უფრო მაღალ ფასსში) ბაზარში გაყიდვას და საზოგადოთ, შენის შრომა-მოქმედების ეროი-ათად განაყოფიერებას და თანაც გაადვილებას!!. ყველა ზემოხსენებულიდგან ცხადია, თუ რა აუარებელი სარგებლობის მოტანა შეუძლია შენთვინ წიგნაკების და ჟურნალ-გაზეთების კითხვას და ამიტომ მეც ხელმეორედ გირჩევ და თანაც გთხოვ, რომ შენ დღეიდგანვე შეუდგე იმათ კითხვა-შესწავლას; მით უფრო, რომ იმათი შოვნა შენ (წასაკითხათ) არ გაგიჭირდება, რადგანაც ეხლა ხამკითხველო უკვე არსებობს თქვენში. ბაგრამ სამკითხველოც რომ არ იყოს, ჟურნალ-გაზეთების გამოწერასა და იმათგან სარგებლობაში მაინც ვერაფერმა ვერ უნდა შეგიშალოს ხელი! რადგანაც ათი და თუთხმეტი მანეთის გაუღებლობა ისეთ რამეში, რომლის შემწეობითაც ათასჯერ მეტის მიღება შეიძლება—უმეცრებასთან ერთად ხომ მიუტევებელი ცოდვაც იქმნება?! და ასეთი რამე დღეს შენთვინ უსათუოდ წიგნები და ჟურნალ-გათეთებია. მე, ჩემო ბეჟან, დიდის სიამოვნებით ვიგონებ იმ დროს, როცა თქვენ, სამკითხველოს დაარსების პირველ ხანებში, თავს იყრიდით ამ უკანასკნელში და ჟურნალ-გაზეთების სჯა-ბაასს გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდით. ბაგრამ რა ვქნა, რომ, სამწუხაროდ, ასეთ სასიამოვნო მოგონებას მეორე დამამცირებელი მოვლენა მიშხამებს?! „რა მოვლენაა ასეთი ჩამშხამებელიო“,—იტყვი შენ! ეს ის მოვლენა გახლავს, ჩემო მეზობელო, რომ დღეს თქვენ სამკითხველოს ზურგი აუქციეთ და ამის მაგივრად, რომ მისგან გესარგებლებიათ, სასაცილო-საოხუნჯოთ გაიხადეთ ის!!!... და განა ასეთი საქციელი მიეტევება გონიერ ადამიანთ?!. ცოდნა-მიხვდენის და განვითარების აბუჩათ აგდება, ნუ თუ თავისივე თავის აბუჩათ აგდება, უარ-ყოფა და დამცირება არ არის?! და მერე, რამ გამოიწვია თქვენში ასე-

თი ყოვლად სამარცხვინო საქციელი? ალბათ გემახსოვრება, ჩემო ბეჟან, თუ რა ნაირი პასუხი მივიღე მე ერთი შენი მეზობელთაგნისგან, როცა საზოგადოებას ვსთხოვე აეხსნათ მიზეზი—ასეთი შეუფერებელი საქციელისა: „თქვე დალოცვილო, აქნობამდის იმას ჩაგვჩიჩინებდით, რომ სამკითხველო დავიარსოთ და ის გაგვაკეთებსო; ეხლა ღმერთმა ესეც გვაღირსა, მაგრამ რათ გვინდა მერე? იმაში (ჟურნალ-გაზეთებში) გარდა ლანძღვა-გინებისა ვერას იპოვი და განა იმის დამწერმა ლანძღვა-გინებაც ჩემზედ უკეთ იცის ვითაამ? სხვა რამე სიკეთე, თვარა ლანძღვა-გინების პროფესორი მეცა ვარო და სხვა...!!“ თქვენ კი, ჩემო მეზობელო, გამტყუნების მაგივრად, სიცილით და ვაშას ძახილით დააჯილდოვეთ ასეთი სამარცხვინო ორატორი!!.... გაზეთში შეუფერებელი ლანძღვა-გინების წინააღმდეგი მეცა ვარ, ჩემო ბეჟან, და ამიტომაც ამის შესახებ, მე უკვე გავგზავნე ერთ-ერთ რედაქციაში ვრცელი წერილი ამ სათაურით: „რა გავლენა აქვს მკითხველ საზოგადოებაზედ ჩვენის ჟურნალ-გაზეთების გაუთავებელ ლანძღვა-გინებას?“ დიახ, იმათი შეუფერებელი პოლემიკის წინააღმდეგი, თქვენთან ერთად, მეც ვიყავი და ეხლაც ვარ, მაგრამ ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ ხსენებულ ჟურნალ-გაზეთში მას შემდეგ, ვითომც და აღარაფერი დაწერილიყოს ჩემთვინ სასარგებლო!!.... და, მაშასადამე, რა მოსაზრების ძალით შეგვეძლო უარ გვეყო იგი?! «შეუმცდარი ღმერთიც არ არისო»,—იტყვიან ხოლმე ჩვენში და, მართლაც ისეთი ადამიანის წარმოდგენა ხომ ყოვლად შეუძლებელია, რომელიც მარად შეუმცდარი იყოს თავის მოქმედება-საქციელში?! ამიტომ ხსენებული ლანძღვა-გინება *) თქვენაც

*) ვგულისხმობთ „ჰგალის“ № 46 (1898 წ.), № 11

უბრალო შეცდომათ უნდა მიგემჩნიათ, და არა ისეთ რაიმე საშინელებათ, რომლის შემდეგ ვითომდა ისეთი წმიდა-წმიდათას უკუ-გდებაც კი შეიძლება, როგორიც არის ჩვენთვის ჟურნალ-გაზეთი!!.... რა თქმა უნდა, ისინი, რომ თქვენისთანა ახალ-ფეხადგმულ მკითხველი საზოგადოების შეხედულობა-მიმართულებასთან ყოფილიყვნენ ახლო გაცნობილი, მაშინ იმათ, უსათუოთ ისიც ეცოდინებოდათ, თუ რა გავლენას იქონიებდა თქვენზედ (მათგანვე) ჟურნალ-გაზეთის დამცირება და მიწასთან გასწორება. და ამ შემთხვევაში ისინი ხომ მისდღემშიაც არ იკისრებდნენ თქვენთვინ ასეთის სამსახურის გაწევას. რატომ?—იმიტომ, რომ თვითეულის მათგანის (რედაქციების, ჟურნალ-გაზეთების) მისწრაფებას შეადგენს რაიმე კეთილის მოქმედება და თქვენისთანა მშრომელი ხალხთა მდგომარეობის გაუმჯობესობა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასეთ სიმპატიურ მიზანთან მისაღწევათ (თავიანთი შეხედულება-მიმართულებისამებრ), თვითეული მათგანი, თავიანთ საკუთარ გზას ირჩევს და მაშ, რალა გასაკვირია, რომ (ამ ამორჩევის დროს) ყველას ერთი და იგივე სწორი გზა არ შეხვდეს?! ასეა თუ ისე, აწინდელი თქვენგან თავის მართლება ყოველ-გვარ საბუთს მოკლებული იყო და თანაც სასირცხო და გაუგებარი!

რაც შეეხება იმას, რომ ვითომც, ჟურნალ-გაზეთებში, თქვენისვინ სასარგებლო და ხელ-მისაწვდენი არაფერი იწერებოდეს, ამის შესახებ შემდეგს მოგახსენებ: ადვილი შესაძლებელია ყოველ დღე, მართლაც, ვერ ჰპოვო შიგ შენთვინ, ცხოვრებაში გამოსადეგი მალამო; მაგრამ სამაგიეროდ,—მეორე თუ მესამეჯერ უსათუოდ შე-

---

(1899 წ.) და სხვ. აგრეთვე „ივერიის“ №№ 245, 253 (1898 წ.) და №№ 17, 62 (1899 წ.)

ხვდები იმაში (ჟურნალ-გაზეთში) ისეთ რამეებს, რომლის როგორც გაგება, ისე მოხმარებაც ადვილი იქნება შენთვის. და თუ დღეს მრავალი თქვენგანი სულ სხვა აზრისანი არიან ჟურნალ-გაზეთებზე ეს იმიტომ, რომ ისინი სრულებითაც არ კითხულობენ ამ უკანასკნელთ და, მაშასადამე, საიდგანღა ეცოდინებათ იმათ, იწერება დღეს ჟურნალ-გაზეთებში იმათთვინ, (ცხოვრებაში) გამოსადეგი ცნობები, თუ არა?!. რა არის ამის მიზეზი?—მიზეზი ის არის, რომ თქვენ ერთხელ თუ რამე არ მოგეწონათ ჟურნალ-გაზეთში, შემდეგ ამ უკანასკნელს ეჭვის თვალით უყურებთ და იმით სრულებითაც აღარ სარგებლობთ!!. ასეთი მოსაზრება და შეხედულება-საქციელი შემდეგში უკიდურეს დასკვნამდის მიგიყვანს შენ, ჩემო ბეჟან: ვინიცობაა თუ ოდესმე ირინესგან მომზადებული სადილი არ მოგეწონა, გამოდის, რომ შემდეგშიც მისგან გაკეთებულ სადილის ჭამასაც უსათუოთ თავი უნდა დაანებო!!.... მაგრამ აქ შენ ასე როდი იქცევი! რატომ? —იმიტომ, რომ იცი თუ რა შედეგი მოჰყვება ასეთ საქციელს. ამასთანავე ისიც გესმის, რომ ასეთი საქციელი სამარცხვინო იქნება შენთვის და თანაც უგუნურების და უმეცრების მომასწავებელი. აი, სწორეთ ასეთი უგუნურების და უმეცრების მომასწავებელი იქნება თქვენთვინ რომელიმე ჟურნალ-გაზეთის სამუდამოთ ათვალ-წუნება და იმათი უარის ყოფა. იქნება დღესაც შეგხვდეს შენ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ისეთი უშვერი სიტყვები, რომელნიც შენი ზნეობრივი შეხედულების წინააღმდეგი იქნება, მაგრამ რა ვუყოთ მერე? ასეთი უშვერი სიტყვები, შენ, როგორც გონიერმა ადამიანმა, სრულებით უყურადღებოთ უნდა დასტოვო და ქვევით იმაში (გაზეთში) შენთვინ სასარგებლო რამეების ძებნა განაგრძო. აი, ამნაირი მოქმედებით შეგიძლია შენ ასცდე იმ უგუნურება-უმეცრებას, რომელიც მე ზემოთ დაგისახელე. მთელს

თქვენს საზოგადოებაში, ჩემო ბეჟან, ორიც არ მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელსაც თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც არ მოექნიოს კეტი თავის მეზობელზე და განა ასეთი თავისი მეზობლის დამცირება, როგორიც არის ჯოხით გალახვა და თავის გატეხა, სამარცხვინო მხეცობა არ არის?! განა ასეთი ერთმანერთის შეურაცყოფა-დამცირება მისატევებელი კია ვინმესგან?! დიახ, ასეთი მოქმედება სამარცხვინოა და თანაც მიუტევებელი, მაგრამ რა გაეწყობა! ამაებისთვინ თქვენ არვის გადუგდიხართ ჯერ... პირიქით, ყველა მცოდნე და განვითარებული ადამიანი ცდილობს თქვენ ხელი მოგცეს, გაჭირვებული მდგომარეობა შეგიმჩატოს; წიგნაკების და ჟურნალ-გაზეთების შემწეობით თქვენაც განგავითაროს და ამ უკანასკნელის წყალობით უმეცრებაზედ და ზემოხსენებულ კეტის ფრიალზედაც ნელ-ნელა ხელი აგაღებინოს. მწერალი, ჩემო ბეჟან, როგორც მცოდნე და განვითარებული, თქვენსავით კეტის მოქნევას ვერ იკისრებს და ამიტომაც, როცა გულმოსულია, ის ხშირად უშვერ სიტყვებს მიმართავს ხოლმე თავისი მოწინააღმდეგის დასამცირებლად. ამის მიზეზი იგივე მოუთმენლობა და თავ-დაუჭერლობაა, რომელნიც, ასე გასინჯეთ, თქვენ კეტსაც კი გაღებინებთ ხელში თქვენივე გამგულისებელი მეზობლის!!!!... და, მაშასადამე, რა მოსაზრებით შეგიძლიან თქვენ, სიტყვით გულის მოფხანაც აღარ აპატიოთ ისეთ პირებს, რომლებიც თქვენ, ყოვლად სამარცხვინო, კეტების ფრიალსაც (ერთმანერთ შორის) გიტევებენ და შემდეგ, ყველა ამის მიუხედავათ, კიდევ თქვენი მდგომარეობის გაუმჯობესობაზედ მეცადინეობენ?!.... ყველა ზემოხსენებულისგან ცხადია, რომ დღეს თქვენგან თავის მართლება ზემოხსენებულ საქციელში *) უსათუოდ სა-

*) გაზეთების იმიტომ არ ვკითხულობთ, რომ გაზეთში ეხლა ვითომც ლანძღვა-გინების მეტი ადარაფერი იწერებაო!

მარცხვინოა და კიდევ უფრო სამარცხვინო იქნება იგი (თანაც თქვენივე გამათახსირებელი), თუ რომ თქვენ დღეის იქითაც ეჭვის თვალით დაუწყებთ ყურებას (მზერას) ისეთ წმიდათა-წმიდას, როგორიც საზოგადოთ ჟურნალ-გაზეთია ადამიანთათვის. თქვენ თუ გინდათ დღეს სხვებს არ ჩამორჩეთ და სხვებზედ უარეს გაჭივრებულ მდგომარეობაში არ ჩავარდეთ, მაშინ ზემო ნაჩვენები საქციელის გასამართლებელ საბუთების ძებნას თავი უნდა მიანებოთ და სამაგიეოო თქვენი მდგომარეობის გაუმჯობესობაზედ თვითონვე უნდა იზრუნოთ, აგრეთვე საქმის რიგიანად და თქვენთვინ სასარგებლოდ მოწყობას თვითონვე უნდა შეეცადოთ. ამას, უსათუოდ, მცოდნე პირებიც დაინახვენ და მაშინ, უეჭველია, თვითეული მათგანიც სიხარულით ეცდება (ჟურნალ-გაზეთების საშუალებით) მოგაწოდოს ყველა ის, რაც თქვენთვის მართლა საჭირო და ცხოვრებაში გამოსადეგი იქნება. ამ ნაირად, ჩემო ბეჟან, თქვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დღეს შრომა-მოქმედებასთან ერთად საჭიროა **ცოდნა, ცოდნა და ცოდნა**, რომლის შეძენა მხოლოდ ჟურნალ-გაზეთების და წიგნაკების კითხვით შეიძლება.

პირველ წერილში მე სკოლაში შვილების აღზრდის აუცილებელ საჭიროებაზედ მიგითითე ხელი. მაგრამ მე იქ ერთი ისეთი დიდი რამ არ ამინიშნავს, რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს ბავშვების საბოლოოდ ავ-კარგიანობაშ., და იმათ, როგორც თავისთვინ, ისე თავიანთ თანამემამულეთათვის, გამოსადეგ თუ, გამოუსადეგრობაში. რა არის ასეთი დიდი რამ, იკითხავ შენ.—ასეთი დიდი რამ ბავშვების (სკოლაში მიცემამდის) რიგიანად აღზრდა გახლავს, ე. ი. იმათი თავიდგანვე სწორ გზაზედ დაყენება, საგანზედ ჭეშმარიტი და სწორი შეხედულების ჩანერგვა, კარგის ავისგან გამორჩევა და საზიზღარი, შეუფერებელი მოქმედების მათგან შეზიზღება და . კეთილის

თუ საქებურის საზოგადოთ მოწონება. აი, ყველა ის უსაჭიროესი თვისებანი, რომლების ჩანერგვა, ბავშის არსებაში თვითეულ მშობელთაგნის წმინდა მოვალეობას შეადგენს. მხოლოდ თავიდგანვე ამნაირად ნაზარდი ბავშვიდგან შეიძლება გამოვიდეს საბოლოოდ, მართლაც, სასიქადულო და ყველასთვინ სასარგებლო მცოდნე ადამიანი. წინააღმდეგ შემთხვევაში პატარა კაცუნას (ბავშვის) სვე-ბედი, უსათუოთ შემთხვევას ჩაუვარდება ხელში.

უკეთ რომ ვსთქვათ, ხასიათ-დაუმაგრებელი ბავშვის, საბოლოოდ ავ-კარგიანობა დამოკიდებული იქნება იმ პატარა წრეზედ (ამხანაგებზედ), რომელთა შორის ეგ პატარა კაცუნა პირველადვე ამოჰყოფს თავს. რატომ?— იმიტომ, რომ უკულმართი აღზრდის წყალობით მასში ჯერ არავითარი რწმენა, არავითარი კეთილ-შობილური შეხედულება საგანზედ არ იქმნება ფესვ-გადგმული და ამიტომაც ის თავის ამხანაგებზედ რაიმე კეთილ-გავლენას ვერას დროს ვერ იქონიებს, ხოლო, თვით მასზედ კი ყველა, იმისდა მიუხედავათ, ავი იქნება იგი, თუ კარგი. ამისთვინ ასეთ ღიდ-მნიშვნელოვან საქმეს, ჩემო ბეჟან, ყველა დიდი ყურადღებით-ც უნდა მოვეპყრათ. მაგრამ რას იქ, რომ შენ, მოუცლელობის გამო, ბევრიც რომ იცოდე, აქ მაინც ვერას გახდები!?.... ამიტომაც ერთადერთი იმედი აქ დედაა, ის დედა, რომელიც თავსაც კი ანაცვალებს თავისი შვილების კეთილ-დღეობას. მაგრამ რა ჰქნას საწყალმა, რომ აქ მისთვინაც ცოდნაა საჭირო და ამ ცოდნის შეძენისათვის კი იგივე წიგნაკების და ჟურნალ-გაზეთების კითხვაა?!.... ამნაირად, გამოდის, რომ შვილების რიგიანათ აღზრდისათვის საჭიროა შენმა ცოლმაც ეხლავე მიჰყოს ხელი წიგნაკების და ჟურნალ-გაზეთების კითხვას და ამრიგათ თავისი თავის განვითარე-

ბას *).—«კარგი დაგემართოს, კარგი იყოს ჟურნალ-გაზეთების საშუალებით თავისი თავის განვითარება, მაგრამ ყველა ამაებისთვის, როგორც მოგეხსენებათ, დროა (მოსულა) საჭირო, ის დრო, რომელსაც მე და ჩემი ცოლი, ორივე, ორივე მოკლებულნი ვართო!»—იტყვი შენ.

რადგანაც ასეთი საჩივარი სხვებისგანაც ბევრჯერ მსმენია, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ცოტა შევაჩერო შენი ყურადღება ამ საგანზედ და მით ასეთი საჩივრის უსაფუძვლობაში თვითონვე დაგარწმუნო. შენ აქ ნუ დაგავიწყდება, ჩემო მეზობელო, რომ ვისაც სურვილი და ნდობა აქვს, ის ყოველ შემთხვევაში დროსაც ბევრს შოულობს ამაებისთვის; ხოლო ვინც მოკლებულია ამ ღირსებას, ის გარწმუნებ, თუ გინდ მთელი წელიწადიც უსაქმოთ იყოს, მაინც არას გააკეთებს და თავის უგუნურობა-უმეცრების გასამართლებლათ იმავე მოუცლელობაზედ მიგითითებს ხელს!!.... შენდა დასარწმუნებლად ნათქვამში აქ მე ისეთ დროს ავირჩევ, რომლის განმავლობაში სოფლელმა მუშამ წლის საჩო უნდა მოიწიოს. რა დროს არის ასეთი გაცხარებული მუშაობა?—

---

*) ამ შემთხვევაში სოფლელ დედებს დიდ სამსახურს გაუწევდა ბატარა წიგნაკი „ბემესი“ ნათარგმნი ბ. ნათაძისაგან, მაგრამ ვინ არის მოწყალე!? ჩვენში ჯერ კიდევ არა აქვთ კარგად შეგნებული ის ჭეშმარიტება, რომ მარტო წიგნაკის გამოცემა არ არის საკმაო; იმას ხალხში გავრცელებაც უნდა (რა საშუალებით, ეს ამისთვინ უკვე არსებული საზოგადოების საქმეა!), თორემ სოფლელმა დედებმა და მამებმაც კი სრულებითაც არ იციან: არის გამოცემული მათთვინ სასარგებლო წიგნი სადმე, თუ არა?!!...

„მეფეს გულში მღერიდა და, უმანო, ბანი მითხარითო“, —სწორეთ ისე მოგვდის ჩვენც. ავტ.

იმ დროს, როცა სოფლელი მუშა სთესავს, მარგლავს, თოხნის, ტეხს და ჰკრეფს. მაშ, გადვიდეთ საგანზედ, მაგრამ იმ პირობით კი, რომ შენ კარგად ჩაუკვირდე ისეთი მოქმედებების აღნიშვნას, რომელთ გაკეთებისათვის გაცილებით ნაკლები დროა საჭირო, ვინემ თქვენ იმათ გაკეთებას აქნობამდის ანდომებდით. ამაებისთვინ მე აქ ავიღებ მაგალითად, შენ მეზობელ ესიკას, რომელმაც ამას წინეთ (ნაწილ-ნაწილად) სამ ქცევა ადგილამდის შეიძინა: ერთი ქცევა თავისივე ეზოის მახლობლად, ხოლო დანარჩენი ორი კი შენი ეზოს გვერდით (შენი ეზოს პირდაპირ, ახლო). ესიკაის სახლიდგან შენს ეზომდის, ჩემო ბეჟან, თუ მეტი არა, ორ ვერს ნახევარი მაინც იქნება და, მაშასადამე, თვითეულის იქ (სამუშაოთ) მისვლა-მოსვლა ხუთი ვერსის მანძილს შეადგენს, რომლის გავლაშიაც (თვითეულ მუშაობის დღეს) ესიკას საათ ნახევარი დრო მაინც ეკარგება! ეს ადგილები, რომ თქვენ მოგეფიქრებიათ ამ ჟენ ხანს, და გადაგეცვალათ ერთმანერთისთვინ *), მაშინ თვითეული თქვენგანი (სანამ ამ ორი ქცევა ადგილის დამუშავებას გაათავებდით) თვითეულ მუშაობის დღეს საათ ნახევრამდის თავისუფალ დროს მოიგებდა, და ყოველ დღე თქვენ, რომ საათ ნახევარი გეხმარათ ჟურნალ-გაზეთების წასაკითხათ, მაშინ მერწმუნე, რომ არც ერთი მათგანი არ დაგრჩებოდათ თქვენ წიუკითხავი და გადაუთვალიერებელი. ამ ნაირ ადგილების ერთად თავის მოყრას, გარდა ზემოხსე-

---

*) ე. ი. ის ორი ქცევა სახნავ-სათესი, რომელიც ესიკას შენი ეზოის მახლობლად აქვს, შენთვინ მიეთვისებია და სამაგიერობთ კი იმ ადგილიდგან, რომელიც შენ ესიკაის მახლობლად გაქვს, ორი ქცევა სახნავ-სათესი მისთვინ მიგეზომა (მიგეთვისებია).

ნებულასა, სხვა მნიშვნელობაც აქვს. მაგალითად, ვსთქვათ, რომ დილას ცა მოღრუბლულია და საწვიმრად მომზადებული. შენ ხედავ ამას და ვერ გაგიბედნია ყანაში წასვლა... რატომ? იმიტომ, რომ თუ, მართლა, გაწვიმდა, შენ ისევ სახლში დაბრუნება მოგიწევს და ამნაირად, საქმის გაკეთების მაგივრად, უმიზნოთ წვიმისგან დაწუნწყვა!..—«როცა ცა წვიმას გვიქადის, ჩვენ შეგვიძლია სრულებითაც არ წავიდეთ ყანაშიო», —იტყვი შენ. მჯერა, ჩემო ბეჟან, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასე საწვიმრად მომზადებულმა ცამ შესაძლოა, ხანდახან, მთელი დღეც გასტანოს და ასეთ ლოდინში შენც მთელი დღე გაგაცდენიოს!!. ხოლო, შენ თუ სახნავ-სათესი (შეძლებისა დაგვარად) თავის ეზოზედ გექნება მოკიდებული, მაშინ საწვიმრად მომზადებულიცა ხომ ერთი საათის საამუშევარ დროსაც ვერ დაგიკარგავს? ესეც ცოტაა. ეხლა ვსთქვათ, რომ შენ ხეხილები გაქვს გაშენებული შენს ადგილებში. ამას, რასაკვირველია, მეტი თვალ-ყურის გდება, მეტი მოვლა-მოწყესვა სჭირია და აბა ამას რა ნაირად შესძლებ შენ, თუ ეს ხეხილები სხვადასხვა ადგილას გექნება დაფანტული?! სხვა რომ არა იყოს რა, ერთის ადგილას, ორი და სამი დარაჯიც ვერას გახდება და ეს უკანასკნელნი უფულოთ ხომ არსად მოიპოვებიან?! ამნაირად, თქვენი საკუთრებაა-სახნავ-სათესის (გადაცვლა-გადმოცვლის წყალობით) ეზოს მახლობლათ, ერთად თავის მოყრა, გარდა შრომა-მოქმედების შემჩატებისა და მასზედ სახარჯავის შემცირებისა, იმ თავისუფალ დროსაც საკმაოთ იძლევა, რომლის უქონლობაზედაც თქვენ ამდენხანს ამყარებდით თქვენგანვე ჟურნალ-გაზეთების წაუკითხავობის მიზეზებს! ამისთანების ამოჩენა სხვა თქვენს მოქმედებებშიაც ბევრი შემიძლია, ჩემო მეზობელო, მაგრამ, რა ვქნა, რომ ამაებისთვინ აქ არც დრო მაქვს და არც ადგილი. ამიტომაც მხოლოდ ერთ იმათგანზედ

კიდევ მიგითითებ ხელს და დანარჩენს კი იმედია შენ თვითონვე მიაქცევ ყურადღებას. ამ უკანასკნელი მაგალითისთვინ მე ვიღებ აქ შენგან წისქვილზედ დასაფქვავი სიმინდის ზიდვას. შენ გჭირდება კვირაში (რასაკვირველია, მთელი ოჯახისთვის) ორ ფუთამდის მჭადის ფქვილი, რომელიც შენ თავისივე ზურგით გადაგაქვს დასაფქვავათ შვიდი ვერსის მანძილზედ (წისქვილზედ), რაც ტვირთიან კაცზე შეადგენს (იქით და აქეთ) ხუთი საათის სასიარულო გზას. ამ ნაირად შენ ყოველ კვირაში ნახევარ-ნახევარი მუშაობის დღე გეკარგება! და რატომ, მერე?—იმიტომ, რომ თქვენ ჯერ არც თქვენს უმიზნო ტანჯვა-ჯაფას, არც უსარგებლოდ დროის დაკარგვას არავითარ ყურადღებას არ აქცევთ! და ეს, რომ ჭეშმარიტებაა, აი, ამის საბუთიც: ამაში შენც დამეთანხმები, რომ თვითეულს თქვენგანს, დღეს, უღლად ხარები და ურემიც უსაქმოთ სახლში ჰყავს გაჩერებული, რომლის შემწეობითაც არამც თუ ორი ფუთი საფქვავის, არამედ ორმოცდაათ ფუთამდის შეიძლებოდა წაღება. მაგრამ თქვენ კი მაინც, ყველა ამაების მიუხედავათ, თავისივე ზურგით მიათრევთ (მითრაქავთ) ორ-ორ ფუთობით ამოდენა მანძილზედ!!.... ნუ თუ აქაც დაიწყებს რომელიმე თქვენგანი თავის მართლებას?! იქნება სთქვათ, რომ სანამდის ორმოცდა ათი ფუთი ფქვილი დაილეოდეს, მანამდის ის წახდება და რომ არ წახდეს, სად გვეშოვება ოჯახში ამოდენა ფქვილის მოსაკვებელი ჭურჭელიო? კარგი, თუ გინდ ასეც იყოს, მაგრამ, რატომ თქვენ აქაც არ შეგიძლიათ ერთმანერთში შეთანხმდეთ და ერთმანეთს, მეზობლებმა, ძმობა-ამხანაგობა გაუწიოთ?! აი, მაგალითად, დღეს მიგაქვს შენ წისქვილში რვა ფუთამდის საფქვავი (ერთი თვის სარჩო); მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ამავე ურმით ერთად, ორმოცდაათ ფუთამდის საფქვავის წაღება შეიძლება და მაშ, რას წააგებ იმით, რომ

იმაზედ (ურემზედ) შენმა ხუთმა მეზობლებმაც დაუდოს თავ-ოიავისი რვა-რვა ფუთი საფქვავი?! წაგებ კი არა, კიდეც მოიგებ ამნაირი მოქმედებით! რატომ? — იმიტომ, რომ მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ჯერ-ჯერით თვითეული მათგანი რო წავა წისქვილზედ თავის ხარ-ურმით, სამაგიეროთ, რასაკვირველია, შენს რვა ფუთ საფქვავსაც თანაც წაიღებს *). ამნაირად გამოდის, რომ ასეთი მოქმედების წყალობით, ორმოცდა რვაჯერ ამოდენა მანძილზედ ტვირთის მითრევ-მოთრევის მაგივრათ თვითეულს თქვენგანს მოუწევდა იქ (წისქვილზედ) წასვლა მხოლოდ ორჯელ წელიწადში და ისიც ხარ-ურმით და არა თავისი ზურგის წამებით!!.... ნუთუ თქვენ, ამნაირად მოქმედების შემოკლებით (ამით ხომ შრომაც შემჩატებული იქნება!), იმოდენა თავისუფალი დროც ალარ შემოგემატებათ, რომ წიგნაკების და ჟურნალ-გაზეთების წაკითხვა შეგეძლოთ?! ეხლა ამ ზემო ნაჩვენებ თავისუფალ დროს თუ მიუმატებ კიდევ კვირა-უქმეებს და ისეთ ამინდებს, როცა მუშაობა არ შეიძლება, მაშინ შენც დარწმუნდები, ჩემო ბეჟან, რომ ამოდენა დროს განმავლობაში არამც თუ წიგნაკების და ჟურნალ-გაზეთების წაკითხვა, არამედ რის გაკეთება და მოქმედება არ შეიძლება?!.

ასეთი მოქმედებით შენ შეგიძლია ირინესაც შეუმჩატო მისი დღევანდელი მძიმე მდგომარეობა (რასაკვირველია, შრომა-მოქმედების მხრივ) და მით მისცე მასაც იმოდენა თავისუფალი დრო, რომლის განმავლობაშიაც მა-

---

*) ვისაც ხარები არა ჰყავს, იმათ შეუძლიათ სამაგიეროთ მიული დღე მოგვხმარონ. ამ საერად შენც მოგებული იქნება და ისიც, რადგანაც მას იფეში ამდენხანს ორი დღის მუშაობა უცდებოდა ამ საქმეზედ!..

საც შეეძლოს თავისი თავის განვითარება. და რა ნაირად შეგიძლია ეს შენ?—ეს შეგიძლია შენ ოჯახის უფრო რიგიანად მოწყობით. რაში გამოიხატვის ოჯახის რიგიანად მოწყობა?—მრავალ სხვადასხვაობის შეცვლა-მოწყობაში, მაგრამ უწინარეს ყოვლისა კი შენი სამზადი სახლის გადაკეთებაში. ხოლო რა არის იმაში გადასაკეთებელ-გასაუმჯობესებელი, ამაზედ ამნაირი კითხვის პასუხები მიგვითითებს ხელს: რას წარმოადგენს დღეს თქვენი სამზადი და თანაც საცხოვრებელი სახლი?—ის წარმოადგენს დღეს ოთხ-კუთხედ ღოჯიან სახლს, ისლით დახურულს, რომელსაც ზედა სხვენი ჭერებით (მრგვალი ხეებით) აქვს ჩაბოგვილი (ჩაჭერული) და იგიც სანახევროთ ღიაა! წინა-უკანა კარები ცეცხლის ძლიერი ქარისგან დასაცავათ, რათა ამ უკანასკნელმა სულ ერთიანად არ გაფანტოს იგი! ამიტომაც, როცა ძლიერი ქარი არ არის, ასეთი კარები ზამთრიან-ზაფხულიანა სულ დაფეთილია (დაღებულია)! ფანჯრების მაგიერობას აქ, დაღებულ კარებთან ერთად, კედლების ჭურტუმალები და საძირკვლების ქვეშიდგან ხუმუროები *) ასრულებენ. სხვენის შუა ადგილისგან ჩამოშვებულია ოჯინჯალი, რომელზედაც ჰკიდია ცოლის ნამზითვი ჯაქვი **). ამ ჯაქვ-ოჯინჯალის საპირდაპიროთ გაკეთებულია ყვერბი, რომელზედაც ინთება ცეცხლი ***). აი, შენი სამზადი სახლიც, რომელიც სახლს კი არა, უფრო წარმოადგენს ქარსიციის სათარეშო კარავს, რომელშიაც მხოლოდ წვიმისგან შეიძლება თავი დაიფაროს ადამიანმა! თქმა არ

*) გამოდრეკებულს ადგილს ეძახიან.

**) ჯაჭვზედ კარდალი და ჩარხანი ჩამოიკიდება.

***) ეზერბს ერთი კედრიი ზდგია კერია, რომელზედაც შეშას ჩამოუწყობენ თაყვებს.

უნდა, რომ ასეთ საქრულ ადგილზედ სადილ-ვახშმის კე, თება და მეოჯახოობა ყველასთვინ გასაჭირი და აუტანელი იქმნება!.. ასეთ სახლში სადილ-ვახშმის გაკეთებას ოთხ-ხუთ ტვირთამდის შეშა მაინც სჭირდება და აბა, სადა აქვს ირინეს ამოდენა შეშა, თუ თვითონ სადმე არ მოსძებნა (მოფიჩხა) და არ მოიტანა?! შე დალოცვილო, ზაფხულისთვინ კი არა, შენ ხშირად ზამთრისთვინაც არა გაქვს შეშა მომზადებული! შეშის უქონლობასთან ერთად ირინეს, ასეთი უხერხული საცეცხურიც უჭივრებს საქმეს. რატომ?—იმიტომ, რომ იმან კეცი თუ შედგა ცეცხლზედ, მაშინ ფხალის ხარშვა უნდა შესწყვიტოს, ხოლო ფხალის ან ხორცის ხარშვა თუ განაგრძო, მაშინ კეცს ველარ გაახურებს დროზედ და ამ ნაირად, მას მჭადის გამოცხობა დაუგვიანდება! და რადგანაც, როგორც ერთი, ისე მეორეც, თავის დროზედ, უსათუოთ მომზადებული უნდა იყოს, ამიტომაც ირინე იძულებულია ალიონიდგან მოკიდებული შუადღემდის ცეცხლი ფიჩხა-ფუჩხით ანთოს! ხოლო ასეთი ცეცხლის უძლურება ვინ არ იცის? ვერ მოასწრობთ მჭადის დასაფარებელი ფურცლის მოტანას, რომ ის უკვე ჩანელებული (ჩაქრობილი) დაგხვდებათ თქვენ. მაშასადამე, თუ გინდათ, რომ სადილის კეთება არ შესწყდეს, საჭიროა ისევ ფიჩხის მოძებნა და ცეცხლის ხელ-მეორედ შემობრუნება!!- ამნაირად, გარდა სხვადასხვა აუტანელი და თან უთავბოლო ტანჯვისა, საწყალ ირინეს, ტუნჩიც *) წამწვარი აქვს მარად ცეცხლის ბერვისაგან!.. ეს ხომ არც ერთი არ მოუვიდოდა ირინეს, რომ შენ არსებულ ყვერბის (საცეცხლული) მაგივრად, სამზად სახლში, რუსული ფეჩი გედგას თავისი ჰლიტით? მაგრამ მე შენ

*) ტუნჩს—ბაგეს ეძახიან.

წინა წერილშიდაც გითხარი და ამას ეხლაც გაგიმეორებ, რომ შენ, მარტო დაუდევრობის გამო, ვერ მიგიქცევია ამდენხანს ირინეს ასეთი უთავ-ბოლო ტანჯვა-წვალებაზე ყურადღება, თორემ რა არის აქ ისეთი გაუგებარი, რომ შენისთანა ადამიანი ვერ მიხვდეს მას?! დიახ, გაუგებარი აქ, ჩემო ბეჟან, არაფერია, მით უფრო, რომ ყველა ამაებზედ ბუნება დიდი ხანია თავისთავათ გითითებს ხელს. აბა, კარგად დაუკვირდი თავის თავს, თუ შენი დაუდევრობა და ხაქციელი თვითონვე არ გაგიკვირდეს: ვსთქვათ, ზემო აწერილ სამზად სახლში, შენ, გინთია ცეცხლი და ხარ ზედ მიცხუნებული (რასაკვირველია, ზამთარში). ოთხი-ხუთი წუთის შემდეგ, ასეთი თბობისა, შენ გრძნობ, რომ წინა კედარო უკვე გეწვება და უკანა (ზურგი) კი გეყინება! შენ, რასაკვირველია, ხელად შეტრიალდები, მაგრამ ვაი ამისთანა შეტრიალებას; შენ ეხლა, ცეცხლის გამო, ზურგი გეწვება და წინა კედარო კი ისევ გეყინება! ამნაირად შენ, ჩემო მეზობელო, თუმცალა შესაწვავ გოჭივით ტრიალებ ცეცხლის პირში, მაგრამ იმას კი მაინც ვერ მიმხვდარხარ, რომ ამის მიზეზი ცივი ქარია, რომელიც დაფეთილი კარებისგან და კედლების ჭურტუმალებისგან შემოქირქილებს!! ამდენხანს მაინც ვერ მოგიფიქრებია, რომ ამ ცეცხლის პირში, ასე შესაწვავ გოჭივით ტრიალის თავიდგან ასაცილებლად, მარტო სამზადი სახლის შეტკეჩვა-შელესვაა საჭირო!!.... ბუნება ამითაც არ კმაყოფილდება. ის, ჭურტუმალეების და ხუმუროების შემწეობით, წამოუქროლებს და ხან ცეცხლის ალს გადმოაწვდენს შენსკენ, ხან ფუტს შემოგიბოლებს თავ-პირში და როცა ამითაც ვერას ხდება, მაშინ კი იმავე ქარის შემწეობით (წინა-უკანა კარებიდგან) გაგულისებულს გააქვსგამოაქვს იქით-აქეთ საყვერბულიდგან ნაკვერცხალი! მაგრამ, რაი მერე? შენთან მაინც ვერას გახდა! იმან ამი-

თაც ვერ შესძლო თავ მიზეზებზედ მიექცია შენი ყურადღება! და მერე რა არის ასეთი შეუწყნარებელი უგუნურობის მიზეზი?—სიზარმაცე და დაუდევრობა! მაშ ეხლა მაინც მივაქციოთ ყურადღება ბუნების ასეთ საქციელს და გამოვარკვიოთ, თუ რა არის იმის მიზეზი, რომ ის დღეს, ასე უსარგებლოთ, ამოდენა შეშას გვახარჯვინებს?!.

ამის მიზეზი ის არის, რომ მას (ბუნებას) უნდა დღევანდელ შეშის სიძვირეზედ შენი ყურადღება მიაქციოს რამე ნაირად და თანაც ისეთი რამ საშუალება მოგაფიქრებიოს, რომლის შემწეობითაც ეხლანდელი შეშის ხარჯის შემცირება ერთი-ორათ მაინც შეიძლებოდეს. ის შენსავე სახლში წამდაუწუმ ფუტით გახრჩობს, რატომ? —იმიტომ, რომ შენ ამ ფუტისთვის ცალკე გასავალი გზის გაკეთება გაფიქრებიოს. შენ ის (ცეცხლის შემწეობით) ყვერბის პირას განგებ ხან ერთ კედაროს შეგაწვავს, ხან მეორეს, ხან ერთს გაგიყივნებს, ხან მეორეს, რატომ?—იმიტომ, რომ შენ ეხლანდელი ყვერბის მაგივრად, ისეთი რამ ცეცხლის დასანთები მოგაგონებიოს, რომლის შემწეობითაც ადამიანთა სხეულის ნაწილებს (ერთ და იმავე დროს) ერთნაირი სითბოს მიღება შეეძლოს. ის შენ კედლები! ჭურტუმალებისგან და ხუმუროებისგან განუწყვეტლივ გიქირქილებს, ხოლო ხანდახან ცეცხლსაც მიგიფანტ-მოგიფანტავს ოჯახშიდ, რატომ?—იმიტომ, რომ ამით მას უნდა შემომავალი ქარის საწინააღმდეგოთ შენ რაიმე მოგაფიქრებიოს და სხვა...

თქმა არ უნდა, რომ შენ ასე სიზარმაცე-დაუდევრობას არ დაეძლიე, იმ შემთხვევაში, უსათუოთ შენს ასეთ გაჭივრება-წვალებასაც ყურადღებას მიაქცევდი ამდენხანს და ამ უკანასკნელის თავიდგან ასაკილებლად შენს სამზად სახლს სულ სხვანაირად მოაწყობდი, ე. ი. იმას ამდენხანს მშვენივრად შეტკეჩავ-შელესავდი (ჯერ

წითელი მიწით შელესვიდი და შემდეგ კირით შეათეთ-
რებდი მხოლოდ); სხვენის ჭერებსაც, ერთი-მეორეზედ
უფრო კარგად მიატკაპნიდი; სიცივის დროს, კარებსაც
მოხურულს იქონიებდი და სინათლისთვინ კი ერთ-ორ
ფანჯარას გაუკეთებდი თავის სამზად სახლს; ეხლანდელი
საყვერბულის მაგივრად, ერთ რომელიმე კუთხეში რუ-
სულ ფეჩს (პატარა ფურნის მაგვარს) მიაშენებდი და ამ
უკანასკნელზედ პლიტასაც (აჭმელების მოსამზადებლათ)
მიადგმიდი და სხვა.....

აი, სწორეთ ასეთი მოქმედებით შეგიძლია შენ,
დღეს, იხსნა შენი ოჯახი ზემოხსენებული სიცივ-კანკა-
ლის, ტანჯვის და წვალებისაგან; შეგიძლია აგრეთვე
დღევანდელი უთავ-ბოლო შეშის ხარჯიც ერთი-ათათ
შეამცირო და ყველა ამით ირინეს იმდენი თავი-
სუფალი დროც მიანიჭო, რომ მას მოსვენებაც შეეძლე-
ბა და თვით ჟურნალ-გაზეთების წაკითხვაც.

ახლა დროა ცოტა სასტუმრო სახლშიაც მივიხედ-
მოვიხედოთ. რით განსხვავდება იგი სამზადი სახლისაგან?
—იმით, რომ სასტუმრო სახლში მეტი სიწმინდეა; კი-
დევ იმით, რომ სინათლისთვის ამ სახლს ფანჯრები აქვს
დაკეთებული და არა ხუმუროები და კედლებში ჭურ-
ტუმალეები! ხოლო, რაც შეეხება სიცივეს, ამით კი ის
ვერაფრით განსხვავდება სამზადი სახლისგან. მიზეზი?—
მიზეზი (გარდა კედლების შეუღებავობისს და ქვედა ია-
ტაკის რიგიანად გაუკეთებლობისა) ჩვენებური ბუხარია,
რომელიც (იატაკიდგან დაწყებული) ალყასავით მარჯვეთ
არის მიბჯენილი ცის სივრცეში!.. ასეთი ბუხრის საშუ-
ალებით (თუ კი თავის დაღწევას არ დაიზარებთ) თამამად
შეგიძლიათ გაარჩიოთ ცაზედ თვითეული ვარსკვლავი! *)

---

*) სწორეთ დურბინდის მაგიერობას გაგიწევს, მკითხვე-
ლო!

სწორეთ ამიტომაც არის, რომ ასეთ ბუხარში ხან წვიმა ჩამოუპარტყუნებს და ხან ქარი ჩამოუბერავს და თვალებს სულ ფუტით ამოგიმსებს!.. მაშ, გამოდის, რომ აქაც (სასტუმრო სახლში) შენგან ყურადღების ღირსი იგივე სიცივე და უთავბოლო შეშის ხარჯი ყოფილა! მართლაც და, შენ თუ ცივს დღეში მოგიხდა ასეთ ოდაში ჯდომა და არ გინდა სიცივემ გიმსხვერპლოს, იმ შემთხვევაში იმ დრომდე განუწყვეტლივ უნდა აყარო ბუხარში შეშა, სანამ დაწოლის დრო არ მოვა და საბანს არ შეაფარებ თავს! დღე კიდევ არაფერი გიჭირს, მაგრამ დილით ადგომას არ იკითხავ? ვინ არის მამაცი, რომ ამ გაყინულ ბუხარში ცეცხლი შეანთოს!.. ამიტომაც, ასეთ ყინვიან დილას, ხშირად ცოლ-ქმარში პატიჟიც ჩამოვარდება ხოლმე: «კაცო, ერთი თუ არ გეზარება, წამოდექი და შეანთე ცეცხლი ბუხარში, თორემ ლამის არის სიცივით დავიხოცოთო»,—ეუბნება ცოლი.—«ქალო, რაღაც ბრჭყვალები მიჩხუტუნებს გვერდებში და რომ ავდგე, ვაი, თუ უარესი მომივიდეს! სჯობს ისევლე *) შენ წამოდგე ეხლა და რამე ნაირად ცეცხლით მოაპუჟუნო», **)—უპასუხებს ქმარი. ამ ნაირად, სიზარმაცის მონა-მორჩილი, სიცივის თავიდგან ასაცილებლად, ავადმყოფობასაც იგონებს და ის კი ვერ მიუფიქრებია აბდენხანს, რომ ყველა ამაების მოსასპობლად მარტო ისეთი ფეჩის გაკეთებაა საჭირო, როგორიც შემოღებულია ქალაქებში. იქნება შენ მოგწონს ძველებური ბუხარი და არ გინდა მას თავი დაანებო? გახლდეს ბატონო, მაგრამ

*) ისევ—ისევდეს ნიშნავს.

**) მოპუჟუნება იმას ჰქვია, რომ დიდი ვაი-ვაგლახით ძლიგს მოანთებ პატარა ცეცხლს, რომელიც ჩქარ-ჩქარა ჩაიდუღება და შემოსაბრუნებლად ხელახლად ბერვა სჭირდება.

ამ შემთხვევაში იმას (ბუხარს) ისეთი თავ-სახურავი მაინც გაუკეთე, რომელიც შიგნიდგან გარეთ სითბოს არ უშვებდეს და გარედგან შიგნით—სიცივეს. ასე გაკეთებულ ბუხრიან ოთახში შენ ორჯერაც არ დაგჭირდება ცეცხლის დანთება (დღეში) და თან ოთახიც მარად თბილი გექნება. ასეა თუ ისე, სახლების შეტკეჩვ-შემოლესვა, სამზად სახლში ჰლიტიანი ფეჩის დადგმა, სასტუმროში ან რუსული ფეჩის მოწყობა, ან და არსებული ბუხრის გაუმჯობესება დღევანდელ შეშის ხარჯს ერთი-ათად შეამცირებს; ოჯახში სიწმინდის დაჭერასაც ხელს შეუწყობს; სახლებში საკმაო სითბოს დაიჭერს; თქვენ შრომასაც ერთი-ორათ შეამჩატებს და მით, ირინეს, მეტ თავისუფალ დროსაც საკმაოთ მიანიჭებს.

ახლა გადვიდეთ (წინააღმდეგ დაპირების) ირინეს გაუთავებელ წყალის ზიდვაზედ და ბავშვის დასაძინებლად იმისგან აკვნის რწევა-ქანჯალზედ! კიდევ კარგი, რომ ზოგიერთებს ეზოშივე ეშოვება ოჯახში საჭირო წყალი. მაგრამ შენს ცოლს, ირინეს, ის ხომ ათასი ფეხის ნაბიჯის მანძილიდან აქვს საწიკავი?! თუ მეტი არა, ხუთჯერ დოქებით წყალის მოტანა ირინეს მაინც მოუნდება დღეში და ამნაირად ათი-ათასი ნაბიჯის გადადგმა (იქით-აქეთ), რაც შვიდი ვერსის მანძილს უდრის! ირინეს ამოდენა მანძილის გავლაზედ და იქ დოქების წყლით ავსებაზედ, დღეში ორ საათ ნახევრამდის დრო ეკარგება, მაშინ როდესაც ამაების მოქმედება შენ ხუთმეტი წუთის განმავლობაშიაც კი თამამად შეგიძლია!!.... რა ნაირადო?—იკითხავ შენ.—აი, ამ ნაირად: ხარ-ურემი შენ ხომ სახლში გყავს უსაქმოთ გაჩერებული? *) მაშ

*) ძებნა არაა საჭირო, რადგანაც ხარები დამ-დამობით სახლშია დაბმული.

აქ შენ ერთი ბოჩკის შეძენა (ყიდვა) გჭირია, რომელსაც ურემზედ დაუდებ და მით დილ-დილობით (ვინემ ყანაში გაემგზავრებოდე) ირინეს ბოჩკა წყალს მიაწვდი. დღეში ერთი დიდი ბოჩკა წყალი ირინეს ყველაფერზედ ეყოფა და ამნაირად ისიც ზემოხსენებული ტანჯვა-წვალებისგანაც განთავისუფლებული იქნება. ეხლა მივაქციოთ ყურადღება მეორე საგანს. მოგეხსენებათ, რომ ბავშვი, როცა დასაძინებლად აკვანში ჩაწოლილია (უძლებლობის თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო), ხშირათ ტირილს ამოუკიდებს ხოლმე; ხანდახან დედა მაშინაც ჩააკრავს ბავშვს აკვანში, როცა ამ პატარა არსებას ძილი სრულებითაც არა სურს! *). რასაკვირველია, როგორც პირველ შემთხვევაში, ისე მეორეშიაც ბავშვი ისე არ დაწყნარდება, თუ იმას ვინმე არ ურწიანებს (უკეთ რომ ვსთქვათ, თუ ვინმე აკვანს არ აქანჯალებს იქით-აქეთ!) ხსენებული შემთხვევა, დღეში, რამოდენჯერმე გამეორდება და ამნაირად. საქმესთან ერთად, ირინეს, ორი-სამი საათის დრო აკვნის რწებაშიაც ეკარგვის! ამაში შველაც მე ხომ არ შემიძლიაო?—იტყვი შენ.—დიახ, აქაც შენ შეგიძლია შველა და, აი, რანაირად: აიღე კარკი და საიმედო თოკი, ჩამოაბი ერთ საიმედო ჭერზედ და შემდეგ ასეთი თოკის ბოლოზედ საიმედოთვე ჩამოაბი ის აკვანი, რომელშიაც გინდათ ბავშვი დააძინოთ. მორჩა და გათავდა. ასე გაკეთებულ აკვანში ბავშვის დაძინებას (მანანდელი **) ერთი-ორი საათის აკვნის ჯაჯგუნ-რახუნის მაგივრად) ერთი-ორი გარწიანების მეტი არ დას-

*) ამას იმ შემთხვევაში ჩადის დედა, როცა მას სერიოზული რამე აქვს გასაკეთებელი და ბავშვი კი ხელს უშლის ამ უკანასკნელის შესრულებას.

**) მანანდელი ნაშნავს წინანდელს.

ჭირდება და ამის გამო, ტანჯვის შემჩატებასთან ერთად, ირინეს, თავისუფალი დროც საკმაოთ მოემატება *). მე აქ, როგორც ხედავ, განგებ ისეთი დრო ავიღე, თქვენს ცხოვრებაში, როცა მართლა გამწვავებული მუშაობაა ყოველგან და (თუ არ ვცდები) საკმაოთაც დაგიმტკიცე, რომ ვისაც ჟურნალ-გაზეთების და წიგნაკების წაკითხვის ნდომა აქვს, იმას ასეთი მუშაობის დროსაც ადვილად შეუძლია ამოაჩინოს იმოდენა თავისუფალი დრო, რომ ის ამაების წაკითხვასაც მოასწრობს და მოსვენებასაც. რა კი დროს საჭიროებაზედ ჩამოვარდა აქლაპარაკი, ამიტომ უმჯობესი იქნება ამ საგანს უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ და მისი დიადი მნიშვნელობა ცხოვრებაში, უფრო მჭიდროთ და დაწვრილებით გამოვარკვიოთ. ვსთქვათ, შენ ერთი დღით დაგიქირავა ვინმემ, მაგრამ შენ კი უძლებლობის თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო, ვერ შესძელი მთელს დღეს მასთან მუშაობა. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ის შენ იმდენს აღარ მოგცემს, რამდენიც შეპირება იყო. რატომ?—იმიტომ, რომ შენ მისდა სასარგებლოთ იმდენი შრომის ნაწევა ვერ შესძელი, რამდენიც შენგან შეპირება იყო. ეხლა, ვსთქვათ, შენ და შენმა მეზობელმა, გოგიამ, ვინმეს მიექირავეთ იმ პირობით, რომ რამდენ საათსაც თქვენ იმუშავებთ მის საქმეზედ, იმდენი ორ-ორი შაური მოგცეს იმან თქვენ. ამ პირობით, თქვენ, მუშაობა უკვე დაიწყეთ; მაგრამ დახე, რომ გოგიამ დამქირავებლისგან საღამოს ჟამს ექვსი აბაზი აიღო და შენ კი მხოლოდ ოთხი აბაზი! რატომ?—იმიტომ, რომ გოგიამ დილის ექვს საათზედ მოჰკიდა შრომას ხელი და შენ კი რვა საათზედ; გოგიამ დღეში მოსვენებას ორი საათი მოანდომა და შენ კი სამი; იმან

*) თან ბავშვიც ტვინის დაუნჯღრევლად დაიძინებს.

მუშაობას საღამოს რვა საათზედ მიანება თავი და შენ კი შვიდ საათზედ! ამნაირად გოგიამ დღის განმავლობაში თორმეტი საათი იშრომა და შენ კი მხოლოდ რვა საათი! უკეთ, რომ ვსთქვათ, იმან დღის განმავლობაში ოთხი საათით შენზედ მეტი იშრომა დამქირავებელის სასარგებლოთ და ამიტომაც გოგიამ ამ უკანასკნელისგან ოთხჯერ ორ-ორი შაურითაც შენზეო მეტი აიღო, ე. ი, ორი აბაზით. ახლა ერთი ვიკითხოთ: რათ გოგიამაც გვიან არ დაიწყო მუშაობა და შენებრ ადრე არ გაათავა?—აი, რათ: გოგიას ალბათ სცოდნია, რომ შრომაში განვლილი დრო იგივე ფულებია! და რადგანაც მის მიზანსაც მეტი ფულების აღება შეადგენდა, ამიტომაც იმან (გოგიამ) დღის განმავლობაში შენზედ მეტი დროც იშრომა. აქედგან კი ცხადია, ჩემო მეზობელო, რომ კარგი და მუყაითი მშომელი ადამიანისთვის დრო იგივე ფულებია და, მაშასადამე, რამდენადაც ასეთი ადამიანი, (წლის განმავლობაში) მეტ დროს იშრომებს, იმდენად ის (ამ ხნის განმავლობაში) მეტ ფულებსაც ჩაიდებს ჯიბეში. უკეთ, რომ ვსთქვათ, ბევრი დროის შრომა იგივე ბევრი ფულები არის, რადგანაც ბევრ დროთა შრომის ყიდვას ბევრი ფულებიც უნდა და ბევრი ფულების შეძენას ბევრი დროის შრომა. ყველა ზემოხსენებულისგან გამოდის, რომ დროს უსარგებლოთ გატარება (გაფლანგვა). იგივე ფულების გაფლანგვაა! ხოლო განსაზღვრულ დროში მეტი დროს გამონახვა და იმის შრომაში გატარება იგივე მეტი ფულების გამონახვა და თავიანთ ჯიბეში მოგროვებაა. და რაკი ეს ასეა, ჩვენც მივიხედ-მოვიხედოთ და შევიტყოთ: წლის განმავლობაში გვეკარგება დრო უსარგებლოთ თუ არა? როგორც პირველ წერილში, ისე ამ წერილშიაც ჩვენ მხოლოდ შევეხეთ ისეთ დროს, რომლის განმავლობაშიაც თქვენ წლის სარჩოს იწევთ ხოლმე. და თუ თქვენც დამეთანხმებით, ამ ხნის

განმავლობაშიაც საკმაოთ ამოვაჩინე მე იმოდენა თავისუფალი დრო, რომელიც თქვენისთანა მშრომელ მუშას მოსასვენებლადაც ეყოფა და ჟურნალ-გაზეთების საკითხავადაც. მაშ, ეხლა რიგი მისდგა ზამთრის დღეებზედ და ამიტომაც გაძლევ ასეთ კითხვას: რას აკეთებთ თქვენ პირველ გიორგობისთვიდგან (ნოემბრიდგან) მოკიდებული პირველ აპრილამდე? — რასაკვირველია, გარდა სმა-ჭამისა, არაფერს! *) გამოდის, რომ თითქმის ნახევარი წლის სამუშავო დრო თქვენთვინ უსარგებლოდ მიდის! და რადგანაც გამრჯელი მუშისგან დროს უსარგებლოთ გატარება. იგივე ფულების გაფლანგვაა, მაშ, რაღა გასაკვირია, რომ დღეს თქვენც აგრე ღარიბ-ღატაკნი იყვნეთ?!.... ..

არა, ჩემო მეზობელო, ასე ნუ იზამთ თქვენ. თუ თქვენ გინდათ, რომ წინანდელი შემოსავალი ერთიორად აქციოთ, იმ შემთხვევაში ეს წლის დანარჩენი ხუთი თვეც უსათუოთ შრომა-მეცადინეობაში უნდა გაატაროთ. „ზამთარში რა უნდა გავაკეთოვო“, — იქნება სთქვა შენ! მაგრამ ყველაფერს მოფიქრება უნდა, შე დალოცვილო, თორემ ზამთარში გასაკეთებელის მეტი რა არის?! თუ გინდ ავიღოთ მარტო აბრეშუმის მოყვანა და ფუტკრის მოშენება, რომელთ შემოსავალის ათჯერ გადიდება შეგიძლიათ თქვენ, გაუმჯობესებული წეს-წყობილების შემოღებით. ყველა ამაებისთვის საჭიროა მხოლოდ ერთად ერთი დრო და მონდომება. და რადგანაც ეხლა, როგორც თავისუფალი დრო (ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი და მარტი), ისე მონდომებაც (სურვილი) თქვენ ხელთ არის, ამიტომაც უნდა ვიმედოვნოთ, რომ ვერც თქვენგან ხსენებული შემოსავლის ერთი-

*) აქ მე სახეში მყავს სხვა შენისთანა მშრომლებიც.

ორად გადიდებას შეუშლის რაიმე ხელს. მაშ, მეზობლებო, ვიშრომოთ, მაგრამ რანაირად?—ეხლა ჩვენს განკარგულებაშია ზემოხსენებული ხუთი თვე, რომელთ შორის ორი თვე ისეთიც გამოერევა (კარგი დარიანი), როცა გარეთაც შეიძლება მუშაობა და დანარჩენი სამი თვე კი (ავი დარის გამო) მხოლოდ სახლში. მაგრამ ამაზედ შემდეგ იყოს.

მარად თქვენი კეთილის მსურველი ტ. ართმელაძე.

მთვრალობა

და

მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი.

(ს. ბუტკევიჩის წერილებიდამ).

მთვრალობის ფსიხოლოგია.

(დასასრული *).

ადგილობრივ ელემენტებისაგან შემდგარ სიფხიზლის საზოგადოებებს, რომელნიც მრავალნაირათ არიან დაკავშირებულნი ადგილობრივ ცხოვრების სინამდვილესთან, ხელში აქვთ ათასგვარი საშუალებანი ამ სინამდვილეზე გავლენა იქონიონ. მხოლოთ ისეთ საზოგა-

*) იხ. „მოგზაური“ № 3 და 4, 1903 წ.

დოებებს, რომელნიც კარგათ არიან გაცნობილნი ადგილობრივ ხასიათსა და მთვრალობის გავრცელებასთან, შეუძლიათ შეკრიბონ ზომები მთვრალობის შესახებ და ადგილის და დროის მიხედვით იმდენათ ფაქიზათ იხმარონ მთვრალობის წინააღმდეგ საბრძოლველი იარაღები, რომ შეაკავონ, ან მოსპონ ამ ბოროტების ზედგავლენა ხალხზე. საწამლავის მოსასპობმა წამალმა რომ გააქარწყლოს პირველის გავლენა, საჭიროა ერთისა და მეორის შეთანხმებული ხმარება; ეს კი ყველაზე ადვილი მისაწდომია, როცა საწამლავი და მისი მომსპობი საშუალება ერთ და იმავე ორგანოს ხელშია. რომ სიფხიზლემ განაძევოს მთვრალობა, საჭიროა ალკოგოლის სამაგიერო საქმის გავრცელება და ბრძოლა ცხოვრების ცუდ პირობებთან, რომელნიც ალკოგოლიზმს ჰბადავენ, ვითარდებოდენ მხარი-მხარ, ერთიმეორის გვერდით, და სრულიათ შეთანხმებული იყოს ალკოგოლის ხმარების განწესრიგების და შემცირების საქმესთან. ეს კი შესაძლებელია მხოლოთ მაშინ, როცა **ალკოგოლის გაყიდვა და ალკოგოლიზმთან ბრძოლის საქმე თავმოყრილია ერთი და ამავე ხელმძღვანელების,—სიფხიზლის საზოგადოებათა ხელში.** საქმის ამრიგათ მოწყობა იმდენათ ცხადია, რომ სპირტეული სასმელების გაყიდვის გადაცემა ხაზინისგან სიფხიზლის საზოგადოების ხელში, ჩვენთვის სადღესხვალიო საქმეა და ჩვენი დღევანდელი მოვალეობაა მოვუმზადოთ ნიადაგი ამ მოსალოდნელ რეფორმას. ამიტომ საჭიროა დაარსდეს რაც შეიძლება მომეტებული რიცხვი სიფხიზლის საზოგადოებათა. მაგრამ თუ ჩვენ გვინდა, რომ ეს საზოგადოებები არ ემსგავსებოდნენ იმ მკვდრათ დაბადებულ

ბავშვებს, როგორისაც დღეს არსებული სიფხიზლის მზრუნველი საზოგადოებებია, საჭიროა გამოვარკვიოთ, რაგვარი უნდა იყოს ამიცანები, პროგრამა და ორგანიზაცია საზოგადოებათა, რომ მათმა მოქმედებამ ნაყოფი გამოიღოს. მთვრალობა, როგორც ჩვენ დავინახეთ არის მისწრაფება დავიხშოთ სასმელთ გრძნობა ცხოვრებით უკმაყოფილებისა, რასაც იწვევს მისი არა სასურველი მოწყობილობა. ცხოვრების სინაკლულის უმთავრეს წყაროს და სოციალურ წესწყობილების ბნელ მხარეებს შეადგენს ეგოისტური მარტოხელობა და ადამიანთა შორის განცალკევება. ადამიანი მძლავრია, როცა თვისს მსგავსთან არის დაკავშირებული. არაფერი ისე არ აცხოველებს ადამიანს და მხნეობას არ ჰგვრის, არაფერი ისე ხალისიან გუნებაზე არ აყენებს, როგორც თვისს მსგავს ადამიანებთან ერთობა, და მეორე მხრით, არაფერი ისე არ სტანჯავს ადამიანის სულს, არაფერი არ ჰბადებს მასში ისეთ სევდიანობას, დალონებას და გულგატეხილობას, ალკოგოლიზმის ამ ერთგულ მოსამსახურეებს, როგორც გრძნობა მარტოხელობის და განდეგილობისა. მისვლა-მოსვლა, ერთობა, ურთიერთშორის დახმარება, — აი ეს უნდა ეწეროს ამიტომ სიფხიზლის საზოგადოების სამოქმედო დროშაზე. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანის ნება ემორჩილება მის გონებას, გრძნობას და გარეშე პირობებს. გონებრივი ინტერესების მხრით **ერთობა ადამიანთა შორის უნდა გამოიხატებოდეს განათლების საქმეში ერთი-მეორის დახმარებაში, ცოდნის მოძეტებულ გაძდაბეურებაში. საზოგადოებრივი გრძნობის აღზრდა უნდა შეადგენდეს ხელოვნების მიზანს და ამოცანას; ინსებობის პირობების გაუმჯობესება უნდა სრულდებოდეს შრომის დარგში ურთიერთდამხმარებელ საზოგადოებების ორგანიზაციებით.** ერთობის ამ სამი ფორმის მიხედვით, სიფხიზლის საზოგადოებებს, გარდა თვისს პირდა-

პირი მოვალეობისა—**უკვე გაგრცელებულ ალკოგოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა,**—წინ უძევსთ სამი დიადი კულტურული ამიცანა, რომელთა მიზანია მოუსპოს ალკოგოლიზმის განვითარების ნიადაგი და აღმოფხვრას იგი. პირველი ამიცანა **მდგომარეობს გაგრცელება ცოდნისა ბიბლიოთეკა-სამკითხველოების, სხვადასხვა სკოლების, საკითხვების, ლექციების, ადგილგასაგებ სისტემატიური კურსების კითხვა-ცოდნის სხვადასხვა დარგებიდან, გამართვა სამეცნიერო ხელსაწყობების საწყობებისა, გამოცემა ალფ-ფასიან ძვირფასი ენით დაწერილ წიგნაკების და სახელმძღვანელოების და სხ. მისთ.** მეორე ამიცანაა ხელოვნების პოპულარიზაცია ალფ-ფასიან თეატრების, კონცერტების, სამხატვრო გამოფენების, გამართვა, მუსიკალურ-დრამატიულ წრეების დაარსება, ალფ-ფასიანი გამოცემა საუკეთესო ხელოვნურ ნაწარმოებთა და გადადება საუკეთესო მხატვრობის მიერ დახატულ სურათების და ს. **მისთ.** მესამე ამიცანას შეადგენს დახმარება ეროვნულად კოოპერატიულ დაწყებულების დაარსების და განვითარების საქმეში, **რომლებსაც მიზნად ხალხის ეკონომიურად წინწაწევა აქვს;** ამათ ეკუთვნიან: არტელების, შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობების, ურთიერთდამხმარებელ კასების, მხმარებელ საზოგადოებების, ალფ-ფასიან საზოგადო საჩაიების და სასადილოების და სხ. მისთ. დაარსება განა საჭიროა კიდევ ლაპარაკი, **რომ ყოველ საზოგადოებრივ** მოქმედების ამ სამგვარ მიმართულებაში **დასავლეთ ევროპამ უზომოთ უკან ჩამოგვტოვა ჩვენ?..**

კარგი ხანია, რაც ინგლისის უმაღლეს საზოგადოების კლასებში დაიბადა მისწრაფება **დაიხსნას** დაბალ ხალხი უვიცობისა, გარყვნილობის **და** მთვრალობისაგან **და** აღამაღლონ იგი **კულტურულად** და ზნეობრივად. ამ მიმართულების **შედეგია, რომ** დღეს **განსაკუთრებით** ინგლისში ვხედავთ მთელ რიგს **უზარმაზარ** ფილანტროპი-

ულ ორგანიზაციებისას, როგორიცაა, მაგ.: „სახალხო სასახლე“, „საუნივერსიტეტო ახალშენები“ ლონდონში, „სახალხო უნივერსიტეტები ინგლისის მრავალ ქალაქებში, და ბოლოს, „ჯარი შველისა“ ღენერალ ბუტსისა. დაწვრილებით ამ მეტათ საინტერესო დაწესებულებების გასაცნობათ, მკითხველს მიუთითებთ პროფ. იანჟულის წიგნზე და აქ კი შევნიშნავთ, რომ ინგლისში ფართო საზოგადოებრივ-ფილანტროპიულ მოქმედების გვერდით, ჩვენ ვხვდებით არა ნაკლებ ფართოთ განვითარებულ მოქმედებას მუშა ხალხისას. ინგლისელ მუშების უმეტესობა შეერთებულია ვეებერთელა ტრედ-უნიონებად“, ანუ კავშირებად, რომელთაც ათი და ასიათასობით ჰყავთ წევრები: მცირე შეტანილს ფულში კავშირის წევრი ბევრნაირ დახმარებას ღებულობს იქიდგან. კავშირები იცავენ თავიანთი წევრების უფლებებს, როცა მათ თანხის პატრონ—ოღებთან შეტაკება მოუხდებათ; ისინი უზრუნველჰყოფენ წევრების ოჯახობას უბედურ შემთხვევების და უმუშავრობის დროს; ისინი ჰმართვენ კლუბებს, რომლებიც გონივრულად და სასიამოვნოთ ატარებინებს მუშაობისაგან თავისუფალ დროს; ისინი ჰმართვენ ყველასათვის ხელმისაწდომ კურსებს ცოდნის სხვადასხვა დარგებში, სადაც თითეულ მუშას შეუძლია განავითაროს თვისი ცოდნა.

ინგლისზე უფრო ჩქარის ნაბიჯით მიდის ხალხის განათლების საქმე გერმანიაში. მუშების უმაღლესი განვითაოების წყალობაა, რომ გერმანიაში ასე საუცხოოთ განვითარდა მრეწველობა ამ უკანასკნელ ხანებში. გერმანიის საქონელმა გამოაძეკა ინგლისის საქონელი თავისს ბაზრებიდანაც კი, მაგ. ინდოეთიდან. 1900 წლის გამოფენამ მწუხარებით დაარწმუნა საფრინგეთი, რომ გერმანელები ედავებიან მათ პირველობას წარმოების იმგვარ დარგებშიდაც კი, სადაც ისინი შეჩვეულნი იყვნენ უკო-

ნკურენციო მეფობას. მასთან ერთათ ემიგრაცია (გადასახლება) გერმანიიდან მკვიდრის თანისთან მატების დროს, სულ უფრო და უფრო კლებულობს, რაც მაჩვენებელია ხალხის კეთილდღეობის ზრდისა და კმაყოფილების. ხალხის კეთილდღეობის და კულტურის ზრდასთან ერთათ გერმანიაში, როგორც ინგლისშიაც, ძლიერ კლებულობს მაგარი სასმელების ხმარება. რუსეთში კი იმ შორეული მომავლის ლოდინში, როცა ჩვენც გველირსება განხორციელება ამგვარ ფართო რეფორმებისა, უნდა ვისარგებლოთ მთავრობის მფარველობით სიფხიზლის საზოგადოებებისა, და შევუდგეთ იმ კულტურული მუშაობის შესრულებას, რაკ ნებადართულია ამ საზოგადოებათა წესდებებით. ეჭვი არ არის, რომ ამ ვიწრო საზღვრებშიდაც ბევრის გაკეთება შეიძლება. მე არ ვკისრულობ მთლიანი სისტემატიური გეგმა დაგიხატოთ სიფხიზლის საზოგადოებათა და მიგითითებთ მხოლოდ იმათი მოწყობის ზოგიერთ პირობებზე, რომელნიც ჩემის აზრით არსებითად საჭირონი არიან ამ საზოგადოებათა წინმსვლელობისათვის.

დავიწყებ წევრად მიღებიდან. ჩვეულებრივად ამ საზოგადოებაში წევრად ჩამწერს აღთქმას აღებინებენ, რომ იგი მაგარ სასმელებს არ დაჰლევს. „მოითმინე თითონ და ნუ შეეპატიჟები სხვებს“,—ასე გამოსთქვამს ექიმი ალექსეევი ამ მოვალეობებს. აღთქმით მოთმინებაზე დამყარებული საზოგადოებანი მე სილაზე აშენებულ სახლად მიმაჩნია; მაგრამ ის კიდე ცოტაა, რომ ისინი მტკიცენი არ არიან, ისინი კეთილ გავლენის მაგიერ ადვილათ იქონიებენ გამხრწნელ გავლენას საზოგადოებრივ ზნეობაზე. უპირველეს ყოვლისა უნდა გავიგოთ ვისთვის არსდება სიფხიზლის საზოგადოება? სუსტ, ღვინოს მიჩვეულ ადამიანებისათვის. საზოგადოებამ უნდა გაუადვილოს მათ ცხოვრება, დაეხმაროს მათ, გააძლიეროს მათი ხასიათი,

შეეწიონ მათ მაცთურობის წინააღმდეგ ბრძოლაში, გარდაქმნან ისინი. ნამდვილათ კი რას აკეთებს საზოგადოება? მას გვერდი შეუვლია ამგვარ მოქმედებისათვის, საქმე ბოლოდან დაუწყია და თხოულობს ლოთისაგან, რომ იგი ფხიზლად გადიქცეს, სუსტისაგან ძალას ითხოვს. ვისაც ცოტათი მაინც ეჭვი აქვს თავის თავის და თვისს სიტყვას პატივს სცემს, არ მისცემს ასეთ აღთქმას ვინც ამ აღთქმას შეასრულებს, მას დიდი ბრძოლა დასჭირდება თავის თავთან, და თუ ვინმემ აღთქმა მისცა და ვერ შეასრულა, შეიძლება სასოწარკვეთილებას მიეცეს, თავის თავი განდეგილად მიიჩნიოს და თავის ძალ-ღონის იმედ-დაკარგული წინანდელზე უფრო დაიწყებს ლოთობას. ნუ თუ წარმატებით შეასრულებს თავის მოვალეობას ისეთი საზოგადოება; რომელიც ზოგს ხელს ჰკრავს, ზოგს გააუბედურებს და ზოგს სასოწარკვეთილებაში ჩააგდებს? მხოლოდ სიყვარულით და ადამიანთა შორის საქმიანი მუშაობით შეიძლება მოყვასმა დაივიწყოს თავისი პირადული ვნებანი და მხოლოდ ასეთ თავგანწირულებას შეუძლია წვალებისა და ბრძოლის მაგიერ ბედნიერება და კმაყოფილება მოუტანოს ადამიანს. ასე, თუ ბოროტებას თვით ლოთობაში არ უძევს საფუძველი, თუ იგი ადამიანის მიერ თვისი კეთილდღეობის უცოდინრობაა, თუ ადამიანმა არ იცის უპირატესობა ფხიზლის და ჭკვიანური ცხოვრების და მისი უკეთ მოწყობისა,—მაშ რა უნდა მისცეს ამგვარ საზოგადოების წევრს მოთმინების აღთქმამ? რადგან ასეთი ბერული ცხოვრება დაძალება იქნება თავის თავისა, იგი აღკრძალული ხილის მსგავსად დანაშაულობას ჩაადენინებს კაცს. და თუ ეს არ მოხდა, თუ საზოგადოების წევრმა პირწმინდათ შეასრულა აღთქმა, მაშინ მის მიერ ატანილი ბრძოლა დაღს დააჩნევს მას, და როგორც ეს ხშირათ ხდება ფანატიკოს ასკეტთა შორის, შეჰქმნის მას უხეშ არსებად, რომელიც

ზიზღით დაუწყებს ყურებას უმცროს ძმებს, ან კიდე ფარისევლურ მოქცევით თავს მოაბეზრებენ ადამიანს. ამიტომ შექმნა სიფხიზლის საზოგადოებათა, რომელშიაც სარჩულათ ასკეტური ცხოვრება ექნებათ სიყვარულისა და ერთობის მაგიერ, ამგვარი საზოგადოებანი შეიტანენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სეკტანტურ განცალკევებას და ზიზღს. ვინც საზოგადოებაში ეწერება, ამით იგი ხმამაღლა აღიარებს ლოთობის მავნებლობას და მზათაა ის წინააღმდეგ იბრძოლოს. რამდენათაც იგი მოთმინების გზას დაადგება, ეს მხოლოდ მისი სინიდისის საქმეა, რაც ჩვენს მსჯავრს არ ექვემდებარება. მოთმინებას წვალება და დაძალება არ უნდა სდევდეს თან; იგი უნდა ყოს თავისუფალი და ბუნებრივი. ადამიანები უნდა ცდილობდნენ ისე გარდაქმნან ცხოვრება, რომ ლოთები აღარ იყვნენ საჭირონი და ამგვარათ ისინი თითონ მოისპობიან. ამისათვის უწინარეს ყოვლისა არავითარი ფიცი და აღთქმა არაა საჭირო.

როგორ საზოგადოებრივ ელემენტებისაგან უნდა შესდგებოდეს სიფხიზლის საზოგადოებანი და როგორი გარეგანი ფორმა უნდა მიიღონ იმათ? რადგან ალკოგოლი მთელი საზოგადოების მტერია, ამისათვის მის წინააღმდეგ მებრძოლი დაწესებულებაში ყველა წოდება უნდა იღებდეს მონაწილეობას, მისთვის არ უნდა არსებობდეს არც ელინი, არც იუდაელი, არც თავადი, არც გლეხი. თითეულმა წევრმა რომ მახლობელი მონაწილეობა მიიღოს შიგ, საზოგადოებამ რაც შეიძლება განსაზღვროს თვისი მოქმედების ასპარეზი. ბზგ., რუსეთისათვის ერთი სოფლით თუ არა, ერთი სამრევლოთი მაინც უნდა განისაზღვრებოდეს მისი მოქმედება. წევრები, რომელნიც სიშორისა გამო ვერ ივლიან კრებებზე და მაშასადამე ვერც მის მოქმედებაში მიიღებენ ცოცხალ მონაწილეობას,—ასეთი წევრები მხოლოდ სახელს გაუტეხენ

საზოგადოებას. ამგვარად ასეთ პატარპატარა საზოგადოებათა ჯგუფებს შეუძლიათ მოიყარონ თავი დიდრონ ჯგუფებად, რომელზედაც დაესწრებიან ცალკე საზოგადოებების წარმომადგენლები. თუმცა ასეთ წვრილმან ჯგუფებს აღმასრულებელი ორგანოს უფლებები არ აქვთ, მაგრამ ადგილობრივ დიდრონ ორგანოებთან ხელიხელ ჩაკიდებულნი მუშაობენ და აქვთ ზნეობრივი გავლენა თავიანთ უბნის მკვიდრზე,—სიფხიზლის საზოგადოებებს შეუძლიათ იქონიონ ცოცხალი კეთილი გავლენა ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ჩვენ ვიცით რაღაცარი უსამართლოებანი ხდება სასოფლო ყრილობებზე მიწების გაყოფის დროს და სოფლის მსაჯულებისაგან საქმეების გარჩევის დროს; და ყოველივე აქ ხელის შემწყობი არაყია. ამიტომ სიფხიზლის საზოგადოებებს სოფლებში შეეძლო ამგვარ უსამართლოების განდევნა, დაცვა მცხოვრებლების მთავრობის ძალმომრეობის და ბოროტმოქმედებისაგან, შებრძოლება ჩარჩობისა; მათვე შეეძლო მოსამართლის და ვექილის როლი აესრულებიათ და დაეცვათ სოფლის უძლურნი და დაბეჩავებულნი; აღეზარდათ ხალხი უფლების და სამართლიანობის შესაგნებლად. შემდეგ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვაში, რასაც მჭიდრო კავშირი აქვს ალკოგოლიზმის განვითარებასთან,—სიფხიზლის საზოგადოების შეუძლოთ თავიანთ ხელში ჩაეგდო სწავლა-განათლების საქმეც და აგრეთვე საქველმოქმედო. ამ ნაწილში ისინი იზრუნებდენ თავდაპირველად ცალკე პირების და ოჯახების საჭიროებებზე და შემდეგ გადვიდოდენ შიმშილობის დროს სახალხო დახმარებაზე. ბოლოს ამათვე შეეძლოთ თავს ედვათ სოფლების სანიტარული მდგომარეობის მეთვალყურეობა და ექიმების დახმარება სხვადასხვა ჭირის და სენის გავრცელების დროს.

ამდენხანს ჩვენ ვლაპარაკობდით საზოგადოების სა-

ზოგადო პროგრამაზე, ახლა კი ორიოდე სიტყვას მის შინაგან ორგანიზაციებზედაც ვიტყვით. თუმცა ამგვარ საზოგადოებების დაარსება და ხელმძღვანელობა თავდაპირველათ მაინც უნდა ეკუთვნოდეს ადგილობრივ ინტელიგენციას: მღვდლებს, მასწავლებლებს და ექიმებს, მაგრამ ისინი არ უნდა ესწრაფოდენ გლეხებზე მზრუნველობის გამოჩენას; პირიქით, ესენი უნდა ცდილობდნენ გამოიწვიონ მათში თვითმოქმედი ძალა და ამაში მონაწილეობა მიაღებინონ სოფლის ყველა ცხოველ ძალებს და განსაკუთრებით გლეხების ახალგაზრდობას, როგორც უფრო განვითარებულთ და საქმის მოყვარულებს. ამგვარ მოქმედი წევრების ამორჩევაში დიდი სამსახური შეუძლიათ გაუწიონ საზოგადოების მასწავლებლებს. ჩვენ ვიცით, რომ სოფლის სკოლებში ცოტანი არ ათავებენ ნიჭით აღვსილნი და განვითარებით დაწინაურებულნი ახალგაზრდები. რა ბედი მოელისთ ცხოვრებაში გლეხების ამ საუკეთესო ძალებს? თავიანთ თავზე დამყარება, ზნეობრივ დახმარების დაკარგვა და თვითგანვითარების გზის მოსპობა; იმათი უმეტესი ნაწილი იღუპება, წვრილმანდება სოფლის ცხოვრების ულმობელ პირობებში. ზოგი მოხერხებული მათგანი კი ჩარჩობას ჰკიდებს ხელს და წუწნის სოფლის საწყალ ხალხს. ზოგიც კიდე ქალაქების ცუდ პირობებში ირყვნებიან და ავსებენ ციხეებსა და კატორგებს. სიფხიზლის საზოგადოებათა დიადი მოვალეობაა—შეუნახოს სახალხო სკოლებს უნიჭიერესი მოწაფეები, დაეხმაროს იმათ შემდეგ განვითარებას და შექმნას თავიანთ ხელმძღვანელობის ქვეშ იმათგან საზოგადოებრივი სოფლის მუშაკნი, სიფხიზლის მებრძოლნი. ამგვარ წევრების თანამშრომლების დახმარება მით უფრო ძვირფასი არის, რომ პირდაპირი გავლენა სოფლის ინტელიგენციას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე არ ეხერხება ერთი იმიტომ, რომ ხალხი ეჭვის თვალით უყურებს „ბა-

ტონ ინტელიგენტს“ და მეორეს მხრით ისინი არ იღებენ მონაწილეობას სოფლის თვითმართველობაში.

ჩამოვთვალოთ რამოდენიმე მახლობელი პრაქტიკული ამი·ჯანები სიფხიზლის საზოგადოებისა. რადგან სიფხიზლის საზოგადოებანი იძულებულნი არიან იმუშაონ ხაზინის მონოპოლიის გვერდით, ამისათვის იმათ ჯერჯერობით უნდა შეავსონ სასმელების ორგანიზაციის საქმის ნაკლი. როცა მთავრობა არაყის სავაჭრო დუქნებს სპობდა და აწესებდა თავისას, მას უმთავრესათ სახეში ჰქონდა მოესპო საზოგადოებრივი ხასიათი მთვრალობისა, საჯარო მაცთურობა განედეკნა. მაგრამ მოსალოდნელზე უარესი შედეგები მიიღეს. სადაც კი სახაზინო მონოპოლიაა შემოღებული, ყოველი მხრიდან საჩივრები ისმის, რომ მთვრალობამ ქუჩური ხასიათი მიიღოვო, რადგან მსმელებს მოუსპეს დუქნებში ჩუმათ სმა. იმათ ნაყიდი არაყი ქუჩაში გამოაქვთ და სმენ დუქნების წინ, ბაზრებზე და ბაღებში. მაცდურობამ იმატა, ჩხუბი და დავიდარაბები იზრდება. მაგრამ რაც უფრო უარესია—სახაზინო დუქნების გარშემო მსმელებმა გაიჩინეს ჩუმადი თავშესაფარები, რომლების პატრონები ხალისით უთმობენ თავიანთ ბინებს საყლეწავათ (სასმელად). სტუმართ მოყვარე პატრონები უმასპინძლდებიან მათ არაყით, რომელშიაც იგირავებენ მსმელებისგან ტანისამოსს და ნივთებს. ამგვარათ ასეთი ბინები ხდებიან არალეგალურ ლომბარდებად (ტანისამოსის და ნივთეიის დასაგირავებელ დაწესებულებად). ბინის პატრონებივე ჰქურდავენ სტუმრებს და ჰყრიან იმათ ქუჩებში თავიანთ ბინების მოშორებით. სამიკიტნოებს რომ სპობდენ, დაავიწყდათ, რომ იგი ხალხისათვის სასმელი ადგილი მარტო როდი იყო, არამედ თავშესაფრებიც. როცა საზოგადოების წარჩინებულ კლასებს—თავადაზნაურობას და ვაჭრებს ნება ჰქონდათ დაეარსებიათ კლუბები, ამ უფლებას მოკლებული დაბალი ხალხის

კლუბი სამიკიტნო იყო. სამიკიტნოებსა და ტრაქტირებში მოსიარულეთა შორის, შეიძლება შევხვდეთ, იმდენს მთვრალებს როდი, რამდენსაც ზომიერათ მსმელებს, რომლებისათვისაც ერთი ჭიქა ლუდი ანუ არაყი იქ შესვლის მიზანი როდი იყო, არამედ დამატება მეგობრულ მუსაიფისათვის. გაუქმებულ სამიკიტნოს მაგიერ შექმნა ისეთი დაწესებულების, სადაც შეეძლებათ თავის მოყრა მხიარულათ მუსაიფისა და საქმის გამო ნაცნობებს, სადაც შეეძლოთ დაახლოვება და გართობა თანაბრათ და ოჯახურ დავიდარაბისგან მოუსვენებიათ მეოჯახეებს,—ყოველივე ეს შეადგენს ერთ სამადლობელ საქმეს სიფხიზლის საზოგადოების მოქმედებაში. რადგან კლუბები არ მოიძებნება, ასეთ დაწესებულებად შეიძლებოდა ყოფილიყო საჩაიები, სადაც იქნება უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მთავრობა უარს არ ეტყვის ნივთიერათ დაეხმაროს სიფხიზლის საზოგადოებებს საჩაიების გაკეთებაში, რადგან ცხოვრების პრაქტიკამ ასე ნათლათ დაგვიმტკიცა სახაზინო დუქნების უქონლობა მთვრალობის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუ ამას არ დაუმატეთ საჩაიე და კლუბები.

მეორე პრაქტიკული საქმე სიფხიზლის საზოგადოებისა არის სახალხო თეატრის მოწყობა. თუ ქალაქების მახლობელ ადგილებში საზოგადოება ამ საქმისათვის დაიხმარებს ხელობით მსახიობებს, პროვინციებში იმათი მაგიერობა სცენის მოყვარეებმა უნდა გასწიონ. ჩვენს დროში ერთი მაზრის ქალაქიც არ არის, რომ იქ არ არსებობდეს სცენის მოყვარეთა წრეები, რომელნიც ხანგამოშვებით არ ჰმართავდნენ სპექტაკლებს ანუ სალიტერატურო და სამუსიკო საღამოებს. პროვინციის სულის შემხუთავ პირობებში, სადაც ბანქოს თამაშის, სმის და ჭორიკანობის მეტი თავის გასართობი არაფერია,—თეატრით გატაცება უეჭველათ, საყურველი მოვლენაა. მა-

გრამ კიდე უფრო თანაგრძნობის ღირსი იქნებოდა თეატრით გატაცება, რომ ჩვენი სცენის მოყვარეთა ხელში ეს თეატრი გადაქცეულიყო ხალხის გასანათლებელ ძლიერ იარაღად. და მერე იცით რა ადვილათ და უბრალოთ შეიძლება ამის განხორციელება! სცენის მოყვარეთა წრე დაისწავლის რამდენიმე გულსმოდგინეთ ამორჩეულ სახალხო სცენისათვის შესაფერ პიესებს, მორთავს მას საჭირო დეკორაციებით და სხ. ნივთებით, და ადგილობრივ სიფხიზლის საზოგადოების მიწვევით, შეუდგება მოგზაურობას მაზრაში და შეახვედრებს წარმოდგენებს უქმეებს, იარმუკის და ბაზრობის დღეებში. სიფხიზლის საზოგადოება სპეკტაკლებისათვის შოულობს სახლს და იღებს არტისტებს. სამგზავრო და სპეკტაკლის გასამართავი ხარჯები გადახდება უფრო შემძლე მაყურებლებს. ზაფხულით მინდორშიაც შეიძლება თამაში, ზამთრობით კი საქმე ბინის შესახებ უფრო ძნელდება. თუ მაგ., წარმოდგენა ფაბრიკასა და ქარხანაში არ ხდება, სალაც თამამათ შეიძლება სახელოსნოები თეატრათ აქციოთ, იმ შემთხვევაში კერძო ბინა, უნდა იშოვნონ, და ანუ სკოლის შენობა ითხოვონ. თეატრი ბევრ რასმე მისცემს სოფელს, მაგრამ უხვათ იქნებიან დაჯილდოებულნი არტისტებიც თავიანთ შრომისათვის. გარდა მრავალნაირ შთაბეჭდილებებისა, რასაც მიიღებს დაღვრემილი სცენის მოყვარე პროვინციელი აქტიორი მოგზაურობის დროს, თვით ხალხისათვის თამაშიც მისცემს მას უმაღლეს ზნეობრივ კმაყოფილებას; ეს იმიტომ, რომ თუ მსახიობის კმაყოფილება მისი წარჩინებულათ თამაშია, ძნელათ შეიძლება იშოვოთ უფრო კმაყოფილი მაყურებელი, როგორიცაა ჩვენი გლეხი, რომელიც ნაკლებათაა გარყვნილი და რომელსაც ქუჩის მასხარას მეტი არა უნახავს რა თავის სიცოცხლეში. სოფლელისათვის თეატრი მთელი ცხოვრებაა, ნამდვილი მოჩვენებაა, და განა შეიძლება იმაზედ უკე-

თესი კმაყოფილება, როცა აღვიძებ ადამიანს სულიერ ძალისგან და გადაუშლი მას თვალწინ ახალ, მისმიერ უხილავ ქვეყნიერების სიმშვენიერეს, მისთვის უცნობ იდეებს და გრძნობებს, ნახო მისი გაოცებული, აღტყინებული თვალები, ყური დაუგდო მის ხმამაღალ და გულ-უბრყვილო აღტაცებებს! სადაც სახალხო თეატრის მოწყობა შეიძლება განხორციელდეს თვით საზოგადოების ძალებით, საჭირო აღარ არის შორიდან ტრუპის მოწვევა; წარმოდგენებში მონაწილეობის მიღება შეუძლია განვითარებულ და ნიჭიერ გლეხების შვილებს. თუ მეზობლათ ორი საზოგადოება არის სიფხიზლის, შრომის შესამოკლებლად შეიძლებოდა, სახალხო პიესების რეპერტუარის გაყოფა ცალ-ცალკე ტრუპებად, ისე რომ იმათ ერთი მეორეს უნდა შეუცვალონ წარმოდგენები.

რიცა სიფხიზლის საზოგადოებების საერთო მოქმედებაზეა ლაპარაკი, თავისთავათ აღიძვრის ეს საკითხი: გარდა იმ საერთო კრებებისა, რომლებზედაც ჩვენ ზევით გვქონდა ლაპარაკი, საჭიროა კიდე სხვა დაწესებულება, რომელიც უნდა აერთებდეს ერთი რაიონის, ანუ მაზრის საზოგადოებათა მოქმედებას? მე მგონია, რომ ასეთი დაწესებულება საჭირო არ არის, რადგან მის მაგიერობას თამამათ გასწევენ ერობები *). ეს მით უფრო ადვილია, რომ ერობათა და სიფხიზლის საზოგადოებების ამოცანა ძალიან დაახლოებულნი არიან ერთი მეორეზე და აქრიგათ ერობის მოღვაწენი ერთდაიმავე დროს სიფხიზლის საზოგადოების მოღვაწენიც იქნებიან. ამგვარი შეერთებისაგან ორთავე მხარე მოიგებს. სიფხიზლის საზოგადო-

*) ჩვენში კი, რადგან ერობები არ არის, ამ საქმის მოსაწყობად, ავტორის აზრის თანახმად, ცალკე დაწესებულებებია საჭირო.

ებებს ერობათა დახმარებით გაუადვილდებათ ცხოვრებაში თავიანთი აზრების გატარება, ერობაც თავის მხრით სარწმუნო თანამშრომლებს შეიძენდა სიფხიზლის საზოგადოების სახით. ბოლოს, განა ხალხის მეურნეობის გამქარწყლებელ ალკოგოლიზმთან ბრძოლა არ შეადგენს ერობის პირდაპირ მოვალეობას? თუ თავიანთ მრავალმხრივ მოქმედებასთან ერობებს პირდაპირ არ შეეძლებათ ბრძოლა ალკოგოლიზმის წინააღმდეგ, მით უფრო უნდა ეცადნენ ისინი სიფხიზლის საზოგადოებების დაარსებას და განვითარებას.

როცა მოსკოვის გუბერნიის ერობის ერთერთ უკანასკნელ კრებაზე აღძრეს საკითხი ალკოგოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მაშინ გუბერნიის სამკურნალო რჩევამ, სადაც გადასცეს საკითხი გასარჩევათ, იმ დასკვნაზე მივიდა, რომ ბრძოლის წარმატებისათვის საჭიროა წინდაწინ საფუძვლიანი შესწავლა იმით, თუ რამდენათაა გავრცელებული მოსკოვის გუბერნიაში ალკოგოლიზმი. მოსკოვის საერობო ფსიხიატრიულ საავათმყოფოს ვლ. ივ. იაკოვენკოს-მიერ შედგენილი პროგრამა ალკოგოლიზმის შესახებ ცნობების შესაკრებად მიღებულ იქმნა მოსკოვის ერობების ექიმების მე-14-ე თავყრილობაზე. ეს პროგრამა შეიცავს შემდეგ საკითხებს: 1) რაოდენობა გუბერნიაში ხმარებულ მაგარ სასმელებისა და მათი განაწილება ცალცალკე კუთხეებად მკვიდრის სიმჭიდროვის, ფაბრიკების, ქარხნების და ხელოსნების მიხედვით; 2) სტატისტიკა იმ პირებისა, ვინც ხმაროობს და არ ხმაროობს. მაგარ სასმელებს; 3) ალკოგოლიზმისათვის ხელის შემწყობი პირობები: საზოგადოებრივი ჩვეულებანი და ინდივიდუალურნი; 4) როგორის თვალით უყურებს ხალხი მთვრალობას, რა ზომებს მართავს იმის მოსარჩენათ და სხ. მისთ; 5) შესწავლა იმ პირების და ოჯახების შემოსავალ-გასავლისა ა), სადაც

არავინ არ სვამს, ბ), სმენ ზომიერათ, გ), მთვრალობენ ყველანი ანუ ცალკე წევრები. რაც შეეხება პრაქტიკულათ ამ პროგრამის შესრულებას, როგორც მისი ავტორმა, ისე მოსკოვის გუბერნიის ყველა სამაზრო სასანიტარო რჩევებმა ერთხმათ აღიარეს, რომ მარტო ერობის ექიმების ძალებით ამის შესრულება შეუძლებელი არისო, და რომ ამგვარი რთული შრომა შეიძლება შესრულდეს ყველა ადგილობრივ ინტელიგენტურ ძალების შეერთებით. ამაში მონაწილეობა უნდა მიიღონ: მღვდლებმა, მასწავლებლებმა, მემამულეებმა, ერობის ექიმების ხელმძღვანელობით. ასეთი აღიარება შეერთებული შრომის საჭიროების შესახებ იმის საბუთია, რომ საჭიროა სიფხიზლის საზოგადოებების დაარსება, რომლებიც წარჩინებით შეასრულებენ ასეთ პროგრამას.

გამოკვლევის გეგმა ასეთი უნდა იქნეს: შემუშავდება საოჯახო დაწვრილებითი ბარათი (კარტოჩკა), რომელშიაც იქნება კითხვები იმის შესახებ, თუ ვინ, როგორ და რამდენს სვამს ოჯახში, რა არის უმახლობელესი მიზეზები მთვრალობისა, როგორი გავლენა აქვს ალკოგოლის ხმარებას ოჯახის ეკონომიურ და ზნეობრივ მხარეზე და სხ. მისთ. ამ ბარათების შევსების შემდეგ, ისინი გადაეცემიან შესამუშავებლად ერობის ექიმს, რომელიც ადარებს და თავს უყრის ერთგვარ ცნობებს და ავსებს იმათ იმ ოჯახის წევრების ავათმყოფობის ცნობებით, რისთვისაც ექიმმა უნდა იქონიოს სოფლის ავათმყოფთა შესახებ ცნობები. ამ ცნობების შემუშავება შეიძლებოდა დეევალებიათ საგუბერნიო სასანიტარო ბიუროსათვის, ანუ გუბერნიაში ალკოგოლიზმის შესასწავლად დაარსებულ ცალკე კომისიისათვის. კომისიის შრომები უნდა იძლეოდნენ სრულს და ცხად სურათს იმისას, თუ რა გავლენა აქვს ალკოგოლს სიღარიბესა, დანაშაუ-

ლოაბსა და ავათმყოფობაზე, როგორც პირადათ, ისე მემკვიდრეობითზე.

ერობათა ხელში აღნიშნული გზა ალკოგოლიზმის შესწავლისა, რა თქმა უნდა ერთათერთი არ არის. ალკოგოლიზმის გამოკვლევა შეიძლება შეტანილ იქნას გლეხების მეურნეობის შესასწავლ სასტატისტიკო პროგრამაში, რასაც ახლა მრავალი ერობები აპირებენ. მაგრამ მთვრალობის აღნიშვნა, გარდა სასმელების ხმარების რაოდენობისა, შეუძლებელიცაა სტატისტიკურათ მოსულების გზათ გამკლელთათვის. ასეთი პირების მიერ შევსებული ცნობები შემთხვევიოი ხასიათისანი იქნებიან. ამისათვის საჭიროა ადგილობრივ მცხოვრები კაცები, რომლებმაც იციან და შეუძლიათ თვალ-ყური ადევნონ ვინ რამდენს და როგორ სვამს მაგარ სასმელებს.

ამდენხანს ჩვენ ვლაპარაკობდით, პროვინციის სიფხიზლის საზოგადოებების მოქმედებებზე. დიდრონ ქალაქებში, სადაც აუარებელი ფაბრიკები და ქარხნებია აუარებელის მუშა ხალხით, საზოგადოებამ იქ ცოტათი უნდა შესცვალოს მოქმედების პროგრამა. რადგან ქალაქის მუშების მომეტებული ნაწილი არ არის ერთ ალაგას მუდმივი მცხოვრები, იგი მუდმ მოძრავია, ამისათვის საჭიროა, რომ საზოგადოებამ იმოქმედოს არა თითეულ პიროვნებაზე, არამედ დააარსოს ისეთი დაწესებულებანი, რომლის გავლენით და დახმარებით მოსულმა მუშა ხალხმა შეიძლოს ბრძოლა გაუწიოს მთვრალობის მაცთურობას და გარყვნილებას.

ალკოგოლის მოთხოვნილება იბადება ფაბრიკის მუშა ხალხში უმთავრესათ სამუშევრის სიმძიმის, იმის არა თანაბარ განაწილების და ერთგვაროობის, მუშაობის დროს განცალკევების და ბოლოს იმით, რომ იმათ არა აქვთ ადგილი და არ იციან საზოგადოთ თავისუფალ დღეებში დროს გასატარებლად. ამ შემთხვევებში მომეტებულ

სარგებლობას მოუტანდა მათ შემდეგი დაწესებულებანი: 1) **საკვირაო სკოლები**, რომელთაც სულ ახალ ქვეყნიერებაში გადაჰყავთ მშრომელი ხალხი, ახალ შთაბეჭდილებებს ძენენ იმათ; 2) **მუშების კლუბები**, რომლების შემწეობით ყველა ფხიზელი ელემენტი და განსაკუთრებით ვინც მარტოხელებია იკმაყოფილებენ სულიერ ერთობის მოთხოვნილებებს; 3) **ბიბლიოთეკა-საკითხველოები, თეატრები და სხვა ჭკვიანური გასართობები**, რომლებიც ანვითარებენ მუშას და რომლებიც სხვადასხვა შთაბეჭდილებათა შეცვლა-შამოცვლით, საღ დასვენებას ანიჭებენ მათ; 4) **საშროფესიანალო კურსები** სხვადასხვა პრაქტიკულად გამოსადეგ ცოდნებისა, რომელნიც შეძლებას აძლევენ მუშას განავითაროს თავისი სპეციალური ხელობანი. ამ დაწესებულებების გასაკეთებელი და მოსაწყობი ხარჯები, გარდა საზოგადოებრივ საქველმოქმედო საზოგადოებებისა, უნდა მიიღონ თავიანთ თავზე ფაბრიკების პატრონებმა, რომლებიც პირდაპირ დაინტერესებულნი არიან, რომ მუშებში მთვრალობა შემცირდეს და მოისპოს. მართლაც, მთვრალობა თუ ანადგურებს მუშებს, არა ნაკლებ ზარალს აძლევს თვით მეფაბრიკეებს. გაცთენა, რომელიც არღვევს მწყობრ მუშაობას ფაბრიკაში და, რომელიც ხელს უშლის პირობის ნათლათ შესრულებას, უბედური შემთხვევები მუშებში, რასაც, გარდა მუშისა, მექარხნეც ზარალობს, უმთავრესათ კი—ძვირფასი სამუშაო მასალის წახდენა, როცა მუშის ხელი მძლავრი არაა და თავიც გარეტიანებულია, —ყოველივე ესენი დიდ ზარალს ადებენ წარმოებას. ქარხნის ადმინისტრაციას რომ მუშებში ალკოგოლიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გადაედო ფული, ეს ხარჯი ქველმოქმედებაში ჩასარიცხი როდი იქნებოდა, არამედ შეირიცხებოდა წარმოების გასაუმჯობესებელ ხარჯებში. ამრიგათ იგი მომეტებულად სასარგებლო იქნებოდა მწა-

რმოებლისთვის. უმთავრესი მეცადინეობა პატრონისა, რომელმაც შეიგნო ყოველივე ზარალი, რაც მისთვის მუშების მთვრალობას მოაქვს, და რომელსაც ჰსურს ამ ბოროტების წინააღმდეგ გალაშქრება, ის იქნება, რომ იგი ეცადოს თვისი მუშების ცხოვრების პირობების გაუმჯობესობას. საუკეთესო საშუალებები ამისა არის: 1) **შემოკლება საძუშაო დღისა**, 2) **აგება იაფ-ფასიან საცხოვრებელ ბინებისა** და 3) **გაუმჯობესება და მოწესრიგება მუშების სასმელ-საჭმელისა.** სამუშაო დღის შემოკლება კანონით დაწესებულ $11^1/_2$ საათიდან ათამდე და რვამდეც, როგორც ეს ზოგიერთ წარმოებებში მიღებულია დასავლეთ ევროპაში,—**სრულიად არ ამცირებს, რაგორც ეს ევროპისაგე მაგალითმა გვიჩვენა, დღიური მუშაობის მაწარმოებლობას რაოდენობას. რაგორც შეგე დღეს მეცნიერულადაც დამტკიცებულია, მუშა გაორკეცებულის სიხალასით და მხნეობით** მუშაობს, **რაცა მას მოშეტებულ დასასვენებელ და თავის გასაგითარებელ დროს აძლევენ.** კაპეიკი იხარჯება და მანათი კი ინახება; მუშა, რომელიც თავისუფალ დროს ცუდათ ატარებდა, დღეს შეგნებულათ ატარებს და აფასებს ამ თავისუფალ დროს. რაც შეეხება ბინების გაკეთებას ეს საჭიროა იმიტომ, რომ იგი ჰქმნის ოჯახურ, დამშვიდებულ ცხოვრებას და ააცდენს მუშას ტრაქტირებში ატაროს დრო და იქაურ მაცთურობას მოაშოროს. მუშების სასმელ-საჭმელის გაუმჯობესება ყველაზე უკეთ იაფ-ფასიან სასადილოების და საჩაიების მოწყობით შეიძლება. მხოლოდ ხორციან ცხელ საჭმელს შეუძლია ალკოგოლის მაგივრობა გაუწიოს მუშას მძიმე სავალო სამუშევრების დროს. უფრო სუსტი, მაგრამ უფრო ხელმისაწდომი ალკოგოლის მაგიერ მუშისთვის არის ჩაი. გარდა აღმძვრელ ზედმოქმედებისა, გარდა ამ სასმელის ტემპერატურისა, რაც ჰმატებს ორგანიზმს სითბოს, მისი მომეტებული ხმა-

რება რეცხავს ადამიანის ორგანიზმში არა საჭირო ელემენტებს, აცხოველებს მას და უმზადებს მას ნიადაგს უკეთ იმუშაოს. ცხელი საჭმელი და ჩაი დასვენების დროს, უსათუოთ, ჰმატებს მუშას სამუშაო ძალას, როგორც თვისებით, ისე რაოდენობით. ამას ისიც უნდა მივუმატოთ, რომ კლუბების უქონლობის გამო, ასეთი სასადილო-საჩაიები იქნებოდნენ მუშა ხალხის ფხიზელი ელემენტებისათვის შემაერთებელი ადგილები.

მეფაბრიკის კერძო ქველმოქმედება და მზრუნველობა მუშების საჭიროებებზე, რა თქმა უნდა, არ ეწინააღმდეგება მუშების თვითმოქმედებას და თანასნობას: პირიქით, პირველთა მოქმედებით მეორენი უნდა ხალისდებოდნენ. ასეთი თვითმოქმედების ბრწყინვალე და მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს ინგლისის სამეზობლო კავშირები, რასაც გვაცნობს პროფ. იანჟული.

სიფხიზლის საზოგადოება მთვრალობის პირობების მოსპობასთან ერთათ, განზე არ უნდა ვაუდგეს უკვე განვითარებულ ბოროტებას. თუ ლოთ კაცს წაატყდება, მან უნდა იზრუნოს მოათავსოს იგი სპეციალურათ ალკოგოლიკებისათვის დანიშნულ საავათმყოფოში. გარდა იმისა, რომ საავათმყოფოში მოთავსება სარგებლობას მოუტანს მას, თავის დროზე იმის მოშორებით მთვრალების წრიდან წინასწარ ვსპობთ იმ ბოროტებას, რასაც მას მოუტანს იგი; ესენი არის: ცუდი მაგალითი მის გარშემო მყოფთათვის, ოჯახის აწიოკება, ცოლ-შვილის ცემატყება, და ბოლოს, ყოველგვარი დანაშაულობანი. სანამ ალკოგოლიკებისათვის საავათმყოფოები გავრცელდებოდეს, სიფხიზლის საზოგადოებებს შეუძლიათ შექმნან პატარ-პატარა თავ-შესაფარები, სადაც დროებით შეინახვენ შფოთიან ლოთებს და დამბლად დაცემულებს. რაც შეეხება სამკურნალო საშუალებას, სიფხიზლის საზოგადოებებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ დღეს საუკეთესო სა-

შუალება ღვინისადმი მიდრეკილების სრულიად მოსასპობლად არის **გიშნაზი** (შთაგონება). ამისათვის ავათმყოფების მორჩენა შთაგონებით (პირადი ანუ მასსური) უნდა შეიქმნეს ერთ საუმჯობესო საშუალებად სიფხიზლის საზოგადოებისათვის ლოთობის მოსპობის საქმეში.

ან. კვიცარიძე.

ცხვრის ყვავილი.

ვინ არ იცის რა სენი არის ყვავილი? მას იცნობენ ყველა სოფლისა და ქალაქის მცხოვრებნი. იცნობენ იმით, რომ ამ სენით ხდება ავათ არა მარტო კაცი, არამედ საქონელიც, რომელთ შუა უფრო ხშირათ ედება ცხვარს. მას კარგათ იცნობს ყოველი მეცხვარე ჩვენის ქვეყნისა, უფრორე შირაქის მინდვრისა, სადაც ხშირათ ესტუმრება ხოლმე ისეც ყველაფრით დაჩაგრულს მწყემსს და გაუნადგურებს რაც კი ზამთარს გადურჩა, ან აჰირობდა გადარჩენას. არა ერთხელ აუტირებია ამ სენს შირაქში თუშ-ფშავ-ქართველთა მეცხვარე, რომელთა შუაც ერია ხოლმე ამ სტრიქონების დამწერიც. ხაქმე იმაშია, რომ ამ სენით ავათმყოფი ცხვარი და უცაბედათ გადარჩენილი ალარ გამოდგება საყოლათ, და თუ გადარჩა მას, მაინც მალევე სხვა სენი ერევა და

იგი ანადგურებს. მძიმე ყვავილი არა მარტო ტყავს აფუჭებს, იგი ნაყვავილარზე სულაც ჰკარგავს მატყლს, რომელიც შეადგენს პირველ სარგებელს ცხვრისას. ამ მიზეზების გამო ცხვრის ყვავილი ითხოვს ყურის მიპყრობას და საჭიროა გამოირკვას: რისგან წარმოსდგება ეს სენი და რა ზომები უნდა მიიღოს კაცმა მის ვნების (ზარალის) თავიდგან ასაცდენად.

პირველათ უნდა მტკიცეთ გვჯეროდეს, რომ ყვავილი ძრიელ გადამდები სენია: ერთი ავათმყოფი ცხვრისგან შეიძლება მთელ ფარას გადაედოს. ავათმყოფობის დროს ყვავილი არის მოდებული მთელ სხეულში: სისხლში, ხორცში და შიგნეულობაში, ასე რომ არც ერთი ასო სხეულისა არ არის, რომ ყვავილის სენი არ ჰქონდეს მოდებული. ყვავილის სენი არის უხილავი, მისი უბრალო თვალით ნახვა არ შეიძლება. იგი იმყოფება ცხვრის ორთქლშიაც, ასე რომ ავათმყოფი ცხვრის ორთქლიდამ ქარს მიაქვს აქეთიქით და მით სწამლავს ჰაერს. ეს სენი მალე და მაგრათ ეკიდება მატყლს, კედელს, მიწის ნიადაგს და კაცის ტანისამოსს. როდესაც მოწამლულ ორთქლითა ვსუნთქავთ, იგი ჩადის სხეულში და იწვევს ყვავილის ავათმყოფობას. ამ გვარათ შეურილ ყვავილს უწოდებენ „ბუნებით"-ს, თვით

სენს კი „მფრინავს“, „მოარულს“. ყველაზე საშიში არის ამ გვარად გამხდარი. თუ სენი შევიდა ტანში მემთხვევით კი არა, როგორც ჰირველში, არამედ შეიტანენ ჭრილობიდამ, მაშინ ეძახიან „ხელოვნურს“, რომელიც უფრო ადვილათ გაუვლის. მაშინ ყვავილის მუწუკები აძოსდის მხოლოთ იმ ალაგას, სადაც იქნება აცრილი.

ამ გვარათ, ყვავილიან ცხვრის მატელში, ხორცში და ტყავში იმყოფება გადამდები სენი, რომელიც შეიძლება გადაედოს სხვა საღ ცხვარსაც; ამისათვის ავათმყოფი ცხვრისა არაფერი უნდა ვინდომოთ და ყოველივე მისგან მოტანილი აუცილებლივ მიწაში ჩაიფლას, რაც შეიძლება ღრმათ.

ცხვრის ყვავილი არის ორნაირი: „მსუბუქი“, რომელიც ადვილად გაუვლის და არც ავნებს საქონელს, და „მძიმე“, რომელიც ძრიელა სტანჯავს საქონელს და როსლიდგანაც ბევრი ცხვარი იღუპება, და თუ რჩებიან კიდეც როგორმე, იგეთიღა ხდება, რომ ალარა ღირან შენახვად და მოვლად.

მსუბუქი ყვავილის ნიშნები ყველა ცხვარს უჩნდება ერთსა და იგივე რიგზე, მთელი ავათმყოფობა კი გრძელდება 16 — 21 დღემდისინ, შეურის დღიდგან. როდესაც ყვავილი მიმდინარეობს

სალათ, მაშინ მისი მსვლელობა იყოფა ოთხ რიგად (ხანად). პირველ მეოთხედ ხანაში ავადობა იჩენს თავს სიცხით. ავათმყოფი ცხვარი მოწყენილია, ძლივს მოძრაობს, სიარულში ლასლასებს, როცა დადგება—თავს ჩაჰკიდებს, სუნთქავს ჩქარ-ჩქარა, თვალები დახუჭული აქვს; ხაჭმელს არ ეტანება და არც იცოხნება; გარდა ამისა ეტყობა ხან ტანის თრთოლა (კანკალი), ხან კიდევ სიცხე, რომელიც უფრო ეტყობა ყურებზე, ტუჩზე და იღლიებში. შემდეგ თავზე ტყავი უსიცდება, მომეტებულათ ქუთუთოები, ნესტოები და ყბები. თვალები ჯერ ეცრემლება, მერე ცრემლის მაგიერ უჩირქდება. ცხვირის ნესტოებიდან ჩამოსდის ლორწო, პირველათ თხელი და ანკარა, შემდეგ მღვრიე და ყვითელი ჩირქის მსგავსი. მეორე მეოთხედში, მესუთე დღეს, ტანზე ეტყობა მოწითალო წინწკლები, რომლებიც თანდათან დიდდებიან და უფრო წითლდებიან და ყოველს წინწკალის შუა ალაგას ამოსდის მუწუკი ჯერ პატარა და მერე კი დიდდება ხოლმე. მუწუკი რამდენიც იზრდება და განივრდება, იმდენი მის შუა გულში ჩნდება რბილი და ანკარა, როგორც წყალი, ქანთილა. ქანთილას გარშემო კიდენ რჩება წითელი რგოლი, ცოცხა კი თუმცა მეორე ხანაში ისევ არის, მაგრამ სუსტიდება. მესამე ხანაში, მე-

ცხრე დღეზე, ქანთილა უფრო და უფრო ანკარა ხდება, რბილდება, შუაში დაწეულია და შიგნით მთლათ იკსება ნათელი, როგორც ცრემლი, მხოლოთ სქელი და წებოიანი წვენით, რომელიც არის ნამდვილი ყვავილის სენი. ამ დროს, ყვავილის მუწუკები მთლათ ძწიფდებიან და მათი წვენი გამოსადეგია ხოლმე ყვავილის ასაცრელათ. ამ ხანაშივე ციება უფრო აკლდება, ცხვრებს ეტყობათ სიცხოვლე, საჭმელსაც ეტანებიან, თავის სიმსივნე უცხრება, თვალები და ცხვირიც თანდათან უსუფთავდებათ. მეოთხე ხანაში, 12—16 დღემდინ, მუწუკებში წვენი ჯერ იმდვრევა, შემდეგ თანდათან ეკითლდება, ჩირქდება და იწყებს ქვეშიდან ხმობას; ამ ხანის დაბოლოვების დროს კი სულ მთლათ ხმება ქერქათ. როცა ყვავილის მუწუკის წვენი ჩირქდება, ციება სულახლად ემატება, მხოლოთ როცა ნაყვავილარი სულ შეახმება, მაშინ ციება ძრიელ მალე უსუსტდება. ცხვარი იწყებს მოკეთებას, სურვილით ეკიდება საჭმელს, ფსიზლათ დადის და შემდეგ მთლათ რჩება. შეხმარი მუწუკები თვითონა სცვივათ, მხოლოთ ნაყვავილარებში სამუდამოთ ურჩებათ უმატელო გამაგრებული ნამუწუკვარი. ამსუბუქ ყვავილის დროს მუწუკები ცოტაა ხოლმე და ამოდიან უფრო ტიტველა ალაგას: საზარდულებში, ბარძაყებში და

წინაფესების ქვეშ. რამდენიც ყვავილის მუწუკი ცოტაა, იმდენათ ციება მსუბუქათა აქვს და ადვილათ იხდის ყვავილს და არავითარ ცუდს გავლენას არ არჩენს შემდეგისათვის.

მძიმე ყვავილის დროსაც, სატკივრის ყველა ნიშნები იმავე რიგით მოსდევენ, როგორც მსუბუქ ყვავილში: პირველათ ციება, მერე წინწკლები მუწუკებით, შემდეგ ყვავილის მუწუკები იფსებიან ჩირქით და, ბოლოს, ხმებიან მუწუკებათ. განსხვავება იმაშია, რომ მძიმე ყვავილისგან ცხვრები უფრო ძრიელ იტანჯებიან და არა იშვიათათ იღუპებიან მისგან. ციება უფრო ძრიელია, მთელი ტყავი გაცხელებულია, ტუჩი ისე უსივდება, რომ მოლათ რგვალდება, სიმსივნისაგან თვალებს ვეღარ ახილებენ; თვალებიდამ ჩამოსდის სქელი და მღვრიე ლორწო, რომელიც უკრავს თვალების ქუთუთოებს, ცხვირიდამ ჩამოსდის ჩირქიანი ლორწო, რომელიც ხმება და იგრე აკრავს ცხვირის ნესტოებს, რომ ცხვარი მლივსლა ჰსუნთქავს; ცხვარი სდგას მოკუზული და თავჩახრილი, წითელი წინწკლები, მუწუკები ამოსდისთ არა მარტო ტიტველა ალაგებში, არამედ მთელი სხეულის კანი სელში უჭირავს. წინწკლები და მუწუკები ისე ხშირად არის ამოსული, რომ მთელს ტანზე ადარ რჩება სადი ალაგი.

ყვავილის სავსე მუწუკები ისე იზრდებიან, რომ მათ შუა არ არის ცარიელი ალაგი. გაზრდილი მუწუკები გადაებმიან ერთმანერთს და გეგონებათ მთელი ტანი ერთ მუწუკს უჭერიაო. როდესაც მუწუკები შეახმება, მთელი ტეავი დაფარულია ერთნაირის ქერქით და როდესაც ის ქერქი ჩამოვარდება, მაშინ ტიტველა, მთლათ ნაწულულევი და უვარგისი, ცხვარი რჩება. ეს გადაბმული ყვავილის მუწუკები უფრო ცუდათაც რჩებიან ხოლმე: იმის მაგივრათ, რომ მუწუკები შეახმეს, იგინი იარავდებიან (წელულდებიან). რომლებიდგანაც ჩამოდის ყვითელი-მომწვანო მურალი ჩირქი. ეს ჩირქი მალევე ერთვის სისხლს და ცხვრები იღუპებიან.

არის კიდეს ერთგვარი ყვავილი, რომლის დროსაც წვანი არ იმდგრევა მუწუკებში და არ იქცევა ყვითელ ჩირქათ, იგი მოწითალო ჩირქად იქცევა. შემდეგ ყვავილის მუწუკები უფრო შავდებიან, მუქდებიან და მთლათ შავათაც იქცევიან, ცვივიან, ღრმათ იარავდებიან, რომლიდგანაც მურალი ჩირქი გამოდის. ამ გვარ ყვავილს უწოდებენ „შავს“.

ეოვილის ყვავილს, მსუბუქი იეოს იგი თუნდა ძმიძე, უფრო ადვილათ იხდის ჯეილი, სალი და ღონიერი ცხვარი, მით უფრო, თუ იგი

კარგს დროს გამოაჩნდათ, მაგალითად, გაზაფხულის დამლევს, გაზაფხულსა და ადრე შემოდგომას (მაისიდგან დაწყებული ენკენისთვის გასვლამდინ). ბებერი, გამხდარი და სხვა და სხვა სატკივრით ავათმყოფი ცხვარი ძნელათ იტანს ყვავილს, თუნდაც რომ იგი ძრიელ მსუბუქი იყოს.

ყვავილის წინააღმდეგ საბრძოლველათ არის ორი საშუალება: მკაცრი სიფრთხილე და სელოვნური აცრა ყვავილისა. ამ სატკივრის გადამდები სენი ისეთი ძრიელი და ცოცხალია, რომ ერთი ცხვარიც რომ გახდეს იმით ავათ, იგი აუცილებლივ გადასდებს სენს მთელს ფარას. ამისათვის, თუ გავარდა ხმა, რომ სადმე ახლო-მახლო მონამგლეებს (მეზობლებს), ან სადმე იმავ მაზრაში, გამოაჩნდათ ცხვარს ყვავილი, მაშინ ყოველი გულმოდგინე მეპატრონე ფიქრში უნდა იყოს, რომ ყვავილი მასაც ეწვევა. ვიდრე დრო აქვს და უიღბლობამ უდროოთ არ მოასწრო, უნდა ცხვარი იგეთ ალაგას დააბინაოს, სადაც სხვა კერძო კაცი არა ხვდება, უფრო იმ ძხრიდამ, სადაც ყვავილი ძმინვარებს. ზამთარში ფარეხში არ შეუშვას გარეშე ჰირი. როცა შეატყობს, რომ ერთი ცხვარი გახდა ავათ, იგი ძაშინათვე უნდა ბაცალკეოს. თუ მეოთხე დღეზე ავათმყოფს ცხვარს აღმოაჩნდა ყვავილის ნიშნები, სჩანს ვერ გადარ-

ჩება სატკივარს და მთლათ ფარა ავათ გაუხდება. ამ შემთხვევაში მხოლოთ ისა რჩება, რომ ყველა ცხვარს ყვავილი აუცრას. ყვავილის აცრა არის ერთად-ერთი საიმედო საშუალება, ბუნებითი ყვავილის წინააღმდეგ. დამტკიცებულია, რომ თუ ცხვარს ყვავილი აეცრა, ან იხადა მსუბუქი ბუნებითი ყვავილი, იგი დიდხანს აღარ ხდება ავათ ყვავილით. ყვავილის აცრა კარგია არა მარტო გასაფრთხილებლად ბუნებითი ყვავილისაგან, არამედ სხვა მხრითაც. ბუნებითი ყვავილი მთელ ფარას უცებ არ ედება, დღეს ერთი გახდება. ხვალ ორი, ზეგ სამი, ასე რომ ეს ავადობა თვეობითა გრძელდება, რაც ძრიელ მაგნებელია უფრო ამ მეცხვარეთათვის, ვისაც შორი გზა აქვთ გასავლელი საზამთრო, ან საზაფხულო ბინებში მისასვლელად. აცრით კი მთელი ფარა ცხვრისა მორჩება სამ კვირაზე და ჰატრონიც მორჩება დარდსა და ბოროტს. გარდა ამისა, ბუნებითი ყვავილის დროს ყვავილის მუწუკებს აერის ცხვარს სხვა და სხვა ადგილებში, იმისთანა ადგილებში, სადაც ოთველთვის აფუჭებენ მატელს. აცრის შემდეგ კი ყვავილის მუწუკები ამოსდის მხოლოთ იმ ადგილებში, სადაც აუცრიან და იმდენი მუწუკი ამოუვა, რამდენგანაც აუცრეს, დანარჩენს ადგილებში კი მუწუკები სულაც არ არის ხოლმე.

გარდა ამისა, ბუნებითი ყვავილის კეთილათ მსვლელობა დამოკიდებულია ხოლმე დროზე და ამინდზედ: თუ ყვავილი გამოაჩნდა ცხვარს ზამთარში, თოვლ-ჭყაპში, ან დოლის დასაწყისში, მაშინ იგი, თუ ჰირველად მსუბუქი იყო, შეიძლება მძიმე მავნებლიანათაც გარდაიქცეს და მაკე ცხვრები დაიწყებენ ბერწობას, რომლითაც დიდი ზარალი ეძლევა პატრონს. აცრილი ყვავილი კი ყოველთვის მსუბუქად უვლის და თუ საჭიროება აიძულებს კაცს ზამთარში აუცრას, მაშინ აცრილ ყვავილს მაკე ცხვრებიც მშვიდათ იხდიან. აცრილი ყვავილისაგან შეიძლება დაიხოცოს მხოლოდ ბებერი, ლუი და სუსტი ცხვრები. ცხვარს აუცრიან ან იმისთანა დროს, როდესაც გარშემო და თვით ცხვარში მშვიდობიანობაა, ან მაშინ, როდესაც ყვავილი გამოაჩნდება ცხვარს. ჰირველ შემთხვევით აცრას უწოდებენ „გასაფრთხილებელ"-ს, მეორეს კი „ნამალადევ"-ს.

გასაფრთხილებელათ ცხვარს ყვავილი უნდა აუცრან ყოველ წლობით იმ ადგილებში, სადაც ცხვარი მრავლათა ჰყავთ და სადაც ყველას მეზობლათა ჰყავთ ერთმანერთთან. გარდა ამისა, სადაც ბუნებითი ყვავილი ხშირად მძიმე მსვლელობიანია იმიტომ, რომ ზოგ მეცხვარეს ცუდი, ვიწრო და ცივი ფარები აქვს, ზოგნი კიდევ უსა-

ჯმლობით ნახევრათ მშიერს ატარებენ, ან არა და რაიმე სატკივრით გაუხდება ავათ და დაულუიდება, მაგ.,—ქოლერისგან, ეუთურისგან. უკეთესი დრო ყვავილის გასაფრთხილებლად ასაცრელათ არის მარიამობისთვე. ამ დროისთვის ბატკნები მოიზრდებიან, თბილა, მშრალობაა და საჭმელიც საკმაოთა აქვსთ. აცრილ ცხვრისა და ბატკნის ყოლა უმჯობესია ძინდვრათ: ძინდვრათ თავისუფლობაა, ჭიერი წმინდაა; და როცა ცხვარს მოჭრეკავს ძინდვრიდამ, მაშინ ქარი, თვირთვილი, წვიმა და მზე კარგათ გასუფთავებს ადგილს სენისგან. ინა კი ყვავილის სენის შემდეგ უნდა კარგათ გასუფთავდეს, დიდხანს ნიავმა უაროს, ცხვრის განავალი (წიგა) გაიზიდოს და დაიწვას, რადგანაც ფარეხში რჩება არა მარტო სენი, არამედ ყვავილის გამხმარი ბუწუკებიც, გამხმარი ლორწოც და ჩირქი, და გაგებული კი არის, რომ ყვავილის სენი მშრალში თავის ძალას ინახავს ერთს წელზე მეტს.

აცრილს ცხვარზე შეგვიძლია ვიუფნეთ დაიმედებულნი, რომ იგი საბუდამოთ გადარჩა და ხელმეორეთ ყვავილისგან ავათ აღარ გახდება. ყვავილს უცრიან ერთგვარი ნემსით. სუფთა წვერი ასაცრელი ნემსისა უბდა ჩაეწოს ასაცრელ ჩირქში და როდესაც ცოტაოდენი ჩირქი ჩადგება

ნემსის ღარში, მაშინ ნემსის ბოლო სიმტკიცეზედ, ღარი ზევით, უნდა მიადოს ყურის წვერს და ჩაურჭოს იგი, მხოლოთ კაკნატელაში კი არა, ისე რომ მთელი ნემსის ღარი დაიმალოს კაკნატელასა და ტკავს შუა; შემდეგ მსუბუქად დაჭირონ ზევიდამ თითი იმ ადგილას, სადაც გაეჭრა ტყავი და გამოსწიონ ნემსს. ამის შემდეგ ნემსი უნდა სუფთად გაიწმინდოს რბილი ლრუბლით, ბამბით ან წმინდა მბვარით და მხოლოთ მაშინ ხელმეორეთ ამოიღოთ ღარით ჩირქი და აუცრათ მეორე ცხვარს. თუ ყოველს აცრის შემდეგ არ გასუფთავდა ნემსი, მაშინ ნემსის ღარი დასისხლიანდება და გაჭუჭყიანდება და მასში ადგილი დარჩება ადგილი ყვავილის ჩირქისათვის და თვით ჩირქიც გაუსუფთავდება ჭუჭყიანი ნემსით.

ყვავილის აცრის მესწავლეა მნელი არ არის, რადგანაც ბალღების აცრელი არის თითქმის ყოველ საბოქაულოში, ასაცრელი ნემსი კი ერთი და იგივეა, რაც კაცებისათვის, ის ცხვრისათვის. ყვავილის ასაცრელათ უკეთესი ადგილი არის ყურის შიგნითა მხარე, წვერიდამ ნახევარ ვერშოკი ქვევით, ან კუდის ქვეშითა უმატელი ნაწილი. თუ აცრის შემდეგ აბოლოდ ერთი კარგი ნოყიერი ყვავილის ბუწუკი, მაშინ ის საკმარისია, ამ გვარი აცრა შეიძლება გამარჯვებულათ ჩაითვა-

ლოს და საიმედოთ ბუნებითი ყვავილის სენის ასაცდენათ. როცა ბევრს ცხვარს უცრიან, მაშინ შეიძლება ან სიჩქარით, ან ცხვარი დაიმრას, შეკრთეს, და კარგათ ვერ აიცრას, ე. ი. ასაცრელი ყვავილის ჩირქი არ ჩავიდეს ტანში, ამის ასაცდენათ უმჯობესია თითო ცხვარს ორ-სამგან აუცრათ, ერთმანერთისგან ნახევარ ვერშოკზე.

წესები, რომლებიც უნდა დაიცვან ყვავილის აცრაში არიან შემდეგნი: 1) ასაცრელათ უნდა იხმარონ აცრილი ყვავილის მუწუკების ჩირქი და არას დროს იმ ცხვრის ყვავილიდგან, რომლებიც გახდნენ ავათ, თუმცა მსუბუქი, ბუნებითი ყვავილით; 2) ასაცრელათ ვარგა იმ აცრილი ყვავილვების მუწუკების ჩირქი, რომელიც ამოდებულია იმ დროს, როდესაც მუწუკი კარგათ მომწიფებულია, ჩირქი იყო წმინდა და ანკარა, როგორც ცრემლი, რაიც არის მეცხრე და მეათე დღეზე აცრიდგან; 3) ჩირქი, მოუმწიფარი ან გადამწიფებული მუწუკისა, სახმარებლათ არ ვარგა; 4) ყვავილის ჩირქი უნდა იყოს ახალი და არასოდეს გაფუჭებული და ჩამპალი. ამ უკანასკნელი ჩირქით აცრილ ცხვრებს ყვავილის მაგიერ დამპალი ციება უჩნდებათ, რომლიდგანაც ცხვარი უფრო ბევრი იღუპება, ვიდრე მძიმე (ავი) ყვავილისგან.

ყვავილის ჩირქი შეიძლება მოგროვდეს ყვავილის მუწუკებიდან და შეინახოს. თუმცა აცრის შესწავლა ადვილია, მაგრამ ჩირქის მოგროვება ძნელია და ამისათვის ვურჩევ ყველას რომ ჩირქი მოითხოვონ ქალაქების ბეითლებისგან. როდესაც იშოვონ ასაცრელათ ჩირქი, მაშინვე არ აუცრან ყველა ცხვარს, ჯერ სცადონ ხუთს-ათს ცხვარზე. საცდელათ უნდა ამოარჩიონ ჯეილი და ლონიერი ცხვარი, ან თოხლი, და ავადობის დროს ამოფონ ცალკე. აცრის შემდეგ გულდადებით თვალყური ადევნონ ცხვრების,—როგორ და აწყვებინებს ცხიებას, როდის გამოაჩნდება წინწკლები მუწუკებით და როგორ აივსებიან უკანასკნელები. უკეთუ ცხიება ძლივს შესამჩნევი იქმნება, წინწკლები და მუწუკები ამოუვათ მხოლოთ იმ ადგილას, სადაც აუცერით და იმდენი, რამდენიც აუცრეს, სჩანს —აცრილი ჩირქი კარგი ეოფილა და მთელი ფარის ასაცრელათაც საკარგისია. როდესაც გასინჯული ცხვრების ყვავილის მუწუკები აივსებიან, მაშინ მეცხრე ან მეათე დღეზე შეიძლება იქათი ჩირქის ამოღება და მითი აცრა დანარჩენი ცხვრისა. თუ ნაშინჯი აცრა არ გამოდგა და მისგან გამოვიდა ძმიმე ყვავილი, სჩანს ჩირქი არ ვარგოდა და მისი ხმარება არ შეიძლება. საცადი

ცხვრები კი უმჯობესია, დახოსოთ და მთლიანათ ჩაფლათ მიწაში.

რადგანაც ცხვრის ევავილი არის ძრიელ საშიში სენი, ამისათვის ყოველი ღონისძიებით უნდა ერიდოს და უფრთხილდეს მას ყოველი მეცხვარე. ავათ რომ გაუხდეს ცხვარი, მაშინათვე გააცალკევოს, შორს არ წაიყვანოს და არც გაიყიდოს. ევავილიანი ცხვრების ხოცვა საჭმელათ არ შეიძლება, აგრეთვე არ შეიძლება მინდვრათ გადაურა მათი, ძაღლების შესაჭმელად. დახოცილების მიწაში მარხვა აუცილებელი საჭიროებაა. ფარესი, სადაც იყო ევავილი, კარგათ გასუფთავდეს და მოირწყას იმისთანა წამლებით, რომლებიც ჰკლავენ ევავილის სენს, მაგალ., კარბოლის სიმჟავე (მეცხვარეები უწოდებენ „კარბოლკას"), სულემა და სხვები. ერთ ვედრა წყალში (თბილი უნდა იყოს) უნდა ჩაასხათ ერთი სტაქანი კარბოლის სიმჟავე, დაურიოთ ცოცხით და მითი მოირწყას ყოველი შენობა, ან ადგილი, სადაც ავათმყოფი ცხვარი იდგა.

ს. ჩარქაზეურელი.

ქვეყნიერების მასალა

ანუ

მატერიის ქიმიური რაობა *).

ახლა უკეთ რომ დავუკვირდეთ ამ ატომებს, ვნახავთ, რომ თითო-თითოდ კი არ დაფრინავენ, არამედ წყვილ-წყვილად; მარტო ატომს არც ერთს არ შევნიშნავთ. რასაც მჟავდანში ვნახავთ, იმასვე ალმოვაჩენთ წყალდანშიაც (მეორე შუშაში), და არამც თუ ამ ორს ელემენტში, არამედ 80 ელემენტის უმეტეს ნაწილსაც იგივე წყვილობა სჭირს. ზოგში კი, მაგ., ვერცხლის წყალში და ცინკში, ატომები ყველანი მარტოთ არიან, თითოობით; ფოსფორსა და დარიშხანაში კი ოთხ-ოთხად შეკრულნი. ასე რომ შუშაში სხვადასხვა ელემენტი გაზად გარდაქცეული რო შევუშვათ, ხან ერთი და ხან მეორე,—ვნახავთ, რომ ზოგ ელემენტში ატომები თითოობით დაფრინავენ, ზოგში წყვილ-წყვილად, სამ-სამად და ზოგშიც—ოთხ-ოთხად; უმეტესობას კი წყვილ-წყვილობა სცოდნია. დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს ორ შუშას, რომლებშიაც მჟავდანი და წყალდანია. ეს ორი შუშა მეტად და მეტად რომ გავაცივოთ რამე საშუალებით, ვნახავთ, რომ წყვილ-წყვილად მფრინავ ატომებს თანდათან ფრენის სისწრაფე აკლდებათ, ძალა უსუსტდებათ და ერთმანერთს უახლოვდებიან. ბოლოს, თუ შუშა ძლიერ გავაცივეთ, ფრენის ძალა მთლად დაეკარ-

*) იხ. „მოგზაური“ № 3 და 4, 1903 წ.

გებათ, ძირს დაცვივდებიან და ერთად აირევიან; მაგრამ მოსვენება მაინც არა აქვთ და ჭიებსავით ერთმანერთში ირევიან. როდესაც საგანი ამ ყოფაშია, მაშინ ვამბობთ, რომ ეს საგანი მადნარია (სითხეა). თუ მადნარი უფრო გაცივდა, მაშინ ატომები ერთმანერთში ველარ ირევიან, —ყოველი თავის ალაგასაა უცვლელად და მხოლოდ მოუსვენრად ტოკავს. ამ მესამე ყოფის საგანი მაგარია.

რისაგანაა, რომ მატერია ხან მაგარია, მადნარი და ხანაც გაზი? რა ძალაა, რომ მატერიას ყოფას უცვლის? სითბო-სიცხოვლეა ეს ძალა; როდესაც მატერია ძლიერ ცხელია, მაშინ გაზია, ე. ი. ატომები ერთმანერთზე დაგორებულნი არიან და წყვილ-წყვილად, სამ-სამად თავისუფლად დაფრინავენ. სიცხოვლის დაკლებაზე ატომებს ფრენის ძალა აკლდებათ, ერთად გროვდებიან და ირევიან ერთმანერთში. შემდეგ, უფრო მეტ გაციებაზე, ატომები თანდათან წყნარდებიან და მხოლოდ ტოკვაში არიან. მაგრამ ძნელი არაა შევნიშნოთ, რომ ამ სამ ყოფაში სითბო-სიცხოვლის გარდა ერთი სხვა ძალაც მუშაობს. თუ სითბო-სიცხოვლე კლებულობს, ატომები ერთად გროვდებიან, ერთმანერთს უახლოვდებიან;—ცხადია, რომ აქ მიმზიდველობის ძალა მუშაობს. ავიღოთ ერთი ნაჭერი ტყვია. ეს ნაჭერი მაგარია: მისი ატომები ერთმანერთს ძლიერ ახლოს უდგანან და ყველანი სუსტათ თრთიან. ცოტათ რომ გავაცხელოთ, ატომები უფრო ლონივრად დაიწყებენ თრთოლვას; ყველა ატომი განზე იწევს მ·ვრამ გვყრდით მეზობელი ატომები თავისკენ იზიდვენ; მაგრამ განზე გაწევის ძალა თანდათან მატულობს სიცხოვლის გაძლიერებაზე; ბოლოს იქამდინ მივა, რომ ეს ძალა მიმზიდველობის ძალას გადააჭარბებს; მაშინ ატომები ჭიებსავით აირევიან; მაგრამ მიმზიდველობის ძალა მაინც ისე არაა მორეული, რომ ატომები მთლად გაუშვას. ამ გვარ ყოფაში ტყვია დამ-

დნარია. ამ დამდნარსაც რომ კიდევ მოემატოთ სიცხოვლე, ატომები ისეთი სისწრაფით დაიწყებენ ერთმანერთში ცურვას, რომ ზოგიერთი ძლიერ გაქანებული მაღლა ამოვარდება ჰაერში და გაფრინდება; ამათ სხვებიც მოჰყვებიან და ასე მთელი ტყვია გაზად გადავა. ყველა საგანს იგივე მოსდის. საგნებისა ან მატერიის სამ გვერი ყოფა ორ ძალაზეა დამოკიდებული: სითბოსიცხოვლეზე, რომელიც ატომ-მოლეკულებს ერთმანერთს აშორებს, და მიმზიდველობაზე, რომელიც მათ ერთად თავს უყრის და აერთებს.

ჩვენს ორ შუშაში ორი გაზია,—მჟავდანი და წყალდანი. შევუშვათ ერთი გაზი მეორეში, ერთად ავრიოთ. ამ ორ არეულ გაზში ატომები ისევ წყვილ-წყვილად დაფრინავენ; მხოლოდ ზოგი წყვილი მჟავდნისაა და ზოგიც წყალდნისა. ჩავაგდოთ შიგ ერთი ნაპერწკალი ცეცხლისა,—მაშინვე ყველა წყვილი დაიშლება და ყოველი თავისუფალი მჟავდნის ატომი წყალდნის ორს დაიკავშირებს; გაჩნდება სამ-ატომიანი ჯგუფები; ყოველი ჯგუფის ფორმულა ასეთი იქნება H—O—H (ან მოკლეთ H_2O). მაშასადამე, წყლის მოლეკულები გაჩენილან. ამ გვარი მოლეკულები მილიონობით არის შუშაში. ეს ახალი გაზი ცოტად რომ გავაციოთ, მოლეკულები მიმზიდველობის ძალით რამდენ რამდენადმე შეგროვდებიან და ასე გაჩნდება მოლეკულების ჯგუფები. ახლა ეს შუშის გაზი გაზი კი არ იქნება, არამედ ორთქლი. ეს ორთქლი რომ უფრო გავაციოთ, ე. ი. დამაშორებელი ძალა რომ უფრო შევასუსტოთ, ორ ოქლის ჯგუფები მიმზიდველობის ძალით უფრო დიდათ შეერთებიან და ძირს დაცვივდებიან, ან შუშის კედლებს დაჰნამავენ; ორთქლი მადნარად შეიცვლება—წყლად. წყალი რომ უფრო გავაციოთ,—გაიყინება, ე. ი. ყოველი მოლეკულა თავის ალაგს დაიჭერს სხვებთან ერთად. და-

მაშორებელი ძალა—სითბო-სიცხოვლე, რომელიც მიმ-ზიდველობის ძალის მოწინააღმდეგეა, შესუსტდა, და მოლეკულებს შეძლება მიეცათ ერთად შეყრილიყვნენ.

როგორც ვხედავთ ამ მჟავდან-წყალდნის შეერთებაში ახალმა ძალამ იჩინა თავი. ამ შეერთებამდის მჟავდანს და წყალდანს ორ ძალასთან ჰქონდა საქმე: სიცხოვლესა და მიმზიდველობასთან და ახლა მესამე ძალაც გაჩენილა, რომელმაც მჟავდან-წყალდნის ატომები მოლეკულებად შეაერთა: მჟავდნის ერთმა ატომმა წყალდნის ორი დაიკავშირა- ეს მესამე ძალა რომ არ მუშაობდეს, ატომები ასე ერთ-გვარად არ შეერთებოდნენ, ყველანი ერთის ფორმულის არ იქნებოდნენ. ამ ძალის მეოხებით არის, რომ ყოველი მჟავდნის ატომი უთუოთ ორ წყალდნისას იკავშირებს, არც მეტს და არც ნაკლებს. ეს ძალა რომ არ იყოს, მაშინ მრავალი მილიონი ატომი ერთგვარი ფორმულით (H—O—H) არ უნდა დარიგებულიყო; ზოგი ჯგუფი ხუთ ატომიანი იქნებოდა, ზოგი 10, 5, 3 და სხვ. ზოგში ან მჟავდანი იქნებოდა მეტი, ან წყალდანი. ამ მესამე ძალას **ქიმიური ძალა** ჰქვიან.

ზემოთ სადღაც ჩვენ ვსთქვით, რომ მეტალები ძლიერ ძნელად უერთდებიან ერთმანერთს; იგივე ითქმის მეტალოიდებზედაც; სამაგიეროთ მეტალები მეტალოიდებს ადვილათ იკავშირებენ. ამასთანავე ეს მაერთებელი ძალა ზოგ ელემენტში დიდია (მჟავდანი, ფტორი, ხლორი) და ზოგშიც ძლიერ სუსტი (აზოტი და არგოხი).

ამ გვარად, როდესაც რომელიმე ელემენტი სხვას იერთებს, მაშინ ამბობენ, რომ ამ ელემენტებს **ქიმიური ძალა** აქვთ, ან **ქიმიური ნათესაობა**. ამ ძალითაა, რომ

80 ელემენტის ატომები შეერთებულან და ათას-გვარი რთული საგანი გაუჩენიათ. ეს ძალა რომ არა ჰქონდეთ ატომებს, ქვეყნიერება მხოლოდ მარტივ საგნებისაგან იქნებოდა შემდგარი. ეს ქიმიური ძალა მუშაობას იწყებს მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვადასხვა მონათესავე ელემენტის ატომები ძლიერ ახლოს არიან ერთმანერთთან. ვიკითხოთ ახლა: რათაა, რომ მჟავდნის ერთი ატომი წყალდნის ორს იკავშირებს და არა მეტს ან ნაკლებს? წყალდანი მჟავდანს რომ უერთდება,—ეს ქიმიურ ძალის მუშაობას ნიშნავს, მაგრამ მჟავდანი რომ ორ წყალდანს იერთებს და არა მეტს ან ნაკლებს,—ეს სხვა რაღაც თვისებას უნდა ნიშნავდეს. შევუერთოთ წყალდანი სხვადასხვა ელემენტს,—ვნახავთ, რომ ზოგი იერთებს მას და ზოგი არ ეკარება, მაშასადამე, ზოგთან ქიმიური ნათესაობა აქვს და ზოგთან არა; გარდა ამისა ამ მონათესავე ელემენტებში ზოგია რომ წყალდნის ატომს მხოლოდ ერთს იკავშირებს თითო ატომზე, ზოგი ორს, სამს და ზოგიც ოთხს, მაგ.:

ხლორის 1 ატომი ერთს წყალდნისას იერთებს,
მჟავდნისა — ორს,
აზოტისა — სამს,
ნახშირმანისა — ოთხს.

ამის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ხლორის ატომს ერთი შემაერთებელი ძალა აქვს, მჟავდანს ორი, აზოტს სამი და ნახშირმანს ოთხი. მეცნიერები ძალის ნაცვლათ **ატომიანობას** ამბობენ, ასე რომ მათს ენაზე ზოგი ელემენტის ატომი ერთ ატომიანია, ზოგის ორი, სამი და ოთხ-ატომიანი. ეს ატომიანობა, ან შემაერთებელი ძალა შეიძლება ხაზებით ასე გამოვხატოთ:

ერთ-ატომიანები:	ორ-ატომიანები:	სამ-ატომიანები:	ოთხ-ატომიანები:
წყალბ. H—	მჟავბ.—O—	აზოტ.—N—	ნახშირ.—C—
ხლორი cl—	კალ.—Ca—	ფოსფ.—P—	ტალმ.—Si—
ფტორი F—	ვერცხლ. წყ. —Hg—	დარშ.—As—	კალა—Sn—
სოდი. Na—	ცინ.—Zn—	ოქრო—Au—	პლატ.—Pt—
ვერცხ. Ag—	გოგი.—S—		

რაკი ამგვარი ატომიანობა სცოდნიათ სხვადასხვა ელემენტის ატომებს, ამიტომ მათი შეერთებაც ამ ატომიანობის თანახმად უნდა ხდებოდეს და ხდება კიდეც. რადგან წყალბნის ატომს ერთი შემაერთებელი ძალა აქვს, მჟავბანს კი ორი, ამიტომ ერთი წყალბნისა რომ შეუერთდეს მჟავბნის ორ-ძალიან ატომს, მაშინ მჟავბანს ერთი ძალა მოკლილი დარჩება; ეს ასე გაჰოიხატება: H—O—, და თუ რომელიმე ელემენტის ერთ-ძალიან ატომმა ახლოს გაუარა, მას მაშინვე დაიკავშირებს თვისი მოკლილი ძალით და ამ გვარად, როგორც იტყვიან გაძღება ეს მჟავბნის ატომი. ამიტომაა, რომ წყლის გაჩენაში მჟავბნის ერთი ორ-ძალიანი ატომი ორ წყალბნისას იკავშირებს, ერთ-ძალიანებსა H—O—H. ავიღოთ ახლა აზოტის სამ-ძალიანი ატომი—N—; ამას შეშეუძლიან დაიკავშიროს 3 წყალბნის ატომი, გაჩნდება

ერთი ოთხ-ატომიანი მოლეკულა H—N—H. შეუძლიან
|
H

აგრეთვე თავისი ორი ძალა მჟავდნის ერთი ატომის დაჭერაში გამოიყენოს, (რადგან მჟავდანს ორი ძალა აქვს), მესამე ძალით კი რომელიმე მონათესავე ელემენტის ერთ-ძალიანი ატომი დაიკავშიროს, თუ გინდ ხლორი:

Cl—N=O.

ახლა ოთხ-ძალიანი ატომის ნიმუში ავიღოთ, მაგ., ნახშირმანი; ამას შეუძლიან ოთხი ერთ-ძალიანი ატომი დაიკავშიროს, მაგ., წყალდნისა

H
|
H—C—H,
|
H

ან ხლორი:

cl
|
Cl—C—Cl
|
Cl.

შეუძლიან აგრეთვე ორი ხლორი და ორიც წყალდანი შეიერთოს.

Cl
|
H—C—H
|
Cl,

ან და ორი ხლორი და ერთი ორ-ძალიანი მჟავდანი:

cl
|
C=O
|
cl,

ან ორი მჟავდანი O=C=O. ამგვარადვე ერთდებიან სხვადასხვა ელემენტის ატომებიც, ქიმიური ნათესაობის და ატომიანობის თანახმად ასე გაჩენილა და ახლაც ჩნდება ათას-გვარი რთული საგანი, რომლისგანაც შესდგება ბუნების მასალა. რომ მივიღოთ სათვალავში ეს ორი თვისება—ქიმიური ნათესაობა და ატომიანობა, მაშინ შეუძლებელია ითქვას, რომ ატომები იმიტომ ერთდებიან, რომ მათაც სჭირთ მატერიის საერთო თვისება—მიმზიდველობა, რადგან ქიმიური ნათესაობა გვეუბნება, რომ ყველა ატომს ერთგვარად არა სჭირს მიმზიდველობის ძალა,—ზოგი ელემენტის ატომები ერთდებიან და ზოგის კი ახლოსაც არ ეკარებიან. იგივე ითქმის ატომიანობაზედაც.

VIII. რადიკალები და იზომერია.

იდათ საკვირველი რამაა ეს ორი თვისება—ქიმიური ნათესაობა და ატომიანობა, მაგრამ მეტად საინტერესო კი რადიკალი და იზომერიაა, რომლებიც ამ ორ თვისებას შედეგათ მოჰყვებიან. ვის არ უნახავს ხელ-მოჭრილი კაცი, რომელსაც ერთი ხელი-ღა აქვს. ამ კაცს ორ-ხელიანი რომ დაეჭიდოს და ერთი ხელით ხელში რომ წაავლოს, მეორე თავისუფალი დარჩება. ვსთქვათ რომ ორ-ხელა კაცს ორი ხელ-მოჭრილი დაეჭიდა; მაშინ ორი ხელით ორ კაცს დაუჭერს ხელს, ამიტომ ამ სამ შეჭიდებულ კაცში არც ერთი ხელი არ იქნება მოცლილი. სწორეთ იგივე ხდება წყლის გაჩენაში: ორ-ძალიანი (ან ორ-ატომიანი) მჟავდანი ორ ერთ-ძალიან წყალდანს იკავშირებს H—O—H, ამიტომ ამ სამ შეჭიდებულ ატომში მოცლილი ძალა აღარაა. ვსთქვათ

ახლა, რომ მჟავდანს მხოლოდ ერთი წყალდანი აქვს შეკავშირებული —O —H; ასე რომ მჟავდნის ერთი ძალა მოცლილია; შეიძლება ამიტომ ითქვას, რომ ამ ორ-ატომიან ჯგუფს ერთი შემაერთებელი ძალა აქვს, ერთ-ატომიანია. საქმე აქ ისე გამოდის თითქოს ეს ორ-ატომიანი ჯგუფი ერთი ატომი იყოს, ერთ-ძალიანი ატომი. ავიღოთ ორი ამისთანა ჯგუფი და ვიკითხოთ, რა მოხდება ერთმანერთს რომ ახლოს გაუარონ? რაღა თქმა უნდა—მაშინვე შეერთდებიან, რადგან ერთსაც და მეორესაც ერთ-ერთი ძალა აქვთ მოცლილი; გაჩნდება ახალი ჯგუფი H—O+O—H. ეს მოლეკულა წყლის მოლეკულისაგან (H—O—H) მით განირჩევა, რომ ერთი მჟავდნის ატომი მეტი აქვს. წყლის მოლეკულას დამჟავებული წყალდანი ჰქვიან, ამ ახალ მოლეკულას კი—გადამჟავებული წყალდანი (H—O+O—H, ან მოკლეთ H_2O_2). ავიღოთ იგივე ერთ-ძალიანი ჯგუფი H—O—, რომელსაც ჰიდროქსილი ჰქვიან; ოთხ-ძალიან ნახშირმანის ატომს —C— ოთხი ჰიდროქსილის დაკავშირება შეუძლიან, თითქოს ოთხი ერთ-ძალიანი ატომი დაიკავშირაო:

```
        O—H
        |
H—O—C—O—H
        |
        O—H
```

შუაში ნახშირმანის ატომია და ზედ აკრავს გარშემო ოთხი ჰიდროქსილი. როგორც ვხედავთ ეს ერთ-ძალიანი ჰიდროქსილის ჯგუფი H—O—გადამჟავებულ წყალდანშიაც იპოვება H—O+O—H. სხვა რთულ საგნებშიაც ბევრგან მოიძებნება ეს ჰიდროქსილი და ყველგან, რა თქმა უნდა, ერთი ძალა აქვს, თითქოს ერთ-

ძალიანი ატომიაო. მეცნიერს შეუძლიან სხვადასხვა ხერხით ეს ჰიდროქსილის ჯგუფი ერთ საგანს 'მოაშოროს და სხვას შეუერთოს' მაგ., ნახშირმანს წაართვას და ოთხ-ძალიან ტალმანს (si) შეუკავშიროს:



როგორც ვხედავთ ეს ჰიდროქცილის ჯგუფი ერთი საგნიდამ მეორეში შეუცვლელად გადადის, ე. ი. ისე, რომ ჯგუფს არა-რა მოსდის, არც რომელიმე ატომი ემატება თუ აკლდება და არც არა ეცვლება. ამ გვარ ერთ-ძალიან ჯგუფს, რომელიც შეუცვლელად და დაუშლელად ერთ მოლეკულას ერთმეორე და სხვას ერთვის, სხვა რამ მოლეკულას, **რადიკალი** ჰქვიან. გარდა ამ რადიკალისა, რომელშიც მეავდანი და წყალდანია, ზოგიერთიცაა, რომ სხვა ატომებისაგანაა შემდგარი. ბევრს შენიშნული ექნება, რომ დამპალ ჭაობის წყალს ძირიდამ, ჯოხით რომ მოეურიოთ, ზოგჯერ რაღაცა გაზი ამოსდის, გეგონება თეთრი შუშის პატარა ბურთებიაო. ამ გაზს **მეტანი** ჰქვიან. რომ გამოვიკვლიოთ ეს გაზი, ვნახავთ, რომ ერთ-გვარ მოლეკულებისაგან შესდგება, რომელთ ფორმულა ასეთია:



ან მოკლეთ CH_4.

ლაბორატორიაში მეცნიერს შეუძლიან ამ მეტანის მოლეკულას ერთი წყალდნის ატომი მოაშოროს და მის ნაცვლად იოდის (i) ერთი ატომი შეუერთოს; მაშინ მო-

ლეკულა ამ ფორმულის იქნება:



მაშასადამე, როდესაც ეს ხდება, მეტანს ერთი წყალბადანი ერთმევა და რჩება



ე. ი. ერთ-ძალიანი ჯგუფი და ამიტომ მაშინვე ერთ-ძალიან იოდის ატომს იკავშირებს და ამ გვარად ძღება. მაშასადამე,



რადიკალია, რადგან ერთი მოკლილი ძალა აქვს და თვისს შეუცვლელად იოდს ეკავშირება. ამ რადიკალს მეთილი ჰქვიან და იოდი რომ ერთვის მას—ჩნდება იოდიანი მეტილი



ავიღოთ ახლა საგანი, რომელიც ამგვარ მოლეკულებისაგანაა შემდგარი და სოდიუმთან ერთათ ავადუღოთ. ამ დუღილით სოდიუმის ატომი იოდიან მეტილის იოდს იკავშირებს, ასე რომ რადიკალი მეტილი



ისევ თავისუფალი ხდება. ამ გვარი რადიკალები, რაღა თქმა უნდა, მილიონობითაა ქვაბში, და ერთად რომ არიან, ერთმანერთს წყვილ-წყვილად იკავშირებენ ეს ერთ-ძალიანი ჯგუფები, თითქოს ორი ერთ-ძალიანი ატომი ერთდებაო, ამ გვარი ფორმით:



ან მოკლეთ C_2H_6.

შეიძლება ამასაც ერთი წყალდანი წავართვათ და მის ნაცვლად ისევ იოდის ატომი შევუერთოთ,—გაჩნდება ახალ იოდიანი მოლეკულა. ავადუღოთ ახლა ისევ სოდიუმთან ეს მოლეკულა და იოდიანი მეტილი, ე. ი.:



დუღილის დროს სოდიუმის ატომები ორთავ მოლეკულის იოტს შეიკავშირებენ; დარჩება ორი რადიკალი, რომლებიც მაშინვე შეერთდებიან, რადგან თითო შემაერთებელი ძალა ექნებათ, მოცლილი:



მოკლ. C_3H_8

შემდეგ შეიძლება ეს მოლეკულა უფრო გავადიდოთ და გავაჩინოთ: C_4H_{10}, C_5H_{12} და სხვ.; ეს ოთხ-ნახშირ-

მანიანი მოლ.ეკულაც (C_4H_{10}) გაშლით დავწეროთ:



ეს მოლეკულაც, როგორც ვიცით, ორი რადიკალის შეერთებითაა გაჩენილი:



ახლა ვნახოთ შემდეგი რამ: ᲯᲒᲣᲤᲘ



რომელიც რადიკალია, შეიძლება ოთხ-ძალიან ნახშირმანს შევუერთოთ. ნახშირმანი ამ გვარ რადიკალს ოთხს შეიკავშირებს,—გაჩნდება:



ანმოჯ.



შეიძლება ერთ-გვარი ხერხით ამ რთულ მოლეკულას ერთი რადიკალი წავართვათ და სამაგიეროთ ისევ

ერთ-ძალიანი წყალდანი შევუერთოთ, ფორმულაც ასე შეიცვლება:



შევადაროთ ახლა ეს მოლეკულა იმ ჩვენ ოთხ-ნახშირმანიან მოლეკულას, რომელიც ზემოთ გაშლით დავწერეთ და აქაც ვშლით:



როგორც ვხედავთ შენობით და პლანით ერთმანერთს არა ჰგვანან. პირველში სამი რადიკალი და ერთი H ახვევია შუა გულ ნახშირმანს; გამოდის ისე, თითქოს ნახშირმანს ოთხი ერთ ძალიანი ატომი შეუკავშირებია თავისთანაო; თითქოს ხუთი ატომისაგან არის შემდგარი ეს მოლეკულა. მეორე მოლეკულა კი ორი რადიკალის შეერთებითაა წარმომდგარი:



ამ მოლეკულაში კი თითქრს ორი ატომიაო. გარეგან შეხედულობითაც, როგორც ვხედავთ, დიდათ განსხვავდებიან. ახლა დავთვალოთ რამდენი ატომია პირველ და მეორე მოლეკულაში; ვნახავთ, რომ ეოთში და მეორეშიც ნახშირმანის ატომი ოთხ-ოთხია; წყალდნის ატომიც ორივეში ათ-ათია. მაშასადამე, ორთავესივე ფორმულა იქნება $C_4 H_{16}$. როგორც ვხედავთ ერთი და იგივე ელემენტის ატომებს შეუძლიანთ ერთი და იგივე

,რიცხვით შეერთება, მაგრამ სხვადასხვა პლანით. რომ ავიღოთ ორი საგანი, რომლებიც ერთი პირველი მოლეკულებისაგანაა შემდგარი და მეორე მეორებისაგან და რომ შევადაროთ ერთი მეორეს, გვეგონება სულ სხვადასხვა რთული საგნებიაო, სხვა რამ ელემენტებისაგან შემდგარი. ერთ-გვარ აგურისაგან შეიძლება აშენდეს ისეთი ორი შენობა, რომ ერთმანერთს არაფრით არ ეგვანებიან, მაგ., სახლი და ეკკლესია. ამგვარ რთულ საგნებს, რომლებშიაც ერთ-გვარი და ერთი რიცხვის ატომებია, მაგრამ სხვადასხვა პლანზე შეერთებულები, **იზომერული** საგნები ჰქვიანთ მეცნიერებაში, და ამ ქიმიურ მოვლენას **იზომერიას** უწოდებენ. ბევრ იზომერულ საგანს იცნობს მეცნიერება, მეტადრე ნახშირმანიან საგნებში, ე. ი. იმისთანებში, რომლებიც გაჩენილან ნახშირმანის და სხვა ორიოდ ელემენტის შეერთებით. ავიღოთ სამი რთული საგანი: ხმელი ხე, ბამბა და სახამებელი; სამთავესივე ფორმულა ასეთია $C_6 H_{10} O_5$; სამივე იზომერული საგანია. ავიღოთ ახლა სხვა ფორმულა $C_9 H_{10} O_3$; ვგონებ 55 სხვა და სხვა გვარი საგანი იშოვება, რომ ამ ფორმულისაა,—იზომერული საგნები.

შევდგეთ ახლა და ისევ ვიკითხოთ დიდათ საკითხავი რამ: რითი აიხსნება, რომ ატომებს ქიმიური შეერთება სცოდნიათ და ასე გაუჩენიათ ბუნების ათას-გვარი რთული საგანი? რომ ვსთქვათ, რომ ამისი მიზეზი ის საერთო თვისებაა, რომელიც მატერიას ყველგანა სჭირს, ე. ი. მიმზიდველობა,—ამ გვარი ახსნა ჭკვასთან ახლო არ იქნება, რადგან ქიმიური ნათესაობა და ატომიანობა ამ გვარ ახსნას ძლიერ ეღობება წინ; და ხომ ვიცით, რომ ქიმიური ნათესაობა, ან ქიმიური არჩევანი და ატომიანობა ორი თავი თვისებაა, რომელთაც ექვემდებარება ყოველ-გვარი ქიმიური ცვლილება: პირველი თვისება—სხვადასხვა ელემენტის ატომთა ნათესაობა, თუ არჩევა-

ნი, გვიჩვენებს, რომ ყოველ ელემენტს თავისი აჩენილი ელემენტები ჰყავს, რომელთაც ერთვის ზოგს მჭიდროთ და ლონიერად, ზოგს სუსტად, სხვებს კი სრულიადაც არ ეკარება. მეორე თვისება ატომიანობაა: სხვადასხვა ელემენტის ატომებს მეტი ან ნაკლები მაერთებელი ძალა აქვთ: ზოგს ერთი, ორი, სამი და ზოგსაც ოთხი. რა გინდ ბევრიც ვეცადოთ, ამ ორს თვისებას—ნათესაობას და ატომიანობას, მიმზიდველობით მაინც ვერ ავხსნით. ავიღოთ, მაგ., მეტანი



არ შეიძლება ითქვას, რომ აქ ნახშირმანის ატომი ოთხს წყალბნისას თავისკენ იზიდავს ისე, როგორც მზე რვა ქვეყანას, ე. ი. მიმზიდველობის ძალით. არ შეიძლება ამისი თქმა იმიტომ, რომ მაშინ შეგვეძლება 'ვიკითხოთ: რათაა, რომ უთუოდ 4 ატომი ახვევია მას, და არა 5 ან 7? რათაა, რომ 4 ძალა აქვს ამ ნახშირმანის ატომს, რომლის ნადარი წონა 12, მჟავდანს კი (ნადარი წონა 16) 2 ძალა? ან რათაა, რომ ატომებს ნათესაობაც სცოდნიათ? ცხადია, რომ აქ რაღაცა სხვა მიზეზია და არა მიმზიდველობის თვისება. მარტივ საგნეებში ატომები და რთულებში მოლეკულები ერთმანერთს იზიდავენ, თუ სიცხოვლე არ უშლის ამას. ამ შემთხვევაში მიმზიდველობის ძალაა რომ მუშაობს და აქედამ წარმოსდგება მატერიის სამ-გვარი ყოფა—მაგარი, მადნარი და გაზი. მაგრამ მიმზიდველობის გარდა ატომებს სხვა გვარი მაერთებელი ძალაც სჭირთ—ქიმიური ძალა, რომლის მეოხებით ატომები ქიმიურად ერთდებიან და მრავალ გვარ ფორმულის მოლეკულებს აჩენენ. მიმზიდველობის თვისება ყოველ მატერიას სჭირს, ქიმიური ძალა კი ზოგს

აქვს და ზოგს არა, ზოგი ერთ-ძალიანია, ზოგი კი ორი, სამი და ოთხიანი. ასეთია ეს ქიმიური მაერთებელი ძალა.

სამყაროს მატერიის შეჯგუფვა ქვეყნებად და ქვეყნების სისტემებად შეერთება ჰენიოსმა ნიუტონმა ახსნა მიმზიდველობის თვისებით. ატომების მოლეკულებად შეერთებასაც ბევრი მძლავრი მეცნიერი დაჰკვირებია—ბერტლო, ჟერარი, ლოტარ მეიერი, კეკულემენდელეევი და რამდენიმე სხვაც,—მაგრამ ატომების ნიუტონი ჯერ არავინ გამოჩენილა და ქიმიური ძალა ჯერ რაღაც ამოცანაა მეცნიერებაში. თქმა არ უნდა, რომ ეს იმას არ ნიშნავს, ვითომც ამისი ახსნა ყოვლად შეუძლებელი იყოს. ბევრჯელ გამოსჩენია მეცნიერებას ასეთი ძნელი და თითქოს მიუწდომელი კითხვა და ბევრსაც უთქვამს მაშინ, რომ ამას ვერა გზით ვერ ახსნის მეცნიერებაო, მაგრამ შემდეგში ყველასათვის ცხადათ და ეჭვ-მიუკარებლად გამოუცვნია მისი მიზეზი თუ რაობა. ამ ატომების შეერთების მიზეზსაც, რაღა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან ახსნის მეცნიერება. ამ გვარი ძნელი კითხვების გადასაჭრელად პირველი საქმეა მეცნიერებისათვის მიუხვდეს რა გზას დაადგეს ამის გამოსაცნობად, და თუ გზა სწორი და ნამდვილია, მაშინ კვლევა-ძიება თითონ მიიყვანს ამ ამოცანასთან. მეცნიერება მიუხვდა რა გზას უნდა დაადგეს ატომების ქიმიურ შეერთების გამოსაცნობად, ე. ი. გაიგო, რო ქიმიური თვისება უნდა ახსნას ატომების წონამ და ატომების ძირეულმა ბუნებამ.

ა. ბეგერბეგიაძე.

(დასასრული იქნება)

საქართველო
განთიადი.

(ისტორიული მოთხრობა).

I.

454 წელი საქართველოში ჩვეულებრივ გათენდა. იგივ მზე დღისით, იგივ მთვარე ღამით, იგივ შრომა და არსებობისათვის ბრძოლა ადამიანთა, იგივ თოვლ-ყინვა ზამთრობით და იგივ კეკლუცი ბუნება გაზაფხულობით —ყველაფერი ეს ამ წელშიაც ისე იყო, როგორც უწინ როგორც დღეს არის. მთვარე და მზე მაშინაც ჩვეულებრივ ანათებდნენ და უხვად ისვრიდნენ დედა-მიწისაკენ თავის სხივებს, მაგრამ სულ სხვა ფერი ედვა თვით საქართველოს. თუმცა ერთის მხრით მტკვარი-არაგვ-ალაზანი. და მეორეს მხრით ფაზის-ენგური ისევ ძველებურად ხუოდნენ და დაღმართებში ჩვეულებრივ ცვარ-ქაფებად ანარცხებდნენ თავიანთ ტალღებს, მაგრამ ახლანდელი გატიტვლებული მთა-ველნი კი საქართველო მაშინ ჯერ კიდევ სულ შემოსილი იყო უტეხი და გაუვალი ტყეებითა. ერთი მთა ეჯიბრებოდა მეორეს

მეორე მესამეს და ასე მთლათ საქართველო ჩამალული იყო მოლ-ყვავილებსა და ბალ-ტყეებში.

იქ, სადაც ტლანქი მტკვარი უერთდება გიჟმაჟ არაგვსა, ქალაქ მცხეთაში, ქართველთ ახალგაზრდა მეფის ვახტანგის სასახლე იყო აშენებული. სასახლეს წინ მინდორი ჰქონდა გადაშლილი, სულ მთლათ ქვის მაღალის გალავნით შემოზღუდული; სამეფო სახლებს უკან, ცოტა მოშორებით, იდგა რამდენიმე სადგომი მეფის ნაზირ-ვეზირთა და მოსამსახურეთათვის.

შემოდგომა იყო. ზაფხულობით გამოცოცხლებულ ტყე-ველს ნელ-ნელა ეძარცვებოდა ძვირფასი სამოსი; ზამთრის მომასწავებელი სისინი რაღაც საიდუმლოებით ჩაუთქავდა გაყვითლებულს ფოთლებს და ზოგს მათგანს, რასაკვირველია, უფრო სუსტებს, ძირში სწყვეტდა და და ნელ–ნელა აცილებდა ტოტებს... ფოთლები კი, უკანასკნელად საიდუმლოებით შეჰშიშინებდნენ ხეებს, ვითომ სამუდამოდ ემშვიდობებიანო მათ, და კვნესა-ოხვრით ქვევითკენ მიემგზავრებოდნენ...

მეფის სასახლე'ში სრული სიჩუმეა... მხოლოთ მის ერთ-ერთს ოთახში შეკრებილან რამდენიმე სახლის კაცნი და რაღაცაზედ გულმოდგინედ ბაასობენ.

— არა, ელიზბარ... მეფე კარგად შვრება... აბა როგორ შეიძლება მაგიერის გარდაუხდელობა... ჩვენ აგვიკლეს, ბევრი ჩვენი თანამოძმენი ტყვეებადაც წაიყვანეს... ჩვენთან ერთად გაზრდილნი, ჩვენივ სამშობლოს შვილნი, „ნინოს ღმერთის“ აღმსარებელნი... ეს კიდევ არაფერი, თვით სანატრელის მეფის მირდატის ასული, პატარა მირანდუხტი, დაი მეფისა, ისიც მათ ხელშია... არა! ოსების მაგიერის გარდაუხდელობა შეუძლებელია!.. —ამტკიცებდა ახალგაზრდა 26—28 წლის ვაჟკაცი ლევანი და თან სახე უწითლდებოდა, უფითრდებოდა სიბრაზისაგან. იგი იყო მეფის ახალგაზდა მხედარი, ახლად

ნაკურთხი მეფის ვახტანგისაგან დიდად მიღებული თავის ერთგულის სამსახურისათვის... მოკლე ხალათი მუხლებამდინ, ტყავის მოქარგული ფეხსაცმელები და თავზედ ტყავისავე ქუდი,—მეტისმეტად ამშვენებდნენ უმისოდაც მშვენიერს ვაჟკაცს... მისი განიერი მხარ-ბეჭი, ტყესავით ხშირად გადართხმულ წარბებში შემალული ჭკვიანი თვალების კაკლები ნება-უნებლიეთ იხიბლავდნენ ლევანის ყოველს შემხედავს და აფიქრებინებდნენ, რომ იგი არა ჩვეულებრივის ჭკვის პატრონი და უებრო მეომარი უნდა იყოსო... ეს ასეც იყო... თუმცა ლევანს ჯერ არ მისცემია შემთხვევა თავისი იშვიათი ვაჟკაცობა, ომში უებრობა და სამშობლო ქვეყნისათვის თავდადება დაემტკიცებინა მეფისათვის, მაგრამ ის სიმხნე, რომელიც მან მეფის ცხენებიო ჯირითის დროს გამოიჩინა, საკმაო იყო მეფეს მისთვის ყურადღება მიექცია და სასახლეში მოხუც ელიზბარის შემდეგ პირველი ადგილი მიეცა...

ელიზბარი იყო მეფესთან ყველაზედ უფრო დაახლოებული ძველი მხედარი. ვახტანგის მამის მირდატის დროს მას არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა საქართველოს მძვინვარე მტრებთან ომებში...

— ჩემო ლევან... შენ ჯერ კიდევ არ იცი, რას ჰქვიან მტრები ან მოყვარეები... არ იცი—თუ რამდენი განსაცდელი გამოგვიცდია უსჯულოებთან ბრძოლაში... მე არა ერთხელ ვყოფილვარ ბედნიერი, რომ მეფისათვის ჩემი ერთგულება დამემტკიცებია... ეს იყო აწ განსვენებულის ნეტარის მეფის მირდატის დროს... უსჯულოების ისრების ტკრციალი ჰაერში, მოძმეების კვნესა-ტირილი და უდროოდ მზის დაბნელება,—ბევრი მინახავს ყველაფერი ეს... ახლანდელი შემთხვევა კი სულ სხვანაირია... რამდენი ტყვეები წაიყვანეს ოსებმა!.. მეფის პატარა და მირანტუხტი და სხვათა შორის იესეც!—საბრალო იესე, რა მშვენიერი მესაზანდრე იყო; რამდენი

შაირები იცოდა! ღმერთო, რაგვარად სძულდა ურწმუნო ცეცხლის თაყვანის-მცემელი სპარსელები...—აქ ელიზბარი ცოტა შეჩერდა, ავადმყოფსავით ერთი დაახველა, გადააფურთხა, ბოლოს თავი მაღლა ასწია და განაგრძო: —ჩვენი პატარა გმირი დიდი ხანი არ არის რაც მეფედ ეკურთხა. იგი შორს გამჭვრეტია, ჭკვიანი... მას საკუთარი ძალ-ღონეც შესწევს გარეშე მტერთ პასუხი უგოს, როცა ამას შემთხვევა-გარემოება მოითხოვს... არც ოსებს დასტოვებს უიმისოთ, რომ მაგიერი არ გარდაუხადოს, მე ეს კარგად ვიცი... მაგრამ ჯერ კიდევ ცოტა მოთმინება გვმართებს...

— ჩვენი მეფე ჯუანშერის და საურმაგი მოწაფეა,— ამბობდა ლევანი. მათ შთაუნერგეს ვახტანგს თავგანწირულება ომში, ღრმა სიყვარული თავის ერისა და მამულისადმი და თან სიძულილი ურწმუნოებისადმი...

— უკანასკნელის მიზეზი სულ სხვა იყო... ჩვენს სამფლობელოში ბევრია მოწინავე პირებთაგანნი ურწმუნონი, ცედხლის-აღმსარებელნი და ადვილად შეიძლებოდა ახალგაზრდა მეფის შკილი მათს მხარეს გარდასულიყო, ურწმუნონი შეეყვარა, მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდა, ამის მიზეზი სულ მისი აღმზრდელი, ახლაც ცოცხალი მოძღვარი მთავარ-ეპისკოპოსი მიხეილია... მან შთააგონა პატარა ბატონიშვილს ჭეშმარიტის სარწმუნოების პატივისცემა და ამით უკანასკნელად გამოიხსნა ქართველი ხალხი მაცთურთაგან და განამტკიცა ჭეშმარიტ გზაზედ.

— ვისზედ ამბობ?—შეეკითხა ლევანი ელიზბარს, —რადგან მისთვის ყური აღარ უგდია. იგი ამ ჟამად იხედებოდა ზეფის მოსამსახურისაკენ, რომელიც მათკენ მოდიოდა...

— მიხეილ მთავარ-ეპისკოპოსზედ.

— ოჰ, ვიცი... მეც მახსოვს... მარტო მისი სახის

გამომეტყველება და საუბარი კმაროდა, რომ ვინც უნდა უსჯულო ყოფილიყო, ჭეშმარიტი სარწმუნოება მიელო... ახლაც ისეთი კეთილი და გონიერია, თუმცა უდროოდ მოხუცდა.

ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა ლევანს, რომ შემოაღო კარები მეფისგან წარმოგზავნილმა მხედარმა, თავმდაბლად მიესალმა ორივეს და მოახსენა:

მეფე გიბარებთ, მობრძანდითო... მხედარი გავიდა. ელიზბარ და ლევანი წამსვე ზეზედ წამოდგნენ... ესენი წინდაწინვე მიხვდნენ, თუ რისთვისაც იბარებდა მათ მეფე.

— «ოსებთან საბრძოლველად უნდა წავიდეთ, ოსებთან!» — იმეორებდა თავის გულში ახალგაზდა ლევანი და მომავლის მოლოდინში სახე ათასნაირად უნათლდებოდა. მას სწყუროდა ბრძოლა, სწყუროდა მტრებთან ომი, სადაც თავისი ჭაბუკური მჩქეფარე სისხლისათვის შეიძლებდა საზრდოს მიცემას. შემთხვევაც ახლა აი, იქ, ბრძოლის ველზედ იწვევდა ლევანს...

ელიზბარი ლევანთან ერთად მეფის სახლისაკენ ზანტად მიაბიჯებდა. წელში ოდნავ მოხრილი ძველი მხედარი, თეთრ წვერ-ულვაშიანი, ჭაღარა შერეულს წარბების ქვეშ შემალული თვალებით, გაშლილი პირისახით, მაშინც მშვენივრად მოჩანდა, როცა ბრძოლის ველზედ აღარ იყო... იქ კი, ბრძოლის ველზედ, ელიზბარის სიმშვენიერე ერთი-ათად დიდდებოდა... იყო დრო, როცა იგი თავგანწირული იბრძოდა მტრებთან, თვალთაგან სიბრაზით ცეცხლის ნაკვერცხლებს ჰყრიდა...

ბევრჯელ დაუმარცხებიათ ქართველებს მტრები ელიზბარის სარდლობით და არც უყურადღებოდ დარჩენილა მეფისათვის მისი ასეთი თავგანწირულება და ერთგულება. დღეს კი, თუმცა დიდი ხანია იგი აღარავის უწახავს ბრძოლის ველზედ, მაგრამ ბრწყინვალე იმედე-

ბით გამსჭვალული მოხუცი მაინც მზათ არის კიდევ ერთხელ აჩვენოს მტრებს თავისი მარჯვენის სიმტკიცე, იგი კვლავ მზათ არის კიდევ ერთხელ გადაუხადოს სამშობლოს წმინდა ვალი, და, თუ ეს ვალი თვით ელიზბარს მოითხოვს მსხვერპლად, — ეგ სულ ერთია: ელიზბარი ამას არ შეუდრკება, მხოლოდ სამშობლოს ხედავდეს თავისუფალს გარეშე მტრებისაგან...

— აქეთ, — შესჩურჩულა მის უკან მიმავალს ლევანს მოხუცმა ელიზბარმა, — აქეთკენ სჯობია მეფესთან შესვლა. შეაღეს კარები... ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ, მეფემ გაახსენა მათ თავისი სურვილი, რომელიც ორივესთვის უწინაც ჰქონდა ნათქვამი.

— დროა, ჩემო საყვარელნო, ელიზბარ და ლევან, საქმეს შევუდგეთ... მე ჩემს აღმზრდელ მოხუც ჯუანშერთან უკვე მქონდა რჩევა, თუ როგორ ეშველება საქმეს, რომ ოსების თავ-გასულობას და უდიერობას ბოლო მოეღოს... მან ომი მირჩია... მეც ასე გადავწყვიტე... უნდა შევებრძოლოთ და ჯარი ახლავე დაეამზადოთ... გთხოვთ დაუყოვნებლივ აფრინოთ კაცები ეგრისში, იმერეთში, აფხაზეთში და ყველას, ვინც ოსების წინააღმდეგ მოინდომებს წასვლას, ერთად მოუყაროთ თავი... ჩემო ელიზბარ, შენ ყველაფერში გამოცდილი ხარ... შენ უნდა წარუძღვე წინ ჯარს, მეც, რასაკვირველია, შენთან ვიქნები... ვეცადოთ, რაც შეიძლება ჩქარა მოვაწყოთ საქმე...

ახალგაზდა გვირგვინოსანს საქართველოს ტახტისას სახე გაუნათლდა. ახოვანი შეხედულება, მშვენიერი სამეფო ტანსაცმელი და მორთულობა, ახლად აკოსული კოკობი წვერ-ულვაში, რკალებ ვადართხმული, ტყესავით ხშირი წარბები, მათ ქვეშით შემალული ჭკვიანი თვალები, გაშლილი შუბლი, განიერი გულ-მკერდი, ყველანი ეს ერთად მარტო იმას ამტკიცებდნენ, რომ ვახტა-

ნგში დიდი სამხედრო ძალა, პოლიტიკური შორს-გამ-ჭვრეტელობა და სარწმუნოებრივი სიმშვენიერე-სიდიადე იმალებაო...

— თქვენის ბრძანების აღმასრულებელი ვარ, მეფეო, თქვენი ფერხთა მტვერი,—უპასუხა მეფეს მოხუცმა ელიზბარმა და განაგრძო:—ამდენი ხანი მეფისა და მამულისათვის მიმსახურნია, სამშობლო ქვეყნის და სარწმუნოების მტრებ.. ბევრჯელ დამიმარცხნია,—მაგრამ ამ დღეს კი აღარ შევსწრებივარ... მე... უწინ სული აღმომხდენოდა მერჩივნა, ვინემ მირანდუხტის ოსებისგან წაყვანას მოვესწრობოდი... დღეს მირანდუხტი უსჯულო ოსების ხელშია...—ნაღვლიანად კვნესავდა ელიზბარ და თვალები ოდნავ შესამჩნევ ცრემლებით ევსებოდა...

— თქვენ იცით,—განაგრძო მეფემ,—უბრძანეთ კაცებს—გარდაიდნენ იმერეთს, მოუთხრან ყველას, რომ მე ოსების მაგიერის გარდახდა განვიზრახე და ამ მოკლე ხანში კიდეც სისრულეში მოვიყვან განზრახვას... გეფიცებით მამიჩემის აჩრდილს, ოსების და ჩვენის ქვეყნის ყველა მტრების თავგასულობას ბოლო უნდა მოვუღო... ახლა თქვენ იცით, როგორც მოიქცევით, სამშობლოსათვის თავდადება თქვენი ვალია...

— გიცით, მეფეო, ელიზბარმა იცის...

— ლევან, შენც ამასვე გთხოვ... ახლა მაინც დრო გაქვს საქმით დამიმტკიცო ის, რაზედაც აქამომდე მხოლოდ იმედი მქონდა...

— მეც ელიზბართან ვარ, მეფეო... მეც მასთან ერთად უნდა ვეომო მტერთ...—უპასუხა მეფეს ლევანმა და სათავისო მომავლის მომლოდინე გმირს სახე გაუნათლდა...

— ბუნებაც ხელს გვიწყობს... ახლა შემოდგომაა... მერე ზამთარი მოგვისწრობს. . უკეთესია ახლავ შევუდგეთ საქმეს...—წარმოსთქვა მეფემ და განაგრძო:—დე-

დოფალი საგდუხტ ავად არის... მაგრამ ღმერთია შემწე... იმედია უკეთ შეიქმნება, როცა მირანდუხტს დავუბრუნებთ ტყვეობიდგან... დედოფალს გაეხარდება თავის ამდენი ხნის უნახავი შვილის დანახვა და მორჩება...

— მშვიდობით, მეფეო; ჩვენ დღესვე გავგზავნ თ მხედრებს, სადაც ნაბრძანები გვაქვს...

ელიზბარი და ლევანი გამოემშვიდობნენ მეფეს. ელიზბარს პირისახე გაბრწყინვებული ჰქონდა, თვალებში მხიარულების ღიმილი უკრთოდა. ლევანი კი ღრმა ფიქრში იყო გართული. იგი ოცნებობდა მომავალზედ, რომელსაც მისი მეფისადმი ერთგულება უნდოდა დაემტკიცებინა.

— დედოფალი ავათ არის... ღმერთმა ნუ უსმინოს ურწმუნო მოგვებს... იგინი პატივს აღარ სცემენ ქრისტიან დედოფალს და მარადდღე იმას ევედრებიან თავიანთ ღმერთებს, რომ დედოფალმა ადრე დასტოვოს წუთისოფელი,—ამბობდა მოხუცი ელიზბარი. ამასობაში ორივენი თავიანთ სახლში შევიდნენ და დაუყოვნებლივ აფრინეს კაცები იმერეთისკენ და ქართლ-ჰერეთისაკენ ჯარების შესაკრებად...

II.

ერდილოეთის ტრიალს მინდორზედ უთვალავი ჯარი იძვრის. ქართველნი, ეგრისელნი, აფხაზნი და სხვანი, პირველსავე გაგონებაზე, რომ საქართველოს ახალგაზრდა მეფე ოსების მაგიერის გადასახდელათ გვიწვევსო, ყველას იარაღი შეუსხამს ოსებთან საბრძოლველად. ჯარს წინ მიუძღვის თვით ახალგაზდა მეფე ვახტანგი, გარს შემორტყმული ძველი და ახალი არწივებით. იგი ზის

თავის საყვარელ ცხენზედ, რომელიც მშვიდის ნუკრივით ცახცახებს და მრისხანე თვალებს აქეთ-იქით ატრიალებს, თითქოს ვიღაცას ემუქრება ან რაღაც ელანდება წინაო; მზე საკმაოდ მაღლა სდგას; ვახტანგის სახე მრავალნაირად ბრწყინავს. მას ფიქრში წინ უდგებაათასნაირი სანახავები: ვითომ კიდეც სძლია ოსებს; თავის და მირანდუხტ მრავალ სხვა ქართველ ტყეებთან ერთად გაანთავისუფლა ოსებისგან და ოსებისთვის წანართმევ ავლა-დიდებით აი კიდეც ბრუნდება მცხეთაში. დედოფალს-დედას ესიამოვნა შვილების ნახვა და უკეთ შეიქმნა... აი ლევან და ელიზბარი ქარსავით მოჰქრიან და მეფეს გამარჯვებას ულოცავენ... მეფეს გაეხარდება და ორივეს აჯილდოვებს...

მეფე რომ ამ ფიქრში იყო, ჯარი ტრიალს მინდორს უკვე გასცილდა. მინდორს იქით კიდევ მინდორი იდვა, მხოლოდ მათ შუა დაბურული ტყე იყო... ვახტანგი გამოერკო ფიქრებს.

— „ფიქრიც კარგია, —წაიჩურჩულა მეფემ და პირისახეზედ ოდნავ შესანიშნმა ღიმილმა გადაურბინა... ბოლოს ერთიც წამოჰკრა მათრახი ცხენს და უკან მოიხედა... ელიზბარ და ლევანი წინ მიუძღვოდნენ ჯარს და გზას უჩვენებდნენ...

— აქ ტყე არის! —მეფემ წელი გადიხარა და ელიზბარი მიისმო.

— ტყე არის, მეფეო,—მიუგო ელიზბარმა,—ოსები ამის იქით უნდა იყვნენ დაბანაკებულნი... კარგი იქნება ამბის შესატყობად კაცებს გავგზავნიდეთ... საჭიროა ვიცოდეთ მტრის ბანაკი, რომ უკეთ შევსძლოთ მიტანება და დამარცხება...

— გაგზავნეთ,—ბრძანა მეფემ.

ელიზბარმა მოიხმო ზაალ და ფარსმან-ფარუქ მხედრები, შესანიშნავი მხნე და გულადი ვაჟკაცნი.

სხვაზედ არა ნაკლებ ემსახურებოდა ფარსმან—ფარუქ თავის სამშობლოს. იგი რანელი იყო და ამ ქამად რანიდგან გამოგზავნილ ჯარში ერია.

— ჩქარა!—შესძახა ელიზბარმა ტყეში შემავალს ორს მხედარს.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ორივენი, ზაალ და ფარსმან-ფარუქ, დაბრუნდნენ და შეატყობინეს მეფეს, რომ ოსები ტყის იქით მინდორზედ არიან დაბანაკებულნი...

— კარგი, ნუ შეგეშინდებათ, მხნედ იყავით,—შემოსძახა მეფემ ჯარს და საჩქაროდ ტყეში შესრიალდა.

მეფეს თან გაჰყვნენ ელიზბარ, ლევან, ფარსმან-ფარუქ, ზაალ და სხვა მხედრები—ცხენოსნები.

რამდენიმე წუთის შემდეგ ყველანი მინდორს გამოვიდნენ და თვალწინ წარმოუდგათ აურაცხელი ოსთა და ხაზართ ჯარი. ჯარის წინ რამდენიმე ახალგაზდა მხედრებს მოეყარათ თავი და უცდიდნენ, სანამდი ვახტანგის ჯარი მოვიდოდა.

ტყიდგან გამოკრებილ ქართველთ ჯარს ვახტანგმა ანიშნა ერთ ადგილას შემოკრება... მეფემ მათ წინ გააჩერა ელიზბარ და სხვები... თვითონ კი ცხენით მინდვრისაკენ შეტრიალდა. მოპირდაპირე ბანაკში ყველას სული მიენაბა ვახტანგის შეხედვაზედ... ყველას მოუთმენლობის ნერწყვი აედინა პირში და სურდა საჩქაროდ გარდაწყვეტილიყო ორივე მოპირდაპირე ხალხის ბედი.

თითქოს ჰსურს დაესწროს ამ სანახავს, დიდი მნათობი ის არის გამოცურებულიყო ღრუბელთ ზღვიდგან და ცის სივრცეში შეჩერებულიყო... აღარც ნიავის სისინი ისმოდა უწინდელებრ და აღარც შაშვთ და სხვა ფრინველთ ჟივილ-ხივილი... ყველას სული გაენაბა და ყველა სმენად და მზერად გარდაქცეულიყო. სიჩუმეს მარტო ახლო მომდინარე არაგვი არღვევდა და კიდეც ეს ახმა-

თავის საყვარელ ცხენზედ, რომელიც მშვენის ნუკრივით ცახცახებს და მრისხანე თვალებს აქეთ-იქით ატრიალებს, თითქოს ვიღაცას ემუქრება ან რაღაც ელანდება წინაო; მზე საკმაოდ მაღლა სდგას; ვახტანგის სახე მრავალნაირად ბრწყინავს. მას ფიქრში წინ უდგებაათასნაირი სანახავები: ვითომ კიდეც სძლია ოსებს; თავის და მირანდულ მრავალ სხვა ქართველ ტყეებთან ერთად გაანთავისუფლა ოსებისგან და ოსებისთვის წანართმევ ავლა-დიდებით აი კიდეც ბრუნდება მცხეთაში. დედოფალს-დედას ესიამოვნა შვილების ნახვა და უკეთ შეიქმნა... აი ლევან და ელიზბარი ქარსავით მოჰქრიან და მეფეს გამარჯვებას ულოცავენ... მეფეს გაეხარდება და ორივეს აჯილდოვებს...

მეფე რომ ამ ფიქრში იყო, ჯარი ტრიალს მინდოს უკვე გასცილდა. მინდორს იქით კიდევ მინდორი იდვა, მხოლოდ მათ შუა დაბურული ტყე იყო... ვახტანგი გამოერკო ფიქრებს.

— „ფიქრიც კარგია, —წაიჩურჩულა მეფემ და პირისახეზედ ოდნავ შესანიშნა ღიმილმა გადაურბინა... ბოლოს ერთიც წამოჰკრა მათრახი ცხენს და უკან მოიხედა... ელიზბარ და ლევანი წინ მიუძღვოდნენ ჯარს და გზას უჩვენებდნენ...

— აქ ტყე არის!- მეფემ წელი გადიხარა და ელიზბარი მიისმო.

— ტყე არის, მეფეო,—მიუგო ელიზბარმა,—ოსები ამის იქით უნდა იყვნენ დაბანაკებულნი... კარგი იქნება ამბის შესატყობად კაცებს გავგზავნიდეთ... საჭიროა. ვიცოდეთ მტრის ბანაკი, რომ უკეთ შეესძლოთ მიტანება და დამარცხება...

— გაგზავნეთ,— ბრძანა მეფემ.

ელიზბარმა მოიხმო ზაალ და ფარსმან-ფარუქ მხედრები, შესანიშნავი მხნე და გულადი ვაჟკაცნი.

სხვაზედ არა ნაკლებ ემსახურებოდა ფარსმან—ფარუქ თავის სამშობლოს. იგი რანელი იყო და ამ ჟამად რანიდგან გამოგზავნილ ჯარში ერია.

— ჩქარა!—შესძახა ელიზბარმა ტყეში შემავალს ორს მხედარს.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ორივენი, ზაალ და ფარსმან-ფარუქ, დაბრუნდნენ და შეატყობინეს მეფეს, რომ ოსები ტყის იქით მინდორზედ არიან დაბანაკებულნი...

— კარგი, ნუ შეგეშინდებათ, მხნედ იყავით,—შემოსძახა მეფემ ჯარს და საჩქაროდ ტყეში შესრიალდა.

მეფეს თან გაჰყვნენ ელიზბარ, ლევან, ფარსმან-ფარუქ, ზაალ და სხვა მხედრები—ცხენოსნები.

რამდენიმე წუთის შემდეგ ყველანი მინდორს გამოვიდნენ და თვალწინ წარმოუდგათ აურაცხელი ოსთა და ხაზართ ჯარი. ჯარის წინ რამდენიმე ახალგაზდა მხედრებს მოეყარათ თავი და უცდიდნენ, სანამდი ვახტანგის ჯარი მოვიდოდა.

ტყიდგან გამოკრებილ ქართველთ ჯარს ვახტანგმა ანიშნა ერთ ადგილას შემოკრება... მეფემ მათ წინ გააჩერა ელიზბარ და სხვები... თვითონ კი ცხენით მინდვრისაკენ შეტრიალდა. მოპირდავირე ბანაკში ყველას სული მიენაბა ვახტანგის შეხედვაზედ... ყველას მოუთმენლობის ნერწყვი აედინა პირში და სურდა საჩქაროდ გარდაწყვეტილიყო ორივე მოპირდაპირე ხალხის ბედი.

თითქოს ჰსურს დაესწროს ამ სანახავს, დიდი მნათობი ის არის გამოცურებულიყო ღრუბელთ ზღვიდგან და ცის სივრცეში შეჩერებულიყო... აღარც ნიავის სისინი ისმოდა უწინდელებრ და აღარც შაშვთ და სხვა ფრინველთ ჟივილ-ხივილი... ყველას სული გაენაბა და ყველა სმენად და მზერად გარდაქცეულიყო. სიჩუმეს მარტო ახლო მომდინარე არაგვი არღვეევდა და კიდეც ეს ახმა-

ურებდა ბუნებას. მთებზედ და კლდეებზედ მომდინარე, იგი გამოურკვეველი გუგუნით და კვნესა-სტვინვით ლოკავდა თავის მაღალს კიდეებს, გადადიოდა კიდე-ღრეებზედ და სადღაც გააფთრებული მიიკლაკნებოდა და მიღრიალებდა... არაგვის ღრიალს და ხმაურობას ერთადერთი ელიზბარი უერთებდა თავის ოდნავ შესამჩნევ ჩურჩულის ხმას... მოხუცი ლოცულობდა, ევედრებოდა ღმერთს მეფის გამარჯვებას და უსჯულოთ დამარცხებას...

მცირე დუმილის შემდეგ, გამოვიდა თარხან-ხაზარი და გოლიათებრ მოითხოვა ქართველთ რაზმიდგან ერთი რომელიმე მხედარი საბრძოლველად.

გამოვიდა ფარსმან-ფარუქ, მაგრამ ქართველთ გულის დასაწყვეტად, იგი გამოსვლისათანავე მოკლულ იქმნა მტრის მიერ... ვახტანგი გააფთრდა, გამოვარდა ქართველთ რაზმიდგან, დაეცა თარხანს და წუთის სიმალვეში ხმლით აკუწა... ქართველთ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა..- მოწინააღმდეგე რაზმში კი შეიქმნა ჩოჩქოლი... გამოვიდა ბაყათარ ოსი... სახე ერთიანად გასწითლებოდა... ცხენი მისი საგულისხმოდ შფოთავდა და წინ გაიერიალების მაგივრად უკან იხევდა...

— ჩვენმა წინაპრებმა სხვაფერ იცოდნენ, ბაყათარ!.. — შეეძახა ვახტანგმა მისს პირდაპირ რამოდენიმე საჟენის სიშორეზე მდგომარე ოსთ წინამძღოლს...

უკანასკნელმა პასუხის მაგივრად ერთი გადიხარხარა, მაგრამ როცა მიხვდა, რომ ტყუილად იცინის, რადგანაც არ გაეგო ვახტანგის ნათქვამი,— შეეკითხა:

— რა?.. როგორ იცოდნენ?

— წინაპრებმა სხვაფერ იცოდნენ,—გაიმეორა ვახტანგმა, მაგრამ სიტყვა ველარ დაასრულა, რადგანაც მერანი მისი ისე შეხტა ზევით, თითქოს ზურგში ლურსმანი ჩაურჭესო...

— წინაპრების აჩრდილადაც აღარ ღირხართ... გთხოვთ მათ სამარის სიმშვიდე არ დაურღვიოთ...—შეესძახა ბაყათარმა ვახტანგს, ერთიც გადაჰხედა თავის ჯარს, ტყავის ქუდი განზედ გადიხურა და სმენად გარდაიქცა... ის მოელოდა ვახტანგისაგან სიტყვის დამთავრებას, ამან კი მის მაგივრად ცხენით ქართველთ რაზმისაკენ შეითამაშა, შეიმალა ცოტა ხნით ჯარში, გაუარა გვერდით ელიზბარს და ლევანს, ერთი შეჭლიმა მათ და წუთში ისევ ბაყათარის წინ გაჩერდა...

ვახტანგის ღიმილის მნიშვნელობა კარგად გაიგეს ელიზბარმა და ლევანმა... მათ კარგად იცოდნენ, რომ ეს ღიმილი უკანასკნელი თხოვნა იყო მეფის მხრით ჯარისადმი მიმართული, არ ეღალატნათ მეფისა და სამშობლოსათვის...—უკანასკნელ აღმოკვნესამდე ვიბრძვი... ვიომებ...—ფიქრობდა ელიზბარი და მალ-მალ შეჰყურებდა დღის მნათობს და ცის სივრცეს რომელთაც თვალს არ აშორებდა. ელიზბარის აზრით, თუ მზე უხვად ჰყრიდა ცეცხლის დორბლებს და ისრებს დედა-მიწისაკენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ მეფე გაიმარჯვებდა... მაგრამ ის კი აღარ მოსწონდა, რომ დილას ორმა ღრუბელთ გროვამ მზემ წინ გაუარა და დედამიწა სულ დაჩრდილა... ერთს ღრუბელს კუზი აქლემივით ამოვარდნოდა ზევით, ხოლო მეორეს კი ხვრელები ვეშაპივით თვალებად დაებრიცა... ეს აღონებდა ელიზბარს...

— ღმერთო! ნინოს ღმერთო! შენს მოსავს მეფეს შეეწიე...—ჩაიჩურჩულა ელიზბარმა და საჩქაროდ იქითკენ გაიხედა, საითაც მეფე ცხენს ათამაშებდა... ბაყათარი ამ დროს თავის ჯარს ამხნევებდა.

— პირველად... ეს მკერდი, — ჩურჩულებდა მარჯვენა ხელის გულზედ დარტყმით ელიზბარი,—ეს მკერდი, ღმერთო... ეს გამიპე მტრისაგან გამოსროლილი ისრით, სანამდინ მეფის სიკვდილს მოვესწრობოდე,—და თან

ლევანს გადახედა. უკანასკნელს მთელი თავისი ყურადღება ვახტანგისთვის მიეპყრა... მას სახე ვეფხვისას უგავდა... მსხვილ-მსხვილი თვალები ტყესავით ხშირ წარბებს ქვეშ ვაშლებივით უტრიალებდნენ... სახე მრავალნაირად ელმიცებოდა, მალ-მალ ენაოჭებოდა და ტუჩების ცმაცუნით და ზეცისაკენ გაპყრობილი თვალებით შეატყობდით, რომ ეს ახალგაზდა სამშობლოსათვის თავდადებული გმირიც, ელიზბარზედ არა ნაკლებ ავედრებდა ღმერთს მეფისა და სამშობლოს ხსნას და გამარჯვებას...

— როგორ? არ გირჩევნიათ? — შეეკითხა ცოტას ხნის შემდეგ ვახტანგი ბაყათარს და ცხენით მის წინ გატრიალდა...

— მე არ მესმის თქვენი, — შესძახა ბაყათარმა...

— მე გეუბნები — რად დავხოცოთ ამდენი ხალხი, უკეთესია ჩვენ ორივემ გამოვშინჯოთ ერთმანერთი!..

— ჰმ... — ჩაიცინა ბაყათარმა და თავის სარდლებს გადაჰხედა, რომელთაც თავიანთ წინამძღოლს ღიმილითვე მისცეს პასუხი.

— გამოდი! — შესძახა უკანასკნელად ვახტანგმა და დაუპირდაპირდა ბაყათარს...

— მეფევ, მეფეო!.. — შესძახეს ამის შემხედავ ქართველებმა ვახტანგს, რომელიც ისარივით გაექანა ბაყათარისკენ.

— ნუ გეშინიან, ბაყათარ, წუნკალისა!.. — შესძახეს სარდლებმა ბაყათარს, რომელმაც გავარდნილის ცხენის მოკავება ველარ შესძლო და ვახტანგს გვერდით გაურბინა...

ქართველნი და ოსნი სრულ სმენად და მზერად აზდაიქცნენ... ყველას თვალი და ყური ქართველთ მეფის და ბაყათარისკენ იყო მიქცეული. ელიზბარი კი ხანდისხან ცის უფსკრულისაკენ გაიხედავდა ლოცვა-ჩურჩულით და ღის მნათობის მდგომარეობას აკვირდებოდა...

ბაყათარმა შემოატრიალა ცხენი, იძრო ხანჯალი და უნდოდა შიგ გულში ჩაერჭო მოპირდაპირესთვის, მაგრამ იმედები და წადილი სულ გაუცრუვდა... გმირმა მეფემ დაასწრო და თავისი ბასრი ხანჯალი ზედ ტარამდინ ჩასხა მეტოქეს. . ბაყათარმა იქავ სული დალია... მისი უკანასკნელი აღმოკვნესა და შიშით თავზარდაცემულ ოსთა დამფრთხალი ჯარის გაქცევა ერთი იყო... ვახტანგი ცხენიდგან ჩამოხტა, თავისივე ხრმლით მოსჭრა თავი ბაყათარს და იქავ მახლობლად მოღრიალე არაგვს მისცა,—მცხეთას მიმირთვიო... უკანასკნელ, გამარჯვებულმა მეფემ ქართველებისაკენ იბრუნა პირი... ყველას უნდოდა მეფისთვის ხელ-ფეხი დაეკოცნა, მაგრამ მეფემ ჯარის ყურადღება გაქცეულ ოსებს მიაქცია. ქართველები ელიზბარ-ლევანის და სხვების წინამძღოლობით დაედევნენ მტერს და სულ მიწასთან გაასწორეს...

აქამომდე გამწყრალი ბუნება, ახლა სასიხარულოდ იღმიცებოდა... მზე გამოცურებულიყო ღრუბელთა ზღვიდგან... არაგვი კი ძველებურად ღრიალებდა და ოდნავ შესამჩნევად მიაქანებდა ბაყათარის თავს ..

ერთი ნაწილი თავის ჯარისა ვახტანგმა ავლადიდებიანად მცხეთს გამოჰგზავნა მათვე გამოატანა ტყვეები და თავის და მირანდუხტ მესაზანდრე იესეთი... დაბრუნებულთ წინ უძღოდა ლევანი... თვითონ ვახტანგმა კი დანარჩენი ჯარით, ელიზბართან ერთად, გადალახა კავკასია, დაამარცხა ჩერქეზნი, პაჭანიკნი... და რამდენიმე ხნის შემდეგ მძიმე ნადავლით აფხაზეთით მცხეთას დაბრუნდა.

შვილის გამარჯვება და ქალის დაბრუნება, ისე ესიამოვნა ავადმყოფ დედოფალს, რომ მალე უმკურნალოდ განიკურნა.

მესაზანდრე იესე თავისი გამამხიარულებელი ლექსე-

ბით კიდევ უფრო მეტს ფერს და ლაზათს სდებდა საერთო მხიარულებას.

ოსებთან ომიდგან დაბრუნების შემდეგ, იმ გრძნობამაც, რომელიმაც დიდი ხანი არ იყო, რაც ლევანის გულში დაიბუდა, მისვე გრძნობაში უფრო ფართო ადგილი იპოვნა... ჩვენ ვამბობთ ლევანის უმანკო სიყვარულზედ ერთ ახალგაზდა, მთვარესავით ბადრ, ედემის ვარდის დასამსგავს არსებაზედ, რომელსაც ბურდუხან ეწოდებოდა სახელად და რომელიც დედოფალ საგდუხტასთან სცხოვრებდა მეფის სასახლეში...

ბურდუხანის სილამაზე მთელს სამეფოში იყო გავარდნილი... ბევრს უნდოდა მასთან შეკავშირება-შეუღლება... მაგრამ, ჯერჯერობით ბურთი და მოედანი ლევანს უნდა დარჩენოდა, რადგან იგი ყველაზედ მეტად დაახლოებული იყო მეფესთან და მასთან ბუნებითი, ვაჟკაცური სილამაზითაც უხვად იყო დაჯილდოვებული. ლევანს უყვარდა ბურდუხანი, უყვარდა სრულის გრძნობით... უყვარდა წრფელის გულით და დიდის ხნის მალვის შემდეგ მზად იყო საჯაროდაც გამოეცხადებინა თავისი უმანკო გრძნობა, ბურდუხანისადმი თავისი უზომო სიყვარული... არა ნაკლების გრძნობით აჯილდოვებდა ლევანს ბურდუხანი—და საქმე იქამდე იყო გაჩარხული, რომ მათს შეკავშირებას წინ არაფერი ედგა, მაგრამ აი რამ დაუშალა საქმეს: ბურდუხან სარწმუნოებით ცეცხლის თაყვანისმცემელი იყო. მის დიდად შეძლებულ შშობლებს ბურდუხანის მეტი არავინ გააჩნდათ. მათი წინაპრები დიდის ხნიდამ იყვნენ საქართველოში, გადმოსახლებულნი ოსეთიდამ და აქ ჟამად მცხეთის მახლობლად სცხოვრობდნენ.

ბურდუხანის და ლევანის ერთმანერთთან დამოკიდებულება შეუმჩნეველად არ დაურჩათ მეფეს და დედოფალს. მათ დიდათ სწყინდათ, რომ ლევანს, მათს საუ-

კეთესო მხედარს, მეფის სასახლეში ურჯულო ბურდუხანი შეუყვარდა და ნებას არ აძლევდნენ ლევანს ბურდუხანის ცოლად შერთვისა, თუ უკანასკნელი ქრისტეს აღმსარებელი არ შეიქმნებოდა... ბურდუხანსაც ბარემ უნდოდა ქრისტიანობის მიღება, მაგრამ შემთხვევა ჯერ არ მისცემოდა, რომ საჯაროდ აღეარა თავისი თავი ქრისტიანად... ეს შემთხვევაც მალე გამოჩნდა.

ერთხელ, როდესაც ბურდუხანმა შეიტყო ლევანისაგან, რომ მეფე-დედოფალი არ სთანხმდებიან მათს შეკავშირებაზე ცოლქმრულის კავშირით, სანამ ბურდუხანი ქრისტიანობას არ მიიღებდა, ქალმა გადასწყვიტა დედოფალს წარსდგომოდა და თავისი თავი ქრისტიანად აღეარა. ასეც მოიქცა...

— მე ქრისტიანი ვარ! — შესძახა ბურდუხანმა საგდუხტს, რომელიც მისის ლევანთან შეკავშირების შეუძლებლობის მიზეზად, მისგან სხვა სჯულის აღსარებას ასახელებდა.—მე ქრისტიანი ვარ!—განიმეორა ბურდუხანმა და თავი რომ ველარ შეიკავა, ცრემლები ღაპაღუპით გადმოუშვა .. დედოფალი გახარებული შეჰყურებდა. ჩაიკონა და კოცნა დაუწყო...

— ახლა ლევანი შენია, ბურდუხან... ვახტანგი რომ შეიტყობს ამას, დიდად იამება და გაეხარდება... ლევანი შენია...—იმეორებდა დედოფალი და ღაპა-ღუპით მომდინარე ცრემლებს უხოცდა ბურდუხანს... ამ დღიდგან ბურდუხანი მეფის სასახლეში სცხოვრობდა განუშორებლივ და კიდევ უფრო დაუახლოვდა ლევანს.

საქმე იქამდე მივიდა, რომ მათს შეუღლებას წინ აღარაფერი ედგა...

იადონი.

(დასასრული იქნება).

ზოგიერთი ცნობები შესახებ საქართველოს ცხოვრებისა.

ბონგოლებმა თავიანთ ბარბაროსობით, რაც ჩვენს ქვეყანას ნივთიერათ დიდი უბედურება-აკლება-ოხრება-დაქცევა და გატიალება მიაყენეს, ისე ზნეობრივათ ერთი-ორათ უფრო მომეტებული ვნება და ოხრება მოუტანეს; ასეთს უბედურს სატირელს სავაგლახო შემთხვევაში, ღირსეული სასულიერო პირნი თავიანთ მოძღვრებრივი გამაცადობა-ვამჭრიახობით წინ უნდა სდგომოდნენ ეროვნებას, გამამხნევებლად და განმაძლიერებლად ყოველს ჭირ-შეწუხებაში, რომ ენუგეშათ და არ გაცივებულიყვნენ ქრისტიანობრივი წეს-წყობილებისაგან. ბაგრამ ჩვენთვის დიდად სამწუხაროთ ისე დამცირებულიყვნენ მაშინდელი ჩვენი სასულიერონი თავიანთ ღირსეულობისაგან ბერძნების სასულიეროთ მიბაძვით *), რომ ცარი-

*) როგორც ბერძნების სასულიერობა გახდა მიზეზი თავიანთ კეისრობის მოსპობისა თავიანთ უკუღმართობითა, ისეცე ჩვენს სამეფოს დაემართა ჩვენი უმეტარი სასულიერობის წყალობითა. ავტორი.

ელი სასულიერო წოდების სახელი დარჩენოდათ, სახრავი და საქმე კი არა-რა სრულიად. მით ჩვენს ეროვნებაშიც ცარიელი ქრისტიანობის სახელი დარჩენილიყო; ჩვენს მადლიანს სარწმუნოებას აღარაფერში ჰქონდა გავლენა, აღარავინ აქცევდა ყურადღებას სჯულ-კანონსაწესიერებასა; წარმართულს ურიგ-მარიგობას, უსინდისობას და რყვნილებას ყოველმხრით საზღვარი აღარ ჰქონდა, იქამდის ვიდრე უმრავლესნი სასულიერო პირნი, მცირედთ გარდა, ერის კაცებისაგან აღარაფრით ირჩეოდნენ, და სადღა დარჩებოდა ღვთის მადლი, კაცთ მოყვარეობა, ერთობა და სანატრელი მშვიდობა სულ-გულისა, რითაც ღვთისაგან კურთხეულ არიან ქრისტიანენი!..

მონგოლების მეტის-მეტ ძალმომრეობასა, უწყალობასა და ცარცვა-გლეჯას, დაემატა არღუნის უწყალობაცა, მეტად შეაჭირვა თავად-აზნაურობა, ვისაც ცოტა რამ კიდევ შეძლება ჰქონდა და ჰირში სული ედგა სიცოცხლისა აღარ ასვენებდა, სიცოცხლეს უმწარებდა, სულის ამოართმევას ულამდა. სხვათა შორის, 1261 წელს აწამა ტანჯვით ხაჩენის ბატონი ჯალალი, დისწული იოანე ათაბაგისა; აგრეთვე მოჰკლა ზაქარია მხარგრძელი, იმ მიზეზით, ვითომც თუ ის აღელვებდეს ქართველობას თათართა წინააღმდეგ! ასეთ მხეცურ უწყალობასთან ერთად ფრთხილი იყო, მედიდური, მეთავსე და ზოგჯერ კაცთმოყვრობასაც იჩენდა ხოლმე. ამათ ყოველ წლივ დღეობა იცოდნენ, მკათათვეში, რომელსაც დიდის დიდებით და ლხინ-სიხარულით ასრულებდნენ ასე, 1264 წელს მიიწვია თურმე დავით მეფე ქართველთა თავის თავად-აზნაურებით და მის სამფლობელოს სასულიერო მაღალი პირებითურთ ქართველთა, ბერძენთა, სომეხთა და ასორთა, აკურთხებინა მათ ღვინო, მიიღო მათი ხელიდგან და ისე სვა ნაკურთხი ღვინო. რა გაა-

წყეს სუფრა და გაიმართა ნადიმი-მხიარულება, ლხინში აგალობა ჯერ ქართველნი, ბერძნები, სომხები და მერმე ასორები; ქრისტიანებმა რომ მუხლი მოუყარეს არლუნს თათრების ჩვეულებისაებრ, არ მიიღო, ააყენა ფეხზედ, ადექითო უთხრა: ქრისტიანები მარტო ღმერთს თაყვანს სცემენ და სხვას კი არაფისაო! ლხინის შემდგომ გაიხმო სასულიერო პირნი და უთხრა ტკბილ-ად: მე ქრისტიანები მეტათ მიყვარსო, მათაც მადლობა მოახსენეს და გული მოუგეს, რაც მის სიტკბო-სიამეს პასუხათ ეკადრებოდა და წამოვიდნენ.

მის დროს დაწინაურდა სომეხი სუმბათ ორბელიანი ნარინ დავითის წყალობითა; რადგან ბაჩუ და ბათუ ხანები ერთიმეორის დაცილებით თხოულობდნენ რუსუდან დედოფალს და არც ერთს მისდევდა რუსუდანი; ბაჩუს წყალობით, რომ გამეფდა ლაშა გიორგის ძე დავითი და ნარინ დავთს კი ჰმტრობდა, ბათომაც ბაჩუს ჯავრზედ მერმე გაამეფა ნარინ დავითი მისთვის, რომ ეგებ რუსუდან დედოფალი მომყვეს მე ცოლათაო. ასეთ მოკილებს ხომ თავის მოწამეობით მოარჩინა თავი რუსუდანმან, 1248 წელსა. წინათ ბაჩუმ დააჭერინა ნარინ დავითი, კაპანს დეკნული, და დაატყვევებინა. ნარინ დავითმა ხელი იგდო მარჯვე დრო და გაიპარა ტყვეობიდან სამი კაცით, შეხვდა ამას გუდენის სოფელთან სომეხი სუმბიო ორბელიანის მოურავი, სომეხი თანგრეული, ამან რა მოინდომა დაჭერა ნარინ დავითისა, ამოიღო ნარინ დავითმან ერთი წითელი ძვირფასი იაგუნდის თვალი და ჯვრის ნაწილი, მისცა მას და უთხრა: აგერ ესენი მიართვი ჩემს მაგიერ შენს ბატონს სუმბატს, რომ შემინახოს, მთელ ჩემ სამეფო სამფლობელოთ ღირან, თუ მოვბრუნდი შშვიოობით, მეცე უკან დამიბრუნოს, თუ არა და ღმერთმან მას მოახმაროსო... ეს თვალი სუმბათ ორბელიანმა მიართვა ძღვნად ბაჩუს, მანაც ახალ მანგუ ხან-

თან გააგზავნა და მისგან მრავალი წყალობა მიიღო ორბელიანმა. მისგამო დაემეგობრა სხვათა შორის დიდად არღუნსაც.

1254 წელს, გასწერა მანგუ ხანმა საქართველო სალიმხეთოზედ 10 წლის ზეით სულზედ 60 დრაჰკანი, ამ გარდასახადიდგან თავისუფალნი იყვნენ მხოლოდ დეკანოზნი, მოხუცებულნი და სასულიერონი. ასეთი მძიმე გარდასახადით მრავალი უბედურება, ტანჯვა, აკლება და აწიოკება მოხდა. ხარკის მკრეფელი არღუნი მეტად აწუხებდა თავად-აზნაურთა და ისინიც მოქალაქეთა, ხელოსანთა და სოფლის ერობას დიდათ აჭირვებდნენ იქამდის, რომ აღარავის შერჩა საცხოვრებელ-საბადებელი. გულიდგან ბერანგს იძრობდნენ, პირიდგან ლუკმას და მაინც კიდევ ვერ ათავეებდნენ გაჩენილ გარდასახადსა. ასეთს უსამართლოებაზედ ჩააბეზღეს მანგუ ხანს არღუნი თუ არა, მან მაშინვე დასაჯა-დაატყვევა (1255 წ.), რითაც ცოტა რამ მოისვენა ქვეყანამ. თათრებმა არ მოასვენეს სუმბათ ორბელიანი, დაუწყეს შეწუხება, მის გამო წავიდა მანგუ ხანთან, არა მარტო თავის საქმეები გაირიგა და დაიმართა სამართალი, ისევე უმაშვალა თავის ერთ სულ-გულს არღუნსა და გაანთავისუფლებინა დასჯისა და ტყვეობისაგან, მით დაბეგინდა ისევ თავის თანამდებობაზედა და უფრო უარესად დაწვა-დახრაკა ქვეყანა თავის უწყალობით. ამისთვის ემდურიოდნენ თავად-აზნაურნი მეტად სუმბათ ორბელიანსა, რომ ქვეყნისა არა ენაღვლებოდა რა, თავის სარგებლობას უყურებდა და სხვა კი არაფრისა არ ჩაჰქროდა გულში! სწორეთ ასეთს მონგოლების მიჩნეულ მიღებულ კარგ კაცზედ დაურჩა ჩვენს დავით მეფეს უფლის წულების აღზრდის საქმე, მას მიანდო სხვათა შორის დიმიტრის აღზრდაცა და აღზარდა კიდევაც.

1265 წელს რა მოკვდა სუმბათ ორბელიანი, უშ-

ვილძირო უმემკვიდრეოდ. გაამთავრა მეფე დავითმა ძმა მისი ტარსაიჭ ორბელიანი; თავიდგანვე გულ-უბრყვილო მეფეს ისე შეუწყო ხელოვნურად ხელი, რომ დიდათ შეაყვარა თავი, მეტის მიჩნევა-მიღებულობისაგან არ იცოდა თუ რით გარდაეხადა ისეთი მისი მოკეთობა. ერთ დღეს წინადადება მისცა მეფე დავითმა ტარსაიჭ ორბელიანს: მთხოვე, რაც გინდოდეს გაბედვით, კადნიერათ, ყოველიფერს აგისრულებო (როგორც სწერს ეპისკოპოსი სტეფან ორბელიანი). და ტარსაიჭმაც სთხოვა, რათა მოესპო ის სახელ გატეხილობა ორბელიანებისა, რომ ულალატეს თამარ დედოფლის მამას გიორგი მეფესა, რისთვისაც ამოწყდნენ უმრავლესნი ორბელიანებისაგანნი. და მეფემაც მოსპო ისეთი მათი დანაშაულობის სახსენებელი! ახლა ამ ტარსაიჭ ორბელიანმა უწყო ზრდავარჯიში დიმიტრის უფლის წულსა, ყოველ-რიგად ამზადებდა ღირსეულ მემკვიდრეთ მეფობისა და სურვილიც აუსრულდა.

რა მოკვდა ლაშა გიორგის ძე დავით მეფე, სხვანი ცდილობდნენ სხვათა გამეფებას. გარნა ტარსაიჭ ორბელიანმა იხმარა ჯეროვანი ყოველი ღონე-საშვალება და 1271 წ. დავით მეფის ძე დიმიტრი გაამეფა, მით მიიღო მისგან ჯილდოთ ათაბეგობა ტარსაიჭმა. მაშინ შეირთო მან ცოლათ ვიღაცა სივნის ამირის ქალი სახელათ არუზხათუნი და გააქრისტიანა სომხათ, მისგან შეეძინა სამი შვილი—ილიკო, სტეფანე და ფარხადოლა. დიმიტრი მეფე გულკეთილი კაცი იყო და კარგი ქრისტიანი, გარეგანათ ყველას სიკეთეს უშვრებოდა, მწყალობელი იყო სასულიეროთა, ეკკლესიათ-მონასტრების მაშენებელ-მოკეთე იქამდის, ვიდრე ტარსაიჭ ორბელიანის თხოვნით 150 სომხების მონასტერი გაანთავისუფლა გარდასახადისაგან და მრავალი ეკკლესიანიც შეაკეთებინა. შემდგომ კი, რა გაერთო მონგოლების დიდ-კაცობას, მიჰ-

ბაძა მათს ყოფა-ქცევას ნელ-ნელა და გაირყვნა შინაგანათ, ისე როგორც გარყვნილ იყვნენ დიდკაცობა ქართველთა თუ სომხებისა მონგოლების გვაჯითა, როგორიც იყო სადუნ არწრუნი სამ ცოლოსანი, რომლისგანაც თქმულა ეს სახალხო ლექსი: «მე ვარ და ჩემი ნაბადი გამთენებელი ღამისა, მოვჰკვდები ჯავრი ჩამყვება სამი ლამაზის ქალისა-»ო და სხ. დიმიტრი მეფემაც ასეთს უწესოებას მიჰმართა: პირველი ცოლი ბერძნის მეფის ქალი იყო, რომლისგანაც შეეძინა დავით, ვახტანგ, ლაშა გიორგი და მანოელი. მეორე ცოლი შეირთო მინა ხაჩენის ბატონის ასული ჯალალ წამებულისა, რომლისაგან შეეძინა ერთი ასული, რომელიც ცოლათ შეირთო დიმიტრი მეფის სიკვდილის შემდგომ ძმამ მანოელმან (როგორც სწერს ორბელიანი). მესამე თათრის ცოლისგან ორი ძენი—ბაადურ და იადიგარი, ერთიც ასული ჯიგდა-ხათუნ; მეოთხე ცოლის ბექას ასული ნათელასაგან მარტო ერთი ძე გიორგი ბრწყინვალე ეს ნათელა სტუმრათ ყოფილა თბილისს დედა მისის დეიდასთან და მისგან ძალათ მოუტაციათ და მოუყვანიათ სადედოფლო სასახლეში და შეუმოსია მას უნებურათ ცოლათ მეფე დიმიტრისა, რის გამოც აუტეხია საჩივრები ბექას ნიკოლოზ კათალიკოსთან და მონასტრებში, მაგრამ არა გაუხდა რა!

1280 წელს ტარსაიჭ ორბელიანმა აკურთხებინა მღვდლათ თავისი შვილი სტეფანე; ამ დროს განუდგა აბაღა ხანს თავის ძმისწული თაქუდარი (ნიხოდარი), შეჰკრიბა 40,000 თათრის ლაშქარი და უწყო ოხრება ტყვე-დავლითა სომხეთსა. გაუჭირდა რა მისი დამდაბლება აბაღახანს, მოიშველია თავის შემწედ დიმიტრი მეფე ქართველთ თავად-აზნაურებითა, შეება ძლიერათ, დაამარცხა სრულ იათ, დაიჭირა თაქუდარი და შეამწყვდევინა თავრიზის მახლობლად ურმის ტბის კუნძულზედ (ორ-

ბელიანი, მალაქია, ბარებრეო და სხ.). როცა მოკვდა აბაღა ხანი, გამოიქცა სატყვეოდგან თაქუდარი, შეიცვალა სჯული, დაირქვა სახელად აჰმედ-ხანი და გამეფდა თავრეზში! მაშინ აბაღა ხანის შვილი, ხსენებული არღუნი ხორასანში მთავრობდა. ეს მოვიდა მის უგრძნობლათ, დაესხა თავს, დაამარცხა, დაიჭირა აჰმედ-ხანი და დაატყვევა. თათრის მთავრებს რომ სძულდნენ, მოჰკლეს აჰმად-ხანი და გაამეფეს არღუნი 1284 წელსა, რაზედაც დიდი შემწეობა მისცა დიმიტრი მეფემ ქართველთა, რის გამოც მისცა მას ხელთა მთელი სასომხეთოც საქართველოსთან ერთათ და მით მიენდო სამმართველოთ არარატის მხარე ტარსაიჭ ორბელიანსა. მაგრამ დიდ ხანს ვერ დაიმშვენა ესრეთი უფლება დიმიტრი მეფემან, არ იცოდა, რომ სიკეთისთვის სიავე მოელოდა არღუნისთანა დაუნდობელი ბარბაროსისაგან.

რამდენიმე წლის შემდგომ შენიშნა არღუნმა განდგომა თავის ქვეყნების მმართველ ნოინთა და მათ შორის დიმიტრის ერთგულ ნოინს ბუღასაცა. ამათი შორშოფი მოხვდა ქართლ-სომხეთის მმართველთაცა, ესენი წააყვანინა არღუნმა თითო-თითოდ და ამოწყვიტა. ბოლოს ,რიგი მოდგა დიმიტრი მეფეზედაც, რომ მას ჭგონებდა მეთაურათ მმართველთა; ისე საშინლათ ჩასმენილ-ჩაბეზღებული იყო მტრებისაგან, რომ აღარ ინება ნახვა მისი, რომ გამოეკითხა ყოფილი ავ-კარგი, შეეტყო სიმართლე და იმის დაგვარ მოჰპყრობოდა. აღარ მოიგონა მისი ერთგული თავ-განწირულობა, რომ რამდენ ომ-ბრძოლაში შესწეოდა და რამდენს შემთხვევაში პირთეთრათ და გამარჯვებულათ გამოეყვანა და აემაღლებინა თავის ღირსეულობისა და ზომის გარეთ ეგრეთი დაუნდობელი მუხთალი ვინმე კაცის არა მსგავსი ნამდვილი მხეცის ბუნებისა!.. მიიწვია ფიცხლავ, რომ მისულიყო, საშუროთ წამდგარიყო არღუნთან და გაემართლებინა

თავი მის წინაშე თავის სამეფოს სასარგებლოთ, რომ არ აწყვეტილიყო უბრალოთ უდანაშაულო მთელი ქრისტიანობა მისი მიზეზითა!

რა მიიღო ესრეთი ფიცხი ბრძანება დიმიტრი მეფემ, ქვეყნის უვნებლათ დაცვისათვის აწყვეტა-აოხრებისაგან, მეტი ღონე-საშვალება არა ჰქონდა რა, უეჭველათ უნდა წასულიყო თავ-განწირვით, ან უნდა გამართლებულიყო მეფობრივ დიდებულად და ან უნდა მოკლულიყო მსხვერპლათ თავის სამეფოსთვის, რომ ქვეყანა უვნებლათ დარჩენილიყო ერთიან მრთლათ. ბევრი რჩევისა და სჯის შემდგომ თავის სასულიერო და დიდებულ პირებთან, უკეთესად არჩია თავის დადება და განწირვა ქვეყნისათვის თავის ცოდვების შესანდობლათ, იცოდა უეჭველათ, რომ მოიკვლოდა!.. მაშინ რაც შეიძლებოდა ხელათ მიაფარ-მოაფარა აქეთ-იქით სიმაგრეებში ცოლ-შვილნი: ნათელა და მისი ძე გიორგი ბრწყინვალე 10—12 წლისა გაუგზავნა სამცხეს ბექასა, რომ მან იმხანს შეაფაროს დედაშვილი ფრთხილათ. ამ თავის ბოლო უკანასკნელ დღეს, რა გარდააცლო თვალი თავის სიცოცხლესა დიმიტრი მეფემან, დაჰნანდა დიდათ თავის უწმინდური გარყვნილობა, დედათა უწეს-რიგო მოყვარულობა, სჯულ-კანონის შეურაცხყოფა, და მთელი ქრისტიანების დამაბრკოლებელი მიცემული მიზეზები, იცოდა ნამდვილათ ქრისტიანული კეთილი ცხოვრების გზა-კვალი, მხარე, საქმე ყოფაზედ მიწევნით, რაზედაც ყმაწვილობიდგანვე მიჩვეულ-მითვისებული იყო დიდის მისწრაფებათ დიდ ხანსა და მერმე კი წარმართ მონგოლების მიყოლით გზა და კვალი შეეშალა, ეღალატნა თავის სულის ცხონებისათვის და სხვა მრავალთ სისხლშიც შესულიყო და დაემცირებინა ქრისტეს წმიდა სარწმუნოება. ნანობდა, სწუხდა დიდათ ღვთის შეწყენისათვის, სტიროდა მწარედ და იცემდა მკერდში ხელსა და ამბობდა მონანულ მეზ-

ვერესავით: «ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსაო»!.. აგონდებოდა კათალიკოზების სწავლა-დარიგება, ვედრება, ხვეწნა, მუდარა, რომ განშორებოდა უსჯერო ქორწინებასა, ქრისტიანულათ ეცოცხლა, მაგრამ არ გაუგონა არავის სიტყვა-ვედრებას. მერმე რომ მოვიდა მთაწმინდით მამა ბასილი ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის სახელით, წარსდგა მასთან უშიშრათ და ამხილა ყველა შეცთომილებანი მისნი, უთხრა: „დიდებულო მეფეო დიმიტრო! ცხებული ხარ ღვთისა გამორჩეული მისგან წინამძღვრათ და მცველ-მფარველად შენს ყოველ ქვემრდომთა. ტაძარი უნდა იყო ღვთისა შენისა ერობის კეთილ სამაგალითო მისაბაძავად და ეგ რა არის, რომ უწმიდურ მეძაობის საბუნაგოდ გიყვია შენი სულ-გული დამაბრკოლებლად მთელი ქვეყნისა? გირჩევ, გამიგონე, გაშორდი, განეყენე, მაგ უწესო ქორწინებათა. ერთი მეუღლე დედოფალი მოუცია ღმერთს შენთვის მისი ნაყოფი შვილებითა, დაკმაყოფილდი მით, ნუ ჰღალატობ ღვთიურ კურთხევასა, „რომელნიც ღმერთმა შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებსო“, გვეუბნება თვით იესოქრისტემაცხოვარი ჩვენი. როცა მას ერთს ჰღალატობ, მისგან განშორება არის დამერწმუნე, იცოდე, თუ არ მოიქცევი და არ შეინანებ შენს უკეთურობას, დაისჯები ღვთისაგან, მოიკვლი მძლავრთაგან, ოხრად დაგრჩება ცოლშვილნი და აიკლება ყოველი შენი საბადებელი მტრისაგან»... ამათ და ამათთანებს იხსენიებდა და მწარედ სტიროდა! ა'ეთ მონანულმან სთქვა აღსარება, ეზიარა და ევრედ გაუდგა თავის გზას მეფე დიმიტრი ღმერთზედ მინდობილი. გზაში მიმავალობისა აღარ აცალეს მისვლა-მიწევნა არღუნამდის. დახვდნენ მოვაკნის მინდორში მტარვალნი, შეიპყრეს კადნიერად, იმდენი აცალეს რომ გამოესალმა თავის ხლებულთ თავად-დიდებულთა, დალოცა თავის სამეფო, ილოცა ცოტა რამ და მოჰკვეთეს თავი დიმიტ-

რი მეფესა მტკვრის პირსა, 1289 წელსა. და ასე ასრულდა ეშმამა ბასილის წინად-თქმულება!..

1287 წელს, რა მოკვდა მთავარ-ეპისკოპოსი სივნისა სომეხი, გააგზავნა ტარსაიჭ ორბელიანმა თავისი შვილი მღ. სტეფანე კილიკიის სომხის მეფე ლეონთან და სთხოვა ეკურთხებინა სივნის ეპისკოპოსათ. მიიღო ლეონ მეფემ მისი თხოვნა და მართლა აღდგომა დღეს აკურთხა კილიკის კონსტანტინ კათალიკოსმა მღ. სტეფანე სივნის მთავარ-ეპისკოპოსათ და გამოაგზავნა თავის სამრეველოში, ამან დიდი არევ-დარეულობა და ანღვრეულობა მოახდინა მართლმადიდებელ სომხების სასულიერობაში, თავის რიგ გარე მედიდურობით და სიამაყით არავის არ სთვლიდა არაფრათ, სდევნიდა მეტად ქალკედონის მსოფლიო წმ. კრების მოსავთა, რისგამოც მრავალთ უწყეს წინააღმდეგობა და ურჩობა; მით სტეფანე ეპისკოპოსი წარვიდა არღუნთან, დაიმტკიცა მთავარ-ეპისკოპოსობა, მოვიდა თავის ადგილსა და უარეს უწყალო ბარბაროსულათ მოეპყრა სასულიეროთა. თავის ენა-პიროსნობით მრავალ სომხებს გული აუმღვრია ქალკედონის წმ. კრებაზედ, არა მარტო უსწავლელ უგუნურ პირთა, ისევე მრავალი თავად-აზნაურობაც შეაცდინა. ამ სტეფან ეპისკოპოსმან შეთხზა წიგნი წინააღმდეგ მართლმადიდებლობისა, რომელსაც ჰქვიან ხელყოფა თუ სა ხელდახელო სტეფან სივნელისა, რომელიც დაბეჭდილია ქ. კონსტანტინეპოლს სომხებისაგან, ეს სხვა არა რა არის, თუ არ გიჟური ბოდვა-ყმედობა და უგუნური თავის აგდება. აგერ ამ სტეფანე ეპისკოპოსმან ჩაიგდო ხელში მიხითარ ანელის ზღაპრული სომხის ისტორიის ზოგიერთი ნაწყვეტ-ნაკუწი ნაწილების წყაროები, ჩაურთო. მიაკერ-მოაკერა ჩვენს ქართულს ისტორიაში ისეთს ჩვენ გაჭირვებულს დროებში და გარდმოსცა ჩვენს ქართველობას ძვირფას დიდ საუნჯეთ, რაც დიდის მისწრაფე-

ბით გადიწერ-გადმოიწერა მრავალნი, ისევ სომხის მწერლებისაგან, რომლებიც ჰმსახურებდნენ ქართველთ სამეფოში და თავად-აზნაურებთან ხშირათ!

1299 წელს, რაკი მოკვდა ტარსაიჭ ორბელიანი, დაეცილნენ ურთიერთ მისი შვილები მთავრობაზედ, არლუნმა ილიკო გაამთავრა, მისცა რამენაწილიც ჯალალს, მის ძმას, მეორე ცოლისგან შეძენილსა და მათ ბიძაშვილთა. 1304 წ. რა მოკვდა სტეფან ეპისკოპოსი ორბელიანი, ეკურთხა ებისკოპოსათ იოანე მისი მონათესავე, რომ ალარავინ იყო მათი მოდგმისა საერთონი, მას დარჩა ბატონობა სივნისა ერთ ხანს. რა ესეც მოკვდა, მოიხსენ ყოველი მათი სახსენებელიო, ასე ათავებს მათ ცხოვრებასა მ. მიხაელ ჩამჩიანი თავის შედგენილ სომხების ისტორიაში...

ვინმე მესხი.

ბიბლიოგრაფია.

И. Заозерскій и А. Хахановъ. Номиканонъ Іоанна Постника въ его редакціяхъ: грузинской, греческой и славянской съ предисловіемъ издателей. Изд. Император. Общества Исторіи древностей Россійскихъ при Московскомъ Университетѣ. Москва 1902 г. цѣна 2 рубля, 192 გვ. ჩვენ წინ სდევს ახალი წიგნი ქართული საეკლესიო უფლების შესახებ, გამოცემული ჩვენის დაუღალავის ისტორიკოსის ხახანაშვილის მიერ. გაკვირვებას მიცემიხარ—რას შვრება ეს კაცი, თითქოს მას უნდა თვისი ენერგიით და შრომის-მოყვარეობით დაჰფაროს ჩვენი ქართველების სიზარმაცე და უსაქმობა. ყველამ იცის, თუ რა ღვაწლი მიუძღვის ამ მეცნიერს ჩვენ წინ,—ამაზედ ლაპარაკი აქ მეტია. გამოცემული წიგნაკი ეხება მეტად საინტერესო და ჯერ კიდევ გამოუკვლეველ რუსულ საეკლესიო უფლების კითხვას (ქართული საეკლესიო უფლება—როგორი ირონია გაისმის ამ სიტყვებში)—საეკლესიო დისციპლინის, ე. ი. სასჯელის სხვადასხვა დანაშაულზედ ზნეობრივი ხასიათის; ეს არის ეპიტიმიების ნომოკანონი, სხვადასხვა ეპიტიმიური სასჯელის კრებული და სხვადასხვა გვარი ზნეობრივი დანაშაულის წინააღმდეგ. ეს ნა-

მოკანონი გადმოვიდა ჩვენში და რუსეთშიც ბიზანტიიდან.

იოანე მმარხველის ნომოკანონის თარგმანი ეკუთვნის ათონის ივერიის მონასტრის ბერ-ბონაზონ ევთიმე მთაწმინდელს მე-IX საუკუნის დასაწყისში. ამისი სლავიანური თარგმანი უფრო ადრე პერიოდს არ უნდა ეკუთვნოდეს. პროფესორმა ზაოზერსკიმ წიგნის წინასიტყვაობაში განიხილა უძველესი რედაქციები იოანე მმარხველის ნომოკანონისა და იგი მისი რედაქციების ხრონოლოგიის მოძებნაში ხშირათ ჩვენს ქართულს თარგმანსაც იხმარიებს. ბ. ხახანაშვილი სარგებლობდა ოთხი მანუსკრიპტით თვისი ნომოკანონის გამოსაცემათ. ეს წიგნაკი—ძლიერ საინტერესო და საყურადღებოა, რომელიც ფარდას ჰხდის ჩვენის წარსულის საინტერესო კუთხეს და მეორე მხრით გვეუბნება ჩვენს კულტურულს დამოკიდებულებას ჩვენს მეზობლებთან—ბიზანტიელებთან—ძლიერ ცუდ აზრსა ჰბადებს ჩემში. თავი დავანებოთ დღეს იმას, რომ საქართველოს ისტორიის „მეცნიერულათ“ (დიახ მეცნიერულათ და **არა ზღაპრულათ**) შესწავლა კუს ნაბიჯით მიდის. ეს ხომ ფაქტია, ჩვენ მეორე მხარეს მივაქციოთ ყურადღება—ჩვენი ისტორიული ნაშთების მდგომარეობას, ისინი რომ უპატრონოთ იღუპებიან; ჩვენი საქართველოს კუთხეები თვისი უძველესი ნაშთებით, ჩვენი ბრწყინვალე თავად-აზნაურების ოჯახები სავსეა ძვირფასი ისტორიული მასალით და იგინი ზოგი პატრონების უმეცრებით და ცრუ თავმოყვარეობით, ზოგი ჩვენი დაუდევრობით—იღუპებიან და იკარგებიან. ჩვენი ეპიგრაფიკა, ქართული ეპიგრაფიკა, ე. ი. წარწერების შეკრება?!. ღმერთო ჩემო, ეს ხომ სასაცილო რამ არის, ქართული ეპიგრაფიკა ხომ ჯერაც არ დაბადებულა! ჩვენ არ გვაქვს საზოგადო მოსაზრება დავაარსოთ საზოგადოება, რომელმაც იკისროს ასეთი

ნაშთების კრება-ძიება, მაგრამ ნუ თუ თითეული ჩვენგანი ვერ მიხვდება ამის საჭიროებას—ნუ თუ თითეული მოსწავლე-სტუდენტი და არა-სტუდენტი კანიკულების დროს ვერ მოსძებნის ასეთს დოკუმენტს და ვერ წარავლენს სადაც ჯერ არს... ნუ თუ ჩვენი სოფლის მასწავლებელნი და მღვდლები ამას ვერ იზავენ, მგონი საძნელო არა არის რა, საჭიროა სურვილი და ჩაგონება. ამას გარდა ეს ნაშთნი და მათი შეკრება არა მარტო ჩვენს ისტორიას წასწევს წინ, არამედ დიდს სარგებლობას მოუტანს საერთოთ მეცნიერებასაც და კერძოთ რუსულ მეცნიერებასაც. აი, მაგალითიც: რამდენიმე ხნის წინ პატივცემულმა მ. ჯანაშვილმა აღმოაჩინა ახალი მანუსკრიპტი, რომელიც ეხება სკვითების კონსტანტინეპოლში შესევას 626 წ. ამ მნუსკრიპტის კოპიო დაგვითმო ჩვენ პატივცემულმა მოღვაწემ, რისთვისაც ჩვენ გულითად მადლობას ვუძღვნით. ამ მნუსკრიპტის შემწეობით და ჩვენი მასწავლებელი პროფესორის დახმარებით მოვამზადე და მალე გამოქვეყნებული იქნება ნრომა, რომელიც შეიტანს ახალს შუქს რუსების და ბიზანტიის უძველეს დამოკიდებულებაში. ეს ერთი, და ასეთი მაგალითები ბევრი არის. ოღონდ დროა თავი ავიღოთ და ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ გამოვტაცოთ ჩვენს უგუნურებას და ბუნებრივი კანონების მოქმედებას ძვირფასი მაჩვენებელნი ჩვენის წარსულისა. ამას გარდა მგონი ურიგო არ იქნება ჩვენი ბრწყინვალე თავად-აზნაურობა თვის კრებებზედ აღძრავდეს ამ კითხვას და ორასიოდე მანეთს გადასდებდეს ამ დიდი და საშვილიშვილო სამეცნიერო საგნისთვის. ვისაც სმენა აქვს ისმინოს. უნდა მალე ვუშველოთ ჩვენის წარსულის მაჩვენებელ ბოძებს, თორემ ისინი გაქრება და ჩვენი წარსულის ფერფლი-ღა დაგვრჩება.

ს. ავალიანი.

სახარება იოაკიმ და ანანასი *).

ობა ერ წმინდის მარიამისა. თავისი მშობელნი იყვნენ და შვილნი არა ჰყვანდათ. ერთსა დღესა ტაზარის დღეობა მოუვიდათ და აიყვანა იოაკიმმა საღმრთო ცხვარი და წავიდა თაყვანის საცემათ. და როცა მიდიოდა, სხვანიც ბევრი მიდიოდნენ და იოაკიმის ცხვარი წინ მიდიოდა ხტომითა და ეს ეწყინათ სხვათა და უთხრეს, შენ უშვილო ხარ, შენი საღმრთოს შეწირვება ღირსიც არ იქნება. შენ რათ გამოერიეო. შენი პურიც არ იქმება. წაიყვანე შენი ცხვარიო და გაგვეცალეო. როცა რომ მოაბა საბელი თავის საღმრთოს და გამოიყვანა და დაბრუნდა შინისაკენ, დაღონებული ტირილითა ვაის იყრიდა და ილოცდა ტიროდა მუდამ გულში. მეორეთ კიდევ მიბრუნდა და ც...ეთ დაკლდა (?) დაიჩოქა და ელაღადა ტირილითა. შენ უფალო ღმერთო გამჩენო ყოვლისაო სულდგმულის. მიგიცია ყოვლისა სულდგმულისათვის შვილით გამრავლება.. შობა, რომ

---

*) ხელნაწერის № 448. ტფილისის საეკკლესიო მუზეუმისა.

მუდამ უხარიან თავის მუცლის ნაყოფზედა და აწ მარტო მე გავხდი დაღონებული და საძაგელი. ყოველი სულდგმული სულდგმულში გევედრები შენ მეუფეო ჩემს ხვეწნას და ვედრებას ყური მოუგდეო. და თუ ულირსი ვარო და მაგ ღირსი გამხადეო მეც შვილისაო და ისევ შენ შეგიწირაო ნაყოფი მუფლისაო.. ამისთანა სიტყვებს ბევრს ანბობდა. ლოცვა დია და ადგა და წავიდა შინისკენ და ნახა, რომ თავის მეუღლე ნაღვლიანი იყო, და კითხა იოაკიმმა ანანას რათ ხარ დაღონებულიო. უთხრა, როგორ არ ვიყო დაღონებულიო. ქვეყანას უხარიან თავიანთ მუცლის ნაყოფზედაო და მე მარტო გავხდი საძაგელი და ქვეყანაში უშვილო ვარ მეო. მერმე ქმარმან უთხრა: თუ ჩემი საღმრთო არ გამარევინესო სხვათა კაცებთა თავიანთ საღმრთოშიო და გამაგდესო და შემარცხვინესო. და ტიროდნენო მრავლისაო ცრემლითა დიდხანს. და უთხრა იოაკიმმა ანანას აცა ამტოლი საქონელი სულ შენთვინ მომიცია და მე წავალო მთაშიო და ვილოცამო. წავიდა და უთხრა უდაბურს ადგილსაო. და ილოცა ორმოცსა დღესა და ღამისა მშიარი და მწყურვალი. და ანანაც შინ ლოცულობდა. ინახავდა მარხვასა ორმოცსა დღესა და ღამესა. ერთსა დღესა ანანა შევიდა ბაღშია. დაჯდა ხის ძირში და ტიროდა. რომელიც შინ დაღონებულაო ანანავ რომ აქამდინ შვილი არ მყვანდა. ახლაც კიდევაც დავქვრივდი ქალ ანანავ კაცთაგან საძაგელო დედაკაცთაგან დაჩაგრულო. ვაი შენ, ანანავ, ყოველი ხილნარი და ბალახი ყველანი ნაყოფს გამოიღებენ და შენ კი არა. ყველა ფრინველს ბარტყი ჰყავს და შენ კი არა. ვაი შენ ანანავ, რომ თევზნიც წყალში თავიანთ ნაყოფზე ხარობენ და შენ კი არა. ასე ვაის იყრიდა. ტიროდა და ზევით შეხედა. ნახა ჩიტებმან ბარტყი გააფრინეს და უხაროდათ. და როცა ნახა ანანამ, ამოუჯდა გული, შექნა ბღავილი და შეს-

ტირა ღმერთსა და იტყოდა: უფალო მპყრობელო ცისა
და ქვეყნისაო, გამამხიარულე მეცაო, რომ როცა ეს ჩი-
ტები ხარობენო. იმავ ჟამსვე მოუვლინა ანგელოზი და
უთხრა: ანანავ, გაიგონა ღმერთმა შენი ლოცვა და აგი-
სრულა ქალი და სახელი მისი მარიამ. რომ არის განა-
თლებული და ყოველნი გვარნი და ნათესავნი იმას შე-
უდგებიან. როცა გაიგონა ეს სიტყვა ანანამ, დიახ გაი-
ხარა და დიდები (?) მისცა ღმერთსა და წავიდა თავის
ქმარის სახარებლად. იოაკიმ წამოსული იყო და შუა
გზაზედ შემოეყარა და უთხრა ანანამ: ნეტავი შენ იო-
აკიმ, რომ შენი ლოცვა გაიგონა ღმერთმა და გიტება
(გიტევა?) და უნდა მოგცეს ერთი ასეთი ქალი, რომ
ქვეყანა მას უნდა ნატროდეს. და უთხრა იოაკიმმა ანა-
ნას: როკორც შენ გახარა ანგელოზმა, მეც ისე მახარა
და სიხარულით წავიდნენ შინა და ღმერთმა მისცა შვი-
ლი. დაორსულდა ანანა. შვიდის თვის ორსული იყო,
რომ დაიბადა. ეს იმისთვის, რომ დედმამანი ნატრულნი
იყვნენ, იმისთვის მალე შობა. იმ ღამეს იოაკიმმა სიზმა-
რში ნახა, რომ თავისი ყავარჯენი აყვავდა. ხილი მოი-
სხა. დიდი მაღალი გაიზარდა და ყველა სულდგმული
იმის ხილისაგან ცხოვრობდნენ და არ აკლდებოდა კიდევ
უფრო ბევრს ისხამდა. გაიღვიძა და ღმერთს მადლობა
მისცა და შეუთქვა: მარიამს ტაძარსა ყოველთვინ წლის
თავზე წაიყვანდნენ ტაძარში საღმრთოს იქმოდნენ. და
როცა გაიზარდა მარიამ ოთხის წლისა, მოსხლიტეს ძუ-
ძუსა და წაიყვანეს ტაძარში სალოცავათ და ერთი თეთ-
რი დეკეულიც საღმრთოთ წაიყვანეს. როცა რომ დაკ-
ლა ხუცესმა დეკეული, ნახა რომ მეორე ძაღრეკებიდამ
რძე გამოსდიოდა სისხლის ჯაგვრათ. ნახეს ხუცებმან და
საბრელომი (საბრალონი?) გაჰკვირდნენ იმ წამსვე მღვდე-
ლთა უფროსასა წინასწარ მეტყველი და თქვა: თქვენ
ყოველნი სავალ უნდა რომ ერთი ქალწულისაგან უნდა

დაიბადოს მხსნელი ისრაილისა. და იოაკიმმა უთხრა ალ-
სარება ანგელოზისაგან ხარება თავის სიზმარი და მიაბა-
რა მარიამ ხუცესთა და წავიდა შინა და ცოტა ხანს მო-
კუდნენ მარიამის დედ-მამანი და გახდა მარიამ თოთხმე-
ტის წლისა ტაძარშია სხვა ქალწულებთან და ის ქალ-
წულნი როცა გამოვიდოდნენ კარშია და მარტო მარიამ
დარჩებოდა და სხვანიც გაიგონებდნენ ანგელოზის ხმას.
ელაპარაკებოდნენ მარიამს და როცა რომ შევიდოდნენ
და იკითხავდნენ, ის ხმას არ გასცემდა ამათ და იყო ჩუ-
მათ. კიდევ ნახავდნენ სხვანი ქალწულნი როცა მარიამ
ლოცვაზედ დადგებოდა პირი გაუნათდებოდა. ისინი ხუ-
ცებს ეტყოდნენ და ხუცები მივიდოდნენ და უყურებ-
დნენ მარიამს ლოცვაზედ და ვერას ნახავდნენ დარ (==და
არ) დაიჯერებდნენ. ერთს ღამეს უთხრა ანგელოზმა სი-
ზმარში ხუცებს, მაგ ქალწულებში რომელიც თოთხმეტი
წლისა იყოს დანიშნეო წილის ყრითაო, ვინც დილაზედ
ლოცვაზედ მოვიდნენ, დილით ლოცა რომ გათავდა,
უთხრა ხუცებმა სამრევლოსა: ყველამ თითო ნიშანი გა-
უშვიო, და ზოგმან ბედი გაუშვა და ზოგმან ჯაყვა. ზო-
გმან კრიელოსანი. და მამა იოსებ იქ იყო. სარტყელში
ხელეჩო ერჭო. ამოიღო და მანაც ის გაუშო. არ იცო-
და თუ რა ამბავი იყო. როცა კაცები არში (?) გამო-
ვიდნენ, ხუცებმან უთხრეს ქალწულებს ყველამ თითო
რამ აიღეთო და ყველამ აიღეს და მარიამსაც ხელეჩო
შეხვდა. იმანაც აიღო. მეორეთ კიდევ დაუძახა სამრევ-
ლოსა და უთხრა ანგელოზის ჩვენებაა თუ ვინც ნიშა-
ნი გაგიშვიათ ეს ქალწულები თქვენ უნდა შეირთოთ
ცოლათა რომელისა ხელში თქვენი ნიშანი იპოვოთ.
უთხრა იოსებმა ხუცებსა. მე ბერი კაცი ვარ. მყარ (?)
ვაჟიშვილები და შვილნი ქალები. ჩემი რა მართებულია
ქორწილისაო. უთხრეს ხუცებმა იოსებს ართუ ჩემი ბრძა-
ნება იყოს, არამედ ღვთის ბრძანება არის დარა (და არ)

არას მართებული ღვთის ბრძანების გატეხა. ყველამ თქვენი დანიშნულები წაიყვანეთო შინაო და სიწმინდით შეინახეთო და ქორწილის სამზადისი მოიმზადეთო, რომ ქორწილი ვქნათო. წაიყვანა იოსებმა მარიამ და ერთს ცალკე ოთახში შეინახა და ნარიგი (?) რომ კარში არ გამოვიდესო და ურიგოთ არსად დატარო (?) და თავის დიდ ქალს მიაბარა. Курсивомъ напечатанное письмо весьма темно и оставляемъ безъ перевода. იოსების მეოხებით და დაღდგმულეთ (?) პატრონი. მარიამ ქანწული წმიდა მარიამ რომ იყო ტაძარშია ანგელოზისაგან შენახული თოთხმეტის წლისაო. ხუცებსა უთხრა მისი და ნიშანი ძილშიო. ყველამ ნიშნები გაუშვეს. და იოსებს ერგო ძილშიაო. სახიერებით გათქმულო ჩემზედ იქმენ სახიერი ცოდვის სიმართლეს უჭვრეტ შენც იცი. ვარ მიწიერი. შენ გვიმოწმე. კაცი ხორცითა ბოროტზედა არას. თვინიერ მწყალობდე შენ მოწყალეო ფიქრი მოგეც გუნიერი (?). ხარება მარიამისა გაბრიელისაგან. თავით როცა იოაკიმ (?) წავიდა სხვაგან. მარიამ იყო ცალკე ოთახშია და საქმობდა თავის ხელის საქმესა და ერთსა დღესა. წავიდა დილაზე წყლისთვინა წყაროზედა მარტოკა. ნახა, რომ გაბრიელ მთავარ ანგელოზი იდგა წყაროს პირსა და ეროი თეთრი ყვავილი ეჭირა ხელში და მიართვა მარიამსა და უთხრა: გიხაროდენ მარიამ. უფალი შენთან. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა. შეხედა მარიამმა ანგელოზსა და აღარც აკოცა. ავსო (?) დაბრუნდა შინისკენა და წამოვიდა სირბილითა. შევიდა და მოკეტა კარები. დაჯდა. და ფიქრობდა. გულშია. თუ ეს რა კაცი იყო, რომ მახარა. ან ის მე რას მიცნობდა. ან ჩემი სახი რა იცოდა და ან ეს ხარება რა უნდა იყოს. ამას ფიქრობდა. გაკვირდებოდა. დამ (=და ამ) ფიქრშია იყო. ერთიც ნახა. რომ. თვალთა წინ დახედა. გაბრი-

ელ ქალწულს მარიამსა უთხრა. გიპოვა მადლი. ღვთისა. მას ღმერთმან ტახტი ღვთისა, რომ' საუკუნოთ იხემწიფოს და იმის ხემწიფობას ბოლო არ მეღოს (?). უთხრა მარიამმა ანგელოზსა. ეგ როგორ იქნება. მე ქანწული ვარ და ჯერ კაცისაგან არა ვიცირაო და უკაცოთ ხომ შვილი არ იქნება. გინდა რომ მამატყუილო და მაცდინო. გადი კარშიო. მაგას მე ვერ დაშაჯერებო. შენ რომ ტყუილებს მეუბნები, გინდა მაგ ტყუილებით მაცდინო. არ შემიძლიან მაგისთანა ტყუილების დაჯერება. გადი გარეთა. არავინ შეგიტყოს შენი მოსვლა და წასვლა—აქ. თორემ მოგეკიდებიან შვილნი იოსებისანი. თუ შეგიტყენ. უთხრა ანგელოზმა. ვიცი რომ ქანწული და უბიწო ხარ. არ შეიძლება ღვთისაგან რომელიც ცა და ქვეყანასა ზედა ხმელეთი გაჩინა. ის ღმერთი მოვა შენშია, რომელიც ანგელოზი და კაცი გააჩინა. რომ ცხრა დასნი ანგელოზნი აქებენ და ადიდებენ. მაგრამ ერთს წამს იმის დიდებას ვერ შეხედვენ. მარიამ უთხრა. შენ კაცო. გეშინიან ფიქრისაგან. სთქვი თუ ცისა და ქვეყნის გამჩენი შენს მუცელში დეტევი (?) და კიდევ სთქვი, თუ ყველა იმისი გაჩენილნია იმისაგან ი..ან და ანგელოზნი. არ შეუძლიან იმის დიდების ხილვა. მაშ ის ჩემს სტომაქში როგორ ჩავა და ჩემს გვარშიაო. რომ მწამს მე. მაშარ (=მაშ არ) ვერ დავიჯერეფო რომ ერის სიტყვას ანბობ. მეორეს ქვეყანიდამ. აბა შენის სიტყვა გწადიან რომ გინდა მაცდინო. ეგები შენ ის იყო' რომ დედა ჩვენი ება (=ევა) აცდინა სამოთხეშია და გაცარცვა დიდებისაგანა. უთხრა თუ შერთამ (?) ნაყოფსა ღმერთი გახდები. გამოვიდა სამოთხიდამ და ჩვენც გამოგვიყარა. თუ ამას ეფიქრებინა და მალე არ დაეჯერებინა, დღეს ჩვენც ისევ სამოთხეში ვიქნებოდითო. საცა ხუთი ათასი და ორი წელიწადია რომ იმისი ნაშენი სული ჯოჯოხეთში იტანჯებიან. ერთის სიტყვის გუ-

ლისთვინ. საცა იმისთვინ ეყარა (?) და ერთს დაგიჯერეფო (?) მეშინიან ეგ დიდი სიტყვები სთქვი. ეგ სიტყვები სულ მიწერია. კაცის ფიქრი ვერ აიღობს. ვინ დაიჯერებს თუ უნივთოთ და უხორცოთ ღმერთის გუნება ერთსა დედაკაცისა სტომაქში. რომ ზეცა ჩემი სკამი და ქვეყანა. ჩემი ფეხის ადგილიაო. როგორი სახლი იქნებაო. რომ შიგ დავეტივოვო. აბა ის ჩემის გვამში მოთავსთებიო. სოფელ ყველას გამჩენი არი. შეუძლიანთ იმისი თავიანთში დალაგება. თუ ვარ ანგელოზი. ნუ გეშინიან. მარიამ. მე არა ვარ მაცდური. მე ვარ გაბრიელ მთავარ-ანგელოზი და უფროსი ანგელოზებისა. რომ ვდევარ (ვ:დგევარ?) მუდამ წმინდის სამების წინა. იმან გამამაგზავნა. რომ არ შეგეშინდეს. და თუ დიდება შენ გაჩვენო ერთს წამს ვერ გასძლებ. მე ვიყავ რომ ვახარე ზაქარიას ტაძარშია. იოანეს შობა. იმისთვის შეეკრა ენა რომ არ დაუჯერა და აბა ეს გაქვს მთვარესა რომ ორსულათ არი შენი ნათესავი ელისაბედ. გეხსნება (?) ენა ზაქარიას. სანამ არ იშობის ყმაწვილი. აბა ეს იმიტომ უყავ. რომ არ დამიჯერა. მაგრამ შენ დამიჯერე და უარისი ნუ გინდა. არა ვარ ეშმაკი. არამედ თუ ყველასაგან ნაყოფი წყეული, და შენგან ნაყოფი კურთხეულ. ევასაგან სამოთხე დაკეტილი და შენგან იღების. ევასაგან დაბნელდნენ კაცნი და შენგან ვარდი ქრისტესი. ელდისაგან წყევლა ღვთისა და შენგან ლოცვა. ევასაგან ჭირი და სტკივილი და შენგან სიმთელე კურთხეულობა. ევასაგან სიმწუხარე და დაღონება. და შენგან სიამოვნე. ევასაგან სიკვდილი და შენგან სიცოცხლე. ევასაგან წაწყმენდილი და შენგან ცხონება. გიხაროდენ მიმადლებულო რძალო მღთისაო. გიხაროდენ ტაძარო სულისაო. გიხაროდენ კიდობანო მოსესისაო. გიხაროდენ ჭურჭელო მანანისაო. გიხაროდენ შამდანო (=შანდალო) ნათლისაო. გიხაროდენ გოდორო (?) დავითისაო. გიხაროდენ

მარგალიტო ზღვისაო. გიხაროდენ თვალო ზურმუხტისაო. გ.. სიხარულო ანგელოზისაო. ვ.. საკვეხურო ქანწულებისაო. გ.. დედოფალო ზეცისაო. გ.. მშობელო ღვთისაო. გ.. აძღვანელო (?) გამჩენო. გ.. გამოზდელო მყრებელისაო (?). გ.. ძუძუ მიმცემო შემოქმედისაო. გ.. მშობელო უშოვნელისაო. გ.. მხილველო უხილველისაო. გ.. მშობელო უშობელისაო. გ.. მკოცნელო უკოცნელისაო. დაიტიე სძალო ზეცისაო და მღვთისაო. ამასუკან შენ გაქებენ სემან (?) დაქერ (?). უკუნი (?) შენ გიგალობენ გაბრიელნი. მიქებენ ყველანი სულნი. სულდგმული შენგან გაიხარებს. ყველა კაცის ნაშენი შე შემოგნატრიან. ყველა მორწმუნენი შენ გეველრებიან. თუ არ დამიχერეფ. რისხვას მიიღებ (?)—ზაქარიას. როცა მარიამს სიტყვა გაიგონა შეშინდა ანგელოზისაგან დამორჩილდა და უთხრა: არა მაქვს ადგილი ეშმაკური თუ ანგელოზის ხარება დამამტკიცეს ჩემშია იყოს შენი სიტყვისაებრივადა. ვარ მოსვლა. უფლისა. იმან თითონ იცის. რომ ჩემი გამჩენი არის როგორც უნდა ისრე ქნას. ნება იმისი არს ასრულდესო. აბა ანგელოზმა თაყვანი სცა მარიამს. და უთხრა. მალე წადი შენს დედიდას ქალთან ელისაბედთან. იქ ნახამ. შენის საკვირველებას. და ნურავის ეტყვი ამ საქმეს სანამდის თითონ გაცხადებოდეს. და წავიდან ანგელოზი.

წასვლა მარიამისა ელისაბედთან. ადგა მარიამ და წავიდა ელისაბედთან სოფელში. და როცა შევიდა მარიამ შინა სალამდინ მისცა ელისაბედსა. როცა ელისაბედმა მარიამის ხმა გაიგონა. ყური იმავ წამსვე მუცელში ყმაწვილი გადაბრუნდა. ყველა წმინდას მუცელს თავი დაუკრა. რომ ქრისტე გასახული იყო. დაიძახა დიდის ხმით და უთხრა მარიამსა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის. და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაო. მერმე თავის თავს უთხრა ელისაბედმა. შენი ხმა რომ გა-

იგონა ყურით მუცელში ჩემი ყმაწვილმა გახარა და ნეტაი იმასა, ვინც დაიჯერობს უფლის სიტყვასა. რომ შენ გითხრა ანგელოზმან სინამდინ შესრულდეს ეგ საქმეო. მერმე მარიამ დაიწყო ეს ქება. და თქვა სიხარულით. გამომდიდროს სულმან ჩემმან. უფალი მსხნელნი ჩემნი. უფალი მსხნელნი ჩემი. რომ მოხედა თავის მოახლესა თავდაბლობასა. საცა ამის უკან ყველანი ნათესავნი. და კიდევ ბევრნი სიტყვანი თქვა. რომ ბოლოს სწერია. დადგა მარიამ სამსა თვესა ელისაბედთან და როცა მოუახლოვდა ელისაბედსა დაწოლა, უთხრა მარიამსა წადი იოსების სახლშია არ არის მართებული. რომ შენ ფეხზედ იდგე და გაშრეს (?) ბატონი ემსახურებოდეს. წადი და წაიყვანე რომ გიზის გვამშია მზე სიმართლისა. წადი წაიყვანე ხემწიფე ანგელოზებისა. წადი და წაიყვანე გამჩენი ადამისა. წადი და აიყვანე უფალი წინასწარმეტყველი. წადი და წაიყვანე ღმერთი აბრამისა. არ არის მართებული. შენ მამხედე ჩემს მშობიარებაშია. ადგა და წავიდა მარიამი შინა. ცოტარა ხანს უკან ეყოლა ყმაწვილი ელისაბედს. გამოაცხადა მარიამის ხუცებისაგან. ეჭუს თვეს უკან მივიდა იოსების შინა და შევიდა შინა. როცა ეს გაიგონეს ხუცებმან თუ იოსებ შინ მოსულა, გაუგზავნეს დიაკვანი რომ შეატყობინოსო და მამზადესო საქარწილოდ. იმ დროს შინ შევიდა. დაჯდა. გამოვიდა მარიამ ფეხის დასაბანათ და დაბანა ფეხი იოსებს. და დაუდგა წინ პური საჭმელად. შეხედა იოსებმა მარიამს, რომ მუცელი გასდიდებოდა. დალონდა ძრიელ. და მოვიდა იქიდამ სოფელშია და დაუძახა თავის ქალს სალომესა. შევხედე და დიდი ჰქონდა. აბა წადი შეიტყეო. თუ ვისგან არის ან თუ მართალი ორსული არიო. იმისი ამბავი შეიტყეო. წავიდა სალომე მარიამთან. და ნახა რომ ორსულათ იყო და რამდონსაც ხკითხა (?). თუ ვინ დაგაორსულაო. მარიამ სტიროდა

და პასუხს არ აძლევდა. მოვიდა სალომე. თუ მართალი ორსულია. მაგრამ რაზდენსაც კითხამდა სტიროდა. ხმას არა სცემდა. უთხრა იოსებმან. მე შენ მოგაბარე რომ თვალი დაიჭირეო. ახლა კარგი არის რომ ქვეყანაში ჩასაქოლავი გავხდიო და საძრახავი ყველა კაცისაო. ადგა თითონ დალონებული და წავიდა მარიამთან და უთხრა ეგ რა გიქნია შენ რომ ქვეყანაში ყველამ სიწმინდით შეინახეს თავი ქორწილამდინ და შენ კი გაიცვარცე ქანწულობისაგან. ახლა მე კარში თავი როგორღა უნდა გავიყვანო კაცებშია და როგორღა დავჯდებიო შენ რომ ეგ მიყავი და შემარცხვინეო. და ამისთანა სიმარიხავის (?) სიტყვას ბევრს ეუბნებოდა. რახან აშინებდა თუ მართალი მითხარიო თუ ვინ გიყო შენ ეგ საქმეო. და მარიამ სტიროდა და ცრემლსა ჰღვრიდა. არას ეუბნებოდა და იოსებ აჭირებდა, რატომ არ მეუბნებიო ჩუმათაო. თორემ ამკაბათ (ამბავათ?) ქვეყანაში ჩაგაგდეფო და ძალად გათქმყვინებო და ქვეყანაში შეგვარცხვინო თუ არ მეტყვიო. ყველამ იცის მე მაგ საქმეში არ ურევივარ. იმ დღესა რომ შენ წავედი დღეს ეს არის რომ ორსული თუ შენთვინ კარგი გინდა მართალს მეტყვიო. თუ არ არი. არის თუ მართალი მითხარი. გითხრა ვაი თუ არ დამიჯეროვო. უთხრა. იოსებმან. თუ მართალის მეტყვი. დაგიჯერებო. უთხრა მარიამ. ჩემიო მოწამე ღმერთიაო. რომ მე უბრალოს კაცთან არა ვიცირაო. ამდღეს შენ რომ მე წყლისათვინ წყაროზედა. და უეცრათ ერთი კაცი მოვიდა და მითხრა. გიხაროდენ მიმადლებულო მარიამ. უფალი შენთანა და მე გავოვიქეც და მოვედი შინა და კარი დავკეტე და ართიც ვნახო. რომ ერთი საათი გავიდა. კიდევ უეცრათ დაკეტილი სახლში მამეჩვენა და კიდევაც ის სიტყვა მითხრა. მე უთხარ ეგ უკაცოთ როგორ იქნებაო და მან მითხრა თუ სული წმიდა მოვა შენშია და იმის მოქმედობით იქმედიო (?) ვკი-

თხე თუ შენ ვინა ხარ. ამან მითხრა. თუ ცაბრიელ მთავარ-ანგელოზი ვარო. რომ ღუთის წინ ვდგევარ. რაც ანგელოზს ეთქვა ყველა უთხრა კიდევ იოსებ უთხრა. მაშ შენ გასმევ წყალსა საცდურსაო და თუ მართალი ხარო შეგეტყობაო. მარიამ სტიროდა, და უთხრა იოსებს. რაც რომ მართალი ვიცოდი. გითხარიო. არ დამიჯერეო და შენ იცი. რაც გინდა ის მიყავიო. ჩემი მოწამე ღმერთიაო. რომ მე მაგის (?) მეტი არა ვიცირა ამა აბში (?). იოსებ ფიქრობდა. თუ როგორ ვქნა. რა უყო ამას. სად წავიყვანო. ამის ფიქრში ლული მუუვიდა (?) და თავდ მიდვა ბალიშზედა და დაეძინა. და ნახა ძილში გაბრიელ მთავარ-ანგელოზი ცეცხლის ხლმითა და საშინელის სანახავითა. შეაშინა იოსებ და უთხრა: არ გეშინიან ჩემგანაო. რათ აწუხებ შენ ჩემს ხემწიფის დედასაო. რამეთუ მაგისაგან რომ ნაშობი სული წმინდის არისო და ღმერთ. შვილი დარქმევია და შენც ფრთხილათ და მდაბლობით ემსახურე მაგას და ნუ შეაწუხებო... იოსებმან თაყვანი სცა მარიამსა და უთხრა. ნულარ ინაღვლი მარიამო ამას იქით მე შენი მოსამსახურე ვიქნებიო (შემდეგ დედანში ოთხი ფურცელი ამოხეულია).

—

ეს აპოკრიფი გადმოწერილია მოსე ჯანაშვილის ხელით და უკვე მოქცეულია რუსულს ენაზედ ჩემს წიგნში „Очеркъ по исторіи груз. словесности, вып. III. რადგანაც ქართულად აპოკრიფები (საღვთო წერილზედ დამყარებული, მაგრამ ერისაგან გარდაქმნილი მოთხრობანი) ნაკლებად არიან ცნობილნი, ჩვენ განვიზრახეთ მათი ნაწილ-ნაწილ აღბეჭდვა.

ს. ხახანაშვილი.



ბათუმის ქართველ-კათოლიკეთა ეკლესია.

კათოლიკეთა ეპისკოპოსის მოგზრძანება საქართველოში

და

ბათუმის ეკკლესიის კურთხევა.

საქართველ კათოლიკეთ ეპისკოპოსთ ისტორია მეტად საინტერესოა. საინტერესოა აგრეთვე იმ მღვდელ-მთავართ ვითარება, რომელნიც კი საქართველოში სცხოვრობდნენ და განაგებდნენ. მათი სასულიერო მოქმედება მჭიდროთ არის გადაბმული საერო საქმეების მართვასთან. პირველად, საქართველოში, კათოლიკეთ ეპისკოპოსის კათედრა განწესდა XIV საუკუნეს, ანუ 1327 წ. 21 ნოემბერს. პირველ ეპისკოპოსად განწესებულ იქმნა ეპისკოპოსი იოანე ფლორენციელი, დომინიკიანელების რიგისაგან. ამ დროს, რომში განაგებდა პაპი იოანე XXII-რე. საქართველოში ეპისკოპოსის კათედრის განწესების შესახებ პაპმა ბულაც გამოსცა. ეს ბულაც საყურადღებოა ჩვენთვის. მოხსენებულია, რომ „საქართველოს სამეფო დედა ქალაქ თბილისში მწესდება

ქაროველ გვარის კათოლიკეთათვის საეპისკოპოსო კა-
თედრაო". ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ, რომ აქ მოვი-
ყვანოთ თვით ეს ,,ბულაც''. აი:

— «პაპი იოანე XXII თავის საყვარელ შვილს იო-
ანე ფლორენციელს, აღმოსრჩეულს ეპისკოპოსს თბილი-
სისას. როგორც წარსულში გავრცელებული ქრისტეს
სარწმუნოება, ისე ახლა ღვთიური წმიდა სახელის პატი-
ვისცემის მოსამატებლად, გამოძიებით სხვა და სხვა ხე-
როვანის მიზეზების, ძმებისაგან შეგულიანებულთა, ბო-
ლოს გარდავსწყვიტეთ ჩვენის სამოციქულოს შეძლებით,
რომ დაწესებულიყო ჩინებულს თბილისის ქალაქის საე-
პისკოპოსო კათედრის ადგილი, რომელიც იმყოფება სა-
ქართველოს სამეფოში. ვინებეთ, რომ ეს თბილისი მო-
მავალში მუდამ საეპისკოპოსო ქალაქად დარჩეს ჩვენის
სრულის შეძლებით და ჩვენის შეკითხვითა, როგორც
ზემოთ ვსთქვით დამტკიცებით განვსაზღვრეთ, რომ და-
არსდეს თბილისის ქალაქში საეპისკოპოსო ეკკლესია და
მიეცეს მას ღირსეული ტიტული თბილისის ეპისკოპო-
სისა.

კვლავ ჩვენ თვალთ თქვენკენ მოვაქცევთ, რომელიც
განწესებულ ხართ მასწავლებლად, მოქადაგედ ძმათა რი-
გისაგან, მეცნიერთ წმინდა წერილებით, რომელთაც იც-
ნობთ თქვენ პიროვნულად, მაგ ადგილების გარემოებათა
და საჭიროებათა რომ მრავალნი მოაქციეთ ღვთიური
სიტყვის ქადაგებით და შესძინეთ იესო ქრისტესა, გაქვს
კეთილი გული წმინდა სარწმუნოებისა, წმინდა ცხოვ-
რება, კეთილი ყოფა-ქცევა და სიბრძნით სავსე მრავალ
ნიჭ-სათნოებითა, როგორც შეტყობილი გვაქვს სარწმუ-
ნო მოწმისაგან, რომელნიც გრაცხვენ შემძლე ღირსეულ
პირად, მით სრულის სამოციქულო შეძლებითა ჩვენითა
და შეკითხვითა ჩვენი ძმებისა გადგენთ ''ზემოხსენებულს

თბილისის ეკკლესიასა ზედა ,ეპისკოპოსისა გამოძიებისა და ყოვლის ფრის განხილვის შემდგომ».

პაპი იოანე XXII.

მიეცა აგინოს 1329 წ. XIV ნოემბერს".

ასეთი „ბულები" შემდეგ დროის ეპისკოპოსთაც ეძლეოდათ, ყველგან ეს ეპისკოპოსნი მოიხსენებიან როგორც ქართველ გვარის კათოლიკეთა ეპისკოპოსნი, რომელნიც იწოდებოდნენ ყოველთვის თბილისის ეპისკოპოსად.

პირველ მღვდელ-მთავრის განწესება ქ. თბილისს იქმნა, როგორც საქართველოს სამეფო დედა ქალაქში. აქვე აღშენდა მაშინათვე საეპისკოპოსო ტაძარი. ერთის ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ ყოველთვის მეორე ეპისკოპოსი ინიშნებოდა. ასე და ამ გვარად, საქართველოში, ქართველთ კათოლიკეთ მღვდელ-მთავარნი საშუალ საუკუნოებიდამ ინიშნებოდნენ და დღემდე რომის არქივებში მ. თამარაშვილის საშუალებით პოვნილ იქმნა სხვა და სხვა ძვირფასი მასალები, რომელ მასალების საშუალებით ჯერჯერობით მხოლოდ შემდეგ მღვდელთ-მთავართ სახელები ვიცით, რომელთაც საქართველოში უცხოვრიათ, თბილისის ქართველ-კათოლიკეთ კათედრაზედ მსხდარან და მით უმწყსიათ საქართველოს ქართველთ გვარის კათოლიკენი.

ეს მღვდელთ-მთავარნი არიან შემდეგნი პირნი:

პაპის იოანე XXII-ის დროს, „განწესებულ იქმნა თფილისის ქართველთ-კათოლიკეთათვის მღვდელთ-მთავრად იოანე ეპისკოპოსი, ფლორენციელი". ამისთვის პაპმა «ბულაც» გამოსცა 1329 წ. 31 ნოემბერს. 1348 წ. გარდაიცვალა ეს ეპისკოპოსი, აჩიტომ 1349 წ. პაპის კლემენტო VI-ის ბრძანებით განწესებულ იქმნა მღვდელთ-მთავარი ბერთნარდო კოლეტი, დომინიკიანელების რიგისაგან. ამ მღვდელთ-მთავარსაც ებოძა პაპის „ბულა" ეს

მღვდელთ-მთავარი საქართველოში 7 წელს დაშთა. შემდეგ იგი პაპის ინოჩენცოს ბრძანებით გარდაყვანილ იქმნა გერმანიაში ეპისკოპოსად, ამის მოადგილედ განწესებულ იქმნა ეპისკოპოსათ ბერთრამო, დომინიკიანელების რიგისაგან. ამ ეპისკოპოსმა განაგო კარგა ხანი, გარდაიცვალა 1391 წ. ამიტომ ამის ალაგას პაპმა ბონიფაციო IX-ემ თბილისის კათედრაზედ დანიშნა ეპისკოპოსი ლეონარდო ვილაკოელი. ამის შემდეგ პაპმა მარტინ V-ემ 1425 წ. ეპისკოპოსად განაწესა ივანე სანკტემიქალელი. ივანე ეპისკოპოსის შემდეგ, პაპის ალექსანდრე VI-სის დროს, თბილისის ეპისკოპოსათ განწესებულ იქმნა ეპისკოპოსი ალბერტო ენჯელი, ფრანცისკიანელების რიგისაგან. პაპის ნიკოლოზ V-ის დროს, 1450 წ. განწესებულ იქმნა ეპისკოპოსი ალექსანდრე, დომინიკიანელების რიგისაგან. ამის შემდეგ განაწესეს ეპისკოპოსი ენრიკო, ეს მღვდელთ-მთავარი მიცვლილა 1961 წ. ამის შემდეგ დაუნიშნავთ მღვდელთ-მთავრათ ენრიკო ვონსტი. ეს გარდაიცვალა 1469 წ. 1470 წ. დანიშნულ იქმნა ეპისკოპოსი ივანე იმაქი, ავგუსტიანელების რიგისაგან.

ამ ეპისკოპოსებთ გარდა სხვებიც ყოფილან, მაგრამ მათი ცნობა ჩვენ არ გვაქვს. რადგანაც საქართველო რომიდამ შორს იყო, ამიტომ თბილისის ქართველ კათოლიკეთა ეპისკოპოსის კათედრა დამორჩილებულ იქმნა სპარსეთში არსებულის ერთის კათოლიკის არხიეპისკოპოსის გავლენის ქვეშ, რადგანაც იქ კათოლიკობა გაძლიერებული იყო და შესანიშნავი კათედრაც არსებობდა. XVI საუკუნის შემდეგ, თბილისის ეპისკოპოსის კათედრაზედ, აღარავინ დაინიშნა, მიზეზი სამეფოს არევ-დარევა იყო, მუსულმანთ ომები და შიშიანობა. მის შემდეგ ინიშნებოდნენ სხვა და სხვა რიგის მონოზნები. მართალია ამ დროდამ საქართველოში კათოლიკის

მღვდელთ-მთავართ რიცხვი არ სჩანს, მაგრამ რაც შეეხება თბილისის კათოლიკეთა ეპისკოპოსის კათედრას, ეს კი ხელშეუხებლათ დაშთენილა. მის გამგედ ყოველთვის მსხდარან მცოდნე სასულიერო პირნი. ცნობები არ გვაქვს და ვერც იმას ვიტყვით გარდაწყვეტით, რომ XVI საუკუნის დამდეგიდამ საქართველოში კათოლიკის ეპისკოპოსნი აღარ ინიშნებოდნენ, ან მგზავრობით მაინც არ მოდიოდნენ, ამ საგანს მამა მ. თამარაშვილიც ეჭვით უმზერის. მ. თამარაშვილი საქართველოში ყოფილთ კათოლიკეთა მღვდელთ-სთავრებს სულ ცხრა პირს ასახელებს, ამათში ყველაზედ უდიდესად იოანე ეპისკოპოსი ბრწყინავს. სხვა მღვდელთ-მთავართა სახელები კი არ სჩანს, თუმც ეჭვი არის, რომ საქართველოში, ამ ცხრა ეპისკოპოსთ გარდა სხვანიც ყოფილან შემდეგ საუკუნოებში, მაგრამ მათი ცხოვრების ცნობა ჟამთა ვითარების მეოხებით იკარგებოდნენ, იკარგებოდნენ ეს მით უფრო, რადგანაც ხშირად ეს მღვდელთ-მთავარნი თავიანთ სამწყსოდამ სხვა და სხვა კუთხეებშიაც მოგზაურობდნენ. თვით იოანე ეპისკოპოსიც კი, საქართველოლოდამ რომში მიმავალი კონსტანტინეპოლს გარდაცვლილა 1348 წ. საქართველოში ამან იცხოვრა 30 წელი და 18 წელიწადი მღვდელთმთავრად იყო. ვგონებთ საკმარისი უნდა იყოს მის საფუძვლათ თუ თბილისში კათოლიკეთ ეპისკოპოსნი რა ტომის ერისთვის იჯდნენ და განაგებდნენ.

ეს რომ მართლაც საფიქრებელია ამას ცხადათ ასაბუთებს შემდეგი უცხო გარემოებაც. XVIII საუკუნის 1745 წლებში, საქართველოში, სამგზავროდ რომიდამ მოსულან ორი ეპისკოპოსი. ესენი მცირე ხანს გორშიაც დაშთენილან, უსადგურნიათ იმ დროის გორის მცხოვრებ ქართველთ-კათოლიკე ზუბალაშვილების ოჯახში და გორის კათოლიკეთათვის მირონიც უცხიათ. ეპისკ-

კოპოსნი, რასაკვირველია, ყოფილან ლათინის წესრიგისა.

ამ მღვდელთ მთავართა შესახებ პატრი დონ გაბრიელ ასლანიშვილი აი რა ცნობას იძლევა:

«1745 წ. 11 მაისს, რომელიც იყო დღე კვირიაკე, გორის **კათოლიკეთა** ახალ აღშენებულ ეკკლესიაში წმ. **სილიბისტროსი** და წმ. **გიორგისა**, მე ფილიპე ეპისკოპოსმა **მიროსი** ვსცხე კატირინეს შვილს **გიორგისა, მარიამს, ანნას, თინათინს, თამარს** და სხვ.».

ხსენებულ პირთ გარდა მღვდელთ-მთავარს სხვა და სხვა პირებისთვისაც უცხია მირონი. ცხადი ფაქტია, რომ კათოლიკეთ ეპისკოპოსნი საქართველოს კათოლიკობას თვით საეპისკოპოსო კათედრის გაუქმების შემდეგაც არ მოსპობიან, თუმცა ხშირად კი არა, მაგრამ მაინც იშვიათად მაინ სწვევიან.

მეორე ეპისკოპოსის ცნობა და სახელი არ სჩანს, ეს ცნობები პატრს დონ გაბრიელ ასლანიშვილს გორის კათოლიკეთა ეკკლესიის ერთს ძველს „ტიბიკონში“ მოუპოვნია ცნობა ლათინურათ ნაწერი.

გორიდამ საით გაემგზავრნენ ეს ეპისკოპოსები ამისი ჩვენ არაფერი ვიცით, ცხადია, რომ სპარსეთში წავიდოდნენ. ასე და ამ გვარად, სპარსეთში მიმავალ კათოლიკის ეპისკოპოსებს არა შემთხვევაში არ ასცდებოდათ საქართველო და მის მკვიდრთ კათოლიკეთ ნახვა და მათი ცნობების შეტყობა. სხვათა შორის ზოგი რამ ძველის ცნობებიდგან სჩანს, რომ თბილისში, კათოლიკეთ მღვდელთ-მთავრებთაგანნი მგზავრობის დროს ყოფილან შემდეგი პირნი: მთავარ-ეპისკოპოსი ლუკა. მთავარ-ეპისკოპოსი სილიბისტრო. ქალდეველთა ეპისკოპოსი მარტიროს დორმალელი, ისაია ეპისკოპოსი სალმასტელი და ბევრიც სხვანი, რომელნიც მსგავსად გაივლიდნენ საქართველოზედ. ნამეტურ ხშირად მოსულან ხოლმე

ქალდეველთა მღვდელთ-მთავრები. ბევრს ისე გაუვლია, რომ მათი ცნობა არავის გაუგია. რაც შეეხება საქართველოში ცნობით და რომიდამ მოწერილობით რომელიმე ეპისკოპოსის მოსვლა, ეს კი არ მომხდარა კარგა ხანია თითქმის 157 წელიწადია, რაც საქართველოს კათოლიკობას თავის აღვდელთ-მთავარი აღარ უნახავთ.

ვიტყვით, რომ რუს-ოსმალოს ომის შემდეგ, ოღესაც დასავლეთ-სამხრეთ ოსმალეთის საქართველო რუსეთის იმპერიის საქართველოს შემოუერთდა, მაშინ თბილისში ჩამოვიდა, ართვინის კათოლიკეთა ეპისკოპოსი ზაქარიანი, რომელიც სომხის ტიბიკონის მღვდელთ-მთავრათ ირიცხებოდა. და თვითონ კი შთამომავლობით ქართველი გახლდათ. ეს თვითვე აღიარა ერთს ქადაგებაში, რომელიც მან წარმოსთქვა თბილისის კათოლიკეთა ეკკლესიაში, როცა იგი მწირველი იყო და წირვაც სომხურს ენაზედ შეასრულა. ეს ეპისკოპოსი რბილისიდამ 1879 წ. დაბრუნდა ართვინს. იგი ლივანას გარდაიცვალა. ნათესავი გახლდათ ბათუმში მცხოვრებ ქართველით კათოლიკეთ მეედლიშვილებისა.

დღეს, საქართველოს კათოლიკობა მიწერილია სარატოვის კათოლიკეთა ეპისკოპოსის კათედრაზედ. აწინდელი ეპისკოპოსი საქართველოში მოიწვია ჩვენის ქვეყნის მამულის შვილმა სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა. როგორც შევიტყეთ, მღვდელთ-მთავარს უკვე გადუწყვეტია მგზავრობა. მისი საქართველოში მოსვლა მთელი საუკუნის განმავალობაში არის პირველი მაგალითი. მანვე უნდა აკურთხოს ბათუმის ქართველთ-კათოლიკეთა მღვთის-მშობლის ეკკლესია, რომელიც აღგებულ იქმნა სტეფანე, იაკობ და პეტრე ზუბალაშვილების ფულით, მათ სამარადისოდ დაუვიწყარ დედის, აწ გარდაცვალებულის, ბარბარეს სამახსოვროდ. რომელსაც მეტად დიდი ნატვრა ჰქონია ოსმალეთის საქართველოს რომელი

მე კუთხეში ქრისტიანობის ტაძრის აღგების. ეს ნატვრა მისმა შვილებმა უკვე შეასრულეს და ამ საქმის შესრულებამ შემთხვევა მისცა, რომ საქართველოში მოსულიყო აწინდელი კათოლიკეთა ეპისკოპოსი და ხსენებული ეკკლესია ეკურთხა. ამ ეკკლესიის ისტორიაში ეს შემთხვევა სამახსოვროთ დაშთება და ამ სამახსოვრო საქმის უმიავრეს მიზეზათ კი კვალად სტეფანე და მის ძმების საქციელი ჩაითვლება, რომელთაც მისცეს მიზეზი მღვდელთ-მთავარს, რომ მას საქართველოში ემგზავრნა და მით გაეცნო თვისი უშორესი სამწყსო.

აწ ახლად განწესებული კათოლიკეთა ეპისკოპოსი ბერონი ედუარდ როპი, ტომით გერმანიელია და თავის კვალად განვითარებული. მისი მოგზაურობა და ადგილობრივ მცხოვრებთ გვაროვნობის მხრით გაცნობა და ნახვა უეჭველია თავის შესაფერს ნაყოფს გამოიღებს და ჭეშმარიტება იქმნება აღორძინებული.

ეპისკოპოსი ბარონ ედვარდ როპი, როგორც ვიცით, უმაღლესად განათლებული პირია, მას ხალხთა ცხოვრების შესახებ შესაფერი წარმოდგენა ექმნება. იგი ბათუმს გარდა ახალციხესა და თბილისშიაც აპირებს მოგზაურობას. სრული იმედი გვაქვს, რომ ყოვლად სამღვდელო ამ უძველეს საქრისტიანო საქართველოს კათოლიკობას ქეშმარიტის ისტორიულის ვითარებით გაიცნავს, მათში გამოიკითხავს ბევრს რამე საყურადღებო ცნობებს და მისი შეტყობით აღბეჭდავს თვის მღვდელთ-მთავრობითი სასარგებლო ნავალსაც, ამის საშუალებით ყოვლად სამღვდელო მომავალის მეისტორიესთვის საყურადღებო მასალას დასტოვებს.

მაშ ვინატრებთ სულით და გულით, რომ ყოვლად სამღვდელოს მოგზაურობა როგორც სასარგებლო და მშვიდობიანი იყოს, ისევე იგი თავის მრევლისაგან მშვიდობით მრევლის სიყვარულის პატივისცემით დაბრუნდეს თავის სამწყსოში.

ზ. ჯ.

სიბრძნე-სიცრუის ზღაპარი საბა სულხან ორბელიანისა.

გლახა კარის-კარ მთხოვნელი,
დადიოდა სოფლებსაო,
უზოვარი ოჯოლის ფრითა,
შოულობდა ძველებსაო.

დაწვა ძილათ, მას ეზმანა,
ცხვარი სამოცი რქიანი,
ლამობდა ძილში გაუიდგას,
მუშტარი შამხვდეს დვთიანი.

ძილშიგე გაჩნდა ვაჭარი,
სალამი მისცა გლახასაო,
ცხვრებს შეეკაჭრა, მომეიდე,
ხელში ფულს გაძლევ, რაც დირსაო.

თან სძინავს გლახას, თან ჰეიდის
სიზმრათ ნახულსა ცხდგრებსაო,
თითოს ექვს მანათს ათასებს,
მსეიდველი აძლევს ხუთსაო.

გლახაკი ამბობს—მეტათ ჰდირს,
მოვაჭრე ამბობს—არაო...

ამ დაბრკოლებაში სიწყალსა
გამოეღვიძა ანანო.

გულს შეუდონდა დატაკსა,
დაიწყო სინანულია:
რათ არ მიგეიდე ვაჭარსა,
ჯიბეს არ ვიგდე ფულია...

შედეგითნე მიხ. ზანდარაშვილი.

ხალხური ლექსები.

ს. ზემო-ნიქოზში გაგონილი და ჩაწერილი ვ. ფრანცისკირელისაგან.

ვისაც კარგი ქმარი ხვდება,
სანატრელი რამ იქნება,
ვისაც ცუდი ქმარი ხვდება,
ის ქალი მალე მოკვდება,
დედ-მამას ბევრსა დასწყევლის,
არა ცხონდი, ჩემო დედა,
გამზარდე და გამათხოვე
უბედურად რიყეზედა,
მზითევი ბევრი მომეცი,
ოხრად რჩება ჩემ თავზედა,
ჩემი ქმარის მაყურებელს
რა დამაყენებს ჯანზედა;
გული ბოროტით ამევსო,
სული ამოდის ხვალ-ზეგა...
ახლანდელი ქალები,
განთქმული ქვეყანაზედა,
ოჯახს როდი დაეძებენ,
ვაჟს უყურებენ ტანზედა;
თუ კი ვაჟი მოეწონა,
ქალი დადგება ჯანზედა,
ფეხებში წაეტანება,
განა თუ წავა განზედა!..

—

როს ვაჟი ვიყავ ვვაჟობდი, იაც მე ვიყავ, ვარდიცა,
ლაშქრის ხმა რომ გავიგონე, ქორულებ შევქენ ნავარდი,
დარაზმებულსა ლაშქარსა, თავს ვეცი, ბოლოს გავვარდი,
დახედეთ მუხთალი სოფელსა, ბოლო დროს ასე დავვარდი.

—

გაგონილი ს. ავნევში და ჩაწერილი კ. ფრონისპირელისაგან.

ამალამდელო ღამეო
ნურც გათენდები მალეო,
გათენებამდის ღვინო ვსვათ,
გათენდეს—დაიმალ ეო.

—

შემოდგომამ მოატანა,
ქორწილები დაიწყო,
ბევრმა კოხტა ქალებმა
ჩიხტი-კოპი გაიწყო.

—

წისქვილი სჯობს ვენახსა
რაც გინდ ძლიერ როხავდეს.
წუწკი ცოლის პატრონი
უნდა იჯდეს, ოხრავდეს.

თვლისი და აგვისტო, №№ VII და VIII, 1903 წ.

მოგზაური

1903 წელს ჟურნალი

„მოგზაური“

მოაგროვებს ნება დართული

გამოვა ახალის გავრცელებულის პროგრამით, ე. ი. ჟურნალში დაიბეჭდება პედაგოგიური, სამეურნეო, სამკურნალო-სამეცნიერო და ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. რედაქცია სთხოვს მასწავლებლებს, მეურნეებს, მკურნალებს და სამეცნიერო საგნების მიმდევართ მოაწოდონ მას ყოველგვარი წერილები მოხსენებულ საგნებიდამ. საუკეთესო წერილებს, ხალხისათვის ადვილ-გასაგების ენით დაწერილებს, რედაქცია იმავ დროს იაფ-ფასიან წიგნაკებადაც გამოსცემს.

ფასი ჟურნალისა იგივე 5 მანეთია, ხოლო მასწავლებლებისათვის და ხელ-მოკლე დაწესებულებათათვის — 4 მანეთი.

ადრესი ფოსტაო: *Тифлисъ, Редакціи „МОГЗАУРИ“ (Межевая ул. № 72).*

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

თბილისი

სტამბა ექვ. ივ. ხელაძისა. რუსის ბაზრი, საეკკ. სახლი.

1903

Дозволено цензурою. Тифлисъ 25 Апрѣля, 1903 г.

სახალხო სკოლა ჩვენში

და

სწავლა-განათლების მოწყობა მასში.

14 იანვარს ყოფილს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ თქმულმა ჩვენმა სიტყვამ *) გულის სიღრმემდის შეაძრწუნა ჩვენი პედაგოგები, არა თუ შეაძრწუნა, ველურადაც ეჩვენა მათ ჩვენი აზრი სამშობლო ენისა და უცხო ენების სწავლების და მოწყობის შესახებ ჩვენს სკოლებში. ამიტომ ჯერ კიდევ ერთხელ და ორჯელ არ ვილაპარაკებთ ამ საგანზედ, ერთხელ და ორჯელ არ გავახსენებთ მას ქართველს მკითხველსა. ჩვენ იმ დროამდე არ მოვეშვებით ამ საკითხის შესახებ წერასა და ლაპარაკს, სანამ თვალ-ნათლივ არ ვყოფთ საზოგადოებისათვის ჩვენს აზრს, სანამ საზოგადო კუთნილებად არ გავხდით ჩვენს შეხედულებას, ანუ უკვეთ, სანამ ძირიან-ფესვიანად არ დავანგრევთ და არ დავფუშავთ ჩვენის მძინარა პედაგოგიის განცხრომა-მოსვენებას.

---

*) იხ. „ჩემი სიტყვა“ ამ წლის „მოგზაურში“, № 1.

სამშობლო ენა, როგორც სამართლიანად სთქვა ერთმა ჩემმა მეგობარმა ჩემდამი მოწერილს წერილში, **იგივ სისხლი და ხორცი ადამიანისა** და, მაშასადამე, მისი განუვითარებლობა დაჰბადავს მსგავსსავე ფიზიკურს განუვითარებლობას, რასაც, თქმა არ უნდა, მოჰყვება ყოველ-მხრივი, გონებრივი და ზნეობრივი, დაცემა და გადაგვარება სამშობლო ენის უარის-მყოფელის ერისა. აი, მოკლეთ ის, რაც ითქმის სამშობლო ენის მნიშვნელობასა და მის ადგილზედ სწავლა-აღზრდის საქმეში. იგი უნდა იყოს, ასე ვსთქვათ, საფუძველი და საძირკველი, რომელზედაც უნდა აშენდეს მთელი სწავლა-აღზრდა ადამიანისა. მაგრამ, რადგანაც ადამიანი ერთი იმ არსებათაგანია, რომელიც ვითარდება განუსაზღვრელათ და, ბოლოს, იქამდის აღწევს, რომ იპყრობს და იგნებს მთელს ბუნებას, ქვეყანას და მსოფლიოს თვისი შესანიშნავი ნიჭებით და ჭკვა-გონებით,—ამიტომ უმეცრება და ძალ-დატანებით შეფერხება იქნებოდა მისი უსაზღვროდ განვითარებისა და სრულ-ყოფისათვის, თუ ჩვენ თავ-თავის დროს საშუალებას არ მივცემდით მას თვით თვისთა მსგავსთა და მეზობელთა ენების შესწავლისა, რათა მით ადამიანს საკვებით შეეძლოს მთელის კაცობრიობის და მსოფლიოს შეცვა, შეგრება... გვგონია ცხადია, რასაც ვამბობთ. ვიმეორებთ, რომ ყოველი სწავლა-აღზრდის მიღება ყოველი ადამიანისათვის სამშობლო ენაზედ უნდა სწარმოებდეს, მაგრამ, თუ მას იმავ დროს ჰსურს ერთი გონიერი მონაწილეთაგანი იყოს მსოფლიოსი და მის საერთო ცხოვრებისა, უსათუოდ სხვათა ენებიც (ჩვენში ეგრედ-წოდებული «უცხო ენები») უნდა იცოდეს. აი რატომ არის, რომ უცხო ენები სწავლა-აღზრდის დასაბამიდგან მარად აუცილებელს საჭიროებას შეადგენდნენ ყოველის ხალხის სწავლა-აღზრდის საქმეში და სისტემაში, თუმცა დღევანდლამდე მეტად უხეიროდ

და უნაყოფოდ სწარმოებს მათი სწავლების საქმე თითქმის ყველგან მთელს დედა-მიწის ზურგზედ. მიზანი ასეთის სისტემის სწავლა-აღზრდისა უწინარეს ყოვლისა არის აღზრდა სრულის ადამიანისა, თანაბრათ შემცველისა, როგორც თვისის ტომის ყოველ უკეთეს მხარეთა, ისევე დანარჩენ კაცობრიობის ერთა და მსოფლიოსი... კითხვა მხოლოდ იმაშია: **რაგორ უნდა მოეწყოს ეს ორი საგანი ერთმანერთში, რაგორ და რა სახით უნდა სწარმოებდეს სწავლა სამშობლო და უცხო ენებზედ**? აი კითხვა, რომლის გადაწყვეტა უდიადეს კითხვად მიგვაჩნია ჩვენ ჩვენს ცხოვრებასა და პედაგოგიაში... იმედია არც სხვები ჩამოგვრჩებიან ჩვენ ამ კითხვის განმარტება-გადაწყვეტაში და ყველა შეძლებისა დაკვალად შეგვეწევა მის პრაქტიკულად განხორციელებაში...

მიზანი სახალხო სკოლისა, ჩვენში თუ სხვაგან, ეს სულ ერთია, ვითარცა სხვა ყოველ-გვარ სწავლა-აღზრდისა, ერთი და იგივეა: **გონებითი და ზნეობითი განვითარება და სრულ-ყოფა მასში მოსწავლე ბავშვებისა.**

სახალხო სკოლა აღწევს ამ მიზანს სხვა და სხვა სასწავლო საგნების სწავლებით, რომელთ შორის ჩვენში უმთავრესად უნდა იყოს შემდეგი საგნები:

1) წერა-კითხვის სწავლება სამშობლო ენაზედ;

2) საღმრთო სჯულის სწავლება სამშობლო ენაზედ;

3) არითმეტიკის სწავლება სამშობლო ენაზედ;

4) სამშობლოსა და მსოფლიოს შესახებ სწავლა (გეოგრაფია, ისტორია და ბუნების-მეტყველება) სამშობლო ენაზედ და

5) წერა-კითხვისა და ლაპარაკის შესწავლა რუსულს ენაზედ.

როგორც მკითხველი დაინახავს, ჩვენს მთელს იმედს და სასოებას სახალხო სკოლაში მოსწავლეთა „რაციონალურად სწავლა-აღზრდისა და განვითარებისათვის და ამ

გზით ცივილიზაციის ნაყოფის შესატანად თვით ხალხში, ჩვენ ვამყარებთ:

1) სწავლებაზედ ყველა აქ მოხსენებულ საგნებისა სამშობლო ენაზედ და

ბ) საფუძვლიან შესწავლაზედ რუსულის წერა-კითხვისა და ლაპარაკისა.

ჩვენი დღევანდელი სახალხო სკოლა სცდილობს მიაღწიოს ამავე მიზანს ყველა აქ მოხსენებული საგნების სწავლებით ბავშვებისათვის გაუგებარ —**რუსულს ენაზედ**, და, რა თქმა უნდა, ყოვლად ამაოდ და უნაყოფოდ. ეს არის ერთად-ერთი მიზეზი, რომ მოსწავლენი დღევანდელის სახალხო სკოლისა არა თუ ვითარდებიან გონებრივად და ზნეობრივად, არამედ, პირიქით, ჩლუნგდებიან კიდეც და თვით უბრალო რუსულ წერა-კითხვასა და ლაპარაკსაც ვერა სწავლობენ.

არ დამავიწყდება ვაჩიანის სასოფლო სკოლის (ახალ-ქალაქის მაზრაშია) რევიზია განსვენებულის მზრუნველის ბ. კ. იანოვსკის-მიერ, თანადასწრებით დღევანდელის პატივცემულის მზრუნველის მ. რ. ზავადსკისა და ყოფილის დირექტორის დ-სა.

მობრძანდა სკოლაში თუ არა, მისალმების შემდეგ მასწავლებლისა და მოსწავლეთა, ბუნებით კეთილმა მზრუნველმა კირილე პეტრეს ძემ იანოვსკიმ ჩამოიღო კედლადამ სურათი ქრისტეს ნათლის-ღებისა, დაუყენა წინ შეგირდებს და ჰკითხა რუსულად: რა სურათია ეს? შეგირდებმა ვერ მიუგეს. რა არის აქ დახატული? შეგირდები კიდევ ჩუმად არიან. მზრუნველმა დაადო თითი იოანე ნათლის-მცემელს და კვლავ ჰკითხა მოსწავლეებს: ეს ვინ არის დახატული?—შეგირდები კიდევ ჩუმად სხედან და ხმას არ იღებენ. იმედი რო გადუწყდა და მზრუნველმა ხმა-კრინტი ვერ დააძვრევინა მოსწავლეთ, მიუბრუნდა მასწავლებელს და სთხოვა: აბა

წააკითხეთ რა იციან რუსულადაო. მასწავლებელმა უბრძანა უფროს ჯგუფს რუსული წიგნების ამოღება და დააწყებინა რომელიღაც წერილის კითხვა. რამდენიმე წინადადების ტაატით წაკითხვის შემდეგ, მზრუნველი მიუბრუნდა მოსწავლეს და ჰკითხა მნიშვნელობა რომელიღაც სიტყვისა. მოსწავლემ პასუხი ვერ მისცა. რას ნიშნავს ეგ სიტყვა სომხურად (მოსწავლენი სულ სომხები იყვნენ), ჰკითხა მზრუნველმა მოსწავლეთ, მაგრამ მათ კიდევ ვერ უპასუხეს. განაგრძეს კითხვა. მზრუნველმა ჰკითხა მოსწავლეებს კიდევ ორიოდე სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ მოსწავლეებმა კვლავ ვერაფერი უპასუხეს. ასევე სასტიკათ ჩაიჭრნენ მოსწავლენი არითმეტიკაში. გაათავა რა ამ სამი საგნის გამოკითხვა, მზრუნველი მიუბრუნდა იქვე მდგომ სახალხო სკოლების დირექტორს და ჰკითხა: ვინ იყო აქ რევიზიაზედ უკანასკნელად? — ინსპექტორი მ-ვი, — მიუგო დირექტორმა. აბა მაჩვენეთ სარევიზიო წიგნი და წამიკითხეთ, რა მდგომარეობაში ნახა მან ეს სკოლა, — სთქვა მზრუნველმა. მოიტანეს და წაიკითხეს: ამა და ამ რიცხვს და წელს ვიყავ ვაჩიანის სოფლის სკოლაში, გამოვცადე მოსწავლენი ყველა საგანში და აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებს საკმაოდ კარგად შეუთვისებიათ საღმრთო სჯული, რუსული წერა-კითხვა, ანგარიში და სხვ. მოისმინა რა მ-ის ჩანაწერი, მზრუნველი მიუბრუნდა დირექტორს და უთხრა: «გადაეცით მ-ევს, რომ დაუყოვნებლად შემოიტანოს ქალალდი სამსახურიდამ გადადგომისა». შემდეგ მიჰმართა თვით მასწავლებელს გ-ევს და უთხრა: «სხვა საქმე მოძებნეთ, თქვენ ღირსი არა ხართ ატაროთ წოდება სახალხო მასწავლებლისაო».

ასე სამწუხაროდ დასრულდა ეს რევიზია უმაღლესი მთავრობისა...

ჩემის აზრით კი, სულ უბრალოდ დაისაჯნენ და

იწამნენ, როგორც მასწავლებელი გ-ვი, ისევე ინსპექ-ტორი მ-ევი და ყველაზედ მეტად კი თვით კეთილი კი-რილე პეტრეს ძე, რომელიც ცხადათ დარწმუნდა, რომ მას სრულიად ტყუილად უთენებია ღამეები კავკასიის მკვიდრთა სწავლა-განათლების ზრუნვისათვის, რომ მისი ყოველი ცდა და სურვილი კავკასიის მკვიდრთა დაკავ-შირება-დაახლოვებისათვის რუსეთის ცივილიზაციასთან ყოვლად ფუჭი და ამაო ყოფილა!.. დიახ, ვიმეორებ, რომ სრულიად უდანაშაულოდ ეწამნენ ყველა ესინი და აგრეთვე ბავშვები და მათი მშობლები, რომლებიც, ეჭვი არ არის, იმისათვის აგზავნიდნენ შვილებს სკოლაში, რომ მათი შვილები მცირედაც არის დაახლოვებოდნენ თანამედროვე ცივილიზაციას...

მთელი და ერთად-ერთი მიზეზი კი სახალხო სკო-ლის ასეთის უნუგეშო მდგომარეობისა იყო და დღესაც არის არა რაციონალურად, არ პედაგოგიურად მოწყო-ბა სწავლების საქმისა ჩვენს სახალხო სკოლებში; ერ-თად-ერთი მიზეზნ ჩვენის სახალხო სკოლის უნაყოფო-ბისა იყო და არის ის, რომ მთელი სწავლება ამ სკო-ლებში მომართულია ბავშვებისათვის **უცნობ რუსულ და არა სამშობლო ენაზედ!**.. შემოიღეთ, ბატონებო, სწავ-ლება მოხსენებულ საგნებისა სამშობლო ენაზედ, ხოლო რუსულად—წერა-კითხვა და ლექსიური გაკვეთილები ყველა იმ საგნებიდამ, რომლებიც კი ისწავლებიან სამ-შობლო ენაზედ და ნახავთ, რომ სასჯელს და წამებას კი არ მიიღებენ საწყალი მასწავლებელი (რომელიც, ვინ იცის, თავს არ იზოგავდა, რომ ოღონდ რამე ესწავლე-ბინა მობარებულ ბავშვებისათვის), ინსპექტორი, ბავ-შვები და თვით მზუნველი კავკასიის სწავლა-განათლები-სა!.. არა თქვენ თვალ-ნათლივ დაინახავთ, რომ ბავშვე-ბი არა მარტო განვითარებულნი იქნებიან გონებით და ზნეობით, იმ აუარებელის ცოდნის წყალობით, რო-

მელსაც მისცემს მათ სკოლა ყველასათვის ადვილ გასაგების სამშობლოს ენაზედ სწავლებით, არამედ თვით რუსული წერა, კითხვა და ლაპარაკიც ეცოდინებათ მათ ყოვლად კარგად და სავსებით, როგორც ეს მარად შეჰფერის გონებით განვითარებულს ახალგაზდობას...

ვთქვათ სკოლაში თვითეულს მასწავლებელს ჰყავს ორი განყოფილება. მოსწავლეთა მიღება სწარმოებს მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელ, ვსთქვათ, გაკვეთილი გრძელდება 50 წამს; აქედამ 25 წამს მასწავლებელი თვითონ ასწავლის ერთს განყოფილებას და მეორე განყოფილებას კი აძლევს საწერ სამუშაოს, ხოლო მეორე 25 წამში მასწავლებელი აძლევს პირველ განყოფილებას, საწერ სამუშაოს, ხოლო თვითონ კი გადადის მეორე განყოფილებაში და ასე მუდამ, როგორც ნაჩვენები გვაქვს სიაში. თვითეულს განყოფილებას ჩვენის სიით სამშობლო ენაზედ აქვს კვირაში 18 გაკვეთილი მასწავლებელთან მეცადინეობით და ამდენივე საწერი მეცადინეობით და 12 გაკვეთილი რუსული ენისა მასწავლებელთან მეცადინეობით და ამდენივე საწერი მეცადინეობით.

ჩვენის სისტემით სწავლა მართალია მოწყობილია სამშობლო ენაზედ და რუსულად კი მოსწავლენი მხოლოდ წერა-კითხვასა და ლაპარაკს სწავლობენ ყველა საგნებიდამ, მაგრამ ცოდნა რუსულის ენისა მაინც იმდენად დიდი იქნება, რომ მოსწავლეთ არ გაუჭირდებათ წაკითხვა და გაგება სახალხო სკოლებისათვის დაწერილ წიგნაკე-

---

*) ეს შენიშვნა ეკუთვნის გაკვეთილების სიას 503 გვერდზე: პირველს წელიწადს ესა და რუსული კითხვის გაკვეთილები უნდა მოხმარდეს ეგრედ-წოდებულ **წინად-მოსამზადებელ მეცადინეობათ**. წლის პირველ ნახევარში სამშობლო ენაზედ, ხოლო მეორეში—რუსულად. ამ წინად-მოსამზადებელ მეცადინეობებზედ ჩვენს ჟურნალში მალე დაბეჭდილი იქნება ცალკე წერილი.

მოგვყავს აქ თვით სია ყოველ-დღიურ გაკვეთილ-ბირგელი განუფიდებს.

ერშვბთი.
1. კითხვა სამშობლო ენაზედ.
2. არითმეტიკა სამშობლო ენაზედ.
3. საღმრთო წერილი სამშობლო ენაზედ.
4. ლექსიური გაკვეთილი რუსული ენისა *).
5. რუსული კითხვა.

სამშვბთი.
1. კითხვა სამშობლო ენაზედ.
2. არითმეტიკა სამშობლო ენაზედ.
3. სამშობლოს და მსოფ. ცნობა სამშობლო ენაზე.
4. ლექსიური ვაკვეთილი არითმეტიკიდამ რუსულ.
5. რუსული. კითხვა.

ოთხშვბთი.
1. კითხვა სააშობლო ენაზედ.
2. არითმეტიკა სამშობლო ენაზედ.
3. საღმრთო წერილი სამშობლო ენაზედ.
4. ლექსიური გაკვეთ. საღმრ. წერილიდ. რუს. ენაზ.
5. რუსული კითხვა.

ხუთშვბთი.
1. კითხვა სამშობლო ენაზედ.
2. საღმრთო წერილი სამშობლო ენაზედ.
3. სამშობ. და მსოფლ. ცნობა სამშობლო ენაზედ.
4. ლექსიური გაკვეთილი რუსულის ენისა.
5. რუსული კითხვა.

ექვსშვბ.
1. კითხვა სამშობლო ენაზედ.
2. არითმეტიკა სამშობლო ენაზედ.
3. საღმრთო წერილი სამშობლო ენაზედ.
4. ლექსიური ვაკვეთ. არითმეტიკიდამ რუსულათ.
5. რუსული კითხვა.

შვბთი.
1. კითხვა სამშობლო ენაზედ.
2. არითმეტიკა სამშობლო ენაზედ.
3. სამშობლოს და მსოფლ. ცნობა სამშ. ენაზედ.
4. ლექსიური გაკვ. საღმრთო წერილ. რუსულად.
5. რუსული კითხვა.

ლებისა კვირის განმავალობაში.

მეორე განყოფილება.

საწერი სამშობლო ენაზედ.
საწერი არითმეტიკიდამ სამშობლო ენაზედ.
საწ. სალმრ. წერილ., მაგ., ალწ. შესწავლილის სურათ.
რუსული საწერი რუს. ენის ლექსიური გაკვეთილიდამ.
რუსული საწერი, წაკითხულთან დაკავშირებული.

საწერი სამშობლო ენაზედ.
საწერი არითმეტიკიდამ სამშობლო ენაზედ.
საწერი სამშობლოსა და მსოფლიოს ცნობიდამ.
რუსული საწერი ლექსიურის არითმეტიკის გაკვეთილიდამ.
რუსული საწერი, წაკითხულთან დაკავშირებული.

საწერი სამშობლო ენაზედ.
საწერი არითმეტიკიდამ სამშობლო ენაზედ.
საწერი სალმრთო წერილიდამ სამშობლო ენაზედ.
რუსული საწერი ლექსიურის სალმრთო წერილიდამ.
რუსული საწერი, წაკითხულთან დაკავშირებული.

საწერი სამშობლო ენაზედ.
საწერი სალმრთო წერილიდამ სამშობლო ენაზედ.
საწერი სამშობლოს და მსოფ. ცნობ. სამშობ. ენაზედ.
რუსული საწერი რუს. ენის ლექსიური გაკვეთილიდამ.
რუსული საწერი, წაკითხულთან დაკავშირებული.

საწერი სამშობლო ენაზედ.
საწერი არითმეტიკიდამ სამშობლო ენაზედ.
საწერი სალმრთო წერილიდამ.
რუსული საწერი ლექსიურის არითმეტიკიდამ.
რუსული საწერი, წაკითხულთან დაკავშირებული.

საწერი სამშობლო ენაზედ.
საწერი არითმეტიკიდამ სამშობლო ენაზედ.
საწერი სამშობ. და მსოფლიოს ცნობ. სამშობ. ენაზედ.
რუსული საწერი ლექსიურის სალმრთო წერილიდამ.
რუსული საწერი, წაკითხულთან დაკავშირებული.

ბისა. ეს კი უმთავრესი საგანია ამ საქმეში, რადგანაც მხოლოდ ამ გზით შეიძლება შემოერთება ადგილობრივ მკვიდრთა რუსეთის და საზოგადოთ ევროპის სანატრელ ცივილიზაციასთან...

ჩვენი სისტემა სწავლებისა იმით განსხვავდება აწ არსებულ სისტემისგან, რომ **რუსულის ენის შესწავლის საფუძვლად სახალხო სკოლებში ჩვენ ვსდებთ არა თვით ამ ენაზედ სწავლების მოწყობას,** ეს ყოვლად ანტიპედაგოგიური და ამიტომ უნაყოფო სისტემაა, არამედ მხოლოდ საფუძვლიანად და ყოველ-მხრივ **შესწავლას რუსულ ლაბარაკისას** (ლექსიურის გაკვეთილებით ყველა საგნებიდამ) **და** კიდევ წერა-კითხვისა. რაც შეეხება თვითონ მოსწავლეთა ნიჭთა გახსნა-განვითარებას, ყველა ამას კი სამშობლო ენაზე სწავლაზედ ვამყარებთ და კიდევაც ამიტომ აღწევს ჩვენის სისტემის სკოლა წარმოუდგენელს და დაუჯერებელს წარმატებას.

ავხსნათ ახლა, რა არის ლექსიური ნაწილის შესწავლა რუსულის ენისა, არითმეტიკისა, საღმრთო წერილისა და სამშობლოსა და მსოფლიოს ცნობისა.

ლექსიური გაკვეთილები რუსულის ენისა (ორ-ორი გაკვეთილი კვირაში) შეიცავენ თვალსაჩინო სწავლებას ყველა იმ საგნებისას, რომელიც კი გარს არტყია ყმაწვილს, დაწყობილი თავისი სახლიდამ და სკოლიდამ; მესამე და მეოთხე წელს ლექსიური გაკვეთილები რუსულის ენისა შეიცვლება ლექსიურის გაკვეთილებით სამშობლოსა და მსოფლიოს ცნობისა.

ლექსიური გაკვეთილები არითმეტიკისა (ორ-ორი გაკვეთილი კვირაში) შეიცავენ თვალ-საჩინოდ შესწავლას არითმეტიკულის ყუთის შემწეობით არითმეტიკულ ყოველ საგნებისა, ცნებათა და გამოთქმათა.

ლექსიური გაკვეთილები საღმრთო წერილისა (ორ-

ორი გაკვეთილი კვირაში) შეიცავენ თვალ-საჩინოდვე შესწავლას საღმრთო წერილის სურათების შემწეობით ამ საგნის ყოველ სიტყვათა, ტერმინთა, გამოთქმათა და თვალ-საჩინო ამბავთა.

ლექსიური გაკვეთილები **სამშობლოსა და მსოფლიოს ცნობისა** (ორ-ორი გაკვეთილი კვირაში) იწყობა სწავლის მესამე წლიდამ და შეიცავენ თვალ-საჩინოდვე შესწავლას ყველა იმ საგანთა, მოვლენათ და ამბებისას, რომელიც კი ეკუთვნის სამშობლოსა და მთელის ქვეყნის ისტორია-გეოგრაფიას და ბუნების-მეტყველებას. თქმა არ უნდა, რომ ყოველი ჩვენი ყურადღება მოყვანილ გაკვეთილების დროს **მხოლოდ და მხოლოდ ამ საგნების თვალ-საჩინო ლექსიურის სწავლის შესწავლაზე უნდა იყოს მიმართული**, ხოლო თვით საგნის არსის შემეცნება და მით მოსწავლეთა ნიჭთა გახსნა-განვითარება კი სამშობლო ენაზედ ამ საგნების სწავლებას უნდა დაეთმოს...

ბევრი კარგი და ჩინებული სიტყვა დაწერილა და თქმულა ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებაში იმაზედ, რომ პირველ-დაწყებითი სწავლა ჩვენს სკოლებში სამშობლო ენაზედ უნდა სწარმოებდეს *), მაგრამ ჩვენდა საბოლოოდ, ყველა ეს მხოლოდ თეორიული მოსაზრებანი იყო განვითარებულის გულისა და ჭკვისა, მათ აკლდათ პრაქტიკული მხარე, ე. ი. არ იცოდნენ, როგორ და რა გზით უნდა მოწყობილიყო საქმე, რომ, როგორც იტყვიან, არც შამფური დამწვარიყო და არც მწვადი ღვთით, დღეის შემდეგ, გვგონია, ეს პრაქტიკული მხარეც საკმაოდ გასაგებად არის გამოთქმული ჩვენს ამ წერილში და იმე-

*) ერთი ასეთი თხზულება ამ ტოტა ხანში, მაგ., გამოსცა ი. გოგებაშვილმა, სათაურით: „Какъ улучшить кавказскую народную школу“.

დი უნდა ვიქონიოთ, რომ მის განხორციელებას ამის შემდეგ წინ აღარაფერი დაუდგება, თუ თვით ჩვენ თავხედურად არ ავყვებით ვიწრო თავ-მოყვარეობას, რატომ ეს უბრალო ჭეშმარიტებ, იმან და არა მე არ გამოვსთქვიო.

თქმულით, რასაკვირველია, ვიცი, მაინც საქმე ერთს დღეში არ განხორციელდება, მას დიდი ბეჯითობა და ლოლიობა ჰმართებს ჩვენგან, წერა, სჯა, ბაასი, კრებები, მუდარებანი და ცდა, სადაც ჯერ არს, რომ საცდელათ მაინც შემოიღონ ჩვენ-მიერ დასურათებული პირველ-დაწყებითი სწავლის სისტემა მთელს კავკასიაში თუ არა, ჩვენს სიქართველოს სკოლებში მაინცა. თქმა არ უნდა, რომ თქმულის მსგავსათ უნდა მოეწყოს სწავლა ყველა ჩვენს სამოქალაქო და საშუალო სასწავლებლებშიაც და უწინარეს ყოვლისა იმ სასწავლებლებში, რომლებაც ჩვენს, ცოტა თუ ბევრს, განკარგულებაშია, ვითარცა საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სახალხო სკოლებში, სათავად-აზნაურო სკოლებში და ჩვენი სამღვდელოების სამრევლო სკოლებში, იმ განსხვავებით, რომ საშუალო სასწავლებლებში ოთხის წლის ჩვენის სისტემით სწავლების შემდეგ, სასწავლო საგნების სწავლება რუსულ ენაზედ იწყობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სწავლა სამშობლო ენაზედ სრულიად უნდა შესწყდეს. ორა. იგი თავისს წესზედ სწარმოებს თანასწორ რუსულის ენისა, სანამ მოსწავლენი სამშობლო ენაზედაც არ გაათავებენ საშუალო სასწავლებლის პროგრამმით—ქართულის სიტყვიერების გრამმატიკას, ქართულს და მსოფლიო ისტორია-გეოგრაფიას და სალმრთო წერილს...

ივ. როსტომაშვილი.

ჩამორჩენილი მოსწავლენი.

ეგებ ახსენებათ, რომ ის მოსწავლენი, რომლებიც სკოლაში უკანასკნელ შეგირდებად ითვლებოდნენ, ცხოვრებაში ხშირად ხდებოდნენ უუნიჭიერეს მოღვაწეებად არა მარტო საზოგადო მოქმედების ასპარეზზედ, არამედ თვით სამეცნიერო თუ სამწერლო ასპარეზზედაც. მართლაც და გასაკვირველია, რომ გმირნი, სახელგანთქმულნი მეცნიერნი, ბუნების-მეტყველნი, მგოსნები და უდიადესი მოაზრენი ყრმობაში მცირე ნიჭიერებას იჩენდნენ და შემდეგში კი, ცხოვრებაში, ჭენიოსებად ხდებოდნენ. აი ამისი არა ერთი და ორი მაგალითი.

ისააკ ნიუტონი, დამაარსებელი მატემატიკურის ფიზიკისა და უუდიდესი მატემატიკოსი, სკოლაში სულ უკანასკნელ შეგირდად ითვლებოდა, ვიდრე ერთმა მისმა ამხანაგმა თვისის გამუდმებულის დაცინვით მის გონებითს სიჩლუნგეზე, ნიუტონი მოთმინებიდამ არ გამოიყვანა. ნიუტონის ამპარტავნობამ ვერ აიტანა ამხანაგის ასეთი დაცინვა და მასში უეცრად გაიღვიძა მიძინებულმა ჭენიამ. ნიუტონმა ჯერ სცემა თვისს დამცინავ ამხანაგს და შემდეგ, სულ მცირე ხანში, სრულიად გაუსწრო მას ყველა სასწავლო საგნებში.

ასევე სულელს ეძახდნენ მასწავლებელნი სვედების სახელ-განთქმულს ბუნების-მეტყველს კარლ ლინეის. მისი ეს სიტუტუცე იყო მიზეზი, რომ იგი გამოიყვანეს სკოლიდამ და მიაბარეს მეწაღეს, საიდამაც იგი მხოლოდ შემთხვევით კვლავ დაუბრუნდა სწავლა-მეცნიერებას და გახდა ერთ უუდიდეს ჰენიოსად მე-XVIII საუკუნისა.

ასევე აღსანიშნია სიყმაწვილე ინგლისის განთქმულის ფიზიკოსისა, ქიმიკოსისა და მწერლისა **დევისა** (1778 – 1829 წწ.), რომელიც პატარაობაში ისე ცუდათ სწავლობდა, რომ მის მასწავლებლებს შემდეგში დიდს ხანს არ სჯეროდათ დევის სამწერლო და სამეცნიერო შრომანი.

კიდევ უფრო უარესი იყო წარსული დევის თანამედროვე საფრანგეთის მეცნიერისა და მწერლისა არაგოსი (1786—1853 წწ.), რომელმაც ჯერ კიდევ 14 წლოვანობაში არ იცოდა კითხვა და მასწავლებლები მას „ვირის თავს“ ეძახდნენ, ვიდრე იგი შემთხვევით არ მოჰყვა პოლიტეხნიკუმის სკოლაში, სადაც, იმ დროამდე უნიჭო ჭაბუკმა, ახლა კი ისეთი შესანიშნავი ნიჭი გამოიჩინა, რომ მალე მსოფლიო სახელი მოიხვეჭა მეცნიერისა.

ასევე ძნელი იყო გამოეცნო კაცს ნემეცთა გამოჩენილის ბუნების-მეტყველის **ალექსანდრე ჰუმბოლდტის** ჰენიოსობა. თვის ახალგაზდობაში იგი იმდენად ჩამორჩა სწავლაში თავისს ძმას ვილჰელმს, რომ მასწავლებლები და თვით მისი დედა დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ალექსანდრე ჰუმბოლიდტს საკმათ ნიჭი არა აქვს სწავლისაო.

სახელ-განთქმული ქიმიკოსი ლიებიხა ხომ მარად მასხარად იყო აგდებული თვის ამხანაგებისაგან და მუდამ უკანასკნელი ადგილი ეჭირა სწავლაში.

უფრო ხშირია მწერლების და პოეტების გადასვლა უნიჭოთა რიცხვიდამ გამოჩენილ კაცთა რიცხვში.

ცნობილი სატირიკოსი ინგლისისა **სვიფტი** ერთხელ ისე ჩაიჭრა ერთს გამოცდაზედ დუბლინის უნივერსიტეტში, რომ პროფესორებმა ერთხმად აღიარეს სრული უსარგებლობა მისი კვლავ უნივერსიტეტში დატოვებით, ხოლო მეორე სატირიკოსი და რომანისტი **ოლივერ გოლდსმიტი**, რომლის შესანიშნავი თხზულებანი გადათარგმნილია ევროპის ყველა ენებზედ, თვითონვე ადარებს თავის თავს იმ მცენარეს, რომელმაც ძლიერ გვიან იწყო აყვავება. **რობერტ ბურსი**, შოტლანდიის უდიდესი მგოსანი, სიყმაწვილეში მარტო მუშტის ღონეს იჩენდა და გონებით კი მას ყველა იდიოტათ სთვლიდა.

ვინ არ იცნობს ვალტერ სკოტს. სიყმაწვილეში მას ყველა იდიოტს ეძახდა და თვით უნივერსიტეტში ყოფნის დროსაც კი, პროფესორები პირდაპირ ამბობდნენ, რომ მისგან თავის დღეში ვერ გამოვა მოაზრე ადამიანი.

არა ნაკლებ ცნობილი მოაზრე სამუელ სმაილსი სიყმაწვილეში ისეთს უნიჭობას იჩენდა, რომ მასწავლებლები ვერას დროს ვერ ღებულობდნენ მისგან ხეირიანს პასუხს.

ამასვე ვხედავთ მხატვრებში. წინამორბედი რაფაელისა და მოკელ-ანჯელოსი, იტალიის ცნობილი მხატვარი ტომას გვიდი (1402—1443 წწ.), რომელმაც პირველმა ღაუდვა საფუძველი ფლორენტიის სკოლას,—სიყმაწვილეში სრულს უნიჭობას იჩენდა და მარად უკანასკნელი ადგილი ეკავა სკოლაში.

ასევე უკანასკნელი შეგირდი იყო სკოლაში ინგლისის გამოჩენილი მხატვარი ვილიამ გუბარტი (1697—1764 წწ.).

რომ არც სამხედრო ჰენიოსები არ იბადებიან

მზათ-მზარეულათ დედის მუცლიდამ, დიდი ხანია ვიცით ყველამ. ასეთს გმირებს ჩვეულებრივ აჩენს და ზრდის ომი და ბრძოლის ველი. ოცდაათ წლიანის ომის უუდიდესი სარდალი ვალლენშტეინი, სიყმაწვილეში უნიჭო ყმაწვილად იყო აღიარებული თვით მაშინდელ ცნობილ პედაგოგთაგან.

თუ რამდენად უსამართლო და წინდაუხედავია ხშირად მასწავლებლების აზრი და დასკვნანი თვისს შეგირდებზედ, კარგათ სჩანს ბერლინის გამოჩენილ სამანქანო ქარხნის დამაარსებელის ბორზიგის ცხოვრებიდამ. იგი იყო შვილი მეფეჩისა და პატარაობაში სწავლობდა ერთს მანქანების საკეთებელ დაბალს სკოლაში. მაგრამ სწავლა მისი ძლიერ ცუდათ მიდიოდა და მასწავლებელმა გადაჭრით გამოაცხადა, რომ ბორზიგი უფრო ხარაზად გამოდგება, ვიდრე ტეხნიკადაო.

ორიოდე მაგალითი მ'შვენიერ სქესთა წრიდამაც. საფრანგეთის ერთს გამოჩენილს მსახიობ ქალს პირველათ ძლიერ ცივათ ეპყოობოდნენ მისი ამხანაგნი—მსახიობნი, ხოლო ერთი მათგანი, სხვებზედ უფრო ცნობილი, მარად ამას ეტყოდა ამ ქალს: „თქვენ უფრო ყვავილების გასყიდვა მოგიხდებათ, ვიდრე სცენაზედ გამოსვლაო“. გავიდა დრო, ქალმა იმდენი იმეცადინა, იშრომა, ისწავლა, რომ ყველა თვისს ამხანაგ-მსახიობთ გაუსწრო და გახდა მთელის საფრანგეთის დიდებად. ერთხელ იმდენი ყვავილის თაიგულები და გვირგვინები მიართვეს ამ მსახიობ ქალს, რომ მთელი სცენა გაივსო. ქალი მიუბრუნდა ახლა კი მის წინაშე მონურად მდგომარე თვისს მკილავ მსახიობს და უთხრა: „თქვენ ოდესღაც მირჩევდით ყვავილებით ვაჭრობას... დღეს, როგორც ჰხედავთ, ყვავილები მრავლად არის აქ, ხომ არ ინებებთო?“.

ივ. როსტომაშვილი.

საზეპირო და სხვა

სასწავლო სახელმძღვანელო წიგნები პირველ-დაწყებით სკოლების მოწაფეთათვის.

ირველ-დაწყებით სკოლების მოწაფეთათვის არა თუ უსარგებლოა ამა თუ იმ სასწავლო საგნის სახელმძღვანელო, არამედ სრულიად მავნებელიც, რადგან მოსწავლენი ჯერ იმდენად უსუსურნი და განუვითარებელნი არიან გონებით, რომ რაც უნდა კარგად იყოს სახელმძღვანელო შედგენილი, უმეტეს მათგანს მაინც ვერასოდეს ვერ შეუძლიან მისი გაგება. ვნება კი, რომელიც მოაქვს ასეთ წიგნებს, ფრიად დიდია: მოსწავლენი ეჩვევიან გაკვეთილების გაუგებრად გაზეპირებას და მით სამუდამოთ და საბოლოოდ მის ეულისათვის სხვა ყოველგვარი წიგნის შეძულვასაც.

ამ ხანაში მოსწავლეს შეუძლიან გაიგოს წანაკითხი მხოლოდ ეგრედ წოდებულ **საკითხავ წიგნებისა**, ჩვეულებრივ სურათებიანებისას, რომლების წაკითხვასა, გაცნობა-გაგებას ის თვითონ აარჩევს...

ძველად ყოვლად განთვისებული ადგილი და მნიშვნელობა ჰქონდა სახელმძღვანელო წიგნების

სწავლების საქმეში და მასწავლებელი ხელშეუვალი იყო. იმის საქმე იყო მხოლოდ გაკვეთილის დანიშვნა „**ანბანის აქნობამდე**“, რომლის გაკბილვის შემდეგ მოწაფისაგან, მასწავლებლის მოვალეობას მხოლოდ ის შეადგენდა, რომ შეემოწმებინა გაკვეთილის ნამდვილად დასწავლა. თუ რა შედეგი მოსდევდა ამ გვარს სწავლებას, ეს ყველამ კარგად უწყის.

მაგრამ სწავლა-აღზრდის საქმე არც ამ სიბრძნის წერტილზედ გაჩერდა: შემდეგში სწავლების საქმემ სხვა უკიდ-ურესი მიმართულება მიიღო: მოწაფეებს ერთიანად მოჰხსნეს კისრიდგან სწავლის უღელი და იგი მთლად თვით მასწავლებელს მოახვიეს თავზედ. ამ ნაირად მასწავლებელნი შეიქმნენ მარტო სახელმძღვანელოების ამხსნელებად და განმმარტებებლებად. ბოლოს და ბოლოს და ჩვენს დროში მასწავლებლებს ტვირთი უფრო გაუმძვინვარდათ და გაურთულდათ: ისინი მოვალენი შეიქმნენ **ჭარმოანიულად** და **ეოველმხრივ განეგითარებინათ მოსწავლეთა სულიერნი ნიჭიერებანი**, ასე **რომ** იგინი **ერთსა** და **ამავე დროს მათი მასწავლებელნიც** უნდა **ეოფილიეკნენ** და **აღმზრდელნიც**. ამ ნაირად შეირყა სახელმძღვანელოს განთვისებული მოქმედება ანუ მნიშვნელობა, და სრულიადაც აღკრძალულ იქმნა მისი ხმარება მოწაფეთა კარგა ჰასაკში შესვლამდე, რადგან იგი სწავლების პირველ ხანაში არა თუ მარტო უსარგებლოა, არამედ მავნებელიც.

მივაქცევთ ამ გარემოებაზე აქტივურ ყურადღებას მშობლებისა და იმ მასწავლებლებისას, რომელთაც ბავშვების სწავლა-აღზრდა გაუხდიათ თავის სალმრთო მოვალეობად!..

ჩვენ ძრიელ კარგადა გვაქვს წარმოდგენილი, რომ ამ გვარი პირებისათვის პირველში მეტის-მეტად საძნელო იქნება ამ გონივრული მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რადგან უწიგნოდ სწავლება მათ მხოლოდ მაშინ შეეძ-

ლებათ, როდესაც თავათ რიგიანად იქნებიან ამისთვის მომზადებულნი. იგინი აღჭურვილნი უნდა იყვნენ თითქმის ყოველი სამეცნიერო საგნების ცოდნით და უწინარეს ყოვლისა თვისი ერის ყოველი წვლილის შემეცნებით, რის გამოც უნდა კითხულობდნენ სხვა და სხვა გვარ სამეცნიერო წიგნებს, რომ გონივრულად და პატიოსნურად შესძლონ ბავშვების სწავლა-აღზრდა. ჩვენში კი სამწუხაროდ კითხვა სამეცნიერო და საერო საქმეთა შინაარსის გამოცემებისა არ შეადგენს საზოგადო მოთხოვნილებას, და ითვლება იგი, უმეტეს ნაწილად, უქმად დროების გატარებად.

დისტერვეგის აზრით, სახალხო მასწავლებელი უნდა იყოს ყოვლად განვითარებული კაცი, საღი სულითა და ხორცით, მან საფუძვლიანად უნდა იცოდეს პედაგოგიკა და დიდაქტიკა, საბუნების-მეტყველო საგნები, არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, დედა-ენა, ისტორია, გეოგრაფია და აგრეთვე სავსებით შესწავლილი უნდა ჰქონდეს სამშობლო ქვეყანა.

ხოლო საიდგან უნდა შეიძინოს ქართველმა სოფლის მასწავლებელმა ამოდენა ცოდნა, თუ თვით მას წას კითხვი რამე არა ექნება?

ასეთის ცოდნის სალაროს ქართველ სოფლის მასწავლებელისათვის, ვიმეორებთ წარმოადგენს დღეს, ბევრად თუ ცოტად, მარტოოდენ ჟურნალი „მოგზაური“.

ჯეშმარიტების მოუვარე.

დედები შესანიშნავ ადამიანთა

მორის ბლოკისა.

შესანიშნავი ადამიანები და მათი დედები.

I. ძმანი გრაკსები *).

ვენ ვიწყებთ გრაკხების ბიოგრაფიებით, რომელთ დედა იყო ყველასგან ცნობილი კორნელია. კორნელიას სახელი ახლა ანდაზათ იხმარება და დედის ამპარტავნების. სისათუთის და ღირსების გამომხატველია.

კორნელია იყო ასული ერთის შესანიშნავის რომაელის მოქალაქისა, რომელმაც იხსნა რომი დიდის განსაცდელისაგან და მასთან დაამარცხა ძლევა-მოსილი ჰანნიბალი. ეს გვამი გახლდათ სციპიონ აფრიკელი. ამ შესანიშნავ ადამიანთან აღზრდილმა ქალმა ჩაინერგა გულში სიყვარული სიდიადის, დიდების, პატიოსნების და სულით და გულით შეიყვარა ლიტერატურა და ეს თვისი გრძნობები მან სავსებით თავისს შვილებსაც გადასცა.

---

*) იხ. „მოგზაური“ № 5 და 6, 1903 წ.

კორნელია იყო **სემპრონ გრაკხის** ცოლი; თუმც სემპრონი მაინც და მაინც დიდი მეგობარი ათ იყო თავისი სიმამრის, სციპიონისა, მაგრამ ერთხელ, როცა კართაგენის დამპყრობი უსამართლოთ გამტყუნდა ხალხის წინაშე, მამულის-შვილის გრძნობით აღგზნებულმა **სემპრონ** გრაკხმა თავი გამოიდო მის დამცველად და გაამართლა კიდეც. ამისათვის სციპიონმა მადლობის ნიშნათ მიათხოვა მას თავისი ქალი—კორნელია. პლუტარხი მოგვითხრობს ერთ შემთხვევას, საიდანაც ნათლათ სჩანს სემპრონისა და კორნელიას შუა ცოლ-ქმრული სიყვარული, მარა უმთავრესათ კი ქმრის სიყვარული ცოლისადმი. ერთხელ სემპრონის სახლიში შეძვრა ორი გველი, დედალი და მამალი. მოგვებმა ეს ასე ახსნეს: უბედურების თავიდან ასაცდენად ერთი ამ გველთაგანი უნდა მოიკლასო, მარა ისიც დაუმატეს, რომ, თუ მამალი მოიკვლება, სიკვდილი სემპრიონს მიუახლოვდება და თუ დედალი—კორნელიასო. სემპრონს გაგიჟებით უყვარდა თავისი ცოლი და მას შვილებისათვის თავის თავზედ უფრო საჭიროთ სთვლიდა; ამ მოსაზრებით მან მამალი გველი მოაკვლევინა. ამის შემდეგ, როგორც გადმოგვცემს ისტორიკოსი, სემპრონი მალე მომკვდარა. ქმრის სიკვდილის შემდეგ კორნელია დიდის ენერგიით შეუდგა შვილებს აღზრდას და გადასწყვიტა თავისი სიცოცხლე მათის აღზრდისათვის შეეწირა. ამასთან ერთად მან იმდენი ჭკუა, სულმაღლობა და დედობრივი სიყვარული გამოიჩინაო,—ამბობს პლუტარხი, რომ სემპრონი არ შესცდა, როცა ცოლის სიკვდილს თავის სიკვდილი ამჯობინაო.

კორნელიას ჰყავდა თორმეტი შვილი, მაგრამ ცხრა მათგანი ქვრივობაში დაეხოცა და სამილა დარჩა: ერთი ქალი და ორი ვაჟი. ამ ვაჟებს ერქვათ—ერთს **ტიბერი**

და მეორეს კაი. აი ამათი აღზრდა სამაგალითოთ დაიდო კორნელიამ თავის მიზნად...

ერთხელ ერთმა პატრიციელმა ქალმა—კომპანომ უჩვენა მას თავისი ძვირფასი ნივთები და მერე სთხოვა თვით კორნელიას მასაც ეჩვენებინა თავისი სიმდიდრე. კორნელიამ დაუყენა ქალს წინ თავისი ორი ვაჟი და უთხრა: «აი, ესენია ჩემი სიმდიდრე»-ო! ეს სიტყვები იმ ღირსეული და ნამდვილი ქალისაა, რომელმაც უბრალო ქვრივათ დარჩენა ამჯობინა მეფის ცოლად გახდომას: კორნელიამ უარი შეუთვალა ეგვიპტის მეფეს პტოლომეოსს, რომელმაც სთხოვა მას ცოლობა.

ამ ადამიანის მისწრაფებანი დიდათ კეთილშობილური და პატიოსანნი იყვნენ. ის ხშირად ეუბნებოდა შვილებს: «მე მიცნობენ მხოლოდ როგორც სციპიონის სიდედრს (მისი ქალი ჰყავდა ცოლათ სციპიონ ემილიენს, რომელმაც ესპანიაში გაითქვა სახელი); ნეტავი როდის იქნება, რომ თქვენ ისე გაითქვათ სახელი, რომ მე გრაკხების დედას მიწოდებდნენო»-ო! ერთი სიტყვით, ის არაფერ ძალღონეს არ ზოგავდა შვილების, თავისი თავის და გრაკხების შთამომავლობის სახელის განსათქმელათ. უმთავრესათ ის იმაზედ ზრუნავდა, რომ შვილებისათვის შეეთვისებინა ის ძირითადი თვისებანი, რომელნიც რომაელ შესანიშნავ გვამებს ჰქონებიათ. აი ეს თვისებანი: ყაჟკაცობა, პატიოსნება და მჭერ-მეტყველება. ის უამბობდა შვილებს თავის მამაზედ, სციპიონ აფრიკელზედ, სციპიონ აზიელზედ, რომელმაც ანტონი დიდი დაამარცხა, თავის ქმარზედ—სემპრონ გრაკზედ, რომელიც ორჯელ კონსულათ იყო და ომში სახელი გაითქვა, და, დასასრულ, თავის სიძეზე, სციპიონ ემილიენზედ, რომელმაც ნუმანცი დაამარცხა. ყოველთვის ამისთანების ლაპარაკის დროს კორნელია ცდილობდა შვილებში გაეღვიძებია ამ შესანიშნავ კაცების წაბაძვის სუ-

რვილი. რა, გასაკვირველია ამის შემდეგ თექვსმეტის წლის ტიბერი გრაკხის იტალიაში წასვლა სახელის მოსახვეჭათ!.. მან პირველმა მიიტანა იერიში მტრის ქალაქზედ და ყველას აჯობა ვაჟკაცობით და წეს-რიგის დაცვით. მისი ღირსებანი ისე დიადნი იყვნენ და გრძნობანი კეთილშობილნი, რომ მტერმაც კი დიდი პატივი უძღვნა მას. თუ როგორ აფასებდა ხალხი ტიბერი გრაკხის თვისებებს და მისს აღზრდას, სჩანს შემდეგიდამ: ერთმა შესანიშნავმა კონსულთაგანმა, აპპი კლავდიომ, თავისი ქალი შეაძლია ცოლად ტიბერის და რა კი დასტური მიიღო, კონსულმა ეს ამბავი თავისს ცოლს ახარა: «ჩვენი ქალისათვის საქმრო ვიშოვეთ». „რად აჩქარებულხარ?— უთხრა ცოლმა,—სიჩქარე მაშინ გვმართებდა, თუ ჩვენს ქალს ტიბერი გრაკხი შეირთავდაო“. აი, სადამდის დიადი იყო სახელი ტიბერისა!..

მარტო ამით არ თავდებოდა კორნელიას ზრუნვა შვილების უკეთესად აღზრდისათვის. იმავ დროს იგი ბეჯითად ცდილობდა შეეთვისებია შვილებისათვის საზოგადოებაში ლაპარაკის შნოლაზათი და აღფრთოვანებული სულ გული. ის დიდ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე შვილების ჭკუა-გონების გაწრთვნას. აქაც ტიბერის და კაის შეეძლოთ ესარგებლნათ თავიანთის დედის საუბრით და გაკვეთილებით. კორნელია იყო ღირსეული ქალი თავისი მამისა, რომელიც იყო მფარველი სხვა და სხვა მეცნიერებათა. ის იყო ღირსეული ქალი სციპიონთა ოჯახის შთამომავლობისა, რომელნიც განთქმულნი იყვნენ თავიანთის მალალის გემოვნებითა და მფარველობით, რომელსაც ისინი უჩენდნენ საზღვარ-გარეთლებს, განსაკუთრებით ბერძნებს. როგორც ვიცით საბერძნეთიდან რომში ბევრი ხელოვანი, მჭერმეტყვი, ფილოსოფოსი და მკურნალი იყო. შეძლებულ რომაელებს ჩვეულებათ ჰქონდათ ჰყოლოდათ სახლში შვილების აღსა-

ზრდელათ ბერძენთ პოეტნი, ან ნასწავლი ვინმე. კორ-ნელიას ძალიან უყვარდა ლიტერატორთა და ნასწავლ კაცთა საზოგადოება და დიდის სიამოვნებით ღებულობდა თავის სახლში უცხოელებს. მან იცოდა, რომ ესეთი საზოგადოება მისი შვილებისათვისაც კარგი იქნებოდა; ამ მოსაზრებით მან საბერძნეთიდან გამოიწერა კარგი მასწავლებლები და მათ მიანდო შვილების აღზრდა. შვილებს დედის გავლენითაც შეეძლოთ მჭევრმეტყველების შესწავლა. ისტორიკოსს კორნელია ნეპოტს მოჰყავს კორნელიას წერილი თავის შვილთან, რომელიც მოწმობს მისს მაღალ განვითარებას, მაღალ სულს, და ენერგიას. წერილი დაწერილი ყოფილა მშვენიერის ენით. რამდენი ამპარტავნება და ვაჟკაცობა გამოიხატება შემდეგ სიტყვებში: „ჩემი შეხედულობით, მტრების მტრობაზედ და მათ ვნებაზედ უკეთესი არაფერი არ უნდა იყოს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ისე მოხერხდება, რომ სამშობლოს არა ევნოს-რა, მაგრამ, თუ ამის შესრულება სამშობლოს რითიმე აზარალებს, მაშინ ათასჯერ უკეთესია მტრებს ვაპატიოთ, ვიდრე სამშობლო შევაწუხოთ და ვავნოთ მას». როგორი უნდა ყოფილიყვნენ ის კაცები, რომელნიც ასეთმა მოაზრემ და მოლაპარაკე დედამ აღზარდა! თვითონ ციცერონიც დიდ პატივსა სცემს გრაკხების მჭევრმეტყველებას და სთვლის მათ მჭევრ-მეტყველების საუკეთესო ნაწარმოებად. განსაკუთრებით კარგად ლაპარაკობდა ტრიბუნად არჩეული ფიცხი და მამაცი კაი. ხანდისხან ის ისე აღელდებოდა ხოლმე ლაპარაკის დროს, რომ სიბრაზის დასაწყნარებლათ ფლეიტაზედ უნდა დაეკრათ, და მით ცოტათი მაინც დაეწყნარებინათ აღელვებული ორატორი. ამ მხრით კაი შესაძენევათ განირჩევოდა თავის ძმისაგან, რომელსაც უფრო წყნარი ხასიათი ჰქონდა.

ჩვენს საგანს არ შეადგენს გავჩერდეთ გრაკხების-

მიერ დაწყებულ აჯანყებაზედ და მათ ტრაღიკულ ბედზედ. ჩვენ ვსთხოვთ მკითხველს წაიკითხოს რომის ისტორია, საიდანაც გაიგებენ, თუ ტიბერიმ, ტრიბუნათ ყოფნის დროს, როგორ წარუდგინა მთავრობას აგრარიული კანონი, რომლის ძალითაც სახელმწიფო მიწები უნდა დაჰრიგებოდა ღარიბებს, თუ როგორ უნდოდა მას გაენაწილებინა ის სიმდიდრე, რომელიც უანდერძა რომაელებს პერგამის მეფემ; როგორი წინააღმდეგობა გაუწიეს მას ყველა მდიდრებმა და მეფესთან დაახლოვებულებმა, რადგან მათ თავიანთი სიმდიდრის დაკარგვის ეშინოდათ; და, ბოლოს, თუ როგორ თავს დაესხნენ ტიბერი გრაკხს და მოჰკლეს იგი მომხრეების გუნდში. კაის უნდოდა ძმის მოკვლისათვის მაგიერი ეყო მკვლელთათვის, მაგრამ კორნელიამ დაუშალა შვილს ასეთი საქციელი და უთხრა: შენის ძმის მსგავსათ, შენც, პირიქით შენი სიცოცხლე უნდა ანაცვალო ხალხსა, უნდა შეუდრკელათ იშრომო მათთვის და მათის ინტერესების დაცველათ... მე მაშინ ვიქნები ბედნიერი, თუ ჩემგნით აღზრდილი შვილები დაიხოცებიან ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში“-ო.

ამ სიტყვებმა უმნიშვნელოთ არ ჩაიარა. კაიმ გადასწყვიტა თავის ძმისთვის მიებაძნა და სცდილობდა სისხლი აეღო. ის აირჩიეს ტრიბუნათ და რამოდენიმე ხანს მართავდა რომს; ამ დროს მან დიდი შორ-მჭვრეტელობის და მმართველობის უნარი გამოიჩინა. სენატმა ეს ვერ მოითმინა, აღელვდა, პატრიციებმა მოჰკიდეს ხელი იარაღს და კაი ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა კონსულ ოპიმიოსის ხმლით. მასთან ერთად დაიხოცნენ სამ ათასამდე მისი მომხრეები.

კორნელიამ დიდის სულგრძელობით და მოთმინებით გადაიტანა შვილების სიკვდილი. პლუტარხი გადმოგვცემს, რომ, როცა კორნელიას უთხრეს მის შვილე-

ბის შესანიშნავ ძეგლებზედ, რომლებიც დაედგათ იქ, სადაც ისინი დაიხოცნენ, მან სთქვა: «ისინი ღირსნი არიან ასეთის ძეგლებისა»-ო.

შემდეგში რომაელებმა დაადგეს კორნელიას სპილენძის უბრალო ძეგლი, მაგრამ ბევრის მთქმელის წარწერით:

„კორნელია, დედა გრაკხებისა“.

ვ. მალაქიაშვილი.

(შემდეგი იქნება).

სწავლა-აღზრდის რეფორმატორნი *).

რატიხი

1571—1631.

XVI საუკუნის აღზრდის ისტორიამ გაგვაცნო ორნაირი მიმართულების წარმომადგენელნი; პირველ მა დასმა, რომელსაც ეკუთვნოდნენ შტურმი, ტრიცენდორფი, ნეანდრი და იეზუიტები, შესწირა თავი იმ მოღვაწეობას, რომელიც აკმაყოფილებდა თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნილებას და თავის ძალ-ღონე მოახმარა ახალგაზრდების-მიერ კლასსიკურ ენების შესწავლას. მეორე ჯგუფს ეკუთვნოდნენ მეცნიერნი, რომელნიც გვიქადაგებდნენ ჰეშმარიტებას, რომელსაც უმთავრეს საგნად მიაჩნდა აღზრდა, მაგრამ თვით სწავლა-აღზრდის საქმეში პირდაპირი მონაწილეობა კი არ მიუღიათ; მათ შორის დავასახელებთ ყველაზედ სახელ-განთქმულთ: მონტენს და რაბელიეს.

XVII საუკუნიდგან სწავლა-აღზრდის ასპარეზზე გა-

*) იხ. „მოგზაური" № 5 და 6, 1903 წ.

მოდიან ახალი მოღვაწენი, რომელთაც სიმართლით დაიმსახურეს „რეფორმატორთა“ სახელწოდება.

აი უმთავრესი მოთხოვნილებანი ახალ რეფორმატორებისა:

1) საგნების შესწავლას ხელჩაკიდულად უნდა მისი დევდეს სიტყვების შესწავლა.

2) ცოდნა დამყარებული უნდა იყოს გარეგან გრძნობათა მოწმობაზე.

3) უცხო ენების შესწავლა სამშობლო ენის შესწავლით უნდა იწყობოდეს.

4) ლათინური და ბერძნული ენები იმათ უნდა შეისწავლონ, ვინც სამეცნიერო მოქმედებას შეუდგება.

5) აღმზრდელობა უმთავრესი ყურადღება ფიზიკურ აღზრდაზედ უნდა იყოს მიქცეული.

6) მიღებული უნდა იქმნეს ახალი მეთოდი სწავლებისა, სახელდობრ, სწავლება ბუნების თანახმად, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ასე:

1) კონკრეტიულიდგან აბსტრაკტულზე უნდა გადადიოდეს სწავლა, საგნის შესწავლიდგან მის წეს-მოთხოვნილების შესწავლაზედ.

2) მოსწავლეთ შრომა ანალიტიკური უნდა იყოს და არა სინტეტიური.

3) მოწაფეებში უნდა განვითარდეს თვით-შემოქმედობითი ძალა;

4) მოწაფენი უნდა დაინტერესონ სწავლაში და ძალდატანებას ერიდონ.

5) მხოლოდ ის დარჩება დიდ ხანს მეხსიერებაში, რაც კარგათ შეგნებული და შეთვისებულია.—

სწავლა-აღზრდის საქმეში პირველი მღალადებელი ახალი მიმართულებისა იყო ვოლფგანგ რატიხი. კოპოსნი, რასაკვირველია, ყოფილან ლათინის წეს-რიერატიხი დაიბადა გოლშტინიის ქალაქ ვილმერში

1571 წელს; განათლება მიიღო ღამბურღის გიმნაზიაში და შემდეგ როსტოკსკის უნივერსიტეტში. სწავლის დასრულების შემდეგ რამდენსამე ხანს დაჰყო ამსტერდამში და ინგლისში, სადაც გაიცნო ბეკონის ახალი იდეები.

1612 წელს ფრანკფურტის სეიმში გვესმის მაზე ლაპარაკი; იგი ამ დროს ორმოცი წლის მეტი იყო და უკვე შემუშავებული ჰქონდა თავის ახალი მეთოდი სწავლებისა; გატაცებული თავისი ახალი გამოგონებით, იგი უგზავნის სეიმში შეკრებილთ თავადაზნაურობას წერილს, რომელშიაც დალაგებით განმარტავს თავის შეხედულობას; იგი კისრულობს გაუადვილოს ახალგაზრდებს ძველი ენების—ლათინურისა, ბერძნულისა და ებრაულის შესწავლა; წინადადებას აძლევს დააარსონ სკოლები, სადაც ყოველნაირი ხელოვნების სწავლება შეიძლებოდეს, ბოლოს, კისრულობს გერმანიაში ერთნაირი ენის, ერთნაირი მართებლობის და ერთნაირი სარწმუნოების შემოღებას და დაარსებას; რატიხის გეგმამ დააინტერესა ზოგიერთი გვირგვინოსნები დარმშტატის ლანდგრაფი ლუდოვიკი გზავნის მასთან მოსალაპარაკებლად ორ პროფესორს გელვიგს და იუნგსა; პროფესორებს ძალიან მოეწონათ მისი სწავლების მეთოდი და ყოველი ღონე იღონეს მიეცათ რატიხისთვის შეძლება თავის აზრის და მიზნის განსახორციელებლად; გელვიგი ამბობს: „დროა მოვიხსნათ ლათინური ენისგან დადებული ბორკილი; ბერძენთა ღვაწლი და სამსახური ჩამომავლობის წინაშე არასოდეს არ იქნებოდა ასეთი თვალსაჩინო და უდიდესი, თუ რომ იგინიც ჩვენსავებ გაატარებდნენ ყმაწვილობას უცხო ენების შესწავლაში. უწინარეს ყოვლისა **სამშობლო ენა უნდა ისწავლებოდეს და მერე საგნები**. რატიხიმ აღმოაჩინა საშუალება ბუნების თანახმად სწავლებისა; მის მეთოდის შეგმწეობით გაადვი-

ლდება ენების შესწავლა და მეცნიერების შესწავლისა-თვისაც დარჩება თავისუფალი დრო“.

აუგსბურგის ქალაქის რჩევა, დაემყარა რა გელვიგის მოხსენებას, მოიწვია რატიხი და დაავალა სკოლების გახსნა-მოწყობა და ამ საქმეში ვრცელი უფლებითაც შემოსა იგი.

გელვიგთან ერთად აი მოვიდა აუგსბურგში ჩვენი დიდაკტაკიც და შეუდგა საქმეს; მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა იგი აქ, რადგან მცხოვრებლებმა ვერ დააფასეს მისი შრომა და ღვაწლი.

რატიხი და გელვიგი, რომელმაც ცოტა არ იყოს იმედი დაჰკარგა მაზე, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც ერთგული იყო მისი, წავიდნენ ფრანკფურტში, სადაც მოიწვიეს მის წინადადებათა გასარჩევ-გამოსარკვევლად კომისია; ამ კომისიის რჩევით იგი ხელმეორედ იძულებული ხდება მოძებნოს სხვა ადგილი, რომ შეეძლოს თავისი ხელოვნების გამოყენება და მოხმარება.

მას ბედი არასოდეს არ გაუღიმებდა, რომ არ დაჰხმარებოდა მისი ერთგული მეგობარი საქსენ-ვეიმარის გერცოგინია დოროთეა, დედაკაცი გონიერი და სწავლა-აღზრდის კითხვათა მოინტერესე; იგი კარგათ იცნობდა რატიხის მეთოდს, რადგან თვითონაც სწავლობდა რატიხთან ებრაულ ენას, იგი ყოველნაირად მეცადინეობდა გაემხნევებინა თავისი მასწავლებელი და სამუდამოდ შეიქმნა მისი მფარველი და თაყვანის-მცემელი.

გერცოგინის რჩევით, მისმა ძმამ ლიუდოვიკ ანგალითიელმა მიიწვია რატიხი კოტენში, რათა მას განეხორციელებინა აქ თავის იდეები; საქმის დასაწყებლათ მოიხმო თავისთან რატიხიმ მსწავლულნი თანამშრომლები, გააცნო მათ თავის მეთოდი და დააფიცა, რომ საიდუმლოდ შეენახათ მათ ეს; შემდეგ შეუდგა სკოლის გახსნის საქმეებსა, რომელზედაც დიდძალი ფული დახა-

რჯა; 500 მოსწავლემ ქალმა და ვაჟმა დაიწყეს მეცადინეობა რატიხის პირდაპირი ხელმძღვანელობით. არც იმას და არც მის მეგობრებს აზრათაც არ მოუვიდათ, რომ შეუძლებელი იყო 500 მოწაფიანი სკოლის დაარსება იმ კაცისათვის, რომელსაც თუმცა მშვენიერი მეთოდი ჰქონდა, მაგრამ საჭირო პედაგოგიური გამოცდილება კი აკლდა. სწავლა-აღზრდის საქმეში თითქმის ყოველ ნაბიჯზედ შეხვდებით იმნაირ წვრიმალებს, რომელნიც სრულიად გაუგებარნი არიან ამ საქმეში გამოუცდელისათვის. ყოველი დედა თეორიულად გაუნათლებელი, უფრო მალე დაახწევს თავს გაჭირვებულ მდგომარეობას, ვინემ მსწავლული პედაგოგი, რომელსაც არა აქვს საჭირო ტაქტი და მოხერხება.

მრავალ წელთ შემდეგ ამავ პედაგოგიურ ასპარეზზე გამოვიდა მეორე მეცნიერი, უფრო მახვილ-გონიერი, ღრმათ განათლებული და გავლენიანი, მაგრამ აგრეთვე სკოლების გამართვა-მოწყობაში ნაკლებ მოხერხებული და გამოცდილი. ეს იყო პესტალოცი; რატიხზე მას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ იცოდა როგორ დაემსახურებინა მეგობრების და მის გარშემო მდგომარე ხალხის სიყვარული და პატივის ცემა; რატიხი არაფერში არა ჰგავდა კეთილსათნოიან, თავდაბალ, მამასავით ლმობიერ და ყველას პატივცემელს პესტალოცცსა. კერძო ცხოვრებაში მას ვხედავთ რაღაცნაირ უგუნურ ფანატიკოსად, რომელიც თავის საქმეს რაღაც საიდუმლოებით მოსავს და ვერავისთან ვერ ახერხებს კეთილ განწყობილ ცხოვრებას.

როგორც მოსალოდნელი იყო, რატიხის უდიდესი საქმე ჩაიშალა; პრინცმა, გაჯავრებულმა იმაზე, რომ რატიხიმ ჩააგდო იგი სასაცილო მდგომარეობაში და უფრო კიდევ იმაზე, რომ უნაყოფოთ გაფლანგა იმოდენა ფული, ციხეში ჩაასმევინა იგი და იმ დრომდე არ გამო-

უშვა, ვიდრემდე რიტიხიმ ხელწერილი არ მისცა დაპირებულის შესრულებაზე.

მაინც და მაინც რატიხიმ პრინციპისათვის უფრო მეტი გააკეთა, ვინემ მან მისთვის. მან დააარსა კოტენში პირველი ნემეცური სკოლა, სადაც ბავშვებს პირველად დააწყებინეს სწავლა მშობლიურ ნემეცურ ენაზე.

რიტიხიმ ვერ შესძლო ყველა იმ უბედურებათა ატანა, რომელნიც თავს დაატყდნენ მას და ცხოვრების უმადური და მისგან გაწბილებული და დატანჯული გარდაიცვალა 1635 წელს.

ბევრი დასწერა თვით რატიხიმ, ბევრივე დაიწერა მასზედაც; ვისაც სურს მისი მოღვაწეობის და ცხოვრების უფრო სავსებით შესწავლა უნდა მიმართოს რაუმერის და ბერნარდის შრომებს. ჩვენი ახალ-მორბედი მთელი თავის სიცოცხლის განმამავლობაში ტყუილად ცდილობდა თანამედროვე საზოგადოების ყურადღების და ქების მოხვეჭას; ჩამომავლობამაც აგრეთვე ღირსეულად ვერ დააფასა მისი ღვაწლი; მიუხედავად ამისა იგი მაინც ღირსია ჩვენის ყურადღებისა, როგორც პირველი მოღვაწე დიდაქტიკის სფერაში; მისი წინადადებანი, რომელნიც მის თხუზულებიდგან რაუმერის-მიერ ამოკრეფილნი არიან, ეხებიან ყოველ იმას, რაც შეუძლიან აღმზდელთა დაინტერესება და ყურადღების დამსახურება. ვეცდები მოკლედ აღვნიშნო მისი შრომის ეს უმთავრესი ადგილები:

I. ადზრდის საქმეში ჩვენი მოქმედება შეთანხმებული უნდა იყოს თვით ბუნების განვითარებასთან. ადამიანის ჭეშ-გონება ცოდნის შეტანაში ემორჩილება ბუნების წეს-რიგსა; ეს წესი უეჭველად შესწავლილ უნდა აქმნეს და ამ წეს-რიგის ცოდნაზედ უნდა იყოს დამყარებული განათლება.

აქაც, როგორც რეფორმატორთა თხუზულებებში-

აც, სიტყვა, «ბუნება» იხმარება, როგორც განსაზღვრული საგანი, შეხედულება. უკვე „სტოიკების" დროიდგანვე გვირჩევდნენ „ბუნების მიდევნას". უფრო უახლოვეს დროში კი ეს მოთხოვნილება მირანდოლლისაგან გამოხატულია შემდეგ სიტყვებში: «ყურადღება მიაქციე იმას კი არა, რასაც აკეთებენ ადამიანები, არამედ იმას, რაზედაც გითითებენ შენ ბუნების კანონები, გონება და თვით უფალი ღმერთი». ექიმი გარრისი შენიშნავს, რომ აღზრდის კითხვებში ხშირად არევ-დარევით ხმაროობენ ხოლმე სიტყვას «ბუნებას». ესენი ამ სიტყვით იგულისხმებენ გარეგან სამყაროს, მსოფლიოს, და მათ შორის ადამიანსაც, მეორენი კი — მარტო იდეალს. რა მნიშვნელობით ხმაროობდა რატიხი სიტყვას «ბუნებას», ვგონებ ჩვენს დროში უფრო სისწორით იქნება გამოხატული რატიხის აზრი, თუ ვიტყვით «შეისწავლე ფსიხოლოგია».

II. **სუეგელაფრას შესწავლა ერთბაშათ არ შეიძლება; ჯერ ერთი ცოდნა უნდა შეგითვისოთ და მერმე სხვა ცოდნის შემენას უნდა შეგუდგეთ. თვითეულ ენას ერთის აგტორის ნაწერებიდგან უნდა გსწავლობდეთ, და არა რამდენისამე; იმდენ ხანს უნდა გიმეორებდეთ შესწავლილს, ვინემ საფუძვლიანად შეგითვისებდეთ მას.**

ეს წესი ძალიან გაფრთხილებით უნდა მივიღოთ, თორემ მას ისეთივე შედეგი ექნება, როგორც თვით რატიხის სკოლაში ჰქონდა, სადაც ყმაწვილები ექვს თვეს უნდებოდნენ მარტო ტერენციის შესწავლას. ბუნების წინააღმდეგია განუწყვეტლივ რამდენიმე დღე ერთი და იგივე ისწავლო. ამ ნაირი სისტემის უეჭველი შედეგი იქნება მოწყენა და ერთგვაროობა სწავლაში; ჩვენს დროში არავინ მისდევს ამ საქმეში რატიხის შეხედულობას; ეხლანდელ დროში სწავლაში „კონცენტრაცია სრულიად არ არსებობს, სასწავლებლად ძალიან ბლომა საგნებია

დანიშნული და ამიტომ შეუძლებელია მათი დაწვრილებით და სავსებით შესწავლა.

III. ერთი და იგივე საგანი საჭიროა ხშირად იქმნას ხოლმე განმეორებული. ჩვენ ზემოთ შეგვე ვიხილეთ, რომ ამაგვ სისტემას მისდევდნენ იეზუიტები, და ამ ორასის წლის წინეთ ამასაგვ თხოულობდა ჟეკოტოტ.

ამ სისტემის თანახმად რატიხიმ ნემეცური ენის შესასწავლელად მიაჩეჩა ყმაწვილებს დაბადება (შექმნათა წიგნი) და ლათინური ენისა—ტერენციო.

რამდენათაც ხანში შედიან ჩვენი მასწავლებლები და გამოცდილებას იძენენ თავიანთ მოღვაწეობაში, იმდენად უფრო მისდევენ ამ სისტემას; მაგრამ აქაც საჭიროა გაფთხილება, რადგან ხშირი განმეორება ერთი და იმავე საგნისა უეჭველად მოსწყინდება ყმაწვილებს; ყოველ შემთხვევაში უნდა ვერიდოთ უბრალო განმეორებას, საჭიროა მისი შეცვლა-გამოცვლა და გადასხვაფერება; აი რას ამბობს ამის შესახებ ახალი დროის პედაგოგი დისტერვეგი: ,,ყოველი საგანი გულმოდგინეთ უნდა იქმნას ყოველი მხრიდგან განათებულ-გაშუქებული, და შეძლების გვარად უნდა იცვლებოდეს მათი სავარჯიშონი, რომელთა შემწეობით ყმაწვილები ყოველ მხრივ შეისწავლიან და სავსებით შეითვისებენ მას''. სასწავლებლის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ მან უნდა იცოდეს მოსწავლეთა ყურადღების და ინტერესის აღძვრა და გაღვიძება და ამას კი მაშინ მოახერხებს, როდესაც ყმაწვილების-მიერ შესწავლილ საგნებს, სხვა ახალ მხრივ აუხსნის და დაუხატავს.

IV. უბირგელეს ეოგლისა სამშობლო ენას უნდა ასწავლიდნენ; ბერგელ დაწყებითი სწავლა ამ ენაზედ უნდა სწარმოებდეს; ეს გაუადვილებს ყმაწვილებს თვით ცოდნათა შესწავლა-შეთვისებას.

ჩვენ ვნახეთ, რომ შტურმა განდევნა სამშობლო

ენა სკოლიდგან და მისი ადგილი დაუთმო ლათინურ ენას. ინგლისში წინააღუდგა ამ მიმართულებას მიულქასტერი და ინგლისის სკოლებიდგან სამშობლო ენა არ ყოფილა გამოძევებული, როგორც ეს მოხდა გერმანიაში. ნემეცური ენის ადგილი ჯერ ლათინურ ენას ეჭირა, შემდეგ ფრანციცულს; მიუხედავად ამისა დღემდე უცხო ენების შესწავლას დიდი ადგილი აქვს დათმობილი სკოლებში, თუმცა ამის წინააღმდეგი მრავალი მწერლები არიან, რომელთა შორის მილტონი სასტიკად ჰკიცხავდა იმას, რომ უცხო ენების გულისათვის უყურადღებოთ სტოვებენ რეალურ სწავლას *). სწავლა-აღზრდის ისტორიაში ღვაწლად უნდა ჩაეთვალოს რატიხის ის, რომ ის წინააღმდეგი იყო ამ არა ნორმალური მიმართულებისა.

V. ერიდეთ ძალ-დატანებას სკოლაში.

ყმაწვილები გაკვეთილის უკოდინაობისათვის არ უნდა ისჯებოდნენ; ძალ-დატანება უეჭველად აღძრავს

---

*) ბრუფესორი რეკლეი თავის ერთ თხზულებაში სკოლაში ინგლისური ენის სწავლების შესახებ ამბობს: „თვითეული ყმაწვილი, რომელიც სკოლაში შედის მოლაპარაკე არსებაა; მას იგივე იარაღი აქვს, რომელიც შექსპირს და მილტონს ჰქონდათ, მხოლოდ ჯერეთ მაგრად და გაბედვით ვერა ხმარობს მას; ამ ნიჭს ნუ მოსპობთ მასში; ნუ ცდილობთ ხელოვნურად განავითაროთ მასში ახალი ცოდნანი იმ დრომდე, ვიდრე საფუძვლიანად არ დაისაკუთრებს იმას, რაცა აქვს მას; აღზარდეთ და განავითარეთ მისი სიტყვიერების ნიჭი, ამით თქვენ აღზრდით ამაგე დროს მის აზროვნობის ძალას და მისცემთ შეძლებას აღტაცებაში მოვიდეს უდიდეს ფილოსოფოსთა და პოეტთა სიტყვებით და ამასთანავე შეიგნოს მათი აზრი და გრძნობანი“.

ყმაწვილებში სწავლისადმი სიმძულვარეს; ყმაწვილებს ხშირად სჯიან ხოლმე (სცემენ) გაკვეთილის ცუდად ცოდნა-მომზადებისათვის; ჩვენ კი ფიქრადაც არ მოგვდის, რომ იგინი უეჭველად შეითვისებდნენ გაკვეთილს კარგად, რომ აეხსნათ იგი და ესწავლებინათ, როგორც რიგი და წესია; ამაში დამნათავეა თვით მასწავლებელი. იგი ხშირად თავის სიმკაცრით და სასტიკობით სპობს ხოლმე ყმაწვილებში სწავლისადმი სიყვარულს და ბეჯითობას; როდესაც მასწავლებელი სამართლიანად იქცევა და კარგად ასწავლის, მოწაფეებიც სიყვარულით და პატივისცემით ეკიდებიან მას და ამასთანავე მის გაკვეთილსაც გულმოდგინეობით სწავლობენ ხოლმე.

მარტო რატიხი არ იყო ძალ-დატანებითი სწავლების წინააღმდეგი, მრავალი გამოჩენილი პირები,—პლატონიდგან მოკიდებული ეპისკოპოს Dupanloup-ამდე, ამავე აზრისანი იყვნენ; არც ერთი ცოდნის დარგი, ამბობს პლატონი, არ დარჩება მეხსიერებაში, თუ იგი ძალ-დატანების ნაყოფია''.

დუპანლოუპი ამბობს: ,,სწავლის საქმეში ყოველისფერი დამოკიდებულია მასწავლებელზედ; მან რაც შეიძლება მეტი თავისუფლება უნდა მიანიჭოს ყმაწვილებს; ძალ-დატანებით არაფერი არ უნდა კეთდებოდეს; მასწავლებელმა მოწაფეთა სიყვარულით და პატივისცემით უნდა მოიპოვოს ავტორიტეტი და არა ძალ-დატანებით. თვით პაწია ყმაწვილებშიაც კი პატივს უნდა ვცემდეთ ადამიანის თავისუფლებასო''.

რამდენად შემთხვევა მქონდა შემენიშნა, ჩვენი მასწავლებლები მაგდენად არ აფასებენ ამ ავტარიტეტთა საბუთიან რჩევა-დარიგებას; ერთხელ მეც ვერიე მათ რიცხვში და მეც ისე ნაკლებ მზათ ვიყავ, როგორც უმეტესობა მათგანი—მივყოლიყავი პლატონის რჩევას: ,,ერიდეთ სწავლაში ძალ-დატანებას''.—თუმცა ეს ასეა,

მაგრამ მე მაინც ვაღვიარებ მოწაფეთა თვით-მოქმედების საჭიროებას და მრწამს, რომ მისი განვითარება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ყმაწვილებს ძალას არ დაატანენ სწავლაში, ყმაწვილები ბეჯითად იმეცადინებენ, თუ მოვახერხებთ მათში სწავლისადმი ინტერესის გაღვიძებას. თვით ლათინური გრამმატიკის შესწავლაშიაც კი უნდა ვცდილობდეთ ინტერესის გაღვიძებას. მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ყმაწვილებს თუ სრულ თავისუფლებას მივანიჭებთ სწავლაში, რაგინდ დაინტერესებულნი იყვნენ, მაინც სხვა რამეს უფრო საინტერესოს და გასართობს გამოსძებნიან იგინი. სწავლაში და აღზრდაში ვერა გზით ვერ აუქცევთ გზას და ვერ დავტოვებთ სიტყვა ,,მოვალეობას''.

VI. ერიდეთ ზეპირად სწავლას.

ჩვენი სკოლის მუდმივი შეცდომა იმაში იყო, რომ ზეპირად დასწავლილს ნამდვილ ცოდნად აღიარებდა; ამ ნაირ ცოდნას ყმაწვილები უფრო ადვილად თვისულობენ და მასწავლებლისათვისაც ადვილია მისი შემოწმება; ზეპირად სწავლით ბოროტად არ უნდა ვსარგებლობდეთ, მაგრამ მეხსიერება მაინც საჭიროებს გონიერ ვარჯიშობაში.

VII. ოთვალისფერში საჭირო ერთგვარობა.

როგორც სწავლაში, ისე წიგნების კითხვაში უნდა ხელმძღვანელობდეთ ერთი და იგივე მეთოდით, — ამბობს რატიხი.

VIII. ჯერ თვით საგანი შეასწავლეთ და მერმე აუხსენით მისი მნიშვნელობა და შინაარსი.

იმათაც კი, რომელთაც არაფერი იციან სწავლების მეთოდის შესახებ, ეს მოთხოვნილება სრულ ჭეშმარიტებად და ცხადათ მიაჩნიათ. მართლაც, ერთი მიბძანეთ, ვინ იქნება ისეთი გამოუცდელი და უგუნური, რომ ფრანგული ენის ასამაღლებელ ნიშნებზედ დაუწყოს იმ

ყმაწვილებს ბაასი, რომელთაც ჯერეთ არაფერი არ იციან ამ ენის შესახებ.

ის, რაც რატიხიმ 250 წ. წინედ აღიარა, ჯერეთ არავის დაურღვევია და არც უარ უყვია. ვინემ მოწაფე შეითვისებდეს თვით საგანს, უნდა ვერიდოთ მის განსაკუთრებულ თვისებათა და ცვლილებათა არსებითს და არა არსებითს გაცნობას. ეს რატიხის-მიერ წარმოთქმული აზრი აფთხილებს მასწავლებელს იმ შეცდომისაგან, რომელიც ხშირად მოსდის ხოლმე მას. რადგან საგანი მათთვინ ცხადი და გარკვეულია, იგინი დიდხანს ჩერდებიან მაზე და დაწვრილებით მოუთხრობენ მის შესახებ ყოველისფერს; მოწაფისათვის კი ეს წვრილმალი გაუგებარი და შეუთვისებელია და თუ გინდ კიდევაც გაიგოს, ძნელად თუ იპოვნის რასმეს თავისთვინ საინტერესოს მათში.

IX. **საჭირო** საკუთარი **გამოცდილებით ყოველისფრის გამოკვლევა.**

არ უნდა დავემყაროთ ავტორიტეტებზე, გამოუკვლევ-გამოუძიებლად არაფერი არ უნდა მივიღოთ. ცარიელ სიტყვას არ უნდა ვერწმუნოთ. ამ მხრივ რატიხიმ გაცილებით წინ გაუსწრო თავის მასწავლებელს ბეკონს.

ყველა ზემოდ მოყვანილიდგან ცხადათ ვხედავთ, რომ რიტიხიმ ძალიან ბევრი იშრომა დიდაკტიკის უმთავრესს მოთხოვნილების გამოსარკვევლად; ამას გარდა მან აგრეთვე ბევრი ილვაწა მძიმე კითხვის **გადასაწყვეტად**— **თუ როგორ გაუადვილოს** ყმაწვილებს **უცხო** ენების შესწავლა.

კოტენში რატიხის-მიერ დაარსებულ სკოლაში დაბალი კლასსის მასწავლებელს ბავშვებთან უნდა ელაპარაკნა და ყური ეგდო მათის ლაპარაკისათვის და გამოთქმისათვის; როდესაც ბავშვები ასოთ-წყობილებას შეისწავლიდნენ, მასწავლებელი ილებდა დაბადებას და კითხულობდა ერთ თავს, შემდეგ ამეორებინებდა მათ გაგო-

ნილს და თხოულობდა, რომ მათ ყური ეგდოთ კითხვისათვის, არა თუ მარტო მსმენელობით, არამედ მხედველობითაც. ერთი თავის კითხვას რომ გაათავებდა, მასწავლებელი ხელმეორედ იწყებდა მის კითხვას, მხოლოდ ეხლა კითხულობდა სამს თუ ორს სტრიქონს; მოწაფენი მის დახმარებით იმეორებდნენ იმასვე; ამ ნაირად, როდესაც ერთ თავს გაათავებდა მასწავლებელი, მოწაფეთ აწყებინებდა იმის კითხვას, მხოლოდ სხვის დაუხმარებლად —თავისთავად უნდა ეკითხათ მათ.

როდესაც მოწაფენი გავარჯიშდებოდნენ კითხვაში, იწყებდნენ გრამმატიკის შესწავლას; პირველად მასწავლებელი უხსნიდა—თუ რა არის სახელი არსებითი და დაბადებიდგან მოჰყავდა მისი მაგალითი; შემდეგ მოწაფეთ თითონ უნდა ეძებნათ მაგალითები.

როდესაც ლათინური ენის შესწავლის დრო დგებოდა, მოწაფეთ ურიგებდნენ ნემეცურ ენაზე ტერენციოს კომედიას; მათ რამდენჯერმე უნდა წაეკითხათ ეს კომედია, ვინემ დაიწყებდნენ დედნიდგან შესწავლას; შემდეგ ურიგებდნენ ლათინურ დედანს; მასწავლებელი ორჯელ სთარგმნიდა კომედიის პირველ მოქმედებას,— ჯერ ნემეცურიდგან ლათინურად, მერე ლათინურიდგან ნემეცურად; მეორე გაკვეთილზედ პირველ ნახევარ საათს მასწავლებელი სთარგმნიდა და შემდეგ ამასავე სთარგმნიდნენ მოწაფენი.

ამ ნაირად ათავებდნენ რა მთელ კომედიას, ხელახლად იწყებდნენ ხოლმე თავიდგან მის თარგმნას, მხოლოდ ეხლა თარგმნიდნენ თვით მოწაფენი.

ამის შემდეგ მოწაფენი გრამმატიკის შესწავლას ჰკიდებდნენ ხელს; მაგალითებს იღებდნენ ტერენციოს კომედიიდგან ისე, როგორც ნემეცური გრამმატიკის შესწავლის დროს ღებულობდნენ დაბადებიდგან.

რაუმესი იძლევა სრულ და ვრცელ აღწერას რატი-

ხის მეთოდით სწავლებისას, რომ გაგვაგებინოს ამ მეთოდის ერთგვაროობა; ვგონებ ზემოდ ნათქვამიც საკმარისია, რომ დარწმუნდეს ამაში მკითხველი.

რატიხის და აშამის მეთოდები ერთმანეთს რომ შევადაროთ, მათ შორის ვნახავთ ზოგაერთ მსგავსებას. რატიხი ლათინური ენის შესწავლას იწყებს სამაგალითო თხუზულების არჩევით, რომელსაც რამდენჯერმე კითხულობს და აკითხებს მოწაფეებს. ასევე იქცეოდა აშამიც, და ერჩევდა გაკვეთილის თორმეტჯერ განმეორებას.

ორთავენი აძლევდნენ ყმაწვილებს მზა მასალას და ამით აბრკოლებდნენ თვით-მოქმედების ძალის განვითარებას.

როგორც რატიხი, ისე აშამი ასწავლიდნენ გრამმატიკას და მის წეს-წყობილების მოთხოვნილებას ასაბუთებდნენ მაგალითებით, რომელთაც სამაგალითო თხზულებეებიდგან ღებულობდნენ.

მაგრამ ის, რაშიაც იგინი განსხვავდებიან, უფრო საგულისხმოა და არსებითი. რატიხის სისტემის სუსტი მხარე იმაშია, რომ ძალიან ნაკლებ ანვითარებდა ყმაწვილების თვით-მოქმედობის ძალას და ასეთსავე მცირე ადგილს უთშობდა საწერ სამუშაოს. ამ შემთხვევაში აშამის სისტემა უფრო მეტად აკმაყოფილებდა წესიერ მოთხოვნილებას.

ამ ორ სისტემის მიმდევართ შორის ბრძოლა დღემდე არ შეწყვეტილა; ამ უკანასკნელ დროს ორთავე მხარემ ძალიან დიდი შრომა და მოღვაწეობა გასწიეს თავიანთ მეთოდების გასაუმჯობესებლად და შესავსებლად.

არსად არ მიდის პროგრესი ისეთი ნელის ნაბიჯით, როგორც სწავლა-აღზრდის საქმეში; ჯერ კიდევ ამ 50 წლის წინეთ გრამმატიკის სწავლის მეთოდი უფრო ცუდი იყო, ვინემ ის მეთოდი, რომელიც ჯერ ისევ XVI საუკუნეში შემოღებულ იქმნა სწავლა-აღზრდის მოყვარე მწერალთ-მიერ.

ალ. ტატუნაშვილი.

სახალხო სახლი

და

მისი საზოგადოებრივი და აღმზრდელი

მნიშვნელობა *)

(ვ. დანილევსკის მოხსენებიდან).

ადამიანის ყოველგვარ მოქმედებაში და უპირველეს ყოვლისა თვით მის აგებულებაში გამოჩანს მძლავრი კანონი მონაცვლეობისა (чередованія) მუ-

*) ტფილისში, როგორც მკითხველსაც მოეხსენება, ძმათა ზუბალაშვილების საფასით, ვერის ხიდის მახლობლად, შენდება მშვენიერი სასახლე, წოდებული სახალხო სახლად. ჩვენ ამდენად დიდ-მნიშვნელოვან საგნად მიგვაჩნია ასეთის სახლის დაარსება ჩვენს დედა-ქალაქში, რომ საჭიროთ ვრაცხთ წინათვე საკუთარი ფასებით გავაცნოთ ქართველ საზოგადოებას ასეთის სახლის დიადი საზოგადოებრივი და აღმზრდელი მნიშვნელობა ხალხისათვის და ამიტომ სიამოვნებით ვბეჭდავთ ბ-ნ ის. კვიცარიძის თარგმანს. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი სახალხო სახლი საკუთარი ფასებით განახორციელებს ყოველს აქ მოთხრობილს და ახსნილს... ხალხში გასავრცელებლად ესევე წერილი ცალკე წიგნადაც დაიბეჭდება. რედ.

შობასა და უქმობას, შრომასა და დასვენებას შორის. მუდმივი, განუწყვეტელი შრომა ღალავს, აუძლურებს ადამიანს; და თუ ამან დიდხანს გასტანა, არა თუ მოგროვილი ძალ-ღონე ელევა ადამიანს, არამედ მომავალში შრომის უნარიც ეკარგება. აქედან წარმოსდგება გაუსწორებელი დანაკლისი,—«ცოცხალი მანქანა» სრულიად ზიანდება. მეორის მხრით მუდმივი, განუწყვეტელი უქმობა, უმუშავრობა, მდაბიურათ რომ ვთქვათ—ცარიელი ცუდაობა აგრეთვე უსარგებლოა და ადრე თუ გვიან, ასე თუ ისე, მას დამღუპავი შედეგი ექნება შემდეგში; იგი სამძიმო იქნება თვით იმ კაცისათვის, რომელიც ცდილობს როგორმე და რითიმე „შეავსოს სიცალიერე", განურჩევლათ საშუალებისა, მიუხედავათ გონიერი მიზნისა, ოღონდ კი ინსტიქტიურათ დააკმაყოფილოს იმავე კანონის მოთხოვნილებანი. თუ ჩვენი კუთები (ძარღვები) მუშაობას აღარ ეწევიან, ისინი გადაგვარდებიან, კარგვენ თავიანთ დონებრივ თვისებებს და ბოლოს იღუპებიან. ამის დამადარი მდგომარეობა, ამავე პირობებში სწარმოებს ნერვების სისტემაშიაც. პირიქით, თანაბარი მონაცვლეობა შრომისა და დასვენების, როგორც გონებისთვის, ისე კუთებისთვისაც, არის ძირითადი პირობა ძალ-დონის შენახვისა და ამ სასტიკ ორგანოების სიმრთელისათვის; ძილი, რომელიც შეადგენს მორიგეობას დღიურ შრომასა და ღამის მოსვენებას შორის—არის ბუნებრივი გამოხატულება ზემორე დასახელებულ ფიზიოლოგიური კანონისა.

- მაინც კიდე მშრომელი ადამიანის ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ მის დღიურ სამუშაოთა შორის საჭირო ხდება არა მარტო ფიზიკური დასვენება, არამედ მოცლილობა, როცა მას შეეძლება სული მოითქვას შრომისაგან. კუთებრივი შრომის ერთგვაროობა, გარდამეტებული ფიზიკური შრომა და ამავე დროს გონებრივი

უშრომლობა,—ყოველივე ეს ჰქმნის ადამიანს ავტომატად, მოქმედობს დამჩაგვრელად მისს გუნებაზე, ჰქეჯნის სულის სიმხნევეს, გრძნობის სიახლეს, აზრის ძალას. აქედან ცხადია, რომ მძიმე, ერთგვარ მომლალავ შრომის შემდეგ, საუქმო მოცლილობის დროს, როგორც სამაგიერო უკუბრუნება (რეაქცია) ჩნდება თავდაუჭერელი და უსირცხო ქეიფთმოყვარეობა. ეს როდია შედეგი „ბოროტის ნებისა“, ანუ „ცუდის აღზრდისა“, ანუ „ბიწიერ მიდრეკილებათა“—სრულიადაც არა: ეს სიმთვრალის მხიარულება ინსტიქტიური, ბუნებრივი შებრძოლებაა წინააღმდეგ იმ მძიმე ტანჯვის, მოუსაზრებელის, დამჩლუნგებელის შრომისა, რომელსაც ადამიანი ეწევა... რასაკვირველია, ძალიან არ უნდა იქმნეს განზოგადებული (обобщать) ეს დებულება (положеніе), გვერდი არ უნდა შევუაროთ სხვა მიზეზებსა და პირობებს, რომელთაც ადამიანი მიჰყავთ ამისთანა სამწუხარო შედეგებამდე. მაგრამ ჩვენ კი გვგონია, რომ შეუძლებელია უარვყოთ მაღიგორობა, თანშეზომიდება (пропорціональность) შრომის ერთგვარ დამქანცავ ქეჯნასა და ქეიფობას შორის, რომელიც პირველს (შრომას) თან მისდევს, როგორც ბუნებრივი შებრძოლება.

ამის მსგავს მოვლენას ჩვენ გონებრივ სფერაშიაც ვხედავთ: უზომოთ გარდამეტებული გონებრივი შრომა იწვევს უნებლიეთ მისწრაფებას გართობისა და გამხიარულებისადმი; ეს ბუნებრივი ხარკია თანაბრობის (равновѣсія) კანონისა.

თუ შრომისა და დასვენების დროის სწორი და გონიერი გაწეს-რიგებით ჩვენ ვცდილობთ შევინახოთ კუთების ძალ-ღონე და გავადიდოთ ფიზიკური შრომის მწარმოებლობა,—მაშინ ამასთან ერთათ უნდა გვახსოვდეს, რომ შრომის უნარი დამოკიდებულია აგრეთვე ადამიანის გუნებაზე. თუ შევადარებთ ერთმანეთს ორის მუშის მოტა-

ნილს სარგებლობას სრულიად ერთნაირ გარეგან და შინაგან პირობებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთი მათგანი სულიერს ქეჯნაშია, მეორე კი, პირიქით, სრულიად მხნე, სიცოცხლით სავსე,—მაშინ ცხადი იქნება, რომ მეორის შრომა უფრო სასარგებლო და მაწარმოებელი აღმოჩნდება თვისებითაც და რაოდენობითაც. იმავე სპეციალურ ცოდნასთან და იმავე შეჩვევისა და მოხერხებასთან, მეორე მუშა თავისს საქმეს უფრო დიდი სიხალისით და ყურადღებით მოეპყრობა. პირიქით, პირველს დაბეჩავებული სულის კვეთება, სულიერი ქეჯნა ხელს შეუშლიან თვისი ძალ-ღონე, ცოდნა და მოხერხება მოიხმაროს ისე სავსებით და მიზნის მიღწევით, როგორც ამას ის იქმოდა უკეთეს სულიერ მდგომარეობაში; იგი ნაკლებათ აზროვნობს და მუშაობს მანქანასავით, როგორც ავტომატი. მისი მისწრაფება თვისი შრომის გასაუმჯობესებლათ იხშობა, თითონ იგი განურჩევლათ უყურებს იმას, თუ რა გამოვა იმის შრომისაგან. კაი ხანია ცნობილია, რომ შრომის ღირსება, მისი სარგებლიანობა და მაწარმოებლობა, ფასდება არა მარტო ფიზიკური შრომის რაოდენობით; საჭიროა კიდევ გონებითი ძალის დაზიდულება, გამწეობა (напряженіе), საჭიროა ცოდნა, მოხერხება და მათი საქმეში გამოყენება, ყოველ შემთხვევისათვის მათი მიგვარება, შეხამება; საჭიროა აზრის სამკვირტხლე. რაც უფრო რთულია მეხანიკური სამუშაო, მით უფრო საჭიროა გონების მონაწილეობა; მცოდნე და საზრიანი მუშა გაცილებით უფრო მომგებიან შრომას ეწევა, ვინემ მეორე ნაკლებ გონებიანი; თუნდაც ფიზიკურათ უფრო ძლიერი და გამძლე. ცოტა არ ყოფილა ტეხნიკაში იმისთანა შემთხვევები, როცა მიმხვდარი ხელოსანი, ანუ მუშა, როცა აკეთებს თვისს საქმეს სრულის ყურადღებით და მოსაზრებით, ამჩნევს წარმოების ამა თუ იმ ნაკლულევანებას და ახერხებს, თავის

თავათ გამონახოს ღონისძიება ამისთანა ტეხნიკურ ნაკლთა გასასწორებლათ. რაგინდ წვრილმანი იყოს ამგვარი შესწორება-გაუმჯობესობანი უბრალო მუშისა, მაინც კიდე ისინი ხელს უწყობენ წარმოების წარმატებას. ამგვარი წვრილმანებისაგან შემდეგში შეიქმნება მსხვილი რამ. ბოლოს შესამჩნევია აქ—ასე ვთქვათ—ზნეობრივი მხარე საქმისა: მუშას შეაქვს თავის შრომაში არა მხოლოდ ფიზიკური ძალა, არამედ შრომა აზროვნობისა, მისწრაფება განკარგებისადმი. აი ამიტომაცაა, რომ წარმოების წარმომადგენელნი, რომელნიც გონიერათ ეპყრობიან თავიანთ საქმეს, ასე აქეზებენ მუშების პირადის ინიციატივის გამოჩენას შრომისა და წარმოების გაუმჯობესების საქმეში; ამიტომაცაა, რომ იგივე მეფაბრიკე-მექარხნეები წინ აყენებენ წერაკითხვის მცოდნე მუშებს, მეტადრე რომელთაც თუნდა მარტო პირველდაწყებითი განათლება აქვთ მიღებული, რადგან მათი აზრი უფრო ცოცხლათ მუშაობს და მათი ყურადღება მიჩვეულია ერთ რაზედმე; ამასთან მეტი ცოდნაც თუ აქვთ, ეს ხომ კიდევ უკეთესი. რა თქმა უნდა, წერა-კითხვის არ მცოდნე მუშებს შორისაც მოინახება პირველ-ხარისხოვანი მუშა-ტეხნიკი, მაგრამ გამონაკლისებზე ჩვენ აქ არას ვამბობთ. სიტყვა აქ საშუალო მუშაზეა. ბოლოს, ამავე უწერაკითხო ხელოსან-მუშის ნაწარმოები, უეჭველათ, შესამჩნევათ იმატებდა, მას რომ ცოტაოდენი სისტემატიური სწავლა მიეღო სკოლაში და არა ნაწყვეტ-ნაწყვეტათ შეეძინა პრაქტიკული ცოდნა. 1824 წლის სავაჭრო დეპარტამენტის ოფიციალურ მოხსენებაში ფინანსთა მინისტრს გრაფ კანკრინს ნათქვამი აქვს: «მრავალ გამოცდილებათა შემდეგ, ბოლოს, დარწმუნდნენ, რომ სწავლა-განათლება არის, თუნდაც არა თვით უმაღლესი, მაგრამ სამაგიეროთ თვით საიმედო იარაღი მრეწველობის განსავითარებლათ».

იმ ცნობების და შეხედულებების მიხედვით, რომელნიც იძლევიან რუსთა მრავალი მეფაბრიკე, მექარხნე და სოფლის მეურნეები, უპირატესობა წერა-კითხვის მცოდნე მუშებისა შედარებით უწერაკითხვოებთან, ასე შეიძლება დავახასიათოთ: წერა-კითხვის მცოდნე უფრო გამოსადეგია მუშაობაში მომუტებულის მიმხვდარობით და გამჭრიახობით; იგი უფრო საზრიანათ, ფაქიზათ და რიგიანათ მუშაობს, მეტს აწარმოებს, უფრო ითვისებს ახალ-შემოღებას შრომაში და უფრო კეთილსინდისიერათ ეპყრობა სამუშევარს; მას შეუძლია გაიგოს მოხაზულობა (чертежъ), გეგმა; სიხალისით ეკიდება ახალ რამეს, მიწის სამუშევარ იარაღებს, იმ დროს, როცა წერა-კითხვის უცოდინარს ყოველივე მიქარვათ მიაჩნია, გარდა მამა-პაპურ სახნისისა და ფარცხისა. წერა-კითხვის მცოდნეთა შრომა უფრო მაწარმოებელია და აქედან წარმოსდგება მათი გასამრჯელოს, შრომის აწევა 10—25-%-დე და მეტზე. ქარხნებსა და რკინის გზების სახელოსნოებში მომუშავე ხელოსან მუშების—დურგლების, ჩილინგრების, მჭედლების და სხვების სამუშაო ქირა წერა-კითხვის მცოდნეებისა (მაგ., პირველ-დაწყებით სკოლის პროგრამით), მატულობს 9—15%-ით წერა-კითხვის უცოდინარებთან შედარებით; სხვა ადგილებზე კი ცოტაოდენი სწავლა, გარეშე პროფესიონალურ სწავლებისა, ადიდებს სამუშაო ქირას 14—41-%-დე; მაშასადამე, აი რამდენათ სასარგებლოა წერა-კითხვის ცოდნა სამუშევარში. ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველ-დაწყებითი სწავლა-განათლება მუშებს უდიდებს მათის შრომის მწარმოებლობას საშუალო რიცხვით 20%-ით.

ყოველივე ეს იმდენათ ცხადი და საზოგადოთ ცნობილია, რომ საჭირო არაა ვამტკიცოთ ჭკუისა და ცოდნის კეთილნაყოფიერი მონაწილეობა ფიზიკურ შრომა-

ში. დასკვნა ასეთია: მუშობა ავტომატის, თუნდაც ცოცხალის, ნაკლებათ ფასდება; პირიქით, შეგნებულათ ზედ-გავლენა შრომაზე ცოდნის და საზრიანობის მხრით, შესამჩნევათ ამაღლებს იმის სარგებლიანობას და დირებულებას.

პროფესორი ჩუპროვი ასე ახასიათებს განათლების სარგებლობას საფაბრიკო და სახელოსნო შრომისათვის: გონებით განვითარებული მუშა ჩქარა ეჩვევა ყოველ-ვარ შრომას; მას ნაკლები თვალ-ყურის დევნება სჭირდება; იგი ნაკლებ მასალას ხარჯავს; მომჭირნეთ მუშაობს, ნაკლებათ აფუჭებს იარაღებს და მანქანებს; ყოველ ამ მიზეზთა გამო ცოტაოდენი ნასწავლი მუშა იღებს მეტ გასამრჯელოს, ქირას, ვინემ წერა-კითხვის უცოდინარი მისი თანამოძმე...

წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი (რიცხვი) ქარხნების და ფაბრიკების მუშებ შორის უფრო მეტია, ვინემ მთელ დანარჩენ მკვიდრთა შორის. მაშასადამე, ეს სამრეწველო დაწესებულებანი იზიდავენ თავისკენ მომეტებულათ წერა-კათხვის მცოდნეებს. მრეწველობის განვითარება დამოკიდებულია მუშის განათლების ხარისხზედ. ესევე უნდა ითქვას მიწათ-მოქმედების შესახებაც.

ცოდნისა და გონების ამგვარი კეთილი გავლენა შეიძლება ყოველ შემთხვევაში მხოლოთ იმ პირობებში, თუ რომ სულიერი მხნეობა (ენერგია) არ დაუძლურდა, თუ რომ შენახულია სულის სიმკვირცხლე. ფიზიკური შრომისათვის საჭიროა მაგარი კუნთები, მის გასაუმჯობესებლათ საჭიროა ჭკუა და ცოდნა; მაგრამ ამასთან საჭიროა კიდე სულიერი სიმხნევე, რომ ჭკუამ იმუშაოს და ცოდნა გამოყენებულ იქმნას გონიერათ და სასარგებლოთ. ცხადია, აუცილებლათ საჭიროა ვიზრუნოთ არა მარტო კუთებრივს ძალ-ღონეზე, ფიზიკურის სიმრთელეს დაცვაზე, და მუშების წერა-კითხვის და სპეციალურ ცოდნის შეძენაზე, საჭიროა აგრეთვე სახეში ვიქონიოთ გონებრივი

სიფხიზლის დიადი მნიშვნელობა; საჭიროა გარდა ამისა ვიზრუნოთ იმაზედაც, რომ უზომო ფიზიკურმა შრომამ, მისმა ერთგვაროვნობამ არ დაბადოს მოწყენილი გუნება, არ გადააქციოს ადამიანი უგრძნობელ ავტომატად. ჭკუა და ცოდნა უნდა იყოს ცოცხალი იარაღი, რომელიც მტკიცეთ უერთდება შრომას, ფიზიკურ მუშაობას.

საფაბრიკო მკურნალობის წარმომადგენელნი ამტკიცებენ, რომ სინამდვილით ამგვარი შეერთებისათვის საჭიროა ერთნაირი სიცხოვლე, ნერვების სისტემის ენერგია (მისი „ტონუსი"), რაც დაძალულ, ხანგრძლივ შრომის და, განსაკუთრებით, ცუდათ კვების დროს, შესამჩნევათ ეცემა. აქედან წარმოსდგება უმრავლესობის ინსტიქტიური მისწრაფება სასმელებისადმი, ანუ უკეთ ვსთქვათ—ხელოვნურათ შეზარხოშება, დროებით ძალლონის მოკრება, არა საკმარისი დასვენება, არა გონიერი მოხმარება საუქმო დღეებისა, ცუდი კვება, სასმელებით გარეტიანება, გაბანგვა,—ყოველივე ამაებს მიჰყავს ადამიანი იმ სამწუხარო ბოლომდე, რაზედაც ასე დაბეჯითებით გვითითებს მედიცინა და რასაც მოჰყვება სიმჭლევე, კლება ამტანლობისა და მუშაობის უნარის შემცირება. იქ, სადაც ადამიანი მხოლოდ ტლანქ ფიზიკურ შრომას ეწევა, სადაც სულიერი მხარე ნაკლებათ იღებს მონაწილეობას შრომის წარმოებაში, იქ გონებრივ განახლებას მოცლილობის დროს არ აქვს ისეთი საპატიო მნიშვნელობა, როგორც იმას, სადაც შრომა ითხოვს დიდ ყურადღებას, მოსაზრებას—საზოგადოთ გონებით ვარჯიშობას. გონებითი შრომის მიუჩვევლობა იწვევს ჩქარა მის დაცემას, ყურადღება ადამიანს უსუსტდება, მოსაზრებულობა უჩლუნგდება, აქედან სამუშევარიც ფუჭდება, შრომა ეცემა, მცირდება. აქედან - ცხადია, რომ ისჯება როგორც მუშის, ისე აღის ინტერესებიც. ცხადია, დაქანცულობის ასაცდენათ საჭიროა მიზნის შესა-

ფერი შრომის განაწილება; საჭიროა გონების გასაახლებლათ და ნერვების ძალების აღსადგენათ გონიერი სარგებლობა მოცლილობით; საჭიროა სასიმრთელო გასართობნი, რომელნიც სიცხოვლით და შთაბეჭდილებათა სიახლით, აღძრავდნენ ხოლმე ინტერესს ადამიანში და მოჰგვრიდნენ მას ისეთ კმაყოფილებას, რომელნიც ამასთან დაეხმარებიან განათლების უდიდეს საქმეს. ასეთია მოთხოვნილებანი მეურნისა, მუშისა და მისი აღის ინტერესებისა და თვისი საქმისა, მოთხოვნილებანი კაცთმცყვარეობისა და სიმართლისა...

მაგრამ რა უნდა ქმნა იქ, სადაც სულის შემხუთავი საჭიროება ახშობს საუკეთესო მისწრაფებებს, სადაც მძიმე შრომა გართმევს ყოველგვარ ძალას, სადაც უკუნი სიბნელე ჰბოჭავს გონებრივ ინტერესებს? მაშინ მხოლოდ ერთსღა თხოულობს მშრომელი: მიეცით მას ერთი წუთის კმაყოფილება, ერთი წუთის თავის-თავის დავიწყება, მიეცით მოცალება, რაც მას განაახლებს. და თუ ამ დროს იგი ვერ შეხვდება სასიმრთელო გასართობებს, ვერ გამონახავს გონიერ საშუალებას შეივსოს მოცლილობის წუთები, მაშ რაღა დარჩენია მას? რას აწვდის მას გარემო წრე და პიროობანი? რას უჩურჩულებენ მას ოჯახური გადმოცემანი და ამხანაგთა მაგალითები? რით შეავსოს მან დასასვენებელი დრო მცირე სამუშევარ ქირის დროს და ან როცა საზოგადოებრივი გასართობნი ძვირია ან სულ არაა? იგი ეძებს თვისი ხასიათის, გონების და მიდრეკილებათა შესაფერ ბუნებრივ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელს სიამეს, როგორც თვისი კმაყოფილება ხდება ჯილდოდ შრომისა, სამუშევარზე ძალის დახარჯვაზე. უვიცი ბრბო კმაყოფილდება ტლანქი, ფიზიკური სიამით; დახშული გრძნობანი თხოულობენ ძლიერ ადრეულებას, ტლანქი ზნენი ეძებენ ტლანქ გრძნობებს,— დაჩაგრულ გუნებას შველიან მხოლოდ მომეტებული სი-

მხიარულით. სად არის აქედან შველა? სად და როგორ უნდა გაატაროს მდაბიო ხალხმა თვისი თავისუფალი დრო? მაღალი საზოგადოება მას სრულიად არას აწვდის ამ ბუნებრივ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; თითონ მუშას კი ფაბრიკის იყოს იგი, გინდ მიწის მხვნელ-მთესველი, გინდ ხელოსანი, არ შეუძლია მოაწყოს თავიანთი წრის საერთო სასარგებლოთ გონიერი გასართობები, სასიმრთელო სამხიარულოები. რაღა დარჩენია მას? ვინ ანუ რა შეიკავებს მას დამღუპველ სამაცდურო უქმობისაგან, სამიკიტნოებისაგან? და აი ასე ამგვარათ საუქმო დასვენება ხდება მხეცურ გასართობ-სამხიარულოთ; ღვინო „აბრუებს“ ადამიანს; გონიერათ დროს გატარების მაგიერ ადამიანი მხეცურ მდგომარეობაში ვარდება, ჩლუნგდება; სასიმრთელო გასართობების მაგიერ აღვირს იხდიან მხეცური ვნებანი, თავშეუკავებლათ, ადამიანობის თავდავიწყებამდე; საუქმო მოცალეობა გრძნობათა განახლების, სულიერათ გამხნევების მაგიერ, აწვდის მათ ,,დამათრობელ საწამლავს'', ხელოვნურ გამამხნევებელ წამალს, დროებითი თავ-დასავიწყარს... ვინ არ იცის ამგვარი საუქმო დღეებში დასვენების შედეგები? თუ რომ არაყი ან ღვინო აძლევს საშუალებას ადამიანს დროებით თავის დავიწყებას მიეცეს ცხოვრების მძიმე პირობების გამო, ,,გარეტიანდეს, გაიბანგოს'' იმით; თუ დაჩლუნგებული ტვინი, შეიძლება, ინსტიქტიურათ ეძებს იმაში აღმძვრელ საშუალებას დაცემულ სულიერ მხნეობის აღსადგენათ,—ყოველივე ეს გვიჩვენებს ამ გესლიან საშუალებათა გონიერ ხმარებაზე კი არა, არამედ იმ პირობათა შეუფერებლობაზე, რომელნიც ძალას ატანენ ადამიანს მათ მიმართონ. სულის სიმხნევე, გრძნობის და აზრის სიახლე უნდა ინახებოდენ გონიერი საშუალებებით და არა ,,გაბრუებით'' და ქ�იფით... თუ რომ დაღალული ადამიანი სპირტეულ სას-

მელებში ხედავს თვისი ძალ-ღონის შემაგრებას,—ასეთი თვითგრძნობიერება ხომ მატყუარია: ესაა დარჩენილის ძალ-ღონის ადგვრა და სრულიადაც არაა დაკარგულის ადგენა... ამ საგანზე ბევრი შეიძლებოდა გვეთქვა, მაგრამ ყოველივე ეს ხომ ყველასათვის ცნობილია, ყველასაგან მიღებულია; ბოროტება ყველას თვალწინაა, იმას ყველა უჩივის; მაგრამ რა არის გაკეთებული ამ უბედურების შესამსუბუქებლათ, მის მოსასპობლათ? განა გარდამეტებულს ლაპარაკობენ ისინი, ვისაც საუქმო დღეებში ლოთობა-ქეიფი ხალხის უბედურებათ მიაჩნიათ? ყოველივე ეს მხეცური ბიწიერება საზოგადოების, ბავშვების, ახალგაზდების თვალწინ ხდება; იგი გამხრწნელის მაგალითით მათთვის, აჩვევს მათ ლოთურ მხიარულობას, სიყოჩაღესა და კუდაბზიკურ ვაჟკაცობას. უვიცობა და უქმობა ყოველთვის ხელიხელს ჩაკიდებულნი დადიან; მათი კვალი ბიწიერება და დანაშაულობაა. საუკეთესო მისწრაფებანი იხშობიან, ადამიანი მურტალდება და თუ დროზე დახმარება არ აღმოუჩნდა, ბოროტი ბედისწერა იმსხვერპლებს...

აქედან ცხადია, თუ რატომაა არსებითი მოთხოვნილება გამართვა გონიერი სახალხო კასართობებისა, რატომაა იგი პირდაპირი და არ დასაგვიანებელი მოვალეობა საზოგადოებისაც და სახელმწიფოსიც. თვით მეფაბრიკენი რომ აკეთებენ ასათ გასართობებს თავიანთ მუშებისათვის გვითითებენ მათ კეთილ გავლენას ზნე-ჩვეულებაზე გასაფაქიზებლათ, წესიერების დასაცველათ, ძალ-ღონის, შრომისა და დროის დასაზოგველათ. სასმელების გაყიდვის აღკრძალვა, ანუ განწესრიგება, რაც გინდ მიზნის მისაღწევ საშუალებათ იყოს იგი გამოგონილი და თუნდაც შესრულებული, მაინც კიდევ ნახევარი ზომაა და, როგორც ასეთი, არ წყვეტს საკითხს ძირითადათ. ძირითად საკითხს შეადგენს სახალხო განათლება და საზოგადოებრივი

ადზრდა. კეთილ ზნე-ჩვეულების დანერგვა, ამაღლება განათლებით ბრბოსი, მიწოდება მისთვის განახლებულ და განმაგითარებელ გასართობების, გადვიძება სალხის სულიერი ინტერესებისა, ბრძოლა მის, სიბნელისა და უვიცობის წინააღმდეგ,—აი რას უნდა ვესწრაფოდეთ სხვა ზომებთან, საშუალებებთან ერთათ, თუ გულწრფელათ გვსურს ხალხისათვის კეთილი, თუ გვინდა მათ ნამდვილათ დავეხმაროთ.

თუმცა აქ ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ საერო, სამოქალაქო ზომებზე ხალხის გასანათლებლათ ამ სიტყვის უფართოეს მნიშვნელობით, მაგრამ მაინც უნდა ვაღვიაროთ, რომ საზოგადოებას აქვს ხელში საშუალებანი სასიკეთოთ იმოქმედოს მაზედ ამ მხრით. მაგრამ სკოლების გახსნა და იქიდან თავისს ნებაზე 12 წლის ეგზამენ გადახდილ ყმაწვილების გამოშვება ჯერ კიდე არ ნიშნავს განათლებისათვის ყოველიფრის გაკეთებას. თავი რომ დავანებოთ წერა-კითხვის უცოდინრობის წინააღმდეგ საშუალებებს, რაზედაც ზრუნვა და ხარჯი პირველ-დაწყებით სკოლებში თითქმის ნოლს უდრის და რომელთა წინააღმდეგ ასე წარმატებით იბრძვიან უფასო სამკითხველოები და ბიბლიოთეკები,—ჩვენ გვრჩება კიდევ საპატიო ზრუნვა ბავშების და მოზარდი თაობის აღსაზრდელად. თავის თავათ სკოლური სწავლა ყველაფერს არ აძლევს ბავშვს, ბევრ საჭირო რასმე ვერ იპოვის სკოლების ანბანში. კეთილ განზრახვებს და კეთილ გრძნობებს, სიმართლისათვის სამსახურს, ადამიანის პიროვნებისადმი პატივისცემას, სინდისის განვითარებას, თვითმოყვარეობის აღმოფხვრას, მისწრაფებას კეთილ განზრახვების (благопристойности), გაუმჯობესობისა და საზოგადო სიკეთისადმი, პატივისცემა წესიერების და კანონიერებისადმი,—ყოველს ამას იძლევა აღზრდა, ცხოვრება და არა სკოლური სახელმძღვანელოები. ხასიათი, გრძნობა,

მიდრეკილებანი, რწმენები—ყოველივე ეს ცისკროვნდება და მკვიდრდება სასწავლებლის შემდეგ, როცა მხოლოდ სისწორით და გონივრულათ მოწყობილი სკოლის გარეშე მეოთხი განმანათლებელი დაწესებულებანი ბავშვებთან და მოზარდეებთან მჭიდრო ურთიერთობის დაჭერით შეიძლებენ იქონიონ კეთილმოქმედი აღმზრდელი გავლენა. აქ ისინი იპოვიან კეთილ თავშესაფარს, წინააღმდეგ იმ ცუდ, დამღუპველ გავლენისა, რომლებითაც ასე ხშირათ გარშემორტყმულია მოზარდი, მუშა, ხელოსანი ან მიწის მხვნელი ქალაქზე, ქარხანაში, სახელოსნოში, მოუხეშავ და უვიც ბრბოს შორის მყოფი. მარტო ერთათ-ერთი მშრალი, ფორმალური სწავლება ანბანისა ნაკლებათ, ძალიან ნაკლებათ შველის ახალგაზრდობის აღზრდას; აი აქ უწევს დახმარებას განმანათლებელ-აღმზრდელი დაწესებულებანი სახალხო სახლისა, როგორც მიუცილებელი გაგრძელება ანუ დამატება სკოლის შრომისა. მიეჩვევიან რა აქ კარგს, გონიერს დროს გატარებას, ახალგაზდობა აღარ წავა შემდეგში ცუდ, ტლანქ და არა საკადრის გასართობებში. აი ამაში გამოიჩენს თავს კეთილი აღმზრდელი გავლენა გონიერი გასართობებისა.

ზევით ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რომ ხანგრძლივი, ერთგვარი დამდაბალი შრომა აჩლუნგებს გონებას და გულს, ხდის ავტომატად ადამიანს, რომლის საუკეთესო მისწრაფებანი და ზრახვანი ამ პირობებში ასე ადვილათ იხშობიან. იგი თითონ ინსტიქტიურათ ეძებს გამოსვლას ამ მძიმე სულიერ მდგომარეობიდან, უქმე დღეებში იგი უნებურათ ეძებს სიმხიარულეს, რამაც უნდა გაფანტოს ტანჯვა ერთგვარი შრომისაგან. თუ რომ თანამედროვე საზოგადოება და სახელმწიფო უკვე თავისს სავალდებულოთ სთვლის დაკმაყოფილოს სხეულის სიცოცხლის და ფიზიკური შრომის ჰიგიენური მოთხოვნილებანი,—მაშ

ახლოა ის დროც, როცა ასევე სავალდებულო შეიქმნება მოთხოვნილებანი სულიერი ჰიგიენისა პროფესიონალურ შრომის შესახებაც. ამ მოსაზრებით ნახელმძღვანელებთ ჩვენ დიად მნიშვნელობას ვაწერთ გონიერ გასართობებს, როგორც სასარგებლო და სასიამოვნო დასვენებას. იმათგან აღძრული კმაყოფილება და გონებრივი ინტერესი გამოიწვევენ სულიერი მდგომარეობის იმ სიამოვნებას, რაც აცხოველებს ადამიანს და ჰმატებს მას სულის სიმხნევეს და სულიერი კმაყოფილების გრძნობას... ამის მოთხოვნილება კი შედეგია ჩვენი ბუნებრივი აგებულებისა; შეიძლება, ყოველთვის ვერ შევიგნოთ, მაგრამ ვგრძნობთ კი ყოველთვის და იგი ცხადდება კიდეც ამა თუ იმ სახით; გონების და გრძნობის ინტერესები და მოთხოვნილებანი ნორმალურ პირობებში არ შეიძლება რომ დაიხშონ ძარღვების შრომით. და აი ამ მიმართულებას ამკვიდრებს დიადი კანონი ბუნებისა, კანონი თანაბრობის და ჰარმონიისა.

სახელოსნო ფიზიკური შრომა, როგორც სკოლური სწავლება, მოითხოვს გონების, მეხსიერების და ყურადღების ერთნაირ ძალას, ვარჯიშობას; ამგვარი ხანგრძლივი და ერთნაირი მდგომარეობა, როგორც უკვე ვთქვით, ადამიანს მიუცილებლათ დაღვრემილებას და გულის ჯავრს ჰგვრის. ამას შეიძლება დაემატოს დაძალების მქეჯნავი გავლენა, რისგანაც უნდა იყოს იგი გამოწვეული, გარეგანი გავლენით, თუ შინაგანი მიზეზებით. ადვილი გასაგებია, თუ, რატომ ვერ მოქმედობს კეთილათ ამისთანა ცალმხრივი საქმიანობა და საზოგადოთ დროს გატარება ვერც მოზრდილებზე და ვერც მით უფრო სკოლის შეგირდებზე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გარდა გონებისა ადამიანს გულიც აქვს, გარდა აზროვნობის, მეხსიერების და ყურადღებისა, არის კიდევ გრძნობა და ოცნება. როგორც მავთული შეიძლება მოღუნოთ მხო-

ლოთ ერთნაირ ხარისხამდე, ასევე შეიძლება სულიერ თვისებათა დახშვა ერთგვარ ლონემდი, მხოლოთ დროებითად. რაც უფრო ძალუმათ მოლუნავ მავთულს, მით უფრო ძალუმათ გაიშლება, ხელს რომ უშვებთ. მით უფრო მკაცრათ წამოაყენებს თავიანთ მოთხოვნილებას შემდეგში გრძნობა-ოცნებანი, რაც უფრო უგუნურათ, დიდხნობით შეზღუდავენ მათ. აი ამიტომაცაა, რომ პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები მოითხოვენ თავისს დროის და გონიერ აღზრდას ხასიათისას, ოცნებისას, მიდრეკილებათა არა რომელიმე თეორიულათ შექმნილ საზომით, არამედ შესაფერათ ადამიანის სულის ბუნებრივ მოთხოვნილებათა, ყველასათვის ერთნაირათ...

აი აქ იჭერს პირველ ადგილს მოწყობა სასიმრთელო და გონიერ გასართობებისა, რადგან ისინი შეადგენენ მიუცილებელ დამატებას ფიზიკურ, გონებრივ, სკოლურ და პროფესიონალური შრომისას. აქ ადამიანი ეჩვევა სასარგებლოთ და სიამით გაატაროს თვისი მოცლილი დრო და გადაეჩვიოს უსაქმობას, უქმობას, რაც ტყულა როდი მიაჩნიათ «ყოველგვარ ბოროტების მშობელად». მაშასადამე, გონიერი გასართობები არ არის ნებივრობა, ფუფუნება; ისინი ისეთივე საჭირო მოთხოვნილებაა, როგორც სწავლა. ისინი განსაკუთრებით საჭირონი არიან ახალგაზდებისათვის, მოზარდთათვის, რომელთაც გონება ჯერ არა აქვთ დამჯდარი და ხასიათი განსპეტაკებული და, რომელნიც აღტაცებით, გრძნობიერათ მიმღებნი არიან იმის, რასაც მათ აწვდის თეატრი, სახალხო კითხვები და წიგნები...

შეცდომა იქნებოდა, რომ განგვეხილა სახალხო გასართობნი მხოლოთ როგორც გასამხიარულებელი რამ, თავშესაქცევი, უბრალო დასაკმაყოფილებელი და უქმათ დროს გასატარებელი საშუალება. განსაკუთრებული შორსმჭვრეტელობა საჭირო არაა ვიწინასწარმეტყვე-

ლოთ, რომ გონიერი და სასიმთელო გასართობნი კეთილ გავლენას იქონიებენ ყოველგან სიმთვრალის, ბოროტების და უბრალოთ ხეტიალის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუ მოვიგონებთ რა საოცარ ბოროტებას წარმოადგენს ალკოგოლიზმი, რამდენი მწუხარება და უბედურება მოაქვს მას, რამდენი ბიწიერი დანაშაულობითი მოქმედება იზრდება მთვრალობის ნიადაგზე, მაშინ გასაგები იქნება, რომ ყოველივე ხარჯები, ძალ-ღონის და შრომის დახარჯვა გონიერ სახალხო გასართობების მოსაწყობათ,, ერთი ასათ და ათასათ დაგვირგვინდება, რადგან იგი ერთი საუკეთესო საშვალებაა ამ უბედურებასთან საბრძოლველათ. გაუმჯობესება სახალხო შრომისა, მისი ძალ-ღონის დაზოგვა, სიმრთელის შენახვა, დანაშაულობათა შემცირება, დამკვიდრება საზოგადოებრივი მეუდრეობისა, —აი ის შედეგები, რომელნიც თან მოჰყვებიან გონიერ, დასისტემებულ ბრძოლას მთვრალობის და უქმათ ყიალის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში საზოგადოებრივი სინიდისი კმაყოფილი დარჩება, თუ რომ ზოგადი გულგრილობა და უსაქმურობა ნაჯობნი იქნება და შეიცვლება ენერგიული ბრძოლით საზოგადო ბოროტების წინააღმდეგ. ნივთიერი ნაკლულევანება, შავი დღისათვის არა უზრუნველყოფობა, შრომის უნარის დამცირება, საცუსადოების, საავათმყოფოების, სულით ავათმყოფთა სახლების აკსება,— განა ყოველ ამაებს საფუძვლად არ აქვს, როგორც ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი, იგივე მთვრალობა და ამის შედეგი—გადაშენება?!. ყოველივე ეს ხომ საზოგადოთ ცნობილია; ყოველივე ეს ხდება ძალაუნებურათ, ყველას თვალწინ და მაინც კიდე უკანასკნელ ხანებამდი რას ვხედავთ? იმ დროს, როცა ათ-ათი მილიონობით იხარჯებოდა ქალაქების, ეროობების და ხაზინის მხრით საავათმყოფოების და საცუსალოების ასაშენებლად და შესანახად,—ხშირათ უარს ეუბნებიან ას მანათზედაც კი

სახალხო განათლების დაწესებულებათა მოსაწყობათ, გონიერ გასართობების გასამართავათ, ე. ი. საბრძოლველად იმ მთვრალობასთან, რომელიც კლიენტების ასეთ მრავალ რიცხვს უგზავნის სატუსალოებს და საავათმყოფოებს... მაგრამ განა შეიძლება მიზნის მიმღწევი, გონიერი იყოს ბრძოლა ბოროტებისადმი, თუ ყოველი საბრძოლველი საშუალება მიმართულია მხოლოთ ამ ბოროტების შედეგებზე და ან თუ ერთ უმთავრესათ დამღუპველ მიზეზისადმი საზოგადოება ასე გულგრილია?!! კრიმინალისტთა აზრით „მთვრალობა ხალხის უვიცობასა და დასვენების დროს კულტურულ გასართობთა უქონლობასთან ერთათ, არის ერთი ძირითადი მიზეზთაგანი დანაშაულობისა, სახელდობ, დანაშაულობა პიროვნების წინააღმდეგ“. სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ მომეტებული ნაწილი პირადებისა და საკუთრებისადმი დანაშაულობა განათლებულ ქვეყნებში წერა-კითხვის უცოდინართაგან ხდება ხოლმე (ლევასორი). «ბრძოლა, გარდა გალატაკებისა და ეკონომიურათ დაქვეითებისა, ხალხის ამ ზნეობრივ მტრის წინააღმდეგაც შეუპოვარი და მძიმე გვმართებს» (ტარნოვსკი).

ბრძოლის აუცილებლობა ყველას შეგნებული აქვს; მისი საშუალება უნდა შეეფერებოდეს როგორც მიზანს, ისე მტრის თვისებათაც. მტერი კი ძლიერია. ყველამ იცის, რომ მთვრალობის გარეგნული ფორმა—სიმხიარულე—იტაცებს ადამიანს და მიმბაძველი ძალა აქვს; სიყოჩაღე, უდარდელობა, სიმხიარულე მთვრალისა — ყოველივე ეს გადამდებია და იზიდავს კაცს იმავე გაბრუებისაკენ. სამწუხარო სურათები ღრმათ მთვრალობისა, მხეცური ყიალის და ადამიანის სახიერობის დაკარგვისა, ნაკლებათ აშინებს მიმბაძველთ, რადგან ხალხი ამას შეეჩვია.

ის. კვიცარიძე.

(შემდეგი იქნება).

ფერილი სოფლელ მუშას *).

მეოთხე

ა ვიმუშაოთ კარში და რა გავაკეთოთ სახლში? რასაკვირველია, ჩვენ თუ გვინდა აბრეშუმის მოყვანის გაუმჯობესება და თან გადიდებაც, მაშინ დიდი და შესაფერი სააბრეშუმეს მომზადებაც უნდა გვინდოდეს! აი, სწორეთ ეს უკანასკნელი იქნება გარეთ სამუშეევარი *). როგორ უნდა დაიდგას ეს სახლი და რანაირად აშენდეს ის, რომ ძალიან ძვირად არ დაგვიჯდეს? აი, ამ ნაირად: ასეთი სააბრეშუმე უნდა იყოს გრძელი და განიერიც; სიმაღლე ოთხი ალაბიდგან ხუთ ალაბამდის უნდა ჰქონდეს. სააბრეშუმეს ერთი გრძელ კედაროთაგანი ჩრდილოეთისკენ უნდა ჰქონდეს მიშვერილი; სააბრეშუმეს გარშემო (ორი თუ სამი ალაბის სიშორეზედ—კედლებიდგან) თხრილი უნდა შემოავლო. ამნაირი დიდი სააბრეშუმე, რომ ძვირათ არ დაგვიჯდეს,

---

*) იხ. „მოგზაური", № 5 და 6 1903 წ.

*) ვინც, წინა წერილში, ჩვენი გაპირება მიიღო, იმას, უეჭველად ბოლებიც ბევრმათ ექნება; ვისაც ბევრი ბოლები აქვს, იმას ბევრი აბრეშუმის ჭიის მოყვანაც შეუძლია, და ამ უკანასკნელს ხომ დიდი სახლიც დასჭირდება!..

საჭიროა იმის კედლები უბრალო რგვალი ხეებით ამოვ-
როხოთ ან და ფაცხასავით მოვლობოთ. სინათლისათვინ
საფანჯრეები დაუტოვოთ; შემდეგ შევტკეჩოთ, წითე-
ლით (სადაც იშოვება) ან და უბრალო მიწით გარე-ში-
გნიდგან შევლესოთ და თან, თუ გარეთ არა, შიგნით
მაინც შევათეთროთ. ზემოთ ჯერ უბრალო ხეებით ჩავ-
ჭეროთ და შემდეგ, ქვეშიდგან, თხმელას ლამფები (იაფ-
ფასიანი) გამოვაკრათ. ზევით მიწის სახურავი გავუკე-
თოთ ისე, როგორადაც ეს პირველ წერილში გაგიპირ-
დით. ქვედა იატაკის ძელებით გაკეთების მაგივრად, მი-
წას მშრალი სილა მოვაყაროთ ზევიდგან. იქით-აქეთ თა-
ვებში, ამ სახლს რკინის უბრალო ფეჩები დავუდგათ და
ამ უკანასკნელიდგან გავაყოლოთ კედლებს გრძელ-გრძე-
ლი ჟესტისვე ლულები (ტრუბები). ასეთ საბრეშუმეში
უნდა დავაკეთოთ წყობ-წყობრათ—ჩელტების გასადგამი
თაროები. ამნაირად მოწყობილ და დიდ საბრეშუმეში, რა
თქმა უნდა, ერთი კოლოფი თესლის მაგივრად ათ-თორ-
მეტ კოლოფამდის შეგვეძლება თესლის გამოყვანა და
შემდეგ იმათი მოვლა-გამოკვება. ახლა აქ საქმე იმაშია,
რომ ამოდენა თესლის გამოყვანას და იმათ (ძველებური
წეს-წყობილებით) მოვლა-გამოკვებას ბევრი მუშა ხელი
დასჭირდება და ეს უკანასკნელნი ხომ უფულოთ არსად
იშოვება? მაშ ამ საქმისგან, რომ ზარალი არ ვნახოთ,
საჭიროა ძველებური წეს-წყობილება-მოქმედება აბრეშუ-
მის მოყვანის შესახებ, ცოტათი მაინც შევცვალოთ.
მოგეხსენებათ, რომ აბრეშუმის (მეტ-ნაკლები) მოსავა-
ლისა ბედ-ილბალი ორ უმთავრეს მოქმედებაზედ არის
დამყარებული. ასეთ მოქმედებას შეადგენს აბრეშუმის
ჭიის რიგიანათ გამოკვება და თან იმათი სუფთათ შენახვა.
პირველი თხოულობს დიდ შრომას უკანასკნელ კვირე-
ბში, ხოლო მეორე კი თავიდგან ბოლომდის (ბობლების
გამოსვლიდგან პარკის დაკეთებამდის). ამასთან რამდენა-

დაც აბრეშუმის ჭიებს მეტი ჭამა სჭირდება, იმდენათ სიწმინდის დაცვა-დაჭერაც სულ თანდათან ძნელდება და ამნაირად, უკანასკნელ კვირაში შრომა აუტანელი ხდება. გარდა ამისა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სიწმიდის დასაჭერად ნაძირაის გამოცვლას, როგორც ერთ უძნელეს საქმეთაგანს, ორჯერ მეტი დრო სჭირდება, ვინემ ფურცლის მოტანა-დამზადებას და ამ უკანასკნელით იმათს დაპურებას. ასეთ აუტანელ ტანჯსაც გაუძლებდა კაცი, რომ ამით მართლა სიწმინდე მაინც იცვებოდეს! მაგრამ რა სათქმელია იქ სიწმინდე, სადაც თვითეულ აბრეშუმის ჭიას, დღეში, რამოდენჯერმე უნდა შეავლოთ ხელი! სადაც თვითეული ჩაფრისგან ნაძირაი ხელით გამოსაცვალ-გამოსაწმენდია!?. ასეა თუ ისე, დღევანდელი თქვენი ამნაირი მოქმედება შრომასაც ერთიორად აძნელებს და ვერც სიწმინდეს იცავს! აქ საჭიროა ისეთი რამ შემოვიღოთ, რომლის შემწეობით შრომის შემჩატებაც შეიძლებოდეს და სიწმინდის დაცვაც. ასეთი რამ, ჩაფრებზედ გადასაფარებელი ბადეები გახლავს, რომლების მოქსოვა-მომზადებას თვითეული თქვენგანიც კარგად შესძლებს. აი, ასეთი ბადეების დაქსოვა იქნება თქვენთვინ ზამთრის ავდრიან დღეებში სამუშიერი (რასაკვირველია, სახლში). ასეთი ბადეების სიგანე და სიგრძე ბობლების დასასვამ ჩაფრებს უნდა უსწორდებოდეს. ბადეების თვალი იმხელვანიც შეიძლება დააკეთოთ, რამოდენაც აქვს სასირე ბადეს (ან და ჩიტ-ბადეს). ვინემ ჩაფრებზედ აბრეშუმის ჭიებს დაასმიდეთ, ისინი (წინდაწინვე) წმინდა ქაღალდებით უნდა მოფინოთ, ეს ქაღალდი მით უფრო საჭიროა, რომ ზედა ჩაფრების გაწმენდის დროს ქვედაებს აღარ გასცვივათ მტვერ-ნაგავი. ხელით მოჩხოტილი ფოთლებით ბობლების დაპურებას უნდა ერიდოთ და თუმც მაინცა და მაინც ამნაირად უნდა მოიქცე, იმ შემთხვევაში ხელები უსათუოთ საპნით

უნდა დაიბანოთ *). ახალ გამოაულ ჭიებს (ბობლებს) **) წმიდათ დაჭრილი (მაკრატლით) ფოთლები უნდა მისცე; მეორე კანში უფრო მსხვილად დაჭრილი და მესამე და დანარჩენ კანში ამოსვლის შემდეგ კი პატარა ბოლებითაც (პოწკვებით) შეგიძლია დააპურო. სველი ფოთლებით ბობლების დაპურება არ შეიძლება. წვიმა-ქუხილში და სიცივეში კარებს ნუ დაფეთქავთ; თუმც ცივი დარია, ფეჩში ცოტა ცეცხლი შეანთეთ; თუმც რომელიმე ბობოლს ავათ-მყოფობა შეამჩნიოთ ან და მკვდარი დაინახოთ სადმე, ასეთი ბობოლი უსათუოთ ცეცხლში უნდა ჩასწვათ, თორემ იმათი ავათმყოფობა სხვებსაც შეიძლება გადაეხვიოს. ჰაერის გასაწმენდათ ეგრედ წოდებული აფთიაქში კარბოლის კისლატა (სიმჟავე) უნდა იყიდოთ და იმისგან განაკეთები წყალივით სითხე დღეში ორჯელ-სამჯერ უნდა მოაშხეფო იატაკზედ. ბობლები, რომ ჭიანჭველამ არ შეგიჭამოს, საჭიროა იმ სვეტების ძირებს და თავებს, რომელზედაც საჩაფრე თაროებია გაკრული, ბლომათ კუპრი მოსცხოთ; თაგვების წინააღმდეგ კატა გაუშვით სააბრეშუმეში და ის იმოქმედებს, დანარჩენებს თქვენ ის მცოდნე პირები (ინსტრუქტორები) გასწავლიან, რომელიც უკვე იგზავნება (ამ მიზნით) ეხლა სააბრეშუმე სადგურისგან—სოფლებში. ამიტომ მეტს აქ არაის ვამბობ და პირდაპირ გადავდივარ იმაზედ, თუ რა ნაირად შეიძლება ზემოხსენებული ბადეების შემწეობით ნაძირაის გამოცვლა.

ვსთქვათ, შენ გინდა ერთი ჩაფრისგან მეორე ჩაფარაზედ (რომელიც წმინდა ქაღალდით უნდა იყოს მო-

---

*) ხელებს მტვერთან ერთად ოდნავ მარილის რაიმე რამ შეჰყვეს, იტოდე ეს იმათთვის საწამლავი იქნება!..

*) აბრეშუმის ჭიას ბობლებს ეძახიან სოფელში.

ფენილი უსათუოთ) აბრეშუმის ჭიების გადასმა. ამ შემთხვევაში, აი, როგორ უნდა მოიქცე: ჯერ ხსენებულ ჩაფარაზედ ზემოხსენებული ბალე უნდა გადააფარო და შემდეგ კი ბობლების გადასმას მიჰყო ხელი. ვთქვათ, მეორე დღეს ნაძირაი გინდა გამოუცვალო ამ ჩაფარას, მაგრამ არ იცი როგორ? ასეთ შემთხვევაში ასე მოიქეცი: იმ ბობლებს, რომლებსაც ნაძირაი უნდა გამოაცალო, დაპურებამდის მეორე ბალე უნდა გადააფარო თავზედ და შემდეგ ზევიდგან ბუდეს ფოთლები უნდა მოაყარო (დააპუროთ). რამოდენიმე ხნის განმავლობაში შენ ნახავ, რომ ბობლები (აბრეშუმის ჭიები), ბალის თვალებიდან ზევით ამოძვრებიან ფოთლებზედ. როცა ყველა ისინი ზევით ამოვლენ, მაშინ შენ შეგიძლია ამ ზედა ბალეს ორივე კედრით გრძელი ჩხირები გაუყარო; ამ ჩხირების თავებს (ერთი კედრიდგან) ხელები მოჰკიდო და ეს ბალე ფოთლებით და აბრეშუმის ჭიებით ზევით ასწიო; თუ მარტო ხარ, მაშინ შეგიძლია ასეთი აღებული ბობლებიანი ბალე მეორე მომზადებულ ჩაფარაზედ დასდო. ხოლო, თუ მომხმარე გყავს, იმ შემთხვევაში ერთი ბალეს ასწევს და მეორე, ქვეშ დარჩომილს ნაძირას, ქვეშა ბალის შემწეობითვე მოხვევს და იქვე ატიკვიებს *) თავს გოდორში, რომელიც შემდეგ უსათუოთ ან უნდა დასწვათ სადმე, ან და მიწაში ჩამარხოთ. ამნაირად, ორი წუთის განმავლობაში ჩაფარაი უკვე გასუფთავებული იქნება, რომელზედაც თამამათ შეიძლება დაადვათ, აქედგანვე ანაღები ბობლებიანი ბალე და შემდეგ დააპუროთ ჩვეულებისამებრ. როცა ამ ნაძირაიან ბალეს თქვენ გარეცხავთ და გააშრობთ, ან და კარგად გასწმენდავთ, შემდეგ შეგიძლიათ იგი (თანახმა ზემოხსენებუ-

*) ატიკვიებს—აკრვიებს, ჩასდებს.

ლისა) სხვა ჩაფარებზედ იხმაროთ. აქედგან ცხადია, რომ თუმც აქნობამდის რომელიმე ადამიანს (ძველებური წეს-წყობილებით) ორმოც-სამოცი მანეთის აბრეშუმი მოჰყავდა, ის (ამ ახალი წეს-წყობილებით) ეხლა ასოც (120) მანეთამდის საღირალ აბრეშუმის მოყვანას სულ გაუჭირვებლად შესძლებს *). მაშასადამე, იმისდა მიხედვით, თუ რამდენი მუშა ხელის დაქირავება შეგეძლება შენ და ან რამდენ მუშა ხელს დაიტევს ეს შენი სააბრეშუმეები, შენი საერთო შემოსავალიც გადიდდება ზემონაჩვენები ციფრით. ვსთქვათ, შენ არ გაქვს მუშების დაქირავების თავი. ამ შემთხვევაში შენ შეგიძლია ასე მორთულ-შეიარაღებული სააბრეშუმე საზიაროთ გასცე ამ ნაირად: სააბრეშუმე (თავის მოწყობილობით) და ბჟოლის ფურცელი შენი იქნება და შრომა და თესლი კი მოზიარისა **). ამ შემთხვევაში, მერწმუნე, მშრომელიც მოგებული იქნება და გამცემიც (ე. ი. შენ).

ეხლა დავუბრუნდეთ ისევ ზამთარში მუშაობას. ავდრიან დღეში სახლში სამუშევარი არც მარტო ჩაფარებზედ გადასაფარებელი, ბადეების მოქსოვით გათავდება. აქ სამუშიერი და გასაკეთებელი სხვაც ბევრი რამაა, მაგრამ ჯერ მე კიდევ აქ ძველებური საფუტკრე ბუკების უფრო შესაფერათ გადაკეთება-გაუმჯობესებაზედ მიგითითებ ხელს. ხოლო სანამ ამ საგანზედ დავიწყებდე ლაპარაკს, მანამდის მე მინდა ერთ რამეზედ კიდევ მივაქცეო შენი ყურადღება: უეჭველია, გახსოვს, რომ ჩვენ წინა წერილში, ბუნებას ვემდუროდით (ვესაყვედურებოდით): ვამბობდით, რომ ის დღეს ულმობლად გვეპყრობა, უშ-

*) მით უფრო, რომ ეხლა მას დასაბურებელი ფოთოლიც ადარ აქვს საძებარი და შორიდგან მოსატანი.

**) შემოსავალს, რასაკვირველია, შუაზე გაიყოფთ.

ფენილი უსათუოთ) აბრეშუმის ჭიების გადასმა. ამ შემთხვევაში, აი, როგორ უნდა მოიქცე: ჯერ ხსენებულ ჩაფარაზედ ზემოხსენებული ბადე უნდა გადააფარო და შემდეგ კი ბობლების გადასმას მიჰყო ხელი. ვთქვათ, მეორე დღეს ნაძირაი გინდა გამოუცვალო ამ ჩაფარას, მაგრამ არ იცი როგორ? ასეთ შემთხვევაში ასე მოიქეცი: იმ ბობლებს, რომლებსაც ნაძირაი უნდა გამოაცალო, დაპურებამდის მეორე ბადე უნდა გადააფარო თავზედ და შემდეგ ზევიდგან ბუდეს ფოთლები უნდა მოაყარო (دااپوروت). რამოდენიმე ხნის განმავლობაში შენ ნახავ, რომ ბობლები (აბრეშუმის ჭიები), ბადის თვალებიდან ზევით ამოძვრებიან ფოთლებზედ. როცა ყველა ისინი ზევით ამოვლენ, მაშინ შენ შეგიძლია ამ ზედა ბადეს ორივე კედრით გრძელი ჩხირები გაუყარო; ამ ჩხირების თავებს (ერთი კედრიდგან) ხელები მოჰკიდო და ეს ბადე ფოთლებით და აბრეშუმის ჭიებით ზევით ასწიო; თუ მარტო ხარ, მაშინ შეგიძლია ასეთი აღებული ბობლებიანი ბადე მეორე მომზადებულ ჩაფარაზედ დასდო. ხოლო, თუ მომხმარე გყავს, იმ შემთხვევაში ერთი ბადეს ასწევს და მეორე, ქვეშ დარჩომილს ნაძირას, ქვეშა ბადის შემწეობითვე მოხვევს და იქვე ატიკვიებს *) თავს გოდორში, რომელიც შემდეგ უსათუოთ ან უნდა დასწვათ სადმე, ან და მიწაში ჩამარხოთ. ამნაირად, ორი წუთის განმავლობაში ჩაფარაი უკვე გისუფთავებული იქნება, რომელზედაც თამამათ შეიძლება დაადვათ, აქედგანვე ანაღები ბობლებიანი ბადე და შემდეგ دااپوروت ჩვეულებისამებრ. როცა ამ ნაძირაიან ბადეს თქვენ გარეცხავთ და გააშრობთ, ან და კარგად გასწმენდავთ, შემდეგ შეგიძლიათ იგი (თანახმა ზემოხსენებუ-

*) ატიკვიებს—აკრვიებს, ჩასდებს.

ლისა) სხვა ჩაფარებზედ იხმაროთ. აქედგან ცხადია, რომ თუმც აქნობამდის რომელიმე ადამიანს (ძველებური წეს-წყობილებით) ორმოც-სამოცი მანეთის აბრეშუმი მოჰყავდა, ის (ამ ახალი წეს-წყობილებით) ეხლა ასოც (120) მანეთამდის საღირალ აბრეშუმის მოყვანას სულ გაუჭირვებლად შესძლებს *). მაშასადამე, იმისდა მიხედვით, თუ რამდენი მუშა ხელის დაქირავება შეგეძლება შენ და ან რამდენ მუშა ხელს დაიტევს ეს შენი სააბრეშუმეები, შენი საერთო შემოსავალიც გადიდდება ზემონაჩვენები ციფრით. ვსთქვათ, შენ არ გაქვს მუშების დაქირავების თავი. ამ შემთხვევაში შენ შეგიძლია ასე მორთულ-შეიარაღებული სააბრეშუმე საზიაროთ გასცე ამ ნაირად: სააბრეშუმე (თავის მოწყობილობით) და ბოლის ფურცელი შენი იქნება და შრომა და თესლი კი მოზიარისა **). ამ შემთხვევაში, მერწმუნე, შშრომელიც მოგებული იქნება და გამცემიც (ე. ი. შენ).

ეხლა დავუბრუნდეთ ისევ ზამთარში მუშაობას. ავდრიან დღეში სახლში სამუშევარი არც მარტო ჩაფარებზედ გადასაფარებელი, ბადეების მოქსოვით გათავდება. აქ სამუშიერი და გასაკეთებელი სხვაც ბევრი რამაა, მაგრამ ჯერ მე კიდევ აქ ძველებური საფუტკრე ბუკების უფრო შესაფერათ გადაკეთება-გაუმჯობესებაზედ მიგითითებ ხელს. ხოლო სანამ ამ საგანზედ დავიწყებდე ლაპარაკს, მანამდის მე მინდა ერთ რამეზედ კიდევ მივაქციო შენი ყურადღება: უეჭველია, გახსოვს, რომ ჩვენ წინა წერილში, ბუნებას ვემდუროდით (ვესაყვედურებოდით): ვამბობდით, რომ ის დღეს ულმობლად გვეპყრობა, უშ-

*) მით უფრო, რომ ეხლა მას დასაბურებელი ფოთოლიც ადარ აქვს საძებარი და შორიდგან მოსატანი.

**) შემოსავალს, რასაკვირველია, შუაზე გაიყოფთ.

რომლათ და უფასოთ აღარაფერს გვაძლევსო! ვესაყვედურებოდით და ვკიცხავდით აგრეთვე ჩვენს წინაპართ. რატომ? — იმიტომ, რომ იმათ ვერ იხარგებლეს წინანდელი ბუნების სიუხვე-სიმდიდრით და ამიტომ თვითონაც დაღარიბდნენ და ჩვენაც ღარიბი და უსუსურები გამოგვყარეს ცხოვრების ასპარეზზედაო და სხვა... ალბათ ესეც გემახსოვრება, რომ იმათ ჩვენ ხსენებული საქციელი უკვე მივუტევეთ. რატომ? — იმიტომ, რომ იმათი ასეთი დაუდევრობა უცოდინარობის და გამოუცდელობის ნაყოფი შეიქმნა. მაგრამ მათებრ დაუდევრობას ვინღა მოგვიტევებს ჩვენ, როცა მისი გემო უკვე გამცქვნილი (ხილებული) გვაქვს დიდი ხანია?! უცოდინარობის გამო, ასეთი შეცდომისათვის, გლახუნი და კელენჯუხი თუ კი შეიქმნენ ჩვენგან ძაგების ღირსნი, რატომ ჩვენ (როცა უკვე ვიცით), იმავე შეცდომისათვის, ათასჯერ მეტი ძაგების ღირსნი არ ვიქმნებით ჩვენივე შვილებისაგან?! დიახ, ეხლა ჩვენგან ასეთივე შეცდომების განმეორება მიუტევებელ ცოდვა-შერცხვენასთან ერთად ჩვენივე ქონებრივი შეძლების გათახსირებაც იქნება. და სწორეთ ამიტომ ჩვენაც ათასჯერ მეტი ლანძღვა-ძაგების ღირსნი ვიქმნებით მომავალისგან, ვინემ ჩვენი წინაპრები იყვნენ (ამაყვე შეცდომისათვის) ჩვენგან. — „კარგი, თუ გინდა, ესენი ყველა მჯერა, მაგრამ რა არის ეხლა ისეთი ჩვენში, რომელსაც ბუნება უშრომლად და უსასყიდლოთ იძლეოდესო? — იქნება სთქვა შენ. — მართალია, სულ უშრომლათ იქნებ, მართლაც, არ იძლეოდეს ბუნება რამეს, მაგრამ სამაგიეროთ ისეთი რამეები ხომ ეხლაც ბევრია, რომლებისგანაც ცოტა გარჯით ბევრი სარგებლის მიღება შეიძლება?! ერთ ასეთ რამე საქმედ ჩვენში, მე მეფუტკრეობა მიმაჩნია და, აი, რატომ: ეხლაც ბევრია ისეთი ადგილები, სადაც მცხოვრებნი მეფუტკრეობას მისდევენ, თუმცაღა ბუნება იქ გაცილებით უფრო მკა-

ცრი და ხელ-მოჭირებულია, ვინემ ჩვენში; ასეთ ადგილებში დიდი ზამთრის გამო, ფუტკრებს მხოლოდ ოთხი თვის განმავლობაში შეუძლია იშრომოს და ჩვენში კი შვიდი-რვა თვე! იქ მეფუტკრეებმა თავიანთი შრომით უნდა მოიყვანონ (დასთესონ ისე, როგორადაც თქვენ სიმინდს სთესავთ) ისეთი ყვავილები, რომლისგანაც ფუტკარს შეეძლება თაფლის მოგროვება; ხოლო ჩვენ კი ამაებს ბუნება ხომ უსასყიდლოთ და უშრომლათ გვაძლევს?! იქ ფუტკარს, თვითეულს ბუკში, მესამედი მოგროვილი თაფლისა, მაინც უნდა დაუტევონ, თორემ სიმშილით ამოიხოცება ყველა; ხოლო ჩვენში კი მეოთხედის დატევებაც არ არის საჭირო! აქედგან ჩვენ ვხედავთ, რომ აქ (ჩვენში) მადლიანი ბუნების წყალობით, ფუტკრები ბევრ თაფლს აგროვებენ და ცოტას თავისთვის ხარჯვენ (სჭამენ); იქ კი, მკაცრი ბუნების გამოისობით, ცოტას აგროვებენ და ბევრს სჭამენ. მაგრამ ყველა ამისდა-მიუხედავათ იქ მაინც მისდევენ ფუტკრის მოშენებას.—რატომ?—იმიტომ, რომ სჩანს, ეს საქმე კარგი სარგებლიანი რამ ყოფილა! ხოლო ჩვენში კი თუმცა ფუტკარი გაცილებით მეტ თაფლს იძლევა და თაფლის მოსაგროვებელ ყვავილებსაც ბუნება უშრომლად და უსასყიდლოთ გვაძლევს. მაგრამ სამწუხაროთ მაინც იშვიათია მეფუტკრობა (რა თქმა უნდა სოფლად)! რატომ?—იმიტომ, რომ, სჩანს, ჩვენც ისევე დაუდევრობით და უმეცრებით ვართ გაჟღენთილი, როგორადაც იყვნენ ძველს დროში, ჩვენი წინაპარნი!!.... და განა ეხლანდელი დროის მოთხოვნილება დაგვითმობს კი ასეთ დაუდევრობას?! ასეა თუ ისე, დღეს, რომ თაფლი (ფუტკრების მოშენება) ბუნების სიუხვის ნაყოფია და მისგან რომ ცოტა გარჯით ბევრი სარგებლობის მიღება შეიძლება, ეს კი ცხადზედ უცხადესია. ამიტომ სასურველია მეფუტკრეობას შენც ხელი მოჰკიდო და მის გაუმჯობე-

სობას დიდი ყურადღება მიაქციო. მე მაქვს სახეში ძველებური ბუკების (საფუტკრე) გაუმჯობესობა. ე. ი. იმათ ადგილას ისეთი ახალი და უფრო შესაფერი ბუკების (სკების) შემოღება, რომლების შემწეობითაც ერთიორად შეგიძლია თაფლის შემოსავლის გადიდება და თან შრომისაც გაადვილება. აი, სწორეთ ამიტომ მინდა ცოტათი მაინც გაგაცნო ერთ ამგვარ შენთვინ სასარგებლო ბუკთაგანი: ამ ნაირი საფუტკრე უფრო კიდობანს მოგაგონებს, ვინემ ჩვენებურ საფუტკრე ბუკებს. მისი სიმაღლე ერთი ალაბია და სიგანე ათი გოჯი. დგანან დაბალ ფეხებზედ; წინა კედარო ასეთი კიდობნისა (საფუტკრისა)—კარივით გამოიღება ხოლმე. შუა ადგილზედ ასეთ გამოსაღებ კარს ჭურტუმალა აქვს გაკეთებული ფუტკრების შესავალ-გამოსავალათ. ასეთ საფუტკრეს იქითაქეთ გაკრული აქვს თაროებივით (პატარა ოთხ-კუთხედ სახაზავივით) ჯოხები, სამ წყობრად. ასეთ თაროებზედ შეკიდულია ოთხ-კუთხი და თანასწორ-თანასწორი ჩარჩოები (ეს ჩარჩოები საწერი დაფის ბუდეს ანუ ჩარჩოს წააგავს). ზედა-ქვედა კედაროების შიგნითა პირებს სიბრტყე (ე. ი. საჩარჩოე ჯოხების სიბრტყე-სისქე.) ერთი დუიმია (ნახევარ გოჯამდის). ხსენებულ თაროებზედ წყობ-წყობრათ გამწკრივებულნი ჩარჩოები ერთმანეთზედ ნახევარი გოჯით (კიდევ ნაკლებითაც შეიძლება) არის დაშორებული, ნახევარ გოჯიანი ლურსმანის წყალობით, რომელიც თვითეულს მათგანს ზედა კედაროს (რომლითაც შეშობილია თაროებში) შიგნითა პირზედ აქვს მიჭედილი. როგორც ერთმანეთ შორის, ისე არ უნდა ეკვრებოდეს ერთმანეთს ქვედა თაროების ჩარჩოებთა თავები ზედა თაროთა ჩარჩოების ბოლოს. ამდენადვე დაშორებულია ისინი როგორც საფუტკრეს იატაკისგან, ისე თვით იმის კედლებისგანაც. რატომ არის საჭირო ასეთი იმათი ერთმანერთისგან განცალკევება?—იმიტომ,

რომ ფუტკრებმა ისინი თვალით ერთმანეთს არ მიაწებონ და მით არ გაუძნელონ მეფუტკრეს იმათი (ჩარჩოების) საფუტკრიდგან, სურვილისამებრ გამოღება. გარდა ამისა, თვითეული ჩარჩოის (ზევითა კედაროს) შიგნითა (შუა) პირზედ გასმული აქვს ხაზი და ამ ხაზზედ გაწეპებულია (დანის პირივით) სანთელი. ასეთი დანის პირივით გაწეპებული სანთელი იმის მაჩვენებელია, რომ ფუტკრებმაც აქედგან დაიწყონ მუშაობა და არა ყოველი კედრიდგან უთავ-ბოლოთ. სწორეთ ფუტკრებიც ასევე იქცევიან. მუშარბას ისინი ყოველთვინ ზემოაღნიშნული ხაზიდგან იწყებენ და ისე რიგ-რიგათ მოჰყვებიან ქვევით მანამდის, სანამ ზემოხსენებულ ჩარჩოებს სულ ერთიანათ არ გამოავსებენ.

ასეთი ჩარჩოების შემწეობით შენ წუთის განმავლობაში შეგიძლია გამოაწყო და შეაწყო (შეჰკიდო შიგ) სარაჯები შიგ; როცა გინდა მაშინ დაათვალიერო; როცა მოგესურვება მაშინ შეიტყო: არის ჯერ სახილავი თუ არა და სხვა!!.... ხოლო ამაებისთვინ საჭიროა წინდაწინ შესავალ ჭურტუმალაში ცოტა ფუტი შეუშვა ან და ცოტა შაქრიანი წყალი შეაშეშხო შიგ. ამას შემდეგ, უშიშრად შეგიძლია კარი გამოაღო შენ და მუშაობას მიჰყო ხელი. იქნება ერთ ასეთ ბუკში ბევრი ფუტკარია და მეორეში კი სულ ცოტა. ამ შემთხვევაში შენ ადვილად შეგიძლია ისინი გაასაშვალო აი, ამ ნაირად: სადაც ფუტკარი ბევრია, იქიდგან გამოიღებ ერთ ჩარჩოს თავიანთი თაფლით და ფუტკრებით (მხოლოდ კი იმ პირობით, რომ ამ ჩარჩოს დედა ფუტკარი არ გამოჰყვეს) და შეჰკიდებ იქ, სადაც ისინი ნაკლებია *). საფუტკრე

*) ეს დედა ფუტკარი ყველაზედ უგრძესია და თან სხვა მუშა ფუტკარივით წვრილი. დიდი ყურადღებით უნდა ათვა-

ადგილი (შეძლებისა დაკვალად) მოფარებული უნდა იყოს ქარისგან. მაინც და მაინც არც მზე უნდა უცხუნებდეს იმათ. შესავალი ჭურტუმალა ისე გაკეთებული უნდა იყოს, რომ იმის დაპატარავება და გადიდება შეიძლებოდეს *). ეს ჭურტუმალა ზამთრიდგან მოკიდებული გაზაფხულამდის დაპატარავებული უნდა იქონიო და შემდეგ კი გააფართოვო. თუ ვინიცობაა, ფუტკრებმა ქურდობას მიჰყვეს ხელი, ხსენებული საძრომი მაშინვე უნდა დააპატარავო. ხოლო, როცა იმათი მუშაობის დროა, საძრომი უსათუოდ გაფართოებულ უნდა იქმნას. ვარდა ზემოხსენებულისა, ასეთ მორთულ საფუტკრეში იგიც ადვილათ შეგიძლია შეიტყო, თავის დროზედ, აქვს ფუტკრებს შიგ თავიანთი თავის სარჩო თაფლი, თუ უკვე გამოელიათ? თუ იმათ ზამთარში თაფლი შემოაკლდა და იმათ პატრონი დროზედ არ მიეშველა იცოდე, რომ გაზაფხულამდის ისინი ყველა დაიხოცება. ასეთ შემთხვევაში ასე უნდა მოიქცე: აიღე ხუთი გირი დაფქული შაქარი და ჩაყარე სამ გირ-ნახევარ წყალში (წყალის აწონა შეიძლება), ამას კიდევ დაურთე ერთი წება მარილი (მოკუმშული სამი თითები რომ ამოიღებს იმდენი) და კარგად გასცარი. აქედგან მიიღებ მოსქო შაქრის ტკბილ წვენს, რომელიც უნდა მიახმარო ფუტკრებს. (პირველად მეოთხედი გირი უნდა მისცე თითო ბუკ ფუტკარს და მეორე და მესამე დღის შემდეგ კი სულ მეტი და მეტი უნდა აძლიო). ყველას სჯობია, რასაკვირველია, თუ თვითეულ ბუკში იმდენს თაფლს დასტოვებ,

---

ლიერებ-დათვალიერება, თორემ ის რომ გაჰყვეს ჩარჩოს მეორე საფუტკრეში, მაშინ ადვილი შესაძლებელია ორივე ბუკების ფუტკრები დაიდუბოს.

*) დაპატარავება სამთლის შემწეობით შეიძლება.

რამდენიც საჭირო იქნება იმათ გამოსაკვებათ ზამთარში. ასეთ ბუკებშივე შეიძლება სურვილისამებრ ფუტკრების გამრავლებაც. ძველებურ საფუტკრეებში (ბუკებში) *) კი ეს არც ერთი არ შეიძლება: არის მზათ შიგ თაფლი სახილავად თუ არა, ეს ძნელი გასაგებია. ხილვის დროს ფუტკრები იჭყლიტებიან; აქვს სარჩო ფუტკრებს ზამთარში თუ არა, ამის გაგებაც გასაჭირია და რომ ასე არ იყოს, ამისათვის მაინც არავინ იწუხებს თავს და სხვა!!. ამიტომაც სოფლის მეფუტკრეები ხშირად ხელდაბანილი რჩებიან, რადგანაც თავიანთი იმედი ან სულ გაუფრინდებათ იქიდგან, ან და შიმშილით ამოეხოცებათ. ახალი ბუკების შემოღება მით არის კიდევ კარგი, რომ იმის შემწეობით შენ სულ ადვილათ შეგიძლია ხელოვნურად გაამრავლო ფუტკრების რაოდენობა! ასე რომ შენ მეზობელ გიგოიას სულ ადვილათ შეუძლია (თუ კი ამას მოინდომებს) თავის ოცდა ათი ბუკი ფუტკრებისგან (იმათი რიცხვი) ორას ბუკებამდის აიყვაგოს ოთხი წლის განმავლობაში. თვითეული ამნაირი, ფუტკრებიანი, ბუკების წლიური შემოსავალი, ჩვენში ათ მანეთზედ არას დროს არ დადგება და ამნაირად, ამ ჩვენ ღარიბ გიგოიას იმ შემოსავლისგან, რომლისგანაც ამდენხანს ას მანეთამდის ძლივს ღებულობდა, ორი ათას მანეთამდის (ორასი ბუკი ფუტკრებისგან) წლიური შემოსავალი მაინც ექმნება!!.... აი, ასეთი სასარგებლოა იმ ზემო ნაჩვენები ბუკების (საფუტკრეების) შემოღება, რომლების

---

*) სოფელში ბუკებს ამ ნაირად აკეთებენ: გამოამორავენ რგვალ ხეს, შემდეგ გაუბურღავენ შუაზე; გაბურღილის ნახევრებს ვარცლსვით გამოქუთნავენ და შემდეგ ერთმანერთზედ დაამხობენ; ერთ ორ ჭურტუმალას გაუკეთებენ შესავალათ და დასდგმენ ბარჯგებზედ.

დაკეთებაც თვითეულ თქვენგანს პირველ ნახვისთანავე გაუჭირალად შეეძლებაო. *). ყველა ზემოხსენებულისგან ცხადია, რომ ახალი საფუტკრეების წყალობით, ცოტა შრომით, დიდი სარგებლის მიღება შეიძლება და ამიტომაც სასურველია იმათ დაკეთება-შეძენას ეხლავე მიჰყო შენ ხელი, რა თქმა უნდა, ზამთრის ავდრიან დღეებში.

ასე და ამნაირად, ზემონაჩვენები ახალი წეს-წყობილების წყალობით შენ (თუ იმათ მოყვანას ერთგულათ მოჰკიდებ ხელს და თანდათან გაადიდებ) აბრეშუმისგან და ფუტკრისგან სამი ათას მანეთამდის წლიური შემოსავლის გაკეთება შეგიძლია. და, ვიმეორებ, ყველა ეს რის საშვალებით?—იმ საშვალებით, თუ რომ შენ ზემონაჩვენებ შესაფერს და თანაც შენთვინ ხელსაყრელ იარაღებს დაამზადებ იმათ მოსაყვანად და გასაუმჯობესებლად. რა დროს?—ისეთ დროს, რომლის განმავლობაშიაც აქნობაძდის ჭამა-სმის მეტი (ზამთრობით) არა გაგიკეთებიათ რა!! აი, ასეთ მოქმედებას ეწოდება, ჩემო ბეჟან, დროს დაფასება, დროს მოხმარება და დროს ფულათ ქცევა, რასაც, იმედია, (მომავალში) შენც არ აუარ გვერდს. ეხლა ერთ მაგალითს ისეთსაც მოვიყვან, რომელიც შენ კიდევ უფრო ცხადათ დაგანახვებს მეტ-ნაკლებ სარგებელთა შემოტანის (ანუ მიღების)—გონივრულ და ჭკუა-დახედულ მოქმედებაზედ დამოკიდებულობას.

აი, ესეც: საზოგადოთ ჩვენში სააგურე მიწა ხშირია, რომელთა შორის საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს ის ერთი ქცევა (სილა-ნარევი) მიწა, რომელიც ახლა შენ შეგი-

---

*) ვისაც ცუდი კი დაუკავებია ხელში, ის უსათუოდ ამნაირი საფუტკრის გაკეთებასაც კი შესძლებს. საჭიროა მხოლოდ თქვენგან ასეთი საფუტკრეების ერთხელ ნახვა.

ძენია რკინის გზის სადგურის მახლობლათ. შენ კარგათ იცი, რომ თვითეულ ათას აგურში, შენივე მეზობლები დაგიწყობენ იქავე ათ-ათ მანეთს. ამიტომაც მიკვირს, რათ არ გინდა მოჰკიდო ხელი აგურის დამუშავებას?! ფირანაც კი აკეთებდა აგურს, მაგრამ არ გაკეთებულაო, მეტყვი შენ! მჯერა, რომ არ გაკეთებულა (არ გამდიდრებულა), მაგრამ ამის მიზეზი აგურების კეთებისგან უსარგებლობა როდია, არამედ ფირანას მიუხდენლობა-უგონურობაა და აი, ამის საბუთიც: *) ფირანა ღარიბი კაცია; იმას ხშირად ხარჯიც (სარჩო) აკლდება ოჯახში ხოლმე და ფულები ხომ მიდღემჩიც არ ჰქონია და არც ეხლა აქვს!? რატომ?—იმიტომ, რომ ის ერთ და იმავე დროს ორ საქმეს ეპოტიალება: ყანასაც სთოხნის და ასეთი მუშაობის დროს აგურებსაც აკეთებს. ამიტომაც ის ვერც სარჩოს წეულობს საკმაოთ და ამასთანავე აგურების კეთებისგანაც ხეირი (სარგებელი) არა აქვს!.....

ან კი საიდგან ექმნება ხეირი, როცა იმას, თავის განმავლობაში, იმდენი დროც აღარ რჩება, რომ სამოოთხი ათასი აგურის დამზადება მაინც შესძლოს?! ესეც ცოტაა- ოჯახის სხვადასხვა მოთხოვნილების გამო ის მარად გასაჭირშია; უფულობა იმას ძილს არ აძლევს და ამიტომაც დაამზადებს ის ოთხი-ხუთი ათასამდის აგურებს თუ არა, მაშინვე იმათ გამოწვას შეუდგება **), რაზედაც იმდენი საჟენი შეშა ეხარჯვის, რამდენიც დასჭირდებო-

---

*) რასაკვირველია, მიზეზები სხვაც ბევრია, მაგ., უთავ-ბოლო ხარჯი, დიდი მოთხოვნილება და ამის გამო უფულობა, მაგრამ უფულობის მიზეზი, ხომ იგივე გაუგებლობა და დაუდევრობაა?!.

**) რომ მალე ფული აიღოს.

და მას ოცდაათი ათასი (30,000) აგურის გამოწვაზედ! *) და მაშ რაღა გასაკვირია, რომ ასეთი მოქმედებისგან ხეირი (სარგებელი) ვერ ნახოს კაცმა?! დღეს შენ, ჩემო ბეჟან, საკმაოთ შეძლებული კაცი ხარ; მუშა ხელის დაქირავება შეგიძლია და თან მაზედ მეტიც გაგეგება. ამიტომაც შენთვინ, დღეს, ფირანასავით მოქმედება ზარალ-სირცხვილთან ერთად მიუტოვებელი ცოდვაც იქნება. ასეთი ზარალის თავიდგან ასაცილებლად საჭიროა, ვინემ საქმეს მოჰკიდებდე ხელს, წინდაწინვე გაითვალისწინო ის. უკეთ რომ ვთქვათ, წინდაწინვე უნდა შეიტყო: მოგცემს ხელს მისი ხელის მოკიდება თუ არა? თუ კი ასეთი მოქმედება სარგებელს იძლევა, რამდენს და რა ხნის განმავლობაში? და სხვა...

აი, სწორეთ ამ მიზნით მინდა გამოგიანგარიშო მე შენ, თუ რა სარგებლის შემოტანა შეგიძლია შენ აგურების კეთებისგან? შენ, ჩემო მეზობელო, საააგურე მიწა, როგორც ზემოთ ვსთქვით, თავისი გაქვს; აგურის კეთებაზედ საჭირო წყალიც იქვე მოგეპოვება **). შენ არ გეშოვება უსასყიდლოთ მხოლოდ მუშა ხელი და აგურების გამოწვაზედ საჭირო შეშა. ეს უკანასკნელნი შეადგენენ შენს სახარჯავს ხსენებულ საქმეში და მაშასადამე ამ საქმის მეტ-ნაკლები ზარალ-სარგებელიც იმაზედ იქნება დამოკიდებული, თუ რამდენჯერ მეტი ეღირება

---

*) როგორც ხუთი ათასს, ისე ოცდა ათი ათასი აგურის გამოწვას ოთხ-ხუთ საუნამდის შეშა უნდება. და ამოდენა შეშიმ ეიდვა და მოტანა ხომ ორმოც მანეთ ნაკლებ არ დაჯდება?!

**) წყალი იქ რომ არ იყოს, მაშინ ჭის ამოდებაც შეიძლებოდა და ამ ნაირად საჭირო წყლის სამუშიერ ადგილზედ გაჩენა.

შენგან დანამუშავები საქონელი (აგური) ამ საქმეზედ გასრულ ხარჯზედ? უკეთ რომ ვსთქვათ, რამდენათაც შენგან დანახარჯი (რასაკვირველია ამ საქმეზედ) ნაკლები იქმნება (ამ ხარჯითვე) განაკეთების ღირებულობაზედ, იმდენათ შენ მეტი სარგებელი(ც) გექმნება ამ საქმის დაწყობისგან. ყველა ამაების გასაგებათ ჯერ უნდა შევიტყოთ ჩვენ, თუ რა დაგეხარჯება შენ მუშების დაქირავებაში და შეშის ყიდვა-მოტანაში? *) თვითეული მუშა შენ შეგიძლია დაიქირავო დღეში, თუ სამათ არა, ოთხ აბაზათ მაინც. მაგრამ, რადგანაც აგურის კეთება ისეთ ამინდებს თხოულობს, როცა სოფლელი მუშები თავიანთ ყანებშია გაბმულნი, ამიტომ შესაძლებელია, ასეთ დროს, ოთხ აბაზათაც გაგიჭირდეს იმათი შოვნა. მართლა და რა ქნას საწყალმა ყანის მუშამ? თუ ყანას თავი მიანება და შენთან ქირაზედ წამოვიდა, მაშინ ზამთარში რითლა გამოჰკვებოს ცოლ-შვილი? შენგან მინაცემი სამ-სამი აბაზი (იგიც კარგ დარიან დღეებში!) ყველაფერს ხომ არ ეყოფა? რაკი კარგ დარიან დღეებში შენთან უნდა იმუშაოს მუშამ (ავდარში ის მომცდარი იქმნება), ამიტომ იმათ შენც იმდენი ქირა უნდა მისცე, რომლის შემწეობით თვითეულ მათგანს შეეძლოს სარჩოს შეძენაც (სიმინდის ყიდვა) და ოჯახში სახარჯავი ფულების მორჩენაც. და ეს კი შესაძლებელი იქნება მაშინ, თუ შენ თვითეულ მუშას მისცემ (დღის მუშაობაში) არა ნაკლებ მანეთ ნახევრისა. უკვე ცნობილია, რომ ორი მუშა, დღეში, ათას-ხუთას აგურამდის დაამზადებს (გააკეთებს) იმ შემთხვევაში, თუ მას საჭირო წყალი იქავე აქვს.

---

*) აქ შენ შენსავე მეზობლებთან გექნება საქმე და მაშ პირდაპირ ზნეობრივ მოვალეობას შეადგენს, რომ შენ იმათ უფრო ღმობიერათ მოეპყრა.

ამოდენა აგურებს დააკეთებენ ისინი მუყაითი მუშაობით; მაგრამ დაქირავებულმა კაცმა, რომ მუყაითათ იმუშავოს, ამისთვის ხშირად საჭიროა იმათს მუშაობაზედ თვალ-ყურის გდება! და აბა სად შეგიძლია შენ თვითეულ მუშას თითო-თითო თვალ-ყურის მგდებელი მიუყენო გვერდში?! ამიტომაც არ იქნება ურიგო, თუ შენ მუშის დღიურ შრომას დაკეთებულ აგურთა რაოდენობით განსაზღვრავ ამ ნაირად: აგურების შენივე ხარჯით გამოწვის შემდეგ, მუშებმა რამდენიც (თავიანთი განაკეთები აგურებისგან) ათას-ათასი აგური (მთელ-მთელი) მოგითვალონ, იმდენი სამ-სამი მანეთი მიეცი შენც თვითეულ ათას-ათას აგურების დამკეთებელთაგანს.

მართალია, ორი კაცი ერთი დღის მუყაითი მუშაობით ათას-ხუთას ნედლ (გამოუწვავ) აგურამდის მაინც გაგიკეთებდა, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ასეთი მუყაითი მუშაობა შენგან თავზედ მდგურების დაქირავებას თხოულობდა! გარდა ამისა, აგურების გამოწვის დროს თვითეულ ათას აგურზედ ას (100) აგურამდის მაინც დაზიანდებოდა. ამ ნაირ პირობებში უნდა ვიმედოვნოთ, რომ არც ერთი თქვენგანი არ ჩავარდება ზარალში. ხოლო განსხვავება აქ იმაში იქნება, რომ ჩვენ ამნაირი მოქმედებით საშუალებას მივსცემთ ზოგიერთ მათგანს, თავისი მეტი და მუყაითი შრომა-მოქმედებით მეტიც აიღოს დღეში იმათზედ, ვისაც (დაუდევრობის გამო) სამუშაერი დროს გაცდენა არაფრათ მიაჩნია*). აქ საჭიროდ მიმაჩნია ერთ ისეთ რამეს კიდევ მივაქ-

*) აქედგან ცხადია, რომ ორმა მუშამ, თუ 1000 აგურის მეტი ვერ ჩააბარა დღის მუშაობით პატრონს, იმ შემთხვევაში მანეთ ნახევრის მეტს ვერ აიღებს თვითეული მათგანი; და თუ ათას ოთხასამდის—მაშინ კი ორ-ორ მანეთს.

ციო შენი ყურადღება, რომელსაც ზემოხსენებულზედ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს (მოქმედებისგან) მეტ-ნაკლებ სარგებლის მოტანაში. ვსთქვათ, შენ გაქვს დღეს ხუთ ქცევამდის სახნავ-სათესი, რომლის დამუშავებას თვითონ ძლებულობ. რა თქმა უნდა, თუმც კი შენ ამ ხუთ ქცევა სახნავ-სათესის დამუშავებაზედ ქირით სხვებსაც დაიხმარიებ, იმ შემთხვევაში იმათგან წმინდა შემოსავალიც დაიკლებს. და დაიკლებს იმდენით, რამდენ ქირასაც გაიღებ შენ (ამ საქმეზედ) მუშების დაქირავებაში. მაგრამ არის ისეთი მოქმედებაც, რომლის დასამუშავებლად, რამდენითაც მეტ მუშას აიყვან და ამ სასაქმოს მეტს გააკეთებიებ, იმდენით მეტ სარგებელსაც იღებ „შენ! უკეთ რომ ვსთქვათ, ასეთი მოქმედებისგან მეტი სარგებლის მიღება მეტი მუშა ხელის ყოლაზე (დაქირავებაზედ) არის დამოკიდებული. ასეთ მოქმედებათ ჩასათვალია სწორეთ სხვათა შორის აგურის კეთებაც. აქ თუ შენ ერთი დღის მუშაობით (ერთი კაცისგან) გრჩება ათ შაურამდის წმინდა სარგებელი, იმ შემთხვევაში ასი მუშიდგან დღეში დაგრჩება (წმინდა მოსაგები) ორმოცდაათ მანეთამდის! როგორც უკვე ხედავ, აგურის კეთების საქმეში სარგებლის მიღებათა მეტ-ნაკლებლობა დამოკიდებულია მუშა ხელის სიმრავლეზედ და ამიტომაც (ზემოხსენებულის გამოსარკვევათ) საჭიროა ვიცოდეთ, თუ რამდენი მუშა-ხელის დაქირავება და გაძღოლა შეგიძლია შენ. ვსთქვათ, შენ შეგიძლია ოცი მუშის დაქირავება. თუ ორ მუშას დღის მუშაობით შეუძლია (ერთი-მეორეზედ) ათას მთელ აგურამდის ჩაბარება, იმ შემთხვევაში ოცი მუშა ათი-ათას აგურამდის ჩაბარებას შესძლებს დღეში; და ოცდაათი მუშაობის დღის შემდეგ კი სამასი ათასი აგურისას. ეხლა თუ გვინდა ჩვენ შევიტყოთ, ოცი კაცის მუშაობით (ამ ხნის განმავლობაში), რამდენი სარგებელი დაგვრჩება, მაშინ საჭიროა გამოვიანგარი-

შოთ, თუ რა გაგვივა ჩვენ ოცი მუშის დაქირავებაში (ოცდაათ დღეში) და რამდენი მანეთის შეშა გაგვივა სამასი ათასი აგურის გამოწვაში? თუ თითო ათასი აგურის (გამოწვის შემდეგ) ჩაბარებაში სამ-სამი მანეთი უნდა მიუთვალოთ მუშას, იმ შემთხვევაში სამასი ათასი აგურის დამუშავებაში გაგვივა (ოცდაათი დღის განმავლობაში) სამასჯერ მეტი. ე. ი. (300 × 3=900 მ.) ცხრაასი მანეთი. ოცდა ათი ათასი აგურების გამოწვას ოთხ-ხუთ საჟენამდის შეშა სჭირდება. სამას ათას აგურში ხომ ოცდა ათი ათასი ათჯერ იმყოფება? (300,000: 30,000=10). მაშ ამოდენა (300,000) აგურის გამოწვასაც ათჯერ ხუთი საჟენი შეშა დასჭირდება, რაც ორმოცდაათ საჟენს შეადგენს. ამ ორმოცდა ათი საჟენი შეშის ყიდვა და მოტანა შენ (სოფელში) ოთხას მანეთამდის მაინც დაგიჯდება. ამ ოთხას მანეთს ეხლა მიუმატოთ ის ცხრაასი მანეთიც, რომელიც ჩვენ გვჭირდება (ამ საქმეში) მუშების დასაქირავებლად და მივიღებთ ათას სამას მანეთს (900+400=1300). აი, ეს დაგეხარჯება შენ სამასი ათასი აგურის დაკეთებაში. ეხლა დროა შევიტყოთ, თუ რამდენი შეგვიძლია ავიღოთ (გაყიდვა) ამ ხარჯით დანაკეთებ საქონელში? თუ შენ (როგორც ეს ზემოთაც ვთქვით) ათასი აგურის გაყიდვა, ადგილზედ შეგიძლია ათ მანეთად, მაშინ სამასი ათას აგურში იმდენჯერ ათ მანეთს მოგცემენ, რამდენჯერაც სამასი ათასი მეტია ათასზედ. და რადგანაც სამასი ათასი სამასჯერ მეტია ათასზედ, ამიტომ შენც სამასჯერ ათ მანეთს აიღებ ზემო აღნიშნულ აგურებში. ე. ი. სამიათას მანეთამდის. ამ სამი ათას მანეთს უნდა გამოვაკლოთ ეხლა ის ათას სამასი მანეთი, რომელიც ჩვენ დაგვეხარჯა ამავე საქონლის დაკეთებაში და მაშინ მივიღებთ (ამ მოქმედებისგან) წმინდა სარგებელს (3000—1300=1700), რომელიც შეადგენის ათას შვი-

დას მანეთამდის და ეს ყველა იმიტომ, რომ შენ თვის განმავლობაში ოცი მუშა-ხელის დაქირავება შესძელი!.. აქ ჩვენ გამოვიანგარიშეთ მხოლოთ, თუ რა სარგებელი დაგვრჩება ოცი კაცის მუშაობით ოცდაათი დღის განმავლობაში. მაშ ეხლა საჭიროა ვიცოდეთ, თუ რამდენი გამოერევა წელიწადში აგურზედ, ასეთი სამუშიერი ოცდაათი დღე? *) ჩვენში აგურზედ მუშაობა პირველი აპრილიდგან მოკიდებული გიორგობისთვის დამლევამდე შეიძლება, ე. ი. შვიდი თვე. მაგრამ ამ შვიდი თვის განმავლობაში, ავდრიან დღეებთან ერთად, კვირა-უქმეებიც გამოერევა, რომლის დროსაც აგურზედ მუშაობა, ძალა-უნებლიეთ, შეჩერებულ უნდა იქმნას. ამიტომაც შემცდარი არ ვიქმნებით თუ ამ ხნის განმავლობაში, შვიდჯერ ოცდაათი დღის მაგივრად ოთხჯერ სამუშავო ოცდაათ დღეს ვიანგარიშებთ (ოთხ თვეს). თუ ოცი კაცის მუშაობამ, ოცდაათ დღეში, შენ ათას შვიდას მანეთამდის სარგებელი მოგცა, მაშინ ამოდენივე კაცის მუშაობა—ოთხჯერ ოცდაათ დღეში (ოთხ თვეში) რა თქმა უნდა, რომ ოთხჯერ ათას შვიდას მანეთს მოგცემს, ე. ი. ექვსიათას რვაას მანეთს (1700×4=6800 მ.). მაგრამ აქ საქმე იმაშია, რომ ამოდენა დანამუშავებ საქონლის სოფლათ გასაღება (გაყიდვა) შენ, უეჭველად, გაგიჭირდება.

ვსთქვათ, რომ სოფლად გაასაღე (გაყიდე) შენ მხოლოდ ოცდაათი დღის ნამუშევარი, ე. ი. სამასი ათასი აგური. მაშინ დაგრჩება გაუყიდველი დანარჩენი სამი თვის ნამუშევარი, რაც ცხრაასი ათას (900,000) აგურს შეადგენს. რა თქმა უნდა, რომ ამოდენა საქონლის

*) ზამთარში და აგრეთვე ზაფხულის წვიმიან დღეებში აგურზედ არ იმუშავებ.

წლობით გაჩერება შენ ზარალს მოგცემს. და ამიტომაც (ამ უკანასკნელის თავიდგან ასაცილებლად) შენ აქ კარგი უნარის გამოჩენა და დაფაციცება გმართებს. მეტი გზა არ არის, დანარჩენ აგურებს შენ სადმე ქალაქში უნდა მოუპოვო ბაზარი და ისინი ყველა იქ გადიტანო გასასყიდათ. ეს შენ მით უფრო შეგიძლია, რომ რკინის გზის სადგური შენზედ ერთი ვერსის მეტით არ არის დაშორებული. მაგრამ ჯერ, ვინემ ამ საქმეს შეუდგებოდე, სჯობს წინდაწინვე შეიტყო: „მოგცემს შენ ხელს ამ საქონლის ქალაქში გადაზიდვა, თუ არა? აი, სწორეთ ასეთ შემთხვევაში გაგიწევს შენ დიდ სამსახურს, ჟურნალ-გაზეთების კითხვა, რომლების შემწეობით შენ უკვე გეცოდინება, თუ რა ღირს ერთი ვაგონის (ამ საქმისა) დაქირავება იმ რკინის გზის სადგურიდგან (სადაც შენ დგახარ) ბათომამდის, ქუთაისამდის და თბილისამდის? იმის საშვალებითვე შეგეძლება შეიტყო გასაყიდი საქონლის ქალაქში ღირებულობა და სხვა... განვაგრძოთ გამოანგარიშება. ქუთაისიდგან თბილისამდის აგურის გადასაზიდი ერთი ვაგონი ღირს ოც მანეთად და ათ კაპეიკათ (20 მ. 10 კ.); ხოლო ქუთაისიდგან ბათომამდის —თოთხმეტი მან. და თერთმეტ შაურათ (14 მ. 55 კ.). შენ თავის საქონელი ბათუმის და ქუთაისის შუა ადგილას გიწყვია, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, შენ მხოლოთ იმის ნახევარ მანძილზედ მოგიხდება შენი საქონლის გადაზიდვა, რამდენიც არის ბათუმიდგან ქუთაისამდის და ამიტომაც ვაგონის დაქირავებასაც იმის ნახევარის მეტი არ დასჭირდება, რამდენიც არის საჭირო ქუთაისიდგან ბათუმამდის (14 მ. და 55 კ.). თოთხმეტი მანეთის და თერთმეტი შაურის ნახევარი იქნება შვიდი მანეთი და ოცდა რვა კაპეიკი (7 მ. 28 კ.). ამ შვიდ მანეთს და ოცდა რვა კაპეიკს ის სამი მანეთი და თუთხმეტი შაურიც უნდა მივუმატოთ, რომელიც სჭირდება თვითეული

ვაგონის დაცლა-დატვირთვას და სხვადასხვა რკინის სადგურის (ამ შენ საქმეზედ) სახარჯავს. პირველს, რომ მივუვუმატოთ მეორე სახარჯავი, მივიღებთ თერთმეტ მანეთს და სამ კაპეიკს. აი, ამდენი გაგივა (დაგეხარჯება) შენ თვითეული ვაგონის დაქირავებაში. ეხლა უნდა გამოვიანგარიშოთ, თუ რამდენი ვაგონები დაგვჭირდება ჩვენ (900,000) ცხრაასი ათასი აგურის გადასაზიდათ? ხოლო ამ უკანასკნელისთვის კი საჭიროა ვიცოდეთ, თუ რამდენი ფუთის ჩადება შეგვიძლია ვაგონში (რა სიმძიმის) და ამ სიმძიმეს რამდენი აგური შეადგენს? —ერთი გამომწვარი საშვალო აგური იწონს შვიდ გირამდის (ერთი მეორეზედ). ერთ ვაგონში შეგვიძლია ჩავდვათ (ჩავაწყოთ) შვიდას ორმოცდა ათ (750 ფ.) ფუთამდის სიმძიმე. მაშ ეხლა დაგვრჩა გამოსაანგარიშებელი, თუ რამდენი აგური შეადგენს შვიდას ორმოცდაათ ფუთამდის (750 ფ.) სიმძიმეს? ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ რამდენ გირს (გირვანქას) შეადგენს შვიდას ორმოცდაათი ფუთი სიმძიმე?—შვიდას ორმოცდა ათი ფუთი შეადგენს (ფუთს ხომ ორმოცი გირი აქვს) ოცდაათი ათას (30,000) გირს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ერთ აგურს შვიდი გირი სიმძიმე აქვს. მაშასადამე, რამდენჯერაც შვიდი გირი იმყოფება ოცდაათი ათას გირში, სწორეთ იმდენი აგურის ჩაწყობა შეგვეძლება ჩვენაც თვითეულ ვაგონში. ამის გასაგებათ საჭიროა გავყოთ ოცდაათი ათასი შვიდზედ (30,000: 7=4285) და მივიღებთ ოთხიათას ორას ოთხმოცდა ხუთ აგურს. აი, ამოდენა აგურის ჩაწყობა შეგვიძლია ჩვენ თვითეულ ვაგონში და ეს არის ის სიმძიმე, რომელიც უსწორდება შვიდას ორმოცდა ათ ფუთს. ჩვენ გვაქვს სულ ქალაქში გადასაზიდი ცხრაას ათას აგურამდის. მაშასადამე, რამდენჯერაც ოთხიათას ორას ოთხმოცდა ხუთი აგური იმყოფება ცხრაას ათას აგურში, იმდენი ვაგონების დაქირავება დაგვჭირდება ჩვენაც ყვე-

ლა აგურების ქალაქში გადასაზიდათ. ოთხი ათას ორას ოთხმოცდა ხუთი იმყოფება ცხრაას ათასში, ორას ათჯერ (დაახლოვებით); 900,000: 4285=210; აი, ამდენი ვაგონის დაქირავება იქმნება ჩვენთვის საჭირო. ჩვენ ზემოთ უკვე გამოვიანგარიშეთ, რომ ერთი ვაგონის დაჭერას (ხარჯიანა) თერთმეტ მანეთამდის და სამ კაპეიკამდის სჭირდება. ორას ათი ვაგონის დაქირავებას, რასაკვირველია, რომ ორას ათჯერ მეტი ხარჯი დასჭირდება (210×11 მ. 3 კ.=2316 მ. 30 კ.), რაც შეადგენს ორიათას სამას თექვსმეტი მანეთის და ექვსი შაურის ხარჯს. ამოდენა ხარჯი მარტო რკინის გზაზედ გადაზიდვას სჭირდება. ეხლა შევიტყოთ, რა დაგვეხარჯება ჩვენ რკინის გზის სადგურამდის, ამოდენა აგურის ურმით მიტანაში? შენ ხომ ერთ ვერსზედ დგეხარ რკინის გზის სადგურიდან? მაშასადამე, ასეთ მანძილზედ, ერთი ვაგონის დასატვირთი აგურის ურმით მიტანას საში მანეთი მაინც დასჭირდება; ხოლო ორას ათი ვაგონების დასატვირთ აგურების მიზიდვას კი ორას ათჯერ მეტი (210×630 მ.), რაც შეადგენს ექვსას ოცდა ათი მანეთის ზედ მეტ ხარჯს. ამ უკანასკნელს პირველი ხარჯიც რომ მიუმატოთ, მივიღებთ (2316 მ. 30 კ. + 630 მ.=2946 მ. 30 კ.) ორიათას ცხრაას ორმოცდა ექვს მანეთს და ექვს შაურს. ეს არის მხოლოდ, ჯერჯერობით, გარეთ სახარჯავი. ამ სახარჯავს ის შინაური ხარჯიც უნდა მიუმატოთ, რომელიც ჩვენ დაგვეხარჯა ცხრაასი ათასი აგურის დაკეთება-გამოწვაში. ჩვენ ზემოთ უკვე გამოვიანგარიშეთ და შევიტყეთ, რომ სამასი ათასი აგურის დამზადება-გამოწვას სჭირდება ჩვენგან ათას სამასი მანეთის ხარჯი. მაშ ცხრაასი ათასი აგურის დაკეთება-გამოწვაში, რა თქმა უნდა, რომ სამჯერ ამაზედ მეტი ხარჯი დაგვჭირდება. (1300×3=3900 მ.), რაც შეადგენს სამიათას ცხრაასი მანეთის ხარჯს. ორას მანეთამდის, ჩვენ, ამოდენა აგუ-

რის შეწყობ-გამოწყობაშიაც დაგვეხარჯება. მაშ ზემო ნაჩვენებ ხარჯს ეს ორასი მანეთიც უნდა მივუმატოთ და მაშინ მხოლოდ მივიღებთ შინაური ხარჯის რაოდენობას, რომელიც უდრის (3900+200=4100 მ.) ოთხიათას ას მანეთს. ამ შინაურ ხარჯს ის ზედმეტი ხარჯიც უნდა მიუმატოთ, რომელიც დასჭირდა ცხრაასი ათასი აგურის ქალაქში გადაზიდვას (ე. ი. 2946 მ. 30 კ.) და მაშინ მივიღებთ მთელ იმ ხარჯთა რაოდენობას, რომელიც დასჭირდება ცხრაასი ათასი აგურის დაკეთებას და (ქალაქში) ბაზარზედ გატანას. ყველა ესენი ერთად შეადგენს (4100+2946 მ. 30 კ.) შვიდიათას ორმოცდა ექვს მანეთს და ექვს შაურს.

(დასასრული იქნება)

ტ. ერთაშელაძე.

ქვეყნიერების მასალა

ანუ

მატერიის ქიმიური რაობა,

(დასასრული *).

IX. ატომების წონა და ელემენტების თვისება.

ვენ აქ ვერ გვეხერხება განხილვა იმ ზოგიერთ მეტად საინტერესო ცნობისა ატომების ბუნებაზე, რომელიც ჩვენ დროის ინგლისელ სწავლულმა, გენიოსურ ტომსონმა **) წარმოსთქმა ჰელმჰოლცის ზოგი-ერთ სწავლის მიხედვით; არ გვეხერხება იმიტომ, რომ ამის გასაგებათ საჭიროა ცოდნა რაა ეთერი და ზოგი რამ სხვაც ***). თავის ალაგას, ზოგიერთ ფიზიკურ თეორიე-

*) იხ. „მოგზაური“, № 5 და 6 1903 წ.

**) პროფესორათაა გლასგოს უნივერსიტეტში.

***) ამაზე ზოგი რამ ცნობა ჩვენს პირველ ნაწერშიცაა, —იხ. „მეცნიერების დედა-აზრი“.

ბის განხილვის შემდეგ, ჩვენ ამაზედაც მოგვიხდება საუ-ბარი და მაშინ ავხსნით რაშია აქ საქმე, რომელიც მა-ტერიის ძირეულ რაობა-ვითარებას ეხება. აქ კი საჭი-როა ავხსნათ რა დამოკიდებულება არსებობს ატომების წონასა და ელემენტების თვისებათა შორის.

ჩვენ აქ ქიმიას ხომ არა ვწერთ, რომ დაწვრილე-ბით ავხსნათ ეს დამოკიდებულება, თუმცა მის კარგ გა-საგებათ ძლიერ საჭიროა ვრცელი საუბარი ამის შესა-ხებ. ჩვენ აქ ამაზედაც მხოლოდ მოკლედ შეგვეძლება ლაპარაკი, ამიტომ იქნება ზოგგან ძლიერ სწორედაც ვერა ვსთქვათ ზოგი—რამ.

შევადგინოთ 80 ელემენტის სია. ამ სიაში სულ თავ-ში დავწეროთ ყველაზე მსუბუქი ელემენტი, ესე იგი წყალდანი და მას სხვები მივაყოლოთ სიმძიმის კვალო-ბაზე, ე. ი. ჯერ მსუბუქი, მერე მასზე მძიმე, და ამგვა-რად ყოველ ელემენტს თავისი ალაგი მივცეთ სიაში:

		წადარი წონა.	ატომიანობა.			წადარი წონა.	ატომიანობა.
მეტალები	წყალდანი.	1	1	მეტალოიდები	ტალმანი .	28	4
	ლითიუმი.	7	1		თოსფორი	31	3
	ბერილი .	9	2		გოგირდი.	32	2
	ბორი . .	11	3		ხლორი .	35	1
მეტალოიდები	ნახშირმანი	12	4	მეტალები	ვანადიუმი	39	1
	აზოტი .	14	3		კალციუმი	40	2
	მჟავდანი .	16	2		სკანდიუმი	44	3
	ფტორი .	19	1		ტიტანი .	48	4
მეტალები	ნატრიუმი .	23	1				
	მაგნიუმი .	24	2				
	ალიუმინი.	27	3				

80 ელემენტში ჩვენ აქ მხოლოდ 19 ჩამოვთვალეთ და დანარჩენი ამ ცხრამეტს მოჰყვება. ჩვენთვის ყველა ელემენტის აქ ჩამოთვლა საჭირო არაა, რადგან ამ 19 ელემენტითაც შეიძლება ავხსნათ ის, რაც საჭიროა. მოვიგონოთ ახლა, რაა მეტალი და მეტალოიდი. მეტალია ის ელემენტი, რომლის ჭედვა შეიძლება, (რკინა, ოქრო და ვერცხლისავით) ბრწყინავს და სითბოს გადამღებიცაა. მჟავდან-მეტალის შეერთებით ჩნდება საფუძვი. მეტალოიდი კი იმ ელემენტს ჰქვიან, რომელიც არ კი იჭედება, არამედ იფხვნება ჩაქუჩის თუ რამის დარტყმით, არა ბრწყინავს და სიცხოვლის გადაღებაც სუსტად იცის, მაგ. ნახშირი და გოგირდი. მჟავდან-მეტალოიდის შეერთებით ჩნდება მჟავი. მჟავ-საფუძვის შეერთებით წარმოსდგება მარილი. ასეთია ეს დიდი განსხვავება მეტალ და მეტალოიდების თვისებათა შორის. ახლა სიას შევხედოთ და ვიკითხოთ—რომელია მათში მეტალი ან მეტალოიდი? ვნახავთ, რომ მეტალი და მეტალოიდები აქა-იქ არეულად კი არ არიან, არამედ ჯგუფ-ჯგუფად ერთმანერთს მოჰყვებიან. სულ თავში 4 ელემენტი (წყალდანი, ლითიუმი, ბერილი და ბორი) მეტალებია, ერთად არიან, ერთი-მეორის მოყოლებით. ამის შემდეგ მეტალოიდებია: ნახშირმანი, აზოტი, მჟავდანი და ფტორი. შემდეგ ისევ მეტალებსა ვხედავთ და ასე და ამ გვარად ხან მეტალებია და ხან მეტალოიდები ჯგუფ-ჯგუფად 80 ელემენტის ხიას სულ ბოლომდისაც რომ ჩავყვეთ. როგორ გამოვთქვათ ეს გარემოება, ეს რიგ-რიგობა? არ შეიძლება ითქვას, რომ მეტალების და მეტალოიდების ჯგუფები დროგამოშვებით ერთმანერთს მოსდევენ, რადგან აქ დროში კი არაა საქმე, არამედ რიგ-რიგობაშია; მეცნიერები ამას პერიოდობას უწოდებენ; ასე რომ ეს გარემოება მათ ენაზე ასე გამოითქმის: სიაში მეტალები და მეტალოიდები პერიოდულად მოსდევენ ერთმანერთს. ეს გავიგეთ

მეტალ და მეტალოიდების შესახებ; ახლა ვნახოთ გამოიხატება თუ არა ეს პერიოდობა სხვა რამ თვისებაშიც, მაგ. ატომიანობაში? ერთ შეხედვითაც ვნახავთ, რომ სიაში ეს ატომიანობაც პერიოდულათ იცვლება: ნადარ წონის მომატებით ატომიანობა ჯერ იზრდება ერთიდამ ოთხამდინ, შემდეგ ისევ სუსტდება და ერთამდინ ჩამოდის, მერე ისევ მაღლა ადის ოთხამდინ და ასე სიის ბოლომდინ ხან მატულობს და ხან კლებულობს,—პერიოდულად იცვლება. ზოგიერთი სხვა თვისებაც რომ ავიღოთ, იქაც ამ პერიოდობას შევნიშნავთ. ეხლა ციფირები ვალაპარაკოთ; — ერთ ატომიან ლითიუმს, რომლის ნადარი წონა 7-ია, შევადაროთ ერთ-ატომიანივე სოდიუმი, რომელიც შემდეგ პერიოდშია. მისი ნადარი წონა 23-ია; ორთა წონის განსხვავება იქნება 16 (23—7=16). ეხლა ორ-ატომიან ბერილის წონა (9) ორ ატომიან მაგნიუმის წონას (24) შეკადაროთ,—განსხვავება 15-ია, ოთხ-ატომიან ნახშირმანის და ტალმანის წონაში განსხვავება (28—12=) ისევ 16-ს; მჟავდან-გოგირდის განსხვავებაც 16. ასე რომ ერთ პერიოდის და მესამე პერიოდის ელემენტთა შორის განსხვავება ან 15 და ან 16. ნათლად სჩანს, რომ როდესღაც ატომები რომ ჩნდებოდნენ პირველად ქვეყნიერებაში, ამ გაჩენაში რაღაც წესი ყოფილა, რომელიც ატომებს ამ პერიოდობაში დაეტყო. სულ წონაზე კია დამოკიდებული ელემენტების ამ გვარი თვისება; წონის მოპატებით ელემენტებს თვისება ეცვლებათ პერიოდულად.

გარეგან თვისებათა პერიოდობა გერმანიელ მეცნიერმა—ლოტარ მეიერმა აღმოაჩინა და ქიმიურ თვისებათა პერიოდობა რუს მეცნიერმა მენდელეევმა 1869 წ. *).

---

*) ზოგსა ჰგონია, რომ ეს პერიოდების კანონი მენ-

ეხლა ამ სიაში გავუსვათ ხაზი რომელსამე ელემენტს, თუნდ ნახშირმანს, და წავშალოთ, ვითომც ქვეყანაზე ნახშირმანის ელემენტი არა ყოფილა. მაშინ სამ ატომიან ბორის შემდეგ სამ ატომიანივე აზოტი იქნება ჩვენს სიაში, და მის შემდეგ ორ ატომიანი მეავდანი, ერთ ატომიანი ფტორი და სხ. ვსთქვათ, რომ როდესაც მენდელეევმა ელემენტების პერიოდობა გამოაქვეყნა მეცნიერებაში, მაშინ მის სიას ეს ნახშირმანი აკლდა. რომ ეს მართლაც ასე ყოფილიყო, მაშინ ყოველ მეცნიერს შეეძლო ეთქვა, რომ ეს პერიოდობის სწავლა ძლიერ კოჭლობს, რადგან სამ ატომიან ბორს უთუოდ ოთხ ატომიანი ელემენტი უნდა მოჰყვეს და ამის ნაცვლად ბორის შემდეგ ისევ სამ ატომიანი აზოტია; სჩანს რომ მენდელეევი სცდება რომ ჰგონია ვითომც პერიოდობა არსებობს ელემენტებში. სწორედ ამ გვარი ამბავი მოხდა როდესაც მენდელეევმა პირველად გამოაცხადა თვისი სწავლა; მხოლოდ ნახშირმანი კი არ აკლდა სიას, არამედ სხვა ელემენტი და ისიც ერთი კი არა არამედ სამი!

სიაში ორ ატომიან ტალმნის შემდეგ ოთხ-ატომიანი ტიტანი იდგა და სამი ატომიანი კი არ იყო,—აკლდა; გარდა ამისა სხვაგნითაც ორი ელემენტი აკლდა ამ სიას. როგორც ვხედავთ დიდათ უნდა გასჭირვებოდა ამ სწავლას ამ მიზეზით, მაგრამ მენდელეევმა დიდ გაბედვით გამოაცხადა, რომ ეს სამი ელემენტი თუ აკლია ამ სიას, ეს იმას კი არა ნიშნავს ვითომც ჩემი სწავლა

დელეევმა თავის-თავად კი არ ადმოაჩინა, არამედ ერთ ბატარა ფრანგულ წიგნმა მოაფიქრაო ეს (Chancourtois,—Vis tellurique Paris 1863.), რომელშიც დაახლოვებით ამ გვარივე სია იყო მოყვანილი ზოგ თვისებათა პერიოდობის მიხედვით. წიგნს არავინ არ მიაქცია ყურადღება.

კოჭლი იყოს, არამედ იმას, რომ ეს სამი ელემენტი უთუოდ უნდა იყოს ბუნებაში, მაგრამ ჯერ არ აღმოგვიჩენია; უნდა ვეძებოთ ბუნების მასალაში და ვიპოვითო. სიაში, ნათლად სჩანდა რა ადგილი უნდა ჰქონოდა ამ სამ უცნობ ელემენტს, მაშასადამე ვარაუდით შესაძლო იყო მათ თვისების გარკვევა წინათვე. ასეც მოიქცა მენდელეევი და წინათვე გამოიანგარიშა ამ სამ ელემენტის ყველა თვისება: მათი ნადარი წონა ამდენი უნდა იყოსო, თვისებაც ასეთი და ასეთიო და სხვ.; თითქოს სამივე ელემენტი ლაბორატორიაში გამოუცდიაო, ეგონებოდა კაცს. ამ ყოფაში იყო რამდენიმე წლის ეანმავლობაში ეს მენდელეევის სწავლა და ბოლოს ყველა გაჰკვირდა მეცნიერებაში, როდესაც სამმა სწავლულმა ფრანგმა, შვედელმა და გერმანიელმა ეს სამი ელემენტი აღმოაჩინეს ბუნებაში სწორედ იმ თვისებისა, რა თვისებაც მენდელეევს წინათვე ჰქონდა გამოანგარიშებული. ამ სამ ელემენტს სახელათ დაერქვათ: გალიუმი, სკანდიუმი და გერმანიუმი; ახლა სიაში ყველას თავისი ალაგი უჭერია. ამასა ჰქვიან მეცნიერების გამარჯვება და დიდათ გაითქვა სახელი ამ გამარჯვებით მენდელეევმა, რომელსაც ლონდონის მეცნიერთა საზოგადოებამ ჯილდოთ მედალი მიუსაჯა, რაიც დიდ პატივისცემას ნიშნავს.

როგორც ვხედავთ დიდი დამოკიდებულება არსებობს ატომთა წონა და მათ თვისებათა შორის, მხოლოდ ეს დამოკიდებულება პერიოდულად გამოიხატება. ელემენტების წონას რამე მნიშვნელობა რომ არა ჰქონდეს, მაშინ ეს პერიოდობა არ გამოიხატებოდა: მეტალი და მეტალოიდები სიაში ერთად არეული იქნებოდნენ წონის განურჩევლად; არც ატომიანობას, თუ სხვა რამ თვისებას, არავითარი პერიოდობა არ დაეტყობოდა. აქ უნებურად გვაგონდება ძველი არისტოტელის სწავლა ქვეყ-

ნიერების მასალაზე: ქვეყნიერება ოთხ სტიქიონისაგანაა შემდგარი,—ცეცხლი, ჰაერი, წყალი და მიწისაგან, მხოლოდ ეს ოთხი სტიქიონი, ერთ ძირეულ მასალისაო. ამის მოგონებაზე გონება გვეკითხება—იქნება ეს 80 ელემენტის ატომები ერთ მასალის არიან, მხოლოდ ეს საერთო მასალა სხვადასხვა ელემენტის ატომებში მეტი თუ ნაკლებია და აქედამ როგორლაც მათ თვისების განსხვავება წარმოსდგება. თუ არა და როგორ შევიგნოთ, რომ 80 ელემენტში, როდესაც ატომები წონით ერთმანერთს უახლოვდებიან, მაშინ მათი თვისებაც თითქმის ერთგვარია; მაგ. სიის თავში 4 ელემენტი (წყალდანი, ლითიუმი, ბერილი და ბორი) წონით ერთმანერთის მეზობლები რიგ არიან, თვისესითაც ერთმანერთს ემსგავსებიან: ოთხივე მეტალებია. იმავ მსგავსებას სხვა ჯგუფები, სხვა პერიოდები წარმოადგენენ. რასა ნიშნავს ეს პერიოდობა? რათაა რო წონის მომატებით თვისება, მაგ., ატომიანობა, ჯერ თანდათან იზრდება, ძლიერდება ერთიდამ ოთხამდინ, და შემდეგ, წონის უფრო მეტ მომატებით, ხელმეორედ სუსტდება და ოთხიდამ ერთამდის ჩამოდის, რომ შემდეგ ისევ მაღლა ავიდეს; რათაა, რომ ეს პერიოდობა არსებობს? რატომ ისე არაა, რომ სულ მსუბუქ ელემენტს—წყალდანს ერთი ატომიანობა რომ სჭირს მასზე მძიმე ელემენტებს წონის მომატებით შეუწყვეტლად არ ეზრდებათ ეს ატომიანობა და არ უხდებათ ორ, სამ, ხუთ, ათ, ოც ან ორმოც ატომიანად? ეს ასე არა ხდება და ატომიანობა მატულობს მხოლოდ ოთხამდინ და შემდეგ ისევ ჩამოდის ერთამდინ, რომ ისევ ოთხამდინ აიწიოს. ყველა თვისებაც ასე პერიოდულად იცვლება. ასეთია ეს თავ-სატეხი და დიდათ გამოსაცნობი კითხვა,—რათაა რომ ეს პერიოდობა არსებობს?

ვინ არ იცის, რომ ხშირად მოხუცი ხასიათით ლა ზნით ბალღს წაგავს; ბალღსავით ნებიერი და გულ-

ჩვილია, ხშირად გონებითაც სუსტდება და ბალღურ გონებას უბრუნდება. ბუნებას თითქოს ისე დაუწესებია ადამიანისთვის, რომ როდესაც ბალღი ხარ გონება და ზნეც სუსტი გექნება; რო წამოიზრდები, გაგიმაგრდება და გაგიძლიერდება; შემდეგ, რომ მოხუცდები და დიდი ხნის შეიქმნები, ისევ ბალღურ სისუსტეს დაუბრუნდებიო. როდესაც 80 ელემენტის ატომები რომ ჩნდებოდნენ საერთო მასალისაგან, თითქოს ამ გვარივე წესი არსებულა იმ დროს: მსუბუქ ატომებს ერთგვარი თვისება მისცემიათ, მათზე მძიმეებს სხვა გვარი და ამათზე უფრო მძიმეებს ისევ პირველ ჯგუფის თვისება და ასე პერიოდულად დარიგებულა ეს თვისება.

რა თქმა უნდა, რომ ეს შედარება შედარებაა და და არა მეცნიერული ახსნა რისგანაა, რომ პერიოდობა არსებობს. მეცნიერებამ გაარკვია, რომ ატომების თვისება წონასთან ახლოს სდგას, წონაზეა დამოკიდებული, მაგრამ ეს დამოკიდებულება პერიოდულია. რათაა ეს პერიოდობა,—ამას დაეძებს ახლა მეცნიერება და ახლაც გაცხარებული მუშაობაა ამის გამოსაკნობლად მეცნიერთა შორის. ვარაუდით კი თითქოს შეიძლება ითქვას, რომ ეს პერიოდობა მისი ნიშანია, რომ ყველა ელემენტის ატომები ერთი მასალის არიან და ეს მასალა ატომებში არეული კი არა, არამედ რაღაცა პლანზეა აშენებული. ყოველ ელემენტის ატომებს თავ-თავისი პლანი აქვთ; ამით და აგრეთვე მასალის რაოდენობითაც განირჩევიან ერთმანერთში სხვადასხვა ელემენტის ატომები. როდესაც ატომები პლანით თუ ფორმით ერთმანერთს უახლოვდებიან, მაშინ თვისებაც მსგავსებას იწყებს მათ შორის; აქედგან წარმოსდგება მეტალი და მეტალოიდების ჯგუფები და მათი ერთ-გვაროობა. რომ ატომის თვისება მის ფორმა და პლანზედაც უნდა იყოს დამოკიდებული, ამას იზომერიაც ძლიერ გვეუბნება, რომელზე-

დაც მაღლა ვისაუბრეთ; ორი მოლეკულა ერთგვარ და ერთი რიცხვის ატომებს შეიცავს, მაგრამ მაინც ძლიერ განირჩევიან ერთმანერთში მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა და სხვა პლანზეა აშენებული ერთი და მეორეც.

რა პლანზე არიან აშენებული ატომები და რა გვარ ყოფა და ბუნებისაა მისი მასალა—ასეთია ეს კითხვა მატერიის ძირეულ რაობა-ვითარებაზე. ეს რომ გამოიცნოს მეცნიერებამ, მაშინ ყველა თვისებასაც ადვილად ახსნის, რადგან თვისება ამ ძ რეულ რაობისაგანაა დამოკიდებული.

ამ მატერიის ძირეულ რაობა-ვითარების გამოცნობას, როგორც უკვე ვსთქვით, ტომსონი შეუდგა და მეტად საინტერესო რამეც წარმოსთქვა ამის შესახებ, მაგრამ ეს მაინც პირველი ფეხის გადადგმაა ამის გამოცნობაში და ქიმიური ძალა და ატომების ძირეული რაობა-ვითარება ისევ წყვდიადით მოცული ამოცანაა. ტომსონის სწავლაზე შემდეგში მოგვიხდება საუბარი; ხამი მკითხველი აქ ამას ვერ გაიგებს.

X. რა და რა ძალას აჩენს ქიმიური რეაქცია?

ევრჯერ გვქონია შემთხვევა ამ მატერიის ქიმიურ რაობის გამოძიებაში ძალებზედაც ჩამოკვეგდო ლაპარაკი, რადგან არც ერთი რეაქცია ისე არა ხდება, რომ რამე ძალამ არ იჩინოს თავი; მაგრამ ყოველთვის განგებ განზე ვაგდებდით ამაზე საუბარს, რათა მკითხველს მხოლოდ მატერიის რაობის ახსნაზე ჰქონოდა გულის-ყური. ახლა ამაზედ ვსთქვათ ორიოდე სიტყვა.

როგორც ერთგან გავარჩიეთ ც რცის მოლეკულა

ასეთ ფორმულისაა $Ca\ CO_3$, ესე იგი ხუთი ატომის ჯგუფს წარმოადგენს: 1 კალციუმის, 1 ნახშირმანის და 3 მჟავდნისას. ცარცი, მარმარი და საკირე ქვა ერთ-გვარი ქიმიური საგნებია, ამიტომ სამთავესივე ფორმულა იქნება $Ca\ CO_3$. ქიმიურათ ეს სამი საგანი მარილებია, რადგან $Ca\ CO_3$ საფუძვის და მჟავის შეერთებითაა გაჩენილი ($CaO + CO_2 = Ca\ CO_3$). დედამიწის ქერქში არც ერთი საგანი ისე არაა გავრცელებული, როგორც ეს სამი ერთ-ფორმულიანი საგანი: ცარცი, მარმარი და საკირე ქვა, რომლებიც ზოგგან მთა-კლდეებათ არიან; კვერცხის ცილაც ამ საგნისაგანაა შემდგარი. ჩვენ ხომ გვახსოვს, რომ ცარცის ბუნების გამოსაცნობლად სიცხოვლით დავშალეთ ჩვენ ცარცი და ასე გავიგეთ მისი მონაწილე მჟავ-საფუძვი. ახლა ცარცის ნაცვლად საკირე ქვა ავიღოთ. ყველამ იცის რას უშვრება ამ საგანს მეკირე; ამ საქმეს კირიშ დაწვა ჰქვიან, რომელიც ასე ხდება: კლდის ნატეხებს—საკირე ქვას, დიდ ქურაში ჰყრიან და ძირიდამ ცეცხლს უნთებენ. სიცხოვლით საკირე ქვა კირად იქცევა. ეს რეაქცია ასე გამოიხატება:

$$Ca\ CO_3 = CaO + CO_2$$

საკირე ქვა (მარილი) — კირი (საფუძვი) — ნახშირ-მჟავი (მჟავი)

ამ გვარად საკირე ქვის მოლეკულა, რომელიც მარილია, სიცხოვლით ისევ მჟავ და საფუძვად იშლება,—კირად და ნახშირ-მჟავად. განთავისუფლებული ნახშირ-მჟავის გაზი ქურიდამ ჰაერში ადის და იფანტება; ქურაში კი კირი რჩება. ყველამ ვიცით, რომ კირზე თუ ცოტად წყალი დავასხით, წყალი მაშინვე შრება, კირი კი ცხელდება, იფხვნება იშლება. რომ გამოვიძიოთ რა მოსდის კირს ამ წყლის დასხმით, ვნახავთ, რომ კირი წყალს იერთებს თავისთან, ე. ი. თითო კირის მოლეკულა თითო წყლისას იკავშირებს ამ გვარ რეაქციით:

$$CaO + H_2O = Ca\ H_2\ O_2$$

კირი — წყალი.

სჩანს, რომ კირი რომ ცხელდება, ეს სიცხოვლე ამ ქიმიურ შეერთებითაა გაჩენილი. ბევრი სხვა ქიმიური შეერთებაც აჩენს ამ ძალას —სიცხოვლეს და ხშირად სიცხოვლესთან სინათლესაც სცემს. მჟავდან-წყალდანის შეერთებაში, რომლის შედეგი წყალია, ისეთი სიცხოვლე ჩნდება, რომ ახლად გაჩენილი წყალი რამდენსამე ხანს ორთქლად რჩება და მხოლოდ შემდეგში გაცივებით წყლად გადადის. მჟავდანს ხომ თითქმის ყველა მარტივი საგანი ერთვის და ამ შეერთებით ყოველთვის სიცხოვლე ჩნდება და ხშირად სინათლეც. მაგ. მჟავდნით ავსილ შუშებში რომ ჩავუშვათ ცალ-ცალკედ სხვადასხვა მარტივი საგანი: ნახშირი, გოგირდი, სოდიუმი, მაგნიუმი, ფოსფორი, რკინა, თითბერი და სხვ —მაშინვე მათი შეეოთება მოხდება მჟავდანთან და ამიტომ დიდი სიცხოვლე ჩნდება და ხშირად ისე ძლიერ ანათებენ ამ შეერთების დროს, რომ თვალს მათი ხილვა უძნელდება. მეცნიერი ამ გვარ მოვლენას, ესე იგი საგნის მჟავდანთან შეერთებას, რომლის შედეგად მჟავდანოსანი ჩნდება—მჟავი ან საფუძვი,—საგნის დამჟავებას ეძახის. ასე უცქერის ამ მოვლენას მეცნიერი და საზოგადოთ კი ცხოვრებაში ამ მოვლენას დაწვა ჰქვიან. ასე, რომ დაწვა ნიშნავს საგნის მჟავდანთან შეერთებას.

უფრო დავაკვირდეთ ამ მეტად საკვირველ მოვლენას—ცეცხლს, რომელიც ზოგ ქვეყანაში ღმერთად მიაჩნიათ. ავიღოთ რომელიმე საწვავი საგანი, მაგ. შეშა, ნავთი, სანთელი ან ქვა-ნახშირი; ეს საგნები შესდგებიან უმეტეს ნაწილად ერთგვარ მოლეკულებისაგან, რომლებიც შეიცავენ წყალდნის, მჟავდნის და ნახშირმანის ატომებს. ეს მოლეკულები სხვადასხვა ფორმის არიან ამ საგნებში. რომ განვიხილოთ ახლა რომელიმე მოლეკულა, ვნახავთ, რომ მასში ატომები ძლიერ სუსტად არიან ერთად შეკავშირებული და ამიტომ ადვილად იშლე-

ბიან სიცხოვლის მოკარებით; და რადგან ამ მოლეკულებში ნახშირმანის და წყალდნის ატომებია, რომლებსაც დიდი ნათესაობა აქვთ მჟავდანთან, ამიტომ მოლეკულის დაშლაზე ჰაერის მჟავდანი იერთებს მათ თავისთან. ატომები მოლეკულაში მაგრათ რომ იყვნენ შეერთებულნი, მაშინ მათი დაშლაც ძლიერ ძნელი იქნებოდა და ვერ შეუერთდებოდნენ ასე ადვილად ჰაერის მჟავდანს. მაშინ ნავთი, შეშა, სანთელი და სხვ. საწვავი საგნები არ იქნებოდნენ და სიცხოვლეს ისე ადვილად აიტანდნენ, როგორც მაგალითად ქვა.

ამოვიღოთ ჯიბიდამ ერთი წუმწუმა და ავანთოთ. წუმწუმის თავს ფოსფორი აქვს წასმული. ორივ ხელის გული მაგრათ ერთმანერთს რომ წავუსვათ, ხელი გაგვიცხელდება; წუმწუმის თავსაც რამე საგანს რომ ვუსვამთ ცხელდება და ამით ზედ წასმულ ფოსფორს ჰაერის მჟავდანთან შეერთებას უადვილებს. მჟავდან-ფოსფორის შეერთებით წუმწუმის, თავზე უფრო დიდი სიცხოვლე ჩნდება, რომელიც მის მასალას—მოლეკულებს შლის და შეძლებას აძლევს განთავისუფლებულ ატომებს ჰაერის მჟავდანს შეუერთდნენ. დავაკვირდეთ წუმწუმის თავს ცეცხლი რომ ეკიდება. თავს ენასავით ალი ასდის. კარგათ რომ შევხედოთ ამ ალს, ვნახავთ, რომ სამ ნაწილისაგანაა შემდგარი: პირველი მოშავოა და შიგ ალის შუა-გულშია წუმწუმის წვერის გარშემო; ამ მოშავო ნაწილს გარს არტყია განათებული და ამას მესამე ძლიერ მკრთალი ნაწილი მოსდევს. პირველი ნაწილი წუმწუმის გაგაზებულ მასალისაგან შესდგება, თბილია და არა ცხელი. მეორე მნათ ნაწილში წყალდანი იწვის, ე. ი. ჰაერიდამ მოდენილ მჟავდანს ერთვის; მასთან იწვის აგრეთვე ნახშირმანის ზოგიერთი ნაწილი, ზოგი კი თავისუფალი რჩება ამ ნაწილში, რადგან აქ ჰაერის მჟავდანი სამყოფი არაა. ეს თავისუფალი ნახშირმანი აქ ისეა გაჩა-

ღებული, რომ მისი ნაწილები სულ პატარა ნაღვერ-
ლებს წარმოადგენენ და ამიტომ ანათებენ; აქედამ
მესამე (გარეგან) ნაწილში გამოდიან და მაშინვე მჟავ-
დინს უერთდებიან, რომელიც აქ ბლომათაა. წუმწუმის,
ნავთის, სანთლის დაწვით ჩნდება ნახშირმჟავი (CO_2) და
წყლის ორთქლი, წყლის მოლეკულებისაგან შემდგარი
(H_2O). წყალდანი და ნახშირმანი საწვავ საგნისაგანაა
გამოცემული და მათ მჟავდანი რომ ერთვის ჰაერისაგა-
ნაა მომდინარე. ლამფას რომ ძლიერ ავუწიოთ, ბევრი
ნავთი დაიშლება სიცხოვლისაგან და რადგან ლამფის
შუშაში გარე ჰაერიდამ მჟავდანი ვერ ასწრობს ბლომად
შედენას, ამიტომ ნავთის ნახშირმანი ბევრი ნაწილი თა-
ვისუფალი რჩება და ბოლად ასდის ლამფას, საჭიროა
ამიტომ ლამფას ცოტად ჩავუწიოთ, რომ ნაკლები ნავთი
დაიშალოს, იმდენი რამდენისათვისაც სამყოფია ლამფაში
ჰაერიდამ მომდინარე მჟავდანი.

ასეთია ამ ძალის სიცხოვლის გაჩენა, რომელიც წა-
რმოსდგება სხვადასხვა ელემენტის მჟავდანთან შეერთე-
ბისაგან. ქიმიურ ნათესაობისაგან წარმოსდგება საგანთა
შეერთება და ამ 'შეერთებით სიცხოვლე ჩნდება და სი-
ნათლეცა. მაგრამ ელემენტები მჟავდნის გარდა სხვებსაც
ერთვიან. საჭმლის მარილი ორ მარტივ საგნისაგანაა შე-
მდგარი—ხლორი და სოდიუმისაგან; მაშასადამე ეს ორი
მარტივი საგანი მონათესავეა და ამიტომ მათ შეერთები-
თაც უნდა ჩნდებოდგს სიცხოვლე. მართლადაც ხლორის
გაზით ავსილ შუშაში სოდიუმი რომ ჩავუშვათ, მაშინვე
მათი შეერთება მოხდება და სიცხოვლეც გაჩნდება.
ხლორში იწვის აგრეთვე წყალდანიც და წყალდანში
ხლორი. ასე რომ დაწვა ნიშნავს საგანთა ქიმიურ შეერ-
თებას. რაც უფრო მეტი ნათესაობა აქვს ორ
საგანს, მით უფრო მეტი სიცხოვლე ჩნდება მათ შეერ-
თებით.

სიცხოვლის გარდა სხვა გვარ ძალასაც აჩენს ქიმიური შეერთება ზოგიერთ შემთხვევაში. თოფის წამალი რომ გამოვიძიოთ, ვნახავთ, რომ ეს ორიოდ მარტივ საგნისაგანაა შემდგარი, რომელთაც დიდი ნათესაობა აქვთ ერთმანერთში. ეს საგნები ერთად არეულებია და არა ქიმიურად შეერთებულნი. რადგან ამათ დიდი ნათესაობა აქვთ ერთმანერთისა, ამიტომ ძლიერ ადვილად და მძლავრად ერთდებიან. ამ დიდ ნათესაობისაგან ისეთი დიდი სიცხოვლე ჩნდება ქიმიურ შეერთების დროს, რომ მაშინვე გაზებად გადადიან ეს საგნები. წამალს ნაპერწკალი უნდა მოხვდეს, რომ ქიმიურ ნათესაობამ, რომელიც თითქოს მიძინებულიაო ამ წამალში, მუშაობა იწყოს. ამ ნაპერწკალს პისტონი აჩენს. წამლის მასალა უცბად გაზად იქცევა, რომელიც თოფში არ ეტევა, რადგან ძლიერ ბევრია, ამიტომ გარეთ გამოვარდება ხოლმე დიდის სისწრაფით და თუ ჯაზაში, ე. ი. მილში თუ ლულაში თოფის ტყვია დახვდა მძლავრად გარეთ ისვრის. ამ გვარად ტყვიას მძლავრ გაქანების ძალა ეძლევა. ავიღოთ ახლა ორი თოფი: ერთი მხოლოდ წამლითაა გატენილი, მეორე კი წამლითა და ტყვიითაც. ორივე თოფი ერთად რო დავცალოთ, ვნახავთ, რომ ტყვიით დაცლილი თოფი მეორე თოფზე ნაკლებათ გაცხელებულა. ტყვიით გატენილ თოფში სწორედ იმდენი წამალი იყო, რამდენითაც მეორე თოფი იყო გატენილი, მაშ რათაა რომ მასზე ნაკლებათაა გაცხელებული? ცხადია, რომ ამისი მიზეზი ტყვია უნდა იყოს. ამისი ახსნა ასეთია: ქიმიური ნათესაობა, ან ქიმიური ძალა, უტყვიო თოფში სიცხოვლეთ გარდაქცეულა, მეორეში კი - ტყვიით გატენილში, ძალის ზოგი წილი სიცხოვლედ შეცვლილა, ზოგი კი ტყვიის სროლაში. ამ გვარად ქიმიურ ნათესაობის ძალა ზოგ შემთხვევაში სიცხოვლეს აჩენს (დაწვა) და ზოგში რომელიმე საგანს სროლის ძალას აძლევს, ან, უკეთ რომ ვსთქვათ—ქიმიური ძალა ზოგ შემთხვევაში სიცხოვლედ იცვლება, ზოგში კი სროლის ძალად.

ამ ორ ძალის გარდა ქიმიურ ნათესაობას შეუძლიან აგრეთვე ზოგიერთ შემთხვევაში ერთ მეტად საკვირველ ძალის გაჩენაც, რომელსაც ჩვენში ბევრი არ იცნობს და უფრო ბევრს გაგონებითაც არ გაუგონია, თუმცა ტელეგრაფი ამ მხოლოდ ამ ძალით მუშაობს. ბევრგან იყიდება ერთგვარი თეთრი შუშის ჭურჭელი, რომელიც ძლიერ წააგავს ჩაის ჭიქას, მხოლოდ მასზე დიდია, ასე რომ შიგ ერთი ბოთლი წყალი ჩაეტევა. ავიღოთ ერთი ამ გვარი წყლით ავსილი ჭურჭელი და გავხსნათ შიგ გოგირდის მჟავი, რომლის თითო მოლეკულა ასეთ ფორმულისაა $H_2 SO_4$. ჩავუშვათ ახლა ამ შუშაში ორი თხელი და მოგრძო ნაჭერი მეტალი, ცინკი და პლატინა. ავიღოთ ახლა თუნდ ნახევარი არშინი მართული და ერთი წვერი ცინკს მივაბათ, მეორე კი პლატინას, წყლიდამ ამოშვერილებს. როგორც კი ამას ვიზამთ შუშაში ქიმიური რეაქცია დაიწყებს მოქმედებას:

$$H_2 \quad SO_4 + Zn = Zn \quad SO_4 + H_2$$

გოგირდის მჟავი, ცინკი, ცინკის შაბი, წყალბადანი.

როგორც ვხედავთ, გოგირდის მჟავს წყალბადანი ერთმევა და სამაგიეროთ ცინკი ეკავშირება. ამ რეაქციას, ხომ ვიცით, აღებ-მიცემის რეაქცია ჰქვიან. ახლა მართული შუაში რომ გავჭრათ და ორივე წვერი ხელში რომ დავიჭიროთ, ტანში ჟრუანტელსავით რაღაცა დაგვივლის. სჩანს, რომ შუშაში რეაქცია რომ ხდება რაღაც ძალას ჩენს, რომელიც მართულზე ჩვენთვის უჩინრად ადის. რომ უფრო ცხადათ გვეჩვენოს რაცა ხდება ამ შემთხვევაში საჭიროა ეს ძალა გავადიდოთ, ამიტომ ერთ შუშის ნაცვლად, რამდენიმე ვიხმაროთ, ამ გვარათვე შემდგარი. შუშები რგვლათ დავამწკრივოთ (ისე, როგორც ფერხულში იციან) და პირველ შუშის ცინკი, მეორე შუშის პლატინას გადავაბათ მართულით, მეორე შუშის ცინკი მესამეს პლატინას და ამ გვარად ცინკ-პლატინის

გადაბმით ყველა შუშები ერთად შეეაერთოთ, ისე რომ უკანასკნელ შუშის ცინკი პირველის პლატინას ექნება მიბმული მართულით. ამ გვარად შეერთებულ შუშებს ბატარეა ჰქვიან და თითო შუშას—ელემენტი. რაც უფრო მეტი ელემენტია ბატარეაში, მით უფრო მეტი ძალა ჩნდება, მით უფრო ძლიერია ბატარეა. ამ ძალას ელექტრონი ჰქვიან, რომელზედაც სხვა ძალებთან ერთად შემდეგში გვექნება ვრცელი საუბარი. ავიღოთ ახლა რომელიმე ცინკ-პლატინაზე გადაბმული მართული, გავჭრათ შუაში და შიგ ჩავურთოთ გადაბმით რომელიმე ძლიერ წვრილი მართული სხვა რამ მეტალისა, რომელიც სიცხოვლეს ადვილათ იტანს და მალე არა დნება. (პლატინა ყველასა სჯობს). ძალა, რომელიც ყველა ელემენტებში ჩნდება რეაქციით, ისე ძლიერია, რომ ამ წვრილ მართულს ახურებს, და თუ ელემენტები ბლომათაა, ეს გაცხელება იქამდინ მივა, რომ მართული გრძელ და წვრილ ნაღვერდალს დაეგვანება. წვრილ მართულის ნაცვლად, შუაში გაჭრილ მართულს ორივ წვერზე, ორი პატარა, წვრილად გათლილი ნახშირი რომ მივაბათ და ორივე ერთი მეორეს რომ მივუახლოვოთ, მაშინვე ნახშირის ორ-წვერ შუა ვარსკვლავი გაჩნდება და თუ ღამეა ოთახს მზესავით თეთრად გაანათებს, ამ ძალას სხვადასხვა რეაქციაც აჩენს. ასეთია ეს ელექტრონის ძალა.

მაშასადამე, ქიმიური ნათესაობა, ან ქიმიური ძალა, რომელიც ატომებსა სჭირთ, ქიმიურ რეაქციებში აჩენს სითბო-სიცხოვლეს, ან რომელიმე საგანს გაქანებულ მოძრაობას ჰყრის და ან ელექტრონს იძლევა. უფრო სწორი იქნება, რომ ვსთქვათ, რო ქიმიურ ძალას შეუძლიან სხვა ძალაში გადასვლა, სხვა ძალად იცვლება: სითბო-სიცხოვლედ, საგნის გაქანებულ მოძრაობად და ელექტრონად. ამ ძალების მეტი და ნაკლები რაოდენო-

ბა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ელემენტები იღებენ მონაწილეობას ქიმიურ რეაქციაში, დიდი ნათესაობა აქვთ მათ თუ მცირე, ბევრია ეს საგნები თუ ცოტა. წინათვე შეიძლება გამოანგარიშება იმისი, თუ რა საგნების ხმარებაა საჭირო, რომ ქიმიური რეაქცია მოხდეს და ამ საგნების რაოდენობა წინათვე გვიჩვენებს რამდენ ძალას გამოსცემს მათი რეაქცია. ერთ-ოდენ ქიმიურ ძალას, ერთ-ოდენ ძალის გამოცემა შეუძლიან.

ა. კვერკველაძე.

ასტრონომია

ანუ

ვარსკვლავთ-მრიცხველობა

(კ. ფლამარიონის წიგნიდამ).

რა არის ასტრონომია?

ასტრონომია სამყაროს მეცნიერებაა. სამყაროკი ყველაფერს ჰქვია, რაც ცაში და ქვეყანაზეა. მნათობნი: მზე, მთვარე, ვარსკვლავები და თითონ ჩვენი დედამიწაც სამყაროს ნაწილს შეადგენენ. საჭიროა ვიცოდეთ: რას წარმოადგენს დედამიწა? რა სახის არის იგი? სად იმყოფება? რა არის ცა? დღე რათ გვიღამდება? საიდგან წარმოსდგება ჰაერისა და წელიწადის დროთა განსხვავება? მზე თავისის ბრწყინვალებით გვახარებს და სითბოთი გვათბობს, მაგრამ ეს მზე რაღაა?

სად არის? რამ სიშორეზეა ჩვენგან? ის კაშკაშა მთვარე, რომელიც თავისი შუქით ანათებს კუმეტი სიბნელით მოცულს ცას, ეს რაღა არის? რათ იცვლის სახეს? ურიცხვი ვარსკვლავები რაღაა?.. აი, ყოველ ამ კითხვას ჰასუხს აძლევს მეცნიერება ასტრონომია.

ასტრონომია ძველის-ძველი მეცნიერებაა. იგი მაშინ გაჩნდა, როცა ადამიანმა დაიწყო ცაზედ მოჯედილი ვარსკვლავების თვალიერება, დაკვირვება. ძველ ასტრონომებს თავიანთი დაკვირვების და გამოცდილების ნაყოფი შეჰქონდათ წიგნებში, საიდამაც სარგებლობდნენ შემდეგი ასტრონომები; ესენი თავიანთი კვლევა-ძიებით ადრინდელ შეცდომებს ასწორებდნენ, თავიანთ ნაცადს უმატებდნენ და ამ რიგათ ასტრონომიის მეცნიერება თანდათან სისრულეში დშეიოდა. საუკეთესო ასტრონომებად უნდა ჩავთვალოთ კაპერნიკი, კეპლერი და გალილე.

უმთავრესი იარაღი, რომელიც ხელის გულსავით გადუშლის ხოლმე ასტრონომებს ცის მნათობთა სახეს, მოძრაობას და მათს ყოველს ვითარებას, არის ჭოგრი ანუ დურბინდი.

ჭოგრი არის ლითონის უბრალო ლულა, რომელშიაც ჩასმულია ორი გამადიდებელი შუშა. ამ შუშებს ისეთი თვისება აქვთ, რომ გაჭხედავ

ლულას თუ არა, მაშინვე ისე ახლო გაჩვენებსთ მიზანში ამოღებულს საგანს, რაც უნდა შორს იყოს ეს საგანი, რომ თითქოს იგი თქვენს წინ სდგასო.

ასტრონომია მარტო გასართობი და სახალიოსო მეცნიერება როდია. იგი იმავ დროს სასარგებლოც არის. უიმისოთ ჩვენ არაფერი გვეცოდინება ცის მნათობთა შესახებ, არ გვექნებოდა დროს ზომა—დღე-ღამეები, თვეები, წლის დროები და სხვ.

ვისაც ასტრონომიის მთლათ შესწავლა ჰსურს, მან მთელი თავისი სიცოცხლე უნდა შესწიროს ამ მეცნიერების კვლევა-ძრიცხველობას, მაგრამ იმის შემეცნებისათვის კი, რაც აუცილებლათ საჭიროა რომ ყველამ ვიცოდეთ ამ დიადი მეცნიერებიდამ, ცოტაოდენი შრომა დადროც კმარა...

I.

დედამიწა რგვალია.

ანამ ცისაკენ ავიხედავდეთ, მზისა, მთვარისა და ვარსკვლავების შესასწავლად, ჩვენი ეურადღება ჯერ თვით ჩვენს დედამიწას ვათხოვოთ. [illegible]

რომ ეს ჩვენი დედამიწა ისეთივე ბრტყელია, რო-
გორც ერთი რომელიმე მინდორი. მაგრამ ეს ასე
არ არის.

ახლა უკვე კარგად არის დამტკიცებული, რომ
დედამიწა, მთლად აღებული, ბრტყელი არ არის. ეი
ამისი საბუთი. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვსდგევართ
ტრიალს მინდორზედ, სადაც კამარიანი ცის და ამ
სწორი მინდვრის მეტი არა ჩანს-რა. ეორს რომ გა-
ვიხედოთ, დავინახავთ, რომ ცის განაპირები თით-
ქო მიწას ებჯინებიან და შეერთებულია იქ დედა-
მიწასთან. ეი ამ საზს, რომლითაც ცა, ვი-
თომც შეერთებულია დედამიწასთან, — ჰქვიან ერი-
ზონი ანუ ცის-კიდური. თუმცა ჩვენ ისე გვეჩვე-
ნება, რომ ცა დედა-მიწასთან შეერთებულია და
იმას იქით თითქოს აღარაფერია, მაგრამ უბრალო
გამოცდილებაც საკმაოა, რომ ერიზონს იქითაც
ამავე დედამიწის და ცის გაგრძელებაა, იქაც ასეთი-
ტუე, ველი, მთები და სხვაა. მაშ რატომ არ სჩა-
ნან ესენი? — იკითხავთ თქვენ. იმიტომ, რო დე-
და-მიწა ბურთსავით მრგვალია და არა მინდორ-
სავით ბრტყელი. დედა-მიწა რომ ბრტყელი ყო-
ფილიყო, მაშინ ჩვენ შეგვეძლო, სადამდისინაც
ზეედგელობა მიგვიწვდებოდა, ყველაფერი დაგვე-
ნახვა, რაც კი დედა-მიწის ზურგზედ იქნებოდა,
მაგრამ საქმეც იმაშია, რომ დედა-მიწა ბურთსა-

ვით მრგვალია და ამიტომ ერისონს იქით ჩვენ ვეღარასფერს ვეღარა ვხედავთ.

დედა-მიწის ესევე სიმრგვალეა მიზეზი, რომ როცა რომელსაც სოფელს ან ქალაქს ვუახლოვდებით, ჯერ საუდრების გუმბათებს, კოშკების და საზოგადოთ მაღალი შენობების წვერებს დავინახავთ, ხოლო ქვემო ნაწილი ამავე საგნებისა ჩვენ თვალთაგან დაფარულია დედამიწის ამობურთული ზურგით, რომელსაც, როგორც ზემოთაც ვსთქვით, ერისონი ანუ ცის-კიდური ეწოდება. შემდეგ, როცა სოფელს დავუახლოვდებით, სახლები თანდათან მირიდამ თავამდე გამოჩნდება, თითქო მიწიდამ ამოვიდნენო.

დედა-მიწის ბურთსავით სიმრგვალე მისი გაზომვითაც დაამტკიცეს. დიახ, გაზომეს ეს ვეებართელა ბურთი გარშემო და აღმოჩნდა მისი სიგრძე 35,500 ვერსი. ეს სიგრძე სწავლულებმა რამდენსამე ნაწილათ გაჭრეს და ერთს მეოთხედს ათი მილიონისას უწოდეს მეტრი (ადლი). ამ სახით დედა-მიწას აქვს 40 მილიონი მეტრი ანუ 35,500 ვერსი. ეს იმოდენა მანძილია, რომ წარმოდგენათაც ძნელია. აი ამ თვალ-უწვდენელ სივრცეშია მოთავსებული დედამიწის ყველა ზღვები, რომლებსაც მისი $^3/_4$ უჭი-

რავს, და ხმელეთი ეველა თავისი მთა-ბარით.— მაგრამ მთები,—მეტეევით თქვენ,—არ უშლის დედა-მიწის სიმრგვალეს?—იმოდენათ, რამოდენათაც ვაშლზედ ჰატარ-ჰატარა შემაღლებული მუწუკებივით ადგილები უშლიან სიმრგვალეს!.. სწორედ ასევე არც სულ უუდიდესი მთები უშლიან დედამიწის სიმრგვალეს.

ტ. ინასარიძე.

(შემდეგი იქნება)

საშუალო განთიადი

(ისტორიული მოთხრობა).

(დასასრული *).

III.

ამ დროს, რა დროსთან ჩვენ საქმე გვაქვს, დიდს განსაცდელში იყო საქართველო სხვადასხვა გარეშე მტრებისაგან. ერთის მხრით სპარსეთის შაჰის-მიერ გამოგზავნილის ცეცხლთ-თაყვანის მცემლების თარეშობას ბოლო არ ეღებოდა აქ... პირიქით, მათი რიცხვი დღითი-დღე მატულობდა, ხოლო ვახტანგის დროს (446—499 წ.) საქმე იქამდის იყო მისული, რომ მათ იმ ჟამად საკუთარი ეპისკოპოსიც ჰყავდათ ქართველთ სატახტო ქალაქ მცხეთაში... ყოველს ქრისტიანს ქართველს ელოდა განსაცდელი გატაცებულიყო ცეცხლის-თაყვანის-მცემლობით და ამნაირად ჩავარდნილიყო უსჯულოების ქარ-ცეცხლში.

---

*) იხ. „მოგზაური“ № 5 და 6, 1903 წ.

მეორეს მხრით ბერძნებს დაპყრობილი ჰქონდათ მთელი აფხაზეთი და სამეგრელოს ერთი ნაწილი ციხეგოჯამდე *).

თვითონ სპარსეთი მესამე მხრით მზათ იყო დრო შეერჩია და ქართველები აეკლო, საქართველო დაემორჩილებია... სამშობლოს ძველის სიდიადე-სიძლიერის აღდგენა ამ ჟამად ახალგაზდა მეფის ვახტანგის ხელში იყო... ვახტანგიც კარგად ჰგრძნობდა თავის მოვალეობას და დღედაღამ იმის ცდასა და ფიქრში იყო, რომ მტრებისთვის თავი დაეღწია და სამეფო ძველებურის სიმტკიცით აღედგინა.

ოსებთან ომის გათავების შემდეგ, ვახტანგის შორს-გამჭვრეტელი ჭკუა-გონება მიმხვდარიყო, რომ სამშობლოს ყველა მტრებთან ერთად შებმა არ ივარგებდა. ამიტომ მან გადასწყვიტა ჯერ ბერძნების დამარცხება და მათგან აფხაზეთის დაბრუნება. ამ აზრით მან დიდძალი საჩუქარი გაუგზავნა სპარსეთის შაჰს ორმუზდს და სთხოვა შემწეობა ბერძნებთან საბრძოლველად. ორმუზდს ვახტანგის ქცევა ძალიან მოეწონა.. დიდის სიამოვნებით აღუსრულა საქართველოს მეფეს თხოვნა, გამოუგზავნა დიდძალი მაშველი ჯარი- და ამ ჯარს თავისი ქალიც გამოაყოლა, თხოვნისამებრ ვახტანგისა, მისთვის ცოლად.

ვახტანგმა ძლიერ კარგად ისარგებლა ამით და საჩქაროდ გადვიდა იმერეთს შეერთებულის ძალით, სადაც ბერძნებს მმართველად გუბაძე ჰყავდათ დაყენებული.

შემოდგომა იყო. იმერეთის კეკლუცი ბუნება ნელნელა ემზადებოდა საზამთროდ, და იის ნაცვლად რომ ადამიანივით სხვადასხვა ტანსაცმელ-მორთულობით მოკა-

*) ეს ახლანდელი ნაქალაქევია. ბერძნები კი მას ძველად არხეოპოლისს (ძველ—ქალაქს) უწოდებდნენ. ავტ.

ზმოლიყო, იმ სამოსსაც კი, რომელიც ზაფხულს მისთვის ებოძა, ნელ-ნელა იცლიდა თავიდგან. ფაზისი ისევ ფასის მთიდგან გადმოსჩქეფდა და უდარდელად მიიკლაკნებოდა პონტის ზღვისაკენ... მისი შტოები—ტეხური, ცხენის წყალი და სხვები ისევ ისე უღარავდნენ აქაურს მამულებს გულ-მკერდს, როგორც ახლა...

ვახტანგის ჯარი დაბანაკებულიყო ფაზისის მარცხენა ნაპირას. ცითონ მეფე კი მხლებლებითურო მახლობელს სოფელში იდგა და მტრის მოსვლას უცდიდა... მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ მას თავი დაანებებინა ბრძოლის ველისათვის და იძულებული გახადა დაუყოვნებლივ მცხეთაში დაბრუნებულიყო. ეს ის შემთხვევა იყო, რომ მეფეს ცოლი დაუწვა და ვაჟი მიეცა *). მცხეთაში დაბრუნებულის მეფის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ ეს სიხარული სულ მოკლე ხანში გამოუთქმელ მწუხარება-სიმწარედ შეეცვალა... მშობიაროობისა გამო ახალგაზდა დედოფალი რამოდენიმე დღის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა... დაქვრივებულის მეფის მწუხარება უზომო იყო...

მეუღლეობრივი ჩვილი გული და სიყვარული იწვევდა ვახტანგს დიდხანს დარჩენილიყო მცხეთაში დედოფლის საფლავის მახლობლად... მაგრამ ამასაც თავი დააღწია მეფემ და დედოფლის გასვენების და დასაფლავების შემდეგ, ისევ იმერეთს გადმოვიდა, სადაც ლევანის წინამძღოლობით ქართველები გულადად ებრძოდნენ მტრებს, ბევრჯელაც სძლიეს ბერძნებს, მაგრამ ჯერ-ჯეროობით მაინც არ ანებებდნენ თავს ბრძოლის ველს...

---

*) შემდეგ მას ძაჩი უწოდეს. ვახტანგის მერე საქართველოს ტახტი ძაჩიმ დაიჭირა.

ვახტანგის ხელმეორედ იმერეთში გადმოსვლის შემდეგ კი უკანასკნელმა ბრძოლამ საბოლოოდ გადასწყვიტა საქმე და გამარჯვება ქართველებს შეარჩინა. ბერძნები საშინლად დამარცხდნენ და გუბაძეც საზღვარგარედ განივლტო...

ვახტანგმა ისარგებლა გარემოებით და მასთან ზავის შესაკრავად მოსულს ბერძნების იმპერატორს ლეონტის წინადადება მისცა: თუ შენს ქალს ელენეს მომცემ ცოლად და აფხაზეთსაც დამიბრუნებ, თავისუფალი ხარო... იმპერატორი დასთანხმდა იმ პირობით, თუ ვახტანგი ნებას მისცემდა მას სპარსელების იმ ჯარის ამოწყვეტას, რომელიც ქართველებთან ერთად მის წინააღმდეგ ომობდა. ვახტანგი დასთანხმდა. მან გაჰყო ქართველი ჯარი სპარსელებისგან. ბერძნები თავს დაესხნენ სპარსელებს და სულ ერთიანად ამოჟლიტეს. ვახტანგისთვის საჭირო იყო სპარსეთის შაჰის წინაშე თავის გამართლება. ამიტომ ვახტანგმა ახლა ბერძნებს მიუსია თავისი ჯარი და სულ ერთიანად ამოჟლიტა. ბიზანტიის იმპერატორს ძლიერ ეწყინა ეს, მაგრამ ვახტანგმა ეს სულ თვით იმპერატორის დახოცილ სარდლებს გადააბრალა. ამნაირად საქართველოს მეფემ თავი დააღწია მეორე მტერსაც თავის სამეფოისას—საბერძნეთს.

დარჩა ერთი მტერი. ეს იყო სპარსეთი. ვახტანგი უცდიდა დროს და გარემოებას, რომ ამისგანაც საუკუნოდ განეთავისუფლებია სამშობლო.

ორმუზდ-შაჰის სიკვდილის შემდეგ სპარსეთის ტახტზედ ავიდა მისივე შვილი ფირუზი, რომელსაც ძლიერ სწყინდა ვახტანგის ბერძნებთან მეგობრობა-ზავი. ფირუზს ამისათვის განზრახვა ჰქონდა დაესაჯა საქართველო, მაგრამ გარემოებამ ისე მოაწყო საქმე, რომ მცირე ომის შემდეგ, ფირუზმა თვითონვე შეჰკრა ვახტანგთან ზავი, რომლის ძალით საქართველო აღიარებულ იქმნა სრუ-

ლიად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ... ფირუზმა ვახტანგთან ზავის შეკვრის შემდეგ, მეგობრობის ნიშნად, მისი დაც შეირთო ცოლად.

ამნაირად მთელი საქართველო-აფხაზეთი ამ ჟამად გმირის მეფის ხელ-ქვეშ მოგროვდა. საქართველოს კეკლუცი ბუნება, მცენარეობა-ცხოველობა და კლდიდგან გადმომქუხარე მდინარეები საერთო სალამს უგზავნიდნენ ვახტანგს, საერთოდ შეჰლაღადებდნენ ცას მისს უმაგალითო სიმამაცე-ვაჟკაცობას და ჭკუა-ჯონებას.

ახლა ვახტანგმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამეფოს შინაურს მდგომარეობას... თავისი სამეფო მან გაჰყო რამოდენიმე საერისთავოდ, აღაშენა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ციხე-კოშკები, იმოგზაურა იერუსალიმში, საიდგანაც სპარსეთის შაჰმა ფირუზმა გაიწვია იგი ინდოელებთან საბრძოლველად... გმირს მეფეს თავის ახოვანი შეხედულებით და სიმამაცით განცვიფრებაში მოჰყავდა ყველა და სპარსელებმა ამიტომ უწოდეს მას „გურგ-ასლანი", ე. ი. ქართველთ-ლომი.

ამასობაში მცხეთაში მოხდა სამწუხარო ამბავი... მოხუცი სარდალი, სამშობლოსათვის თავდადებული ელიზბარი, ცოტა ხნის ავათმყოფობის შემდეგ საუკუნოდ გამოეთხოვა წუთი-სოფელს. მეფემ და მისმა ოჯახობამ, და აგრეთვე ყველა ქართველებმა დიდის ცრემლით და ვაებით იგლოვეს თავისი ძველი გმირი... საფლავში ჩამავალ მოხუცს ელიზბარს არც ლევანის ცრემლები და ტირილი დაჰკლებია... ლევანი თავის ძველს ერთგულს მეგობარს — ამხანაგს დიდის ტირილ-ვაებით აბარებდა მიწას... ელიზბარის ადგილი მეფის მახლობლად ახლა ლევანმა დაიჭირა...

აქ სპარსეთის შაჰი ფირუზიც გარდაიცვალა და ტახტზე მისი შვილი კობადი ავიდა!.. მან განიზრახა ბერ-

ძნებთან ბრძოლა და მოჰმართა ვახტანგს დახმარებისათვის...

IV.

— დიდებულო მეფევ... მე გამომგზავნეს... იმიტომ... რომ გთხოვოთ შემწეობა ბერძნებთან... ომში... დიდებული ჩვენი შაჰი აპირობს მათთან ბრძოლას...—უხსნიდა ვახტანგს სპარსეთის შაჰისგან გამოგზავნილი მხედარი...—ეს წერილიც შაჰმ მოგვართვათ...

ვახტანგმა წაიკითხა წერილი და დედოფალსაც წაუკითხა, რომელიც ამ დროს ქართულს სახარებას ჰკითხულობდა და გვერდით მომჯდარს ბურდუხანს უხსნიდა.

— მივსცეთ შემწეობა კობაღს... - ურჩია გულკეთილმა დედოფალმა შვილს,—ამით არაფერს წავაგებთ...

ვახტანგმა ცოტა ხნის ჩაფიქრების შემდეგ აუხსნა დედას, რომ ქართველები ახლა დაქანცულები არიან ამდენის ხნის ომით, რომ ჯარს მოსვენება სჭირია.

დედოფალიც დასთანხმდა, მაგრამ ურჩია მეფეს თავის ვეზირებთან რჩევა მოეხდინა. მეფე დასთანხმდა. რჩევაში სხვათა შორის მიხეილ მთავარ-ეპისკოპოსიც იყო, მეფის აღმზრდელი და ხელმძღვანელი, ღვთისნიერი მოძღვარი და სამშობლო ეკლესიის საუკეთესო მწყემსთაგანი. რჩევაში გარდაწყვეტილ იქმნა სპარსეთის შაჰისათვის უარი შეეთვალათ ბერძნებთან ომში შემწეობის აღმოჩენაში...

სპარსეთის შაჰი დიდად გაგულისდა გურგასლანის ასეთის ქცევით... იგი ისე გაბრაზდა უარის შემოთვლით, რომ ბერძნებთან ბრძოლა სულ მთლად დაავიწყდა და ახლა მარტო ერთ აზრად და სურვილად გარდაიქცა... მას უნდოდა ვახტანგისათვის მაგიერი გადაეხადა... ამ შემ-

თხვევას კიდევ მეორე მიემატა ვახტანგის მხრივ. ეს იყო მოგვების განდევნა ვახტანგის-მიერ საქართველოდგან...

მცხეთაში ბევრნი იყვნენ იმისთანები, რომელნიც ცეცხლს მსახურებდნენ, ზოროასტრის სარწმუნოებას აღიარებდნენ. მათ მცხეთაშივე ჰყავდათ თავისთვის საკუთარი ეპისკოპოსი, სახელად ბინაქარი. ბინაქარი ფრიად ბოროტი კაცი იყო და თან ამაყიც. მის შეერთებულ წარბებით, მათ ქვეშ მწყრალად გადმომყურალ თვალებით და სასტიკი პირისახის გამომეტყველებით მყის დარწმუნდებოდით მის ცუდს ხასიათსა და ზნეში... თავის მიზნის მისაღწევად იგი არაფერს არ ზოგავდა...

მცხეთაში ბინაქარს ხშირად ჰქონდა შემთხვევა ქრისტიანებთან შეტაკებისა... ქრისტიანების მფარველი ცეცხლის თაყვანისმცემლებისაგან იყო განთქმული მოძღვარი, მეფის აღმზრდელი მთავარ ეპისკოპოსი მიხეილი.

მტრობა და ჭიშპობა ამათ შორის მაშინ დამტკიცდა საქვეყნოდ, როცა ლევანისადმი სიყვარულით გატაცებულმა ბურდუხანმა თავისი თავი უკანასკნელად ქრისტიანად აღიარა... ბურდუხანის მშობლებმა თვითონ მეფე-დედოფალს მიმართეს და სთხოვეს ბურდუხანის სახლში დაბრუნება. მეფე-დედოფალმა უარი განუცხადეს მათ და მიზეზად ის გარემოება დაუსახელეს, რომ თვითონ ბურდუხანს ჰსურს ქრისტიანობა და ჩვენთან დარჩენაო... გაბრაზებული ბურდუხანის მშობლებს მოგვებიც და ცეცხლის თაყვანის-მცემლებიც მიემხრნენ და დაიწყეს საქვეყნოდ ბინაქარისადმი უკმაყოფილობის გამოცხადება... ჭკუიანს მეფეს ეს სრულიადაც არ აწუხებდა და დროებით, რომ მშვიდობიანობა დაეცვა სამეფოში, ეპისკოპოსი ბინაქარი და მისი მომხრენი საპყრობილეში ჩასვა... შემდეგ კი, როცა ამითაც ვერას გახდა, მოგვები სრულიადაც განდევნა საქართველოდგან... ეს ამბავი საჩქაროდ მიუტანეს კობადს, სპარსეთის მბრძა-

ნებელს... კობადი უმისოდაც არ იყო კმაყოფილი ვახტანგით, რადგან უკანასკნელმა ბერძნებთან ომში შემწეობის აღმოჩენაზედ უარი შეუთვალა მას, — და ახლა ხომ სრულიად გადირია. შაჰის მოთმინების ფიალა აღივსო და კიდეც იფეთქა ცოტა ხანში...

— მაშ... მაშ მე კობადი არა ვყოფილვარ, სპარსეთის დიდებული მბრძანებელი, თუ ივერთ ეფეს მაგიერი არ მივაგე... კარგი, ვახტანგ! ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს, მე თუ შენ... — დაემუქრა გულში კობადი საქართველოს ლომს, როცა უარი მიიღო მისგან ბერძნებთან ომში დახმარების საქმეზედ. — კარგი... კარგი, ვახტანგ! — იმეორებდა ბრაზ-მორეული კობადი.

სპარსეთის შაჰმ ვასცა ბრძანება საჩქაროდ ჯარი შეეკრიბათ, რადგან გადაწყვიტა საქართველოსაკენ გალაშქრება... მალე მუქარა საქმედ გადაიქცა. აურაცხველის ჯარით *) კობადი საქართველოსაკენ გაემართა (499 წელში).

მაგრამ, არც ვახტანგს ეძინა... მან კარგად იცოდა შაჰის ხრიკი-გასავალი, იცოდა, რომ უკანასკნელი მას ადრე თუ გვიან მაგიერს პასუხს გადაუხდიდა უარის შეთვლისათვის და ამიტომ ბრძანა საჩქაროთ ციხეები გაემაგრებინათ საქართველოში და, სადაც საჭირო იყო, ახლებიც აეშენებინათ... რამდენიმე დღის და კვირის შემდეგ ყველაფერი მზად იყო.

ერთხელ, ომის მოლოდინში, ვახტანგი იჯდა თავის სასახლეში და ტკბილად ესაუბრებოდა ბურდუხანს... მე-

---

*) ჯახუშტის თქმით 740,000 ცხენოსანნი და ქვეითნი (გვ. 101).

ფეს აუწერელი სიხარული ეტყობოდა პირისახეზედ: ლევანიც იქ იყო...

— ბურდუხან, ახლაც ხომ გიყვარს ლევანი? აბა, თუ გიყვარს, გადაჰკოცნე ეხლავე, რომ მეც გიყურებდე, — იხუმრა მეფემ და გულკეთილად ჩაიღიმა. ბურდუხანი მართლაც წამოხტა და, ვითომც, მეფისადმი სიყვარულის დასამტკიცებლად, მოეხვია ლევანს და აღტაცებულად კოცნა დაუწყო... უკანასკნელის ნეტარებას საზღვარი არ ჰქონდა... ლევანს უყვარდა ბურდუხან და მასთან ერთად თვით მეფეც, ის მეფე, რომელიც უზომოდ გულკეთილი იყო მისთვის და რომელიც ბევრს რამეს ჰპირდებოდა მას იმ შემთხვევაში, თუ ლევანი ბურდუხანს შეირთავდა ცოლად.

— „ერთს სამთავროს ჩაგაბარებ შენ და ჩხუბის დროს ყოველთვის მთავარ-სარდალიც შენ იქნებიო“, — ეტყოდა ხოლმე ვახტანგი ლევანს..

ყველაფერი ეს აორკეცებდა ლევანის გულწრფელს სიყვარულს ბურდუხანისა და მეფისადმი... იგი გულის ტოკვით მოელოდა იმ დროს, როცა მას ბურდუხანთან ერთად ტკბილად ცხოვრების ნება მიეცემოდა... დიახ, მოელოდა და აღარც შორს იყო ეს დრო...

— „მარტო სპარსეთის დამარცხება, მოგვების განდევნა და ომიდგან მშვიდობიანად დაბრუნება“ — აი რა სწყუროდა ამ ჟამად ლევანს, რას შესთხოვდა იგი თავის ლოცვებში უფალს და რასაც შეეძლო მისი სრულიად გაბედნიერება...

— ხა, ხა, ხა, — გაიცინა მეფემ, როცა შემოვიდა ერთი მხედართმგანი და მოახსენა მეფეს, რომ სპარსელები უკვე დაბანაკებულან იორის ნაპირებზედ... მეფეს ეს სიტყვები ნემსივით ეჩხვლიტნენ გულში... ვახტანგი დაუყოვნებლივ გამოეთხოვა თავისს საყვარელ სახლ-კარს, ოჯახობას... — „იქნება ყველარც კი გნახო, საყვარელო

მცხეთაო—ჰფიქრობდა საომრად მიმავალი ვახტანგი და უკანასკნელად ხარბად ავლებდა თვალს მიდამოებს... მშვენიერი დარი იყო. გაზაფხულის მზე დასავლეთისკენ დახრილიყო... ჰაერში მშვენიერი სურნელება იდგა... ფრინველები დამატკბობელად უშტვენდნენ, ხოლო მათ შტვენას კი მტკვრის საიდუმლო დუდუნი უერთდებოდა...—„ვინ იცის?.. იქნებ... ეს მართალია... იქნებ ველარც კი დავბრუნდე ომიდგან“,—განაგრძო ფიქრში ვახტანგმა და როცა ყველას გამოეთხოვა, ცხენზედ შებრძანდა და ეზო რომ გაიარა, უკან მოიხედა და შემდეგი სანახავი წარმოუდგა თვალწინ: ლევანს გულში ჩაეკრა თავისი საყვარელი ბურდუხან და აღტაცებულად ჰკოცნიდა. ბურდუხანს გული აჰჩვილდებოდა და ცრემლები ღაპა-ღუპით გადმოეშვა... სასახლის აივანზედ შეგროვილიყვნენ დედოფალი საგდუხტ, ელენე, ბიზანტიის იმპერატორის ასული, მეუღლე ვახტანგისა და მთავარ-ეპისკოპოსი მიხეილი, რომელმაც ლოცვა-კურთხევით და ტირილით გაისტუმრა თავისი ღირსეული მოწაფე სპარსელებთან საომრად...

— «ჩვენთვის ჯვარს-ცმული იესო იყოს, საყვარელო შვილო, ღვთივ-გვირგვინოსანო მეფეო, შენის ერის შემწე... უფლის მარჯვენა გიძღოდეს და გფარვიდეს შენ»...—დალოცა უკანასკნელად მოხუცმა აღმზრდელმა უმაგალითო მოწაფე... ეს სიტყვები ხშირად აგონდებოდა ვახტანგს და იმის მაგივრათ, რომ მეფე დაემშვიდებინათ, ეს სიტყვები, პირიქით, ძლიერ აღონებდნენ გმირს მეფეს... მეფე საშინლად ღონდებოდა... იგი ღრმა ფიქრში იყო გართული და თითქო რაღაც მომავალს გრძნობსო, საშინლად მჭმუნვარებდა...

— წამოდით, წამოდით, ლევან!—შესძახა მეფემ უკან მომავალთ და საჩქაროთ გასწია ქართველთ ჯარისკენ.

VI.

ერთინარე იორის მარჯვენა ნაპირზედ, სოფელ უჯარმის ახლოს, ერთს ტრიალს მინდორზედ დაბანაკებულიყო ურიცხვი სპარსელთ ჯარი, თავისი იარაღ-სურსათითა... მინდვრის მეორე მხარეს ერთი ჩვეულებრივად უშნოდ დაკვანძული ხურმა იდგა, რომლის ქვეშ სპარსეთის შაჰს კარავი ჰქონდა დადგმული, სადაც ტახტის მემკვიდრე შვილთან ერთად სცხოვრობდა და ომის დაწყებას გულის ტოკვით მოელოდა... ქართველთ ჯარმაც ჩქარა იჩინა თავი და აი, კიდეც ასტყდა არაჩვეულებრივი ბრძოლა... ბრძოლამ სამი დღე გასტანა... გათენდა უკანასკნელი დღე... განთიადზედ ზეცის მნათობმა ერთობ აღმოაშუქა აღმოსავლეთისაკენ და წითელი ზოლი კადაჰკრა მთელს საქართველოს, რომელსაც ის-ის იყო ახლა უთენდებოდა წლის თავზედ ჩვეულებრივი გაზაფხული და მწვანე კაბაში იმოსებოდა. იორი ნელად მიიკლაკნებოდა ქვეითკენ. იალბუზი და ყაზბეგი, ჯერ კიდევ სპეტაკი თოვლით მოსილნი, ცხარე ცრემლებით შესტიროდნენ მეორეს მხრით ამართულს არარატს, რომელსაც პასუხის და თანაგრძნობის ნიშნად თეთრი ზოლი—ნისლი გადაჰკვროდა...

ვახტანგი თავგანწირულად შევარდა მეფის ბანაკში, მოჰკლა ტახტის მემკვიდრე და უნდოდა თვითონ გაქცეულის კობადისათვისაც ბოლო მოეღო, მაგრამ აღარ დასცალდა... მტრისგან გამოსროლილი ისარი ღრმად ჩაერჭო მას გულში...

— მეფევ, მეფეო!—შესძახეს ქართველებმა საყვარელს გმირს, რომელსაც ზევითკენ აღეპყრა თვალები, თითქოს მთელს სამყაროს და სამშობლო ქვეყანას ეთ-

ხოვებაო. მეფეო! მეფეო! ჰყვიროდნენ ქართველები და უნდოდათ დაჭრილი მეფე ხელებზედ აეყვანათ, მაგრამ როცა ნახეს, რომ მტერს მათი სრულიად დატყვევება სურს, ლევანის წინამძღოლობით ჯერ იმათ მიესივნენ... თავს ზარი დასცეს, არიეს, გააქციეს... გაიმარჯვეს... სპარსელები სრულიად დამარცხდნენ. მაგრამ მეფეს კი უკვე დაელია სული, ხელები გულზედ დაეკრიფა და სამუდამოდ გამოსთხოვებოდა წუთისოფელს...

ქართველთ გლოვა-ტირილს და მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. ზოგი ათასად იკაწრიდა სახეს და ზოგიც თავზედ ნაცარს იყრიდა მეტის-მეტის მწუხარების ნიშნად. თითქოს ბუნებაც თანაუგრძნობსო დაობლებულს ქართველებს,—მზემ უკანასკნელად გამოიჩინა თავი და წუთის სიმალვეში ღრუბელში შეიფარა... ნელმა ნიავმა სწრაფულ შეჰსისინა მთა-ბარსა და მთელს საქართველოს მოჰფინა ამბავი სამწუხარო განთიადის... სიკვდილისა!.. ოორი ქართველთ კვნესა-ტირილს ჩუხჩუხით აძლევდა ბაის...

მცხეთაში წამოსვენებულს მეფეს თავს დასჩხაოდნენ და დაჰკიოდნენ დედოფალი-დედა, დედოფალი-მეუღლე და მთელი ქართველობა... მეორეს მხრით მიწისფერ და გულდაწყვეტილის ლევანის მწუხარება-ტირილის ბურდუხანის ღაპა-ღუპით გადმოშდინარე ცრემლები და დაკაწრული პირისახე აძლევდნენ პასუხს...

—

განვლო დიდმა ხანმა. გმირი მეფის სახელი და დიდება მხოლოდ იგავად და არაკად-ღა დარჩათ ქართველთ შემდეგ თაობათ... დროთა უფსკრულს თავისი უნდა ექმნა და ასეც ხდებოდა. ქართველებს ხშირად დიდის ხნის გლოვა-ტირილი ლხინად შესცვლიათ, როცა ტახტზედ ღირსეული მეფეები ჰყოლიათ და მრავალგზის გარეშე მტრებზედ გამარჯვებით დამტკბარან...

ვახტანგის დიდებული სახე ხალხს მაინც არ დაჭვიწყებია... მას დღესაც ახსოვს თავისი გორგასლანი და ასე ამკობს მას თვისს სიმღერაში:

ვახტანგ მეფე დმერთს უევარდა,
ცაში ესმოდა რეკაო,
იალბუზზედ ფეხი შესდგა,
დაეწყებინა დრეკაო,
ოსეთში კვდაიარა,
ჩერქეზები გარეკაო,
სიქართველოს ეველა მტრები
ალაგშა, დაიხვეკაო...

იალოხი.

დაღესტნის იმამეაბი

ბ

შამილი *).

აი რასა სწერს შუმოვსკი, აქ მდგომი ჯარის უფროსს ვოხანოვს: „ციხის ჯარი საშინელს მდგომარეობაშია; უწყლობით ეს მერვე დღეა ჯარი იხრჩვება. ამ უბედურებას უნდა დავუმატო, რომ არტილერიის სურსათი ძალიან შეგვიმცირდა და თუ ჩქარა არ მოგვაშველეთ, ზარბაზნები ველარ იმოქმედებენ; ჭეებს ვათხრევინებ, მაგრამ წყალი არსად აღმოჩნდა. ჯარმა ორი დღის საკმაო წვიმის წყალი შეინახა; ჩვენი დაჭრილები და ავათმყოფები, რიცხვით 400 კაცამდის, გამოუთქმელს გაჭირვებაში არიან. ციხეს ამ გარემოებაში აღარ შეუძლიან მტერს გაუმაგრდესო“. ვოხანოვმა ფიცხლავ გამოგზავნა მოსაშველებლად გენ. ემანუელი. ყაზი-მოლამ რა ნახა, რომ ჯარი მოეშველა ციხესაო, ალყა აჰხსნა და უკან გაბრუნდა, თითქოს მტერს სიმხდალით გაექცა. გენერალმა მაინც ასე იფიქრა და გაგულისებული უკან გამოეკიდა; ყაზი-მოლაც თითქოს ესწრაფვის გაქცევასაო, დი-

*) იხ. „მოგზაური“, № 1 და 2 1903 წ.

დის სიჩქარით შეირბინა აუხოვის გაუვალს ტყეში და თან ფარაონსავით შეიტყუილა გენ. ემანუელიც და რო დაატყო, ჰო, ეხლა კი დრო მაქვსო, მოუბრუნდა და რაც გენერალს დღე დაეყენა, ის ღმერთმა თქვენს მტერსაც ნუ მისცეს. ყაზი-მოლას ჯარი ნახევრად შემდგარი იყო ჩაჩანთაგან, რომელთათვისაც ეს ადგილები ისეთივე ადვილი სარბენი იყო, როგორც ვოხანოვისთვის რაპორტების დენა—მტერი აღგვილია პირისაგან დაღისტნისაო. ერთი სიტყვით, აქ ომი ყაზი-მოლასთვის ლხინი იყო და რუსებისთვის ჭირი; საქმეც ისე დაბოლოვდა: ყაზი-მოლა გავიდა მეორე ნაპირს ტყისას რუსის ზარბაზნებით და მრავალის ნადავლით. რუსის ჯარი კი გამოვიდა ისევ იმავე მხარეს დამარცხებული და თან მოჰქონდა თავისი მამაცი გენერალი ემანუელი, რომელსაც გულში მოხვედრილი ტყვია უკან ჰქონდა გავარდნილი. ამ დამარცხებამ ემანუელისამ მეტად გაამხნევა ლეკები, რომელთაც ცეცხლს უკიდებდა ყაზი-მოლა თავისის თავის ქებით, თუ რუსები რა რიგ მოატყუა და განგებ მოჰშორდა ციხეს, რომ ტყეში შემოეტყუებინა და აქ ეკაფნა. ყაზი-მოლამ მთლად გაშალა ფრთები და დაიწყო არამც თუ მთელის კავკასიის ერების შეერთებაზედ და რუსების განდევნაზედ აქედგან, იმისთანებზედაც, რაზედაც არ შეჰფეროდა ფიქრი, მაგ. ახალის ხალიფატის დაარსებაზედ; ის მოსკოვისკენაც აპირებდა გამგზავრებას. აი იმისი სიტყვები: „როცა ავიღებთ იმას (ე. ი. მოსკოვს), მე წავალ სტამბულზე და თუ სულთანი წმიდათ აასრულებს შარიატს, ჩვენ იმას არას ვუზამთ და თუ არა—ცუდად იქნება მისი საქმე, ის იჯდება ჯაჭვებში და მისი სამეფო მიეცემა ნამდვილს მუსულმანს. მე ვარ მოვლინებული ღვთისაგან, რომ მოგცეთ თქვენ სიცოცხლე და მის და წინასწარმეტყველის სახელით მოგიწვევთ თქვენ საბრძოლველად უსჯულოებთან. გაწყვეტა რუსებს! გაზავატი

ყველას, ვინც ივიწყებს სჯულს და უდგება შარიატს".

ამ გვარის ფიქრებით გატაცებულმა ყაზი-მოლამ შემდეგ ვულკინიოს ციხიდგან წამოსვლისა დაიწყო დაღისტნის აღელვება, მიჰმართა სამხრეთ დაღისტანს და ეს ნაწილები ყაითახი, ორივე ტაბასერანი (ჩრდილოეთი და სამხრეთი) და თარაქამი მთლად ააღელვა, ბოლოს მიუახლოვდა ყიურინის სამთავროს, ყუბს და სხვებს.

საქმემ მიიღო დიდი ხასიათი და მაშინდელმა საქართველოს მთავარმართებელმა პანკრატევმა გასწია დაღისტნისკენ. თავის წასვლის წინედ კი გაგზავნა ჯარები თავად დადიანის და მილაშევსკის ხელ ქვეშ. ეს ჯარები არ მისულიყვნენ დანიშნულს ალაგს, რომ გზაზედ მოეგებათ ვასილიევი ახალის ამბით: ყაზი-მოლა სდგას დარუბანდზედ ოცდა ათის ვერსის სიშორეზედ და უპირებს ამ ქალაქს თავდასხმასო. ამას კი ვერავინ იფიქრებდა. ისე უჩვეულოდ ეჩვენათ ეს მთიულების სიბრიყვე ყველას, რომ მილაშკევიჩი სწერდა პანკრატიევს: „დარუბანდის ციხეს არაფერი შიში არ მოელის და ვასილიევი აზვიადებსო". ამის პასუხიც ამნაირივე იყო. „წარმოდგენილის რაპორტიდამ ვტყობილობ, რომ ვასილიევი ღირსი არ არის თავისის თანამდებობისა და სხვას გადაეცეო". სანამ ესენი ერთმანეთს ამ ბარათების მიწერაში ართობდნენ, ყაზი-მოლამ, როგორცა ვსთქვით, ერთნაირად ააღელვა ტაბასერანი და ყაითახი, დანიშნა თავისი მმართველები ამ ადგილებში და 19 აგვისტოს შემოუჭირა ათი-ათასის ჯარის ჯაჭვი დარუბანდს.

აქ რომ ყაზი-მოლას გაემარჯვნა, მაშინ მას აღარა უჭირდა რა. გარდა მრავალის დავლისა, რომელიც დიდად გაამხნევებდა მისს დამშეულს ურდოებს, დარუბანდის დანგრევა თავზარს დასცემდა მთელს ვაკე დაღისტნის მცხოვრებთ შამახიამდის და სრულიად დაუკარგავდა მცხოვრებს რწმენას რუსის მთავრობისადმი. დარუბა-

ნდის დაცემას უნდა მოჰყოლოდა უეჭველად მთელი ყუბის ოლქის აღელვებაც და მთელის სამურის ხეობისა. აქედგან აღელვება გამოყოლებული ზაქათლის მაზრაზედ გასწევდა ნუხისკენ და შემდეგ მოსალოდნელი იყო მთელს კავკასიასაც მოსდებოდა. ამასთანავე გავრცელდა ხმა, რომ ყაზი-მოლამ სპარსეთიდამ გამოიხმო დარუბანდის, ყუბის და სხვა სახანოთ მემკვიდრეები, რომლებიც ციციანოვის დროს გადაცვივდნენ სპარსეთში, ერთად ჩვენის ბატონიშვილის ალექსანდრესთან.

თუმცა, როგორც ვხედავთ, ყაზი-მოლას დიდი და ფართო გეგმა ჰქონდა შედგენილი თავისის სამხედრო მოქმედებისათვის, მაგრამ მისდა საუბედუროდ საშუალება კი არ შესწევდა მისს სისრულეში მოსაყვანად. მაგ. მას სრულიად არა ჰქონდა არტილერია, ჯარი იყო სრულიად უწრთვნელი და უწესრიგო, თვითონ უკოდინარი ომის ხრიკებისა, და მთელი იმედი დამყარებული იყო მთიელთ გაბედულობაზედ და თავგანწირვაზედ, მაგრამ ეს არა კმაროდა.

თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ ყაზი-მოლა თავისას არ იშლიდა. 19 აგვისტოს იმან გამოუგზავნა დარუბანდის მცხოვრებთ შემდეგი წერილი: «უმდაბლესის ღვთის მონის ყაზი-მოლის-მიერ თხოვნა ყოველ დარუბანდის მცხოვრებთადმი. იყოს თქვენთანა მშვიდობა და მოწყალება ღვთისა, ამინ, მუსულმანებო! განა თქვენ წიგნში ის გიწერიათ, რომ თქვენ იყვნეთ უსჯულოთ მეგობრებში და ემორჩილებოდეთ კერპთ-თაყვანის მცემლებთ? განა გაქვთ ნება ემსახურებოდეთ ურწმუნოთ და იმყოფებოდეთ იქ, სადაც არ შეუძლიან ჰყვაოდეს შარიატი? თუ თქვენ იტყვით, რომ არა გაქვთ ამის ნება, მაშინ თქვენ უეჭველად უნდა შეუდგეთ საღმრთო ვალის ასრულებას. მოიქეცით და ღმერთიც შეგიწყალებთ, გა-

ხსოვდეთ სალმრთო ჩვენი და თქვენი ვალი—არ გვყვანდეს ულვთონი მბრძანებლად».

მეორე დღეს თვითონ ყაზი-მოლაც გამოცხადდა დარუბანდთან და დაიჭირა ის ნაწილი ქალაქისა, რომელსაც ერქო შიპარი, გადაწო მისი შენობები და ზღვის მხრიდამ წამოვიდა შუაგულ ქალაქში შემოსავარდნაო; მაგრამ შემდეგ გაცხარებულის ბრძოლისა ყაზი-მოლა გამობრუნდა ისევ ზღვის მხრივ, ჩადგა ბაღებში და იქიდამ ღამის ორ საათამდის თოფს ესროდა მეციხოვნეთ. ამავე დროს მან მოუჭრა ქალაქს წყალი და ძალიანაც მოუახლოვდა გალავნის კედელს, ერთი ნაწილი ბაღებისა სრულიად აოხრა. დარუბანდის მცხოვრებნი თითქმის მთლათ თოფქვეშ იყვნენ და მედგრად ებრძოდნენ მტერს იბრაგიმ-ბეგის ხელ ქვეით, რომელმაც კარგი ზარალი მისცა ყაზი-მოლას ამ დღეს. 21 რიცხვს მტერი წამოვიდა ციხეზედ ყოველის მხრიდამ, უნდოდა მეციხოვნეთა ყურადღება მთლათ თავისკენ მიექცია, რომ შემდეგ უმეტესი ძალით ზღვის მხრიდამ ქალაქში შევარდნილიყო; მაგრამ ციხიდამ ორმა გამოსულმა ოაზმმა არ მისცა ამის ასრულების ნება. 22-ს მტერი კიდევ მივიდა ყოვლის მხრიდამ ქალაქზედ, მისცა ნაპირის შენობებს ცეცხლი, მაგრამ მაინც ვერას გახდა, ისევ იძლია და გამობრუნდა. 23-ს და 24-ს არა ერთხელ მივიდა იერიშით ამნაირადვე და როდესაც ვერას გახდა, მაშინ გაიყვანა ხვრელი გალავანში შესაპარი, მაგრამ ესეც გაუგეს. 25-ს და 26-ს ცდილობდა ყაზი-მოლა გალავნის ძირზედ მცხოვრებთ საქონელი მოეტაცა, მაგრამ არც ამან გაუჭრა. დასასრულ, 27-ს, რო გაიგო გენერალის ვოხანოვის მოახლოვება, საჩქაროდ აჰყარა ჯარი ქალაქს და წავიდა. ასე უნაყოფოდ წაუვიდა თავისი გალაშქრება ყაზი-მოლას დარუბანდზედ. ბევრი ხანი აღარ გამოსულა, რომ თ. დადიანი და მილაშკევიჩიც მივიდნენ ვოხანოვთან ჯარებით. შემ-

დეგ პანკრატიევიც. ახლა ყაზი-მოლას საწინააღმდეგოდ ყოველივე მოიპოვებოდა.

ყაზი-მოლა მაინც თავისას არ იშლიდა, იმან სამხრეთ დაღისტანს დაანება თავი და ახლა ჩრდილოეთს დაღისტანს მიჰმართა. 21 წელს 1-ს ნოემბერს გასწია უცბად ჩაჩანში, ააღელვა მთელი საჩაჩნეთი და დაეცა ყიზლარს. საჩქაროდ აიღო ეს ქალაქი, მოაოხრა და ისევ გაბრუნდა თავის სოფელს გვიმრში. მეორე წელიწადს, ე. ი. 32-ს, ხელახლავ წამოვიდა ის ჩაჩანში, დაიწყო თარეშობა ვლადიკავკასს და ყიზლარს შორის, და უნდოდა აეღო რუსის სოფელი ანდრეევი; მაგრამ როზენის წყალობით, რომელმაც ზედიზედ სამჯერ დაამარცხა, ჩქარა აიღო ხელი ამ საქმეზედ და შეუდგა თავისი თავის შველას. ყაზი-მოლამ თავის გადასარჩენათ თუ სასიკვდილოთ ამოირჩია თავისი სოფელი **გვიმრა** და იქ გაიქცა ექვსასის კაცით. კვალ და კვალ მიჰყვა იმას როზენიც. ყაზი-მოლა იყო დაიმედებული ერთის მხრივ ადგილის მიუდგომლობაზედ და შამილის მიერ გამაგრებაზედ ამ ადგილისა, მეორეს მხრივ ჰაზათ-ბეგის მოშველებაზედ, რომელიც იდგა გუციტლში, ოცდა ათს ვერსზედ გვიმრიდამ. და არ ჰკარგავდა იმედს თავის გადარჩენისას. მართლაც რამწამ რუსებმა დაუწყეს გვიმრს სროლა, ჰამაზათ-ბეგი ორის ვერსის სიშორეზედ გვიმრისა გამოცხადდა **არსტაუზედ**; მაგრამ, რომ დაინახა თვისს და გვიმრის შორის მდგარი რუსის დიდი ჯარი, რომლის გარღვევა ჰამზათის ჯარს არ შეეძლო, არჩია გაჩერებულიყო ადგილობრივ, სანამ რაიმე ცვლილება მოხდებოდა და შესაძლო შეიქნებოდა გაეარნა. საუბედუროდ ეს დრო ჰამზათმა ვერ იხელთა და ყაზი-მოლა უშემწეოდ დასტოვა სიკვდილის დროს. ყაზი-მოლას ჯარი მაინც ერთიორად გამხნევდა ჰამზათის ჯარის დანახვაზედ. მან დილიდამ საღამომდის იომა იმ იმედით, რომ საღამოზედ მა-

ინც ჰამზათის ჯარი მოეშველებოდა და იხსნიდა. ბოლოს მომწყვდეულმა ჯარმა რო ნახა ჰამზათის მოუშველებლობა და თავისი თავმოსავალი, მთიდან სულით დაეცა და გაიფანტა და მარტოდ დასტოვა თავისი ბელადი თავისის მხლებლებით. ექვსას კაციდგან ყაზი-მოლასთან დარჩნენ მხოლოდ ხუთმეტიდა თავდადებულნი. ესენი შევიდნენ სოფლის ნაპირს ერთს კოშკში და გაიფიცნენ, ცოცხლები არ დამონებოდნენ მტერს. ამ კოშკს ჰქონდა ვიწრო მისასვლელი ბილიკი, ისიც წინეთვე ჩახერგილი. კედლების სიმაგრე და ამხანაგთა სიმამაცე კიდევ აიმედებდნენ ყაზი-მოლას საღამომდის გაჰმაგრებოდა მტერს და მაშინ ღამის სიბნელეში სიჩუმით ვაევლო რუსების შუაში და გაპარულიყო; მაგრამ ამაშიაც ბედმა უმუხთლა. რუსები გარს შემოერტყნენ კოშკს ოთხის საჟენის სიშორეზედ და აქედამ ქვებს ამოფარებულებმა დაუწყეს განუწყვეტელი სროლა ყველა სანათურებს. ზოგნი ამავე დროს ბანზედაც ავიდნენ და დაუწყეს ნგრევა. ასობით ცვიოდა კოშკში ტყვია. ჩქარა ხუთმეტი კაციდგან დარჩნენ ცოცხლები შვიდი თუ ექვსნიდა და ამათაც ის დღე მოელოდათ. ყაზი-მოლამ რო ნახა სიკვდილის მოახლოება, უთხრა თავის მხლებელთ: «მე ვკვდები საღმრთო შარიატის და წმიდა ტარიკატისთვის და ვისაც უნდა ჩემთან სიკვდილი დარჩეს ჩემთან». ყველა არ დასთანხმდა ამ გვარ სიკვდილზედ და სხვათა შორის **შამილმა** უპასუხა: „ჩვენ აქ დავიხოცებით ყოვლის უსარგებლოდ, უმჯობესია თავს დავესხათ რუსებს, მივცეთ რაც კი შეგვიძლია ზარალი და ისე დავიხოცნეთ». ამის შემდეგ გამოვიდნენ ციხიდამ ყველანი. ზოგი იმათგანი გადარჩა **და** სხვათა შორის შამილიც. ყაზი-მოლა ადგილობრივ დაეცა მკვდარი. რუსებმა რო იცნეს ყაზი-მოლას გვამი, მისს გვამს შეგინება მიაყენეს. გაატიტვლეს, გამოათრიეს სახლის წინ და ისე დააგდეს. უნდოდათ ამის ნაგვემის და სამარც-

ხვინოთ გამხდარის გვამით ხალხი შეეშინებინათ და აჯანყება მოესპოთ. მიცვალებულს ცალი ხელი ჰქონდა ცისაკენ აშვერილი და მეორე ეკიდა წვერზედ. ამ სურათმა მართლა იმოქმედა მთიულებზედ, მაგრამ ისე კი არა, როგორც რუსებს უნდოდათ — უკუღმა. (მისს გვამის შეგინებას ერთხმად მოწმობენ ყველა მწერალნი). ხალხი ჰხედავდა, რომ ყაზი-მოლა მოუკლავთ ლოცვის დროსაო, ყველა დარწმუნდა მისს სიწმინდეში, სარწმუნოებისათვის თავდადებაში და სიბრაზით გული აიმღვრიეს. (Кавказскій Край — Гакстгаузена ч. 11. стр. 202. Кавказскій Календарь 1861 г. ст. Шамиль стр. 18—19. Кавказъ и Кавказская война Романовскаго стр. 322).

ჰამზათ-ბეგი.

ყაზი-მოლას სიკვდილის შემდეგ მოხუცებული და უსინათლო მურშიდი მოლა-მაჰმადი წავიდა ირგაანში ჰამზათ-ბეგთან და უკურთხა იმას ხმალი სოფელს ყოდირში. ჰამზათმა ამ დღისათვის მოიწოდა დაღისტნის მოლები და ყველა გავლენიანი კაცები. შემდეგ ხლმის კურთხევისა შევიდა მეჩითში, ილოცა და როცა გამოვიდა, მოუბრუნდა ხალხს და უთხრა მქუხარის ხმით: «პატიოსანნო თანამოძმენო, პატივცემულნო მოლებო და ხალხის მმართველნო! ყაზი-მოლა მოკლულია და ეხლა ეკედრება ღმერთს ჩვენთვის. ვიყვნეთ მისნი პატივის მცემელნი, რადგანაც მან ჩვენთვის დასდო თავი. ვიყვნეთ მისებრ უშიშარნი, იმისთვის რომ იმის მამაცობა ჩვენ ეხლა ვერას გვარგებს. ის გვიფარავდა განსაცდელისაგან და რადგანაც ჩვენზედ წინ წავიდა

ზეცას, ის გააღებს თავის ხელით სამოთხის კარებს მათთვის, რომელნიც მოსწყდებიან ჩვენის სარწმუნოებისათვის. ის გვიბრძანებს ჩვენ—ვწიოთ განუწყვეტელი ომი რუსებთან, რომ მათის უღლიდგან გამოვეშვეთ ჩვენ და ჩვენი თანამემამულენი. ვინც მოჰკლავს რუსს, ის მიიღებს საუკუნო ნეტარებას; ვინც მოკვდება ომში მათთან, ის იქნება ანგელოზის მიერ გადაყვანილი სასუფეველში უბიწო გურიებში. მიიქეცით ყველანი თავ-თავიანთ სოფელში, უთხარით ყველას ყაზი-მოლას ანდერძი, უთხარით, რომ თუ არ ეცდებიან გამოიხსნან თავიანთი სამშობლო, ჩვენი მეჩითები გადიქცევიან რუსების საყდრებათ და ურჯულოები დაგვიმონავებენ ყველას. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან უ**

ამოდ საქმის წაყვანა. ღვთის მოყვარე **შამალა, რომელსაც აქვს უკანასკნელი სიტყვები დატოვებული გმირის ჩვენის ყაზი-მოლასი, გეტყვით, რომ ჩემი დანიშვნა იმამათ იყო იმისი უკანასკნელი სურვილი. მე ვუცხადებ რუსებს საღმრთო ომს, მე ამიერიდგან ვარ თქვენი მოთავე და იმამი». ეს ჰაზრები როგორლაც არ მოეწონათ მსმენელთ, ეს შენიშნა ჰაზათმა და დაუმატა: «მე ვხედავ, რომ თქვენი რწმენა თანდათან ნელდება; ჩემი იმამის თანამდებობა მდებს ვალათ დაგაყენოთ იმ ჭეშმარიტს გზაზედ, რომლიდგანაც გადამდგარხართ. ამ წამში დაწყნარდით და დაემორჩილენით ჰამზათს, თორემ ჰამზათი ხლმით დაიმორჩილებს. (Кавказъ. Путешествіе Александра Дюма, вып. I, стр. 37. დიუმას მოგზაურობიდამ ვსარგებლობთ მხოლოდ იმ სტრიქონებით, რომლებიც სხვის მოწმობით მოჰყავს.) კრება გათავდა და ჰამზათიც ნელ-ნელა შეუდგა თავის საქმეს.

ახალი ჯარის სარდალი იყო ავარიის მეფის შვილი და ხალხზედ დიდი გავლენა ჰქონდა. ახალგაზდობაში სრულებით არ იჩენდა თავს ამ გვარ საქმისთვის და არც

ჰქონდა ომისადმი ლტოლვილება; ვაჟკაცი იყო, რომ დროს ისევ ქეიფებში ატარებდა, მხოლოდ 1829 წ. ყაზი-მოლას ქუხილმა და დიდებამ სრულიად შესცვალეს ის. ჰამზათმა დაანება თავი თავის ქეიფებს, მოვიდა ყაზი-მოლასთან და შეიქნა ერთი უკეთესი თავდადებული იმავე საქმისთვის, რომელსაც ემსახურებოდა ყაზი-მოლა.

ჰამზათ-ბეგი იყო ჯმუხი ტანის კაცი და იცომდა ჩერქეზულად. თავზედ იხვევდა ხან თეთრს, ხან ლურჯს და ხან შავს ჩალმას. ხუნძახში შესყლის დროს ერტყა შავი ჩალმა, რადგანაც მაჰმადსაც მექაში შესვლის დროს თავზედ ეხურა შავი ჩალმა.

ჰამზათს მუდამ უკან დასდევდნენ რუსის ჯარიდამ გაქცეული სალდათები, საიდამაც გავრცელდა ხმა მთელს დაღისტანში, რომ ვითომ ალლახი იცავდა ჰამზათს თვით რუსებით.

ჰამზათმა რომ შეიტყო ყაზი-მოლას დასუსტება, ნამეტნავად დარუბანდთან დამარცხების შემდეგ, დაიწყო თავისუფლად ჯარის გროვება და მოქმედება. შემდეგ ყაზი-მოლას სიკვდილისა კი 33 წ. დამლევამდის სადღაც მიიმალა, თითქოს არც კი ყოფილიყოს ქვეყანაზედ. ამ ხნის განმავლობაში ის მუშაობდა რაც კი შეეძლო დაუღალავად და იერთებდა და იბირებდა დაღისტნის მთიულებს, ომით და მოსყიდვით, ღალატით და ძალით. ჰამზათი ისე იქცეოდა, თითქოს ბუნებას იგი განგებ ამ საქმისთვის შეექმნას. ის ჯერ-ჯეროობით არ უცხადებდა რუსებს ომს, თუმცა იმამობის მიღების დღეს გამოაცხადა, რომ დღეიდამ მე ვუცხადებ რუსებს ომსაო. იგი უმჯობესად სთვლიდა ემოქმედნა ფარულად, წყნარის ნაბიჯით, დღითი დღე და ბოლოს გამოსულიყო ბრძოლის ველზედ. ჰამზათი იყო მუდამ გაჩუმებული და არაფერი არ ენანებოდა თავის მიზნის მისაღწევათ. იმისთვის სულ ერთი იყო, ვინც უნდა მოჰყოლოდა მის ქვეშ. ამ ხანში იმან თითქმის სრულად ამოჟლიტა დაღისტნის მთიულებში ბეგები და გამოჩენილნი გვარეულობანი, რომელთა წინააღმდეგობას მოელოდა, ამ სახით იმან მთელი დაღისტანი გაანთავისუფლა ბატონობიდგან და მითი მოიგო ხალხის გული. ყოველი საქმე, რომელსაც

კი შეეძლო წინ წეეწია ჰამზათის დროშა, სისწრაფით სრულიდებოდა. არ იქებდა თავს და არც საქვეყნოთ ჰყვიროდა თავის მონაგებ საქმეზედ. ყოველს საქმეს იწყობდა ვითომდა ალლახის ბრძანებით და თუ მოიგებდა მაშინათვე იმას ამბობდა: „ალლახმა ჰქმნა ესაო“. ამნაირის მოქმედებით ჰამზათმა მართლა მიაღწია თავის მიზანს. სამის წლის განმავლობაში სრულიად დაამყარა სხვადასხვა განცალკევებულ მთიულთ თემებს შორის ერთობა თავის მტრების თუ მეგობრების განადგურებით და მოსყიდვით. შემდეგ მთებში გაძლიერებისა ჰამზათმა გამოჰყო თავი ვაკე დაღისტანშიაც. 33 წლის დამლევს ის დაეცა მოულოდნელად **გერკებილს;** აიღო საჩქაროდ და მოაოხრა. ჰატარა ხანს უკან ზედი-ზედ მილეწა დიდრონი ჯარები სამის შეერთებულის ხანებისა: შამხალის, მეხტულინის და აქაუჩის. ამათზედ გამარჯვების შემდეგ ის მეტად გაძლიერდა. დიიწყო ავაოიის სამთავროსკენაც ყურება. ავარიას ჰფლობდა დიდი სახელი და დიდი გავლენაც ჰქონდა მას მთელს დაღისტანზედ. ავარიის მფლობელნი იყვნენ პირველნი მთელს დაღისტნის ხანებში. ამას გარდა ავარიას ეჭირა ისეთი ალაგი, რომ მისს დაუპყრობლათ ჰამზათს არ შეეძლო ერთის მხრით მაგრად დამდგარიყო მთიან დაღისტანში და მეორეს მხრით — გაჰმკლავებოდა რუსებს. ჰამზათმა ეს რომ კარგად მოიაზრა, გადასწყვიტა ავარიის დაპყრობა, რადაც უნდა დასჯდომოდა ეს. ჰამზათმა ამ საქმისთვის მოამზადა დიდძალი ჯარი და მივიდა ავარიის საზღვარზედ.

ავარიის ხანის აბურუმ-ზალის დედამ ბავუ-ბოგმა კარგად გაიგო, თუ რა საშიში თავგადასავალი მოსდგომოდა კარს და თავის შვილს დაჟინებით ურჩევდა წასულიყო ჰამზათთან და ზავი შეეკრა, რათაც კი უნდა დასჯდომოდა ეს ზავი. შვილი მაინც არ დასთანხმდა დედას. მაშინ დედამ უთხრა: „არ ვიცი, შვილო, შიში თუ სიამაყე გათქმევინებს უარს, მაგრამ რაკი შენ მტკიცედ სდგეხარ უარზედ, მე წავალ თვითონ ჰამზათ-ბეკთან“. ამის შემდეგ მოემზადა კიდეც წასასვლელათ, მაგრამ უმცროსმა 12 წლის ვაჟმა იდო თავს ეს საქმე და წავიდა ჰამზათის ბანაკში სიმშვიდის ჩამოსაგდებად. გავიდა

რამდენიმე ხანი და ყმაწვილი აღარ მობრუნდა, დედამ დაუწყო უფროსს ვაჟს ყვედრება და სთხოვდა, რომ თვითონ წასულიყო. მაშინ ამურამ-ზალმა უთხრა დედას, რომ „თუ ეძიებ და გინდა ჩემი სიკვდილი—წავალო".

მართლაც სავსე შავის ფიქრებით და დარდით წავიდა ჰაზათ-ბეგთან რამდენიმე კაცით. ჰამზათმა მიიღო სანი თავის კარავში, სადაცა ჰყავდა მისი პატარა ძმაკა.

ჩქარა დაიწყო მათშორის მოლაპარაკება, რომლითაც ჰამზათი თხოულობდა, რომ აბურუმზალი თვისის ქვეშევრდომებით და მთელის სამფლობელოთი მისცემოდა ახალს სარწმუნოებას და მეორეც—რუსებისთვის უთუოდ ომი გამოეცხადებინა. ეს ლაპარაკი არ გათავებულიყო, რომ ჰამზათს აცნობეს, ვითომ ხანის ამალაში ერიოს იმათის მხედრობიდგან გაქცეული ვინმე. ჰამზათმა მოითხოვა ამ კაცის სიკვდილით დასჯა, მაგრამ ხანმა ამის ნება არ მისცა, მაშინ ჰამზათი გამოვიდა კარვიდამ და უბრძანა მხლებლებს, დეეშინათ თოფები ხანის ამალისათვის. ასტყდა პატარა ომი და ხანის ამალა მთლად მოისპო. ამასთანავე ჰამზათის ბიძაშვილმა მოჰკლა ხანის ძმა და თვითონაც მკვდარი დაეცა. ეს რომ დაინახა ამურუმზალმა გამოვარდა ხმალ-ამოწვდილი და ოცამდის კაცი აკუწა. ამ დროს მოჰხვდა მას რამდენიმე ტყვია და ძმასთან ერთად პირქვე დაეცა მკვდარი. ამ უმანკოთ სისხლის დაღვრამ მთლად არია ჰამზათის ჯარი და იმდენად შეაწუხა, რომ მთლად დაიშალა და მხოლოდ დიდის მეცადინეობით შამილმა, რომელიც იყო სარდალი ჰამზათისა, ძლივსღა შეჰკრიბა და დაამშვიდა.

ეხლა ჰამზათი შევიდა დიდის დიდებით ავარიის სატახტო ქალაქს ხუნძახში. ამოწყვიტა მთლად ხანის სახლობა და თვისი თავი გამოაცხადა ავარიის მთავრათ. ხანის სახლობიდგან გადარჩნენ ცოცხალნი მხოლოდ მოხუცი დედა ხანისა და რვა წლის ყმაწვილი ბულაჩ-ხანი. ესენი გადაყვანილნი იყვნენ გოციტლში.

შემდეგ ჰამზათმა მოინდომა აქედგან მთელის დაღი-

სტნის აღება, მაგრამ ვერ მოუხდა, ის პირველსავე ომში მძიმედ დაიჭრა და იძულებული იყო დაბრუნებულიყო. ჰამზათი მოემზადა მეორედ რუსებთან საომრათ და დაღისტნის ასაღებათ, მაგრამ ჭაჯი-მურადმა და მისმა ძმამ, რომლებიც იყვნენ ჩუმი მომხრენი რუსებისა და რომელნიც ეძიებდნენ ნათესაობით აბურუმზალის სისხლს, მოჰკლეს ის მეჩითში. ამის შემდეგ ჰაჯი-მურადმა თვითონ დაიწყო მთავრობა ავარიაში და იყო მომხრე რუსებისა.

თუმცა ჰამზათ-ბეგმა იმოქმედა ცოტახანს, მაგრამ იმ რიგად შესძრა მმთელი დაღისტნის მთები, ისე შემოიერთა მცხოვრებნი და გააბწვავა მათი გული, რომ მისს დაწყებულს საქმეს შეეძლო ხელ-ახლად თავი ეჩინა და ბრძოლის ველზედ გამოსულიყო; მხოლოდ ითხოვდა იმისთანა წინამძღოლს, როგორიც იყო დაღისტნის ორბიშამილი.

შამილი

ამილი დაიბადა სოფელს გვიმრში, ფოლსულების სათემოში, იქ, სადაც დაიბადა ყაზი-მოლა—1797 წელსა. მისი მამა იყო თავისუფალი მოქალაქე სახელად =დენგაუ. დედა მისი იყო ავარიელის ბეგის ქალი—მეხედა. შამილს ჰყავდა ერთი და ფატიმატი, რომლის შვილები და შვილისშვილები სცხოვრობენ ს. გვიმრში. შამილის მამას ჰქონდა დიდი ვენახები და კარგადა სცხოვრობდა. სახელი—დენგაუ იყო მეტი სახელი და ასე ეძახდნენ მოუსვენარის და მოჩხუბარის ხასიათისთვის. ეს სახელი იყო ერთი ზღაპრულის რაინდის სახელი. სიბე-

რის დროს დენგაუს ხასიათი დაუმშვიდდა და მიეცა იმ დროს მთიულებში გავრცელებულს სიმთვრალეს. ფიცხი აგებულება დაღირსტნელებისა და ვენახების სიმრავლე ხელს უწყობენ ამ სიმთვრალეს. პატარა შამილმა არამც თუ არ გამოიყოლა მამის სიმთვრალის მოყვარულობა, — სრულიადაც არ სვამდა ცხარე სასმელებს. პატარა შამილი მუდამ ურჩევდა მამას ხელი აეღო ამ ლოთობაზედ. შემდეგ როცა გახდა ხუთმეტის წლისა და დაიწყო ყორანის შესწავლა საფუძვლიანათ, შამილი მამას ხშირად, როცა კი ნახავდა ფხიზელს, უკითხავდა ყორნის იმ ადგილებს, სადაც უკრძალავს მაჰმადი სასმელების ხმარებას და უჩვენებს მისგნით ყოველ გვარს წარმომდგარს სისაძაგლეს. დენგაუ გულმოდგინედ უგდებდა ყურს და ეფიცებოდა აღარ ვიმთვრალებო, მაგრამ ჩქარა ივიწყებდა ამ ფიცს და ხელახლად ეძლეოდა ლოთობას. პატარა შამილმა შვიდჯერ დაადებინა თავის მამას ფიცი ყორანზედ, მაგრამ მაინც ვერას გახდა, ვერ მოაშლევინა სიმთვრალე. შამილს მეტად აღელვებდა თავის ტოლების გულმოსაკლავი დაცინვა დენგაუს სიმთვრალეზედ. ერთმა ამგვარმა დაცინვამ შამილი გამოიყვანა მოთმინებიდამ და გადააწყვეტინა, რომ მამის მოსარჯულებლად ეხმარა მკაცრი საშუალება. ერთხელ მივიდა მამასთან და უთხრა, რომ თუ კიდევ ერთხელაც არის ამ გვარი დაცინვა მიიღო ამხანაგებისაგან და მეზობელთაგან, ის უეჭველად ყელს გამოიჭრის მამის თვალწინ. დენგაუს თავისი შვილი იმ გვარად უყვარდა, იცოდა მისი ხასიათი და სწამდა მისი გადაწყვეტილება, ეჭვი არ ჰქონდა შამილი თავის სიტყვას არ გასტეხდა და თავის მუქარას სისრულეში მოიყვანდა, რომ იძულებული შეიქმნა ძალას დამორჩილებოდა და ამ დღიდამ სამუდამოდ სასმელებზედ ხელი აეღო. დენგაუ მოკვდა წარსულ საუკუნის 30 წელს, როდესაც შამილმა მეო-

რედ იქორწინა და ყაზი-მოლაც გამოსული იყო ბრძოლის ველზედ. (Кавказскій календарь за 1861 г. Шамиль ст. 5—6).

შამილი იყო შუატანის მოხდენილი ვაჟკაცი. მისი დალაგებული პირისახე, ქერა თმა, ლურჯი და მსხვილი ორბივით მოელვარე თვალები, პატარა პირის ნაპობი, თეთრი და ნაზი კანი, არწივისაებრ გრძელი ცხვირი და კოკობი წვერ-ულვაში სრულიად ასხვაფერებდნენ მას ავარელებიდამ. ის უფრო ჩერქეზს, ჩაჩანს, დიდოს და ჩვენს კეთილშობილთ მიემსგავსებოდა, ვინემ ავარელთ მონგოლთ ნარევს ტიპს. იტყვიან, შამილს ჰქონდა მეტად ნაზი და ფაფუკი ხელ-ფეხი, ტანი საშინლად მოქნილი და მოძრავი. სიარული იცოდა მედიდური მუდამ და ვერვის ჰნახავდა, რომ მას მიწისთვის ეყურებინა. ბალღობითვე ეტყობოდა სიმტკიცე ხასიათისა და სულის აუშფოთებლობა ყოველს შემთხვევაში. იყო აღბეჭდილი მაღალის ნიჭით და მოქმედებით.

შამილს ჰყავდა ორი აღმზრდელი: ყაზი-მაჰმადი, შემდეგ ყაზი-მოლად წოდებული და ბუნება.

ყაზი-მოლა შამილზედ იყო ოთხის წლით დიდი, მაგრამ ახალგაზდობაშივე საშინლად დარბაისელი, დამჯდარის გონებისა და სწავლაში განვითარებული, «როგორც აყუშინის ფადიო»,—იტყოდნენ თანამემამულენი ყაზი-მოლაზედ.

ყაზი-მოლა და შამილი სცხოვრობდნენ ერთმანეთზედ ახლოს ს. გვიმრში და რაც გაიცნეს ერთმანეთი, აღარ განშორებულან. უფროსი სიძე შამილისა აბდურახმანი ამბობს: „ისინი სცხოვრობდნენ, როგორც ნამდვილი ძმები და სუყველას, რაც სიცოცხლეში შეემთხვათ, სიმხიარულე თუ მწუხარება, იყოფდნენ თანასწორ შუაზედ“.

ყაზი-მოლა ჯერ ისევ პატარა იყო, რომ არაბული

ენა ზედ მიწევნით იცოდა და როცა წამოიზარდა, მთლად გაიზეპირა ყორანი და შეისწავლა ყოველი კუთხე თავის რჯულისა. მისს დინჯს გონებას, განდეგილს ცხოვრებას, ყმაწვილობითვე რჯულისთვის დავის დადებას, მჭევრმეტყველობას და დროს „ქვასავით სიჩუმეს“, როგორც აგვიწერენ შამილს, არ შეიძლებოდა არ ჰქონოდა დიდი გავლენა მგრძნობიარე შამილზედ. «ბედმა შეჰყარა ისინი ერთად და სიკვდილ-სიცოცხლით სულ გაუყრელნი ატარა», იტყვიან. ყაზი-მოლა იყო უმთავრესი აღმზრდელი შამილისა, როგორც თვითონ ჰმოწმობს: «არსად არ მისწავლია იმდენი, რაც ვისწავლე ყაზი-მოლასაგანაო».

თუმცა ყაზი-მოლა იყო კეთილი აღმზრდელი შამილის, მაგრამ მეორე აღმზრდელი ბუნება მაინც სჭარბობდა მას. თითქოს წინადვე სცოდნოდეს მისი მაღალი დანიშნულება, ისე აჩვევდა სხეულის ვარჯიშობას და ძარღვების გამაგრებას. შამილი ისე ხშირად და ისეთის ხალისით ივარჯიშებდა ჯანს, რომ შემდეგში ყველა ჩვენთვის შეუძლებელს სიმართლეს და სიმამაცეს მიახწია. ოცი წლის იყო, რომ ადვილად ხტებოდა გაჭიმულს თოკზედ, რომელიც მაღლა აშვერილის ხელებით ეჭირათ იმაზედ მაღალს კაცებს. ეგრეთვე ადვილად ხტებოდა განიერს ხრამებზედ, რომლებისაც სიგანე არა ნაკლებ თოთხმეტის არშინისა იქნებოდა და ყოველს მაღალს მდგომიარე კაცზედ; ამასთანავე ის იყო ბევრად ღონიერი და გულადი. არავის არ შეეძლო მისი წაქცევა ანუ მოწევა. იმისი სხეული იყო თასმასავით მოქნილი და ისე ამოძრავებდა ტანს, როგორც კარგი ცირკის მოთამაშე. გარჩევა მხოლოდ იმაში იყო, რომ შამილმა ამ სისრულემდის თვითონ უოსტატოთ მიაღწია. ამასთანავე ის თავის ტანს სწრთვნიდა და აჩვევდა, რომ შემდეგში აეტანა ყოველგვარი შევიწროება, ტანჯვა და გაჭირვება. ის ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველ-ოავშიშველი გულგაღეღილი

დაიარებოდა, მართლაც მხოლოდ ამ გვარის ჯანის სიმრთელით შეიძლება აიხსნას მისი მოარჩენა მრავალ-გვარ მძიმე ჭრილობისაგან. საკვირველი არ იყო, რომ შამილს ღრმა სიბერემდის, სანამ მოკვდებოდა, არ აჰშლია იარები, თუმც ყოველის დოსტაქარისაგან ცნობილია, რომ სიბერეს დიდი გავლენა აქვს ძველს ჭრილობებზედ.

ი. ხატიშვილი.

(შემდეგი იქნება).

ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები,

გამოცემულნი სტეფანე კონსტანტინეს-ძის ზუბალაშვილის საფასით.

I.

ვიდრე ჩვენის მამულისშვილის სტეფანე კონსტანტინეს-ძის ზუბალაშვილის საფასით გამოცემულს წიგნებზედ დავიწყებდეთ სჯას, მოკლედ უნდა გავიცნათ ქართველ ერის ეონებითი განვითარების საქმე XIX საუკუნეში და ნამეტურ ის გარემოებაც უნდა ავნუსხოთ, თუ ამ ხნის განმავლობაში ქართველთ მდაბიოთა სასარგებლოთ რა გაკეთდა, ან თვით იგინი რას წარმოადგენდნენ, ან ქართველი ერი და მწერლობა მათთვის რას აკეთებდა, რა გააკეთა, რით აღბეჭდეს მათ თვისი არსებობა, ჩვენი წერილის დედა-ჰაზრი ანუ კონსპექტი ეს არის. მაშ დავიწყოთ ისევ XIX საუკუნის დასაწყისიდამ.

აზიის ერთა შორის მუსულმანობა ისლამით ძლიერ წინ წავიდა. ევროპაში ქრისტიანობამ გაიმარჯვა და აზიაში ისლამმა, ისლამის გამარჯვება იყო საქართველოს დაუძლურება. ამიტომ XIX საუკუნის დამდეგს საქართველო რუსეთს ჩაბარდა. ქართველ ერისთვის დადგა მოსვენების დრო, მინამდე კი ქართველი ომსა და სისხლის ღვრას უნდებოდა. ამაზედ არის ნათქვამი:

„სადაც აქამდის ხმლით და ძალით ფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობოს მოქალაქის მართავს აწ ხელი“.

ეს ლექსი ალექსანდრე ჭავჭავაძემ 1820 წლებში წარხოსთქვა და მით დაასაბუთა ქართველთ უახლესი მოსვენებული დრო. სახელოვანი ალექსანდრე ჭავჭავაძე ისეთი პოეტი, თავის დროის ისეთი შესანიშნავი მგოსანი იყო, რომ ამას იგი უადგილოდ არ იტყოდა. მაშასადამე, ეს ჭეშმარიტი სიტყვა რამდენათაც ქართველ ერის თავისუფალ მდგომარეობას ხატავს, იმაზე მეტს მათ კიცხვასაც ჰკერძავს, რადგანაც მშვიდობიან ქვეყნის მოქალაქეთა შვილებმა თავიანთი დრო ფუქსავატათ გაატარეს. ამავ საგანს და გარემოებას მეტის ხალისით ეხება ნ. ბარათაშვილიც, მაგალითებრ, XIX საუკუნის ქართველებზედ იგი ამბობს:

„გაეხსნათ გზა და ეშვათ ივერიელთ სასოება,
რომე მუნით შეეიდეს მათ შორის განათლება“.

როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ისევე ნ. ბარათაშვილს ჩვენ თაღლითობას ვერ დავსწამებთ, როგორც ერთი სწერს სიმართლით, ისევე მეორე. და მართლაც, ნ. ბარათაშვილის სიტყვისამებრ, XIX საუკუნის ქართველთ შორის, სხვა რა უნდა შემოსულიყოს, აღორძინებულიყოს და გავრცელებულიყოს, თუ არ განათლება და ცოდნა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ არც ეს იყო მართალი: ამ პოეტების ნაწერს და თქმულებს იმ

დროის ქართველობა სრულებით ვერ ასრულებდა. ამ ნატვრის შესრულებისთვის ისინი თითქოს მკვდრები იყვნენ და მიტომაც არას აკეთებდნენ. მათ ისე განვლეს სოფელი, რომ ზემო-ხსენებულ პოეტების დასახელებულის მხარეების თანახმად არა შექმნეს რა, ვერა გააკეთეს რა, იმათ თვისი ნავალი ვერ აღბეჭდეს.

მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მოსვენებას მიეცა, მათ აღარც ომები აწუხებდათ, აღარც მუსულმანთა გვარნი. ამაების მაგიერ ქართველნი სხვა საქმეს უნდა გაჰყოლოდნენ, მათში დროის შესაფერად უნდა გამორკვეულიყო და აღორძინებულიყო მოქალაქური ძლიერება, ხელოსნობის მიმდევრობა, ვაჭრობის და სხვა, მაგრამ არა, ეს აქ ასე არ მოხდა. რაკი ქართველი ერთხელ დაეცა და დაკნინდა, მის შემდეგ მათი ცხოვრების მიმდინარეობამაც სულ უკუღმართად იწყო ტრიალი. ცხარეს ბრძოლიდამ გამოსულ ქართველთ დრო შეეცვალათ, იგინი მოსვენებას მიეცნენ და მასთან ქარაფშუტულს ცხოვრებას. ესენი თავიანთ მოვალეობას სულ ველარ ასრულებდნენ. ამაზედ სწერს ვახტანგ ორბელიანი ასე:

„ველოდი მამათ დიდს დვაწლს ძენი დაასრულებდნენ,
დანგრეულს ადმიშენდნენ და მოელს ჩამაბარებდნენ“.

მაგრამ მათ კი არ აღმადგინეს, არამედ დამცეს და დამაქციეს ისეც დაქცეულიო. ჩემ დიდებულთ ძეთ ძენი გროშათ არ ღირან, ვინც კი მათში კარგი არს, ისიც კი უვარგისიაო.

„ისინიც არ ვარგანან, თუ ვინმე მათ სჯობიან“.

და სხვაც მრავალი ასეთნი, რომელთაც პოეტი მწუხარებით ხატავს. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდამ ქართველნი მიეცნენ უზრუნველად ცხოვრებას, მათ საქმეთ ჭამა, სმა და ორთაჭალაში ქეიფი შეიქმნა და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვა რამ. ყველა ესენი კი მათს

სულს და გულს სასტიკათ შეხამავდა და აბნელებდა. ამ გარემოებამ ქართველობა გამოასალმა ყველა ნაირს რიგიან მისწრაფებას, ყველა ამ გამოთხსვილ მხარეთა საუბარი და ჩამოთვლა ჩვენგან შეუძლებელია, საგანს გზა აეჭცევა. ამიტოს ჩვენ უნდა შევჩერდეთ მხოლოდ ქართველი ერის სამწიგნობრო საქმის გარშემო, მარტოდ ამაზედ უნდა ვილაპარკოთ.

მეცხრამეტე საუკუნის შემდეგ, სამწიგნობრო ასპარეზზედ ქართველთ ვერ გამოიჩინეს შესაფერი ძალა. რაკი დაკარგეს ერთი მხარე ცხოვრებისა, მას მიაყოლეს მეორე, მესამე და ყოველისფერზედ ხელი აიღეს. მაგალითებრ, ხსენებულის დროდამ, ქართველთ ქართული მწერლობის ასპარეზზედ თვალები დახუჭეს. მეთვრამეტე საუკუნის ქართველთ ძველი საერო, საღმრთო, საფილოსოფო და სამეცნიერო წიგნები არქივს ჩაბარდა, დროცვლილების მეოხებით მათ ფერი წაუვიდათ. დაეცა ანტონ კათალიკოსის სკოლა, მას თან გაჰყვა სხოლასტიკაც, ძველი მოთხრობები ურგებ იქმნა, თითქმის ყოველივე ქართველთ დროის ძველის მწერლობისა ერისთვის უძლურ იქმნა. ყოველ დროს, წელს და საუკუნეს თავისი ნარუქი მოაქვს, ასევე ქართველთათვის მოიტანა მეცხრამეტე საუკუნემ. მხოლოდ ჩვენდა სამწუხაროდ ამ ნარუქს იმ დროის ქართველობა სულ არ აჰყვა, რასაც ეს ნარუქი აუწყებდა ქართველთ საღმრთო ვალად, იმას ქართველი ერი არ აკეთებდა, არ ასრულებდა. ქართველთ ისე განვლეს თვისი მშვენიერი დღენი, რომ საეროთ ერთი წიგნაკიც კი არ დასტამბეს.

ჩვენს ქვეყანაში, ქართველთ წინაშე, თბილისში, მკაცრათ აღორძინდა სომხური მწიგნობრობა და ენა. ძველადგანვე თბილისში მეფობდა ქართული ენა, მწერლობა და აქ 1707 წ. სტამბაც დაარსდა და შემდეგ დროს კი, აქ ეს სრულიად შემცირდა და სომხებში კი,

რომლის სტამბის და მწიგნობრობის ხსენებაც არ ყოფილა, იგივე აღორძინებას მიეცა და დღეს, თუ იგი როგორის წარმატებით არს თბილისსა და მასთან მთელს საქართველოში წინ წასული, ამას ვგონებ ბევრი ლაპარაკი არ უნდა. ყველა ეს მოხდა ასე: საქართველო ჩაბარდა თუ არა რუსეთს, მას დღიდგან სომხებმა სწრაფათ იწყეს აღორძინება, ამ შეერთებით მათ ისარგებლეს, იგინი ამისთვის მომზადებულ იყვნენ, ეს მომზადება მათ შესძინა თავისუფალმა მდგომარეობამ, მწერლობის გარეშე მათ სხვა სიქმეთა ასპარეზზედაც გაიმარჯვეს, ქალაქ ალაგას ფეხი მოიკიდეს, როგორც მოსალოდნელი იყო; თბილისში მოქალაქურ ბურჟუაზიის თავმა გამოჩენა იწყო, ბოლოს გამოჩნდა კიდეც, მან გამარჯვებაც მიიღო და მის შეოხებით საგვარეულო ანუ თავად-აზნაურული არისტოკრატია კი ეცყმოდა. ერთი ილეოდა, მას დღე აკლდებოდა, ეს იყო ქართველთ კეთილშობილური არისტოკრატია და მეორე წინ მიდიოდა, აღორძინებას ეძლეოდა, ესენი იყვნენ ქალაქის მოქალაქენი-სომხები, შეროომელთაგან მდეგ წარმოიშობა აწინდელი სომხის ბურჟუაზია.

სომხებმა საქართველოში სომხური სტამბა 1827 წ. გახსნეს, სომხური წიგნების ბეჭდვაც ამ წლიდამ იწყეს, ნელ-ნელა მათი საქმე ისე ეწყობოდა, რომ იგინი სომხურს ენაზედ ერისთვის ბეჭდავდნენ ყველა საჭირო წიგნებს. იმ დროს, თბილისში და მთელს საქართველოში ქართული ენა მეფობდა, მაგრამ ამ ენის პატრონები კი არაფერს ბეჭდავდნენ ქართულს ენაზედ საეროდ. სომხური მწიგნობრობის საქმე კი დღითი დღე იზრდებოდა. ამ გაზრდით მათ იმ ზომამდის მიახწიეს, რომ უკანასკნელ საქართველოს დედა-ქალაქი თბილისი მათ სამწიგნობრო ბეჭდვის შუაგულ ქალაქათ გარდაიქცა და თბილისში დასტამბულის სომხურის წიგნებით იმედოვნებენ მთელის

ოსმალეთის, სპარსეთის და სხვათა კუთხის სომხებში სომხური ენის აღდგენას, მწიგნობრობის გავრცელებას. ამიტომ დღეს, თბილისში ისტამბება აუარებელი სომხური წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და სხვანი, რომლებსაც სომხის საზოგადოება დიდის პატივისცემით უმზერს და ინახავს. მოკლედ უნდა მოგახსენოთ, რომ 1840 წლიდამ, ვიდრე დღემდე სომხებმა საქარველოში აღადგინეს თვისი მწერლობა და არ დარჩა არც ერთი მხარე მეცნიერების, ფილოსოფიის, ისტორიის და სიტყვაკაზმულის მწერლობის, რომ მათ რამდენ-რამდენიმე ნაირი წიგნები არ გამოეცათ. ერთის სიტყვით, თბილისში მათ შექმნეს და აღადგინეს მთელი სომხის ერის სულიერი და ზნეობრივი ძალის საუნჯე.

ქართველებმა კი როგორც არ მომზადებულებმა დიდის საქმისთვის, ვერაფერი გააკეთეს საეროთ. მართალია პირველი ქართული გაზეთი 1817 წ. გამოიცა; მეორე გაზეთი 1819 წ.; მესამე ნაირი 1824 წ.; მეოთხე ნაირი 1827 წ. და მეხუთე გაზეთი 1832 წ., მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ეს გამოცემანი მთავრობის გამოცემანი იყო, გარდა «თბილისის უწყების», და ესეც სულ ოთხი წიგნი გამოიცა 1832 წ. დანარჩენი გამოცემანი იყვნენ განცხადებათა მაგვარნი, მთავრობისათვის საჭირო ფურცელი. ეს რომ ჭეშმარიტებაა, ამას კარგათ ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ ამ გაზეთების ბეჭდვის დროს ქართველნი სრულებით არ ბეჭდავდნენ სახალხო წიგნებს, თუმცა ეს მათთვის მეტად დიდს საჭიროებას შეადგენდა. ქართველი ერისთვის მაშინ ერთი უბრალო ანბანის წიგნიც არ იყო. ეს ნაკლი მხოლოდ სოლ. დოდაშვილმა იგრძნო, რომელმაც ქართულს ენაზედ სთარგმნა ყველა ნაირი სამეცნიერო სახელმძღვანელო წიგნები, რომელნიც მიღებული უნდა ყოფილიყვნენ იმ დროის თბილისის ყველა საშუალო სასწავლებლებში.

სოფ. დოდაშვილი ამისთვის ისე განღვიძებული იყო, რომ მას არ დაშთა უთარგმნელათ თვით რთული შინაარსის წიგნებიც კი, მაგალითებრ, ღვთის-მეტყველების ისტორია იმ დროის თბილისის სემენარიაში სახმარებლათ, რეტორიკა, ლოღიკა, ფილოსოფიის ისტორია და მრავალიც სხვანი. ყველა ეს წიგნები განმზადებული იყვნენ დასაბეჭდათ, მაგრამ მათ დაბეჭდვის საქმეს საზღვარი დაუდო 1832 წლის შემთხვევამ. ამავე შემთხვევამ ქართულ ჟურნალისტიკასაც დიდი მეხი დაარტყა, დროებით გამოცემანიც მოისპნენ ისე, რომ მათი ალარაფერი დაშთა და დღესაც ამ გამოცემების ბევრი რამ ცნობები არა ვიცით რა, თუმცა ეს დრო ჩვენგან არც ისე ძალიან შორს არის.

1832 წლიდამ, საერთოდ ქართველი ერი მიეცა დიდს მდუმარებას, დავრდომილებას ყოველნაირის მხრით, აქ საგლოველი გახდა არა მარტო დაბალი ერი, არამედ თვით ცნობილ თავად-აზნაურის და მოქალაქის შვილებიც. XIX საუკუნის დამდეგიდამ მთელი წლები ისე გადიოდა, რომ ქართველ მდაბიოთა სასარგებლოთ ერთი ანბანის წიგნიც არ დაბეჭდილა. მართალია ხანდისხან რუსულ-ქართულ „რაზლავორის" წიგნებსაც ბეჭდავდნენ, მაგრამ ყველა იგინი ისე ძვირად ფასობდნენ, რომ მათს ყიდვას საწყალი კაცი სულ ვერ შესძლებდა. თითო წიგნი 50 კაპ. ნაკლებ არ იყო. ამის გადახდის ძალა კი მდაბიოთ სულ არ შეეძლოთ. გარდა ამისა ყველა მაშინდელი ასეთი წიგნები იწერებოდნენ ქართულის ჯვარცმულის, გაუგებარის ენით. საქართველოში არ ქნილიყო მაგალითი, რომ მდაბიოთათვის ასეთი რამ რიგიანის გულით და სულით შექმნილიყო. მაშინ მდაბიოთაგანი თუ სწავლობდა წიგნს, ის სწავლობდა უბრალო ქაღალდებზედ ნაჯღაბნის ანბანით, ან ხბოს ბეჭზედ დაწერილის ასოებით. ხან საეკლესიო დიაკვნებიც ასწავლიდ-

ნენ, ხასდისხან გლეხთათვის მათ მებატონეთაგან ანბანის სწავლებაც კი აღკრძალული იყო. აი ასეთს სამწუხარო მდგომარეობაში იყო მოთავსებული ქართული სახალხო წიგნების ბეჭდვის საქმე იმ დროს, როცა საქართველოში, ქართველთ დიდებულთაგან აუარებელი ფულებიც იფლანგებოდა.

მდაბიო ერი დროის მეოხებით თვალს ახელდა, მათში მიმბაძაობის საშუალებით თვალის გახილება და მცხოვრებთ წინსვლის ნატვრა მაღლა იწევდა, მათთვის წიგნები იყო საჭირო, მაგრამ მისი მკეთებელნი და დამბეჭდნი კი არსად იყვნენ. ქართველი ერი ღვთის ანაბარად იყო დაშთენილი, თვით სამღვდელოებაც კი არას აკეთებდა, მათ ერთი საჭირო წიგნიც არ დაბეჭდეს საეროდ. მხოლოდ 1845 წ. გამოსცა ბლატონ იოსელიანმა ქართული ანბანი, რომლის თითო წიგნის ფასი 10 კაპ. იყო. ეს იყო პირველი მაგალითი. 1846 წ. საეროდ „ქართული კალენდარიც" დაბეჭდა. „კალენდრის" ბეჭდვა ქართულს ენაზედ პირველი მაგალითი იყო. ბ. იოსელიანმა 1857 წლამდე თვისი ანბანი ექვსჯერ გამოსცა, შემდეგ კი თავი დაანება. ეს ანბანი არ იყო დროის შესაფერად და პედაგოგიურად შედგენილი, იგი ძველის ქართულის ენით არის დაწერილი და ძველებურის საღმრთოს ცნობებითსავსე. 1852 წ. დაარსდა ჟურნალი «ცისკარი». მას თან მოჰყვა ივ. კერესელიძის რამდენიმე წიგნაკები, მაგალითებრ «ნაოხარი სოფელი», პოემა «მწყემსის სიყვარული» და ანბანის წიგნი «მოკლე სიტყვა», მაშინდელის რუსულის წიგნის «დრუგ დეტეის» მინაგვარად. ყველა ეს წიგნაკები იყო დაწერილი ახალის ქართულის ენით. პირველი მაგალითი იყო საქართველოში ასეთის ენით ნაწერ-ნაბეჭდი წიგნები და ისიც სულ უბრალო ფასად. 1857 წლიდამ კი, რაც ივ. კერესელიძემ «ცისკრის» გამოცემა დაიწყო, მას შემდეგ მან უფრო განამრავლა სხვადასხვა

წიგნების გამოცემა. ამავე დროს გამოიცა რამდენიმე წიგნი დ. ჩუბინაშვილისა, მაგრამ იგინიც საეროდ კი არა, არამედ მქონებელთათვის. ამათ შემდეგ ხანდისხან იბეჭდებოდნენ სასულიერო წიგნები, ისიც წელიწადში ან ერთი წიგნი და ან ორი,—ისიც ძველის ენით ნაწერი, ძველის ამბებითვე. 1865 წ. გამოვიდა იაკობ გოგებაშვილის «ანბანი» და «ბუნების კარი». შემდეგ ამის 1870 წლებში კი სხვებმაც გამოსცეს წვრილი სახალხო წიგნები. 1871 წ. ᲗᲣმიკაშვილმა გამოსცა რამდენიმე წიგნი. ამავე დროს ქართული ჟურნალ-გაზეთობაც გაჩაღდა, ბეჭდვა იწყეს „ცისკრის“, „მნათობის“, «კრებულის», «დროების», «სასოფლო გაზეთის» და „გუთნის დედის“, ე.ᲘᲘ. ექვსი დროგამოცემის.

ამ გარემოებამ, დრო-გამოცემათა სიმრავლემ ერზედაც იქონია გავლენა, აქ მდაბიოთაც გაახილეს თვალები, თვით მათგანვე გამოვიდნენ მწერალ-მბეჭდავნი, ამ გარემოებას ძრიელ ხელს უწყობდა ქართველთ შორის სტამბების გავრცელების საქმე და ქართველთ ასოთ-ამწყობთ და მბეჭდავთ გამრავლება. იყო დრო, რომ მთელს თბილისში ერთი ქართველი ასოთ ამწყობი და მბეჭდავიც კი არ მოიპოვებოდა. სულ სხვა ტომისანი იყვნენ. 1870 წლიდამ კი ქართველთაც იწყეს გამრავლება და ამათ გამრავლებამ ქართულ სახალხო მწერლობის აღორძინებასაც შეუწყო ხელი. ამ საქმის ასპარეზზედ ბევრს ასოთ-ამწყობს მიუძღვის შრომა და ამაგი, „მათი საქმის ხსოვნა ყოველთვის სიმპატიურის თვისებით დაშთება ქართველთ წინაშე. მათის შრომით აქა-იქ სტამბებიც კი დაარსდა და გუშინ თუ მთელს თბილისში ერთი ასოთ-ამწყობი და მბეჭდავიც არ იყო, დღეს თვით ქართველი მესტამბეებიც არიან, მათ სტამბები თბილისის გარეშე საქართველოს სხვადასხვა დაბებშიაც კი აქვთ დახსნილი.

რაც ხანი გადიოდა, მით ქართველი ერის დაღუპული და დაქვეითებული ცხოვრებაც ყველასთვის საყურადღებო ხდებოდა, ყოველ შეგნებულ ქართველს გული ეთუთქებოდა მახზედ, რომ ქართველ ერს ყოველნაირად დამდაბლებულს და მკვდრათა ჰხედავდა, მართლაცა და ქართველი ერი მკვდარი იყო პოლიტიკურათ და მკვდარივე იყო ეკონომიურათაც. ღრმად შეგნებულთა თუ ჩვირედ მცოდნე ქართველთათვის მამულის სიყვარულის სახმილის ალები ორივ ერთნაირი იყო. ყველას გული ერთნაირად ეწოდათ. ყველა მწუხარებით უმზერდა ჩვენს დაქვეითებულს გარემოებას. დაქვეითებაც შეიძლება და დაქვეითებაც, მაგრამ ისეთი დაქვეითება, როგორც საქართველოში, ქართველთ შორის იყო, ეს კი შეუდარებელია და შეუძლებელია, რომ სადმე რომელიმე ერში ყოფილიყოს.

ჩვენის ძველის მწერლების გოდება მრავალთათვის არს ცნობილი. მგოდებელთ შორის ორნაირი მიმართულება არსებობდა, ერთნი ჰგოდებდნენ არა დიდს საგნებზედ და ერის საერთო ვაებაზედ, მეორენი კი მძლავრი მახვილი იყვნენ ჩვენის მცენარეობისა და მათი მდუღარე ცრემლები და ნაღვლით სავსე გრძნობები სწორეთ ამ ქართველთა დაღუპულ გარემოებას ეკუთვნის. 1860 წლიდამ, მათ შექმნეს სულიერი ძალა ქართველთა და მათის ნაწერებით აღზრდილთა აგერ 1870 წლებში კარგად იგრძნეს დაქვეითება ქართველთ მდგომარეობა და მის წყალობით დუმილსაც მიეკნენ მასზედ, თუ რისთვის როგორ ეშველათ, დაძინებული ანუ დაცემული ხალხი როგორ გაეღვიძებინათ, მათში რა ოსტატობით შეეტანათ ქართული ანბანი და წიგნის კითხვა როგორ აღორძინებულიყოს. ამის სახსრად მათ დაინახეს ქართული ხალხო სიტყვიერებიდამ ლექსების და ზღაპრების ბეჭდვა და ამის აღსრულებას 1873 წ. შეუდგნენ კიდევაც.

თბილისში პირველად დაიბეჭდა ,,არსენას ლექსი'' ,,ქალვაჟიანი'', ,,ალექსიანი'', ,,ბეჟანიანი'', ,,აბრამიანი'', ,,ბარამიანი'', ,,დავრიშიანი'', ,,ყარამანიანი'' თორმეტი კარი და მრავალიც სხვანი, ენით მოუთვლელნი ძველებური სახალხო წიგნები. ეს წიგნები ქართველებში ძველადგანვე იყო გავრცელებული, მას მდაბიონი გადიწერდნენ დიდის წვალებით და ისე ავრცელებდნენ. უკანასკნელ მათმა ბეჭდვამ კი დიდი ძირითადი ცვლილება მოახდინა, მის საშუალებით ქართველთ მდაბიოთა შორის ქართული ანბანის ვრცელებამ ფესვი გაიკეთა, მაშინ ხომ საქართველოში სახალხო სკოლები სულ არ იყო, სახალხო სკოლებათ ეს წიგნები გადიქცა. ეს რომ ასე უნდა ყოფილიყოს, ამას ცხადათ ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ დღემდე ქართული წიგნი „ქალვაჟიანი" 50-ჯერ გამოიცა, ასევე სხვა ძველი წიგნები ერთის სიტყვით, ამ წიგნების საშუალებით ქართველთ მდაბიოთა შორის როგორც ანბანის ცოდნა გავრცელდა. ისევე წიგნების კითხვის სიყვარული ძლიფინა და გავრცელდა. ადრე, ამ წიგნების მყვედრებელნი მრავალნი იყვნენ, იგინი მათ დამბეჭდს ჰძრახავდნენ, მაგრამ ამაოდ. მათ არ იცოდნენ ქართველ ერის მდგომარეობა, ჩვენის ცხოვრების და მწერლობის არაფერი ჰქონდათ შესწავლილი და მიტომ სწერდნენ უჯერო წერილებს.

მაშინ ქართული მწერლობა არც კი არსებობდა, ამ წიგნების მეტი თითქმის სხვა არა იყო რა მაშინ, რომ ამ წიგნებს გარდა სამეცნიერო წიგნები დაებეჭდათ, მას მაინც არავინ წაიკითხავდა, დაბეჭდვის ხარჯი დამწერს ანუ დამბეჭდავს დიდათ აზარალებდა. სამეცნიერო წიგნებს მაშინ განათლების მექონნი ქართველნი კითხულობდნენ, ამიტომ იგინი რუსულ წიგნების კითხვას მისდევდნენ, სამეცნიერო წიგნები მდაბიოთათვის მკვდარი იყო. აი ამიტომ ზემოხსენებული წიგნები სწორეთ გზა

და ხიდათ ჩაითვალნენ ჩვენის ცხოვრების ასპარეზზედ. ხსენებულმა წიგნებმა თავიანთ წილი სარგებლობა მოიტანეს. მაშინ ამ წიგნებს ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა, ხანაც ისეთი იყო, რომ ეს წიგნები ჩვენთვის დიდათ საჭირო იყო. ეხლა კი დრო შეიცვალა, ერის გარემოებაც გაცილებით წინ წავიდა, კითხვაც შეიყვარა ხალხმა, ქართული ანბანიც გავრცელდა, ეხლა კი ხსენებულ წიგნების და მათ მსგავსების ბეჭდვას მნიშვნელობა აღარ აქვს. დღეს ამ წიგნების დამბეჭდნი ჩვენგან დაძრახულნი უნდა იქმნეს, მწერლობამ მათ ნება არ უნდა მისცეს.

ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ჩვენში ასე არ არის და რაც ხანი გადის, ქართული მწერლობის ასპარეზზედ სჩნდებიან ისეთნი გამომცემელნი, რომელნიც თავიანთის მოქმედებით ხალხის გულსა და გრძნობას შხამავენ, გონებას უბნელებენ. ამით ესენი გონებითი მოძრაობის და აღორძინების საქმეს ერთი ათად უკან სწევენ, იგინი ჰბეჭდავენ ყოველნაირ უშინაარსო წიგნებს და ყველა ამაებს ისე ავრცელებენ მთელს ქართველობაში, რომ მწერლობის წარმომადგენლებმა მისი არსებობის სრულებით არაფერი იციან. მახინჯი წიგნები იბეჭდება მეორედ, მესამედ, მეათედ, მაგრამ მწერლობაში მაინც კაცი მასზედ ვერაფერს ჰპოვებს. ჩვენდა სამწუხაროდ უხეირო წიგნებს გარეშე თვით გამომცემელნიც მეტად გაუნათლებელნი და უზრდელნი არიან, თითქმის უმეცარნი და არაფრის მცოდნენი, მაგრამ მეხანიკურათ შეუსწავლიათ წიგნების ბეჭდვა და რაც კი მოჰხვდებათ ხელთ, ყოველივეს მას ბეჭდავენ და ავრცელებენ ხალხში.

უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა ეს გამოცემანი ისეთის შინაარსის არიან, რაის გამოც მთელი ქართველი საზოგადოება და მასთან მწერლობაც კი გაიცხულ უნდა იქმნეს, რადგანაც ეს უმგვანი წიგნები, დაწერილი

თვით განუვითარებელ პირთაგან, იბეჭდება მრავალჯერ და ვრცელდება ხალხში ისე, რომ მისი არც მწერლობამ იცის რამე და არც შესმენილმა საზოგადოების ნაწილმა... ვიტყვით, რომ ასეთი მახინჯი წიგნების ბეჭდვა რამდენათაც მდაბიო ხალხთათვის არის სამზნევი და საზარალო, იმაზედ მეტად თვით ქართველის შესმენილის საზოგადოების დაბრიყვება და გმობა არს. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი ცხოვრების ასპარეზზედ ასეთი წიგნების მოვლენა დიდს საგოდებელ საქმეთ უნდა ჩაითვალოს. ყველა ამ წიგნებთა დამწერნი არიან ისეთნი პირნი, რომელთაც წერა კი არა და რიგიანათ კითხვაც არ იციან, ბეჭდვის თუ რამ შეუსწავლიათ, უფრო ვაჭრობის მიზნით. იგინი ბეჭდვენ ისეთ ულირს წიგნებს, რაის საშუალებითაც მდაბიოთა დიდი რიცხვის გონებაც სასტიკათ იშხამება და იწამლება. იგი მოსასპობია, მაგრამ ვინ არის ამის პატრონი, ინტელიგენციას და პრესას ამისთვის არ სცალიან, მთელი მდაბიოთა რიცხვი ამ უმეცრების ხელშია ჩავარდნილი.

თუმცა ქართველი ერი ღარიბი იყო სახალხო მწერლობით, მაგრამ იგი ბედნიერი იყო ერთის მხრით მით, რომ აქ სხვადასხვა უგვან წიგნებთა რიცხვს თავი არ უჩანდა, მწერლობაში ბაზრული მიმართულების მექონი ერი არსად სჩანდა, მით, როგორის უგვანის მწერლობითაც ადრე ევროპის ერი იშხაპებოდა და მასთან რუსეთისაც, იმ გვარ მწერლობას აქ არც ნიადაგი ჰქონდა და არც რიცხვით სჩანდა. ევროპაში ზოგიერთმა პირებმა მწერლობა სავაჭრო ბაზრათ გახადეს, მათ დაშხამეს უმრავლესთა ნაწილი, ამ გარემოებას მრავალ მეისტორიეთაც ბიაქციეს ყურადღება და მწუხარებით აღნიშვნენ და სწერენ, რომ ბეჭდვითი სიტყვისაგან დანერგილს ბოროტებას ვერც ცულით აღმოფხვრიან მალეო. ევროპის ერმა ასეთი დღეები განვლეს, ამის წინააღმდეგ იქ დიდი

ძალა იღვწოდა როგორც მწერლობის მხრით, ისევე განათლებულის საზოგადოების. ბოლოს ცდამ ნაყოფი გამოიღო და იქ უგვან წიგნების მბეჭდავნი იგმობიან სასტიკათ და ამიტომ მათი რიცხვი იქ მცირდება, გარდა მისა ყოველი პირი დიდათ ფრთხილობს წიგნების გამოცემაში.

ჩვენში კი, სამწუხაროდ ეს ისე არ არის და აქ ქართველებში დაიბადა ისეთი მწერლობა, რამაც ევროპაში კარგა ხანია რაც თავის ხანა-შეჭამა და ანდერძ აგებულ იქმნა. რაც იქ დაბნელდა, ის უგვან განუვითარებელთაგან საქართველოში განათლდა და წარმატებას მიეცა. დღეს ქართული მწერლობა სავსეა მახინჯის წიგნებით, ეს მახინჯი წიგნები მთელ ქართველობის მდაბიოთ უკან სწევს ძრიელ. აქ რომ ეს მახინჯი წიგნები არ მოვლენილიყო, მაშინ იქნება ჩვენც ევროპიელებივით სხვადასხვა განსაცდელს გზას ავცდენილიყავით და სახალხო სიტყვიერების ზღაპრებისა და ლექსებიდამ პირდაპირ რიგიანს მწერლობის გზასა და კვალზედ გადავსულიყავით. ჩვენდა სამწუხაროთ ეს აქ ასე არ მოხდა და ამიტომ ქართულ მწერლობას და განათლებულს ძალას უგვან მწერლობასთან სასტიკი ბრძოლა მოუხდება. ამას ეჭვი არ უნდა, რადგანაც მახინჯის წიგნებით დიდი ვნება, დიდი რეგრესი იბადება ქართველთ მდაბიოთ წინაშე. აქ მარტოთ „სიზმრის ახსნით", „სამთვარიოთი", „ეტლის წიგნით"', „ავგაროზებით" და-სხვა ასეთ წიგნებით, რაც ვნება მოიტანეს და მით დაშხამეს ქართველი ერი, რაც გინდ ბევრი ვეცადოთ, ამ შხამს ჩვენ ვერც ოცი წლის განმავლობაში ამოვაგდებთ ძირიან-ფესვიანათ.

ქართველის ერისთვის რომ გარემოებას გაეღიმა და ასეთი მახინჯი წიგნები არ გაჩენილიყვნენ, მაშინ ჩვენ წმინდათ რიალურს გზას დავადგებოდით. აქ მწუხარება, ანუ უძლურება ერთი ის გახლავთ კიდევ, რომ ბედმა

ქართველებს არც ზემოხსენებული წიგნები აკმარა, მა[ს] სხვაც მოევლინა დასაშხამათ. ეს სხვაც რომ ავიღოთ და ავწონ-დავწონოთ, მაშინ ცხადათ შევამჩნევთ, რომ არც ეს მეორე შხამი უნდა იყოს პირველზედ ნაკლები, რომ შედარება იქმნეს, მაშინ არც ეს ჩამოურჩება პირველ წიგნაკებს თვისის უხეიროობით უკან. რუსეთში ასეთ წიგნებს დიდი ნიადაგი ჰქონდა, ფესვი გამაგრებული, მის წინააღმდეგ იღვწოდა მთელი საუკეთესო ძალა რუსის მწერლობის. მათ კარგი ნარცხიც დაარტყეს მოვლენილ სენს და ცოტა არ იყოს ძირიან-ფესვიანათაც შეანჯღრიეს. დღეს ამ შენჯღრევის ნაყოფი აშკარად სჩანს, თუმცა არც ისე ძრიელ, მაგრამ მაინც კი ეტყობა. ამ აღორძინების საქმეს რამდენათაც მწერლობა უწყობდა ხელს, იმაზედ მეტს ისეთ პრიალა მწერლებთა კალამიც, როგორიც იყო დ. პისარევი. ვის არ ახსოვს ამ სიმპატიური მწერლის ნაწერები რუსულს ენაზედ სახალხო წიგნების კითხვის შესახებ. იგი ერთს წერილში მკაცრათ ითხოვს, რომ რუსულს ენაზედ უკვე დროა, რომ სახალხოთ დაისტამბონ ფოხტი, შლეიდენი, ლაელი და მრავალიც სხვა ასეთი წიგნები. თვით სიტყვაკაზმულ მწერლობასაც კი არჩევდა და ამის ასპარეზის განსპეტაკებასაც ითხოვდა, სწერდა, რომ მალე მოვა ის დრო, როცა რუსეთის ხალხი შეიგნებს, რომ მან პუშკინის ლექსები კი არ უნდა იკითხოს, არამედ ნეკრასოვისაო და სხვა. სხვა წარჩინებულ მწერლებმაც საკმარისად ისაუბრეს ამის შესახებ, ყველა იგინი მკაცრად ითხოვდნენ ახალი სამეცნიერო საერო მწერლობის აღდგენას, ხალხში მეცნიერული წიგნების ვრცელებას, ესენი ასეთ წიგნების გამოცემას მით უფრო ითხოვდნენ, რადგანაც ეს აღორძინება უმთავრეს ძალათ მიაჩნდათ ისეთ მწერლობის საწინააღმდეგოთ, როგორიც მათს დროს რუსულს ენაზედ ისტამბებოდნენ. ასეთი მახინჯი წიგნები დღესაც მრავლად იბეჭდება რუ-

სეთში. იგინი რუსის მდაბიოთა გონებას თითქმის შხამავენ, თუმც დღეს ეს კი ისე აღარ არის, როგორც წინეთ იყო.

ჩვენდა სამწუხაროდ, ის, რაც რუსეთის საუკეთესო მწერლობისაგან მკაცრად იგმობოდა და იდევნებოდა, ის მწერლობა, რომელიც ხსენებულის მწერლების კალმისაგან დალეწვას ეძლეოდა, მისი უვარგისობა ყველგან განისმოდა, აი, დღეს, სწორედ ამ მჩქეფარე დროს, ამ უგვან მწერლობის ნიადაგმა ჩვენში იწყო ვრცელება და ფესვის გამაგრება. აქ ამის ასპარეზზედ გაჩნდნენ ისეთი მწერლები და გამომცემლები, რომლებიც თითო წიგნაკს მეხუთეთ და მეათეთაც ბეჭდავენ და ისიც რამდენ-რამდენიმე ათას ცალს. ყველა ეს წიგნები არს სამარის საუნჯე, მკვდარი მიმართულების, საბერძნეთის ძველის ბერების და მოლოზნების ცხოვრებიდამ, მაგალითებრ, თეკლეს ცხოვრება, სოფიოსი, მარიამ ეგვიპტელის, თომასი, თეოდორე სულელის, იაკობ დაჭრილის, ეკატირინესი, მარინესი, თეოდორასი, ალექსისა, შვიდთა ყრმათა, ეფროსინესი, პარასკევას ცხოვრება, პელაგიასი, თებრონიას ცხოვრება, ფილარეტის, ტირონისა, ესტატესი, სიმონ მესვეტის, იოანე მოწყალის, პანტელეიმონისა, თეკლესი, შიშველ მეუდაბნოელთ ცხოვრება და მრავალიც სხვანი. ჩვენ აქ ყველას ვერ მოვთვლით. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს დროში, ამ წიგნაკების მბეჭდავნი ყოვლად უზრდელნი უნდა იყვნენ, თითქმის უსვინიდისონი, გარეცხილი ყველაფრისაგან, მხოლოდ წუწკ ჩარჩულ გზაზედ დამდგარნი, რათა ხალხის უმეცრებით ისარგებლონ და ისეც გონება ბნელ ხალხს უფრო მოუშხამონ გონება. ან ენ ასე თუ არ არის, ესაშ ეს ალმბეჭდნი უნდა იყვნენ მოუმზადებელნი, მწერლობის ვალის არ მცოდნენი, ერთის სიტყვით გაუნათლებელნი, რომელთა მწერლობის ხელობა გმობათ უნდა ჩაითვალოს. განა

ჩვენს დროში სულელს კაცს და გაუნათლებელს შეჰფერის მწიგნობრობის ტვირთის მიღება, ეს ხომ საზოგადოების დაბრიყვება არს, აბუჩათ აგდება და სამარცხვინო საქმე.

როცა ამ უკულმართებმა ასეთი წყეული მახინჯი წიგნების ბეჭდვა დაიწყეს, მაშინ ჩვენში სჯა და კამათი გაიმართა, მწერლობის ერთმა ნაწილმა შენიშნა, რომ დაე ბეჭდონო, მაგ წიგნებით ქართველებში ანბანი მაინც გავრცელდებაო, ესეც კარგი იქმნებაო. ეს რომ მარტოდ ასე იყოს, რასაკვირველია, ძრიელ კარგი იქმნება, მაგრამ საქმე აქ იმაში გახლავთ, რომ ამ ანბანის გავრცელებასთან ერთად ერში ვრცელდება ცრუ მორწმუნეობაც, გონების სიბნელე, დაბრმავება და სხვანი. ასეთს სისულელეს მაშინ უფრო ეძლევა ვრცელება, როცა იგი ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით და დახმარებით იკითხება და იფინება. ზეპირ გარდაცემას ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ბეჭდვით. ნაბეჭდი სიტყვის მდაბიო ხალხს ყოველისფერი სწამს და აბა საქმეც ეს არის, რომ ამ ნაბეჭდი წიგნების საშუალებით სასტიკათ იშხამება მდაბიოთა გონება. ამ წიგნების საშუალებით ითესება ისეთი ვნება, ისეთი ბოროტება, რასაც შემდეგ ასი წლის განმავლობაში რ..გიან წიგნების ბეჭდვის საშუალებით და ბრძოლითაც ველარ ამოვაგდებთ. ბოკლი დიდის მწუხარებით აღნიშნავს ასეთ მწერლობის გავლენას ერზედ და ბრძანებს, რომ რაც უგვან წიგნების საშუალებით მდაბიო ხალხის გონება იშხამება, იმას დიდის ხნის განმავლობის მეცნიერულ წიგნაკების საშუალებით გამართული ბრძოლაც ვერ მოსპობსო. მასთან შემდეგში მეცნიერებს დიდი ბრძოლა მოუხდებაო. რასაკვირველია, მეცნიერების მხრით, ამერიკის ისტორიკოსი დრეპერიც სწუხს დიდათ და ზემო ხსენებულ წიგნების გავრცელებას ბიზანტიის დაღუპვის დასაწყისად სთვლის.

მასვე ვქადაგებთ და ვღაღადებთ. ეს არ შეგვფერის ჩვენ და ნამეტურ მეოცე საუკუნეს.

ზემო ხსენებულ წიგნების მბეჭდავთ, ხელში კარგი საშუალება აქვთ დაკავებული. თითო პირის ცხოვრება შესდგება ერთის ფორმისაგან, ან 16 გვერდისაგან. წიგნის კანზედ უსათუოთ დასტამბულია რამე ბერის, ან ბოლოზნის სურათი. ასეთი წიგნების მარტოდ ოთხმა პირმა ორმოცნაირი წიგნი დასტამბეს და იმედია, რომ დღეის შემდეგ ესენი კვლავაც დაბეჭდავენ ასეთ წიგნებს და ხალხის გონების დამამახინჯებელთ ძალას ერთი ათად განამრავლებენ. უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგიერთი წიგნაკი მოკლე დროის განმავალობაში მესამე და მეოთხეთაც გამოსულა, გარდა ამისა ყოველი გამოცემა, როგორც ზემოთაც ვსთქვით, რამდენიმე ათასი ცალი იბეჭდება. წიგნები სწრაფად საღდება, ამ გასაღებს ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ იგი ადვილის გასაგების ქართულის ენით არის ნაწერი.

რაკი ასე ვსაუბრობთ, ამიტომ აქ არ შეიძლება, რომ ამ წიგნების მოძღვრებასა და მიმართულებაზედაც არ ვისაუბროთ. აი ეს წიგნები, მათი დამწერნი და მბეჭდავნი რას ქადაგებენ: ცრუმორწმუნეობას, გონების სიბნელეს, გონების მოხიბლვას და მოტყუილებას, საიქიოსკენ მზერას, ყოველი არა ბუნებრივ საგანთა რწმენას, ცრუ მორწმუნეობის გაღმერთებას, კერპების თაყვანს, ცეცხლის ანთების თაყვანს და სხ. და სხ., ცრუ წმინდანების გაჩენას და მათ გაღმერთებას, სწორე შეხედულების დაბნელებას, ყოველ ძველ უგვან წესების სასტიკათ მფარველობას, ყოველ სახალხო დღესასწაულ დღეებს, სხვადასხვა ცრუ წესების შესრულებას, რაც მდაბიო ერის ცხოვრებას შხამავს სასტიკათ, დიდ-პატარაობას, მონებას, მის პატივისცემას, უსწორო მორჩილებას, მოთმინებას, ზარმაცობას, მობე-

ზვას, შიმშილს, მარხვას, კაკისაგან ცოლის არ შერთვას, როგორც ეს განმარტული აქვთ „ალექსიანში“, ქალის არამცა და არამც არ გათხოვებას, არამედ მოლოზნათ წასვლას, როგორც „ეფროსინეს ცხოვრებაში“ ერთი ბერი ეუბნება ეფროსინეს, რომ ქალის გათხოვება არის მისი დაცემა, მისი სულიერი და ხორციელი მხარეების უბედური მომავალი. ამ ბერის და მის მსგავსების აზრით ყოველი ქალი მოლოზნობას უნდა სცდილობდეს, საყოველთაოდ ცხოვრების უღლის მოშორებას. ამ პირების აზრით ცოლქმრობა, ანუ ქალის გათხოვება არს სულის დაცემა, წაწყმენდა, ბინძური ცხოვრება. ესენი ბუნების წესებს ეწინააღმდეგებიან, ბუნების დაძლევა სურთ არა ბუნებრივის ძლიერებით და მის საშუალებით, არამედ სულიერი და ხორციელი მხარეების სიკვდილით.

ასეთ მიმართულებას, უნდა ითქვას, რომ კათოლიკების და გერმანელების სასულიერო პირებმა დიდი ხანია რაც თავი გაანებეს, იქ სულიერი სიმაღლე კაცში იბადება ცხოვრების ზომიერებისგან, ყოველნაირად კაცის კაცურის ადამიანურის ცხოვრებიდამ. მიეცით ყოველ პირს თავის საჭირო ცხოვრების სახსარი, იგი დაამყარეთ შესაფერს გზაზედ და იმედია, რომ იგი ცუდი კაცი არ გახდება, არამედ სულით ამაღლდება, სუფთა ადამიანად აღმოჩნდება. ასეა ევროპაში ლა იქ ამის შესახებ რამდენ წარჩინებულ პირს უსაუბრია. ჩვენში კი ყოველივე წინააღმდეგ მიდის, ჩვენ ევროპის წარჩინებულ მსწავლულთ მოსაზრებანის სრულებით არა გვესმის რა. ჩვენ ჩვენის ტვინით ვმოქმედებთ და ხშირად კი ეს მოქმედება ლაყე ტვინის ნაყოფათ ითვლება. ეს რომ ასეა, ამას ფიქრი არ უნდა.

ყველასთვის ცხადი ჭეშმარიტება არის, რომ კაცი იბადება უმანკოთ. იგი თუ აღიზარდა კარგად და მერე მიეცით მას საჭირო ცხოვრების წესები, მისი ცხოვრება

შემოსავალთ კანონიერის პირობებით დარწმუნებული იყავით, რომ ის ქრისტეს მცნებას არაფრით ეწინააღმდეგება, ის იქმნებაჭეშმარიტი ადამიანი, სუფთა, წმინდა მოქალაქე. პრუდონმა ბრძანა, რომ სუფთა გონება წარმოშობს სარწმუნოებასაო. თუ კაცს სუფთა, ფაქიზი და თან დადინჯებული ცხოვრება არა აქვს, მისგან ძნელათ რომ სიწმიდე და მისი მსგავსი რამე წარმოიშობოს. აღზარდეთ კაცი კარგად, შეუსრულეთ მას ყოველი საცხოვრებელი მხარე და მერე ის თვით მიაღწევს უმაღლეს, წმინდა ფაქიზს წერტილს, უამისოდ კი ყოველივე ამავოა. რამდენიც უნდა ხსენებული წიგნებისთანა წიგნები ვბეჭდოთ და ხალხს სულ განდეგილებზედ ჩავსჩიჩინებდეთ, რომ იგინი ისე მოიქცენ და ასე, მაინც ამით ვერას გავაწყობთ, ჩვენ იმათ ვერას ვასწავლით და ჩვენი შრომაც უმნიშვნელოთ დაშთება.

კაცი თუ გაჭირვებაშია, კაცი თუ გაჭირვების მოთმინებისაგან მობეზრებულა, მას თუ დღიური საზრდო აწუხებს, იგი თუ ხშირად იქანცება, მუშაობისაგან დიდათ იღალება, დაღალულს ხაღისი აქვს წამხდარი, მუშაობაზედ გული არა აქვს, რადგანაც მასში იგი სანაყოფოს ვერას ხედავს, სამაგიეროს ვერ იღებს, ამიტომ იგი ხშირად მშიერია, თავის უფროს სამუშაოს ფულს დღე და ღამ ეხვეწება. სიღარიბის წყალობით რიგ ანად ტანზედ ვერ ჩაუცვავს, ფეხზედ, კარგი, მშრალი ოთახი არა აქვს, კარგი საწოლი, სარეცხი, მასთან სიღარიბისაგან ცოლშვილობას ვერ მოჰკიდებია, ერთის სიტყვით, წართმეული აქვს და მოსპობილი ყველა ის საჭირო მხარეები, რაც კი კაცისთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს. ვიტყვით, რომ ასეთ პირებს დღეს თქვენ ვერაფერს შეაყვარებთ, ვერც წმინდანებს და ვერც სხვებს, თუ იგინი მშივრები არიან და ცხოვრებით წყალ-წაღებულნი.

ესენი ასეთისას ვერას მიეთვისებიან, მათი გული ვერაფერს მიიკარებს, რადგანაც მათ სულ სხვა ძალა აწუხებს, ეს ძალა არის კაცის ცხოვრების სრული წესები. უამისოდ მათთვის ივანეც მკვდარია, გრიგოლიცა და ვასილიც, ეს მათთვის გროშათაც არ ღირს; ვისაც სურს, რომ ერში ხსენებული წიგნების კითხვა გავრცელდეს, იმან ჯერეთ ხალხს ცხოვრების წესები უნდა შეუცვალოს, გაჭირვება და ცხოვრების ვაება უნდა შეაგნებინოს, მათში უნდა სრული ცხოვრების წესები დამყაროს, რომ ერი შშიერი არა კვდებოდეს, ნაწლავებზედ ფეხს არ იდგავდეს, მთელ სიცოცხლეს გმობით არ ატარებდეს, სიკვდილის დროს სიცოცხლეს კიცხვით არ ლევდეს და აი მაშინ შეიძლება, რომ ასეთ პირებმა ხსენებულთ წიგნების გმირთა ცხოვრებანიც წაიკითხონ.

გამოჩენილმა შლეიდენმა საფუძვლიანათ სთქვა, რომ ვიდრე ერთს ოთახში მშვენიერი საჭმელები ლპობაში იქმნება და იმავ ოთახის გვერდით მეორე ოთახში კი მშიერთ კბილები კაწკაწით ექმნებათ მომართული, მინამდისინ მე არაფერს ვიწამებო. უნდა მოგახსენოთ, რომ თითქმის ყველა ევროპის მოაზრე ასეთის შეხედულების არის თანამედროვე ცხოვრების და მის მხარეებზედ. ესეთი ქადაგება ევროპაში მათ წარჩინებულ მეცნიერთა და ფილოსოფეთაგან ძველადგანვე მოისმოდა. ამას ჰქადაგებდა ოვენი, სენ სიმონი, ფურიე და მრავალიც სხვანი. სნეულსა და გაჭირვებულს თქვენ ვერაფერს შეაყვარებთ, თქვენის წმინდა მამებისას ვერაფერს ასწავლით, თუ მათ ცხოვრებისაგან დღე აქვთ გამწარებული. კაცში რომელიმე პირის გაცნობის სიყვარული მაშინ იბადება, როცა იგი დაჯილდოვებულია ღღიურის საზრდოების საჭიროებით, უამისოთ კი ყოველივე მისთვის ამაოა, თუ ის სულ უსაქმური. ოთგებარი ბენტერა ქათამი არ არის.

იყო დრო, როცა ამის შეგებება ეჭვიანობას არ

ჰქონდა, არ ესმოდათ, ეხლა კი მათ კარგად ესმისთ ეს, მათ კარგად შეიგნეს, უსმენელობის მდგომარეობიდამ გამოვიდნენ უკვე, მათში პროგრესის სხივ'ა შეანათა, ნათელმა რეალურმა მხარემ თავის დასაწყისი მიიღო. მათი ცხოვრება არ საჭიროებს ასეთ წიგნებს, იგი არა თხოულობს ამას, ვინც ამას აუხირდება, ეს იქ ნება მხოლოდ ძალათ ცხონება, მათი ძალ-დატანება. ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ, რომ ერს მივაწოდოთ ისეთი წიგნები, ისეთი ცოდნა და დარიგება, რასაც მათი ცხოვრება თხოულობს, მათი განკაცება, გონებითი განვითარების ქვემდებარება, ათას ნაირი უმეცარი მიდრეკილება. რომელ ერსაც გული სტკივა თავის დავრდომილ გაუნათლებელ თანამემამულეთათვის ის სწორეთ ასეთის მიდრეკილებით აღმხედრდება, იგი ასეთი მიმართულებით დაიწყებს სამსახურს, ვისაც ეს არა სწამს და ის კიდევ უკულმართობას დაადგება, ამ უკულმართობით არას იზარალებს, არას წაიგებს, ხალხის უმეტესი ნაწილი უკულმართულს უმეცრებაზედ სდგას და ეს უმეცრებაც რასაკვირველია უდრო ხიბლავს მდაბიოთ, მდაბიონი ამას უფრო სცემენ პატივს.

უმეცართა გამომცემელთ წიგნებს უფრო ეხსნება ბაზარი, უმეცარი გამომცემელნი უმეცრულის წიგნებით უფრო ფარფასებენ, მათს უმეცრებას კარგი გასავალი ეძლევა, იგი ფესვს იდგავს, ამის ადგომით იგინი გროშებსაც იძენენ, ვაჭრობა ეხსნებათ, მახინჯი წიგნების ბაზარი ემართებათ, ხოლო იგინი ამით რავდენ საკნო საქმეებს სთესენ, რავდენ ვნებას და მოშავლისთვის მაგარს ბოროტებას. ამაებთან მათ საქმე არა აქვთ. მათთვის სულ ერთია, მდაბიო ერი გინდ უმეცრებაში ჩამოიხრჩოს, გინდ უმეცრების წყალობით გაწყდნენ, ეს სულ ერთია, ოღონდ მათ კი გაასაღონ თვისი მახინჯი წიგნები. იგინი ამბო-

ბენ: — „თუ მე არ ვიქნები, მაშინ ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო“.

ეს უკულმართი მოსაზრება მათს ბაირაღს შეადგენს, ამიტომაც არის, რომ იგინი გონებით განუვითარებელ ერს გონებით უფრო აბნელებენ, ჰაზრს უმახინჯებენ და ამ საგმობ დამახინჯებით თვით კი სარგებლობენ. თუ ეს ასე არ არის, მაშინ მათი საქმე აღნიშნულს გზას მკაცრად მოსცილდებოდა, იგი სხვა გზას დაადგებოდა, ეს გზა იქნებოდა გაუნათლებელთა მომზადების ღიადება, მის სასარგებლოდ სამსახური, მაშინ ამათი თავობა და შრომა დასანატრი იქმნებოდა მომავალში. მწიგნობარ კაცს სხვა რა მოეთხოვება მწერლობის ასპარეზზედ თუ არ ერის იარების განკურნება, მის მალამოს გამოძებნა. მწიგნობრობა სარკე უნდა იქმნეს ერისა და მის ცხოვრების, გაუნათლებელს ერს მწერლობა სარკედ უნდა უჩვენონ, შიგ უნდა ჩაახედონ და იქ უნდა აჩვენონ თავიანთი ნაკლი. ნაკლი როგორც ცხოვრების მხრივ, ისევე გონების სიბნელით. ესენი კი ამას არ სჩადიან, არ სჩადიან მით, რადგანაც მათ ამის შეგნება და გონებაც არ შესწევს. ამათ რომ ამის შეგნება ჰქონდეთ, თან კაცად-კაცური მიმართულებისაც რომ სწამდეთ რამე, მაშინ თვისგან ნაღაღადევ მცნებათა გარეშე, ხალხის ცხოვრებაში სხვა მხარეებს დაინახავდნენ საჭიროდ, ამ დანახვით ჯერეთ თვითონ მოემზადებოდნენ, განათლდებოდნენ და მერე დაიწყებდნენ მწერლობას და სამსახურს. რადგანაც ამით ამის შეგნება არა აქვთ და ამ შეუგნებლობით ვნება კი დიდი მოაქვთ, ამიტომ აქ მე კითხვათ დავსომ შემდეგ საუბარს და იმედია, რომ ეს მათთვის საგულისხმოთ დაშთება, კითხვების დასკვნას თვით შეადგენენ.

ზემოთაც ვსთქვით და აქაც ვიტყვით შემდეგს: ქართველი მდაბიო გაუნათლებელია. მან არ იცის მეცნი-

ერულად, თუ რა არის სამყარო და მისი სხეული, მისი შექმნა და დასაწყისი, ე. ი. გეოლოგიის ნაწილის თანხმად პოპულიარული მცნება. არ იცის ცის სივრცე და მის სხეულის ანუ მნათობების ვითარება, ნამეტურ მზე და მთვარე, დედამიწის ტრიალი და მათის მიმზიდველობის ძალით ერთმანერთის დაკავება. არ იცის რისგან შესდგება სინათლე, სიბნელე, სიცივე, სიცხე, ზღვები და ათასი ამ გვარნი; დედამიწის სულიერი არსებანი, პირუტყვი, მწერი, ფრინველნი, ქვემძრომნი, კაცი, მცენარეები, ზღვის სულიერი ცხოველნი, მათი საზრდოება, შექმნა ყოველ ცხოველთა, მათი ნათესავობა კაცთან, მცენარესთან და პირუტყვებთან, გარდაქმნა, გარდაშენება, კაცის მოშენების დასაწყისი. არ იცის კაცმა თავის შესახებ არაფერი, აგებულების, მთელის ტანის შემადგენელ ძალის, არა აქვს შედარებითი ცოდნა კაცის და ცხოველთ ნაწილების, ნამეტურ ძვლების და ათასი სხვა ამ გვარების, არ იცის ჰაერის სისუფთავე, მისი მნიშვნელობა, არ იცის კაცის სიცოცხლე და სიკვდილის მიზეზები, არ იცის სქესებრივი კანონები და ათასიც სხვა როგორც სამეცნიერო საჭირო კითხვების, ისევე ფილოსოფიის.

დავანებოთ ამ რთულს სამეცნიერო და ფილოსოფიურს ვალდებულებას თავი. მან არ იცის ბოტანიკა, არ იცის პირუტყვების ცხოვრება, არ იცის სხვადასხვა ჭია-ღუათა შექმნის მიზეზები, არ იცის თუ რისგან რა ჩნდება, რა არის მთა-მადნები,' ლითონი და მრავალნიც ამ გვარნი, რაც კი ევროპაში საერო სკოლების საშუალებით სახელოვნებს და დღესასწაულობს. ეს ჭეშმარიტება გახლავთ. საფრანგეთის ერთს საერო სკოლაში გამოჩენილმა გერშენმა თავის ვარსკვლავთ-მრიცხველური გამოკვლევა „მზე“ საჯაროდ წაიკითხა, იქ ეს სოფლის ბავშვებმა კარგად გაიგეს, რადგანაც იგინი მომზადებუ-

ლნი არიან და ჩვენში კი მისი გაგება თვით მუშებსაც არ აქვთ, ისეთ მუშებს, რომელნიც ქალაქ ალაგას სცხოვრებენ. დავანებოთ ასეთ კითხვებსაც თავი და ვიტყვით შემდეგს:

ქართველმა მუშამ და მდაბიომ არ იცის თავის თავის მოკლა, არ იცის სისუფთავე, არ იცის ჭამა, სმის ზომა და გემო, არ იცის ლოთობის მავნებლობა, მრუშობის შედეგი. არ იცის სხვადასხვა კაცის მომსვპელ სენთა ვითარება, მას ახრჩობს ყელჭირვება, ხუნაგი, სხვადასხვა ამ გვარი სატკივრები, შხამავს სიფილისი, სტანჯავს ბნედა, ბუასილი, შირიმი, სიჭლექე და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვა ამ გვარნი, ნამეტურ ბავშვების ავადმყოფობა და მომსვრელი სენი, არ იცის თუ რისგან შესდგება ხორველის მიზეზი, ჟამის, მუნის, ქეცის, სიქაჩლის და სხვანი. არ იცის საქონლის სენის საშუალება და უამისოდ ხშირად მას უკვდება ერთათ-ერთი მწველელი ძროხა, თხა, ხარი, კამეჩი და ვინ იცის სხვა რამდენი ამისთანანი, ამით მას რასაკვირველია ყელი ეჭრება, მიწასთან სწორდება, ველარას აწყობს ცხოვრებაში, უამისოდ ვერც სახელმწიფო ხარჯს ხდილობს, ვერც საოფლოს, ვერც სამღვდელოს, ვერც საბეგროს, ვერც თვით ცხოვრობს, ცხოვრობს რაღა, ერთი ის არის რომ პირში სული არ ამოსდის, არ კვდება, თორემ სხვაფრივ მთლათ მკვდარს ჰგავს მისი არსებობა და ცხოვრების მოწყობილობა.

არ იცის ფრინველების მოშენება და მოვლა, არ იცის მათი სნეულების მკურნალობა. არ იცის მათი გამრავლების ოსტატობა, რაც ევროპაში წინ არის წასული, არ იცის ადგილების გაპატივება და მისი ბოვლა, რომ მის საშუალებით მოსავალი უფრო კარგი მოუვიდეს, არ იცის მცენარეების მოვლა, მოშენება, მყნა და კამრავლება, არ იცის მის ნაყოფის მოვლა, პატრონობა.

ხშირად მთელი ვენახის ხილეულობა თვალწინ ულპება, იგი ვერ დაუკრეფია, ვერ გაუხმია, საზამთროთ ვერ შეუნახავს, ან გასაყიდათ მაინც ვერ გაუტანია, რასაც სხვაგან დიდი გასავალი აქვს, თვალთწინ უფუჭდება პური, ხილეულობა, მისი ძვირფასი ნაყოფი და ამავ დროს მას არა აქვს მისი შნო და ცოდნა, რომ ზაფხულის ნაყოფი აკრიფოს, გაახმოს, ზოგი სხვაგან გაყიდოს, ზოგი თავისთვის შეინახოს.

დღეს, თვალწინ ყველა ესენი უფუჭდება და ხვალ კი უამისობით მშიერი კვდება, ვალებისაგან ირბევა. ზამთარში მისთვის უბრალო ჩირიც კი ფასად ღირს, მაგრამ მას ვინ მისცემს ამას, როცა მან ვერ შეინახა იგი, ვერ მოუარა, ვერ აკრიფა. არ იცის სხვადასხვა ტყის მოსავლის მოვლა და მის შენახვა. არ იცის ვაზის წამლობა, ღვინის დაყენება, მის განკარგება და გასუფთავება. ხშირად უფუჭდება ღვინო, უხდება ჭაჭა, რჩება ცარიელი, ყელი ეჭრებათ ყველას, ოჯახი ეცემა ძირს. მისთვის რომ არ მოხდეს ეს უბედურება, სულ უბრალო ელემენტალური ცოდნა არის საჭირო, მაგრამ როცა ეს მათ არ აქვთ შეგნებული, როცა ეს უბრალო საჭირო სასწავლებელი არ იციან და მათ ამას არც არავინ ასწავლის, ამიტომაც არის, რომ მათ ამ უსწავლელობით ყელი ეჭრებათ და უკანასკნელ დიდს სიღატაკეშიც ვარდებიან.

არ იციან სხვადასხვა საჭირო ხელოსნობა, ნამეტურ ევროპის განათლებულ ერთა, არც ერთს საჭირო სატეხნიკო და სამეხანიკო ოსტატობას ჩვენში გზა და კვალი არა აქვს, ერთის სიტყვით რაც კი რამ მოდის ჩვენში ტანთსაცმლის ნართი, ან ჭიქეულობა, რკინეულობა და ათასიც ამ გვარნი სულ სხვების ხელით კეთდება, ჩვენ მარტოდ პურის კეთება ვიცით, ხაშის და ლობიოს მოხარშვა და ღვინის კეთება, ესეც ვაი-ვაგლახით, ჭაპან-

წყვეტით. ერთი რიგიანი ხელოსანი ჩვენ არა გვყავს. ვაჭრობის და მის ოსტატობის ხომ სულ არაფერი ოსტატობა და წარმოდგენა გვაქვს. ერთის სიტყვით ქართველი თავის ქვეყანაში ცარიელ ჩონჩხს წარმოადგენს, იგი არაფერია, იგი უვიცია, იგი უპატრონოა, იგი თავის ცოდნით უფრო წარსულის უმეცრულს იდეებს ეკუთვნის ვინემც დღეინდელს, მისთვის არავინ რას ზრუნავს, მისთვის არავინ რას შრომობს. დღეინდელი ქართველი ასეთ დაქვეითებულ ერს უფრო უკან სწევს, მათ გულში ძველს მცნებას უხუსტებს, ძველის გმირების ცხოვრების ცნობას, მათ მიმბაძაობას, რომელიც სადღეისოთ უნაყოფოა, უნიადაგო, უმნიშვნელო და ყველგან და საყოველთაოდ სასტიკათ საგმობი და საკიცხი.

ქართველი მდაბიო განა აქ მოთვლილის საგნებით არის უმეცარი, არა, მას კიდევ ბევრი სხვა უმეცრება სჭირს. იგი უმეცრების საშუალებით მონა არის ცრუ მორწმუნეობის, სხვადასხვა ძველის უმეცრულის ჩვეულების, მას უმეცარის ჩვეულების არაფერი აწუხებს, მას თვალხილულათ სწამს ყოველი უმეცრება და სივერაგე, სწამს ცრუ-მორწმუნეობის ყოველი წესი და მისი აღსრულება, აქა-იქობაში სიარული, ფულის დახარჯვა, ლოთობა და სხვანი, რის საშუალებით ხშირად ავათაც ხდებიან და უსიხარულოთ ისპობიან, ხშირად უკანასკნელ ცხვარს და ხბოსაც კი საღმრთოდ სწირვენ და მით იღუპვენ თავებს, ხშირად ესეც არ აქვთ, მაგრამ ნაწლავებზედ ფეხებს იდგავენ, მუშაობენ, მშივრები კვდებიან და საღმრთოსა და შანისთვის კი ფულს ინახვენ, რომ მერე მათ შეასრულონ დანაპირები.

ასეთ საქმეების შესრულებით და მკითხავების აყოლით ვინ იცის მათ რა არ ემართებათ. ხშირად მეზობლებსა და ნათესავებს შორის მტრობაც ვარდება, რადგანაც მკითხავმა ზოგიერთი პირი მტრათ უჩვენა, მტრათ

დაუსახა. ამას გარეშე რამდენი კიდევ ჯადოების მოგონებით იშხამება და რამდენი ბოროტება არ ითესება. ამას გარდა ქართველ მდაბიოს უმეცრულათ სწამს საიქიო, ეშმაკები და ანგელოზები, ამიტომ იგი თავის მიცვალებულს თან ახარჯავს დიდ ფულს, მართავს ქელეხს, აძღობს ხალხს და მით ვარდება ვალში. ამასაც არ კმარეულობს და უმეცრულათ ათასნაირს სხვა წლიურს გადასახდელებსაც უსრულებს, რაც მას ერთობ ძვირათ უჯდება. რამდენ ალაგას ვერ შესძლეს ასეთი ხარჯები და დაილუპნენ, ყველა მათ ჩვენ ვერ ავწერავთ, ეს ყველა ჩვენთაგანისთვის ცხადია. ამ გარემოებამ ააღელვა თვით უნიჭიერესი მღვდელთ-მთავარი ლეონიდი, და ამან ბრძანებაც გამოსცა ასეთი ცრუ წესების მოსასპობათ მთელს იმერეთში. ქართველი ერის უმეცრების ისტორიიდამ ჩვენ აქ ყველას ვერ მოვსთვლით. იგი ყველას კარგად უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული. ქართველი მდაბიო მსხვერპლია თვისის უმეცრების, ვისაც თვალი აქვს, იმას უეჭველია ამ მსხვერპლის შეწირვაც კარგად ეცოდინებათ. გარდა ამისა ქართველი მდაბიო მტერია თავის ძმის, სახლისკაცის, მეზობლის და მეგობრის, ერთ უბრალო რამის გამო მათში ყოველივე ადვილათ ირღვევა და ისპობა და დღეინდელი ძმები და ამხანაგები ერთი უბრალო რამის გამო ხვალ სულ ერთმანერთს დაუძინებელ მტრებათ უხდებიან. მათის უმეცრების წყალობით რამდენ ალაგას მოჰღებია მათ ბოლო, რამდენს ალაგას აღგვილა მათი ოჯახი უჩუმრათ, რამდენ ალაგას შეუჭამიათ ერთმანერთი ერთი შაურის გულისთვის, რამდენჯერ უნატრია ძმას ძმის დანთქმა, რამდენ ალაგას მსხვერპლიც შეწირულა, სისხლიც დაღვრილა, ყველა ამის მოთვლა აქ ძნელია, ის კი უნდა ითქვას, რომ ყველა ესენი ყოფილა უმეცრება, უმეცრების ნაყოფი. უმეცრებაში ჩამხრჩვალა ერთი თავობა, მეორე და მესამე, ეხლა თითქოს არც ჩვენი

დროის თაობას სურს, რომ ამ უმეცრებისაგან თავი დაიღწიოს, გამოვიდეს დახავსებულის ბნელის ცხოვრებიდამ და ახალი ნათელი გზა აირჩიოს.

ეხლა არ შეიძლება, რომ ზემო ხსენებულ წიგნების მწერლებმა და მბეჭდავებმა ბრძანონ ის, თუ ასეთ მდაბიო უმეცრად დაშთენილს ხელოსნებს, მუშებს და გლეხებს რა უნდა მივაწოდოთ, რა გვარი წიგნები, რა შინაარსისა, რა მიმართულების, რის გამავრცელებელნი, რის მასწავლებელნი, რის მღაღადებელნი?!: ჩვენ ამის განმარტებას არ შევუდგებით. თუ თვალი აქვთ და სმენა, მაშინ იგინი ამ საჭიროებას კარგად მიხვდებიან, თუ ასეთ ერისთვის რა წიგნები უნდა იბეჭდებოდეს, მათში რა უნდა გავრცელდეს, რომ მის გავრცელებით აღნიშნულს უმეცრებას ძირი მოეთხაროს, ანდერძი აეგოს, იგი სამუდამოთ დაილეწოს მდაბიოთა თავში და მის დალეწვით მუშამა და ხელოსანმაც იგრძნოს სინათლე, გაიცნას განათლების გემო, ფასი და მისის წყალობით იგიც განათლებულის ადამიანის გზას გაჰყვეს. სწორეთ უნდა ითქვას, რომ ასეთ ერს რაც გინდ „ალექსიანები" ათასობით უბეჭდოთ და აკითხოთ, მით არაფერი გამოვა, საბოლოოთ ვერაფერს გავაწყობთ. ერთხელა და სამუდამოთ საგმობელ ჯურღმულს ვერავითარი პუჯლუგუნი ვერ წაეკვრება, უმეცრების ფესვი საძირკვლიანათ ვერ დაიწყებს ამოვარდნას. სულ ამისი მეოხება გახლავთ, რომ ძრიელ ხშირად აწინდელ პოლიტიკურ ასპარეზზედ მოღვაწე ანუ მომქმედ მუშებს და ხელოსნებს დიდი უვიცობა, მოუმზადებლობა ეტყობათ. მიტომაც არის, რომ მათი მოქმედება უფრო ბავშვურ თამაშობათ შოება და სამერმისოდ ნაყოფი არ მოაქვსთ.

ქართველი მდაბიო ერის მდგომარეობას დღეს მალამოდ ევლინება უკვე სხვა და სხვა სამეცნიერო წიგნები. მაგალითებრ, ადრე გამოსცა უბედურათ დაღუპულმა ვ.

ალნიაშვილმა პაწაწა ბოტანიკა, მინერალოგია და ზოოლოგია. 3. სურგულაძემ სთარგმნა რამდენიმე წიგნი საზოგადო მეცნიერებიდამ, თითო-ოროლა სხვებმაც სთარგმნეს და დასტამბეს. დღეს კი, ეს მხოლოობითი რიცხვი მრავლობით ხდება, ქართული მწერლობის ასპარეზზედ მარტოდ ერთის კაცის კალმის შრომით და ერთის წარჩინებულის სტეფანე ზუბალაშვილის წყალობით სამეცნიერო წიგნები დღეს თვე და თვე და სისტემატიურად იბეჭდება.

ჩვენს დროში, ასეთი შრომა, მდაბიო, საწყალი და გაუნათლებელი ერის წინაშე, ასეთი სამსახური, ჩვენში ძრიელ იშვიათია, ძრიელ ძნელი, იგი მისაბაძია. ეს საქმე რომ ძნელია და თან მისაბაძიც უნდა იყოს, ამას გამოაჩენს თვით წიგნების შემდეგი სახელები: 1) წერილი სოფლელ მუშას, მეორე გამოცემა ხდება საჭიროდ, ფასი 5 კაპ., 2) დიფტერიტი, ფ. 5 კაპ., 3) მეცნიერების დედა-აზრი, ფ. 5 კაპ., ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება, ფ. 5 კაპ., 4) რა არის გონებითი გახსნა-განვითარება, ფ. 5 კ., 5) პურის ბოსტანი, 5 კ., 6) დანაშაულობა და დამნაშავენი, ფ. 5 კაპ., 7) მეურნეობა და ახალი სკოლა, ფ. 5 კაპ., 8) ბავშვების გონიერი მოვლა, ფ. 5 კაპ , 9) შინაური ფრინველების მოვლა-მოშენება, ფ. 15 კაპ., 10) რა არის დოსტაქრობა ანუ როგორ არჩენენ ადამიანებს აქიმები დანით, ფ. 5 კაპ., 11) მურია, საყმაწვილო წიგნი სურათებით, ფ. 5 კაპ., 12) თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა ქართულის შემწეობით, ფ. 20 კ., 13) სულით ავათმყოფი მოსწავლენი, ფ. 5 კაპ., 14) ხეხილის გამრავლება და მოვლა, ფ. 5 კაპ., 15) მთვრალობა და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კაპ., 16) ცხვრის ყვავილი, ფ. 5 კაპ., 17) ქვეყნიერების მასალა ანუ მატერიის ქიმიური რაობა, ფ. 7 კაპ., 18) საუნჯე მეურნისა, ანუ მო-

ვლა-მოყვანა და გამოყენება ყოველ-გვარ ხეხილისა და უბრალო ხეებისა, ფ. 15 კაპ., 19) დაღესტნის იმამები და შამილი, ფ. 10 კაპ., 20) სახალხო სახლი და მისი საზოგადოებრივი აღმზრდელი მნიშვნელობა, ფ. 5 კაპ. 21) საუნჯე ავათმყოფისა ანუ აღწერა და წამლობა ყოველ-გვარ ავათმყოფობისა, ფ. 15 კაპ. და სხვ.

უნდა ითქვას, რომ ასეთი წიგნების გამოცემა ხალხის სამსახურის ასპარეზზედ პირველს სამაგალითო საქმეთ ჩაითვლება. ასეთი სამსახურის ფასი ვერაფრით დაფასდება, ვერ აიწონება. ეს საქმე არის გონივრული საუნჯე, გონივრული გზა და კვალის გახსნა მდაბიო ერის წინაშე. ეს წიგნები არის მდაბიოთა სკოლა, ამით წავლენ იგინი წინ, ამით წადგამენ ფეხს ყველა სამეცნიერო ნაწილში, სატეხნიკოს და სხვებშიც.

ამის ნიშნები ჩვენ უკვე ვნახეთ და რომელმა მუშამაც კი, ხელოსანმა, ან გლეხმა ამ წიგნებით რამე შეისწავლა, ხსენებული წიგნები წაიკითხა, ის მომავალში გონივრულ თვალხილებლათ აღმოჩნდა. ასე და ამ გვარად, ჩვენ, ვისაც კი გვწამს მდაბიო ქართველთ განკაცება, მათი ფეხზედ დადგომა და რიგიან სასარგებლო ადამიანებათ გახდენა, მაშინ სწორეთ ამათ განკაცებისთვის ასეთი წიგნებით უნდა ვიშრომოთ, ასეთი წიგნები უნდა დავწეროთ და ვბეჭდოთ. ამითი ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ქართველ ინტელიგენციას, საზოგადოებას და მწერლობას ქართველ მდაბიოთათვის გული შესტკივათ, მათს განკაცებას, გამოქალაქებას და მამულისშვილობას უაღრესად ელტვიან. უამისოდ კი ყოველივე ამავო იქნება და ვერავინ ვერაფერს ვალს ვერ მოიხდის, ისეთ ვალს, რომელიც ყოველ მოღვაწეს და გულშემატკივარს ზნეობრივ ვალად აწევს, რათა მან თავისი მოქმედების ასპარეზი გონივრულის შრომის ნაყოფით აღბეჭდოს, გონე-

ბით ვრდომილ ერს რამე ასწავლოს და ცხოვრების ბნელი გზა გაუნათოს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ზემოთ დასახელებულ საერო სამეცნიერო წიგნების დამწერთ, როგორც სჩანს ქართველი ერის ასეთი ნაკლი ალბათ კარგად სცოდნიათ, ალბათ მათ შეგნებული ჰქონიათ ამის საჭიროება, რომ შრომისთვის ხელი დაუდვიათ და ქართულს ენაზედ მრავლათ შესანიშნავი და თან მეტად უსაჭიროესი წიგნებიც უთარგმნიათ და დაუწერიათ. ასეთი წიგნების ხსენება ჩვენს ქვეყანაში იმავ სოფლის დაარსებიდამ არას დროს არ ყოფილა, არას დროს არ მომხდარა. ეს პირველი მაგალითია. მართალია ადრეც გამოდიოდა ჩვენში სხვადასხვა გამოცემანი, მაგრამ არც ერთს მათგანს ამგვარი არა გაუკეთებია რა გარდა გაზეთ «მეურნისა», ხოლო მანაც ერთობ მოკლე დროს შესძლო სიცოცხლე, თუმც ნაყოფი კი გამოუჩნდა. დღეს, ეს კი სულ სხვა მოვლენა არის. ადრე წელიწადში ერთი წიგნი დაიბეჭდებოდა და ეხლა კი ექვსი თვის განმავლობაში ოცი სხვადასხვა სამეცნიერო წიგნები გამოიცა. წიგნების უმეტესი ნაწილი სულ თარგმანებია, იგინი ეკუთვნის ევროპის და რუსეთის წარჩინებულ მეცნიერ მწერალ პროფესორთა კალამს, ყოველ წიგნს ჩვენში შემოაქვს თავისი ძალა, სახსარი ერის, სარგებლობა, გონების სინათლე და სხვა. ასეთ წიგნების საჭიროება და მარგებლობა მთელმა საზოგადოებამ პირნათლათ აღიარა. ბევრს ალაგას ამ წიგნებით მოქმედებაც დაიწყეს. ნაყოფიც გამოჩნდა, ჩვენს დროში, ამაზედ უკეთესი სამსახური ქართველის მდაბიოსთვის დღეს სხვა აღარა არის რა დაშთენილი. მათი ცხოვრების მალამოს და სწავლის სინათლეს მხოლოდ ასეთი განვითარება შეადგენს.

ყველა ეს საჭირო წიგნები იბეჭდება ჩვენის ქვეყნის მამულისშვილის სტეფანე კონსტანტინის ძის ზუბა-

ლაშვილის საფასით და ნატვრით და მიტომაც არის, რომ ყოველ წიგნაკს მეტად მცირე ფასი აქვს, წიგნს ერთი შაური. ამ სივრცის წიგნების ასე იაფად გამოცემა ყოვლად შეუძლებელია, ეს მეტად ხელმისაწდომი ფასია, ამიტომ ჩვენ სრულის გულით და პატივისცემით ვეგებებით ჩვენის ქვეყნის მამულისშვილის სტეფანე კონსტანტინის ძის განზრახვას, რომ იგი თავის ერის ვანსანათლავათ არას იშურებს, მას ენატრება, რომ ქართველი ერიც თვალხილულ განათლებულ ერათ იქცეს, იგი გამოვიდეს ბნელის მდგომარეობიდამ და განათლების გზას დაადგეს, ევროპის განათლებულ ერთა შორის ადგილი დაიკავოს, უკანასკნელ, ისახელოს თავი როგორც ცოდნით, ისევე ოსტატურის შრომით და საქმით...

ია მარუშიძე.

სექტემბერი და ოქტომბერი, №№ IX და X, 1903 წ.

მოგზაური

1903 წელს ჟურნალი

„მოგზაური"

მთავრობის ნება-დართვით

გამოვა ახალის გავრცელებულის პროგრამით, ე. ი. ჟურნალში დაიბეჭდება **პედაგოგიური, სამეურნეო, სამკურნალო-სამეცნიერო** და **ისტორიულ-გეოგრაფიული** წერილები. რედაქცია სთხოვს მასწავლებლებს, მეურნეებს, მკურნალებს და სამეცნიერო საგნების მიმდევართ მოაწოდონ მას ყოველგვარი წერილები მოხსენებულ საგნებიდამ. საუკეთესო წერილებს, ხალხისათვის ადვილ-გასაგების ენით დაწერილებს, რედაქცია იმავ დროს იაფ-ფასიან წიგნაკებადაც გამოსცემს.

ფასი ჟურნალისა იგივე **5 მანეთია**, ხოლო მასწავლებლებისათვის და ხელ-მოკლე დაწესებულებათა თვის—4 **მანეთი**.

ადრესი ფოსტით: *Тифлисъ, Редакціи* „МОГЗАУРИ" (*Межевая ул., № 72*).

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

თბილისი

სტამბა ექვ. ივ. ხელაძისა. რუსის ბაზარი, საეკკ. სახლი.

1903

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го сентября, 1903 г.

რა სახისა უნდა იყოს საზოგადოდ

სახალხო სკოლა ⁂ როგორ უნდა მოეწყოს იგი ჩვენში თუ სხვაგან?

(№ 133 „ოგურიიდამ").

„მოგზაურის" მეშვიდე-მერვე ნომერში ჩვენ დავბეჭდეთ წერილი, რომელშიაც საკმაოდ ვრცლად განვმარტეთ, თუ რას უნდა ასწავლიდნენ ჩვენს სახალხო სკოლებში და რა სახით უნდა განაწილდეს ეს სწავლა სამშობლოსა და რუსულს ენას შორის. ვისთვისაც საინტერესოა ეს საგანი, ვსთხოვთ მოხსენებულს წერილს მიმართოს, ახლა კი საჭიროთ ვრაცხთ შევეხოთ იმას, თუ რა სახისა უნდა იყოს საზოგადოთ სახალხო სკოლა და როგორ უნდა მოეწყოს იგი ჩვენში თუ სხვაგან.

ბევრსა ჰგონია, რომ რამდენადაც მეტს ხანს იჯდება მოსწავლე კლასში, რამდენადაც მეტს ხანს ამეცადინებენ მოსწავლეებს წიგნურს სწავლაში, იმდენად მეტს სწავლასა და ცოდნასაც შესძენენ, მაგრამ ინგლისის პროფესორის ჰეჯეტის შესანიშნავმა გამოცდამ ყველანი თვალნათლად დაარწმუნა, რომ ხანგრძლივი წიგნური მეცადინეობა ხშირად სრულიად წინააღმდეგ მოქმედობს ბავშვებზედ: ასუსტებს არა თუ მარტო ფიზიკურად, არამედ გონებითაც. აი, შესანიშნავი გამოცდა პროფესორისა:

რომ ნამდვილად დარწმუნებულიყო თუ რაოდენად ჰქანცავს და ადუნებს მოსწავლეებს აწ არსებული მეცადინეობა სკოლებში, პეჯეტმა, რომელიც კმაყოფილი არ იყო თავის კლასის მოსწავლეების სწავლა-ცოდნით, გაჰყო კლასი ორ ჯგუფად: ერთს ჯგუფს ამეცადინებდა იმდენს ხანს, რაც დაწესებულია კანონით, ხოლო მეორე ჯგუფს ასწავლიდა მარტო მის ნახევარ დროს, დანარჩენს ხანსაკი ეს უკინასკნელი მოსწავლენი წმინდა ჰაერზე თამაშობაში იტარებდნენ. ახლა რა აღმოჩნდა წლის ბოლოს? აღმოჩნდა, რომ მოსწავლენი, რომლებმაც მარტო ნახევარი დრო ისწავლეს, უფრო მცოდნენი და ბეჯითნი აღმოჩნდნენ, ვიდრე ის მოსწავლენი, რომლებსაც დადგენილს დროს უკლებლად ამეცადინებდნენ და ასწავლიდნენ.

ამითი ჩვენ ის გვინდა ვსთქვათ, რომ მარტოოდენ ხანგრძლივი წიგნური მეცადინეობა კლასში ვერაფერი თავდებია იმისა, რომ მოსწავლე უეჭველად უფრო უკეთ ისწავლის, უკეთ გაიხსნება, უკეთ განვითარდება. გვითქვამს და კვლავაც ვიტყვით, რომ მარტოოდენ წიგნური მეცადინეობით თანამედროვე სკოლა ყოვლად უკულმართად აწარმოვებს მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს, თვისის დღევანდელის წეს-წყობილებით და ტრადიციით თანამედროვე სკოლა ისეთსავე განდეგილებს გვიზრდის ცხოვრებისას, როგორც ოდესმე ცუდად გაგებული ქრისტიანობა. განსხვავება აქ მხოლოდ იმაშია, რომ ძველის დროის განდეგილი ყოველის ღონისძიებით ჩვეულებრივ იმიტომ ვაურბოდა საზოგადოებას, რომ ხელშეუშლელად ემოღვაწნა ღვთისადმი ლოცვა-დიდებაში, ხოლო დღევანდელი განდეგილი ცხოვრებისა მოკლებულია ამ ნუგეშსაც: იგი ჭირსაცით გაურბის საერთო ცხოვრების უღელში შებმას, გაურბის ცხოვრებაში მუშაობა-ძოღვაწეობას, ოჯახის მოკიდებას, შვილების ყოლა-აღზრდას

და სხვა, რადგანაც საამისოდ არც არავის გაუზრდია იგი... თანამედროვე სკოლა სდგას ყოვლად განკერძოებულად ცხოვრება-ბუნებისაგან, თითქოს იგი ღვიძლი შვილი-კი არა და გერი იყოს მისი...

სწორედ რომ ასეთისავე სკოლების გავლენით და აღზრდით აიხსნება ის საშწუხარო ამბავი, რომ ჩვენშიაც და რუსეთშიაც დღევანდლამდე არ ისპობა იმ აზრის ქადაგება, რომ სახალხო სკოლა მარტოოდეს წიგნურს სწავლა-აღზრდას უნდა ეშსახურებოდეს, მარტო წიგნს უნდა ჩასჩიჩინებდეს მოსწავლეებს მაღალი ფასი-ხუთი წლის განმავლობაში და სხვა არაფერსაო. ამას ჰქადაგებდნენ ჩვენი მწერლები უწინ და ამასვე ჰქადაგებენ დღესაც ბევრნი.

ცხადზედ უცხადესია, რომ ამათ სრულიად არ ესმით საზოგადოდ ადამიანის სწავლა-აღზრდის აზრი და დანიშნულება, არ იციან მთავარი მოთხოვნილება პედაგოგიისა და უმეტეს თანამედროვე ცხოვრებისა, არ იციან, ან არა ჰსურთ გაიგონ და დაინახონ, რომ ცხოვრება თანდათან შესანიშნაკის სისწრაფით წინ მიდის, ძნელდება, რთულდება, საჭირო ხდება ადამიანის ყოველ ძალთა მოხმარება, რომ მშიერი და უსაქმო არ მოკვდე სადმე ბნელსა და ნესტიანს სარდაფში, არ იციან და არც ჰსურთ გაიგონ, რომ მარტოოდენ წიგნური სწავლა სრულიად ამახინჯებს ადამიანის ბუნებას, ახშობს მის ბუნებრივ კრძნობასა და გონების ბუნებრივ სიჭკვეს. ამათ არა ჰსურთ დაინახონ, რომ ადამიანი ღვიძლი შვილია ბუნება-ცხოვრებისა და ამიტომ ყოვლად დამლუპველია ის სკოლა და აღზრდა, რომელიც არა თუ უახლოვებს მოზარდ თაობას ამ ბუნება-ცხოვრებას, არამედ, პირიქით, სრულიადაც აშორებს... ავიწყდებათ, რომ ცხოვრება იგივე შრომა და მუშაობაა, რომ ეს ორი ცნება განუყრელი ძმები არიან, რომ სადაც შრომა და მუშაობა არ არის, იქ არც

ცხოვრებაა, იქ სიკვდილია; აზიურად ბურანში და მონობაში ყოფნაა...

ყველა ეს აქ იმან გვათქმევინა, რომ მეტად უწესურად და არა ბუნებრივად, ცხოვრებასთან არა შესაფერად არის მოწყობილი სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენს დღევანდელს სახალხო სკოლებში. აუცილებლად საჭიროა მოვაა აწყოთ სწვლა სკოლებში ბუნებრივად და ცხოვრების შესაფერად არა მარტო საშშობლო ენაზე ამ სწავლის მოწესრიგებით, არამედ სხვა მხრივაც. ეს სხვა მხარე, ჩვენის აზრით, არის ორის აუცილებელის ელემენტის შეტანა ჩვენს სახალხო სკოლებში: 1) წიგნური ანუ სამეცნიერო ელემენტის სწავლების შეტანა, რომლის მოწყობის გეგმა ჩვენ სავსებით დავხატეთ «მოგზაურის» მეშვიდე-მერვე ნომრებში და 2) სამეურნეო-სახელოსნო-ამრეწველო ელემენტის შეტანა, რომლის საჭიროებასხმა მაღლა ჰღალადებს ჩვენი ყოველი საჭიროება და მოწინავე ერთა დრტვინვაც (იხ. პრესსა «ცნობის-ფურცელსა» და «ივერიაში», 12 ივნ. 1903 წ.).

მარტოოდენ წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლების მომხრეებმა, ეტყობათ, არ იციან, რომ სამეურნეო-სახელოსნო სწავლება დღეს ისეთივე სავალდებულო საგანია, მაგალითად, საფრანგეთის ყველა სახალხო სკოლაში, როგორც წერა-კითხვა და ანგარიში. საფრანგეთი კი, როგორც გაგონილი ექნება მკითხველს, პირველი ქვეყანაა სიმდიდრე-შეძლებით, რომლის შეძენაში, ეჭვი არ არის, მცირე წილი არ უძევს მოხსენებულ სამეურნეო-სახელოსნო სავალდებულო სწავლებას მის სახალხო სკოლებში.

მაგრამ დრო არის გადვიდეთ თვით ჩვენს საგანზედ. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ყოველი სახალხო სკოლა (სასოფლო და სამოქალაქო) მარტო მაშინ შეიქნება ნამდვილ სახალხო სკოლად, როცა იგი ეროვნულად დამოუკიდებელი იქნებ,

ნიგთიერად და სხვა გვარადაც, რომ იგი ისე იქნება მოწყობილი, რომ მისი ყოველი კარგი და ავი, მისი ყოველი წარმატება თუ წარუმატებლობა, მისი ყოველი წარმოების და შემოსავლის გადიდება და თვით მოსწავლე-მასწავლებელთა და სოზგადოთ მასში მეოფ ყველა მოსამსახურეთა კეთილ-დღეობა თვითონ სკოლისა და ამათის უსარგებლად, ამათის განუსაზღვრელს ერთგულს მოქმედებაზედ იქნება დამყარებული. დღევანდელი სახალხო სკოლები-კი ნამდვილი მონური, საწყალ გლახის მსგავსი და მასსავით მარტო სხვის შემცქერელი, ნამდვილი ბიუროკრატიული დაწესებულებაა. დროა შევიგნოთ, რომ სახალხო სკოლა არის ის დაწესებულება, სიდაც უნდა იზრდებოდეს მთელი ხალხი, მთელი მისი დიდი და მოზარდი თაობა და ამიტომ ყოველად ძალოვანიც უნდა იყოს, რომ პირნათლად შეეძლოს თვისი ამ დიადი დანიშნულების შესრულება. ეს კი მაშინ იქნება, როცა ყოველი სახალხო სკოლა მესაკუთრეად იქნება, სულ უკანასკნელი, ხუთი ან ათი დესეტინა მიწისა! სახალხო სკოლა ჩვენ მიგვაჩნია სოფლის თუ ქალაქის იმავ ოჯახად და როგორც ასეთს ელემენტს, აუცილებლად საჭიროა, რომ იმასაც იმდენი მიწა ჰქონდეს მიზომილი, რამდენიც ყოველ საშუალო ოჯახს მაინც აქვს სოფელში. ასეთს გარემოებასა და პირობებში, სახალხო სკოლაც, ვითარცა ყოველი სხვა კეთილ-განწყობილი ოჯახი, აუცილებლადვე მოვალეა თვითონვე ისე მოაწყოს თვისი ყოველი სამეურნეო საქმე, რომ საკუთარივე უნარით და შრომით დაიკმაყოფილოს თვისი ყოველი სამეურნეო საქმე, თვისი ყოველი მოთხოვნილება და საჭიროება, ე. ი. სკოლამ ისე უნდა აწარმოოს სწავლა და მასთან მეურნეობა-ხელოსნობა-მრეწველობა ამ ხუთ-ათ დესეტინა მამულზედ, რომ მისი შემოსავალი სავსებით ჰყოფნიდეს არა მარტო მასწავლებლების ჯამაგირების უხვად გასტუმრებას, არამეთ თვით მო-

სწავლეთა ჭამა-სმის გასტუმრებასაც, რადგანაც, ჩვენის გეგმით მოწესრიგებული სახალხო სკოლა აუცილებლად ითხოვს, რომ მოსწავლენი მთელს დღეს (რვა საათს მაინც) უთუოდ სკოლაში ატარებდნენ და, გარდა ამისა, ესენიც ხომ პირდაპირი მწარმოებელნი არიან სკოლის ამ საერთო საქმისა და შემოსავლისა და, მაშასადამე, ღირსნიც ამ ჭამა-სმისა (საუზმისა და სადილისა)...

ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ, თუ სახალხო სკოლის მოხსენებულს მეურნეობა-ხელოსნობა-მრეწველობას შესაფერად მოვაწყობთ და ვაწარმოებთ სკოლის ხუთ-ათ დესეტინა მიწაზედ, მაშინ სკოლას ყოველ წლივ ათიათასი მანეთი მეტი ექნება შემოსავალი და ეს კი სრულიად საკმაო იქნება მის ყველა მოთხოვნილების და საჭიროების უხვად დასაკმაყოფილებლად... არა გგონია ეს? წაიკითხეთ ბ-ნ ტ. ართმელაძის „წერილი სოფლელ მუშას“ („მოგზაური“ № 11 - 12, 1902 წ.) და დარწმუნდებით იმაში; გაიხსენეთ ის ამბავიც, რომ პარიჟში არსებობს იდიოტების სკოლა, რომელშიაც თუმცა დღეში მარტო ნახევარ საათიდამ დაწყებული, ვიდრე ოთხ საათამდის ამუშაებენ ბავშვებს სხვა-და-სხვა ხელოვნებაზედ, ამ სკოლას მაინც ყოველ წლივ მათგან გაკეთებულ ნივთების გაყიდვიდან შემოსდის 26 ათასი ფრანკი, რომლიდამაც 17 ათასი ფრანკი იხარჯება სკოლის მასწავლებლების ხარჯის გასტუმრებაზედ და ნაღდი რჩება 9 ათასი ფრანკი! ეს იდიოტთა სკოლაში!.. რაღას უნდა მოველოდეთ გონებით და სხეულით სრულიად ჯან-საღ ყმაწვილებიან სკოლაში, თუ კი ყველაფერს წესიერად და ბუნებრივად მოვაწყობთ!?. ათი ათასი კი არა, ოცი ათასი მანეთიც ცოტა იქნება, რომ ვსთქვათ მისი მთელი შემოსავალი, თუ სკოლას ათი დესეტინა მიწა მივეცით! აი ერთი მაგალითიც: რუსეთის საიმპერატორო ბაღოსნობის საზოგადოებამ ამას წინად დააჯილდოვა სოფელ

ტალიცის სკოლის (ვლადიმირის გუბერნიაში) მასწავლებელი ზუიკოვი მისთვისა, რომ მან ერთ დესეტინა მიწაზედ, მოსწავლეების შემწეობით, გააშენა ვაშლისა და ალუბლის 145 ხე, 1350 სხვა და სხვა ხილის ბუჩქი, 7000 ძირი მარწყვი და მოაწყო კარგათ ბოსტანი და სათბულები (პარნიკი), რომლებიდგანაც სკოლას საზოგადოდ აქვს ყოველ-წლივ შემოსავალი ათას მანეთზე მეტი.

ერთის სიტყვით, ბევრი დამტკიცება არ უნდა იმას, რომ მცდელ და შეგნებულ მასწავლებლებს მუდამ ისე კარგათ შეუძლიანთ მოაწყონ ორიეე მოხსენებული საქმე სკოლაში, რომელსაც აქვს ხუთი ანუ ათი დესეტინა მიწა, რომ ადვილათ გაუძღვებიან სკოლის ყოველ-გვარ ხარჯსა და მოთხოვნილებას. დრო კია, ღმერთმანი, შევიგნოთ, რომ ბევრი არაფერი სახელი და დიდებაა იმ საშეურნეო სასწავლებლებისათვის და სხვა სკოლებისთვისაც, რომელთაც მიწაც საკმაოდ აქვთ და სხვა საშუალებაც, მაგრამ თავიანთ უმაქნისობით და საქმის უცოდინარობით და შეუგნებლობით მთელ ათას მანეთობით ჰხარჯავენ ყოველ წლივ მთავრობისა და საზოგადოების ფულებს. თითქოს ეს მუდამ ასე უნდა იყოს... ასეთი სკოლები ღირსნი არ არიან ატარონ ეს წმინდა სახელი, რადგანაც ესენიც იმ კანცელარიებს და სხვა ბიუროკრატიულს დაწესებულებებს ეკუთვნიან, რომლების თვალნი და ხელ ნი მუდამ მხოლოდ საზოგადო ხაზინისაკენ არის მიმართული, აბა ოცისთვის უთუოდ მზად გვქონდეს ჯამაგირებიო!..

ჩვენ-მიერ დასურათებულ სახალხო სკოლას დასჭირდება ხუთი მასწავლებელი: ერთი მასწავლებელი მეცნიერებათა, იგივე ზედამხედველი სკოლისა, მეორე მასწავლებელი მეცნიერებათა, მესამე მასწავლებელი— აგრონომი, მეოთხე მასწავლებელი ხელით შრომისა

(учитель ручнаго труда) და მეხუთე—რჯულის მასწავლებელი და ჩვენებურად მოწყობილი სკოლა ადვილადაც გაუძღვება სუყველას! (პირველს ხანებში შეიძლება მარტო ერთი მეცნიერებათა და ერთიც აგრონომ-მასწავლებლით დავკმაყოფილდეთ).

მოსწავლეთა რიცხვი თითო მასწავლებელზე შეიძლება ვიანგარიშოთ 30, ე. ი. სულ 120 მოსწავლე, მიიღებიან მოსწავლენი რვა-თორმეტი წლისანი. წიგნური სწავლა უნდა იწყობოდეს ჰავისა და ადგილ-მდებიარობის მიხედვით, პირველ ღვინობისთვიდამ ანუ გიორგობისთვიდამ, ე. ი. მაშინ, როცა სოფელში სწყდება სამეურნეო საქმენი, და გრძელდებოდეს პირველ მარტამდის ანუ აპრილამდის, აგრეთვე ჰავისა და ადგილ-მდებიარობის მიხედვით, ე. ი.: როცა სოფელში იწყობა მუშაობა მინდორ-ბაღებში, ამ დროს განმავლობაში მოსწავლენი ყოველ დღე რომ ორ საათს მეურნეობა-ხელოსნობა-მრეწველობის სწავლას ანდომებენ, ოთხ-ხუთ საათს წიგნურს სწავლას უბეჯითებენ, რადგანაც სიცივის გამო სამეურნეო საქმე ამ დროს თითქმის რომ სულ არ არის. ხოლო პირველ მარტიდამ ანუ აპრილიდამ, ვიდრე პირველ ღვინობისთვემდის ანუ გიორგობისთვემდის-კი სწავლა უმეტესად უფრო მინდორ-ბაღებსა და სახელოსნოებში უნდა სწარმოებდეს, ე. ი. ყოველ დღე ორს საათს რომ წიგნურს სწავლას ანდომებდნენ მოსწავლენი, ოთხ-ხუთს საათს მეურნეობა-ხელოსნობა-მრეწველობას უნდა უბეჯითებდნენ, რადგანაც ეს დრო მართლაც რომ ასეთის საქმეების დრო არის.

ასე მოწესრიგებული სახალხო სკოლა კიდევ იმით იქნება კარგი, რომ თუ სკოლაში ოთხი წლის სწავლა იქნება დანიშნული და, მაშასადამე, სკოლას ექნება ოთხი განყოფილება რომ თვითოეულ მასწავლებელს მეცნიერებისას ორ-ორი განყოფილების სწავლა არ ამძიმებ-

დეს ერთ და იმავე დროს, გაკვეთილები ორივე ელემენტისა ისე განწესდება, რომ, როცა ორი მასწავლებელი წიგნს ასწავლიან ორს განყოფილებას კლასებში, დანარჩენს ორს განყოფილებას ასწავლიან მინდორ-ბაღებში და სახელოსნოებში მასწავლებელი-აგრონომი და ხელით შრომის მასწავლებელი. ადვილი იქმნება აგრეთვე მოწეს-რიგება ასეთს სასწაელებელში სწავლა დამთავრებულთათვის და საზოგადოდ მოზრდილებისათვის სპეციალურის კურსებისა, ე. ი. სამეურნეო-სახელოსნო-სამრეწველოსი, რათა მსურველთ შეეძლოთ ზედმიწევნით შესწავლა და გავარჯიშება მოხსენებულს დარგებში. თქმა არ უნდა, რომ იმავ დროს მასწავლებლები ამათთვინაც დაჰნიშნავენ ორიოდე საათს დღეში მეცნიერებაში წარსამატებლად, რაზედაც მასწავლებლებს სკოლა სიამოვნებით დაუნიშნავს ცალკე სასყიდელს, რადგანაც ექნება კიდეც, საიდანაც დაუნიშნოს. გვგონია, არც ის იქნება სინამდვილეს მოკლებული, რომ ჩვენის შეძლების პატრონი სახალხო სკოლა სრულიად ადვილად და მალე გადაიქცეს ნამდვილსავე სახალხო საშუალო სკოლად, როგორც ეს არა იშვიათია ინგლისში!..

ჩვენს სახალხო სკოლაში მეორე ელემენტის, ე. ი. მეურნეობა-ხელოსნობა-მრეწველობიდამ განსაკუთრებით იმ დარგებს ენდა მიექცეს ყურადღება, რაც შეადგენს ადგილობრივ ხალხის უმთავრეს საქმეს და აგრეთვე ყველა იმას, რის დაბუნებებას, მოყვანას და გაკეთებას შეაძლებინებს ადგილი და ჰავა. უპირველეს ყოვლისა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პურის, სიმინდის, ქერის და ფეტვის თესვა-მოყვანას, საუკეთესო საბოსტნე მცენარეების და ხეხილის გაშენებას განკარგებულის წესით. პური უსაჭიროესი საგანია ყოველის ოჯახისათვის და ამისათვის მისი თესვა-მოყვანაც და გამოყენებაც უთუოდ ყოველმა შეგნებულმა ადამიანმა უნდა ნახოს კიდეც და ზედ-მი-

წევნითაც შეისწავლოს ხანგრძლივის სწავლითა და მუშაობითა. ზედ-მიწევნითვე უნდა შეითვისონ მოსწავლეებმა ის აზრი, რომ ყოველი ნაწარმოები მეურნემ მის უკანასკნელ დამუშავებამდე უნდა დაიმუშაოს და მხოლოდ მაშინ გაიტანოს იგი ბაზარში, როგორც, მაგ., ყურძენი—ღვინის, ბაქმაზის, ჩურჩხელის, ჩამიჩის და სხვა სახით, ხილი—მურაბის, კონსერვების, წნილების, გამხმარ ხილის სახით და სხვა და სხვა. რადგანაც ხორბლიდამ მაშინ ცხვება კარგი პური, როცა იგი ახლად დაფქვილია, ამიტომ ყოველ ასეთს სკოლას თან ხელით საფქვავი მანქანაც უნდა ჰქონდეს, ფქვილს შინვე ამზადებდეს თითონ სკოლა გამოცხობის წინა დღეებში და თითონვე აცხობდნენ, რომ მოსწავლეებმა ყველა ეს ნახონ და ისწავლონ. ასეთის ხელ-საფქვავის და სხვა მანქანის შემოღებაც უნდა უქადაგოს და ასწავლოს სკოლამ ყოველ ოჯახს ანუ რამდენსამე მეზობელს ერთად და ვინც მოინდომებს მის შეძენას, შუამავლობაც გაუწიოს. ასევე ყველა საქმეში. ერთი სიტყვით, სახალხო სკოლა უნდა შეიქმნეს ისეთსავე ცოცხალ და საქმიან დაწესებულებად, როგორც ყოველი ქარხანა, ბანკი და სხვა დაწესებულება, იმ დიადის განსხვავებით, რომ იგი უმეტეს კაცთ-მოყვარული და საზოგადო სიკეთისათვის მარად მოღვაწე დაწესებულება უნდა იყოს და თვისს ყოველ წარმატებას, ნივთიერს თუ გონებრივ-ზნეობრივს, მხოლოდ ამ მიმართულებით აღბეჭდავდეს...

დააარსეთ, ბატონებო, ასეთი სახალხო სკოლები, დაეხმარეთ მათ პირველად ყველანი—სოფელი, ქალაქი, მდიდარი და ღარიბი, მთავრობა და ხალხის ყველა მოყვარენი და ნახავთ, რომ ოთხი-ხუთის წლის შემდეგ, პირიქით, ახლა იგი დაეხმარება ყველას კაცური აღზრდის და სწავლის გავრცელებით მიდამოებში. მოაწყეთ ასე ჩვენ-მიერ დასურათებული სახალხო სკოლები და ნახავთ,

რომ შედარებაც შეუძლებელი იქნება თქვენი გლახური წიგნური სკოლებისა ჩვენს სკოლებთან! ნახავთ, რომ მარტოოდენ ჩვენი სკოლა იქნება ნამდვილი სახალხო სკოლა, რადგანაც, ჯერ ერთი, რომ იგი ნამდვილს ღირსეულს შვილებს დაგვიზრდის ხალხისას და, მეორეც, თვით ხალხისათვის საუკეთესო სასწავლებელი იქნება...

სკოლის ყოველი მოსავალი ვალდებულად უნდა დაზღვეულ იქმნას სეტყვისაგან და შეინობანი—ცეცხლისაგან, ვიდრე თვით სკოლა მოაწყობდეს სეტყვასთან საბრძოლველ ზარბაზნებს... შემოსავლის წმინდა მოგება ყოველ წლივ იყოფა ორად: ერთი წილი ჩაირიცხება სკოლის სათადარიგო თანხაში, ახალის მამულის სასყიდლად, ახალის საქმის მოსაწყობად თუ ზარალის აღსადგენად და სხვა, ხოლო მეორე წილი იყოფა თანასწორად ყველა მასწავლებლებს შორის და დანარჩენ მოსამსახურეებს კი დაენიშნებათ ჯილდოები. საბოლოვო მიზანი ჩვენის აზრისა არის: ისე მოვაწყოთ ჩვენი სკოლა, რომ იგი დღეითი-დღე დაუსრულებლად მდიდრდებოდეს-ძლიერდებოდეს და მით ჩვენს მოზარდ თაობას და ხალხსაც ამდიდრებდეს-აძლიერებდეს თვისი უსაზღვრო წარმატებით და მის გარემო ყოველი მოსახლისათვის საუკეთესო ცოდნის, თესლის, ნერგების, იარაღების და მისთანების მოწოდებით თუ ჩვენებათ... ეს არის ერთად-ერთი უეჭველი საფუძველი სახალხო სკოლის დამოუკიდებლობისა, წინ-სვლისა და კაცურის ცხოვრებისა და ამიტომ, ღვთისა და კაცთა ნათესავის გულისათვის, გთხოვთ ყველას, ამას იქით მხოლოდ ასეთი სკოლები დააარსოთ და ყოველი საშუალებაც იხმარეთ, რომ არსებული სკოლებიც დაუყოვნებლად ჩვენ-მიერ დასურათებულ სკოლებად გარდაქმნათ...

ივანე როსტომაშვილი.

სწავლა-აღზრდის რეფორმატორნი.

იან-ამოს კომენსკი.

(1592—1671).

ედაგოგიკის ისტორიაში ერთ უკეთეს და ჭეშმარიტის წარმატების ნიშნად ის უნდა ჩაითვალოს, რომ დღითი-დღე მატულობს კომენსკის და მის ნაწერების მნიშვნელობა. ჯერ კიდევ ამ 23 წლის წინეთ, როდესაც პირველად მიიზიდა კომენსკიმ ჩემი ყურადღება, გერმანიაში მისი სახელი ოდნავ იყო გავრცელებული, თუმცა ამ დროს ინგლისში უკვე მოიპოვებოდა მშვენიერი მისი ბიოგრაფია, რომელიც ბენტამისაგან იყო დაწერილი და შიგ ჩართული ჰქონდა, როგორც წინასიტყვაობა, „უმაწვილობის სკოლა“,—სახელი მისი მაინც არ იყო საკმარისად გავრცელებული. ამ შემთხვევაში უფრო მეტი ყურადღება დაიმსახურა მეორე წიგნმა „იან-ამოს კომენსკი“, რომელიც ლორისსმა დასწერა და რომელსაც იცნობს უმეტესი ნაწილი იმ ახალგაზდობისა, რომელიც მოქმედობს და მოღვაწეობს პედაგოგიურ ას-

პარეზზედ. ნემენცები და ფრანგები აღიარებენ კომენსკის პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების პირველ დამფუძნებელად და დამაარსებელად. მან უანდერძა ჩამომავლობას ამ მეცნიერების პირველი წეს-რიგი და მოთხოვნილება. ლეიბციხში მისი სახელი უწოდეს უდიდეს პედაგოგიურ ბიბლიოთეკას.

იან-ამოს კომენსკი მეწისქვილის შვილი იყო და დაიბადა მორავიის ერთ პატარა სოფელ რიენიცაში 1592 წ. მის ბავშობის შესახებ ძალიან მცირე ცნობანი მოგვეპოვება, ვიცით მხოლოდ ის, რასაც თითონ მოგვითხრობს თავის თავზედ: „ძალიან ადრე დაობლებულმა და აღმზრდელთა-მიერ უყურადღებოთ მიტოვებულმა და თავნებათ მიშვებულმა, მხოლოდ 16 წლისამ დავიწყე ლათინური ენის სწავლაო. ღვთის მადლით პირველმა ცდამ აღძრა ჩემში ისეთი წყურვილი სწავლის შეძენისა, რომ ამ დღიდგან შევუდექი გამუდმებით სწავლას; მსურდა მალე დამებრუნებინა დაკარგული და მივწეოდი ქვეყნიერებას; ამასთანავე სახეში მქონდა მარტო ჩემი სარგებლობა კი არა, არამედ მოყვასთა ბედნიერებაც. მაშინათვე კარგათა ვგრძნობდი ჩემი სამშობლო ქვეყნის გაუნათლებლობას და უკან ჩამორჩომას, რომელიც ერთობ ნაკლებ ზრუნავდა და მეცადინეობდა სწავლა-აღზრდაზე. მე გულით და სულით მსურდა აღმომეჩინა ამ სამწუხარო მდგომარეობიდგან თავის დახწევის საშუალება, რომლის შემწეობით ცოდნა გამხდარიყო საერო საუნჯედ და ახალგაზრდობისთვის გაადვილებულიყო მისი შეტანა. საჭირო იყო სწავლების ადვილი მეთოდის პოვნა და აღმოჩენა“.

ამ აზრით გატაცებული, კომენსკი სამხრეთ გერმანიის ერთ ქალაქიდგან მეორეში გადადის და ისმენს მაშინდელი დროის გამოჩენილ პროფესორთა ლექციებსა; გერნბორგის უნივერსიტეტში,—ნასსაუში, მან პირველად

გაიცნო რატიხიოსის მეთოდი და ვგონებ ამან გააბედვინა დაეწერა თავისი პირველი შრომა, მოკლე გრამმატიკა, რომელსაც მიზნად ჰქონდა ლათინური ენის სწავლების უფრო გაადვილება და რომელიც დაიბეჭდა პრაგაში 1616 წ. მორავიაში დაბრუნებისათანავე კომენსკი დანიშნეს პრერაურში რექტორად, მაგრამ იგი დიდხანს არ დარჩენილა ამ თანამდებობაზედ. ის სულით და გულით მიილტოდა ეკლესიის სამსახურისკენ და ჩვენც ვხედავთ მას ფულენკიეში მღვდლად.

1621 წ. ესპანელებმა ააოხრეს ფულენკიე; ამ უბედურობის დროს კომენსკიმ დაჰკარგა თავისი საყვარელი წიგნები, ხელთ-ნაწერები და მთელი ქონება; ერთის წლის შემდეგ გარდაეცვალა მას ცოლი და ერთად-ერთი ყმაწვილი; 1624 წ. კათოლიკის სარწმუნოების მთავრობამ განდევნა პროტესტანტთა სამღვდელოება; 1627 წ. გამოიცა ახალი ბრძანება, რომლის ძალითაც ვინც კათოლიკობის მიღებას არ მოისურვებდა, უნდა დაეტოვებინა ეს მხარე. კომენსკიმ, ყველა ის უბედურებანი, რომელნიც დაატყდნენ მას და მის სამშობლოს ზედიზედ, ნამდვილი ქრისტიანული მოთმინებით აიტანა და ყოველ იმას, რაც მან ამ დროს დასწერა, დიდი მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდა იმათთვინ, ვინც მასთან ერთად ითმენდნენ ტანჯვა-წვალებას და დევნა-გაძევებას.

კომენსკიმ რამდენიმე ხანი დაჰყო ბოლემიის მთებში ბარონ სადოვსკის ოჯახში, რომლის შვილებსაც ასწავლიდა იგი; მათთვინ დასწერა მან ამ დროს მოკლე მეთოდოლოგია; ამავე დროს სთარგმნიდა იგი სამშობლო ენაზედ დავითის ფსალმუნებს და სწერდა ვირგილიოსის, ოვიდიოსის და კატინის ნაწერების მიბაძვას. 1627 წ. კომენსკიმ სამუდამოთ დასტოვა თავისი სამშობლო და გარდასახლდა პოლშის ქალაქ ლისსში, რომელიც სილეზიის საზღვარზე იდვა; აქ იგი შევიდა მასწავლებლად

ერთ ძველ სკოლაში და გულმოდგინეთ მიჰყოს ხელი ძველი ტრადიციონული მეთოდების გაუმჯობესებას და შევსებას. თავის თხუზულების „Drodomus“ წინასიტყვაობაში იგი ამბობს: «სამშობლოდგან დევნილმა და იძულებულმა ხელ-მეორედ მიმეკიდნა ხელი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისათვის, შევუდექი სხვა და სხვა ავტორთა ნაწერების შესწავლას, რომ დაახლოვებით გამეცნო ყველა ის შრომანი, რომელნიც გაეწიათ მათ სწავლების მეთოდის სასარგებლოდ. გადავიკითხე რა ამ საგნის შესახებ ყოველივე რატიხიოსის, გელვიქუსის, გლაუმიუსის, იოანნე ანდრეხის, კამპანელლის და ბეკონის მიერ დაწერილი, მე დავადექი იმ დასკვნას, რომ ყველა მათ ნაწერებში გაბნეული ცეცხლის ნაპერწკლები არ შეიძლება არ შეერთდნენ ერთად და არ აღაბრიალონ გაღუდღუდებული ცეცხლის ალი, რომელიც უეჭველად გაანათებს ჩვენი სწავლა-აღზრდის ბნელით მოცულ კარმიდამოს; ვიდრე სწავლის საქმეში ვხედავდი დიდ ნაკლს და შეცდომილებას, ვცდილობდი აღმომეჩინა სწავლა-მეცნიერების შეურყეველი კანონები და საფუძველი და აი ბევრი შრომა-წვალების შემდეგ ვიპოვნე კიდევაც იგინი თვით ბუნების შეუცვლელ კანონებში, რომელნიც საფუძვლად დავუდევი ჩემს დიდ დიდაკტიკას (Didactica mayna) და რომელიც გვასწავლის ხელოვნებას—თუ როგორ უნდა ვასწავლიდეთ ყმაწვილებს მოკლედ, საფუძვლიანად და სასიამოვნოდ მეცნიერებას, ზნეობას და სათნოებას“.

კომენსკის „დიდმა დიდაკტიკამ“ მალე ვერ იხილა ნათელი; სამაგიეროთ მან 1631 წელს გამოაქვეყნა მეორე თავისი ახალი შრომა „Ianna Linyuarum Reserata“ ანუ ენებისადმი მისავალი ღია კარები, რომელმაც მოუხვეჭა მას დიდი სახელი არამთუ ევროპაში, არამედ მის გარეთაც; რამდენიმე წლის შემდეგ, ამ შრომის შე-

სახებ სჯის დროს, კომენსკი ჰკვირობს, რომ იმ წიგნმა, რომელიც დაწერილი იყო განსაკუთრებით ყმაწვილებისთვის, დაიმსახურა მთელი მსწავლული მსოფლიოს ქება-დიდება. ეს წიგნი თორმეტ ევროპიულ და რამდენსამე აღმოსავლეთის ენებზედ იქმნა გადათარგმნილი.

ამ შრომით მოხვეჭილი სახელის წყალობით კომენსკი ევროპის მრავალ სახელმწიფოთ-მიერ იქმნა მიწვეული სწავლა-აღზრდის საქმეების მოსაწყობლად და გასაუმჯობესებლად. ამ ნაირი თხოვნით ყველაზე უწინ მიმართა კომენსკის შვეციამ, მაგრამ მან უარი განაცხადა ამ თხოვნაზე და წავიდა ინგლისში, სადაც, პარლამენტმა, კომენსკის ერთი თაყვანისმცემლის და მადიდებელი, გარტლიბის, რჩევით, წინადადება მისცა ინგლისის სკოლების მართვა-მოწყობისა და გარდაკეთებისა. კომენსკის დიდხანს არ მოუხდა ინგლისში მუშაობა; ირლანდიაში ამტყდარმა აჯანყებამ იძულებულ ჰყო იგი დაეტოვებინა ინგლისი და მისი სკოლების მართვის საქმეები; კომენსკი ჯერ ისევ ინგლისში იყო, როდესაც საფრანგეთისაგან მიიღო მიწვეულობა; ეს მიპატიჟება, რომელზედაც უარი განაცხადა კომენსკიმ, გარდასცა მას მისმა კორესპონდენტმა მერსენმა, დიდათ ნასწავლმა კაცმა, რომელსაც დიდათ აფასებდა და პატივსა სცემდა დეკარტი.

კომენსკი, შეწუხებული იმ გარემოებით, რომ ინგლისში საქმის მოწყობას ვერ მოასწრო, ის იყო პოლშაში აპირობდა დაბრუნებას, რომ ამ დროს მიიღო წერილი მდიდარი ნიდერლანდიელი ვაჭრის ლიუდოვიკო ფონ-გეერისაგან, რომელიც ჰპირდებოდა მას თავის მფარველობას და ფულით დახმარებას მის გეგმის აღსრულებაში. კომენსკი დასთანხმდა მის თხოვნაზე და წავიდა შვეციაში, სადაც სცხოვრობდა ფონ-გეერი; არ გაუვლია რამდენსამე ხანს, რომ შვეციიდგან კომენსკი გაიწვია დიდმა კანცლერმა ოკსენ-შტიერმა სტოკგოლმში და აქ უპ-

სალის უნივერსიტეტის რექტორის დახმარებით შეუდგა მის სისტემის ყურადღებით განხილვას.—ოქსენშტიერმაო, ამბობს კომენსკი, ოთხი დღე დამაყოვნა და დაწვრილებით გამომკითხა უმთავრესი საფუძველი ჩემ-მიერ აღნიშნულის სისტემისა; არას დროს არც ერთი მსწავლული არ შესულა ისეთ წვრიმალების განხილვაში, ისე დაწვრილებით საქმის ვითარების გამოკითხვაში, როგორც ჩრდილოეთის არწივი; გაიცნო რა ჩემი დიდაკტიკა, მან აღიარა: «დიდი ხანია, ჯერ კიდევ ჩემს ყმაწვილობაში, ვგრძნობდი, რომ სწავლის მეთოდი, რომელიც ჩვენს სკოლებში არსებობდა, არ ვარგოდა და ვერ აკმაყოფილებდა თავის დანიშნულებას, მაგრამ ის კი ვერ წარმომედგინა და გამეთვალისწინებინა, თუ რაში მდგომარეობდა მისი ნაკლი და შეცდომილება; გერმანიაში ელჩად ყოფნის დროს ბევრ მსწავლულთან მქონდა ამ საგნის შესახებ სჯა და ბაასი; შევიტყე თუ არა, რომ მეთოდის გასაუმჯობესებლად მუშაობდა რატიხი, მაშინათვე დავაჩქარე მისი გაცნობა, მაგრამ მან იმ კითხვის დაწვრილებით ახსნის მაგიერ, რომელიც მაინტერესებდა მე, მამაჩეჩა წასაკითხავათ მოზრდილი წიგნი, რომელიც მოთმინებით გადავიკითხე თავიდგან ბოლომდე. და რა გამოვიდა აქედგან? მართალია, სავსებით და ყურადღებით ჰქონდა შესწავლილი ჩვენი სკოლების სუსტი მხარენი, მაგრამ სკოლის სისტემის გასაუმჯობესებლად მისგან აღნიშნული საშუალებანი მეჩვენენ ერთობ ნაკლებ ენერგიულ საბუთებათ; თქვენი დიდაკტიკა უფრო მტკიცე და შეურყეველ საფუძველზეა დამყარებული; განაგრძეთ თქვენი შრომა, გაუადვილეთ ახალგაზრდობას ლათინური ენის შესწავლა; ამით თქვენ მოამზადებთ ახალგაზდობას თქვენს პანსოფიურ (ყველაფრის ცოდნის) შეხედულობათა შესასწავლად, რომელნიც გატარებულნი არიან თქვენს წიგნში „Drodomus“-ში. კომენსკი წავიდა პრუსიაში, ქალაქ ელბინგში

და აქ პირველად მიმართეს უცხო ენათა შესწავლაში მის დიდ დიდაკტიკის რჩევა-დარიგებას; რვა წელიწადი გაატარა კომენსკიმ ამ შრომა-მეცადინეობაში. ინგლისის პარლამენტი თუმცა შემწეობას (სუბსიდიას) აძლევდა კომენსკის, მაგრამ მას მაინც ყოველთვინ უჭირდა ფული, რისგამოც იგი იძულებული იყო ხშირათ ეთხოვნა ფონ-გეერისაგან ფულით შემწეობა, რომელიც ამის გამო გამუდმებით თხოულობდა მისგან, რომ მის მთელი თავისი დრო და ძალა შეეწირა უეჭველად იმ სკოლასტიური ტრაქტატის დასრულებისათვის, რომლის დაწერაც აღუთქვა მან ფონ-გეერსა; კომენსკი დიდი ენერგიის პატრონი იყო და ამასთანავე იდგა რა სარწმუნოებრიულ საზოგადოების სათავეში, იგი იძულებული იყო მიეღო მხურვალე მონაწილეობა სარწმუნოებრივულ სჯა-ბაასში და ცხარე პოლემიკაში; ამას გარდა მას გარშემო ეხვივნენ მისი მოწაფენი, რომელთათვის იმავ უფულობის გამო ვერ გაებედნა ეთქვა უარი; მიუხედავათ ამისა მან მაინც მოახერხა 1647 წ. გამოეცა თავისი წიგნი: «ოცდა ათი წლის ომიანობის მიზეზები», რომელშიაც სასტიკად ჰკიცხავდა იეზუიტებსა. 1648 წ. კომენსკიმ დაჰკარგა ყოველი იმედი სამშობლოში დაბრუნებისა, რადგან ვესტფალიის ხელ-შეკრულობა არ ანიჭებდა ამის უფლებას სამშობლოდგან დევნილთ.

ამ წელში კომენსკის ბედ-იღბალი და მდგომარეობა მაინც საუკეთესოდ შეიცვალა; მორავიის ძმათა ეპისკოპოსი გარდაიცვალა და მის მოადგილეთ აღმოარჩიეს იგი, რის გამოც დაბრუნდა ქალაქ ლისსში. ჯერ ისევ ელბინგში ყოფნის დროს გარდასცა გასასინჯავად კომისიას, რომელიც შესდგებოდა რამდენიმე მსწავლულ შვედებისაგან, ნაყოფი თავის ელბინგში შრომა-მოღვაწეობისა, წიგნი „Methoqus Lenyuarum Novissima“, რომელიც ამის შემდეგ დაიბეჭდა კიდეც ლისსში.

კომენსკი ეხლა, როგორც თავი ძმობისა, მოვალე

იყო ეზრუნა ძმობის ყოველ საწყალ და უბედურ წევრთა ბედ-იღბლის გაუმჯობესებისათვის. მის მეცადინეობით ზოგიერთებმა კარგი ალაგები იშოვნეს პროტესტანტთა სხვა და სხვა სახელმწიფოებში; მიუხედავათ იმ დიდი ადგილისა, რომელიც ეჭირა ეხლა ლისსში კომენსკის, მაინც ძველებურად სხვა და სხვა ადგილებიდგან სთხოვდნენ მას გაეწია მათთვინ შემწეობა სკოლების საქმეთა მოწყობა-გამართვაში; 1650 წ. მან დააარსა პატაკში სამაგალითო სკოლა, რომლის მოსაწყობად და გასაუმჯობესებლად იშრომა მან მთელი ოთხი წელიწადი. ამავე დროს დხსწერა მან თავისი უშესანიშნავესი თხუზულება „Orbis pictus" ანუ «მსოფლიო სურათებში», რომელიც 1657 წ. იქმნა დაბეჭდილი.

კომენსკიმ ბევრი უბედურობა და ტანჯვა გამოიარა, მაგრამ ყოველივე ეს შედარებით იმისა, რაც მას შემდეგში მოელოდა, სათქმელი არ იყო; იმ დროს, როცა იგი ლისსში სცხოვრობდა, პოლონეთს დაეცნენ შვედები; ძმობა გულით თანაუგრძნობდა პროტესტანტებსა და კომენსკი იმდენად გაუფრთხილებელი იყო, რომ მისალოცი ადრესი გაუგზავნა შვედიის მეფეს; ჩამოვარდა ორ სახელმწიფოთა შორის ზვავი, რომლის ძალით რამდენიმე ქალაქი, მათ შორის ლისსაც, დაეთმოთ შვედებს; მაგრამ დაბრუნდნენ თუ არა შვედები უკან, პოლონელებმა ხელმეორედ მოჰკიდეს ხელი იარაღს და ქალაქი ლისსი, როგორც პროტესტანტთა უმთავრესი საცხოვრებელი ადგილი, ის ქალაქი, საიდგანაც ძმობის მეთაურმა მიულოცა მტერს გამარჯვება, აღებულ იქმნა და სრულიად განადგურებულ; კომენსკიმ გაქცევა მოასწრო; მაგრამ მისი სახლი კი სრულიად დანგრეულ იქმნა; ყველა მისი ხელთნაწერები, მათ შორის მისი ვრცელი ლექსიკონი ლათინურ-უნგრეთული და უნგრეთულ-ლათინური, რომელზედაც კომენსკიმ 40 წელიწადი იშრომა-იღვაწა, შეიქმნენ

ცეცხლის ალის მსხვერპლად.—„მხოლოდ მაშინ მოვსპობ ამ დანაკლისზე მწუხარებასაო, ამბობს კომენსკი, როცა საუკუნოდ განვშორდები ამ წუთისოფელსა“. გერმანიაში რამდენიმე ხნის მოგზაურობის შემდეგ, კომენსკი დაბინავდა ამსტერდამში, სადაც განსვენებული ფონ-გეერის შვილმა, ლავრენტიმ მისცა მას ბინა; აქ შედარებით უნაკლულოთ გაატარა მან თავისი უკანასკნელნი დღენი; ფონ-გეერის უხვის დახმარებით გამოსცა კომენსკიმ 1657 წ. მთელი კრებული თავის დიდაკტიური შრომა-მოღვაწეობისა და გარდაიცვალა 1671 წ., 80 წლისა. მის გარდაცვალების შემდეგ მოისპო ბოღემიის ძმობის არსებობაც. კომენსკის ხანგრძლივი ცხოვრება სავსე იყო მწუხარებით და ტანჯვა-ვაებით, მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენ მაინც ვხედავთ, რომ მას უკანასკნელ დღემდე არ დაუკარგავს თავისი საქმის სიყვარული და რწმენა კაცობრიობისადმი.

კომენსკიზე ადრე არც ერთ მეცნიერს აზრად არ მოსვლია სწავლა-აღზრდის საქმე დაემყარებინა ფილოსოფიურ საფუძველზედ. მონტენმა და ბეკონმა შეიმუშავეს აღზრდის უმთავრესი პრინციპები, მაგრამ ცხოვრებაში კი მათი გამოყენება მიანდვეს სხვებსა. ზოგიერთი ნიჭიერნი მსწავლულნი, მათ შორის აშამიც, მუშაობდნენ ახალი მეთოდების გამოსაკვლევლად, მაგრამ ამავე დროს აზრათ არ მოსდიოდათ მათ დაემყარებინათ ეს მეთოდები ფილოსოფიურ სწავლა-მოძღვრებაზე; ამოს კომენსკი კი ერთსა და იმავე დროს ფილოსოფოსიც იყო, ბეკონის თეორიის მიმდევარიც და უნიჭიერესი მასწავლებელიც, რომელიც მთელს თავის სიცოცხლეში ერთგულად ემსახურებოდა სწავლა-აღზრდის საქმესა.

იმ დროის სწავლა-აღზრდას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა კომენსკი და აი ჩვენა ვსედავთ, რომ ბუნების კანონების დაახლოვებით შესწავლაში ეძებს იგი სწავლა-აღზრდის უკეთესს სისტემას, იმ ნაირ სისტემას, რომე-

ლიც დამყარებული ყოფილიყო შეურყეველ და შეუცვლელ საფუძველზედ.

არ შეიძლება არ ვაღვიაროთ, რომ ბუნების კანონებს ვერა გზით ვერ ავუქცევთ გზას, როდესაც ყმაწვილის სულის და სხეულის გონივრულ განვითარებასთან გვაქვს საქმე; ეჭვ გარეშეა, რომ ეს კანონები პირველ შემთხვევაში უფრო ძნელი გასაგები არიან. ვინემ მეორეში, და ამიტომ უფრო ძალიან დიდათ უნდა ვაფასებდეთ კომენსკის, რომელმაც პირველმა მოჰკიდა ამ საქმეს ელი და მრავალი წელი იშრომა და იღვაწა მის სასარგებლოდ.

კომენსკიმ სიკვდილის შემდეგ დასტოვა 44 ვრცელი თხუზულებანი სწავლა-აღზრდის კითხვათა შესახებ; მე თვითონ მომიხდა შესწავლა მხოლოდ ნემენცურიდან თარგმნილი მისი დიდი დიდაკტიკისა, რომლიდგანაც მოგყავს შემდეგი ადგილები:

„ადამიანიო, ამბობს კომენსკი, სცხოვრობს სამნაირი ცხოვრებით: მცენარიული, ცხოველური და გონივრული ანუ სულიერი ცხოვრებით; ბედნიერია ის, ვინც ჯანმრთელი, საღი და კარგათ შეერთებულ ნაწილებით იბადება დედის მუცლიდამ, მაგრამ გაცილებით უფრო ბედნიერია ის, ვისაც ამ სოფლიდგან მიაქვს საღი და კარგათ განათლებული სული. თანახმად ღვთაებრივის იდეისა საჭიროა: 1) ყოველ ადამიანს ვასწავლიდეთ სუყველაფერსა; 2) თვითეულმა პირმა ისწავლოს თავისი თავის შეკავება-უფლობა და მის გარშემო არსებულ საგნებთა დამორჩილება; ამ ნაირად კაცისაგან მოითხოვება: 1) სწავლა; 2) სათნოება და 3) სარწმუნოება, რომელთ განვითარება და მიმართულება უნდა შეადგენდეს სწავლა-აღზრდის მიზანს და დანიშნულებას.

თანამედროვე სკოლა სცოდავს თავის დანიშნულების წინაშე: იმის მაგიერ, რომ შეასწავლოს ახალგაზ-

დობას მის გარშემო არსებულ უმთავრეს საგანთა საფუძველნი, მათი ერთმანეთთან დამოკიდებულობა და დანიშნულება, მთელ თავის ყურადღებას იგი აქცევს ლათინური ენის შესწავლას, რომლის გულისათვის უყურადღებოთ სტოვებს თვით სამშობლო ენასაც კი. სწავლის ცუდად მიმდინარეობის მიზეზს კომენსკი იმაში ხედავს, რომ სკოლის სისტემა ბუნების კანონებზედ არაა დამყარებული. ყოველივე, რაც შეთანხმებულია ბუნებასთან, ბუნებრივია, სუყველაფერს ადვილად, სიამოვნებით და კარგათ ითვისებენ ყმაწვილები. სწავლაში ძალდატანებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს; ყმაწვილებისათვის სწავლა ისეთივე ადვილი უნდა იყოს, როგორც თევზებისათვის ცურვა და ცხოველებისათვის სირბილი. არისტოტელი ამბობს, რომ ცოდნის საჭიროება ჩანერგილია კაცში და გონება მისი მსგავსად სხეულისა, იზრდება და მაგრდება ჯეროვანის კვებით.

ს. ტატუხაშვილი.

(შემდეგი იქნება).

როგორ უნდა სწარმოებდეს კითხვა

⁂ რაზედ უნდა იქმნას უმთავრესად მიბყრობილი მოწაფეების ყურადღება?

ოგორც მეველი დროების ჰედაგოგნი, ეგრეთვე თანამედროვე ჰედაგოგებიც სხვა და სხვა შეხედულობისანი ყოფილან და არიან ჩვენ-მიერ აქ წამოყენებულ კითხვაზედ. უკვე დიდი ხანია გამოთქმულია მწერლების-მიერ ბევრი ხელოვნურ ნაწარმოებთა აღმზრდელობით მნიშვნელობაზედ. მათის ჭეშმარიტ მსატვრები იგივენი არიან ხალხისათვის, რაც მასწავლებლები ურმათათვის. ეს ჭეშმარიტ უფრო მკაფიოდ დაასურათა შილლერმა თვის „წერილებში კაცობრიობის ესტეტიურ განათლებაზედ“. მშვენიერ ფერადებით ჭხატავს იგი ზნეობრივ დაცემას თვის თანამედროვეთა და მიზეზს ამისას ჭხედავს აღზრდაში, რომელიც ანვითარებს ერთს მხარეს მეორის სა-

ქვეითოდ, მსჯელობა-გრძნობის საზიანოდ. ზნეობრივ ხსნას კაცობრიობისას იგი ელის ხელოვნებისაგან. ხელოვნების ნაწარმოებთაგან მონახდენ შთაბეჭდილებათ ადამიანებზედ შეუძლიანთ გარდაქმნა ხასიათისა და გაკეთილშობილება მისი. ამავე აზრისა იყო ფიხტე, რომელიც ამბობდა, რომ ხელოვნებას აქვს წმინდა ჰედაგოგიური მნიშვნელობაო. ჩვენს დროში დიადი მნიშვნელობა ხელოვნების ნაწარმოებთა საზოგადოთ და სიტყვიერებისა განსაკუთრებით მიღებულია ყველასგან, იგი მიღებულია სკოლაში კითხვის ორ უკიდურეს შეხედულობათა მომხრეთაგანაც.

შილლერი საკმაოდ ხადიდა მარტივ ტკბობას; იგი ითხოვდა ხშირ ტ მკტად ღრმა შთაბეჭდილებას. ხოლო მომხრენი კრიტიკული კითხვისა საკმაოდ არა ხადიან ესრეთ ტკბობას არც თუ ერმათათვის და არც მოზრდილთათვის. იგინი ითხოვენ წუვდიადი გრძნობის აუვანას აშკარა ცნობიერობის სარისხამდე. შთაბეჭდილება, რომლის ანგარიშის მიცემაც შეგვიძლიან, ინახება უხნესად და საკვლოდ შესაძლებელია მისი გამოწვევა სულში. ნაწარმოები, რომელიც ჩვენ შეგნებით შეგვითვისებია, უკვე შეგვსისხლხორცებია ჩვენ, იგი არ ჭქრება ჩვენის მეხსიერებიდგან, არამედ სტოვებს მას შინა წარმოდგენათა და გრძნობათა ჩოჩქოლს. მით უმე-

ტეს საჭიროა ასეთი განმარტება იმ ერმათათვის, რომელნიც საზოგადოთ არ არიან მიჩვეულნი თავიანთვის ანგარიშის მიცემას; საქმე იმაშია, რომ შეგნებული კითხვის სწავლება ითხოვს არა მცირე ღვაწლს. ხალისი კითხვისა ჯერ კიდევ არა ნიშნავს კითხვის ცოდნას. კითხვის დროს ჩვენ უნდა უსათუოდ ამოღებული გვქონდეს ნიშანში სურვილი ცოდნის შეძენისა, და არა უბრალოდ დროს დაკარგვა გასართობათ. განსაკუთრებით მავნებელია ოცობოდოდ ნაძეტანი კითხვა ბელლეტრისტიულ ნაწარმოებებისა, რომელნიც ეხებიან ადამიანის საეჭვო ზნეობას. რამდენად ძლიერნი შევიქმნებოდით ჩვენ ზნეობით, უკეთუ შექსპირისა და სხვა პოეტებსავით შეგვძლებოდა ადამიანის გაძოცნობა. რამდენად შემცირდებოდნენ ჩვენი უბედურებანი, ტანჯვა-ვაებანი და ცდომილებანი, უკეთუ ჩვენ სიერმიდამვე გვექნებოდა „შემენილიუნარი—ნაწარმოების კითხვიდან შეგვეთვისნა რამ პრაქტიკულად გამოსაყენებელი!..

დიახ, დიადი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოზარდი თაობისათვის ხელმძღვანელობით, განმარტებით კითხვის ხელოვნებას, მაგრამ ვის უზრუნია ჩვენში ოტისოდნათაც არის ამ საჭირბოროტო კითხვისათვის?!.

ს. ცხომელიძე.

დედა

აზრები უშესანიშნაგესი მწერლებისა აღზრდის უმთავრეს საგნებზედ.

ვუძღვნი ძვირფას ხსოვნას წმინდა დედის ბრწყინვალე კნეინა ელენე ზაქარიას ასულის გრუზინსკისას.

† 18 აპრ. 1903 წ.

არაფერია იმაზე უმშვენიერესი, როგორც ხილვა ყრმისა ხელში მპყრობელის დედისა, და არაფერია იმაზე უპატიოსნესი, როგორც ხილვა ყრმებით გარშემოხვეულისა დედისა.

გმტჟ.

დედაო! ბუნება გიხმობს მისთვის, რომ შენ თავად აღზარდო შენი ყრმა, ნუ მიატოვებ მას, ნუ ანდობ ნურავის სხვას. ვერც ერთს კაცს ვერ შეუძლიან იყოს მისთვის იმად, რაც შენ ხარ მისთვის; იგი შეადგენს შენთვის მას, რადაც არ

შეუძლიან იყოს შენთვის სხვა ვინმე მისმა გულმა უნდა გაიღვიძოს არა სხვა ვისისამე გულისათვის,, არამედ მხოლოდ შენის გულისათვის.

ჰესტალოტცი.

დაუფასებელი ბედნიერება იქნებოდა ყველასათვის, უკეთუ ყოფილიყვნენ მხოლოდ კეთილნი დედანი. ვერა მასწავლებელი ზნეობისა, ვერა ბრძენი ვერ არჯულებს ყრმათ ისე, როგორც კეთილ-მოსავი, წყნარი და მშვიდ-მჭმუნვარე სახე კეთილის დედისა, ნათლის წყალი ვერ გაგვნათლავს ისე, როგორც კეთილი დედის ცრემლები; ვერა სიტყვა მასწავლებლისა ვერ მოჰსწყლავს და ვერ დაჰსცემს თავზარს ისე, როგორც მშვიდობიანი სასაყვედურო სიტყვა კეთილის დედისა. ვინც დანაშაულობის შეგნებით მდგარა დედის მწუხარე სახის წინაშე, უგრძვნია მისი ცრემლები თვის სახეზედ და ხელები, მოხვეული გარემო მის ყელისა, და მასთან ჰსმენია სიტყვები: რაო, შვილო ჩემო? დაგვიწყებია შენ ღმერთიც და თვისი დედაც?—მისთვის ცხადია მოქმედება ამ სიტყვებისა.

ჩანგ.

დედა არის ჰენია ყრმისა.

ბეგელ.

დედანი იყვნენ და იქნებიან თვით კაშკაშა ვარსკვლავნი პედაგოგიურ ცისიერებაზედ. რა ზომითაც შეგნებული ექნებათ დედებს თვისი და-

ნიშნულობა, იმავე ზომით შესმენილი ექნებათ ესევე მამაკაცთ და მასწავლებელნიც იმოქმედებენ მსგავსად დედათა, წარიმართება აღზრდაც ხალხისა. სადაც დედები ჭეშმარიტი დედები არიან, იქ ოჯახური ცხოვრებაც ჰყვავის; სადაც დედებს შეუგნიათ თავისი დანიშნულება, იქ სკოლებიც ჰყვავიან და მასწავლებლებიც მაღლა სდგანან, რომელითაც უსწავლიათ დედათაგან პედაგოგიური კანონების შესრულების ძებნა სიყვარულში.

ცან.

დედის გულში ფესვი გამდგარი აქვს ხალხის სულს, მის ზნე-ხასიათს, ამაოდ მორწმუნეობას და სათნოებას, ანუ, მოკლეთ ვსთქვათ, ცივილიზაციას.

მარტენ.

გავლენა დედათა აღურიცხველია, მიტომ რომ მთლად კაცობრიობა მდებარეა მათ გულთა ქვეშე. უკეთუ ამ გულთა შინა მყარობს სახე ღვთისა, მაშინ იგი განმავალობს კაცთა ნათესავზეც; ესე არს არა მხოლოდ სისხლი და ფიზიკური თვისებებია არამედ გრძნობათა ჩოჩქოლნიც, გარდამავალნი ყრმებზე; ეს უფრო უმეტესად ითქმის დედათა ჰაზრთა და გრძნობებზედ, რომელთაც გავლენა აქვთ ყრმის სრულ აღზრდაზე იმ დროს, როდესაც ეს გავლენა სავსებით დაჭეშმარიტებულია. უკეთუ ჩვენ გვსურს ჭეშმარიტად

საუკეთესო აღზრდა, უნდა ვიწყებდეთ მას დედათა სქესიდგან. მიეცით ხალხს ქრისტიანი დედები და იხილავთ ქრისტიან ხალხს.

შვარტ.

დედანო! უკეთუ თქვენ წინადვე გცოდნოდათ სასწაულნი, ვითარცა მოხდენა შეუძლიან დედის გავლენას, რა გვარი კეთილშობილურის სიამაყით შეუდგებოდით გზას, რომელსაც ეგრე ფართოდ გიფენთ თქვენ ბუნება შემდეგ ეგოდენ მრავალთა საუკუნოებისა. საკმაოა ერთი თქვენი ნებაყოფლობა მისთვის, რომ შეასრულოთ ის, რის შესრულებაც ვერ ძალუძთ ვერც ხალხთა და ვერც მეფეთა. მხოლოდ მარტო თქვენ შეგიძლიანთ ქვეყანაზედ თადარიგის მიცემა მომავალი თაობისათვის, მარტო თქვენ შეგიძლიანთ შემოკრება და გამხნევება გაბნეულ წევრთა. ის, რასაც მე ვსწერ ამ ქაღალდზედ, თქვენ შეგიძლიანთ აღბეჭდოთ მთელი ხალხის გულზედ, მხოლოდ თქვენ შეგიძლიანთ აუწყოთ ჭეშმარიტება ქვეყანას. როდესაც სეირნობის დროს თქვენს საზოგადოებაში მე ვხვდებოდი ყოველგან ბავშვების ბრბოთ. მხიარულად და მარდად მოთამაშეთ, ჩემი გული სძგერდა სიმხიარულისაგან, რომ ბავშვები ჯერ კიდევ თქვენ გეკუთნოდნენ. ყოველი თქვენგანი უნდა შრომობდეს თვისი ყრმის ბედნიერებისათვის!

ქალწულნო ქალნო, მეუღლენო და ნოგბარნო დედანო! თქვენ გეკუთვნით სკიპტრა! უმე-

ტეს, ვიდრე კანონმდებელის ძალის ხმევისა, თქვენზეა ეხლა დამოკიდებული მომავალი ევროპისა და ხვედრი კაცთა ნათესავისა...

ე. მარტენ.

ახალი გერიჯვრელი.

(შემდეგი იქნება).

ადამიანის ხასიათის აღზრდა.

რობერტ ოვენისა *).

წერილი მესამე.

ეორე წერილის ბოლოში მე დაგპირდით მომეყვანა ანგარიში იმ გეგმებისა, რომლებიც შეჰქონდათ ნიუ-ლენარკში ამ ახალშენის მცხოვრებლების კეთილდღეობისა და ხასიათის გაუმჯობესებისათვის. დაგპირდით აგრეთვე მომეთხრო იმ პრაქტიკულ სისტემაზედ, რომლის შეთვისებასაც შეუძლიან ასეთივე სარგებლობა მოუტანოს მთელი ბრიტანიის ღარიბ და მუშათა წოდებათ.

ამის მოთხრობა საჭიროა, როგორც იმისთვის, რომ დაახლოვებითი ცნება მაინც ვიქონიოთ იმ პრინციპებისა, რომლებიც საფუძვლად ედებიან ავტორის გეგმებს, აგრეთვე იმათი თვით საქმით შეთვისების წასახალისებლადაც. როგორც მეორე წერილში გვქონდა მო-

*) იხ. მოგზაური № 5—6, 1903 წ.

ხსენებული, აქამდისინ ნიუ-ლენერკის ამხანაგობაში უმთავრესი ყურადღება ჰქონდა მიქცეული იმ გარემოებების თავიდგან აშორებას, რომლებიც ხელს უწყობდნენ წარმოშობას, არსებობას და ან გაძლიერებას სიყრმიდგანვე შეძენილ ცუდ მიჩვევათ, ე. ი. ყურადღება ჰქონდა მიქცეული ყველა იმის მოშორებას, რის არსებობაზედაც ნება დართო საზოგადოებამ თავის გაუნათლებლობის მეოხებით.

ეს უფრო ძნელი ასასრულებელია, ვიდრე პატარაობიდგანვე ბავშვის ერთს გზაზედ დაყენება. ხასიათის აღზრდისთვის ეს ყველაზედ ადვილი საშუალებაა. ღრმად ჩანერგილი ჩვეულება უფრო ჯიუტად ეწინააღმდეგება ყოველსავე მის აღმოსაფხვრელ ან გასასწორებელ ცდას. მაგრამ შეუწყვეტელი ცდილობს შემდეგ ამ ძველ ჩვეულებაში ისეთი საკეთილო ცვლილება მოხდა, რომ გადააჭარბა ამ საქმის მკისრებლების ოცნების ყოველგვარ მოლოდინს. ამ პირთა პრინციპები ნაყოფი იყო ადამიანის ბუნების დიდი ხნის სწავლისა, და არც შეიძლებოდა, რომ კარგათ არ ეწარმოვებინათ იმათ საქმე, თუმცა აქამდისინ მაინც ძალიან ცოტა რამ გაკეთდა ახალშენში მცხოვრებლების სასარგებლოდ:

იმათ არ ასწავლეს უსაჭიროესი ოჯახური და საზოგადოებრივი ხელოვნება, წარმოდგენა არა ჰქონდათ საჭმლის ეკონომიურათ მომზადებაზედ, ან სახლების მოხერხებულად აშენებაზედ, სუფთად და წესზედ შენახვაზედაც კი. არ ასწავლეს იმათ ბავშვების ისე აღზრდა, რომ მოემზადებინათ ისინი საზოგადოების სასარგებლო მუშაკებად, არ გააცნეს ის პრინციპები, რომლებიც ხალხის ურთიერთ შორის გულ ახდილობას, წრფელობას და სიმართლეს შობენ, რასაც ყველაზედ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ცვლილების ამ ხანაში უპირველეს საჭიროებად გა-

დაიქცა მუშების ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, რომელიც მოამზადებდა იმათ იმ საოჯახო და საზოგადო ჩვეულებათა და ცნებათა მისაღებად და შესაჩვევად.

ამ აზრით ააგეს ახალშენის შიგ შუა გულში შენობა, რომელსაც შიგნიდგან ჰქონდა დიდი ეზო, რომელსაც ინსტიტუტი დაარქვეს სოფლელების ბავშვებისთვის სათამაშოდ. რამწამს ფეხს იდგავდნენ ბავშვები, აქ მოდიოდნენ სათამაშოდ ვიდრე სასწავლებელში არ შევიდოდნენ.

ვინც კი ყურადღებით ადევნებს თვალს ბავშვების განვითარებას, დაგვთანხმდება, რომ სიყმაწვილიდგანვე ავიც და კარგიც ბევრი რამ ეთვისება ბავშვსა; დაგვთანხმდება, რომ ბავშვს ხასიათის ბევრი თვისება უმტკიცდება, ვიდრე მეორე წელიწადში გადადგებოდეს და ბევრი შთაბეჭდილება ენერგება სიცოცხლის თითქმის მე-6 თვის ბოლომდე. ამიტომ გაუნათლებელი ან ცუდად განათლებული მშობლების შვილები ხასიათის აღზრდის დროს სიყმაწვილეშიაც და სიჭაბუკეშიაც ვარდებიან დიდ ზარალში.

ღარიბ მუშათა წოდების ამ სენის თავიდგან მოშორებისთვის, ანუ წინააღმდეგობის გასაწევად მაინც, გამართეს ინსტიტუტში მოედანი, სადაც, როგორც ვსთქვით, იღებდნენ ახლად ფეხადგმულ ბავშვებს და აბარებდნენ საზრუნველად განსაკუთრებულ აღზრდის საქმისთვის მეცადინე ხალხს.

კაცის ბედნიერება, თუ ყოველთვის არა, უმთავრესად მაინც, დამყარებულია, როგორც საკუთარ, აგრეთვე მათთან დაახლოვებულ პირების გრძნობათა და მიდრეკილებაზედ. ყველა ბავშვს შეგვიძლიან შევასისხლხორცოთ სხვა და სხვა თვისება, და ამათგან კი ემჯობინება შევასისხლხორცოთ მხოლოდ იმათი გამაბედნიერებელი თვისებები.

ამისათვის, მიიღებენ თუ არა ბავშვებს მეიდანზედ, საჭიროა ყოველ ბავშვისთვის გასაგებ ენაზედ ახსნა, რომ არ უნდა აწყენინონ ამხანაგებსა, რომ პირიქით, ყოველი ღონისძიება უნდა იხმარონ იმათ სასიამოვნებლად.

ეს უბრალო კანონი, როდესაც კი ამას შეიგნებენ და საქმით გაახორციელებენ, მოსპობს ყველა იმ შეცდომებსა, რომლებიც ამყოფებდნენ სიბნელეში და უბედურებაში ქვეყანას, თუ, რასაკვირველია, ნორჩი გონების პატრონებს არ მოახვევენ თავზედ წინააღმდეგ პრინციპებსა. დამრიგებელის შემწეობით ბავშვი ადვილად შეიგნებს ამ ჭეშმარიტებას, თუ დამრიგებელს შეუძლიან არ გადაახვევინოს ამ ჭეშმარიტებას.

ადამიანის ბუნება ისეთი აგებულებისაა, რომ თქვენ მიერ რომელიმე ჭეშმარიტების შთაბეჭდილების ჭკუით შეგნება, შეიძლება ამოიშალოს იქიდგან მხოლოდ სულით ავადმყოფობის ან სიკვდილის გამო; შეცდომა კი შეიძლება გაიდევნოს ყოველ დროს, რა წამსაც კაცი შეიგნებს, რომ ეს შეცდომაა.

ახალი ინსტიტუტი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნილებათ: როგორც კი შეძლება ეხლანდელ დროში ბავშვები მოშორებული იქნებიან გაუნათლებელი დედამამის ცუდ გავლენას.

ბავშვების ფეხის ადგმის დროდგან სასწავლებელში შესვლამდის მშობლები განთავისუფლებულნი იქნებიან მათზედ ზრუნვასა და შრომისაგან და აღარ დაჰკარგავენ ამაზედ დროსა.

ბავშვი მოთავსებული იქნება ყოვლად უშიშარ ალაგას, სადაც ამხანაგებითურთ ის შეითვისებს უკეთესს მოდრეკილებებს და პრინციპებს, სადილობისას და ღამღამობით კი ბავშვი კელავ დაუბრუნდება დედმამის ალერსს, რომელნიც უეჭველია უფრო დაკავშირდებიან ასეთი დაშორების გამო.

5—10 წლამდის ბავშვებისთვის მეიდანი იქნება შესაკრეფი ალაგი, სადაც ისინი შეიკრიფებიან სავარჯიშოთ თავისუფალ დროს მეცადინეობის შემდეგ; ამ ვარჯიშობის მიზანი ახსნილი იქნება შემდეგ.

ამასთანავე თავშესაფარიც უნდა იყოს, სადაც ბავშვები ავდარში შეეფარებიან.

აი რა ჰქონდათ მხედველობაში სათამაშო ადგილის გაკეთების დროს:

ვინც ადამიანის ბუნებას დაჰკვირვებია და იცნობს, დაგვეთანხმება, რომ რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს კაცი, ყოველთვის საჭიროა მისთვის დასვენება, გაწესრიგებულ და განუწყვეტლივ მუშაობის შემდეგ, უწყინარს და უვნებელ ადგილას; თუ ამის ნებას არ მისცემენ, მაშინ ის იძულებული იქნება მიმართოს ისეთ სიამოვნებათ, რომლებიც იმასვე აზარალებენ, რადგანაც განუვითარებელი კაცი ყოველთვის მოქმედობს მარტო შთაბეჭდილების მიხედვით, და სათვალავში არა აქვს საქმის შედეგები. მაშასადამე, ის პირნი, რომელთაც ჰსურთ შეიმუშაონ კაცობრიობის გამაბედნიერებელი ხასიათი, უყურადღებოთ არ უნდა დასტოვონ ისეთი საშუალებანი, როგორებიც არიან სიამოვნება და დასვენება.

ამ აზრით იყო დაწესებული პირველი «დღე იგი შაბათი», და ეს უნდა ყოფილიყო დღედ მთელი კაცობრიობის საზოგადოდ დატკბობისა. მაგრამ ხშირად, შეცდომის წყალობით, იმას აქცევენ ჭკუის სასოწარკვეთილების და დაბრიყვება-დაჩაგვრის, ან დამაფუქსავატებელ თავდაუჭერელობის და გარყვნილების დღედ. ერთი ამ ფაქტთაგანი იყო მიზეზი მეორისა; უკანასკნელი კი იყო აუცილებელი შედეგი პირველისა. გაანთავისუფლეთ კაცობრიობის ჭკუა შეუბრალებელ და ცრუმორწმუნე ბორკილებისგან, აღზარდეთ ის ისეთ პრინციპებზედ, რომლების სიჭამდვილეცა სჩანს როგორც ისტორიიდგან, ავ-

რეთვე ყოველ-დღიურ შემთხვევებიდგან, და მოისპობა თავდაუჭერლობა და გარყვნილობა: ამათ სარგებლობა არა მოაქვთ რა არც აწმყოში და არც მომავალში, კაცი კი მოქმედობს იმ ერთ-ერთ ამ მიზეზთაგანის ზეგავლენით, რომელიც უფრო ეთანხმება სიყმაწვილეში შეძენილ ზნე-ჩვეულებებსა.

შოტლანდიის ბევრ ადგილებში კვირა აღარ არის მუშა კაცისთვის უწყინარი და მხიარული დღე. მთელი კვირა ერთ ადგილზედ ფეხ მოუცვლელად მომუშავე ხალხს არ შეუძლიან არ ისიამოვნონ ჰაერითა და სეირნობითა, რასაც თხოულობს თვით ბუნება და ადამიანის ჯანმრთელობა.

საუკუნო შეცდომები, ცრუ-მორწმუნეობა და ფარისევლობა ხელს უშლიან ადამიანის ყოველ გულ ახდილ და პატიოსან გრძნობის გამოჩენას. ბევრისთვის ის ისეთი აუტანელია, რომ იძულებულია ჩავარდეს წინააღმდეგ უკიდურესობაში და ჭკუიდანაც შეიშალოს. ნათლადა სჩანს, რომ მარტო უცოდინრობა ამოქმედებს ხალხს ასე, რომ ზარალის გარდა არაფერი ნაყოფი არ მოაქვს მისთვის.

ასეთ ბოროტმოქმედებათა შედეგების კვირადღით თავიდგან ასაცილებლად საჭიროა ნება დავრთოთ მუშებს დანარჩენ დღეებში უწყინარი თავისუფლება და დასვენება მეტადრე ზამთარში. მეტად ერთ ფეროვნად, როდესაც მუშაობენ ზაფხულში ლიუნერკში მცხოვრებლები აკეთებენ ბაღებს, სთესვენ კართოფილს და შეუძლიანთ აქ სეირნობა ჯანის სისაღისთვის, შეუძლიანთ დატკბობა ბუნების ხშირი ცვალებადი სურათებითა, რასაც მოაქვს მათთვის მეტის-მეტი ეკონომიური სარგებლობა და უუწყინარესი სიამოვნება. ზამთარში საზოგადოება მოკლებულია ჯანის სისაღისთვის ასეთ სამუშაოს და გასართობებს, ხალხი მუშაობს

10 საათს, კვირა დღეს ვარდა და ყოველი მუშა მუშაობს თითქმის ერთსა და იგივე საქმეს. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ზამთარში ამხანაგობის ჯანმრთელობა და სიფხიზლე რავდენიმე % დაბლა სდგას, რაც შეიძლება აიხსნას ზემოხსენებული მიზეზით. ყველა აბან მიგვიყვანა უწყინარ სიამოვნებისა და გონიერი დასვენების დარბაზის საჭიროებამდე.

ბევრი კეთილმოსურნე ვერ იცნობს დაბალი ხალხის ცხოვრებას, თვითონ კი გონივრულად არიან აღზრდილნი და ცხოვრობენ ისეთ ოჯახებში, სადაც მათ გონივრულადვე ექცევიან; ამათ შეიძლება იფიქრონ, რომ საშინელი უწესოება იქნება მუშათა კრებებზედ. წინააღმდეგ ამისა ვხედავთ, რომ მათი კრებები ძალიანაც წესიერად ჩაივლიან ხოლმე და ამასთანავე დიდი სარგებლობაც მოაქვთ მონაწილეობის მიმღებთა ჯანმრთელობისთვის, სულის სიმშ-იდისთვის და ხასიათის კეთილად გაწვრთნისათვის, თუ ხანდისხან უწესოებაცა ხდება—ამის მიზეზი დასებათ დაყოფაა და ის პირნი, რომლებსაც მუშების ხელმძღვანელობა უნდათ და ადამიანის ბუნებას კი ვერ იცნობენ.

სიკეთისა და გონიერი ყოფა-ქცევის მოტანა უფრო უწყინარ გასართობებს და დასვენებას შეუძლიანთ, ვიდრე სხვა და სხვა ბრძანებათა და დადგენილებათა თავზედ მოხვევას, რომლებსაც მარტო სიძულვილის აღძვრა შეუძლიანთ. დიახ, თავის მოთხოვნილებანი კაცობრიობას აქამომდე ესმოდა არა უკეთ, ვიდრე იცოდნენ მზის ამბავი კოპერნიკამდე და გალილეამდე.

უწინდელ საუკუნოების ბევრი მოაზრენი გრძნობდნენ ამ უცოდინარობას და მწარედ დასტიროდნენ მის შედეგებს; ზოგიერთი იმათგანი ურჩევდნენ ზემოხსენებულ პრინციპების შეთვისებას, როგორც წამალს, რადგანაც მარტო იმათ შეუძლიანთ ქვეყნის დახსნა უცოდი-

ნაობის უბედურ შედეგებიდგან. მაგრამ ჯერ არ დამდგარიყო მაშინ ადამიანის ჭკუის განთავისუფლების ხანა, და ქვეყანაც მომზადებული არ იყო მის მისაღებად. კაცობრიობის ისტორია ამტკიცებს, რომ კაცმა უდროოდ არ უნდა დაამტვრიოს უცოდინრობის ნაჭუჭი, მოთმინებით უნდა ელოდოს, ვიდრე ცოდნა გავრცელდება ხალხში და მისცემდეს მას იმდენს ძალსა და სიცოცხლეს, რომ აიტანოს მზის მბრწყინავი სხივის ყურება.

ვინც რიგიანად სჯის, თუ რა იყო, ან რა ზომისა გონებრივი მოძრაობა უკანასკნელ 50 წელსა, იმას არ შეუძლიან არ შეამჩნიოს, რომ ხდება დიდი ცვლილებები, რომ კაცი უკვე მზათ არის გადადგას კიდევ ერთი დევური ნაბიჯი განვითარების გზაზედ იმდენად, რავდენადაც შეუძლიან ბუნებრივი ძალით. მიაქციეთ ყურადღება აწმყოს; შეხედეთ გონების მთელ მოძრაობას, უყურეთ როგორ თანდათან ძალი ემატება და მზად არის დაამსხვრიოს თავისი ბორკილი. მაგრამ რაში მდგომარეობს ამ ცვლილების საქმე?

პირველიდგანვე შევეჩვიეთ იმ აზრსა, რომ კაცი თვითონ ჰქმნის თავის ხასიათს, გარეშე პირობების დამოუკიდებლად, და, მაშასადამე, მარტო ის უნდა იყოს პასუხის მგებელი თავის თვისებების და გრძნობებისა, ამათგან ზოგიერთის გამო ჯილდოვდება, ზოგიერთის გამო კიდევ ისჯება. ყველა დროის სისტემები დამყარებული იყვნენ ამ შემცდარ პრინციპზედ, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპი გამოკვლევის შემდეგ არამც თუ არ დამტკიცდება ფაქტებით, ჩვენი საკუთარი გრძნობების მთლად წინააღმდეგიც კი აღმოჩნდება. ასეთი შეცდომის უბრალოდ ჩათვლა არ შეიძლება, რომელსაც ჩვეულებრივი შედეგები მოსდევს: ეს ძირითადი შეცდომაა, შეცდომა დიდ-მნიშვნელოვანი, რომელსაც გავლენა აქვს ჩვენზედ ბავშვობიდგანვე და არის ნამდვილი და ერთად-

ერთი მიზეზი ბოროტებისა. ეს შეცდომა ჰშობს და ამტკიცებს უცოდინრობას, სიძულვილს და შურისძიებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დამყარდებოდა გონიერი კავშირი, ნდობა და გულკეთილობა; ეს ის ავი სულია, რომელიც აშორებდა სხვა და სხვა ქვეყნების ხალხს და მტრად გადაჰკიდებია იმათ, როდესაც უამისოთ ისინი დასტკბებოდნენ ერთმანეთის დახმარებით და მტრობით.

ეს შეცდომა ველარ იარსებებს: ღღითი-ღღე ვრწმუნდებით, რომ კაცს ხასიათი ეთვისება ყოველთვის სხვისგან და უგამონაკლოდ, მისი მიდრეკილებანი დამოკიდებულნი არიან უფრო იმის წინად მცხოვრებლებზედ, რომლებიც გადასცემდნენ, ან შეეძლოთ გარდაეცათ მისთვის, თავიანთი აზრი და ჩვეულებანი, ე. ი. გარდაეცათ ძალა, რომელიც აწარმოებს ადამიანის საქმეებს. **ასე, რომ კაცი არა ჭქმნის და არც შეუძლიან შეჭქმნას თავისი ხასიათი.**

ამ საყურადღებო ფაქტის ცოდნა არ არის შედეგი აღზნებული და თავდაუჭერელი ოცნებისა; ეს გამოყვანილია ადამიანის ბუნების დიდისხნის და გულმოდგინე თეორიული და პრაქტიკული შესწავლიდგან, ადამიანის სხვა და სხვა დროს მოქმედების თვალყურის ჭერისგან, და ამასვე ამტკიცებს დიდი რიცხვი ფაქტებისა.

კაცობრიობას რომ არ მიეღო ასეთი ცრუ ცნება ამ საგანზედ, უბრალოდ ბოთხრობა ჭეშმარიტებისა თვალსაჩინოდ ჰყოფდა მას ყოველ მოაზრე კაცისათვისა; ხალხი გაიგებდა, რომ იმათ წინად მცხოვრებლებს შეეძლოთ შეესისხლხორცებინათ იმათთვის როგორც საზარელი მჭამლობა კაცისა, აგრეთვე უაღრესი სიკეთე და გონიერება. აქამდის რომ მიაღწევდა ის, იმასაც მალე მიხვდებოდა, რომ აქვს საშუალება აღზარდოს მოზარდი თაობა ან როგორც დედმამამ, ან როგორც სჯულმდებლებმა და მასწავლებლებმა ამა თუ იმ მიმართულების თანახმად, გა-

იგებდნენ, რომ იმათი ნებაა ბავშვის განებივრებაც, გაორგულებაც, გაბრიყვება-გაამაყებაც, თავდაუჭერელობაც და შურის-მაძიებლობაც, ე. ი.—მათი გაუწრთვნელობა, უგუნურება და უბედურება, ან კიდევ—მათი გმირობა, სამართლიანობა, სულგრძელება, თავდაჭერილობა, საქმის მოყვარეობა, კეთილი და კეთილ-მყოფელობა, ე. ი. მათი განათლება, გონიერება და ბედნიერება.

ადამიანის საბედნიეროდ, უვიცობის სამეფო ჩქარი ნაბიჯით მიდის გახრწნისაკენ; უკვე ახლოა დრო, როცა მისი საშინელებანი მოისპობიან და მეორეთ თავის ჩენა აღარ შეეძლებათ. აწმყო დროის შეცდომები შეგნებული აქვს არა მარტო მოაზრე და განათლებული ხალხს, — მთელი საზოგადოება უფრო და უფრო ცნობილობს ამათ და მალე საზოგადოების ყველა გაუნათლებელი წევრიც მიხვდება ამას. შეიძლება მოიპოვებოდენ ისეთი პირნი, რომელნიც უცოდინრობისა და საკუთარი სარგებლობის შეუგნებლობის გამო მოინდომონ ამ ცოდნის წინსვლის შეფერხება. მაგრამ ყოველი ამათი ცდა ამაოდ დარჩება; მისი წინსვლის შეჩერება არაფერს არ შეუძლიან.

თუ რიგზედ მოხმარებულ იქნებიან ეს პრინციპები, ისევე კეთილის მოტანა შეუძლიანთ პრაქტიკაზედ, როგორადაც ჭეშმარიტნი არიან თეორიით. რისთვის უნდა ვაკლებდეთ კაცობრიობას ამ დიად სარგებლობას?! ნუ თუ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ერთად-ერთი გონიერი ზომების პრაქტიკაზედ შეთვისება, რომელთ შემწეობითაც ჩვენ მახლობელთ მოაკლდებათ უბედურება და გაუბედვრდებათ ბედნიერება?

ჩვენ ასე იმიტომ მოვიქეცით, რომ უკეთ აგვეხსნა ახალი ინსტიტუტის დანარჩენ ნაწილების სარგებლობა, რის აღწერაც ამის შემდეგ იქნება. ეხლა ჩვენ გვინდა გამოვააშკარაოთ, თუ რა მიზნით შენდებოდა სკოლა, სამკითხველო-დარბაზი და საყდარი.

დ. მდ — ძე.

(შემდეგი იქნება).

დანაშაულობა-დამნაშავენი

და

იმათ წინააღმდეგ საბრძოლველი ასალი საშუალებანი *).

ციხეები და ვადამდე პირობით განთავისუფლება.

(წერილი მესამე).

ოცა წინა წერილში სასჯელის გამოცვლის შესახებ ვლაპარაკობდით, ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ სისხლით სამართლის უფლება, განსაკუთრებით სისხლის სამართლით დასჯანი, დღეს კრიზისსა, ცვალებადობის ხანაშიათქო. ძველი დროიდან მემკვიდრეობით დარჩენილნი სასჯელნი—როგორც მაგ. სიკვდილით ანუ სხეულით დასჯა, უვადო კატორღა, განათლებულ ქვეყნებში უკვე გამოვიდენ ან გამოდიან ხმარებიდამ, რადგან ისინი ეწინააღმდეგებიან საზოგადოების ზნეობრივ გრძნობას. ცუდი საქციელის და დანაშა-

---

*) „მოგზაური“ №№ 11—12, 1902 წ.

ულობისათვის სასჯელის უმთავრესი სახე ჩვენს დროში არის ციხე მისი სხვა და სხვა ფორმებით. განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში (გარდა საფრანგეთისა) ციხეში დამწყვდევა მეტათ განვითარდა და იქ ციხეებიც საუკეთესოთ არიან მოწყობილნი. საფრანგეთსა და რუსეთში სასტიკ დანაშაულობისათვის, პირველში—გზავნიან კუნძულ ახალ კალედონიაში (ავსტრალიაშია), რუსეთში კი—ციმბირში. მაგრამ რუსეთსა და საფრანგეთშიაც დამნაშავეთა გაგზავნას სამწუხარო შედეგების მეტი არა მოჰყოლიარა: გაამრავლა დამნაშავეები გაგზავნილ ადგილებში და შეჰქმნა სამძიმო, აუტანელი დამოკიდებულება პატიოსან მკვიდრთა და გაგზავნილთ შორის. ციმბირში გაგზავნილები და კატორღიდან იქვე დასასახლებლად გამოსულნი, რომ ველარ შოულობდნენ სამუშაოს, რადგან მკვიდრი მტრულათ უყურებს მათ და თან იმათ მძიმე შრომის უნარიც აღარ აქვთ,—გარბიან და ყაჩაღობენ მთელ ციმბირში წყნარი ოკეანედან დაწყებული ურალის მთებამდე. მრავალი სისხლით ღვრის საქმეები ხდება აქ გაქცეულთა-მიერ და იმეებზედაც. ციმბირის სასამართლოებში მრავალი საქმეები იწყება მკვლელობისა და ცარცვა-გლეჯის შესახებ, მარა მთავრობისაგან ყველა ისპობა „დამნაშავის აღმოუჩენლობის გამო". 12 მაისის 1900 წ., ციმბირში გზავნა საცხოვრებლად და გაგზავნა ადმინისტრატიულის წესით, ანუ საზოგადოებების განჩინებით მოისპო; მოისპო აგრეთვე დასასახლებლად გაგზავნაც; სრულიად დაცულია მხოლოდ კატორღაში გზავნა.

ამნაირათ რუსეთშიაც, დასავლეთ ევროპის მიბაძვით, უმთავრეს სახედ დასჯისა შეიქმნა ციხეში დამწყვდევა.

დღევანდელი სატუსაღოები ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებში მაინც, რა თქმა უნდა, არ ჰგავს წინანდებურ ბნელ, ვიწრო, ამყრალებულ „გალიებს", რომელშიაც იხუთებოდნენ უბედურნი დასჯილნი ყოველნაირ ნაკლუ-

ლევანებასა და გასაჭირში. ციხეები ინგლისსა, ბელგიასა, გერმანიასა და ზოგგან საფრანგეთშიაც—„გალია“ ანუ „ორმო“ როდია. იგი ჩვეულებრივათ ფართო, სინათლიანი, კარგათ მოწყობილი შენობაა. დღეს შამოღებულია **სამარტოხელოთ** (одиночное) დასამწყვდევი ციხეები (ინგლისსა, ბელგიასა და გერმანიაში), რომელნიც ითვლებიან საუკეთესოთ დამნაშავეთა განსაკალ კევებლად და მათ გასასწორებლად და ხელახლა აღზრდისათვის. ასეთი ციხეები ჯვარედინათ ანუ, თუ დიდია, ბორბლის მსგავსად არიან აშენებულნი და წარმოადგენენ შენობის რამდენიმე ტანს. თითო ტანი შეიცავს რამდენიმე სამარტოხელო კამერას (პატარა ოთახს), რომელნიც ჩამწკრიებულნი არიან საერთო კორიდორში (აივანში). ეს აივნები გაშლილი და შეერთებულნი არიან კიბეებით თავიდან ბოლომდე ყველა სართულებთან. კამერების კარები რკინის მუსრულსისა ანუ სქელი მინისაგან არის გაკეთებული, ისე რომ მეთვალყურეს ერთბაშათ შეუძლია დაინახოს რას აკეთებს ტუსაღი კამერაში. ამას ეძახიან „**ბანოპტიკურ“ სატუსაღოებს.** წესიერება და სიწმიდე შიგ სამაგალითოა, თბება ორთქლით, განათება უმეტესათ გაზის ანუ ელექტრონულია. ერთი სიტყვით, რუსეთის ციხეებთან შედარებით, ისინი სასახლეებია.

გარდა იმისა, რომ ევროპის ციხეებში ზრუნავენ ტუსაღების ნივთიერ კეთილდღეობასა და მათ ჯანმრთელობაზე, არა ნაკლებ იქ ყურადღებას აქცევენ იქონიონ ტუსაღზე ზნეობრივ-გამასწორებელი გავლენა. ამ მიზნის მისაღწევათ თვითეულ ციხეში არის გამართული ცალკე სახელოსნოები ტუსაღების სამუშევრათ, ცალკე ბიბლიოთეკები და ცალკე გაკვეთილები. ვინც წერა-კითხვა არ იცის, იმან უთუოთ უნდა ისწავლონ, ვინც არაფერი ხელობა იცის, მას ნიჭის და შესაფერად ასწავლიან რაიმე ხელობას. ზნეობრივათ ზედგავლენისათვის ყოველ კვი-

რაობით ანუ უფრო ხშირათ იმართება შესაფერი ქადაგებები და მუსაიფი სასულიერო პირის ანუ სპეციალურათ დამნაშავეების გასწორებაზე მზრუნველ საზოგადოების წევრებისაგან.

ასეთია ნათელი მხარეები ციხეების მოწყობილობისა დასავლეთ ევროპის უმრავლეს სახელმწიფოებში, საცა იმათ ვადაოებთ რუსეთის ციხეების წეს-წყობილებას, ანუ უკეთ ვთქვათ, უწესრიგობას. რუსეთის ციხეები მოუწყობელია *), ვიწრო, მუდამ სავსეა ტუსაღებით, ჰაერი აქ სულის დამხუთავია, ტუსაღების ფიზიკურ და ზნეობრივ კეთილდღეობაზე მზრუნველობა თითქმის არავითარი არ არის. ყველა ტუსაღები ერთად არიან: რეციდივისტები, პირველათ დასჯილნი, მოზრდილნი და მცირეწლოვანნი. ზომიერათ მოწყობილი სამუშევრები თითქმის არ არის, ბიბლიოთეკები, ტუსაღების წერა-კითხვის და ხელობის სწავლების ძალიან იშვიათათ შეხვდებით.

მაინც კიდე ევროპის სამაგალითო ციხეებიც უნაკლულონი არ არიან. ერთი, რომ ყველგან ისინი ისე მოწყობილნი არ არიან, როგორც ინგლისსა და ბელგიაში; ავსტრიისა და იტალიის ციხეები ცოტათი სჯობია რუსეთისას. მეორეთ, თვით საუკეთესო ციხეებში ტუსაღების მდგომარეობა მარტოთ დამწყვდევის სისტემის სიმკაცრესთან სახარბიელო არაა: ადამიანი მუდამ მარტოთ-მარტო უნდა იყოს, სიტყვას ვერავისთან დასძრავს, მეზობლებთან ლაპარაკი, დამწყვდევის შემდეგ აღკრძალულია, და რომ გინდოდეს შეუძლებელიაა. სახელოსნოში სა-

*) გარდა ორიოდესი: პეტერბურგსა და მოსკოვში. რუსეთის ციხეების, იქ შეოფ ტუსაღების და მათი აუტანელი მდგომარეობის გასაცნობათ ვურჩევთ მკითხველს წაიკითხოს წიგნი А. Фаресова—Въ одиночномъ заключеніи—1900 г. მთარგ.

ერთო მუშაობის (თუ კი ასეთი არის) დროსაც კი ამხანაგს ვერას ეტყვი გარეშე სამუშევრის შესახებ საქმისა. ზოგიერთ ციხეებში ასეთი საერთო სამუშევრებიც არაა. მთელი ორი, სამი, ათი წლის განმავლობაში დატუსაღებულნი ციხის ამხანაგებს ვერ ნახულობენ და შეუძლია დაელაპარაკოს მხოლოდ ციხის უფროსებს, ღვდელს, მოსამსახურეებს და ისიც ორიოდ სიტყვით. ასეთი ციხეების ეკკლესიებშიაც კი (მაგ. ბერლინის მოაბიტის ციხეში) ტუსაღები ერთმანეთს ვერ ხედვენ: მთელი სამლოცველო ნაწილი ეკკლესიისა დაყოფილია პატარ-პატარა ყოველის მხრივ დახურულ გალიებად, თეატრის ლოჟებივით; თვითეულ ამგვარ გალიაში დასმენ ტუსაღს, რომელსაც შეუძლია დაინახოს მხოლოთ საკურთხეველი და მღვდელი. სიჩუმე და წესიერება ასეთ სატუსაღოებში სამაგალითოა, სამაგიეროთ მოწყენილობა და ერთგვაროობა აუტანელი. ამგვარ სატუსაღოებში რამდენიმე წელიწადს ნაჯდომი ადამიანი გარდაეჩვევა კაცთა საზოგადოებას, ხასიათი და გონებრივი ნიჭიერება უსუსტდება, იგი ხდება ავტომატი, ეჩვევა ერთფეროვან, უბრალო ცხოვრებას; ქრება მასში ხასიათი და ენერგია, რომლებიც მიძინებულან, ან გამქრალან დიდიხნის მოწყენილ მარტოყოფობაში. ამისთანა კაცს ცხოვრება აღელვებს და აშინებს; ბელგიელებს ამგვარ მარტოხელათ მჯდომ კაცებზე ანდაზაც შეუქმნიათ: მას ციხის პარალიჩი (დამბლა) დამართნია. ამისთანა კაცები ყოველ გაჭირვების დროს ფიქრობენ: „არ სჯობია ისევ უკან მივუბრუნდე ციხეს? იქ მყუდროება მაინც არის?“-ო. ამგვარ სურვილის დროს საიდანაც არ იყოს შემთხვევაც გაჩნდება.

მეორეს მხრით მარტოხელათ დამწყვდევა გრძელდება დიდი ხნით; მოკლე ვადიანებისათვის ამ ზომას არ ხმაროობენ და ან თუ ხმაროობენ არც ისე მკაცრად; მოკლე ვადიანები (ერთი ან ნახევარის წლით) მომეტებული ნა-

წილია. იმათზე მარტოხელ დამწყვდევასაც (ვთქვათ, სამი თვით) არ აქვს ისე ცუდი გავლენა. საზოგადოთ ციხეში ცხოვრება მკვიდრის ღარიბი კლასისათვის თავისუფალ ცხოვრებაზე უცუდესი არ არის. მეორენაირი საცდური: ციხეში ცხოვრება არც მაგრე ცუდია, უბედურება მხოლოდ ისაა, რომ იგი სახელს უტეხს ადამიანს: თუ ერთხელ ციხეში იჯექი,—შემდეგ ყველა უნდობლად გიყურებს, სამუშევრის შოვნა ძნელია. აქედან ბევრს ძალა-უნებურათ ებადება მოთხოვნილება თვისი საქციელი (ქურდობა) განიმეოროს და დაუბრუნდეს სახელმწიფო პურს ციხეში, მხოლოთ ცოტა ხნით. მთელ დასავლეთ ევროპაში ემჩნევა ზრდა წვრილმან დანაშაულობათა: წვრილმანი ქურდობა, ჩხუბი, შფოთი და მისთ. ამავე დროს იზრდება რეციდივისტთა (განმეორებით დამნაშავეთა) რიცხვიც.

ამგვარმა ცუდმა შედეგებმა, ციხეების საქმის ასე მტკიცედ მოფიქრებულმა და ერთგვარათ სამაგალითო მოწყობამ,—ბოლოს, აიძულა საზოგადოება და მთავრობა ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში მიეღოთ ზოგიერთ შემთხვევებში განსაკუთრებული ზომები, რომელთაც შეეძლოთ ერთის მხრით გაეწიათ ციხეში დამწყვდევის მაგივრობა ანუ მოესპოთ იმის ცუდი მხარეები. ამგვარ ახალ ზომებს ეკუთვნის **პირობით გადამდე განთავისუფლება**. არსებითად რომ ვსთქვათ ეს კერძო ზომაა, რომელიც ციხის მაგივრობას ვერ შეასრულებს, მარა მისი მიზანია **ციხეში ჯდომის გადა შეამოკლოს**. ვადამდე ანთავისუფლებენ ისეთ ტუსაღებს, რომელნიც ციხეში კარგს ყოფაქცევას იჩენენ, გულმოდგინეთ მუშაობენ, ციხის წესრიგს არ არღვევენ და სხ. მისთ. ეს ზომები შემოიღეს თავდაპირველათ ჩრდილო ამერიკაში და ინგლისში, იქიდან კი ევროპაში გადმოვიდა, სადაც ყველგან ხმარობენ, გარდა რუსეთისა.

ვადამდე განთავისუფლების ხასიათი და მნიშვნელობა ყველაზე უფრო ნამდვილი ცხოვრების მაგალითზე შეგვიძლია დავინახოთ. ყველაზე უკეთ ვადამდე განთავისუფლების საქმე ამერიკასა და ინგლისშია დაყენებული. ჩრდილო-ამერიკის შტატებში (მაგ. ინგლისში) ტუსაღები კლასებად იყოფიან. ეს კლასები ყველა ტუსაღებმა, მისი ყოფა-ქცევის და შრომის მუყაითობის მიხედვით, უნდა გაიარონ. სამართლის შემდეგ ახალი მოსულები პირველ კლასსში შედიან, ციხეში არსებული წეს-რიგი ყოველივე თვისი სიმკაცრით სრულდება. რამდენიმე ხნის (6, 9 ან მეტი თვის) შემდეგ ის ტუსაღები, რომელნიც უფრო „კეთილშობილურნი“ აღმოჩნდებიან, გადაჰყავთ შემდეგ კლასში, სადაც იმათ ერთნაირი შეღავათი ეძლევათ: საქმელს უუმჯობესებენ, ნებას აძლევენ ხშირათ ინახულონ მშობლებმა და სხ. მისთ. კიდევ რამდენიმე ხნის შემდეგ გადაჰყავთ შემდეგ კლასში და ასე ამ რიგათ. ვინც უმაღლეს კლასში გადავა და რამდენიმე თვეს დაჰყოფს, იმას ვადამდე ანთავისუფლებენ ციხიდან. ციხის მმართველობა დაუნიშნავს თუ არა განთავისუფლებას ამისთანა კანდიდატს, ცდილობს განსაკუთრებული აგენტების ანუ სამოწყალო საზოგადოებების წევრების შემწეობით მოუპოვოს მას ადგილი, სამუშევარი. უშოვნიან თუ არა საბუშევარს, ხანდისხან ორი ან სამი წლით ადრე სასამართლოს-მიერ მისჯილ ვადისა, ანთავისუფლებენ ტუსაღს. მაგ., თუ ტუსაღს სამი წელი ჰქონდა მისჯილი, იმის განთავისუფლება შეუძლიათ პირობით ორი წლის და ზოგჯერ უფრო ადრეც; უმეტეს ნაწილათ კი სატუსაღოში ამყოფებენ ტუსაღს სასამართლოს-მიერ გადაწყვეტილ სასჯელის ორ მესამედს. პირობით განთავისუფლებულს აძლევენ განსაკუთრებულ საცხოვრებელ ბილეთს, სადაც მოყვანილია ყველა ის პირობები, რომლებიც მან უნდა შეასრულოს. სხვათა შორის პირობით

განთავისუფლებულმა დროდადრო ცნობები უნდა გაუგზავნოს ციხის მმართველობას თვისის შემოსავალ-გასავლის, სამუშევრის, გასართობების შესახებ. საცხოვრებელ ადგილზედ მისვლისათანავე იგი უნდა გამოეცხადოს ციხის (სამოწყალო) საზოგადოების წევრს, თუ იგი იმ ადგილში არსებობს, თუ არა—პოლიციის მოხელეს; შემდეგ იგი დაუყოვნებლივ შეუდგება ციხის მთავრობისმიერ ნაშოვნ სამუშევარზე მუშაობას. ამნაირად, პირობით განთავისუფლებულებზე არსებობს თვით ციხის გამგეთა მეთვალყურეობა, სამოწყალო საზ-გადოების წევრების, ანუ პოლიციისა. თუ პირობით განთავისუფლებული უმიზეზოთ დაკარგავს ადგილს და სხვას არ მოიძებნის, იწყებს ლოთობას, შფოთს და სხ. მისთ., — მაშინ ციხის მთავრობა აბრუნებს მას ისევ ციხეში, სადაც მან უნდა შეასრულოს მაზედ დაკ(ებული ვადა.

ამნაირად ვადამდე განთავისუფლება პირობითია, ე. ი. დასჯილზე მოწყალებას კი არ იღებენ და საითაც გინდა, იქით წადით არ ეუბნებიან,—არამედ, სახელდობით ანთავისუფლებენ იმ პირობით, რომ დასჯილი ცუდს არას მოიმოქმედებს მისთვის სასჯელად დადებულ ვადის შესრულებამდე. ცხადია, რომ თუ განთავისუფლებ(ლი არაა თუ ილოთებს, ან ცუდათ ვისმე მოექცევა, არამედ ხელახალ დანაშაულობას ჩაიდენს, ამისათვის მას უკვე ხელახლად მისცემენ სამართალში და მიუსაჯვენ გარეშე პირველისა ხელახალ სასჯელს და ხელახლა ჩასმენ სატუსაღოში. მაგრამ სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ ამგვარი შემთხვევები ცოტაა. ციხის ცხოვრების კარგად მცოდნეების სიტყვით, ვადამდე განთავისუფლებულები, უფრო მომეტებულათ პირიანათ ასრულებენ შეპირებას, თავისუფალ მეთვალყურეობის განმავლობაში კარგათ იქცევიან და სატუსაღოს აღარ უბრუნდებიან. ამავე დროს პირობით განთავისუფლება არის უდიადესი საშუალება დას-

ჯილში წესიერების და ზნეობის დასაცველად. ყოველი ადამიანისათვის, და მით უფრო ამერიკის და დასავლეთ ევროპის თავისუფალ ხალხებისათვის, თავისუფალი ცხოვრება—უმაღლესი სიკეთე და უმაღლესი ჯილდოა. იმედი, რომ დასჯილს ვადამდე შეუძლია ციხიდან პირობით განთავისუფლება—უზომოთ აუმჯობესებს და ამხნევებს დასჯილს, რომელიც გრძნობს, რომ პირადათ მისგან არის დამოკიდებული დანიშნულ ვადამდე დაუბრუნდეს თავისუფალ ცხოვრებას.

მაგრამ ვადამდე განთავისუფლების შემოღებისათვის საჭიროა ზოგიერთი პირობები საზოგადოების და სახელმწიფოს მხრითაც. პირველათ საჭიროა, წესიერათ და საღმჯობესოთ გამართული ციხეები, საჭიროა განათლებული და ზნეობით სპეტაკი ციხის მთავრობა. საჭიროა მეორეთ, დაარსება განსაკუთრებული დასჯილ ტუსაღების მფარველი საზოგადოებანი, ეგრედ წოდებული «პატრონატები».

ავიღოთ თუნდაც ციხის მოწყობა-გამართვა: პირობით ანთავისუფლებენ უმეტესათ დიდიხნით დატუსაღებულებს (ორი, სამი და მეტის წლით); იმის გასაგებათ თუ, რამდენათ გამოიცვალა ტუსაღის ხასიათი ციხეში, მაზედ უნდა იყოს მიპყრობილი გულსმოდგინე და კეთილსინდისიერი მეთვალყურეობა. ამგვარი დაკვირვება, რა თქმა უნდა, უფრო მოხერხებული და ადვილია, სამარტოხელოში ჯდომით ანუ ტუსაღების ჯგუფებად დაყოფით და არა როცა ისინი ერთათ ცხოვრობენ და ერთი-მეორეზე გავლენა იმდენათ ძლიერი აქვთ, რომ ციხის უფროსები იმათ განსაკუთრებით ველარც კი ადევნებენ თვალ-ყურს და იმავე დროს გარეგან წესიერების დაცვასაც მოახერხებენ. მეორეს მხრით საჭიროა, რომ თვით ციხის მთავრობას შეეძლოს სწორი მსჯელობა იქონიოს თიოეულ ტუსაღის პიროვნებაზე, რომ შეიძლებო-

დეს სრულიად დაენდოს კაცი მათ შეხედულებას, აზრს დასჯილის გასწორების შესახებ და არ უნდა ვფიქრობდეთ, რომ ამ მთავრობის აზრი დაფუძნებულია ზოგიერთ, ჩვეულებრივათ, უფრო გარყვნილ ტუსაღების ხვეწნა-მუდარასა და იმათ გულის მოგებაზე.

შე დეგ ამისა, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, როგორც პირობით, ისე უპირობოთ განთავისუფლებულს, მიუცილებლად სამუშევარი უნდა უშოვნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იძულებული იქნება ციხეს მიუბრუნდეს. თვით განთავისუფლებულისათვის თითქმის შეუძლებელია ადგილის შოვნა. მას უნდა დაეხმაროს მზრუნველი საზოგადოება—პატრონატები. ამერიკაში, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, თითონ ციხის მთავრობა უძებნის პირობით განთავისუფლებულებს სამუშევარს. ინგლისში მრავალი საზოგადოებები არსებობენ ციხიდან განთავისუფლებულთა მფარველნი; იქ ციხიდან განთავისუფლებული ტუსაღი, თუ კი მას გულით სურს მუშაობა და მიმართავს თხოვნით ამგვარ საზოგადოებას, მას ყოველთვის უშოვნიან შესაფერ სამუშევარს და, დროებით ფულით დახმარებასაც კი აღმოუჩენენ. ამის გამოა, რომ ინგლისში დანაშაულობა კლებულობს, თუმცა ინგლისელი არავის არ მიაჩნია (და თითონაც არ მოაქვთ თავი ამით) განსაკუთრებით ზნეობა-მაღალ და გულ-ლმობიერ ხალხად. წეს-წყობილებანი კი მათ, როგორც ციხის, ისე სხვა, სამაგალითონი აქვთ; დამნაშავეთა რიცხვი იქ მიტომ კლებულობს, რომ ვისაც კი სურს ‘ძრომით, პატიოსნურათ იცხოვროს,—ყველგან დაეხმარებიან, ხელს შეუწყობენ და წააქეზებენ, თუნდაც იგი წინეთ დასჯილიც ყოფილიყოს რაიმე დანაშაულობისათვის.

პირობითი სასჯელი (განაჩენის გასაბათილებლად გადადება).

წერილი მეოთხე.

პირობით განთავისუფლება არის ახალი ზომა უმეტეს ნაწილათ ხანგრძლივ ტუსაღების შესახებ. მაგრამ ასეთი ტუსაღები არც ისე ბევრია. ყველა ქვეყნებში უმრავლესი ნაწილი ტუსაღებისა ისჯება ხან-მოკლე სასჯელით, ორი ან სამი თვით. იმათთვის ვადამდე განთავისუფლებას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, სათვალავში მისაღები კი, სწორეთ, წვრილმანი დანაშაულობებია. რა ეშველება ამგვარ შემთხვევაში საქმეს? რა უნდა ვუყოთ, განსაკუთრებით, ეგრედწოდებულ **შემთხვევით** დამნაშავეთ, რომელთაც პირველათ ჩაუდენიათ დანაშაულობა და ისიც განსაკუთრებით ცუდ გარემოებათა ზედგავლენით,—ან გაჭირვებით, ან სხვების წაქეზებით და სხ. მისთ.? ყველა ამგვარ შემთხვევებში მათი გამართლება შეუძლებელია, ამით კანონისადმი პატივისცემა ირღვევა; ციხეში ჩაჯენა, ეს მავნებელია წესიერ ადამიანისათვის, მისი შემარცხვენელი დაღია, რომლისაგანაც იგი ველარ განთავისუფლდება. აი ამგვარ შემთხვევებში მხსნელი არის **პირობით სასჯელის** **გადაწყვეტა**, ანუ **გარდაწყვეტილების** **შესრულების** **გადადება** **მისი** **გაბათილების** **უფლებით**.

პირობით სასჯელის გადაწყვეტის სამშობლო ჩრდილო ამერიკა, სახელდობრ, მარსაჩურეტის შტატია, სადაც ეს ზომა 25 წელიწადია ხმარებაშია. ევროპაში პირობით მისჯა ყველაზე წინ ინგლისში შემოიღეს (1887 წ.), შემდეგ ბელგიაში (1888 წ.), საფრანგეთში (1891 წ.) და ზოგიერთ წვრილმინ სახელმწიფოებში. გერმანიას და ავ-

სტრიას, რუსეთზე რომ აღარა ვთქვათ, ჯერაც არ შემოულიათ ეს დაწესებულება, თუმცა იმის სარგებლობა, სადაც შემოღებულია, ცხადზე უცხადესია.

პირობით მისჯას ყველა ქვეყნებში ერთნაირათ რადი ხმარობენ. ცნობილია მისი სამი სახე. პირველი ტიპია ამერიკული (ანუ მასსაჩუსეტის) სისტემა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ პირობით მისჯილს რამდენიმე ხნის განმავლობაში განსაკუთრებულათ სცდიან. ვინც პირველათ ჩაიდინა დანაშაულობა და წინეთ არაფერში იყო შემჩნეული, სასამართლო არდგენს გამამტყუნებელ განაჩენს, მაგრამ სისრულეში არ მოჰყავს იგი, არამედ უქვემდებარებს დასჯილს ცალკე პირის, სისხლის სამართლის ინსპექტორის მეთვალყურეობას (ხანდისხან ციხის საქველმოქმედო საზოგადოების წევრს). პირობით მისჯილი აღნიშნულ ვადაში ვალდებულია წარუდგინოს ხოლმე ამ ინსპექტორს ცნობები თვისი საქმიანობის, ყოფა-ცხოვრების შესახებ და უნდა შეუფარდოს თვისი მოთხოვნილებანი ინსპექტორის ჩვენებას. ინსპექტორი დადის პირობით მისჯილთა ბინებზე, საიდანაც მათ შორს წასვლა არ შეუძლიანთ იმის დაუკითხავად. თუ პირობით მისჯილი აღნიშნულ ხნის (2—5 წლამდე) განმავლობაში არაფერში იქმნა შენიშნული,—სასამართლოს განაჩენი ბათილდება, ისპობა და დასჯილი თავისუფლდება, თითქოს სრულიათ არ ყოფილიყოს სამართალში მიცემული. მაგრამ „გამოცდის“ ხანაში იგი კარგათ უნდა იქცეოდეს, თორემ ახალი დანაშაული კი არა, უბრალო ცუდი ყოფა-ქცევის გამო (ლოთობა და სხ. მისთ.)—ხელახლა ციხეში ამოაყოფინებს მას თავს, სადაც მან უნდა შეასრულოს რაც სასჯელი ჰქონდა მისჯილი. ამნაირათ ამერიკაში პირობით მისჯას და პირობით განთავისუფლებას შორის ის არის საეთო, რომ ორთავე შემთხვევაში დასჯილი სავალდებულო (მასთან ნებაყოფლობით, მეთვალ-

ყურეობის ქვეშ არის. ამ სისტემას ორთავე შემთხვევაში საუკეთესო ნაყოფი მოაქვს.

მეორენაირი ტიპია—ინგლისის სისტემა; ამ სისტემით პირობით მისჯილმა უნდა წარადგინოს პირადათ ან სხვისი მხრით, რომ აღნიშნულ ვადაში (რასაც სასამართლო გარდასწყვეტს) იგი ცუდს არას ჩაიდენს. თუ რამე დანაშაულობა ჩაიდინა, პირობით მისჯილს გარდა იმისა, რომ ციხეში ჩააჯენენ, სათავდებო ფულსაც გადაახდევინებენ.

მესამენაირი სახე პირობით მისჯილობისა არის—ფრანგული, რომელშიაც არ არსებობს პირობით-მისჯილზე არც თავდებობა და არც ცალკე მეთვალყურეობა. სასამართლო მიუსჯის ვისმეს, ვთქოთ, ორ წელიწადს, მაგრამ ეს მისჯა პირობითია. თუ აღნიშნულ ვადაში (ხუთ წელიწადს) მისჯილი არ ჩაიდენს არავითარ ახალ დანაშაულობას (ცუდ საქციელზე აქ სიტყვაც არაა), იმას სრულიად ანთავისუფლებენ გარდაწყვეტილ სასჯელისაგან. თუ კი რაიმე ახალი დანაშაული ჩაიდინა ამ 5 წლის ვადაში, მაშინ უნდა ჩაჯდეს ციხეში იმ ორ წელს, რაც მას პირველისათვის ჰქონდა მისჯილი და ის დროც, რასაც მეორე დანაშაულობისათვის მიუსჯიან. ამგვარი პირობით მისჯა უთავდებოთ და უმეთვალყურეოთ მიღებულია საერთოთ ევროპაში, გარდა ინგლისისა.

ყველა ამ სამმა სახემ პირობით მისჯისამ—**თავდებობით, მეთვალყურეობით და უამათოთ**—უეჭველი სარგებლობა მოიტანა. პირობით-მისჯილთა უმრავლესი ნაწილი მართლაც სასამართლოს ნდობის ღირსნი აღმოჩნდნენ და გამოუშვეს თუ არა თავისუფლათ, ისინი აღნიშნულ ვადის განმავლობაში არავითარ ცუდ საქციელს არ იჩენდნენ. ჩრდილო ამერიკაში 100 პირობით მისჯილებში 90 მეტი მშვიდობიანათ ასრულებს თვისს „გამოცდის“ ვადას, მიუხედავათ ინსპექტორების დაუძინარის მეთვალყურეობი-

სა და ამნაირათ იცილებენ თავიდან ხელმეორეთ დატუ-
საღვბას და სასჯელს. ასევეა ინგლისში და ავსტრალია-
შიც. ბელგიაში მხოლოდ 100-ში ოთხმა ჩაიდინა ხელ-
მეორეთ დანაშაულობა წინანდელი გარდაწყვეტილების
გაბათილებამდე, 96 კი პირიანათ შეასრულა გადადების
ხანა. საფრანგეთშიდაც აგრეთვე ოთხი წლის განმავლო-
ბაში დასჯილნი იყვნენ პირობით 95,000 და იმათგან
ხელმეორე სასჯელი მხოლოთ 4000 ხვდა. ეს იმ დროს.
როცა იმავე საფრანგეთში საერთოთ ას დასჯილში (პი-
რობით-მისჯილნი რომ არ ჩავთვალოთ), 50-დე ხელახალ
სასჯელს ეძლევა დანაშაულობის განმეორებისათვის (რე-
ციდივისტები). ბელგიაშიაც აგრევე რეციდივისტთა რი-
ცხვი 50%-ზე მეტია უპირობოთ დასჯილთა შორის.

ეს ციფრები ცხადათ გვაჩვენებენ, რომ პირობით-
მისჯა ბევრ შემთხვევითი დამნაშავეებს იფარავს საუკუ-
ნოთ დაცემულობისაგან და იხსნის მათ ციხის დამღუპ-
ველ გავლენისაგან. პირობით-მისჯილს უფრო ადვილად
შეუძლია ადგილის, სამუშევრის შოვნა, ვინემ ციხეში
ნაჯდომ, სამარცხვინო დაღით გამოშვებულს. ამნაირათ
შემთხვევით გზა-დაბნეულ კაცს ადვილათ შეუძლია გას-
წორდეს და დაუბრუნდეს პატიოსნურ ცხოვრებას, რომ-
ლისაკენაც იზიდავს მას ციხის ჯერ კიდე არა ნაგემი წეს-
წყობილების შიში. პირობით-განთავისუფლება უბრალო
მოწყალება როდია დამნაშავის, ან უშედეგოთ საქმის მი-
ტოვება (რაც ხდება განსაკუთრებულ შემთხვევებში, მა-
ნიფესტების დროს): დამნაშავე არ გაუმართლებიათ, მარა
არც დაუსჯიათ; მხოლოდ იგი გადუდვეს იღნიშნულ ვა-
დამდე. თუ ამ ვადაში დამნაშავე გასწორდება, კარგ ყო-
ფა-ქცევას დაიჭერს, სასჯელი სრულიათ ბათილდება.
ცხადია, რომ ვისაც ცოტათ თუ ბევრათ აქვს პატიოს-
ნური ცხოვრების უნარი, იმისთვის ძნელი არ არის ამ

გამოცდის ატანა და მით აიცდინოს სასამართლოს-მიერ გადაწყვეტილი სასჯელი.

პირობით მისჯის მაგვარ ჩანასახს ვხედავთ რუსეთშიაც—«ვოლოსტის» სასამართლოებში. ასე, მაგალითად, ტომბოვის გუბერნიაში «ვოლოსტის» სასამართლოები, იღებენ მხედველობაში დამნაშავის წინანდელ უმწიკვლო ცხოვრებას, მის შენანებას და სხ. მისთ. და პირველი დანაშაულისათვის არ სჯიან („первая вина не считается"); მისცემენ მხოლოდ «შენიშვნას» ანუ «გაფთხილებას», ხანდისხან საჯარიმო წიგნში ჩასწერენ, ანუ ხელწერილს ჩამოართმევენ, რომ საწინაოთ უკანონო საქციელს არ ჩაიდენს (მაგ. არ გალახავს ცოლს და სხ.). თუ დამნაშავემ მიეხედავათ შენიშვნის, გაფრთხილების და ხელწერილისა ხელახლა ჩაიდინა ესა თუ ის დანაშაულობა, სამამასახლისო სამსაჯულო მას უფრო მკაცრს სასჯელს უნიშნავს, ვინემ პირველად. ძველადაც მეფე ალექსი მიხეილის ძის დროს (1649 წ.) იყო განსაკუთრებული თავდებობა სასამართლოს წინაშე კარგი ყოფაცხოვრების შემთხვევით დასჯილ კაცის შესახებ. ეს თავდებობა, რომელიც ანთავისუფლებს სასჯელისაგან საწინაოთ ახალი დანაშაულობის ჩადენამდე ერთნაირათ მოგვაგონებს ინგლისის დღევანდელ პირობით-მისჯას და დამნაშავის განთავისუფლებას მშობლების ანუ მეგობრების თავდებობით.

ამგვარათ, რუსეთში პირობით-მისჯა არ იქნებოდა რაიმე ახალი ხილი, და ამ ახალი ზომის შამოღება განსაკუთრებით სასურველი არის რუსეთში, სადაც ციხეების მოწყობილობა-წესრიგი ასე საქებარი არ არის. იმათ უსათუოთ, გა

კუთრებით მავნებელია მივმალოთ ამ უწესრიგო და ზნეობა-გათახსირებულ ციხეებში ჯერ კიდე ზნეობა გაურყვნელი ადამიანები, რომელთა ზნე-ხასიათი ჯერ კიდე ისე მედგარი და მტკიცე არ არის ყოველგვარ საცდურის საწინააღმდეგოთ. აქაურ ციხეებში ყოველგვარ დამნაშავეთა ერთმანეთში არევით, ამისთანა კაცები, უეჭველათ, იღუპებიან, ირყვნებიან და თუ უბრუნდებიან თავისუფალ ცხოვრებას მხოლოთ მიტომ, რომ ხელახალი დანაშაულობა ჩაიდინონ. პირობით განთავისუფლების დროს კი, რა თქმა უნდა, საზოგადოების დახმარებით, რომ იმათ პატიოსნური ცხოვრება ატარონ, მსგავს შემთხვევით დამნაშავეებს ადვილათ შეეძლოთ საზოგადოების სასარგებლო წევრებად გამხდარიყვნენ.

რუსულ ლიტერატურაში სისხლით სამართლის უფლებაზე ბევრი საფუძვლიანი და დამარწმუნებელი წერილები დაისტამბა, რუსეთში პირობითი სასჯელის შემოღების სასარგებლოდ. ეგევე აზრი გამოსთქვა რუსეთის კრიმინალისტების (სისხლით სამართლის უფლების მცოდნენი) თავყრილობამ 1899 წ. იანვარში, გაცხარებული და ხანგრძლივი დავის შემდეგ იმ დამაბრკოლებელ საკითხების შესახებ, რომელნიც ვითომდა ხელს უშლიან რუსეთში პირობით მისჯის საქმის შემოღებას. კრებამ ხმის უმეტესობით—16 წინააღმდეგ 3-სა, აღიარა, რომ ეს დაბრკოლებანი ადვილათ მოსაშორებელია თავიდან, თუ კი სურვილი იქნება. და აქიტომ **მართლიერების, ადამიანობის და სახელმწიფო სარგებლობის ინტერესებისათვის სასურველია დაუყოვნებლივ შემოღება რუსეთის სასამართლოებში პირობით სასჯელის გადაწყვეტისა.** პირველათ შეიძლებოდა, კრების აზრით, ცოტათი შეკვეცილ მისი ხმარება, სახელდობ აღვნიშნოთ, რა პირობებში შეიძლება პირობით განსჯა დამნაშავისა. ამგვარი პირობები იქნება: დამნაშავის წინანდელი უმწიკვლო

ცხოვრება, უბედურ გარემოებათა შემთხვევით თავის მოყრა, თუ დამნაშავემ დაბალ, უპატიოსნო განზრახულებით არ ჩაიდინა დანაშაული და სხ. მისთ. შეიძლებოდა აგრეთვე ზოგიერთი დანაშაულობები არ დაგვექვემდებარებია პირობითი განსჯაზე.

ვნახოთ, შეიძლება, ვიცოცხლოთ იმ ახლო მომავლამდე, როცა რუსეთშიდაც, სხვა რეფორმებთან ერთათ, პირობითი განსჯასა და განთავისუფლებასაც შამოიღებენ დამნაშავეთათვის!..

ის. კვიცარიძე.

სახალხო სახლი

⁂

მისი საზოგადოებრივი და აღმზრდელი მნიშვნელობა *).

აი ამიტომაც ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა გონიერ გასართობების და სასიმრთელო თავშესაქცევების მოწყობა მოითხოვს არა მარტო ძალას და საშუალებებს, არამედ მიზანთან მიმღწევ და სისტემატიურათ შედგენილს მოქმედების პროგრამას. საკმარისი როდია მოვაწყოთ სახალხო სახლი, საჭიროა მოხერხებულათ მივმართოთ და ვუხელმძღვანელოთ ამ დაწესებულების მოქმედებას. იმათ არ უნდა ვუყურებდეთ როგორც უბრალო თავშესაქცევს, ანუ სამხიარულოს, როგორც **უბრალო** საშუალებას სულიერ და ფიზიკურ დასვენების; ხალხში სულიერი კულტურის განუვითარებლობის გამო ეს დაწესებულებანი **მაუცილებლათ** უნდა **ემსახურებოდნენ განათლება-აღზრდის საქმეს ჩვენში.**

---

*) იხ. „მოგზაური“ № 7—8, 1903 წ.

როგორც გონებრივი და ზნეობრივი განვითარება, ისე ნივთიერი კეთილდღეობის ინტერესები დაჟინებით მოითხოვენ ხალხის ბრბოს განათლებას, რაც დაფუძნებულია განათლების საშვალებებზე. აქ ერთდებიან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესები. განათლება ამაღლებს ხალხის ძალას და ამრავლებს სიმდიდრეს. ბრბოს უვიცობა არის ხალხის უბედურება, რაც ავათ ცხადდება კერძო პირის, საზოგადოების და სახელმწიფოს ცხოვრების ყოველ მხარეებზე. გონიერი საზოგადოებრივი აღზრდა და ყველასათვის ხელმისაწვდენი პირველდაწყებითი სწავლა-განათლება წარმოადგენენ ქვეყნის იმ საფუძველს, რომელიც უზრუნველ ჰყოფს ნივთიერ და გონებრივ კეთილდღეობას და აქედან მომდინარეობს მოქალაქობრივი განვითარებაც. ერობის წარმომადგენელნი მართალს ამბობენ, რომ სახალხო განათლების ახლანდელ მდგომარეობაში, მზრუნველობა და საშუალებანი მთავრობის თუ ერობათა გასაუმჯობესებლათ და კეთილმოსაწყობათ დაბალი კლასის მდგომარეობის, ვერ მიიტანენ არსებითს სარგებლობას, რადგან ამის დამაბრკოლებელი მიზეზები ხალხის უვიცობაა. ხალხის სწავლით ზომვენ მის განათლებას, უკანასკნელი კი საზომია იმისა თუ, რა ადგილი, მდგომარეობა უჭირავს მას მსოფლიო ისტორიაში.

წერა-კითხვის უდიდესი მნიშვნელობა ცხოვრებაში დიდი ხნიდან ჰქონდათ შეგნებული რუსეთშიაც. ძველათ აქ წიგნის კითხვა მაღლა იდგა და ითვლებოდა სულის მაცხონებლად. წიგნების საქმის სამსახური, განსაკუთრებით საღვთო წერილის შინაარსისა, საღვთო საქმედ ით-

ვლებოდა. ცნობილი გლეხი პოსოშკოვი, მეფე პეტრე დიდის თანამედროვე, აი რასა სწერდა: „არა მცირედი უბედურება მოსდით ხოლმე გლეხებს იმიტომ, რომ მათ წერა-კითხვის მცოდნენი არ ჰყავთ. მე ვგონებ, კარგი იქნებოდა, რომ პატარა სოფელშიაც არ იყოს წერა-კითხვის უცოდინარი კაცი, და უნდა წესათ დაუდვათ მათ, რომ მიუცილებლათ აძლიონ თვისი შვილები წერა-კითხვის სასწავლათ“. ეს ბრძნული სიტყვები დღესაც არ ჰკარგვენ თვისს ულრმეს აზრს და ცხოვრების სინამდვილეს... აი კიდევ რასა სწერს რუსეთის თანამედროვე ერთი მწერალთაგანი: „მინახავს მე სიბნელეში მცხოვრები გლეხი; მისი სიბნელე სილარიბისაგანაა, სილარიბე კი სიბნელისაგან. ასე გადახლართულნი არიან ერთი-მეორეზე ეს მოვლენები“. მაგრამ ამასთან ერთათ გლეხების საზოგადოებანი ასობით არდგენენ განაჩენებს სკოლების და სამკითხველოების გასახსნელიათ და სწავლის საქმის გაუმჯობესობას ცდილობენ. ისინი დაბეჯითებით მოელიან, რომ იმათ შვილებს და შვილიშვილებს წერა-კითხვა ეცოდინებათ და მაშასადამე ისე არ დაიტანჯებიან უვიცობისაგან, როგორც ესენი. ეს არის იმედი უკეთეს მომავალისა. ეს ღრმა რწმენა წერა-კითხვის ცოდნის ძალისა არის უმაღლესი ზნეობრივი ღირსება; მას თანაგრძნობის ხმას აძლევს ყოველი სინიდისიერი ადამიანი, რომელსაც ესმის ხალხის უვიცობის უდიდესი უბედურება. მიწის მუშების საუკეთესო პირებს სრულიად შეგნებული აქვთ, რომ ერთი ძლიერი დაბრკოლება სოფლის მეურნეობისა და საზოგადოთ სახალხო შრომის გაუმჯობესობის მდგომარეობაა წერა-კითხვის უცოდინარ გლეხ-კაცობაში; მას

არ აქვს ნდობა სხვის გამოცდილებაზე, რაზედაც ლაპარაკია წიგნებში, რადგან თვით წიგნაკიც მისთვის რაღაც უცნობი ძალაა, რაღაც უცხო რამ, გაუგებარია... ნაკლებათ გამჭრიახი და განათლებით განუვითარებელი გონება, ენდობა მხოლოთ პირადულ შთაბეჭდილებას; ყოველივე, რასაც მასარიგებდნენ, ზეპირათ ანუ წიგნაკით გადასცემენ, მისთვის მეტათ განყენებული, გაუგებარია და ამისათვის არც ნდობის ღირსია. უდიდესი მოძღვარი პესტალოცი ასე ეუბნებოდა თავის ხალხს, „შვეიცარიის დაბიონს“: „ჩემო ხალხო, შენ ღარიბი ხარ, შენ უბედური ხარ, შენ უვიცი ხარ! შენ უბედური ხარ იმიტომ, რომ უვიცი ხარ“. ხალხმაც ყურად იღო მისი სიტყვები და შვეიცარიაში ფართოთ დანერგილმა განათლებამ აამაღლა მისი საზოგადო კეთილდღეობა.

მაგრამ დავუბრუნდეთ „სახალხო სახლის“ უახლოეს მიზანს.

გონიერ სახალხო გასართობებს აქვთ დიდი და მრავალმხრივი გავლენა; ისინი აძლევენ ადამიანს მიზეზს ჩაუფიქრდეს ცხოვრების სიავ-კარგეს, დაისვენოს სულით და განახლდეს. უქმე დღეებში სასიმრთელო მხიარულობა და კარგ გუნებაზე დგომა აჯილდოებს მუშაკს საქმის დღეს შრომისათვის. რა თქმა უნდა, ყველაკარ მიისწრაფის სამხიარულო და სასაცილო გასართობისადმი, მაგრამ ყველაც არ კმაყოფილდება სერიოზულ გასართობებით, საზნეობო საუბრებით; ამიტომ ანგარიში უნდა გავუწიოთ სხვა და სხვა მოთხოვნილებებს, მიხედვით ასაკისა, გონების ავლა-დიდებისა, ხასიათისა და გუნებისა. მაგრამ მაინც კიდე შემცდარი არ ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ მომეტებული უმრავლესობა მშრომელი ხალხისა ეძებს სახელდობ კმაყოფილებას უქმე დღეებში დასვენების დროს. აი აქ იბადება საშიშროებნ უქმე დღეებში ბიწიერების სხვა და სხვა საცდურებისა. ამისათვის, უე-

ზველია, მოწყობა გზისა, სასამართლო გასართობებისა იქნება ბასუხი მშრომელი ხალხის ბუნებრივი მოთხოვნილებისა. ისინი არიან არა მარტო მთვრალობასთან საბრძოლველი იარაღი, არამედ გამაკეთილშობილებელი, ზნე-ჩვეულების გამაფაქიზებელი, განათლების, ამ სიტყვის უფართოეს მნიშვნელობით, გამავრცელებელი. აქედან გასაგებიცაა თუ, რატომ აწერენ **სამართლიანთ ამგვარ გასართობებს უდიდეს საზოგადოებრივ-აღმზრდელ მნიშვნელობას.**

თუ ჩვენ კიდევ მაინც მიგვაჩნია, რომ სახალხო გასართობნი, შეძლებისადაგვარათ უნდა ემსახურებოდნენ აგრეთვე ჭკუა-გონების განმავითარებელ და განმანათლებელ მიზნებს, მაინც კიდე უნდა ვზრუნავდეთ იმაზედაც, რომ მათ არ დაჰკარგონ თავიანთი **მიმზიდველობა და ხალხისათვის ინტერესი.** უიდა ვცდილობდეთ, რომ ისინი მოსწონდეთ, აკმაყოფილებდეს და მოქმედებდეს გამაცოცხლებლად და განმაახლებლად; მაშინ თითონ ხალხი დააფასებს იმათ და იმათს ხელმძღვანელთ ღირსეულად. ეს ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ ნევსკის საზოგადოების სახალხო გასართობების მაგალითით. აი რასა ვკითხულობთ მისს ამ ათი წლის ანგარიშში:

„მუშა ხალხი, რომელიც ატარებდა მთელ თვისს დღეებს ფაბრიკებისა და ქარხნების დახშულ, მოშხამულ და შეხუთულ ჰაერში, ღამეებს კი ვიწრო, ტალახიან ოთახებში, უქმე დღეებში გამოეფინებოდა და დაეხეტებოდა ტრაქტირებსა და სამიკიტნოებში და იქ ხარჯავდა თვისი შრომით მონაგარ ორიოდე გროშს. ახალგაზდობა იკრიბებოდა სარბევზე, მინდორზე; იწყებდა იქ მუშტი-კრივით ბრძოლას, თამაშობდა გროშობიას და ბანქოს, რაც ხშირათ კინკლავით და ჩხუბით თავდებოდა. ადგილობრივი პოლიცია მუდამ ებრძოდა ამ უწმაწურობას“. მაშინ მ. ს. აგაფონოვის და ვ. პ. ვარგუნინის წრემ 1885 წ.

სოფელ ალექსანდროვსკაში გააწყო სახალხო სეირნობა, რასაც ხალხი ათასობით ესწრებოდა. სამიკიტნოები და ტრაქტირები თითქმის სანახევროთ დაცალიერდნენ. ბუფეტში მაგარი სასმელების უქონლობის გამო სეირნობას კარგი ელფერი ედვა: არც კინკლავი, არც ჩხუბი და არც ლანძღვა-გინება იქ არ იყო. მუშები მიდიოდნენ სასეირნოთ ცოლიან-შვილიანათ; მოისმენდნენ მუსიკას, ნახავდნენ კომედიას, დალევდნენ შინაურათ ჩაის და ასე დაკმაყოფილებულნი მიდიოდნენ შინისკენ". შემდეგ ეს კეთილი საქმე გადიტანეს პარვში, ფარფორის ქარხნის გვერდით, დაარსდა „სახალხო გასართობების მომწყობი საზოგადოება". მან მიზნად დაიდვა: „ხელი შეუწყოს ადგილობრივ მუშა ხალხისათვის ზნეობრივ, წამახალისებელ და იაფ გასართობების მართვა-მოწყობას; სახელდობ: სახალხო სეირნობას, სახალხო კითხვებს, კონცერტებს, წარმოდგენებს, საცეკვაო საღამოებს. ამ გასართობებს დიდი წარმატება ჰქონდათ. ანგარიშის შემდგენელი ევტ. კარპოვი სამართლიანათ შენიშნავს, რომ „რადგან სეირნობა თავდებოდა ტრაქტირების და სამიკიტნოების დახურვის შემდეგ, შეიძლება გაბედულათ ითქვას, რომ არა ერთი ოჯახი გადარჩა თავისი წევრის დაუთრობლათ შინ დაბრუნებას, არა ერთი და ორი სიმწრით მოპოებული გროში ჩარჩა ჯიბეში მუშას შავი დღისათვის. „10 წლის განმავლობაში, 1885—95 წწ. საზოგადოების დაწესებულებაში იყვნენ მიმსვლელები 767,944 მოზრდილები და 84,402 ბავშვი". (მარტო სეირნობაზე საშვალო რიცხვით ესწრებოდა 3000-მდის კაცი და უკანასკნელ დროს კი გაზაფხულზე—5000-მდის). «მიუხედავათ დამსწრეთა ამოდენა რიცხვისა, 10 წლის განმავლობაში არც ერთხელ ́ ́ ყოფილა რაიმე სახიფათო შემთხვევა, რომლის დასამშვიდებლათ საჭირო ყოფილიყოს ენერგიული განკარგულება პოლიციისა". ანგარიშის ბოლოს „ნეგ-

სკის საზოგადოება უკულითადეს მადლობას უძღვნის მუშა ხალხს, რომელმაც თავი გამოიჩინა სახალხო სეირნობისადმი სიხალისე და თანაგრძნობა, ყოველი ნათელი და კეთილი საქმისადმი მისწრაფება". აქ ურიგო არ იქნება შევუერთოთ შემდეგი ანალოგიური ჩვენება ადმინისტრაციის ერთის წარმომადგენლისა. ხერსონის გუბერნატორის მოხსენებაში სასმელების ხაზინის მიერ გაყიდვის შედეგების შესახებ ვკითხულობთ შემდეგს: „ამგვარ გასართობების მოწყობის შემდეგ, როგორიცაა სახალხო საჩაიები, სახალხო კითხვები ბუნდოვანი სურათებით, შესამჩნევათ იკლო უწესოებამ, ქუჩებზე ჩხუბმა და მთვრალობამ; სხვა ზომებთან ერთათ ამ დაწესებულებათაც კეთილი გავლენა აქვთ მკვიდრთა საოჯახო და საზნეობო ძალებზე" *).

მთვრალობას ებრძვის სახელმწიფოც და საზოგადოებაც ხალხის სიმრთელისა და ზნეობის დასაცავად. მთვრალობა იზომება მაგარი სასმელების ხმარების საშვალო რიცხვით კი არა, არამედ მისი **უწესრიგო ხმარებით**; თანასწორათ გარიგებული, იგი ნაკლებ ბოროტებას წარმოადგენს ფიზიკურ ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივ ზნეობისათვისაც. თანასწორობით მისი ხმარება კი მოი-

---

*) ჩვენ აქ **უადგილოთ** მიგვაჩნია შევჩერდეთ რუსეთში მაგარი სასმელების განვითარების საკითხზე, მაგრამ **შეტოდ**ის ასაცილებლათ და სიმართლისათვის ვიტყვით, **რომ** მაგარი **სასმელების** ხმარების **რაოდენობას** რუსეთში ევრ**ოპ**ის სხვა **სახელმწიფოებთან** შედარებით, **უკანასკნელი** ადგილი **უჭირავს**, ე. ი, რუსეთის ხალხი **საშვალო** რიცხვით **რომ** ვთქვათ, **უფრო** ფხიზელია. ეს **მტკიცდება** შემდეგი ციფრებით, **რომელ**ნიც **გამოუვანილნი** არიან ათი **წლის** (1881—**61** **და** 91—93 **წწ.**) **დაკვირვებათაგან** **და** **გვიჩვენებენ** **თუ**, **რა** **და** **რაგვარი** 4% **მა-**

თხოვს არა მხოლოთ მუდმივათ ფულს ჯიბეში, არამედ უწინარეს ყოვლისა, ერთნაირ განვითარებას. ვერავითარი კარგი აზრები სიფხიზლის სარგებლობის და ზომიერების, არაყის ხმარების მავნებლობის შესახებ ვერ მოიდგამს ხალხი ფეხს იქ, სადაც ამისათვის ნიადაგი განაოლებათ არაა მომზადებული.

საინტერესოა, რომ პირველ სამრეწველო მხარეში, ინგლისში, დიდიხანი არაა სახალხო გასართობების საკითხი იმგვარსავე მდგომარეობაში იყო, როგორც იგი დღეს რუსეთშია. ავტორი წერილისა «ინგლისის მუშები მოცლილობის დროს» (ვეს. ევროპ. 98 წ. სექტ.) სწერს, რომ 30 – 40 წლის წინეთ იქ, როგორც რუსეთში, გაისმოდა გაცხარებული საყვედური ხალხის თავის შექცევების სიტლანქე, ხეირიან გასართობების უქონლობაზე, კვირადღეობით მთვრალობაზე; მაგრამ ამავე დროს საზოგადოება მაინც კიდე არას აკეთებდა ხალხის გასართობების მოწყობა-გამართვისათვის. მას არა თუ არ მიაჩნდა ეს თავის მოვალეობად, პირიქით მდიდარი კლასის გავლენიან პირმოთნე პირების საშვალებით ყოველ ძალღონეს ხმარობდნენ სახალხო გასართობების წინააღმდეგ. ბევრს მომაკვდავ ცოდვათ მიაჩნდათ თეატრში წასვლა;

გარი სასმელები იხმარება თითო კაცის მიერ; საფრანგეთში — $2^3/_4$ ვედრო, დანიაში — $2^1/_2$, ბელგიაში — 2, გერმანიაში — თითქმის 2 და სხ. ბოლოს მე-12-ე ადგილი უჭირავს რუსეთს — $^2/_3$ ვედრო.

მაშასადამე, საზოგადო რიცხვი სახმარებელი სასმელებისა როდი შეადგენს დამდუბველ თვისებას რუსეთის ხალხისა, არამედ რუსის ხალხის უბედურებაა მაგარი სასმელების უწესრიგოთ გარდამეტებულათ ხმარება და კერძო შემთხვევებში.

ცეკვა-თამაშს ხომ უღვთოობას უწოდებდნენ. უბრალო ხალხისათვის კვირა-უქმე დღეებში მუსიკაც მიუწდომელი ხყო... დღეს კი სახალხო გასართობები ინგლისში ყოველ-მხრივ განვითარების უმაღლეს ხარისხამდეა მიღწეული. მათი უდიდესი მნიშვნელობა ყველას-მიერ აღიარებულია.

ახლა იბადება ძირითადი საკითხი: რაში უნდა მდგომარეობდეს სახალხო გასართობნი? როგორ და რა პროგრამით უნდა იმართებოდეს ისინი?

ცხოვრებამ ამ საკითხებზე უკვე მოგვცა პასუხი, მართალია, უფრო ნაწყვეტ-ნაწყვეტი და შემთხვევითი; სისტემატურ მათ მოწყობას კი ვხედავთ არა თუ იმ შეზღუდულ წრეში და მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში. საჯარო სახალხო კითხვები, სახალხო სახლი, საუოველთაო მუსიკალური გასართობნი,—აი თუ გნებავთ, რაც მოგვცა ჯერ ცხოვრების პრაქტიკამ სახალხო გასართობების შესახებ. ამას თუ მივუმატებთ სამკითხველოებს, საჩაიებს, სალიტერატურო კითხვებს, სახალხო ხორას, ამით ჩამოირიცხება ყველა გასართობნი და დაწესებულებანი, რომელნიც ეხებიან აქ დაყენებულ საკითხს. ჩვენ განგებ გავჩუმდით აქ სხვა და სხვა სათამაშოების, ცეკვების, სეირნობის, ჭიდაობის და სამხიარულო თავშესაქცევების შესახებ, რადგან ისინი არ ეკუთვნიან იმ გასართობთა რიცხვს, რომელთაც შეიძლებოდეს მივაწეროთ განმანათლებელ-აღმზრდელი მნიშვნელობა. ამით ჩვენ მაინც არ გვინდა დავამციროთ ღირსება და კარგი მხარეები ფიზიკურ სათამაშოებისა და გასართობების, მაგრამ იმ აზრით, რა აზრსაც ჩვენ ვაკუთნებთ სახალხო გასართობებს, ამათ მეორე ხარისხოვანი ადგილი უნდა დაეთმოთ.

დოხვიჩკის კომიტეტის სახალხო საფსიზლის სამზრუნველომ (1898 წ.) სამართლიანათ გამოსთქვა, რომ საუკეთესო საშვალება მთვრალობისაგან ჩადენილ ბორო-

ტებათა მოსპობისათვის არის მკვიდრის **გონებრივ და ზნეობრივ განვითარების აძაღლება**. სამეკიტნოების მაგიერ მას უნდა ვაწვდიდეთ უფრო გონიერ და სასარგებლო საშვალებას თავისუფლათ დროს გატარებისათვის. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა **უფასო სამკითხველოები**, ბიბლიოთეკები, **სახალხო კითხვები მომხიბლავი** (ВОЛ-ТЕБНЫЙ) **ფანრით**, **საჩაიები**, **შედგენა სახალხო ხოროებისა**, **სამუსიკო** და **სათეატრო** **გასართობნი** და სხვ. მისთანები. პროგრამის განხორციელების დროს სახეში უნდა ვიქონიოთ ხალხის მსოფლიო შეხედულება, ადგილობრივი პირობანი—ერთი სიტყვით, ვეცადოთ, რომ კეთილ დაწყებულებათ ცხოველმყოფელი ძალა ჰქონდეთ. საინტერესოა, რომ აღნიშნულ ადგილებში, გამოკითხვის დროს, თითქმის მთელი სოფელი თხოულობდა სასიმღერო ხოროს შედგენას.

ლოხვიცკის კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს **საოარმუკო სახალხო** **გასართობების მოწყობას**, რადგან აქ ამ დროს მრავალი ხალხი იყრის თავს და მაცდური თავშესაქცევები და გასართობნი მრავალია.

ერთის მხრით დიდი მანძილი, მეორესით დრო და საშვალებათა ნაკლულევანება ვერ გახდის ქალაქს შუაგულ ადგილად, სადაც ყველას შეეძლება დაეწაფოს მოსვენებას და ცოდნის შეძენას. ამისათვის კომიტეტს სრულიად სამართლიანად მიაჩნია ამ გონიერ გასართობთა მოწყობა სხვა და სხვა ადგილებში.

ზევით ნათქვამი იყო, რომ გონიერათ და სისტემატიურათ მოწყობილი გასართობნი, უეჭველათ ერთი უმთავრესი იარაღთაგანია ხალხის განათლების და აღზრდისათვის. გავლენის ძალას თუ გავსინჯავთ, **პირველ ადგილზე** უნდა დავაყენოთ **თეატრალური წარმოდგენები**, რადგან მათი განმანათლებელი ზედმოქმედება დაკავშირებულია ძლიერს შთაბეჭდილებასა და კმაყოფილებას-

თან. თვალდათვალობა, დასურათება შემასწავებელის იდეიისა, რომელიც იხატება ცოცხალს მოქმედებაში, გასაგებ თავგადასავალებში, უეჭველათ, გამოიწვევს თანაგრძნობას კარგისადმი და უნებურს მისწრაფებას მიმბაძველობისადმი. კეთილი აზრები და წაქეზებანი აღიბეჭდებიან და შეითვისება უფრო ძლიერათ თეატრის წარმოდგენებით, ვინემ წიგნაკების კითხვით; პირველნი მოქმედებენ ერთბაშათ მრავალრიცხოვან ბრბოზე, წერა-კითხვის არ მცოდნეებზედაც კი, წიგნაკი კი ხელმისაწდომია მარტო წერა-კითხვის მცოდნეთათვის. რაც უფრო ნათელია და დასურათებული მოქმედება, სურათები ცოცხალია, მით უფრო ძლიერია მათი მოქმედება გონებასა და გულზე, გრძნობასა და ფიქრებაზე. ცხოვრების სინამდვილეს ცოცხლათ ითვისებს მნახველი და სისწორითაც აფასებს მას. წარმოდგენების კეთილ გავლენას ემორჩილება მოუხეშავი, ავის ბუნების პატრონიც, თუმცა არც ისე ადვილათ და ერთბაშათ. თეატრს, თუ კი სახალხო წარმოდგენები ნამდვილ, თანადროულ გზას ადგია, შეუძლია ნამდვილი აღმზრდელი გავლენა იქონიოს და სხვებზე რომ არა ვთქვათ რა ამ მხრით, ის მუსიკალურ და ლიტერატურულ გასართობებზე მაღლა დგას. ვლ. ნემიროვიჩ-დამჩენკო (რუსების ბელეტრისტი მწერალია) სამართლიანათ ამბობს, რომ თეატრი აღძრავს ადამიანში ძლიერ გრძნობიერებას, შეაქვს შეუმჩნევლათ მაყურებელთა სულიერ მდგომარეობაში ერთნაირი გამოხატულება, აზრები და შეუძლია იქონიოს უდიდესი გამაკეთილშობილებელი და განმანათლებელი მნიშვნელობა... აი რასა სწერს გოგოლი ერთ თვისს წერილში: „თეატრი—ეს ისეთი კათედრაა, საიდანაც შეიძლება აუწყოთ ქვეყნიერებას მრავალი სიკეთე". ცხადია, გონიერათ საქმის დაყენებით თეატრი უბრალო თავშესაქცევი როდია; იგი უნდა ჩაირიცხოს განმანათლებელ და აღმზრდელ

საზოგადოებრივ დაწესებულებად. იმას მოაქვს კმაყოფილება, ართობს ხალხს, აღელვებს სულს და შეუძლია ემსახუროს კეთილის და სიმართლის მიზანს. აი რისთვის ვამჩნევთ ამ უკანასკნელ ხანებში ცდას სოფლებში თეატრის გამართვისას. მუდმივი სპეკტაკლები იმართება სოფ. პეტინაში, ვორონეჟის გუბერნიაში, როჟდესტვენაში— პეტერბურგის გუბ., ზოგიერთ ფაბრიკებთან მოსკოვის და ვლადიმირის გუბერნიებში, სოფ. პოზნიკაში—პოლტავის გუბ. და სხ. ხოლო შემთხვევითი სახალხო წარმოდგენები იმართება მრავალ ადგილებში.

1872 წ. მოსკოვში რამდენიმე თვის განმავლობაში გახსნეს სახალხო თეატრი ა. ფ. ფედოტოვის ხელმძღვანელობით. წარმატება დიდი მოჰყვა ამ თეატრს; მუშა კლასზე მისმა კეთილმა გავლენამ ცხადათ იჩინა თავი. მრეწველობის ერთი წარმომადგენელთაგანი (ა. საპოჟნიკოვი) ამტკიცებდა, რომ ამ თეატრის გახსნის შემდეგ მოისპო მთვრალობა მის მუშებს შორის, რომელნიც ახლა ტრაქტირებისა და სამიკიტნოების მაგიერ თეატრში დადიანო. ესევე მტკიცდება გაზეთების და სხვა მეფაბრიკეების თქმითაც. 10 წლის შემდეგ, 1882 წ. ა. ნ. ოსტროვსკიმ აღიარა რა აღმზრდელი და განმანათლებელი გავლენა სათეატრო წარმოდგენებისა ხალხისათვის, შეიტანა პროექტი სახალხო თეატრის აშენებისა, მაგრამ ესეც კეთილ განზრახულებად დარჩა. ცხადია, საზოგადოება მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შეგნებულათ გამსჭვალული ხალხისათვის ამგვარ გონიერ გასართობების სარგებლობით *).

---

*) დღეს კი ამბავი „სახალხო სახლის“ აშენების განხორციელებაზე ახლოსაა. მოსკოვის საიმპერატორო-სატეხნიკო საზოგადოების ხელმძღვანელობით უკვე შედგენილია ბლა-

იქ, საცა შეუძლებელია თეატრალური წარმოდგენების მოწყობა ხალხისათვის, სადაც შესაფერი შენობა არ მოიპოვება, ან ხელმძღვანლები, ან საშვალება არაა, იქ სახალხო კითხვები მხიბლავი ფანრით განსაკუთრებით საპატიო მნიშვნელობას მოიპოებენ. ცხადია, მათი მნიშვნელობა, როგორც განმანათლებელი საშვალებისა, სრულიად არ მცირდება თეატრის გამართვითაც, მაგრამ უვიც და წერა-კითხვის უცოდნელ, მიყრუებულ სოფლის გლეხს ასეთი კითხვები წიგნის, სკოლის და თეატრის მაგივრობას უწევენ. ისინი უღვიძებენ ინტერესს და მისწრაფებას ცოდნისადმი, ერთნაირათ აკმაყოფილებენ ამ მისწრაფებას და ამასთან თუ რიგიანათ შერჩეული კითხვებია, იმათ ექნებათ ზნეობრივ-აღმზრდელი ზედმოქმედება, მიცემს მათ კარგ მაგალითებს, აღძრავს მათში

ნი ცენტრალური „სახალხო სახლისა", სადაც მოთავსებული იქნება ყოველგვარა სახალხო გასართობნა. როგორც ამ საზოგადოების წევრთა მოხსენებებიდან ჩანს და მომავალი სახლის ბლანიც გვიმტკიცებს, ეს დაწესებულება სახალხო გასართობთა რიცხვში უპირველესთაგანი იქნება თვისი სიდიადით და მართლაც ამ მხრით მოსკოვის სატეხნიკო საზოგადოებას ნამდვილათ აუდია ადგო თანამედროვე მოსკოვის მცხოვრებთა მოუხოვნილებისა. მოსკოვში ეს დაწესებულება ერთ უდიდეს როლს ითამაშებს, რადგან იქ, როგორც სამრეწველო ცენტრში, აუარებელი მუშათა რიცხვია და თუმცა ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში ახლაც არის პატარ-პატარა სახალხო თეატრები, საჩაიები და სამკითხველოები, მაგრამ რაც ამაებში მთუხერხებელი იქნება თვისი სიპატარავით და მოუწყობლობით,—ის ცენტრალურ „სახალხო სახლში" იპოვის განხორციელებას...

მთარგმნელი.

კეთილ აზრებს და სურვილებს. ცხოვრების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კითხვები მხიბლავი ფანრით და თუნდაც უმისოთაც, ყოველგან და ყოველთვის აღძრავენ ხოლმე ცოცხალ ინტერესს და იწვევენ ღრმა თანაგრძნობას, განსაკუთრებით სოფლის ხალხში. იმათ გულსმოდგინეთ ესწრებიან, როგორც წერა-კითხვის მცოდნენი, ისე არამცოდნენიც. უვიც და ბნელი ხალხისათვის ეს კითხვები არის განათლების და კეთილი აღზრდის მომფენი საშვალება. სახალხო მასწავლებლების, ერობათა წარმომადგენლების და ადმინისტრაციის მოხელეების ჩვენებანი გვიმტკიცებენ, რომ სახალხო კითხვების დღეებში ძალიან კლებულობს მთვრალობა, ქეიფობა და ქუჩებში აყალმაყალი... როცა ამგვარ ფაქტებს ვხედავთ უნებლიეთ იბადება კითხვა: რატომაა, რომ სოფლის სკოლებში ასე ძნელათ ვრცელდება „სახალხო კითხვები“? რატომ ერობა არ მოაწყობს ამ საქმეს ისევე დასისტემებულათ, როგორც სკოლის საქმეს და არ მიანდობს მას თავიანთ მასწავლებლებს განსაკუთრებული ჯილდოთი?! *). სკოლის გარეთ დარჩენილი, წერა-კითხვის უცოდინარი ხომ აუარებელზე აუარებელია.

რაც შეეხება სახალხო სამკითხველოების და ბიბლი-

---

*) ჩვენში, რადგან ეს უმეცარსათვის სანატრელი დაწესებულება—ერობა არ არის, ამისათვის ამ საქმეში სხვა და სხვა საზოგადოებათა და საეპარქიო სკოლების მმართველთა ინიციატივა უნდა ჭარბობდეს, თუ კი მათ წრფელის გულით სურთ სახალხო კანათლების საქმე უფრო ფართთ და მტკიცე ნიადაგზე დაამყარონ და უნდათ, რომ პირველ-დაწყებით ხკოლის გათავების შემდეგ უმაწვილს არ ეკარგებოდეს სურვილი სწავლის განგრძობისა.

მთარგმნელი.

ოთეკების განმანათლებელ მნიშვნელობას, იგი საზოგადოთ ცნობილია და სადავო როდილაა. საკმარისია გადავათვალიეროთ იმათი ანგარიშები დასარწმუნებლად იმისა, რომ შედარებით ხანმოკლე თავის არსებობაში მათ დაიმსახურეს ნამდვილი თანაგრძნობა მკვიდრთა შორის, რომელმაც დააფასა კიდეც მისი სარგებლობა *). სოფლის სამკითხველოებშიაც კი ხელის მომწერთა რიცხვი ერთი წლის განმავლობაში ზოგგან 500—600-დის ადის. თვით ქალაქ ხარკოვში კი პირველ უფასო სამკითხველოში 1897 წ. ყოფილა 300-დი ხელის მომწერი, რომელთაც შინ მიჰქონდათ წიგნები საკითხავათ **). ამგვარი ციფრები მჭერმეტყველურათ ამტკიცებენ, რომ მკვიდრთა

---

*) სამწუხაროთ ჩვენში არა თუ სოფლებში, ქალაქის სამკითხველოებსა და ბიბლიოთეკებშიც ვერ შეხვდება ადამიანი ხელის მომწერთა ანგარიშს; შეუძლებელია გაგება, ვის რა წიგნი მიაქვს, რით უფრო დაინტერესებული დაბალი კლასი და სხ. მისთ. პირაქით ზოგიერთ ჩვენებურ სოფლის ბიბლიოთეკებში მათმა გამგეებმა ისიც არ იციან, რამდენი წიგნი ან ჟურნალ-გაზეთები აქვს მათ ბიბლიოთეკას და თუ წამოგცდა და რაიმე წიგნი დაუსახელე მოინახეთქო, გეტუვის: უჰ, ეს, მგონი, იყო ჩვენ ბიბლიოთეკაში, მაგრამ ვიდასაც წაუდია და ადარ მოუტანიაო. ასეა, ბატონო, წაიღებენ წიგნებს და ადარ მოაქვთ უკან,—გეტუვით ხოლმე იმათი გამგე. ის კი არა, იმათი დაუდევრობა და უანგარიშობა აქ უმთავრესი მიზეზია ამგვარათ ბიბლიოთეკის ინტერესების დაუცველობისა...

მთარგმნელი.

**) იხილეთ, მაგ. ქალაქ ხარკოვის სამკითხველოების ანგარიშები იქაურ წერა-კითხვის საზოგადოებისა და აგრეთვე სოფლების შესახებ—ანგარიშები სასოფლო ბიბლიოთეკების გამმართველ კომიტეტისა (იმავე საზოგადოების).

დაბალ კლასებში მომწიფდა მოთხოვნილება წიგნის კითხვისა. ამ მოთხოვნილებათა მიუცილებლათ დაკმაყოფილების საჭიროება და სამკითხველოების სისტემატიურათ მოწყობის საქმე შეგნებული აქვთ დღეს საზოგადოებას, ერობებს და ქალაქებს. ამ მხრით შესანიშნავია მოქმედება ისეთ ერობათა, როგორიცაა ხარკოვის, ტამბოვის, მოსკოვის და სხ...—ამასთან უადგილო არ იქნება ერთი შეცთომაც გავასწოროთ სამკითხველოების გამო. ხანდისხან ხმა ისმის, რომ რადგან სოფელში აუარებელი რიცხვია წერა-კითხვის უცოდინართა, ამიტომ იქ საჭიროც არ არისო ამგვარი დაწესებულებანი. ეს დიდი შეცთომაა. ფაქტები გვიმტკიცებენ, რომ ყოველ ნაბიჯზე წერა-კითხვის უცოდინარნი თავს იყრიან მცოდნეების გარშემო კითხვის დროს; არდგენენ წრეებს, განსაკუთრებით შემოდგომაზე და ზამთრობით; ხშირათ მოითხოვენ განმეორებას, განსაკუთრებით მოსაწონი წიგნაკისას. თავს იყრიან არა მარტო ახალგაზრდები, ბებრებიც კი, რომელნიც სიხალისით ისმენენ წიგნაკებს უფრო საისტორიო შინაარსისას. არის ისეთი ფაქტებიც, რომელნიც ამტკიცებენ, რომ სამკითხველოების გახსნა, ძრავს ხალხში წიგნაკებისადმი ინტერესს, ხელს უწყობს სკოლის საქმეს და ამიტომ ხალხიც სიამოვნებით იხდის ფულს სკოლის შენობის ასაგებად და სხ. მისთ. *).

---

*) რაც შეეხება ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსების საქმეს ჩვენში,—ამ მხრით ამ უკანასკნელ ხანებში წარმატებას ვამჩნევთ, განსაკუთრებით გურია, სამეგრელოსა და იმერეთში. მხოლოთ სამწუხარო ისაა, რომ ამგვარი ბიბლიოთეკების დაარსების დროს ბევრი ყვირილი და ხმაურობაა გაზეთებში (ალბათ მით ვისმე სახელის მოხვეჭა ესაჭიროება) და შემდეგ კი მათ ავ-კარგიანობაზე აღარა ისმის-რა სანამ მთლათ

დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის შრომის გასაუმჯობესებლათ, შინათ მრეწველობის, სახელოსნოების და მეურნეობის განსავითარებლათ, გამართვას შესაფერ გამოფენებისა ანუ მუზეუმების (მუდმივი ან გადასატანი) სოფლებში. პირველათ შედარებით მცირე ხარჯათ (150—200 მ.), მაგრამ გონიერათ ამგვარ სატარებელ გამოფენების მოწყობით, თან კითხვით და საუბრებით, ისინი შეიძლება აგრეთვე მოთავსდეს სახალხო სახლშიაც. რაკი ხელს შეუწყობს ზოგად განმანათლებელ ცნობათა და პროფესიულ ცოდნათა გავრცელებას, ეს მუზეუმები მიიზიდავს აუარებელ მნახველებს და ესენი, უეჭველათ, დაეხმარებიან სახალხო შრომის გაუმჯობესობას. სამწუხაროთ რუსეთში ამ მხრით ჯერ ძალიან ცოტაა გაკეთებული.

ზევით ჩვენ აღვნიშნეთ გონიერ გასართობთა აღმზრდელი მნიშვნელობა, ხოლო აქ ჩვენ არ ვეხებით უფრო ზოგად საკითხს—საუცხოო (изящное) ხელოვნებათა მნიშვნელობას ხალხის განმანათლებელ საშუალებათა შორის—საკითხს ესტეტიკის მნიშვნელობაზე საზოგადო განათლების ასამაღლებლათ და გონების განსავითარებლათ; არ ვეხებით აგრეთვე ხელოვნებასა და ცოდნას შორის ურთიერთობის საკითხს. ეს ფართო საკითხია და მოითხოვს უფრო ფართო განსჯას. ამ შემთხვევაში სახალხო სახ-

---

არ დაცალიერდება ბიბლიოთეკა, ან კიდე შემთხვევით გაზეთის მეთვალყურე ვინმე არ წაატუდება ასეთ სულის მდგომარეობას და უმეტეს შემთხვევაში, წრფელის გულით არ აუწყებს საზოგადოებას მისს სიავ-კარგეს, რასაც კამგის ასეთი თავის მართლება მოჰყვება: არაა ჩემს ხელში ბიბლიოთეკა უვაობდა და კორესპონდენტი სტეუისო.

მთარგმნელი.

ლების საკითხის გასარჩევ დროს ჩვენ უფრო მის პრაქ-ტიკულს მხარეს ვეხებით და ამ მხრით შეგვიძლია აღვ-ნიშნოთ მხოლოთ ხელოვნების განმაკეთილშობილებელი და აღმზრდელი მნიშვნელობა და მისი კეთილი მოქმედი გავლენა მისგან გამოწვეულს ხელოვნებითს სიამოვნე-ბაზე, რომელიც მოკლებულია ყოველს საპრაქტიკო და გამოსარჩენს მხარეს. იგი იძლევა სულიერ მოთხოვნილე-ბის წმიდა დაკმაყოფილებას, რომელიც იმალება ხალხში, მთელ მისს გროვაში. აქ არას ვიტყვით იმ გამონაკლი-სებზე და პირებზე, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან ხელოვნებითის ნიჭით. ხელოვნების გავლენა რაიმე უფ-რო ძლიერიცაა ცოდნისაზე, რადგან პირველი მოქმე-დებს გრძნობაზე, ადამიანის მთელ ბუნებაზე და აძალებს მას ბევრი რამ თითონ იგრძნოს... აქედან მომდინარე-ობს უდიდესი მნიშვნელობა ხელოვნებისა, განსაკუთრე-ბით თეატრისა, ხალხის განათლების და აღზრდის საქმე-ში. ჩვენშიაც დადგა დრო, როცა ხელოვნება შეძლებულ კლასთა უპირატესობას, ხვედრს აღარ შეადგენს...

რამდენი ნიჭი, ტალანტი იღუპება ხალხში, იკარ-გება, იხშობა ტლანქ ცხოვრებაში უვიც ბრბოს-მიერ! სულიერნი სიმდიდრენი იხშობიან; იმათ გზა აღარ აქვთ, არაფერი მათ არ აღვიძებს... ცხოვრების შემხუთავ სი-ცალიერეს, გონებრივ ინტერესთა სიმცირეს, შეუძლია ხალხში მხოლოთ დაახშოს მისწრაფებანი ნიჭიერი ახალ-გაზდისა, თუ კი იმათ თავი იჩინეს და კიდე უარესი, თუ გამოჩენის ნებაც არ მისცეს... განა შეიძლება ჩამოვთვა-ლოთ ის სულიერი და ნივთიერი დანაკლისი და ზარალი ჩვენი ქვეყნის კულტურისათვის, რაც მას მოსდიოდა და მოსდის დღესაც ხალხში ამგვარ ნიჭიერებათა დაღუპ-ვით?!. თითო-ოროლა ბუნიერი გამონაკლისი ამტკი-ცებს მხოლოთ ერთს, სახელდობ, იმას, რომ ასეთ სუ-ლიერს სიმდიდრეს მართლაც შეხვდებით ხალხში, მაშა-

სადამე, უნდა მივცეთ მათ ფართო გზა გამოსაქვეყნებლად. ხშირათ გაიგონებთ, რომ ყოველივე ამაში რაღაც ბედის წერითაა: თუ კი ადამიანს აქვს ნიჭი ხელოსნობაში, ტეხნიკაში, იგი თითქო უთუოთ ადვილათ ეძლევა ლოთობის გავლენას. ასეთი პრაქტიკული ცხოვრების დასკვნა მართალიც რომ იყოს, ეს მაინც მარტო იმას დაამტკიცებდა, რომ ნიჭიერი ადამიანები თავიანთ ინსტიქტიურ და შეგნებულ მისწრაფებათა უნაყოფობის, უნიადაგობის და აგრეთვე თვისს შინაგან თავგამწეობათა (порывовъ) დაუკმაყოფილებლობის გამო, იხშავენ მათ სასმელებით, «გაბრუებით»... მგრძნობიერი და ნიჭიერი ადამიანი განგებ იღუპავს თავს; მაგრამ განა ამაში შეიძლება დანახოს ადამიანმა ბიწიერება, ან ბოროტი ბუნება?! ფსიხოლოგიური მიზეზი ასეთის თავდავიწყებისა უფრო ღრმათაა. ბოლოს არ შეიძლება დაეთანხმოს კაცი ამ დასკვნას ასე განზოგადებულ ფორმით. განა ჩვენ არ ვიცით ხალხში, დაბალ კლასიდან გამოსული ნიჭიერი ადამიანები? განა დაძაბუნდა მისი სულიერი ძალღონე? მხოლოთ განათლებას, ამ სიტყვის უფართოეს მნიშვნელობით, შეუძლიან ხალხის ბნელი ბრბოდან აღმოაჩინოს და გამოიყვანოს ის ნიჭიერებანი, რომელნიც, ვინ იცის, სიამაყეს შეადგენდნენ თვისი სამშობლოსათვის...

პრაქტიკულის შეხედულებითაც, აშენების და მართვა-გამგეობის მხრითაც, ზევით დასახელებულ დაწესებულებათა გაერთიანება, ერთ სახლში მოთავსება, სასურველია. აი ეს არის „**სახალხო სახლი**“ ანუ „**სახალხო სასახლე**“, როგორც მას ლონდონში ეძახიან. ასეთი დაწესებულებაა ლონდონში მწერლის ბეზანტის აზრით დაარსებული, სახელწოდებით „სახალხო სასახლე“ *). პრო-

*) მწერალ ბეზანტის აზრით დაარსებული „სახალხო სასახლი“-ს სახელგანთქმულობა იმდენათ დიდია დღეს განათლე-

ფესორის იანეულის სიტყვით ამ სახალხო სახლმა „გაუ-ლო ლარიბებს კარები ქვეყნიერ სამოთხის ცოდნისა, ხელოვნების, კმაყოფილების და ადამიანის ღირსებისა“.

ბულ ქვეყნებში, რომ ჩვენ მიუხედავათ ამ წიგნაკის ავტორისა, საწირო ვცანით გავაცნოთ მკითხველებს მისი თავდაპირველი დაარსების ისტორია და შემდეგი განვითარება, როგორც იგი მოთხრობილია ახლად გამოსულ წიგნში: „Внѣшкольное народное образованіе въ Зап. Европѣ и С. Америкѣ“—В. Гебель-ისა, 1899 წ.

1882 წ. ინგლისში გამოვიდა რომანი ვალტერ ბეზანტისა «ყოველი გვარის და მდგომარეობის ადამიანები», რომელშიაც აწერილი იყო სურათი „ხახალხო სასახლისა“, ე. ი. სურათი ისეთის დაწესებულებისა რომელსაც ყოველგვარი საშუალება ჰქონდა ლონდონის ორთავე სქესის ღარიბი ხალხის გასართობებისათვის და სასწავლებლათ. ამ მწერლის მგვირცხლმა და კეთილშეგარე ფანტაზიამ, რომელმაც ცხადათ დაახასიათა ქალაქის მუშა კლასის უბედური ცხოვრება, მოიპოვა თანაგრძნობა ლონდონის საზოგადოებაში. ამ რომანის გამოქვეყნების ორი წლის შემდეგ გაზეთებში გამოცხადდა პროექტი ამგვარი დაწესებულების დაარსებისა ლონდონში. კიდევ ორი წლის შემდეგ უკვე ჩაყარეს ამ „ხახალხო სასახლის“ საძირკველი. ერთი წლის შემდეგ კი (1887 წ.) უკვე დიდის ამბით მოხდა გახსნა ამ სასახლისა დედოფალი ვიქტორიას და ვ. ბეზანტის თანადასწრებით. ამ ვეებერთელა დაწესებულების თავსნობა ეკუთვნის ერთ საპატიო ფილანტროპ—ედმუნდ-გეი კერრის. მის მოწოდებაზე საზოგადოებამ მაშინვე იწყო გულ-უხვი შეწირულებანი. ჩამოვთვლით აქ მხოლოთ უმთავრეს მათგანს. მემამულეთა ამხანაგობამ შესწირა 400,000 მანათი; ერთმა საქველმოქმედო საზოგადოებამ—125.000 მ., მეორე შეპირდა ყოველწლიურათ 25.000 მ. ლორდ როზბერიმ თავს იდვა

სახელწოდება „სახალხო სახლი“ რუსეთში პირველათ სახალხო განათლების სამინისტრომ შამოიღო, რო-

---

ამენება უდიდესი ბანაბისი და საცურავი სკოლისა; სერ ედ. გინნესმა გააკეთა დიადი საზამთრო ბადი დირებული 90,000 მ. და სხ. ბოლოს, დედოფალმა ვიქტორიამ თავს იდო მეფარველობა ამ ახალი დაწესებულებისა და შესწირა 2000 მანათამდე. ასე ამრიგათ ორი წლის განმავლობაში შეიკრიბა შემოწირულებით 1,000,000 მან: ასეთი გულუხვობა გამოიჩინა ინგლისის საზოგადოებამ. ამგვარ გულუხვობის მაგალითს ჩვენ კიდე ამ ქვეყნის ერთ მონათესავე მხარეში — ამერიკაში შეგხვდებით.

სახალხო სასახლე აშენებულია ლონდონის თვით უდარიბეს ადმოსავლეთ ნაწილში. მიმოსვლა ძალიან კარგი აქვს, რადგან იგი გამართულია ცხენის რკინის გზის ლიანდაგთან და მიწას ქვეშ სავალ რკინის გზის მახლობლათ უმთავრესი შენობა სახალხო სახლისა არის „დედოფლის ზალა“ (19 საჟენი სიგრძით, 11 სიგანით და 8 სიმაღლით) და დანიშნულია კონცერტების, გამოფენების და მხიარულებისათვის. იქ ეტევა 2500 კაცი და მდიდრულათაა მორთული 23 სხვა და სხვა კეთილი მეფეების და დედოფლების (აგრეთვე ვიქტორიას) ქანდაკებით. იქვე დგას ვეებერთელა ძვირფასი არღანი. ამ ზალის გვერდით არის ფართო სამკითხველო და ბიბლიოთეკა. აქვე გვერდით სატეხნიკო სასწავლებელია და მასთან ლაბორატორია და სახელოსნო.

ამ სახალხო სასახლეს სამი მიზანი აქვს დასახული განსახორციელებლად: ა, ადმზრდელ-სამხიარულო. ამას ადწევს შემდეგის საშუალებით: აწვდის ხალხს მცირე საფასით სხვადასხვა სასიმრთელო გასართობებს, რითიც აკეთილშობილებს მათ გემოვნებას და იწკევს მაიში დახშულ მოთხოვნილებას მშვენიერებისადმი; ბ, განმანათლებითი, — უწყობს ხელს სახალ-

დესაც ნიჟნი-ნოვგოროდის გამოფენაზე სამაგალითო შე-

ხო განათლებას, უმთავრესათ სატეხნიკო და სავრაფესიონალოს; გ, სოციალური—ანვითარებს საზოგადოებურ გრძნობას კლუბების, კრებების და სადამოების გამართვით.

აქ შესავალი ფასი მეტათ მცირეა—სულ 5—10 კ. სუეგელაფერს დაათვალიერებს მნახველი. გარდა ამისა სახალხო სახლს ჰყავს მუდმივი წევრები ორთავე სქესისა 5000. წევრებათ იღებენ ახალგაზრდებს 16—26 წლამდე; საწევრო ფული 5 მ. მამაკაცზე და 2 მ. 50 კ. ქალზე. ამათ სასახლეში შესვლისათვის ფული არ ხდებათ და ნება აქვთ ამორჩეულ იქმნან 20-მდი ამ დაწესებულებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საზოგადოებებში (მაგ. დრამატიულ, სალიტერატურო, სამხატვრო, სამუსიკო, ტეხნოგრაფიულ, ფოტოგრაფიულ, საგალობელთა, მცურავთა, მეშახმატეთა, ახალგაზდა ქალთა და სხ.). 13—16 წლის ემაწვილებს 2 მ. გადახდით იღებენ უმცროს განყოფილებებში. ამ უმცროს წევრთა უფლებანი თითქმის იგეთივეა, რაც უფროსების და გარდა ამისა ისინი უფასოთ დაიარებიან მხატვრობის, სტენოგრაფიის და ზოგ სხვა საგნების გაკვეთილებზე; კვირაში ერთხელ მა ითვის იმართება კითხვები და თამაშობა. სასახლეში მუდამ იმართება სხვადასხვანაირი გამოფენები, ბაზრები (სურათების, ცხოველების, სახელოსნო ნაწარმოებთა, მცენარეთა და სხ.), კვირაში ორჯერ კონცერტი, ორჯერ საარდანო კონცერტები; ინიშნება განსაკუთრებული დღესასწაულები თითო კვირაობით, რომელნიც იზიდავენ თვისი გასართობებით 300,000 მნახველებს, უმეტესათ დარიბი კლასიდან.

გარდა სატეხნიკო სკოლისა (400 მოსწავლეა) სხვადასხვა განყოფილებებით: სადურგლო, სამჭედლო, სამექანიკო, საქიმიო, სამხატვრო და სხ. არის კიდევ დღიური და სადამოს კლასები მოზრდილთათვის 1—5 მ. გარდასახადი $^1/_4$ წელი-

ნობა ააშენა ამ სახელწოდებით. იქ იყო მოთავსებული: აუდიტორია, სათეატრო სცენა, სამკითხველო ბიბლიო-

---

წადს ოთვალგვარ საგნებისათვის და აგრეთვე საქალო ჭრა-ეკრვის და მოჯახეობის კურსები. ამ კლასების გახსნის პირველსავე წელიწადს მოსწავლეთა რიცხვი 3700 ავიდა.

საგიმნასტიკო ზალაში, სადაც გადასახადია $^1/_4$ წელიწადს 75 კ. მამაკაცზე და 50 კ. დედაკაცზე, ბავშვები კი უფულოთ სწავლობენ, ჩაეწერა 1500 მამაკაცი და 40 ახალგაზრდა ქალები. უდიდესი აბანო, საცურაო სკოლა, ვეებერთელა ბიბლიოთეკა და სამკითხველო იზიდავს აგრეთვე ათასობით მნახველებს. ოთვალ დღიურათ მნახველთა რიცხვი 900—1000 კაცამდი ადის; შემოდგომასა და უქმეებში კი ადიოდა 6000დი. სასახლესთან ¾ არის აგრეთვე იაფ-ფასიანი ბუფეტი საჭმელ-სასმელით. სასახლის უფალა დაწესებულებებში გარდასახადია, თუმცა იაფ-ფასიანი. ინგლისში კანონათაა მიღებული, რომ ხალხისათვის მუქთი გასართობების და სწავლა-განათლების მიწოდება ნიშნავს მის დამცირებას, დახშობას მასში დამოუკიდებლობის გრძნობისა და აგრეთვე ასეთი მუქთი სწავლა-განათლება და გასართობნი მიიზიდავენ ი.ეთ პირებსაც კი, რომელნიც ამ დაწესებულებებში სრულიად არ საჭიროებენ ან არ ეფასებენ და საქმეს კი ავნებენ.

ქვემო მოყვანილი ციფრები ცხადათ გვიჩვენებენ იმ უდიდეს მნიშვნელობას, როგორიც «ახალხო სასახლეს» აქვს ლონდონში: პირველ საანგარიშო წლის ბოლოს (1890 წ.) ახალხო სასახლის მნახველები იყო 1,500,000 კაცი. ამაში არ შედის მუდმივნი წევრნი და მოსწავლეები და მთელ ამ ხნის განმავლობაში, ანგარიშის სიტყვით, არ მომხდარა არც ერთი შეღოთი და უბრალო წესრიგის დარღვევა...

მთარგმნელი.

თეკით, საჩაიეთი და სხ. *). ღესაც ზოგგან აშენებულია და ზოგგან შენდება კიდე ასეთი სახლები შემდეგ ადგილებში: ნიჟნი-ნოვგოროდში, სევასტოპოლში, ბარნაულში (ტობოლის გუბერნიაშია), კრასნში (სმოლენსკის გუბ.), სარატოვში, ნიჟნი-ტაგილსკში, ოდესაში, კრემენჩუგში, ელცში, სოფ. გოროდეცში (ნიჟნი-ნოვგოროდის გუბ.), პოლტავაში, პეტერბურგში, ტამბოვში, ჟიტომირში, ჩელიაბინსკში, სიმსკის ზავოდთან (უფიმის გუბ.), მენზელინსში (იმავე გუბერნიაში), ორენბურგში, სოფ. ბალაკოვში (სამარის გუბ.), ქალაქ ნოვოუზენსკში, ქ. ბუგურუსლანში, მოტოვილიხინსკის ქარხანასთან (პერმის მახლობლათ), ქ. ლოხვიცში (პრილევსკის მაზრაში) და სხ. **).

---

*) დღეს-დღეობით ეს სამაგალითო „სახალხო სასახლე" რომელიც მთელათ მინის და რკინის მასალიდგან არის გაკეთებული და მაშასადამე ადვილათ დასარღვევი და ხელახლა ასაშენებელი, — გადატანილია პეტერბურგში; აგებულია იგი ზოოლოგიური ბაღის გვერდით მდინარე ნევის მახლობლათ და თვისი უდიდესი ბაღით შეადგენს საუტხოვო სანახაობას იქაურ სახალხო დაწესებულებისას. აქ დიდძალი ხალხი იერის თავს მუდამ დღე თავის გასართობათ. ამ სფერაში ამის მსგავსი ჯერჯერობით არა შეუქმნიათ-რა დაბალ ხალხდ მზრუნველებს.
მთარგმნელი.

**) ჩვენში სახალხო განმანათლებელ დაწესებულების დაარსებას ხელი შეუწყო კონსტანტინე ზუბალაშვილის უხვმა შეწირულებამ (100,000 მან.) თბილისში, სადაც ახლო შორავალში უკვე აიგება იმის სახელზე «სახალხო სახლი». ზუბალაშვილის მაგალითს, უეჭველია, სხვებიც მიჰბაძვენ და თბილისში ეს სახალხო საქმე მკვიდრ ნიადაგზე დამყარდება და სამაგალითოც შეიქმნება მთელი კავკასიის ქალაქებისათვის.
მთარგმნელი.

ამგვარი შეერთება სამკითხველოსი, აუდიტორიის, საჩაიესი და სათეატრო დარბაზის ერთ შენობაში ხელსაყრელია ნივთიერის და საოჯახო-გამგებლობის მხრითაც. თვით საზოგადოებისთვისაც უფრო მოხერხებულია იცოდეს ერთი საშუალო დაწესებულება, სადაც იგი ნახავს მრავალ სხვადასხვაობას, თვისი გემოს, მოთხოვნილების და მიდრეკილებათა შესაფერს. ამგვარ სახალხო სახლში სასიმრთელო გასართობთა ყოველგვარი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილდებიან; აქ მყარდება ერთობა, იმართება ერთგვარი სახალხო კლუბი, როგორც გვიჩვენა მრავალმა პრაქტიკამ საჩაიე-სამკითხველოებისამ. ცხადია თავის თავადაც, რომ თუ ამგვარ სახალხო დაწესებულებას ადმინისტრაციაც კეთილის თვალით უყურებს და მნახველებს ლმობიერათ და თავაზიანათ მოეპყრობა, ისინი, უეჭველათ კეთილ-ალმზრდელ გავლენას იქონიებს ხალხზე. რასაკვირველია, ამასვე დაამტკიცებენ ყველა ისინი, ვისაც ხალხთან საქმე ჰქონია და დაჰკვირვებია მას საჩაიე, სამკითხველოებსა და საკვირაო სკოლებში. შეიძლება გაბედულათ ვთქვათ, რომ ეს კეთილი გავლენა თავს იჩენს არა მარტო გარეგანი ფორმით, კარგათ მოქცევით, არამედ სამერმისოთ, უეჭველათ, ხელს შეუწყობს ხალხის ზნე-ჩვეულებათა გაფაქიზებას. კერძო პირები, მთელი ოჯახები, ბავშვები, წრეები — ყველა თავს მოიყრის სახალხო სახლში და, რა თქმა უნდა, პატივისცემის და მორიდების გამო არ დაარღვევენ წესრიგს და მართებულებას. ყველა მოიპოვებს თვისს სულის დასაკმაყოფილებელს: ზოგი სამკითხველოში წავა წიგნების საკითხავათ, ზოგს საჩაიეში მოუნდება გაზეთის წაკითხვა ან მეგობართან მუსაიფი, ზოგი საჯარო კითხვას მოისმენს და თუ წარმოდგენა ან კონცერტიცაა დანიშნული, იქითკენ ხომ ყველა — დიდი და პატარა მიაშურებს. გარდა ამისა თუ აქ ხელოვნურ ნაწარმოებთა, ან სახელოსნო-სამრეწველო

გამოფენა ან მუზეუმიც, თუნდაც ძალიან პატარა იქმნა, უეჭველია, იმათ ყოველი ცნობის მოყვარე ნახავს. აქვე აჩვენებენ და აუხსნიან მცოდნე პირები გამოფენილი საგნების მნიშვნელობას და ასე ამრიგათ „სასიამოვნო შეერთდებოდა სასარგებლოსთან“.

ამგვარათ აღმზრდელ-განმანათლებელი დაწესებულებანი სახალხო სახლისა მიისწრაფიან რა მიაღწიონ სულიერ-კულტურულ მიზანს—**დანერგონ ხალხში—ევთიღა ზნეჩვეულებანი, განათლება**, ამ სიტყვის უფართოეს მნიშვნელობით,—ამავე დროს ისინი ავრცელებენ სასარგებლო ცოდნას, პრაქტიკულ ცნობებს, რომელნიც ყოველთვის საჭირონი არიან ცხოვრებაში, და ფიზიკურ შრომის დროს. დაუძალებლად, პირადი სურვილით, მოცლილობის დროს ამგვარი შეძენა ცოდნისა, ყოველთვის მეტათ ფასდებოდა და ახლაც ფასდება ხალხისგან. ამას ამტკიცებს საკვირაო სკოლების წარმატება და მათი სახელგანთქმულობა ხალხში. **დაუძალებლობა, თავისუფალი ამორჩევა, უგულს მისაწდომობა და უგულასათვის გასაგებობა**—აი ძირითადი პირობანი, რომელნიც იზიდავენ და ფასს სდებენ ხალხის თვალში სახალხო სახლის დაწესებულებას. თეატრი, მუსიკა, სალიტერატურო კითხვები, ბიბლიოთეკა, სამეცნიერო ადვილგასაგები საუბრები და სხ. მისთანები—ყოველივე ეს ხომ კულტურის სიკეთეებია და ამაებით დღემდი სარგებლობენ მხოლოდ მცხოვრებთა საშუალო და უმაღლესი კლასი. მაგრამ საზოგადო სამართლიანობა მოითხოვს, რომ ეს სიკეთე და სიამენი კულტურის ხელმისაწდომი გახდეს ულარიბესი ხალხისათვისაც.

სახალხო სახლის სარგებლობა ყველასათვის ცხადია; სახალხო სახლი იზიდავს რა მაყურებლებს, მისი განყოფილებანი ემსახურება აღმზრდელ-განმანათლებელ მიზანს და იმავე დროს აკმაყოფილებს და ართობს ხალხს.

წინასწარმეტყველება არაა საჭირო იმის წინა სათქმელათ, რომ ამგვარი დაწესებულება ჩვენშიაც მოიპოვებს თანაგრძნობას მთელის ერისას, ღირსეულათ დაფასებული იქნება ხალხისაგან და თვისი უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობით ფესვს გაიდგამს. ყოველი მდაბიო ხალხი მოისურვებს, რომ სახალხო სახლი მისთვის ხელმისაწდომი იქმნეს, ერთბაშათ გაიგებს მისს უმაღლეს მნიშვნელობას და გაარჩევს იმას სხვადასხვა გამრყვნელ გასართობებისაგან, სადაც ყოველის საშუალებით ცდილობენ იგი ჩაითრიონ, შეიქციონ და მეტი ფული ააძრონ.

უფასურობა სამკითხველოსა, სიაიფე საჩაესა, მცირე ფასები სახალხო თეატრისა, საჯარო კითხვებისა' და სხ. მისთანებისა,—ყოველივე ეს მიიზიდავს ღარიბ მაყურებლებს არა მარტო მათი ფასთა სიმცირის წყალობით, არამედ აგრეთვე თვისი გონიერის შინაარსით. თვითეული მაყურებელი უნებლიეთ, ინსტიქტიურათ ეცდება არ დაარღვიოს ზოგადი მიღებული წესი ზრდილობის და მართებულობის. მთელი საქმის კაი კილო ერთბაშათ და გონიერათ დამყარებული, უეჭველათ განმტკიცდება თავის თავათ და იქონიებს თვისს კეთილ მოქმედებას, გავლენას მაყურებლებზე. ეს კი აამაღლებს «სახალხო სახლისადმი» ნდობას მთელის საზოგადოების და მკვიდრთა თვალში. თვითეული ღარიბი, მშრომელი მოწიწებით მოეპყრობა ამ დაწესებულებას მისის **ადვილხელმისაწდომობის, მიმზიდველობის და გულისხმიერობის** (поучительности) გამო; მან უკვე იცის, რომ მოცლის დროს მას თავისუფლათ, ნებადაურთველათ და მოურიდებლად შეუძლია წასვლა სახალხო სახლში და იქ სულით და სხეულით მოსვენება. ეს უიძულებლობა (непринужденность) და თვისუფლების გრძნობა, თავათ გართობის შესაძლისობა, კიდევ უფრო ადიდებს მიმზიდველობას მისს დაწესებულებისადმი.

კეთილი მაგალითი ყოველთვის იპოვის მიმბაძველს: ერთ და ორ მაყურებელს მრავალი სხვა მოჰყვება და, ასე ამ რიგათ მოთხოვნილება სისწრაფით გაიზრდება. არსებითი მოთხოვნილება ასეთ დაწესებულებათა დიდი ხანი მომწიფებულია და ყველასაგან შეგნებული.

რამდენათ საჭიროა, რომ განმანათლებელ დაწესებულებათა, სახალხო სახლების ხელმძღვანელნი თავიანთ მოწოდების სიმაღლეზე იდგენ, ამას აღიარებენ ისინიც კი, ვინც დაყენებულია თვალ-ყური ადევნოს ხალხის სიფხიზლის სამზრუნველო კომიტეტთა მოქმედებას. „ფინანსების და მრეწველობა-მოამბის ვაჭრობის“ 1898 წ. № 9-ში მოთავსებულია ცნობები არკ. შუმახერის ზემორე დასახელებულ სამზრუნველოების მოქმედების ანგარიშიდან აღმოსავლეთის ოთხ გუბერნიებში. აქ სხვათა შორის ნათქვამია, რომ საჩაიე-სამკითხველოების გონიერ მოწყობისათვის მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს მათ მართვა-გამგეობას, რათა ისინი „სახალხო კლუბებად“ გადიქცნენ. „ხალხი ჯერ კიდე ნაკლებათ მიჩვეულია თვითგანვითარებას, ისე ეუცხოება ყველაფერი, რასაც რამე სამეცნიერო სახე აძევს, რომ საკმარისი არაა საჩაიესთან სამკითხველოების გახსნა. გარდა ამისა საჭიროა კიდე, რომ ვინმე აახლოებდეს ხალხს ამ საჩაიეს განმანათლებელ დამატებასთან“. „ეს მხარე საქმისა ჯერ კიდე ნაკლებათაა უზრუნველყოფილი და იმ დროს, როცა საჩაიების მოწყობას ავალებენ ჩვეულებრივათ ისეთ პირებს, რომელთაც **სრულიათ ნიჭი არ შესწევთ ხალხზე** განმავითარებელი **ზედმოქმედება იქონიონ**, თვით სახალხო სიფხიზლეზე სამზრუნველოების წევრნი, რომელთაც აუღიათ საჩაიების თვალ-ყურის დევნება, ძალიან იშვიათათ **თუ რომელიმე** მათგანს ესმის თვისი მოვალეობა **გარეშე** ანგარიშებისა, **მმართველისა** და **საზოგადოთ სიწმინდე** და **წესიერების** თვალყურის **დევნებისა**“.

ერთი უმთავრესი პირობათაგანი „სახალხო სახლის“ წარმატებისათვის არის—მისი ხელმისაწდომობა, არა მარტო მათი უფასო ანუ სიიაფით სარგებლობა, არამედ დაბალი ხალხისადმი წრფელის გულით, კარგათ მოპყრობით; მის წარმატებისათვის საჭიროა თავმდაბლათ, თანაგრძნობით მოპყრობა ხალხისადმი, რაც ერთბაშათ გამოაწვევს ნდობას, პატივისცემას და მოსპობს ეოველგვარ შეკაწრობას და გაუგებრობით შეტილებას. სახალხო განმანათლებელ დაწესებულებათ ისე, როგორც სკოლებს, უველაზე უფრო აგნებს გულგრილი, უფრთსული კილო, რასაც ადგილათ მოჭეკება არა კეთილ სასურველი, მშრალი, ფორმალური მოპყრობა ადამიანისადმი. ამ მხრით კეთილი საქმის წარმატებისათვის უნდა ვისურვოთ მხოლოთ, რომ ამ განმანათლებელ დაწესებულებათა „სახალხო სახლების“ ხელმძღვანელნი მისდევდნენ იმათ კეთილ მაგალითებს, რომელნიც ასე წარმატებით შრომობენ ახლა არსებულ უფასო სამკითხველოებსა და საკვირაო სკოლებში, და რომელნიც ახერხებენ მოიპოვონ თანაგრძნობა და ნდობა უბრალო ხალხისა. ეს კი უტყუარი თავდებია დაწყებული საქმისა. გარდა ამისა ასეთი კეთილსასურველი და თანაგრძნობითი მათდამი მოპყრობა, უეჭველათ, იმოქმედებს გამაკეთილშობილებელის სახით უბრალო ხალხზე, აღძრავს მათში კეთილ გრძნობებს და მისცემს მათ კარგ მაგალითს. ერთნაირათ ასეთი მოქმედება შეიძლება ჩაირაცხოს სკოლური აღზრდას გამგრძელებლად სწორეთ ისე, როგორც ყველა ეს სამკითხველოები და ბიბლიოთეკები შეადგენენ გაგრძელებას სკოლურის განათლებისას.

გარდა განმანათლებელ-აღმზრდელ მნიშვნელობისა, მოვიყვანთ გონიერ გასართობების კეთილი გავლენის პირდაპირ საბუთებს ეკონომიურ მხარეშიაც. პროფ. ჩუპროვის სიტყვით ეს გამოიხატება იმაში, რომ კლებულობს

გამცდარი დღეების რიცხვი, რაც წარმოებისათვის სასარგებლოა... ერთ მეფაბრიკეს მისთვის უჩვენებია განაცდენი დღეების სია, საიდანაც ჩანს, რომ იმათი რიცხვი კლებულობდა იმ ორშაბათობით, რომელნიც იმ კვირა დღეებს მოჰყვებოდნენ, როცა სახალხო კითხვები იმართებოდა; განაცდენი დღეები მატულობდა, როცა ამგვარი კითხვები არ იყო. ცხადია, გონიერი განმანათლებელი გასართობნი მატებენ შრომას და მაშასადამე სამუშაო ქირასაც. ნაკლებია მთვრალები—ნაკლებია განაცდენი დღეებიც გონიერათ გატარებულ უქმე დღეების შემდეგ მუშები მიდიან სამუშაოზე ფხიზლები, კმაყოფილნი, გამოცოცხლებულნი და ხალისით ჰკიდებენ ხელს მუშაობას. ამასვე ამტკიცებენ თვით მუშებიც და მათი შეხედულებანი, მაგ. ნევსკის საზოგადოების სახალხო გასართობთა მოქმედების გამო.

ასეთია ფაქტები, ასეთია დასკვნები სანდო პირთა. ბეცი უნდა იყოს ადამიანი, რომ არ დაინახოს სარგებლობა გონიერ გასართობთა არა მარტო მუშებისა და ხელოსნებისათვის, არამედ მათი აღებისათვისაც და აგრეთვე მიიჩნიოს იგი მთვრალობის წინააღმდეგ საბრძოლველ იარაღათ.

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით სახალხო სახლზე და მის შეერთებაზე, რომელსაც მიზნათ აქვს გართობაც და განათლებაც. კითხვა კიდე მაინც თავის თავათ იბადება: განა უფრო სასარგებლო არ იქნებოდა მცხოვრებლებისათვის ცალ-ცალკე, ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში ჰქონდეს ეს დაწესებულება? ერთ ნაწილში იქნებოდა სახალხო თეატრი, მეორეში—სამკითხველო, სხვაგან კიდე—საჩაიეები ბიბლიოთეკით, ქალაქის მეორე ბოლოში კი—სახლი საჯარო კითხვებისათვის და სხ. მისთ. რასაკვირველია, ყველაფერი საშუალებაზეა დამოკიდებული; დიდ და მდიდარ ქალაქში 2—3 ასეთი სახალხო სახლი-

სათვისაც მოინახება ფულები; მაგრამ იქ, სადაც საშუალება ერთისათვისაც თუ მოიპოება—ასეთ ქალაქებისათვის ზევით დაყენებულ საკითხს თავისი საფუძველი აქვს. პატარა ქალაქში, სადაც ყოველი კუთხიდან შეუძლია მცხოვრებლებს გარდამეტებული დროს დაუკარგავათ და შეუწუხებლად წავიდეს სახალხო სახლში, იქ მისი სარგებლობა უეჭველია. დიდ ქალაქში კი, როგორიცაა მაგ. მოსკოვი, პეტერბურგი, ხარკოვი, საჭიროა, რომ ქალაქის ყოველ კუთხეებს ჰქონდეს თავ. ანთი სამკითხველოები, სახანე და სახალხო საჯარო კითხვების მოსასმენი სახლი. მაგრამ თუ კი ეს უკვე არის, არაფერი დაუშლის აშენდეს „სახალხო სახლი“ დიდი საუკეთესო დარბაზით თეატრისათვის, საჯარო კითხვებისათვის, კონცერტებისათვის ქალაქის უფრო შესაფერ შუაგულ ნაწილში, საცაც იგი ქალაქის ყველა განაპირა ნაწილისათვის ხელმისაწდომი იქნება.

შემდეგ იბადება მეორე საკითხი: სად უფრო საჭიროა სახალხო სახლების, კლუბების აშენება-მოწყობა? ვისი ინტერესები უფრო მაღლა დგას ამ მხრით: სოფლის მცხოვრებთა, თუ ქალაქის? საით უნდა მივმართოთ უწინარეს ყოვლისა საშუალებანი, ამ მიზნისათვის მაგ. სახალხო სიფხიზლის სამზრუნველოსი,—ქალაქისა თუ სოფლისაკენ? ჩვენ გვგონია, რომ რიცხვითაც და სხვა მიზეზთა, მაგ. შემოდგომაზე და ზამთრობით მოცლილობის გამო, როცა სამეურნეო სამუშევრები ნაკლებია, ან სრულიად არაა, სოფლელთა ინტერესები უმაღლესია, ქალაქის მცხოვრებლებისაზე; პირველი საჭიროებს განათლებულ დაწესებულებებში და გონიერ გასართობებში უფრო მომეტებულათ, ვინემ ქალაქის მცხოვრებთა დაბალი კლასი, რომელნიც ერთნაირათ სარგებლობენ უფრო შემძლე კლასის სიახლოვით. პირიქით, სოფლის მკვიდრი, სრულიად განკერძოებული, თავისინაბარათ მიტოვებული

ამ მხრით სრულიად მოკლებულია ყოველგვარ დახმარებას. აქედან ცხადია, რომ ყოველი მისწრაფება სოფლის ხალხის დახმარებისა ამ ნაწილში იწვევს ყოველთვის საზოგადო თანაგრძნობას, თუმცა შეხვდებით სრულიად წინააღმდეგ აზრსაც, რომელიც ქალაქის მცხოვრებთა ინტერესებს ამჯობინებს, რადგან მათი კულტურული მოთხოვნილება უფრო დიდია. ამბობენ, რომ გონიერი გასართობები უფრო საჭიროა ქალაქის მკვიდრისათვის, რომელსაც მრავალი შემაცდენელი და გამრყვნელი გასართობები იზიდავენ თავისკენ და აი ამას უნდა მოვარიდოთ ისინიო. რა თქმა უნდა, არსებითად, აქ ამორჩევაც შეუძლებელია, ერთი მეორეს არ უარჰყოფს. რომელს მივცეთ უპირატესობა, ასე ვთქვათ, პირველობა—ქალაქის მკვიდრს, თუ სოფლისას—ეს დამოკიდებულია ამა თუ იმ შეხედულების წერტილზე. უწინარეს ყოვლისა უნდა აღვიაროთ, რომ მთელი ხალხი, მთელი დაბალი კლასი მტხოვრებლებისა საჭიროებს სახალხო სახლის დაწესებულებას და სად დავაარსოთ ისინი პირველათ—ამას თვით ცხოვრება გადასწყვეტს და აარა წინდაწინ მისი თეორიული განსჯა. ერთი სიტყვით, სადაც უფრო საჭიროება მოითხოვს, სადაც უფრო მალე აღმოჩნდება საშუალება და ამისათვის სახელმძღვანელო ძალები—აი იქ უფრო მალე გაჩნდება სახალხო სახლები.

მოწყობა იაფ-ფასიან და საღი გასართობებისა სოფლის მკვიდრთათვის, გამართვა უფასო სამკითხველოების, საჩაიების, საჯარო კითხვების მხიბლავის ფარნით და სხ. მისთ.—ყოველივე ეს არ მოითხოვს დიდ ხარჯებს, არ მოითხოვს აგრეთვე რაიმე განსაკუთრებულ სპეციალურ ცოდნას და გამოცდილებას. ყოველივე ეს მისაწდომია გაუჭირვებლათ, თუ კი იმათ დაბრკოლება არ აღმოუჩნდათ ფორმალურათ საქმის წარმოებაში. მართლაც რა დიდი საქმეა სოფელში სახალხო სახლის შექმნა?

ერთ ოთახში შკაფები დადგით ბიბლიოთეკისათვის, იქვე დაზგები სამოვრით და საჩაიე მოწყობილებით; მეორე დიდ ოთახში მოათავსეთ სტოლი და სკამები საჩაიესა და სამკითხველოს სტუმრებისათვის; აქვე გაიმართება სახალხო კითხვები მხიბლავი ფარნით და მაშასადამე იგივე ოთახი აუდიტორია იქნება; ამას ყარაულისათვის ერთი პატარა ოთახიც მიუმატეთ და ესეც თქვენი სახალხო სახლი. იგივე „სოფლის კლუბი". აქვე გამართავს კონცერტებს სკოლის ხორო; აქვე გაიმართება სპეციალური საუბრები მეურნეობაზე, ჰიგიენა, მედიცინასა და შინათმრეწველობის შესახებ და სხ. მისთ. მოათავსეთ შკაფში საუკეთესო თესლები, მცენარეები, მავნე მწერები, ნახელავები და სხ. მისთ. სურათებით, ტაბლიცებით და პრეისკურანტებით და ესეც თქვენი მუზეუმი, თუნდაც მისი აჩრდილი...

ცხოვრების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ განმანათლებელი დაწესებულებანი ჩვეულებრივ ჩნდებიან სოფლებში, ამ «ღვთიური ნაპერწკლის» გადაცემით ქალაქებიდგან, სადაც უკვე წინეთ იყო დაარსებული იგივე სამკითხველოები, სახალხო კითხვები და სხ. მისთ. აქ გაუგებარიც არაფერია: ქალაქში უფრო მალე მოინახება ძალები, აზრით, იდეიით აღფრთოვანებულნი, კეთილი საქმის ერთგულნი პირები, რომელნიც სრულიად უანხოთ, არაფრისაგან ახერხებენ შექმნან და აცოცხლონ საკვირაო სკოლები, საჩაიე-სამკითხველოები, სახალხო კითხვები და სხ. მისთ. საიდან მოვნახოთ ასეთი მოქმედი პირები სოფლებში? იქ ისინი თითქმის გამონაკლისს შეადგენენ; მართალია, ამ ათის წლის განმავლობაში ასეთის მოღვაწეების რიცხვი შესაჩნევათ მატულობს, მაგრამ მათი არსებობა სოფლათ სრულიათ შემთხვევითია *). თუ სახალ-

*) რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას ამ უკანასკნელ ხანებში

ხო სახლების დაწესებულების გამართვას ვიწრო, ბიუროკრატული ხასიათი მიეცა—ეს იმას ნიშნავს, რომ არ გვესმის ეს საქმე, არ ვიცით მისი ნამდვილი, ჭეშმარიტი დანიშნულება, მისი ისტორია, რაც მიუცილებლათ საჭიროა მის კეთილ გზაზე დასაყენებლად...

სახალხო განათლების ერთგულნი პირნი სოფლებში არიან მოწინავე კაცები და გადააქვთ იქ ქალაქიდგან თვისი ძალ-ღონე, ცოდნა, თაოსნობა და მოხერხება, რაც მათ ქალაქის განმანათლებელ დაწესებულებებში შეუძენიათ. ქალაქის „სახალხო სახლი“ ხდება „სანერგედ და გამამრავლებლად“ ამგვარ სასოფლო დაწესებულებათა. ასეთივე შორეული გზა ქალაქიდგან სოფელში გაი-

---

ასაც დაიბადა ზევით დახასიათებული ტიპი მოღვაწე-მასწავლებლისა სოფლათ. მაგალითისათვის მივმართავთ სწავლა-განათლების საქმეში გაცილებით წინ წასულს დასავლეთ საქართველოს და კერძოთ მის ნაწილს—გურიას, სადაც ამგვარ მასწავლებლებს ხშირათ შეხვდებით, მხოლოთ მათგან მუდამ იმის საუკეთური გესმით, რომ მათ ფართო, განმანათლებელ მოქმედებას ხუთავს, ხელს უშლის ბიუროკრატიული, „ჩინოვნიკური“ ხასიათი სოფლის სკოლებისა, პროგრამისა და მათ მზრუნველ მეთვალყურეთა გადაჭარბებული ტენდენციური გულსმოდგინეობა. თან ამას ემატება „სოფლის კუნწულა“-ს—მამასახლისის, მწერლის და მკლავაძეების თავგასულობა, ხრიკები და უპატივცემულობა ამგვარ მასწავლებლისადმი, რაც ასე ნათლათაა დასურათებული ე. ნინოშვილის მოთხრობებში და ყოველ ამაების გამო იგი მისდა უნებურათ იძულებული ხდება დასტოვოს სოფელი და თვისი საყვარელი საქმე ქალაქის უბრალო მოხელეობაზე გასცვალოს. კიდე კარგი თუ სოფლიდან ამგვარათ განდევნილი მასწავლებელი ქალაქში განაგრძობს თვისს საქმეს!..

მთარგმნელი.

არა სახალხო სკოლებმაც; ამავე გზას გადიან დღეს სკოლას გარეთ განმანათლებელი დაწესებულებანი; ამავე გზას გაივლის გონიერ სახალხო გასართობთა მოწყობის საქმეც. ცხადია, ეს ჩვეულებრივი გზაა განვითარებისა და გავრცელებისა ყოველ მსგავს საზოგადო დაწესებულებათა. ქალაქი სოფლისთვის არის არა მხოლოდ გონებრივი შუაგული, არამედ ინტელიგენტური ძალების წყარო...

ზემო ნათქვამიდან ადვილი გასაგებია, რომ სახალხო გასართობთა მოწყობის საქმე ქალაქში, სასარგებლოა სოფლის მკვიდრთათვისაც. ეს საქმე ხომ ჯერ ახლათ იწყება, ანუ უკეთ რომ ვთქვათ—მხოლოთ ისახება; ეს ჯერ ცდაა, სასინჯია; საჭიროა პრაქტიკა, გამოცდილება, რომელნიც გვიჩვენებენ თუ, რა არის ამ საქმეში ნაფიქრი ან მოწყობილი სისწორით, სასურველათ, რა აღმოჩნდა მტკიცე, მდგნე, ან რაა მეტი და ნაწინასწარები; საჭიროა შევისწავლოთ კიდე გემო, ხალხის მოთხოვნილებანი; წინდაწინ კი ხომ ყველაფერს ვერ გამოვიცნობთ... კეთილი დაწყებულება, ფესვ-მოკიდებული და კარგათ მოწყობილი ქალაქში, შემდეგ ადვილი გადასანერგია სოფლათაც; ქალაქის „სახალხო სახლი“ სოფელში გადიქცევა «სახალხო კლუბად, რომელიც სამიკიტნოებში ქეიფის და მთვრალობის მაგიერობას გასწევს. ჩვენ არ ვეჭობთ, რომ გაივლის კიდე ცოტა ხანი და სარგებლობა და უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა „სახალხო სახლისა“ იმდენათ გაიდგამს ფესვს საზოგადოების ცნობიერებაში, რომ ერობანი, ქალაქები და თვით გლეხთა საზოგადოებანიც კი ისევე სიხალისით გაიღებენ ამ საქმისათვის საშუალებას და დაუთმობენ შენობებს, როგორც ეს ახლა ხდება სკოლების და უფასო საკითხველოებისათვის. სკოლას გარეშე განმანათლებელ დაწესებულებათა წარმატება თავდებია იმისა, რომ ხე-

ლის შემწყობი გარდაწყვეტილება სახალხო გასართობების უფრო ფართო საკითხისა უკვე მწიფდება ჩვენს თვალწინ. არ შეიძლება არ ვუსურვოთ, რომ ამ მიზნის უფრო ჩქარა და სისწრაფით მიღწევისათვის უფრო მეტი ერთობა ყოფილიყოს სახალხო სიფხიზლის მზრუნველთა და საზოგადოების ძალთა შორის რადგანაც პირველთ დიდი საშუალება აქვთ, სახალხო განათლების სარბიელზე საზოგადო მოღვაწეთ შეუძლიათ შეიტანონ თავიანთი ცოდნა, მხნეობა და უანგარო სამსახური ამ წმინდა საქმეში...

თუმცა იშვიათათ, როგორც გამონაკლისი, მაგრამ მაინც კიდე ისმის ხმები, რომელნიც ეჭვის თვალით უყურებენ სახალხო სახლების მოწყობას. ისინი ამათ «მავნე დაწყებულებად», ხალხის შრომის გამცდენელათ, დამაბრკოლებლად ხადიან; ეჭვი შეაქვთ იმის მიზნიხ მიღწევაში. მხოლოდ ვინც ხალხის ცხოვრება, მისი ხასიათი და მისი ცხოვრების პირობები არ იცის, შეუძლია დაშინდეს, რომ სახალხო სახლის დაწესებულებას შეუძლია შეამციროს ხალხის შრომის უნარი და მოაცდინოს იგი მას! საჭიროც აღარაა კვალდაკვალ ეარვყოთ ყველა ეს აჩქარებული ეჭვიანობა და ბრალდებანი, იმდენად მათი უსაფუძვლობა ცხადზე უცხადესია. ასეთ პირებს ავიწყდებათ, რომ ისინი სწორეთ ასევე ეპყრობოდნენ სახალხო სკოლებს და შემდეგ სახალხო სამკითხველოებს; იმათ დაავიწყდათ, რომ ცხოვრებამ უარჰყო მათი უკეთური ეჭვები. ყველა ეს ყვედრება, ეჭვიანობა «არ ახალია, ძველია»; ყოველი ეს უკვე ნაცადი ხერხია მოწინააღმდეგეთაგან.—ამაოში ზოგჯერ გამოსჭვრიტს მხოლოდ რაღაც ეგოისტობა, პირადობა იმათი მხრით, ვინც, შეიძლება, ასე გულსმოდგინეთ სარგებლობს თეატრით, მუსიკით და ლიტერატურით... ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ «სახალხო სახლების» ან მის განყოფილებათა აშენება-მოწყობის საქმე ყოველგვარ ეჭვს და შიშს გარეშე

დგას; იგი ყველას სახეში აქვს; ისინი ყველასათვის ხელმისაწდომია, ყველას შეუძლია მისი გაჩხრეკა, კანტროლი, რევიზია. იმათი მოქმედება დაქვემდებარებულია მკაცრ კანონებზე, რომელნიც დადგენილია ყველა დაინტერესებულ უწყებათა თანხმობით. თუ ისმის ხმები, მაგ., თეატრის ცუდ გავლენაზე ხალხისათვის, ამასთან, რა თქმა უნდა, სახეში აქვთ ცუდ მსახიობთა გუნდის თავისმოყრა, გონიერი პროგრამის უქონლობა და სწორი საზომი. ჩვენ ვერ ვხედავთ ვერავითარ საფუძველს, რატომ წინდაწინვე ეჭვით ჩრდილავენ საქმეს, რომელიც, თუ **სისწორით იქნება დაყენებული**, საზოგადო რწმენაც ასეთია — **გამოადგებს მხოლოდ კეთილ საუოფს**.

მოწყობა და გამართვა სახალხო განმანათლებელ დაწესებულებათა და გასართობთა, საბრძოლველათ მთვრალობისა და სამიკიტნოებში ქეიფისა, კეთილ ზნე-ჩვეულებათა და განათლების დასამყარებლათ, იმდენათ საჭიროა ჩვენის ქვეყნისათვის, რომ ყოველი უკეთური დაბრკოლება ამ კეთილ საქმეში, ჩვენ უდიდეს ცოდვათ უნდა ჩავთვალოთ ხალხის ინტერესების დაცვის საქმეში. ცხადია, უხეში ზნე-ჩვეულებანი ერთბაშათ არ ისპობიან; გონიერათ დაყენებული აღმზრდელ-განმანათლებელი დაწესებულებანი კეთილათ მოქმედებენ რამდენიმე თაობაზე და არა თვალის დახამხამებაში; შემწეობას და შემოწირულებას ამ კეთილ საქმეს უწევენ, ვიმედოვნებთ, არა თვისი პირადული უზრუნველ ყოფელობისა და კეთილდღეობის სახელით და არც რაიმე გარეშე წუთიერი ინტერესის მიხედვით. თუ ყველანი ჩივიან სამიკიტნოების ცუდ გავლენაზე, მთვრალობის დამღუპველ ზედმოქმედებაზე, მხეცურ ზნე-ჩვეულებასა და ყიალზე, მაშ მოემზადონ მაინც, შეძლებისადაგვარათ, ამ ბოროტების აღმოხაფხვრელად; მარტო საჩივრები და ყვედრება საკმარისი როდია; უნდა რაიმე გააკეთოთ კიდეც კეთილი საქ-

მისათვის, ზოგდაი სარგებლობისათვის. ჩვენ ისე მივეჩვიეთ ბრბოს ადვილათ, ერთი ხელის წამოკვრით, გამტყუნებას სიშხეცესა და უვიცობაში, რომ ვღელდებით მისი თავაშვებულობით და უხეში მხიარულობით და თან მივეჩვიეთ ასე გულ-გრილათ ვუყურეთ ხალხის, ბრბოს განათლებაზე და მის გონიერ გასართობებზე ზრუნვას. ბოროტება ყველას თვალ-წინ უდგას: ესაა დიადი უვიცობა, წერა-კითხვის უცოდინრობა. დრო, დრო შეგვრთდეთ განათლების სახელით საბრძოლველად მთვრალობასთან და უმთავრესად მის ჯეშმარიტ მოკავშირე და წამქეზებელ სამწუხარო უვიცობასთან...

ის. კვიცარიძე.

მძინარა პედაგოგს

(«ივერიიდამ»).

ართლა რომ მძინარა ბრძანებულხართ, რომ საზოგადო საქმეზე სჯის და ლაპარაკის მაგივრად თქვენ ჩვენს შორის კამათი პირადულ ნიადაგზე გადაიტანეთ. აიღეთ, რომელიც გნებავთ ჩემი წერილი და ნახავთ, რომ ყოველი მათგანი მხოლოდ და მხოლოდ საზოგადო საგანს და საქმეს ეხება და თქვენ კი მოჰყოლიხარ და პირადად ჩემზე სწერთ, ჩემს საუარო თვისებებს და საქმეებს აღნუსხავთ, თითქოს ეს ვისთვისმე საჭირო იყოს. ეს არის უმთავრესი სუსტი მხარე თქვენის წერილისა.

მეორე დიდი ნაკლი თქვენის წერილისა ის გახლავთ, რომ თქვენ უწყებულს პირს ებრძვით, სახელდობრ, მე, ივანე როსტომაშვილს, მეკამათებით და მშიშარა ტურასავით კი ჯაგში იმალებით, თქვენს ვინაობას არ აცხადებთ, სახელსა და გვარს არ აწერთ იმ წერილს, რომლის მიზანი, როგორც ვთქვი, ის კი არ არის, რომ საკამათო საგანი ახსნას და განმარტოს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ჩემი პირადობა დაამციროს. სიმართლე და პატიოსნება მოითხოვდა, რომ თქვენც ისევე დაუფარა-

ვად გამოჩენილიყავით ასპარეზზე, როგორც მე, რათა ის მაინც ვიცოდე, მართლა, პედაგოგთან მაქვს საქმე, თუ დილეტანტთან. ეს თვით მკითხველისთვინაც იყო უთუოდ საჭირო, რომ მასაც შეჰსძლებოდა სისწორით განსჯა, თუ რომელია ჩვენს შორის ბართალი და რომელი მტყუანი.

მაგგვარ წერილებს, ჩემო, მართლაც და, მძინარა პედაგოგო, ჰქვიან „анонимное письмо“ და იგივეა, რაც ჩვენში სახელმოუწერელი დაბეზღების წერილი. მაგგვარ წერილებს ყოველი პატიოსანი კაცი სტოვებს წაუკითხველად, მაგრამ, რომ მკითხველმა საზოგადოებამ სხვა გვარად არ ჩამოგვართვას პასუხის გაუცემლობა, მოკლედ მოგახსენებთ.

თქვენ უეჭველად გსურთ მათქმევინოთ, რომ 14-ს იანვარს ყოფილს კრებაზედ სხვა ვსთქვი და დაწერვით კი სხვა დავწერე. გაგონილა ასეთი წადილი! გინდა, თუ არ გინდა, სთქვიო, რომ თქმით სხვა ვსთქვი და დაწერით სხვა დავწერეო. მერე, ვინ დასწერა ის სხვა, ვის ეკუთვნის მასში გამოთქმული აზრები—თქვენ თუ მე? რასაკვირველია, მე, და რაღა ახირებაა თქვენგან, რომ საქვეყნოდ გამოდიხართ და გადათქმას მაბრალებთ!? მერე, რომელი საბუთის ძალით? თქვენ რომ ყრუ და უვიცი იყოთ პედაგოგიაში, მთქმელის რა ბრალია!.. ნათქვამია: კარგს მთქმელს, კარგი გამგონიც უნდაო. რა უფრო ახლოა ჭკუასთან: რომ მე გადავთქვი სიტყვა, თუ თქვენ ვერ გაიგონეთ, მით უმეტეს, რომ მძინარა პედაგოგი მარად თანა სდევს თვლემა და ბუერანში ყოფნა... ან რა არის აქ გასაკვირველი, რომ თქვენ ჩემ მიერ ზეპირად წარმოთქმული სიტყვა ისე ვერ გაგეგონოთ, როგორც თვით მე, ავტორს, მსუ ,და იგი თქვენ, მსმენელთათვის, გადმომეცა, როცა ხშირად თვით დაწერილის

და უკვე დაბეჭდილის ნამდვილი აზრი და შინარსის გაგებაც არ შეუძლიანთ ხოლმე ზოგიერთებს!?

აი, მაგალითად: ამ ერთის თვის წინად მე დავსტამბე «ივერიაში» წერილი ჩვენის სახალხო სკოლის წარმატებისა და არსებობის ერთ-ერთ საფუძველზე და იმ დროს, როდესაც ბევრს მშვენივრად გაუგია წერილის აზრის სიდიადე-ჭეშმარიტება, ბ-ნმა ერაძემ იგი სრულიად ვერ გაიგო და მასხარადაც ამიგდო იმავე გაზეთში (დასწყევლოს ღმერთმა: ე ჩვენ მწერლებს რაი უფრო ეხერხებათ პირადობის თელვა. ვიდრე საზოგადო საქმის საწოგადოთვე განხილვა!? თურმე ველურებშიაც ასე სცოდნიათ: თუ ვინმემ გაბედა და ჩვეულებრივის აზრის და შეხედულების წინააღმდეგ რამე სთქვა, ველურნი მაშინვე თავს მოჰკვეთენ მთქმელს და მის გვამზე კი ცეკვას გაჰმართავენ!..

წერილის გამოსვლისათანავე და შემდეგაც მე მივიღე რამდენიმე წერილი.—«დიდებული აზრია»,—მწერს ერთი; «წავიკითხე თქვენი წერილი და დიდათ მომეწონა»,—მწერს ძეორე; «ბევრს მთელი წიგნები დაუწერია სახალხო სკოლის შესახებ, მაგრამ ეგ თქვენი ერთი ბეწო წერილი უფრო მეტს შეიცავსო»,—მწერს მესამე. რაც შეეხება მეოთხის მონაწერს, ღმერთმანი, მრცხვენიან მისი აქ მოყვანა, რადგანაც ჩემს ქებას შეეხება, მაგრამ მომყავს იგიც იმის ნიმუშად, თუ ერთი და იგივე როგორ სხვა და სხვა ნაირად ესმისთ მკითხველებს. აი, სხვათა შორის, რასა მწერს მეოთხე: «ღმერთო, რა უბრალო აზრია! რატომ აქამდის ვერავინ მიხვდა მაგას... ეს. რასაკვირველია, თქვენის განუსაზღვრელის სიყვარულით და ზრუნვით აიხსნება ჩვენის ხალხისადმი, რომლის უმეცრებიდამ და სატირელ მდგომარეობიდამ გამოსაყვან საშუალებებზედ ჩვენში მარტო თქვენა ზრუნავთო» და სხვ.

გკითხავთ განმეორებით: რით უნდა ავხსნათ ასეთი

მოვლენა, ფსიხოლოგია? მე ჩემის მხრით ამას ასე ვხსნი: როცა ერაძე და მისი მსგავსნი ეხებიან ჩემს აზრებს, მათ წინ მხოლოდ პირადი ანგარიშები მიუძღვით და მოხსენებულ წერილების მომწერთ კი—მხოლოდ თვით წერილის ავი თუ კარგი მხარე აქვთ სახეში.

ასევე შეიძლება აიხსნას ჩემის სიტყვის გაუგებრობა. ჩვენმა ყოველ დღიურმა მწერლობამ წინათვე ისე შეაქო წასაკითხად დამზადებული მოხსენება, რომ მარტოოდენ კრინტის დაძვრამაც კი მოხსენების ზოგიერთ ადგილების წინააღმდეგ, სულ მთლად გადარია მისი მოტრფიალენი და ნამდვილის აზრის გაგების მაგივრად მათ სულ სხვანაირად გაიგონეს ჩემი სიტყვა. არც ვძრახავ ამაზედ არავის, რადგანაც, მართლაც, ძალიან ადვილი იყო, რომ სიტყვები «სწავლა» და «შესწავლა», ეს ორი სიტყვა, რომელთაც გამოიწვიეს ასეთი არევ-დარევა ჩემის სიტყვის სისწორით გაგებაში, ყველამ, პედაგოგმა და არა პედაგოგმა, ერთ და იმავე მნიშვნელობით ნახმარად გაიგეს, მაშინ როდესაც, დიდი და დიდი ზღვარი ძევს ამ ორ სიტყვათა და ცნებათა შორის პედაგოგიაში. მე ვსთქვი: «სწავლა-აღზრდა მთელის კურსის განმავლობაში სავსებით სამშობლო ენაზედ უნდა სწარმოებდეს, ხოლო რუსული სავსებითვე უნდა შეისწავლებოდეს იმავე საგნების თვალსაჩინო ნაწილის შესწავლით (და არა სწავლებით?). ახლა, დამდგომიხართ, და მაძალებთ ვსთქვა, რომ არა, ეგ კი არა, თქვენ ისა სთქვითო, რასაც ჩვენ ვამბობთო...

ან როგორ გაიგებდით თქვენ, ბ-ნო მძინარა პედაგოგო, ჩემის სიტყვის ძირითად აზრს, როდესაც, როგორც თითონვე მოწმობთ, თქვენი ყოველი ყურადღება იმ დროს მხოლოდ იმაზედ იყო მიპყრობილი, თუ როგორ ჩაითუთქა ბ-ნი იოსელიანი, როგორ ბუოჯობდა ბ-ნი ილია ჭავჭავაძე და როგორ დაიძახა პეტრე უმიკაშვილმა „это будетъ водотолченіе“ და სხვა.

რომ ჭეშმარიტად ჩემის სიტყვის გაუგებრობა თქვენ მიერ სულ უბრალო პირადობის და მასთან უვიცობის სრული ნაყოფი იყო, სჩანს შემდეგი უტყუარი ფაქტიდამ: კრების რამდენიმე ხნის შემდეგ, მე მივმართე პატივცემულს გ. ე—ს შემდეგის კითხვებით: მითხარით მიუდგომლად და სრულის სიმართლით: მე, მართლა, უარს ვყოფდი სამშობლო ენაზედ სწავლებას სახალხო სკოლებში?—არა, ვინა სთქვა, პირიქით, თქვენ უფრო მეტს დროს და ადგილს თხოულობდით ამ ენაზედ სწავლებისათვისაო. მაშ, რა არ მოეწონა კრებას ჩემს სიტყვაში? ის, რომ თქვენ თხოულობდით სამშობლოსა და რუსულს ენაზედ ერთ და იმავე დროს სწავლებასო.—ვერ გაგიგიათ ჩემი ნალაპარაკევი, მე მაგას არ ვთხოულობდი, ძე ვთხოულობდი, რომ სწავლება ყველა საგნებისა სამშობლო ენაზედ სწარმოებდეს, რათა ბავშვები დაუბრკოლებლად და ბუნებრივად ვითარდებოდნენ, ხოლო, რაც შეეხება რუსულსა, ამ ენაზედ ამ მიზნით სწავლება სრულიად საჭირო არ არის, ეს არის ვალი სამშობლო ენაზედ სწავლებისა; სახალხო სკოლის ვალი ამ ენის შესახებ მხოლოდ იმაშია, რომ მან სავსებით შეასწავლოს ბავშვებს რუსული ენა, რით?—სამშობლო ენაზედ უკვე შეთვისებულის და შესწავლილის შესწავლით თვალ-საჩინო მეთოდით, მაშასადამე, შესწავლილის თვალსაჩინო ნაწილისა. ამის გარეშე ყოვლად შეუძლებელია უცხო ენის შესწავლა,—დავაბოლოვე მე.—ახლა კი მესმისო, რატომ ვერ გავიგეთ თქვენი ნალაპარაკევი,—მითხრა პატივცემულმა მოსაუბრემ: დილეტანტებს გვიკითხავდით მაგისთანა აზრებსაო!.. აი, უმეტ-ნაკლებოდ ჩვენი საუბარი. ჰკითხეთ, თუ არ გჯერათ.

თქვენ მიკიჟინებთ, რომ მდივანი საზოგადოებისა, ბ-ნი იოსელიანი, ჩაითუთქა, როცა თქვენ ეგა სთქვითო. როგორც ვნახეთ, აქ გასაკვირველი არაფერია, მით უმე-

ტეს, რომ იოსელიანი პედაგოგების გუნდს არ ეკუთვნის, მაგრამ დასახასიათებლად იმისა, თუ ხშირად რა გვარ უწ-ყალო ვითარებასთან გვიხდება ჩვენ შეხლა და შეჯახება, მომყავს აქ შემდეგი ფაქტი, რომელსაც სხვა დროს და სხვა ადგილას თავის დღეში არ გამოვამჟღავნებდი და ამიტომ ვსთხოვ ბ-ნ იოსელიანს მაპატიოს ეს.

როცა «ივერიის» რედაქციაში მომთხოვეს ჩემის ნა-ლაპარაკევის ასლი (კოპიო) კრების მდივნის, ე. ი. ბ-ნ იოსელიანის, ოქმიდამ, მე ვეახელ იოსელიანს და მივ-მართე: დაწერილი გაქვთ ოქმი 14 იანვრის კრებისა?— არა. მე რაც ვილაპარაკე, არც ისა გაქვთ დაწერილი?— არა. შავად მაინც არა გაქვთ?—არა. ჩემ-მიერ ნალაპარა-კევიდამ რას ჩასწერთ?—აი, ქაღალდი. (მომაწოდა მთე-ლი თაბახი) დასწერეთ და როგორც დასწერთ, მეც ისე შევიტან ოქმში. მე დავწერე და გადავეცი მას, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ ჩემს განცვიფრებას, როცა ბ-ნმა იო-სელიანმა რამდენიმე კვირის შემდეგ წაიკითხა კრების წინაშე ოქმი და მასში ჩემ-მიერ დაწერილის მაგივრად სრულიად სხვისი ჩაძახილი კი ჩაეწერა! აი, ასე კეთდება და იხლართება ჩვენს ბნელეთში ყოველი კეთილი საქმე...

კვლავ მიკიჟინებთ: როსტომაშვილმა არავითარი წე-რილი არ მოიტანა სამეურნეო საზოგადოებაში, რომ გა-ნაჩენი შესწორებულიყოვო... ყველაფერი შეიძლება, მაგ-რამ ასეთი სიცრუე კი არა! ჰკითხეთ თვით ბ-ნს მდივანს, დავწერე და მივართვი მას ჩემი ნალაპარაკევი თუ არა და თუ მიიღო იგი ჩემგან, რა მიზეზით ისე არ ჩასწერა ჩემი ნალაპარაკევი, როგორც მე დავწერე!?

არც არაფერს კეთილ-შობილურს ქცევას წარმოად-გენს თქვენ-მიერ მოყვანილი ამბავი, რომ ჟურნალი დაუ-ბრუნესო. წაიკითხეთ ბ-ნ ართმელაძის მეორე წერილი სოფლელ მუშასთან, დაბეჭდილი ამ წლის «მოგზაურის»

ნიმრებში და ნათლივ გაიგებთ, თუ რატომ დამბრუნებელსვე ამცირებს მაგგვარი ქცევა...

ორიოდე სიტყვა ბ-ნ გოგებაშვილის სიტყვებზედაც.

თავისი სიტყვით, ჩემის სიტყვის პასუხად, გოგებაშვილმა ისეთივე გაუგებლობა გამოიჩინა, როგორც სხვებმა. ძე ვლაპარაკობდი სამშობლო ენაზედ სწავლებით შეძენილის ცოდნით რუსულის ენის სავსებით შესასწავლად საფუძვლად დადებაზედ თვალ-საჩინო მეთოდით და იმან კი იმის დამტკიცება დაიწყო, თუ როგორ შეიძლებაო, რომ ბავშვებმა მეორე წლიდამ იგივე საგნები რუსულად ისწავლონო. გოგებაშვილის გაუგებლობა აქ იმაში გამოიხატა, რომ მან სრულიად ვერ გაიგო მნიშვნელობა და სრული სხვადასხვაობა სიტყვების: „სწავლება სამშობლო ენაზედ“ და „შესწავლა რუსულის ენისა“... მე მიკიჟინებთ, რატომ პასუხი არ გაეცით გოგებაშვილსაო?—იმიტომ, ბ-ნო პეტაგოგო, რომ იმ საღამოს ამ საგანზედ კამათი ყოვლად შეუძლებელი და ცარიელი წყლის ნაყვა იქნებოდა და მეც გავჩუმდი, რადგანაც ცხადად სჩანდა, რომ იქ წინათვე გადაწყვეტილის აზრის გაყანა ჰსურდათ და არა ჭეშმარიტების აღდგენა. ამას ხომ თითონ თქვენც ამტკიცებთ, როცა ამბობთ: „თითქმის საერთო სურვილი იყო, რომ მოხსენება ყოვლად უბაასოდ და ერთხმივ ყოფილიყო მიღებულიო“.

სწავლების მოწყობა ჩვენს სახალხო სკოლებში გოგებაშვილის გეგმით, ყოვლად უვარგისი და ადამის ჟამისაა, რადგანაც მის გვარი სწავლა-აღზრდით, ხალხს ნამდვილი სწავლა-აღზრდა კი არა, მხოლოდ ნამცეცები ეძლევა მდიდართ ნაუფრალიდამ. გოგებაშვილი თხოულობს, რომ ოთხ წლიან სკოლებში სწავლება სამს წელიწადს სამშობლო ენაზედ სწარმოებდეს, ხოლო რუსული, ჯერ როგორც საგანი ისწავლებოდეს და შემდეგ კი, ე. ი. მეოთხე წელიწადს, სწავლა სულ ამ ენაზედ

სწარმოებდესო; ამასვე ამბობდა წაკითხული მოხსენება, აბა, პოლიტიკანობა თუ გინდათ, რომელსაც ყოველად უსაბუთოდ მე მამწყრალებთ, აქ არის!.. სად გაგონილა, რომ ჭეშმარიტ, სახალხო სკოლაში სწავლა-აღზრდა სამშობლო ენაზედ შუა-გზაზედ სწყდებოდეს და უცხოზედ ფუძნდებოდეს!? ამის ქადაგება მხოლოდ „დამაროშჩენ" პედაგოგებს შეუძლიანთ და აკი ქადაგებენ კიდეც! არა თუ ქადაგებენ, შუამავლებათაც გამოდიან ხალხსა და მთავრობის წინაშე, რომ სწავლების საქმე ასე და ასე მოაწყეთო. მთელი ამათი არგუმენტი სამშობლო ენაზედ სწავლების საჭიროებაზედ იმაზეა დამყარებული, რომ სამშობლო ენაზედ ნასწავლი ბავშვი რუსულსაც უკეთ შეისწავლისო. მაგრამ, როგორ შეისწავლის უკეთ, თუ კი უკეთ არ ასწავლით და მარტო უბრალო წერა-კითხვით და საცოდავი შაბლონური ლექსიური გაკვეთილებით დაკმაყოფილდებით!?

არა ბატონებო! ყოველი ენა თავისი წესით და მეთოდით უნდა ისწავლებოდეს და, აი, ეს წესი და მეთოდი გვეუბნება, რომ სწავლა-აღზრდა სახალხო სკოლებში სავსებით სამშობლო ენაზედ უნდა სწარმოებდეს, ხოლო რუსული, როგორც საგანი, კი არ უნდა ასწავლებოდეს, არამედ, ყველა ის, რაც კი ბავშვს სამშობლო ენაზედ უკვე შეუგნია და შეუთვისებია, აი, ამ მასალიდამ მან, თვალსაჩინო მეთოდის საშუალებით, უნდა შეისწავლოს (და არა ისწავლებოდეს ივიკე საგნები იმ ენაზე!) რუსული ენა და სხვა ყოველი უცხო ენაც...

რაც შეეხება თქვენს მიმობრიულს ცარიგებას, ბ-ნო მძინარა პედაგოგო, რომ მე ჩემი აზრები რუსულად გამოვაქვეყნო, მადლობელი გახლავართ. ეგ უთქვენოთაც შესრულებულია: «ივერიაში» გამოცხადებულ ჩემს წიგნებს შორის არის ერთიც: „Новая школа и основы ея

ნომრებში და ნათლივ გაიგებთ, თუ რატომ დამბრუნებელსვე ამცირებს მაგგვარი ქცევა...

ორიოდე სიტყვა ბ-ნ გოგებაშვილის სიტყვებზედაც.

თავისი სიტყვით, ჩემის სიტყვის პასუხად, გოგებაშვილმა ისეთივე გაუგებლობა გამოიჩინა, როგორც სხვებმა. მე ვლაპარაკობდი სამშობლო ენაზედ სწავლებით შეძენილის ცოდნით რუსულის ენის საკუთებით შესასწავლად საფუძვლად დადებაზედ თვალ-საჩინო მეთოდით და იმან კი იმის დამტკიცება დაიწყო, თუ როგორ შეიძლებაო, რომ ბავშვებმა მეორე წლიდამ „ეგივე საგნები რუსულად ისწავლონო. გოგებაშვილის გაუგებლობა აქ იმაში გამოიხატა, რომ მან სრულიად ვერ გაიგო ბნიშვნელობა და სოული სხვადასხვაობა სიტყვების: „სწავლება სამშობლო ენაზედ“ და „შესწავლა რუსულის ენისა“... მე მიკიჟინებთ, რატომ პასუხი არ გაეცით გოგებაშვილსაო?—იმიტომ, ბ-ნო პეტაგოგო, რომ იმ სალამოს ამ საგანზედ კამათი ყოვლად შეუძლებელი და ცარიელი წყლის ნაყვა იქნებოდა და მეც გავჩუმდი, რადგანაც ცხადად სჩანდა, რომ იქ წინათვე გადაწყვეტილის აზრის გაყვანა ჰსურდათ და არა ჭეშმარიტების აღდგენა. ამას ხომ თითონ თქვენც ამტკიცებთ, როცა ამბობთ: „თითქმის საერთო სურვილი იყო, რომ მოხსენება ყოვლად უბაასოდ და ერთხმივ ყოფილიყო მიღებულიო“.

სწავლების მოწყობა ჩვენს სახალხო სკოლებში გოგებაშვილის გეგმით, ყოვლად უვარგისი და ადამის ჟამისაა, რადგანაც მის გვარი სწავლა-აღზრდით, ხალხს ნამდვილი სწავლა-აღზრდა კი არა, მხოლოდ ნამცეცები ეძლევა მდიდართ ნაპუფრალიდამ. გოგებაშვილი თხოულობს, რომ ოთხ წლიან სკოლებში სწავლება სამს წელიწადს სამშობლო ენაზედ სწარმოებდეს, ხოლო ოუსული, ჯერ როგორც საგანი ისწავლებოდეს და შემდეგ კი, ე. ი. მეოთხე წელიწადს, სწავლა სულ ამ ენაზედ

სწარმოებდესო; ამასვე ამბობდა წაკითხული მოხსენება, აბა, პოლიტიკანობა თუ გინდათ, რომელსაც ყოვლად უსაბუთოდ მე მამწყრალებთ, აქ არის!.. სად გაგონილა, რომ ჭეშმარიტ სახალხო სკოლაში სწავლა-აღზრდა სამშობლო ენაზედ შუა-გზაზედ სწყდებოდეს და უცხოზედ ფუძნდებოდეს!? ამის ქადაგება მხოლოდ „დამარაშჩენ“ პედაგოგებს შეუძლიანთ და აკი ქადაგებენ კიდეც! არა თუ ქადაგებენ, შუამავლებათაც გამოდიან ხალხსა და მთავრობის წინაშე, რომ სწავლების საქმე ასე და ასე მოაწყეთო. მთელი ამათი არგუმენტი სამშობლო ენაზედ სწავლების საჭიროებაზედ იმაზეა დამყარებული, რომ საშშობლო ენაზედ ნასწავლი ბავშვი რუსულსაც უკეთ შეისწავლისო. მაგრამ, როგორ შეისწავლის უკეთ, თუ კი უკეთ არ ასწავლით და მარტო უბრალო წერა-კითხვით და საკოდავი შაბლონური ლექსიური გაკვეთილებით დაკმაყოფილდებით!?

არა ბატონებო! ყოველი ენა თავისი წესით და მეთოდით უნდა ისწავლებოდეს და, აი, ეს წესი და მეთოდი გვეუბნება, რომ სწავლა-აღზრდა სახალხო სკოლებში სავსებით სამშობლო ენაზედ უნდა სწარმოებდეს, ხოლო რუსული, როგორც **საგანი კი არ უნდა ასწავლებოდეს**, არამედ, ყველა ის, რაც კი ბავშვს სამშობლო ენაზედ უკვე შეუგნია და შეუთვისებია, აი, ამ მასალიდამ მან, თვალსაჩინო მეთოდის საშუალებით, უნდა შეისწავლოს (და არა ისწავლებოდეს იგივე საგნები იმ ენაზე!) რუსული ენა და სხვა ყოველი უცხო ენაც...

რაც შეეხება თქვენს მამობრიულს დარიგებას, ბ-ნო მძინარა პედაგოგო, რომ მე ჩემი აზრები რუსულად გამოვაქვეყნო, მადლობელი გახლავართ. ეგ უთქვენოთაც შესრულებულია: «ივერიაში» გამოცხადებულ ჩემს წიგნებს შორის არის ერთიც: „Новая школа и основы ея

развитія и существованія". მასში საკმაოდ არის განმარტებული ეს საჭირ-ბოროტო კითხვაც.

ჩვენს წინ სდგას ორი კითხვა, ორი მიმართულება: ერთი ჩემი, ივანე როსტომაშვილისა, მეორე—თქვენი. ჩემი კითხვა და მიმართულება ამ საკამათო საგანზედ განმარტებული და ახსნილია ქართულად ამ წლის „მოგზაურის" ნომრებში და რუსულად—ბროშურაში: **„Новая народная школа и основы ея развитія и существованія"**; ხოლო თქვენი—იმ მოხსენებაში, რომელიც 14-ს იანვარს ყოფილს კრებაზედ წაიკითხა პატივცემულმა კრიმ-გირეიმ და ი. გოგებაშვილის ბროშურაში: **„Какъ улучшить кавказскую народную школу?"** აი, ამ ორის მიმართულების განმარტება-განმტკიცებაში უნდა ტრიალებდეს ჩვენი დღევანდელი ფაქტიური ბაასი და კამათი და არა ღობე-ყორეს ედებოდეთ უაზროთ, რომ, რა არის, სიტყვა ბანზედ ააგდოთ და გარეშე საგნებზედ წერით უეჭველი დამარცხება თავიდამ აიცილოთ. მაგრამ ჭეშმარიტებას და სიმართლეს სად წაუხვალთ! დღენი თქვენის დახავსებულის აზრებისა და ხალხის ზრუნვისა დათვლილია და თქვენ არაფერი გრჩებათ, რომ სულით და გულით ჩემსას მიემხროთ, რადგანაც მხოლოდ იგია ჭეშმარიტათ სალი, ბუნებრივი, პედაგოგიური, კაცობრიული. იმედია ასევე მოიქცევა კავკასიის სამეურნეო საზოგადოება, რომელიც ყურადღებას არ მიაქცევს პირადობას და ოფიციალურ მსვლელობას მისცემს იმ აზრს და შეხედულებას, რომელიც უფრო ჭეშმარიტი და საჭიროებლო იქნება ჩვენი საერთო მხრისათვის...

მძიმეა, უფალო, ხვედრი მონისა შენისა, მაგრამ გეაჯ: მიხსენ მე მათ ბაგეთა და კბილთაგან!..

ივანე როსტომაშვილი.

ძველი სკოლის

მისი არარაობის ერთგულს დამცველს

ბ-ნს ლ. ბოცვაძეს.

«ივერიის» ოთხს ნომერში გაჭიანურებული წერილი ბ-ნი ბოცვაძისა სრულიად არ შეგვეხება ჩვენ, რადგანაც ჩვენ არასოდეს არც ვყოფილვართ და არცა ვართ იმ აზრის მიმდევარი, რომ დღევანდლის ვითარების სახალხო სკოლის მასწავლებელმა თავს იდვას და სამეურნეო-სახელოსნო-სამრეწველო ელგმენტიც აწარმოოს სკოლაში. რა აზრისა ვართ ჩვენ ამ საგნის შესახებ და ვინ უნდა აწარმოოს იგი სახალხო სკოლებში და რა ვითარებაში, ნათლათ სჩანს ჩვენი წინა წერილებიდან და ამიტომ აქ ამის შესახებ ჩვენ აღარასფერს ვიტყვით. მაშ რისთვის დაშვრა ბ-ნი ბოცვაძე?—იმისთვის, რათა დაამტკიცოს, რომ დღეკანდელი **წიგნური სკოლა** ისედაც ჩინებული რამ არის (!) და ამიტომ უმჯობესია დავკმაყოფილდეთ იმით, რაგვარი სახალხო სკოლებიცა გვაქვს... გვეგონა, რომ ბოცვაძე ახალი დროის და ვითარების მასწავლებელია, რომ მას ფართოთ ესმის ჩვენი სახალხო სკოლის დანიშნულება, მაგრამ მოვსტყუვდით... ეს უკანასკნელი, თურმე, სახალხო სკოლის მარად ესე უძრავად, გლახად

развитія и существованія". მასში საკმაოდ არის განმარტებული ეს საჭირ-ბოროტო კითხვაც.

ჩვენს წინ სდგას ორი კითხვა, ორი მიმართულება: ერთი ჩემი, ივანე როსტომაშვილისა, მეორე—თქვენი. ჩემი კითხვა და მიმართულება ამ საკამათო საგანზედ განმარტებული და ახსნილია ქართულად ამ წლის „მოგზაურის" ნომრებში და რუსულად—ბროშურაში: **„Новая народная школа и основы ея развитія и существованія"**; ხოლო თქვენი—იმ მოხსენებაში, რომელიც 14-ს იანვარს ყოფილს კრებაზედ წაიკითხა პატივცემულმა კრიმ-გირეიმ და ი. გოგებაშვილის ბროშურაში: **„Какъ улучшить кавказскую народную школу?"** აი, ამ ორის მიმართულების განმარტება-განმტკიცებაში უნდა ტრიალებდეს ჩვენი დღევანდელი ფაქტიური ბაასი და კამათი და არა ღობე-ყორეს ედებოდეთ უაზროთ, რომ, რა არის, სიტყვა ბანზედ ააგდოთ და გარეშე საგნებზედ წერით უეჭველი დამარცხება თავიდამ აიცილოთ. მაგრამ ჭეშმარიტებას და სიმართლეს სად წაუხვალთ! დღენი თქვენის დახავსებულის აზრებისა და ხალხის ზრუნვისა დათვლილია და თქვენ არაფერი გრჩებათ, რომ სულით და გულით ჩემსას მიემხროთ, რადგანაც მხოლოდ იგია ჭეშმარიტათ საღი, ბუნებრივი, პედაგოგიური, კაცობრიული. იმედია ასევე მოიქცევა კავკასიის სამეურნეო საზოგადოება, რომელიც ყურადღებას არ მიაქცევს პირადობას და ოფიციალურ მსვლელობას მისცემს იმ აზრს და შეხედულებას, რომელიც უფრო ჭეშმარიტი და საესარგებლო იქნება ჩვენი საერთო მხრისათვის...

მძიმეა, უფალო, ხვედრი მონისა შეხისა, მაგრამ გეაჯ: მიხსენ მე მათ ბაგეთა და კბილთაგან!..

ივანე როსტომაშვილი.

ძველი სკოლის

მისი არარაობის ერთგულ დამცველს

ბ-ნს ლ. ბოცვაძეს.

«ივერიის» ოთხს ნომერში გაჭიანურებული წერილი ბ-ნი ბოცვაძისა სრულიად არ შეგვეხება ჩვენ, რადგანაც ჩვენ არასოდეს არც ვყოფილვართ და არცა ვართ იმ აზრის მიმდევარი, რომ დღევანდლის ვითარების სახალხო სკოლის მასწავლებელმა თავს იდვას და სამეურნეო-სახელოსნო-სამრეწველო ელგმენტიც აწარმოოს სკოლაში. რა აზრისა ვართ ჩვენ ამ საგნის შესახებ და ვინ უნდა აწარმოოს იგი სახალხო სკოლებში და რა ვითარებაში, ნათლათ სჩანს ჩვენი წინა წერილებიდან და ამიტომ აქ ამის შესახებ ჩვენ აღარასფერს ვიტყვით. მაშ რისთვის დაშვრა ბ-ნი ბოცვაძე?—იმისთვის, რათა დაამტკიცოს, რომ დღეკანდელი **წაგნური სკოლა** ისედაც ჩინებული რამ არის (!) და ამიტომ უმჯობესია დავკმაყოფილდეთ იმით, რაგვარი სახალხო სკოლებიცა გვაქვს... გვეგონა, რომ ბოცვაძე ახალი დროის და ვითარების მასწავლებელია, რომ მას ფართოთ ესმის ჩვენი სახალხო სკოლის დანიშნულება, მაგრამ მოვსტყუვდით... ეს უკანასკნელი, თურმე, სახალხო სკოლის მარად ესე უძრავად, გლახად

დარჩენა ყოფილა და ღმერთმაც ხელი მოუმართოს... ნანა, ბოცვაძე, ნანინა, ივანეს როგორ შეგაშინა!?.

იმდენი მოსაზრება როგორ არა გაქვთ, ბ-ნო ბოცვაძე, რომ რაც თქვენ სამეურნეო-სამრეწველო-სახელოსნო ელემენტის წინააღმდეგ საბუთები და ამონაწერები მოგყავთ, ყველა ეგენი მხოლოდ და მხოლოდ თქვენი დღევანდელი ვითარების სკოლისათვის არიან მართლაც რომ შეუფერებელნი და მიუწდომელნი, რადგანაც, ჰე'შმარიტათ, რომ დღევანდელს საწყალს სკოლას და მ'ოგავსათვე საწყალს მასწავლებელს, გარდა თქვენი საცოდავი უბრალო წერა-კითხვის მეტი, სხვა არაფრის სწავლება არ შეუძლიანთ... ჩვენც მანდა ვართ, ბ-ნო ბოცვაძე, ჩვენც ეგ გვიკლავს' გულს, რომ დღევანდელი სკოლა ისეა დაცემული და მოწყობილი, ოომ ეჭის მაგივრათ, რომ ნამდვილი მზე იყოს სოფლის მთელი მოზარდი თაობისა და თვით ხალხისათვისაც, იგი დღეს ყოვლად ნაცარწაყრილს კერას წარმოადგენს და თუ მალე არ მივე'შველეთ, სულაც ჩაქრება. აი რატომ არის, რომ ჩვენ ძირიან-ფესვიანათ ვცვლით დღევანდელი სკოლის წეს-წყობილებას და ჩვენი ბრალი არ არის, რომ თქვენ იგი ზღაპრულ რადმედ მიგაჩნიათ... არა, ბ-ნო ბოცვაძე! საზღაპრო აქ არაფერია, ყოველივე, რასაც ჩვენ ვთხოვულობთ სახალხო სკოლის რეფორმის შესახებ, ისეთივე რეალური და ადვილ ხელ-მისაწდომია სულ უკანასკნელი სოფლებისათვისაც კი, რასაკვირველია, არა მცირე დახმარებით მთავრობისა და საზოგადოებისგან, როგორც ნათელი დღე, მაგრამ რას ვიზამთ, რომ თქვენ ყოვლად მომაკვდინებელ უმოძრაობაში იმყოფებით და თვალების მოფშვნეტაც კი გეზარებათ... არც გვიკვირს ჩვენ ეს. როცა ღვთივ-განსვენებულმა ალექსანდრე მეორემ ანდერძი აუგო ნეტარ-ხსენებულ ყმობას, ბევრი ყმათაგანი ისე შეჩვეული იყო მონობას, რომ მონად დარ-

ჩომა არჩიეს სიკვდილამდე... სწორეთ ასევე გემართებათ თქვენც.

მაგრამ ღმერთი მოწყალეა.,. გასაღები ჩვენის ხალხის მის უბადრუკ მდგომარეობიდან გამოსაყვანათ უკვე ნაპოვნია და დღეს თუ ხვალ ჩვენ-მიერ ქადაგებული სახალხო სკოლა აუცილებელი კუთვნილება გახდება ყოველი, სულ უკანასკნელი მიყრუებული სოფლისაც კი...

ცოდო არ არის, რომ ასეთ შესანიშნავ სიტყვებს და აზრებს კანტისას, სპენსერისას და საზოგადოთ პოზიტიურ ფილოსოფიისას, რომლებიც თქვენ მოგყავთ,—„**ყოწრო პრაქტიკულს**“ ეძახით მარტო იმისათვის, რომ იგინი თქვენს აზრს არ უდგება!?. ღმერთო დიდებულო, საოცარ არიან სიბნელენი მოსავთა შენთა!.. აღზრდა ისეთის ადამიანისა, რომ შეეძლოს «**საგსე ცხოგრებით ცხოგრება**», - ვიწრო პრაქტიკულიაო!.. არ გესმისთ აგრეთვე რა აზრით და მნიშვნელობით ვხმარობთ ჩვენ სიტყვას «**წაგნური სწავლა**». თქვენ იგი თუთიყუშურ ზეპირობად მიგაჩნიათ და ამიტომ დასძენთ: «ძნელათ წარმოსადგენია ისეთი სკოლა და მასწავლებელი, რომელიც თუ ცოტათი მაინც მომზადებულია, სწავლების დროს მარტო წიგნურს სწავლას აღგეს; არამედ საუბრებისა და დაკვირვებითი სწავლის შემწეობით (ი. გოგებაშვილის «დედაენით» ხელში, დაუმატეთ ესეც რაღა!?), გააცნოს მოწაფეებს გარემორტყმული ბუნება და მისი კანონები და წაკითხულის სრულის შეგნებით განავითაროს მოწაფეთა ჭკუა-გონებაო». არა, ბ-ნო ბოცვაძე! მარტო თუთიყუშურ გაზეპირებას არ ვეძახით „**წაგნურ სწავლას**“. ამ სახელს ჩვენ ვსდებთ სწორეთ თქვენ-მიერ მოყვანილ მაგვარ სწავლას. იგი თუმცა წიგნური არ არის, მაგრამ **სიტყვიერია**, ჩვენ კი გვწადიან, რომ სწავლა **შრომისაც** იყოს: როგორც იშრომე და იცხოვრე—არის ცხოვრების ჭეშმარიტი დედა-აზრი, სწორეთ ასევე გვინდა, რომ—**იშრომე**

და ისწავლე გახდეს ყოველი სახალხო სკოლის დედა-აზრად, მის დედა-ბოძად! აი, რა აზრით ვხმაროობთ ჩვენ სიტყვას, „წიგნური სწავლა“...

თქვენს მთელს წერილში, რომელსაც დასჭირდა „ივერიის“ ოთხი ნომერი, მარტო ერთი ადგილია შესაფერი სადავო საუბრისა. ეს ის ადგილი გახლავთ, სადაც თქვენ ეხებით ჩვენ-მიერ დასურათებულ სახალხო სკოლას ხუთი თუ ათი დესეტინა მიწით. თქვენ არ გჯერათ, რომ ხუთმა თუ ათმა დესეტინა მიწამ იმდენი შემოსავალი მისცეს სკოლას, რომ ამ უკანასკნელს შეეძლოს სკოლის ყოველი ხარჯის გასტუმრება და ნიმუშად მოგყავთ წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლა, რომელსაც 50 დესეტინაზედ მეტი ადგილი აქვსო, ბრძანებთ თქვენ, მაგრამ მისი შემოსავალი არათუ ხარჯს ვერ ჰფარავს, არამედ ბანკი რომ 50,000 მანეთს შემწეობას არ აძლევდეს ყოველწლივ, სასწავლებლის საქმე ცუდათ წავიდოდაო.

წინამძღვარიანთ-კარის სკოლაზე და მის მთავარ ნაკლულევანებაზედ ჩვენ აქ არას ვიტყვით; აქამომდე იგი თუ ვერა ჰფარავდა ხარჯსა საკუთარი შემოსავლიდამ, ეს იმიტომ, რომ დრო და შეხედულობა ისეთი იყო, რომ ვითომ სკოლა მუდამ სხვისი ოფლით უნდა სცხოვრობდეს, გარეშე საზოგადოების გულმტკივნეულობით და დახმარებით უნდა სულდგმულობდესო. ჯერ აი, რამდენი ხანია ჩაჭიჩინებთ, რომ სკოლა დამოუკიდებელი უნდა იყოს და ვერაფერი შემისმენია თქვენთვის, ისე ველურად გეჩვენებათ თქვენ ჩვენი სიტყვები. მაგრამ მოიცათ ცოტა ხანი, საზოგადოება გამოფხიზლდება, ასევე წინამძღვარიანთ-კარის სკოლაც და აბა მაშინ მიკიჟინეთ, რომ წინამძღვარიანთ-კარის სკოლა თვისი 50 დესეტინა მამულის მეურნეობითაც ვერა ჰფარავს თავისს ხარჯებსა!? თქვენ უნარი სთქვით, თორემ ჩვენ-მიერ დასურათებულ სკო-

ლის პატარა საზოგადოებას, სადაც მომეტებულათ თვით მასწავლებლები და მოსწავლენი მუშაობენ და, მაშასადამე, კაპეიკიც არ ეხარჯებათ მუშების დაქირავებაზე,— ძალიან კარგა შეუძლიან ისე მოაწყოს თვისი ყოველი მეურნეობა-ხელოსნობა-მრეწველობა, რომ, ვიმეორებ, 5 და 10 ათასი მანეთი შემოსავალი მისთვის ჩვეულებრივი საქმე იქმნება... თქვენ ბრძანებთ:

„სახალხო სკოლებში უმთავრესი საქმეა საზოგადო საგნების სწავლება და საზოგადო გონების განვითარება სკოლის მოწაფეებისაო“.

ცარიელი, ფუჭი სიტყვებია ეს სიტყვები, რადგანაც თქვენი გლახური, წიგნური სკოლა ყოვლად უღონო და უსახსროა მისწვდეს ამ უბრალო სურვილსაც კი. სულ სხვაა ჩვენი სკოლა: იგი სავსებით სწვდება ორსავე მიზანს!..

ივანე როსტომაშვილი.

ბ-ნთ სიტყვას, გოგებაშვილს და სხვათ.

ეჭვი არ არის, გენახებათ მკითხველო, სიცხით ატაცებული ავათმყოფი. ლოგინში წევს, მაგრამ ვერ მოუსვენია, შფოთავს, გმინავს, როტავს, ლაპარაკობს. რასა? თითონაც არ იცის, რადგანაც ავათმყოფია, შერყეულია. აი, სწორედ ასეთის ავათმყოფის, შერყეულის ადამიანის ნაკალმევს წარმოადგენს „ცნობის-ფურცლის“ თანამშრომლის სიტყვას ჩვენდამი მომართული წერილი. საზოგადოთ ასეა: როცა კაცს ჭკუა ან სიმართლე არ უჭრის, რომ მოკამათეს პირდაპირ შეებას და ნათელი საბუთებით წინააღმდეგი დაუმტკიცოს, იგი მოჰყვება და ერთს ქარ-ბუქს აყენებს, რომ ჩემი მოწინააღმდეგე ჯაშუშია,

მოღალატეა, მშიშარაა, სოფისტიკია, ორპირია, რომ მასთან კამათს ათას წილ უმჯობესია პირდაპირ მტერს შეებრძოლოს კაცი და სხვა ამისთანა ათას სულელობას წამოროშავს... აი, უმეტ-ნაკლებად საერთო შთაბეჭდილება სიტყვისა წერილისა.

რაც ჩვენი თავი გვახსოვს, წარბ-შეუხრელათ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ერთი წამი, ერთი დღე-ღამე არ გასულა ისე, რომ ჩვენ, შეძლებისამებრ, მარად ჩვენის ქვეყნის ჭირ-ვარამი არ გვდებოდა წინ, რომ მარად დაუღალავი და უშიშარი შებრძოლი არ ვყოფილიყავით მის ყოველ ავთან და ახლა კი გამოსულა ბ-ნი სიტყვა და მძინარა პედაგოგთან ერთად, ქვეყანას აყრუებს, რომ ჰარიქა, როსტომაშვილი მოღალატეა, შორს მისგან... თვით მშიშარავ და ორგულო, ჯერ შენს თვალში დაინახე ბეწვი და მერე ეძებე ძელი შენს მოყვასში! ჩვენ ვართ მშიშარა, თუ შენ, რომ მშიშარა ტუტასავით იმალები და პირადს კამათში სახელ-გვარსაც არ აცხადებ!? ჩვენ ვართ ორგული, თუ თქვენ, რომ თავზედ დაბახანის ცილინდრი ჩამოგიფხატავთ და თბილისის ქუჩებში ქართველის სამასხაროდ დაბრძანდებით? ფუჭო ლიკლიკავ, თითონ რომ არ შეგიძლიან საქმე და ქვეყნის სამსახური, სხვას მაინც რად უშლი? რად უორგულებ ქვეყანას მისთვის თავ-დადებულს შვილებს? მგლის ტყავში მოვლენილო ბატკანო, ჩვენ ვატყუებთ ქვეყანას ჩვენის მოღვაწეობით, თუ თქვენ თქვენის ჩიტია-რეკია ყბედობით?

სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უძევს დიდი ზღვარი. მაგრე დიდგულათ რო ჩიტი-რეკიობთ, ერთი თქვენი საქმეც გვიჩვენეთ და? სულ აჭია-ბაჭია რო იძახოთ, როდემდის? განა მაგიტომ გასვათ და გაჭამათ ქვეყანამ, რომ მარტო ცილინდრით გამოწყობილი მოჰვლენოდი შენს ტომსა და ხალხსა!..

ჩვენი მოქმედება რად და ვისთვის არის საშიშო და ორპირი? ორპირი თქვენა ხართ, რომ პირს არ იჩენთ და მგლის ტყავში კამათობთ... არა. ჩვენ ვმოქმედობთ საქვეყნოდ, აშკარად, დაუფარავად, ცხადად, ისე როგორც შეჰფერის ყოველს მართლის მომქმედს და ამიტომ მარად და ყველგან ქვეყნისათვის სასარგებლოდაც ვმოქმედობთ. სულ სხვა არის თქვენი მოქმედება: ველური, ზნე-დაცემული და მშიშარა კურდღელივით ჯაგებს ქვეშ მომართული. ჩვენი კი არა და ეგ თქვენი ბღლაძუნობა არის ყოვლადი დამცირება ჩვენის ქვეყნისა და მის წმიდათა-წმიდის—მწერლობისა. თქვენ რომ ათას ულირკხვილო კუდებს გამოაბამდეთ ჩვენს ნაწერებს და სულელურს, ბავშვურს დასკვნებს არდგენდეთ, მაგაში ან ჩვენი და ან სხვისი რა ბრალია! ეგეც სულ თქვენი უადამიანობისგან და გათახსირებით წარმოსდგება, რომ როცა სხვა პატიოსნური ძალ-ღონე არ შეგწევთ, ქვეყნის მოღალატობით სიტყვას ბანზედ აგდებთ...

ჩვენ კი არა და თქვენა ხართ ქვეყნის ნამდვილი გამრყვნელი და დემარალიზატორები! ჩვენი ყოველი სტრიქონი საქმიანია, რისამე მიმწოდებელი კაცობრიობის საკეთილ-დღეოდ, თქვენი? როგორც ქარს მოუტანია, ისევე ქარი წაიღებს. ჩვენ გარემოების კაცი არა ვართ. ჩვენ იმას კი არ ვაკეთებთ, რაც თვით გვსურს თავისს სასიამოვნოდ და სასარგებლოდ, ან რასაც დრო და გარემოება მოითხოვს. არა. ჩვენ იმას ვაკეთებთ და ვწერთ, რაც მიგვაჩნია ამა თუ იმ საუკეთესო საქმის და გარემოების დამშადებლად ქვეყნისთვის. და თუ თქვენ სხვანაირად გესმით ჩვენი მოქმედება, ეგ ჩვენი ბრალი აო არის. დამშლელი არავინა გყავთ, სრული ნება გაქვთ, ინავარდეთ, საქმე და მომაყალი გამოაჩენს ვინ არის ჩვენში მართალი და ვინ მტყუანი. ფარისეველნო სიტყვა და მძინარა პედაგოგო! ჩვენ რომ რუსულ-ქართულ ენციკლო-

პედიურ ლექსიკონის გამოცემას გვიკიჟინებთ, რომელიც ჩვენ მხოლოდ ასე იმიტომ დავიწყეთ, რომ საენციკლოპედიო მასალა შეგვემზადებინა ახლო მომავალში ნამდვილი ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონის გამოსაცემად და თქვენ კი ამას ქვეყნის ორგულობაში გმართვევთ, სხვის თვალში რო ბეწვსა ჰხედავთ, რატომ თქვენს თვალში კი ძელს ვერა ჰხედავთ, რომ თავებზედ ცილინდრები ჩამოგიფხატავთ და გაბღინძულები უშნოდ და უსაქმოდ თბილისის ტროტუარებზედ დაბრძანდებით სოფლის უსწავლელ დედაკაცებსავით სხვისი ძვირის სალაყბოდ, იმის მაგივრად, რომ ორი-სამი საენციკლოპედიო წერილი მაინც დასწეროთ. ჩვენგან, მაცდურნო!.. თქვენ ღირსნი არა ხართ ჩვენთან კამათისა, რადგანაც ხართ გულძირნი, ფარისეველნი, ველურნი!..

თქვენ ბრძანებთ და ახლა ამასვე იმეორებს გოგეგებაშვილი, რომ რუსულის კარგად სწავლება სკოლებში ამოსჭამს თვით სამშობლო ენასაცაო, რომ **სწავლება** ყველა საგნებისა რუსულს ენაზედ და თვალსაჩინოდ **შესწავლა** რუსულის ენისა ერთი და იგივეაო! აკი ვწერდი და ვამბობდი, რომ მე სამწუხაროდ დილეტანტებთან მიხდება კამათი! არ მოვსტყუვდი. გოგებაშვილს თუმცა თავი მოაქვს, რომ პედაგოგი ვარო და თუმცა აქამომდისაც ყველამ კარგათ ვიცოდით, რა პედაგოგიც ბრძანდება იგი, მაგრამ ახლა სრულიად გამოაშკარავდა, რომ იგი მხოლოდ მეხანიკური მიმდევარი ყოფილა რუსეთის ზოგიერთ პედაგოგებისა, რომ მას აკლია საკუთარი შემოქმედებითი აზრი და შეხედულობა პედაგოგიაში!.. ასევე სიტყვას და ბ-ნს იოსელიანს. **სწავლება** რუსულს ენაზედ ყველა საგნებისა და **შესწავლა** რუსულის ენისა თვალსაჩინოდ ერთი და იგივეაო!!. ღმერთო, სადა ვართ! აფრიკის ველურებში თუ ბრწყინვალე საქართველოში? სიტყვავ, გოგებაშვილო და

ბ-ნო იოსელიანო! იცით, რას ნიშნავს უცხო ენაზედ ყველა საგნების სწავლება?—ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი საგნის სწავლების დროს უთუოდ უნდა შემოღებულ იქმნას საზეპირო წიგნებიც (**учебники**), რომლებიც, მართლაც, რომ სრულიად გამოათაყვანებენ სახალხო სკოლის მოწაფეებს, რადგანაც «უჩებნიკებში» ასობით და ათასობით მოიპოვება სოფლის მოსწავლეთათვის ყოვლად მიუწდომელი სიტყვები და ადგილები, და **თვალ-საჩინოდ შესწავლა** კი რუსულის ენისა სრულიად არ საჭიროებს არავითარს „უჩებნიკებს“, რადგან იგი თხოულობს მხოლოდ საგნის თუ სურათის პირდაპირ ხილვას და მის გამო საუბარს. აამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ ყოველი სასწავლო საგნიდამ მხოლოდ მისი **მეათედი** ნაწილი დასჭირდება მასწავლებელს თვალ-საჩინოდ რუსულის შესწავლის დროს და დანარჩენი კი გამოტოვებული იქნება, როგორც ყოვლად უმნიშვნელო და უვარგისი მასალა ენის შესასწავლად. არა გჯერათ ეს? აი ამის მაგალითი სამღთო სჯულიდამ. ავიღოთ თუნდა ქრისტეს შობა, რომ ვასწავლოთ იგი რუსულს ენაზედ, ყმაწვილს ჯერ ერთი, რომ სურათით უნდა განუმარტოთ და შემდეგ მივცეთ მათ იგივე წიგნიდამ დასასწავლებლად. წიგნში კი ამ რეები სწერია: მოგვყავს ეს სულ შემოკლებულ, დიმიტრი სოკოლოვის, სახელმძღვანელოდამ:

„Приближалось время родиться Христу Спасителю. Тогда отъ Римскаго императора Августа вышло повелѣніе сдѣлать въ Іудеѣ народную перепись. Для записи каждому іудею назначено было явиться въ городъ, изъ котораго происходили его предки. Іосифъ и Марія происходили отъ царя Давида, и потому изъ Назарета отправились въ Виѳлеемъ, городъ Давида. Въ этомъ городѣ, по предсказанію пророка, надлежало родиться Христу. Здѣсь они не нашли

себѣ мѣста въ гостинницѣ и остановились въ пещерѣ, куда пастухи загоняли стада въ ненастную погоду. Въ этой-то пещерѣ ночью (чрезъ 5,508 лѣтъ послѣ сотворенія міра) отъ Дѣвы Маріи родился Сынъ, Который былъ не только человѣкъ, а въ то же время и Богъ,—родился Богочеловѣкъ. Единородный Сынъ Божій, единосущный Богу Отцу, воплотился въ то время отъ Духа Святаго и Святыя Дѣвы Маріи и вочеловѣчился, то-есть сдѣлался полнымъ человѣкомъ, изъ души и тѣла состоящимъ, не переставая быть Богомъ.

Дѣва Марія спеленала Младенца и положила Его въ ясли".

აი, რას ნიშნავს სამღთო სჯულის სწავლება წიგნით! ახლა მოვიყვანოთ თვალ-საჩინო გაკვეთილი. ავიღოთ სურათი ქრისტესშობისა და ვასწავლოთ მოწაფეებს ის, რაც ამ სურათით თვალ-საჩინოდ ისწავლება. რამდენიმე მარტივი კითხვის მერე გამოვა, რომ მოსწავლეებმა უნდა დაისწავლონ შემდეგი პასუხები მათ შესახებ კითხვებზედ: На этой картинѣ нарисованы: спелененный Младенецъ; это Іисусъ Христосъ; Онъ лежитъ на сѣнѣ.—Дѣва Марія; она мать Іисуса Христа; она сидитъ возлѣ Младенца.—Старецъ Іосифъ; онъ стоитъ здѣсь же недолеко.

აი მთელი შინაარსი ამ სურათისა. გვიბრძანეთ ერთი: განა სულ ერთია საღმთო წერილის ისე სისტემატიურად სწავლება, რომელიმე უცხო ენაზედ, როგორც ეს საზოგადოთ მიღებულია სახელმძღვანელოებში და ანუ შესწავლა რამოდენიმე სიტყვისა და წინადადებისა სურათისა თუ საგნის შემწეობით თვით ამ უცხო ენის შესწავლის მიზნად!? ცხადზე ცხადია, რომ ამ ორ მეთოდს შორის ისეთივე უფსკრული და განსხვავებაა, როგორც ცასა და

დედამიწას შორის და თქვენ კი, ერთად გოგებაშვილთან და იოსელიანთან გამოდიხართ და გაიძახით, რომ ეს სულ ერთიაო, აქ მარტო როსტომაშვილის სიტყვების გადასკუპება-გადმოსკუპებაა...

ორიოდე სიტყვა იმ შენიშვნაზედაც, რომ როსტომაშვილის პროექტით ნახევარი დრო სამშობლო ენაზედ სწავლებას უნდებაო და ნახევარი—რუსულის შესწავლასაო! საინტერესოა ვიცოდეთ, თქვენის პროექტით რამდენი დრო აქვს დანიშნული სამშობლო ენაზედ სწავლებას და რამდენი რუსულის შესწავლას? რადგანაც თქვენ ამის შესახებ არავითარი არც პროექტი დაგიწერიათ (რა საჭიროა!) და არც კრინტი დაგიძრავთ, მოვიყვანოთ სამეურნეო კრებაზედ წაკითხულის მოხსენების ანუ გოგებაშვილის აზრი, რომელთ ერთგულ მომხრეთაც თქვენ გამოდიხართ. მოხსენებაც და ბ-ნი გოგებაშვილიც ამბობენ, რომ რუსული ენა, უნდა ისწავლებოდეს როგორც საგანი ყოველ დღეო, ე. ი. წერა-კითხვა და ლექსიური ნაწილი. გამოდის, რომ თქვენ მომხრეთა პროექტით რუსულს ენას ყოველ დღე ორი საათი უნდა ხმარდებოდეს, და, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სახალხო სკოლაში ათხ საათზე მეტი არ უნდა იყოს სწავლა, გამოდის, რომ თქვენი და თქვენ მომხრეთა აზრითაც ორი გაკვეთილიც ქართულს ენაზედ უნდა იყოს, ე. ი. სწავლების დრო შუაზედ იყოფა სამშობლოსა და რუსულს ენათა შორის. მაშ რა დავაშავეთ ჩვენ? განსხვავება აქ მხოლოდ იმაშია, რომ ამავე დროს განმავალობაში ჩვენ სამ-სამ გაკვეთილს ვახერხებთ და, რასაკვირველია, უფრო ნაყოფიერად ვხმაროობთ დანიშნულს დროს, რისგამოც ჩვენის პროექტით მარტო წერა-კითხვა, ანგარიში და სამღთო წერილი კი არ ისწავლება სახალხო სკოლებში, არამედ ისტორიაც, გეოგრაფიაც და ბუნების-მეტყველებაც, ე. ი. ყველა ის საგნები, მხო-

ლოდ რომელთ სწავლებითაც შეუძლიან სახალხო სკოლას იმდენად განავითაროს თვისი მოსწავლენი, რომ მათაც შეეძლოთ ჩვენი საერთო ცივილიზაციის გუმება!.. ხედავთ, ბატონო სიტყვავ, როგორი მოკლე ფეხები ჰქონია თქვენს დანააზრებს დასკვნებს!? ამაყად კი გამოდიხართ ასპარეზზედ და მიწასთან ასწორებთ ჩვენის სახალხო სკოლის ავ-კარგის მაძიებელთ და მკვლევართ... გოგებაშვილი უფრო მეტს ველურობას იჩენს და ისეთს ველურს აზრს წარმოსთქვამს, რომელსაც არც ერთი ნორმალური ჭკვის პატრონი არ იტყვის. მე მოგახსენებთ მის შემდეგ სიტყვებზედ:

„როსტომაშვილი ვალად ადებს სახალხო სკოლას **უპირველესად ყოველისა** (ეს ორი სიტყვა თითონ გოგებაშვილის ჩამატებული და გამოგონილია!) «ღრმასა და ყოველ-მხროვანს შესწავლას რუსულის ენისას». მერე ამბობს: „ჩვენ თუ რუსულის ენის გასუქებას გამოვუდექით, დედა-ენას სულს ამოვართმევთო“.

ყველაფერი გაგვიგია, მაგრამ, რომ რომელიმე ენის თუ საგნის კარგად და საფუძვლიანად შესწავლა, იმ დროს, როცა მთელი სწავლა-აღზრდა, როგორც ამას ჩვენა ვთხოულობთ, სამშობლო ენაზედ უნდა სწარმოებდეს მთელის კურსის განმავალობაში,—სამშობლო ენას სულს ართმევდეს,—პირველად გვესმის!.. ვერ გაგვიგია, მაშ რა ჰსურს ბ-ნს გოგებაშვილს? ცხადია მისი აზრი: **ზეზეურად სწავლება რუსულის ენისა**, მაგრამ ეს ხომ სკოლის წმიდათა-წმიდის დანიშნულებისათვის ძირის გამოთხრაა და სხვა არაფერი... დაფიქრდით, რას ამბობთ გოგებაშვილო? თუ ასწავლით რასმე, ასწავლეთ საუკეთესოდ, რომ ნაყოფიც მარად საუკეთესო იყოს. გახსოვდეთ, რომ სკოლამ მარად მაღლა უნდა ატაროს თვისი ყოვლად შემძლებელობის და ცოდნის ბაირაღი და ამიტომ რასაც აკეთებს, უთუოდ საფუძვლიანად და არა ზეზეურად უნ-

და აკეთებდეს, სკოლა ყველაფერს უნდა აკეთებდეს როგორც მექონი უფლებისა და არა როგორც მონა გოგებაშვილისთანა იდუმალ ქვენა აზრებისა...

თქვენ, ბ-ნო გოგებაშვილო, ბრძანებთ, რომ ჩვენ თქვენ დაგაბრალეთ, ვითომ თქვენ შუაგზაზედ სწყვეტდეთ დედა-ენაზე სწავლებას. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ვისმე უსაფუძვლოთ რამე დავაბრალოთ. როცა ჩვენ ამას გაბრალებდით, ჩვენ წინ გვედვა თქვენი რუსული წიგნი: „Какъ улучшить Кавказ. Народн. школу“.—წაიკითხეთ იქ 32 გვერფზე ეს სიტყვები:

„Что же касается до двухклассныхъ школъ, то въ нихъ обученіе надо производить на родномъ языкѣ дѣтей до окончанія курса одноклассной школы, а затѣмъ орудіемъ обученія сдѣлать государственный языкъ“.

ცხადზე ცხადია, რომ თქვენ, ორ-კლასიან სახალხო სკოლებში, რომლებსაც ექვს წლიანებს ქადაგებთ, მეხუთე და მეექვსე წლებში, თქვენის წინადადებისამებრ, სწავლა მარტო რუსულს ენაზედ უნდა სწარმოებდეს და სამშობლო ენა კი... ამაზე თქვენ აღარაფერს ამბობთ. აი, სად არის დამარხული ძაღლის თავი. მეც მანდა ვარ, ბ-ნო გოგებაშვილო, რომ არა და არა: ერთ კლასიანია თუ ორ-კლასიანი, ეს სულ ერთია, ორივე სახალხო სკოლაა და ყოველს სახალხო სკოლას კი სწავლა-აღზრდის საფუძვლად მის გათავებამდე, უთუოდ და უთუოდ სამშობლო ენაზედ სწავლება უნდა ედვას, თქვენ კი, როგორც ხედავთ, პედაგოგიის ამ ძირითადს საფუძველს ადვილათ ჰღალატობთ...

რა გელაპარაკოთ: იქვე თქვენ სწერთ შემდეგ სიტყვებსა:

„Нужно преподавать русскій языкъ во всѣхъ отдѣленіяхъ школы ежедневно, и вести это обуче-

ніе по всѣмъ правиламъ раціональной педагогіи". ამასა სწერთ და თითონ ამ რაციონალური პედაგოგიის წესებზედ კი კრინტსაც არა სძრავთ! მაგ რაციონალურს წესებზედ ჩვენ ვწერდით და აღმოვაჩინეთ კიდეც, თუ რა გზით უნდა სწარმოებდეს რუსულის ენის ხეირიანათ შესწავლა სახალხო სკოლებში, რომ ნაყოფი საუკეთესო იყოს და ახლა კი გვიწყრებით: ჰერიქაა! მაგრე კარგათ რომ ვასწავლოთ რუსული ენა, ხომ სამშობლო ენა სრულიად შესთქვლიფა რუსულმაო!.. საკვირველ არიან, უფალო, სიბეცენი მოსავთა შენთა!..

ერთი საყვედური ჩვენ ერთად-ერთ ორი გაზეთის რედაქტორებსაც. „დედა-ენაში" სხვათა შორის დაბეჭდილია სტატია სათაურით: **ცუდი მეზობელი**. აი, სიტყვა-სიტყვით, რაც იქა სწერია:

„ივანეს ცხენი მეზობლის სიმინდში შეიპარა. მეზობელი გაბრაზიანდა, დაამწყვდევინა ცხენი და ივანეს ზარალი ერთი სამად გადაახდევინა. გავიდა ორიოდე დღე. მეზობლის ხბო ივანეს ბოსტანში გადვიდა და მწვანილეულობა სულ გააოხრა. ივანემ დაიჭირა ხბო, მიჰგვარა მეზობელსა და უთხრა: აი შენი ხბო, ჩემი ბოსტნიდგან მოგიყვანე; ჩაიბარე, მეზობლებს ჩხუბი და ჯიბრი არ შეჰშვენითო. შერცხვა მეზობელსა და უთხრა: ჩინებული კაცი ყოფილხარ, ივანე! მიირთვი უკანვე ცხენის ფული და ვიცხოვროთ მეგობრულად, როგორც კარგს მეზობლებს შეჰშვენითო".

სირცხვილია თქვენთვის, რომ ივანეს უბრალო გრძნობა და ცოდნაც არა გაქვთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იცხოვროთ მეზობელთან! ერთი მიბრძანეთ, რა საკადრისია გაზეთისათვის ისეთი ურცხვი წერილების ბეჭდვა, როგორიც იყო «ივერიის» მეთაური, მძინარა პედაგოგის და სიტყვას წერილები, რომელთ ავტორთ მიზანში მხოლოდ ისა აქვთ, რომ ჩვენი მეზობლობა მო-

შხამონ და ერთმანეთს გადაგვკიდონ. ამით მე იმას როდი ვამბობ, რომ კრინტს ნუ ამოვიღებთ ამა თუ იმ საგანზედ, ნუ ვიკამათებთ. სრულიად არა. პირიქით, დიდად სასიამოვნო და სასარგებლოც არის მწერლობაში სხვა და სხვა ორღანოთა აზრის გაზიარება, მაგრამ მხოლოდ ერთს პირობაში: **ხელშეუხებლად** დაცულ **იქმნას მწერლის პირადვნება** და განსაკუთრებით ისეთის სიტყვებით მათი მოხსენება, როგორებიც არიან: „ქვეყნის მოღალატე“, „ჯაშუში“, «იმდენად საშიში პირდაპირ მოსული მტერი არ არის», «ისევ პირდაპირი გამცემი სჯობია» და სხვა ამისთანები. ასეთი მოკამათენი **მწერლობის იუდებად** უნდა იქმნენ აღიარებულნი და ერთხელ და სამუდამოდ მათთვის ყოველი პატიოსანი რედაქციის კარები დახშულნი, თუ გვინდა, რომ ჩვენმა მწერლობამ და აზრმა იდღეგრძელოს და წარმატებით წინ იაროს...

ივანე რჩისტოფაშვილი.

ქართველი პედაგოგები

ან

ქართული პედაგოგიკა.



ეწინდელს ჩვენს მასწავლებლებს და აღმზრდელებს არ დაუტოვებიათ ჩვენთვის არავითარი გონივრული შემეცნებანი სწავლა-აღზრდაზედ და არც მტკიცე გამოკვლევანი ბავშვების ფიზიკურ თუ სულიერ განვითარების შესახებ.

ამიტომ დღემდე სწავლა-აღზრდის საქმე სწარმოებს ჩვენში თითქმის მხოლოდ ღვთის ანაბარად და სრულიად წარამარად. არაფერიდგან და არსაიდგან არა სჩანს, რომ ვინმე ჩვენთაგანი ღრმად ჩაჭფიქრებოდეს მოზარდი თაობის შინაგან ცხოვრებას და მის ყოველმხრივ განვითარებას, არავის თავი არ შეუწუხებია სხვა და ხხვა პედაგოგიური კითხვების გამოკვლევით და ძნელად თუ

ან კი მოსვლოდეს ვისმეს ეს ფიქრად ჩვენს ჰედაგოგებს და ან ეხლაც ადარებდეს ვისმეს იგი. თუ ვისმე მოუპოვებია ჩვენში ჰედაგოგის სახელი, მოუპოვებია ეს სმირად არა ჭეშმარიტი გზით და არც საკუთარი შემოქმედებითი ნიჭით და გონების ძალით, არამედ და მარტო შემთხვევით, თაღლითი მოღვაწეობით და სხვა ლიტერატურული ძალ-მომრეობით, რომლის მაგალითებით სავსეა ჩვენი ცხოვრება და მწერლობა. ამიტომ გასაკვირველიც არ არის, თუ ჩვენი აღზრდა და ჩვენი ქართული სკოლა საუკუნოების განმავლობაში ერთსა და იმავე განვითარების საფეხურზედ შემდგარა და არც არა დაშთენია-რა შემდეგ თაობათ, გარდა, რასაკვირველია, უნუგეშო მაგალითებისა. ხოლო, რადგან არა გვეოლია ჩვენ დამოუკიდებელი მოაზრენი, ამიტომ არც დამოუკიდებელი ჰედაგოგები გვეოლია, რომელთაც სრულის ცნობიერებით შესძლებოდათ მიეცათ ჩვენის სკოლისათვის დამოუკიდებელი მოძრაობა-მიმართულება, შეესხათ მისთვის ახალი ხორცი, შთაებერათ ახალი სული, შეეტანათ ახლად შემუშავებული ცნებანი საოჯახო და საროგადო აღზრდაში.

რომ ჩვენში ჰედაგოგიური საქმისათვის მაგრე რიგათ თავი არავის შეუწუენია, ეს მტკიცდება

სხვათა შორის იმითაც, რომ ჩვენ აქამომდე არა გვქონია არავითარი სამეცნიერო პერიოდიული პედაგოგიური გამოცემა, გარდა ერთად-ერთის საუმაწვილო ჟურნალის „ნობათის“ დამატებისა, რომელიც სამწუხაროდ ისე დღე-ძოკლე იყო, რომ მისი ქონვა არ ქონვად უნდა ჩაითვალოს. მის ნაცვლად დღეს ჩვენ ბედმა გვაჩუქა ახალი პერიოდიული გამოცემა ჟურნალი „მოგზაური“, რომელშიაც უპირატესი ადგილი აქვს დათმობილი პედაგოგიურს განყოფილებას. ამ ჟურნალში, გარდა უცხო ლიტერატურიდგან გადმოღებულ პედაგოგიურ წერილებისა, მოთავსებულია ბევრი ორიგინალური წერილებიც, დაწერილნი თვით „მოგზაურის“ რედაქტორის ივანე როსტომაშვილისაგან. ეს კი განსაკუთრებითი მოვლენაა.

როსტომაშვილი ტრიალებს ჩვენს ლიტერატურაში სრულიად მარტოდ-მარტო, სრულიად დამოუკიდებლად თავისს აზრებში ჩვენს ყოველ ლიტერატურულ და პედაგოგიურ მიმართულებათა შორის. იგი ეკუთვნის იმ იშვიათ კაცებს, რომელნიც მარად არა ზიარნი არიან თვისს პირად თავმოყვარეობისა და ეძიებენ მხოლოდ მკაცრ მიუდგომელ ჭეშმარიტებას.

მარტო როსტომაშვილს ვეგებებით ჩვენ, როგორც პირველ ქართველს მოღვაწეს პედაგოგიის

საბუნერლო ასვარეზზედ, რომელიც არ კმაყოფილდება უცხო ლიტერატურიდგან გადმონერგილი პედაგოგიური იდეებით, არამედ დასძენს მათ თვისსმიერ დამოუკიდებლად შემუშავებულ იდეებსაც. რასაკვირველია, დიდი წინდაუსედაობა და თავ-ის-თავის მსასოებლობა იქნებოდა ვსჯვრეტდეთ ამაში დასაბამს ქართულ დამოუკიდებელ პედაგოგიკისას, რადგანაც ჩვენში ჯერ-ჯერობით მარტო ერთადერთი როსტომაშვილი სჩანს ამ ასვარეზზედ; მაგრამ მაინც თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ როსტომაშვილმა, ოთხელ დაბრკოლებათა გარეშე, ფრიად ბევრი იღვაწა მისთვის, რომ დაეჩქარებინა ეს დასაბამი. ეს მით უფრო საგულისხმოა ჩვენთვის, რომ იგი არ არის მხოლოდ თეორეტიკი, არამედ მასთანვე პრაქტიკული მოღვაწეცაა.

ბ-ნი როსტომაშვილი ეკელა პედაგოგიურ კითხვებს საზრავს და იკვლევს მათის პრაქტიკულის მხრით, თანასმად ცხოვრებისა და მისი მოთხოვნილებებისა.—და აი სწორეთ ეს აძლევს განსაკუთრებულს ღირსებას და მნიშვნელობას მის პედაგოგიურ წერილებს და მოღვაწეობას. დიახ, ბატონებო, როსტომაშვილმა თითქმის უკვე დაუდვა დასაბამი ქართულ ნაციონალურ პედაგოგიკას და ახლა თვით საზოგადოებაზეა დამოკიდებული ამ კეთილი დაწყებულების თანაგრძნობა და კეთილად დაგვირგვინება!.

ჯუმარიტების მოყვარე.

წერილი სოფლელ მუშას.

მესამე *).

ინეთ ჩვენ, თუ გახსოვს, უკვე გამოვიანგარიშეთ, რომ ცხრაას ათას აგურში ჩვენ თორმეტი ათას ექვსასი მანეთის აღება შეგვიძლია ქალაქში. ამ საქონელთა ღირებულობას ეხლა გამოვაკლოთ მასზედ გასრული ხარჯი (12600 — 7046 მ. 30 კ. = 5553 მ. 70 კ.) და მივიღებთ სამი თვის ნამუშევრისგან — შემოსავალს ანუ სარგებელს, რაც ხუთი ათას ხუთას ორმოცდა ცამეტ მანეთს აღემატება. მაგრამ გათავდა კი ვითამ ამით სახარჯავი? — არა და აი, რატომ: ჯერ აქ, ჩვენ, არ მიგვიღია სახეში ის გარემოება, რომ ამოდენა აგურის (ურმით) გადაზიდვის დროს ერთ ოცდა ათი ათას აგურამდის შესაძლოა ისეც დაზიანდეს, რომ იმაში ნახევრის ფასიც ველარ ავიღოთ, რაც ორას ათი მანეთის ზარალს მაინც შეადგენს! მეორედ, ვინემ ამოდენა აგურს შენგან მყიდველი მიიღებდეს, ქალაქში, მანამდის იმათ

---

*) იხ. „მოგზაური“ № 7—8, 1903 წ.

სადმე დაწყობა უნდა და თან მწყემსვაც *), რაც სულ რომ ცოტა ვსთქვათ, ორას ორმოც მანეთამდის მაინც დაგიჯდება. ასეთ სახარჯავს, როგორიც არის საქონლის დასაწყობი აღგილის დაქირავება და მისი მომწყემსვა, შეგვიძლია ვუწოდოთ შეუცვლელი ანუ მუდმივი ხარჯი **). ეხლა მოსალოდნელ ზარალს ეს მუდმივი ხარჯიც მივუმატოთ (210+240=450) და მივიღებთ ოთხას ორმოცდა ათ მანეთს. ეს უკანასკნელიც გამოვაკლოთ ზემონაჩვენებ შემოსავალს და მაშინ მივიღებთ გარდაწყვეტით ამ სამი თვის შრომით შემონატან წმიდა სარგებელს, რაც ხუთი ათას ას მანეთს აღემატება (5553—450=5103 მ.). ამ ქალაქში გაყიდვით მონაგებ ფულებს ის სოფელში მონაგები ფულიც მივუმატოთ, რომელიც ჩვენ მივიღეთ სამასი ათასი აგურის დაკეთებით და იმათი სოფლათ გაყიდვით ***). ე. ი. ქალაქში მონაგებ ხუთი ათას ას მანეთს უნდა მივუმატოთ სოფლად მონაგები ათას შვიდასი მანეთი (5103+1700=6803 მ.) და მაშინ მივიღებთ ოთხი თვის მუშაობით შემონატან სარგებელთა რაოდენობას, რაც ექვსი ათას რვაას მანეთს აღემატება. აი, რა შეუძლია ცოტა მიხდენილ მოქმედებას და რა შეუძლია მუშახელთა სიმრავლეს! — ეხლა გამოვიანგარიშოთ, რამდენი სარგებლის მიღება შეუძლია ამავე მოქმედებისგან (ასეთივე შრომით) იმ პირთ, რომელნიც შენზედ უფრო შორს უდგას რკინის გზის სადგურს? რასაკვირველია, რამდენადაც მეტ სიშორეზედ იქ-

---

*) ქალაქში აგურის დასაწყობ ადგილს უსათუოთ დაქირავება უნდა და საქონლის მომწყესვს თავის თავათ ქირა.

**) რატომ? — ამაზედ ქვემოთ გვექმნება დაპარაკი.

***) ამოდენა აგურის გაყიდვისგან ჩვენ მოვიგეთ სოფელში ათას შვიდასი მანეთი.

მნება რომელიმე საქონელი გადასაზიდი, იმდენათ ასეთ საქმეს მეტი ხარჯიც დასჭირდება; ხოლო რამდენათაც რომელიმე მოქმედებას მეტი ხარჯი *) სჭირდება (რასაკვირველია ამ მოქმედებათა ღირებულობის შეუცვლელათ), იმდენათ მისგან მოსალოდნელი სარგებელიც დაიკლებს. ბოლოს იმდენათაც შეიძლება გადიდდეს გადასაზიდი მანძილი (და მის გამო გაორკეცდეს ამ საქმეზედ სახარჯავი), რომ ზემოხსენებული სარგებელი ზარალზედაც შეიცვალოს! სწორეთ ამიტომაც გჭირია თქვენ ყოველ შემთხვევაში წინდაწინვე მოქმედების **) გაგებ-გათვალისწინება და კარგათ გამოანგარიშება ***). თუ რამდენი დაგვიჯდა ჩვენ ცხრაასი აგურის ერთ ვერსზედ ურმით გადაზიდვა ეს უკვე ვიცით (ექვსას ოცდა ათი მანეთი). ამასთან ისიც ვიცით, რომ ასეთ პირობებში ცხრაასი ათასი აგურის ქალაქში გადატანით და გაყიდვით, ჩვენ, ხუთი ათას ას მანეთამდის მოვიგეთ. მაშ, ეხლა დაგვრჩენია (ზემოხსენებულის გამოსარკვევათ) ჩვენ მანამდის მივსდიოთ ურმით გადასაზიდ მანძილის გადიდებას, სანამდის (ამ უკანასკნელის გამო) ხსენებულ საქმეზედ სახარჯავი არ მიუახლოვდება (ან არ გაუტოლდება) იმ ხუთი ათას ას მანეთს, რომელიც შეადგენდა, ხსენებული მოქმედების, წმიდა სარგებელს (რასაკვირველია, მაშინ, როცა ურმით გადასაზიდი მანძილი ერთ ვერსს არ აღემატებოდა). და მაშინ ჩვენც უკვე მიახ-

---

*) ამ შემთხვევაში, რაცა ერთ და იმავე საქმეში, შენ მეორე მოქმედ ბირთან შედარებით მეტი ხარჯი გაგიდის.

**) ამ მოქმედებას, რომელს დაწყებასაც შენ აბირებ.

***) რა საქონლის დამზადებას აბირებ შენ; მისი ბაზარში გატანა რა დაგიჯდება; რა სარგებლის მიღება შეიძლება ამ საქმისგან და სხვა და სხვა...

ლოვებული ვიქნებით იმ წერტილს (ადგილს), რომლისგანაც ხსენებულ სარგებელს შეუძლია ზარალისკენ იბრუნოს პირი. მაშ გადვიდეთ საგანზედ: რა კი ცხრაასი ათასი აგურის გადაზიდვას (ურმით) ერთი ვერსის მანძილზედ დასჭირდა ექვსას ოცდს ათი მანეთის ხარჯი, ორი ვერსის მანძილზედ, რათქმა უნდა, რომ ორჯერ ექვსას ოცდა ათი მანეთი დასჭირდება, რაც ათას ორას სამოც მანეთამდის შეადგენს. მაშ, სამ ვერსზედ გადაზიდვას სამჯერ ექვსას ოცდა ათი მანეთი დასჭირდება. ე. ი. ათას რვაას ოთხმოცდა ათი მანეთი. ოთხ ვერსზედ—ოთხჯერ ექვსას ოცდა ათი, ე. ი. ორი ათას ხუთას ოცი მანეთი. ხუთ ვერსზედ—ხუთჯერ ექვსას ოცდა ათი, ე. ი. სამი ათას ას ორმოცდა ათი მანეთი. ექვს ვერსზედ—ექვსჯერ ექვსას ოცდა ათი მანეთი, ე. ი. სამი ათას შვიდას ოთხმოც მანეთამდის. შვიდ ვერსზედ—შვიდჯერ ექვსას ოცდა ათი, ე. ი. ოთხი ათას ოთხას ათი მანეთი; რვა ვერსზედ—რვაჯერ ექვსას ოცდაათი მანეთი. ე. ი. ხუთი ათას ორმოც მანეთამდის და ცხრა ვერსის მანძილზედ კი ცხრაჯერ ექვსას ოცდაათი მანეთი, რაც ხუთი ათას ექვსას სამოცდა ათი მანეთის სახარჯავს შეადგენს. ამნაირადვე შეიძლება გამოვიანგარიშოთ, ჩვენ, თუ რანაირად სახარჯავთა გადიდების თან შეზომით—კლებულობს (ამ საქმეში) სარგებელი: ჩვენ, რომ ზემოხსენებული საქონელი ურმით გადასაზიდათ არ გაგვხდომოდა, მაშინ მისგან—ხუთი ათას ასი მანეთის მაგივრად—ხუთი ათას შვიდას ოცდა ათ მანეთამდის მოვიგებდით. მაგრამ რაკი ის ერთი ვერსის მანძილზედ, ურმით გადასაზიდათ გაგვიხდა, ამიტომაც ამ მოსალოდნელ სარგებელს ექვსას ოცდა ათ მანეთამდის მოაკლდა. ე. ი. ათას შვიდას ოცდა ათი მანეთის მაგივრად, მოვიგეთ მხოლოთ ხუთი ათას ასი მანეთი. ორ ვერსზედ გადაზიდვით რა თქმა უნდა, ორი ამდენი მოაკლდება, ე. ი. ათას ორას სამოც მანე-

თამდის და ამიტომაც პირვანდელი (5730) სარგებლის მაგივრად მივიღეთ მხოლოთ ოთხი ათას ოთხას სამოცდა ათი მანეთი; სამ ვერსზედ გადაზიდვით სარგებელს მოაკლდა სამჯერ ექვსას ოცდა ათი მანეთი; ოთხ ვერსზედ გადაზიდვით— ორი ათას ხუთას ოცი მანეთი; ხუთ ვერსზედ გადაზიდვით მოაკლდა ხსენებულ სარგებელს სამი ათას ას ორმოცდა ათი მანეთი. ექვს ვერსზედ გადაზიდ: ვით—სამი ათას შვიდას ოთხმოცი მანეთი; შვიდ ვერსზედ—ოთხი ათას ოთხას ათი მანეთი; რვა ვერსზედ საქონლის (ურმით) გადატანით ხუთი ათას ორმოცი მანეთი; ცხრა ვერსზედ გადაზიდვით მოაკლდა, ზემო ნაჩვენებ სარგებელს (5730 მ.), ცხრაჯერ ექვსას ოცდა ათი მანეთი, ანუ ხუთი ათას ექვსას სამოცდა ათი მანეთი და ამიტომაც ხუთი ათას შვიდას ოცდაათი მანეთის ადგილას მოვიგეთ მხოლოთ სამოც მანეთამდის სარგებელი!.. ხოლო ათ ვერსზედ ამოდენა საქონლის გადაზიდვა (ურმით ექვსი ათას სამასი მანეთის ხარჯი სჭირდება და ამიტომ ზეძონაჩვენები (5730 მ.) სარგებლის მაგგივრად ხუთას სამოცდა ათ მანეთამდის (ამ მოქმედებისგან) ზარალი დაგვრჩება! რატომ? — იმიტომ, რომ ცხრაასი ათასი აგურის (ერთი ვერსის მანძილისგან) ურმით გადატანა (რკინის გზის სადგურამდის) ხუთას სამოცდა ათი მანეთით მეტი ხარჯი დასჭირდა იმაზედ, ვინემ მისგან სარგებლის მიღება შეიძლებოდა იმათი ქალაქში გაყიდვით! გამოვხატოთ აქ ნალაპარაკევი ციფრებით:

ურმით გადასაზიდი მანძილის გადიდებით რანაირად დიდდება ხარჯიც:

ცხრაასი ათასი აგურის გადატანა ერთ ვერსზედ ჯდება 630 მან.

2	ვერსზედ	630×2	=1260 მ.
3	—	630×3	=1890 მ.
4	—	680× 4	=2520 მ.
5	—	630× 5	=3150 მ.

ცხრასსი ათასი აგურის გადატანა ერთ ვერსზედ ჯდება 630 მ.ნ.

6	—	630 × 6 = 3780	მ.
7	—	530 × 7 = 4410	მ.
8	—	630 × 8 = 5040	მ.
9	—	630 × 9 = 5670	მ.
10	—	630 × 10 = 6300	მ.

სარგებელი ხარჯის ძიმატებით როგორ კლებულობს:

მოსალოდ. სარგებელი:		ხარჯი მანძილის გადიდების გამო;		სახარჯავის გადიდების გამო დაკლებული სარგებელი:
5730 მან.	კამოკაკლოთ	630 მან.	(1 ვერსზე)	იქნება 5100 მ.
5730 მ.	—	1260 მ.	(2—)	= 4470 მ.
5730 მ.	—	1890 მ.	(3—)	= 3840 მ.
5730 მ.	—	2520 მ.	(4—)	= 3210 მ.
5730 მ.	—	3150 მ.	(5—)	= 2580 მ.
5730 მ.	—	3780 მ.	(6—)	= 1950 მ.
5730 მ.	—	4410 მ.	(7—)	= 1320 მ.
5730 მ.	—	5040 მ.	(8—)	= 690 მ.
5730 მ.	—	5670 მ.	(9—)	= 60 მ.
5730 მ.	—	6300 მ.	(10—)	მივიდებთ ზარალს 570 მან.

აქედგან ჩვენ ვხედავთ, რომ (ზემოხსენებულ საქონელთა) ურმით გადასაზიდი მანძილის ათ ვერსამდის გადიდებით ზემო ნაჩვენები სარგებელი (5100 მ.) ხუთას სამოცდა ათი მანეთის ზარალზედ გადადის! ხოლო ცხრა ვერსამდის ურმით გადასაზიდი მანძილი (რასაკვირველია, ამ საქმეში) კი ერთ იმ უმახლობელ წერტილთაგანს (ადგილთაგანს) ეკუთვნის, რომლისგანაც (ასეთ მოქმედებას, როგორიც არის აგურის გადაზიდვა) შემოსავალს (სარგებელს) ზარალისკენ შეუძლია იბრუნოს პირი. აგურის გადაზიდვას (ურმით) მე შენისთანა კაცს ვერც რვა ვერ-

სის მანძილიდგან გავუპირდები. რატომ?—იმიტომ, რომ სადაც შვიდი და რვა ათასი მანეთის საქმეა, იქ ყოველ შემთხვევაში შესაძლოა რვაას-ცხრაასი მანეთით მეტიც აიღოს კაცმა და ნაკლებიც. ასეთი მეტ-ნაკლები სარგებლის აღება შემთხვევის საქმეა და მაშ, რათა მაინცა და მაინც ჩვენ უნდა ჩავუგდოთ თავი შემთხვევას ხელში?!

ეჭვს გარეშეა, რომ შვიდი ვერსიდგან მოკიდებული —რამდენადაც ნაკლები იქმნება ურმით გადასაზიდი მანძილი, იმდენათ, ამ მოქმედებისგან, შენ მეტ სარგებელსაც მიიღებ. ასეა თუ ისე, ეს კი ცხადზედ უცხადესია, რომ შენისთანა მუყაით მშრომელს, წლის მუშაობით, შემდეგი შემოსავალი შეუძლია მიიღოს: აბრეშუმის მოყვანით და ფუტკრის მოშენებით—სამი ათას მანეთამდის და აგურის დამუშავებით—გაყიდვით ექვსი ათას რვაას მანეთამდის. (სულ ცხრა ათას რვაას მანეთამდის). ზემოხსენებულისგან ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ რვა ათას შვიდას მანეთამდის თავნის დატრიალებით ცხრაათას რვაას მანეთამდის წმიდა სარგებელი შემოვიტანეთ ოჯახში. ე. ი. ამოდენა თავნის წყალობით პირის-პირზედ მეტი მოვიგეთ! რა თქმა უნდა, ჩვენ რომ რვა ათას შვიდასი მანეთის მაგივრად (თავნი) ოთხჯერ ნაკლები თავნი გვეწარმოებია (ამ ხნის განმავლობაშივე), მაშინ მისგან სარგებელსაც ოთხჯერ (თუ კიდევ ნაკლები არა) ნაკლებს მივიღებდით. ხოლო ვისაც, ამ საქმეში, ზემოხსენებულ თავნთა (8700 მ.) მერვედის დატრიალებაც არ შეუძლია, ის, გარწმუნებ, თუ ზარალს არა, ვერც სარგებელს ნახამს ისე, როგორადაც (ასეთ საქმეშივე) ეს ვერ ნახა შენმა მეზობელმა გოგიამ. ასე, რომ საწარმოებელ თავნსაც აქვს ისეთი განსაზღვრული ზომა ანუ წერტილი, რომელზედაც ქვედაველი ზარალს იძლევა და ზედაველი (ე. ი. მეტი) კი სარგებელს. ასეთ წერტილს (ზომას) სწორეთ ისეთი ალაგი უჭირავს, რომელს ქვევი-

დგან ზარალი გამოიქერება და ზევიდგან სარგებელი. ამნაირად ის ჰყოფს ზარალს სარგებლიდგან და ითვლება იმათ დასაწყის წერტილათ. ამ უკანასკნელისგან ზარალის დაწყება საწარმოებელ თავნთა ანუ გასაყიდ საქონელთა დაბცირებაზედ ჰკიდია, ხოლო სარგებლის დაწყება კი იმათ გადიდებაზედ. როგორც ხედავ, ზარალის თავიდგან ასაცილებლად (თავიანთ მოქმედებაში) უწინარეს ყოვლისა ასეთი წერტილის აღმოჩენაა საჭირო. მაგრამ ჯერ, ვინემ ამ წერტილთა აღმოსაჩენ პირობებს გაგაცნობდე, აი, რაზედ მივაქცევ შენს ყურადღებას: თითქმის ყოველ ნაირ მოქმედებაში. ორ ნაირ სახარჯავს შევხვდებით ხოლმე. ერთი არის ჩვეულებრივი და მეორე „მუდმივი“ (არა ჩვეულებრივი, შეუცვლელი). აი, სწორეთ ამ უკანასკნელის შემწეობით შეგვეძლება ჩვენ ზემოხსენებული წერტილის აღმოჩენა და ამიტომაც საჭიროა ვიცოდეთ: რი არის „მუდმივი“ ხარჯი და რანაირად შეგვიძლია იმის გამოცნობა?—„მუდმივი“ ხარჯი ისეთ სახარჯავთაგანია, რომელიც საქონელთა რაოდენობის ორჯერ გადიდებ-დამცირებით ისევ შეუცვლელადვე რჩება! უკეთ რომ ვსთქვათ, ის (მუდმივი ხარჯი) ორჯერ მეტი საქონლის დამზადებით, ან და ყიდვით და გადატან-გადმოტანით, არც მატულობს და არც კლებულობს. მაგალითისთვინ შორს არ დაგვჭირდება წასვლა. აგურის გადატანის და ქალაქში გაყიდვის საქმეში „მუდმივ“ ხარჯს შეადგენს ის ორასი მანეთი, რომელიც ჩვენ გვჭირდება აგურების დასაწყობ ადგილის დაქირავებაში (სანამ მყიდველი ჩვენგან მიიღებდეს) და იმათ იქ მომწყემსვაში. რატომ?—იმიტომ, რომ ქალაქში შენ—ოთხას ორმოცდა ათი ათას აგურს დააწყობ, თუ ცხრაასი ათას (ორჯერ მეტს) ეს სულ ერთია, იმათ თასაწყობ ადგილის დაქირავებაში და მომწყემსვაში მაინც იგივე ორას შანეთამდის დაგეხარჯება.

სოფლად გასაყიდ აგურის საქმეში „მუდმივ“ ხარჯს შეადგენს იმათი გამოსაწვავი შეშის ფასოვნება. რატომ? —იმიტომ, რომ შენ თუთხმეტი ათას აგურს შეაწყობ ერთათ ფეჩში, თუ ათი ათასს—ეს სულ ერთია, იმათ გამოწვას მაინც ორმოც მანეთამდის შეშა დასჭირდება და სწორეთ ამიტომაც დავარქვით ჩვენ ასეთ ხარჯს მუდმივი ანუ შეუცვლელი. ეხლა კი დროა ვიკითხოთ: რანაირად შეგვიძლია ჩვენ ზემოხსენებული წერტილის (ზომის) აღმოჩენა?—აი, ამ ხაირად: ჯერ უნდა გამოარჩიო, საერთო სახარჯავისგან, ჩვეულებრივი *) და მუდმივი ხარჯი; შეიტყო როგორც პირველისა, ისე მეორის რაოდენობა. შემდეგ უნდა შეიტყო ამ ხარჯებისგან შენაძენ საქონელთა ღირებულობა (ე. ი. რაძდენის აღება შეგიძლია საქონელში, როცა გაჰყიდი იმათ); ამ საქონელთა ღირებულობას უნდა გამოაკლო მასზედ გასრული (დანახარჯი) ჩვეულებრივი ხარჯი; რასაც აქედგან მივიღებთ იმაზედ უ-და გავყოთ (ამ მოქმედების) «მუდმივი ხარჯი და შემდეგ ის, რასაც ამ გაყოფიდგან მივიღებთ, უნდა გავამრავლოთ იმ საქონელთა რაოდენობაზედ, რომელნიც ჩვენ ზემოხსენებული ხარჯებით დავამზადეთ (ან შევიძინეთ) და ეხლა გვინდა გავყიდოთ. აი, აქედგან (ამ გამრავლების შემდეგ) მივიღებთ ჩვენ იმ საქონელთა რაოდენობის ზომას (ანუ წერტილს), რომელზედაც ქვედაველის (ნაკლების) გატანა გასაყიდათ ზარალს მოგვცემს და ზედაველის (მეტის დამზადება და გატანა) კი სარგებელს. ყველა ზემოხსენებულის დასამტკიცებლად მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი: ვსთქვათ, რომ შენ გინდა შეიტყო: სამი ათასი აგურის დამზადება, გამოწვა და

*) რომელია მათგანი ჩვეულებრივი და რომელია მუდმივი.

გაყიდვა მოგცემს ხელს, თუ არა? ამისათვინ, როგორც ზემოთ ვსოქვით, საჭიროა შევიტყოთ მუდმივი, ჩვეულებრივი ხარჯი და ამ საქონელთა ღირებულობა.

I

1) მუდმივი ხარჯი 40 მ. [1]
2) ჩვეულებრივი—10 მ. [2]
3) საქონლის ღირებ. 30 მ. [3]

[1] ზარალ-სარგებლის დასაწყისი წერტილი $= \frac{40\ \text{მ.}}{30\ \text{მ.}-10} 3000 = 6000$ აგურ.

[3] $= \frac{40}{30-10\ \text{მ.}} = 2 \times 3000 = 6000.$

ასეთმა ფორმულამ ჩვენ გაგვაგებია, რომ ექვსი ათასზედ ნაკლები აგურის დაკეთება-გამოწვა ჩვენ გვაზარალებს, რატომ?—იმიტომ, რომ ექვსი ათასზედ ნაკლები აგურის ფასოვნება (ღირებულობა) ვერ დაჰფარავს იმ ხარჯს, რომელიც საჭირო იქმნება იმათ დაკეთებაზედ.

აი, ამის საბუთიც: სამი ათასი აგური სოფლათ ღირს ოცდაათი მანეთი (30 მ.), ხოლო იმათ დაკეთებას, გამოწვას და გადაწყობ-გადმოწყობას კი ორმოცდა ათი მანეთის ხარჯი სჭირდება. ეხლა დავრწმუნდეთ იმაშიაც, რომ ექვსი ათასი აგურის გაკეთებით და გამოწვით მართლაც არ წავაგებთ, მაგრამ ვერც მოვიგებთ: ექვსი ათასი აგური ღირს (სოფლათ) სამოცი მანეთი, ხოლო იმათ დაკეთებას, გამოწვას და გადაწყობ-გადმოწყობას (შეშა—40 მ. აგურის დაკეთება—18 მ.; გადაწყობ-გადმოწყობა—2 მ.) სამოცი მანეთის ხარჯი სჭირდება. აქედ-

---

[1]) იმ შეშის ღირებულობა, რომელიც სჭირდება აგურის გამოწვას.

[2]) სამი ათასი აგურის დაკეთებას ცხრა მანეთი სჭირდება და იმათ გადაწყობ-გადმოწყობას ერთი მანეთი; სულ კი ათი მანეთი.

[3]) ათასი აგური (სოფლად) თუმანი ღირს და სამი ათასი კი სამ თუმნათ.

გან კი ყველასთვინ ცხადია, თუ ექვსი ათასზედ ნაკლები აგურების დაკეთებით რათ ვიზარალებთ და მეტის დაკეთებით რათ მოვიგებთ. აქ ისიც ცხადყოფილია ეხლა, რომ ამ საქმეში, ჩვენ, თუ გვინდა რაიმე სარგებელი ვნახოთ, ამ შემთხვევაში ამისთვინ საჭირო ფულიც სამოცმანეთზედ მეტი უნდა გვქონდეს. შენ თუ თავისთავათ იმუშავებ და აგურების დაკეთებაში ქირას არ გაიღებ, მაშინ აი, რას გაუსწორდება ზარალ-სარგებლის წერტილი $=\frac{40}{30}.30=40$ მ. ე. ი. შენ, რომ არც ზარალი და არც სარგებელი ნახო, ამისთვინ საჭირო იქმნება ორმოცი მანეთი, ანუ ოთხი ათასი აგურის დაკეთება და გაყიდვა. ავიღოთ მეორე მაგალითი. II ვსთქვათ, შენ ყიდულობ ფუთ სიმინდს ორ-ორ ბაზათ და ჰყიდი ცხრა-ცხრა შაურათ. შენ შეგვატყობინეს, რომ ათი ვერსის მანძილზედ ერთ გლეხს ოცი ფუთი სიმინდი აქვს გასაყიდი. შენ გინდა ეხლა შეიტყო: მოგცემს ხელს ოცი ფუთი სიმინდის იქ ყიდვა და სახლში, თავის ხარჯით, მოტანა, თუ არა? მივმართოთ იმავე ფორმულას.

1) მუდმივი ხარჯი — 3 მანეთი;
2) ჩვეულებრივი — 8 მანეთი;
3) საქონელთა დირებულება — 9 მ.

{ზარალ-სარგებელთა დასაწყისი წერტილი $=\frac{3 \text{ მ.}}{9 \text{ მ.}-8}$ ვ. $.20=60$ ფუთი სიმინდია.

თანახმათ ფორმულისა, გამოდის, რომ სარგებლის მიღება ჩვენ შეგვიძლია მხოლოთ სამოცი ფუთი სიმინდის ზედაველისგან, ე. ი. მარტო სამოცი ფუთი სიმინდის ყიდვით და იქიდგან სახლში მოტანით არავითარი სარგებლის მიღება არ შეიძლება. მაგრამ, რადგანაც ერთ ურემზედ სამოცი ფუთი სიმინდის მეტი არ დაიდება, ამიტომაც ამის სიმორისგან სიმინდის ყიდვა-მოტანა, შენთვინ (თუგინდ მეტიც რომ იყიდო 60 ფუთზედ) უსათუოთ ზარალი იქნება *). მოვიყვანოთ მესამე მაგალითი.

*) სულ ერთია, იცი ფუთი იქნება თუ ორმოცი, მაინც

ვსთქვათ, შენ გყავს დაქირავებული ერთი კაცი, რომელსაც აძლევ დღიურად ოთხ-ოთხ აბაზს. რატომ?—იმიტომ, რომ ამ კაცმა სოფლად ქათმის კვერცხები იყიდოს (მოაგროვოს): თვითეული ასი, თუთხმეტ-თუთხმეტ შაურათ (ერთი კვერცხი სამი მეოთხედ კაპ.), ხოლო შენგან კი მუშტარს თვითეული კვერცხი თითო-თითო კაპეიკად მიაქვს.

ეხლა შენ გინდა შეიტყო: რამდენი კვერცხი უნდა იყიდოს (მოაგროვოს) ამ ნაქირავებმა კაცმა თვითეულ დღეში, რომ შენ არც ზარალი და არც სარგებელი ნახო? ამის შესატყობათ მივმართოთ იმავე ფორმულას. III.

1) მუდმივი ხარჯი—80 კაპეიკი *)
2) ნაყიდი ერთი კვერცხის დირებულება—1 კაპეიკი.
3) ჩვეულებრივი ხარჯი—$^3/_4$ კაპ.

$$\text{მა}=\frac{80}{1-{}^3/_4}\times 1=320$$ კვერცხ. (კვერცხთა რაოდენობის ზომა (რომელიც არც ზარალს იძლევა და არც სარგებელს).

აქედგან ცხადია, რომ ამ ნაქირავმა კაცმა, დღეში თუ სამას ოც კვერცხზედ მეტი ვერ იყიდა (ვერ იშოვნა), იმ შემთხვევაში შენც ვერაფერს ვერ მოიგებ.

მეოთხე მაგალითი, ვსთქვათ, შენ გინდა შეიტყო: რამდენი მანეთის საღირალი სიმინდი უნდა მოიყვანო, შენ, ქცევა ადგილზედ, რომ მისგან ზარალი არ ნახო? ამისათვინ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა შეადგენს ამ მუშაობაში მუდმივ ხარჯს და ჩვეულებრივს? ქცევა ყანის დამუშავებაში, მუდმივ ხარჯს შეადგენს ას ოცდა ოთხი მანეთი, რომელიც დაგეხარჯვის შენ ერთ ქცევა ყანის

ერთი ურშის დაქირავება იქმნება საჭირო, რომელიც სამი მანეთი დირს.

*) ოცი ფუთი სიმინდის ფასი.

მოჩალვა-მოწმენდაში [1]), დახვნა-დათესვაში [2]), გამარგვლა-გათოხნაში [3]) და იმათ მოტეხა-მოკრეფაში და სახლში მოზიდვაში [4]). მთელი მოსავლის ღირებულობა

---

*) ის ღირებულობა (ფასი) რამდენის ადება შეგვიძლია ოც ფუთ სიმინდში (ფუთი ცხრა შაურათ).

*) სამოც ფუთზედ მეტი რომ იყიდო, იმის მოსატანათ, მეორე ურმის დაქირავება დაგჭირდება და ამას ხომ სამი მანეთის ხარჯი უნდა? ამიტომაც, თუმც (რომელიმე მოქმედებაში) მუდმივი ხარჯი, ორჯერ საქონლის გამრავლებით (გადიდებით) იცვლება, ეს იმის ნიშანია, რომ მისგან სარგებლის მიღება საეჭვოა. აქვე უნდა შევნიშნო შემდეგი: მაგალითისთვის—საქონელთა რაოდენობის მეტ-ნაკლების ადებას არავითარი შეცვლა არ შეუძლია—ამ ფორმულაში. ავიღოთ ოცი ფუთის ადგილას ერთი ფუთი იმავე სიმორეზედ—$\frac{300 \text{ კაპ.}}{45 \text{ კ.}--40 \text{ კ.}}:1=60$ ფ.

*) იმ კაცის დღის ქირა.

1) ყანის მოწმენდას სამი დღის მუშობა მაინც უნდა, რაც მანეთ და ოთხ აბაზად მაინც დაგიჯდება.

2) ორი კვია საჭირო; ოთხი უღელი ხარი თავის მხედნელით—ათი მანეთი.

3) რვა დღის ოთხით მუშობა—ოთხი მანეთი და ოთხი აბაზი.

4) მოტეხა-მოხვევა და სახლში მიზიდვა—შვიდი მანეთი და ორი აბაზი.

მაშინ ისინი ეოგელნაირ დახმარებას გაუწევდნენ თავიანთ მიწაზე მომუშავე გლეხებს; იმათ კაუპირდებოდნენ თავიანთ ადგილში, უფრო სასარგებლო რამეების დათესვა მოშენებას და პირველ სნობათ ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად—ქონებრივ დახმარებასაც გაუწევდნენ. ასეთი მოქმედებით—ისინი თვითონაც ხელს მოითბობდნენ საბოლოოდ და თან მიწის დამმუშავებელნი გლეხნიც არ დაულატაკებოდნენ ასე.

(საშვალო მოსავალი ორმოცდაათ ფუთამდის ადის) ოცდა ხუთი მანეთი; ხოლო ჩვეულებრივ ხარჯს კი შეადგენს ამ მოსავლის მეოთხედი (6 მ. 25 კაპ.), რომელიც მიაქვს ადგილის მეპატრონეს. IV.

1) მუდმივი ხარჯი—24 მანეთი;
2) მოსავალთა ღირებულ.—25 მ.;
3) ჩვეულებრივი ხარჯი—6 მ. 25 კ.

$$\left\{ = \frac{24}{25\text{ მ.}--6\text{ მ. }25\text{ კ.}} \times 25 = 32 \right.$$

მან. სადირავი სიმინდის.

აქედგან ჩვენ ვხედავთ, რომ ვინც ქცევა ადგილისგან ოცდა თორმეტი მანეთის საღირალ სიმინდს არ ღებულობს, ან და იღებს მისგან სამოცდა ოთხი ფუთი სიმინდის ნაკლებს, ის ყოველთვინ ზარალშია. ეხლანდელი საღათა გამოლეული მიწა სამოცდა ოთხ ფუთს კი არა, ხშირად ოცდა ათსაც ვერ იძლევა და სწორეთაც ეს არის ერთ მიზეზთაგანი თქვენი დღევანდელი სიღარიბისა. თქვენ რომ აქნობამდის ასეთი მიავლენისთვის ღირსეული ყურადღება მიგექციათ, მაშინ სიმინდის თესვასაც თავის-თავათ მიანებებდით თავს და მის ადგილას უფრო სარგებლიან რამეების თესვა-მოშენებას მიჰყოფდით ხელს.

იგივე ითქმის შენ ნაბატონარ დაუდევარიშვილზედ, რომლის ორას ქცევამდის სახნავ-სათესი, ამას წინეთ, უკვე ჩაიბარა ბანკმა. რატომ?—ამას ქვემო მოყვანილი ფორმულა გვეტყვის. მის წლიურ მუდმივ ხარჯს შეადგენს ორი ათასი მანეთი, რომელიც შესდგება შემდეგი სახარჯავისაგან: 1) ოჯახის რჩენა—ათას სამასი მანეთი; 2) მოურავის დაქირავება ექვსასი მანეთი და მიწის ბაჟი—ასი მანეთი. მოსავალთა ღირებულობა—ხუთი ათასი მანეთი (ორას ქცევაზედ ათიათას ფუთამდის სიმინდი მოდის); ხოლო ჩვეულებრივ ხარჯს კი შეადგენს მთელი მოსავალის სამი მეოთხედი, ე. ი. სამიათას შვიდას ორმოცდა ათი მანეთი, რომელიც მიაქვთ მიწის დამმუშავებელთ.

V.

1) მუდმივი ხარჯი—2000 მან.;
2) მოსავალთა დირ. ბ.—500 მ.;
3) ჩვეულებრივი ხარჯი—3750 მ.

$$= \frac{2000}{5000-3750} \times 5000 = 8000 \text{ მ.}$$

აქედგანაც ცხადია, რომ ბ. დაუდევარიშვილი ვალმა არ ჩანთქას, ამისთვინ საჭიროა მის ორას ქცევა სახნავ-სათესზედ ხუთი ათასი მანეთის საღირალის მაგივრად, რვა ათასი მანეთის საღირალი ნამუშევარი მოდიოდეს (მოწევა შეიძლებოდეს). ეჭვს გარეშეა, რომ მემამულეებს აქნობამდის მიექციათ ამისთვის ყურადღება, მაშინ ისინი დღევანდელ განსაცდელსაც გვერდს აუარდნენ, მაგრამ სად არის?!

ეხლა მივმართოთ ასეთსავე ფორმულას ქალაქში გადასაზიდ აგურის საქმეში. ვსთქვათ შენ გაქვს დამზადებული ხუთი ვაგონის დასატვირთი ანუ ოცდაერთი ათას ოთხას ოცდა ხუთი აგური (21425) და ვინდა შეიტყო: ამოდენა აგურის ქალაქში გადატანით და იქ გაყიდვით მოიგებ თუ წააგებ?

ამ საქმეში მუდმივ ხარჯს შეადგენს ორასი მანეთი *); ჩვეულებრივ ხარჯს შეადგენს შემდეგი: 21425 აგურების დაკეთებას სამოცდაოთხი მანეთი და ოცდაშვიდ ნახევარი კაპეიკი (ნახევარი კაპეიკის გადაგდებაც შეიძლება და მომატებაც **); იმათ გამოწვას—ორმოცი მანეთი; სადგურამდის ურმით მიტან-მოტანას—თუთხმე-

*) რომელიც დასჭირდება აგურების დასაწყობ ადგილის დაქირავებას და იმათ იქ (გაყიდვამდის) მომწყესვას.

**) თვითეულ ათასი აგურის გაკეთებას სამ-სამი მანეთი; ერთი აგურის გაკეთებას უწევს—სამი მეათედი ($^3/_{10}$) კაპეიკი.

ტი მანეთი [1]) და ქალაქში რკინის გზით გადახიდვას ორმოცდა თუთხმეტი მანეთი და თუთხმეტი კაპეიკი [2]); სულ კი ას სამოცდა თოთხმეტ მანეთამდის და ორმოცდაორ კაპეიკამდის. ამოდენა აგურის ღირებულობა – ორას ოთხმოცდა ცხრამეტი მანეთი და ოთხმოცდა თუთხმეტი კაპეიკია [3]). ფორმულა VI.

1) მუდმივი ხარჯი—200 მან;
2) საქონელთა ღირებულობა—299 მ. 95 კაპ;
3) ჩვეულებრივი ხარჯი—174 მ. 42 კაპეიკი.

საქონელთა რაოდენობის ზომა, საიდგანაც სარგებელი იწყება 200 მ.

$$\frac{299\text{ მ. }95\text{ კ.}-174\text{ მ. }42\text{ კაპ.}}{200} \times 21425 = \frac{125\text{ მ. }53\text{ კ.}}{200} \cdot 21425 = 34,135 \text{ აგური.}$$

აქედგან ცხადია, რომ, ჩვენ 21425 აგურის ქალაქში ჩატანით წავაგებთ, რადგანაც იმ აგურთა რაოდენობა, რომელს ზევითაც სარგებლის მიღება შეგვიძლია, არის ოცდათოთხმეტი ათას ას ოცდა თუთხმეტი და არა ოცდა ერთი ათასი.

ეხლა ავიღოთ ჩვენ 21425 აგურის მაგივრად, ორჯერ მეტი (ე. ი. 42,850) და ვნახოთ, თუ რას გვეტყვის ეს ფორმულა? რა თქმა უნდა ორჯერ საქონლის გადიდებით—ზემონაჩვენები საქონელთა ღირებულობაც ორჯერ გადიდდება და ჩვეულებრივი ხარჯიც. არ შეიცვლება მხოლოდ ერთად-ერთი მუდმივი ხარჯი.

---

[1]) ერთი ვაგონის დასატვირთავ აგურის მიტანას ურმით (რკინის გზის სადგურამდის) სჭირდება სამი მანეთი, ხუთი ვაგონის მოტანას—15 მან.

[2]) ერთი ვაგონის დაქირავება ჯდება თერთმეტ მანეთად და სამ კაპეიკად. ხუთის დაქირავება კი—56 მ. 15 კაპ.

[3]) თვიოეული ათასი აგური ქალაქში ღირს თოთხმეტ მანეთად; ერთი აგურის ღირებულობა—შვიდი მეხუთედი ($^7/_5$) კაპეიკია.

1) მუდმივი ხარჯი — 200 მან;
2) საქონელთა ღირებულობა — 599 მ. 90 კან.;
3) ჩვეულებრივი ხარჯი 348 მან. 84 კან.;

200 მ.
599 მ. 90 კ. — 348 მ. 84 კ. × 42850
= 34135 აგური.

როგორც ხედავთ, ამ ფორმულამაც იმავე საქონელთა რაოდენობის ზომაზედ მიგვითითა ხელი, რომელზედაც ნაკლების გატანით ქალაქში ჩვენ უსათუოთ ზარალს ვნახავთ და მეტის გატანით კი სარგებელს.

ეხლა იმის დასამტკიცებლად, რომ ასეთი ფორმულა ნამდვილ სიმართლეზედ გვითითებს ხელს, ჩვენ ავიღოთ ერთი კედრით როგორც „მუდმივი", ისე ჩვეულებრივი სახარჯავი (ამ საქმე'ში), ხოლო მეორე კედრით კი ამ ხარჯით დანაკეთებ და ბაზარ'ში გატანილი საქონელთა ღირებულობა და 'შემდეგ ერთი-მეორეს 'შევუდაროთ.

ოცდათოთხმეტი ათას ას ოცდა თუთხმეტი აგურის დაკეთებას სჭირდება—(102 მ.) ას ორი მანეთი და ორი აბაზი; იმათ გამოწვას და შეწყობ-გამოწყობას—(49) ორმოცდაცხრა მანეთამდის *); ურმით სადგურამდის მიტანას ·· ოცდა 'შვიდი მანეთი; ვაგონებით გადაზიდვას — ოთხმოცდა ცხრამეტი მანეთი და ოცდა'შვიდი კაპეიკი. სულ კი. მუდმივი ხარჯიანა (200), — ოთხას სამოცდა ჩვიდმეტი მანეთი და სამოცდა'შვიდი კაპეიკი.

1) 34135 აგურის დაკეთებას — 102 მან. 40 კან.;
2) იმათ გამოწვას და შეწ-

ოცდა თოთხმეტი ათას ას ოცდა თუთხმეტი აგური ქალაქში ღირს (ათასი — თოთხმეტ მანე-

*) ოცდა ათი ათასი აგურის გამოწვას ორმოცი მანეთის შუა სჭირდება, მაგრამ აქ, რადგანაც ოთხი ათას ას ოცდა თუთხმეტი აგურით მეტია გამოსაწვავი და შესაწყობ-გამოსაწყობი, ამიტომაც ცხრა მანეთით მეტი ხარჯი დასჭირდება ამ საქმეს. ე. ი. 49 მანეთი.

ლობ-გასამაწყობის—19 მან.
3) ურმით სადგურამდის მიტანას *)—27 მანეთი;
4) ყაგონებით ქალაქამდის გადაზიდვა—99 მ.ნ. 27 კ. და 5) შუდმიანი ხარჯი კიდევ—200 მანეთი.

ოად და ერთი აგური კი (7/5) შვიდი მეხუთედი კაპეიკი). ოთხის სამოცდა ჩვიდმეტი მანეთი და ოთხი ანასი და ცხრა კაპეიკი.

სულ კი სახარჯავი—477 მან. 67 კაპ.=სულ 477 მანეთი და 89 კაპეიკი.

აქედგან ჩვენ ვხედავთ, რომ ამ.დენა საქონელზედ სახარჯავი, ამავე საქონლის ქალაქში, ღირებულობას უსწორდება და მაშ, რაღა გასაკვირია, რომ ზემო ნაჩვენები საქონელთა რაოდენობის ზომა (ამ საქმეში) (34135) ოცდა თოთხმეტი ათას ას ოცდა თუოხმეტ აგურს უსწორდებოდეს? ყველა ზემოხსენებულისგან ცხადია, რომ ასეთი ანგარიშისთვის შენ რამდენიც უნდა აიღო საქონელი (ბევრი თუ ცოტა, ეს სულ ერთია), ამისდა მიუხედავათ, ზემოხსენებული ფორმულა მაინც ისეთ ზომაზედ ანუ წერტილზედ მიგითითებს ხელს, რომელთა რაოდენობის (ზომის) გადიდებით სარგებელი იწყება და დამცირებით კი ზარალი. ამ ნაირად, ეს ფორმულა, ყოველ შემთხვევაში ისეთ წერტილს (ზომას) გვიჩვენებს, რომელიც ზარალსა და სარგებელს შუა იმყოფება და ამიტომაც შეგვიძლია ვუწოდოთ ასეთ ფორმულას ზარალ-სარგებელთა დასაწყისი წერტილის (საქონელთა რაოდენობის ზომა) აღმოსაჩენი კანონი **). თანახმათ ამ უკა-

*) ამოდენა აგურს ცხრა ვაგონი სჭირდება.

**) შეეთ, რომ გსთქვათ, 34,135 აგურზედ რამდენი აგურით შეტს გაიტან ბაზარში, იმდენჯერ ცხრა შეათედ (9/10 კაპეიკს მოიგებ მისგან. რატომ?—იმიტომ, რომ ერთ აგურს

ნასკნელისა, იმ ბაზარზედ გასატან საქონელთა რაოდენობის ზომას, რომელს ზევითაც სარგებელი იწყება, შეადგენს ოცდათოთხმეტი ათას ას ოცდა თუთხმეტი აგური. ასე, რომ აქედგან მოკიდებული რამდენი აგურით მეტს (ამ ნაჩვენებ ზომაზედ) გაიტან ბაზარში გასაყიდათ, იმდენჯერ მისგან მეტ სარგებელსაც მიიღებ *). ჩვენ ზემოთ უკვე დავინახეთ, რომ რვაათას შვიდასი მანეთის დატრიალებით—ცხრა ათას მანეთზედ მეტი მოვიგეთ, ე. ი. პირის-პირზედ მეტი! და მაშ, რამდენს მოვიგებდით მაშინ, ჩვენ რომ ოთხჯერ მეტი თავნის დატრიალება (წარმოება) შეგვძლებოდა ამ საქმეში?—რასაკვირველია, ოთხჯერ მეტს, რაც ოცდა თექვსმეტი ათასი მანეთის სარგებელს შეადგენდა. აი, რა შეუძლია დიდი თავნის წარმოებას... დიდი თავნის უპირატესობა, ნაკლები თავნის წინაშე, არც მარტო ზემოხსენებულში გამოიხატვის. მაგალითად, მეტი თავნის მქონეს ისეთ ადგილასაც შეუძლია სარგებლით ჯიბის გამოტენა, სადაც პატარა თავნის პატრონს უსაოუოთ გათახსირება და კიდევ უფრო დაღარიბება მოელის. და აი, ამის საბუთიც: წარმოიდგინე, რომ ერთ შენს განვითარებულ და მცოდნე მეზობელთაგანს, რომელიც რვა ვერსის მანძილზედ უდგას რკინის გზის სადგურს, შემდეგი ამნაირი სურვილი აღეძრა: ის ხუთი ათას ასი მანეთი, რომელსაც ღღეს შენ იგებ აგურის საქმეში (ქალაქში გადატანით და იქ

სჭირდება მხოლოდ ნახევარ კაპეიკამდის ხარჯი და გაუიდვა კი შეიძლება მისი შვიდი მეხუთედ კაპეიკად ($^7/_5$), ე. ი. კაპეიკზედ მეტად—(რასაკვირველია დაახლოვებით).

*) ასეთი კანონის გამოხატვისათ, თქვენ, შეგიძლიათ მიმართოთ სოფლის ბასწავლებლებს, მღვდლებს და სხვა მცოდნე პირებს, რომლებიც ყველა სოფლებშიდ მოიპოვებიან.

გაყიდვით) მან ჩაიდვას ჯიბეში და ამიტომაც გადასწყვიტა, რომ შენ იმან, აგურის საქმეში, მოცილეობა გაგიწიოს და თავისდა სასარგებლოთ ბაზრიდგან გამოგაძევოს. (რასაკვირველია, მეტი საწარმოებელი თავნთა ქონების წყალობით), „როგორ შეუძლია იმას მე მოცილეობა გამიწიოს! მე მხოლოთ ერთ ვერსზედ მაქვს ეს საქონელი ურმით გადასაზიდი და იმას კი ყველა ეს რვა ვერსის მანძილზედ დაურჩება გადასატანი, რის გამოც სადაც მე ხუთი ათას ას მანნთამდის სარგებლის ჩადება შემიძლია ჯიბეში, იმას შვიდას მანეთამდის მოგებაც გაუჭირდებაო?!“—იქნება სთქვა შენ. დიახ, მჯერა, რომ იმდენი საქონლის ბაზარში გატანით, რამდენშიაც შენ ხუთი ათას ას მანეთს გებულობ, იმას შვიდას მანეთამდის მოგებაც გაუჭირდება; მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ამ შენს მეზობელს რვაჯერ შენზედ მეტი შეძლება (თავნი) აქვს, რის გამო ის რვაჯერ შენზედ მეტი საქონლის გატანასაც შეიძლებს ბაზარში. ხოლო რვაჯერ მეტი საქონლის გატ ნით ქალაქში ის რვაჯერ მეტ სარგებელსაც აიღებს *), ე. ი. რვაჯერ ექვსას ოთხმოცდა ათ მანეთს, რაც შეადგენს ხუთი ათას ხუთას ოც მანეთს. (690×9=5520 მ.). აქედგან ჩვენ ვხედავთ, რომ ასეთ შემძლე მეზობელს, რვაჯერ შენზედ მეტი თავნის (ამ საქმეში) დატრიალებით, ოთხას ოცი მანეთით შენზედ მეტი სარგებლის აღება შეუძლია (5520=5100 =420 მ.)! **) და ეს ოთხას ოცი მანეთი იმას თამამად

*) იმდენი საქონლის გატანით, რამდენიც შენ გაგაქვს, იმას ექვსას ოთხმოცდაათ მანეთამდის მოგება შეუძლია.

**) შენ აგურის საქმეში 5100 მანეთამდის გებულობ და იმან კი 5420 მან. მოგება შეიძლო მეტი თავნის წყალობით: იმისდა მიუხედავად, რომ იმას მეოდჯერ შენზედ მეტი ხარჯი გაუდის (თითქმის) ამ საქმეში.

ეყოფა იმისთვინ, რომ შენ, ამ საქმეში, დაგამარცხოს და სრულებით ბაზრიდგან გამოგაძევოს. ამის შემდეგ შენთვინაც ცხადი უხდა იყოს, ჩემო მეზობელო, რომ იქ, სადაც პატარა თავნის მქონეს დაზარალება-დამარცხება მოელის. მეტ მქონებელს და მდიდარს კიდევ უფრო გამდიდრება შეუძლია!.....

ამნაირად, შენ ეხლა მეორე საზრუნავი საქმეც გაგიჩნდა, რომელიც იმაში გამოიხატვის, რომ, შენ ახლო-მახლო მდებარე სოფლებ-საზოგადოებებში, თავიანთი თავის განვითარებით *), ჭკუა-დახედული გაკვლევითა და მუყაითი შრომა-მეცადინეობით არვინ გაჯობოს და მის შემწეობით ბაზრიდგან არვინ გამოგაძევოს. ასეა თუ ისე, ჩვენ, როგორც პირველისგან, ისე ამ მეორე წერილისგანაც უკვე დავინახეთ, რომ ერთ მუყაით და მცოდნე სოფლელ მუშას, ხუთი-ექვსი ქცევა ადგილისგან, ოცი-ათას მანეთამდის შემოსავლის გაკეთება შეუძლია წლიურად. ხოლო მეორე მხრით ისიც დავინახეთ, რომ ზარმაცს და უვიცს ვერც ორასმა ქცევა სახნავ-სათესმა უშველა და ამიტომაც იმან (ყველა ამის მიუხედავათ) მაინც სილარიბის ბრჭყალებში ამოჰყო თავი!!.... ეხლა აქ ერთი ვიკითხოთ: რა არის ასეთი საუცხოვო მოვლენის თავი მიზეზი?—ასეთი მოვლენის თავი მიზეზი შემდეგი გახლავს: ერთი მხრით (ჟურნალ-გაზეთების კითხვით) თავიანთი თავის განვითარება, დროს დაფასება და ზაფხულიან-ზამთრიანა მუდმივი შრომა-მოქმედება; ხოლო მეორე მხრით კი თავიანთი თავის განუვითარებლობა და სიზარმაცე-დაუდევრობა. აი, ნამდვილი და თავი მიზეზი

---

*) თავიანთი თავის განვითარება (რაც ჟურნალ-გაზეთების და წიგნების კითხვით შეიძლება—მეტ ცოდნას მოგცემს და მეტი ცოდნა ხომ მეტ სიმდიდრეს!..

ხუთი ქცევა ადგილთა პატრონის გამდიდრებისა და (მეორე მხრით) ორასი ქცევა სახნავ-სათესთა მეპატრონის დაღარიბებისა. ასეთია ძლიერება მცოდნე მუშის მუდმივი შრომა-მეცადინეობისა და მაშ, გაუმარჯოს სოფლელ მუშათა ცოდნა-განვითარებას და იმათ უბრყვილო შრომა-მეცადინეობას!!.....

დასასრული მეორე წერილისა.

მარად თქვენი კეთილის მსურველი ტ. ართმელაძე.

ასტრონომია

ანუ

ვარსკვლავთ-მრიცხველობა *).

დედა-მიწა სივრცეში.

რა'ხედ არის დამყარებული დედა-მიწა, დედა-მიწის ეს უშველებელი ბურთი? რა იჭერს მას ან რაზედა სდგას იგი?—წარმოიდგინეთ ჰაერში ასრულილი ბურთი; აი, სწორედ ამ ასრულილ ბურთსავით სრიალებს სივრცეში დედა-მიწა შეუქენებლად დასაბამიდგან აქამომდე!..

იმ ლურჯი კამარა, რომელსაც ჩვენს თავს ზევით ვხედავთ, სულაც არ არის ცა, ეს არის ჰაერი, რომელიც ჩვენ და ჩვენს დედა-მიწას გარს ახვევია. ჰაერი, რომელსაც ჩვენ ვსუნთქავთ, და რომელშიაც ვხედავთ მცურავ ღრუბლებს ცის მთელ სივრცეს რომ ავსებს; იგი მარტო 100

*) იხ. „მოგზაური“ № 7—8, 1903 წ.

ვერსის სიმაღლემდის აკრავს ჩვენს დედა-მიწას და იმას იქით კი სრულიად ცარიელი უჰაერო სივრცეა, ვიდრე სხვა პლანეტებამდის და ვარსკვლავებამდის.

- ახშ, დედა-მიწის ბურთის ყოველ მხარეზედ ცხოვრება როგორ შეიძლებაან მის მოპირდაპირე მხარეს? ჩვენ ვიმყოფებით მაღლა, ისინი კი დაბლა; ჩვენ დავდივართ თავით მაღლა, იმათი თავი კი დაბლა უნდა იყოს მოქცეული? როგორ დგებიან ისინი იქ ამ სახით? დასასრულ, მდინარეები, ხეები, სახლები და საზოგადოთ ყველა საგნები, როგორ მაგრდებიან და არა ცვივიან ცარიელა სივრცეში?—ეს იმით აიხსნება, რომ დედა-მიწა, ანდამატის მსგავსათ იზიდავს თავისკენ როგორც ადამიანებს, ისე სხვა ყველა საგანს. თქვენ, უეჭველია, ნანასი გექნებათ ფოლადი, რომელიც იზიდავს თავისკენ ნემსს, ლურსმანს, რკინის ნახერხს და სხვა რკინეულობას. ეს იმიტომ, რომ ფოლადის ანდამატური ძალა იზიდავს ამათ თავისკენ. ესეთივე ძალა აქვს დედა-მიწის ნივთიერებას ჩვენს შესახებ. ასეთ მიზიდულობის ძალას ჰქვიან სიმძიმე. აიღეთ რისაც ნაჭერი, მაგალითად, ხის ნაჭერი, მოაბით მას ბაწარი და ჰაერში დაკიდებული ხელში დაიჭირეთ. თქვენ იგრძნობთ, რომ ხე გაძძიმებთ და მიწისკენ მიეზი-

დება და, რომ გასჯრათ ან გაუშვათ ბაწარი, ხე მაშინავე მიწაზედ დაეცემა, რადგან დედა-მიწამ ის ისე მიიზიდა, როგორც ფოლადმა რკინის ნახერ-ხები. ქვა ვარდება მიწაზედ და რჩება მასზედა, რადგან მასაც მიწა იზიდავს. რომ ქვა ხელ-ახლათ ავიღოთ ხელში, უნდა რამოდენიმე ძალა მოვიხ-მაროთ, რომ ის კვლავ მაღლა ავწიოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა ძალამ ან ღონემ უნდა და-სძლიოს დედა-მიწის მიზიდულობის ძალა. ასეთი მოვლენა ხდება დედა-მიწის ყველა მხარეს და ამიტომაც არის, რომ დედა-მიწის ზემო ჰირზედ მეოფი ყოველი ნივთი და საგანი იზიდულია დე-და-მიწისგან და მათ თავისთავათ არ შეუძლიან განშორდნენ მას, თუ ჩვენ ძალით არ მოვაშორეთ ისინი.

თუ რომელიმე საგანი ვარდება ზემოდამ ქვე-ით და მის მოძრაობას ამ დროს არაფერი უშ-ლის, მაშინ ის ირჩევს ყველაზედ მოკლე გზას მირს დასაცემათ. ამ გზას ან ხაზს ეწოდება შვე-ული ხაზი. ავიღოთ მაფი, ერთი წვერი შევა-ბათ, მაგალითად, გასაღებს და მეორე წვერი კი ხელში დავიჭიროთ. დაკიდებული ნივთი რამდენ-ჯერმე აქეთ-იქით გაქანების შემდეგ ერთს ადგი-ლას გაჩერდება; აი, მაფის ასეთს მიმართულებას ზევიდამ ქვემოთ, ან ქვემოდამ ზემოთ, ჰქვიან შვე-

ული ხაზი. შვეულს ხმარობენ დურგლები და კალატოზები კედლის ან ბოძის სწორეთ დასადგმელად. წარმოვიდგინოთ ეს შვეული ხაზი გაგძელებული ჰირდაპირ დედა-მიწის სიღრმეში; მაშინ ის სწორეთ დედა-მიწის გულამდის (ცენტრამდის) მიაღწევს. დედა-მიწის რომელ ადგილასაც უნდა ჩაუშვათ შვეული ხაზი, ის უთუოთ დედა-მიწის ცენტრამდინ ჩააღწევს. ეს იმიტომ, რომ დედა-მიწა ბურთსავით მრგვალია. წარმოიდგინეთ რამდენიმე ამისთანა ხაზი; ეგელა, რასაკვირველია, დედა-მიწის ცენტრისკენ იქნება მიმართული და იქ შეიყრებიან ერთათ. ჩვენ ზევითა ვსთქვით, რომ ყოველი საგანი ვარდება დედა-მიწასკენ შვეულის მიმართულებით; ძაშასადამე, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ყოველი ნივთი ჩვენს დედამიწაზედ მის ცენტრისაკენ იზიდება. მაშ დედა-მიწაზედ დაცემაც და დავარდნაც იმას ნიშნავს, რომ დედა-მიწის გულისაკენ მიეზიდებით. ადგომა ან წამოდგომა რალა არის? მიახლოვება ცასთან. აი ჩვენ მოჰირდაპირე მხარეს მცხოვრებლებსაც ასევე არ შეუძლიანთ დავარდნა სივრცეში, არ შეუძლიანთ მოშორდნენ დედა-მიწას. ამიტომ ისინიც ისეთსავე სწორ მდგომარეობაში არიან, როგორც ჩვენ, ე. ი. ბუნებრივ: თავით ძალა, ხოლო ფეხებით დაბლა

მიწაზედ. ისინიც თავის თავს დედა-მიწის ზემო პირზედ მცხოვრებლებად სთვლიან.

ძალა მიზიდულობის ანუ სიმძიმე ყოველ მხრით ერთნაირათ იზიდავს და იძაგრებს ყოველ ნივთიერებას: წყალს, ჰაერს და სხვა ყველაფერს.

ეხლა, მგონი, მიხვდებოდით და ალარ იკითხავთ, თუ რატომ დედა-მიწა არ ვარდება ან რას უჭირავს ამოდენა ბურთი? ძველათ, როცა ხალხს არა ჰქონდა ამის გაგება, ვერას გზით ვერ შეეძლო წარმოედგინათ, რომ ამოდენა სიმძიმეს, როგორც ჩვენი დედა-მიწაა, როგორც შეუძლიან რაზედმე დაუბჯენებლათ დგომა, უამისოთ, ამბობდნენ ისინი, დედა-მიწა ხომ სადმე უნდა ჩავარდესო... ეს იყო მიზეზი, რომ მათი ოცნება იგონებდა ათას-გვარ სურათებს, რის წყალობითაც დედა-მიწა ალარ ვარდებოდა სადმე უფსკრულში. ზოგს, მაგალითად, წარმოდგენილი ჰქონდა, რომ დედა-მიწა სდგას უშველებელ სპილოზედ, ზოგს — თევზზე, ზოგს — ხარზედ და ზოგს კიდევ ბოძებზედ ეგონა გაჩერებული.

ვსთქვათ, დედა-მიწა სდგას ბოძებზედ, მაგრამ ითთონ ეს ბოძები რაღაზედ სდგას? ან თევზი, სპილო და სხვა რაღაზედ სდგანან? — ამას კი ალარ კითხულობდნენ...

ზოგნი კიდევ ჰფიქრობდნენ, ვითომ დედა-

მიწა დაკიდებულია ოქროს ჯაჭვზედ, . რომელიც ცაზედ არის მიბმულიო, როგორათაც ჭერზედ დაკიდებული ხიმლი. მაგრამ რა საჭიროა დედა-მიწისთვის ან დასადგომი ადგილი და ან ჩამოსაკიდი ჯაჭვი; გაიხედეთ ცისაკენ: იქ ოქვენ დაინახავთ, რომ მზე, მთვარე და სხვა ათასი ვარსკვლავები ვველანი ცის უსაზღვრო სივრცეში დაცურავენ ოოვლად დაუერდნობლად რაზედმე და რალა ჩვენი დედა-მიწა საჭიროებს დასაერდნობ ადგილსა!.. მაშ ეგრე: ჩვენი დედა-მიწაც ისევე დაცურავს ცის სივრცეში, როგორც ღრმის მუშაგი—მთვარე...

ტ. ინასარიძე.

ქართველთა ივერიის მონასტერი

ათონის მთაზედ.

ათონის მთა არის ნახევარი კუნძული არხიპელაგის ზღვის კიდით, კონსტანტინეპოლიდგან დასავლეთით ორმოცი საათის სავალზე ორთქლ-მავალ ხომალდით. სიგრძე აქვს 80 ვერსი და განიც 30 ვერსამდის ექნება. ხმელეთი ათონის მთა უერთდება მაკედონიის მიდამოებს ვიწრო ყელით; აქ დგანან დარაჯები, რომელთაც დავალებული აქვთ, რომ არავინ დედათა სქესისა არ შემოუშვან ათონის მთაზედ. ზღვის პირად მრავალია ნავთ-საყუდლები, სადაც აგრეთვე უყენიათ დარაჯები; ნიადაგი აქ ყვყლგან ნაყოფიერია და იზრდება წაბლის, მუხის, ფიჭვის, ნაძვის, წიფლის და სხვა ხეები; მრავალია აგრეთვე ზეთის ხილის და ლიმონ-ფორთოხლის ბალები და ვენახები. მეცხრე საუკუნეში კონსტანტინეპოლის იმპერატორმა გადაასახლმა მთელი ათონის ნახევარ-კუნძულიდან მისი ერის მოსახლობა და დანიშნა იგი მეუდაბნოეთა მოღვაწეთათვის საცხოვრებლად. მას შემდეგ დაიწყეს აქ მონასტრების აშენება ყველა ხალხოსნობის წარმომადგენლებმა, უფრო კი მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღსარების ბერებმა. იმ დროდგან დაარსდა აქ

ოცი მონასტერი და ეს მონასტრები ჰფლობენ დღეს მთელს ათონის ნახევარს-კუნძულს, რასაკვირველია, ზოგი მეტს უფლობს და ზოგი ნაკლებს, თავისი შეძლებისამებრ. დღემდე დაცულია აქ ყოველი ეროვნების მონასტრის უფლება, ე. ი. რომელ ეროვნობასაც ეკუთვნის მონასტერი, იმ ეროვნების ბერები სცხოვრობენ იქ და აქვთ მათ თავიანთ ენაზე საღმრთო მოქმედება, სწავლა და განგება, მაგალითათ, სერბთა მონასტერში სცხოვრობენ სერბიელი ბერები, ბულგარების მონასტერში ბულგარების ბერები, მალდა-ვლახის მონასტერში—მალდა-ვლახნი, რუსებისაში—რუსების ბერები, ბერძნებისაში—ბერძენთა ბერები, და ქართველების მონასტერს კი დღეს ბერძენთა ბერები ჰფლობენ, თუმცა ყველასათვის აშკარაა, რომ ის მონასტერი ქართველებისაა, ასე რომ გარდა ქართველებისა თავიანთ მონასტრის უფლება არა ერს არ დაუკარგავს. წინა საუკუნოებში, ბერძნებს გარდა, ქართველებს მუდამ უპირველესი ადგილი ეჭირათ ათონის მთაში და არც ეხლა არიან უკანასკნელები, მაგრამ ბერძნებისგან მეტად არიან შეწუხებულნი. გარდა 20 მონასტრისა, აქ არის 12 მეორე ხარისხის სავანე, სკიტედ წოდებული; ესენი ექვემდებარებიან პირველხარისხოვან მონასტერებს. მთელს კუნძულზედ შავ-მოსილი ბერი და მორჩილნი იქნება სულ შვიდი ათასამდე, და ვაჭარნი, მუშა და სხვა ხელობის ერის კაცნიც—ორი ათასი. აქ თქვენ ნახავთ ყოველი მართლმადიდებელი ეროვნების ბერს: ბერძენს, რუსს, სერბს, ბულგარს, მოლდა-ვლახს, შავ-მთიელს, არაბს, ალბანელს, ქართველს და სხვათ.

ქართველთა ივერიის მონასტერი მდებარეობს ათონის მთის აღმოსავლეთის ნაწილში, ზღვის პირად, სწორ ალაგზე, ნახევარი ვერსის მანძილზე ზღვიდგან, ორ დესეტინაზე უმეტეს ქვაფენილი ეზოთი და გარშემოვლებულია ხუთი-ექვსი საჟენის სიმაღლე ქვითკირის გალავა-

ნითა ორ პირათ, რომელთ შორის აშენებულია ქვიტკირის სახლები ორ-სამ სართულიანები, აგრეთვე ორ-პირათ და დაყოლებულია ჩვიდმეტი ეკვდერი, სამწირველო, სხვა და სხვა წმიდანების პატივისათვის. სახლებს შუა ყველა სართულებში ხუთი ადლის სიგანე გზაა, რომელიც დაგებულია თლილის ქვითა. სრულიად მონასტერს გარშემო ერტყმიხ ეს შენობა და დახურულია კრამიტითა; მონასტრის გალავანს აქვს მხოლოდ ერთი კარი, სადაც სდგას მოუშორებლათ ერთი ბერი-მეკარე, მეთვალ-ყურე შემომსვლელ-გამომსვლელ თა და თავის დანიშნულ დროს, როცა შელამდება—დაჰკეტს კარს და როცა გათენდება—გააღებს.

მონასტრის გარშემორტყმული შენობა იქნება არა ნაკლებ რვა-ათი საჟენისა სიმაღლით, ასე რომ გარდა ფრინველისა, თვინიერ იმ ერთი კარისა, ვერა-რა შევალს მონასტრის ეზოში. ეზოს ჩრდილოეთის მხარეს არის ტაძარი იოანე ნათლის-მცემელისა, საკმაოდ დიდი გუმბათითა. ეს ტაძარი პირველათ აღგებულია იოანესგან, ექვთიმის მამისაგან, 960 წელსა. გარდა ამისა მონასტრის ეზოს შიგნით არის უდიდესი ტაძარი ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის მიძინებისა, აღგებული 1028—1041 წლებში, რამდენიმე გუმბათით, დახურული სრულიად ტყვიითა. ტაძრის შიგნით, გარდა საკურთხეველისა, არის სამი განყოფილება ბიზანტიურ გემოვნებაზე, პირველი, შუა ტაძარი, რომელიც შეიცავს დიდს გუმბათს; ამ გუმბათის ქვეშ, თითბრის იატაკზედ, სწერია ბერძნულად შემდეგი: «ადმაშენებელი გიორგი ივერიელი». სამხრეთის მხარეს სამლოცველო სამოსლიო დახატულია მხატვარი წმიდა მარკოზი ივერიელი, შარავანდედითა; სრულიად ტაძარი დაგებულია ფერადი მარმარილოს ქვითა, და სრულიად ტაძრის კედლები დახატულია ისტორიულათ დიდის ხელოვნებითა, — მარჯვენა-მარცხენა მხარეს—ხოროები თავისი ფორმე-

ბით მგალობელთათვის, და სამღვდელთმთავრო კათედრა მაოჯვენა მხარეს მდიდრულათ შემკობილი; კანკელი ძვირფასი და ფრიად დიდი, რომელიც შემკობილია სულ ვერცხლით, მოჭედილი დიდრონი ხატებით, დიდი ვერცხლის კანდლებით სუყველა ხატების წინ ოქროში დაფერილები. პირველი ჭაღი ვერცხლისა, რომელიც აღსავალის კარის პირდაპირ ჰკიდია, მეორე ვერცხლისა ლიმონი თავისი ვაზათი და ასხია ლიმონი მრავლად ფოთოლ-ტოტებითურთ ბუნებისაებრ მიმსგავსებითა, უმეტესი ერთი საჟენის სიმაღლისა, რომელიც ასრულებს ჭაღის მაგიორობას, და ანთია მრავალი წმიდა სანთელი, რამოდენიმე ფუთი ვერცხლის წონას შეიცავს, ამას უდგმენ კარისაღვთის-მშობლის ხატს, დღესასწაულებში, და სხვა მრავალი ჭაღები ბრინჯაოს და ქორკანდელი ფრიად დიდები, რომელნიც დაკიდებულია დიდი გუმბათის ქვეშ თითბრისა. და დიდი ლამპრების შანდლები თითბრისავე მრავალი. გარდა კანკელის ხატებისა, მრავალი ვერცხლის კანდლები ამშვენებენ ტაძარს.

მეორე განყოფილება ტაძრისა, რომელიც წმიდათა აღმაშენებელთა ქართველთა მამათა იოანე, ექვთიმე და გიორგის ლუსკუმებს შეიცავს; აქ ლუსკუმაზე ასვენია მათი ხატი, და უნთია გაუქრობელი კანდელი; აქედგან შეხვალთ წმიდა ნიკოლოზის ეკკლესიაში, სადაც კანკელის ხატებს უნთია ვერცხლის კანდლები.

მესამე განყოფილება, რომლიდამაც მთავარ-ანგელოზთა ეკკლესიაში შეხვალთ, კანკელი მორთულია ვერცხლის ხატებით და კანდლებით, და ჭაღი შანდლებით, მეორე და მესამე განყოფილების ჭერში მოთავსებულია ბიბლიოთეკა ქართული და სხვა ენებზე ნაწერი წიგნებით და სამონასტრო საცავი ძვირფას ჭურჭელთა.

და მეოთხე განყოფილება — კარის-ბჭე, რომელსაც უდგია რვა-ცხრა მარმარილოს სვეტები, და შეკულია

შუშა-ბანდით, რომლის სიგანე უმეტესი ორი საჟენისა და სიგრძე ტაძრის სიგანემდე. სხვა ისტორიულ მხატვრობათა შორის, აქა ხატია მაცხოვარი სრული ტანითა მდგომარე, რომლის ხელოვნება მლოცავთა ყურადღებას მიიპყრობს; აქავე კარის ბჭეში დახატულნი არიან ათამდის მეფეები საქართველოისა, და მათ შორის თორნიკე მხედართ-მთავარი, ახალი წარწერებით ბიზანტიელ მეფეთა. როგორც მოგვითხრობენ ბერძენთა და ქართველთა მწერლები, ეს ტაძარი ააშენა გიორგი ივერიელმა ოლთისელმა, და ვარაზ-ვაჩემ. ეს ვარაზ ვაჩ უწოდებს თავის თავს თორნიკე მხედართ მთავრის ძმად. ამ მონასტერში მე ვნახე დიდათ დახელოვნებულად დაწერილი სულიერი შინაარსის წიგნი: იგი დაწერილი იყო სუფთათ გაკეთებულ ტყავზე და იწონდა მთელი წიგნი ნახევარ ფუთზე მეტს». სრულიად შინაარსი ქართული ხუცური ასო-მთავრულით იყო დაწერილი, დიდი ასოთი და ამ წიგნის ბოლოზე ეწერა: „ვღძღვნი სახსოვრად ძმასა ჩემსა იოანე თორნიკე ყოფილსა მე ვარაზვაჩე“. ბერძნების მწერლები შეცდომით სწერენ, ვითომ თორნიკეს ბერათ აღკვეცაში გიორგი ეწოდაო. შემდეგ დაასრულა მეორე გიორგიმ, რომელიც წმიდათა თანა არის შერაცხილი, ე. ი. მთაწმინდელად წოდებული და მთარგმნელი. ამან საქართველოს მეფე ბაგრატს სთხოვა, მიიღო კიდეც დიდძალი ოქრო და იმითი დახურა სრულიად ტაძარი ტყვითა. ტაძარი უდიდესია თბილისის სიონის ტაძარზე.

კოშკი ამავე ტაძარზე მიშენებული სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, სამონასტრო საათისათვის, სიმაღლით ექვს საჟენამდის, რომლის კიბეებით შეხვალთ ბიბლიოთეკაში, წმიდა ნიკოლოზის სამწირველოდგან. ეს სამონასტრო საათი ყოველ მეოთხედ საათზე დარეკს წვრილ ზარებს ერთი ვერსის სასმენელზე, და საათის შესრულების დროს კი დარეკს დიდს ზარს ოთხის ვერსის სასმენელზე. მან-

ქანებით გაკეთებული შავი არაბი, სრული ტანისა, სდგას კოშკის ზემოთ, გეგონებათ ცოცხალი კაციაო, რომელიც თოკის მოწევით რეკს დიდს ზარს თავის დანიშნულ დროზე, რიცხვისაებრ საათის რაოდენობისა. მესამე, მომცრო ტაძარი, გუმბათიანი და ფრიად კეკლუცი პორტიტისა (მეკარე) ღვთის-მშობლისა ან ივერიის ღვთის-მშობლის ხატისა, ძველ გალავნის რკინის კარისათანავე, აღშენებული ქართველთაგან, და განახლებული და სრულიად დახატული და გამშვენებული უბრწყინვალესი თავადის აშოთან მუხრან-ბატონისაგან, კანკელი ძვირფასად შემკობილი, სრულიად ვერცხლით მოჭედილი დიდი ხატებით. სასწაულთ-მომქმედი ხატი ივერიის ღვთის-მშობლისა, ძვირფასად შემკობილი,—ფრიად დიდი, ასვენია აღსავალის კარის ჩრდილო მხარეს. პირველათ კანკელში, რომელსაც უნთია ათამდი ოქრო და ვერცხლის ძვირფასად შემკობილი კანდლები გაუქრობელნი; ხატზე აწერია ქართულათ სხვათა შორის შემამკობელი ამ ხატისა ყვარყვარეს შვილი ქაიხოსრო და სხვა. ამ წარწერაზედ აფარია ფარჩა, მიზეზი ადვილი გასაგებია. აქავე არის ხატები ვერცხლით მოჭედილები, კანკელში, სრული ზომისა, აღმაშენებელთა ქართველთა წმიდათა მამათა იოანე, ევთიმე და გიორგისი, რომელთაც უჭირავთ სამთავეს ხელში მონასტერი, ვითარცა აღმაშენებლებს, და აქვსთ ვერცხლისა გაუქრობელი კანდელი, და კარის ბჭეც დახატულია ივერიის ღვთის-მშობლის ხატის სასწაულის მოქმედების ისტორიითა; სხვათა შორის შავი არაბი შარავანდედითა, ზედ წარწერით „წმიდა ვარვაროს". როგორც გადმოგვცემს ბერძენთა მწერალი, ეს ყოფილა არაბთა მხედართ-მთავარი, რომელიც ძოსულა მრავლის მხედრობით ნავებითა არაბეთიდგან, ათონის მთის მონასტრების გასაძარცვავათ და ასაოხრებლათ, მაგრამ ღვთის-მშობლის სასწაულის მოქმედებით, სრულიად ნავები მხედრობითურთ შთაუთქავს ზღვას. ივერიელთა მონასტრის ნავთსაყუდელში, და გადარჩენილა მხოლოდ ვარვაროსი მხედართ-მთავარი მცირე წარჩინებულით; მონასტერში შესვლისათანავე უნახავს რა ხატი ივერიის ღვთის-მშობლი-

სა, შეუნანებია და ქრისტიანობაც მიუღია, და დიდ-ძალი ოქრო-ვერცხლი შეუწირავს მონასტრისათვის გალავნის სიმაგრის აღსაშენებლათ, და მუნ მონასტერშივე დაყუ-დებულა და წმიდათა თანა შერაცხილა.

როგორც მოგვითხრობენ ბერძენთა მწერლები, ეს ის ივერიის ღვთის-მშობლის ხატია, რომელიც სამი დღე და ღამე ზღვაში ცეცხლის სვეტის მსგავსად მოსჩანდა ათონის მთის გარშემო; ათონის მთის მოღვაწე ბერნი, როგორც მიუახლოვდებოდნენ ნავებით, განეშორებოდა მათგან. სრულიად ათონის მთის მონასტრის მოღვაწენი ცდილობდნენ, ან ერთს მიეღო და ან მეორეს; სამი დღე და ღამე ღამის თევით ლოცვა-ვედრების შემდეგ, ჩვენებით გამოეცხადა ღვთის-მშობელი დაყუდებულ გაბრიელ ბერს, ტომით ქართველს, რომელიც სცხოვრობდა ივერიელთა მონასტრის მახლობლათ მთაში და უთხრა: «მიდი თქვენს მონასტერში და გამოუცხადე ძმათა, მე მსურს ჩემი ხატი მოგანიჭოთ თქვენი უცხოების ნუგეშათოთ»; გაბრიელი ჩამოვა მონასტერში და ეტყვის ძმათა თავის ჩვენებას, მ შინვე დარეკენ ზარს და შეიკრიბებიან ძმანი, და შეიმოსენ სამოსელთა და მიმართავენ ზღვის კიდესა ლიტანიითა, გალობითა და ლოცვა-ვედრებითა და მივლენ სამხრეთიდამ, სადაც შეუძლებელია ზღვის პირათ სვლა მაშინ გაბრიელ შევა ზღვაში, გაივლის ვითარცა მშრალზე, და ღვთის-მშობლის ხატიც მოეგებება გაბრიელს; აიღებს ხატსა, ზღვიდგან გამოსვლისათანავე ნაპირა რიყეზე, წაბორძიკდება გაბრიელი და მუხლსა სცემს მიწაზე, და ამოვარდება წყარო ტკბილი, რომელიც დღემდე არის, გარშემო შემოზღუდული ქვითკირის გალავნითა, და აქედგან ოცი ნაბიჯით სდგას გუმბათიანი ეკკლესია, საკმარისი სახლებით; ხატი აქ სვენებულა სამი დღე და ღამე ზღვიდგან გამოსვენების შემდეგ და მერე მონასტერში შეუსვენებიათ.

წმიდა ადგილების მოგზაური გერასიმე ხადარეიშვილი.

(შემდეგი იქნება).

ნოემბერი და დეკემბერი, №№ XI და XII, 1903 წ.

მოგზაური

1903 წელს ჟურნალი

„მოგზაური"

მთავრობის ნება-დართვით

გამოვა ახალის გავრცელებულის პროგრამით, ე. ი. ჟურნალში დაიბეჭდება **შედაგოგიური, სამეურნეო, სამკურნალო-სამეცნიერო** და **ისტორიულ-გეოგრაფიული** წერილები. რედაქცია სთხოვს მასწავლებლებს, მეურნეებს, მკურნალებს და სამეცნიერო საგნების მიმდევართ მოაწოდონ მას ყოველგვარი წერილები მოხსენებულ საგნებიდამ. საუკეთესო წერილებს, ხალხისათვის ადვილ-გასაგების ენით დაწერილებს, რედაქცია იმავ დროს იაფ-ფასიან წიგნაკებადაც გამოსცემს.

ფასი ჟურნალისა იგივე **5 მანეთია**, ხოლო მასწავლებლებისათვის და ხელ-მოკლე დაწესებულებათა-თვის—4 **მანეთი.**

ადრესი ფოსტით: *Тифлисъ, Редакція* „МОГЗАУРИ" (*Межевая ул., № 72*).

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

თბილისი

სტამბა ექვ. ივ. ხელაძისა. რუსის ბაზარი, საეკკ. სახლი.

1903

Дозволено цензурою. Тифлисъ 2-го Октября *1903* г.

სწავლა-აღზრდის რეფორმატორნი.

იან-ამოს კომენსკი *).

თუ გვსურს, სწავლის საქმე ხეირიანად წავმართოთ და კარგი ნაყოფი მივიღოთ, ჩვენ ყოველისფერი ბუნების მოთხოვნილების თანახმად უნდა მოვაწყოთ. მაშ მივმართოთ მას და შევიტყოთ, თუ როგორ იკიდებს იგი ახალგაზრდა და ნორჩ სულში ფესვებსა.

1) ბუნება მუდამ მარჯვე დროს უცდის და ჯერ ამზადებს მასალას და შემდეგ აძლევს მას ფორმას. აღზრდის საქმეში ჩვენ ჩვეულებრივ ვცოდამთ ხოლმე ბუნების მოთხოვნილებათა წინაშე. ვაწყებინებთ ყმაწვილებს სწალას მაშინ, როდესაც მათი გონება ჯერ კიდევ საკმარისად არაა მომზადებული და განვითარებული სწავლის შესაძენად. ჩვენ ვაძლევთ ჯერეთ ფორმას და შემდეგ მასალას, ვასწავლით ჯერ სიტყვებს და შემდეგ იმ საგნებს, რომელთაც ეს სიტყვები შეეხებიან. უცხო ენის სწავლის დროს ვასწავლით ყმაწვილებს ჯერ გრამმატიკულ წესებს,

---

იხ.) „მოგზაური“ №№ 9—10, 1903 წ.

შემდეგ თვით იმ ენას, რომელშიაც ე- წესები იხმარებიან. საჭიროა ერთი ავტორიდგან დაწყება და ამასთანავე განყენებულ ძნელ წესების მხოლოდ მაშინ შესწავლა, როდესაც მოსწავლენი საფუძვლიანათ შეისწავლიან და გაიცნობენ მაგალითებს.

2) ბუნება ყოველ თავის ქმნილებას შინაგან ნაწილებიდგან იწყობს. ჯერ იძლევა მოუმზადებელ და შეუმუშავებელ მასალას, შემდეგ თვითეული ნაწილის დამუშავებას იწყობს ხოლმე. სწავლა-აღზრდაშიაც ასე უნდა მოვიქცეთ: პირველად ყმაწვილებს უნდა გავაცნოთ საგნის თვისება და შემდეგ შევუდგეთ მეხსიერების, ენის და ხელების ვარჯიშობას; უცხო ენების, ხელოვნების და მეცნიერების შესწავლაც მარტივი ნაწილებიდგან უნდა დავიწყოთ ხოლმე, შემდეგ გადავიდეთ მაგალითებზე და წესებზე და ბოლოს საგნის განსაკუთრებულ და არა კანონიერ თვისებებზე.

3) ბუნებას არ უყვარს ნახტომები, იგი ყოველთვინ ამთავრებს დაწყობილს საქმეს: თანახმად ამისა სწავლა-აღზრდის საქმეც ისე უნდა მოეწყოს, რომ ერთიდგან ჰომდინარეობდეს მეორე, რომ წინედ შესწავლილი უკვალავდეს გზას შემდეგში შესასწავლელს; აღზრდილი უნდა მტკიცედ მისდევდეს კარგად განსაზღვრულ და შეჰუშავებულ გეგმას და ისეთი სისწორით უნდა ჰქონდეს გამოანგარიშებული დრო და ჟამი, რომ წინადვე შეიძლებოდეს იმის გადაწყვეტა, თუ რომელ წელიწადს, თვეს, დღეს და რომელ საათსა, რომელი გაკვეთილი შეჰხვდება... დიდი ვნება მოაქვს მოწაფეთათვის გაკვეთილებზე დაკლების და სწავლის მეთოდების ცვალებადობას.

4) ბუნება სულ ჰუდამ იფარავს თავის ქმნილებათ ცუდ გავლენისაგან, აგრეთვე ყმაწვილებიც უნდა უეჭველად დაიფაროთ ამხანაგთა და ცუდ წიგნების კითხვის გავლენისაგან.

შემდეგ ეხება რა იმ კითხვას, თუ რა ნაირად უნდა გავუადვილოთ და შევაყვაროთ ყმაწვილებს სწავლა, კომენსკი ამბობს, რომ ყმაწვილები ყოველთვინ სიამოვნებით ისწავლიან, თუ, რასაც ასწავლიან, მათის წლოვანობისათვის ადვილ გასაგები და საინტერესო იქნება; ამოს კომენსკის აზრით ასე უნდა მიმდინარეობდეს სწავლა-აღზრდა: ჯერეთ გრძნობა უნდა აღვზარდოთ, შემდეგ მეხსიერება და ბოლოს გონებითი მოქმედება. ამნაირია ბუნების მოთხოვნილება, რითაც, თუ ყურადღებას მივაქცევთ, შეიძლება გავხადოთ სწავლა სასიამოვნო თვით ჩვილი ყმაწვილისათვისაც კი. კომენსკი თხოულობდა, რომ ყმაწვილები გამუდმებული მეცადინეობით ძრიელ არ მოექანცათ. იეზუიტებივით იგი დიდ მნიშვნელობას აძლევდა საჩუქრებს და განკიცხვას, მაგრამ მათ გაუსწრო წინ მით, რომ ისეთ დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა მოწაფეთ შორის შეჯიბრებით ხასიათის განვითარებას, როგორც იეზუიტები. ყმაწვილებში სწავლის სიყვარული, კომენსკის აზრით, აღძრული უნდა იყოს მშობლების, აღმზრდელების, სკოლის და საზოგადოების მიერ.

1) მშობლები მუდამ უნდა აქებდნენ სწავლას და მსწავლულებს; იგინი უნდა უჩვენებდნენ ყმაწვილებს კარგ წიგნებს, მშვენიერ სურათებს და ამასთანავე პატივისცემით ეკიდებოდნენ მასწავლებლებს;

2) მასწავლებლები რაც შეიძლება ალერსით და სიყვარულით უნდა ეკიდებოდნენ თავიანთ მოწაფეებს; იგინი ყოველ შემთხვევით უნდა სარგებლობდნენ, რომ აუწყონ ყმაწვილებს რაიმე სასიამოვნო და საინტერესო.

3) სკოლა კარგათ უნდა იყოს მოწყობილი; უნდა იყოს ფართო, ნათელი, მხიარული და შემკული სურათებით, ყალიბებით და კოლექციებით; სწავლის მეთოდი ბუნებას უნდა ეთანხმებოდეს და ყოველივე ის, რასაც

შემდეგ თვით იმ ენას, რომელშიაც ეს წესები იხმარებიან. საჭიროა ერთი ავტორიდგან დაწყება და ამასთანავე განყენებულ ძნელ წესების მხოლოდ მაშინ შესწავლა, როდესაც მოსწავლენი საფუძვლიანათ შეისწავლიან და გაიცნობენ მაგალითებს.

2) ბუნება ყოველ თავის ქმნილებას შინაგან ნაწილებიდგან იწყობს. ჯერ იძლევა მოუმზადებელ და შეუმუშავებელ მასალას, შემდეგ თვითეული ნაწილის დამუშავებას იწყობს ხოლმე. სწავლა-აღზრდაშიაც ასე უნდა მოვიქცეთ: პირველად ყმაწვილებს უნდა გავაცნოთ საგნის თვისება და შემდეგ შევუდგეთ მეხსიერების, ენის და ხელების ვარჯიშობას; უცხო ენების, ხელოვნების და მეცნიერების შესწავლაც მარტივი ნაწილებიდგან უნდა დავიწყოთ ხოლმე, შემდეგ გადავიდეთ მაგალითებზე და წესებზე და ბოლოს საგნის განსაკუთრებულ და არა კანონიერ თვისებებზე.

3) ბუნებას არ უყვარს ნახტომები, იგი ყოველთვინ ამთავრებს დაწყობილს საქმეს: თანახმად ამისა სწავლა-აღზრდის საქმეც ისე უნდა მოეწყოს, რომ ერთიდგან მომდინარეობდეს მეორე, რომ წინედ შესწავლილი უკვალავდეს გზას შემდეგში შესასწავლელს; აღზრდილი უნდა მტკიცედ მისდევდეს კარგად განსაზღვრულ და შემუშავებულ გეგმას და ისეთი სისწორით უნდა ჰქონდეს გამოანგარიშებული დრო და ჟამი, რომ წინადვე შეიძლებოდეს იმის გადაწყვეტა, თუ რომელ წელიწადს, თვეს, დღეს და რომელ საათსა, რომელი გაკვეთილი შეჰხვდება... დიდი ვნება მოაქვს მოწაფეთათვის გაკვეთილებზე დაკლებას და სწავლის მეთოდების ცვალებადობას.

4) ბუნება სულ მუდამ იფარავს თავის ქმნილებათ ცუდ გავლენისაგან, აგრეთვე ყმაწვილებიც უნდა უეჭველად დაიფაროთ ამხანაგთა და ცუდ წიგნების კითხვის გავლენისაგან.

შემდეგ ეხება რა იმ კითხვას, თუ რა ნაირად უნდა გავუადვილოთ და შევაყვაროთ ყმაწვილებს სწავლა, კომენსკი ამბობს, რომ ყმაწვილები ყოველთვინ სიამოვნებით ისწავლიან, თუ, რასაც ასწავლიან, მათის წლოვანობისათვის ადვილ გასაგები და საინტერესო იქნება; ამოს კომენსკის აზრით ასე უნდა მიმდინარეობდეს სწავლა-აღზრდა: ჯერეთ გრძნობა უნდა აღვზარდოთ, შემდეგ მეხსიერება და ბოლოს გონებითი მოქმედება. ამნაირია ბუნების მოთხოვნილება, რითაც, თუ ყურადღებას მივაქცევთ, შეიძლება გავხადოთ სწავლა სასიამოვნო თვით ჩვილი ყმაწვილისათვისაც კი. კომენსკი თხოულობდა, რომ ყმაწვილები გამუდმებული მეცადინეობით ძრიელ არ მოექანცათ. იეზუიტებივით იგი დიდ მნიშვნელობას აძლევდა საჩუქრებს და განკიცხვას, მაგრამ მათ გაუსწრო წინ მით, რომ ისეთ დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა მოწაფეთ შორის შეჯიბრებით ხასიათის განვითარებას, როგორც იეზუიტები. ყმაწვილებში სწავლის სიყვარული, კომენსკის აზრით, აღძრული უნდა იყოს მშობლების, აღმზრდელების, სკოლის და საზოგადოების მიერ.

1) მშობლები მუდამ უნდა აქებდნენ სწავლას და მსწავლულებს; იგინი უნდა უჩვენებდნენ ყმაწყილებს კარგ წიგნებს, მშვენიერ სურათებს და ამასთანავე პატივისცემით ეკიდებოდნენ მასწავლებლებს;

2) მასწავლებლები რაც შეიძლება ალერსით და სიყვარულით უნდა ეკიდებოდნენ თავიანთ მოწაფეებს; იგინი ყოველ შემთხვევით უნდა სარგებლობდნენ, რომ აუწყონ ყმაწვილებს რაიმე სასიამოვნო და საინტერესო.

3) სკოლა კარგათ უნდა იყოს მოწყობილი; უნდა იყოს ფართო, ნათელი, მხიარული და შემკული სურათებით, ყალიბებით და კოლექციებით; სწავლის მეთოდი ბუნებას უნდა ეთანხმებოდეს და ყოველივე ის, რასაც

სკოლაში ასწავლიან ყმაწვილებისათვის ადვილ გასაგები და სასიამოვნო უნდა იყოს.

4) საზოგადოება უნდა ნიშნავდეს საჯარო გამოცდას (ეგზამენს) და ღირსეულთ ღირსეულად აჯილდოვებდეს; ყმაწვილებს მხოლოდ ზნეობის წინააღმდეგ დანაშაულისათვის უნდა სჯიდნენ; თუ იგინი ცუდად სწავლობენ, დამნაშავე ამაში თვით მასწავლებელია.

კომენსკი თხოულობს, რომ საგნების და სიტყვების შესწავლა ერთმანეთს მისდევდნენ. იგი გვირჩევს რაც შეიძლება ნაკლებ ვიხმაროთ წიგნები და ყოველივე საჭირო ცოდნა ამოვკრიფოთ პირველ წყაროდგან—უდიდეს და ყველასათვის გადაშლილ წიგნიდგან—ბუნებიდგან; ენების შესწავლას ამ რიგით გვირჩევს კომენსკი. 8—10 წლამდე ყმაწვილები უეჭველად სამშობლო ენას და მათ გარშემო არსებულ საგნებს უნდა სწავლობდნენ; სხვა ენების შესასწავლად საკმარისია ერთი წელიწადი, მხოლოდ ლათინურ ენას, როგორც უძნელესს საგანს, დათმობილი უნდა ჰქონდეს ორი წელიწადი; სუყველა ენები პრაქტიკულათ უფრო ადვილად შეისწავლებიან, ვინემ გრამმატიკის წესებით; წესებმა ხელი უნდა შეუწყონ და დაეხმარნენ პრაქტიკულად ენების შესწავლას, იგინი შემდგომ უნდა იყვნენ ახსნილნი; ენების შესწავლის დროს პირველ სავარჯიშოებში უნდა ვიხმაროთ იმისთანა წიგნი, რომლის შინაარსს იცნობენ ყმაწვილები, მაშინ მთელი მათი ყურადღება მიპყრობილი იქნება სიტყვებზე და მათ ერთმანეთთან დამოკიდებულებაზე. ამ ნაირი წიგნებია დაბადება და კატეხიზმიო.

რადგან კომენსკის კლასსიკების კითხვა ყმაწვილებისათვის მიაჩნდა უადგილოდ და საძნელოდ, ამიტომ მან შეადგინა სახელმძღვანელონი სახელდობრ, Oistibulum sanua და Artium, რომლებშიაც მოთავსებულნი იყვნენ

ის პრინციპები, რომელნიც უნდა გამხდარიყვნენ საფუძვლად რაციონალური სწავლის სისტემისა.

კომენსკის სამოსწავლო გეგმით სრული სწავლის კურსი თავდება ოთხი სკოლით,—რომელთაც შეადგენენ: 1) დედის სკოლა ჩვილ ყმაწვილებისთვის, 2) სკოლა სამშობლო ენის 6—12 წლის ყმაწვილებისთვის, 3) გიმნაზია და 4) უნივერსიტეტი. სწავლის შესავსებელად კომენსკი სთვლის მოგზაურობას ერთ საუკეთესო საშუალებად. საერო სკოლებში თანაბრად უნდა სწავლობდნენ როგორც ვაჟები, ისე ქალები *).

სამშობლო ენის სკოლა შეადგენს განსაკუთრებულ თვისებას კომენსკის სამოსწავლო გეგმისას; თვალი გადა-

---

*) პროფესორს მასზეს მოჰყავს თავისს ხუზულებაში „მილტონის ცხოვრება“-ში დიდი დიდაქტიკიდგან შემდეგი ადგილები: რად არის ჯეროვანი საფუძველი იმისა, რომ ქალები დირსნი არ არიან განათლებისა? განა ისინიც იგეთივე არსებანი არ არიან, როგორც ჩვენა? განა ისინიც იგეთივე თანამოზიარენი არ არიან ღვთის მოწყალეობისა და მის მომავალ სასუფევლისა? იგინიც, როგორც ჩვენ, დაჯილდოვებულნი არიან ჭკუა-გონებით და განვითარების სურვილით; იგინი არა ერთხელ ეოფილან მოწოდებულნი უდიდეს საქმეების გასაკეთებლად და ნებითა ღვთისათა დაუენებულნი ხალხთა მოთავედ—მმართველებად. გვინახავს აგრეთვე ექიმი და მქადაგებელი ქალები. მაშ რისთვის ვასწავლით მათ ანბანს, თუ შემდეგ წიგნებს ალარ მივაკარებთ და ავუკრძალავთ მათ კითხვას? ან იქნება გვეშინიან მათის თავქარიანობისა? მაგრამ რამდენად მათ ჭკუა-გონებას განვანათლებთ და მივსტემთ მათ საზრდოს, იმდენად ნაკლები ადგილი ექნება მათ თავქარიანობას, რომელიც საზოგადოდ მომდინარეობს სულის სიდატაკისა და ცარიელობიდგან.

ვავლოთ იმ საგნებს, რომელთაც ამ სკოლაში ასწავლიან: 1) წერა-კითხვა სამშობლო ენაზე; გრამმატიკული გარჩევა; 2) ციფრების გაცნობა-შესწავლა; 3) წონის და ზომის გაცნობა; 4) გალობა; 5) ფსალმუნების და გიმნების ზეპირად დასწავლა; 6) დაბადების, კატეხიზმოს და ტექსტთა შესწავლა; 7) ზნეობრიული ზრდილობის და მაგალითების გაცნობა; 8) პოლიტიკური და ეკონომიური კანონების შესწავლა; 9) საერო ისტორია; 10) ფიზიკა, გეოგრაფია და 11) საზოგადო ცნობანი ხელოვნობასა და ხელოსნობაზედ.

ეს სკოლა ექვს კლასსიანია; ყმაწვილები მეცადინეობენ დილით ორ საათსა და სადილის შემდეგ კიდევ ორ საათსა; ამდენსავე დროს ანდომებენ გაკვეთილების მომზადებას; დილით უმთავრესად — ვარჯიშობაში არიან მეხსიერება და გონება, სადილთ უკან კი სწავლობენ ხელსაქმეს და გალობას.

როგორც უდიდესთ პედაგოგთ, პესტალოცცის და ფრებელს, კომენსკისაც სურდა შესდგომოდა ყმაწვილის აღზრდას პირველ დაბადების დღიდგანვე; თავის მეტად გონივრულ წიგნში «Jfola materna gumii» იგი იძლევა რჩევა-დარიგებას, თუ როგორ უნდა ვზარდოთ ყმაწვილი 6 წლამდე.

კომენსკის კარგათ ჰქონდა შეგნებული ყმაწვილების ერთად სწავლის სარგებლობა; იგი ურჩევს აღმზრდელებს, რომ ბეჯითად თვალ-ყური ადევნონ ყმაწვილებს, რომ იგინი უსაქმოთ არას დროს არ დარჩნენ; დეე ითამაშონ ერთმანეთთან; თამაშობა ანვითარებს მათ ჭკუა-გონებას; უსაქმობა კი ჰბადავს სიზარმაცეს და იწვევს ხასიათის ცუდ თვისებათ; უნდა ვერიდოთ ჭკუა-გონების უდროოდ უზომო განვითარებას; ამას შეუძლიან შემდეგში ცუდი გავლენა იქონიოს მის საზოგადო განვითარებაზედ.

კომენსკიმ შენიშნა რა, რომ იმ დროის სკოლა მე-

ცადინეობდა განშორებოდა ამ სოფელს, გაეწყვიტა მასთან კავშირი და კარ-ჩაკეტილი ეცხოვრა, ენერგიულად წინააღუდგა ამ არა სანატრელ მიმართულებას; კომენსკიზე წინეთაც ამჩნევდნენ ამ ბოროტებას ზოგიერთი პედაგოგები, მაგრამ ამაოდ ცდილობდნენ მის მოსპობას; კომენსკი თავის წიგნში „ყმაწვილობის სკოლა"-ში ამტკიცებს, რომ ყოველი ცოდნის, ხელოვნების და მეცნიერების საფუძველი იკიდებს ფეხს ყმაწვილში ჯერ ისევ პირველსავე ხანებში, და რამდენადაც მტკიცედ და მაგრად არის ჩაყრილი ეს საძირკველი, იმდენად ადვილია შემდეგში მაზე მთელი შენობის აგება; ამ დედა აზრს უფრო სავსებით და გარკვევით გვიხატავს თავისს წიგნის შემდეგს თავში: „თუ როგორ უნდა შევაჩვიოთ ყმაწვილი გონივრულ მოქმედებას". აქ იგი ურჩევს აღმზრდელს შეუდგეს ყმაწვილის 4—5 წელიწადზე მის მეხანიკურ განვითარებას, ე. ი. შეაჩვიოს იგი ნელ-ნელა მხატვრობას, მუსიკას, არითმეტიკას, გეომეტრიას, გეოგრაფიას და სხ. ამ წლოვანებაში საკმარისია, თუ ყმაწვილმა იცის 20-მდე თვლა,—თუ რა არის სწორი ხაზი, ოთხ-კუთხიანი და სხ.; ამავე წლოვანებაშივე იყრება დანარჩენ საგნების საძირკველიც; გეოგრაფიის პირველ გაკვეთილს ისმენს ყმაწვილი მაშინ, როდესაც იგი აკვნიდგან დედის კალთებისაკენ მიფოფხამს.

ამ წიგნში კომენსკის გულმოდგინედ დაუმზადებია ყმაწვილის «გონების და ხელების» სამუშავო მასალა; მხატვრობას უთუოდ ყველანი უნდა სწავლობდნენ. «ის კი არაა საჭირო, ამბობს კომენსკი, რომ სურათი უეჭველად სწორი იყოს, არამედ საჭიროა მხოლოდ ის, რომ ყმაწვილის გონებას მივცეთ ახალი წყარო სიამოვნებისა და საზრდოებისა».

ამ ნაირად ეს მოულალავი მოღვაწე ბავშვის გაჩენის დღიდგანვე იწყებდა აღზრდას და ათავებდა მის სრულ

წლოვანობით. ამიტომ გასაკვირველი არ არისო, ამბობს რაუმერი, რომ მას შემდეგშიაც ასეთი დიდი გავლენა ჰქონდა იმ მეცნიერებზე და მოღვაწეებზედ, რომელნიც სწავლა-აღზრდის ასპარეზზე მოღვაწეობდნენ.

კომენსკიმ პირველმა მოითხოვა მისცემოდა ყველას განურჩევლად წოდებისა, ქონებისა და სქესისა,—როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში,—თანაბრივი განათლება. ყველას, ვინც კი გაჩენილა გონიერ არსებად, ამბობს კომენსკი, აქვს განათლების მიღების უფლება; სკოლის მოვალეობა და დანიშნულებაა მისცეს ორთავე სქესის ახალ-თაობას ერთგვარი განათლება, მოამზადოს იგინი ცხოვრებისათვის და იმავ თავიდგანვე ჩაუნერგოს მათ ერთმანერთის გაგება, შეგნება და შველა-დახმარება.

განა ჩვენ განსაკუთრებული პატივისცემით და მადლობით არ უნდა ვიხსენიებდეთ იმას, რომელმაც პირველად მოითხოვა, რომ ყოველ ადამიანს მისცემოდა განათლების უფლება მარტო ამიტომ მაინც, რომ იგი გაჩენილია გონიერ არსებად? ორას ორმოცდა ათი (250) წელიწადი მოვუნდით კომენსკის დედა-აზრთა შეგნებ-შეთვისებასა. მხოლოდ ეხლა ესაა საკითხი: მოვესწრობით როცისმე, რომ ღარიბთა პირველ-დაწყებითი სკოლა დამყარებული იყოს იმნაირ საფუძველზედ, რაგვარზედაც დამყარებულია სკოლა მდიდრებისა, როგორც ამას სამართლიანად თხოულობდა კომენსკის მეტად ჰუმანიური და ღრმად მოფიქრებულ-მოსაზრებული სკოლის სისტემა!?.

რეალიზმის მომხრენი სთვლიდნენ ყოველთვინ კომენსკის ერთ მის უმთავრეს მოციქულად; ამაზე ცოტა რამ წინედ გაისმა ბეკონის ხმა, რომელიც წინააღუდგა მეცნიერების სქოლისტიურ მიმართულებას; იგი ცდილობდა გამოეყვანა მეცნიერება იმ ვიწრო ფარგლიდგან, რომელშიაც იყო დღემდე იგი მომწყვდეული და მიეცა

მისთვის ცხოვრების ფართო გზა; კომენსკი ერთგული მიმდევარი იყო ბეკონისა, რომელმაც, მისი სიტყვით, გარდასცა ჩამომავლობას ბუნების კარის გასაღები, მხოლოდ მან თითონ კი არ გამოაქვეყნა მისი საიდუმლონი, არამედ მათი გამოქვეყნება მიინდო მომავალ ჩამომავლობას". ამ გ.საღებით კომენსკი ჰფიქრობდა ბუნების სალაროს კარების გაღებას; იგი დამყარებული იყო თავის გრძნობა და ჭკუა-გონებაზე და მტკიცედ დარწმუნებული იყო თავის გამარჯვებაში.

„განა ჩვენც იმავ ბუნების ბაღში არა ვცხოვრობთ, რომელშიაც სცხოვრობდნენ ძველი ფილოსოფოსები? რატომ ჩვენც იმათსავებ არა ვსარგებლობთ ჩვენი თვალებით, ყურებით და ცხვირით? ნუ თუ ბუნების გასაცნობლად ამ საკუთარ ორგანოთა გარდა საჭირონი არიან ჩვენთვინ კიდევ სხვა მასწავლებელნი? განა უმჯობესი არ იქნება მკვდარი წიგნების ბაგიერ გადავშალოთ ბუნების ცხოველი წიგნი, რომელშიაც გაცილებით უფრო ბევრს დავინახავთ, ვინემ სხვა გვიანბობს რასმე?

კომენსკის ჰსურდა, პირველად, მოსწავლეთა ჭკუა-გონება მიემართნა მატერიალური საგნების შესწავლისკენ; შემდეგ მას სურდა, რომ მათი ცოდნანი დამყარებულნი ყოფილიყვნენ მათ გარეგან გრძნობათა მოწმობაზე; დაიდვა რა საფუძვლად ორი წინადადება, იგი ენერგიულად წინააღუდგა სიტყვიერ რეალიზმს, რომელიც გამეფებული იყო მაშინდელ სკოლებში; „სკოლა, ამბობს კომენსკი, კი არ უნდა არწმუნებდეს, არამედ უნდა უმტკიცებდეს; ცარიელი სიტყვების რახარუხს კი არ უნდა აჩვევდეს ახალგაზრდობას, არამედ ასწავლიდეს საგნების ყოველმხრივ აწონ-დაწონას და გასინჯვას; დასასრულ, სკოლაში ახალგაზრდობა უნდა შეეჩვიოს იქონიოს ყოველისფერზე საკუთარი აზრი და შეხედულობა და ყოველისფერი თვითვე გამოსცადოს". თანაბრად საში-

შია, როგორც—არისტოტელის აზრი: „Dicentem oportet credere“ (მოსწავლეს უნდა სწამდეს), ისე პითაგორის სიტყვები: „Ipse dixet“ (მასწავლებელმა ასე სთქვა). მივმართავთ რა ცოდნისათვის პირდაპირ თვით ბუნებას, ჩვენ მაინც ვსაჭიროებთ გამოცდილ მასწავლებლებში, რადგან შეუძლებელია ცოდნის შეძენა, თუ არ მივმართავთ იმ გონივრულ სალაროს, რომელიც მთელი საუკუნოებით შენდება.

როგორც იეზუიტები აღიარებდნენ ლათინურ ენას საეკკლესიო ენად, ისე კომენსკის სურდა გაეხადა იგი მთელ-კაცობრიობის საერთო ენად; ამით მას უნდოდა მოესპო ძნელი და ყმაწვილებისთვის მავნებელი მრავალ ენათა შესწავლა და გაეადვილებინა ყოველ ეროვნობის განათლებულ პირებისათვის ერთმანერთთან დამოკიდებულება და მიწერ-მოწერა; მაგრამ ამავე დროს კომენსკი დიდად არ აზვიადებდა ლათინური ენის მნიშვნელობას და თხოულობდა, რომ სკოლაში ყველა საგნები სამშობლო ენაზე ესწავლებინათ.

როგორც ნამდვილი ქრისტიანი, კომენსკი თხოულობდა, რომ სწავლას ჰქონოდა ქრისტიანული ხასიათი და მიმართულება. «ჩვენი მეცნიერთა უმეტესობა, ამბობს იგი, ღვთის მეტყველთა შორისაც კი, მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები; თავიანთ შეხედულობას და პრინციპებს კი ძენულობენ იგინი არისტოტელ და სხვა ძველ ფილოსოფოსებიდგან». იგი ცდილობდა განედევნა სკოლიდგან იქ გაბატონებული ძველი საბერძნეთის და რომის ლიტერატურა; მან სცადა სოფოკლი და ციცერონი შეეცვალა თავის მიერ შედგენილი სახელ-მძღვანელოებით, მაგრამ მათში თუმცა მეტი რეალური სწავლა მოიპოვებოდა, ვინემ ძველ კლასიკთა თხუზულებებში, მაინც ეს უკანასკნელნი უფრო დიდხანს იყვნენ ხმარებაში, ვინემ მისი სახელმძღვანელონი.—კომენსკის თანა-

მედროვეთ ვერ მოეხერხებინათ ლათინური ენის მონური თაყვანისცემიდგან განთავისუფლება, რომელიც აღორძინების ეპოქის მიერ ჰქონდათ მათ ნაანდერძევი; მათ ვერ მოახერხეს კომენსკის გაცნობა და დაფასება; იგინი მას მხოლოდ ახალი მეთოდის გამომგონებლად სთვლიდნენ; კომენსკის სურდა აღეზარდა კაცი, როგორც საქმეო, ისე საიქიო ცხოვრებისათვის, მისი მეგობრები კი, მათ შორის ოქსენ შტიერნიც, ჰგონებდნენ, რომ უმთავრეს მის მიზნად უნდა ყოფილიყო ლათინური ენის შესწავლის ძველი უვარგისი მეთოდის შესწავლა; ამ ნაირად კომენსკი თანამედროვეთ მიერ ძალიან ნაკლებ იქმნა გაგებული. მისი პედაგოგიური თხუზულებანი: „Janoo, Vestibulum და თვით შესანიშნავი Orbis pictus მალე მივიწყებულ იქმნენ სკოლებში. რა იყო ამის მიზეზი?

კომენსკი ერთობ აზვიადებდა ცოდნათა მნიშვნელობას და მის შემთვისებელ კეცის ჭკუა-გონების ძალღონეს. მას ყველა საგნების ცოდნა „ღვთაებრივ იდეათ“ მიაჩნდა; ამნაირი შეხედულობის წყალობით თავის სამოსწავლო გეგმის შედგენის დროს დაადგა ბრუნდე გზას და კარგა ხანმა განვლო, ვინემ შეიგნებდა იგი თავის შეცდომას.

თავის «orbis pictus» შესახებ კომენსკი ამბობს, რომ ამ პატარა წიგნმა თავის მოკლე შინაარსით უნდა გაგვაცნოს მთელი ქვეყანა და ლათინური ენაო. მოხუცებაში უკვე დარწმუნდა, რომ თავის სახელმძღვანელოზე ძალიან ბევრს ჰფიქრობდა და ბევრს გამოელოდა მისგან, და დასთანხმდა, რომ სენეკა მართალი იყო, როცა ამბობდა: „უმჯობესია კაცმა იცოდეს ცოტა საგნები, მაგრამ შეეძლოს კი მათი კარგათ მოხმარება, ვინემ ბევრი საგნები, თუ მათ ხმარებას ვერ მოახერხებს და სასარგებლოდ ვერ გამოიყენებს?!.

კომენსკის შემდეგაც მრავალ პედაგოგთა უნაყოფო

მოქმედების მიზეზი იყო მათი გარდამეტებითი მეცადინეობა—რაც შეიძლება ბლომა ცოდნა-სწავლა გარდაეცათ ახალგაზრდობისათვის. ჯერ კიდევ ისე დაშორებული არ არის ის დრო, როდესაც „ძველი სკოლის“ მასწავლებლები, რომელნიც, შესაძლებელია ზოგიერთ ჩვენთაგანს კიდევ ახსოვდეთ, თხოულობდნენ, რომ ყმაწვილებს, გარდა ლათინური და ბერძნული ენებისა არაფერი არ ესწავლათ; მათი მოადგილენი კი იმ აზრისა იყვნენ, რომ ყმაწვილებისათვის ყოველისფერი საჭირო იყო, გარდა ბერძნული და ლათინური გრამატიკებისა. უკანასკნელი შეცდომა ვგონებ უფრო საზარალო იყო, ვინემ პირველი; აღზრდა იმაში კი არ მდგომარეობსო, ამბობს რუსკინი, რომ ყმაწვილებს ვასწავლოთ, ის, რაც არ იციან, არამედ იმაში, რომ ვასწავლოთ—ისე მოიქცნენ და იმოქმედონ, როგორც არ იქცევიანო; ჩვენ იმ ცოდნით კი არ ვზომავთ აღზრდას, რომელიც გამოაქვთ ყმაწვილებს სკოლიდგან, არამედ მათი ხასიათით, გონებით და ინტერესით.

მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს, როდესაც პედაგოგებმა მტკიცედ შეიგნეს თავიანთი მაღალი და ფართო დანიშნულება, დაუთმეს კომენსკის თხუზულებათ სწავლა-აღზრდის ისტორიაში ჯეროვანი ადგილი. კომენსკიმ პირველმა მოითხოვა ყველასათვის, განურჩევლად წოდებისა და სქესისა, თანაბარი გაანათლება, მან პირველმა დაამყარა სწავლა-აღზრდა ღვთისგან მიღებულ ნიჭთა განვითარებაზე და მით პირველმა მტკიცეთ ჩაყარა საფუძველი თანამედროვე სწავლა-აღზრდის მეცნიერებისა.

ა. ტატუნაშვილი.

დედები შესანიშნავ ადამიანებისა.

მარკ ავრელიო

(121—180 წ. ქრის. დაბადების შემდეგ).

„როდესაც ამ ხელმწიფეზედ ლაპარაკობთ, ძალაუნებურად გრძნობ რაღაც კმაყოფილებასა“-ო,—სთქვა მონტესკიომ. მერმე „რომის დიდების და დამხობის“ ავტორი განაგრძობს: „შეუძლებელია, რომ მისი ცხოვრების კითხვის დროს სულის და გულის სიმშვიდე არ იპოვო“-ო. „განსაკუთრებით მაშინ იგრძნობ სულის სიმშვიდეს, როცა რომის ისტორიის გადათვალიერების შემდეგ, სადაც აწერილია ტიბერიების, ნერონების და დომიციანების დრო, მიაღწევთ ანტონიების მეფობას და განსაკუთრებით მარკ ავრელიოსის ისტორიას, ე. ი. იმ გვამის ცხოვრების აღწერას, რომელსაც მუდამ „ბრძენი“ ეწოდება. მარკ ავრელიომ გაითქვა სასელი არა თუ თავის მოქმედებით, არამედ მშვენიერის თვისებებით, რომე-

ლნიც შეადგენენ ეოველი პატიოსანი კაცისა და მოქალაქის ძირითად თვისებებს. მის შესახებ ხშირათ იტყოდნენ პლატონის შემდეგ სიტყვებს: „რა ბედნიერნი იქნებოდნენ ხალხნი, რომ მეფეებად ფილოსოფოსნი პყავდე..“-ო.

მარკ ავრელიომ პატარაობიდანვე აძცნო მის ახლო მყოფთ თუ რა მომავალი მოელოდა მას; როგორც ემაწვილს, მას ეველა დიდის ქებით ისსენიებდა. მამას ასეთი შესანიშნავი კაცის აღზრდაში მონაწილეობა თითქმის არ მიუღია. ის მოკვდა შვილის ბავშვობის დროს, ასე რომ მარკ ავრელიოსს მამის არაფერი არ ახსოვდა. დედა მისი, დომიცია, დიდის გულმოდგინებით შეუდგა შვილის აზრდას: ის იყო რომაელის ერთი საზელ განთქმული ოჯახის შვილი. მამა მისი და ბაბუა ორჯელ კონსულებად იყვნენ. თვითონ დომიცია იყო ღვთის მოყვარული, კეთილი და წესარი ადამიანი, ჭქონდა გამბედავი და შეუდრეკელი ხასიათი.

ჭკვიანი დომიცია ცდილობდა, რომ ეჩვენებინა კარგი მაგალითები იმისათვის, ვისაც მეფობა მოელოდა. ის დარწმუნებული იყო, რომ კარგ საზოგადოებაში ყოფნა მისს შვილს დიდს სარგებლობას მოუტანდა და ბავშვობიდანვე კარგ თვისებებს ჩაუნერგავდა გულში. ამ მოსაზრებით მან

შვილი სკოლაში არ გააბარა; ის ზრდიდა მას სახლში და მის გარშემო მუდამ ფილოსოფოსები, ნასწავლები და ორატორები იყვნენ. არც საუცხოო ხელოვნებანი იყო მარკ ავრელიოსის აღზრდის დროს დავიწყებული: მუსიკას და მხატვრობას მას შესანიშნავი კლასიკები ასწავლიდნენ. მისი აღზრდა იყო ყოვლისმხრივი,—მას ასწავლიდნენ ყველა იმ საგნებს, რომელნიც მოითხოვებოდა მაშინდელ საზოგადოებაში. რადგან მარკ ავრელიოსს კარგი მასწავლებლები ჰყავდა, ის ძალიან ჩქარა მიდიოდა სწავლაში წინ; განსაკუთრებით მას ფილოსოფია აინტერესებდა. მისი ახალგაზდა სული, როგორც ზღვა, ისე ღელავდა ბრუტის, კატონის, ტრაზეასისა და სხვა შესანიშნავ რომაელების მოგონების დროს, რომლების წაბაძვას ის მუდამ ცდილობდ. ახალგაზდა მარკ-ავრელიო გაიტაცა სტოიკების სწავლამ და მან გადაწყვიტა ეცხოვრა ისე, როგორც ისინი ცხოვრობდნენ. უცებ თორმეტის წლის ფილოსოფოსმა შეიძულა მორთულობა, ფუფუნება, იცვამდა უბრალო წამოსასხამს და როგორც მისს მოძღვრებს, ეძინა იატაკზედ. დედა ცდილობდა, რომ რაძე ნაირათ შეეცვალა მისი ასეთი ცხოვრება, მარა, გარდა იმისა, რომ შვილი იატაკზედ წოლის მაგივრათ ცხო-

ველების ტყავზედ დაწოლას დაეთანხმა, სხვა ვერაფერს გახდა.

მარკ ავრელიო მალე შეიქნა სერიოზული და მკაცრი ადამიანი. სწორეთ დიდათ გასაკვირველია ახალგაზრდა კაცის ასეთი სიმართლის სიყვარული; არისტიდეს მსგავსად ის ხუმრობითაც სულ მცირე ტყუილსაც არ იტყოდა. მარკ ავრელიოსის ამ თვისების შესახებ აი რა ანეკდოტია დარჩომილი: მას სიყმაწვილეში მისი წინაპარის სახელს „Warus"-ს (მართალს) ეძახდნენ. მეფე ადრიანმა, რომელიც გაკვირვა ბავშვის გულახდილობამ და პატიოსნებამ, ხუმრობით უწოდა მას „Werissimus" (ძალიან მართალი). ადრიანს ძალიან შეუყვარდა მარკ-ავრელიო და დიდი პატივისცემა აღმოუჩინა: ექვსის წლის რომ შეიქმნა, ცხენოსანთა რაზმში ჩანიშნა, ხოლო რვა წელი რომ შეუსრულდა, ის იმდანათ სერიოზული ბავშვათ იცნო, რომ ქურუმების ტაძარში მისცა. ახალგაზდა მარკ ავრელიო იქ უმთავრეს მეშუსიკედ იყო და ღებულობდა მონაწილეობას რელიგიურ პროცესიებში. ამ ნაირათ ის იზრდებოდა ღვთის მოყვარულთა და ფილოსოფოსთა წრეში.

მხოლოდ ედთად-ერთი ნაკლი ჰქონდა მარკ ავრელიოსს, თუ ეს ნაკლად ჩაითვლება, რადგანაც, ვინ იცის, რამდენი დედა იქნებოდა იყდნი

ერი, რომ ეს ნაკლი მათს შვილებსაც ჰქონდეთ! ეს ის ნაკლი გახლდათ, რომ მარკ ავრელიოსს გარდაძეტებით უყვარდა შრომა და ცოდნის შესაძენად მას ვერაფერი შეუშლიდა ხელს. დედას ეშინოდა, რომ მას, ისედაც სუსტი აგებულება, უფრო არ დაესუსტებია; მასწავლებელიც ბევრს ცდილობდა ამა'ხედ და ძალათ ასვენებდა მოსწავლეს. ამის შესახებ მარკ ავრეტიომ შემდეგი სიტყვები დასწერა: „მე არ მმინავს, მარა კი ვეცდები დავიძინო, რომ შენ არ გაგაჯავრო დედა ჩემოვო“! ეჭვი არაა, რომ ამის მთქმელი დილით ადრე დგებოდა; და მართლაც ის დილის ოთს საათზედ ადგარი იყო. შემდეგ, როცა ის მეფედ გახდა, ეს ჩვეულება მაშინაც ჰქონდა და თავის წასაქეზებლათ თავის თსუზულებიდგან, რომელზედაც ქვევით ვილაპარაკებთ, იმეორებდა შემდეგ წინადადებას: „დილით, როცა გეზარება ადგომა, მაშინვე უთსარი შენს თავს: „მე გავიღვიძე იმისთვის, რომ ვიმუშავო, ვაკეთო რაძე საქმე; განა მე იმისათვის ვარ დაბადებული, რომ თბილ საბანში ვიგორო?“ რაძდენ მოწაფეს და მოზრდილებსაც არგებთ ამ შესანიშნავ ხელმწიფის წაბაძვა!

მიუხედავათ იმისა, რომ მარკ ავრელიოსს ასალგაზრდობაში ჰყავდა დედის გარდა სხვა მასწავლებლებიც, ის მაინც მას დიდის მადლობით

და მოწიწებით ისსენიებდა. ფილოსოფიის მასწავლებელი არ მოსწონდა მისს დედას და თვითონ შეუდგა შვილის სწავლებას და ამ გზით განავითარა შვილის შშვენიერი ინსტიკტები. დედის სიტკვებმა და მუსაიფმა დიდი გავლენა იქონიეს მარკ ავრელიოსზედ. ის მაშინ იყო ბედნიერი, როცა თავის „პატარა დედასთან“ იყო (დედას ასე ეძახდა ავრელიო). დიდათ საეურადღებოა მარკ ავრელიოს მიერ დღის აღწერა და სხვა და სხვა მეცადინეობისათვის დროს მიჩენა აბალგაზრდობის დროს. სოფელში აღზრდილი, ფუფუნებას შეუჩვეველი, ის ბევრ დროს ანდომებდა ფიზიკურ ვარჯიშობას, დადიოდა ცხენზედ შეძჯდარი, ნადირობდა, თევზაობდა და სხვა. ამ დროს მას ეოველთვის ახლდა რაძოდენიმე მეგობარი. ჭკვა-გონების სერიოზული მიმართულება მას ხელს არ უშლიდა აბალგაზრდა ადამიანის შესაფერ დროს გატარებაში. მას ძალიან უყვარდა გახალისება და გათამაშება.

თუმცა დროს გატარება და გახალისება ძალიან უყვარდა მარკ ავრელიოსს, ის მაინც ერთხელ მიღებულ ცხოვრების წესრიგს არ იცვლიდა და გულ მოდგინედ ასრულებდა მას. აი, ამის შესახებ რას სწერს ის თავის ერთს წერილში: „როგორ ფიქრობ, შენ, რით გავმეხი მე

სადილათ? მე გავძეხი ერთი ნაჭერი ჰურით, რო-
ცა სხვები მშვენიერ საჭმელებს გემრიელათ შექ-
ცეოდნენ". ამის შემდეგ ის ასე ასწერს თავის
დროს გატარებას: „ჩვენ შევუდექით ეურმნის კრე-
ფას, ეურს ვუგდებდით გლესების ლაპარაკს და
გვარიანათ შეოფლიანების შემდეგ დავბრუნდით
სახლში; ამის შემდეგ მე სწავლას შევუდექი და
მერმეთ დიდხანს ვემუსაიფებოდი ჩემს „პატარა დე-
დას", რომელიც ლოგინში იწვა.

მარკ ავრელიომ დასწერა წიგნი „ანრეი"
და ეოფა-ქცევისათვის სახელმძღვანელო, რომელ-
ში ამოქცეულია უმაღლესი დარიგებანი, უსულგრ-
ძელესი გრძნობანი და სხვა და სხვანაირი რჩევანი,
რომელნიც დაუტოვა მან კაცობრიობას და რომე-
ლნიც მოკლეთ და ხიჭიერათ არის წარმოთქმული.
ამ შესანიშნავ თხზულებაში ის დიდის მოწიწებით
იგონებს თავის ბაბუას, მამას და დედას; დიდის
კმაყოფილებით იხსენიებს ის თავის სიყმაწვილეს
და არჩევს, თუ ვის რა ღვაწლი მიუძღვის მის
აღზრდაში. მას თავი არ მოსწონს თავის საქმი-
ანობით და ჭკვიანობით, ის აწერს ამეებს თავის
ნათესავებს და აღმზრდელებს; ის ამბობ[1], რომ
მე მათს მაგალითს ვბაძავდიო. ხწორეთ კიდ აღ-
ფრთოვანებაში მოხვალთ, როცა თქვენ ამ თხუ-
ზულების დასაწყისს წაიკითხავთ; ის აქ კეთილ-

შობილურის სიმართლით ლაპარაკობს, რომ ჩემის ოთახქვევით მინდა მხოლოთ დედაჩემს დავემსგავსოვო. ის ამბობს, რომ მე არა თუ არ მინდა სიბოროტე ჩავიდინო, არამედ მის გახსენებასაც გავურბივარო; ეს დედაჩემის მაგალითით მჯერსო. როცა სიტყვა ჩამოვარდებოდა ღმერთების პატივისცემაზედ, უხვობაზედ, ადამიანისგან თავის შეკავებაზედ და ზომიერებაზედ, ის აქაც თავის დედის მაგალითით ხელმძღვანელობდა. „კეთილ მორწმუნე და კეთილ მოძმედ ქალს“ უწოდებს მას შვილი.

ფილოსოფიურმა მიმართულებამ ვერ დაახლუნგა ავრელიოსის გრძნობანი და სულის ბუნებრივი თვისებანი. შეიძლებოდა მოგვიყვანა კიდევ ბევრი მაგალითები, მარა მოხსენებულიც საკმაოა. ამის ქვემოთ მოხსენებული შემთხვევა ამტკიცებს, რომ დედის გულის ვარდი შვილი იყო, ავრეთვე შვილების მოყვარული მამა. ის სწერს: „მე თავს არა ვგრძნობ კარგად, რადგან დღეს ავდარია, მარა, როცა ჩემი ქალები კარგათ არიან, მე თითქოს არ ვიტანჯები და ამინდიც გაბრწყინდება ხოლმე“.

მარკ ავრელიომ არათუ მარტო დედის აღხრდა დაუფასა ღირსეულათ და პატივი სცა მას, არც თავისი აღმზრდელები არ დაუვიწყებია.

მან ყველა დიდის მადლობით და ღირსებით მოიხსენია; მვირია ისეთი მოსწავლე, რომელიც, მარკ ავრელიოსის მსგავსად, თავის მასწავლებელს მეგელს დაუდგავს საფლავზედ, მათს ოქროს ბიუსტებს გააკეთებინებს და ეოველ წლიე საფლავს უკურთხებინებს მათ. მარკ ავრელიომ ისეთი ერმა შთაბეჭდილება დაირჩინა თავის აღმზრდელებისგან და მის ახლო მეოფველებისგან, რომ ხელმწიფედ ეოფნის დროს ბევრი მათგანი დაიახლოვა. ერთ მათგანთან მას დიდი მიწერ-მოწერაც ჰქონდა, რომელიც შემდეგ შესანიშნავი შეიქნა. ეს კაცი იეო ფრონტონი.

მარკ ავრელიოსის ასეთი მოქმედება ცხადათ აძტკიცებს, რომ ის დიდათ აფასებდა აღზრდას. ის აღზრდას ყველაფერზედ მაღლა აყენებდა და ამბობდა, რომ ადამიანმა იმის შესაძენათ არაფერი არ უნდა დაზოგოსო. ის ისე გაიტაცეს ასეთმა აზრებმა, რომ თავის ცხოვრების განმავლობაში მუდამ ცდილობდა შეეთვისებია ის თვისებანი, რომელნიც მას მოსწონდა თავის აღმზრდელებში და ცდილობდა მოქცეულიეო ისე, როგორც იქცეოდა მისი სულგრძელი და კეთილმეოფელი დედა. მარა ყველაზედ საკვირველი ის არის, რომ მან მთელ თავის სიცოცხლეში შეირჩინა ახალგაზრდობის ხნე-ხასიათი. ის იეო კეთილი, მო-

ქცევაში უბრალო, და ყველას ძალიან პატივისცემით ეგებებოდა; მას სძულდა კარგი საჭმელები, ფუფუნება, ძდიდრულათ მორთული სახლები და უმნიშვნელო გართობანი. მას გაგიქებით უყვარდა შრომა, მარა ხან ძალითაც ისვენებდა: ის შეუდგებოდა წიგნების კითხვას, ან საჯირითოდ წავიდოდა. შემდეგში მისგან გადმოჩქეფა შესანიმნავმა მისმა ნიჭმა, ძალამ გრძნობამ და კეთილშობილურმა ძისწრაფებამ, რომლებიც ჩაესახა მას ბავშვობის დროს. მისი მეფობა შეიძლება დავახასიათოთ შემდეგი წინადადებით: „ეს იყო გვირგვინით მოსილი ირძენი“.

ჩემო მკითხველო! რა შორსა ვართ ჩვენ ნერონზედ, რომელსაც დედა ეუბნებოდა: „რა შენი საქმეა სერიოზული მეცადინეობა! ფილოსოფოსობა ძხოლოდ ხელს უშლის ხელმწიფესაო“.

საეურადღებო ის არის, რომ დიდებული მარკ ავრელიოსის ულირსი შვილი, ძკაცური კომშოდი, ისეთი ხნედაცემული გაძოდგა, როგორიც იყო ნერონი. მარა აქ გასაკვირველი არაფერია! რა შვილი უნდა აღეზარდა მარკ ავრელიოსის გარეგნილ-გაფუჭებულ მეუღლეს ფაუსტინეს?

ამ ნაირათ, ეს ორი ძაგალითი ცხადათ გვიმტკიცებს, თუ რა შედეგი აქვს კარგი დედის აღზრდას და ცუდისას. და მართლაც და შვილი

უნდა აღსარდოს იმ დედამ, რომელსაც არა აქვს მაღალი, კეთილშობილური გრძნობანი და ეკეკლესფერი ის, რაც ამაღლებს ადამიანს?! ნუ თუ მართალი არ არის ინგლისელი მორალისტის შემდეგი სიტყვები: „როცა ჩვენ დედებს ვზრდით, მაშინ მათ შვილებსაც ვზრდით,—როცა ჩვენ დედებს სულით ვამაღლებთ, მაშინ მათ შვილებსაც ამასვე ვუნერგავთ“.

ჩვენ მოვიყვანთ აქ მარკ ავრელიოსის სიტყვით დასახელებული თხუზულებიდან რამოდენიმე ასრეს:

„სიცოცხლე მოკლეა; ცხოვრების ერთად-ერთი ნაყოფი ის არის, რომ კაცმა უნდა ეცადოს თავისი სული წმიდათ, უმწიკვლოთ შეინახოს და თავის მოქმედებით საზოგადოებას სარგებლობა მოუტანოს“.

„იყავ უბრალო, კეთილი, უძანკო, ნამუსიანი, ამპარტავნობის მტერი, სიმართლის დამცველი; გიყვარდეს ღმერთი, ეკეკლესათვის კარგი გსურდეს, კაცური კაცი იყავ და შენი მოვალეობანი მოთხოვნისამებრ შეუდრკელათ ასრულე“.

„გიყვარდეს კაცობრიობა ჭეშმარიტის სიყვარულით. როცა სხვებს კარგს მიაგებ, ამით შენს თავსაც კარგს მიაგებ.

„კაცი, როცა ერთ რამე კარგ საქმეს იზამს, მაშინვე მეორის შესრულებას უნდა შეუდგეს ვა-

ქცევაში უბრალო, და ყველას ძალიან პატივისცემით ეგებებოდა; მას სძულდა კარგი საჭმელები, ფუფუნება, მდიდრულათ მორთული სახლები და უმნიშვნელო გართობანი. მას გაგიჟებით უყვარდა შრომა, მარა ხან ძალითაც ისვენებდა: ის შეუდგებოდა წიგნების კითხვას, ან საჯირითოდ წავიდოდა. შემდეგში მისგან გადმოჩქეფა შესანიშნავმა მისმა ნიჭმა, ძალამ გრძნობამ და კეთილშობილურმა მისწრაფებამ, რომლებიც ჩაესახა მას ბავშვობის დროს. მისი მეფობა შეიძლება დავახასიათოთ შემდეგი წინადადებით: „ეს იყო გვირგვინით მოსილი ბრძენი“.

ჩემო მკითხველო! რა შორსა ვართ ჩვენ ნერონზედ, რომელსაც დედა ეუბნებოდა: „რა შენი საქმეა სყრიოსული მეცადინეობა! ფილოსოფოსობა მხოლოდ ხელს უშლის ხელმწიფესაო“.

საყურადღებო ის არის, რომ დიდებული მარკ ავრელიოსის ულირსი შვილი, მკაცრი კომმოდი, ისეთი ‘ხნეადაცემული გამოდგა, როგორიც იყო ნერონი. მარა აქ გასაკვირველი არაფერია! რა შვილი უნდა აღეზარდა მარკ ავრელიოსის გარეგნილ-გაფუჭებულ მეუღლეს ფაუსტინეს?

ამ ნაირათ, ეს ორი მაგალითი ცხადათ გვიმტკიცებს. თუ რა შედეგი აქვს კარგი დედის აღზრდას და ცუდისას. და მართლაც და შვილი

უნდა აღზარდოს იმ დედამ, რომელსაც არა აქვს მადალი, კეთილშობილური გრძნობანი და ეკვლა-ფერი ის, რაც ამაღლებს ადამიანს?! ნუ თუ მა-რთალი არ არის ინგლისელი მორალისტის შე-მდეგი სიტყვები: „როცა ჩვენ დედებს ვზრდით, მაშინ მათ შვილებსაც ვზრდით,—როცა ჩვენ დე-დებს სულით ვამაღლებთ, მაშინ მათ შვილებსაც ამასვე ვუნერგავთ“.

ჩვენ მოვიყვანთ აქ მარკ ავრელიოსის ზეკით დასახელებულ თხუზულებიდან რამოდენიმე ასრს:

„სიცოცხლე მოკლეა; ცხოვრების ერთად-ერ-თი ნაყოფი ის არის, რომ კაცმა უნდა ეცადოს თავისი სული წმიდათ, უმწიკვლოთ შეინახოს და თავის მოქმედებით საზოგადოებას სარგებლობა მოუტანოს“.

„იყავ უბრალო, კეთილი, უძანკო, ნამუსი-ანი, ამპარტავნობის მტერი, სიმართლის დამცვე-ლი; გიყვარდეს ღმერთი, ეკვლასათვის კარგი გსურდეს, კაცური კაცი იყავ და შენი მოვალეო-ბანი მოთხოვნისამებრ შეუდრკელათ ასრულე“.

„გიყვარდეს კაცობრიობა ჭეშმარიტის სიყვა-რულით. როცა სხვებს კარგს მიაგებ, ამით შენს თავსაც კარგს მიაგებ.

„კაცი, როცა ერთ რამე კარგ საქმეს იზამს, მაშინვე მეორის შესრულებას უნდა შეუდგეს ვა-

ზის მსგავსათ, რომელსაც იმ წელსავე უნდა მეორეთ მოიტანოს ნაყოფი.

,,ყოველი შენი სიტყვა იყოს მართალი.

,,ჭრუ სიწყნარე არის გადაუტანელი აძვარტავნობის ნიშანი.

,,ის, რაც სკას ავნებს, ფუტკრისათვისაც არ იქნება კარგი.

,,ათასი სხვა გარეშეა არის, რომელზედაც შეგიძლიანთ იქონიოთ მსჯელობა, ვიდრე სხვისი ნაკლი არჩიოთ.

,,ძიტვეგება ძარტო არაა საკმარისი, უნდა გიყვარდეს კიდეც შენი გაძლანძღველი''

.ვ. ბალაქიაშვილი.

აღზრდა ადამიანის ხასიათის.

რობერტ ოვენისა *).

წერილი მესამე.

ყოველი კეთილ-გონიერი კაცი ხედავს, რომ კაცობრიობის აღზრდის საქმე ისე მიდის, რომ თეორია მთლად ეწინააღმდეგება პრაქტიკას. აქედგან წარმოსდგებიან ის უგუნურება და შეუსაბამობა, რომლებსაც თვითეული ადვილად ამჩნევს თავისს ბოყვასს და იმას კი აღარ ფიქრობს, რომ თვითონაც წილი უდევს ასეთსავე უგუნურებაში. სკოლა, სამკითხველო-დარბაზი და საყდარი ააშენეს იმიტომ, რომ წინააღსდგომოდნენ და გაექარვებინათ ეს ბოროტება და კიდევ იმიტომ, რომ დაემტკიცებინათ, თუ რა უთვალავ სარგებლობას მიიღებს საზოგადოება, თუ თეორია და პრაქტიკა სრულებით შეეთანხმებიან ერთმანეთს. მაღლითა სართული ახალი დაწესებულებისა დანიშნული იყო სკოლისა, სამკი-

*) ახ. „ბოგზაური“ № 9—10, 1903 წ.

თხველო დარბაზისა და საყდრისათვის, რომლებსაც უნდა პირდაპირი გავლენა ჰქონოდათ დასახელებულთა ხასიათის აღზრდაზედ.

ცოტა სიკეთეს შესძენთ ხალხს, თუ შევასწავლეთ: «ჯერ ერთი, ახლა მეორე კანონი; ჯერ ერთი, ახლა მეორე სტრიქონი», და ყურადღებას კი არ მივაქცევთ საშუალებახ, რომლის შემწეობითაც უნდა აღვზარდოთ მათში კარგი პრაქტიკული ჩვეულებანი. ამიტომ უსწავლელების, ან ცუდად ნასწავლების აღზრდა შეადგენს უმთავრეს საგანს საზოგადოების კეთილდღეობისას. ასეთი გონიერი აღზრდით ხელმძღვანელობდნენ ყოველ განკარგულების დროს, რომელსაც კი კავშირი ჰქონდა ახალ ინსტიტუტთან.

სასწავლებელში ყოფნის დროს გონიერ აღმზრდელების ხელმძღვანელობით ბავშვებისთვის სათამაშოდ დანიშნულ დროს შეიძლება განუვითარონ იმათ ისეთი გრძნობები, რომლებიც წარმოშობენ როგორც იმათს, ისე მთელი საზოგადოების ბედნიერებას. აი ამისი შესაბამი კანონიც: მარტო ორი წლის ბავშვებს კი არ უნდა ეუბნებოდნენ, რომ ეცადნენ თავიანთ ამხანაგების გაბედნიერებას, უფრო დაჟინებით უნდა უმეორებდნენ ამას ბავშვებს სასწავლებელში შესვლის დროს. მასწავლებლების და აღმზრდელების პირველ მოვალეობას შეადგენს შეაჩვიონ ბავშვები ამ საფუძველის პრაქტიკაზედ შეთვისებას. ამ უბრალო კანონის ნათელი და თვალსაჩინო საფუძვლების ახსნა შეიძლება ძალიან პატარა ბავშვებისთვისაც კი.

თანდათან მერე ისინი გაიცნობენ იმას პრაქტიკაზედ, გამოსცდიან მის კეთილმყოფელ ნაყოფის თვისებას თავიანთ თავზედ და უკეთ იგრძნობენ და გაიგებენ საზოგადოებისთვის ყველა მის დიდ მნიშვნელობას.

აი კაცობრიობის ხასიათის აღზრდის საფუძვლები,

რომლებსაც უნდა იძლეოდეს სკოლა. გადავშიტ̆ჯოთ ახლა ახალი ინსტიტუტის და მისი დანარჩენი ნაწილების დანიშნულება და პრინციპები. ზემოხსენებულ ძირითად კანონის ბავშვებში დანერგვის გარდა, იმათ ასწავლიან სკოლაში წერა-კითხვას, წაკითხულის გაგებას და ცდილობენ, რომ ბავშვები სწერდნენ გარკვევით და კარგად. იმათ აცნობებენ ანგარიშის ძირითად კანონებს. ამას გარდა ქალებს ასწავლიან ჩვეულებრივი შინაური ტანსაცმელის ჭრა-კერვას. რაწამსაც მიხვდებიან ისინი ყველა ამას, ახლა ჰგზავნიან იმათ საზოგადო სამზვარეულოში და სასადილოში, სადაც ისინი სწავლობენ საღი საჭმლის ეკონომიურად მომზადებას და სახლის სუფთად და რიგზედ შენახვას.

ეს იყო ეხლა ვთქვით, რომ ბავშვებს კითხვას ასწავლიან კარგად და ამასთანავე ცდილობენ წაკითხულის შეგნებას.

ბევრს სკოლებში ღარიბ დი მუშათა წოდების ხალხის ბავშვებს თავის დღეში არ ასწავლიან წაკითხულის შეგნებას, და ამიტომ ის დრო, რომელიც სწავლას ხმარდება, უკეთ რომ ვსთქვათ, სწავლის დაცინვას,—სრულებით დაკარგულია. სხვა სკოლებში მასწავლებლების გაუგებრობის გამო ასწავლიან ერწმუნონ სიტყვებს და ყურადღებას არ აქცევენ მსჯელობას და ამიტომ ბავშვები გადაეჩვევიან ხოლმე აზროვნებას და მართლმსჯელობას. ასეთ საბრალო აღზრდის წესს არ შეუძლიან არ დაამოროს ახალგაზრდობის ჭკუა ძალიან უბრალო, ნათელ და გონიერ განათლებასაც კი.

ის წიგნები, რომლებითაც ახლა ბავშვებს ასწავლიან, აძლევენ იმათ ყოველნაირ ცოდნას, გარდა იმათ ჰასაკის არა საჭიროსა; აქედგან წარმოსდგება შეუსაბამობა და სიტუტუცე მოზრდილებისა. დრო არის დავაგდოთ ეს წესი. განა შეუძლიან ტვინშეურყეველ კაცს შეად-

გინოს მსჯელობა რომელიმე საგანზედ, ვიდრე არ შეუკრებია ყველა ფაქტები, რომლებიც მას ეკუთვნიან? ცოდნის მისაღწევად განა ეს ერთად-ერთი გზა არ არის? ბავშვებიც ამავე საფუძვლებზედ უნდა იზრდებოდნენ: პირველათ იმათ ფაქტები უნდა გავაცნოთ; უნდა დაიწყოთ იმ ფაქტებიდგან, რომლებსაც უფრო იცნობს მათი ნორჩი გონება და შემდეგ თანდათან უნდა შევასწავლოთ ყველაზეც საჭირო და სასარგებლო ფაქტები იმისდა მიხედვით, თუ როგორი ადგილი იჭირებათ მათ ცხოვრებაში.

მაინც და მაინც ბავშვებს უნდა მიეცეს ნათელი ცნება თვითეული ფაქტისა, რავდენადაც კი შეუძლიან ამის მიღება იმათ ნორჩ ჭკუასა. რავდენადაც ჭკუას ძალა და მსჯელობის ნიჭი მოემატება, იმდენად ვრცლად უნდა უხსნიდნენ ბავშვებს.

რაწამსაც ნორჩი ჭკუა საკმაოდ იქნება მომზადებული, მასწავლებელმა უნდა ისარგებლოს ყოველი მარჯვე შემთხვევით და აუხსნას მას პირდაპირი და დაურღვეველი კავშირი კერძო პირის და მთელი საზოგადოების ბედნიერების და სარგებლობათა შორის. ეს კანონი უნდა დაედოს ძირითად კანონად და მიზნად ყოველ განათლებას.

შეგირდები წელნელა მთლად შეითვისებენ იმას, და ამ კანონის ჭეშმარიტება ეჩვენებათ იმდენად ნათლად, რავდენადაც ნათელნი არიან ევკლიდის დასკვნანი მათემატიკის მცოდნეთათვის. მაშინ ბედნიერების სურვილი, ეს საზოგადო პრინციპი ცხოვრებისა, აიძულებს იმათ ვაჟკაცობის დროსაც მისდიონ ზემოხსენებულ კანონს გადაუხვეველივ.

რავდენი ზარალი მოაქვს ბავშვების გონების ძალის და ნიჭის სრულ უკოდინაროობას იმათის მხრით, ვინც მათი აღზრდა იკისრეს. ბავშვების ნიჭზედ ,ღღევანდლამ-

დი ხალხი სჯიდა უთავბოლოდ, როგორც შეეძლო უწინვე მიღებული აღზრდის წყალობით.

გაანთავისუფლეთ ბავშვების აღზრდა იმ შეცდომებისგან, რომლებსაც პატარაობიდგანვე ასისხლხორცებენ ძათ; მაშინ თვით ურწმუნონიც ნათლად დაინახვენ იმ პოროტების სიდიადეს, რომელიც მიანიჭა კაცობრიობას ეხლანდელმა და უწინდელმა უცოდინრობამ. ამიტომ, რაწამსაც გონება მუშაობას შესძლებს, იმ დროდგან საჭიროა ეძლეოდეს ისეთი იდეები, რომლებიც ეთანხმებიან საღ ჭკუას და ნამდვილ ფაქტებს, ე. ი. უნდა ეძლეოდეს ნამდვილი იდეები. ეხლა კი, ამის წინააღმდეგ, დაბადებიდგანვე ბავშვს ეძლევა ცრუ ცნებანი თავის თავზედაც და კაცობრიობაზედაც. იმის მაგივრად, რომ ეხლა ბავშვს ვაყენებდეთ სწორე გზაზედ ჯანის სისაღის და ბედნიერების მისაღწევად, ხმარობენ ყოველნაირ ძალას, რომ დააყენონ ის სრულიად წინააღმდეგ გზაზედ, სადაც ვერაფერს იძენს იგი გარდა უმსგავსობისა და შეცდომებისა.

ჩვენ-ძიერ წინადადებული აღზრდის გეგმა რომ მიღებულ იქმნას და პატარაობიდგანვე მტკიცეთ განახორციელებდნენ პრაქტიკაზედ, ამასთანავე ხელი რომ არ შეუშალოს ახლანდელი დროის აღზრდის წეს-რიგმა, მაშინ ბავშვობიდგანვე შეიძლებოდა ისეთი ხასიათის აღზრდა, რომელიც თავის ცნებებით და საუკეთესო თვისებებით გადააჭარბებდა არა მარტო ახლანდელ დროის და წარსულ საუკუნეთა ყველაზედ ჭკვიან და განათლებულ კაცებს, არამედ კიდეც ჩაითვლებოდნენ (ასე აღზრდილნი) უმაღლეს გონიერ არსებათა თაობად. მართალია, ეს ცვლილება არ შეიძლება მოხდეს უცბად, ან რაიმე სასწაულით, მაგრამ უსდა ხდებოდეს თანდათან, ხოლო მისი საბოლოოდ განმტკიცება იქნება შრომის და დროს საქმე. ეგ ხომ უეჭველია, რომ ცუდად აღზრ-

დელნი და ეხლა საზოგადოებაში გავლენის მექონე პირნი წინააღუდგებიან ამ ცვლილებას...

ისიც უეჭველია, რომ ბავშვობიდგანვე მიღებულ შთაბეჭდილებათ შეუძლიანთ წაომოშობონ მარტო შეცდომები; ისინი სთვლიან ამ შეცდომებს ჭეშმარიტებად და ცდილობენ შეასწავლონ შვილებს იგივე, რაც თვითონ შეუსწავლიათ. რომ წინ აღუდგეთ ამ ბოროტებას, საჭიროა საზოგადო წესი სწავლისა.

ამ აზრით ახალ ინსტიტუტში საღამოობით უკითხავდნენ წიგნებს, ზამთრობით კვირაში სამჯერ, და ყოველი წაკითხვის მერე ცეკვას მართავდნენ. ამ კითხვას ცუდად აზრდილ ხალხისთვის დიდი სარგებლობა მოჰქონდა,—და ამისთანა ხალხი ხომ ძალიან ბევრი იყო, რადგანაც მეტი ნაწილი კაცობრიობისა უნაყოფოდ ატარებდა განათლებისთვის საუკეთესო დროს და გონიერი აღზრდის მიუღებლობის გამო ითვისებდა მარტო ისეთ აზრებს და ჩვეულებებს, რომლებიც არიან ნაყოფნი უვიცობისა და შეცდომისა.

საღამოებზედ კითხვა გაგებული და მკაფიო ენით გამოთქმული უბრალო ბაასი უნდა იყოს. მოზრდილებს უნდა შეასწავლონ ცოდნის ის ჩვეულებრივი და სასარგებლო მხარე, რომელშიაც ისინი სუსტადა გრძნობენ თავსა; განსაკუთრებით უნდა ვეცადნეთ ნათელი ცნება მივცეთ შვილების სწავლების წესზედ, რომ შეეძლოთ შვილები გონიერ არსებათ გარდააქციონ. აგრეთვე საჭიროა ნაშოვნი ფულის რიგიანად დახარჯვის სწავლება, და, ბოლოს, თუ დარჩებათ რამე შემოსავლიდგან, როგორ უნდა შეადგინონ იქიდგან თანხა, რომელიც უზრუნველ ჰყოფს მათს მერმისს.

ასე რომ, აწმყო შემცდარ წეს-რიგის დროს, ჩავაგონებთ ხალხს საკუთარ ძალთა და რიგიან ყოფაქცევის

რწმენას, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ხასიათის დამოუკიდებლობა და მოსვენება.

ბავშვების-მიერ სასარგებლო ცოდნის შეძენის თვალის სადევნ ბლად, შეიძლება საღამოებზედ კითხვები მივცეთ ხოლმე, ამასთანავე უნდა შეეჩვევნენ ისინი მოითხოვონ იმის ახსნა, რასაც კარგად ვერ გაიგებენ. ერთის სიტყვით, ამ საღამოებზედ კითხვის შემწეობით შეიძლება ხალისიანათ შევასწავლოთ უძვირფასესი და უსაჭიროესი ცნებანი იმ ხალხს, რომელიც ეხლა საზოგადოების ყოვლად გაუნათლებელ ნაწილს შეადგენს. თუ სამეფოში შევიტანთ ამ ზომებს, რომლებიც დიდ ხარჯს არ ითხოვენ, მალე დავინახავთ მათგან მოტანილ კეთილ შედეგებს, როგორც მუშა ხალხისთვის, აგრეთვე მთელი საზოგადოებისთვის.

მოვიგონოთ, რომ უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა ეკუთვნის მუშათა წოდებას ან აქედგან არის გამოსული და ამიტომ ამათზედ არის დამოკიდებული ბედნიერება და კეთილდღეობა ყველა წოდებისა, თვით უმაღლესისაც კი.

ბავშვების ხასიათი ყველა ოჯახებში (ზრდება თითქმის ყოველთვის მოსამსახურეების ზეგავლენის ქვეშ და ეს ზეგავლენა იმ ზომისაა, რა ზომისაც ვერ წარმოუდგენიათ ის იმ პირთ, რომლებსაც ადამიანის გონების განვითარებისთვის სიყმაწვილიდგანვე თვალი არ უდევნებიათ. რომელ წოდებასაც უნდა ეკუთვნოდნენ ბავშვები, არ შეიძლება, რომ გონივრულად იყვნენ ალზრდილნი, თუ პატარაობიდგანვე ცხოვრობდნენ უვიც ხალხს შუა. კარგი მსახურის ღირსება შეიძლება დააფასოს იმან, ვისაც ძალიან კარგიც და ძალიან ცუდი მსახურიც ჰყოლია და მათ შორის განსხვავება დაუნახავს.

ჩვენ დაგვრჩენია ახალ ინსტიტუტის დასახასიათებლად მოსაზრებული უკანასკნელი ნაწილის აღწერა. ეს არის

დელნი და ეხლა საზოგადოებაში გავლენის მექონე პირნი წინააღუდგებიან ამ ცვლილებას...

ისიც უეჭველია, რომ ბავშვობიდგანვე მიღებულ შთაბეჭდილებათ შეუძლიანთ წაომოშობონ მარტო შეცდომები; ისინი სთვლიან ამ შეცდომებს ჭეშმარიტებად და ცდილობენ შეასწავლონ შვილებს იგივე, რაც თვითონ შეუსწავლიათ. რომ წინ აღუდგეთ ამ ბოროტებას, საჭიროა საზოგადო წესი სწავლისა.

ამ აზრით ახალ ინსტიტუტში საღამოობით უკითხავდნენ წიგნებს, ზამთრობით კვირაში სამჯერ, და ყოველი წაკითხვის მერე ცეკვას მართავდნენ. ამ კითხვას ცუდად აზრდილ ხალხისთვის დიდი სარგებლობა მოჰქონდა,—და ამისთანა ხალხი ხომ ძალიან ბევრი იყო, რადგანაც მეტი ნაწილი კაცობრიობისა უნაყოფოდ ატარებდა განათლებისთვის საუკეთესო დროს და გონიერი აღზრდის მიუღებლობის გამო ითვისებდა მარტო ისეთ აზრებს და ჩვეულებებს, რომლებიც არიან ნაყოფნი უვიცობისა და შეცდომისა.

საღამოებზედ კითხვა გაგებული და მკაფიო ენით გამოთქმული უბრალო ბაასი უნდა იყოს. მოზრდილებს უნდა შეასწავლონ ცოდნის ის ჩვეულებრივი და სასარგებლო მხარე, რომელშიაც ისინი სუსტადა გრძნობენ თავსა; განსაკუთრებით უნდა ვეცადნეთ ნათელი ცნება მივცეთ შვილების სწავლების წესზედ, რომ შეეძლოთ შვილები გონიერ არსებათ გარდააქციონ. აგრეთვე საჭიროა ნაშოვნი ფულის რიგიანად დახარჯვის სწავლება, და, ბოლოს, თუ დარჩებათ რამე შემოსავლიდგან, როგორ უნდა შეადგინონ იქიდგან თანხა, რომელიც უზრუნველ ჰყოფს მათს მერმისს.

ასე რომ, აწმყო შემცდარ წეს-რიგის დროს, ჩავაგონებთ ხალხს საკუთარ ძალთა და რიგიან ყოფაქცევის

რწმენას, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ხასიათის დამოუკიდებლობა და მოსვენება.

ბავშვების-მიერ სასარგებლო ცოდნის შეძენის თვალის სადევნ ბლად, შეიძლება საღამოებზედ კითხვები მივცეთ ხოლმე, ამასთანავე უნდა შეეჩვევნენ ისინი მოითხოვონ იმის ახსნა, რასაც კარგად ვერ გაიგებენ. ერთის სიტყვით, ამ საღამოებზედ კითხვის შემწეობით შეიძლება ხალისიანათ შევასწავლოთ უძვირფასესი და უსაჭიროესი ცნებანი იმ ხალხს, რომელიც ეხლა საზოგადოების ყოვლად გაუნათლებელ ნაწილს შეადგენს. თუ სამეფოში შევიტანთ ამ ზომებს, რომლებიც დიდ ხარჯს არ ითხოვენ, მალე დავინახავთ მათგან მოტანილ კეთილ შედეგებს, როგორც მუშა ხალხისთვის, აგრეთვე მთელი საზოგადოებისთვის.

მოვიგონოთ, რომ უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა ეკუთვნის მუშათა წოდებას ან აქედგან არის გამოსული და ამიტომ ამათზედ არის დამოკიდებული ბედნიერება და კეთილდღეობა ყველა წოდებისა, თვით უმაღლესისაც კი.

ბავშვების ხასიათი ყველა ოჯახებში იზრდება თითქმის ყოველთვის მოსამსახურეების ზეგავლენის ქვეშ და ეს ზეგავლენა იმ ზომისაა, რა ზომისაც ვერ წარმოუდგენიათ ის იმ პირთ, რომლებსაც ადამიანის გონების განვითარებისთვის სიყმაწვილიდგანვე თვალი არ უდევნებიათ. რომელ წოდებასაც უნდა ეკუთვნოდნენ ბავშვები, არ შეიძლება, რომ გონივრულად იყვნენ აღზრდილნი, თუ პატარაობიდგანვე ცხოვრობდნენ უვიც ხალხს შუა. კარგი მსახურის ღირსება შეიძლება დააფასოს იმან, ვისაც ძალიან კარგიც და ძალიან ცუდი მსახურიც ჰყოლია და მათ შორის განსხვავება დაუნახავს.

ჩვენ დაგვრჩენია ახალ ინსტიტუტის დასახასიათებლად მოსაზრებული უკანასკნელი ნაწილის აღწერა. ეს არის

ეკლესია და მისი დოგმები; ეს შეადგენს დიდს და უმაღლესს საყურადღებო საგანს, რადგანაც სარწმუნოების საგნების ნამდვილად ცოდნას შეუძლიან მკვიდრად დაამყაროს ადამიანის ბედნიერება. ამეების უცოდინრობამ და აქედგან წარმომდგარმა შეუსაბამოებამ წარმოშვა და ახლაცა შობს ქვეყნიერების უბედურების უმეტეს ნაწილს.

ერთად-ერთი საფუძველი ჭეშმარიტებისა ის არის, რომ ჭეშმარიტება ეთანხმებოდეს თავის თავს; ის ერთი და იგივეა, რა მხრიდანაც უნდა გავშინჯოთ, ან, რასაც კი შეიძლება, შევადაროთ. შეცდომა კი ამ გამოკვლევითს და შედარებითს გამოცდას ვერ გაუძლებს და ყოველთვის მიჰყვანს კაცს შეუსაბამო დასკვნამდე.

ვისი გონებაც მისწვდა ამ საგანს, დიდი ხანია დარწმუნდა იმაში, რომ რა პრინციპების მიხედვითაც იზრდებოდა და იმართებოდა აქნობამდის ადამიანი, ის პრინციპები ვერ შეიძლებენ ამ საფუძვლით გამოცდას. გაშინჯეთ და შეადარეთ ისინი: ისინი შეიცავენ შეუსაბამოებას, უგუნურებას და საზოგადოდ ყველა სუსტ მხარეებს. ამით აიხსნება აქამდის გამეფებული დაუთვალავი რიცხვი შეუთანხმებელი აზრებისა, აუარებელი ჩხუბი და უბედურება.

ამ ქვეყნის მმართავი და ხალხში შუღლის ჩამომგდები ერთიერთმანერთის მოწინააღმდეგე წესრიგებიდგან, რომ ერთი რომელიმე იყოს ჭეშმარიტი, ვაღვიარებდით თუ არა მას ასეთად, სწრაფად გავრცელდებოდა, მოიცავდა საზოგადოებას და იძულებულ ჰყოფდა ყველას ეღვიარებინა მისი სინამდვილე.

ზემოხსენებული საფუძველი გვაჩვენებს, რომ ყველა ისინი გამოუკლებლად სავსებით არ ეთანხმებიან ბუნებას, ე. ი. იმ ფაქტებს, რომლებიც ჩვენს გარშემო ხდებიან. ამ რიგად წესრიგების ყველა შეცდომები მათს სა-

ფუძვლებში უნდა მდგომარეობდეს; ყოვლად შეუძლებელია, რომ კაცი იყოს გონიერი და ბედნიერებას მოეწიოს მანამდის, ვიდრე არ იქნებიან გამოცხადებული და მოსპობილი ეს შეცდომები.

ყოველი ამ წესრიგთაგანი სიმართლესთან ერთად შეიცავს შეცდომასაც; ამიტომ არც ერთი იმათგანი არ გახდა ზოგადად, და არც მოსალოდნელია, რომ ან როდისმე გახდეს.

სიმართლე ზოგიერთ წესრიგებში იმიტომ ურევია, რომ ამით დაძალონ და გაამაგრონ დანარჩენი შეცდომა; მაგრამ ეს შეცდომები მეტად თვალსაჩინონი არიან იმათთვის, ვისაც ბავშვობიდგანვე არა აქვთ ისინი ჩაგონებული. თუ საჭიროა დამტკიცება, ინებეთ.

ჰკითხეთ სათითაოდ დიდად პატივცემულ, ძალიან გონიერ და განათლებულ კაცებს, რომლებიც რომელიმე სეკტას ანუ დასს ეკუთვნიან, რა აზრისანი არიან ცხოვრებაში სხვა სეკტაზედ ანუ დასზედ. უეჭველია თვითეული გიპასუხებთ, რომ ყველანი სცდებიან და ეს შეცდომა იმდენად ეწინააღმდეგება გონებას და სამართლიანობას, რომ მარტო სიბრალულსა და მწუხარებით თანაგრძნობასა ჰგრძნობს იმ პირებისადმი, რომელთა ჭკუაც ასე' დამახინჯებულია და დაშორებული გონებას. ასეთ პასუხს მოგცემთ ყველა და იმას კი აღარ ფიქრობენ, რომ თითონაც იმათ რიცხვში ურევიან, ვისაც იბრალებენ. ყველა ოდესმე ცნობილ სეკტების დოგმები გარეშე პირობებთან ერთად შემოღებული იყო იმ ანგარიშით, რომ გაევითარებინათ ასეთი, ანუ ისეთი ხასიათი და კიდეც ასრულებდნენ ისინი ამ საქმეს, რადგანაც ანვითარებდნენ აწმყო დროის მაგვარ ხასიათებს. დოგმები, რომლების მიხედვითაც გარეშე პირობებთან ერთად იზრდება ხალხი, აძლევენ სახეს მომეტებულ ნაწილად

ახლანდელ დროის საზოგადოებაში გავრცელებულ ხასიათს.

ის დოგმები, რომლებზედაც დღევანდლამდის აღიზრდებოდა და კიდევაც აღიზრდება კაცობრიობა, ჰქმნიდნენ და განუმტკიცებდნენ ადამიანს—რასაც ახლაც ასრულებენ, —სიყვარულის ნაკლებულობას და ერთმანეთის თანაუგრძნობლობას. „სინი შობენ აგრეთვე ცრუმორწმუნეობას, ფარისეველობას, პირმოთნეობას, სიძულვილს, შურისძიებას, ომიანობას და ყველა ამაების მაზარალებელ შედეგებს. ძირითად პრინციპად ყველა დღევანდლამდის ცნობილ წესრიგსა ედვა შემდეგი მოსაზრებანი, ცოტა რამ, ისიც სიტყვიერი, ცვლილებით. „კაცი ცხონდება და მიიღებს საუკუნო ჯილდოს მარტო მაშინ, თუ სწამს დოგმები ამა და ამ სისტემისა. საუკუნოდ დაისჯება, თუ არ ირწმუნა ისინი; ამიტომ დაუთვალავი მილლიონები ხალხისა, რომელთაც ჩაგონებული აქვთ ირწმუნონ სხვა ნაირად, და არა ისე, როგორც ეს სისტემა ასწავლის, —მიეცემიან საუკუნო სასჯელს“. მაგრამ ბუნება კი მთელი თავისი ძალითა ცდილობს დაარწმუნოს კაცი ასეთი სწავლის უთავბოლოობაში.

მერწმუნეთ, შეცთომილნო თანამოძმენო, მერწმუნეთ თქვენი საკუთარი ბედნიერების გულისთვის, რომ თუ თვალს ადევნებთ თქვენს გარშემო მომხდარ ფაქტებს, ისინი პირდაპირ და ნათლად დაგიმტკიცებენ თქვენ ყველა ასეთ დოგმების სიმტყუვნეს, იმიტომ რომ **კაცის ნებას არაგითარი უფლება არა აქვს მის აზრებზედ; იძს სწამდა, სწამს და აწამებს იმას, რასაც აგონებენ მას წინაპარნი და მის გარშემო მომხდარი გარემოებანი.** ასე რომ მეტის-მეტი უგუნურება იქნება ჩვენის მხრივ, თუ ვიფიქრებთ, რომ ქვეყნის შექმნიდგან დაწყებილი აქნობამდე რომელიმე ადამიანი ღირსია ქებისა ან ლან-

ძღვისა, ჯილდოსი ან სასჯელისა იმის გულისთვის, რაც ჩაუგონებია მისთვის პატარაობიდგანვე აღზრდას.

კაცობრიობის უბედურებამ მიაღწია ასეთ მაღალ წერტილამდის დღევანდლამდის გავრცელებულ სისტემების ძირითადი შეცდომის გამო. კაცს ბავშვობიდგანვე ასწავლიდნენ შეუძლებელ რასმე! ესევე ხდება ეხლაც და ნაყოფათაც უბედურება მოაქვს. ნიღაბი ახსენით მთლად ამ გაფუჭებულობის წყაროს, ყველა შეცდომაზედ მეტად სავალალებელს, და ამის მაგივრად შეიტანეთ ცხოვრებაში ის სამართლიანი პრინციპები, რომელთა სინამდვილესაც ამტკიცებს იმათი თანხმობა თავიანთ თავთან და ჩვენი გრძნობებიც აშკარად ჰყოფენ ამასვე; მაშინ ორგულება, სიძულვილი, შურისძიება და თვით მ ყვასის წყენის სურვილიც კი განქრებიან საყოველთაოდ და ადამიანის ბუნების გამაცალკევებელ თვისებებად შეიქმნებიან გონიერი სიყვარული, გულათადი კეთილის ნდომა და ნამდვილი გულკეთილობა ურთიერთ შორის.

ნუ თუ ეს რთული და დიდი ბოროტება კიდევ იცოცხლებს, როდესაც ქვეყანაზედ ყველა ერი—მეფიდგან დაწყობილი გლეხამდე—შეიგნებს ამას, აგრეთვე ამის მიზეზსა და თანაც ეცოდინება ამის ასაცილებელი ზომები? კაცის ნათესავისთვის ამის მიზეზის ჩვენება ისე არ შეიძლება, რომ არ შეურაცხყოთ მაგრად ფესვებგამდგარი საზოგადო შემცდარი აზრები. ამიტომ ამ საქმეს სიძნელე სდევს თანა და იმის დათრგუნვა შეუძლიან მხოლოდ იმას, ვინც გაითვალისწინა საქმის დიდი მნიშვნელობა და გამოვიდა შემცდარ აზრებთან საბრძოლველად.

ძალიან ძნელი კია ამ დიადი ჭეშმარიტების საზოგადოებაში გავრცელება იმ ბნელ და უმართებულო შეხედულებათა მიზეზის გამო, რომლებსაც აგონებდნენ აქნოპამდის კაცობრიობას, მაგრამ საგნის დაწვრილებით

გამოკვლევის შემდეგ დავინახავთ, რომ ჩვენ-მიერ ახსნილი პრინციპები ერთ პირსაც კი არ აზარალებენ, არამც თუ რომელიმე წოდებას. პირიქით, მსოფლიოს დიდს ოჯახში არ მოიპოვება არც ერთი ისეთი წევრი—უმაღლესიდგან დაწყობილი უმცირესამდე—რომლისთვისაც დიდ სიკეთეს არ შეადგენდეს იმათი საერთოდ დღესასწაულებრივი მიღება. და როცა შეიგნებენ და ცხადად იგრძნობენ იმ აღურიცხველ, არსებითს და სამარადისო სარგებლობას, ნუთუ მაშინ კიდევ ხელს შეუშლიან იმათ განხორციელებას აპირადი ინტერესები? არასოდეს! იმ წინათ დანერგულ დამაბრკოლებელ აზრებს შეიძლება კერძო პირებმა შესწიროონ საზოგადოების სარგებლობა, მისი კეთილგანწყობილება და თავიანთ თავზედ იმის კარგი შეხედულება; მაგრამ მაინც საბოლოოდ და საერთოდ გაიმარჯვებენ ის პრინციპები, რომლებზედაც დამყარებულია ნამდვილი ცოდნა.

ჩვენ ასეთი რწმენით იმიტომ ვწინასწარმეტყველობთ იმ დიდ მოვლენის დადგომას, რომელსაც კაცობრიობის ყსტორიაში ვერც ერთი მოვლენა ვერ შეედრება, რომ ეს რწმენა გამომდინარეობს ბნელი და უვიცი დროის საეჭვო ლეგენდებიდგან კი არა, არაჟიდ იმ ნათელი და თვალსაჩინო ფაქტებიდგან, რომლებსაც ქვეყნის ყველა კუთხეში ვხედავთ. ჯეროვანი ყურადღება ამ ფაქტებისადმი, ამ ჭეშმარიტად ბუნების-მიერ გამოცხადებულ საქმეებისადმი, სწრაფლ შეასწავლის, ანუ უკეთ ვსთქვათ, იძულებულ ჰყოფს კაცთა ნათესავს შეიგნოს ის შეცდომები, რომლების მიხედვითაც იგი იყო აღზრდილი.

ის პრინციპი, რომელზედაც ახალ ინსტიტუტში ქადაგებულ დოგმების დამყარებას აპირობენ, მდგომარეობს მასში, რომ ყველა ისინი უნდა ეთანხმებოდნენ ერთმა-

ნერთს საყოველთაოდ გამოცხადებულ ფაქტებში, რომ-ლებიც არ შეიძლება, რომ ჭეშმარიტნი არ იყვნენ.

დ. მდ—ძე.

(შემდეგი იქნება).



აღზრდა ერისა

❧

საზოგადოებისა.

ურთიერთობის გრძნობის გახსნა ერში.

ვენ დაჩვეულები ვართ, რომ მარტო ბალანებს უნდა სწავლა-აღზრდა და ამიტომ მოზრდილებისა და ცოლშვილიანების ანუ სხვანაირად ხალხისა და საზოგადოების აღზრდისათვის ფრიად მცირედს ვზრუნავთ, მაშინ როდესაც ამათს აღზრდასაც ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მოზარდი თაობისას, თუ არ მეტი. მკითხველს ეჭვი არ არის ხშირათ ექნება გაგონილი: „საქართველო დავარდნილია, საქართველო დაცემულია!“ — და იმას კი არ კითხულობენ, თუ რისგან არის იგი დაცემული და დავარდნილი, თუმცა ბუნების სიმდიდრით ბევრი მხარე არ შეედრება ჩვენს ქვეყანას. ძირითადი მიზეზი კი ჩვენის ტურფა სამშობლოს ასე დაცემისა და დავარდნისა იყო და არის სრული უზრუნველობა ჩვენის მხრით თვით ხალხისა და საზოგადოების აღზრდისათვის!.. ბევრნაირად

აუხსნიათ ჩვენს მეთაურებს ჩვენის ქვეყნის დაცემის მიზეზი, ამის და გვარად ბევრნაირადაცა სცდილან მალამო დაედოთ იმის ჭრილობებისათვის, მაგრამ ჭრილობის წყლულს უარესობა თუ არა, არც საიმისო სიკეთე ეტყობა. ამის მიზეზი, ჩვენის აზრით, ის ცრუ საფუძვლებია, რომლებზედაც ამყარებენ ჩვენის ქვეყნის დაცემას და მის აღორძინებას და ამიტომ აქ ჩვენ ვეცდებით აღვნუსხოთ და განვმარტოთ ის უტყუარი პირობები, რომლებიც საჭიროა ხალხის ყოველმხრივი წარმატებისათვის, მისის კეთილ-დღეობის აღდგენისათვის. ეს საგანი ისეთ ძვირფას საგნად მიგვაჩნია ჩვენის თანამემამულეებისათვის, რომ იმედი გვაქვს არ გვისაყვედურებენ, თუ, ცოტა არ იყოს, გავაგრძელებთ წერილებს ამის შესახებ. უპირველეს ყოვლისა კი საჭიროა, რომ ჩვენმა ხალხმა **ერთი გარკვეული და ნათელი აზრი და შეხედულება იქონიოს თავისი ყოფა-ცხოვრების გაუკეთესების პირობებზე და საშუალებებზე**, რათა ჩვენი ყოველი საზოგადო მოქმედება ამ მხრათ იყოს ერთ სულ და ერთ ხორც...

როგორც სხვა ყველა ცხოველი, ადამიანიც საჭიროებს საჭმელ-სასმელსა, სამოსელსა, ძილსა და სხვ. მაგრამ, როგორც ამბობს ერთი მეცნიერი, მის უპირველეს და უმთავრეს, თვით ბუნებითს საჭიროებას და მოთხოვნილებას შეადგენს **სხვებთან ერთად ცხოვრება**. ეს იმიტომა, რომ ადამიანი იბადება ქვეყანაზედ სხვა ყველა ცხოველებზედ უფრო ულონო და უმწეო. ის პატარაობითვე საჭიროებს უმეტეს მზრუნველობას და მოვლასა, მაშინ როდესაც ფრინველებზე და სხვა ცხოველებზე მრავალს რაშიმე ზრუნავს თვით მათი ბუნება.

მართალია, ადამიანი იბადება იმისთანა ნიჭებით, რომ შეუძლიან მიაღწიოს უმაღლეს განვითარებას და სწავლასა, მაგრამ დაბადებით კი ის ისეთი სუსტი იბადება, რომ მოკლებულია იმ ალღოსაც (ინსტიქტებს),

რომლებიც ფუტკარს და ობობას, ფრინველს და წვავს ასწავლიან თავიანთვის სადგომების აშენებას და საზრდოს მოპოვებასა. ერთი სიტყვით, აუცილებელნი საჭიროებანი აიძულებენ ადამიანს—ელტვოდეს იგი სხვა ადამიანებსა და ეს არის მიზეზი, რომ ყველა სხვა ცხოველებზედ, ადამიანში უფროა გახსნილი **მიდრეკილება ურთიერთობისადმი,** ე. ი. სხვებთან ერთად ცხოვრებასა და მოქმედებისადმი. დანიშნულება ადამიანისა ამ ქვეყნად იმაში მდგომარეობს, რომ როცა უნდა და როგორც უნდა, ისე მოიხმაროს ბუნების ძალნი საერთო საკეთილდღეოდ და საერთო სასარგებლოდ. ხოლო, დასაძლევად ბუნების ძალთა და ჩვენს გონიერს ნებაზედ ამ ძალთა მოსახმარებლად აუცილებლად საჭიროა **ურთიერთობა,** რადგანაც სათითაოდ სრულიად ვერას გავხდებით ბუნების ძლიერების წინააღმდეგ. გნებავთ მოჰფინოთ ქვეყანა არხებით, გზებით, ხიდებით?—საჭიროა დიდი **ურთიერთობა,** დასაძლევად ბუნების ყოველ დაბრკოლებათა—მთათა, ღრეთა, მდინარეთა, უდაბნოთა, ზღვათა... გნებავთ ააგოთ პალატნი, ეკკლესიანი, სკოლანი?—ისევ საჭიროა **ურთიერთობა...**

ძაშ ეგრე, პირველი პირობა ქვეყნის წარმატებისათვის ყოფილა: «გახსნა და განვითარება ხალხში იმ მიდრეკილებისა, რომელსაც მეცნიერნი ეძახიან მიდრეკილებას ურთიერთთადმი. აუცილებლად საჭიროა კარგად შევიგნოთ ეს, რადგანაც რომელს ხალხშიაც გახსნილია ეს მიდრეკილება ურთიერთობისადმი, იქ კეთილდღეობაც ამ ხალხისა საათობით იზრდება, ხოლო, სადაც ნაკლებად ან სრულიად მცირედ არის გახსნილი ხალხში ეს თვისება, იგი **ხალხი დაცემულია,** იგი **ხალხი სიკვდილს არის მიახლოებული...**

ახლა, **რა ჭკვავს** და **რა ადარეკნებს** ხალხში ამ აუცილებელს პირობას მის წარმატებისას?

თვით-მართველობა ანუ თემობა არის დასაბამი პირობა ურთიერთობისადმი მიდრეკილების გახსნისათვის ხალხში.

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთ-საყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა სათვარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ ალმზრდელი ღვთაებაშდე კაცთ-ბუნებისა“...
«დედა და შვილი» ილია ჭავჭავაძისა.

ბუნებაში არსებობს ერთი უცვლელი და საყოველთაო კანონი: **დიდი სხეული იზიდავს თავისზედ უფრო მცირესა, ხოლო ეს მცირე თავისზედ უმცირესსა.**

ეს კანონი ყველაზედ უკეთ წარმოსადგენი და დასანახია ცათა მნათობთა და სხეულთა წეს-წყობილების გაცნობიდგან. მოგეხსენებათ, რომ მზის სამფლობელოში (სისტემაში), ერთის, წარმოუდგენელად უშველებელის სხეულის, **მზის**, გარეშემო, მიმოიცვლიან მრავალნი, მასზედ და ერთი-ერთმანერთზედ უფრო დიდ-მცირედნი სხეულნი, ხოლო ამ დიდ-მცირედთა გარეშემო --სხვანი უფრო მცირედნი. ყველა ეს სხეულნი მიმოიცვლიან ცის სივრცეში ყოვლის ფეხ-მოუკიდებლად რაზედმე ნივთიერზედ შესანიშნავის წესითა და ძნელად მომხდარა, რომ რომელიმე მათგანს ემტყუნოს მთელის საუკუნოებით დაჩემებულის გზისათვის.

მიზეზი ამისა მიზიდულობის ის ძალაა, რომელიც ასე შესაფერად მიზომილი აქვს ქვეყანაზედ ყველა დიდს და პატარა სხეულებს. რომ მზის სამფლობელოში, გარდა მეორე ხარისხოვან სხეულებისა, არ ყოფილიყვნენ სხვა, ამათზედ უფრო მომცრო სხეულნი, მაშინ მოხდებოდა შემდეგი ამბავი: ყველა ეს მეორე ხარისხოვანი სხეულნი მიზიდულ იქნებოდნენ მზისაგან. ესევე დაემართებოდა მესამე და მეოთხე ხარისხის მნათობებსა; **და თუმცა ამით მზე ერთი ათასად უფრო უშეკლებელი და მდიერა**

შეაქმნებოდა, გიდრე იგი ახლა არის, მაგრამ მის სამფლობელოში კი სრულიად შეჰსწყდებოდა მოძრაობა, შეჰსწყდებოდა სიცოცხლე და გულ-საკლავი წყვდიადი მოეფინებოდა ქვეყნის სივრცესა!..

სწორედ ესევე წესი და კანონი სწარმოებს ხალხთა ცხოვრებაში და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, რომელს ხალხშიაც არის ან ყოფილა ეს წესი ურთი-ერთის დამოკიდებულობისა. იქ ცხოვრებაც ხალხისა გაზრდილა სიათობითა, ხოლო სადაც არსებობენ ან არსებულან უშველებელნი ცენტრნი ხალხთა მოსახლობისა და ხელისუფლებისა, მეორე და მესამე ხარისხის უცენტრებოდ, იქ იგივე ცხოვრება უკუღმართად წარმართულა.

უდიდესხ ცენტრები ხალხთა მოსახლობისა ჩვენს დროში არიან: ლონდონი, პარიჟი, ბერლინი, ვენა, ნიუიორკი და სხვანი. ამდენი ცენტრების მაგიერ, რომ მხოლოდ ერთი ან ორი ქალაქი ყოფილიყო, მაშინ ამ უკანასკნელებს იმისთანა დიდი მიზიდულობის ძალა ექნებოდა, რომ, რაც ეხლა ათს და ასს ქალაქს აწყდება ხალხი, მაშინ მხოლოდ ამ ორს ქალაქს მიაწყდებოდა თვისი გონებითი და ნივთიერი ნაწარმოებების საცვლელად და კანონების მისაღებად. თუმცა ამით, ეს ორი ქალაქი, წარმოუდგენელის ძლიერეჲის ბუდედ შეიქმნებოდა, მაგრამ ამით მოხდებოდა სწორედ იგივე უსიცოცხლობა, იგივე სიკვდილი მათ გარემო ქვეყნებში, რაც მოხდებოდა მსოფლიოს სივრცეში, რომ მხოლოდ მზეს მიეზიდნა ყველა დანარჩენი მნათობნი ჩვენის მიწითურთ!..

ცხადია აქედამ, თუ რამდენად მავნებელია ქვეყნისათვის ამ გვარი უშველებელი და სრულის ძალით აღჭურვილი ცენტრი, რადგანაც ამით მას ეძლევა ყოვლად შემძლებელი ძალა მიზიდულობისა, რომელიც სპობს მიდამოთა ცენტრებში საკუთარი მიზიდულობის ძალასა და მით ამცირებს ხალხში ურთიერთდამი მიდრეკილებას, რო-

მელიც, როგორც ეს ზემოთაცა ვსთქვით, არის უმთავრესი პირობა საზოგადოების წარმატებისათვის.

ცხადია აგრეთვე, თუ რამდენად სასარგებლო და საპროგრესოა ხალხისათვის ის წეს-წყობილება, როცა ერთი საერთო ცენტრის გარდა (როგორც მზის სამფლობელოში მზე) არის კიდევ სხვა უთვალავი ცენტრები ადგილობრივ, რომლებიც ნებას არ აძლევენ დიდს საერთო ცენტრსა სრულიად მიიზიდოს ადგილობრივი ცენტრები და მით ფრთას აკვეცენ მის სრულს მძლავრობას...

მოხსენებულის ჭეშმარიტებას ნათლად გვიმტკიცებს ძველი და ახალი ისტორიაცა. მოვიყვანოთ ზოგიერთი მაგალითები იქიდამ.

ამ გვარი ადგილობრივი ცენტრები არსებობდნენ საბერძნეთის თითქმის ყველა პროვინციებში და კუნძულებზედ. ადგილობრივი ურთიერთობა მივიდა იქ ისეთ განვითარებამდის, როგორც იმ დრომდე არსად არ ყოფილა მთელს ხმელეთზედ. ადგილობრივ ურთიერთობასთან ერთად იქ გამოცხადდა აგრეთვე **მიდრეკილება საკაგშარო ურთიერთობისადმი**, დაარსებით ისტმიის, ნემეანის და, უფრო განთქმულის, ოლიმპიის თამაშობებისა, რომლებზედაც, როგორც ვუწყით, იკრიფებოდა რაც კი გამოჩენილი იყო ფიზიკურისა და გონებითის ძალით, არა თუ საბერძნეთის ყველა რესპუბლიკებში და ქალაქებში, არამედ იტალიასა და თვით უმორეს აფრიკასა და აზიაშიაც. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ეს იდეა, ე. ი. იდეა საერთო და ადგილობრივ ცენტრების ურთიერთშორის ჰარმონიულად განწყობისა და დამოკიდებულობისა, ვერ გამოცხადდა იქ საკმაოდ ძლიერად: **მიმზიდველობის ძალამ ამ წეს-წყობილების მზისამ** ვერ შეჰსძლო დაცვა წესიერებისა ადგილობრივ ცენტრებს შორის.

წესიერი და შეურყეველი მოძრაობა ციურთა მნათობთა აიხსნება იმ გვარის ძალების არსებობით მათში,

რომლებიც მოქმედობენ ერთი-ერთმანერთის წინააღმდეგ მიმართულებით, მაგრამ თანასწორის ძალის-ხმევითა, თანასწორის ცდითა. ხოლო ამ გვარს წეს-წყობილებაზედ აშენებულს სახელმწიფოს უნდა უმადლოდეს ჩრდილო ამერიკის შტატები, რომ მისი ისტორია არ წარმოგვიდგენს გამუდმებულს სამოქალაქო ომებსა.

მოსპევით იქ თვით-მართველობა კერძო შტატებისა და თავი მოუყარეთ მათ მხოლოდ საკავშირო ვაშინგტონში და ამისი აუცილებელი შედეგი ის იქნება, რომ მათშიაც მეტად შემცირდება მიდრეკილება თავისუფალ ურთიერთობისადმი მშვიდობიანის მოქმედებისათვის. მოსპევით იმავ დროს შტატების საერთო ცენტრი—ვაშინგტონი, ე. ი. სრულიად გაწყვიტეთ მათ შორის კავშირი, მიანებეთ ყველა მათგანი სრულს თვით-ნებობაზედ და შეჯახება მათ შორის აუცილებელა შეიქმნება.

გაიხსენეთ ჩვენის ქვეყნის ისტორიაც. განა ზემოდ მოხსენებულის წეს-წყობილებით არ უნდა აიხსნას გამუდმებული ომები ჩვენის ქვეყნის თავისუფალ — კახეთსა, ქართლსა, იმერეთსა და დანარჩენ ნაწილებს შორის!? ეს ნაწილები, მოკლებულნი საკავშირო ცენტრსა, განსაკებლად ქვეყნის საერთო საქმეებისა, და თავმინებებულნი თვით-ნებობაზე ყველა საქმეში, თავიანთ ძალას მხოლოდ იმაში ჰლევდნენ, რომ ერთმანერთს არბევდნენ, ერთმანერთს ასუსტებდნენ. სად იყო მათში მიდრეკილება ურთიერთთადმი მშვიდობიანის მოქმედებისათვის? საბერძნეთიც სავსე იყო ადგილობრივი თავისუფალი ცენტრებითა, ხოლო არ იყო იქაც საერთო ძლიერი ცენტრი, რომელსაც შესძლებოდა დაეცვა მშვიდობიანობა და სამართლიანი განწყობილება კერძოთა შორის. ამის შედეგი იყო გამუდმებული ომები ნაწილთა შორის, ხოლო ამ ომების შედეგათ—ქვეყნის საეროო გათახსირება და დაცემა...

ახალი იტალია, მრავალი საუკუნოების განმავლობაში, წარმოგვიდგენს ფრიად შესანიშნავ კავშირს ადგილობრივის **მიზიდულობის ძალასა** და თავისუფალ ასოციაციისადმი მიდრეკილებას შორის. მილანი, ჰენუა, ვენეცია, ფლორენცია, რომი, ნეაპოლი, პიზა, სიენა, პადუა და ვერონა იყვნენ იმისთანავე ცენტრები მიზიდულობისა, როგორებიც არსებობდნენ საბერძნეთ'ში, მაგრამ, უქონლობისა გამო მზისა (ე. ი. საერთო ცენტრისა). **რომელსაც** ჰქონოდა საკმაო მიზიდულობითი ძალა, რათა დაეცვა წესი და მშვიდობა მთელის ქვეყნის აგებულებაში, იყვნენ მუდმივ ომებში ერთმანერთთან, სანამ, დასასრულ, ავსტრიამ და ფრანციამ არ ჩაიგდეს თავიანთ კლანჭებში მთელი აპენინის ნახევარ-კუნძული და სანამ მასთან ერთად 'ესამჩნევად არ მოისპო მის მცხოვრებთა 'შორის მიდრეკილება ურთიერთთადმი.

გერმანია ითვლება მიდამოთა ცენტრების (დეცენტრალიზაციის) სამშობლოდ. იგი მუდამ ცუდის თვალით უყურებდა ცენტრის გაძლიერებას, და მუდამვე იმას ელტვოდა, რომ დაეცვა ადგილობრივი უფლებანი.

გერმანია, საბერძნეთის მსგავსათ, მუდამ, თითქოს, მოკლებულიიყო მზესა (საერთო ცენტრსა), რომლის გარშემო მშვიდათ უნდა ემოქმედნათ მრავალ მეორე ხარისხოვანს ცენტრებსა, რისგამო, როგორც საბერძნეთში, ძალები, დამოუკიდებელნი მთელს წეს-წყობილებაზე, ადვილად მიესევოდნენ ხოლმე ერთმანერთს და მით ფრიად აფერხებდნენ ცივილიზაციას თავის ქვეყანა'ში. გერმანიაში მრავლად იყო ადგილობრივი თავისუფალი ცენტრები, არ იყო მხოლოდ ერთი საერთო, სახელმწიფო ცენტრი, რომ იქიდამ საერთოდ განეგოთ საერთოვე აზრი და მოქმედება. ამ უკანასკნელს ხანებში (1870 წ.) დაფუძნდა იქ ეს ცენტრიცა—პრუსიის მეთაურობით, თუმცა ამი-

თაც ჯერ კიდევ ბევრი აკლია გერმანიას მზის სისტემის წეს-წყობილების მსგავსებამდე.

მაგრამ, არსად მთელს ქვეყანაზედ, მიდამოთა და საერთო ცენტრები ისე შეთანხმებულად არ არის შეკავშირებული, როგორც ჩრდილო ამერიკის შტატებში. ეს არის მიზეზი, რომ იქ ფრიად აღორძინებულია ადგილობრივი მოქმედება, რომელიც ნათლად გამოიხატება აუარებელ სკოლების დაარსებით, გზების გაყვანით, საზოგადო ცხოვრების განვითარებით, შეძლების მომატებით და ყოველნაირი ასოციაციების დაარსებით. სწორედ ზღაპარი წარმოგიდგებათ, როდესაც გაზეთებში კითხულობთ, რომ ჩრდილო ამერიკის რესპუბლიკაში, მხოლოდ ერთს თვეში, შემდგარა ნვიდასი სხვადასხვა ასოციაცია ორასი მილიონის მანეთის თანხითაო...

ივანე როსტომაშვილი.

(შემდეგი იქნება).

ასტრონომია

ანუ

ვარსკვლავთ-მრიცხველობა *).

დედა-მიწა თავის გარშემო ტრიალებს. ამოსვლა და ჩასვლა მნათობთა.

ოწმენდილ ულრუბლო ცაზედ ოთვალ დილას ჩვენ ვხედავთ ცის ერთ და იმავე კიდურიდგან ამომავალ მზეს. მზეს რომ კარგათ დავაკვირდეთ, შევნიშნავთ, რომ იგი თანდათან მაღლა იწევს, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ ცოტა გვერდზედ, ალმაცერად. ამ სახით მზე ნელ-ნელა მაღლა მიდის თქვენ მარჯვენა მხარეს (პირი რომ მზისაკენ გქონდეთ მიქცეული) და შუადღისას მიაღწევს უმაღლეს წერტილს

*) იხ. „მოგზაური“ № 9—10, 1903 წ.

ცაზედ, ხოლო დიდითა ამოსულ ადგილს ძალიან შორს რჩება. შემდეგ ამ უმაღლეს წერტილიდგან მზე კვლავ დაბლა იწყებს და საღამო ჟამს ნელ-ნელა უახლოვდება ალმოსავლეთის მოპირდაპირე დასავლეთ მხარეს, სადაც მალე სრულიადაც ამოეფარება დედა-მიწას და ქვეყანას სიბნელე მოეფინება, დაღამდება. ამას ჰქვიან მზის ჩასვლა.

მთვარესაც, რომ თვალი ვადევნოთ, შევნიშნავთ, რომ იგიც ისევე ალმაცერად ადის მაღლა, როგორც მზე. ასევე მოძრაობენ ვარსკვლავები. აქ ერთი რამ არის ასახსნელი. ჩვენ გვგონია, რომ მზე, მთვარე და ვარსკვლავები დედა-მიწას გარს უვლიან. ასევე ფიქრობდნენ ჯერ-ველთ ძველი ცის მეთვალეურენი. „მზე“,— ამბობდნენ ისინი:— „თავისთავთ ბრუნავს მიწის გარშემოვ“.

ამგვარ დასკვნას იმეორებდა ეოველი შემდეგი თაობა და დიდხანს ერწმუნებოდნენ მას. ბევრი საუკუნოები, ბევრი გამოცდა, ფიქრი და დაძტკიცება მოუნდათ მეცნიერებს იმის გასაგებად, რომ მზეა, მთვრე და ვარსკვლავები კი არ უვლიან მიწას გარშემო. არამედ თითონ დედა-მიწა ტრიალებს თავის და მზის გარშემო.

დედა-მიწა ბრუნავს!.. მართლაცო და ჩვენ ეს

პირველ გაგონებაზედ შეუძლებელ და შეუსაბამო საქმედ გვეჩვენება. ასევე ეგონა უწინდელ ხალხებს, სანამ ამ სამი საუკუნის წინეთ, ერთმა მეცნიერმა, გალილეამ, არა სთქვა: „მზე დგას, მიწა კი მას გარს უვლისო!“ მაშინ ეს კაცი სულელათ ჩათვალეს, მაგრამ ახლა უკანასკნელმა შეგირდმაც იცის, რომ გალილე მართალს ამბობდა. მან გადააბრუნა მირიანთათ ყველა ის, რაც მის დროამდის იცოდნენ და სწამდათ.—„როგორ თუ დედა-მიწა ბრუნავს?“—იმეორებდნენ გაოცებულნი. „ის მიწა, რომელსაც ოთველ დღე მაგრათ ვთელავთ ფეხქვეშ? დიახ, მინდვრები, ხეები, ქალაქები, სოფლები ⁂ სხვა ყველა ბრუნავენ და მიწასთან ერთად! მაშ ჩვენ მცხოვრებნიც მიწასთან ერთათ ვბრუნავთ? ნუ თუ მე ვბრუნავ? მე, რომელიც ვზიარ ჩემთვის მოსვენებით, ვბრუნავ მიწის ბურთთან ერთათ?—არა, ეს რომ მართალი იყოს, მე დავინახავდი ჩემს გარშემო მყოფ საგნების მოძრაობას. მე ვიგრძნობდი ჩემს ფეხქვეშ მიწის ტრიალს, ან თავს ბრუ დამეხვევოდა! ჰირიქით, მე ჩემს გარშემო სრულ სიწყნარეს ვამჩნევ და არც თვითონ ვინძრევი!!.“—ეი ამას გაიძახოდნენ დიდებული გალილეს საპასუხოდ და, იქნება, თქვენც ამასვე იმეორებდეთ ამ სტრიქონების წაკითხვაზედ, მაგრამ,

ბოდა, რომ ერთ ადგილსედ ვართ გაჩერებულნი. რკინის გზით მოგზაურობის დროს ეჭვი გებადებათ, მიდიხართ თუ ერთს ადგილას ხართ გაჩერებულნი, რადგანაც, ფანჯარა რომ გააღოთ და გაიხედოთ კარში, დაინახავთ, რომ საგნები საშინელის სისწრაფით უკან გარბიან. მატარებლის მოძრაობის ხმაურობა რომ არ ისმოდეს, იქნება დაგეჯერათ კიდეც, რომ ისინი მართლაც სადღაც გარბიან!.. მაგრამ, ვინ არ იცის, რომ ეს ასე არ არის, რომ საგნები არსად გარბიან!.. აქ თქვენი მსედველობა, თვალი, გატეუეით, თორემ თქვენ თვითონაც კარგათ იცით, რომ საგნები კი არ მოძრაობენ, არამედ თითონ თქვენ მიგაფრენთ მატარებელი. ასეთს მოჩვენებას, ე. ი. მხედველობის მოტეუებას, ჰქვიან ილიუზია.

ეველა ზემოხსენებულიდგან შეგვიძლია გამოვიეანოთ შემდეგი ორი დასკვნა: 1) ეველა ის საგნები, რომლებიც ჩვენთან ერთათ მოძრაობაში მონაწილეობას იღებენ, უძრავათ გვეჩვენებიან, ასე რომ მათი და თქვენი მდგომარეობა გაჩერებულსავით გეჩვენებათ; 2) ნამდვილათ უძრავი ნივთები გვეჩვენება მოძრავ ნივთებად, მაგრამ ისე კი, რომ როცა ჩვენ წინ მივდივართ, ისინი თითქოს უკან მიდიანო.

ახლა დავუბრუნდეთ მიწას. თუ დედა-მიწა

უძრავია, მაშინ ისიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ, მზე, მთვარე და ვარსკვლავები ჩვენ გარშემო გვიგლიან.

როგორ არ გაგიკვირდებათ, როცა გაიგებთ, რომ მზე, ეს ვეებერთელა ბურთი, ასი ათასჯერ დედა-მიწაზედ დიდია (ამას შემდეგში დავამტკიცებთ). დედა-მიწა, რომელიც ჩვენ ეგრე დიდი გვგონია—მზესთან შედარებით იგივეა, რაც ბუშტის ოდენა ვაშლი ნადიმის სუფრასთან. ვარსკვლავებიც ისეთივე დიდნი არიან, როგორც მზე. როგორც ჭხედავთ დედა-მიწა ჰაწია კენჭი ეოფილა მთელ სამყაროს სივრცეში. მართლაც, განა შეიძლება—თუ ცოტა გონებას ვავარჯიშებთ—ვიფიქროთ, რომ მთელი აურაცხელი და თვალგადუწვდენელი მსოფლიო ხეციურის ქვეყნებისა ჩვენს ჰატარა მიწის ბურთს გარს უვლიდნენ!?. ეს განა იმას არ ეგვანებოდა: ხიხ ცხენზედ მჯდომი ბავშვი ფიქრობდეს, ვითომ უველა მის ასლო მყოფი საგნები (ხეები, სახლები და სხვ.) მას გარს უვლიან!?.

რამდენათაც დაშორებული ვართ რომელსამე საგანს მის გარშემო ტრიალის დროს, იმდენათ ეს ჩვენგან შემოვლილი გზა დიდია, და რამდენათაც დიდია გზა, იმდენათ მეტი სიჩქარე უნდა ვიხმაროთ, რომ ერთ და იმავე დროსიმ საგანს გარს შემო-

ვუარეოთ. როგორც ამას შემდეგშიაც გაიგებთ, მზე დედა-მიწიდგან რამდენიმე მილიონი ვერსით არის დაშორებული. მაშ რამდენი გზა უნდა გაეკეთებინა, როგორი სისწრაფე უნდა ეოფილიყო, რომ მზეს დღის განმავლობაში დედა-მიწისთვის გარს შემოერბინა!..

კაშკაშა ვარსკვლავები ხომ ასი ათას მილიონჯერ მეტათ დაშორებულნი არიან ჩვენ-ზედ. რა თქმა უნდა უგუნურობა იქნებოდა, წარმოგვედგინა, ვითომ და მრავალი მილიონები ამ ვეებერთელა მნათობებისა მიუწდომელის სისწრაფით ჩვენი ჰაწია დედა-მიწის გარშემო ბრუნავდ„ნ!.

ეხლანდელ დროში ყველამ ვიცით, რომ დედა-მიწა ბრუნავს და ეს ჩვეულებრივი ბუნებითი მოვლენაა. მხოლოდ ჩვენი მიწა ისეთი სისწრაფით არ ბრუნავს, როგორც ვარსკვლავები: მისი მოძრაობა ხომიერი და აუჩქარებელია. დედა-მიწა ბრუნავს და ჩვენც მასთან ერთათ. თუ ჩვენ ვერ ვამჩნევთ ამ მოძრაობას, ეს იმიტომ, რომ მიწის ზემო ჰირ-ზედ მეოფი საგნები: ხეები, შეოები და აგრეთვე ჭაერი ერუბლებიოურთ ჩვენთან და დედა-მიწასთან ერთათ ბრუნავენ. ნიმუშათ, მოიგონეთ მოგზაურობა დახურულ ეტლში ან ტიკვით წყალზედ. ასეთივეა დედა-მიწის მოძრაობა: წყნარი და უხმო, რისგამოც ვერა ვგრძნობთ და ვერ ვიგებთ მის მოძრაობას. რომ

უძრავია, მაშინ ისიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ, მზე, მთვარე და ვარსკვლავები ჩვენ გარშემო გვივლიან.

როგორ არ გაგიკვირდებათ, როცა გაიგებთ, რომ მზე, ეს ვეებერთელა ბურთი, ასი ათასჯერ დედა-მიწაზედ დიდია (ამას შემდეგში დავამტკიცებთ). დედა-მიწა, რომელიც ჩვენ ეგრე დიდი გვგონია—მზესთან შედარებით, იგივეა, რაც ბუშტის ოდენა ვაშლი ნადიმის სუფრასთან. ვარსკვლავებიც ისეთივე დიდნი არიან, როგორც მზე. როგორც ჭხედავთ დედა-მიწა ჰაწია კენჭი ეოფილა მთელ სამყაროს სივრცეში. მართლაც, განა შეიძლება—თუ ცოტა გონებას ვავარჯიშებთ—ვიფიქროთ, რომ მთელი აურაცხელი და თვალ-გადუწვდენელი მსოფლიო ზეციურის ქვეყნებისა ჩვენს ჰატარა მიწის ბურთს გარს უვლიდნენ!?. ეს განა იმას არ ეგვანებოდა: ხიხ ცხენზედ მჯდომი ბავშვი ფიქრობდეს, ვითომ ეველა მის ასლო მეოფი საგნები (ხეები, სახლები და სხვ.) მას გარს უვლიან!?.

რამდენათაც დაშორებული ვართ რომელსამე საგანს მის გარშემო ტრიალის დროს, იმდენათ ეს ჩვენგან შემოვლილი გზა დიდია, და რამდენათაც დიდია გზა, იმდენათ მეტი სიჩქარე უნდა ვიხმაროთ, რომ ერთ და იმავე დროსიმ საგანს გარს შემო-

ვუარეოთ. როგორც ამას შემდეგშიაც გაიგებთ, მზე დედა-მიწიდგან რამდენიმე მილიონი ვერსით არის დაშორებული. მაშ რამდენი გზა უნდა გაეკეთებინა, როგორი სისწრაფე უნდა ეოფილიყო, რომ მზეს დღის განმავლობაში დედა-მიწისთვის გარს შემოერბინა!..

კაშკაშა ვარსკვლავები ხომ ასი ათას მილიონჯერ მეტათ დაშორებულნი არიან ჩვენ ზედ. რა თქმა უნდა უგუნურობა იქნებოდა, წარმოგვედგინა, ვითომ და ამრავალი მილიონები ამ ვეებარეთელა მნათობებისა მიუწდომელის სისწრაფით ჩვენი ბაწია დედა-მიწის გარშემო ბრუნავდენ!.

ესლანდელ დროში ყველამ ვიცით, რომ დედა-მიწა ბრუნავს და ეს ჩვეულებრივი ბუნებითი მოვლენაა. მხოლოდ ჩვენი მიწა ისეთი სისწრაფით არ ბრუნავს, როგორც ვარსკვლავები: მისი მოძრაობა ხომიერი და აუჩქარებელია. დედა-მიწა ბრუნავს და ჩვენც მასთან ერთათ. თუ ჩვენ ვერ ვამჩნევთ ამ მოძრაობას, ეს იმიტომ, რომ მიწის ზემო პირ-ზედ მეოფი საგნები: ხეები, შეოები და აგრეთვე ჰაერი ერუბლებითურთ ჩვენთან და დედა-მიწასთან ერთათ ბრუნავენ. ნიმუშათ, მოიგონეთ მოგზაურობა დასურულ ეტლში ან ტიკით წყალზედ. ასეთივეა დედა-მიწის მოძრაობა: წყნარი და უხმო, რისგამოც ვერა ვგრძნობთ და ვერ ვიგებთ მის მოძრაობას. რომ

ცხადი წარმოდგენა ვიქონიოთ დედა-მიწის მოძრაობაზედ, ავიღოთ ბურთი ან ატაში. ავაგოთ წინდის ჩხირზედ და ვატრიალოთ მასზედ, როგორც ურმის თვალი ღერძზედ. ამ შემთხვევაში ვამბობთ: ბურთი თავის გარშემო ტრიალებსო. ამგვარ მოძრაობას თვალისებური მოძრაობა ჰქვიან. წინდის ჩხირს, რომელიც ბურთის ცენტრშია გაჟრილი—ბურთის ღერძი ჰქვიან, ხოლო ის ნაწილები წინდის ჩხირისა, რომლებიც ბურთს გამოცილებულნი არიან ანუ თავებს—პოლიუსი ჰქვიან: ერთს სამხრეთი პოლიუსი, მეორეს—ჩრდილოეთისა.

გარდა ამ ორი წერტილისა (სამხრეთ და ჩრდილოეთის პოლიუსებისა) დედა-მიწის ყველა დანარჩენი წერტილები (ზემო პირისა) 24 საათის განმავლობაში გარს უვლიან დედა-მიწის ღერძს და ცოტათ თუ ბევრათ დიდს სიმრგვლეს (გზას) აკეთებენ, მაგრამ უფრო დიდ გზას აკეთებენ ის წერტილები, რომლებიც ერთ და იმავე მანძილზედ დაშორებულნი არიან პოლიუსებიდგან და რომელიც დედა-მიწას ორ თანასწორ ნახევარ-ბურთებად ჰყოფს. ამ სიმრგვლეს ჰქვიან ეკვატორი. ასევე ბრუნავენ თავისი ღერძის გარშემო ზეცის სხვა ყველა მნათობნიც: მზე, მთვარე და ვარსკვლავები.

ტ. ინასარიძე.

ქართველთა ივერიის მონასტერი

ათონის მთაზედ *).

ავტორი მოგვითხრობს: როდესაც ტაძარში მოასვენეს ხატი, საკურთხეველში დაკრძალეს, მაგრამ განგებითა ღვთისათა მეორე დილით იპოვნიან მონასტრის კარის ბჭეზე მისვენებულს, და ასე რაოდენიმე გზის შეასვენებდნენ ტაძრის საკურთხეველში და მეორე დილით იპოვნიან მონასტრის გალავნის კარის ბჭეზედ მიყუდებულს. შემდეგ გამოეცხადება ღვთის-მშობელი გაბრიელ დაყუდებულს და ეტყვის: მიველ უთხარი ძმათა მონასტრისათა, მე არა მოველ, რათა თქვენ დამიფაროთ, არამედ თქვენ დასაფარავადო. მაშინ გალავნის კარის ბჭეზედ გაუშენებენ პატარა ეკლესიას ამ ხატსა, და დაასვენეს და ამისათვის მიიღო წოდება პორტაიტისა (მეკარე) ღვთის-მშობელისა. ყოველი შემსვლელ-გამომსვლელი, ბერი თუ ერის კაცი, მოვალეა თაყვანი სცეს პირველათ სასწაულთ-მომქმედ ხატს, და მერე გზას შეუდგეს. ათონის მთაში სასწაულთ მომქმედთა შორის პირველი ყურადღება მიქცეული აქვს ივერიის ღვთის-მშობლის ხატს და ამიტომ ათონის მთის მლოცავთ შეუძლებელია ასცდეს მისი ნახვა. ამ სასწაულთ

---

*) „მოგზაური“ №№ 9—10, 1903 წ.

მომქმედის ხატით აქვს შეძენილი იკერიელთა მონასტერს მეტოქი მოსკოვში, რომელიც სამოც ათას მანეთს აძლევს ყოველ წლიურ შემოსავალს მონასტერს. ეს პორტაიტისა ღვთის-მშობლის ტაძარი მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში სჭერიათ ქართველებს, თავისუფლათ ქართულ ენაზე საღმრთო მოქმედება ჰქონიათ, და შემოსავალი ან საწირავიც ამ ხატისა მათის უფლების ქვეშ ყოფილა, შემდეგ უსურვებიათ მონასტრიდგან გამოსვლა, და უფრო მყუდროებით ცხოვრება. იქავე მონასტრის გარეთ ილია წინასწარმეტყველის სადაყუდებულოში, მონასტრისავე კუთვნილში, მე ვნახე დაყუდებულნი ოთხი ქართველი მოხუცებული ბერი, რომელნიც მონასტრიდგან იღებდნენ საზრდოს, როგორც ძმანი მონასტრისანი, და სხვა ქართველთა მიღება კი აღეკრძალათ ივერიელთა მონასტერში. ერთმა მათგანმა ფ-დ მოხუცებულმა სქემა მონაზონმა ბესარიონ ქიქოძემ, განსვენებულ გაბრიელ ეპიკოპოსის ძმამ, მიამბო, როდე აც ახლად მოველ მონასტერში, ქართული დაწერილი ქვა გამოსცვალეს ტრაპეზისა და სამრეკლოისაო და ბერძნული ჩასვესო. როგორც მესმის ქართველთაგანი ივერიელთა მონასტერში, ერთის მეტი აღარ არის, ესეც სასაფლაოს ეკკლესიის მცველათ, სხვანი ფრიად მოხუცებულობისაგან გარდაცვლილან, რომლებისგან ამ ხუთმეტი წლის წინეთ ვტკბებოდი მათი სულიერი მოძღვრებით. მონასტრის ეზოში, დიდი ტაძრიდამ ხუთი საჟენის სიშორეზე დასავლეთით, საიაზმეა, გარშემო მარმარილოს სვეტებით, რომელიც თაღით შეკრულია და დახურულია ტყვიითა, და აუზი მარმარილოისა, რომლის შადრევნიდგან გადმოსჩქეფს წყაროს წყალი; და დახატულია ისტორიულად ძველი და ახალი აღთქმის შინაარსით და იატაკი დაგებულია წმინდა მარმარილოთი. ყოველ სამონასტრო დღესასწაულში, და წყლის კურთხევის დანიშნულ დროს, ტიბიკონისაებრ, შეძდეგ

ლამის თევისა უწინარეს საღმრთო ლიტურღიისა, განვლენ ლიტანიათა, და გარდაიხდიან აიაზმას (წყლის კურთხევას). საძმო ტრაპეზის სიგრძე ხუთმეტი საჟენია და სიგანე რვა საჟენი; აქ გამწკრიებულია მარმარილოს ტრაპეზები თავისი სასხდომებით, სამასი-ოთხასი სულისათვის; ტრაპეზის გვერდზე—შესაფერი სამზარეულო, და ფრიად დიდი პურის საცხობი, და შესაფერივე მარანი, სუყველა ქვითკირის შენობებით, სამრეკლო ფრიად მაღალი, უმაღლეს ყოველთა გუმბათთა და სხვათა, რაოდენიმე სართულიანი. აქ, შუა სართულის დაკეტილი კარის კლდის ხვრელში დავინახე ერთი დიდი ოთახი, რომელშიაც მოთავსებულია მრავალი ძველი წიგნები, ხარები ძველი და ახალი, სამსრეთის მხარეს მაღალ კოშკში რამოდენიმე განყოფილებით და საბნეულო თავისი აფთიაქით და მრავლის განყოფილებით, საკუთარი ექიმი ჰყავთ, სასყიდელს აძლევენ ორიათას მანეთზე მეტს, საკრებულო დარბაზი აშენებულია სამხრეთის მხარესვე მონასტრის ეზოში, რომელშიაც პროისტოთა (წარჩინებულ პირთა) აქვთ კრება. ჩემს დროს ოცდა ექვსი პროისტოსი ითვლებოდა ივერიელთა მონასტერში და ასამდი ბერნი, გარდა მორჩილებისა. ეს პროისტოთები ირჩევენ ეპიტროპოზს (წინამძღვარს). ეპიტროპოზს ჰყავს თანაშემწე დეკეოზი, ესეც ამორჩეული პროისტოთებისგან. პირველს და მეორეს აქვსთ ატარონ ნება ყავარჯენი. ესევე პროისტოები ამოირჩევენ ანტიპროსობს (მაგიერ პირს მონასტრისას), რომელმან უნდა იცხოვროს დაბა კარაიაში თავისი კრებულით; ეს არის წევრი პროტატისა, რომელიც კრებებში დაესწრება ოცთა მონასტერთა წარმომადგენელთა შორის, საზოგადო საჩივრებს და ყოველივე ათონის საქმეს ესენი გაარჩევენ, გარდა პოლიციურ საქმისა, ვინაიდგან მათ აქვთ მინიჭებული თვით-მართველობა ათონის მთის საქმეში, მაგრამ ამასთანაც ესენი

არიან პასუხის მგებელნი; ამათ ჰყავთ საბოქაულო საქმის სისრულეში მომყვანი თათრის კაიმაკამი (მაზრის უფროსი), თავისი მოხელეებით, და ჯარის კაცით, და თითეული მონასტრის წარმომადგენელს ახლავს სარდარი (ჩაფარი). დაბა კარაიაში სასამართლოს დარბაზში ან პროტატში ყველა მონასტრის წარმომადგენელს აქვს თავისი დანიშნული სასხდომი ხარისხისაებრ: პირველი ათანასეს ლავრას, მეორე ვატოპედის მონასტერს, მესამე ივერიელთა მონასტერს, მეოთხე სერბთა მონასტერს, და შემდგომითი შემდგომი სხვა თექვსმეტ მონასტერს. ამ იც მონასტერთ წევრთა შორის მხოლოდ ოთხის მონასტრის წარმომადგენელთ აქვთ ნება ეპისტატობისა (თავმჯდომარეობისა), თითო წლით, ე. ი. პირველათ ლავრას, მეორეთ ვატოპედის მონასტერს, მესამე ივერიელთა მონასტერს და მეოთხეთ — სერბთა მონასტერს.

ზემოთ მოვიხსენიეთ ეპიტროპოზი. ეს გახლავთ მონასტერთ ახალი ცხოვრების წინამძღვრის წოდება, ე. ი. იდიორითმის (თავის ნების) მონასტერთა, და დეკეოზი (მოურავი). თითქმის ათონის მთის მონასტერთ ნახევარმა, უფრო მდიდრებმა, შესცვალეს ძველი ცხოვრების წესი, ზოგადი ცხოვრებისა ან კინოვიისა, როგორც დღეს არიან იოანე ღვთის-მეტყველის სავანეში ქართველები, და სხვა ათი მონასტერი, და სკიტენი ათონის მთაშივე. ახალ ცხოვრების წესის შემომღებთა შორის ითვლება ივერიელთა მონასტერიც. დღეს, შეუცვლიათ იგი სამონასტრო ზოგადი ტიპიკონის წესი ბერძნებს. აღვნიშნავ აქ მცირედ მათი ცხოვრების შეცვლას: სუყველა თავისი სურვილისაებრ სცხოვრობს, თითეული თავის სენაკში იხარშავს საჭმელს, და მიირთმევს, რომელიც დიდად აღკრძალულია ზოგად მონასტერში. საზოგადო ტრაპეზში სრულიად არ მიირთმევენ სანოვაგეს, ზოგად მონასტერში კი ყველანი, უფროს-უმცროსი ერთათ დასხდებიან და

ერთნაირ საჭმელს მიირთმევენ, ჩაცმითაც ერთნაირათ იცმენ აქ; თავისი ნების მონასტერთ შეიძლება ერთს ხუთ ნაირი ხორცეული საჭმელი ჰქონდეს, და მეორეს ლობიოს მეტი არა ჰქონდეს-რა; თავისი ნების მონასტერთ ჰყავთ იჯარადარი მეყასბე, რომელსაც ხსნილ დღეებში მუდამ აქვს ხორცი გასაყიდი, და ვისაც ჰსურს მონასტრის ძმათაგანს, იყიდის და მიირთმევს, მაშინ როდესაც ფრიად აღკრძალულია ზოგად მონასტრებში ხორცის შეტანა და მირთმევა, ასე რომ სასნეულოშიაც კი ავათმყოფებსაც არ მისცემენ საკვებათ; ეკკლესიაში ლოცვის დროს, თვინიერ დიდის საჭიროებისა, მოუსვლელობა ფრიად აღკრძალულია ზოგადი მონასტრის წესით. თავისი ნების მონასტერთ მცხოვრებთ კი თუ ნებავსთ მიბრძანდებიან ეკკლესიაში საღმრთო მოქმედების დროს, და თუ გინდ არა; ზოგად მონასტერში ყოველივე ზოგადია, რაც საჭიროება მოითხოვს ცხოვრებისათვის და აკრძალულია ფულის ქონა თავისად, თავისი ნების მონასტერთ მცხოვრებთ კი შეიძლება ერთს ათასი თუმანიც ჰქონდეს და მეტიც და მეორეს ტანისამოსის სასყიდელი ფულიც არ ჰქონდეს. ნახავთ აბრეშუმის ანაფორა ჩაცმულ ბერსაც და დაკონკილ ანაფორიან ბერსაც, ასე რომ ყველა ჯამაგირით თავისი თანამდებობისაებრ სცხოვრობს; ვისაც თანამდებობა არ შეუძლიან, ისინი უფრო უფულონი არიან, ერთი სიტყვით, სუყველა თავისი სიმდიდრისაებრ სცხოვრობს, ფულის ინტერესი ძლიერია. უფრო მდიდრულათ სცხოვრობენ, ვინც მონასტრის მამულის მართველათ ყოფილან გაგზავნილნი, და უფრო მოსკოვში და საქართველოში ნამყოფნი. მონასტერში ვინც ძმათ არის შერაცხილი, საზრდოთ აძლევენ სუყველას ორ დღეში ერთხელ გამომცხვაოს პურს, თითოს სამ გირვანქას დღეში, კვირაში ოჯელ ღვინოს, ზეთს, მოუხარშავს ლობიოს, ან სისირს, ან ბულღურს, ან თევზს, ცერცვს; ამათ თუ

გინდ შესჭამს, თუ გინდ გაჰყიდის და ხორცს იყიდის, და სხვას არაფერს არ აძლევენ, ტრაპეზს გაღებულს ვერ დაინახავთ, თვინიერ სამონასტრო დღესასწაულისა წელიწადში სამჯერ და ისიც მლოცავთათვის; აქა ნიჭისაებრ და სიმდიდრისა მიიღებს ბერი პროისტობის წევრობას ძმობისას, მაშინ ხმა აქვს მონასტრის საზოგადო რჩევაში მონაწილეობა მიიღოს, და თვინიერ პროისტთა არავითარი საქმე არ გარდაწყდება მონასტრისა, და უფროს ბერებს არა აქვთ ხმა; ზოგადი მონასტრის წესით კი სუყველას აქვს ხმა წინამძღვრის ამორჩევის დროს და სხვა; პროისტოსს საჭიროებისაებრ აქვს ოთახები, ზოგს ხუთი და ზოგს მეტი; პროისტოს ნება აქვს იყოლიოს მორჩილები თავის მოსამსახურეთ და კერძო მონასტრიდგან განწესებული მიიღოს, შეუძლიან მორჩილები ბერებათ აკურთხოს, და იერო-დიაკვნად, და მღვდელ-მონაზნათ, და გაიჩენს მცირე კრებულს, და ამგვარად შეიქმნება იერონდა (სულიერი მამა). ივერიელთა მონასტრის ბერები უფრო უბრალო ხალხისაგან შესდგება, რომელთაც მონასტერი აძლევს სწავლა-განათლების საშვალებას, და შეიძლება მიაღწიონ, რომელიმე ეპარქიის მმართველის ხარისხსაც და ეპისკოპოზ-მიტროპოლიტადაც გახდნენ. ივერიელთა მონასტერში რაც სახლებია ზოგადი მონასტრის წესზე ექვსას-შვიდას ბერს ეყოფა საცხოვრებელათ და ეხლანდელ წესზე კი დიდია თუ ეყო ორას ბერს. გასცილდებით მონასტრის გალავნის კარს თუ არა, ქვით დაფენილია გზა ნავთ-სადგურამდე, და მონასტრიდგან დაყოლებული ზღვის პირამდე, საუკუნოებიდგან აღშენებულია სხვადასხვა საჭიროებათათვის მონასტრისათა, ქვითკირის შენობანი მომცრო ეკკლესიებითა. ნავთსაყუდელში ფ-დ დიდი კოშკია, როგორც სიმაღლით, ეგრეთვე სისრულით, რომლის მსგავსი არ მოიპოვება მთელს ათონის მთაში; საჭიროების დროს ანძებით შე-

მოსილ დიდს გემებს შეათრევენ შიგ და კლიტით დაჰკეტვენ; იტყვიან ამ კოშკიდგან მონასტრამდე ძველათ ჰქონიათ გვირაბი გაყვანილი შიშიანობის დროს. აქ აღსანიშნია შემდეგი სახლები: სახლები თავისი ეკკლესიით მენავეთათვის, სამეჯინიბო სახლი ორ-სართულიანი ქვითკირისა, ას ჯორზე მეტს დაიტევს, ქარხანა საქსოვი ტომრისა და სხვა საჭიროებათათვის მონასტრისათა, ქარხანა ქვიტკირისა ზეთის სახდელი, წისქვილი ჩარხისა, რომლისთვინაც ოთხი-ხუთი ვერსის სიშორიდგან არის მოყვანილი წკალი ქვიტკირის არხით და დახურულია ქვითკირითვე, სასნეულო კეთროვანთათვის თავისი ეკკლესიითა, რომელშიაც რაოდენსამე კეთროვანს ინახავს მონასტერი, სასაფლაო თავისი დიდი ეკკლესიითა და აკალდამით, ბაღი ლიმონ-ფორთოხლისა უმეტესი ერთი დევეტინისა, ბოსტანი უმეტესი ორი დესეტინისა თავისი სახლებით და ეკკლესიით მებოსტნეთათვის, დიდი სათიბი ქვიტკირის გალავნით შემოვლებული, სათევზაო სახლი ორ-სართულიანი ზღვის პირად ქვიტკირისა, სახორბლე ქვიტკირისა, რომელიც იტევს რამოდენიმე ათას კოდს ხორბალსა. დაბა კარაიამდი ოთხი ვერსის გზა სრულიად ქვაფენილია, და ასევე ყოველ კუთხივ გზა ქვაფენილია და ვინაიდგან ურემი არ იხმარება გზის უხერხულობისა გამო, ასამდი ჯორი ჰყავს მონასტერს და რაც საჭირო იქნება მონასტრისათვის შეშა თუ სხვა მოსატანი ტვირთი, ამას ასრულებენ ჯორები. დაბა კარაიაში ორ-სართულიანი დიდი სახლი, სამი კუთხედი შენობა ქვიტკირისა აქვს მონასტერს თავისი ეკკლესიითა და ბოსტანბაღჩით, მონასტრის მაგიერის პირის ბინად, და მონასტრიდგან მომავლელთა ბერთათვის თავის შესაფარად. გარდა ამისა იგერიელთა მონასტერს აქვს ათონშივე, მონასტრის გარშემო, რამოდენიმე ათასი დესეტინა ტყე წაბლისა, მუხისა, წიფლისა და სხვა, რომელიც გააქვთ მო-

იჯარადრეებს სხვადასხვა ქალაქებში გემებით, და იყიდება კარგ ფასათ;—ხევში წისქვილი არა მცირისა შემოსავლისა მომცემი, ვენახი (ვაზისა) უმეტესი ოცი დესეტინისა, და ეგრეთვე ზეთის ხილის ხის ბაღი უმეტესი ოცი დესეტინისა, რომელნიც აკმაყოფილებენ მონასტრის საჭიროებებს; ივერიელთა მონასტრის ადგილშია: ერთი სკიტე (მეორე ხარისხის სავანე) იოანე ნათლის-მცემელისა. საზოგადოდ სკიტელთ უფლობა ათონის მთაში ასეთია: სკიტეს აქვს ტაძარი საკრებულო გუმბათიანი, და რაოდენიც უნდა შენობას გააშენებს მონასტრის ნებით, ეკკლესიის მთავარ-დიაკვნისა და მღვდლის კურთხევა მონასტრის ნება-დაურთველათ არ შეუძლიან, სკიტის მცხოვრებ ბერებს შეუძლიანთ ისარგებლონ შეშით საჭიროებისაებრ: მონასტრისავე ნებითა აქვს საკუთარი ბეჭედი და ჰყავს ამორჩეული მმართველი სკიტისა სკიტელებისაგან, მონასტერს არ შეუძლიან გააუქმოს სკიტე და ან ვინმე ბერთაგანი დაითხოვოს სკიტელების უნებურათ, და ან გაყიდოს სკიტე როგორც კელია, მხოლოდ ექვემდებარება მონასტერს მცირედის გარდასახადის მიცემით, მუდამ წელიწადს გადაჭრილი ხარჯი უნდა აძლიოს სკიტემ მონასტერს შეძლებისაებრ. ამასთანავე ივერიელთა მონასტერს აქვს თავის ადგილში, თუ არა ვცდები, ორმოცდა რვა კელია, რომელიც ძველათ ჰქონიათ მონასტრის ბერებს მყუდროებისათვის საცხოვრებელათ, ზოგნი სამუდამოთ და ზოგნი ზაფხულობით მთის კალთებში, ყველა ამა კელიათა აქვთ თავისი მომცრო ეკკლესია ოთხი-ხუთი სენაკით და სხვა საჭიროებათათვის შენობანი ქვიტკირისა, სამი-ოთხი დესეტინა ეზოთი, ზეთის ხილის ხეებით, და ვენახ-ბოსტნით და სარწყავი წყლით, სამყოფი სამი-ოთხი სულისათვის საზრდოდ; კელიოტი არის პირველი ჩაწერილი პირი, რომელმაც უნდა გარდაიხადოს მონასტრის სასარგებლოთ ღირებულება პირ-

ველ დაფასებული კელიის მესამედი ნაწილისა, და აქვს უფლება თავის სიცოცხლეში იცხოვროსიქ, და მასთან ჩაწეროს ორი კანდიდატი, შეუძლიან აცხოვროს თავისთან ბერი ან მორჩილი, რომელთაც პირველი პირის სიკვდილის შემდეგ შეუძლიინთ ერთ-ერთმან მონასტრის თანხმობით მიიღოს პირველობა, და გარდაიხადოს მესამედი ღირებულობა პირველ დაფასებულისა, და ისევ მთელს თავის სიცოცხლეში ისარგებლოს, ასე რომ პირველი პირის სიკვდილისა კანდიდატები შეიტანენ მონასტერში მესამედს ღირებულობისას პირველ დაფასებულ კელიისას, და გახდებიან მეპატრონედ თავიანთ სიცოცხლეში, და რამოდენნიც იქნებიან კელიაში მონასტერს უნდა აძლიონ თითეულმა თათრული ოქრო (ლირა) ყოველ წელიწადს, ე. ი. ცხრა მანეთამდი; მონასტრის ნებით შეუძლიან კელიოტს კელია ვისზედაც უნდა გადასცეს, მონასტერსაც შეუძლიან კელია სხვაზე გაყიდოს უკმაყოფილების დროს, და ან სრულიად დაკეტოს, კელიოტს არ შეუძლიან სამორჩილო მონასტრის უნებურათ მიიღოს, ყოველი შენობა თუ კურთხევა მონასტრის დაუკითხავათ არ შეუძლიან კელიოტს, წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადო წესისაებრ შეუძლიან დაატუსაღონ კელიოტი და ცარიელი განდევნონ ათონიდგან, როგორც ერთ ელადის (საბერძნეთის) ქვეშეერდომს უყვეს, გაქცევაც ძლივს გაასწრო ათონიდგან და სატუსაღოს გადარჩა, და კელია მონასტერს დაუტევა. ერთი ასეთი კელია გახლავს იოანე ღვთის-მეტყველის სავანედ წოდებული ათონის მთაში, რომელშიაც დღეს სცხოვრობს ქართველთა ძმობა, უმეტეს ოცდა ათის ბერისა, ივერიელთა მონასტრის ადგილში, მონასტრიდგან ორის ვერსის მანძილზე; გარდა ძველი შენობებისა ქართველებს გაუშენებიათ აქ ოცდაათამდი სენაკები, და დიდი ეკლესია, ეკლესიაზე გუმბათის დადგმის ნება მონასტერს არ

მიუცია, და მზათ ყოფილი ისევე დაუშლიათ, და აგრეთვე გაუშენებიათ ქვიტკირისა ორ სართულიანი შენობა, რომლის ნახევარში მოთავსებულია საწნეხელი, და მეორე ნახევარში ქარხანა ზეთიხილის ზეთის სახდელი, და კიდევ შეიძლება რამოდენიმე სენაკი გაიმართოს ამავე შენობაში, მაგრამ გამართვის ნებას ბერძნები არ აძლევენ, და ისე უქმათ არის დარჩენილი. აქ პირველ პირად არის ჩაწერილი მამა ბენედიკტე (ბარკალაია), და მეორეთ მღვდელ-მონაზონი იონა, ე. ი. კანდიდატათ; გარდა ამათისა არავინ არ არის ჩაწერილი, იბრძვიან არათუ მარტო ივერიელთა მონასტერი, არამედ სრულიად ათონის მთის მონასტერნი, რათა მათი დადგენილი კელიოტებზე კანონები ქართველებზედაც განახორციელონ, და როგორც კანონის წინააღმდეგნი ქართველები განდევნონ ათონის მთიდგან, და ბევრიც დახარჯა ივერიელთა მონასტერმა; როგორც სარწმუნო კაცისგან გავიგე, ქართველების ათონიდგან განდევნაზე დიდ ვეზირამდი მიაღწია საქმემ, და თუ კონსტანტინეპოლის რუსეთის ელჩი არ ჩარეულიყო ქართველების საქმეში, დღეს ხსენებაც არ იქნებოდა ქართველებისა ათონის მთაში და სხვა; მართალია ქართველები მაგათ წესს სრულიად არ ემორჩილებიან, და, პირიქით, ივერიელთა მონასტერს ედავებიან, კელიაც ჩვენია და კელიის პატრონიკაო (ე. ი. თითონ მონასტერიკაო), დღეს რუსეთის მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ არის და იფარავს ქართველთა კრებულს, და ვინაიდგან საბუთიანი სიმართლე დაინახა ქართველებისა რუსეთის მთავრობამ, კიდეც ხელი მოჰკიდა და სამას თუმანს მუდამ წელიწადს, ივერიელთა მონასტრის, ბესარაბიის შემოსავალს უჭერს, და უგზავნის ქართველთა კრებულს ათონის მთაში. ეს ოცი წელიწადია არაფერი ეშველა საქმის გათავებას, რომელიც დიდათ მავნებელია ქართველთა კრებულისათვის ათონის

მთაში, რომელნიც მრავლითაგან არიან შეეიწროებულნი, ე. ი. შეშით, წყლით, საავათმყოფოთი, კურთხევით ეკკლესიისა, ბერებისა, მთავარდიაკვნისა, მღვდელმონაზონისა, შინა წეს-წყობილებით და სხვა; საქმის გაუთავებლობა ამათ ხელს უშლის, და, რასაკვირველია, ქართველთა მონაზონთა გამრავლებასაც ხელს შეუშლის, და განდევნა არც კი დასჭირდება ბერძნებს ქართველებისა, შეიძლება თვით იძულებულნი შეიქმნენ განწირულებაში მყოფთა, თავი დაანებონ ათონის მთას, როგორც მოხდა კიდეც: მრავალთა სასარგებლო პირთა თავი დაანებეს, და უკუ იქცნენ საქართველოშივე და ამ გზით, არათუ ივერიელთა მონასტერი, არამედ იოანე ღვთის-მეტყველის სავანეც დარჩებათ ბერძენთ ბერებს, თუ დროზე ყურადღება არ იქმნა მიქცეული; მინამ ქართველთა ბერები ათონში იმყოფებიან, საბუთი გვაქვს ივერიელთა მონასტრის მფლობელთ ვედავნეთ, და უფლება აღგვიდგეს, თვარა მერმეთ გვიანღა იქნება. ესეც საფიქრებელია, პირველი პირი მამა ბენედიკტეს სიკვდილის შემდეგაც დიდი ცვლილება მოახდინონ ბერძნებმა ქართველების კელიაზე. ათონის გარეშე ქვეყნებში, ივერიის მონასტერს მრავალ ადგილას აქვს სახნავები, რაოდენიმე ათასი კოდი ხორბლის მომცემი. დიდი სახნავები აქვს კალაბრიაში, იერისოში, კასანდრაში და თასოში, ზეთიხილის ბაღი ბულგარიაში და სხვა; სუყველგან სახლები ეკკლესიით მორთული სავანედ მონასტრის ბერთათვის ან მოურავთათვის. სოფელ იერისოში ათონის მთის გარეთ ერთი დღის ცხენით სავალზე მოიხდა მგზავრობა, მახლობლათ სოფლისა, დიდი უზარ-მაზარი კოშკის ცალ მხარე ნანგრევზე წავაწყდი, ეგდო მარმარილოს ქვა და ეწერა ქართულათ, ხუცური ასო-მთავრულით, სხვათა შორის „ღთუ გვირგვინოსან მიხაილ პალეოლოგოს დროს აღიშენა ქართველთაგანო“. ეს კოშკი ივერიელთა მონასტ-

რის მამულშია, ეს მამული ფრიად ვრცელია, სახნავ-საძოვრით, სათიბით და ტყითა, აქა ჰყავს ჯოგი ივერიელთა მონასტერს, ამ მამულს ხმაროობს სრულიად იერისოს სოფლის მცხოვრები ოთხასი კომლი, და მონასტერს თავისს ხვედრს აძლევენ; აქ არის ორმოცდა ორი კომლი ქართველი, საქართველოდგან გადმოსახლებულები, ძველიდგან მონასტრის საჭიროებათათვის, როგორც მოგვითხრობს პორფირი უსპენსკის აღწერა ათონისა, ახლა ბერძნული ენით მოუბარნი; მხოლოდ ერთი ჩვეულება შევნიშნე იმერული, რომელიც სხვათა ბერძენთა არა აქვთ ჩვეულებად: სადილ-ვახშმის მირთმევის დროს და შემდეგ მირთმევისაც ლიტრის წყლით და ტაშტით შემოვა უნაკროსთაგანი და ხელს დაგაბანიებს და პირს გამოგარეცხიებს და მეორეს ხელსაწმედი ტილო მოაქვს შესამშრალებლათ ხელ-პირისა. ერთმა ბულგარელმა ბერმა მიამბო, ბულგარიაში, რომელიც აქვს ივერიელთა მონასტერს მეტოქი, იქაური ეკკლესიის შენობას ქართულათ ნაწერი ქვა ამოაძრესო. გარდა ამისი ივერიელთა მონასტრის მამული რუსეთში, საქართველოში, ბესარაბიაში ცხადია რამდენს შემოსავალს აძლევს მონასტერს, ესენი არიან ქართველთა წარჩინებულთაგან შეძენილნი, შეწირულნი და მონაგარნი, ქართველთა მერმის მომავალთათვის საკეთილდღეოდ.

კონსტანტინეპოლის ქალკიდიკიის აკადემიის პროფესორმა გედეონმა, გამოსცა ბერძნულათ დაბეჭდილი წიგნი, ათონის მთის აღწერისა, სახელდობრ «ათოსი», ნებართვითა კონსტანტინეპოლის პატრიარხისათა; ავტორს ფილოთეოსის მონასტერში უნახავს ერთი ხელ-ნაწერი ბერძნული წიგნი, და დამწერს ძლიერ ჰკიცხავს და ზლაპარ ნაწერათ უწოდებს მის შრომას, ვითომ ათონის მთაში დიდი კონსტანტინე და იმ დროის მეფეთა გაეშენებინოთ მონასტრებიო; ავტორს მოჰყავს მრავალი საბუთი

და ამტკიცებს დიდ კონსტანტინეს დროს მეოთხე საუკუნეში ქრისტიანებიც არ იყვნენ ათონის მთაშიო, და მონასტრები საიდგან იქნებოდენო, და უჩვენებს მონასტრებს, რომელ საუკუნეში სად აღშენდა და სად არა, მხოლოდ ათონის მთაში პირველათ მონასტრების გაშენება დაიწყეს მეათე საუკუნეშიო და სხვ.

ავტორი მოგვითხრობს, რომ იოანე ივერიელმა ივერიელთა მონასტერში პირველათ გააშენა იოანე ნათლისმცემლის ტაძარი, და სახლები ივერიელთა ერთათვის 960 წელს და ფრიად განადიდეს ივერიელთა მონასტერი გიორგიმ და ვარაზ ვაჩე ივერიელებმაო.

კედრინოსი, მეთერთმეტე საუკუნის გამოჩენილი ისტორიკოსი კონსტანტინეპოლისა, სხვათა შორის მოგვითხრობს (გვერდი 566): „გიორგი და ვარაზ ვაჩე ივერიელებმა ივერიელთა მონასტერი გააშენეს ათონის მთაშიო“.

ქალაქ ათონის მიტროპოლიტი მელეტიოსი თავისს საეკლესიო ისტორიაში, მეთექვსმეტე საუკუნეში, სწერს მეორე ტომში (გვერდი 388): „რომანოზი არგირი და მიხაილი პაფლაღონოს მეფეების დროს 1028—1041 წლებში, აღაშენეს ივერიელთა მონასტერი ათონის მთაში გიორგი და ვარაზ ვაჩე ივერიელებმაო“.

პროსკინიტარიონი წმიდა პავლეს მონასტრის ავტორი მოგვითხრობს: „გიორგი ივერიელმა კლიმენტოში იყიდა ადგილი ოთხას ფლორად და აღაშენა მონასტერიო“. ამაზე გედეონი არაფერს მოგვითხრობს რასაკვირველია, ჯერეთ კიდევ ბევრი რამეა ივერიელთა მონასტრისა გარემოება საიდუმლოთ მოცული და სანამ ქართველთა უფლება არ აღსდგება, ასეც იქნება. წმიდა ათანასე ათონელის ხსენებას აღასრულებს მართლმადიდებელთა ეკკლესია 5 ივლისს. ათანასე ათონელი სწერს თავისს ანდერძის წერილში და სხვა მრავალ ცნობათა შო-

რის მოგვითხრობს: „იოანე ივერიელმა რაც რომ თავიანთ ივერიელთა ნათესავთათვის აღაშენა ივერიელთა მონასტერი, მას შემდეგაც არ დასცხრა ქველის საქმე ჩვენს ლავრასა ზედა, დიდი ამაგი დასდო ჩვენს ლავრასა ზედა, შემოსწირა წმიდა ევსტატის კუნძული, და ლიმნოსის მამული, რომლიდამაც ყოველ-წლიურათ შემოსდის ოთხმოცი ოქრო ჩვენს ლავრას, და სხვა მრავალ მონასტრისათვის სახმარისი შემოსწირა ჩვენს ლავრას, განურჩევლათ სუყველას ათონის მთის მკვიდრთ აძლევდა დიდს შემწეობას, და უშენებდა ტაძრებს, დასაყუდებულებს და ქსენონებს. აწ ვანდობ ჩემის ლავრის მართვა-გამგებლობას ჩემს შემდეგ და სრულიად ათონის მთის განგებლობას და პროტობობას, ხორციელათ იოანე ივერიელის შვილს, და ჩემს სულიერს შვილს ევთიმეს, რომელსაც მე ვპოვებ ყოველთა ათონის მთის მამათა შორის უწმიდეს და უდიდებულესად, და შემდეგ ევთიმემ უკეთუ ისურვოს მყუდროებით ცხოვრება, ვანდობ ევთიმემ თავის მაგიერათ დაადგინოს მართველათ ლავრისა და სრულიად ათონისა გიორგი ივერიელი, და ვთხოვ ლავრას ძმათა რათა ჰქონდეს ივერიელთა ძმათა მიმართ დიდი სიყვარული, და ურთიერთობა". როგორც წმიდა პავლეს მონასტრის პროსკინიტარიონში, ეგრეთვე ბერძენთა მრავალი მწერლები მოგვითხრობენ: „პროტოსი (პირველი) «ევთიმე ივერიელი», „პროტოსი გიორგი ივერიელი" ათონის მთის მთელს წინა საუკუნოებში პროტოსი ეწოდებოდა, ეხლა რაც ოც მონასტერთა წარმომადგენელნი განაგებენ, ესევე და უმეტესი უფლობა ჰქონია ძველს დროს «პროტოსს». მეფენი და პატრიარხნი თანახმად ათონელთა, ერთს უწარჩინებულეს პირს მიანდობდნენ ათონის მართვა-გამგეობის საქმეს და ის განაგებდა ათონის ძთას. ის იყო შუამდგომელი მეფეთა და პატრიარხთა წინაშე და მეუდაბნოეთა, და მონასტერთა მზრუნველი

და სხვა. ევთიმე და გიორგი ივერიელებს, როგორც მოგვითხრობენ ბერძენთა მწერლები, მათის პროტოსობის დროს დიდი ღვაწლი მიუძღვით, ვინაიდგან ახალ წესების შემოღებას დიდი შრომა უნდა, და აგრეთვე აჯანყდა ის ხალხი, რომელიც წინათ გარდასახლებული იყვნენ ათონიდგან, და ძალით შემოვიდნენ ათონის მთაში საცხოვრებლათ; ამაზე დიდი ძალი და შუამდგომელობა დასჭირდა იმპერატორებთან, რათა სხვა ახალი ალაგი მიეცათ იმ ხალხისათვის ათონის გარეშე, და ათონის მთა განეთავისუფლებინათ მცხოვრებთაგან; როგორც წინეთ მეფენი მათს თხოვნას აუსრულებდნენ და ასე მხნედ განამტკიცეს ათონის წეს-წყობილება, ევთიმე და გიორგი ივერიელებმა. არა თუ ივერიელთა მონასტერი გააშენეს, არამედ სრულიად ათონის მთას დიდი ამაგი დასდვესო.

პროფესორი გედეონი მოგვითხრობს შვიდამდი ხრისოვულებს (სიგელ-გუჯრებს) მეფეებისაგან მიცემულს ივერიელთა მონასტრისთვის. ესენი ცხად ჰყოფენ ივერიელთა მონასტრის ქართველების უფლებას. როგორც სჩანს ივერიელთა მონასტრის აღშენების დროის აღწერიდამ იოანეს და ევთიმეს წინამძღვრობის დროს, ბერძნები არ ყოფილან მიღებული მონასტერში, როდესაც მოისვენა ევთიმემ წინამძღვრობისაგან და გარდასცა გიორგის წინამძღვრობა, გიორგიმ დაიწყო თითო-ოროლას მიღება ბერძნებისა, ე. ი. მენავეთ, მებოსტნეთ და მჭედლათ მონასტრის საჭიროებათათვის, ამაზე ევთიმეს სწყინდა, მაგრამ გიორგის არ აწყენიებდაო.

მეცამეტე საუკუნეში ივერიელთა მონასტრის მცხოვრებ ქართველთა და ბერძენთა ბერებს მოჰსვლიათ უკმაყოფილება, როგორც სწერს თავისს განჩინებაში კონსტანტინეპოლის პატრიარხი კალისტრატე (დაბეჭდილია ვენეციაში ბერძნულათ, მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებში); <ვინაიდგან ქართველთა ძლიერ სიმკირისა გა-

მო. და უსწავლელობისა არ შეეძლოთ მონასტრის მოვლა, მათ ქართველთავე თანხმობით ჩამოვართვი მონასტრის წინამძღვრობა ქართველებს, და ეკონომოსობა (მოურაობა) და დიდი საკრებულო ტაძარი და ჩავაბარე ბერძნებს, და ქართველებს ჩავაბარე პორტაიტისის ტაძარი და სხვა ყოველივე საერთოთ». ამ განჩინებას აგრძელებს პატრიარხი და თითქმის სინანულშიაო, არავინ იფიქროსო; ვითომც ბერძნებს მხარი დავუჭირეო და ისევე — იმეორებს ქართველები ძლიერ მცირე არიან და უხეირხულნი მონასტრის მოვლაზე და თვით ქართველები თანახმა არიან და იმისათვისაო და სხვ.

მეთოთხმეტე საუკუნეში «ასკიტიკაში» რომელიც დაბეჭდილია ბერძნულათ ჩელს აწერს ივერიის მონასტრის წინამძღვარი ქართულათ „სიმეონი" სხვა წინამძღვართა შორის მესამე პირათ, სჩანს ისევე ქართველებს მიუღიათ წინამძღვრობა.

პროფესორი გედეონი მოგვითხრობს თავისს აღწერაში: „მეთუთხმეტე საუკუნეში ივერიელთა მეფეებმა ქაიხოსრო და მზე ჭაბუკმა, ივერიელთა მონასტერი სრულიად განაახლეს, მრავალი დანგრეული და დაძველებული შენობანი გააშენეს, განაახლეს, ახლათ აღაშენეს მონასტრის კედლები ვიდრე წმიდათა უფერცხლოთ მკურნალთა ეგვიპტემდე, და სხვა. განაახლეს და აღაშენეს სიდაც მამულები აქვს მონასტერს საჭირო შენობანი, და განამდიდრეს ყოველივე შემოსავლით მონასტრის საჭიროებათაებრ, და ააშენეს ფრიად დიდი კოშკი მონასტრის ნავთ-საყუდელში".

ავტორი კვლავ მოგვითხრობს: «მეთექვსმეტე საუკუნეში ივერიელთა მონასტერი დაკეტეს ბერებმა, და გასაღები მონასტრის კლიტისა, მიართვეს ალექსანდრე კახეთის მეფესო, რომელმაც უბოძა თორმეტი ათასი ფლორი (ოქრო) და ბერები მოიქცნენ მონასტერშიო».

როგორც მეცნიერები სწერენ იმ დროის ფულის ღირსებაზე მაშინდელი ერთი ახლანდელს ათს უდრისო.

ავტორი კვლავ მოგვითხრობს: „მეჩვიდმეტე საუკუნეში, უბრწყინვალესმა აშოტან მუხრან ბატონმა, ივერიელთა მონასტრის პორტაიტისის ეკკლესია განაახლა, და განამშვენა და სრულიად დაახატვინა თავისი საფასითაო“.

„პროსკინიტარიონ ტონ ივირონ“-ის ავტორი მოგვითხრობს: „იშოვნა დრო ბარდ სკიროსმა კონსტანტინეპოლის იმპერატრიცა ქვრივი თეოდორას და მისი ობლების დროს, დაუწყო ბრძოლა და უნდოდა დაემხო მეფობა მათი. დედოფალმა მოილაპარაკა თავისს წარჩინებულებთან, და ვერაფერი ღონის-ძიება ვერ მოახერხეს, გარდა ივერიელი თორნიკის მოშველებისა. დასწერეს თხოვნა მხედართ-მთავრათ ნამყოფ თორნიკე ივერიელთან და გაგზავნეს ათონის მთაში, და აგრეთვე იოანე ივერიელთან და ათანასე ათონელთან წერილები, რათა მათ ურჩიონ თორნიკეს, და გამოგზავნონ მოსაშველებლათ. ერთი კვირის მრავლის თათბირის შემდეგ დაიყოლიეს იოანე ივერიელმა და ათანასე ათონელმა, ღვთის წინაშე თავდებათ უდგებიან, უკეთუ ამაში რაიმე ცოდო იყოს, ღმერთს ჩვენ ვაგებთ პასუხსაო და თან დასძენენ უფრო დიდს სამადლო საქმეს მოელი და ღმერთი უმეტესათ შეგიწირავსო ქრისტიანთა მტრის დათრგუნვისათვის და საქრისტიანო სამეფოს უსჯულოთ ხელისაგან გამოხსნისათვისო. მაშინ თორნიკე გაიხდის ბერის ტანისამოსს და ჩაიცვავს სამხედრო ტანისამოსს, და მივა სატახტო ქალაქს. დედოფალი და დიდებულნი მიიღებენ დიდის პატივით. დედოფალი თეოდორა დააჩოქებს მის წინ ორივე მცირე-წლოვანს კონსტანტინეს და ვასილს, შემდეგ იმპერატორებს, და ეტყვის: «მამაო წმიდაო, შენ ხარ ამ ობოლთა მამა და მფარველი და მტრის ხელიდ-

გან დამხსნელიო!» მაშინ თორნიკე მხედართ-მთავარი შეუდგება თავისს საქმეს, შეებმება თავისი მხედრობით ბარდ სკიროს და მის მხედრობას, სძლევს და სრულიად განდევნის სპარსეთის საზღვრამდე. მობრუნდება თორნიკე კონსტანტინეპოლს ძლევა შემოსილი, დედოფალი თეოდორა გაუღებს სამეფო საუნჯის კარს, და სთხოვს რაც მისი ნება იყოს მიიღოს, თორნიკე მხედართ-მთავარი უარს ჰყოფს ყოველივე ქვეყნიერ დიდებას და სიმდიდრეს, მე ჩემი დავუტიე და სხვისას ვერ მივიღებო». რასაკვირველია, ქართველთა მონასტერს, სადაცა სცხოვრობდა მათი დამხსნელი თორნიკე, შემწეობას მისცემდა მეფე-დედოფალი თავისს სამეფოში.

ივერიელთა მონასტერში, დიდი ტაძრის კარის ბჭის ისტორიულ მხატვრობებს ვათვალიერებდი, მომეახლა ერთი ღრმად მოხუცებული ბერძნის ბერი და მკითხა ვინაობა; მე მივუგე ქართველი ვარ მეთქი; მაშინ თითი მიმითითა და მითხრა, ესენი არიან, შვილო, საქართველოს მეფენი და აღმაშენებელნი ამ მონასტრისანი, და მათშორის მდგომარე მხედართ-მთავრულათ ჩაცმულზე მითხრა, ეს თორნიკე არისო. მე ძალიან დავაკვირდი ზედ-წარწერას, მაგრამ სახელები წაბღალული იყო გარდა ორისა, ბოლოდ ძლივს ეტყობოდა საერთო წარწერა მეფეთა ზემოთ «ვასილევს ტონივირონ» (ივერიელთა მეფენი), ბერძნულათვე ეწერა ერთი დედოფლის მხატვრობაზედ „ნესტან დარეჯანი“ და მეორე დედოფლის წინ მდგომ სამეფო სამოსლით მოსილ ყმაწვილზე «ვასილი», დედოფლის სახელის წარწერა კი არ ეტყობოდა.

მეორეთ მგზავრობის დროს ორი-სამი წლის შემდეგ მიველი ივერიელთა მონასტერში და შევხედე კარის ბჭის მხატვრობას, წამლით განეახლებიათ მხატვრობები, არც კი, საჭირო იყო, და ზედ მეფეებზედ წარეწერათ: «ვასილევს ტონ ვიზანტინონ კეკტიტორონ“ (ბიზანტიის

მეფენი და აღმაშენებელნი)". და სუყველა მეფეებზე თითეულად სახელები დაეწერათ, რომელიც შუაზე დგას, შარავანდედიანი მეფე, დაეწერათ: „დიდი კონსტანტინე", და სხვაზე სხვადასხვა ბიზანტიის მეფენი; რომელიც უმეტეს ასჯერ წამიკითხავს ჩემის თვალით «ნესტან დარეჯანი» წაეშალათ და მის მაგიერათ დაეწერათ «ირინე დედოფალი ბიზანტიისაა». ამ დროს განსვენებული არხეოლოგი დიმიტრი ბაქრაძე იქ ქართულ ბიბლიოთეკას სჩხრეკავდა. რასაკვარველია, მესიამოვნა მისი ნახვა, და კიდეც მოვახსენე გულ-მტკივნეულმა მეფეთა წარწერების გამო და ვუჩვენე კიდეც ის მხატვრობები. განსვენებული დარწმუნდა, ქართველთა მეფეთა მსგავსათ არიან დახატულნი, და გვირგვინებიც მათივე მსგავსებით არისო, ე. ი. ქართველთა ჩვეულიბისაებრო, უთუოთ ქართველთა მეფენი უნდა იყვნენო.

ჩემის აზრით, საშვალ მეფე-დედოფალთა შარავანდედით მდგომი მეფე უნდა იყოს დავით აღმაშენებელი, რომელმაც დიდი შემწეობა აღმოუჩინა ამ მონასტერს, და კონსტანტინეპოლს გაუშენა მეტოქი და ადგილი თავისი საფასით შეისყიდა, და არა დიდი კონსტანტინე, ე. ი. მეოთხე საუკუნის მფლობელი საბერძნეთისა და რომისა, ოომლის დროს მონასტერი კი არა, არც ქრისტიანობა ყოფილა ათონის მთაში, და ნესტან-დარეჯანის მაგიერათ, რომელიც ეწერა, ირინე დედოფალი, მერვე საუკუნეში მეფობდა კონსტანტინეპოლში, და მაშინაც მონასტერს არ აშენებდნენ ათონის მთაში, სადაც დაიწყეს მონასტრის გაშენება მხოლოდ პირველათ მეათე საუკუნეში. ამაზე კმარა პროფესორის გედეონის აღწერა, რომელიც სხვადასხვა საბუთებით გვიმტკიცებს ამას და დანარჩენზედ იხილე «ათოსი». რომელიც შარავანდედით მოსილ მეფის უკანა მხართან უდგას, შეხედვით ახოვანი და მოსილი მხედართ-მთავრულათ, უეჭველია, თორნიკე

მხედართ-მთავარი უნდა იყოს, და ამასაც სახელოდობრ და თითის ნიშნით მეტყოდა წინამოხსენებული ბერძნის ბერი. შემდეგ ქაიხოსრო და მზეჭაბუკი და ალექსანდრე კახეთის მეფე, და სხვა დედოფალი ნესტან-დარეჯანი ქართველთა დედოფალი, ვასილი, რომელს ც წინ უდგას, უნდა იყოს თეოდორა, კონსტანტინეპოლის მეფე-დედოფალი. ეს ორი უნდა იყვნენ, თორნიკე ქართველთა მხედართ მთავრისაგან დავალებული. პროფესორი გედეონის სიტყვით ეს ტაძარი და სხვა მრავალი წმიდა მღვდელ-მონაზონის მარკოზის ქართველის დახატულია მეთექვსმეტე საუკუნეში; პროფესორი ძლიერ გაუკვირვებია ამის მხატვრობის ხელოვნებას, და საუკეთესო მხატვრათ სთვლის, სრულიად საბერძნეთში და სხვაგან. როგორც ქართველი კაცი ქართველთა აღმაშენებელთა მეფეთა არ დაივიწყებდა და თორნიკეს უსახსოვროთ.

თუ ბერძენთა ფილოთეოსის მონასტერში დახატულია დღე-დე კახეთის მეფენი ლეონი და ალექსანდრე, და ხელში უჭირავთ ორთავ მონასტერი განახლებისათვის მონასტრისა, რომ თავიანთი საკუთარი აღმაშენებლები—ივერიელთა მეფენი დაეხატნათ ქართველებს, მონასტერში, არავინ დაუშლიდათ. აქ ცხადია მეფეთა ახალი წარწერის სიყალბე. ბერძნული წიგნი «ათონის პროსკინიტარიონ» გადმოგვცემს: თორნიკე მხედართ-მთავრის შესამოსი ჯაჭვი და სხვა დღემდე ინახება ივერიელთა მონასტერშიო, რასაკვირველია, არავის რუსეთის ქვეშევრდომს არ უჩვენებენ ამას, როგორც მოგზაურების მოთხრობებიდგან სჩანს.

ივერიელთა მონასტერი დღესასწაულობს წელიწადში სამი ტაძრის დღესასწაულს: 1) დიდი ტაძრისას ღვთისმშობლის მიძინების დღეს 15 აგვისტოს, 2) ნათლის მცემლის ტაძრის დღესასწაულს ნათლის-ღების მეორე დღეს, როგორც უძველესის ტაძრისას და 3) ივერიელ-

თა ღვთის-მშობლის ხატისას, ან პორტაიტისას აღდგომის მეორე დღეს. კიდევ დღესასწაულობენ ქართველთა ივერიელთა მონასტრის აღმაშენებელთა წმიდათა მამათა იოანე, ევთიმე და გიორგის, და გაბრიელ ხატის მიმრქმელის დღეობას, და ამასთან ერთათ დღესასწაულობენ ფრანგთა-მიერ მომწყდართა ივერიელთა მონასტრის ღირსთა მამათა და აღმსარებელთა მაისის თვეში. საუბედუროდ შეიცვალა ის უსაზღვრო სიყვარული საბერძნეთსა და საქართველოს შორის, რომელიც ერთმანერთის მტკიცე ბურჯნი იყვნენ ყოველივე გაჭირვების დროს თავდადებულათ ეომებოდნენ წინააღმდეგთა, საქართველოს საბერძნეთის გაჭირვება თავის გაჭირვებათ მიაჩნდა, და ასე იყვნენ შეკავშირებულნი პოლიტიკურ და სარწმუნოების მხრით. ხოლო რომელნიც არიან ქრისტეს მიერ ვალდებულნი სიყვარულის ქადაგებისა, ისინი უფრო არღვევენ სიყვარულს საქართველო-საბერძნეთს შორის, რომელნიც ძველიდგან ერთმანეთში ჭირსა და ლხინში თანაზიარნი იყვნენ, როგორც მოწმობს ისტორიები სხვადასხვა დროისა.

ზემოხსენებული ივერიელთა მონასტრის ქართველთა ძმანი, რომელნიც ჩემი მოგზაურობის დროს იღია წინასწარმეტყველის სენაკში იყვნენ დაყუდებულნი ოთხნი, ორი აზნაურთაგანი, ერთი სასულიერო წოდებისა და ერთიც გლეხი.

იოანე ღვთის-მეტყველის სავანეში სცხოვრობენ ქართველები, სუყველა საქართველოს კუთხიდგან, უმრავლესი მაგათში კეთილშობილთაგანია. თავადი ერისთავი მამა თეოდორე, რომელიც ამშვენებს ქართველთა კრებულს, და ასახელებს საქართველოს იმ უცხო ქვეყანაში სხვადასხვა ერთა შორის, დღეს მრავალი სხვადასხვა ეროვნებისანი ჰყავს მოწაფეთ, და სახელი გაითქვა სრულიად ათონის მთაში და რომლის სამოძღვრო მოღვაწე-

ობას დღეა ბადალი არა ჰყავს ათონის მთაში. არა ნაკლები სახელი გაითქვა ილარიონ გურჯმა (ქართველმა), ათონის მთაში, რომელიც მოღვაწეობდა 1860 წლამდე, იმერეთის მეფის სოლომონის მოძღვრად ყოფილი. შემდეგ მეფის ტრაპიზონში დასაფლავებისა, ათონის მთაში მოღვაწეობდა, ათონის მთაში მოძღვართ-მოძღვარი ყოფილა, და ფრიად მძიმე საკითხავებზედ ილარიონ ქართველს მიმართავდნენ, და მრავალი სული ცხონების გზაზე დაუყენებია, დღესაც მისი სულიერი მოწაფე, რომელიც მას აღეზარდა, ტომით ბერძენი, უპირველესი მოძღვარია ათონის მთაში, და ყველასაგან ცნობილი მამა საბა. და ფრიად მძიმე საკითხავებზე მას მიმართავდნენ, არა თუ მარტო ათონის მთაში, არამედ გარეშე სხვადასხვა სათათრე-საბერძნეთის მაზრებიდგანაც. ილარიონი ქართველის ცხოვრება ათონის მთის რუსების მონასტერმა კიდეც შეკრიფა, და უნდა დაებეჭდათ, სასწაულის მოქმედებაც რაოდენი გზის აუსრულებია, როგორც ამბობენ, ბევრი უძებნიათ მისი გვამი, მაგრამ როგორც თვითონ მამა ილარიონს უანდერძებია თავისი ძოწაფე საბასათვის, საიდუმლო ადგილში დაუსაფლავებია, არავისაგან მიუკარებელში. რასაკვირველია უპირველესი და სახელ-განთქმულნი მოღვაწენი ყოფილან წინა საუკუნოეპში ქართველთა მამანიც ათონის მთაში, ვითარცა იოანე, ევთიმე მთარგნელი, გიორგი მთაწმინდელი, გაბრიელი დაყუდებული, გიორგი ოლთისელი, თორნიკე მხედართ-მთავარი, გრიგოლი, არსენი, მარკოზი მხატვარი, თეოფილაქტე პროტოსინგელი და სხვანი მრავალნი, ამ ბოლო საუკუნოს ქართველთაც მიუბაძავთ მათთვის.

სხვათა ათონის მთის მცხოვრებ მრავალ გვარ ეროვნებათა შორის, ამ ვიწროებაში მყოფნი ქართველებიც თავს იჩენენ შეძლებისაებრ, და ასრულებენ ეკკლესიურ ძველ წესებს ზოგადი ცხოვრების მონასტრისას, მგალო-

ბელნი ორ ხოროთ მარჯვნივ-მარცხნივ და კარანახით, თორმეტი საათი ღამის-თევით საუფლო დღესასწაულებში, და სხვა საპატიო დღესასწაულებში ათის ან რვა საათის ღამისთევით, როგორც მიღებულია საუკეთესო მოღვაწეთა მონასტერში აოონის მთაში, და აგრეთვე საზოგადო ტრაპეზი, და ტაძრის დღესასწაულს გამოჩენილათ დღესასწაულობენ, და მრავალთა უმასპინძლდებიან. ათონელთ მონასტერთ წესისაებრ, ათონის იოახე ღვთის-მეტყველის სავანის ხარჯით, მრავალმა ისწავლა ქართული გალობა; ათონში გამოჩენილი ქართული გალობა ჰქონიათ ქართველებს, რომელიც ქართველთა მგალობლებს ტაძრის დღესასწაულებში, ღამის თევებში, რუსებს მიუწვევიათ მრავალ გზის სხვადასხვა სავანებში; რუსებსა და ბერძენთ და სხვათ ძლიერ მოსწონებიათ და პირველი ხორო ღამის თევებში ქართული გალობისათვის დაუთმიათ. ჩემის მგზავრობის დროს პალესტინაში ერთმა უცხოელმა განათლებულმა კაცმა მიამბო, ათონის მთას ჩემს მოგზაურობის დროს ქართული გალობა ძლიერ მომეწონაო, ქართული გალობა ძველი კილოა, რომელსაც ბერძნებიც ამ კილოს ხმაროობდნენ ძველათო, და ვინაიდგან მძიმე სასწავლებელი იყო, იმის გამო სხვა ახალი საადვილო კილო შემოიღესო, როგორც მიამბეს საუკეთესო მგალობელნი საბერძოთ მომზადებულნი დაბრუნებულან სამშობლოში, მოუწყობელ ცხოვრებიდგან ავათ გამხდარან და ზოგნი უბინაობისაგან, და სხვადასხვა მიზეზებისაგან. მიზეზი მრავალია ქართველთა განმრავლების დამაბრკოლებელი, და ამისათვის ძლიერ საჭიროა, დროზე ბოლო მოეღოს ქართველთა და ბერძენთ საჩივარს ივერიელთა მონასტრის უფლობაზედ. მცირედ აღვნიშნავ ჩემის თვალით ნანახს: ქართველებს შეშა მოეჭრათ ივერიელთა მონასტრის ტყეში ჩვეულებისაებრ სხვათა მრავალთა ათონის კელიოტებისა. მონასტერმა გაი-

გო თუ არა, გამოგზავნა თავისი ჯორები და მონასტერში წაალებინეს. შემდეგ ქართველებმა შეშა იყიდეს თითო ჯორის საპალნე ოთხ აბაზათ სიმონ პეტრის მონასტრიდგან. რასაკვირველია, ივერიელთა მონასტრის გზაზე ტყეში უნდა გამოეველოთ, და ისე უნდა მოეტანათ ქართველებისათვის შეშა. ივერიელთა მონასტრის ბერები დაჰხვედროდნენ გზაში და უკან დაებრუნებინათ დატვირთული შეშით ჯორები, რომელნიც ხუთმეტი ვერსის სიშორიდგან მოდიოდნენ. გაიგეს ქართველებმა, მაშინვე მიმართეს პოლიციას, ე. ი. კაიმაკამს (მაზრის უფროსს). მაშინვე დაიბარა ან ჯიპროსობი (მაგიერი პირი მონასტრისა), და წინადადება მისცა, თქვენ ნება არა გაქვთ გზაში გავლა ვინმეს დაუშალოთ, გზა სახელმწიფო არისო, და ძლივს გამოუშვეს გზაზე შეშა დატვირთული ჯორები, თვითონ ფასათაც არ აძლევენ შეშას და სხვაგანაც უშლიან ყიდვას, ვინ ჩამოსთვლის მათს შეწუხებას სხვადასხვა საჭიროებებზედ.

საქართველოს მონასტრების უკანონოთ მფლობელნი ბერძნის ბერები, ქართველთა წარჩინებულთაგან საქართველოს შეწირულ მამულებსაც კი ჰყიდიან, შემოსავლის აღებას მარტო არ კმაროობენ, და სასყიდელი მამულებისა ვის რჩება, ისიც არავინ უწყის; კარგი იქნებოდა, რომ ამ გაყიდული მამულების ფული მაინც ხაზინაში დაეტუსაღებინათ, სანამ ქართველთა და ბერძენთა საჩივარს ბოლო მოეღებოდეს. ამაზე საქართველოს თავად-აზნაურობას უპირველესი ადგილი უჭირავს ხმა ამოიღოს და სასულიერო პირთაც და სხვათაც.

ივერიელთა მონასტერი ათონის მთისა არის დედა საქართველოს მონასტერ-ეკკლესიათა, როგორც გელათის მონასტერი, მცხეთა და ალავერდი ეკუთვნის საქართველოს, ეგრეთვე ივერიელთა მონასტერი ათონის მთისა; იქიდგან ეძლეოდა სწავლა ქრისტეს სარწმუნოებისა,

რომელსა შინა მიისწრაფებოდნენ ყოველი მხრიდგან საქართველოს უწარჩინებულესნი პირნი, სწირავდნენ შეძლებისაებრ და ბერებათაც იმოსებოდნენ და სათნოებით ატარებდნენ საზოგადოების სასარგებლოთ; აქ სთარგმნეს მრავალი წიგნები ბერძნულიდგან ქართულათ და ქართულიდგან ბერძნულათ, უმაღლეს ხარისხამდე აღაყვავეს ქართული ენაც და ჰქონდათ სასწავლებელი, და გამოდიოდნენ მთარგმნელები, და მქადაგებელნი, მწერალნი და მთხზველნი.

იერუსალიმის ჯვარის მონასტერსაც ეს მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ უპირველესი ადგილი ათონის ივერიელთა მონასტერს ეჭირა, და ამისთვის ამდიდრებდნენ ივერიელები ამ მონასტერს და საბოლოოთ ამტკიცებდნენ მის არსებობას.

წმიდა ადგილების მოგზაური გერასიმე ნადარეიშვილი.

ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა
სვანეთისა *).

სვანეთში თქვენ შეხვდებით შემდეგ წოდებათა: თავადებს (დადეშქელიანი, გელოვანი და გარდაფხაძე), აზნაურებს და გლეხებს. პირველს ორს წოდების ხალხს სვანი ეძახის „ვარგ"-ს (ვარგისი). დადეშქელიანს—დაჩქელანს, ან „ოთარშერ"-ს; გარდაფხაძეებს—«გალფხანარ»-ს. ზემო სვანეთი ორს ნაწილად განიყოფება: ზედა ხევად (ჟაბე ხევ), ანუ თავისუფალს სვანეთად, რომელსაც ბატონ-ყმობა არ გამოუცდია, და ქვემო ხევად (ჩვაბე ხევ), ანუ სადადიშქელიანო სვანეთად. სადაც საბატონო გლეხები სცხოვრობენ. თ. დადეშქელიანთ სვანეთში დიდი პატივისცემა აქვთ. ისინი სხვა წოდებისაგან განირჩევიან: მაღალი, ახოვანი ტანით, სიმდიდრით, მრისხანე სახით. მათ, როგორც მეფეს, ისე უყურებენ მათნი გლეხნი და ეძახიან „ფუსდ"-ს (პატრონი). საზოგადოებანი: ბეჩო, ეცერი და ცხომარი ეხლა ყველა თ. თათარყან დადეშქელიანს ეკუთნის. საკმარისია წარმოიდგინოს კაცმა განსვენებულის თ. კონსტანტინე (მურზაყან) დადეშქელიანის მაღალი, ზორბა ტანი, ფართო ბეჭები, ლომისებრი ღონე და სიმარდე, დიდრონი არწივისებური

*) იხ. „მოგზაური" № 1—2, 1903 წ.

თვალები, გრძელი, ხუჭუჭი თმა, გოლიათისებრი მკლავები, დინჯი, ნელი საუბარი, მსხვილი ყურთათვის არა უსიამოვნო ხმა და გულ-უხვობა, რომ კაცმა შეადგინოს ტიპი თ. დადეშქელიანთ გვარისა. მოსაწონი აგებულება აქვთ თ. გელოვანეებსა და გარდაფხაძეებსაც; ესენი სცხოვრობენ: ს. ს. ლაშხეთსა და ჩოლურში სვანელი აზნაური ბევრათ არაფრით არ განირჩევა გლეხისაგან: ტანისამოსს იცვამს ცოტათ თუ ბევრათ მდიდრულად. გვარებია: იოსელიანი, დევდარიანი, ჩარკვიანი, ყიფიანი, ჯაფარიძე, ჟორჟოლიანი, გოშთელიანი და ქურდიანი.

სვანი აგებულობით ძლიერ ჩამოაგავს საქართველოს დანარჩენ მთიელ ხალხსა: მომაღლო ზორბა ტანი, მსხვილი ბეჭები, მომსხო თავი, შავი თმა, მრგვალი პირისახე, დიდრონი შავი თვალები, საშუალო, მომსხო ცხვირი, სქელი ტუჩები, საშუალო ყურები, მოკლე და მსხვილი კისერი, ძარღვიანი, მსხვილი მკლავები, ზედ დიდრონი ულაზათო ხელები, მსხვილი და ულაზათო ფეხებიც,— ყველა ეს დაახლოვებით გვიხატავს სვანის ტიპსა. როგორც მთის კაცი,—სვანი ჯანმრთელი აგებულობისაა და ამიტომ ფიზიკური ძალაც თან დასდევს, თუმცალა ზანტია. სვანს იმოდენა მძიმე ტვირთის გადატანა შეუძლია მთაზედ, რომ იმ სიმძიმეს ბარათ ვერ წაიღებს სხვა კაცი, მაგ. იმერელ-ლეჩხუმელი. უზომო ჯაფის გადატანა ადვილათ შეუძლია სვანს, თუმცალა იგი ბუნებით ზარმაცია. დედაკაცები, მართალია, იმდენი ძალით ვერ არიან აღჭურვილნი, როგორც მამაკაცნი, მაგრამ ჯაფის გადატანა მათაც არა ნაკლებათ შეუძლიათ: იგი საოცარს დაუღალობას იჩენს მუშაობის დროს. აგებულობით სვანი მაინცდამაინც არ არის დასაწუნარი, მაგრამ ერთი რამ ამახინჯებს მას (ზოგიერთს) ეს არის ჩიყვი (ყიფი), რომელიც სვანს ოყიანივითა ჰკიდია კისერზედ. ჩიყვიანთა რიცხვი წინეთ უფრო მომეტებული იყო, მაგრამ ეხლა თანდათან

მცირდება. თითო-ოროლი ჩიყვიანი თითქმის ყველა სოფელშია, მაგრამ ზოგიერთს სოფლებში კი ბევრია, მაგალითად ს. ს. მუჟალსა, მაზერსა, ჩოლურსა და ლელტეხში.

ნამდვილი მიზეზი ამ მოვლენისა, ვგონებთ, ჯერ მეცნიერებმაც არ იციან. ხალხის აზრით—ჩიყვი წყლის ბრალია *). ჩვენ კიდევ ვიტყვით, რომ გარდა წყლისა (უფრო ღელე-მიმდინარე) არის მიზეზი სიბინძურეცა. მართლაც, რომ დავაკვირდეთ, ჩიყვიანები უფრო იქაა, სადაც ღელის წყალსა სვამენ (რომელსაც მეტი სიბინძურე მოაქვს) და უფრო ცუდათა სცხოვრობენ. გარდა ამისა ჩიყვიანები იქ უფრო მოდებულია, სადაც ღვარძლა და მიწავაშლი იცის. ესეც არის შენიშნული, რომ ჩიყვი მემკვიდრეობით გადადის ერთმანეთზედ. ჩვილს სვანს ჩიყვი არ ეტყობა, შემდეგ ასე 5 — 8 წლიდგან გამოაჩნდება და თანდათან მატულობს. მართალია ზოგიერთი წილი ჩიყვიანებისა რეგვენია და ჭკუით დაბლა სდგას, მაგრამ ესეც ხშირია, რომ ჩიყვს საზოგადოთ არავითარი ცუდი გავლენა არა აქვს რა სვანის გონებრივსა და ზნეობრივს მხარეზედ. ზემო ხევში ჩიყვიანს ეძახიან „ბაჯვარ"-ს, ქვემო ხევში კი „ლუყვიჩ"-ს.

საზოგადოთ ბუნებით მახინჯი სვანეთში ხშირია: კოჭლი (კაჩხვ, მუკლი, კვაჩხაი), ბეკი, ყრუ, მუნჯი (ყურმანჯ) და სხვ. აი მათი რაოდენობა ორთა შუა რიცხვით:

ლაბახანებული.		მახინჯნი.		ბრმანი.		ბეკ-ბეკნი.		ბრეტიანები.		ჩიყვიანნი.		80 წელს ზევით.		ქალაქებით ანუ ფესტივალი ფლ-ებენ.	
მ.	მდ.	მ.	მდ.	მ.	მდ.	მ.	მდ.	მ.	მდ.	მ.	მდ.	მ.	მდ.	მ.	მდ.
9	11	16	14	15	18	25	23	7	4	40	39	38	36	9	2

*) რომელშიაც ურევია ვერცხლის წყალი (დ-რ რასხვა

სვანი ძლიერ შორს იხედება, მაგრამ ხშირი, მუდმივი კვამლი, მეტადრე გრძელს ზამთარში, ძლიერ ასუსტებს სვანის მხედველობასა. იგი იცნობს შემდეგს ფერეულობას: თეთრს (თვეთნე), შავს (მეშხე), ყვითელს (ყვითელ), წითელს (წირნი), ლურჯს (იორგი), რუხვს (ფარვ) და სხვას. არჩევს აგრეთვე თაგვის ფერსა (მდუგვიშ ფერიშ). ხალხის უმეტესობას კარგი ყურთა სმენა აქვს, მოსწონს ჩვეულებრივი არა ულაზათო ლაპარაკი. უმრავლესობა ლაპარაკობს მსხვილი, ბოხი ხმით; ჩიყვიანის ხმა განირჩევა უშნო, ხრინწიანი და მსხვილი ბგერით. საზოგადოთ სვანმა დინჯი ლაპარაკი იცის, მაგრამ არის განსხვავება: ზემო, თავისუფალს სვანეთში (ხევში) იციან ნელი საუბარი (ქართული ელემენტით), ხოლო ქვემო ხევში (სადადიშქელიანო სვანეთში) უფრო მოჩქარო (მეგრულის ელემენტით).

სვანმა სიარული იცის დინჯი და ნელი, თითქმის მიიზლაზნება. უჯოხოთ სვანი არსად არ წავა; თუ სდგას, ჯოხზედ არის დაყრდნობილი და ისე გესაუბრება. ჯდომის დროს ის მაინც და მაინც არ იცვამს პატიოსნობისა და ხრდილობის ყველა მხარეს. უფროსის წინ სვანი ცდილობს თავი დაიჭიროს ზრდილად, თუ კი მოახერხა, მოხუცებულს უპირატესობა აქვს სხვა ასაკთან შედარებით.

III.

ეხლა დავათვალიეროთ სვანის ოჯახი.—ზუგები, მთაგრეხილები, ქედები და ღელეები ჰყოფენ სვანეთს რამოდენიმე ნაწილად, სადაც გამწკრივებულნი არიან ცალ-ცალკე საზოგადოებანი. სვანეთის სოფლებს აქვსთ თავისი განსაკუთრებითი ხასიათი. ისინი უფრო ხშირად ფე-

---

ლის ასრი). ეიფზედ ჩვენ მალე დავბეჭდავთ ცალკე წერილს ჩვენს «სამკურნალო ნნრკვევში». რედ.

რდოებზედ არიან გაჭიმულნი, — უმეტესი ნაწილი მთის კალთაზედ; ზოგი მათგანი არწივის ბუდესავითაა მიკოსებული მთის კალთაზედ და იქიდგან გადაჰყურებს მღელვარე ცივს ინგურსა. თითო სოფელში მოსახლე 3—30 უწევს. 6—8 სოფელი შეადგენს ერთს საზოგადოებას, რომელსაც მართავს მამასახლისი და რომელსაც თავისი საკუთარი სახელი აქვს. თავისუფალს სვანეთში არის სულ 11 საზოგადოება: 1, უშგულისა, 2, კალისა, 3, იფარისა, 4, მულახისა, 5, მესტიისა, 6, ლენჯერისა, 7, ლატალისა, 8, ბეჩოისა (აქედგან იწყება სადადიშქელიანო სვანეთი), 9, ეცერისა, 10, ფარისა *) და 11 ჩუბხევისა. ბევრს ალაგას შეხვდებით სახლების ნანგრევებს და მიტოვებულს პატარა სოფლებს. ამ სოფლების დაცალიერება-განადგურებას სვანები მიაწერენ 1812 წლის «ჟამს», რომელიც აქ სასტიკად მძვინვარებდა თურმე.

სვანი უმეტეს ნაწილად აშენებს ქვითკირის სახლსა ოთხკუთხიანსა და ორ-სართულიანსა. გარედგანა ჰფეთქავს კირით. ერთი შეხედვით სვანის სახლი ლამაზი გამოსჩანს და ამაყად გამოიცქირება. მასალად ხმაროპენ უფრო სიპს ქვას და ეს არის მიზეზი, რომ შენობა მალე ზიანდება და ინგრევა. სახლი ყველგან ყავრითაა გადახურული და ზედ ქვები ლურსმნის მაგიერობას უწევენ, გარდა ს. ს. კალა-უშგულისა, სადაც სახლებს ქვის ფიცრითა (ასპიდის ქვა) ხურავენ. სვანი შენების დროს თითქმის არავითარს იარაღს არა ხმაროობს, რომ ხელი შეუწყოს, გარდა «ქაფჩისა» შელესვის დროს. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა არქიტექტურული გემოთი იქმნება აგებული სვანური სახლი!.. ზოგგან კედელი შე-

*) ეს საზოგადოება ეკუთვნოდა თ. მურზაყან დადეშქელიანსა რომელსაც ჩამოერთვა და სახაზინოთ გადავიდა.

წეულია, ზოგგან გამოწეული, უსწორ-მასწორო და უმაგრო. პირველადა ჰყრიან საძირკველს, რომელსაც სვანები ეძახიან «ხუნს», ზედ აჰყავთ კედლები. ერთი კაცი (კელვან) (ეს კ, რომელიც სასას შემწეობით ითქმის ნახევარ ხ"-დ და ნახევარ „ქ"-დ,—მხოლოდ სვანეთშია დარჩენილი და ზოგგან ქართლ-კახეთში, მაგ. «საკრე»)—შიგნით მუშაობს, მეორე გარედგან ადგია (უკეთესს მოხელეს აყენებენ; სხვები უზიდავენ ქვა-კირსა და „ხილიკსა" (ხვინჩკები). კარების ძირში უდებენ ქვის „ნაგერას", რომელსაც აქ ეძახიან «ლაგაგის». სახლის სიმაღლე 6—8 არშინამდე უწევს, მხოლოდ ორ სართულადაა გაყოფილი. კედლებს რომ სამ არშინის სიმაღლემდი აიყვანებენ, დირეებსა სდებენ; დირე სიგრძით 14—18 არშინია და მსხვილი. ქვეშ სვეტებს უყენებენ. დირეებზედ უსწორ-მასწოროდ დაპობილს ხეებს აფენენ და ზედ აყრიან მიწას, რომელიც იატაკობას უწევთ. კედლების სიმაღლე რომ 6—7 არშინს მიაღწევს, მერმე მიჰყვებიან კუთხებიდგან და განის კედლებს თანდათან უმაღლებენ, თანდათან აწვრილებენ ასე, რომ ბოლოს კეხივით ამაღლებული რჩება; ზედ სდებენ დირებს, დირეებზედ კოჭებს, კოჭებზედ «ჭერებს» და მერმე ყავარს. ზემოთა ვსთქვით, რომ სვანის სახლი უფრო ხშირად ორსართულიანი არის მეთქი. ქვედა სართული თავის მხრით განიყოფება რამოდენიმე ნაწილად. ამ განყოფილებებში შეგიყვანთ ერთი საზოგადო კარი: პირველად თქვენ გაივლით „ჰაგამს", რომელიც წინა ოთახს მოგვაგონებს; აქ ინახვენ სხვადასხვა ავეჯეულობას, საიდგანაც წარმოსდგა მისი სახელი „ჰაგამ" (ჰა დგამი). მეორე სახელი ჰქვიან „საწველ" (საწოლი). ზოგიერთს სახლს ამისთანა განყოფილება ბარე ორი-სამი აქვს და თუ მიჩვეული არა ხარ, ისე მათი გავლა გაგიძნელდება: არსაიდგან სინათლე არ მოსჩანს და წყვდიადი სიბნელეა. პირველის შესვლაზე გეგონება ქვე-

სკნელში მივდივარო. მერმე შეხვალთ მოზრდო საჯალაბო ოთახში, რომლის შუაგულს ალაგას კერა სდგას. გარშემო უდგია საჯდომი ავეჯები. შემდეგ იწყება საქონლის დასაბამი განყოფილება, რომელიც ხისაა და თითო საქონლისათვის ცალკე საკუთარ თავის გამოსაყოფია გამოჭრილი. წინ საკმლის დასაყრელი „ბაგა“ აქვს, ისიც ფიცრული. ზევიდგან გადახურულია ხით. ამ განყოფილებას ეძახიან „ისგუნტაფ“-ს. ხმარებაშია სიტყვა „ბაგა“. ზედა სართული განიყოფება ორ ნაწილად: «დარბაზად» და „გუბანდად“. დარბაზში ინახავენ თივასა და ბზეს, „გუბანდი“-კი დანიშნულია საზაფხულო სამყოფად. სვანის სახლი უმეტეს ნაწილათ მიწაშია ჩასული ნახევრამდის და ძლიერა ბნელა, მხოლოდ ორი ჭუჭუტანა გაძლევთ მცირე სინათლეს. ამ ჭუჭუტანებზედ, რომლებიც ფანჯრის მაგივრობასა სწევენ, ჰკიდია პატარა კარები, რომლებსაც ღამით მიხურავენ. იციან შუა ცეცხლი და შეშაც ძლიერ ბევრი ეხარჯებათ. ზამთარში სვანი სახლი მაინცდამაინც ბევრს სიცივეს არ უშვებს, თუმცაღა არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ის რიგიანად იფარავდეს კაცს სიცივისაგან. ქარი ისამამად ნავარდობს შიგ და ამის გამო ზამთრობით სვანეთში სახადით (გაცივებით) ავადმყოფობა გახშირებულია. ზაფხულობით სვანის სადგომში სიგრილეა, თითქმის მუდამ ზამთარ-ზაფხულ სვანის სახლი კვამლითაა გაბურული, რადგან კვამლს ერთი თავისუფალი (საკუთარი) გასავალი არა აქვს; რომელ ჭუჭუტანასაც უნდა მიადგეს, გარედგან ქარი ეცემა და უკანვე შემოაბრუნებს ასე, რომ კვამლი იქვე ჩერდება. ამიტომაცაა, რომ თითქმის ყოველს სვანს (ზამთრობით უფრო) თვალების ანთება აწუხებს.

ყოველ სახლს მიდგმული აქვს კოშკი *), რომელიც

*) სვანურად „მურეკვმ“. რომელიც, ჩვენის ფიქრით,

წინეთ, არეულობის დროს, სვანს სამსახურს უწევდა: შიგ შეაფარებდა ოჯახობას და თითონ მაღლიდგან თოფსა და სხვა იარაღს ისროდა. კოშკის სიმაღლე 10—11 საჟენია; ის საუცხოვო სილამაზითაა აგებული და მართლაც რომ მის აღმშენებულთ ხუროთ-მოძღვრული ხელოვნება აღმოუჩენიათ. ყველა კოშკი ოთხკუთხიანია და გარედგან კირითაა შეფეთქილი. საძირკველი საჟენ ნახევრამდი მაინც არის ჩასული მიწაში. იქიდგანვე იწყობა კრული (სვანურად „კურივ") რამოდენიმე საჟენის სიმაღლემდე; მერმე განყოფილებანია. კოშკი განიყოფება ოთხ-ხუთ სართულად, რომლების სიმაღლე თითო საჟენზედ მეტია. პირველს ოთხს სართულს ეძახიან „ვუბანდს" (შუა-გული ბანი) და ზედას, რომელიც უფრო დაბალია, „ჟიბე გუბანდს." (ზედა გუბანდი). სართულიდგან სართულში აგიყვანთ უხერხული ხის კიბეები. ყველა სართულს თავისი საკუთარი პაწა ფანჯარა აქვს — მოგრძო და ვიწრო. ზედა განყოფილების დანიშნულება იყო ის, რომ არეულობა-ჩხუბის დროს (მეზობლობაში უფრო) იქ შეიკრიფებოდნენ მეთოფურნი და „შდურვალებიდგან" (ფანჯრებიდგან) ნიშანში იღებდნენ მტერსა და ეომებოდნენ. დანარჩენ სართულების დანიშნულება ის იყო, რომ შიგ სხვადასხვა გვარს ბარგს ინახავდნენ და ოჯახობას შეხიზნავდნენ ჩხუბის დროს.

ეს კოშკები აგონებენ სვანს წარსულ არევ-დარევის დროს, რომელსაც იგი ხშირად მოიგონებს ხოლმე და «ლიშვანს» (სვანობა) ეძახის. წინეთ რომ ეს კოშკები სვანისათვის სასიქადულონი იყვნენ და სიამაყით გამოიცქი-

---

წარმომდგარია სიტყვა „მმურკნვა—მმურკნელი" საგან (ѢЛИЛЬЩИКЪ); მართლაც, ყოველი კოშკი თუთრადაა შეღებილი. ანუ სიტყვებისაგან „მური" და „კვამლი".

რებოდნენ, ეხლა დაჰკარგეს მათ ფასი სვანის თვალში, ის იღარ აქცევს მათ ყურადღებას და გეგონებათ—რაღაც დარდი აწევთ გულზედ და ჩაღუნულნი გამოიხედებიანო. ამიტომაცაა, რომ ბევრი კოშკი უპატრონობით დაქცეულა. მაგრამ კიდევ რამოდენიმე საუკუნე ნახავს მათ, თუმცაღა წარსულის სიამაყით კი ეღარ...

სახლის ახლო კალოა და კალოს რომელსამე მხარეს „ლალჩშაა“ (ხის შენობა, რომელსაც წინა მხარე ღია აქვს) აგებული და შიგ ინახავენ ნამუშევარს (მღავს) გალეწამდე. ეზოში („ჰაზვი“) აქა-იქ ხეხილებია (ჭკუტა მსხალი და ვაშლი) ჩამწკრივებული; გარს არტყია ქვის გალავანი 3 და $3^1/_2$ არშინის სიმაღლისა.

სახლში სახმარებელი საჯდომი ავეჯეულობა: საკურცხკილ (кресло), სკამ (სკამი). ბანდარ (გრძელი სკამი), ლურგიმ (დივნის მსგავსი გრძელი საჯდომი), კვილ (რგვალი ხის გადანაჭერი; ლეჩხუმში „კვილოს“ ეძახიან), სასკამ (საზურგეთი). ეს ნივთები შემომწკრივებულია კერის გარშემო; კერასა და დგამებს შუა ადგილს ეძახიან „ყველფს“ (ლეჩხუმშიაც ხმაროობენ ამ სიტყვას).

ჭურჭლები: თვინგ (თუნგი), კარდალ (კარდალი) ცხვად ანუ ზამ (ქვაბი), ლაჰრაყია ცხვად (საარაყე ქვაბი), ლულღენ (დიდი ქვაბი, რომელშიაც ერთი, ან ორი ხარი მოიხარშვის ერთბაშად), სემდა (რძის საწველი ჭურჭელი), ოხარ (წყლის ჭურჭელი—მხარზედ გადაიკიდებენ), კიჟო (წყლის სასმელი ყურიანი), ღვებ (ლოფურა—ლეჩხუმში), ბარქაშ (გობი—მეგრელიაშიაც ბარქაშს ეძახიან), სტამან (კოკა—სტამანი სახარებაში), ფაკნი, ანუ ფაკან (სახარებაში პინაკი—ჯამი); ნამუშევარის სარწყავი: კარან, ანუ საჩფულ (სახარებაში ვაშკარანი—сума) და კვიდოლ (კოდი).

სვანის სახლში თითქმის მუდმივი სინესტეა, უმეტესად ქვედა სართულში, რომელშიაც სცხოვრობენ ზამ-

თარში პირუტყვებთან ერთად. მის ასაცდენად სვანი არაფერს არა ხმაროობს, თუ შუა ცეცხლი არ უშველის. ცეცხლს სვანი ძვირათ თუ დააქრობს სახლში: ის შეხვევს დაწოლისას, ან დღისით, მუშაობის დროს, ცეცხლს ნაცარში და ამგვარად შეხვეული ცეცხლი აღარა ქრება. საჭიროების დროს სვანი ცეცხლის გასაჩენად ხმაროობს კვეს-აბედსა, რომელსაც თითონ აკეთებს. ღამით სვანი სახლს შუა ცეცხლის შემწეობითა და კვარით ანათებს ასე, რომ შეშისა და კვარის კვამლი ერთად შეერთებული იქაურობას აშავებს და თვალებს უწითლებს ადამიანს. კვარის მაგიერ იმ ადგილებში, სადაც ნაძვის ხე ძვირია, ხმაროობენ არყის ხის გამხმარს ქერქს, რომელსაც ძლიერ ეკიდება (კალა-უშგულში). სხვა გვარს სანათურს სვანი მოკლებულია. შეშათა ხმაროობენ ბევრგვარს ხეს: ნაძვს, ფიჭვს, მუხას, თხმელას, არყის ხეს, ვერხვს, წიფელას და სხვას. ბალის ხეს არა სწვამენ, რადგან შეწირული აქვთ *); ის კი არ იციან, რომ მისი ცეცხლი კაცს თვალებს უფუჭებს.

სვანი ხმაროობს შემდეგს რკინის იარაღებს: ნაჯახს (კადა), წალდს (ნასოლ), ბურღვს (სიფრით), ხორცის ამოსაღებად ჩანგალს (ფუცხვ), ასტამს (რკინის ხელიანი —პატარა ნიჩაფივით; ხმაროობენ ცეცხლისათვის). ხისას: ორთითას, ფიწალს, უღელს (უღვა), ფორჩხას (ლუშდიქლაფცხი), სახვნელს (ლანწიშ), ფორცხი (ლაჭადირ).

ხსენებულს იარაღებს სვანი თითონ აკეთებს რკინისას და ხისას, მაგრამ ყოველსავე ხელოვნურს გემოს მოკლებულია. რკინას და სპილენძს სვანი სხვა ქვეყნებიდგან ეზიდება. მოსაგერებელს იარაღებს შეადგენს: კაჟიანი თოფი, ხანჯალი, დამბაჩა, ლიეერი (ახლო ხანებ-

*) რადგან ხატების ფიცრები ბალის ხისაგანაა.

ში შემოიღეს) და იშვიათად „დაშნა“. ამ ბოლო ხანებში სანადიროთ აქა-იქ შემოიღეს ბერდანისა და მარტინის სისტემის თოფები, თუმცაღა აშკარათ ვერა ხმაროობენ. ყველაზედ უფრო უძველესს იარაღად მიაჩნიათ შვილდ-ისარი. სვანს თოფი და ხანჯალი მოსწონს ყველაზედ უფრო და ამიტომ არც კი იშორებს მათ. შესანიშნავია კაჟის შემდეგი თოფები: სტამბოლისა და ყირიმისა. ბევრი მათგანი მოოქორვილია, სალტები ვერცხლისა აქვთ და ნიშანზედ ძლიერ კარგათ მიდის. ამისთანა თოფი კი სვანს ხომ დიდ რამედ მიაჩნია. წინეთ ისინი ფასობდნენ 200—300 მანეთად (ეხლა 100—150).

წინეთ სვანები ისარსა შხამავდნენ და ძლიერ შორსაც ისროდნენ. ნადირობის დროსაც შვილდ-ისარსა ხმაროობდნენ და მისგან დაჭრილი ნადირი ძვირათ გადარჩებოდა. ეხლაც პოულობენ მთა-კლდეებში ისრებს მირჭობილს და უეჭველია მონადირისაგან ნატყორცნსა. თუ როდის მოიგონეს შვილდ-ისარი, ამაზედ სვანი ამბობს: —დავობ, ხეცობ, ნართობ იგმირობ ლასვ ი ცხვემად ეჩქას ანსეორეხ. (მდევობა, მხეცობა და გმირობა იყო; შვილდ-ისარიც მაშინ მოიგონესო).

ი. მარგიანი.

ანტონი I

კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსი *).

(თ. ჯორდანიასი).

დამცირებული და განძევებული პატრიარქი დარჩა შეუპოვარი თვის ცდომილებაში პირველის კრების დროს; იგი ამ დროს იმყოფებოდა დარაჯის ქვეშ გაჭირვებულს მდგომარეობაში, ამისათვის მან ჩქარა იგრძნო თვისი უკიდურესი მდგომარეობა და მისი რკინის გული მოლბა, შეიძლება სინიდისმაც ამხილა მას ამისთანა დიდ ცოდვის ჩადენაში ივერიის ეკკლესიის წინააღმდეგ და გარდასწყვიტა მოენანებინა უარჰყო რა (გულწრფელად თუ არა ძნელია ითქვას) თვისი სჯულის შეგინება. 1756 წელს 4 აპრილის კრების აქტი აი რას მოგვითხრობს: „**რამოდენიმე დღის შემდეგ** შენც ს

როდის მოხდა მეორე კრების შედგენა? ეს მოხდა „რამოდენიმე დღის შემდეგ“ პირველის კრებისა, ე. ი. სამი თვის შემდეგ (16 დეკემბერს 1755 წ.). აქტის მოწმობით ანტონმა მეორედ მოინანა თვისი ცოდვები, რის გამოც შესდგა კრება 1756 წ. 4 აპრილსა. აქედამ სჩანს, რომ ანტონის მონანება პირველი ყოფილა 4 იანვარს 1756 წ., ე ი. 18 დღის შემდეგ მისი სამართალში მიცემისა, ანუ იმავე დროსა. მაშასადამე, კრებაც მომხდარა ამ საგნის გამო შეიძლება დაახლოვებით იანვრის შუა რიცხვებში და არა უგვიანეს იანვრის გასვლისა, რადგან უწ. სინოდის არქივში [1]) დაცულია წერილი (1756 წ. 28 იანვარს) კათალიკოსის იოსებისა, რომელიც იწოდებოდა „მოადგილედ კათალიკოსის ტახტისა“. იგი გაიგზავნა რუსთავის ეპარქიაში ამ კრების შემდეგ, რომელშიაც უწერს ამ ეპარქიის სამღვდელოებას კვლავინდებურად მოიხსენიონ კათალიკოსი ანტონი, რომელმაც უარ ჰყო ერეტიკული ცდუნებანი.

ამ 1756 წ. კრების აქტმა ჩვენამდე არ მოაღწია. იგი მხოლოდ დაცულია 1756 წ. 4 აპრილის კრების დადგენილებაში, რომელსაც მოჰყავს მოკლედ მეორე კრების დადგენილება. ეს კრება მოხდა ანტონის მონანებისა გამო. შეიძლება ანტონმა სთხოვა კრებას კათალიკოსობის დაბრუნება, რადგან მოინანა. მაგრამ კრებამ არ შეიწყნარა მისი თხოვნა პირველი კრების განაჩენის გამო, რომელიც იქმნა დამტკიცებული ფიცით მეფისა და კრებისაგან: „არა დაუბრუნდეს მას მისი ხარისხი მის სიცოცხლეშიო“. ანტონის მოქცევა კრებას მაინც ძრიელ უხაროდა „რითაც მოიგო კვლავინდებუური სიყვარული და რწმენა მეფეთა და კრებისა“ როგორც მოგვითხრობს

---

[1]) Аривк Св. Сѵнода 1756 ѵ. № 350.

კრება. ამისათვის სასტიკი განაჩენი პირველის კრებისა კრებამ შეამსუბუქა, თუმცა სრულიად კი არ განათავისუფლა იგი სასჯელისაგან, როგორც ივერიის ეკკლესიის წიწმიდის მოწინააღმდეგე და დაადგინა შემდეგი: «განაჩინეს (მეფემ და კრებამ) შენთვის კანონების მიხედვით უსისხლო მსხვერპლის შეწირვა აგეკრძალოს თვრამეტი თვის განმავალობაში, ვინაიდგან ამდენი ხანი დარჩი შენ ათინთა უმეცრებაშიო". თუმცა ამისთანა უფლება მიანიჭა კრებამ ანტონს, მაგრამ წინანდელი დადგენილება შესახებ სამშობლოდან განტევებისა მაინც არ შეუცვლია, რადგან მისი აქ დარჩენა იქმნებოდა საშიში ეკკლესიის მშვიდობიანობისათვის. კათალიკოსის მეფისადმი თხოვნაში ნაჩვენებია, რომ იგი იყო დარაჯის ქვეშე, ანუ მარტოდ-მარტო მაინც. მეფესთან მისვლა-მოსვლა, მიწერ-მოწერა მას შეეძლო სასახლის მოძღვრის ზაქარია გაბაშვილის მეოხებით, რომელიც იყო მოსისხარი მტერი კათალიკოსისა [2]).

როგორც დავინახეთ მეორე კრებას არ დაუკმაყოფილებია ანტონი. მან უკვე დააჯერა იგი, რომ საქართველოსთვის იგი დაკარგულია და პატრიარქის ტახტზედ მისი დაბრუნება შეუძლებელია. ამასთანავე მას ჰკლავდა მარტოობა, უსაქმობა, დარდი: აწმყო უმწეო ყოფნის მძიმე მოგონება, უსასოება მომავალზედ და მწარე მოგონება წარსულისა მის სულს ჰსჯიჯგნიდნენ და არ აძლევდნენ მას მოსვენებასა. დამცირებული და შეურაცხყოფილი იგი ჰხედავდა, რომ «ეს სევდა მოუღებდა მას ბოლოს» როგორც თვითონ სწერს. ამისთანა ფიქრებში მყოფმა კათალიკოსმა დაბოლოს ორის თვის შემდეგ გა-

---

[2]) იგივე. იხ. წერილი თეიმურაზისა „წეობილ-სიტყვაობა", გვ. VIII.

ნიზრახა სამშობლოს დატოვება და მყუდროების ძებნა რუსეთში იქ მცხოვრებ ნათესავების მფარველობის ქვეშე (ვახტანგ VI მემკვიდრენი). შეიძლება მას ჰქონოდა მიწერ-მოწერა ამ ნათესავებთან და მიეღო კიდეც მათგან კარგი პასუხი. როგორც უნდა ყოფილიყო ანტონმა გარდასწყვიტა ეთხოვა მეფისთვინ რუსეთში წასვლის ნება; მაგრამ ანტონს კარგად ესმოდა, რომ მას, როგორც პატრიარქის ხარისხის ახდილს მართლ-მადიდებლობის ღალატისათვის კარგის თვალით არ მიიღებდნენ რუსეთის ერი და უწმიდესი სინოდი, შეიძლება ნათესავებთან ცხოვრების ნება მიეცათ, მაგრამ სიცოცხლე მაინც მწარე ექნებოდა. ყველა ამაების თავიდამ ასაცილებლად კათალიკოსს უნდა შეეძინა ამისთანა საბუთი სასულიერო მთავრობისა და მეფისაგან, რომელშიაც უნდა ყოფილიყო მოხსენებული, რომ იგი გამართლებულია თვის შეცდომაში და სასჯელისაგან. იმისთანავე საბუთი იყო საჭირო იმ პირთათვისაც, რომელნიც შეადგენდნენ ანტონის ამბავსა. ამისათვის კათალიკოსმა, განიზრახა რა რუსეთში წასვლა, მიართვა თხოვნა მეფესა ამის თაობაზედ. ეს თხოვნა ჩვენამდე არ მოსულა, მხოლოდ მეორე თხოვნიდან სჩანს, რომ მეფემ, მისცა რა ნება მას რუსეთში წასვლისა, არ დასთანხმდა მისი სურვილის ასრულებაში, რადგან ამაზედ მას ნება არ ჰქონდა და ესვე ეწინააღმდეგებოდა მეორე კრების გარდაწყვეტილებასა, რომელმაც მიუსაჯა ანტონს საეკლესიო სასჯელი [3]).

ამ უარის თქმამ მეფის მხრით აიძულა ანტონი ხელმეორედ მიეწერა მეფისათვის, რომ იგი კვლავ იმეორებს რომ შემცდარია ივერიის ეკლესიის წინაშე უნიის მი-

---

[3]) ეს ხელნაწერი თხოვნა დაბეჭდილია „ს.-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავში №№ 13 და 427.

ღებით. იგი ჰფიცავდა ღმერთსა, რომ ახლა დაბრუნდა ჭეშმარიტების და მართლ-მადიდებლობის გზასა. შემდეგ მდაბლად სთხოვს „იგი რათა განათავისუფლოს ყოველივე სასჯელისაგან, რადგან ამაზედ უარის თქმა მეფის სამართალს მრ შეჰფერის, უკეთუ მეფე გაუშვებს უსაბუთოდ, მას იქაც მოუხდება ძნელი ცხოვრება და თან გადაჰყვება ამ სევდასა". ამისათვის იგი სთხოვს მეფეს, რომ „მან არ მისცეს მას მისთანა წერილი. რომ იქ მისვლისათანავე გახდეს მსხვერპლი სიკვდილისა. „უკეთუ იქ არ მიიღებენ მას, სადღა უნდა წავიდეს იგი". „როგორც ამ კუთხისთვისაა იგი, ისე რუსეთისთვის იქნებაო" და სხ. უკანასკნელ სთხოვდა იგი მეფეს, რომ როგორც ობოლი შეეწყნარებია მეფეს თვისი «უმწეო ძმის წული».

კათალიკოსმა გამოსთხოვა რა მეფეს ამისთანა საბუთი, თითონვე წარუდგინა ნიმუში როგორის შინაარსის უნდა ყოფილიყო ის. ის ემუდარებოდა მეფეს «შეეწყალებია იგი მისთვის ნამდვილი დელანი მის მიერ შედგენილი საბუთისა, არც მეტი და არც ნაკლები». იგი ჰპირდებოდა მეფეს უკეთუ მისგან მიიღებდა ამისთანა საბუთს უეჭველად წავიდოდა რუსეთში და თუ არა, ჰფიცავდა «ქრისტიანობაში ნაწილს აღარ მივიღებო». უკეთუ არ აუსრულებდა ამას მეფე, იგი რუსეთში წასვლას არ აპირებდა და არც სხვა საბუთს მიიღებდა. უკანასკნელ, იგი სთხოვდა მეფეს „თუ ამას არ აუსრულებდა, იმერეთში წასვლის ნება მაინც მიეცა. და თუ ესეც მომესპო, მაშინ მხოლოდ ერთიღა დამრჩენია თავის მოკვლა და თუ ცოცხალი დარჩებოდა, მას მოელოდა ერთი მძიმე საქმეო (?)". (შეიძლება ამ საიდუმლო სიტყვებში კათალიკოსისაში იმალებოდა მუქარი მისი, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში გაიქცეოდა რომში, ანუ სხვა რამე საქმეს ჩაიდენდა?). დაბოლოს ამბობს იგი, რომ ამის მეტად იგი მეფეს არაფერზედ შეაწუხებდა.

ეს მოხსენება და დედანი მიართვა მეფეს მისმა მოძღვარმა ზაქა.ია გაბაშვილმა [4]) 1756 წ. მარტის დამლევს, ანუ აპრილის დამდეგსა. ჩვენ არ ვიცით, რა შინაარსის იყო ეს წერილები, მაგრამ, როგორც დავინახავთ კრების განჩინებიდან, აგი სთხოვდა მეფეს სრულს გამართლებასა და ხელ-მეორედ ღვთის-მსახურების შესრულების ნებას, აგრეთვე სრულს გამართლებას იმ სასულიერო პირთა, ოომელნიც ანტონთან ერთად დაისაჯნენ და შემდეგ მოინანეს.

თუმცა თეიმურაზს არ ჰქონდა ნება დაეკმაყოფილებინა ანტონის თხოვნა, რადგან ეს გამოვიდოდა კრების წინააღმდეგი, მაგრამ ის მაინც არ იზოგავდა თავს ასე თუ ისე თვისის ძმისწულისთვის არაფერი დაეშურნა, რაც კი იყო იმაზედ დამოკიდებული. მან მოუწოდა კრებას და მიანდო მას განესაჯა ანტონის თხოვნა. კრება მოხდა თბილისში 4 აპრილს 1756 წელსა, პირადათ მეფის გავლენისა და თვითონ კათალიკოსის გულ-წრფელის მონანებისა გამო თვის განდგომილებაში მართლ-მადიდებლობიდამ, კრების მამათ მიიღეს და მგონი შეასრულეს ყოველივე მისი თხოვნა: ა) ანტონს ეძლეოდა ნება რუსეთში გადასვლისა; ბ) კრებამ ახადა მისჯილი მასზედ წინანდელი კრებისაგან სასჯელი, რომლითაც მას აღკრძალული ჰქონდა 18 თვის განმავალობაში ღვთის-მსახურების აღსრულება, მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ქართლში ყოფნის, რუსეთში წასვლამდინ, ერთჯერ ეწირნა, მხოლოდ წასვლის წინა დღეს აღდგომასა, რომელიც მოდიოდა 14 აპრილს; გ) უკანასკნელ ნება ეძლეოდა აგრეთვე იმ სასულიერო პირთ, რომელნიც ანტონის თა-

---

[4]) Арх. Св. Сѵнода 1756 წ. № 350 „წყობილსიტყვაობა“ გვ. VIII.

ნაზიარნი იყვნენ მართლ-მადიდებლობის ღალატში, რადგან მოინანეს, ყოფილიყვნენ ანტონთან თანამწირველნი პასექის ღღესა.

რომ უფრო ნათლად გავითვალისწინოთ, მოვიყვანთ აქვე კრების დადგენილებასა. კრების დადგენილებაში პირველად მოყვანილია მოკლე აღწერა პირველის ორის კრებებისა და შემდეგ არის მესამე კრების დადგენილება შემდეგის სათაურით: «სამის თვის შემდეგ შენ კვლავ (მეორე კრების შემდეგ) მოიქეცი და მიეც მონანება და აღმოჩნდი სრულიად უმწიკვლო ლათინების მწვალებლობასა და პაპას თაყვანისცემაში; უეჭველია, რომ აღმოსავლეთის სარწმუნოება გიკავია; ამის გამო იყო, რომ სულით და გულით გწადდა მართლ-მადიდებელს რუსეთში წასვლა, რის გამოც უფრო და უფრო განმტკიცდებოდა შენს გულში მართლ-მადიდებლობა.—ამისათვის ჩვენ, მეფემ და კრებამ შევამოკლეთ შენი სასჯელი, რომელიც მოგესაჯა შენ და განვაწესეთ: შესწირო უსისხლო მსხვერპლი ღმერთს აღდგომას, როდესაც აღსდგა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ამ გვარად მწყემსთ-მთავრის ღირსებით გგზავნით შენ; ამისათვის ყველამ უნდა მიგიღოს შენ როგორც მართლ-მადიდებელი მღვდელ-მთავარი, სადაც კი მიხვიდე, ყველგან დაუშლელად შეგეძლოს ღვთის-მსახურების შესრულება, რადგან ჩვენთანაც გაქვს შენ ნება ლიტურღიის შესრულებისა; ღმერთმა მშვიდობით გამგზავროს რუსეთში- ასევე იმ სასულიერო პირთ, რომელნიც წინათ შენი თანამზრახველნი იყვნენ ლათინთა მწვალებლობის მიღებაში, ხოლო აწ თვისი შეცდომა უარ-ჰყვეს და შენთან ერთათ აღიარეს მართლ-მადიდებლობა, ნება ეძლევათ შენთან ერთათ სწირონ წმ. პასექის ღღესა".

ამნაირად კრებამ ანტონს რაც კი შეიძლება ყველაფერი აუსრულა. ერთიღაა საჭირო, რომ გამოირკვეს

დაუბრუნდეს თუ არა ანტონს ასლი იმ აქტისა, რომელსაც იგი თხოულობდა? შეიძლება ვიფიქროთ, რომ კრებამ ეს თხოვნა უყურადღებოდ დასტოვა. ამის მაგიერ კრებამ გადასცა მას ის ქაღალდი, რომელსაც ჩვენ აქნამდი ვეძახდით 5 აპრილის 1756 წ. კრების განჩინებასა, რომლისაგანაც ჩვენ ვღებულობდით ცნობებს იმ კრებების შესახებ, რომელნიც იყვნენ ანტონის თაობაზედ. რომ ეს ქაღალდი, კრების ქაღალდათ წოდებული, არ არის წინანდელი დედანი კრების განჩინებისა, არამედ მოგზაურისთვის საჭირო ნების ქაღალდი, ეს სჩანს მისის გარეგანის სახიდანაც: მასში ანტონი პირის-პირ მიჰმართავს კრებასა; ის ძლიერ მოკლეა და ალბად გამოკრებულია უფრო ვრცელი კრების განჩინებიდან; გარდა ამისა მასში არ არის მოყვანილი საეკკლესიო კანონები, რომლებიდანაც ხელმძღვანელობდნენ ხოლმე კრების მამები და მათზედ ამყარებდნენ თავიანთ დადგენილებათა, როგორც მოიქცნენ 1764 წ. კრებაზედ, როდესაც განაშიშვლეს მღვდლობიდან მღვდელი ზაქარია. შემდეგ, მეფის თეიმურაზისაგან ბოძებულს ქაღალდში, რომელიც შედგენილია კრების განჩინების საფუძველზედ, როგორც სჩანს შინაარსიდგან, არის მისთანა წვრილმანი (მაგ. ანტონზედ ნება-რთვის მიცემა ქ. გორში წირვის შესრულებისა და ამავე ქალამში გამოთხოვება იმ პირებთან, რომლებთანაც ჰსურს ანტონსა), რომლის თაობაზედ ხმას არ იღებს კრების აქტი; უკანასკნელ, თვით მისის შინაარსიდან სჩანს, რომ იგი ნამდვილად ნების ქაღალდია კრების სახელით გადაცემული ანტონზედ რუსეთში წასვლამდე. ნამდვილი განჩინება კი 1765 წ. 4 აპრილის კრებისა ჩვენამდე არ მოღწეულა, როგორც ორი წინანდელი კრებების განჩინებებს არ მოუწევია ჩვენამდე; შესაძლებელია, რომ ანტონმა თვითონვე მოს-

პო იგინი რუსეთიდან დაბრუნებისა და ივერიის ეკკლესიის საკათალიკოსო კათედრის მიღების შემდეგ.

ერთი რამ უნდა შევნიშნოთ აქ; სახელდობრ ის, რომ ანტონმა არ წარმოუდგინა თვისი საბუთი რუსეთის მთავრობასა, რომელიც სთხოვდა მას ამისთანა ქალალდსა მისი ვინაობის გასაგებად? უწმიდესი სინოდის არქივიდან არა სჩანს, რომ ანტონს ეს საბუთი წარედგინოს, როდესაც იქ დაცულია სხვადასხვა ეპარქიული პირებისაგან და თვით მეფისაგან სხვადასხვა სიგელები ანტონზედ.— ამას ადვილად მივხვდებით თუ დავუკვირდებით იმ სიგელის შინაარსსა, რომელსაც წინად გავეცანით. ეს სიგელი თუმცა ანთავისუფლებს ანტონსა და მისს თანამზრახველებს ყოველივე სასჯელისაგან და უბრუნებს თავიანთ ღირსებებს, მაგრამ მაინც ეჭვის თვალით უყურებს ანტონის მართლ-მადიდებლობასა როდესაც ამბობს: 1) რომ ანტონს აღარ დაუბრუნდება კათალიკოსობა რაც უნდა მოინანიოს თვისი შეცდომანიო; 2) როდესაც კრება ერთჯელ მეტად არ აძლევს ნებას მას წირვის შესრულებისას (ისიც აღდგომა დღეს მარტო); 3) იმ კრების მოწონებიდან რუსეთში წასვლის გამო სჩანს, რომ კრებასეს სასარგებლოდ მიაჩნდა, რადგან „უფრო ნამეტნავად განმტკიცდებოდა მისი გული მართლ-მადიდებლობაში". აქედამ აშკარაა, რატომ არ წარუდგინა ანტონმა რუსეთის სინოდს ეს საბუთები, როდესაც სხვები ჰქონდა (რომლებზედაც გვექმნება საუბარი ქვემოთ), რომლებიდანაც არ გამოდიოდა ანტონის მიერ მართლ-მადიდებლობისადმი ღალატი და მწვალებლობის მიღება.

გარდა ზემოაღნიშნულის კრების აქტისა ანტონს ჰქონდა აგრეთვე მეფის მიერ ბოძებული სიგელი, შედგენილი იმ კრების დადგენილების შეთანხმებით, მხოლოდ განსხვავება იყო ზოგიერთს ადგილას როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ. აქვე მოვიყვანთ ამის რუსულს დედა-

ნსა, რომელიც ინახება უწმ. სინოდის არქივში:

«უფალს პატრიარქს ანტონის, დიდსა და უუწმიდესსა მწყემსთ-მთავარსა, ჩვენს ძმისწულს ბატონისშვილსა, ყოველსა შინა კეთილად სუფევა, კეთილისა და უუსრულესისა მოქცევისა უსაზღვრო მსურველი ბიძა მეფე თეიმურაზი, რომელიც ეამბორება თქვენსა მარჯვენასა. —თქვენ მიერის გამოგზავნილის მღვდლის ზაქარია გაბაშვილთან ერთად ეპისტოლესა და იმა რეესტრსა ზედა თქვენს საპასუხოდ გამოგიცხადებთ: «ნება გეძლევათ თქვენ კრებულითურთ ქ. გორში [5]) ქრისტეს აღდგომა დღესა სწიროთ და შემდეგ, სურვილისამებრ თქვენისა, კეთილ ინებეთ გამგზავრება, ხოლო ვინაც ინებებენ თქვენთან გამოთხოვებასა მოვლენ გორში, სხვის შესახებ უბრძანებთ მღვდელს ზაქარიას სიტყვიერად გარდმოგცეთ თქვენ. აპრილის 4 დღესა 1756 წ.» [6]).

---

[5]) დირსს შესანიშნავია ის, რომ ანტონის ნება ეძლევა ლიტურდიის შესრულებისა არა საკათედრო ტაძარს ტფილისში, სადაც ის იყო და არა საკათალიკოსო მცხეთის ტაძარში, სადაც უფრო ადვილი იყო ეს, რადგან ქ. მცხეთა რუსეთში წასასვლელ გზაზედ არის, არამედ შორეულს ქართლის ქ. გორში (რომელიც დაცილებულია იმის გზასა, რადგან დარიალით უნდა წასულიყო ისა). ეს მოგლენა მით აიხსნება, რომ კრებას და მეფეს რადგან ეშვი ჰქონდათ იმის მოქცევაში და ამისათვის ჰსურდათ აეცილებინათ თავიდამ აქედამ წარმომდგარი ცდომა ერისა და ტფილისის სამღვდელოებისა. არის დარჩენილი გადმოცემა, რომ ანტონს შეესრულებია ლიტურდია ქ. გორში (ხოლო ზოგიერთების თქმულობით ანჩისხატის ეკკლესიაში ტფილისში კათოლიკის ეკკლესიის წესისამებრ.

[6]) Арх. Св. Синода 1756 г. № 350.

ამასაც რომ ალარ დასჯერდა, ანტონმა იშოვა კიდევ (ვინ იცის როგორ და რა გზით) წერილი პატრიარქის ტახტის მოადგილის იოსებისგან (28 იანვარს 1756 წ.), რომელიც იყო მიწერილი რუსთავის ეპარქიის კრებულზედ და რომელშიაც უკანასკნელი, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, წინადაუდებს ამ კრებულსა: «ამ დროიდან (დაწერილია მეორე კრების შემდეგ, რომელმაც ანტონი იცნო მართლ-მადიდებელად) ჩვეულებისამებრ ეს პატრიარქი და ბატონისშვილი მოიხსენეთო; წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმდებითო“ [7]).

ამ საბუთებს გარდა ანტონს ჰქონდა კიდევ წერილები ანტიოქიის პატრიარქისა (1749 წ. 6 ენკენისთვიდამ) და იერუსალიმის—პართენისაგან (1755 წ. 6 ენკენისთვიდამ), რომელშიაც იგი იხსენიება როგორც მართლ-მადიდებელი პატრიარქი [8]).

მოიგდო ხელში რა ეს საბუთები და ნება ლიტურგიის შესრულებისა ქ. გორში კათალიკოსი დიდის ამალით, რომელიც შესდგებოდა 21 კაცისაგან, გაემგზავრა გორიდამ *) რუსეთში 1756 წ. აპრილის თვეში [9]). ამ ამალაში გარდა ჩამოთვლილ პირთა, ერივნენ კიდევ შემრეგნი ერის კაცნიც: თავადი დავით ხერხეულიძე, თავადი რონინ მელიქიშვილი, აზნაური პარმენ გედევანიშვილი, კათალიკოსის სახლთ-უხუცესი, აზნაური ბეჟან თავქელაშვილი, მესენაკე გიორგი ნანაზაშვილი და ხუთი

---

[7]) იქვე.

[8]) იქვე.

*) შეცდომით მე-211 შეხიშვნიდამ ამ 17 გვერდზე ამოქცეული, რომელიც უნდა ეთვალიეთ მე-18 გვერდზე.

მთარგმნელი.

[9]) „ქართლის ცხოვრება“ II, გვ. 469—470.

მსახურთაგანი (პავლე, ზურაბ, გიორგი, ეფრემ და ივანე) [10]). გარდა ამისა ანტონს ახლდა დიდის შეიარაღებულის ამალით ჯიმშერ ერისთავი, საყვარელი სარდალი მეფე ირაკლისა. ანანურით და არაგვის ხეობით კათალიკოსი მშვიდობით შევიდა დარიალის ხეობაში. ჩვენის ფიქრით კათალიკოსი უკანასკნელად გამოეთხოვა საქართველოსა და მის მახლობელს ქართველს თავადებსა. იქიდამ დაბრუნების შემდეგ ჯიმშერ ერისთავი ღალატით იქმნა მოკლული [11]).

დასასრულ, ვიტყვით რამოდენიმე სიტყვას მეფის მოძღვრის ზაქარია გაბაშვილის სატირაზედ „ომი კატისა", რომელშიაც კატად იგულისხმება ანტონი, ხოლო თაგვებად სამღვდელოება, რომლებმაც ომი გამოუცხადეს კატასა. მიზანი სატირისა—ანტონისა და მთელის მისის მოქმედების გაკიცხვა. სატირის ავტორს გმირად გამოუყვანია კატა, რომელსაც ამსგავსებს ცხოველების მეფეს —ლომსა, რადგან ანტონი მეფის შთამომავალი იყო. [12]) კატამ მიაქცია ყურადღება თაგვებსა, რომელნიც ბედნიერად სცხოვრობდნენ თავიანთ სოროებში (იგულისხმება; ვგონებ, ბერები, რომელნიც უანგარიშოთ ფლანგავდნენ მონასტრებისა და ეკლესიების ქონებასა). მძიმედ შეია-

---

[10]) Арх. Св. Сѵнода 1756 ґ. № 350. მცხეთის ტაძრის გუჯარში მოხსენებულია კიდევ ვიდაც პეტრე გაბაშვილი, მოდარე ანტონ კათალიკოსისა, რომელსაც უკანასკნელმა საქართველოში დაბრუნების შემდეგ, აჩუქა მცირე სოფელი მეტეხში იმ სამსახურისათვის, რომელიც მან გაუწია მას განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც „ის იმეფებოდა რუსეთში", (საეკლესიო გუჯრები, გვ. 114).

[11]) «ქართლის ცხოვრება» II, 470.

[12]) 1 და 9 ლექსი.

რალებული კატა ამპარტავნულად დაეცემა თაგვების სოროსა და უმოწყალოდ დაუწყო ჟლეტა მათ [13]). პირველის გამარჯვებით გატაცებულმა კატამ გარდასწყვიტა ამოეწყვიტა მთლათ თაგვები, შეგედო სორიებში ისინი და ჩაეგდო ხელში მმართვა-გამგეობა მათი განძისა, ე. ი. საეკკლესიო სიმდიდრისა. კათალიკოსი, როგორც დავინახეთ ზემოთ, სამღვდელოების გაუმაძღრობისათვის ბოლო მოეღო, მერე რომ ნახა სამღვდელოებამ ჩვენი საქმე ცუდათ მიდისო (ყველა თაგვები) შეურიგდებიან მას და როდესაც გამწვავდა საქმე მოიხმარეს ვირთაგვები, ციყვები, კვერნები და სხ. ასტყდა საშინელი ომი და ომში სძლიეს კატასა. ნაცემ-ნატყეპი კატა უკანასკნელ სტოვებს თვისს ბეწვიან კუდსა, რომელიც მის სილამაზეს შეადგენდა: თაგვებმა მოსჭრეს ის (იგულისხმება ანტონის კათედრიდამ გადაგდება); ტყუილად მოინდომეს შველა მისი ფრანგთა. მერმე მათვე ურჩიეს გაქცევით ეშველა თავისათვის; კატა ტყვედ ჩაუვარდება თაგვებსა, რომელთაც დაუწყეს ლანძღვა-გინება ნაცემს კატასა: თაგვებს კიდევ უნდათ მისი „სავსე კუჭი მთლად დააცალიერონ", მაგრამ მოუჭერენ წელზედ თოკს და თან ეუბნებიან: «ციცუნიავ, წავიდა ის დრო, როდესაც შენ სიმშილით სულს გვაძრობდი» [14]); სჯიჯგნიან კბილებით ორღანის ხმაზედ და ზედვე ამღერებენ: „გინდა გადაგვყლაპო წრუწუნეები! აბა დააღე პირი! ყველას კი სძულდი შენა და! წამოანთხიე უკანვე, რაც აქნამდისინ შეთქვლიფე... ხედავ შენი მშვენიერი ტყავი როგორ იხევა; თუ შენ ჩაიგდებ მეფობასა კვლავ, მაშინ ხომ სულ გადაგყლაპავ" [15]). ზოგიერთი „ქუდიანი" თაგვები (ე. ი.

---

[13]) დექსები 2—8.
[14]) დექსნი: 9, 12, 30 და სხ.
[15]) დექ. 18, 23, 26.

თავად-აზნაურობა, კათალიკოსის თანამოზიარენი ანუ ქართველ-კათოლიკენი) ურჩევდნენ მას ჩერქეზეთში საჩქაროდ გაქცევასა [16]), ანუ მოსკოვში (რუსეთში) რადგან ღვთის-მლოცველი იყო [17]). კატის კიცხვა თაგვებმა დაასრულეს მით, რომ გაკრიჭეს იგი [18]). პირველი ნახევარი სატირისა თავდება შემდეგის დაცინვითა: „ციცუნიავ, ფრანგულ ყაიდაზედ ომიანობაში გაწვრთნილო და თაგვებისაგან კი დამარცხებულო!!“....

სატირის მეორე ნახევარში კატა სტირის თვისს დამცირებასა, დაკარგულს კუდსა და ბოლოს ემშვიდობება თვისს მსგავს ცხოველებსა: მელებსა, კვერნებსა და სხ. ყველა ისინი დავარდებიან კატის წინაშე და გამოათქმენ მწარე გულის შემატკივრობასა, რომ მხეცთა მეფემ დაჰკარვა კუდი, მთელს „საფრანგეთად ღირებული“ [19]). აქაა დაცინვა კათოლიკეებზედ, რომელთაც „ფრანგებს“ ეძახდნენ ქართველები. კატამ გარდასწყვიტა რა ქამაში (მოსკოვში) გაქცევა, გამოეთხოვა მათ შემდეგ მგრძნობიარე შესხმის თქმისა, თვალ-ცრემლიანი და მოქვითინე [20]).

სატირიდამ სჩანს, რომ სამღვდელოებას არ მოსწონდა ანტონი სხვათა შორის მისთვის, რომ იგი სცდილობდა შეემცირებინა შემოსავალი ეპარქიის, მონასტრების და ეკკლესიების უფროსებისათვის. მთავარ-ეპისკოპოსი ტიმოთე ჰმოწმობს აგრეთვე, რომ ანტონი სარწმუნოების განმტკიცებისათვის სცდილობდა რიგიანათ დაეყენე-

[16]) ლექ. 25.
[17]) ლექ. 28.
[18]) ლექსი 34.
[19]) ლექსი 44.
[20]) ლექსი 45—50.

ბია საქმე, თუმცა ამაზედ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყოფდ-მას.

IV.

1756 წ. აპრილის დამლევს ანტონმა დასტოვა საქართველოს სამზღვრები და შევიდა ამალითურთ თერგის ხეობაში, მაგრამ რუსეთამდი მაინც ვერ მიაწია. სამი თვე ნახევარი (აპრილიდან 15 აგვისტომდე) დაჰყო მან მთებში. არ ვიცით კი რა მიზეზი იყო კავკასიონის მთებში ამდენს ხანს მისი გაჩერება. ჩვენ ხელთ არა გვაქვს რაიმე საბუთი, რომლითაც მტკიცდებოდეს, რომ ანტონს რაიმე უბედურება სწვეოდეს მთიულებისგან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ანტონი ესტუმრა ამ დროს თვისს ნათესავებს, ჩერქეზის თავადებსა (ანტონის ბიძას, ვახტანგ VI ჰყავდა ცოლად, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, ჩერქეზის თავადის ქალი), რომლებთანაც იყო იგი ყმაწვილობაში დედითურთ, რადგან რუსეთში არ მიიღეს. ალბად ამაზედ უჩვენებს გაბაშვილის 25 ტაეპი სატირისა: „ჩქარა წადი ჩერქეზეთშიო“. 15 აგვისტოს ანტონი მოვიდა ყიზლიარაში ციხეში „დანაშთენი მოხელეებითურთ“, ე. ი. ამალითურთ და წარუდგა ადგილობრივ სასულიერო მთავრობასა; იქ ანტონი დიდის ამბით მიიღეს. აქ მან მოიწადინა მღვდელ-მოქმედების შესასრულებლად ნება-რთვის აღება. ყიზლიარის მთავრობამ აცნობა ამაზედ ასტრახანის სასულიერო კონსისტორიასა, ხოლო ამ უკანასკნელმა მოახსენა (9 დეკემბერს 1756 წ. № 5817) უწმიდესს სინოდსა საქართველოდან ყიზლიარში «ქართველ პატრიარქის ანტონის ამალითურთ მობრძანება» და სთხოვა მას მიეცა ნება-რთვა მისთვის მღვდელ-მოქმედების ასრულებისა ასტრახანში. ერთის თვის შემდეგ მოვიდა ბრძანება სინოდისა შემდეგის შინაარსისა: „პატრიარქი მიიღონ დიდებითა და პატივითა; მოსთხოვონ მას მოწმობანი; მღვდელ-მოქმედობის შესრულება მას არ შე-

ეძლო მანემდის, სანამ საბუთების გადათვალიერების შემდეგ ბრძანება არ გამოვაო [21]).

ასტრახანში მოსვლის შემდეგ ის დარჩა იქ 1756 წლის ბოლომდე, რადგან ელოდებოდა სასახლიდან პეტერბურგში მისვლის ნება-რთვის მიღებასა. საჩქაროდ უწმიდესმა სინოდმა აცნობა უცხოეთის საქმეთა კოლლეგიასა (21 დეკემბერს 1756 წ.) რათა არ დაეგვიანებინათ პატრიარქი ანტონი პეტერბურგში წასასვლელად. დედოფალის ელისაბედის ბრძანებით სინოდმა წინადაუდვა ასტრახანის კონსისტორიასა, რომ ანტონისათვის მიეცათ ნება სატახტო ქალაქში მისვლისა.

1757 წ. 15 იანვარს ანტონი მოვიდა მოსკოვში და იქ განიზრახა მეფე ვახტანგ VI მემკვიდრეებთან რამოდენიმე ხანს დარჩენა. ამაზედ ანტონმა აცნობა (17 იანვარს) მოსკოვის სინოდის კანტორის ქართველს არქიმანდრიტს გრიგოლს და თარჯიმნის დიაკონი გაბრიელის პირით. მოსკოვში კათალიკოსი დარჩა მარტამდისინ. ამ-დენი ხნის ანტონის იქ შეცდას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის. ამ დროს მან შეჰკრიბა ცნობა, როგორ უნდა ემოქმედნა მას, რომ რიგიანად მოეწყო საქმე უწმიდესი სინოდის და დედოფლის წინაშე, რისთვისაც ის ამზადებდა საჭირო ქალალდებსა.

კათალიკოსის რუსეთში განძევებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეფე ვახტანგის მემკვიდრეებზედ, რომელნიც სცდილობდნენ ქართლის ტახტის დაკავებასა და ეს იყო მიზეზი ანტონის მათგან გულ-წრფელად მიღებისა.

მეფე ვახტანგი გარდაიცვალა რუსეთში (1757 წ.)

---

[21]) Арх. Св. Сѵнода 1756 ґ. № 350. „ქართ. ცხ." II, გვ. 470.

და ვერ მიაესწრო ქართლის ტახტის დაბრუნებასა. ბატონიშვილი ბაქარიც ამაოდ სცდილობდა საქართველოში მოსვლასა და ერისთავისა და ამილახვრის შემწეობით ქართლის სამეფოს დაბრუნებასა, რომელიც უკვე დაიკავა მეფე თეიმურაზმა. ბაქარის ძე ალექსანდრე დღე და ღამე ჰფიქრობდა თვისის შთამომავლობის დიდების დაკარგვაზედ და ჰსურდა განეხორციელებია თვისი წადილი და თვის პაპის ტახტზედ მჯდარიყო. ამ მიზნის აღსასრულებლად იგი დაუახლოვდა მეფე პეტრე III, რომელიც მეგობარი იყო მისი [22]. ამ მეფის სიკვდილის შემდეგ ალექსანდრე დაუახლოვდა დედოფალს ელისაბედს. ალექსანდრემ ჩქარა მოიპოვა გავლენა სასახლეში და გახდა მფარველი დი პატრონი ქართველთათვის, რომელნიც თავიანთ მეფესთან უკმაყოფილებისა გამო რუსეთში მოდიოდნენ, და სცდილობდა ყველას გული მოეგო. მოიგდო რა ისინი ხელში, ალექსანდრე სცდილობდა დაემცირებია რუსეთის დედოფლის თვალში მეფეთა თეიმურაზის და ირაკლის მმართველობა. იმას ეგონა სამხედრო ძალას მომცემს რუსის დედოფალი. ამასთანავე მასთან იყვნენ თეიმურაზისაგან მოგზავნილი მოციქულები, რომელნიც გადიბარა და ეაინარჩუნა თავისთან სამუდამოდ. ამისთანა პირების მეოხებით ალექსანდრე ავრცელებდა ცრუ ხმებს საქართველოს მეფეების შესახებ. თვისის გავლენით სასახლეში და უფრო სახელმწიფო კაცებთან ის ყოველთვის მეფეების მოციქულებს სხვაგვარ მიმართულებას აძლევდა [23]. მისის ზეგავლენით მაგალითად ყველამ უწყის რა ცუდათ ჩაიარა თეიმურაზის 1754 წ. მო-

---

[22]) Буткова. Матеріалы для новой исторіи Кавказа.

[23]) „ქართლის ცხოვრება“ II, 457—459.

ციქულობამ [24]). ამისთანა გავლენა ბატონიშვილისა საქართველოს პოლიტიკურ საქმეებზედ აიხსნება მით, რომ მას ყოველის მხრით იცავდა მოწინააღმდეგე დასი, რომელსაც არ ჰსურდა ქართველი მეფეების გაძლიერება. ამ დასს მიზნად ჰქონდა წინააღმდეგობა გაეწია მეფეთათვის და ამისათვის იყენენ ყურ-მოქრილი ყმანი ბატონიშვილისა. შემდეგ, ამ დასის შემწეობით, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, ალექსანდრე მიადგა საქართველოს სამზღვრებს, მან მიიღო თავის მფარველობის ქვეშე ალექსანდრე ამილახვარი, ავტორი История Георгіанская о юношѣ Амилахваровѣ-სა. ირაკლის აუჯანყა ალექსანდრემ კახეთის თავადები, იმერეთის მეფე, ახალციხისა და დაღესტნის ხანები, სპარსელები და მთიულები. მხოლოდ ირაკლის მიერ რუსეთისგან მფარველობის მიღების შემდეგ 1783 წ. ტრაქტატით ალექსანდრე დაიჭირა რუსეთის მეფემ ტრაკტატის ძალით და გაგზავნა დასასჯელად თვისის მოქმედების გამო, რადგან მას ნებართვა არ ჰქონდა მიღებული რუსეთის მთავრობისაგან, როგორც მისის ქვეშევრდომისაგან [25]).

საქართველოდან განტევებულის პატრიარქის მოსვლამ ძლიერ გაახარა ბატონიშვილი ალექსანდრე. გარდა ამისა ანტონი იყო მეფის შთამომავალი და დაახლოვებული მისი ნათესავი—ღვიძლი მისი ბიძა. მისნი ოცნებანი აღმაფრენდნენ. მიიღო რა თვის მფარველობის ქვეშე ანტონი, მან მოინდომა რაც შეიძლება დიდი სარგებლობა მოეპოებინა მისგან, თვისი განზრახვა დაუახლოვა მის საქმესა. ანტონს უნდოდა ხელი შეეწყო მისი პოლიტიკური აზრებისათვის. მხოლოდ ამისთანა პირისაგან შე-

[24]) იქვე.
[25]) Буткова.

ეძლო ანტონს გაეუმჯობესებინა თვისი მდგომარეობა რუსეთში. მართლაც შეეძლო თუ არა ანტონს ეფიქრნა რომ ასეთის სათნო ყოფით მიიღებდნენ მას დედოფალი და უწმიდესი სინოდი, როდესაც მისი ღალატი მართლ-მადიდებლობისადმი და ფრანგების სარწმუნოების მიღება ყველასათვის აშკარა იყო? რუსეთის დედოფალი გამჭრიახათ ადევნებდა თვალს საქართველოს შინაურს და გარეგნულს ცხოვრების ავკარგიანობასა. დედოფალი იყო ღვთის-მოშიში და მართლ-მადიდებლობის დამცველი. უწმიდესს სინოდსაც, სასურველია, სასტიკი ყურადღება ჰქონდა ამაზედ მიქცეული. რომის და ფრანგების სარწმუნოება ძრიელ ეზიზღებოდათ რუსეთის ეკკლესიასა და თვით სახელმწიფო კაცებსა. რომის სჯულის მომხრეთ სასტიკად სდევნიდა სახორციელო და სასულიერო მთავრობა. ამისათვის შეუძლებელი იყო სათნო ყოფით მიღება ანტონისა და რომელიმე ეპარქიის ჩაბარება რუსეთში; ეს იქმნებოდა შეურაცხყოფა ევერიის ეკკლესიისა და მეფეებისა. ანტონის საბუთებსაც ვერაფერი ძალა ჰქონდათ. წარმოიდგინეთ როგორი მნიშვნელობა ექნებოდათ მათ რუსეთის მთავრობისათვის, როდესაც ანტონის გადარჯულება ყველამ კარგად იცოდა? ამასთანავე, ვინ იცის, საკმაო იყო ეს საბუთები თუ არა?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ანტონს ჰქონდა საბუთის ქაღალდები კრებისა და მეფე თეიმურაზისგან მიცემული; წერილები პატრიარქის ტახტის მოადგილეს იოსებისაგან და პატრიარქთა ანტიოქიისა და იერუსალიმისათა. კრებისაგან ბოძებულს ქაღალდში ვრცლად იყო ნათქვამი ანტონის გადარჯულების თაობაზედ და ხელ-მეორედ მართლ-მადიდებლობის მიღებაზედ; მეფის გრამატა შეიცავდა საიდუმლო აზრს კრების დაუნდობლობაზედ; იგი ნებას აძლევდა მას „ლიტურღიის შესრულებისას ერთჯელ შხოლოდ და ამასთანავე არა სატახტო ქალაქში და

საპატრიარქო მცხეთის ეკკლესიაში, არამედ **ზორეულს ქალაქს** გორში; -ბრეთვე ნება ჰქონდა მას მიელო ქ. გორში ის პირნი, რომელნიც იმას გამოემშვიდობებოდნენ და სხ. რაც შეეხებ› პატრიარქების ქალალდსა, რადგან ის დაწერილი იყო მანამ, სანამ ანტონი საეკკლესიო სამართალში მიეცემოდა მწვალებლობის მიღებისთვის, იმას არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ანტონის საქმისათვის; მასში იყო მოხსენებული მხოლოდ ტიტული კათალიკოსისა. არც იოსების მიერ მიცემულს წერილს ჰქონდა მნიშვნელობა ანტონის გასამართლებლად. იგი დაწერილია რუსთავის ეპარქიის სამწყსოსთვის. ამ ქალალდში იოსები სწერს რუსთავის ეპარქიის სამღვდელოებას, რომ ანტონი კათალიკოსი იხსენიებოდეს ეკკლესიებში, რადგან რაღაც მიზეზების გამო არ იხსენიებდნენ მას აქნამდისინ. ვინც არ აასრულებდა ამ მოწერილობას, ის მიეცემოდა სასჯელში ჯარიმის გარდახდევინებით, რომლითაც არავითარი გულ-შემატკივრობა არ მტკიცდებოდა რუსთავის ეპარქიისა ანტონისადმი. ანტონი ამისთანა საბუთებით ვერ მიიღებდა კეთილ-განწყობილებას რუსეთის მთავრობისაგან. საჭირო იყო მიენდო თვისი ბედი ბატონიშვილის ალექსანდრესთვის, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა სასახლეში. და რადგან მისი გულის მოგება შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამოეფარებოდა იმის დროშას, ამისათვის ანტონი მისკენ გადასვლის შემდეგ იძულებული გახდა გაეკიცხა მეფეები. მას უნდა ემხილებია მეფე, რომელმაც ვითომ და უკანონოდ ჩაიგდო ალექსანდრეს მამა-პაპისეული ქართლის ტახტი. ერთის სიტყვით ანტონს უნდა მიეცა პოლიტიკური სახე თვისის მოქმედებისათვის და ამისათვის უნდა გამხდარიყო ალექსანდრეს და მისი ერმხრეების ყველაფერში თანაზიარი. ამისთანა გზა აირჩია კათალიკოსმა მოსკოვში მისვლამდე; ტყუილად კი არ დარჩენილა ანტონი სამი თვე ქართლში

მეორე კრების შემდეგ; ის მხოლოდ ელოდდა ალექსანდრესაგან ცნობებსა, თუ როგორ მოქცეულიყო. ამისთანავე მიზნით მან დაჰყო სამთვე ნახევარი კავკასიონის მთებში თვის ნათესავებთან, რომლებთანაც 18 წლის წინეთ იმოდენი მიღება არ ჰქონდა. შესაძლებელია ის მაშინ წავიდა რუსეთში, როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილისაგან მიიღო პასუხი. მისივე განკარგულებით და მოხსენებით კათალიკოსი დიდის პატივით მიიღეს რუსეთის სამზღვრებზე და აქედამ სახელმწიფო ხარჯით დედოფალმა მიიღო თვისს სასახლეში. ამისთანავე მიზანი ჰქონდა მის მოსკოვში სამი თვის დარჩენისა. ამ ხნის განმავალობაში შეჰკრიბა მან ყოველივე საჭირო ქალალდები, საბუთები იშოვა სატახტო ქალაქის მმართველობის გავლენიანი პირები, რომელნიც იცავდნენ ბატონიშვილს ალექსანდრეს და სხ.

მღვდელი კონსტანტინე ანთაძე.

(შემდეგი იქნება).

ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა

კლარჯეთ-მესხეთისა *).

ამ უბედურების შემდეგ, ევროპის ზოგთ ქრისტიან სამეფოებმა ოსმალეთს ომი დაუწყეს იერუსალიმის დასახსნელად. ამიტომ ქართველთაც გამოიყვანეს თავიანთი ლაშქარი და ათაბაგის სარდლობით ესენი მალე წავიდნენ ოსმალში და შეუერთდნენ იქ მოსულთ ევროპის ქრისტიანთ ჯარის კაცთა. აქ ამ დროს ევროპის მეომართა დიდი გმირობა აღმოიჩინეს, ნამეტურ ქართველთა, ქართველნი ისე ოსტატურად და მამაცურად იბრძოდნენ, რომ ამათგან ასი კაციც არ მომკვდარა, მთელი ევროპის ჯარი გაჰკვირდა ქართველთ მხნეობაზე და მამაცობაზე, ომის შემდეგ ქართველნი საქართველოში უვნებლათ დაბრუნდნენ და შინ თითქმის მშვიდობით მოვიდნენ. ქართველთ სცნეს კლარჯელთ და ათაბაგის მშვიდობით დაბრუნება. იმერთ ბატონიშვილს ბაგრატს ათაბაგთან უსიამოვნო კავშირი ჰქონდა და ამიტომ ამას დიდათ ეწყინა, რომ ათაბაგი თავის ქართველ ლაშქრით მშვიდობით დაბრუნდა. სწყინდა მით უფრო, რადგანაც ათაბაგი ქართლის მეფეს დაუახლოვდა. ამათში მეგობრობა ჩამოვარდა და ქართლის მეფემაც გააყოლა ათა-

*) იხ. „მოგზაური“ №№ 7 და 8 1902 წ.

ბაგს ოსმალში თავის ლაშქარი. ბაგრატმა ათაბაგს შური აგო და ამათში წერილების მიწერ-მოწერა გაიმართა. იმერთ ბატონიშვილმა ძველი ხრიკები მოიგონა, ათაბაგს გაახსენა მისი მამის ორგულება და იმერეთზედ გალაშქრება. იმერთ ბატონმა სამეგრელოს და გურიის მთავრები მიიწვია თავისკენ და ათაბაგს ომი აუტეხეს სრულიად უმიზეზოთ თითქმის, სრულიად უკანონოთ და უზრდელურათ. ქართველთა სწყვიტეს ქართველნი, იმერთ უნამუსო ბატონისა და მთავრების მეოხებით ქართველთა ჟლიტეს ერთმანერთი. ორსავ მხარეს მოსწყდა დიდი ძალი გლეხ-კაცობა. ოვით ათაბაგიც მხნეთ იბრძოდა, მაგრამ მაინც ბოლოს იძლია. იმერთ ტყვეთ იპყრეს თვით ათაბაგიც და პატიმარ ჰყვეს გელათში, ამ პატიმრობაში მიიცვალა კიდეც 1537 წელს. ამის მიცვალების შემდეგ სამცხის ბატონათ იმერთ ბატონი გამოცხადდა, რადგანაც სამცხეს დამორჩილებულათ სთვლიდნენ და იმერეთთან შეერთებულს. ეს საქმეები ზოგთ დიდებულთ მოსწონდათ და ზოგს კი არა. ათაბაგის ძეს კი, ქაიხოსროს, ძრიელ ჯავრი მოსდიოდა და მეცადინეობდა სამთავროს აღდგენას.

ათაბაგის ძე მალე სტამბოლში წავიდა დახმარების სათხოვნელათ. ოსმალთ შეისმინეს ამის თხოვნა და ამას ლაშქარი მისცეს დასახმარებლათ, რადგანაც ქართველთა ერთობა ამათ ძრიელ სძულდათ და უნდოდათ, რომ საქართველო თითო სამთავროთ ყოფილიყოს დანაწილებული, რაის მეოხებითაც უფრო ისარგებლებდნენ და დარღვეულ ერთობის მექონ ერს და ქვეყანას უფრო ადვილათ დაიჭერდნენ. ათაბაგი მალე მოვიდა კლარჯეთში, თან მოიყვანა ოსმალოს ლაშქარი და ბაგრატს შეება, მაგრამ ბრძოლაში ვერას გახდა, ბაგრატმა გაიმარჯვა, ოსმალთ ლაშქარი განდევნა და თვით ათაბეგის ძესაც დაჭერას უპირებდა. ქაიხოსრომ თავს უშველა და აქა იქ ჩუმათ

დახტოდა და საქმეს იმზადებდა, მაგრამ ამას ადვილათ ვერ ახერხებდა. ბაგრატი სამცხეს გარდამიუხტა ჭანეთს, ოსმალნი განაძევა და თვითონ დაიჭირა. მაგრამ სიშორის გამო ბაგრატმა ჭანეთის პატრონობა არ ინდომა და ეს მხარე მან გურიელს ჩააბარა, ამათ პირობაც ასე ჰქონიყოთ დადებული, რომ თუ ათაბაგი ვძლიეთ და საათაბაგო შევიერთეთ, მაშინ ჭანეთი გურიელს ჩაბარდესო. სამცხის მებატონეთა დიდათ იუკადრისეს ამ ერთობისთვის, ესენი მოუსაზრებელის ოცნებებით აღიბარგნენ და სწუხდნენ მასზე, რომ სამცხე ბაგრატმა რათ შეიერთა, ჩვენ რათ დაგვიმორჩილაო. ამათ განიძრახეს ბაგრატის ღალატი და ახლად შეერთებული კავშირის დარღვევა. ესენი ფხიზლად მეცადინეობდნენ ბაგრატის სავნოთ და ქვეყნის დასაღუპათ. ერთი ამ მტერ გამცემ პირთაგანი, გვარად შალიკაშვილი, უფრო მეტის ღალატით და მტერობით აღმოჩნდა. ამან მიიკედლა ათაბეგი თვისკენ და მალე სტამბოლში წავიდა, თან წაიყვანა ათაბაგი, წარსდგა სულთნის წინაშე და დიდის მტერობით და ბოროტის ამბებით დააბეზღა იმერთ ბატონი ბაგრატი. მოახსენა შალიკაშვილმა, რომ ბაგრატმა ყოველივე ეს უბედურება თქვენის ერთგულების გამო მიაყენა ათაბაგსაო. ომში ათაბაგი ტყვეთ იპყრა, პატიმარ ჰყო, პატიმრობაში მოჰკლა და მას შემდეგ საათაბაგო მან დაიჩემაო. ბევრი კიდევ სხვა საღალატო საქმეები ასმინა ამ ქვეყნის და ერის მოღალატე გვამმა. ასეთის მტერ-მოღალატე გვამებით მაშინ სავსე იყო მთელი საქართველო.

შალიკაშვილის დაბეზღებით სულთანი სასტიკათ აღელდა, ამან საჩქაროთ ჩამოავლინა უკანვე და თან გამოაყოლა ოსმალოს ლაშქარი, 1541 წ. ესენი მობნელდნენ საქართველოში და ბაგრატს გაუმართეს ომი, ორსავ მხარეს მოსწყდა დიდი ძალი ქართველობა. ამ ომში დიდი გმირობა გამოიჩინეს აჭარლებმა და მარადიდელე-

ბმა. ამათ მედგრათ შემართეს ხელი და მტერი მალე დასცეს, მთლათ უკუ აქციეს, საზღვარს გადარეკეს და საქართველოს მტრებიც სასტიკათ შეარცხვინეს. დამარცხების ამბავი სულთანმა მალე შეიტყო და მას ეს ძრიელ ეწყინა, ამან დაიწყო საქართველოზე აღბორგება, მალე ამათ ქართველებში მოღალატე გამცემლებს დაუწყეს ძებნა და ასეთი პირები ბევრიც იპოვნეს. შალიკაშვილმა და სხვათა გამცემთა ყველაფერი საქმეები აცნობეს. სულთანი დაიმედდა. ამან შეკრიბა დიდი ძალი ლაშქარი, ბევრი ფაშები და ყველა ესენი მალე გამოისტუმრა საქართველოში, მტერს წინ შალიკაშვილი მოუძღვოდა და სხვა ქართველი მოღალატე თავადის შვილები. უპირველესი ადგილი გამცემლობაში შალიკაშვილს ეკავა. ნეტა რამ გადაამტერა ეს ბოროტი საქართველოზე ასე, რამ გააუნამუსოვა და დაღუპა! წყეულ-შეჩვენებულ იყოს მისი სახელი და ხსენება ჩვენს თავში.

ოსმალოდან მომავალს თათრის ჯარს გზაში შეემატნენ დიარბექირის და არზრუმის ჯარებიც თავიანთის ფაშებით. ესენი მალე მოადგნენ საქართველოს. ლუარსაბ მეფე და ბაგრატ ბატონიშვილი ერთათ შეითქვნენ და 1545 წ. ომი დაიწყეს. ლუარსაბი და ბაგრატი ბასიანსა და სოხასტაზე ორს ფაშას შეებნენ, სხვანი კიდევ სხვა მხრით ეომებოდნენ ქართველთ, ქართველნი ფიცხელ ომობდნენ, მაგრამ ვერა გააწყეს-რა, იძლივხენ უწყალოთ და მოისრნენ მთლათ. ოსმალთ დაიჭირეს სამცხე და ფეხი გაიმაგრეს. მტერმა ძიტომ უფრო გაიმარჯვა, რომ ამ გასაჭირს დროში შინაურებში ძრიელ ბევრნი აღმოჩნდნენ მოღალატეები, რომელნიც ათაბაგის მომხრენი იყვნენ და ამიტომ ღალატობდნენ ქართველთ, რომ ამით ეხელმძღვანლათ და შემდეგ ათაბაგი დამჯდარიყო მთავრათ ოსმალთა მეოხებით. ამათ აღუსრულდათ გულის წადილი, მტერმა გაიმარჯვა და გამარ-

ჯვების და დამორჩილების შემდეგ ათაბაგათ ქაიხოსრო გამოაცხადეს. ჯავახეთს, აჭარას და სხვა ადგილებს წინეთ ბევრი ომები და შეწუხება გამოეცლო, მაგრამ ასეთი თავზარდასაცემი მოცლენანი კი არას დროს. ქაიხოსრომ ოსმალთა სრული მონება აღიარა, ოსმალნი მალე წავიდნენ უკანვე. სამცხის ბატონათ ქაიხოსრო იქმნა, ეს ხან სამცხეში სცხოვრობდა და ხან აჭარაში.

ლუარსაბი და ბაგრატი ძრიელ მღელვარებდნენ იმ გაჭირვებისა და შეწუხების გამო, რაც კი საქართველოს მოადგა კარს ათაბაგის, შალიკაშვილის და სხვათა გაძცემლების მეოხებით. ბაგრატმა ვანიზრახა ათაბაგის დამარცხება და საათაბაგოს სამუდამოთ დაპყრობა. 1546 წ. ბაგრატი მეორეთ დაეცა სამცხეს, ომი გამართა, მაგრამ ველარაფერი გააწყეს, ოსმალთ ყველაფერი მოედრიკათ და დაემონებინათ. ამ დროს ხელახლა აღაოხრეს ეკლესიები და ნამეტურ აწყურის ტაძარი, აწყურის ღვთისმშობლის ხატი ციხის ჯვარს წაასვენეს. ასევე სხვადასხვა ეკლესიებიდამ, თორემ ოსმალთაგან ცარცვა-გლეჯა ერთობ წინ იყო წასული. შალიკაშვილი აქ შავდებოდა. ამას ძრიელ ეშინოდა ამერთ ბატონის და ქართლის მეფის. ეშინოდა მიტომ უფრო, რომ ღალატი შემიტყესო. ოდესმე თუ ესენი გაძლიერდნენ, მე კაი დღეს არ დამაყენებენო. ეს ხელახლა გაიქცა სტამბოლში, მალე წადგა სულთნის წინაშე და მოახსენა ბევრი რამ საღალატო ჭორები იმერთა ბატონის შესახებ, მაგრამ სულთანი მაინც ვერ დასძრა. ოსმალთ ამისთვის არ სცალოდათ. შალიკაშვილი შერცხვენილი და კუდ ამოძუებული დარჩა. სამცხეში დროებით სისხლის ღვრა და ომები შეჩერდა. სოფლის მცხოვრებთ იწყეს სახლ-კარის გაშენება, ფეხის გამაგრება, მეურნეობის მართვა და ცხოვრების აყვავება. საცა დაქცეული ეკლესიები იყო მაინაც გამაგრება და აღშენება დაიწყეს. ხალხს დიდათ

უხაროდა, პატარა ხანს მოისვენეს ამათ სისხლის ღვრისაგან და ამის მეოხებით ხალხით აბიბინდა სამცხე და სხვა ადგილები, გაივსო ყოველი ხეობა და დაბა მცხოვრებთა რიცხვით და გამრავლება იწყეს პირუტყვთა, ფრინველთა და სხვათა სახმართა საჭირო სურსათთა. მაგრამ ასეთი ბედნიერება კლარჯელთათვის დიდი ხნის სტუმარი არ იყო. შინაურ მტერთ ვერ მომრეცთ ქართლის ბატონიშვილები ლუარსაბ და ლევან მესხთა დაიმეგობრეს და 1549 წ. ამათ სპარსთა სამზღვრებზე სპარსებს ომ წყეს რბევა. ამ რბევამ და თავ-დასხმამ ძრიელ ააღელვა სპარსთა მფლობელი. ნეტა ქართველთ მეფეთ რა საქმე ჰქონდათ, რომ მესხთა მეოხებით სპარსთა საზღვრებს ეცნენ დასარბევათ, რათ ჩაიდინეს ასეთი მოუსაზრებლობა და რატომ აჰყვნენ ათაბაგის რჩევას, რათ მოტყუვდნენ? ეს იყო ოსმალთ მომხრე ქართველთ მოღალატეთა პოლიტიკა. მიტომ, რომ ქართველთ ასეთი მოუფიქრებელი ამხედრება იაფათ არ დაუჯდებოდათ.

რამდენიმე ხნის შემდეგ სპარსეთში გაძლიერდა კაცთა უბრალოთ მმუსვრელი შაჰ-თამაზი. ეს შეუბრალებლად ხალხის მწყვეტი და ოსმალნი ერთმანერთს გადაეკიდნენ. სპარსთა მეტათ იწყეს განდიდება და ოსმალთ დასუსტება. 1549 წ. შაჰ-თამაზი საქართველოზე დაიძრა და წამოვიდა დიდის ჯარით. მალე ყარაბაღს მოვიდა, აქ მას მიეგება ლეონ მეფე და მორიგება ჩამოაგდეს. შაჰ-თამაზი უკან დაბრუნდა, თან გაჰყვა ლეონ მეფეც. შირვანისკენ ამათ ომი მოუხდათ და გულისტანი დაიჭირეს. შირვანის შემდეგ ისევ ქართლზე წამოვიდა, თბილისს მოვიდა და დაიჭირა. აქედან ათაბაგს ეძრახა, ქალი ცოლათ გამოართო და წარვიდა. ამ წელს იმერთ ბატონი ბაგრატი მიიცვალა. ამის ალაგას დაჯდა ძე ამისი გიორგი. ბაგრატს კლარჯელნი კარგათ იცნობდნენ. ოსმალთ ყოველივე ამბები სცნეს ქართლის, საათაბაგოს

და სპარსეთის, ესენი მალე მოვიდნენ კლარჯეთში, ტაო მთლათ დაიჭირეს, ლივანაში გადმოვიდნენ ლაზისტანიდამ, არდანუჯისვენ ყარსიდამ, ქართველთ დაუწყეს სასტიკათ დევნა, ამ დროს მიეცა აოხრებას დიდებული ტბეთი, სხალტა, ოპიზა და სხვანი. ზოგიერთი ხეობანი კი დაშთნენ თავისუფლად და იქ ოსმალთ ფეხი ვერ შედგეს. ოსმალთ ფიცხელ იწყეს აქ გამაგრება და მოშენება. 1552 წ. არტანუჯიდამ არსიანამდე დაიმონეს, ფანავრი აღაშენეს, აჭარაში კი ვერ გადავიდნენ. ოსმალთ აქ თავიანთ მომხრეებიც აღმოუჩნდნენ და ათაბაგის შესახებ ბევრ რამეს ასმენდნენ მათ. ოსმალთ შემოსევის ამბავი შაჰ-თამაზმა მალე სცნა, 1553 წელს ეს წამოვიდა საქართველოში, ქართლი მოვლო, გზაში ათაბაგი მიეგება. თმოგვი, ვანის ქვაბნი, აწყვერი, ასპინძა და სამცხე დაიჭირა. ქაიხოსროს აწყვერი მისცა. ოსმალთა განდევნის შემდეგ შაჰ-თამაზი სამხრეთ (არმენია) საქართველოსკენ გაემართა. ამ დროის ქართველებში მოღალატეთ აღმოჩნდნენ თავადნი შერმაზან და ვახუშტი დიასამიძენი. ესენი წავიდნენ ხონთქართან ათაბაგის და სხვების ყოველივე საიდუმლოება ასმინეს, ოსმალნი აღამხედრეს და სამცხეში შოიყვანეს. ამ დროს სპარსთა ძალაც იყო სამცხეში, ოსმალნი შეებნენ სპარსთ და სპარსელნი დაამარცხეს. სპარსელთ ქართლის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ქართლელნი არ მიეშველნენ, ძლეულნი სპარსნი გაჯავრებულნი ქართლზე დაბრუნდნენ და ქართველთ გაუმართეს ო ი, ქართლი მთლათ აიკლეს. ატენის ციხიდამ ლუარსაბის დედა გამოიყვანეს და ტყვეთ წაიყვანეს. ამ უბედურების მეოხება იყო, რომ 1558 წ. ლუარსაბ მეფე სპარსთა მოკლეს, რომლის შემდეგაც გამეფდა სახელოვანი სვიმონი.

ოსმალთ თუმც განდევნეს სპარსნი სამცხიდამ, მაგრამ არც თვით დარჩნენ დიდხანს აქ, რადგანაც შუაგულ

ოსმალეთში და სტამბოლს იქით სხვადასხვა ქრისტიანები ებრძოდნენ და ამათ ოსმალთ საქმეც დიდათ გაუჭირვეს, ოსმალი კინაღამ დასცეს, ისე დაამდაბლეს და აიკლეს ბევრი რამ ოსმალებისა. ოსმალთა უძლურების ამბები ათაბაგის ყურამდისაც მალე მოვიდა. ათაბაგი ძრიელ შეშინდა, ეს ჩავარდა ფიქრებში, ამან მალე იხმო ზოგიერთი დიდებულები და მათთან რჩევა-თათბირი დაიწყო, თუ ოსმალეთი დაეცა, მერე ჩვენ რაღა ვქნათო, ვაი თუ ჩვენ ქართველთ, ან იმერთ დაგვიჭირონო. ამათ გარდასწყვიტეს სპარსეთთან დამეგობრება, კაცების გაგზავნა და მფარველობის თხოვნა. მოციქულნი მალე წავიდნენ სპარსეთში, ესენი წარსდგნენ შაჰ-თამაზის წინაშე და მოახსენეს:—«რადგანაც თქვენ ძრიელი მეფე ბრძანდებით და მოწყალე ყოველთა, ამიტომ წამობრძანდით ჩვენსკენ, დახმარება მოგვეცით, ჩვენ თქვენის დახმარებით ოსმალთ განვდევნით და მერე მთელს საქართველოს თქვენ დაგიმორჩილებთ. შაჰ-თამაზს ეს ამბავი ძრიელ ეესიამოვნა. ეს მალე გამოემართა საქართველოსკენ, ვიდრე შაჰ-თამაზი საქართველოში მოვიდოდა, მინამდე ქართველთ გამცემთაგან ყოველივე შეიტყო. ამას ჯავრი მოუვიდა, ქართველნი გადამიდგნენო. მალე ამხედრდა და დიდის ლაშქრით საბცხეში წამოვიდა. ქართველთა ეს ამხედრება მალე შეიტყეს, შაჰ-თამაზი ჯერ მოსული არ იყო საქართველოში. სამცხეს დიდებული კრება მოახდინეს და მალე შაჰ-თამაზს კაცები გაუგზავნეს და შეუთვალეს: დღეს თუ ხვალ ხონთქრის ლაშქარი მოვა აქა და ჩვენ აგვიკლებს, ამიტომ გეევედრებით, რომ დახმარება მალე აღმოგვიჩინო და დაგვიხსნათ უბედურებისაგან. მოციქულები მალე ჩავიდნენ სპარსეთში და შაჰ-თამაზს ყოველივე მოახსენეს, ამან საჩქაროთ მხედრობა მოამზადა, სარდლათ თავისი შვილი შაჰ-ისმაილი დაუნიშნა და ესენი

ერთობ მალე გამოგზავნა სამცხეში ქართველთ დასახმარათ.

სპარსეთის ჯარი სამცხეში მოვიდა, ამ დროს მთელი სამცხე ოსმალებით იყო სავსე. ყოველი დაბა და სოფელი დიდს მორჩილების ქვეშ ჰყვანდათ. ათაბაგი ობლათ იყო და აღარაფერი ეკითხებოდა, ეს მიეკედლა შაჰ-ისმაილს და ამის მეოხებით ჰფიქრობდა მთავრობის აღდგენას, მაგრამ ვერც მიკედლებას ახერხებდა ადვილათ. ამას ერთი მტრისაც ეშინოდა და მეორისაც. რამდენიმე დღის შემდეგ კი ამას ერთმაც დაუწყო წევა და მეორემაც. ყველა იმას ეუბნებოდა, რომ მე მომემხარ, მას არ მიემხრო, თორემ მე გავიმარჯვებ და ჰოლოს შენც შეგანანებო. ათაბაგი ჩავარდა ორნაირს ცეცხლში და აღარ იცოდა რა ექმნა. ქართველობაც სასტიკათ დაეცა ამდენის უბედურებისა და ხოცვა-ჟლეტისაგან. 1558 წ. ოსმალ-სპარსთ გაჰმართეს ომი და ამ ომის მეოხებით პირქვე დაამხეს საქართველო. ერთნიცა და მეორეებიც სწვამდნენ სამცხის სოფლებს, დაბებს, ციხეებს და კოშკებს, აქცევდნენ ყველა მაგარ საომარ ციხეებს და ადგილებს. ამ დროს შეიმუსრნენ ყველა ეკკლესიები სამცხისა. არსად აღარაფერი დაშთა შეუმუსრავი და დაურღვეველი. ბევრ ალაგას მთლათ დააქციეს ეკკლესიები, ბევრ ალაგას ბერებიც ხოცეს და ყმაწვილებიც იტაცეს ერთმანეერთის გაჯავრებით. ბევრის ვაი-ვაგლახების შემდეგ სპარსთა სძლიეს ოსმალნი და განდევნეს, კლარჯეთი გაანთავისუფლეს და ათაბაგს მისცეს გამგეობა. საათაბაგომ შაჰ-ისმაილის წინ თავი მოიდრიკა, ქვეშევრდომობა და ერთგულება განუცხადა. შაჰ-ისმაილი მალე სპარსეთში დაბრუნდა, ამან თან წაიყვანა დიდი ძალი ქართველთ ლამაზი ქალ-ვაჟნი და იქ ესენი სპარსეთის უმაღლეს პირებს საჩუქრათ დაურიგეს. კლარჯეთის საქმე პატარა დაწყნარდა, ერმა იწყო მოშენება და აყვავება. აქა-იქ სიცოც-

ხლის ნიშნები და მხიარულება მოიფინა. 1560 წლებში ათაბაგმა დაქცეულ ეკკლესიების აღდგენა იწყო და აქაიქ შეწირულებაც დაუწყო. 1562 წ. ათაბაგმა აწყურში მიასვენა ღვთის-მშობლის ხატი. ქართველთ გაძალუანება და გამაგრება ოსმალთ არ ასვენებდა. ამათ ქართველების ჯავრიც სჭირდათ, რომ ჩვენ გადაგვიდგნენ და სპარსელთ მიემხრნენო და ამიტომ ამათ მალე განიზრახეს ქართველებზე ამხედრება, ჯავრის ამოყრა და მთელი სამცხის ფერფლათ ქცევა, მთელი საქართველოს დამორჩილება და მერე ამათი გათათრება. ვიდრე ჩვენ მათ არ გავათათრებთ ისევე, როგორც ყარსი, ტაოსკარი, ოლთისი და სხვანიო. მინამდისინ ქართველნი ჩვენს წინააღმდეგ არ დასწყნარდებიან და ყოველთვის ასეთი ომი და ოდიგრები ექმნებათო. ამ ჰაზრებით გამსჭვალულნი ოსმალნი სამცხეს მალე მოადგნენ, ომი დაიწყეს, ხალხს დაუწყეს უწყალოთ ჟლეტა-წყვეტა და ანიავება. ამ დროს ხალხმა დიდი მწუხარება გამოიარა, დიდი განსაცდელი და დიდი უბედურება.

ახ, საბრალო საქართველოვ და ქართველებო, მაცხოვრის მსგავსად წამებულო და დატანჯულო თვით მაცხოვრის სწავლის მფარველობის მეოხებით! რომელი ერთი ამბავი ამოიკითხოს კაცმა შენის ისტორიიდამ, რომ იმას გულ-ღვიძლები ცეცხლით არ დაეწოს და ცხარე ცრემლი არ დაღვაროს. დღე და ღამე ქრისტიანობისთვის სისხლს ღვრიდი, მის მცნებას უბრალოთ არავის უთმობდი, მართლმადიდებლობით გატაცებული თვით ქრისტიან კათოლიკეთა და სომხებსაც კი ეკამათებოდი, იცავდი და ინახავდი ყველაფერს სუფთათ, წმიდათ და ფაქიზათ, მაგრამ როცა შენს სამშობლო ქვეყანას მტერი ევლინებოდა და იმორჩილებდა, როცა შენს საუკეთესო ტაძრებს ესენი ანგრევ-აქცევდნენ და სპობდნენ თვის წერაქ ქვეშ, მაშინ კი შენს საშველ დასახმარათ და ამ

მართლ-მადიდებელთ ძეგლ-შთენთ დასაფარათ არაფერი საშველი ღონის-ძიება არ ჩნდებოდა და შენ არავინ გიფარავდა. აქ არც ქრისტე ჩამოდიოდა, რომლის მოძღვრებისთვისაც შენ შენს შვილებს უწყალოთ ხოცავდი და სწირავდი, არც სხვა წმიდანები მოდიოდნენ, შენს მტრებს არავინ რას ეჩოდნენ და ესენი ყველა ჩვენს წმიდა ნაშთებს თავისუფლათ იღებდნენ და იმორჩილებდნენ. მაშინ აღარც მართლმადიდებლობა გშველოდა, არც მაცხოვრის სწავლა და ყველაფერი გაუქმებას ეძლეოდა...

ოსმალთა სამცხე დიდათ შებოჭეს, მალე ამათ აქაიქ ქართველობას გათათრებაც დაუწყეს. შაგრამ ნება-ყოფლობით, ძალას არავის ატანდნეხ. ესენი ბევრს ფულით შეისყიდიდნენ ხოლმე და ისე ათათრებდნენ, ამათ დიდს პატივსაც ანიჭებდნენ, სამღვდელოებას შემცირება დაუწყეს და პატივის აყრაც. ათაბაგი ამაების გამო ძლიერ შეშინდა. ეს ნაყოფი გამოიღო ქართველთა უკუღმართმა ხვნა და თესვამ, ეს საჩუქარი და ბედი მოევლინა კლარჯეთს ქართველთა დიდებულთა მეოხებით, ამათის აქაიქ ხეტიალით, გამცემლობით, ქვეყნის ღალატით და ორგულობით. ასეთი მოღალატე პირები ჩვენ ზემოთ დავასახელეთ. კლარჯეთი სასტიკათ შეაწუხეს ოსმალთა, ათაბაგსაც გაუჭირვეს საქმე. ათაბაგი და მთელი იქაური დიდებულები დიდს ფიქრსა და დარდში ჩავარდნენ. ამათ გარდასწყვიტეს სპარსეთში წასვლა წინაშე შაჰ-ისმაილისა და დახმარების თხოვნა, თორემ ოსმალნი მთლათ მოგვსპობენო. სპარსეთში თვით ათაბაგი წავიდა, ნახა შაჰ-ისმაილი, მიართვა ფეშქაშათ წაყვანილი გოგო-ბიჭები და თან დიდი დახმარებაც სთხოვა. შაჰ-ისმაილმა პირობა მისცა, ათაბაგი მალე გამოისტუმრა საქართველოში და მეც მალე წამოვალო. ათაბეგს მგზავრობა ყაზმინისკენ ბოუ-

ხდა, ეს აქ ჩამოხტა, მგზავრობისაგან ავათ გახდა და ამავე ქალაქში მიიცვალა 1573 წ.

ათაბაგს დარჩა სამი ძე: ყვარყვარე, მანუჩარი და ბექა. ათაბაგათ ყვარყვარე იქმნა. ჩვენის ისტორიის თქმით ყვარყვარე იყო „ამაყი, გლისპი. მრისხანე და გაუშინჯავი, თუმცაღა ათაბაგობდა ყვარყვარე, არამედ დედა მისი დედის იმედი და ვარაზათარს შალიკაშვილის ძე იყვნენ გამგებელ და მომქმედ ყოვლისავე საქმისა მუნებურისა". ყვარყვარე ათაბაგი სხვადასხვა ფიქრებში ჩავარდა, ამან არ იცოდა რა ექმნა და საქმე როგორ დაეჭირა და მოეგვარებინა. სპარსეთის დიდი მორიდება ჰქონდა, რადგანაც ამის მამა მათ მფარველობას ეძებდა და ამისთვის სათხოვნელათაც წავიდა იგი გზაში გარდაიცვალა, ოსმალების შიშიც ჰქონდა და არ იცოდა რა გზას დამდგარიყო. ამან მალე ისევ ოსმალთ წინაშე მოიხარა თავი და ერთგულება შეჰფიცა, ოსმალთაც ეს უნდოდათ. ამათ უთხრეს, შენ ოღონდ ჩვენი ერთგული იყავი და ომის და აკლების ფიქრი და შიში ნუ გაქვს. სპარსეთს ნებას არ მივსცემთ, რომ შენ რამე გავნოს. ყვარყვარე დაემორჩილა მაგ.ს ბრძანებას და ერთგულებას დაადგა. ოსმალთ აქა-იქ იწყეს მაჰმადიანობის აშკარათ გავრცელება და ქართველების გადაბირება თვისკენ. ოსმალების ასეთ საქციელს მრავალნი მწუხარებით უმზერდნენ, მაგრამ რას გააწყობდნენ. ველარაფერს. ოსმალთ ისე შებოჭეს ქართველნი და შებოჭეს უფრო შინაურ ქართველთა მოღალატეთა მეოხებით. მაჰმადის სარწმუნოების გავრცელება აშკარად იწყეს, ამისთვის ქართული ენის მცოდნე მქადაგებლები გამოგზავნეს და ესენი ქადაგობდნენ ხალხში მაჰმადიანობის პატივისცემას და მნიშვნელობას.

ქაიხოსრო ათაბაგის ყაზმინში გარდაცვალება რომ შაჰ-თამაზმა შეიტყო, ამან გალაშქრებას თავი გაანება და

სამცხეზე წამოსვლა იქით გადასდო, რადგანაც მას კახეთიდამ მოუვიდნენ ქართველთ მოღალატე გამცემნი და აუწყეს, რომ კახეთის მეფე ალექსანდრე გღალატობს შენაო. შაჰ-თამაზისთვის კახეთი შეიქმნა სამტროთ, დასამხობათ და არა სამცხე. ყეინი მალე გამოემართა განჯის დასამორჩილებლად, განჯიდამ კახეთს უნდა დასცემიყო და მთელი მხარე უნდა აეკლო, თვისი რისხვა უნდა მიეყენებინა მათთვის. მეფის ალექსანდრეს დროს სცხოვრობდა ამის თანამედროვე პირი ოთარ ჩოლოყაშვილი, რომელიც იმ დროს დიდათ სახელოვანი იყო და რჩეული. ამან მოიგონა ერთნაირი არა მოსაწონარი ხერხი, რაის მეოხებითაც იმედოვნებდა, რომ იქნება ამით კახეთს თავის განსაცდელი ასცდესო. ამან სამცხის ათაბაგის მეუღლე, დედის იმედს, წერილი მისწერა და შეუთვალა საჩქაროთ ასე: შაჰ-თამაზი სამცხეში მოდის, ამასჰსურს, შენ და შენი შვილები სრულიად ამოგწყვიტოს და ათაბაგობა თავის ცოლის ძმას ვარაზ ოთარის ძე შალიკაშვილ მისცეს. ესწრაფეო, რომ ეს მოჰკლა, ვიდრე ყეინი მანდ მოვა, თორემ საქმე ცუდათ აღგისრულდებაო.

ათაბაგის მეუღლემ წერილი მიიღო, ეს დიდათ განცვიფრდა ამაზე და აღარავის რა ჰკითხა. პირდაპირ შალიკაშვილის საქმეს შეუდგა. ეს მალეც მოაკვლევინა. ასე აღსრულდა სიცოცხლე იმ გამოჩენილის მოღალატე შალიკაშვილისა, რომელიც ერთ დროს საქართველოს მტერს წინ მოუძღვოდა და თავის სამშობლო ქვეყნის დაქცევა-დღუპვას ლამობდა. საქმე ისე წარემართა, რომ შალიკაშვილის სიკვდილი მისმა სიძემ, შაჰ-თამაზმა, ერთობ მალე სცნა, ამან ამის გამო განჯის აღების შემდეგ კახეთზე გალაშქრებას და მოოხრებას თავი გაანება და განჯიდამ თრიალეთის გზით პირდაპირ კლარჯეთისკენ წავიდა, მალე სამცხეში ჩავიდა და კახეთზე განმზადებული რისხვა სამცხეს მიაყენა. «მოაოხრა მთლათ სამცხე და ტყვე ჰყვნა, გარნა უმეტესოცხე». აიკლო მრავალი დაბანი, დააქცია ეკკლესიები, ზარზმა გააუქმა, რამდენიმე ბერი დაირჩო, ასეთივე შავი დღე მიაყენა საფარას, ვარძიას, სხალტას და მრავალთაც სხვადასხვა ტაძრების და მონასტრების მფარველ მღვდელთა და მონაზონთა. ათა-

ბაგის მეუღლე შვილებითურთ აჭარაში გადავიდა და ზენდიდის ციეიხე'ში შეიფარა თავი. ზენდიდის ციხე მაშინ მთლათ იდგა, აჭარაში დიდათ განთქმული იყო, კედლები მისი მეტათ სქელი და ყოვლათ უშიშარნი. ესენი ჰფიქრობდნენ, სპარსნი თუ გაძლიერდნენ და აჭარაში გადმოვიდნენ, მაშინ ჩვენ აქედამ გავუმართავთ ბრძოლასაო. აქ დედის იმედ_ და ყვარყვარეს დიდი დახმარება მისცეს ზენდიდის მებატონე თავადთა პირფარეშის ძეებმა, რომელთაც ეჭირათ ამ მხრის გამგეობა, მთლათ ციხე და ომის საქმეებიც. პირფარეშის ძენი XII საუკ. აღორძინდნენ აქ, თამარ მეფისაგან დაჯილდოვებულ იქმნენ გვარიშვილობით და ნიშნათ ერთგულობისა ამათ ჩაჰბარდათ აჭარა და ზენდიდის ციხე. რომელნიმე ამათგანი ძველათ დიასამიძეთ იწოდებოდნენ, პირფარეშის ძეობა კი თამარ მეფისაგან მიიღეს ამათ. პირფარეშის ძენი მხნეთ მოქმედებდნენ, ამათ შეკრიბეს მთელი აჭარის ვაჟკაცობა, ნამეტურ სახალხო გმირები და სხვადასხვა მებატონენი და რჩევა ქმნეს ზენდიდში, რომ თუ შაჰ-თამაზი შემოვიდეს და გვეომოს, მაშინ ყველა ჩვენთაგანი მოკვდეს საქართველოსთვისაო. ყველამ ფიცი მისცეს, ვინც საქართველოს უღალატოს ის შერცხვენილ იქმნეს და შეჩვენებულიო. ეს შემთხვევები 1575—1576 წლებში მოხდა.

სპარსთა აიღეს მთელი მხარე, უკანასკნელ აჭარაშიაც გადვიდნენ, აქ დიდი ომი გამართეს, ამ ომში მოსწყდა საუკეთესო ვაჟკაცობა აჭარელთა, მოსწყდნენ რამდენიმე ძმანი დიასამიძე-პირფირეშის ძეთა. სპარსთ სძლიეს, მაგრამ არც ამათ დაადგათ კაი დღე. ათაბაგმა და მისმა დედამ ომის დაწყების წინეთ სულთანს შიკრიკები გაუგზავნეს, სპარსთა შემოსევა აუწყეს და ამასთანვე დახმარებაც სთხოვეს, ოსმალნი მალე მოვიდნენ კლარჯეთში, ამათ ყველაფერი სპარსთაგან დამორჩილებული და გაოხრებული დახვდათ. ამათ ომი აღარ ინდომეს, საქმე მორიგებით გაათავეს. სპარსთა კლარჯეთი ოსმალთ და უთმეს, ყოველივე ჩააბარეს და თვითონ კი სპარსეთისაკენ განიზრახეს წასვლა. ამათ თან წაიყვანეს დიდი ძალი ქართველთ ლამაზი ქალ ვაჟნი, რომელნიც შემდეგ დროებში სპარსთა დიდკაცის სახლებში დარიგებულ და და-

სამცხეზე წამოსვლა იქით გადასდო, რადგანაც მას კახეთიდამ მოუვიდნენ ქართველთ მოღალატე გამცემნი და აუწყეს, რომ კახეთის მეფე ალექსანდრე გღალატობს შენაო. შაჰ-თამაზისთვის კახეთი შეიქმნა სამტროთ, დასამხობათ და არა სამცხე. ყეინი მალე გამოემართა განჯის დასამორჩილებლად, განჯიდამ კახეთს უნდა დასცემიყო და მთელი მხარე უნდა აეკლო, თვისი რისხვა უნდა მიეყენებინა მათთვის. მეფის ალექსანდრეს დროს სცხოვრობდა ამის თანამედროვე პირი ოთარ ჩოლოყაშვილი, რომელიც იმ დროს დიდათ სახელოვანი იყო და რჩეული. ამან მოიგონა ერთნაირი არა მოსაწონარი ხერხი, რაის მეოხებითაც იმედოვნებდა, რომ იქნება ამით კახეთს თავის განსაცდელი ასცდესო. ამან სამცხის ათაბაგის მეუღლე, დედის იმედს, წერილი მისწერა და შეუთვალა საჩქაროთ ასე: შაჰ-თამაზი სამცხეში მოდის, ამასჰსურს, შენ და შენი შვილები სრულიად ამოგწყვიტოს და ათაბაგობა თავის ცოლის ძმას ვარაზ ოთარის ძე შალიკაშვილ მისცეს. ესწრაფეო, რომ ეს მოჰკლა, ვიდრე ყეინი მანდ მოვა, თორემ საქმე ცუდათ აღგისრულდებაო.

ათაბაგის მეუღლემ წერილი მიიღო, ეს დიდათ განცვიფრდა ამაზე და აღარავის რა ჰკითხა. პირდაპირ შალიკაშვილის საქმეს შეუდგა. ეს მალეც მოაკვლევინა. ასე აღსრულდა სიცოცხლე იმ გამოჩენილის მოღალატე შალიკაშვილისა, რომელიც ერთ დროს საქართველოს მტერს წინ მოუძღვოდა და თავის სამშობლო ქვეყნის დაქცევა-დღუპვას ლამობდა. საქმე ისე წარემართა, რომ შალიკაშვილის სიკვდილი მისმა სიძემ, შაჰ-თამაზმა, ერთობ მალე სცნა, ამან ამის გამო განჯის აღების შემდეგ კახეთზე გალაშქრებას და მოოხრებას თავი გაანება და განჯიდამ თრიალეთის გზით პირდაპირ კლარჯეთისკენ წავიდა, მალე სამცხეში ჩავიდა და კახეთზე განმზადებული რისხვა სამცხეს მიაყენა. «მოაოხრა მთლათ სამცხე და ტყვე ჰყვნა, გარნა უმეტესოცხე». აიკლო მრავალი დაბანი, დააქცია ეკკლესიები, ზარზმა გააუქმა, რამდენიმე ბერი დაირჩო, ასეთივე შავი დღე მიაყენა საფარას, ვარძიას, სხალტას და მრავალთაც სხვადასხვა ტაძრების და მონასტრების მფარველ მღვდელთა და მონაზონთა. ათა-

ბაგის მეუღლე შვილებითურთ აჭარაში გადავიდა და ზენ-
დიდის ციხეში შეიფარა თავი. ზენდიდის ციხე მაშინ
მთლათ იდგა, აჭარაში დიდათ განთქმული იყო, კედლე-
ბი მისი მეტათ სქელი და ყოვლათ უშიშარნი. ესენი ჰფი-
ქრობდნენ, სპარსნი თუ გაძლიერდნენ და აჭარაში გად-
მოვიდნენ, მაშინ ჩვენ აქედამ გავუმართავთ ბრძოლასაო.
აქ დედის იმედ და ყვარყვარეს დიდი დახმარება მისცეს
ზენდიდის მებატონე თავადთა პირფარეშის ძეებმა, რომელ-
თაც ეჭირათ ამ მხრის გამგეობა, მთლათ ციხე და ომის
საქმეებიც. პირფარეშის ძენი XII საუკ. აღორძინდნენ
აქ, თამარ მეფისაგან დაჯილდოვებულ იქმნენ გვარიშვი-
ლობით და ნიშნათ ერთგულობისა ამათ ჩაჰბარდათ აჭა-
რა და ზენდიდის ციხე. რომელნიმე ამათგანი ძველათ დი-
ასამიძეთ იწოდებოდნენ, პირფარეშის ძეობა კი თამარ
მეფისაგან მიიღეს ამათ. პირფარეშის ძენი მხნეთ მოქმედე-
ბდნენ, ამათ შეკრიბეს მთელი აჭარის ვაჟკაცობა, ნამე-
ტურ სახალხო გმირები და სხვადასხვა მებატონენი და
რჩევა ქმნეს ზენდიდში, რომ თუ შაჰ-თამაზი შემოვიდეს
და გვეომოს, მაშინ ყველა ჩვენთაგანი მოკვდეს საქარ-
თველოსთვისაო. ყველამ ფიცი მისცეს, ვინც საქართვე-
ლოს უღალატოს ის შერცხვენილ იქმნეს და შეჩვენებულ-
იო. ეს შემთხვევები 1575—1576 წლებში მოხდა.

სპარსთა აიღეს მთელი მხარე, უკანასკნელ აჭარა-
შიაც გადვიდნენ, აქ დიდი ომი გამართეს, ამ ომში მო-
სწყდა საუკეთესო ვაჟკაცობა აჭარელთა, მოსწყდნენ რა-
მდენიმე ძმანი დიასამიძე-პირფირეშის ძეთა. სპარსთ სძლი-
ეს, მაგრამ არც ამათ დაადგათ კაი დღე. ათაბაგმა და
მისმა დედამ ომის დაწყების წინეთ სულთანს შიკრიკები
გაუგზავნეს, სპარსთა შემოსევა აუწყეს და ამასთანვე და-
ხმარებაც სთხოვეს, ოსმალნი მალე მოვიდნენ კლარჯეთ-
ში, ამათ ყველაფერი სპარსთაგან დამორჩილებული და
გაოხრებული დახვდათ. ამათ ომი აღარ ინდომეს, საქმე
მორიგებით გაათავეს. სპარსთა კლარჯეთი ოსმალთ და
უთმეს, ყოველივე ჩააბარეს და თვითონ კი სპარსეთისა-
კენ განიზრახეს წასელა. ამათ თან წაიყვანეს დიდი ძალი
ქართველთ ლამაზი ქალ ვაჟნი, რომელნიც შემდეგ დრო-
ებში სპარსთა დიდკაცის სახლებში დარიგებულ და და-

ყიდულ იქმნენ კარგ ფასზე. ოთარ ჩოლოყაშვილის საქ-ციელმა და მოუსაზრებელმა მოხერხებამ კახეთს მაინც ვერ ააცილა თვისი უბედური განსაცდელი, მტერმა ჯერ-ერთ ერთი მხარე აიკლო, აანიავა და როცა აქ გაძღა ქართველთ ჟლეტა-წყვეტით, მერე მეორეს მიადგა, ე. ი. კახეთს და ამასაც მიაყენა თავის რისხვა და უბედურება. ეს ნაყოფი გამოიღო იმ დროის განცალკევებულ ქართ-ველთა ბრძოლა-მეცადინეობამა. სამცხე და კახეთი რომ ერთათ შეერთებულიყვნენ და მტერს ისე დახვედრიყვ-ნენ, ეჰვი არ უნდა, რომ მაშინ მტერი ვერას გააწყობ-და, მაგრამ ქართველთ დიდებულებს ასეთ ერთობის ნა-ტვრა სულ არ ჰქონდათ, ესენი თვითოეული ცალ ცალ-კე იბრძოდნენ თვის დასაცველათ და ამის მეოხებით მტრის წინაშე ვერას აწყობდნენ, რადგანაც მტერი ყო-ველთვის ერთობით ეცემოდა ხოლმე მათა და ანიავებდა.

ზ. ჭიჭინაძე.

(გამდეგი იქნება).

ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ამხანაგობა „ბეოგრაბია“-მ

გასსნა კანტორა ბათუმში და ღებულობს ყოველ-ივე საკომერციო საქმეებს: ადგილობრივ და საზღვარს გარეთიდანაც გაძოუწერს მსურველს ყოვ-ელნაირ ჩვენში ცნობილ საზღვარ-გარეთის საქონელს. დაწვრილებითი პირობებს ამხანაგობა მიაწვდის მსურველთ მოთხოვნილებისამებრ ერთ 7 კა-პიკიან მარკად. მოთავე ფირმა „ბეოგრადია“-სი ია-ნეს რაჭველი—მესუსლა.